

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამაზ თორდია

უხმო ერები საერთაშორისო სისტემაში: ქურთები და
ასირიელები პერმანენტული და პოტენციური კონფლიქტების
ჭრილში

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და
საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: დავით მაცაბერიძე – თსუ სოციალურ და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი – ასისტენტ პროფესორი

თბილისი 2018

ანოტაცია

უხმო ერები საერთაშორისო სისტემაში: ქურთები და ასირიელები პერმანენტული და პოტენციური კონფლიქტების ჭრილში

მოცემული ნაშრომის თემა შეეხება ეთნიკური კონფლიქტების ბუნებას, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, კონკრეტულად ქურთთა და ასირიელთა საკითხებს. ამ რეგიონში ბოლო წლებში განვითარებული მოვლენები საერთაშორისო მედიისა და აკადემიური ინსტიტუტებისათვის მაღალი ინტერესის საგანს წარმოადგენს. რეგიონში 2010-იან წლებში ე.წ. ისლამური სახელმწიფოს გამოჩენამ ბიძგი მისცა ეთნიკური დაძაბულობების ახალი კერების გაჩენას და ძველის განახლებას. ნაშრომის მიზანია ეთნიკური კონფლიქტების მაინსპირირებელი ფაქტორების იდენტიფიცირება და მათი თავისებურებების ახსნა. კვლევის ძირითად ფოკუსში მოქცეულია შუამდინარეთიდან ქურთული და ასირიული საკითხები ვინაიდან ეს უკანასკნელი ისტორიულად გადაჯაჭვულია ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ მოვლენებთან. კვლევის საგანია ეთნიკური კონფლიქტებისა და საერთაშორისო სისტემაში ერთა შიდა თვითგამორკვევის პრინციპის ურთიერთმიმართება. როგორც კვლევის შედეგებმა გვიჩვენა ეთნიკური კონფლიქტების ინსპირატორი ფაქტორია ეთნიკური უფლებების დაუკმაყოფილებლობა, ეს უკანასკნელი კი წინაპირობაა შიდა-თვითგამორკვევის პრინციპით სარგებლობის უფლების აღძვრის გზაზე. კვლევა ასევე გვჩვენებს გავიგოთ თუ რა არის ის კრიტერიუმები, რომელთა არსებობა განაპირობებს ეთნიკური ჯგუფის ხალხად კლასიფიცირებას და რა არის ის მოთხოვნები, რომლებიც უნდა დააკმაყოფილონ ხალხმა იმისათვის, რომ შეძლონ სარგებლობა შიდა-თვითგამორკვევის უფლებით. წინამდებარე ნაშრომში ქურთთა და ასირიელთა საკითხის გაცნობასთან ერთად შესაძლებლობა გვეძლევა გავიგოთ

თუ რა ფაქტორებმა განაპირობა ხსენებულ ეთნოსებში ცენტრალური ხელისუფლებების მიმართ ანტაგონიზმის გაჩენა, შესაბამისად, ვიგებთ რა უნდა გაითვალისწინონ ცენტრალურმა ხელისუფლებებმა, როცა ეთნიკურ უმცირესობებთან ურთიერთობების პოლიტიკის შემოშავებას ცდილობენ. თეორიულ ჭრილში კვლევა გვიჩვენებს, საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი თეორიები, კერძოდ, რეალიზმი, მარქსიზმი და კრიტიკული თეორია ყოველისმომცველად ვერ ხსნის ეთნიკური კონფლიქტების ბუნებას. ასევე ვნახეთ, რომ ეთნიკური ჯგუფის წევრთათვის კონფლიქტების თეორიაში ცნობილი ბერტონის ადამიანური საჭიროებების, კერძოდ, დაცულობის, უსაფრთხოების, საკუთრების, სიყვარულის, თავდაჯერების, პირადი მიღწევების, იდენტობის, კულტურული უსაფრთხოების, თავისუფლების, დოვლათის სამართლიანად განაწილების და სხვა და სხვა აქტივობებში ჩართულობის, მონაწილეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება აუცილებელი კრიტერიუმებია კონფლიქტის პრევენციის და მოგვარებისათვის.

თ.თორდია

Annotation

Voiceless nations in the international system: kurds and Assyrians in the sense of potential and permanent ethnic conflicts

The theme of this work concerns ethnic conflicts in the Middle East, particularly Kurdish and Assyrian questions. Events which developed in the region in recent years are of high interest subject in international media and academic institutions. The Islamic State has appeared in the region in 2010 and that event encourage the emergence of new tensions between nations and renewed the old ones. The goal of the work is to identify and address the peculiarities of ethnic conflicts. The main focus of the research is the Kurdish and Assyrian issues from the Middle East, as the latter was historically handed over to the major geo-political events of the Middle East. The subject of research is the relationship between the ethnic conflicts and the principle of internal self-determination in the international law. The results of the survey show that the ethnic conflict is based on the inequality and discrimination in society, and the latter is a prerequisite on the road to the right to self-determination. The study also helps us to understand what are the criteria in which the ethnic group may consider as a people and what are the demands that the people should be reclaim in order to use the principal of internal self-determination. The research gives us an opportunity to understand what factors led to the

emergence of antagonism between ethnic minorities and the central authorities, and thus, we can see what the central government should take into consideration when it comes to the policy of relations with ethnic minorities. In the theoretical point of view, research shows that the main theories of international relations, namely realism, Marxism and critical theory, can not explain an all aspects of ethnic conflicts. We also saw that Burton's "human needs theory", in particular, security, property, love, trust, personal achievement, identity and cultural security, freedom, wealth, fair distribution of goods are the essential factors in order to unsure conflict prevention and resolution.

T.Tordia

შინაარსი

შესავალი.....	7
კვლევა თეორიულ და მეთოდოლოგიურ ჭრილში	14
ლიტერატურის მიმოხილვა	16
თავი 1. ქურთთა და ასირიელთა საკითხი	28
1.1 ქურთთა საკითხი თურქეთში	28
1.2 ქურთთა საკითხი ერაყში.....	32
1.3 ქურთთა საკითხი სირიაში და ირანში.....	34
1.4 ასირიელთა საკითხი.....	36
თავი 2. ეთნიკური შიდა თვითგამორკვევა და ეთნიკური უფლებები.....	39
2.1 ეთნიკური თვითგამორკვევის პრინციპი.....	40
2.2 ქურთთა და ასირიელთა ბრძოლის თავსებადობა შიდა თვითგამორკვევის პრინციპთან	42
2.3 ბერტონის ადამიანური მოთხოვნების თეორიის მიმართება ქურთთა და ასირიელთა საკითხთან.....	43
დასკვნა	51
ბიბლიოგრაფია.....	52

შესავალი

ეთნიკური კონფლიქტები, აქტიურიც, გაყინულიც და პოტენციურიც თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი პირველხარისხოვანი გამოწვევაა საერთაშორისო სისტემისთვის. წინამდებარე ნაშრომში შევხებით როგორც კონფლიქტების ზოგად ბუნებას, ასევე შემთხვევების შესწავლის საწყისებზე ზოგ, სხვებზე მეტად გამორჩეულ კონფლიქტებს დეტალურად განვიხილავთ. ვინაიდან დღეისათვის ახლო აღმოსავლეთი, უფრო ზუსტი ლოკალიზებისთვის კი შუამდინარეთი კონფლიქტების თვალსაზრისით მსოფლიოს ერთერთი ყველაზე ცხელი წერტილია, ჩვენც მის ფარგლებში აღმოცენებულ ეთნიკურ კონფლიქტებს შევხებით დეტალურად, კონკრეტულად ქურთთა და ასირიელთა საკითხს მათი განსახლების ქვეყნებში, თურქეთში, ერაყში, სირიასა და ირანში. ხსენებული ეთნიკური ჯგუფები რამდენიმე მიზეზით არიან ჩვენი ნაშრომის ინტერესის საგანი. კერძოდ, ქურთები მსოფლიოში ერთერთ ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ მათ შორის, ვისაც საკუთარი სახელმწიფო არ აქვთ და ამავე დროს არა მხოლოდ სახელმწიფოებრიობას არიან მოკლებულნი, არამედ მეტწილად ავტონომიური თვითმმართველობებიც ხელმიუწვდომელია მათთვის,

ერაყის ჩრდილოეთში მცხოვრები ქურთების გამოკლებით, რომელთაც ბოლო წლებში მოიპოვეს ავტონომიურობა ბრძოლით და მათი პოლიტიკური მომავალიც დღეისთვის კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ცენტრალურ ხელისუფლებასთან ტერიტორიული და უფლებამოსილების სფეროებში დისპუტის გათვალისწინებით. ქურთების მეზობელი ასირიელები კი მიუხედავად იმისა, რომ ბოლო საუკუნეში რამდენჯერმე გახდნენ გენოციდალური პროცესების მსხვერპლნი და თვითმმართველობის კრიტიკული საჭიროების წინაშე დგანან _ რათა ფიზიკურ, ეგზისტენციალურ საფრთხეებს გაუმკლავდნენ _ საერთაშორისო საზოგადოებისგან თვითმმართველობის ამა თუ იმ ფორმის უზრუნველყოფის გზაზე ვერ ღებულობენ ისეთ მხარდაჭერას, როგორიც სხვა, მსგავსად ან ნაკლებად მასშტაბურად რეპრესირებულ ეთნოსებს ხვდათ წილად, მაგალითად, კოსოვოელებს, ხორვატებს, ყოფილ კოლონიზირებულ ერებს და სხვა მსგავსი ფონის მატარებელ ეთნოსებს.

ნაშრომის მიზანია, რომ არა მხოლოდ პრაქტიკისთვის და კონფლიქტების ველზე მუშაობისთვის საჭირო ემპირიული მონაცემები იკვლიოს, არამედ ეცადოს ახსნას კვანძი („ფაზლი“), ის უცნაური გარემოება, რომლის მიხედვითაც ზოგ ერს ბოლო საუკუნეში მიეცა საშუალება თვითგამორკვევისთვის, ზოგს კი არა. მაგალითად, უფრო კონკრეტულობისთვის საინტერესოა რამ განაპირობა, რომ ბოლო საუკუნეში ევროპული ქვეყნების მიერ კოლონიზებულ ხალხებს მიეცათ საშუალება უპირობოდ თვითგამორკვევისთვის, ასევე რამ განაპირობა, რომ არსებობს კოსოვოს აღიარების შემთხვევა, მონტენეგროსა თუ სამხრეთ სუდანის ცენტრისგან გამოყოფის შემთხვევა, პაკისტანისა და ბანგლადეშის სახელმწიფოების წარმოქმნის შემთხვევა, ჩეხო-სლოვაკიის გაყოფის და სხვა მსგავსი შემთხვევები და არ არსებობს ასირიელთა სახელმწიფო ან თვითმმართველობა, რომელსაც ნამდვილად ვიცით, რომ აქვს სახელმწიფოებრიობის უნიკალური ისტორია და მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში დასავლეთშიც ქონდა მისი სახელმწიფოებრიობის რაიმე ფორმით არსებობის უფლებას მხარდაჭერა დომინანტი სახელმწიფოების მხრიდან, ხოლო

მისი, ასირიის პოლიტიკური ფორმის განსაზღვრისთვის მოქმედი, ამ იდეის აპოლოგეტი პატრიოტები ბრძოლობდნენ და ჯერაც უშედეგოდ დღემდე ბრძოლობენ რომელიმე პოლიტიკური ფორმით მათი სამშობლოს ადმინისტრაციული შინაარსით დატვირთვისთვის. ასევე როგორ მოხდა, რომ არ არსებობს ქერთთა პოლიტიკური რეალური თვითმმართველობა ბოლო წლებში პიროსის ძალისხმევით მიღწეული ერაყის ქურთისტანის მიღმა, მიუხედავად ამ უკანასკნელთა ათწლეულების განმავლობაში სხვა და სხვა ფორმით ბრძოლისა და ზოგჯერ მიღწეული წარმატებებისა, მაგ. მაჰაბადის რესპუბლიკა, არარატის რესპუბლიკა. გამოვიკვლიე ეს მოცემულობები ხომ არ არის იმ ჰიპოთეტური გარემოებით განპირობებული, რომ ასირიელები და ქურთები სამართლებრივად არ აკმაყოფილებენ შიდა თვითგამორკვევის უფლების აღძვრისათვის საჭირო კრიტერიუმებს საერთაშორისო სამართლის მიხედვით, თუ რევიონის და გლობალური დიდი ძალების პოლიტიკური გადაწყვეტილებები განაპირობებს ქერთთა და ასირიელთა თვითმმართველობის ფორმებზე ხელმიუწვდომლობას?

ნაშრომში პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ მთავარ საკვლევ კითხვას:

არის თუ არა ქერთთა და ასირიელთა თვითგამორკვევისათვის ბრძოლა შესაბამისობაში ხალხთა შიდა თვითგამორკვევის პრინციპთან?

აღნიშნულ საკვლევ კითხვაზე პასუხი ჩამოყალიბებულია ჰიპოთეზის სახით:

ვინაიდან ქერთთა და ასირიელთა ხალხად კლასიფიცირება შესაძლებელია და ამავე დროს ორივე ეთნიკური ჯგუფი ისტორიულად და მიმდინარედ ეთნიკური ნიშნით რეპრესირებულ და დისკრიმინირებულ ჯგუფებს წარმოადგენენ, მათი მოძრაობა შიდა თვითგამორკვევის პრინციპთან შესაბამისობაშია.

ნაშრომის შემდეგ ნაწილებში ვაჩვენებთ რას გულისხმობს თვითგამორკვევა, რას ნიშნავს გარე თვითგამორკვევა და შიდა თვითგამორკვევა. რა არის ის მოთხოვნები საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რომლის არსებობის შემთხვევაში ადამიანთა ჯგუფის კლასიფიცირება შესაძლებელია ხალხად და რა არის ის მოთხოვნები, რომლის არსებობის შემთხვევაში ხალხს შეუძლია ისარგებლოს შიდა თვითგამორკვევის უფლების პრინციპით. შემდგომ ამისა, გამოვიკვლევთ ქურთები და ასირიელები ერაყში, სირიაში, თურქეთსა და ირანში მეოცე საუკუნის მათი ისტორიის გათვალისწინებით აკმაყოფილებდნენ და აკმაყოფილებენ თუ არა დღეს იმ მოთხოვნებს, რომლებიც საჭიროა შიდა თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობისათვის. ვინაიდან ხალხთა თვითგამორკვევის უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და მეტწილად პოლიტიკური დავეების საგნად გვევლინება, ჩვენც მას პოლიტიკურ ჭრილში განვიხილავთ, თუმცა ხსენებული საკითხის პოლიტიკურ ინტერპრეტაციებსაც და ავტორიტეტულ მკვლევართა ნარკვევებსაც საერთაშორისო სამართალზე აპელირება ახასიათებს, ამიტომაც ამ უკანასკნელს გვერდს ვერც ჩენ ავუვლით. კონფლიქტების თეორიის ჭრილში კი ბერტონის „ადამიანური საჭიროებების(მოთხოვნილებების) თეორიის“ ფარგლებში ვაჩვენებთ რამდენად ჰქონდათ და აქვთ ქურთებსა და ასირიელებს ამ თეორიით განსაზღვრული აუცილებელი ადამიანური მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული და მათმა, კერძოდ, უსაფრთხოების, იდენტობის დაცვის, დოვლათის სამართლიანად განაწილების და სხვა ადამიანური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობამ ხომ არ წარმოშვა შემდეგი ცვლადების არსებობა და მათი ჩვენს მიერ შერჩევის ვალიდურობა, კერძოდ, ვაჩვენებთ, რომ ქურთებსა და ასირიელებს ხელი არ მიუწვდებოდათ მათი მშობლიური ენის პრაქტიკაში გამოყენებაზე, მათი პოლიტიკური წარმომადგენლობითობა შემლუღულია და არაპროპორციული მათი განსახლების ქვეყნების პოპულაციაში მათ პროცენტულ წილთან შეფარდებით, ქვეყნის ეკონომიკური დოვლათი არასამართლიანად

ნაწილდებოდა და ნაწილდება მათი განსახლების რეგიონებში და მთავარი, მათი ფიზიკური უსაფრთხოება არ იყო და არ არის დაცული ცენტრალური ხელისუფლებების მხრიდან და შემდგომ ამისა, ვნახავთ, რომ ყოველივე ხსენებულმა ასირიელებსა და მეტწილად ქურთებს შორის წარმოშვა რეზისტენტული მოძრაობები, რომელთა საქმიანობა ძირითადად მიმართული იყო და არის შიდა თვითგამორკვევის პრინციპის პრაქტიკაში უზრუნველყოფისკენ.

მოცემულ ნაშრომში გვაქვს შემდეგი ცვლადები:

- დამოკიდებული: ქურთთა და ასირიელთა შიდა თვითგამორკვევისთვის საქმიანობა
- დამოუკიდებელი: ქურთთა და ასირიელთა ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია

ცვლადებს შორის კორელაციას გავზომავთ ისტორიული მეთოდისა და შემთხვევის შესწავლის საშუალებით. კერძოდ, გამოვიკვლევთ ჰქონდა თუ არა ადგილი ქურთთა და ასირიელთა ეთნიკური ნიშნებით (ენა, რელიგია, კულტურა) დისკრიმინაციას და ამ დისკრიმინაციას საპასუხოდ მოჰყვა თუ არა ხსენებული ჯგუფების მიერ შიდა-თვითგამორკვევისკენ მიმართული აქტივობები, ხოლო ყოველივე ხსენებულმა ხომ არ წარმოქმნა საერთაშორისო სამართლის შიდა-თვითგამორკვევის უფლების პრინციპით სარგებლობისათვის საჭირო ლეგიტიმური გარემოებები ქურთთა და ასირიელთა ხელში.

კონფლიქტების ბუნების კვლევა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მათი პრევენციისა და მოგვარების ხელსაწყოების აღმოჩენისა თუ შემუშავებისათვის თეორიულ დონეზე. ცხადია თითოეული კონფლიქტი უნიკალური ხასიათისაა და მისი კვლევა,

ახსნა თუ მოგვარებისთვის ველზე მუშაობა შემთხვევაზე ორიენტირებულ მიდგომას მოითხოვს, თუმცა ყოველ კონფლიქტს აქვს საერთო მახასიათებლებიც და სწორედ მათ იდენტიფიცირებასა და ჩვენებას შევეცდებით ჩვენს ნაშრომში ზოგი, მასშტაბებითა და გეო-პოლიტიკური მნიშვნელობით სხვებზე მეტად აღმატებული კონფლიქტების გამოწვლილვით კვლევასთან ერთად.

ერთერთი ასეთი, გეო-პოლიტიკურად საკვანძო მნიშვნელობის გეოგრაფიული არეალია ახლო-აღმოსავლეთის შუამდინარული ნაწილი, კერძოდ მისი უკიდურესი ჩრდილოეთ ნაწილი, სადაც ასირიელი და ქურთი ეთნოსები არიან ისტორიულად განსახლებულნი. ისტორიის მრავალი მკვლევარი ორივე ხსენებულ ხალხს ანტიკური სახელმწიფოების, მიდიისა(ქურთების შემთხვევაში) და ასირიის(ასირიელების შემთხვევაში) გადარჩენილ მემკვიდრეებად განიხილავს, თუმცა დღეისათვის ასირიელებიც და ქურთებაც საკუთარ სახელმწიფოებრიობას მოკლებულნი არიან და ეთნიკური უმცირესობების სახით ცხოვრობენ მათ ისტორიულ მიწებზე, რომელიც დღეს თურქეთის, ირანის, ერაყისა და სირიის საზღვრებში არის მოქცეული. მეოცე საუკუნეში ქურთებსა და ასირიელებს არაერთხელ ჰქონიათ მცდელობა სახელმწიფოებრიობის რაიმე პოლიტიკური ავტონომიური ნიშნით აღჭურვილი თვითმმართველობისთვის მიაღწიათ და თუმცა კი ზოგჯერ გარკვეული წარმატებებისთვის მიუღწევიათ ამ გზაზე, საბოლოოდ მათი მცდელობები კრახით სრულდებოდა. მიუხედავად განცდილი მეტწილად წარუმატებლობებისა, ორივე ხსენებული ხალხი დღესაც მოქმედებს, როგორც ლოკალურად ასევე საერთაშორისოდ იმისათვის, რომ თვითმმართველობის ესა თუ ის ფორმა მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს. მათი ეს მცდელობები ხშირად აწყდება წინააღმდეგობას ცენტრალური ხელისუფლებებისგან და ზოგჯერ ამავე ტერიტორიებზე ფანატიკურ მოტივებზე წარმოქმნილი კვაზი-სახელმწიფოებისგან, მაგალლითად ისეთისგან, როგორიც არის საერთაშორისო აქტორების მხრიდან ტერორისტულად აღიარებული ისლამური სახელმწიფო, რომლის ერთ-ერთი

პირველი ბრუტალური თავდასხმების ობიექტნი სწორედ ასირიელები და ქურთები იყვნენ სხვა ქრისტიანულ და იემბიდურ ეთნო-რელიგიურ ჯგუფებთან ერთად შუამდინარეთის ჩრდილოეთით. ამ თავდასხმების დროს, როდესაც ათეულ ათასი ქურთის და ასირიელის სიცოცხლე ბრუტალურად დასრულდა, ცენტრალურმა ხელისუფლებებმა კერძოდ, ერაყში და სირიაში ქურთები და ასირიელები ვერ დაიცვეს. ამიტომ საჭირო გახდა ორივე ხსენებულ ჯგუფს საკუთარი ძალებით და საერთაშორისო მხარდაჭერით _ პირველ რიგში აშშ-ს მხრიდან _ უზრუნველყოთ საკუთარი ფიზიკური უსაფრთხოება. მათ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს და საკუთარი განსახლების არეალს დღემდე საკუთარი ძალებით იცავენ. შექმნილმა ვითარებამ ეჭვქვეშ დააყენა ცენტრალური ხელისუფლებების უსაფრთხოების უზრუნველმყოფელი ფუნქცია ქურთებითა და ასირიელებით დასახლებულ რეგიონებში ვინაიდან ხსენებულ ეთნიკურ ჯგუფებს სახელმწიფოს გარეშე მოუწიათ გამკლავებოდნენ ეგზისტენციალურ საფრთხეებს. ამგვარმა ვითარებამ კი თავის მხრივ ქურთებსა და ასირიელებში კიდევ ერთხელ წარმოშვა განწყობა, რომ მათ შეუძლიათ და სჭირდებათ იყვნენ ცენტრალური ხელისუფლებებისაგან პოლიტიკურად მეტად დამოუკიდებელნი ვიდრე აქამდე. კერძოდ, ქურთებმა ერაყის ჩრდილოეთში უკვე ქონდათ რა ავტონომია, ამჯერად თვითმმართველობითი უფლებების გაზრდაზე დაიწყეს მოლაპარაკებები ცენტრალურ ხელისუფლებასთან და ვერ მიაღწიეს რა წარმატებას, ცალმხრივად სრული გამოყოფითაც დაემუქრნენ ერაყის ხელისუფლებას, თუ ეს უკანასკნელი კონსტიტუციაში ლეგალურ ბერკეტებს არ გააჩენდა იმისათვის, რომ ქურთებს რეფერენდუმის ჩატარება შესძლებოდათ მათ ავტონომიურ ერთეულში _ შეთანხმება ბალდადთში(ერაყის დედაქალაქი) ვერ შედგა, თუმცა ქურთებს დღემდე არ გამოუცხადებიათ ცალმხრივად დამოუკიდებლობა. ასირიელებმა ერაყში და ქურთებმა სირიაში კი ავტონომიური ერთეულების შექმნისთვის წამოიწყეს კამპანიები. ქურთებს ასევე ქონდათ და აქვთ ცენტრალურ ხელისუფლებებთან ეთნიკურ და პოლიტიკურ ნიადაგზე დისპუტი ირანსა და თურქეთშიც და ვინაიდან რეგიონში ბოლო წლებში განვითარებულმა

მოვლენებმა საერთაშორისო მასშტაბის ყურადღება დაიმსახურა და გააჩინა კითხვები ქურთებისა და ასირიელების მომავალთან დაკავშირებით, ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ აქვს თუ არა ქურთებისა და ასირიელების იმ მოქმედებებს, რომელიც მიმართულია შიდა-თვითგამორკვევის მიღწევისთვის ლეგიტიმური საფუძველი და შესაბამისობა თვითგამორკვევის, კერძოდ, შიდა თვითგამორკვევის პრინციპთან.

ჩვენ ვიცით, რომ საერთაშორისო სამართალში თვით-გამორკვევის პრინციპი და უფლება ხშირად უპირისპირდება ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენულობის პრინციპებს. როგორ წესი, ცენტრალური ხელისუფლებები ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენულობის ხელშეუხებლობის პრინციპით აპელირებენ პოლიტიკურად მათგან სხვა და სხვა მასშტაბით განდგომის მსურველ რეგიონებთან, ხოლო თვითმმართველობის დონის გაზრდით დაინტერესებული ეთნიკური რეგიონები ხალხთა თვით-გამორკვევის უფლებით. ხსენებული მხარეები საკუთარი ინტერესების მიხედვით ხშირათ არასწორად აპელირებენ საერთაშორისო სამართლის ხსენებული პრინციპებითა და უფლებით. ამიტომ ჩვენ შევეცდებით გავარკვიოთ აკმაყოფილებენ თუ არა ასირიელები და ქურთები შიდა-თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობისთვის საერთაშორისო სამართალში განსაზღვრულ კრიტერიუმებსა და მოთხოვნებს.

კვლევა თეორიულ და მეთოდოლოგიურ ჭრილში

კონფლიქტების თეორიების ჭრილში ყველაზე მეტად მიზანშეწონილია ქურთებთან და ასირიელებთან დაკავშირებული კონფლიქტების ასახსნელად ბერტონის ადამიანური საჭიროებების თეორია განვიხილოთ, რადგან ამ თეორიის პოსტულატები მეტწილად ესადაგება ხსენებულ რეგიონში ქურთთა და ასირიელთა

ეთნიკურ უმცირესობებსა და ეთნიკურად დომინანტ ჯგუფებს შორის კონფლიქტების მაინსპირირებელ ფაქტორებს. კერძოდ ადამიანური საჭიროებების თეორიის მიხედვით ეთნიკურ ჯგუფებს და მათ წევრებს რამდენიმე ბუნებითი მოთხოვნილება გააჩნიათ და ესენია(სია არ არის იერარქიული თეორიის პრინციპებიდან გამომდინარე,რომელსაც ნაშრომის ძირითად ნაწილში უფრო გამონვლილვით შევხებით):

1. დაცულობა/უსაფრთხოება
2. საკუთრება
3. სიყვარული
4. თავდაჯერება თვითშეფასებაში
5. პირადი მიღწევები
6. იდენტობა
7. კულტურული უსაფრთხოება
8. თავისუფლება
9. პირობები, სადაც დოვლათი სამართლიანად, პროპორციულადაა გადანაწილებული
10. ჩართულობა,სხვა და სხვა აქტივობებში მონაწილეობა

ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნილებების უმეტესობა,როგორც ქვემოთ კვლევა გვანახებს, ქერთა და ასირიელთათვის მათი განსახლების ისტორიულ,შუამდინარულ არეალში ხელმისაწვდომი არ ყოფილა ბოლო საუკუნეში და მეტწილად არც დღეს არის.

კვლევა ძირითადად აღწერილობითი ხასიათისაა და გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდები ისტორიული მეთოდისა და შემთხვევის შესწავლაზე დაფუძნებით. ისტორიული მეთოდის საშუალებით გამოვარკვევთ იმ ფაქტებს

ქურთთა და ასირიელთა საკითხიდან, რომელიც უკავშირდება ამ უკანასკნელთა შიდა თვითგამორკვევისთვის ბრძოლას და მათ ისე დავალაგებთ, რომ მკითხველმა შეძლოს აღიქვას ჩვენი ნარატივის სისწორე ქურთთა და ასირიელთა შიდა თვითგამორკვევის საკითხთან დაკავშირებით. ასევე გამოვიყენებთ მეორად მასალებს. გავეცნობით საკითხისთვის რელევანტურ პრესას, პერიოდულ გამოცემებს. კვლევა გარდა იმისა, რომ არკვევს ქურთთა და ასირიელთა ეთნიკური ჯგუფების მიერ შიდა თვითგამორკვევისათვის მიმართული ღონისძიებების პოლიტიკურ და საერთაშორისო სამართლის შიდა თვითგამორკვევის პრინციპით სარგებლობისათვის დასაკმაყოფილებელ მოთხოვნებთან შესაბამისობას, ასევე საშუალებას იძლევა აიხსნას ეთნიკურ კონფლიქტებისთვის ბიძგის მიმცემი ფაქტორები.

ლიტერატურის მიმოხილვა

ვითარდება რა მსოფლიოს ყველა დასახლებულ და ნაწილობრივ, დაუსახლებელ ანტარქტიდის კონტინენტზეც კი, ასევე თითქმის ყველა გეო-პოლიტიკურად საკვანძო რეგიონსა და ლოკაციაში დანყებული ჩინეთის ზღვიდან იბერიის ნ.კ-მდე და დამთავრებული სამხრეთ ამერიკის წყნარ ოკეანურ სანაპიროებამდე. გეოგრაფიული დასახელებები: ტაივანი, თამილ ელამი, ქაშმირი,

ბალუჩისტანი, იემენი, სამხ.სუდანი, ერაყის ქურთისტანი, ნინევიის პლატო, ყარაბაღი, სამხ.ოსეთი, აფხაზეთი, ჩეჩნეთი, დაღესტანი, თათარსტანი, კოსოვო, ბალკანეთი, ვენეცია, კატალონია, ბასკთა ქვეყანა, საჰარის რესპუბლიკა, ჩრდ.ირლანდია და ორგანიზაციები: თამილელი ვეფხვები, ქურთთა მუშათა პარტია, “ირა“, “ეტა“ და მრავალი სხვა ის ცნობილი ტერმინებია, რომლებიც ბოლო ათწლეულებში და დღესაც საინფორმაციო გამოშვებებსა და ჟურნალისტურ სტატიებში, ასევე აკადემიურ კვლევებში არაერთხელ გამხდარან და ხდებიან ყურადღების ღირსი, როგორც მსოფლიოს ცხელ წერტილებთან ასოცირებული სახელები. მომავალში მოსალოდნელია, რომ გადაუჭრელი ეთნიკური კონფლიქტები ისევ გახდებიან აქტუალური მათი მოუგვარებელი მდგომარეობის გათვალისწინებით. ჩვენთვისაც ამიტომა მნიშვნელოვანი ვიკვლიოთ კონფლიქტების ბუნება, მათი კონსტრუქცია და ზოგი განსაკუთრებით ცხელი, აქტუალური და კლასიკური ეთნიკური კონფლიქტი გამონვლილვით და აკურატულად გამოვიკვლიოთ, რათა შევქმნათ ცოდნა, რომელიც მომავალში გაგვიოლღებს ზოგადად კონფლიქტებთან და კონკრეტულად, შესწავლილ კონფლიქტებთან ველზე მუშაობას რეზოლუციისათვის.

დღეისათვის მსოფლიო დაყოფილია ორასამდე სუვერენული პოლიტიკური სუბიექტის, რამდენიმე დე-ფაქტო და ნაწილობრივ აღიარებული სუბიექტის და ათეულობით ავტონომიურ და ფედერაციულ საფუძვლებზე წარმოქმნილი პოლიტიკური ერთეულის მიერ. ამ მხრივ, თუ გადავხედავთ საუკუნის წინანდელ ვითარებას მსოფლიოში, სუვერენულობის ამა თუ იმ ფორმის მქონე პოლიტიკურ სუბიექტთა რიცხვი დღეისათვის ნამდვილად შთამბეჭდავად გამოიყურება. გაიზარდა რა მათი რაოდენობა დაახლოებით თოთხმეტჯერ ბოლო ერთ საუკუნეში, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ეთნიკური და ეთნო-რელიგიური დაჯგუფებების რაოდენობას, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით ბრძოლობენ სეცესიურ და შიდა ან გარე თვითგამორკვევის უფლებრივ საწყისებზე, ასევე რეპრესირებული ეთნიკური

ჯგუფების რაოდენობას, ვნახავთ, რომ მსოფლიოს და სახელმწიფოების პოლიტიკურ რუკებზე გაცილებით შტამბეჭდავი იქნებოდა ფერთა გამა იმ შემთხვევაში თუ შიდა ან გარე თვით-გამორკვევის უფლებით სარგებლობა საერთაშორისო სამართლის უპირობო პრინციპი და უფლება იქნებოდა. როგორც წინა წინადადებიდან ვიგებთ, თვითგამორკვევის უფლება უპირობო არ არის, შესაბამისად მისით სარგებლობისთვის გარკვეული კრიტერიუმებია დასაკმაყოფილებელი და მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, საბოლოოდ საერთაშორისო სისტემაში პოლიტიკური გადაწყვეტილებები უფრო დიდ როლს თამაშობს თვითგამორკვევის ამა თუ იმ ფორმისთვის მებრძოლი ხალხის ცხოვრებაში, ვიდრე სამართლებრივი.

გაეროს გენერალური ანსაბლების მიერ 1966 წელს მიღებული „საერთაშორისო შეთანხმება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ პირველი მუხლის პირველივე პუნქტს იწყებს შემდეგი სიტყვებით: " ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების საფუძველზე ისინი თავისუფლად განსაზღვრავენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და ისწრაფვიან ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისაკენ".¹ ზემოთ მოყვანილი საერთაშორისო სამართლის დოკუმენტის გარდა თვითგამორკვევის უფლების აღიარების შესახებ ვკითხულობთ გაეროს წესდებაშიც და სხვა რამდენიმე სამართლებრივ აქტშიც, რომელზეც დანვრილებით ნაშრომის ძირითად ნაწილში ვისაუბრებთ, მაგრამ ეს არ ცვლის იმ გარემოებას, რომ ხსენებული უფლებით სარგებლობა არ არის უპირობო და შეუზღუდავად ხელმისაწვდომი. ქვემოთ ვისაუბრებთ რა შემთხვევებში შესაძლებელია თვითგამორკვევის უფლებით ისარგებლოს ხალხად კლასიფიცირებულმა ჯგუფმა, რომელსაც გააჩნია სხვა ეთნიკურ ნიშნებთან ერთად მკაფიოდ განსაზღვრული ტერიტორიული განსახლების

¹ (1966). *International Covenant on Civil and Political Rights*.

არეალი, სადაც ჯგუფი უმრავლესობას წარმოადგენს და მკვიდრ მოსახლეობად ითვლება.

ცნება თვითგამორკვევა გულისხმობს, რომ ხალხს, რომელიც დაკავშირებულია ენობრივი, კულტურული, ისტორიული, ეკონომიკური ან ტერიტორიული ნიშნით აქვს უფლება თავად განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკური სტატუსი საერთაშორისო სისტემაში. ავტორები განასხვავებენ გარე-თვითგამორკვევისა და შიდა-თვითგამორკვევის პრინციპებს. გარე-თვითგამორკვევა გულისხმობს, რომ ჯგუფი, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც ხალხი მუშაობს იმისთვის, რომ მოიპოვოს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ხოლო შიდა-თვითგამორკვევა გულისხმობს, რომ ხალხად კვალიფიცირებული ჯგუფი ესწრაფვის სახელმწიფოს შიგნით მიიღოს მეტი თვითმმართველობითი უფლებები, ვიდრე გააჩნია. ამგვარი თვითგამორკვევა შეგვიძლია გავაიგივოთ მმართველობაში თანამონაწილეობისთვის ბრძოლასთან, რომლის მიზანია დაიცვას, შეინახოს, გააძლიეროს ჯგუფი კულტურული, ისტორიული, ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების გზაზე. პრაქტიკაში ამგვარი თვითგამორკვევისთვის შესაბამისი პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენს ავტონომიური ან ფედერალური ოლქი.²

პირველ რიგში უნდა განვმარტოთ, რომ თვით-გამორკვევის უპირობო უფლებით მოსარგებლე ერთადერთ ჯგუფს წარმოადგენს კოლონიზებული ტერიტორიები და მისი მოსახლეობა. მხოლოდ ამ შემთხვევაშია ყოველგვარი საერთაშორისო სამართლებრივი დისპუტის გარეშე შესაძლებელი ხალხმა ისარგებლოს ხსენებული უფლებით და ამ მოცემულობით უკვე ისარგებლეს მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ევროპული სუპერ სახელმწიფოების მიერ კოლონიზებულმა აზიელმა და აფრიკელმა ხალხებმა, აქ იგულისხმებოდა გარე თვითგამორკვევა, რაც ცენტრისგან

² Raic, D. (2002). *Statehood and the Law of Self-Determination*. The Hague: Kluwer Law International. pp.237-239

სრულ გამოყოფას და ახალი სახელმწიფოს წარმოქმნას გულისხმობს.³ ყველა სხვა შემთხვევაში დისპუტი წარმოიშობა ცენტრალურ ხელისუფლებასა და რეგიონის თვითგამორკვევისთვის მებრძოლ ხალხს შორის, თუმცა მაინც არსებობს საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული კრიტერიუმები, რომელიც აუცილებელია, რომ დაკმაყოფილდეს, რათა შიდა თვითგამორკვევის უფლების საკითხი დადგეს ბენეფიციარი ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

შიდა თვითგამორკვევის უფლების შესახებ საუბრისას საერთაშორისო სამართლის კონტექსტში მნიშვნელოვანია განვმარტოთ, რომ ამ უფლების შესახებ სამართლებრივი ლიტერატურა გაბნეულია სხვა და სხვა საერთაშორისო სასამართლოების დადგენილებებში(პირველ რიგში ICJ _მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო), საერთაშორისო სამართლის ავტორიტეტულ მკვლევართა(რომელთა მოსაზრებები მხედველობაში მიიღება სასამართლოების მიერ) ნაშრომებში და გაეროს ფარგლებში მომზადებულ სამართლებრივ პროექტებში და ქვეყნების შიდა კანონებში. ერთმნიშვნელოვანი და შესასრულებლად დირექტიული საერთაშორისო სამართლის ნორმა კი, რომელიც განსაზღვრავს და აიძულებს ქვეყნებს აღიარონ მათ ტერიტორიაზე რომელიმე ჯგუფის შიდა-თვითგამორკვევის უფლებით უპირობოდ სარგებლობის უფლება, არ არსებობს და შესაბამისად, ეს უფლება შიდა და საერთაშორისო სასამართლოებში დისპუტის საგნად რჩება, თუმცა არსებობს ყურადსაღები გადაწყვეტილებები, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ და რომელსაც მხედველობაში იღებენ ქვეყნები. ამავე დროს მნიშვნელოვანია დავაზუსტოთ, რომ ჩვენი ნაშრომის მიზანი არ არის დავადგინოთ (როგორც ამას ICJ გააკეთებდა) აქვთ თუ არა უპირობო უფლება ქურთებსა და ასირიელებს ისარგებლონ შიდა თვითგამორკვევის უფლების პრინციპით, არამედ ჩვენ უნდა გავარკვიოთ ქურთთა და ასირიელთა შიდა-

³ Raic, D. (2002). *Statehood and the Law of Self-Determination*. The Hague: Kluwer Law International.pp.219-220

თვითგამორკვევისთვის მიმართულ მოქმედებებს ჰქონდათ ან აქვთ თუ არა შესაბამისობა იმ ცნებასთან, რასაც შიდა-თვითგამორკვევის უფლების აღძვრისათვის საერთაშორისო სამართლის სხვა და სხვა სამართლებრივ აქტებსა და ავტორიტეტულ მკვლევართა ნაშრომებში გაბნეული მოთხოვნების, კრიტერიუმების ერთობლიობა გულისხმობს. როგორც აღვნიშნეთ ვრცლად ხსენებულ უფლებას ნაშრომის ძირითად ნაწილში განვიხილავთ, ხოლო შიდა-თვითგამორკვევის უფლების ბენეფიციართა ძირითად კრიტერიუმებს აქ მიმოვიხილავთ. როგორც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო და საერთაშორისო სამართლის მკვლევრები აღნიშნავენ შიდა-თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობა შეიძლება აღეძრათ ხალხად კლასიფიცირებულ ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც წარმოადგენენ მკვიდრ მოსახლეობას და უმრავლესობას კონკრეტულ ტერიტორიაზე, არიან დიფერენცირებული სახელმწიფოს სხვა ეთნიკური ჯგუფებისგან ენით, კულტურით, რელიგიით, თავს მოიაზრებენ ხალხად, მათი ლოიალობა ერთმანეთისადმი უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ჯგუფებისადმი, იზიარებენ მსგავს ეკონომიკურ კონდიციებს. ⁴

საერთაშორისო სამართალში თვითგამორკვევის უფლება დეკლარირებულად კი არის აღიარებული, ასევე პრაქტიკული კრიტერიუმებიც უფლებით სარგებლობისთვის ქალაქდზე განერილი, მაგრამ როცა საქმე რეალობაში ინაცვლებს და ერთმანეთს ეჯახება ერთის მხრივ ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი და ეროვნული კონსტიტუცია ხოლო მეორე მხრივ ეთნიკური ჯგუფის თვითგამორკვევისთვის სწრაფვით ინსპირირებული აქტივობები (მაგ. კატალონიის შემთხვევა), საერთაშორისო სისტემა უძლურია ერთმნიშვნელოვნად, სამართლებრივი კრიტერიუმების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება იმის

⁴ Simma, B., Khan, D. E., Nolte, G., Paulus, A., & Wessendorf, N. (2012). The Charter of the United Nations: A Commentary, Volume I. S. Oeter-ში, *Self-Determination* (გვ. 28-31). Oxford Scholarly Authorities on International Law.

შესახებ თუ რომელი მხარის ინტერესებს დააკმაყოფილებს ისე, რომ მეორე მხარეს ლეგალური პრეტენზიები აღარ დარჩეს საკითხთან დაკავშირებით. საერთაშორისო სისტემის აქტორები, სუვერენული სახელმწიფოები ასეთ დროს როგორც წესი მშრალი, სტანდარტული განცხადებებით დემოკრატიული ნორმების დაცვისკენ მოუწოდებენ ცენტრალურ ხელისუფლებებსა და მათთან დისპუტში მყოფ რეგიონების ლიდერებს ან მათი ინტერესების შესაბამისად პოლიტიკურ სათუქვლებზე რომელიმე მხარეს ღიად ან ფარულად მხარს უჭერენ.

სწორედ ეს გარემოება, რომ თვითგამორკვევის და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებისა და უფლების დილემა სამართლებრივად საშუალებას არ იძლევა მკაფიო კრიტერიუმებით იხელმძღვანელონ საერთაშორისო სისტემის აქტორებმა, სუვერულმა ქვეყნებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა (პირველ რიგში გაერომ) ხშირად წარმოქმნის კონფლიქტებს ცენტრალურ ხელისუფლებებსა და თვითგამორკვევისთვის მებრძოლ მხარეებს შორის, ასეთ ვითარებაში კი მეზობელ და მსოფლიოს დომინანტ სახელმწიფოებს სამართლებრივი მიდგომის ნაცვლად ხშირად უწევთ ან აქვთ ცდუნება საკუთარი პოლიტიკური ინტერესების გატარების მოტივზე დაყრდნობით მიიღონ გადაწყვეტილებები იმის შესახებ თუ რა პოზიცია დაიკავონ მათი ინტერესის არეალში განვითარებულ კონფლიქტურ სიტუაციაში და თუ რა ფორმით მოახდინონ ინტერვენცია თუ ეს საჭირო გახდა. ზოგჯერ კი თავად ხსენებული დომინანტი სახელმწიფოები შეიძლება იყვნენ ეთნიკური კონფლიქტების ინსპირატორი მეზობელ თუ შორეულ, მათი ინტერესის სფეროში მოქცეულ რეგიონსა და ქვეყანაში, სარგებლობენ რა ვითარებით, რომელშიც სამართლებრივად საერთაშორისო დონეზე მოქმედების მექანიზმი, რომელიც რეალურად მუშაობს კონფლიქტის პრევენციისა თუ მოგვარებისთვის არ არსებობს ან არასრულყოფილია. ბოლო წინადადების საილუსტრაციოდ შეგვიძლია გავიხსენოთ რუსეთის ფედერაციის როლი სამხ.ოსეთის კონფლიქტში 2008 წელს, როდესაც თბილისთან გეო-პოლიტიკურ დისპუტში მყოფმა მოსკოვმა პოლიტიკური

გადაწყვეტილება მიიღო, ისარგებლა მის მეზობლად არსებული კონფლიქტით და მისი გავლენის მიღმა დარჩენილი ურჩი ქვეყანა დასაჯა ეჭვის ქვეშ დააყენა რა ამ უკანასკნელის ტერიტორიული მთლიანობა პოლიტიკურ მოტივებზე დაფუძნებით. საერთაშორისო სისტემამ კი ვერც სამხ.ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიანი რეზოლუცია უზრუნველყო და ვერც ომის შემდგომ რუსეთის ქმედებებს აღუდგა წინ აქტიურად.⁵

ახლო აღმოსავლეთის, კერძოდ შუამდინარეთის კონფლიქტები, კერძოდ ჩვენს ფოკუსში მოქცეული ქურთთა და ასირიელთა კონფლიქტი ცენტრალურ ხელისუფლებებთან და დომინანტ ერებთან პერმანენტული და კომპლექსური ხასიათისაა, როგორც მათში ჩართული მხარეების, დიდი და რეგიონულად დომინანტი ქვეყნების ინტერესების თვალსაზრისით, ასევე საკუთრივ კონფლიქტის პირველი რიგის სუბიექტთა, ქურთთა და ასირიელთა მოქმედებების გათვალისწინებით. ამიტომაც მიზანშეწონილია არა მხოლოდ თანამედროვე კონფლიქტების და მათი კერების შესახებ დაწერილ უახლეს ლიტერატურას გავეცნოთ, არამედ ისტორიული ანალებიც ვიკვლიოთ, რათა შესაძლებელი გავხადოთ კონფლიქტების ევოლუცია და განვითარების დინამიკა წარმოვაჩინოთ. როცა ვსაუბრობთ ისტორიულ ანალებზე კონფლიქტის ამჟამინდელი ხასიათის გათვალისწინებით ძირითადად ვკონცენტრირდებით XX ს-ს პირველი მეოთხედში განვითარებულ მოვლენებზე, მაშასადამე კონფლიქტის დღევანდელი სახის საფუძვლების განმსაზღვრელ პერიოდზე და შემდგომ თანამედროვე ვითარებას წარმოვაჩინოთ უახლესი ნარკვევების გაცნობის საშუალებით. ასევე ქვემოთ ვიხილავთ საერთაშორისო ორგანიზაციების მოხსენებებიდან და რეზოლუციებიდან იმ საჭირო პასაჟების ანალიზს და განმარტებებს, რომელსაც მოითხოვს ჩვენი ნაშრომი კვლევის სხვა და სხვა ეტაპზე კონფლიქტის ბუნების გამოსააშკარავებლად.

⁵ Ellison, B. (2011). Russian grand strategy in the South Ossetia War. *Demokratizatsiya: The journal of post-Soviet democratization*, pp. 343-366.

ასევე ემპირიული ცოდნის გაღრმავებისთვის მოვიძიე იმ პერიოდების საერთაშორისო პრესა, როდესაც მწვავედებოდა კონფლიქტის სხვა და სხვა ფაზა . ყოველივე ეს კი დამჭირდა იმისათვის, რომ შემთხვევების შესწავლის საშუალებით ვაჩვენოთ ეთნიკური კონფლიქტების ბუნება იმ სახით, რა სახითაც არსებობენ მათი ხელშემწყობი და ინსპირატორი ფაქტორები. ლიტერატურა, რომლის საშუალებით პირველადი და ძირითადი ცოდნა გავიღრმავე საკითხთან დაკავშირებით არის რამდენიმე ავტორიტეტული მკვლევარის შემოქმედება, მათ შორის განსაკუთრებით წარმომადგენლობითი ინფორმაციის შემცველნი არიან ნინა კასპერსენისა(იორკის უნივერსიტეტი) და სხვათა „არალიარებული ქვეყნები საერთაშორისო სისტემაში“, ⁶ ტონი ალარანტას(საერთაშორისო საქმეთა ფინეთის ინსტიტუტი) „ნაციონალური და სახელმწიფო იდენტობა თურქეთში: რესპუბლიკის სტატუსის ტრანსფორმაცია საერთაშორისო სისტემაში“, ⁷ მირიამ ლანკსოის,ზბიგნევ ბრუჟინსკისა და სხვათა „ჩეჩნეთის ბრძოლა: დამოუკიდებლობის მოპოვება და დაკარგვა“, ⁸ ⁹დევიდ გაუნტის და სხვათა „ ნუ დააბრუნებთ მათ: სეიფო _ გენოციდი ასირიელ,სირიაკ და ქალდეველ ქრისტიანთა წინააღმდეგ ოტომანთა იმპერიაში“ და ჯონ ბერტონის თეორიული მნიშვნელობით ჩვენი ნაშრომისთვის განსაკუთრებული წიგნი, „კონფლიქტი: ადამიანური საჭიროებების თეორია“. ¹⁰ასევე,ნაშრომის კვლევისას გამოვიყენე თემატური სტატიები,სამეცნიერო პუბლიკაციები და ინფორმაციული სიახლეები.

⁶ Caspersen, N., & Stansfield, G. (2011). *Unrecognized States in the International System*. New York: Routledge.

⁷ Alaranta, T. (2015). *National and State Identity in Turkey*. London: ROWMAN & LITTLEFIELD.

⁸ Akhmadov, I., Lanskoj, M., & Brzezinski, Z. (2010). *THE CHECHEN STRUGGLE INDEPENDENCE WON AND LOST*. New York: Palgrave Macmillan.

⁹ Gaunt, D., Atto, N., & Barthoma, S. O. (2017). *Let Them Not Return _ Sayfo – The Genocide against the Assyrian, Syriac and Chaldean Christians in the Ottoman Empire*. New York: Berghahn Books.

¹⁰ Burton, J. (1990). *Conflict: Human Needs Theory*. London: THE MACMILLAN PRESS LTD.

რაც შეეხება საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას, ჩვენი კვლევის კონტექსტში ყველაზე მეტად მიზანშეწონილი იქნება ლიბერალიზმის პოსტულატებს დავეყრდნობით, რადგან ქურთებსა და ასირიელებთან დაკავშირებულ კონფლიქტებს ყველაზე მეტად რელაგანტურ თეორიულ ჩარჩოებში ის აქცევს. კერძოდ, ლიბერალიზმის თეორია აქცენტს იმაზე აკეთებს, რომ რეგიონში საერთაშორისო ორგანიზაციებს არც თუ ისე დიდი გავლენა აქვთ, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმები უგულვებელყოფილია რეგიონის აქტორთა ნაწილის მიერ, რომ სუსტია და ფაქტობრივად არ არის განვითარებული დემოკრატიები რეგიონში, რომ რეგიონის ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთდამოკიდებულება სუსტია, ეფექტური მმართველობის განხორციელება ხშირად შეუძლებელია, ადამიანის უფლებები და მათ შორის ეთნოსების ხმა საჯარო სივრცეში უგულვებელყოფილია. ყოველივე ეს კი არასტაბილურობისა და კონფლიქტების ხელშემწყობ ფაქტორებად გარდაიქმნება.¹¹

საინტერესო იქნება ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის კერებთან დაკავშირებით საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი თეორიების, რეალიზმის, მარქსიზმის, ასევე ზოგი კრიტიკული თეორიის დამოკიდებულების განხილვა და მათი კრიტიკული ანალიზი. ბუნებრივია, საერთაშორისო ურთიერთობების ყველაზე გავლენიან თეორიას, რეალიზმს ხსენებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით ტრადიციული აზრი ექვს, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო სისტემის სუბიექტთა, მაშასადამე სუვერენულ სახელმწიფოთა და მათ შორის, ყველაზე ძლიერთა ინტერესებმა განსაზღვრა არა მხოლოდ ხსენებული რეგიონების კონფლიქტთა ბედი, არამედ თავად ამ რეგიონის სუვერენულ სახელმწიფოთა ბედიც, რადგან ისევე, როგორც მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში შუამდინარეთის და სრულიად ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკის

¹¹ Bell, M. (2014 წლის June). Liberal Attitudes and Middle East Realities. *Transatlantic Academy Paper Series*, გვ. 6-9.

განსაზღვრაში ლომის წვლილს ღებულობდნენ იმ დროინდელი სუპერ-სახელმწიფოები, ბრიტანეთის იმპერიისა და საფრანგეთის სახით, ასევე დღეს რეგიონში ინტერესების ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი დღევანდელი სუპერ და საშუალო, რეგიონული ძალები, კერძოდ, აშშ, რუსეთი, ნაწილობრივ გაერთიანებული სამეფო, ირანი და თურქეთი. ამიტომაც ლევანტის და შუამდინარეთის რეგიონში სუსტი ქვეყნებისთვის, კერძოდ პირველ რიგში სირიისა და ერაყისთვის და მათ გარდა გალფის აუზის არაბულენოვანი ქვეყნებისთვისაც ტონის მიმცემი ზემოხსენებული გლობალური და რეგიონული ძალები არიან. ასევე რეალიზმის აპოლოგეტები მეტწილად თვლიან, რომ ეთნიკურ უმცირესობებს დიდი სახელმწიფოები იყენებენ ახლა აღმოსავლეთში მათი ინტერესების შესაბამისად.¹² ძნელია არ დაეთანხმო ზოგ ასპექტში რეალიზმის თეორიის აპოლოგეტებს, ვინაიდან ვიცით, რომ ერაყის ბედი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა აშშ-ს სამხედრო ინტერვენციამ ამ ქვეყანაში 2003 წელს, ამავე დროს ვხედავთ, რომ დღეს სირიის ხელისუფლების მხარეს აჯანყებულთა წინააღმდეგ სამხედრო გზით ჩართული რუსეთის ფედერაცია განაპირობებს ამ ქვეყნის ამჟამინდელ პოლიტიკურ ხასიათსა და სტატუსს რეგიონში. ასევე გვახსოვს, რომ ახლო აღმოსავლეთში ანტი-ოსმალურ როგორც არაბულ, ასევე იმპერიის სხვა ეთნიკურ უმცირესობათა აჯანყებებში საუკუნის წინ წამყვანი როლი ჰქონდა ბრიტანეთს, მაგრამ ეს მაინც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ დავასკვნათ, თითქოს გარე ძალებმა დაგეგმეს რეგიონში ყველაფერი. იქნებ მათ მხოლოდ უკვე არსებულ დაძაბულობებზე მანიპულირება სცადეს? განა სუპერ სახელმწიფოებმა აგრძნობინეს თავი ეთნიკურ უმცირესობებს რეგიონის საერთაშორისო სუბიექტთა, მაშასადამე სუვერენულ სახელმწიფოთა მხრიდან შევიწროებულად? განა სუპერ-სახელმწიფოებმა განაცდევინეს ამ რეგიონებში ეთნიკურ უმცირესობებს ტიტულარული ერებისგან ეთნიკური იდენტობის ნიშნებით დისკრიმინირებულობა? განა ინგლისური ენის და

¹² Hinnebusch, R. (2003). *The international politics of the Middle East*. Manchester: Manchester University Press. pp.4-6

ტრადიციული კულტურის დაცვას ითხოვდნენ ქურთი აჯანყებულები მეოცე საუკუნის განმავლობაში თურქეთში, ერაყსა და ირანში? ცხადია, ამ რიტორიკულ კითხვებზე პასუხი ბანალურია, ქურთების და ასირიელების საკუთარმა ფუნდამენტური მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობამ აიძულეს კონფლიქტში შესულიყვნენ ცენტრალურ ხელისუფლებებთან მაშინ, როცა ამის საშუალება მიეცათ. მართალია, ისინი საერთაშორისო სისტემის სუბიექტნი არ არიან და რეალიზმისა და ნეო-რეალიზმის თეორიის ფარგლებში აქტორებად არც ან მინიმალურად განიხილებიან, მაგრამ როგორც კვლევა ქვემოთ გვიჩვენებს რატომღაც სწორედ ისინი, არასუვერენული აქტორები აღმოჩნდნენ რეგიონში არასტაბილურობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზნი მეოცე საუკუნის დასაწყისიდან დღემდე.

მარქსიზმი რა თქმა უნდა განვითარებული სამყაროსგან განვითარებადის ექსპლუატაციის კვალს პულობს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებში.¹³ მიუხედავად იმისა, რომ ნავთობი ამ რეგიონში მართლაც მნიშვნელოვანი ფაქტორია დიდი სახელმწიფოების ინტერესების მოსაზიდად, ეს მაინც ვერ ახსნის როგორც წინა ორ შემთხვევაში, ეთნიკური კონფლიქტების ეთნიკური მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობით გამონვეულ შეხლა-შემოხლას ცენტრსა და პერიპერიებს შორის.

ფემინიზმი,ცხადია,ტრადიციულად მასკულიზური კულტურის კვალს ხედავს ახლო აღმოსავლეთის რეგიონის კონფლიქტებში და ხაზს უსვამს, რომ ქალის როლი სათანადოდ წარმოჩენილი არ არის რეგიონის პოლიტიკურ პროცესებში.¹⁴ ეს თვალდახედვაც ასევე ტრადიციულად ძნელად გადასამონმებელია იმ მარტივი მიზეზით,რომ მხოლოდ ქალთა მიერ დასახლებული გეოგრაფიული არეალი

¹³ Chediak, J. (2011, October 30). *WORKERS WORLD*. Retrieved from WORKERS WORLD: https://www.workers.org/2011/world/jchediac_1103/

¹⁴ Sanches, S. (2014). Disempowering Feminism in the Middle East: how the polarization of Islam and Feminism. *Annual Human Rights Conference* (გვ. 2-6). Nottingham: Mind the Gender Gap.

დედამინაზე არ არსებობს და არც მხოლოდ ფემინისტურად მსოფლმხედველი საზოგადოება.

თავი 1. ქერთა და ასირიელთა საკითხი

1.1 ქერთა საკითხი თურქეთში

ქრთები ისევე, როგორც სხვა ეთნიკური ჯგუფები თურქეთში მოკლებულნი არიან ეთნიკური იდენტობის სრულფასოვან გამოხატვას. თურქეთის პოლიტიკა უკვე ერთი საუკუნეა ცდილობს ეთნიკური ჰომოგენიზაციის უზრუნველყოფას ქვეყანაში და ეს პოლიტიკა სათავეს მუსტაფა ქემალ ათათურქის იდეებიდან იღებს, რომლის მიხედვით თურქეთი ხელოვნურად უნდა გამხდარიყო ერთ-სახელმწიფო და სეკულარული იდეალების გამზიარებელი ქვეყანა. ბოლო დრომდე ხსენებულმა ჰომოგენიზაციის პოლიტიკამ უმნიშვნელო ცვლილებები განიცადა, მაგალითად, მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში კანონით იყო აკრძალული საჯარო სივრცეებში ქრთული და სხვა ეთნიკური უმცირესობების ენების გამოყენება და მხოლოდ და მხოლოდ 2013 წელს გახდა თურქულ სახელმწიფოში შესაძლებელი და ისიც გარედან, ევრო-კავშირის ზეწოლით, რომ ქრთული ენის გაკვეთილები სკოლებში არჩევით საგნად შესულიყო. ეთნიკური რეპრესიის ამგვარი მასშტაბი

ძნელად მოსაძიებელია მსოფლიო პრაქტიკიდან – ენობრივი უფლებები ბევრ ქვეყანაში არ არის გარანტირებული ეთნოსებისთვის, მაგრამ ენის კანონით აკრძალვა იშვიათობას წარმოადგენს – და შესაბამისად, მხოლოდ ამ ფაქტიდან შესაძლებელია წარმოდგენა შეექმნას მკითხველს თუ რამდენად იყო და არის დაცული თურქეთში სხვა ეთნიკური უფლებები, მაგრამ ჩვენ ყველა ძირითად უფლებრივ ასპექტს ცალ-ცალკე შევხებით იმისათვის, რომ ნათლად წარმოვაჩინოთ ქურთების პრობლემები თურქეთში და თურქეთის პრობლემები ქურთებთან მიმართებაში.¹⁵

მეოცე საუკუნის დასასწყისში ქურთები განსხვავებით მათი მეზობელი სომხებისა და ასირიელებისაგან რელიგიური მოტივებით თურქეთის მიმართ უფრო მაღალ ლოილობას ავლენდნენ, ვიდრე ეთნიკური უფლებების თვალსაზრისით მათივე „სტრატის“ წევრი სომხებისა და ასირიელების მიმართ, მეტიც, რიგ შემთხვევებში ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ და თურქთა მხარესაც კი იბრძოდნენ. ვითარება მას შემდეგ შეიცვალა, რაც ქურთებმა თურქული ჰომოგენიზაციისა და ეთნოსთა ასიმილირების პოლიტიკა საკუთარ ტყავზე გამოსცადეს და როდესაც მათ ეთნიკურ მოთხოვნილებებს თურქებთან რელიგიური კავშირმა ვერაფრით არგო. ქურთები 1930-31 წელს აჯანყდნენ კიდევ თურქეთში, მაგრამ უკვე მოძლიერებულმა თურქულმა სახელმწიფომ ადვილად ჩაახშო პროტესტი. მთელი მეოცე საუკუნის მანძილზე თურქულ-ქურთულ მილიტარულ შეტაკებებს ადგილი ქონდა ეთნიკური ქურთისტანის მთიან რეგიონებში სამხ.თურქეთში, არაერთხელ აღმოჩნდა ქურთული დასახლებები გადანვის ობიექტი, ქურთი ეთნოსის სხვა და სხვა ნაწილი კი გადასახლებული ცენტრალურ ანატოლიაში ისტორიული მიდამოდან.¹⁶

¹⁵ Stansfield, G., & Shareef, M. (2017). *The Kurdish Question Revisited*. Oxford: Oxford University Press.

¹⁶ Unwer, A. (2015). *Turkey's Kurdish Question*. New York: Routledge.

ქურთების კიდევ პრობლემას თურქეთში განაპირობებს ის ფაქტი, რომ თურქეთის სახელმწიფოში ქურთულ საკითხებზე ორიენტირებული პარტიები ხელისუფლების მხრიდან იდევნობდნენ და ნაწილობრივ ახლაც იდევნებიან განურჩევლად იმისა ეს პარტიები სამოქალაქო, მშვიდობიან საწყისებზე ოპერირებენ მათ ამომრჩეველთან თუ ძალადობრივი წინააღმდეგობის განწვევისკენ მოუწოდებენ ხალხს. ქურთული ორგანიზაციები საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებით და ადამიანის უფლებებისთვის თანამედროვე ყაიდის ბრძოლის მეთოდებით ასპარეზზე განსაკუთრებით 1980-90-იან წლებიდან გამოდიან. თუმცა მათ დიდი წინააღმდეგობა ხვდებათ და უმეტესი მათგანი დევნის ობიექტიც ხდება. ასეთი იყო მაგალითად 1990 წელს ჩამოყალიბებული კომუნისტური პარტია, რომელიც 1991 წელს უკვე აიკრძალა. ასევე აიკრძალა 1988 წელს შექმნილი სოციალისტური პარტია კონსტიტუციური სასამართლოს მიერ 1992 წელს. ასეთივე ბედი ეწიათ მრავალ სხვა ქურთულ საკითხებზე ორიენტირებულ პარტიებს თუ საზოგადოებრივ მოძრაობებს. ყველაზე მეტად ხელშესახებ შედეგს პრო-ქურთულ პარტიებს შორის მიაღწია ხალხის დემოკრატიულმა პარტიამ (HDP _ Halkların Demokratik Partisi), როცა მან მოულოდნელად ხმების 13% მოიპოვა არჩევნებში 2015 წელს და გადალახა მსოფლიოში ყველაზე მაღალი საარჩევნო ბარიერი, რომელიც თურქეთში განსაზღვრულია 10%-ით. ხალხის დემოკრატიული პარტია მართალია ითვლება, რომ პრო-ქურთულია, თუმცა მისი გზავნილები ამომრჩევლისადმი მხოლოდ ქურთული საკითხების გარშემო არ კონცერტრირდება. ასევე ხსენებული პარტია გამოირჩევა პოლიტიკური ბრძოლის ცივილური მეთოდებით, თუმცა მიუხედავად ამისა, როცა ყოველივე ამას ვწერ მიმდინარეობს მათი დევნა თურქეთში, დაკავებულნი არიან პარტიის პოლიტიკური ლიდერები და სავარაუდოდ, საკონსტიტუციო სასამართლო მათაც აკრძალვას ახლო მომავალში, როგორც ეს სხვა პრო-ქურთული პარტიების შემთხვევაში მოხდა.

ბრძოლის სხვა გზას მიმართავს ამჟამად გასამხედროებული პარტია PKK, ცნობილი

როგორც ქერთთა მუშათა პარტია. ეს ორგანიზაცია სახელმწიფოს მიერ ტერორისტულ ორგანიზაციადაა მიჩნეული, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი თავდასხმის ობიექტი მხოლოდ სახელმწიფოს მილიტარიზებული ორგანიზაციები არიან, რომლებსაც ძირითადად მაშინ ესხმიან თავს, როცა მათ ქმედებებზე ქართულ რეგიონებში პასუხის გაცემა უწევთ, მაგალითად ისეთ ქმედებებზე, როგორცაა ქართული სოფლების გადანვა, რაც არაერთხელ დაუგეგმავთ და სისრულეში მოუყვანიათ სახელმწიფოს მილიტარიზებულ ერთეულებს. 1984-94 წლებში PKK და თურქული სახელმწიფო ღია ომში იყვნენ ჩართული, რასაც შედეგად მოყვა ქვეყნის სამხრეთ ნაწილიდან ქართული მოსახლეობის ნაწილის იძულებით გადასახლება დიდ ქალაქებში, ცენტრალურ ანატოლიაში და სხვა ურბანულ დასახლებებში. დიდი ნაწილი იძულებული გახდა საერთოდ დაეტოვებინა ქვეყანა და ევროპაში გადასახლებულიყო. დღემდე ხშირი მოვლენაა ქართი უურნალისტების მკვლელობები, ე.წ საიდუმლო მკვლელობები და ქართული წარმოშობის ადამიანების გაუჩინარებები.¹⁷

მიუხედავად ზემოთ მოხსენებული დამოკიდებულებებისა, თურქეთის სახელმწიფოს მხრიდან ბოლო წლებში და უფრო ზუსტად თვეებში შეინიშნება, რომ ცენტრმა გააცნობიერა, მილიტარულ სანქციებზე ქვეყნის შიგნით ქრთებთან ბრძოლა ქვეყანას უფრო მეტ პრობლემებს შეუქმნის და ამიტომაც დღეს უფრო მეტად სამშვიდობო ინიციატივებია აქტუალური თურქულ ქართულ ურთიერთობებში, თავის მხრივ ქრთებიც ნაკლებად რადიკალური გახდნენ და მათი დღის წესრიგი დაკავშირებულია ქვეყნის შიგნით ავტონომიური უფლებების უზრუნველყოფასთან, მაშასადამე შიდა თვითგამორკვევის პრაქტიკაში განხორციელებასთან.¹⁸

¹⁷ Unwer, A. (2015). *Turkey's Kurdish Question*. New York: Routledge. pp.42-62

¹⁸ Stansfield, G., & Shareef, M. (2017). *The Kurdish Question Revisited*. Oxford: Oxford University Press. p.209

1.2 ქურთთა საკითხი ერაყში

გარდა თურქეთისა, ქურთები დისკრიმინირებულნი იყვნენ და ნაწილობრივ ახლაც არიან ერაყში, სადაც ასევე განიცდიდნენ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან დევნას, განსაკუთრებით სადამ ჰუსეინის ერაყში. თუმცა ამერიკული ინტერვენციის შემდეგ ამ უკანასკნელის მოკავშირე ქურთებს ერაყში საშუალება მიეცათ ავტონომიური მმართველობა ჩამოეყალიბებინათ ე.წ. ერაყის ქურთისტანში. ახალმა პრობლემებმა თავი იჩინა 2010-იან წლებში, როცა ასპარეზზე გამოჩნდა ე.წ. ისლამური ხალიფატის ტერორისტული ორგანიზაცია ლევანტისა და შუამდინარეთის რეგიონში. ამ ორგანიზაციის სამიზნეთა შორის ქურთებიც მოხვდნენ და პირველ ეტაპზე დიდი ფიზიკური და მატერიალური ზიანიც მიაყენეს, თუმცა მოგვანებით აშშ-ს მხრიდან მხარდაჭერილმა ქურთებმა ორგანიზება შეძლეს და „ისის-ს“ წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლაც იმდენად, რომ დღეისათვის ხსენებული ტერორისტული ორგანიზაციის დამარცხებაში ხალიფატის ჩრდილოეთ საზღვრებთან ლომის წვლილი ქურთებმა შეიტანეს. ქურთებს დღეისათვის ერაყში ავტონომიური მმართველობა აქვთ და გასულ თვეებში სრული დამოუკიდებლობისთვისაც ემზადებოდნენ, თუმცა ცენტრალური ხელისუფლების და მათი მხარდამჭერი ირანული დანაყოფების მებრძოლებთან შეტაკებებში ნავთობით მდიდარი კირქუქის რეგიონის დათმობა მოუწიათ, დარჩენილი სადავო ტერიტორიების ნაწილზე კი დე-ფაქტო დღესაც ახორციელებელ სუვერენულ მმართველობას, ნაწილზე კი დე-იურედ ერაყის კონსტიტუციის ფარგლებში და ამჟამად ცენტრალურ ხელისუფლებასთან სწორედ კონსტიტუციურ ფარგლებში

ანარმოებენ მოლაპარაკებას ქვეყნის შიგნით უფლებამოსილების განაწილების საკითხებთან დაკავშირებით.¹⁹

ქურთების ისტორიული განსახლების ქვეყნებს შორის ერაყი ყველაზე ნაკლებად ხისტი პოზიციით გამოირჩეოდა და გამოირჩევა ქურთების მიმართ, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქურთების ეთნიკური უფლებები ამ ქვეყანაში დაცული იყო, ჯერ კიდევ საუკუნის წინ, კონკრეტულად მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში ქურთები არაერთხელ გახდნენ ასირიელებთან ერთად ფიზიკური განადგურების მსხვერპლნი სახელმწიფოს მხრიდან, მეოცე საუკუნის მიწურულს კი იმდენად მონყვეტილნი იყვნენ სახელმწიფო სერვისებზე წვდომას, რომ ნახევრად ტრაიბალურ პირობებში ცხოვრობდნენ და ასევე სადამ ჰუსეინის რეჟიმის მხრიდან ფიზიკურად იღვევებოდნენ, თუმცა უნდა ითქვას, რომ ერაყი აღმოჩნდა ქვეყანა, სადაც ქურთებს ჯერ კიდევ 1970-იანი წლებიდან ჰქონდათ საშუალება მათ პოლიტიკურ სტატუსზე ცენტრალურ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები ეწარმოებინათ, თუმცა ამ მხრივ რეალურ წარმატებას მხოლოდ ერაყის ამერიკული ინტერვენციის და სადამის რეჟიმის დამხობის შემდეგ მიაღწიეს.

დღეისათვის ქურთებს ერაყის ქურთისთანის რესპუბლიკის სახით რეალური ავტონომიურ თვითმმართველობაზე მიუწვდებათ ხელი და როგორც აღვნიშნეთ, უფლებამოსილების გადანაწილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცენტრალურ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების წარმოების საშუალება აქვთ. ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ შიდა-თვითგამორკვევის პრაქტიკული განხორციელებისთვის ქურთულ პოლიტიკურ მოძრაობებს ერაყში მიღწეული აქვთ, თუმცა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები მათ გამონწვევად რჩება, ვინაიდან მილიტარულ ყაიდაზე უწევთ დღის წესრიგის განსაზღვრა ერაყში

¹⁹ Jawad, S. N. (2010, September 30). The Kurdish question in Iraq: historical background and future. pp.37-41

შექმნილი არასტაბილური ვითარების გამო, რომელიც უკავშირდება ქვეყნის შიდა სექტარიანულ დაპირისპირებებს სუნიტ და შიიტ მოსახლეობას შორის.²⁰

1.3 ქურთთა საკითხი სირიაში და ირანში

ქურთები სირიაში რიცხობრივად ყველაზე ნაკლებად არიან წარმოდგენილი მათი ისტორიული განსახლების დანარჩენ სამ ქვეყანასთან, თურქეთთან, ერაყთან და ირანთან შედარებით. მათი ბედი არც სირიაში ყოფილა და არის სანატრელი რომელიმე ეთნოსისათვის. განსაკუთრებით რთული დრო სირიაში ქურთებმა ბასისტური რეჟიმის დროს განვლეს. სირიის სახელმწიფო, ისევე, როგორც მისი მეზობელი ერაყი მუდმივად ცდილობდა ქურთები ემართა, როგორც დაქვემდებარებული და უუფლებო ხალხი. ქურთებს არც სირიაში მიუწვდებოდათ ხელი სახელმწიფო სერვისებზე ისე, როგორც ქვეყნის სხვა მოქალაქეებს, მათი ენა აქაც რეპრესირებული იყო და თვითმმართველობა აქაც ხელმიუწვდომელი. ქურთებიც ყველაზე ნაკლები რეზისტენტულობით სწორედ სირიაში გამოირჩეოდნენ, შეიძლება ითქვას ისინი შეგუებულნი იყვნენ ბედს, მაგრამ ეს მხოლოდ რეგიონში ისლამური სახელმწიფოს გამოჩენამდე. როგორც უკვე ვიცით ისლამური სახელმწიფოს ერთერთი პირველი თავდასხმის ობიექტნი ქურთები აღმოჩნდნენ, ამ მხრივ გამონაკლისი არ ყოფილა არც სირიის ტერიტორია, ქურთებმა აქაც დიდი მატერიალური და ფიზიკური ზარალი განიცადეს ხსენებული კვაზი-სახელმწიფოს თავდასხმებისგან და როგორც ერაყში, სახელმწიფომ აქაც ვერ დაიცვა და ვერ უზრუნველყო ქურთები უსაფრთხოებით. თუმცა ქურთებმა თავად

²⁰ Stansfield, G., & Shareef, M. (2017). *The Kurdish Question Revisited*. Oxford: Oxford University Press. pp.355-463

შეძლეს საჯარისო ფორმირებების ჩამოყალიბება და განსაკუთრებით გმირული ბრძოლები ქობანთან გამართეს ისლამურ სახელმწიფოსთან. საჯარისო ფორმირებების ჩამოყალიბებას და ბრძოლებში მიღწეულ წარმატებას შედეგად მოჰყვა ის, რომ ქურთებმა სირიაში დე-ფაქტო პოლიტიკური კონტროლი დაამყარეს მათი განსახლების არეალზე ჩრდ. სირიაში და არა მხოლოდ მათი განსახლების არეალზე, არამედ ევფრატის ნაპირებამდე ტერიტორიას ისინი აკონტროლებენ დღესაც – ეს კი ქურთების ხელში აქცევს მათ მიერ ომამდე დასახლებული ტერიტორიის ფართობით სამჯერ მეტ ნაწილს სირიაში. ქურთებმა სირიაში დე-ფაქტო ავტონომიური ერთეული „როჟავა“ შექმნეს და დღეს ასადის მთავრობასთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს მათ მიერ ბრძოლით მოპოვებული ავტონომიის დე-იურედ გარანტირებისათვის. ქურთები სირიაში ახლო აღმოსავლეთის ყველაზე მეტად პროგრესულ და დემოკრატიულ იდეალებზე დაფუძნებულ პოლიტიკურ კულტურას იზიარებენ ისრაელის შემდეგ და საერთაშორისო მხარდაჭერითაც სარგებლობენ, განსაკუთრებით აშშ-ს და ჩრდილო ევროპული ქვეყნების მხრიდან. ასე, რომ მათი ბრძოლა თვითგამორკვევისთვის ბუნებრივად, მთავრობასთან სერიოზულ კონფრონტაციაში შესვლის გარეშე განვითარდა სირიაში და გამოდიან რა ბუნებრივ მოკავშირედ ცენტრალურ ხელისუფლებასთან – რომელიც ქურთების მსგავსად ებრძოდა და ებრძვის ისლამური სახელმწიფოს და აჯანყებული ოპოზიციის შეიარაღებულ ფორმირებებს – საფიქრებელია, რომ ქურთები შეძლებენ ცენტრთან ეფექტური შეთანხმების მიღწევას თვითმმართველობის საკითხებთან დაკავშირებით.²¹

რაც შეეხება ქურთებს ირანში, მათ აქ ყველაზე ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ავტონომიურ უფლებებზე. პარადოქსია, მაგრამ მიუხედავად მათი ამ ქვეყნის დომინანტ ეთნოსთან, სპარსელებთან ეთნიკურად ნათესაობისა და ისტორიული

²¹ Sabio, O. (2014). *Rojava: An Alternative to Imperialism, Nationalism, and Islamism in the Middle East*. Creative Commons Attribution 2.0.

დაკავშირებულობისა, ქურთები, როგორც ეთნოსი სულაც არ განიცდიან რეგიონის სხვა ქვეყნებთან შეთარებით შემწყნარებლურ დამოკიდებულებას ირანში. პირიქით, ირანის გაცხადებული მიზანია ქურთების ასიმილირება. ირანელების დამოკიდებულება ქურთების მიმართ მტრული არ არის, პირიქით ირანულ კულტურულ ეთნოსში მიიჩნევა, რომ სპარსელების მსგავსად არიელი ქურთები ირანის სახელმწიფოს ერთერთი ბოძს ქმნიან, ასევე ირანელი პოლიტიკოსები და საჯარო ფიგურები ქურთებით დასახლებულ რეგიონებში ვიზიტისას მუდმივად ხაზს უსვამენ, რომ არავის აქვს უფლება ირანში ჩაითვალოს უფრო მეტად ირანელად, ვიდრე ქურთებს. თუმცა ამ დამოკიდებულებებში ცხადია, სახელმწიფოს შიში იკითხება ქურთული ნაციონალიზმის მიმართ. ირანში ქურთული ენა დღემდე არ არის ლეგალურად აღიარებული და მისი გამოყენება სხვა და სხვა საქოლაქო სერვისებში ხელმიუწვდომელია. ავტონომიურ უფლებებზე საუბარი კი ქურთებისთვის ირანში ფუჭი ოცნების სფეროდ სჩანს. თუმცა კი ერთ დროს სწორედ აქ მიაღწიეს ქურთებმა თვითგამორკვევის ყველაზე მაღალ ხარისხს და მაჰაბადის რესპუბლიკა შექმნეს – ამ აქტივობის საბოლოო შედეგი ის იყო, რომ ხსენებული რესპუბლიკის შემქნელები დაიხვრიტნენ ან ქვეყნიდან ემიგრირდნენ გასული საუკუნის პირველ ნახევარში. დღეს ქურთები ირანში ერთერთ ყველაზე მეტად რეპრესირებულ ჯგუფს წარმოადგენენ ბალოჩების შემდეგ და არც პერსპექტივა ჩანს მათი პოლიტიკური წარმომადგენლობითობის უზრუნველყოფის გზაზე.²²

1.4 ასირიელთა საკითხი

ტერმინი ასირიელები ხშირად გამაერთიანებელ სახელწოდებად განიხილება იმ ეთნო-რელიგიური ერთმანეთთან დაკავშირებული ჯგუფებისთვის, რომელთაც სხვაგან შეიძლება შევხვდეთ სირიაკების, ასირო-ქალდეველების ან ქალდო-ასირიელების, ათურაის და თუროიოს, ნესტორიანელების, არამეელების და ახლო

²² Bayat, K. (2014, may June). Iran and the "Kurdish Question". *Middle East Report*, pp. 28-35.

აღმოსავლეთის ქრისტიანების სახელებით. ჩვენც ყველა ამ ეთნო-რელიგიური სუბ-ჯგუფის გამაერთიანებელ სახელს, ასირიელს გამოვიყენებთ ნაშრომში. ასირიელები მსოფლიოს ერთერთი პირველი თუ პირველი არა, ცივილიზებული ხალხის, ქართულ ისტორიულ წყაროებში ასურელების სახელით ცნობილი, ანტიკური წარმოშობის ეთნოსს წარმოადგენენ ჩრდილო შუამდინარეთიდან. მათი სალაპარაკო მშობლიური ენა დღეს არის თანამედროვე ნეო-არამეული, ხოლო განსახლების არეალი უკიდურესი ჩრდილოეთ ერაყი და ჩრდილო-აღმოსავლეთ სირია, ასევე წარმოდგენილნი არიან მოზრდილი დიასპორით აშშ-ში, დასავლეთ ევროპაში და ავსტრალიაში. მთლიანობაში მათი რაოდენობა სამ მილიონამდეა, ხოლო წარმოშობის რეგიონში სამასი ათასამდე რაოდენობით დარჩნენ, ვინაიდან რეგიონის კონფლიქტებმა და გენოციდმა როგორც საუკუნის წინ, ასევე ბოლო ათწლეულში აიძულათ დაეტოვებინათ სამშობლო.

პირველმა მსოფლიო ომმა დრამატულად შეცვალა ასირიული საზოგადოება. ასირიელი ერის ნახევარი შეიწირა ომთან დაკავშირებულმა მოვლენებმა. ეს ტრაგიკული პროცესები ასირიელთა მხრიდან შეფასებულია, როგორც გენოციდი და მას სწორედ ასე განიხილავს ბევრი მკვლევარი, ასევე ზოგი დასავლური სახელმწიფო. მაგ. გერმანია. გენოციდის თემას ასირიელები მთავარ არგუმენტად ასახელებენ იმის დასასაბუთებლად თუ რატომ ეკუთვნით მათ ავტონომიური ან დამოუკიდებელი ასირიული სახელმწიფო. 1915 წელს ასირიელებმა პირველი ნაციონალური პროექტი წარმოადგინეს, რომელიც ითვალისწინებდა ახალი ასირიის შექმნას, რომელიც იქნებოდა მულტი-ეთნიკური და ეს ალბათ უტოპიური პროექტი ტერიტორიულად მოიცავდა თითქმის მთელ შუამდინარეთს, ასევე ურმიის, ვანის და ალეპოს რეგიონებს. 1917 წელს ასირიელებმა შედარებით რეალისტური ნაციონალური სახელმწიფოს პროექტი წარმოადგინეს, რომელიც უნდა ყოფილიყო მეტ-ნაკლებად ეთნიკურად ჰომოგენური და მოიცავდა ურმიის, მოსულის და ჩრდილოეთ მესოპოტამიის რეგიონებს, შესაბამისად იმუამინდელი ირანისა და

ოტომანთა იმპერიის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიას. ასირიელებმა ამ პერიოდში იმდენი შეძლეს, რომ ალა პეტროსის, ასირიელი სამხედრო ლიდერის მეშვეობით ლოზანის კონფერენციაზეც კი 1922-1923 წლებში წარმოადგინეს სხვა და სხვა ტერიტორიული ვარიანტები ასირიული ავტონომიური ერთეულის შექმნასთან დაკავშირებით. საბოლოოდ ასირიელთა ძალისხმევა უშედეგო გამოდგა და საერთაშორისო სისტემამ ამ უძველეს, თვითმყოფად და მაღალი კულტურის ერს საშუალება არ მისცა თვითგამორკვევისთვის მაშინ, როცა ამავე პერიოდში ასირიელთა მიწებზე და მის მეზობლად გაივლო რამდენიმე, მომავალში დამოუკიდებლობისთვის მოსამზადებელი არაბულენოვანი სახელმწიფოს სახელმწიფოს საზღვარი, ბრიტანეთისა და საფრანგეთის მიერ. მეტიც, თავიდან ბრიტანელების მიერ მხარდაჭერილი ასირიული ჯგუფები თურქეთის პირისპირ საბოლოოდ დაუცველნი აღმოჩნდნენ და ამ უკანასკნელის მიერ რისხვის ობიექტნი გახდნენ, რამაც საბოლოოდ ასირიელთა გენოციდის სახე მიიღო.²³

მას შემდეგ, რაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ასირიელებმა კიდევ არაერთხელ გამოსცადეს ეთნიკური დევნა და ეთნოციდის სხვა და სხვა ფორმა, 2010-იან წლებში ერაყის ხელისუფლება თითქმის მზად იყო შეექმნა ნინევიის პლატოს ფარგლებში ასირიელთა ავტონომიური ერთეული, თუმცა რეგიონში ახალი ბრუტალური ძალის ე.წ ისლამური სახელმწიფოს გამოჩენამ კიდევ ერთხელ დააყენა ასირიელთა ბედი კითხვის ნიშნის ქვეშ ვინაიდან ერთის მხრივ აღმოჩნდა ტერორისტული კვაზი-სახელმწიფოს თავდასხმის ობიექტი და ამავე დროს ერაყის ხელისუფლებამ _ რომელიც ასირიელების მეზობლად და ამავე დროს ნაწილობრივ ასირიელთა მიწებზე ერაყის ქურთისტანის სეცესიონისტურმა პოლიტიკამ დააფრთხო _ გადაიფიქრა ასირიელთათვის ავტონომიური უფლებების

²³ YACOUB, J. (2016). *Year of the Sword _ The Assyrian Christian Genocide, A History*. New York: Oxford University Press.

მინიჭება. დღეისათვის კი რეგიონში განვითარებული პროცესების გათვალისწინებით ასირიელები კიდევ ერთხელ დგანან ეთნიკური გაქრობის საფრთხის წინაშე. საერთაშორისო სისტემა კი ამჯერადაც უძლურია დაეხმაროს ასირიელებს თვითგამორკვევის გაეროს მიერ აღიარებული უფლების უზრუნველყოფაში თუნდაც შიდა თვითგამორკვევის ფორმით, ამიტომაც ასირიელებს მხოლოდ და მხოლოდ შებლუდული საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების ამარას უნევს კონფლიქტში ყოფნა რეგიონის ყველა ძალასთან, მათ შორის ზოგჯერ თავად დისკრიმინირებულ ქურთულ მხარესთან.²⁴

თავი 2. ეთნიკური შიდა თვითგამორკვევა და ეთნიკური უფლებები

²⁴ Gaunt, D., Atto, N., & Barthoma, S. O. (2017). *Let Them Not Return – Sayfo – The Genocide against the Assyrian, Syriac and Chaldean Christians in the Ottoman Empire*. New York: Berghahn Books.

2.1 ეთნიკური თვითგამორკვევის პრინციპი

გაეროს წესდების თანახმად ყველა ხალხს აქვს უფლება თვითგამორკვევის და ისარგებლებენ რა ამ უფლებით, ასევე აქვთ უფლება თავისუფლად განსაზღვრონ და უზრუნველყონ თავიანთი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება. თუმცა იმისთვის, რომ ამ უფლებით ისარგებლონ აუცილებელი პირობაა უფლებით სარგებლობის სურვილის მქონეთ შეეძლოთ კვალიფიცირდნენ, როგორც ხალხი. ამისთვის კი ისინი რამდენიმე პირობას უნდა აკმაყოფილებდნენ.

ხალხის, როგორც ტერმინის ერთერთი, ყველაზე მეტად ცნობილი დეფინიცია ეკუთვნის გერმანელ იურისტს დიტრიხ მურსვიკს, რომლის მიხედვით ადამიანთა ჯგუფი, რომელმაც შეიძლება ისარგებლოს თვითგამორკვევის უფლებით უნდა ცხოვრობდეს მკაფიოდ განსაზღვრულ ტერიტორიაზე, სადაც ის უნდა წარმოადგენდეს უმრავლესობას, საუბრობდეს საკუთარ ენაზე, შეეძლოს საკუთარი კულტურის განვითარება და ტრადიციის კულტივირება ან რელიგიის პრაქტიკაში განხორციელება.

იუნესკოს 1989 წლის საერთაშორისო შეხვედრის შემდეგ კი საკითხის ექსპერტებისგან ხალხი განისაზღვრა, როგორც ადამიანთა ჯგუფი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მახასიათებლებს ერთობლივად ან რომელიმე მათგანს მაინც:

- ა)საერთო ისტორიული ტრადიცია
- ბ)რასობრივი ან ეთნიკური იდენტობა
- გ)კულტურული ჰომოგენურობა
- დ)ლინგვისტური ერთიანობა

ე)რელიგიური ან იდეოლოგიური მიკუთვნებულობა

ვ)ტერიტორიული კავშირი ერთმანეთთან

ზ)საერთო ეკონომიკური კავშირები

გარდა იმისა, რომ თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობისთვის აუცილებელია ხალხად კვალიფიცირება, ასევე მნიშვნელოვანია დაკმაყოფილდეს შიდა ან გარე თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობის კრიტერიუმები. გარე თვითგამორკვევა გულისხმობს, რომ ხალხი სრულიად სუვერენული ხდება და ქმნის ან აღადგენს სრულად დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ამგვარი უფლებით სარგებლობა უპირობოდ, მხოლოდ კოლონიზირებული ქვეყნებისთვის იყო განსაზღვრული და ძირითადადაც სწორედ მათ ისარგებლეს.

შიდა თვითგამორკვევის შემთხვევაში ხალხი ცდილობს არსებული სახელმწიფოს შიგნით განსაზღვროს და დაიცვას საკუთარი თვითმყოფადობა, განსაზღვროს მშობლიური ენის სტატუსი, ავტონომიური უფლებები და სხვა მსგავსი. ასეთი თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობის უფლება აქვთ ხალხს, რომელნიც არსებულ მოცემულობებში დისკრიმინირებული არიან, არ ეძლევათ საკუთარი ენით სარგებლობის შესაძლებლობა, იდეენებიან რელიგიურ საფუძველზე ან რაიმე სხვა ეთნიკური ნიშნით. ხოლო გარე თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობის უფლება აქვთ ხალხს, რომელნიც ოკუპირებულნი არიან ან სახელმწიფოს შექმნის მომენტში იძულებით მოხდა მათი ინკორპორირება არასასურველ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნში.²⁵

²⁵ Cristescu, A. (1981). *THE RIGHT TO SELF-DETERMINATION _ HISTORICAL AND CURRENT DEVELOPMENT ON THE BASIS OF UNITED NATIONS INSTRUMENTS*. New York: UNITED NATIONS, pp.46-50

2.2 ქურთთა და ასირიელთა ბრძოლის თავსებადობა შიდა თვითგამორკვევის პრინციპთან

როგორც წინა თავებიდან შევითქვეთ ქურთები და ასირიელები წარმოადგენენ მკვიდრ მოსახლეობას შუამდინარეთში, მეტყველებენ მეზობლებისგან დიფერენცირებულ ენაზე, მეტწილად აქვთ განსახლების საერთო ტერიტორია(ირანის ხორასანის პროვინციის ქურთების გარდა, რომლებიც გვიან შუა საუკუნეებში ტყვეთა სყიდვის პრაქტიკის კვალდაკვალ აღმოჩნდნენ ხორასანში და ისინი იქ მკვიდრ მოსახლეობას არ წარმოადგენენ), ასირიელების შემთხვევაში რამდენიმე ანკლავი, მაგრამ ასირიელების განსახლების ძირითად ტერიტორიას ნინევის პლატო წარმოადგენს, ასევე შევითქვეთ, რომ წარსულშიც და მიმდინარე პროცესებშიც ორივე ეთნიკური ჯგუფი განიცდიდა ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას და გენოციდალური პროცესების მსვერპლიც კი იყო, ორივე ჯგუფის პოლიტიკური წარმომადგენლობითობა არაადეკვატურია პოლიტიკურ პროცესებში მათი ქვეყნების მთლიან მოსახლეობაში მათი პროცენტული წილის გათვალისწინებითა და მათ მიერ პოლიტიკურ პროცესებში ავტონომიურ საწყისებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდულობის გამო, მათი ენები, ეთნიკური იდენტობა და კულტურული მახასიათებლები იმყოფებიან ეგზისტენციალური საფრთხის წინაშე. ყოველივე ზემოხსენებული კი შიდა თვითგამორკვევის პრინციპის დასაკმაყოფილებლად ეჭვშეუტანელ წინაპირობებს ქმნის, როგორც ამას ვიგებთ საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილებებიდან²⁶ და იმ ქვეყნების ეროვნული სასამართლოების დადგენილებებიდან, რომლებსაც აქვთ გათვალისწინებული თვითგამორკვევის უფლების კრიტერიუმები თავიანთ კანონმდებლობაში.²⁷

²⁶ LEGAL CONSEQUENCES FOR STATES OF THE CONTINUED PRESENCE OF SOUTH AFRICA IN NAMIBIA (SOUTH WEST AFRICA) NOTWITHSTANDING SECURITY COUNCIL, RESOLUTION 276 (INTERNATIONAL COURT OF JUSTICE 1971 წლის 21 JUNE).

²⁷ Reference re Secession of Quebec, R.S.C., 1985, c. S 26, s. 53. (Supreme Court of Canada September 30, 1996).

2.3 ბერტონის ადამიანური მოთხოვნილებების თეორიის მიმართება ქურთთა და ასირიელთა საკითხთან

კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები ყოველთვის კომპლექსურია. ყოველ კონფლიქტს საკუთარი განვითარების ისტორიული საფუძვლები გააჩნია და წინარე მოცემულობებიდან იღებს სათავეს მისი თანამედროვე ბუნება, რომელიც ხშირად, მეტწილად უნიკალურია. არ არსებობს სრულიად იდენტური კონფლიქტები ზუსტად ისე, როგორც არ არსებობს ზუსტად, იდენტურად განტოტვილი ორი ხე. ამიტომაც არ არსებობს ერთი კონკრეტული, უნივერსალური თეორია, რომელიც ყველა კონფლიქტის საფუძვლებს და მიზეზებს ხსნის, თუმცა ყველა თეორიას მეტ-ნაკლებად პრეტენზია აქვს, რომ კონფლიქტის საფუძვლების ან მისი მოგვარების გზების ყველაზე კრიტიკულ ელემენტებს წარმოაჩინოს. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი კონფლიქტის ახსნის თუ მოგვარების უნივერსალური მექანიზმი არ გაგვაჩნია, შეგვიძლია ზოგი საერთო მახასიათებლის იდენტიფიცირება, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველა კონფლიქტს გააჩნია და რომელიც შეიძლება განმსაზღვრელი ფაქტორებიც აღმოჩნდეს. ერთ-ერთ ასეთ, კონფლიქტების საერთო მახასიათებლებზე კონცენტრირებულ თეორიას ვიცნობთ ბერტონის ადამიანური საჭიროებების თეორიის სახელით.

ადამიანური საჭიროებების თეორია დაფუძნებულია იდეაზე, რომ არსებობს გარკვეული ფუნდამენტური საჭიროებები გადარჩენისთვის. ეს საჭიროებები არ არის მხოლოდ საკვები, წყალი და თავშესაფარი. ამგვარი ფუნდამენტური საჭიროებები, აუცილობლობები მოიცავს როგორც ფიზიკურ ასევე არაფიზიკურ ელემენტებს. რაც მთავარია, ეს საჭიროებები ასევე მოიცავს იმას, რის მოსაპოვებლადაც, რასთან მისაღწევადაც ადამიანებს ინსტიქტები ამოძრავებთ. მიუხედავად იმისა, რომ არ

არსებობს ამგვარი საჭიროებების საყოველთაოდ შეთანხმებული სია, შეგვიძლია გამოვეყოთ ზოგი მათგანი, ის, რაც მიიჩნევა, რომ აუცილებლად სჭირდება ადამიანს. ესენია:

- დაცულობა/უსაფრთხოება
- საკუთრება
- სიყვარული
- თავდაჯერება თვითშეფასებაში
- პირადი მიღწევები
- იდენტობა
- კულტურული უსაფრთხოება
- თავისუფლება
- პირობები სადაც დოვლათი სამართლიანად, პროპორციულადაა გადანაწილებული
- სხვა და სხვა აქტივობებში მონაწილეობა, ჩართულობა

სხვა და სხვა მკვლევარი ამ სიის განსხვავებულ ელემენტებზე ფოკუსირდება, ზოგი მათგანი, მაგალითად, მასლოუ ამტკიცებდა, რომ ეს სია შეიძლება ორგანიზდეს იერარქიული ხასიათით, ზოგი მათგანი კი, მაგალითად, ბერტონი, რომელიც იყო წამყვანი ამ თეორიის გამოყენებაში სხვა და სხვა სოციალური და პოლიტიკური კონფლიქტის ახსნისას, ამტკიცებდა, რომ შეუძლებელია ადამიანური საჭიროებების დირექტიული განსაზღვრებით ორგანიზება იერარქიულ საწყისებზე. თუმცა ისეთი ურთიერთდაკავშირებული საჭიროებები, როგორცაა იდენტობის აღიარება და უსაფრთხოება განსაკუთრებული ყურადღების ფოკუსს იპყრობს. კელმანი ამტკიცებდა, რომ იდენტობა, უსაფრთხოება და მათთან, ამ ცნებებთან დაკავშირებული კოლექტიური საჭიროებები, ასევე შიშები და შფოთები, რომელიც უკავშირდება ხსენებული ცნებების კონტექსტში გადარჩენას, არიან მნიშვნელოვანი,

განმსაზღვრელი გამომწვევი ფაქტორები ჯგუფებს შორის და კომუნებს შორის წარმოქმნილ კონფლიქტებში. მკვლევარებმა და პრაქტიკოსებმა თანხმდებიან, რომ იდენტობის და უსაფრთხოების საკითხები არის ყველაზე მეტად კრიტიკული, თუ საერთოდ აბსოლუტი არაა, შეუქცევად, მოურჯულებელ, მოუხელთებელ მიმდინარე კონფლიქტებში.²⁸

ბერტონი აღნიშნავდა, რომ იმედგამაცრუებელია ის გარემოება, რომ ამგვარი ბაზისური საჭიროებები წარმოშობს კონფლიქტებს. იმედგამაცრუებელი იმიტომ, რომ შესაძლებელი ხდება საზოგადოებებში, რომ მთავრობა და მისი ხალხი ან მათი ნაწილი ისე შეიძლება დაშორდნენ ერთმანეთს, რომ მთავრობას სრულიად აცდენილი იყოს მისი ხალხის საჭიროებების აღქმაში. გადანწყვეტილების მიმღებთა და მათი გადანწყვეტილებებით ზემოქმედებულებს შორის ამგვარი გაუცხოება ბუნებრივია, რომ პოტენციური დაპირისპირების მიზეზი ხდება ამ უკანასკნელთ შორის ძალადობა და სასჯელი კი, რასაც ხშირად მიმართავენ მთავრობები თუ გადანწყვეტილების მიმღებნი აჯანყებულთა წინააღმდეგ ვერ ააღებინებს ხელს ინდივიდებსა თუ ჯგუფებს ზემო-ხსენებული ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილების ინსტიტუტურ სწრაფვაზე გრძელვადიან პერსპექტივაში, ზოგჯერ ვერც მოკლევადიანში. ამის მიზეზი კი ისაა, რომ აღნიშნული მოთხოვნები, საჭიროებები თავისი ბუნებით ლამის ონტოლოგიური ხასითის არიან, შესაბამისად ხშირად მოლაპარაკების საგანიც კი შეუძლებელია გახდნენ, რადგან საჭიროებენ უცილობელ, ეჭვგარეშე დაკმაყოფილებას, ცხადია ნორმატიული თვალსაზრისით. აუცილებელი საჭიროებების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში კონფლიქტის გარდაუვალობას განაპირობებს ისიც, რომ თანამედროვე კომუნიკაციების პირობებში გაიოლებულია კავშირები სხვა და სხვა ქვეყანაში გაფანტულ იდენით გაერთიანებულ ჯგუფის წევრებს შორის, რაც აფერმკთალებს რეპრესიების ეფექტს

²⁸ Walsh, D. (2015). *How a Human Needs Theory Understanding of Conflict Enhances the Use of Consociationalism as a Conflict Resolution Mechanism: The Good Friday Agreement in Northern Ireland*. Birmingham: University of Birmingham. pp.2-10

აჯანყებულთა მიმართ და აიოლებს დისიდენტური საქმიანობის გაშლას, ასევე იარაღის ინფილტრაცია კონფლიქტურ ეპიცენტრში არ წამოადგენს გადაულახავ დაბრკოლებას დღეისათვის.

ბარტონისავე თვალსაზრისით აუცილებელი საჭიროებების რომელიმე ჯგუფისთვის დაკმაყოფილებამ წესით არ უნდა წარმოშვას რაციონალურ საწყისებზე უთანხმოება ამ საჭიროებებზე წვდომის შესაძლებლობების გამცემი უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან. ყველაზე მოსახერხებელი კი არის ინსტიტუციების შექმნა, რაც პოტენციური და მიმდინარე კონფლიქტის სუბიექტთ მისი გავლით მიენოლოთ უკვე ჩამოთვლილი ადამიანური საჭიროებები და ასევე რაც აუცილებელია, კონფლიქტის მოგვარებისთვის, ესაა ძალაუფლების გაყოფა კონფლიქტის მხარეებს შორის, რაც ასევე ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ.

მაშინ, როცა მასლოუ და ბარტონი ხაზს უსვამენ ადამიანის ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ საჭიროებებს, მარშალ როსენბერგს შემოაქვს ახალი წყება საჭიროებებისა, რომელიც ყველაზე უკეთ შეიძლება გამოიხატოს სიტყვით, ფსიქო-სპირიტუალური თავისი ბუნების გათვალისწინებით. მათ შორისაა, სიყვარულის მთლიანობა, დღესასწაული და გლოვა და ასევე სპირიტუალური, სულიერი გაერთიანება. ავტორებს შემოთავაზებული აქვთ სხვა და სხვა დროს წყება განსხვავებული საჭიროებებისა, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ დომინანტურია იდენტობის აღიარების მოთხოვნილება და უსაფრთხოების შეგრძნების მიღწევა, თუმცა კი თითოეულმა ნაკლებად გამოკვეთილმა თუ მკაფიო საჭიროებამაც კი, მისმა დაუკმაყოფილებლობამ შესაძლებელია კონფლიქტის განვითარების ინსპირატორის ფუნქცია შეასრულოს.

ადამიანური საჭიროებების თეორისტები განასხვავებენ ადამიანურ საჭიროებებს და ინტერესებს და ამტკიცებენ, რომ ადამიანური კონფლიქტები სათავეს იღებენ

მაშინ, როცა ადამიანების ძალისხმევა დაიკმაყოფილონ ბაზისური ან ფუნდამენტური საჭიროებები უშედეგო გამოდგება. მეტიც ასევე ამტკიცებენ, რომ ასეთ გარემოებებში არათუ მაღალია საფრთხე კონფლიქტის განვითარებისა და არამედ ეს უკანასკნელი გარდაუვალიცაა, ვინაიდან ბაზისური საჭიროებები არ არის მოლაპარაკების საგანი, ისინი შეუფერხებელ და კმაყოფილებას საჭიროებენ. ხოლო ადამიანების თუ ადამიანების ჯგუფების ინტერესები ის სფეროა, რაზეც უნდა წარმოებდეს მოლაპარაკებები კონფლიქტის პრევენციისა, დეესკალაციისა თუ მოგვარებისათვის. თუმცა კი მკაფიო სადემარკაციო ხაზის გავლება ადამიანურ საჭიროებებსა და ინტერესებს შორის ყოველთვის რთულია და თავისთავად დისპუტის საგანია.²⁹

ადამიანური საჭიროებების თეორიას მიუხედავად იმისა, რომ ბევრი გამზიარებული ჰყავს უშუალოდ კონფლიქტის ველზე მოქმედ მედიატორთა შორის, არც კრიტიკა აკლია. მაგალითად, გალტუნგი თვლის, რომ მთავარი პრობლემა ადამიანური საჭიროებების თეორიისა არის ის, რომ აქცენტს არ აკეთებს სიღარიბის გამომწვევ მიზეზებზე მაშინ, როცა ხშირად კონფლიქტის არსებული ველები სავესეა შემთხვევებით, სადაც არათანაბარმა დოვლათის განაწილებამ (ასევე არათანაბარმა მოპყრობამ სახელმწიფოს მხრიდან კანონის თვალსაზრისით) ან დოვლათის დეფიციტმა წარმოშვა კონფლიქტის საწყისები. ასევე გალტუნგი აყენებს წინადადებას, რომ მიზანშეწონილი იქნება თუ ადამიანურ საჭიროებებს უფრო ღრმად, ემპირიკულ საწყისებზე გამოკვლევთ. გალტუნგთან ერთად რამაშრაი როიც ხაზს უსვამს კიდევ ერთ გარემოებას, რომელიც ადამიანის საჭიროებების თეორიისთვისაა დამახასიათებელი, რაც გამოიხატება იმაში, რომ ეს თეორია ფოკუსის ცენტრში ინდივიდის საჭიროებებს აყენებს და არა საზოგადოების,

²⁹ Danesh, H. B. (2011). *EDUCATION FOR PEACE READER*. Victoria: EFP Press.p.63

რომელიც ხშირად კონფლიქტურ გარემოებებში და არა მხოლოდ, შესაძლებელია ინდივიდის საჭიროებებისაგან განსხვავებული იყოს.³⁰

მიუხედავად იმისა, ადამიანური საჭიროებების კრიტიკის ზოგი ასპექტი შეიძლება სამართლიანად მოგვეჩვენოს მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ხსენებული თეორია რაიმე პანაცეად, რომელიც ყოველ კონფლიქტს მოერგება და მოაგვარებს არავის დაუსახავს. ცხადია, კონკრეტული საჭიროებები უშუალოდ კონფლიქტის ველზე უნდა გამოვლინდეს და ასევე პიროვნებისა და საზოგადოების საჭიროებებიც ამავე ველზე კლასიფიცირდეს. ასევე თეორიამ სრულყოფა მომავალშიც უნდა განიცადოს ახალ, გლობალურ მსოფლიოში მიმდინარე კონფლიქტებთან გაშინაურებული მკვლევარების სამეცნიერო კონტრიბუციის საფუძველზე. ამასთანავე ვერავინ უარყოფს, რომ ადამიანური საჭიროებების თეორიამ უკვე მოახდინა უმნიშვნელოვანესი კონტრიბუციის შეტანა კონფლიქტების შესწავლის აკადემიურ ველში. ვერავინ უარყოფს, რომ იდენტობის აღიარების საკითხი თუ ყველა არა, ყველა ეთნიკურ კონფლიქტში მაინც დგას და ჩვენც ახლა უფრო გამოწვლილვით, ვიდრე ზემოთ ამ ცნებაზე ვკონცენტრირდებით.

ადამიანური საჭიროება _ იდენტობის აღიარება _ უმნიშვნელოვანესია ყოველი ადამიანური ქმნილების ცხოვრებაში. ხსენებული საჭიროება უკავშირდება ადამიანის სურვილს, თუ არა გარდაუვალ ბუნებით მოთხოვნილებას, რომ თავი განასხვავოს სხვისგან, იყოს თვითმყოფადი ან იყოს იდენტიფიცირებული ვინმესთან, რომელიმე თემთან თუ ჯგუფთან, ჰქონდეს უნიკალური, მხოლოდ მისთვის განსაზღვრული პიროვნული ნიშნები, რომლებზე შეხებაც არ შეიძლება სხვებს. ყოველივე ეს გამოხატულებაა იდენტობის საჭიროების.³¹

³⁰ CARLSSON, K. U. (1999). *VIOLENCE PREVENTION AND CONFLICT RESOLUTION*. Malmö: Malmö School of Education. pp.52-53

³¹ *An Analysis Of The Human Need Theory Politics Essay*. (2015, March 23). Retrieved from Ukessays: <https://www.ukessays.com/essays/politics/an-analysis-of-the-human-need-theory-politics-essay.php?vref=1>

ბარტონის ადამიანური საჭიროებების თეორიას გამოვლენა არაერთი კონფლიქტის მოგვარების პირობებში უპოვია, ერთ-ერთი ასეთია ჩრდ.ირლანდიის შემთხვევა კარგი პარასკევის შეთანხმებაში გამოხატული. ხსენებული შეთანხმების დოკუმენტი გაფორმდა ირლანდიისა და დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოებს და რვა ჩრდ.ირლანდიურ პოლიტიკურ პარტიასად და ჯგუფს შორის, კონფლიქტის საგანი კი იყო ჩრდ.ირლანდიის სტატუსი და ამ რეგიონში მაცხოვრებელთა უფლებები. საკითხი წამოჭრა კუნძულის ჩრდილოეთში მცხოვრებთა კონფესიურმა განსხვავებამ, კერძოდ, კათოლიკებს ირლანდიასთან შეერთება სურდათ მათი მისწრაფების აბსოლუტურ გამოხატულებაში, ხოლო პროტესტანტებს და შესაბამისად, ე.წ. „იუნიონისტებს“ დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩენა, ამავე პერიოდში ჯერ კიდევ სრულად არ ქონდა უარი ნათქვამი ტერორისტული აქტების განხორციელებაზე ირლანდიურ ნაციონალისტურ ორგანიზაცია „ირას“. ჩვენთვის საინტერესო კი არის ის, რომ კონფლიქტის რეზოლუცია, გამოხატული კარგი პარასკევის 1998 წლის აპრილის შეთანხმებით მეტწილად მისი კომპონენტებით ეხმიანებოდა ადამიანური საჭიროებების თეორიას, რადგან მასში გათვალისწინებული იყო ზოგი ფუნდამენტური საჭიროება. კერძოდ, შეთანხმება ხაზს უსვამდა, რომ ერთიერთ პატივისცემა, სამოქალაქო უფლებები და რელიგიური თავისუფლებები უნდა გარანტირებულ იქნეს ჩრდ.ირლანდიის კომუნის ყველა წევრს შორის. ასევე მრავალ-პარტიული შეთანხმება აღიარებდა ლინგვისტური განსხვავებულობის პატივისცემის აუცილებლობას რეგიონში, განსაკუთრებით ირლანდიური ენის. ულსტერელი შოტლანდიელების და სხვა მცირე უმცირესობათა არსებული ენების კონტექსტში, რომელთა შესახებ აღნიშნული იყო: „ყოველი მათგანი წარმოადგენს კუნძულ ირლანდიის კულტურული ღირებულებას“. შესაბამისად ზემოთქმულისა, ვხედავთ, რომ ჩრდ.ირლანდიის შემთხვევაში იდენტობის აღიარების საკითხი დაკმაყოფილებულ იქნა დოკუმენტების დონეზე, ხოლო როგორც შემდეგ გაირკვა რეალურ გამოხატულებაშიც. ასევე ამავე

შეთანხმების ჩარჩოებში ბრიტანეთის ვალდებულება აიღო (და შეასრულა ასევე), რომ ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებების შესახებ ინკორპორირდებოდა ჩრდ.ირლანდიის კანონში, ასევე ჩამოყალიბდა ჩრდ.ირლანდიის ადამიანის უფლებების კომისია, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებები ამავე გეოგრაფიულ რეგიონში და განისაზღვრა მათში პროპორციული წარმომადგენლობითობის სქემა თემის სხვა და სხვა ჯგუფებს შორის. შესაბამისად ამისა, სახეზეა ადამიანური საჭიროებების თეორიიდან მეორე უმთავრესი საჭიროების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ასევე შეგვიძლია დავამატოთ, რომ დღეისათვის ურთიერთობები ირლანდიასა და დიდ ბრიტანეთს შორის იმგვარია, რომ ირლანდიის რესპუბლიკის მოქალაქე დიდი ბრიტანეთის რეზიდენტებიც კი უფლებამოსილნი არიან ხმის უფლებით ისარგებლონ მთელი გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე საკუთარი ოლქის შესაბამისად.

ბერტონის ადამიანური საჭიროებების თეორიის პრაქტიკაში გამოყენებას მოყოლილი პოზიტიური შედეგი უკვე ვნახეთ, ირლანდია-დიდი ბრიტანეთის მაგალითზე, ამ თეორიის პოსტულატების დაუკმაყოფილებლობას მოყოლილი ნეგატიური შედეგების მაგალითები კი გაცილებით ბევრი გვაქვს და ჩვენი ქურთთა და ასირიელთა საკითხიც მათ რიგებშია, რადგან როგორც წინა თავებში ვნახეთ, ამ უკანასკნელთა მოთხოვნები, პირველ რიგში კი უსაფრთხოებისა და იდენტობის დაცვის მოთხოვნები მათი განსახლების ქვეყნებში დაოუკმაყოფილებელი იყო და მეტწილად ახლაც რჩება _ ამასთან კონფლიქტები სახეზე გვაქვს.

დასკვნა

ამგვარად, როგორც ვნახეთ, ადამიანური საჭიროებების თეორიას პრაქტიკული გამოვლინების თვალსაზრისითაც მოეძებნება მაგალითი კონფლიქტების ისტორიაში. კერძოდ ჩრდ. ირლანდიაში, სადაც ფუნდამენტური უფლებების გარანტირებამ შეთანხმების დოკუმენტში განაპირობა დაპირისპირებულ მხარეთა ურთიერთობების თანამშრომლობის რეჟიმში გადასვლა მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებული მხარის აბსოლუტური მიზანი, ირლანდიასთან გაერთიანება დაკმაყოფილებული არ იქნა – თუმცა კი ფაქტობრივად არც არაფერი დარჩა გეოგრაფიულ ფაქტორთან ერთად, რაც ირლანდიის რესპუბლიკელს თუ ჩრდ.ირლანდიის მკვიდრს კონტაქტს თუ სხვა და სხვა სოციალურ კავშირს შეუზღუდავს.

ცხადია, სპეკულირება იქნებოდა, რომ ბერტონის ადამიანური საჭიროებების მიხედვით ხელმძღვანელობის შემთხვევაში ახლო აღმოსავლეთში ქურთთა და

ასირიელთა საკითხების მშვიდობიანი გადაწყვეტა გვევარაუდა, მაგრამ ეს ხელს ვერ შეგვიშლის რეტროსპექტიული გადმოსახედიდან ვთქვათ, რომ სწორედ ადამიანური საჭიროებების ფუნდამენტური მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობამ აღძრა ეთნიკური დაძაბულობები ამ რეგიონში, როგორც საუკუნის წინ, ასევე ბოლო ათწლეულებსა და მიმდინარე კონფლიქტებში.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ქურთთა ასირიელთა ეთნიკური უფლებები ტოტალურად ირღვეოდა და დღემდე მეტწილად დაუკმაყოფილებელია. ეთნიკური უფლებების დაუკმაყოფილებლობამ კი ხსენებულ ეთნოსებში, განსაკუთრებით ქურთებში გამოიწვია ცენტრალური ხელისუფლებებთან დაპირისპირება და მათი შიდა-თვითგამორკვევისთვის ბრძოლა. ხოლო შიდა-თვითგამორკვევის პრინციპით სარგებლობის ბენეფიციარნი ქურთები და ასირიელები გახადა ცენტრალური ხელისუფლებების მათ მიმართ გატარებულმა პოლიტიკებმა და დამოკიდებულებებმა.

ბიბლიოგრაფია

1. Akhmadov, I., Lanskoj, M., & Brzezinski, Z. (2010). *THE CHECHEN STRUGGLE INDEPENDENCE WON AND LOST*. New York: Palgrave Macmillan.
2. Alaranta, T. (2015). *National and State Identity in Turkey*. London: ROWMAN & LITTLEFIELD.
3. *An Analysis Of The Human Need Theory Politics Essay*. (2015, March 23). Retrieved from Ukessays: <https://www.ukessays.com/essays/politics/an-analysis-of-the-human-need-theory-politics-essay.php?vref=1>
4. Bayat, K. (2014, may June). Iran and the "Kurdish Question". *Middle East Report*, pp. 28-35.
5. Bell, M. (2014, June). Liberal Attitudes and Middle East Realities. *Transatlantic Academy Paper Series*, pp. 6-9.

6. BERBEROGLU, B. (1995). *Nationalism, Ethnic Conflict, and Self-Determination in the 20th Century*. Philadelphia: Temple University Press,.
7. Burton, J. (1990). *Conflict: Human Needs Theory*. London: THE MACMILLAN PRESS LTD.
8. CARLSSON, K. U. (1999). *VIOLENCE PREVENTION AND CONFLICT RESOLUTION*. Malmö: Malmö School of Education.
9. Caspersen, N., & Stansfield, G. (2011). *Unrecognized States in the International System*. New York: Routledge.
10. Chediak, J. (2011, October 30). *WORKERS WORLD*. Retrieved from WORKERS WORLD: https://www.workers.org/2011/world/jchediac_1103/
11. Chomsky, N. (2006). *Failed States*. New York: Henry Holt And Company.
12. Cristescu, A. (1981). *THE RIGHT TO SELF-DETERMINATION _ HISTORICAL AND CURRENT DEVELOPMENT ON THE BASIS OF UNITED NATIONS INSTRUMENTS*. New York: UNITED NATIONS.
13. Danesh, H. B. (2011). *EDUCATION FOR PEACE READER*. Victoria: EFP Press.
14. Douglas, R. A. (1998). *Framing the Social Security Debate : Values, Politics, and Economics*. Washington, D. C.: Brookings Institution Press.
15. Ellison, B. (2011). Russian grand strategy in the South Ossetia War. *Demokratizatsiya: The journal of post-Soviet democratization*, pp. 343-366.
16. Gaunt, D., Atto, N., & Barthoma, S. O. (2017). *Let Them Not Return _ Sayfo – The Genocide against the Assyrian, Syriac and Chaldean Christians in the Ottoman Empire*. New York: Berghahn Books.
17. Hinnebusch, R. (2003). *The international politics of the Middle East*. Manchester: Manchester University Press.
18. (1966). *International Covenant on Civil and Political Rights*.
19. Jawad, S. N. (2010, September 30). The Kurdish question in Iraq: historical background and future settlement. *Contemporary Arab Affairs*, pp. 37-41.
20. LEGAL CONSEQUENCES FOR STATES OF THE CONTINUED PRESENCE OF SOUTH AFRICA IN NAMIBIA (SOUTH WEST AFRICA) NOTWITHSTANDING SECURITY COUNCIL, RESOLUTION 276 (INTERNATIONAL COURT OF JUSTICE JUNE 21, 1971).
21. Mycock, A. (2012, April 13). SNP, identity and citizenship: Reimagining state and nation. *National Identities*, pp. 64-65.

22. Raic, D. (2002). *Statehood and the Law of Self-Determination*. The Hague: Kluwer Law International.
23. Reference re Secession of Quebec, R.S.C., 1985, c. S 26, s. 53. (Supreme Court of Canada September 30, 1996).
24. Sabio, O. (2014). *Rojava: An Alternative to Imperialism, Nationalism, and Islamism in the Middle East*. Creative Commons Attribution 2.0.
25. Sanches, S. (2014). Disempowering Feminism in the Middle East: how the polarization of Islam and Feminism. *Annual Human Rights Conference* (pp. 2-6). Nottingham: Mind the Gender Gap.
26. Simma, B., Khan, D. E., Nolte, G., Paulus, A., & Wessendorf, N. (2012). The Charter of the United Nations: A Commentary, Volume I. In S. Oeter, *Self-Determination* (pp. 28-31). Oxford Scholarly Authorities on International Law.
27. Stansfield, G., & Shareef, M. (2017). *The Kurdish Question Revisited*. Oxford: Oxford University Press.
28. Unver, A. (2015). *Turkey's Kurdish Question*. New York: Routledge.
29. Unwer, A. (2015). *Turkey's Kurdish Question*. New York: Routledge.
30. Unwer, A. (2015). *Turkey's Kurdish Question*. New York,: Routledge.
31. Walsh, D. (2015). *How a Human Needs Theory Understanding of Conflict Enhances the Use of Consociationalism as a Conflict Resolution Mechanism: The Good Friday Agreement in Northern Ireland*. Birmingham: University of Birmingham.
32. YACOUB, J. (2016). *Year of the Sword _ The Assyrian Christian Genocide,A History*. New York: Oxford University Press.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tamaz Tordia

Voiceless nations in the international system: Kurds and Assyrians
in the context of permanent and potential conflicts

Diplomacy and international politics

Submitted to obtain a Master degree in Diplomacy and International
Politics

Head: Davit Matsaberidze - TSU Faculty of Social and Political Sciences - Assistant
Professor

Tbilisi 2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ივანე აბრამაშვილი

ტრანსფორმაციული მშვიდობის მშენებლობა კვიპროსსა და
საქართველოში: შედარებითი კვლევა

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო
პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: თორნიკე თურმანიძე
ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2018

ტრანსფორმაციული მშვიდობის მშენებლობა კვიპროსსა და საქართველოში: შედარებითი კვლევა

ანოტაცია

ნაშრომის მიზანია სამშვიდობო თეორიების პრიზმიდან შეისწავლოს საქართველოსა და კვიპროსის ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების დარეგულირების განსხვავებული დინამიკის მიზეზები.

ნაშრომის საკვლევ პრობლემას წარმოადგენს ის ვითარება, რომლის მიხედვით მსგავსი პოსტ-კონფლიქტური გარემოებების მიუხედავად კვიპროსში 2017 წლის მდგომარეობით მოხერხდა კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაცია, ხოლო საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში – ვერა.

ნაშრომის მთავარ საკვლევ კითხვაა თუ რატომ ვერ მოხდა კონფლიქტების პოზიტიური ტრანსფორმაცია საქართველოში კვიპროსისგან განსხვავებით. ნაშრომის ჰიპოთეზას წარმოადგენს მოსაზრება, რომლის მიხედვით საქართველოში, კვიპროსისგან განსხვავებით კონფლიქტის ტრანსფორმაცია ვერ მოხერხდა კონფლიქტის გათიშულ საზოგადოებებს შორის ფიზიკური ინტერაქციის არარსებობის გამო.

სტრუქტურულად, ნაშრომის პირველი ნაწილი ეთმობა კვლების აქტუალობისა და მეთოდოლოგიის აღწერას, ასევე კვლევის შედეგებისა და ჰიპოთეზის დასადასუტრებლად გამოყენებული – ჯონ პოლ ლედერაქის ტრანსფორმაციული მშვიდობის მშენებლობის თეორიის ანალიზს. პირველ ნაწილში ასევე მიმოხილულია რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურა. ნაშრომის მეორე ნაწილი ფოკუსირებულია კვიპროსსა და საქართველოში სამშვიდობო პროცესების დინამიკის აღწერაზე, გამოკვლევასა და მათ შედარებით ანალიზზე.

შედარებითი ანალიზისას გამოიკვეთა ნაშრომის ჰიპოთეზის ემპირიული რელევანტურობა და წარმოჩინდა პირდაპირი კორელაცია კონფლიქტით გათიშული საზოგადოებების

ერთმანეთთან ფიზიკურ ინტერაქციასა და კონფლიქტის პოზიტიურ ტრანსფორმაციას შორის.

Transformative Peacebuilding in Cyprus and Georgia: Comparative Study

I.Abramashvili

Abstract

Aim of this research is to study the reason of different dynamics of peacebuilding processes in Georgia and Cyprus.

Research puzzle of the paper is the setting, where despite the same post-conflict environment by 2017 conflict was positively transformed in Cyprus while in Georgia's conflict affected regions - in Abkhazia and South Ossetia - were not.

Research question of the paper is the following – why conflict transformation did not take place in Georgia unlike Cyprus? Hypothesis states that unlike Cyprus, conflict transformation in Georgia was not possible due to lack of physical interaction between conflict-divided societies.

Structurally first part of the paper focuses on the methodology and importance of the research as well as analysis of the John Paul Lederach's Transformative Peacebuilding Theory which is used for the explanation of the hypothesis. Relevant academic literature is also reviewed in the first part of the study. Second part of the paper moves on to the description, study and comparative analysis of peace process in Cyprus and Georgia.

Comparative analysis shows the empirical relevance of the hypothesis and presents direct correlation between physical interaction between conflict-divided societies and conflict transformation.

სარჩევი

შესავალი.....	6
1. კვლევის მნიშვნელობა და მეთოდოლოგია.....	10
2. ჯონ პოლ ლედერაქის ტრანსფორმაციული მშვიდობის მშენებლობის თეორია.....	13
3. ლიტერატურული მიმოხილვა.....	17
4. მშვიდობის მშენებლობის დინამიკა კვიპროსზე 1974–2017 წლებში.....	26
5. მშვიდობის მშენებლობის დინამიკა საქართველოში 1992–2017 წლებში.....	32
5.1 ქართულ–ოსური სამშვიდობო პროცესები 1992–2008 წლებში.....	32
5.2 ქართულ–აფხაზური სამშვიდობო პროცესები 1993–2008 წლებში.....	36
5.3 სამშვიდობო პროცესი ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ 2008–2017 წლებში.....	41
6. კონფლიქტების ტრანსფორმაცია კვიპროსზე და საქართველოში: შედარებითი ანალიზი.....	45
დასკვნა.....	48
ბიბლიოგრაფია.....	49

შესავალი

„ცივი ომის“ დასრულებამ და მანამდე არსებული მსოფლიო წესრიგის ცვლილებამ, 1990–იან წლებში ახალი პრობლემები მოიტანა აფრიკასა და პოსტ–კომუნისტურ სივრცეში მზარდი კონფლიქტების სახით. თავისი არსით, ეს კონფლიქტები საკმაოდ განსხვავდებოდა მანამდე გავრცელებული შეიარაღებული დაპირისპირებებისგან, ვინაიდან ისინი სახელმწიფოების შიგნით და არა მათ შორის ვითარდებოდა. გამომდინარე იქიდან, რომ ახალბედა, დამოუკიდებელ ქვეყნებს არ გააჩნდათ მყარი ინსტიტუტები, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა, მდგრადი ეკონომიკური მოდელი და განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება, შიდა ომები დიდ საფრთხეს უქმნიდა მათ სახელმწიფოებრიობას. შესაბამისად საჭირო გახდა ახალი გლობალური მშვიდობის არქიტექტურა, რომელიც მოერგებოდა ამგვარ, ე.წ. „პოსტ–ვესტვალური“ სისტემას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც იმ პერიოდში აღიქმებოდა გლობალური მშვიდობის დამცველად და მასზე დიდი იმედები მყარდებოდა, იძულებული გახდა სამოქალაქო ომებში ჩაბმული „შეუმდგარი სახელმწიფოებისთვის“ ეზრუნა ისეთი მოდელის შექმნაზე, რომელიც მათ დაიხსნიდა კონფლიქტის დამანგრეველი შედეგებისგან და ამავდროულად მისცემდა განვითარების საშუალებას. გაერომ მართლაც უდიდესი როლი ითამაშა გლობალური სამშვიდობო პოლიტიკის შემუშავებაზე და საფუძველი ჩაუყარა მშვიდობის ინსტიტუციონალიზაციას. სწორედ ამ პერიოდიდან ჩნდება მშვიდობის მშენებლობის თანამედროვე ტენდენციები, რომელიც სამ თაობად შეიძლება დაიყოს (Newman, Paris and Richmond, 2009, გვ.5–6).

პირველი თაობის მშვიდობის მშენებლობა მჭიდროდაა დაკავშირებული მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პოლიტიკური რეალიზმის დომინანტობასთან, ვინაიდან ამ პერიოდში საერთაშორისო საზოგადოების ამოცანა იყო კონფლიქტის მართვა, მისი დასრულება და არა მოგვარება (Richmond, 2008, გვ.99). რეალისტთა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებდა სახელმწიფოთა უსაფრთხოებას და არ უღრმავდებოდა კონფლიქტის ადამიანურ ფესვებს, შედეგად მშვიდობა აღქმული იყო მისი ნეგატიური გაგებით, როგორც ომის არარსებობა,

და აქედან გამომდინარე მის შენარჩუნება ხდებოდა სამხედრო ძალით, ალიანსებით, შეკავებითა და მონიტორინგით (Carey, 2012, გვ. 63).

მეორე თაობის მშვიდობის მშენებლობამ პირველზე გაცილებით ამბიციური სახე მიიღო, ვინაიდან იგი არამხოლოდ კონფლიქტის დასრულებას, არამედ მის მოგვარებას ისახავდა მიზნად. ლიბერალური და მარქსისტული სკოლების გავლენით იგი კონფლიქტს უყურებდა ფსიქოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პრიზმიდან, შესაბამისად მეორე თაობის მშვიდობის მშენებლობაში მთავარი ფოკუსი გაკეთდა არა სახელმწიფოებზე, არამედ ინდივიდებსა და საზოგადოებრივ გაერთიანებებზე (Richmond, 2008, გვ. 101).

რაც შეეხება თანამედროვე მესამე თაობის მშვიდობის მშენებლობას, ის კიდევ უფრო კომპლექსური და პოლისტური აღმოჩნდა წინარმოხედებთან შედარებით. იგი ცნობილი გახდა „ლიბერალური მშვიდობის მშენებლობის“ სახელით, რომელიც თავის იდეოლოგიურ საწყისებს სმიტის, კანტის, ჰეგელის, კეინზისა და როულზის ნაზრევებიდან იღებს (Öjendal and Ou, 2015, გვ. 932). მისი ამოსავალი წერტილია ომით დაზარალებულ საზოგადოებებში ინდივიდუალური უფლებების, კანონის უზანაესობის, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის გაძლიერებით ლიბერალური ტიპის სახელმწიფოს შექმნა, რომელმაც შემდგომ თავად უნდა ჩაახშოს შიდა ძალადობა (Patrick, 2017, გვ. 59). რაც შეეხება პრაქტიკაში მის საჭიროებას, ეს ცივი ომის დასრულებამ და შიდა-სახელმწიფოებრივი კონფლიქტების მატებამ გამოიწვია. ახალი ამოცანა ხდებოდა იმგვარი მშვიდობის დამყარება, რომელიც გაცდებოდა პატრულირებასა და ცეცლის-შეწყვეტის მონიტორინგს და სანაცვლოდ ხელს შეუწყობდა დემოკრატიზაციასა და სახელმწიფოს მშენებლობას (Graef, 2015, გვ. 20).

მშვიდობის მშენებლობის ევოლუციის მოცემული მოკლე ანალიზი ერთგვარი კონტექსტუალური შესავალია წინამდებარე ნაშრომის მთავარი მიზნის უკეთ აღსაქმელად - გაცდეს საერთაშორისო ურთიერთობების ტრადიციულ თეორიულ სკოლებს და სამშვიდობო თეორიების პრიზმიდან გამოიკვლიოს საქართველოსა და კვიპროსის ეთნო-

პოლიტიკური კონფლიქტების დარეგულირების განსხვავებული დინამიკის მიზეზები. მათგან პირველ შემთხვევაში ნაგულისხმევია ქართულ–აფხაზური და ქართულ–ოსური სამშვიდობო პროცესები, მეორეში კი კვიპროსის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს შორის ურთიერთობა.

მოცემული სახელმწიფოები საკვლევად შეირჩა რამდენიმე ძირითადი საერთო მახასიათებლის გამო, კერძოდ: ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე მომხდარ კონფლიქტებში ფიგურირებს ეთნიკური ფაქტორი; ორივე ქვეყანაში კონფლიქტით დაზარალებული მხარეები მიეკუთვნებიან ღრმად დაყოფილი საზოგადოებების კატეგორიას; ორივე მათგანის ტერიტორიის ნაწილი ოკუპირებულია გარე ძალის მიერ; ორივე კონფლიქტი დროში გაწელილი კონფლიქტების (protracted conflicts) კატეგორიას განეკუთვნება. საინტერესოა, რომ ამგვარი მსგავსი პოსტ-კონფლიქტური გარემოებების მიუხედავად კვიპროსში მოხერხდა კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაცია, ხოლო საქართველოში ვერა, გამომდინარე აქედან, ნაშრომის მთავარ საკვლევ კითხვას წარმოადგენს ის, თუ რატომ ვერ მოხდა კონფლიქტების პოზიტიური ტრანსფორმაცია საქართველოში კვიპროსისგან განსხვავებით? ნაშრომის ჰიპოთეზად შემოთავაზებულია მოსაზრება, რომ საქართველოში, კვიპროსისგან განსხვავებით კონფლიქტის ტრანსფორმაცია ვერ მოხერხდა კონფლიქტში მყოფ საზოგადოებებს შორის ფიზიკური ინტერაქციის არარსებობის გამო. ნაშრომში დამოუკიდებელ ცვლადს წარმოადგენს კონფლიქტის მხარე საზოგადოებებს შორის ფიზიკური ინტერაქცია ხოლო დამოკიდებულ ცვლადს კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაცია. აღნიშნული ჰიპოთეზა ახსნილი იქნება ჯონ პოლ ლედერაქის ინეგრირებული ტრანსფორმაციული მშვიდობის მშენებლობის თეორიით. რაც შეეხება დროით ჩარჩოს, კვიპროსის შემთხვევაში ეს იქნება 1974–2017 წლები, საქართველოს შემთხვევაში კი 1993–2017 წლები.

სტრუქტურულად, ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა კვიპროსსა და საქართველოში სამშვიდობო პროცესების დინამიკის შესწავლასა და მათ შედარებით ანალიზს, ასევე იმ თეორიული ქოლგის აღწერას, რომლის ქვეშაც აიხსნება ზემოთ აღნიშნული ჰიპოთეზა. ვინაიდან მოცემული ნაშრომი ნაწილობრივ შედარებით ახალ აკადემიურ დისციპლინას –

მშვიდობის კვლევებს განეკუთვნება, მნიშვნელოვანია, რომ საკვლევ კითხვასა და ჰიპოთეზაში გაჟღერებული რამდენიმე ტერმინი განიმარტოს რათა მათი ბუნდოვანებითა და გაუგებრობით გამოწვეული რისკები იმთავითვე იყოს მინიმალიზირებული, ასევე აუცილებელია მოხდეს ცვლადების ოპერაციანიონალიზაცია:

- *ღრმად დაყოფილი საზოგადოებები* – ამ ტერმინის ყველაზე სრულყოფილი განმარტება ეკუთვნის ცნობილ ამერიკელ მშვიდობის მკვლევარს ჯონ პოლ ლედერაქს, რომლის მიხედვით ღრმად დაყოფილი საზოგადოებების მთავარი მახასიათებლებია: სტრუქტურული უსამართლობა, კონფლიქტის ხაზების გავლება ჯგუფურ იდენტობაზე, კონფლიქტის ღრმა ისტორიული ფესვები, ფიზიკური ძალადობის გამოცდილება, კონფლიქტის მხარეების გეოგრაფიული სიახლოვე (Christie, Wagner and Winter, 2001).
- *ღროში გაწეილი კონფლიქტები* – აღნიშნული ტერმინით კლასიფიცირდება ისეთი კონფლიქტები, რომლებიც რთულად მოსაგვარებელია და ახასიათებს დაბალი დინამიკა (Nilsson and Kreutz, 2010, გვ. 3)
- *კონფლიქტის ტრანსფორმაცია* – მოცემული ტერმინით განისაზღვრება კონფლიქტის ფაზის ცვლილება, ანუ რამდენად გადადის ლატენტური კონფრონტაცია დინამიურ, სტაბილური მშვიდობის შექმნაზე ორიენტირებულ ურთიერთობებზე. კონფლიქტის ტრანსფორმაცია ხდება ოთხ დონეზე: ინდივიდუალურ, ურთიერთობით, სტრუქტურულ და კულტურ დონეებზე (Lederach, 1997, გვ. 84).
- *კონფლიქტში მყოფი საზოგადოებები* – ვინაიდან ნაშრომი ფოკუსირებულია კვიპროსსა და საქართველოში კონფლიქტებით დაზარებულ საზოგადოებებს შორის მშვიდობის მშენებლობის ანალიზზე, მასში კვიპროსის შემთხვევაში კონფლიქტის მხარეებად მოიაზრებიან კუნძულის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილში მაცხოვრებელი ეთნიკურად თურქი და ბერძენი მოსახლეობა; საქართველოს შემთხვევაში კონფლიქტის მხარეებად ითვლებიან თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ეთნიკურად ქართველები და

სოხუმისა და ცხინვალის დე-ფაქტო მთავრობების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მაცხოვრებელი აფხაზები და ოსები. ვინაიდან გალისა და ახალგორის რაიონის მოსახლეობა მათი ეთნიკური ნიშნის გამო მუდმივი დისკრიმინაციის მსხვერპლია (საქართველოს სახალხო დამცველი, 2016), ეს საზოგადოებები მოიაზრებიან ქართული მხარის ნაწილად. ნაშრომი არანაირად არ ტოვებს განზე კვიპროსის თურქული და საქართველოს რუსული სამხედრო ოკუპაციის შედეგებს, მაგრამ ვინაიდან ორივე ქვეყანაში შერიგების პროცესში ჩართულ მხარეებს სწორედ აღნიშნული საზოგადოებები წარმოადგენენ, ნაშრომში ძირითადი ფოკუსი მათზე გაკეთდება.

- **ფიზიკური ინტერაქცია** – მოცემული ცვლადი გაიზომება კონფლიქტის მხარეებს შორის ერთმანეთთან მიმოსვლის თავისუფლების ხარისხისა და მასშტაბურობის შეფასებით.
- **კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაცია** – მოცემული ცვლადის გაიზომება კონფლიქტის მხარეებს შორის მიმდინარე დიალოგის დინამიკისა და შედეგიანობის შეფასებით.

1. კვლევის მნიშვნელობა და მეთოდოლოგია

შეიარაღებული კონფლიქტები და კონფლიქტის შემდგომი სიტუაციების მართვა დღემდე თანამედროვე გლობალური მსოფლიოსთვის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად რჩება. შეიარაღებული კონფლიქტების მიზეზებისა და შედეგების კომპლექსურობის გამო ჯერ კიდევ არ არსებობს კონსენსუსი იმ მკაფიო მიდგომებზე, რომელიც კონფლიქტის შემდგომი მშვიდობის სტაბილურობასა და მდგრადობას უზრუნველყოფდა. კონფლიქტთა უმეტესობა იმდენად ღრმია, რომ ისინი არასდროს არაა სტატიკური, პირიქით ჯონ პოლ ლედერაქის მიხედვით ისინი „დინამიური და გამომტყველებითია“, რომელთა ტრანსფორმაციას საფუძვლად ადამიანთა ურთიერთობა და ინტერაქცია უდევს (Lederach, 1997, გვ.63)

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საკითხის აკადემიური შესწავლა ჯერ მხოლოდ ფორმირების პროცესშია და ახალ დარგად ითვლება. გარდა ამისა იგი თავის თავში აერთიანებს საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკის, სოციოლოგიის, ნაციონალიზმის, ფსიქოლოგიისა და რელიგიის ელემენტებს, თუმცა თანამედროვე გლობალური მსოფლიო კვლავ „კრიზისული მენტალიტეტით“ მოქმედებს (Lederach, 1997, გვ. 74). მართლაც, საერთაშორისო საზოგადოებისთვის ბევრად უფრო მარტივია შეიარაღებული დაპირისპირებისთვის სწრაფი პოლიტიკური გამოსავლის მოძებნა და მხარეების მოლაპარაკების პროცესში ჩაბმა ვიდრე გრძელვადიანი და მდრგადი მშვიდობის მშენებლობის პროცესის დაგეგმვა და მართვა.

გამომდინარე იქიდან, რომ ერთი მხრივ ნაშრომი ცდება საერთაშორისო ურთიერთობების ტრადიციულ თეორიულ ჩარჩოებს და მშვიდობის მშენებლობაში არსებული მიდგომების კრიტიკულ გააზრებას ემსახურება, ხოლო მეორე მხრივ იგი აანალიზებს კვიპროსისა და საქართველოს შემთხვევებს, იგი მნიშვნელოვანი შენატანი იქნება მშვიდობის კვლევების თეორიულ გამდიდრებასა და მის პრაქტიკულ გამოყენებაში. ამასთან აღნიშნული კვლევა წარმოადგენს ერთ–ერთ პირველ მცდელობას მშვიდობის თეორიების კუთხიდან ახსნას საქართველოს სამშვიდობო პროცესები. მართლაც, საქართველოსთვის მისი ტერიტორიების სამხედრო ოკუპაცია და საზოგადოებრივი გათიშულობა ქართველებსა და აფხაზებს და ქართველებსა და ოსებს შორის მოცემულ კვლევას საკმაოდ აქტუალურს ხდის. მიუხედავად იმისა რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მომხდარი შეიარაღებული დაპირისპირების დასრულების შემდეგ 25 წელი გავიდა, ეს კონფლიქტები დღემდე განსაზღვრავენ საქართველოს ყოფას რამდენიმე მიზეზის გამო:

- არსებული მყიფე მშვიდობა ძალადობის გაღვივების მუდმივ საფრთხეს შეიცავს, უპირველესად რუსეთის ოკუპაციის გამო;
- თბილისის კონტროლირებად ტერიტორიაზე ასობით ათასი დევნილი ცხოვრობს (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, 2014, გვ. 3);

- ქართული, აფხაზური და ოსური საზოგადოებები ღრმა ფსიქოლოგიური ტრავმის ქვეშ ცხოვრობენ;
- მოუგვარებელი კონფლიქტები ხელს უშლიან საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას.

რაც შეეხება ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგიას, აქ გამოყენებული იქნება მონოგრაფიული გამოკვლევა, იგივე შემთხვევის შესწავლა ან მონოგრაფიული კვლევა, რომელიც ინგლისური ტერმინის „case-study“-ის ქართული ანალოგია (ზურაბიშვილი, 2006, გვ. 61). მონოგრაფიული კვლევა ხასიათდება იმით, რომ იგი მკვლევარს საშუალებას აძლევს ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით სიღრმისეულად გამოიკვლიოს ესე თუ ის თემა, რაც თავის მხრივ კვლევის სანდოობის ზრდას უზრუნველყოფს, შესაბამისად შემთხვევის შესწავლის დროს შესაძლებელია რამდენიმე მეთოდიკის გამოყენება რათა მოხდეს საკვლევი ობიექტზე მრავალმხრივი მონაცემების შეგროვება (ზურაბიშვილი, 2006, 62). გამომდინარე იქიდან, რომ ნაშრომში შესწავლილი იქნება ორი შემთხვევა კვიპროსისა და საქართველოს სახით, აღნიშნულ მონოგრაფიულ კვლევას ექნება შედარებითი ხასიათი, ვინაიდან სწორედ ეს მეთოდოლოგიური იარაღი იძლევა ორი ან მეტი კონტექსტის შესწავლისა და მათ შორის კაუზალური კავშირის დადგენით ცოდნის გენერალიზების საშუალებას, რათა გამოჩნდეს თუ რამდენად მუშაობს კონკრეტული პოლიტიკა ამა თუ იმ გარემოში (Goodrick, 2014, გვ. 1)

გარდა ამისა ნაშრომში დამატებით გამოყენებული იქნება კონტენტ-ანალიზი და დისკურსული ანალიზი. პირველის საშუალებით შესაძლებელია დოკუმენტების ან წერიითი სახით წარმოდგენილი ზეპირსიტყვიერი კომუნიკაციების ანალიზი, (Berg, 2007, 240-241) ხოლო მეორე გამოიყენება საუბრისა და ტექსტების გამოკვლევისას და შეიძლება განიმარტოს როგორც „მეთოდებისა და თეორიების ნაკრები, გამოყენებული და სოციალურ კონტექსტში ნახმარი ენის შესასწავლად.“ (Hogan, 2013) ვინაიდან დისკურსული ანალიზი შიდა განშტოებებით ხასიათდება, საჭიროა დაზუსტდეს, რომ ნაშრომში გამოყენებული იქნება კონკრეტულად კრიტიკული დისკურს-ანალიზი. განხილული ორი მიდგომა


კვლევის მანძილზე გამოყენებული იქნება ოფიციალური დოკუმენტების, სტატიების, შესასწავლი კონფლიქტის მხარე ლიდერების გამოსვლებისა და ინტერვიუების ანალიზში.

2. ჯონ პოლ ლედერაქის ტრანსფორმაციული მშვიდობის მშენებლობის თეორია

მშვიდობის კვლევებში, რომელიც აკადემიურ, თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობას ერთდროულად მოიცავს, რამდენიმე სკოლა არსებობს. მათგან განსაკუთრებით საინტერესო და გავლენიანია კონფლიქტის ტრანსფორმაციული სკოლა, რომლის ერთ-ერთ მოწინავე მოაზროვნეს ამერიკელი ჯონ პოლ ლედერაქი წარმოადგენს. იოჰან გალტუნგის, ჯონ ბარტონისა და ადამ ქარლის იდეებზე დაყრდნობითა და მათი განვრცობით მან ჩამოაყალიბა პირველი სიღრმისეული და ფართოდ აღიარებული ტრანსფორმაციული მშვიდობის მშენებლობის თეორია. ამ უკანსკნელის მიხედვით კონფლიქტი დაუსრულებელი, უწყვეტი პროცესია, რომლის არა გადაჭრა, არამედ მხოლოდ ფორმის ცვლილებაა შესაძლებელი და ის გადის გზას ტრანზიციიდან შერიგებამდე. ეს მიდგომა წარმოადგენს დამკვიდრებული და გაბატონებული ემანსიპატორული, „დანიშნულებრივი“ (prescriptive) მოდელის გადააზრებას, რომლის მიხედვით მშვიდობის მშენებლობა წინასწარ განსაზღვრული გეგმით, „რეცეპტებით“ მიმდინარეობს.

1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისში, ჯონ პოლ ლედერაქის მიერ ტრანსფორმაციული მშვიდობის მშენებლობის თეორიის განვითარებას ცივი ომის დასრულება და უამრავი ახალი კონფლიქტის კერის გაჩენა დაემთხვა. ანგოლაში, სომალისა და იუგოსლავიაში ომების დაწყებამ, ასევე რუანდის გენოციდმა, ნათლად წარმოაჩინა გარედან და ხელოვნურად დამყარებული მშვიდობის შეზღუდვები, რა პრაქტიკასაც მანამდე ბევრი ოპტიმიზმით უყურებდა. სამხრეთ სომალიში, სადაც მშვიდობის დამყარების მიზნით არაერთხელ განხორციელდა ინტერვენცია, ძალადობის აღმოფხვრა დღემდე ვერ ხერხდება. სწორედ კონფლიქტის საწყის ეტაპზე სომალიში

მიმდინარე სამშვიდობო პროცესებში ჩართულობა, ასევე სხვადასხვა კონფლიქტის კონტექსტიდან მიღებული გამოცდილება დაეხმარა ჯონ პოლ ლედერაქს შეემუშავებინა და პრაქტიკული მაგალითებით გაემდიდრებინა საკუთარი თეორია.



ჯონ პოლ ლედერაქის თეორია დაეფუძნა საზოგადოების მრავალდონიან, მრავალშრიან მოქმედებას, რომელიც ლიბერალური და ნეოლიბერალური მშვიდობის თეორიებისგან განსხვავებით მშვიდობის შენების პროცესში უფრო დიდ როლს ანიჭებდა საზოგადოების ქვედა და შუა ფენებს, ვიდრე ელიტებს. ამასთან, მისი თეორიის

მიხედვით საერთაშორისო აქტორების ჩართულობა იზღუდება მხოლოდ ფასილიტატორის როლამდე, რომლებიც აღარ კარნახობენ კონფლიქტში ჩაბმულ მხარეებს კონფლიქტის გადაჭრის საბოლოო შედეგის პირობებს (Matyók, Senehi and Byrne, 2011, გვ. 130). მართლაც, აღნიშნულ თეორიას უკანა პლანზე გადაჰყავს ტრადიციული დიპლომატია და აწინაურებს კონფლიქტის ჰუმანოცენტრულ ასპექტებს. ის ამტკიცებს, რომ კონფლიქტის ემოციურ, აღქმით, სოციო-ფსიქოლოგიურ და სულიერ განზომილებაზე ფოკუსირება მშვიდობის მშენებლობის ცენტრალური და არა მეორეხარისხოვანი დანიშნულებაა (Lebovic, 2013, გვ. 18).

მშვიდობის მშენებლობაში მოქმედი მთავარი აქტორების ვიზუალური განსახიერებაა ჯონ პოლ ლედერაქის მიერ შემუშავებული სამდონიანი პირამიდის მოდელი (იხ. ნახაზი 1).

ლედერაქი საზოგადოებას სამ ნაწილად ჰყოფს, რომლის სათავეში არიან პოლიტიკოსები, სამხედრო ლიდერები, მრჩევლები და სხვა ადამიანები, რომლებიც მაღალი დონის მოლაპარაკებებში მონაწილეობენ რაიმე სახის პოლიტიკური გადაწყვეტილების ან კომპრომისის მისაღწევად. შუა დონეზე იმყოფებიან სექტორული ლიდერები, ანუ ბიზნეს ლიდერები, აკადემიკოსები, რელიგიური წინამძღოლები და ა.შ. რაც შეეხება, ბოლო, მესამე დონეს აქ ლედერაქი მოიაზრებს საზოგადოებრივ ჯგუფებს, სათემო ორგანიზაციებს, ადგილობრივ აქტივისტებს და სხვ (Lederach, 1997, გვ. 43).

საზოგადოებრივი პირამიდის სამ ნაწილად დაყოფით ლედერაქი არ ცდილობს ისინი ერთმანეთისგან გათიშულ ერთეულებად წარმოაჩინოს, სადაც კონფლიქტი მხოლოდ ერთ-ერთ მათგანში ლოკალიზებული პროცესი იქნებოდა. პირიქით, ის ამტკიცებს, რომ კონფლიქტი სამივე მათგანს ერთდროულად ეხება და ის ვერტიკალურად კვეთს მათ და არა ჰორიზონტალურად. ისინი ვინც პირამიდის ზედა ნაწილში იმყოფებიან ყველაზე დიდი შესაძლებლობა აქვთ გავლენა მოახდინონ სამშვიდობო პროცესებზე, მაგრამ ყველაზე ნაკლებად გრძნობენ კონფლიქტის ყოველდღიურობას. მათგან განსხვავებით, ისინი ვინც პირამიდის დაბალ საფეხურზე არიან ყველაზე მეტად გრძნობენ საკუთარ თავზე მაკრო გადაწყვეტილებებს, მაშინ, როცა მათი მიღების პროცესში მონაწილეობა მათ ყველაზე ნაკლებად შეუძლიათ (Lederach, 1997, გვ. 43). ლედერაქის რწმენით არცერთ ცალკე აღებულ საზოგადოების ფენას არ შეუძლია მშვიდობის მიღწევა და მისი შენარჩუნება, ვინაიდან მშვიდობის მშენებლობა ურთიერთდამოკიდებული პროცესია. მისი თქმით:

„ჩვენ უნდა გავცდეთ პოლიტიკის იერარქიულობას და უნდა შევქმნათ უფრო ორგანული, ფართო მიდგომა, რომელიც მშვიდობის მშენებლობაში პასუხისმგებლობისა და თანამონაწილეობის გაჩენას შეუწყობს ხელს. გარდა ამისა ჩვენ უნდა გავცდეთ მშვიდობის მშენებლობის ვიწრო გაგებას და ის, როგორც აქტივობების ქსელი ისე უნდა აღვიქვათ, რომელიც გაუძლებს რადიკალურად ცვალებად გარემოებებს.“ (Lederach, 1996, გვ. 53)

ტრანსფორმაციული მშვიდობის მშენებლობის თეორიის მიხედვით კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის და შერიგების მისაღწევად, აუცილებელია ყოვლისმომცველი მიდგომა, რომელიც მოიცავს საზოგადოებების სოციალურ, ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და სულიერ რეაბილიტაციას. ამასთან, მშვიდობის მშენებლობის პროცესი არა მოკლევადიან შედეგებზე (როგორც ეს ხშირად ხდება), არამედ კონფლიქტის დარეგულირების გრძელვადიან სტრატეგიაზე უნდა იყოს ორიენტირებული და მან უნდა გაიაროს ტრანზიცია–ტრანსფორმაცია–შერიგების ფაზები. (Lederach, 1996, გვ. 50)

როგორც ზემოთ აღინიშნა, ტრანსფორმაციული მშვიდობის მშენებლობა ცდება კონფლიქტის მოგვარებას ან დარეგულირების გამარტივებულ გაგებას. პირიქით, ლედერაქის მიხედვით კონფლიქტის ტრანსფორმაცია მოიცავს პოზიტიური ცვლილებების მოხდენას კონფლიქტის ოთხ განზომილებაში – პერსონლურ, ურთიერთობით, სტრუქტურულ და კულტურულ განზომილებებში (Lederach, 1997, გვ. 82).

კონფლიქტის ტრანსფორმაციის პერსონალური განზომილება მოიცავს იმ ცვლილებებს, რომელიც ინდივიდუალური ხასიათისაა. მას მიეკუთვნება კონფლიქტის ემოციური, აღქმითი და სულიერი ასპექტები, რომელიც ინდივიდებზე საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს, მაგალითად მათ ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, თვითშეფასებაზე, ემოციურ სტაბილურობაზე, რაციონალურ აღქმადობასა თუ სულიერ სიმხნევეზე (Lederach, 1997, გვ. 82).

კონფლიქტის ტრანსფორმაციის ურთიერთობითი განზომილება მოიცავს ცვლილებებს კონფლიქტის მხარე ინდივიდებსა თუ ჯგუფებს შორის ურთიერთკავშირის პროცესში. ურთიერთობით დონეზე კონფლიქტის ტრანსფორმაციას ხელს უწყობს კონფლიქტის მხარეებს შორის კომუნიკაციისა და ინტერაქციის გაძლიერება. ლედერაქის თქმით ეს პროცესი თავის მხრივ ცდება კონფლიქტის ხილულ ასპექტებს და იგი ზემოქმედებას ახდენს იმის ფორმირებაზე თუ როგორ აღიქვამენ მხარეები ერთმანეთს, თავად კონფლიქტს, მათ სამომავლო ურთიერთობებს, საკუთარ როლს ამ ურთიერთობებში და ზოგად მოლოდინებს (Lederach, 1997, გვ. 82). ლედერაქის მიხედვით ურთიერთობები

კონფლიქტის ტრანსფორმაციის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს. ტრანსფორმაციული მშვიდობის მშენებლობა ტრადიციული დიპლომატიისგან განსხვავებით არაა ფოკუსირებული კონფლიქტის შინაარსსა და ფორმაზე, არამედ ის მიდის უფრო ღრმად, ნაკლებად ზედაპირული პრობლემებისკენ რომელთა მოგვარების საწყისი მხოლოდ ადამიანთა ურთიერთობათა ქსელია, რომელიც შემდგომ განსაზღვრავს კონფლიქტი უფრო ფართო კონტექსტს. სწორედ ამ ურთიერთობების კონტექსტზეა დამოკიდებული მოხდება თუ არა კონკრეტული საკითხების დარეგულირება თუ პირიქით ჩიხში შეყვანა. გარდა ამისა ლედერაქის თქმით ადამიანებს სჭირდებათ ერთმანეთთან ინტერაქცია და ფიზიკური სივრცე, სადაც ისინი გამოხატავდნენ იმ ტრავმას, დანაკარგს, წყენასა და ბრახს, რომელიც მათ კონფლიქტის უსამართლობამ დაუტოვა (Lederach, 1997, გვ. 26).

რაც შეეხება სტრუქტურულ განზომილებას იგი ფარავს კონფლიქტის მიზეზებს, სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურასა და გადაწყვეტილების მიღების ინსტიტუციურ ფორმას, რომელშიც კონფლიქტი განვითარდა. თავის მხრივ კულტურული განზომილება ფარავს იმ ცვლილებებს, რომელიც კონფლიქტმა წარმოშვა დაპირისპირებული ჯგუფების კულტურულ სისტემაში, ისევე როგორც თავად მათი კულტურის ცვლილების გავლენებს მშვიდობის მშენებლობის მიმდინარეობაზე (Lederach, 1997, გვ. 82).

ამრიგად, ტრანსფორმაციული მშვიდობის მშენებლობა წარმოადგენს თეორიას რომელიც ცდილობს ახსნას თუ როგორ წარმოიშობა კონფლიქტი, როგორ ვითარდება და როგორ ტრანსფორმირდება ის პერსონალურ, ურთიერთობით, სტრუქტურულ და კულტურულ დონეებზე. მოცემული თეორიული ჩარჩო ცენტრალურ როლს ანიჭებს კონფლიქტის მხარეებს შორის პირდაპირ ინტერაქციას და ურთიერთობათა ქსელს, რომელმაც კონფლიქტი ლატენტური ფაზიდან უნდა გადაიყვანოს დინამიური მშვიდობის მშენებლობისა და საბოლოოდ შერიგების ფაზებში.

3. ლიტერატურული მიმოხილვა

ნაშრომის მოცემული თავი მიზნად ისახავს მიმოხილოს ის ძირითადი ლიტერატურა რომელიც უკავშირდება ტრანსფორმაციული მშვიდობის მშენებლობის თეორიას, ისევე

როგორც სამშვიდობო პროცესებს კვიპროსსა და საქართველოში. გამომდინარე იქიდან, რომ მშვიდობის თეორიებზე მწირი ინფორმაცია არსებობს ქართულ აკადემიურ სივრცეში, ხოლო კვიპროსისა და საქართველოს კონფლიქტების სამშვიდობო პროცესების ანალიზს ცალ-ცალკე თავები დაეთმობა, ნაშრომის ამ თავში ფოკუსი გაკეთებული იქნება უფრო მეტად თეორიული ლიტერატურის მიმოხილვაზე.

1. ჯონ პოლ ლედერაქი – მშვიდობის მშენებლობა: მდრგადი შერიგება დაყოფილ საზოგადოებებში, 1997

მოცემული ნაშრომის მთავარი თეორიული ჩარჩო ჯონ პოლ ლედერაქს სწორედ აღნიშნულ წიგნში აქვს აღწერილი და გამოკვლეული. 1997 წელს დაწერილი ეს წიგნი, როცა სამყარო ერთბაშად მოცული იყო უამრავი შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტებითა თუ ეთნიკური დაპირსპირებებით, წარმოადგენდა მნიშვნელოვან შენატანს იმის ახსნაში, თუ რა მახასიათებლები აქვს თანამედროვე შეიარაღებულ კონფლიქტებს და რა თეორიული და პრაქტიკული გზები არსებობს იმისთვის, რომ მოხდეს მშვიდობის მშენებლობა და კონფლიქტის კონსტრუქციული ტრანსფორმაცია ომით დაყოფილ საზოგადოებებში. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ლედერაქი იყენებს მის ფართო გამოცდილებას, რომელიც მან დააგროვა მედიატორისა თუ პრაქტიკოსი მშვიდობის მშენებლის რანგში მსოფლიოს გარშემო.

ლედერაქის დაკვირვებით კონფლიქტების უმეტესობა ახასიათებს იმ რეგიონებს, რომლებიც ღარიბ, განვითარებად ქვეყნებს აერთიანებენ, სადაც დაბალია დემოკრატიული ტრადიციები და შეზღუდულია მოსახლეობის ფართო ნაწილის გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესში (Lederach, 1997, გვ. 6). გარდა ამისა, მისი მოსაზრებით 1990-იან წლებში კონფლიქტების მოჭარბება პირდაპირ კავშირშია ცივ ომთან, ვინაიდან მან მსოფლიოს დაუტოვა ინსტიტუციურად დაყოფილი პოლიტიკური სივრცე და ჭარბი იარაღი, განსაკუთრებით კი მსუბუქი შეიარაღება (Lederach, 1997, გვ. 6-7). წიგნში ლედერაქი ასევე შლის მშვიდობის მშენებლობის ფართო თეორიულ სპექტრს, სადაც იგი

ავითარებს კონფლიქტის ტრანსფორმაციის ინტეგრირებულ მიდგომას, იმ პარადიგმას, რომელიც ზემოთ, თეორიულ ნაწილში გაანალიზდა.

2. ვოლფგანგ დიტრიხი – გამომვლენი კონფლიქტის ტრანსფორმაცია და ტრანსრაციონალური ცვლილება მშვიდობის პოლიტიკაში, 2013

ლედერაქის იდეების თეორიულ ინტერპრეტაციასა და განვრცობაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ინსბრუკის უნივერსიტეტის პროფესორს – ვოლფგანგ დიტრიხს. მის 2013 წელს გამოქვეყნებულ წიგნში – „გამომვლენი კონფლიქტის ტრანსფორმაცია და სამშვიდობო პოლიტიკის ტრანსრაციონალური ცვლილება“ იგი ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ჭრილში განიხილავს ლედერაქის თეორიას. მისთვის მშვიდობის მშენებლობის ამოსავალი წერტილია ფორმულა, რომლის მიხედვით გარე სამყაროს ტრანსფორმაცია ადამიანის მიერ შინაგანი არსებობის შეცნობით იწყება. ამ კუთხით დიტრიხის წიგნი ფსიქოანალიტიკურ ნაშრომადაც კი შეიძლება იქნას მიჩნეული.

ვოლფგანგ დიტრიხის თქმით კონფლიქტის არსებობა არა ნეგატიური, არამედ პოზიტიური მოვლენაა, ვინაიდან იგი მხარეებს შორის ინტერაქციის არსებობაზე მიუთითებს, შესაბამისად მისი ტრანსფორმაცია თავად დისფუნქციურ სისტემაში არსებული ენერჯის სწორი გამოყენებით უნდა მოხდეს (Dietrich, 2013, გვ. 6–14) სწორედ ამიტომ, დიტრიხის თქმით გამომვლენი კონფლიქტის ტრანსფორმაცია ერთდროულად წარმოადგენს მეთოდს, ხელოვნებასა და მეცნიერებას, რომლის საფუძველში მდებარეობს ადამიანებს, ჯგუფებსა და თემებში არსებული ცოდნა, ღირებულებები და კომუნიკაციის ტექნიკები.

აღნიშნულ წიგნში დიტრიხი ხაზს უსვამს, რომ ძალადობრივი კონფლიქტის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანია მხარეებს შორის ღრმა კულტურულ დონეზე აღდგეს კომუნიკაცია. წიგნში დიტრიხი ცდილობს პასუხები გასცეს ისეთ მნიშვნელოვან კითხვებს, როგორცაა ის თუ რა ფილოსოფიური საფუძვლები აქვს კონფლიქტის ტრანსფორმაციის; რა მნიშვნელობა ენიჭება ამ მეთოდს მშვიდობის თანამედროვე სწავლებასა და მის მშენებლობაში; რის საფუძველზე ერევან დაპირისპირებაში მესამე მხარეები კონფლიქტის ტრანსფორმაციის დროს და სხვ.

3. კოლინ ნოქსი და პადრაიკ ქუირკი – მშვიდობის მშენებლობა ჩრდილოეთ ირლანდიაში, ისრაელსა და სამხრეთ აფრიკაში: ტრანზიცია, ტრანსფორმაცია და შერიგება, 2001

ლიტერატურაში, რომელშიც ამა თუ იმ კონფლიქტისა და სამშვიდობო პროცესის ასახსნელად ჯონ პოლ ლედერაქის თეორიაა გამოყენებული, განსაკუთრებულად გამოირჩევა ჩრდილოეთ ირლანდიური ავტორების კოლინ ნოქსისა და პადრაიკ ქუირკის 2001 წელს გამოცემული წიგნი – „მშვიდობის მშენებლობა ჩრდილოეთ ირლანდიაში, ისრაელსა და სამხრეთ აფრიკაში: ტრანზიცია, ტრანსფორმაცია და შერიგება.“ მოცემულ წიგნში ლედერაქის ტრანსფორმაციული მშვიდობის მშენებლობის თეორიის სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე შესწავლილია ის საკითხები, რომლებმაც შეიძლება ბაზისი შუექმნას ამ სამ ქვეყანაში გრძელვადიანი, მდგრადი მშვიდობის ჩამოყალიბებას.

წიგნის ავტორები ჩრდილოეთ ირლანდიაში, ისრაელსა და პოსტ-აპართეიდულ სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე მშვიდობის მშენებლობის პროცესს საზოგადოების ლედერაქისეული სამდონიანი ანალიზის ფარგლებში სწავლობენ. მათი თქმით, ჩრდილოეთ ირლანდიისა და სამხრეთ აფრიკის მთავრობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ძალადობის დასრულებაში, ვინაიდან ისინი მონაწილეობდნენ მაღალი დონის მოლაპარაკებებში და ხელს უწყობდნენ კონფლიქტის პოლიტიკური კომპონენტის დარეგულირებას. ჩრდილოეთ ირლანდიის შემთხვევაში ეს გამოიხატა 1998 წლის ბელფასტის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით, სამხრეთ აფრიკის შემთხვევაში კი 1994 წელს პირველი მულტირასობრივი არჩევნების ჩატარებითა და დემოკრატიული მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებით. რაც შეეხება ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო პროცესს, აქ ისრაელის მთავრობა უფრო მეტად მიმართულია მშვიდობის დამყარებისკენ, ვიდრე ლედერაქისეული გაგებით მისი მშენებლობისკენ, რაც აძნელებს პოზიტიური ცვლილებების მიღწევას (Knox and Quirk, 2001, გვ. 197–200).

ნოქსისა და ქუირკის აღწერით, სამშვიდობო პროცესებში საზოგადოების ქვედა და საშუალო ფენების ჩართულობის ხარისხი ასევე განსხვავებულია სამივე ქვეყანაში. ჩრდილოეთ ირლანდიაში სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო სექტორი საკმაოდ

აქტიურად მონაწილეობს სათემო დონეზე ნდობის აღდენაში, რასაც ხელს უწყობს დიდი ბრიტანეთის მთავრობისა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერა. მიუხედავად ამისა, ნაკლები ენთუზიაზმი შეიმჩნევა შუა რგოლის ლიდერებს შორის. მაგალითად, ჩრდილოეთ ირლანდიის ბიზნეს სექტორი მხარს უჭერს კონფლიქტის დარეგულირებას იმ მარტივი მოტივით, რომ არასტაბილურობა აფერხებს ეკონომიკურ ზრდას, მის მიღმა კი ნაკლებად ინტერესდება ამ საკითხით. პრობლემას წარმოადგენს ასევე კათოლიკური საშუალო კლასის არასაკმარისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, ვინაიდან მათ შორის უმუშევრობა ორჯერ უფრო მაღალია ვიდრე პროტესტანტ ირლანდიელებში. რაც შეეხება სამხრეთ აფრიკას აქ მშვიდობის მშენებლობაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა მოსახლეობის ქვედა და საშუალო ფენა, განსაკუთრებით კი რელიგიური ლიდერები და რელიგიურ-საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მაგ. არქიეპისკოპოსი დეზმონდ ტუტუ, სამხრეთ აფრიკის ეკლესიებისა და ეპისკოპოსების საბჭო, სამხრეთ აფრიკის პროფკავშირების კონგრესი, ერთიანი დემოკრატიული ფრონტი და სხვ. გარდა ამისა წიგნის ავტორები განსაკუთრებულ ხაზს უსვამენ 1994 წელს სამხრეთ აფრიკის მთავრობის მიერ ინიცირებულ „რეკონსტრუქციისა და განვითარების პროგრამას“, რომელმაც ერთგვარი სოციალურ-ეკონომიკური ჩარჩო შექმნა ქვეყნის ინკლუზიური განვითარებისა და მოსახლეობის ქვედა ფენის კეთილდღეობისთვის, რათა ისინი კიდევ უფრო მეტად ჩართულიყვნენ მშვიდობისა და უსაფრთხოების გაძლიერებაში (Knox and Quirk, 2001, გვ. 200–208).

წიგნის ბოლო ნაწილში ავტორები ცდილობენ ლედერაქის „ტრანზიცია – ტრანსფორმაცია – შერიგების“ ღერძზე მოათავსონ განხილული სამი კონფლიქტი. მათი ანალიზით ჩრ. ირლანდიის კონფლიქტი უკვე გადასულია შერიგების ფაზაში. პოლიტიკური ფაქტორების გარდა ამაზე ნათლად მიაჩნება ძალადობის მსხვერპლთათვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობა. მაგალითად, 1997 წელს, ჩრ. ირლანდიის მთავრობამ შექმნა სპეციალური კომისია მათი პატივის მისაგებად, გარდა ამისა შეიქმნა ფსიქოლოგიური ტრავმის სარეაბილიტაციო ცენტრი, ასევე დაარსდა მემორიალური ფონდი მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად. რაც შეეხება

ისრაელ–პალესტინის კონფლიქტსა და სამხრეთ აფრიკას, პირველის შემთხვევაში ნოქსი და ქუირკი მიიჩნევენ, რომ იგი ტრანზიციის ფაზაშიც კი არაა, ვინაიდან ისრაელი სულ უფრო აძლიერებს პალესტინის ოკუპაციას და ამძიმეს პალესტინელების უფლებრივ მდგომარეობას. სამხრეთ აფრიკის შემთხვევაში სიტუაცია ბევრად უკეთაა, ვინაიდან სულიერი და რელიგიური თერაპიის წყალობით კონფლიქტი ტრანსფორმაციას ფაზაშია შესული, მაგრამ მის პროგრესს ქვეყნის მძიმე სოციალურ–ეკონომიკური ფონი აფერხებს (Knox and Quirk, 2001, გვ. 208–2015).

4. ტანია პაფენჰოლცი – საერთაშორისო მშვიდობის მშენებლობის ლოკალიზაცია: ლედერაქის კონფლიქტის ტრანსფორმაციის თეორიის ანალიზი და მისი ამბივალენტური გამოყენების 20 წლიანი პრაქტიკა, 2013

მოცემულ აკადემიურ სტატიაში „საერთაშორისო და განვითარების კვლევების ჟენევის ინსტიტუტის“ მკვლევარი ტანია პაფენჰოლცი კონკრეტული მაგალითების საფუძველზე სწავლობს კავშირს ლედერაქის მიერ იდენტიფიცირებულ საზოგადოების დონეებს შორის და კრიტიკულად აანალიზებს ტრანსფორმაციული მშვიდობის მშენებლობის თეორიის პრაქტიკულ განხორციელებას მსოფლიოს გარშემო. პაფენჰოლცი ეთანხმება ლედერაქს იმაში, რომ I დონის აქტორები ყველაზე მეტად ახდენენ გავლენას მშვიდობის მშენებლობაზე, ვინაიდან მათი ქმედებები პირდაპირ განსაზღვარებენ II დონის აქტორების მუშაობას, რაზეც შემდგომ პირდაპირაა დამოკიდებული როგორი იქნება სინთეზი I და III დონის აქტორების ქმედებებს შორის. ავტორი ამ გავლენებს შეისწავლის თურქეთის მაგალითზე, სადაც სახელმწიფოს პოლიტიკა ქურთებს უბიძგებს საკუთარი უფლებების დასაცავად ძალადობას მიმართონ და მხარი დაუჭირონ „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ ქმედებებს. სტატიაში ასევე განხილულია ისრაელისა და პალესტინის მაგალითი, სადაც პოლიტიკური ლიდერების გადაწყვეტილებები პირდაპირპორციულად აისახება II დონეზე მიმდინარე დიალოგის დინამიკაზე. საინტერესოა, რომ ავტორი გარკვეულწილად თვითმყოფად პროცესად აღიქვამს მშვიდობის მშენებლობას ლოკალურ III დონეზე, რაშიც მას ავლანეთის მაგალითის შესწავლა ეხმარება. მისი თქმით თალიბანის მმართველობის

დროს, ხშირად ტრადიციული მედიაცია ერთადერთი გზა იყო თალიბანსა და სხვადასხვა ავღანურ თემებს შორის დიალოგის ფასილიტაციისთვის (Paffenholz, 2013, გვ. 22).

ტანია პაფენჰოლცის თქმით, ჯონ პოლ ლედერაქის თეორიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მშვიდობის მშენებლობის ლოკალიზებაზე, რამაც ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებების გაძლიერება გამოიწვია. მიუხედავად ამისა, ეს პროცესი ისე განვითარდა, რომ მას თან არ ახლდა საკმარისი კვლევა და კრიტიკული განხილვა. 20 წლიანმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ ლედერაქის იდეების ძალიან ვიწრო ინტერპრეტაცია მოახდინა, რამაც რესურსების უდიდეს ნაწილს საზოგადოების მხოლოდ ერთ ჯგუფში, კერძოდ კი არასამთავრობო სექტორში მოუყარა თავი. თავის მხრივ ეს არასამთავრობო ორგანიზაციები უმეტესად ელიტარული, დახურული და ურბანული ტიპის არიან და არ აქვთ დიდი გავლენა საზოგადოებაზე. ამ ფაქტის გამო პაფენჰოლცი საერთაშორისო დონორებს ლოკალური მშვიდობის მშენებლობის ზედმეტ რომანტიზაციაში ადანაშაულებს, რასაც საბოლოო ჯამში მშვიდობის „მონეტიზაციამდე“ მივყავართ (Paffenholz, 2013, გვ. 20).

სტატიაში განხილული შემთხვევების საფუძველზე ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ II და III დონის აქტორებს შორის, საზოგადოებაში ყველაზე დიდი გავლენა ტრადიციულ და მასობრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს აქვთ, რომელთაც უფრო მეტი უნარი შესწევთ ხელი შეუწყონ სოციალიზაციასა და ეროვნულ დონეზე დაპირისპირებულ მხარეებს შორის დიალოგის წახალისებას. ამსთან, მნიშვნელოვანია ქალთა ჯგუფების ჩართულობა სამშვიდობო პროცესებში, რაც დასტურდება ნეპალის, გვატემალასა და შრი-ლანკას პოზიტიური გამოცდილებით (Paffenholz, 2013, გვ. 21).

5. მიქალის სტავროუ მაიკლი – კვიპროსის კონფლიქტის მოგვარება: მოლაპარაკებების ისტორია, 2009

აღნიშნული წიგნი წარმოადგენს ერთ–ერთ ფუნდამენტურ ნაშრომს, რომელიც კვიპროსის კონფლიქტისა და სამშვიდობო მოლაპარაკებების ისტორიას ანალიზებს. წიგნი საკმაოდ კომპლექსურია, გამომდინარე იქიდან, რომ იგი ითვალისწინებს ყველა იმ შესაძლო

კონტექსტს, რომელიც გავლენას ახდენდა სამშვიდობო დინამიკაზე, იქნებოდა ეს ფართო გლობალური პოლიტიკური განზომილება, რეგიონული, სადაც უმთავრეს როლს საბერძნეთისა და თურქეთის ურთიერთობები თამაშობდნენ თუ ლოკალური, სადაც მთავარი ფოკუსი კვიპროსის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს შორის ბიკომუნალურ ურთიერთობებზეა გაკეთებული. წიგნის ავტორი იყენებს პროცესის მიდევნების მეთოდს და ცდილობს კვიპროსის კონფლიქტის ყველაზე ღრმა ფესვებს ჩაწვდეს, რისთვისაც იგი სიტუაციის ანალიზს ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან იწყებს, როცა კუნძული ბრიტანეთის იმპერიის კოლონია გახდა.

მოცემული წიგნი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ჩრდილოელი და სამხრეთ კვიპროსელი ლიდერების პიროვნულ ანალიზსა და მათ სამშვიდობო პოლიტიკას, ასევე ისეთი გარე ძალების ჩართულობას, როგორც გაერო და ევროკავშირია. ნაშრომი ასევე დეტალურ ანალიზებს დატვირთულ 2003–2004 წლებს, როცა „ანანის გეგმა“ ჩავარდა და კვიპროსის რესპუბლიკა ევროკავშირის წევრად მიიღეს. საინტერესოა, რომ ნაშრომი პესიმისტური შეფასებებით მთავრდება, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ კონფლიქტის მოგვარების გაჭიანურებამ მხარეებს ინტერესი დააკარგვინა დაარღვიონ არსებული კომფორტული „სტატუს–კვო“ (Michael, 2009).

6. ანდრეკოს ვარნავა და ჰუბერტ ფაუსტმანი – კვიპროსის ხელახალი გაერთიანება: ანანის გეგმა და მის მიღება, 2009

მოცემული წიგნი წარმოადგენს აკადემიური სტატიების ნაკრებს, რომელიც კონკრეტულად გაეროს ყოფილი გენერალური მდივნის კოფი ანანის მიერ წარმოდგენილ 2004 წლის კვიპროსის გაერთიანების გეგმას ეხება. წიგნი სიღრმისეულად სწავლობს მოცემული გეგმის შემუშავების, მისი რეფინდუმზე გატანის, პროპაგანდის, მოლაპარაკებების, მხარეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სოციალურ, პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებს, ისევე როგორც ამ გეგმის ჩავარდნის შემდგომ ურთიერთობებს ჩრდილოეთ და სამხრეთ ნიქოზიას შორის.

წიგნში სიღრმისეულადაა გამოკვლეული ის მიზეზები, რამაც გეგმის წარუმატებლობა განაპირობა. ავტორები ერთ–ერთ ასეთ მიზეზად „ანანის გეგმის“ კონსტიტუციურ გაუმართაობას ასახელებენ, რომელიც მისი ბუნდოვანების გამო იმთავითვე განწირული იყო იმისთვის, რომ ვერ იმუშავებდა გრძელვადიან პერსპექტივაში გარდა ამისა ავტორების მიხედვით, „ანანის გეგმის“ ავტორებისთვის უმთავრეს მიზანს არა „კვიპროსის გაერთიანებული რესპუბლიკის“ ინტერესები, არამედ გარე ძალების ინტერესები წარმოადგენდა, რომელთაც ფართო რეგიონული სტაბილურობის მიღწევის მიზანი ამოძრავებდათ. (Varnava and Faustmann, 2009, გვ. 95-104)

7. სვანტე კორნელი – ავტონომია და კონფლიქტი: ეთნოტერიტორიალობა და სეპარატიზმი სამხრეთ კავკასიაში – საქართველოს შემთხვევები, 2002

შვედი ავტორის სვანტე კორნელის ეს წიგნი ერთ–ერთი ფუნდამენტური ნაშრომია, რომელიც სიღრმისეულად იკვლევს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში წარმოშობილ კონფლიქტებსა და მათ ისტორიულ ფესვებს. მიუხედავად იმისა, რომ კორნელი ასევე აანალიზებს აჭარისა და ჯავახეთის პრობლემატურ შემთხვევებს, ნაშრომი უმეტესად ფოკუსირებულია სწორედ ქართულ–აფხაზური და ქართულ–ოსური კონფლიქტების წარმოშობისა და განვითარების ეტაპებზე.

კორნელის თქმით, საბჭოთა კავშირის ორმაგმა რღვევამ, როცა ერთი მხრივ დაინგრა თავად სახელმწიფო, როგორც ინსტიტუციური ერთობა ხოლო მეორე მხრივ, როგორც იდეური კონსტრუქტი, გამოიწვია მნიშვნელოვანი პოლიტიკური კატაკლიზმები, რომელთან გამკლავებაც გამოუცდელი და დემოკრატიული ტრადიციის არმქონე საზოგადოებებისთვის ერთობ რთული აღმოჩნდა (Cornell, 2002, გვ. 225). ამას ემატება ისიც, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში გაღვივებულმა ეთნიკურმა ცნობიერებამ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მნიშვნელოვნად განსაზღვრა მათი სამომავლო კავშირი დანარჩენ საქართველოსთან (Cornell, 2002, გვ. 142–153). ამ ჭრილში წიგნი საინტერესოა იმიტაც, რომ მასში აღწერილია 1990–იანი წლების სამშვიდობო დინამიკა საქართველოში,

როცა საწყის ეტაპზე თბილისს ჰქონდა რამდენიმე შესაძლებლობა მოვლენები მისთვის ხელსაყრელად შემოეტრიალებინა.

8. ვალტერ ფაიხტინგერი, ერნს ფელბერბაუერი და პრედრაგ იურეკოვიჩი – ჩავარდნილი პრევენცია: საქართველოს შემთხვევა, 2010

2010 წელს გამოცემული ეს წიგნი, რომელსაც ათზე მეტი ავტორი ჰყავს, სიღრმისეულად აანალიზებს საქართველოს სამშვიდობო პროცესების დინამიკას 1990–იანი წლებიდან 2008 წლამდე. წიგნი საინტერესოა იმ კუთხით, რომ მას თანაბრად ჰყავს ქართველი, აფხაზი, ოსი და უცხოელი ავტორები, რომლებიც საკუთარი პრიზმიდან აანალიზებენ იმ სამშვიდობო ინიციატივებსა და ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობებს, რომელსაც შეეძლო ქართულ–აფხაზური და ქართულ–ოსური კონფლიქტების პოზიტიური ტრანსფორმაცია. აღსანიშნავია ისიც, რომ ავტორთა უმეტესობა თავად იყო ჩართული ოფიციალურ სამშვიდობო მოლაპარაკებებსა თუ სამოქალაქო დიალოგში, შედეგად წიგნი მნიშვნელოვან ფაქტობრივ მასალას იძლევა მოლაპარაკების ისეთ საეტაპო პერიოდებზე, როგორც 1995–1998 და 2004–2006 წლები იყო. წიგნში ფოკუსია გაკეთებული ასევე საქართველოს მთავრობების სამშვიდობო პოლიტიკის შედარებაზე, თუ რა მიდგომები ჰქონდოდა „ვარდების რევოლუციამდე“ და მის შემდგომ ხელისუფლებებს კონფლიქტური რეგიონების მიმართ (Feichtinger, Felberbauer and Jureković, 2010)

4. მშვიდობის მშენებლობის დინამიკა კვიპროსზე 1974–2017 წლებში

კვიპროსის თანამედროვე ისტორიას ხშირად „ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების ისტორიას“ უწოდებენ. კუნძულმა, რომელსაც ანტიკოლონიალური ბრძოლისა და შიდა ეთნიკური შუღლის დიდი გამოცდილება აქვს, ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობა 1960 წელს მოიპოვა, თუმცა მოპოვებული დამოუკიდებლობა ბოლომდე მაინც არ უზრუნველყოფდა კვიპროსის შიდა საქმეებში მისი უსაფრთხოების გარანტორი სამი

სახელმწიფოს - თურქეთის, საბერძნეთისა და გაერთიანებული სამეფოს - ჩაურევლობას (Michael, 2009, გვ. 26–27).

კვიპროსი მისი გეოსტრატეგიული მდებარეობისა და ერთმანეთის მიმართ ანტაგონისტურად განწყობილი ეთნიკურად ბერძენი და თურქი მოსახლეობის გამო, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ერთდროულად გახდა შიდა დაპირისპირებისა და ამ დაპირისპირებაში გარე ძალების ჩარევის მსხვერპლი. 1963 წელს დაგეგმილი საკონსტიტუციო ცვლილებების წინააღმდეგ პროტესტით გამოწვეულმა ინტერკომუნალურმა დაპირისპირებამ ბერძენ და თურქ კვიპროსელებს შორის 30 000 ადამიანის იძულებით გადაადგილება გამოიწვია, რასაც მომდევნო 1964 წლის მარტში კუნძულზე გაეროს სამშვიდობო მისიის განთავსებაც მოჰყვა. (Tzimitras and Hatay, 2016, გვ. 2). 1974 წელს, როცა ირედენტისტულად განწყობილმა ბერძენმა კვიპროსელებმა ათენის დახმარებით ნიქოზიაში მთავრობის გადატრიალება მოაწყეს, ანკარამ თურქი მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის საბაზით კუნძულზე სამხედრო ინტერვენცია განახორციელა. ინტერვენციის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირად იქცა კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრები 150 000 ბერძენი კვიპროსელი და კუნძულის სამხრეთ ნაწილში მცხოვრები 55 000 თურქი კვიპროსელი (Tzimitras and Hatay, 2016, გვ. 2–3). გარდა ამისა, ამ მომენტიდან დაიწყო კუნძულის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს შორის სრული ფიზიკური გათიშულობა, რომელმაც თითქმის 30 წელს გასტანა. ნიქოზიაზე გამავალი სადემარკაციო „მწვანე ზოლი“, რომელიც დღემდე ერთგვარ ბუფერულ ზონას წარმოადგენს, კუნძულის ფიზიკური, დემოგრაფიული და პოლიტიკური გაყოფის სიმბოლოდ იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ 1974 წლის შემდეგ კვიპროსში ძალადობა და შეიარაღებული დაპირისპირება მინიმუმამდე იქნა დაყვანილი, ბერძნულ და თურქულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენა უდიდეს გამოწვევად გადაიქცა. ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილმა საზოგადოებებმა და მათი ლიდერებმა განვითარების განსხვავებული და ერთმანეთისგან დამოუკიდებელი გზები აირჩიეს. ჩრდილოეთ კვიპროსი იზოლირდა და

უმეტესად თურქეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეს მიეზღვა, მაშინ, როცა ბერძენმა კვიპროსელებმა მიზნად დემოკრატიული, დასავლური სახელმწიფოს შენება დაისახეს.

ამგვარმა ერთმანეთისგან მოწყვეტილმა ნაციონალურმა პროექტებმა მომდევნო ათწლეულების განმავლობაში ნეგატიური როლი ითამაშეს სამშვიდობო პროცესების წარმართვაზეც, რომელიც არადინამიურობით, არაპრაქტიკულობითა და სიხისტით გამოირჩეოდა. ნეგატიური განწყობების ზრდას ხელი შეუწყო 1983 წელს ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებამაც, რომელიც მხოლოდ ანკარამ აღიარა (Lönnqvist, 2008, გვ.3). მიუხედავად იმისა, რომ კუნძულის გაყოფის შემდეგ არაერთი ოფიციალური სამშვიდობო ინიციატივა გაჟღერდა გაეროს მიერ, კვიპროსის კონფლიქტის დარეგულირების შესახებ მოლაპარაკებები ე.წ. „დიპლომატების სამარედ“ გადაიქცა (Dağlı, 2017).

მშვიდობის მშენებლობის კუთხით სრულიად არადინამიური 30 წლის განმავლობაში, კვიპროსი გაერთიანებასთან ყველაზე ახლოს 2004 წლის 24 აპრილს მივიდა, როცა გაეროს იმდროინდელი გენერალური მდივნის კოფი ანანის მიერ შეთავაზებული სამშვიდობო გეგმა კუნძულის ორივე ნაწილში რეფერენდუმზე იქნა გატანილი. „ანანის გეგმის“ მთავარ პოსტულატებს კუნძულზე ორი ეთნიკური უმრავლესობის მქონე კონსტიტუციური ერთეულის შექმნა წარმოადგენდა, რომელიც ფედერალური სისტემით ერთ სახელმწიფოს ჩამოყალიბებდა. თავის მხრივ, კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში ეთნიკურად თურქული უმრავლესობის შენარჩუნება ნიშნავდა ბერძენი კვიპროსელი დევნილებისთვის მიტოვებულ საკუთრებაზე ქონების უფლების ჩამორთმევას, გამომდინარე აქედან ამგვარი ფუნდამენტური საკითხის მიუღებლობამ გამოიწვია ის, რომ ბევრისთვის გასაოცრად „ანანის გეგმას“ ბერძენი კვიპროსელების 75%-მა არ დაუჭირა მხარი, მაშინ, როცა თურქი კვიპროსელების 65% თანახმა იყო კუნძულის გაერთიანებაზე (Lönnqvist, 2008, გვ. 3).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რამაც ხელი შეუწყო ბერძენი კვიპროსელების უარს გაერთიანებაზე, იყო ევროკავშირის წევრობის მოლოდინი, რომელიც 2002 წლის შემდეგ აღარ იყო დაკავშირებული რეფერენდუმის შედეგებთან. (Tzimitras and Hatay, 2016,

გვ. 8). ამის გამო, ნიქოზია არ ჩქარობდა ჩრდილოეთ კვიპროსთან გაერთიანებას, იმ მოტივით, რომ ევროკავშირის წევრობა მას სამომავლოდ უკეთეს პოზიციაში ჩააყენებდა და მოლაპარაკების მაგიდასთან გაუმჯობესებულ პირობებს მოუტანდა, ვიდრე ეს „ანანის გეგმით“ იყო გათვალისწინებული (Tzimitras and Hatay, 2016, გვ. 9). საბოლოო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ კვიპროსის რესპუბლიკამ ბრიუსელისთვის დაკარგა მორალური არგუმენტი გაერთიანებაზე, რეფერენდუმიდან ერთი კვირის თავზე ევროკავშირში მისი გაწევრიანება უმნიშვნელოვანესი ბერკეტი აღმოჩნდა ბერძენი კვიპროსელების ხელში ჩრდილოეთ კვიპროსისა და თურქეთის წინააღმდეგ, მაშინ, როცა ეს უკანასკნელი ასევე ცდილობდა ევროკავშირში გაწევრიანების პროცედურების დაწყებას (Tzimitras and Hatay, 2016, გვ. 9).

„ანანის გეგმის“ ჩავარდნის მიუხედავად, კვიპროსზე, ერთი წლით ადრე, მოხდა უმნიშვნელოვანესი ცვლილება, რამაც გრძელვადიან პერსპექტივაში სრულიად შეცვალა კვიპროსის სამშვიდობო დინამიკა და საფუძველი დაუდო კონფლიქტის პოზიტიურ ტრანსფორმაციას. 2003 წლის აპრილში, 1974 წლის შემდეგ პირველად გაიხსნა „მწვანე ზოლი“, რამაც საშუალება მისცა მოსახლეობას ორივე მხრიდან გადაეკვეთათ გადასვლელები. პირველ ეტაპზე დე-ფაქტო საზღვრზე ორი გამშვები პუნქტი - ლედრას სასახლე და აიოს დომეტიოსი – გაიხსნა (Odenthal, 2013, გვ. 26) გახსნის პირველივე დღეს ხუთი ათასამდე ადამიანმა გადაკვეთა გამყოფი ხაზი. მომდევნო ოთხ დღეში ეს მაჩვენებელი 14 000-მდე გაიზარდა, ხოლო ორ კვირაში „მწვანე ზოლზე“ უკვე 200 000 გადაკვეთა ფიქსირდებოდა და ხშირად მანქანების რიგი რამდენიმე კმ-ს აღწევდა (Ker-Lindsay, 2011, გვ. 62). ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით 2004 წლის ბოლოს „მწვანე ზოლი“, კუნძულის სამხრეთი ნაწილიდან 2 347 792-ჯერ გადაიკვეთა, ჩრდილოეთიდან კი 3 595 979-ჯერ (Boedeltje, Houtum and Kramsch, 2007, გვ. 18).

30 წლის შემდეგ გამშვები პუნქტების გახსნამ და კონფლიქტის მხარეებს შორის ფიზიკური იზოლაციის დასრულებამ ფუნდამენტურად შეცვალა კონფლიქტის მიმდინარეობა ადამიანურ დონეზე. 180 კმ სიგრძის სასაზღვრო ზოლი, რომელიც სხვადასხვა იდეოლოგიისა თუ პოლიტიკური კონტექსტის მიხედვით „მწვანე ზოლად“, „ცეცხლის

შეწყვეტის ხაზად“, „მკვდარ ზონად“, „გამყოფ ხაზად“, „ატილას ხაზად“, „საზღვრად“ თუ „არავის მიწად“ იწოდებოდა, 2003 წლის შემდეგ კუნძულის გაყოფის ნაცვლად, მისი გამაერთიანებლად გადაიქცა. პირველად შეიარაღებული ძალადობის დასრულების შემდეგ, ბერძენ და თურქ კვიპროსელ დევნილებს მათი სახლებისა და მშობლიური მიწის მონახულების საშუალება მიეცათ. კვიპროსელი მკვლევრების მარია ჰაჯიპავლოუს და ბულენ კანოლის თქმით, „ადამიანებს ამიერიდან უკვე ფიზიკურად შეეძლოთ გაერთიანებულიყვნენ იმასთან, რაც მათ გონებაში მხოლოდ აბსტრაქტულადაა იყო შემორჩენილი: დაკარგული მეგობრები, საცხოვრებელი სახლები, სოფლები სადაც გაიზარდნენ და ა.შ. შესაძლებლობა, რომელიც მათ მიეცათ, რომ გადაეკვეთათ გამყოფი ხაზი მოგაზაურეობაზე მეტი იყო, რომელსაც თავისი გავლენა ჰქონდა და რომელიც ხელს უწყობდა ნდობის აღდგენას“ (Hadjipavlou and Kanol, 2008, გვ. 34).

მართლაც, ფიზიკური იზოლაციის დასრულება კვიპროსის კონფლიქტის მხარეებს შორის გახდა ნდობის აღდგენის ის უმნიშვნელოვანესი ღონისძიება (CBM – Confidence Building Measure), რომელმაც მომდევნო წლებში საფუძველი დაუდო კუნძულზე სტერეოტიპების, მტრის ხატის, ეთნიკური და რელიგიური დაყოფის შესუსტებას. გადასასვლელების გახსნამ ხელი შეუწყო ადამიანებს შორის ფიზიკური ინტერაქციის აღდგენას, რაც „გადადინების ეფექტით“ მნიშვნელოვანი სტიმული აღმოჩნდა ჩრდილოეთ და სამხრეთ კვიპროსს შორის ვაჭრობის დასაწყებად და ეკონომიკური კავშირების აღსადგენად. გარდა ამისა 2006 წელს გაეროს ეგიდით მოხერხდა დაკარგული ადამიანებისთვის ბიკომუნალური კომიტეტის დაარსება, რომელსაც კონფლიქტის დროს გარდაცვლილი ადამიანების ცხედრების იდენტიფიცირება და მათი ნათესავებისთვის დაბრუნება ევალებოდათ (Lönnqvist, 2008, გვ.3).

აღსანიშნავია, რომ თავის მხრივ ეს ყველაფერი კუნძულზე ფართომასშტაბიანი სამშვიდობო პროცესის ლოკომოტივად გადაიქცა, რომელმაც რამდენიმე წელში საზოგადოების ქვედა, ადამიანურ დონეზე ხელსაყრელი გარემოება შექმნა კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის. ამგვარმა „კავშირების პოლიტიკამ“ კვიპროსზე სრულიად ახალი რეალობა მოიტანა, ვინაიდან ადამიანურ დონეზე კონფლიქტის განმუხტვამ საფუძველი

გაუძლიერა ოფიციალურ მოლაპარაკებებსაც, თანაც იმგვარად, რომ მათი პერიოდული კოლაფსი ფართო ნეგატიურ გავლენას ვეღარ ახდენდა ქვედა დონეზე აღდგენილ ურთიერთობებზე. მაგალითად, „ანანის გეგმის“ ჩავარდნის შემდეგ ოთხი წლის განმავლობაში მოლაპარაკებები კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტს ტასოს პადაპოლუსსა და ჩრდილოეთ კვიპროსის ლიდერს მეჰმეთ ალი ტალატს შორის სრულიად შეჩერებული იყო, მაშინ, როცა იმავე პერიოდში „მწვანე ზოლის“ ორივე მხარეს ადამიანური და ეკონომიკური კავშირები განხურებლად იზრდებოდა (Peace Economics Consortium, 2011, გვ. 11).

კვიპროსის სამშვიდობო პროცესისთვის მერყევი გამოდგა 2008–2011 წლების პერიოდიც, თუმცა მოლაპარაკებებმა ახალი დინამიკა შეიძინა 2015 წელს, როცა ჩრდილოეთ კვიპროსის ლიდერად აირჩიეს მუსტაფა აკინჩი, რომელიც კუნძულის გაერთიანების იდეის მხარდაჭერით იყო ცნობილი. თავის მხრივ, 2013 წელს ბერძენი კვიპროსელების მიერ არჩეული ნიკოს ანასტასიადისი ასევე იყო ის ერთადერთი ლიდერი, რომელიც ჯერ კიდევ 2004 წელს უჭერდა მხარეს „ანანის გეგმას“, შესაბამისად კუნძულის გაერთიანების მომხრე ლიდერების დაწინაურებამ ახალი ოპტიმიზმი გააჩინა „მწვანე ზოლის“ ორივე მხარეს (Dağlı, 2017).

ჟენევაში, 2016 წელს გაეროს ეგიდით დაწყებული და დღემდე მიმდინარე მოლაპარაკებები მრავალხმრივ ფორმატში განახლდა, რომელიც მაგიდასთან თავს უყრის სამხრეთ და ჩრდილოეთ კვიპროსის პრეზიდენტებს, ადგილობრივი პოლიტიკური პარტიების ლიდერებს, გაეროს სპეციალურ წარმომადგენელს კვიპროსში, ევროკომისიისა და თურქეთის, საბერძნეთისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებს (Janik, 2017). მიმდინარე მოლაპარაკებები ეხება ბიზონალური, ბიკომუნალური ფედერაციის შექმნას, ასევე ისეთ პრობლემატურ საკითხებს, როგორცაა ძალაუფლების გადანაწილება, საკუთრების უფლება და ტერიტორიული დაყოფა. მოლაპარაკებების ერთ–ერთ ყველაზე სადავო საკითხად რჩება უსაფრთხოების გარანტიებიც. როგორც ზემოთ აღინიშნა, 1960 წლის პოსტკოლონიალური „უსაფრთხოების გარანტიების შესახებ ხელშეკრულების“ დაცვის საბაზით თურქეთი კვლავ აპირებს დატოვოს კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში 30

000-მდე ჯარისკაცი, რაც ოფიციალური ნიქოზიასთვის კატეგორიულად მიუღებელია (Paul, 2017).

საბოლოო ჯამში წინააღმდეგობების მიუხედავად ავტორთა და მკვლევართა უმეტესობა თვლის, რომ მიმდინარე მოლაპარაკებები თავისი არსით ისტორიულია და ეს არის ის მომენტი, როცა 2004 წლის შემდეგ კვიპროსი ყველაზე ახლოსაა მისული გაერთიანებასთან, რაც საკმარისი პოლიტიკური ნებისა და მზაობის შემთხვევაში სრულიად შესაძლებელია. მეორეს მხრივ 2003 წელს გახსნილი „მწვანე ზოლი“ კვლავ უდიდეს როლს ასრულებს კონფლიქტით გახლეჩილი საზოგადოებების გაერთიანებაში.¹

5. მშვიდობის მშენებლობის დინამიკა საქართველოში 1992–2017 წლებში

კვიპროსისგან განსხვავებით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ორი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი დაატყდა თავს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ნაშრომის მოცემული თავი ამ კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესს 2008 წლამდე ორ პარალელურ ხაზად ანალიზებს, 2008 წლის შემდეგ კი რუსული ოკუპაციის გამო, მანამდე არსებული ორმხრივი ურთიერთობები თბილისსა და სოხუმს და თბილისსა და ცხინვალს შორის ერთ ჭრილში ინაცვლებს.

5.1 ქართულ–ოსური სამშვიდობო პროცესები 1992–2008 წლებში

ქართულ–ოსურ სამშვიდობო პროცესის საწყის წერტილად 1992 წლის 24 ივნისი ითვლება, როცა სოჭში, ედუარდ შევარდნაძისა და ბორის ელცინის მიერ ხელი მოეწერა შეთანხმებას „ქართულ–ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპების შესახებ“ (Civil.ge, 29. 08.

¹ 2017 წლის მდგომარეობით გამყოფ ხაზზე 7 გამშენი პუნქტი მოქმედებდა. 2014 წლის მონაცემებით კი სამხრეთ კვიპროსიდან გადაკვეთების რაოდენობა 589 906-ს აღწევდა, ჩრდილოეთიდან კი 927 141-ს. (Cristou, 2015)

2008). მის მიხედვით დაპირისპირებული მხარეები ვალდებულებას იღებდნენ 1992 წლის 28 ივნისისთვის ცეცხლის სრული შეწყვეტის თაობაზე და დაუყოვნებლივი მოლაპარაკებების დაწყებას კონფლიქტის ზონაში არსებული რაიონების ეკონომიკური აღორძინებისა და ლტოლვილების დაბრუნებისთვის პირობების შექმნის შესახებ. ამასთან, შეთანხმების საფუძველზე, რუსეთის, საქართველოსა და სამხრეთ ოსური მხარის მონაწილეობით, იქმნებოდა „შერეული საკონტროლო კომისია“, რომლის დაქვემდებარებაში მყოფ „შერეულ სამშვიდობო ძალებს“ უნდა განეხორციელებინათ ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგი და დაემყარებინათ წესრიგი. აღსანიშნავია, რომ რეალურად შერეული საკონტროლო კომისიის მუშაობა სრული დატვირთვით მომდევნო წლამდე არ ამუშავებულა, ვინაიდან აფხაზეთში დაწყებულმა საომარმა მოქმედებებმა ქართულ–ოსური მოლაპარაკებები შეაფერხა (თურმანიძე, 2009, გვ. 2–3)

განახლებული მოლაპარაკებები 1993 წლის სექტემბერში დაიწყო, როცა რუსეთსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა ქართულ–ოსური კონფლიქტის ზონის დაზარალებულ რაიონებში ეკონომიკის აღდგენის შეთანხმებას (საქართველოს პარლამენტი, 2006, გვ. 6). ამავე პერიოდში განახლდა შერეული საკონტროლო კომისიის შეხვედრებიც.

ქართულ–ოსური სამშვიდობო პროცესისთვის პირველი მამტაბური პოზიტიური წარმატება დაფიქსირდა 1996 წლის მაისში, როცა ქართულ და ოსურ მხარეებს შორის მოსკოვში ხელი მოეწერა მემორანდუმს „უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ურთიერთნდობის განმტკიცებისთვის საჭირო ზომების შესახებ.“ ამ დოკუმენტით მხარეები უარს ამბობდნენ ძალისა და ზეწოლის გამოყენებაზე და მზაობას აცხადებდნენ კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციაზე, სამოქალაქო საზოგადოებებს შორის კავშირების გაძლიერებასა და კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური დარეგულირების შესახებ მოლაპარაკებების გაგრძელებაზე (საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია, 2009, გვ. 118). ამ შეთანხმებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პოლიტიკური ნდობის განმტკიცებაში, ვინაიდან მომდევნო ორი წლის მანძილზე სამხრეთ ოსეთის დე

ფაქტო ლიდერ ლუდვიგ ჩიბიროვსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის სამი შეხვედრა გაიმართა ვლადიკავკაზში, ჯავასა და ბორჯომში (სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია, 2013).

ამ შეხვედრებმა პიზიტიური როლი ითამაშეს კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე, ვინაიდან ერთი მხრივ დაიწყო სოციალური და ეკონომიკური რეაბილიტაციის მსხვილი პროექტები, მეორე მხრივ კი კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოგვარების პოლიტიკური პროცესი. საინტერესოა, რომ 1998 წლის 20 ივნისს, ბორჯომში გამართულ შეხვედრაზე, საქართველოს ფარგლებში სამხრეთ ოსეთის ავტონომიის აღდგენის შესახებ სიტყვიერი შეთანხმებაც კი იქნა მიღწეული (Вечерний Тбилиси, 2010).

1990–იანი წლების ბოლოს სტაბილურმა მშვიდობამ და პოლიტიკური ნდობის აღდგენამ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დევნილების მასობრივ დაბრუნებასაც მისცა სტიმული. 2000 წლის 23 დეკემბერს, თბილისში, რუსეთსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას „ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღდგენისა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხებში თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც მხარეებს ავალდებულებდა კონფლიქტის ზონის ეკონომიკურ რეაბილიტაციას, დევნილების დაბრუნებასა და რეინტეგრაციას (თურმანიძე, 2009, გვ. 11). ამ პერიოდში სახეზე იყო სატრანსპორტო და სავაჭრო კავშირების გაძლიერება ქართველ და ოს მოსახლეობას შორის. განსაკუთრებით საინტერესო იყო ერგნეთის ბაზრის როლი, რომელიც უდიდეს როლს თამაშობდა ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენის პროცესში, ვინაიდან იგი წარმოადგენდა სივრცეს, სადაც კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობას შეეძლო ერთმანეთთან ინტერაქცია.

კონფლიქტის ადამიანურ და ურთიერთობებით დონეზე ტრანსფორმაციის დაწყების მიუხედავად, 2000-2003 წლებში ქართულ-ოსურ პოლიტიკურ ურთიერთობებში სრულმა პასიურობამ დაისადგურა. ვითარებამ უკუსვლა მას შემდეგ დაიწყო, რაც ცხინვალის რეგიონში მოუგვარებელი სოციალური და ეკონომიკური პრობლემების ფონზე ლუდვიგ ჩიბიროვის პოპულარობა დაეცა და 2001 წლის ბოლოს გამართულ არჩევნებში, მის ნაცვლად ედუარდ კოკოითი აირჩიეს, რომლის პოლიტიკური ხედვები მისი

წინამორბედისგან საგრძნობლად განსხვავდებოდა (საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია, 2009, გვ. 127)

თავის მხრივ 2004 წელს საქართველოს ახალი მთავრობისთვის აუცილებელი იყო ძალაუფლების განმტკიცება და სახელმწიფოს კონსოლიდაცია, რასაც აშკარად ხელს უშლიდა ქვეყანაში ე.წ. „ეკონომიკური შავი ხვრელების“ არსებობა, საიდანაც ერთ–ერთი სწორედ ერგენტის ბაზარი იყო.² 2004 წლის 31 მაისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ –ერგენტში, ანტიკონტრაბანდული ოპერაცია ჩაატარა და ბაზარი დახურა (Human Rights Watch, 2009, გვ. 18–19), რამაც ადგილზე ვითარება მნიშვნელოვნად დაძაბა. მომდევნო სამი თვის განმავლობაში კონფლიქტის ზონაში სისხლისღვრა მიმდინარეობდა. ვითარების განმხუტვა მხოლოდ აგვისტოს ბოლოს მოხერხდა როცა ქართველების მიერ დაკავებული სტრატეგიული პუნქტები შერეულ სამშვიდობო ძალებს გადაეცათ (International Crisis Group, 2004, გვ. 14).

2004 წლის ზაფხულის მოვლენების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ კონფლიქტებთან მიდგომების გადახედვა დაიწყო. 2004 წლის 21 სექტემბერს, გაეროს გენერალური ასამბლეის 59-ე გამოსვლაზე, მიხეილ სააკაშვილმა კონფლიქტების დარეგულირების სამეტაპიანი გეგმა წარდგინა (სააკაშვილი, 2004). გეგმის პირველი ეტაპი მოიცავდა ნდობის აღდგენას, რომელიც პროფესიული და ადამიანური კავშირების გაძლიერებით უნდა მომხდარიყო; მეორე ეტაპი, ითვალისწინებდა კონფლიქტის ზონების დემილიტარიზაციასა და უსაფრთხოების გამყარებას; მესამე ეტაპზე კი უნდა მომხდარიყო კონფლიქტური რეგიონებისთვის ფართო ავტონომიის მინიჭება.

გაეროში მიხეილ სააკაშვილის გამოსვლიდან მალევე, 5 ნოემბერს, სოჭში, გაიმართა საქართველოს პრემიერ მინისტრის ზურაბ ჟვანიასა და ედუარდ კოკოითის შეხვედრა, სადაც გადაწყდა კონფლიქტის ზონის ეტაპობრივი განიარაღების დაწყება, ორმხრივი

²2002 წლისთვის ერგენტის ბაზარზე კონტრაბანდული საქონლის წლიური ბრუნვა 150–200 მილიონ აშშ დოლარს უტოლდებოდა (კვინიკაძე 2002).

კონტაქტების გაღრმავება და ეუთოსა და ევროკავშირთან ერთად ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელება (თურმანიძე, 2009, გვ. 15).

აღსანიშნავია, რომ ქართულ–ოსური ურთიერთობებისთვის საკმაოდ დინამიური გამოდგა 2005 წელი. 26 იანვარს, სტრასბურგში გამართულ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე მიხეილ სააკაშვილმა ცხინვალს იმაზე ფართო ავტონომიას შესთავაზა, ვიდრე ეს ჩრდილოეთ ოსეთს ჰქონდა რუსეთის ფედერაციაში (საკაშვილი, 2005). გარდა ამისა თბილისმა წარადგინა სამშვიდობო სტატეგია „საგზაო რუკა“ (საქართველოს პარლამენტი, 2006, გვ. 16), სადაც გაწერილი იყო კონკრეტული სამოქმედო ვადები, რომლის მიხედვით კონფლიქტის მოგვარების სამივე ფაზა — კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია, სოციალურ–ეკონომიკური რეაბილიტაცია და სამხრეთ ოსეთის სტატუსზე შეთანხმება — თითქმის ერთ წელში, 2006 წლის სექტემბრის ბოლოს უნდა დასრულებულიყო (GFSIS, 2005).

მიუხედავად სამშვიდობო ინიციატივებით დახუნძლული 2005 წლისა, მთელი ამ ხნის განმავლობაში ადგილზე უსაფრთხოება კვლავ მყიფე რჩებოდა. მაგალითად, 2005 წლის 1 თებერვალს, ოსმა ტერორისტებმა გორში განახორციელეს ტერაქტი, რომლის შედეგად 3 ადამიანი დაიღუპა, 30-მდე კი დაიჭრა (წამალაშვილი, 2005).

2006 წლისთვის, საქართველოს ნატოსთან დაახლოების ფონზე, მოსკოვსა და თბილისს შორის პოლიტიკური კრიზისის მომწიფება დაიწყო, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია ქართულ–აფხაზურ და ქართულ–ოსურ ურთიერთობებზე. ნათელი იყო, რომ 2006 წლის შემოდგომაზე, რუსეთთან ჩიხში შესული ურთიერთობების ფონზე,³ საქართველოს კონფლიქტებმა თანდათან ქართულ–რუსულ ჭრილში იწყეს გადასვლა.

ქართულ–ოსური სამშვიდობო პროცესის დაღმასვლისა და რუსეთის დესტრუქციული როლის გაძლიერების ნათელი ინდიკატორი იყო 2007 წლის 6 აგვისტოს ინციდენტი, როცა

³ 2006 წლის 27 სექტემბერს, საქართველოს შსს–მ ჯამუშობის ბრალდებით 4 რუსი ოფიცერი დემონსტრაციულად დააკავა, შემდეგ კი ქვეყნიდან გააძევა, რასაც მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობების უკიდურესი დამაბზვა მოჰყვა. რუსეთმა დროებით გაიწვია საკუთარი ელჩი ქვეყნიდან, გაწყვიტა სატრანსპორტო მიმოსვლა საქართველოსთან და 2000–ზე მეტ ქართველს გაუკეთა დეპორტი საკუთარი ტერიტორიიდან.

რუსეთის ორმა სამხედრო თვითმფრინავმა საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია და ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონასთან მდებარე სოფელ წითელუბანში ჭურვი ჩამოაგდო (Cornell, Starr and Smith, 2007). ბომბი არ აფეთქდა, თუმცა ეს ქართველებისთვის განგაშის ასატეხად საკმარისი მიზეზი იყო. ამ ინციდენტის შემდეგ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოება დღითიდღე უარესდებოდა. მომდევნო წლის ზაფხულში ცხინვალის მისადგომებთან სიტუაცია სრულიად უკონტროლო გახდა, რაც 2008 წლის 7 აგვისტოს სრულმასშტაბიან ქართულ-რუსულ ომში გადაიზარდა.

5.2 ქართულ-აფხაზური სამშვიდობო პროცესები 1993–2008 წლებში

სამხრეთ ოსეთისგან განსხვავებით, აფხაზეთში ომისშემდგომი ვითარება ბევრად უფრო მძიმე იყო. დაპირისპირების მასშტაბებიდან გამომდინარე 13-თვიანი შეიარაღებული კონფლიქტი საქართველოს 200 000-ზე მეტ დევნილად და ათასობით დაღუპულ და დაშავებულ ადამიანად დაუჯდა.

ქართულ-აფხაზურ სამშვიდობო პროცესს საფუძველი 1993 წლის მიწურულს, ომის დასრულებიდან რამდენიმე თვეში, გაეროს ინიციატივით ჩაეყარა. 1993 წლის 1 დეკემბერს, ჟენევაში, გაიმართა შეხვედრა, სადაც ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც მათ შორის მომავალი თანამშრომლობის საფუძველი უნდა გამხდარიყო (ბთკკ, 2008, გვ.4). მხარეები ვალდებულებას იღებდნენ მოლაპარაკებების მიმდინარეობისას თავი შეეკავებინათ ძალისა და მუქარის გამოყენებისგან. გარდა ამისა, უნდა მომხდარიყო ტყვეთა გაცვლა და შექმნილიყო ყველა პირობა დევნილების უსაფრთხოდ და მოკლევნიან ვადაში დასაბრუნებლად.

1994 წლის 4 აპრილს, სოხუმსა და თბილისს შორის ხელი მოეწერა ორ საკვანძო დოკუმენტს. პირველი ეხებოდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ზომებს, მეორე კი ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ ოთხმხრივ შეთანხმებას (Cohen, 1999, გვ. 66–69). ამ შეთანხმებების მიხედვით, მხარეები კიდევ ერთხელ იღებდნენ ვალდებულებას ძალის არგამოყენებასა და დევნილების ღირსეულ დაბრუნებაზე. გარდა ამისა, თბილისი და

სოხუმი გაეროს მოუწოდებდნენ სამშვიდობო ოპერაციის დაწყებისა და სადამკვირვებლო მისიის (UNOMIG) მანდატის გაფართოებისკენ. მხარეები ასევე თანხმდებოდნენ იმაზე, რომ აფხაზეთს ექნებოდა საკუთარი კონსტიტუცია, კანონმდებლობა და შესაბამისი სახელმწიფო სიმბოლიკა, ხოლო ძალაუფლების საბოლოო გამიჯვნასა და სტატუსზე დაიწყებოდა მოლაპარაკებები.

ქართულ–აფხაზური სამშვიდობო პროცესისთვის საინტერესო გამოდგა 1995 წელი, როცა ხელიდან იქნა გაშვებული მნიშვნელოვანი შესაძლებლობა კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირებისთვის. 1995 წლის 22 ივლისს სოხუმმა და თბილისმა მოახდინეს ქართულ–აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ ოქმის პარაფირება (Protocol on Georgian–Abkhaz Conflict Settlement, 1995), რომლის მიხედვით, მხარეები თანხმობას აცხადებდნენ ყოფილი საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში ერთიანი ფედერაციული სახელმწიფოს შექმნასა და ძალაუფლების გადანაწილებაზე, თუმცა აფხაზებმა მოგვიანებით უკან წაიღეს თავისი ხელმოწერა.

ქართულ–აფხაზური სამშვიდობო პროცესის მორიგი საეტაპო პერიოდი 1997 წელი იყო. როცა 14 აგვისტოს, აფხაზეთში კონფლიქტის დაწყების მეხუთე წლის თავზე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი პრიმაკოვის შუამავლობით თბილისში გაიმართა ვლადისლავ არძინბასა და ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა (Anchabadze, 2010, გვ. 9). აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერის ჩასვლა თბილისში მნიშვნელოვანი ფაქტი იყო, თუმცა შეხვედრის შედეგად მიღებული იყო მხოლოდდამხოლოდ ერთობლივი განცხადება, რომელიც ისევდაისევ იმეორებდა მხარეების მზადყოფნას — დაეცვათ მშვიდობა და გაეგრძელებინათ დიალოგი (Cohen, 1999, გვ. 71).

1997 წელი საინტერესო იყო ასევე იმით, რომ გაეროს ხელშეწყობით ჩამოყალიბდა ორმხრივი საკოორდინაციო კომისია რომელიც თბილისსა და სოხუმს მცირე ჰუმანიტარული საკითხების მოგვარებაში ეხმარებოდა (Stewart, 2003, გვ. 16). გარდა ამისა, ნოემბერში, ჟენევაში, გაეროს ეგიდით დაიწყო მაღალი დონის შეხვედრები ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ რუსეთი, ეუთო და მეგობართა

ჯგუფის ქვეყნები. „ჟენევის პროცესზე“ განხილული პრობლემების მოსაგვარებლად ჩამოყალიბდა საკოორდინაციო საბჭო.

დინამიური 1994–1997 წლების პერიოდში მიღწეული წარმატებები მთლიანად დაიჩრდილა 1998 წლის გაზაფხულზე, როცა გალის რაიონში, ქართველ პარტიზანებსა და აფხაზებს შორის ფართომასშტაბიანი შეიარაღებული შეტაკება მოხდა და ასეულობით გარდაცვლილის გარდა, დამატებით 30 000 ადამიანი იქცა დევნილად. ამ მოვლენამ ნეგატიური როლი ითამაშა თბილისსა და სოხუმს შორის ნდობის აღდგენაზე, რაც მომვდენო 1999 წელს, „აფხაზეთის დამოუკიდებლობის აქტის“ დე ფაქტო მიღებითა და დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩატარებით „დაგვირგვინდა“. ამ პერიოდიდან ქართულ–აფხაზური ურთიერთობები კრიზისულ ეტაპზე გადავიდა, ვინაიდან შეწყდა საკოორდინაციო საბჭოს მუშაობა და უსაფრთხოება კვლავ მყიფე რჩებოდა რეგიონში. ერთადერთი პოზიტიური ძვრა 2001 წელს „თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპების“ ე.წ. „ბოდენის დოკუმენტის“ გამოქვეყნება იყო, რომელიც კონფლიქტის დარეგულირების ზოგად ჩარჩოს ქმნიდა, თუმცა მხარეებმა არც ეს წინადადება მიიღეს (ბოდენის დოკუმენტი, 2001).

2000–იანი წლების დასაწყისი ქართულ–აფხაზური ურთიერთობებისთვის, ისევე როგორც ქართულ–ოსური სამშვიდობო პროცესის შემთხვევაში, პოლიტიკურად საკმაოდ არადინამიური ეტაპი იყო. პროცესის გამოცოცხლება შესაძლებელი გახდა 2004 წელს საქართველოს ხოლო 2005 წლის დასაწყისში აფხაზეთის დე–ფაქტო მთავრობების ცვლილებების შემდეგ. ორივე მხარეს, ახალი პოლიტიკური ძალების მოსვლის შემდეგ, მოლაპარაკებების საკითხებს შორის დაწინაურდა უსაფრთხოების გარანტიების პრობლემა, რაც 2005 წლის 7–8 აპრილს ჟენევაში გამართულ პირველივე ოფიციალურ შეხვედრაზე გამოჩნდა (UN Security Concl, 2005).

ურთიერთნდობის გაღრმავებისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა 2006 წელს, როცა 29 მარტს ირაკლი ალასანიასა და სერგეი ბაღაფშის შეხვედრა შედგა სოხუმში, სადაც სამომავლოდ ძალის არგამოყენებასა და იძულებით გადაადგილებული პირების

დაბრუნების შესახებ ხელშეკრულებების დადებასთან ერთად, მხარეები შეთანხმდნენ საკოორდინაციო საბჭოს აღდგენაზე, რომელიც 2001 წელს შეიქმნა (UN Security Council, ივნისი 2006).

2006 წლის 15 მაისს, თბილისში, ახლად აღდგენილი საკოორდინაციო საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა, სადაც სერგეი შამბამ უპრეცედენტო აფხაზური სამშვიდობო გეგმა – „მომავლის გასაღები“ – წარადგინა (Key to the Future, 2006). გეგმის მიხედვით, მისი მიზანი იყო „ქართულ–აფხაზური კონფლიქტის საბოლოო პოლიტიკური, ყოვლისმომცველი მოგვარება და ერთ დროს დაპირისპირებულ სახელმწიფოებს შორის კარდინალურად ახალი, კეთილმეზობლური ურთიერთობების განვითარება.“ გარდა ამისა, იგი ითვალისწინებდა ეკონომიკური ბლოკადის მოხსნას; სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებასა და უსაფრთხოების გარანტიორად გაეროს უშიშროების საბჭოს დანიშვნას; აფხაზეთის ვრცელ რეგიონულ ინტეგრაციასა და შავი ზღვის რეგიონის ეკონომიკურ პროექტებსა და ევროკავშირის სამეზობლო პროგრამაში ჩართვას. აღნიშნულ გეგმას საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა არ მოჰყოლია, თანაც ამავე პერიოდში სულ უფრო მწვავედობდა ქართულ–რუსული ურთიერთობები.

2006 წლის ივლისის ბოლოს, ქართული შეიარაღებული დაჯგუფება „მონადირის“ განეიტრალების მიზეზით, საქართველოს სამხედრო ძალებმა კოდორში ანტიკრიმინალური ოპერაცია ჩაატარეს. რეალურად ეს ნაბიჯი სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიაზე სრული კონტროლის დამყარებას ისახავდა მიზნად, შედეგად ხეობაში ფიზიკურად განთავსდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილი მთავრობა (De Waal, 2010, გვ. 205). თბილისის ეს ნაბიჯი წყალგამყოფი აღმოჩნდა ქართულ–აფხაზური ურთიერთობების ნორმალიზაციისთვის, ვინაიდან კოდორში ქართველი სამხედროების შეყვანა სოხუმმა აგრესიად და 1994 წლის მოსკოვის ხელშეკრულების დარღვევად შეაფასა (UN Security Council, სექტემბერი 2006).

2006 წლის ივლისის მოვლენებმა მანამდე მიღწეული პროგრესი ბოლომდე დაჩრდილა. კოდორის ხეობაში აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ყოფნამდე სოხუმი უარს ამბობდა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრების გაგრძელებაზე (ბთკკ, 2008, გვ. 8–13). თავის მხრივ, პოლიტიკური ნდობის შესუსტება პირდაპირ აისახა კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების გაუარესებაზე. UNOMIG-ის მონაცემებით 2006 წლის ბოლოს გალის რაიონში საგრძნობლად იმატა სროლებმა და ადამიანთა დაკავებებმა (UN Security Council, 2007). ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა თბილისის ნატოსთან დაახლოებისა და მოსკოვთან ურთიერთობების მკვეთრი გაუარესების ფონზე, აფხაზეთის კონფლიქტმა ქართულ-რუსულ ჭრილში იწყო გადასვლა.

მომდევნო თვეებში ზოგად სურათს კიდევ უფრო ამძიმებდა 2007 წლის აგვისტოში მომხდარი წითელუბნის ინციდენტი და 2008 წლის გაზაფხულზე აფხაზეთში ორმხრივი სამხედრო დაზვერვის, შეირალებისა და პროვოკაციების მატება (Cornell, Starr and Smith, 2007, გვ. 145).

სამხრეთ ოსეთში მზარდი დაპირისპირების პარალელურად აფხაზეთში სიტუაციის განმუხტვის ბოლო მცდელობა აღმოჩნდა გერმანიის ინიციატივით 30 ივნისს, ბერლინში გამართულ მეგობართა ჯგუფის შეხვედრაზე შემუშავებული სამეტაპიანი გეგმა, რომელიც „შტაინმაიერის გეგმის“ სახელითაა ცნობილი. ივლისში, საქართველოში ვიზიტისას, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა მხარეებს ოფიციალურად გააცნო მისი ინიციატივა, რომლის პირველი ეტაპი ითვალისწინებდა ნდობის აღდგენისკენ მიმართული ღონისძიებების გატარებას, ძალის არგამოყენების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერასა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების პროცესის დაწყებას; მეორე ეტაპზე უნდა მომხდარიყო კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაცია საერთაშორისო დონორების დახმარებით; მესამე ეტაპზე კი უკვე წყდებოდა აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი (Civil.ge, 17.07.2008). სოხუმსა და თბილისს გეგმა განსახილველად არ მიუღიათ, ვინაიდან მზარდი სამხედრო საფრთხის ფონზე ამგვარ ფართომასშტაბიან გეგმაზე მუშაობის დაწყება არადროული იყო.

5.3 სამშვიდობო პროცესი ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ 2008–2017 წლებში

2008 წლის 8 აგვისტოს დაწყებული რუსეთ–საქართველოს ომი, საფრანგეთის პრეზიდენტის – ნიკოლა სარკოზის შუამავლობით, 12 აგვისტოს, მიხეილ სააკაშვილისა და დიმიტრი მედვედევის მიერ, ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიან გეგმაზე შეთანხმებით დასრულდა. მხარეები საკუთარ თავზე შემდეგ ვალდებულებებს იღებდნენ:

1. ძალის გამოყენებაზე უარის თქმა;
2. საბრძოლო მოქმედებებზე საბოლოო უარის თქმა;
3. ჰუმანიტარული დახმარებისთვის თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფა;
4. საქართველოს შეიარაღებული ძალების დაბრუნება მათ ჩვეულ დისლოკაციის ადგილზე;
5. რუსეთის შეიარაღებული ძალების დაბრუნება სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ ხაზზე. საერთაშორისო მექანიზმის შექმნამდე, რუსეთის სამშვიდობო ძალებს უნდა განეხორციელებინათ უსაფრთხოების დამატებითი ზომები;
6. საერთაშორისო დისკუსიების დაწყება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პირობების შესახებ (Civil.ge, 17.08.2008).

ომის დასრულებიდან 6 დღეში საქართველო ოფიციალურად გამოვიდა დსთ-დან, 26 აგვისტოს კი რუსეთმა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი (UN Security Council, 2008), რომლებიც თავის მხრივ საქართველოს პარლამენტმა რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებად გამოაცხადა, რის საფუძველზეც თბილისმა მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა. ამასთან ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონი“ ხოლო რუსეთმა 2008 წლის დეკემბერში ჯერ ეუთოს, 2009 წლის ივნისში კი გაეროს მისიები დაბლოკა (Civil.ge, 22.12.2008) (UN News Centre, 2009).

უმძიმესი ვითარების ფონზე 15 ოქტომბერს, ჟენევაში, „ერების სასახლეში“ სტარტი აიღო საერთაშორისო მოლაპარაკებებმა, რომელიც აბსოლუტურად ყველა მხარეს აერთიანებდა

მაგიდის გარშემო. კერძოდ, შეხვედრების თანათავმჯდომარეებად დაინიშნენ ევროკავშირის, გაეროსა და ეუთოს წარმომადგენლები, მონაწილეებად კი ჩაერთნენ საქართველო, რუსეთი და აშშ. მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიღების უფლება მიეცათ ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ისევე როგორც სოხუმისა და ცხინვალის დე ფაქტო მთავრობების წარმომადგენლებს (Macharashvili, Basilaia and Samkharadze, 2016, გვ. 29). აღსანიშნავია, რომ 2009 წლის თებერვალში, ჟენევის მოლაპარაკებების მე-4 რაუნდზე, კონფლიქტურ რეგიონებში სიტუაციის სტაბილურობის მიზნით ჩამოყალიბდა დამატებითი ფორმატი, რომელსაც ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი (IPRM) ეწოდა. მოცემული პლატფორმა, რომელიც ორივე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართულებით ამოქმედდა, მიზნად ისახავს ადგილზე ყოველდღიური ინციდენტების განხილვასა და ოპერატიული რეაგირების უზრუნველყოფას.

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების დაწყებიდან მალევე გამოჩნდა, რომ მოსკოვი არ აპირებდა ექვსპუნქტიანი შეთანხმების მე-3 და მე-5 პუნქტების შესრულებას, რომლის მიხედვით მას მოუწევდა კონფლიქტის ზონაში სადამკირველო მისიის შეშვება და იქიდან საკუთარი ჯარების გაყვანა. მეტიც, სოხუმისა და ცხინვალის დამოუკიდებლობის აღიარებიდან რამდენიმე კვირაში, რუსეთმა, მათთან გააფორმა „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებები“, რის საფუძველზეც დაიწყო ამ რეგიონების ფინანსური დახმარება და ადგილზე ახალი სამხედრო ბაზების განთავსება (Gerrits and Bader, 2016, გვ. 302). თავის მხრივ რუსული სამხედრო ოკუპაცია უდიდესი დარტყმა გამოდგა საზოგადოებრივ დონეზე ნდობის აღდგენის პროცესისთვის, ვინაიდან კონფლიქტური რეგიონების სამხედრო ოკუპაციამ, მათმა დანარჩენი საქართველოსგან და საერთაშორისო იზოლაციამ და ომის შედეგად ხელახლა გაღვივებულმა ქართულ-აფხაზურმა და ქართულ-ოსურმა ანტანოგიზმმა, მოსახლეობა თითქმის სრულად გათიშა ფიზიკურად ერთმანეთისგან.

ამის გამო სამშვიდობო პოლიტიკური კუთხით, ახალ რეალობასთან ადაპტაცია საქართველოს მთავრობამ 2010 წელს დაიწყო, როცა ოფიციალურად შეიმუშავა სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ – „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ – და შესაბამისი სამოქმედო გეგმა (საქართველოს მთავრობა, 2010). ამასთან, 2010 წლის 23 ნოემბერს, ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლისას, მიხეილ სააკაშვილმა ცალმხრივად აიღო ვალდებულება, რომ „საქართველო არასოდეს გამოიყენებს ძალას, რათა უკუაგდოს რუსული ოკუპაცია და აღადგინოს კონტროლი ოკუპირებულ ტერიტორიებზე“ (Civil.ge, 2010).

სახელმწიფო სტრატეგიის მიხედვით, საქართველოს მიზანი ხდებოდა „აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის სრული დეოკუპაცია, რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიის პროცესის შექცევა და მშვიდობიანი გზით ამ ტერიტორიებისა და მოსახლეობის რეინტეგრაცია საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში.“ამასთან, ხაზგასმული იყო, რომ მიზნის მისაღწევად და „საქართველოს ხალხებს“ შორის შერიგების პროცესის დასაწყებად თბილისი ირჩევდა „ადამიანზე ორიენტირებული, პროაქტიური პოლიტიკის“ გატარება.

2010 წელს, საქართველოს ხელისუფლებამ ასევე დაამტკიცა „რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა“, რამაც ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ მოქალაქეებს საშუალება მისცა უფასო სამედიცინო მომსახურებით ესარგებლათ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე (საქართველოს სახალხო დამცველი, 2014). აღნიშნული პროგრამა საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა კონფლიქტის ტრანსფორმაციის ჭრილში, თუმცა მან სასურველ მასშტაბებს ვერ მიაღწია.

2012 წელს საქართველოში ახალი მთავრობის არჩევის მიუხედავად, მალევე ნათელი გახდა, რომ სისტემურ დონეზე საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკა დიდად ვერ შეიცვლებოდა, ვინაიდან აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსული ოკუპაციის კიდევ უფრო გაძლიერება საქართველოს მთავრობას ძველებურად რეაქციულ და კრიზისულ სამუშაო რეჟიმში ამყოფებდა. ამას ემატებოდა, 2013 წელს გაძლიერებული „ბორდერიზაცია“

სამხრეთ ოსეთის მიმართულებით, რაც საქართველოსთვის საკმაოდ მტკივნეული გამოდგა. ამასთან პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა ადამიანებს გადაადგილება გამყოფ ხაზზე, რის გამოც საგრძნობლად იმატა მისი მიმდებარე ტერიტორიიდან ადამიანთა გატაცებებმა და უკანონო დაკავებებმა (Boyle, 2016, გვ. 2).

ახალმა ხელისუფლებამ „ქართულმა ოცნების“ კოალაციის სახით პირველი ხელშესახები შედეგების მიღწევა მხოლოდ მმართველობის მეოთხე წელს შეძლო, როცა ქართულ–აფხაზურ–ოსური სამხრევი შეთანხმების საფუძველზე, 2016 წლის 11 მარტს, პატიმრების გაცვლა მოხდა გალის რაიონსა და სოფელ ერგნეთთან (Civil.ge, 2016). ამ ფაქტს საკმაოდ პოზიტიური გამოხმაურება და მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მოჰყვა სოხუმის, ცხინვალისა და საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან, თუმცა ვერც აღნიშნული მოვლენა ვერ იქცა პოზიტიური ძვრის შემტანი არადინამიურ სამშვიდობო პროცესში. სტერილურ ფორმატად გადაიქცა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებიც, შედეგად 2017 წლისთვის საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკა მასშტაბური შედეგების გარეშე სრულდებოდა, რომელიც საზოგადოებრივ დონეზე ფიზიკურ გათიშულობას სულ უფრო ზრდიდა. მაგალითად, 2016–2017 წლებში აფხაზეთში მოქმედი 5 გამშვები პუნქტიდან დე–ფაქტო მთავრობის გადაწყვეტილებით სამი დაიხურა, რომელთაც დღეში გალის რაიონის ათასამდე მაცხოვრებელი იყენებდა. გარდა ამისა გაიზარდა სანქციები ე.წ. „საზღვრის უკანონო კვეთის“ ბრალდებით დაკავებულთათვის. ჯარიმები გასამმაგდა, ხოლო განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში სანქციებს დაემატა ადმინისტრაციული პატიმრობა (საქართველოს სახალხო დამცველი, 2017, გვ. 4–6).

ამრიგად საქართველოს სამშვიდობო პროცესის თანამედროვე ეტაპი, რომელიც 2008 წლის შედეგ დაიწყო წლიდან წლამდე კარგავს დინამიკას. მოცემული ვითარება თავის მხრივ სულ უფრო აღრმავებს ქართულ–აფხაზური და ქართულ–ოსური საზოგადოებების ემოციურ და ფიზიკურ გათიშულობას და კონფლიქტის ტრანსფორმაცია შეყავს ყველაზე რთულ ფაზაში, რომელიც სულ უფრო ბუნდოვანი და გარე სტიმულებზე დამოკიდებული ხდება.

6. კონფლიქტების ტრანსფორმაცია კვიპროსზე და საქართველოში: შედარებითი ანალიზი

ღრმად დაყოფილ საზოგადოებებში, სადაც ადამიანთა შორის აღმართულია მავთულხლართები და ფიზიკური ბარიერები არსებობს ნოციერი ნიადაგი უნდობლობის, მტრის ხატისა და კონფლიქტის კვლავწარმოებისთვის (Hadjipavlou, მაისი 2007, გვ. 351). კონფლიქტების ტრანსფორმაცია, როგორც ეს ჯონ პოლ ლედერაქის თეორიის ანალიზიდან გამოჩნდა, კომპლექსური და მრავალშრიანი პროცესია, რომლის ცენტრში კონფლიქტით გათიშულ საზოგადოებებს შორის ურთიერთობა ქსელის გაძლიერებაა. მართლაც, კონფლიქტის ტრანსფორმაციის საბოლოო დანიშნულება – შერიგება მოითხოვს ახალი რწმენების, დამოკიდებულების, ემოციებისა და მიზნების ფორმირებას, რაც ადამიანთა ფიზიკური ინტერაქციისა და საზოგადოების სამივე ფენის ინტეგრირებული მიდგომის გარეშე შეუძლებელია (Hadjipavlou, 2007, გვ. 59). კონფლიქტის ტრანსფორმაცია წარმოადგენს პროცესს, რომელმაც უნდა გაარღვიოს „სოციალური ქსოვილი“ და შექმნას სივრცე, სადაც კონფლიქტის მხარეები შეძლებენ ერთმანეთის შიშების, ტკივილის, საჭიროებებისა და ინტერესების მოსმენას (Hadjipavlou, 2007, გვ. 70). როგორც ნაშრომის თეორიული ჩარჩოს აღწერისას აღინიშნა, კონფლიქტის ტრანსფორმაცია მიმდინარეობს პერსონალურ, ურთიერთობით, სტრუქტურულ და კულტურულ დონეებზე, შესაბამისად მოცემული თავის მიზანია ერთმანეთს შეადაროს თუ რომელ დონეზე ტრანსფორმირდნენ კვიპროსისა და საქართველოს კონფლიქტები და რა როლს თამაშობს კონფლიქტით იზოლირებულ საზოგადოებებს შორის ფიზიკური კავშირების არსებობა/არარსებობა ამ პროცესში.

კვიპროსის სამშვიდობო პროცესების დინამიკის ანალიზმა აჩვენა, რომ კუნძულზე კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაცია 2003 წელს დაიწყო, რასაც მშვიდობის მშენებლობის კუთხით სრულიად არადინამიური 30 წელი უძღოდა წინ. სწორედ 2003 წელს „მწვანე ზოლის“ გახსნამ შეუწყო ხელი კონფლიქტის განმუხტვას პიროვნულ და ურთიერთობით დონეზე, ვინაიდან დაიწყო მასშტაბური და გაცხოველებული მიმოსვლა

ორ საზოგადოებას შორის, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო გაუცხოების შესუსტებას, სტერეოტიპების დეკონსტრუქციასა და საერთო სარგებლისთვის თანამშრომლობას (მაგალითად სავაჭრო კავშირების გაღრმავებას). კონფლიქტის ტრანსფორმაციაში ფიზიკური კავშირების გაძლიერების მნიშვნელობას აჩვენებს ასევე ის ადამიანური ისტორიები, რომლის ერთ–ერთი მაგალითიც მე–4 თავში იყო მოყვანილი. მაშასადამე, ის მოცემულობა, რომ 2017 წლის მდგომარეობით სამხრეთ და ჩრდილოეთ კვიპროსის ლიდერებს შორის უმაღლეს დონეზე მიმდინარეობდა მოლაპარაკებები კუნძულის გაერთიანებაზე მიანიშნებს, რომ კონფლიქტის ტრანსფორმაცია სტრუქტურულ დონეზეა გადასული, რაც უპირველესყოფლისა 2003 წელს აღდგენილი გადაადგილების მონაპოვარია.

აღნიშვნის ღირსია ასევე ის ფართოდ გავრცელებული შეხედულება, რომ კვიპროსის კონფლიქტის ტრანსფორმაციას ხელი შეუწყო კვიპროსის რესპუბლიკის გაწევრიანებამ ევროკავშირში, თუმცა როგორც კვლევისას გამოჩნდა, ოფიციალური ნიქოზიასთვის ევროკავშირის წევრობა აღმოჩნდა არა ჩრდილოეთ კვიპროსის ევროპეიზაციის და ჩართულობის ინსტრუმენტი, არამედ არსებითი პოლიტიკური ბერკეტი ანკარაზე ზეწოლის მოსახდენად, შესაბამისად ევროკავშირის წევრობა ვერ ჩაითვლება კუნძულზე კონფლიქტის ტრანსფორმაციის კუთხით მოპოვებული წარმატების საფუძვლად.

საქართველოს შემთხვევაში კონფლიქტის მხარე საზოგადოებებს შორის ფიზიკურმა ინტერაქციამ ასევე აჩვენა დადებითი, ისევე როგორც მისმა არარსებობამ უარყოფითი შედეგები. 1990–იანი წლებიდან 2004 წლამდე ქართულ–ოსურ სამშვიდობო პროცესში გამოკვეთილად დიდ როლს თამაშობდა ცხინვალის რეგიონში თავისუფალი გადაადგილების რეჟიმი, ასევე ერგენეთის ბაზრის სახით საერთო სავაჭრო სივრცის არსებობა, რომელიც მუდმივი ინტერაქციის წყარო იყო ეთნიკურად ქართველი და ოსი მოსახლეობისთვის. თავის მხრივ, 1990–იანი წლების ბოლოს სამხრეთ ოსეთში დევნილების დაბრუნება ნათელი დასტური იყო იმისა, რომ კონფლიქტის ტრანსფორმაცია ინდივიდუალურ და ურთიერთობით დონეზე წარმატებით მიმდინარეობდა, თუმცა 2004 წელს ერგენეთის ბაზრის დახურვამ და იმავე წლის ზაფხულის მოვლენებმა სერიოზული

ზიანი მიაყენეს ამ პროცესს. მომდევნო და დღემდე მძიმე შედეგების მომტანი დარტყმა აღმოჩნდა 2008 წლის აგვისტოც, როცა რუსეთის ოკუპაციამ, ბორდერიზაციამ და ამ რეგიონში განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმის დამყარებამ სრულ იზოლაციაში მოაქცია სამხრეთ ოსეთი დანარჩენი საქართველოსგან, სრულად დახია რა უკან ქართულ-ოსური ნდობის აღდგენის პროცესი.

სამხრეთ ოსეთისგან განსხვებით აფხაზეთის კონფლიქტის მასშტაბურობიდან გამომდინარე, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები ბევრად უფრო რთულად აღსადგენი გამოდგა, რასაც ყველა ეტაპზე ხელს უწყობდა ეთნიკურად ქართული მოსახლეობის გადაადგილების შეზღუდვა აფხაზეთის ტერიტორიაზე. დაბალი ფიზიკური ინტერაქციის გამო აქ არ დაწყებულა კონფლიქტის ტრანსფორმაცია საზოგადოების ქვედა დონეზე. ამასთან 1995–1997 წლებში აფხაზეთის სტატუსის მოლაპარაკებების საგნად ქცევა წარმოადგენდა არაეფექტურ გადაწყვეტილებას, ვინაიდან მაშინ, როცა ადამიანურ და ურთიერთობებით დონეზე კონფლიქტი ჯერ კიდევ არ იყო განმუხტული, მისი ტრანსფორმაცია პირდაპირ სტრუქტურული დონიდან იწყებოდა. პრობლემატურია თანამედროვე პერიოდში, ვინაიდან როგორც ზემოთ აღინიშნა, გაზრდილი რუსული სამხედრო ოკუპაციის ფონზე სულ უფრო იზრდება ფიზიკური ბარიერები აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის.

ამრიგად კვიპროსისა და საქართველოს სამშვიდობო პროცესის შედარებისას ცალსახად იკვეთება კონფლიქტით დაყოფილ საზოგადოებებს შორის ფიზიკური ინტერაქციისა და ამ კონფლიქტების ტრანსფორმაციას შორის პირდაპირი კორელაცია.

დასკვნა

ნაშრომი მიზნად ისახავდა სამშვიდობო თეორიების პრიზმიდან გამოეკვლია საქართველოსა და კვიპროსის ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების დარეგულირების განსხვავებული დინამიკის მიზეზები. ნაშრომის საკვლევ პრობლემას წარმოადგენდა ვითარება, რომლის მიხედვით მსგავსი პოსტ-კონფლიქტური გარემოებების მიუხედავად კვიპროსში მოხერხდა კონფლიქტის პოზიტიური ტრანსფორმაცია, ხოლო საქართველოში

ვერა, გამომდინარე აქედან, ნაშრომის მთავარ საკვლევ კითხვა იყო ის, თუ რატომ ვერ მოხდა კონფლიქტების პოზიტიური ტრანსფორმაცია საქართველოში კვიპროსისგან განსხვავებით. ნაშრომის ჰიპოთეზად შემოთავაზებული იყო მოსაზრება, რომლის მიხედვით საქართველოში, კვიპროსისგან განსხვავებით კონფლიქტის ტრანსფორმაცია ვერ მოხერხდა კონფლიქტში მყოფ საზოგადოებებს შორის ფიზიკური ინტერაქციის არარსებობის გამო.

სტრუქტურულად, ნაშრომის პირველი ნაწილი დაეთმო კვლევის შედეგებისა და ჰიპოთეზის დასადასუტრებლად გამოყენებული თეორიის – ჯონ პოლ ლედერაქის ტრანსფორმაციული მშვიდობის მშენებლობის ანალიზს, ასევე ნაშრომისთვის რელევანტური ლიტერატურის მიმოხილვას. ნაშრომის მეორე ნაწილი უმეტესად ფოკუსირებული იყო კვიპროსსა და საქართველოში სამშვიდობო პროცესების დინამიკის შესწავლასა და მათ შედარებით ანალიზზე. აღსანიშნავია, რომ ნაშრომის დამატებით ღირებულებას წარმოადგენდა საქართველოში შედარებით ახალი აკადემიური დისციპლინის – მშვიდობის კვლევების განვითარებაში თავისი წვლილის შეტანას.

ბიბლიოგრაფია

ბთკვ - პოლიტიკის კვლევის ჯგუფი (2008). *აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების ჩარჩოს ანალიზი*, თბილისი

ბოდენის დოკუმენტი. (2001) სრული ტექსტი ქართულ ენაზე იხ:

http://www.parliament.ge/files/1329_22127_566879_Danarti_8.doc

ზურაბიშვილი, თ. (2006). *თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში*.

თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი

თურმანიძე თ. (2009). „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტის დარეგულირების მექანიზმის მოკლე ისტორია: 1992-2008 წწ, ბთკვ - პოლიტიკის კვლევის ჯგუფი.

კვინიკაძე გვანცა (07.10. 2002). კონტრაბანდასთან ბრძოლაში მთავრობას მხოლოდ ამინდი ეხმარება, 24 საათი

სააკაშვილი მ. (2005) სიტყვა ინგლისურ ენაზე იხ. <https://www.coe.int/T/E/Com/Files/PA-Sessions/janv-2005/saakashvili.pdf>

სააკაშვილი მ. (21. 09. 2004) სიტყვა ინგლისურ ენაზე იხ. <http://www.un.org/webcast/ga/59/statements/geoeng040921.pdf>

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია. (2013). ხელშეკრულებიდან აღიარებამდე, იხ. <http://www.soa.gov.ge/>

საქართველოს მთავრობა. (2010). სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ - ჩართულობა თანამშრომლობის გზით, 27.01.2010 იხ. http://smr.gov.ge/Uploads/_7db17f7a.pdf

საქართველოს მთავრობა. (2010). ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა, 03.07.2010 იხ. http://smr.gov.ge/Uploads/_94d96fb2.pdf

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (2014). 2 წლიანი მუშაობის ანგარიში, თბილისი იხ. <https://goo.gl/cKpqBa>

საქართველოს პარლამენტი. (2006). ინფორმაციული ცნობა „ქართულ-ოსური კონფლიქტის“ შესახებ იხ. <http://www.parliament.ge/uploads/other/18/18511.pdf>

საქართველოს სახალხო დამცველი. (2014). *კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში*, სპეციალური ანგარიში. იხ.

<http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3372.pdf>

საქართველოს სახალხო დამცველი. (2016) *კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში*, თბილისი

საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია (2009). ანგარიში ქართულ ენაზე, ტომი II იხ.

<http://smr.gov.ge/Uploads/66c4e7.pdf>

სახალხო დამცველი (2017). სპეციალური ანგარიში „გადასასვლელების გაუქმების გავლენა აფხაზეთის გამყოფ ხაზზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე. იხ

<http://ombudsman.ge/uploads/other/4/4911.pdf>

წამალაშვილი ე.. (26.07.2005). *გორის ტერაქტი გახსნილია, გამოძიებამ ამ დანაშაულში რუსეთის აგენტურის კვალს მიაგნო*, რადიო თავისუფლება იხ.

<https://www.radiotavisupleba.ge/a/1542418.html>

Civil.ge (11.03.2016). *ქართული, აფხაზური და ოსური მხარეები მიესალმებიან პატიმრების გათავისუფლებას*. იხ. <http://civil.ge/geo/article.php?id=30185>

Civil.ge. (17.07.2008). *აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პროცესში გერმანია ლიდერის როლს კისრულობს*. იხ. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=18817>

Civil.ge. (17.08.2008). *ევროკავშირის შუამავლობის საფუძველზე მომზადებული ექსპუნქტიანი გეგმა*, იხ. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=19157>

Civil.ge. (22.12.2008). *Russia Blocks Georgia OSCE Mission Extension* იბ.

<http://www.civil.ge/eng/article.php?id=20171>

Civil.ge. (23.11.2010). *საქართველოს ძალის არგამოყენების პირობა*. იბ.

<http://www.civil.ge/geo/article.php?id=23377>

Civil.ge. (29.08.2008). *ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ*

1992 წლის 24 ივნისის შეთანხმება, იბ. http://www.civil.ge/geo/_print.php?id=19346

Anchabadze G. (2010). *Georgia and Abkhazia: Lost opportunities up until 2008*. In *EU-Caucasus Dialogue on Georgian-Abkhaz Relations*, International Alert.

Berg B. L. (2007). *Qualitative research methods for the social sciences*. Boston, MA: Allyn and Bacon

Boedeltje, F & J. van Houtum, H & T. Kramsch, O. (2007). The shadows of no man's land : crossing the border in the divided capital of Nicosia, Cyprus. *Geographica Helvetica*

Boyle E. (2016). *Borderization in Georgia: Sovereignty Materialized*, Kyushu University.

Carey Henry F. (2012) *Privatizing the Democratic Peace: Policy Dilemmas of NGO Peacebuilding*, London: Palgrave Macmillan

Christie, D. J., Wagner, R. V., & Winter, D. A. (Eds.). (2001). *Peace, Conflict, and Violence: Peace Psychology for the 21st Century*. Englewood Cliffs, New Jersey: Prentice-Hall.

Christou J. (2015). *Movement across Green Line up but trade still slow*, Cyprus Mail ob.
<https://cyprus-mail.com/2015/06/02/movement-across-green-line-up-but-trade-still-slow/>

Cohen J. (1999). *A question of sovereignty: The Georgia-Abkhazia peace process*, Accord, Vol. 7, Conciliation Resources.

Cornell S. E. (2002). *Autonomy and Conflict: Ethnoterritoriality and Separatism in the South Caucasus – Cases in Georgia*, Uppsala

Dağlı I. (2017). *The Cyprus Problem: Why Solve a Comfortable Conflict?* Oxford Research Group, ob. <https://www.oxfordresearchgroup.org.uk/blog/the-cyprus-problem-why-solve-a-comfortable-conflict>

De Waal T. (2010). *The Caucasus: An Introduction*, Oxford University Press

Feichtinger W., Felberbauer E., Jureković P., (2010). *Failed Prevention - The Case of Georgia*, National Defence Academy and Bureau for Security Policy

Gerrits A. W. M. & Bader M. (2016). *Russian patronage over Abkhazia and South Ossetia: implications for conflict resolution*, East European Politics Vol. 32, Iss. 3

GFSIS. (2005). *South Ossetia Roadmap Presented by Georgian Prime Minister Zurab Nogaideli to the OSCE Permanent Council in Vienna on October 27, 2005* ob.
https://www.gfsis.org/media/download/GSAC/resources/South_Ossetia_Road_Map.pdf

- Goodrick D. (2014) *Comparative Case Studies*, Methodological Briefs Impact Evaluation No. 9.
UNICEF
- Graef J. (2015) *Practicing Post-Liberal Peacebuilding: Legal Empowerment and Emergent Hybridity in Liberia*, UK: Palgrave Macmillan
- Hadjipavlou M. & Kanol B. (2008). *The Impacts of Peacebuilding Work on the Cyprus Conflict*,
CDA
- Hadjipavlou M. (2007). *Multiple Stories*, Innovation: The European Journal of Social Science
Research, 20:1
- Hadjipavlou M. (May 2007), *The Cyprus Conflict: Root Causes and Implications for Peacebuilding*,
Journal of Peace Research, Vol. 44, No. 3
- Hogan, S. (2013). *Understanding Discourse Analysis?* Paper Produced for Doctor of Practice
Students. ob. https://www.academia.edu/3709348/Understanding_Discourse_Analysis
- Human Rights Watch. (2009). *Up in Flames: Humanitarian Law Violations and Civilian Victims in
the Conflict over South Ossetia*, 2009 ob.
<https://www.hrw.org/sites/default/files/reports/georgia0109web.pdf>
- International Crisis Group (26.11.2004). *Georgia: Avoiding War in South Ossetia*, Report N°159,
- Janik M. (2017). *Ending the Never-Ending Story: Will Current Peace Efforts be the Final Chapter
in the Cyprus Conflict?* DOC Research Institute, Berlin.

Ker-Lindsay J. (2011). *The Cyprus Problem: What Everyone Needs to Know*, Oxford University Press, USA

Key to the Future. (2006) ob. <http://www.kapba.de/KeyToTheFuture.html>

Knox C. and Quirk P. (2001). *Peace Building in Northern Ireland, Israel and South Africa Transition, Transformation and Reconciliation*, Palgrave Macmillan

Lebovic H. (2013) *Towards a Coherent Unity of Perspectives on Peace: Burton, Lederach and the Philosophy of Ken Wilber*, Integral Review, Vol. 9, No. 1

Ledearch J. P. (1996). *Remember and Change*. Peace and Reconciliation Conference: Fermanagh District Partnership, Enniskillen, Northern Ireland.

Lederach J. P. (1997) *Building Peace: Sustainable Reconciliation in Divided Societies*. Washington, DC: United States Institute of Peace

Lönnqvist L. (2008). *Civil society in reconciliation: beyond the 'Cyprus problem'*, INTRAC, Policy Briefing Paper 21, Oxford.

Macharashvili N., Basilaia E., Samkharadze N. (2016). *Assessing the EU's conflict prevention and peacebuilding interventions in Georgia*, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Matyók T., Senehi J., and Byrne S. (2011). *Critical Issues in Peace and Conflict Studies: Theory, Practice, and Pedagogy*, Lexington Books

Michael S. M. (2009). *Resolving the Cyprus Conflict: Negotiating History*, Palgrave Macmillan

- Newman E., Paris R., Richmond O. P. (eds). (2009). *New Perspectives on Liberal Peacebuilding*, Tokyo: UNU Press
- Nilsson M. & Kreutz J. (2010). *Protracted conflicts: Issues or dynamics at stake?* A journal of peace research and action. Life and Peace Institute: Vol. 15.
- Odenthal H. V. (2013). *The Green Line, Cyprus: a Space of Exception or an Exceptional Space?* Radboud University Nijmegen
- Öjendal J. & Ou S. (2015). *The 'local turn' saving liberal peacebuilding? Unpacking virtual peace in Cambodia*, Third World Quarterly, Vol. 36 , Iss. 5
- Paffenholz T. (2014). *International peacebuilding goes local: analyzing Lederach's conflict transformation theory and its ambivalent encounter with 20 years of practice*, Peacebuilding, 2:1
- Patrick T. (2017) *Liberal Peace and Post-Conflict Peacebuilding in Africa*, UK: Palgrave Macmillan
- Paul A. (2017). *Crans-Montana - A 'now or never' moment for a Cyprus settlement?* European Policy Centre. ob. http://www.epc.eu/pub_details.php?cat_id=4&pub_id=7808
- Peace Economics Consortium. (2011). *Economic Interdependence: Current Assessment and Prospect for the Future*. ob. http://www.transconflict.com/10/wp-content/uploads/2012/06/Cyprus_EconomicInterdependence.pdf
- Protocol on Georgian-Abkhaz Conflict Settlement (24.07.1995) ob. <https://goo.gl/M8fjXx>
- Richmond O. P. (2008) *Peace in International Relations*, Routledge Studies in Peace and Conflict Resolution, New York: Routledge

Stewart S. (2003). *The Role of the United Nations in the Georgian-Abkhazian Conflict*, Journal on ethnopolitics and minority issues in Europe

Svante C. E., Starr F. S. and Smith D. J. (2007). *The August 6 Bombing Incident in Georgia: Implications for the Euro-Atlantic Region*, Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program.

Tzimitras H. & Hatay M. (2016). *The Need for Realism: Solving the Cyprus problem through linkage politics*, The Center on the United States and Europe at Brookings.

UN News Centre (2009), *Russia vetoes extension of UN mission in Georgia*. об.

<http://www.un.org/apps/news/story.asp?NewsID=31151>

UN Security Council (03.10.2008). Report of the Secretary-General on the situation in Abkhazia, Georgia.

UN Security Council (11.01.2007). Report of the Secretary-General on the situation in Abkhazia, Georgia.

UN Security Council (26.06.2006). Report of the Secretary-General on the situation in Abkhazia, Georgia

UN Security Council, (25.04.2005). Report of the Secretary-General on the situation in Abkhazia, Georgia

UN Security Council. (28.09.2006). Report of the Secretary-General on the situation in Abkhazia, Georgia.

Varnava A. Faustmann H. (2009). *Reunifying Cyprus: The Annan Plan and Beyond*, I.B.Tauris, New York

Wolfgang D. (2013). *Elicitive Conflict Transformation and the Transrational Shift in Peace Politics*, Palgrave Macmillan UK

Вечерний Тбилиси. (2010). *Эдуард Шеварднадзе: Я думаю, что все могло сложиться по-другому* об. <http://vechernitbilisi.ru/item.php?id=592>

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Ivane Abramashvili

Transformative Peacebuilding in Cyprus and Georgia: Comparative Study

Diplomacy and International Politics

Thesis Submitted in Fulfillment of the Requirements for the Degree of Master of
Diplomacy and International Politics

Supervisor: Tornike Turmanidze
Associate Professor

Tbilisi, 2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მარიამ ბოხუა

დიდ სახელმწიფოთა მეტოქეობა საერთაშორისო პოლიტიკაში:
აშშ-ს როლი ჩინეთ-იაპონიას შორის არსებულ დაპირისპირებაში
სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო
პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ზურაბ დავითაშვილი
სრული პროფესორი

თბილისი

2018

ანოტაცია

კვლევის საგანს წარმოადგენს ჩინეთ-იაპონიას შორის არსებული დაპირისპირება სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო და აშშ-ს როლი ამ დაპირისპირებაში. კვლევის **აქტუალობას** განსაზღვრავს მასში ჩაბმულ მხარეთა მისწრაფებები, საერთაშორისო არენაზე შეინარჩუნონ გაბატონებული მდგომარეობა და გაძლიერდნენ უფრო მეტად. აღნიშნული კუნძულებისთვის იბრძვიან მსოფლიოს დიდი სახელმწიფოები (ჩინეთი და იაპონია) და ამ სახელმწიფოებს შორის არსებულ კონფლიქტში ჩართულია კიდევ ერთი სუპერძალა- ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც კონფლიქტის მიმდინარეობის დინამიკას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს. დიდ სახელმწიფოთა მიერ სხვადასხვა ბერკეტების გამოყენება საკუთარი ინტერესების მისაღწევად- ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ზემოაღნიშნული კუნძულების გარშემო არსებულ დაპირისპირებაში აშშ-ს ჩართულობა და მისი მხარდაჭერა იაპონიისადმი.

კვლევის **მიზანია** აღმოსავლეთ აზიის რეგიონში არსებულ სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ კონფლიქტში აშშ-ს ჩართულობის მიზეზების შესწავლა, რაც ასევე იძლევა აღნიშნულ კონფლიქტში ჩართულ მხარეთა და რეგიონში მათ ინტერესებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის საშუალებას.

მიზნის მიღწევისთვის დასახული იქნა **ამოცანები**: მოხდა კონფლიქტის წარმოშობის მიზეზების მოკლე მონახაზის გაკეთება, ჩინეთისა და იაპონიის დამოკიდებულებების შესწავლა და ანალიზი, ამავე დროს აშშ-ს მიერ გამოხატული ქმედებებისა და დამოკიდებულებების შესწავლა კონფლიქტთან მიმართებაში, რაც რეგიონში მის მიზნებს უკავშირდება- შეინარჩუნოს ძალაუფლება რეგიონში იაპონიის დახმარებით.

ნაშრომში ჩამოყალიბებული **საკვლევი კითხვა** მდგომარეობს შემდეგში: რით აიხსნება აშშ-ს მიერ იაპონიის მხარდაჭერა ჩინეთ-იაპონიას შორის არსებულ დაპირისპირებაში სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო? **ჰიპოთეზა** კი მდგომარეობს შემდეგში: სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო ჩინეთ- იაპონიას შორის არსებულ დაპირისპირებაში იაპონიის მხარდაჭერა აშშ-ს აძლევს საშუალებას

დარჩეს ერთ-ერთ წამყვან ძალად რეგიონში, რაც მის მთავარ მიზანს წარმოადგენს. კუნძულების სტრატეგიული მნიშვნელობა და ბუნებრივი რესურსებით სიმდიდრე კი გარეშე ფაქტორებია, რომლებიც არსებობს ჩინეთ-იაპონია-აშშ-ს ურთიერთობებში.

შედეგი- აღნიშნული ნაშრომი წვლილს შეიტანს აღმოსავლეთ აზიის რეგიონში მიმდინარე სენკაკუს/დიაოიუ დაოს კონფლიქტში აშშ-ს ჩართულობის, კონფლიქტის მნიშვნელოვანი ასპექტების, ასევე რეგიონში მოქმედ ძლიერ სახელმწიფოთა ქმედებების შესწავლაში. შესაძლებელი იქნება მისი გამოყენება აღმოსავლეთ აზიის რეგიონის შესწავლისას გარკვეული ცოდნის მისაღებად.

სიახლედ შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ სენკაკუ/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ კონფლიქტზე ქართულ აკადემიურ სივრცეში არ მოიპოვება არცერთი ნაშრომი და ვფიქრობ, აღნიშნული კვლევა გარკვეულ წარმოადგენას შექმნის ამ დაპირისპირებაზე, რეგიონში ორ ძლიერ ძალას - იაპონიასა და ჩინეთს შორის არსებულ დამოკიდებულებაზე, ამ ურთიერთობებში აშშ-ს როლსა და გავლენაზე.

Great Power Competition in International Politics: the Role of USA in Sino–Japanese Territorial Dispute over the Senkaku/Diaoyu Dao Islands

Annotation

The **subject** of this paper is Sino-Japanese territorial dispute over the Senkaku/Diaoyu Dao islands and the role of USA in this dispute. The three major powers in the world- China, Japan and USA are involved in this dispute and that's the reason of the **importance** of this Master thesis. These countries want to maintain their place in International System and to gain more power. USA involvement in this territorial dispute defines the dynamics of this dispute. Using different means to reach state's own national interests- it is the reason of USA's involvement in that and its support to Japan.

The **main goal** of this research paper is to study about the Interests of three major powers in East Asia region and to know about USA's involvement in Senkaku/Diaoyu Dao islands Dispute.

There are several **tasks** defined to research this issue and to reach the main goal. These directions are: studying the origins of this dispute, Sino-Japanese relations, also the behaviour of USA in Sino-Japanese dispute over the Senkaku/Diaoyu Dao islands, which are connected to USA's main interests- maintain status-quo and staying as strong power in the region.

The **research question** is following: What are the main reasons for the fact that USA is involved in Sino-Japanese territorial dispute over the Senkaku/Diaoyu Dao islands on Japanese side? The **hypothesis** is formulated this way: In the territorial dispute between China and Japan over the Senkaku/Diaoyu Dao islands, USA's support to Japan gives USA the chance to maintain status-quo and to stay as strong power in the region and around the world. The strategic importance of the islands and the potential wealth with natural resources are only additional facts for USA to use Japan's place in region for fulfilling its own national interests.

The **result** of this research paper is that it is a contribution in the field of East Asian studies and in the Senkaku/Diaoyu Dao islands issue. The information given in this Master Thesis can be

used to study about the regional powers's interests in Region and USA's interests in the region and in the international system as well.

This issue is **innovation** for Georgian academics, because there is not a literature in Georgian on this dispute. This research paper will give the scholars, students and other interested people the chance to get some knowledge about the great powers' goals and interests in the region, and although will help them to understand the reasons of USA's involvement in Regional affairs and in dispute over the Senkaku/Diaoyu islands.

სარჩევი

შესავალი	7
ა) საკითხის აქტუალობა, მიზნები, ამოცანები	8
ბ) საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა, ცვლადები, თეორიული ჩარჩო.....	10
გ) მეთოდოლოგია.....	14
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა.....	19
თავი II. სენკაკუს/დიაოიუ დაოს კონფლიქტის ისტორიული წინაპირობები და ძირითადი ასპექტები.....	25
2.1. მნიშვნელობა და მდებარეობა	25
2.2. კუნძულების მიკუთვნებულობა- მხარეების არგუმენტები	28
თავი III. რეგიონის ძლიერ სახელმწიფოთა ურთიერთობა და ინტერესები რეგიონში	33
3.1. ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობები	33
3.2. ჩინეთის ინტერესები	36
3.3. იაპონიის ინტერესები	40
თავი IV. აშშ-ს დამოკიდებულება ჩინეთ-იაპონიის დაპირისპირების მიმართ.....	43
4.1. დაპირისპირებაში ჩართულობა- ჩინეთისგან მომდინარე საფრთხის თავიდან აცილების მცდელობა	43
4.2. აშშ-ს დამოკიდებულების ცვლილება დროში	46
4.3. დაპირისპირების მნიშვნელობა- ანგარიშები და ოფიციალური განცხადებები აშშ-ს ქმედებებთან დაკავშირებით	51
4.4. დიდი სახელმწიფოების მეტოქეობა- აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების მთავარი ფოკუსი.....	57
თავი V. სტრუქტურული რეალიზმი- დაპირისპირებაში ჩართულობა ძალაუფლების შესანარჩუნებლად	62
დასკვნა	68
გამოყენებული ლიტერატურა.....	73

შესავალი

ჩინეთი, ისევე როგორც იაპონია, წარმოადგენს მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს სახელმწიფოს. მათ შორის დროის სხვადასხვა მონაკვეთში არსებული დაპირისპირებების ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო არსებული დავა, რომელშიც აშშ-ს როლი ძალიან დიდია. ჩინეთი, იაპონია და აშშ რეგიონში მთავარ მოთამაშეებად ითვლებიან და სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო არსებულ დაპირისპირებაში აშშ-ს ჩართულობა შესაძლოა არ იყოს აღქმული უცნაურად, თუ გავითვალისწინებთ მსოფლიო ასპარეზზე, ასევე რეგიონში მის ინტერესებსა და მისწრაფებებს, რასაც კვლევა კიდევ ერთხელ ადასტურებს.

აშშ არის სახელმწიფო, რომელიც ნებისმიერ ფასად ცდილობს შეინარჩუნოს ძალაუფლება რეგიონში, რადგან მისთვის აღმოსავლეთ აზიის რეგიონი ძალიან მნიშვნელოვანი დატვირთვის მატარებელია. რეგიონის მიმართ გამოვლენილი აშკარა დამოკიდებულების დადასტურებები კი ნათლად ჩანს კვლევაში. ეს რეგიონი მისთვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ჩინეთის გაძლიერება რეგიონსა და მსოფლიოში აშშ-სთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. სწორედ ჩინეთის შეკავება და მისი გაძლიერებისთვის ხელის შეშლა არის, სხვა მრავალ მიზეზთან ერთად, აშშ-ს რეგიონით დაინტერესების მთავარი განმაპირობებელი და სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დაპირისპირებაში ჩართულობის მიზეზი.

ჩინეთი წარმოადგენს მსოფლიო ასპარეზზე მოქმედ ძლიერ სახელმწიფოს, რომელსაც ასევე აქვს ინტერესები საერთაშორისო არენაზე გაძლიერებისა და მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს ძალად ჩამოყალიბებისა. მის პირველად მიზანს წარმოადგენს, რომ შეინარჩუნოს ძალაუფლება. ისევე როგორც აშშ-სთვის, ჩინეთისთვისაც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს აშშ, რომელიც ცდილობს მის გაძლიერებას ხელი შეუშალოს. ჩინეთი ცდილობს მიჰყვეს „ახალი უსაფრთხოების კონცეფციას“, რომლის მიხედვითაც მისთვის მნიშვნელოვანია „საერთო თანამშრომლობა, საერთო სარგებელი, თანასწორობა და კოორდინაცია“, რომლებიც ახალი უსაფრთხოების მიმართულებების პრაქტიკული განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია, თუმცა უნდა ითქვას, რომ ჩინეთის ეს

დამოკიდებულება გამოწვეულია მის წინაშე არსებული რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევით: აშშ-ს ჰეგემონობა, ტრადიციული ძალთა ბალანსის სისტემის შენარჩუნება და მრავალი გაურკვეველი მულტილატერალური უსაფრთხოების ფორუმის არსებობა. ზემოქანმოთვლილი სამი გამოწვევიდან პირველი ორი პირდაპირ მოქმედებს მისი უსაფრთხოების ინტერესების წინააღმდეგ და აჩვენებს ჩინეთს, რომ ძალაუფლების გაზრდა დიდ სახელმწიფოთა შორის მეტოქეობაში გადარჩენის და გამარჯვების მთავარი გარანტიაა. (Li, 2018)

სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო არსებული დაპირისპირება ორივე ქვეყნისთვის - ჩინეთისა და იაპონიისთვის სერიოზული ზიანის მომტანია მისი შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაზრდის შემთხვევაში, აშშ-ს ჩართულობა კი ერთგვარ შემაკავებელ ფაქტორადაც კი შეიძლება ჩაითვალოს, რადგან აშშ-ს სიძლიერიდან გამომდინარე ჩინეთმა შეიძლება თავი შეიკავოს იაპონიის მიმართ აშკარა შეიარაღებული დაპირისპირებისგან, რადგან აშშ და იაპონია სტრატეგიულ პარტნიორებს წარმოადგენენ, თუმცა მოვლენების განვითარება გვაჩვენებს, რომ ამის იმედად ყოფნა არ იქნება მიზანშეწონილი და იაპონიას არ უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ დაპირისპირების შეიარაღებული დაპირისპირებაში გადაზრდა არ მოხდება.

ა) საკითხის აქტუალობა, მიზნები, ამოცანები

ზემოაღნიშნულ ძლიერ სახელმწიფოთა როლი კუნძულებთან დაკავშირებით არსებული დავის მიმდინარეობაში და მათი სტატუსი საერთაშორისო სისტემაში განსაზღვრავს **საკითხის აქტუალობას**. აშშ-ს მოქმედება რეგიონში განპირობებულია მრავალი ფაქტორით, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ რეგიონში ძლიერ ძალად დარჩენის სურვილი, რასაც საფრთხე ემუქრება ჩინეთის მხრიდან. აღნიშნული თემის აქტუალობა ასევე გამომდინარეობს იქიდან, რომ ეს კონფლიქტი მიმდინარეობს აზია-წყნარი ოკეანის აუზში, რომლის მიმართაც აშშ-ს ინტერესები

ძალიან დიდია და მას არ აწყობს არანაირად რეგიონში სტატუსის დაკარგვა, რისთვისაც ის ყველაფერს აკეთებს.

კვლევის მიზანია აღმოსავლეთ აზიის რეგიონში სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო არსებულ დაპირისპირებაში აშშ-ს როლის შესწავლა, რაც განხორციელდა ამ დავაში აშშ-ს ჩართულობისა და მისი პოზიციის შესწავლის გზით, ამან, ასევე, საჭირო გახადა შესწავლილი ყოფილიყო რეგიონში მოქმედი ორი ძლიერი სახელმწიფოს- ჩინეთისა და იაპონიის ურთიერთდამოკიდებულება, რაც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გამოხატულია ზემოაღნიშნულ კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დავასთან მიმართებაში მათი დამოკიდებულების შესწავლით.

მიზნის განხორციელება მნიშვნელოვანია იქიდან გამომდინარე, რომ ეს საკითხი არ არის შესწავლილი ქართველი მკვლევარების მიერ, შესაბამისად, აღმოსავლეთ აზიის რეგიონის მიმართ არსებული და დღითიდღე მზარდი ინტერესის დაკმაყოფილება ვერ ხერხდება არსებული ნაშრომების კითხვისა და გაანალიზების შედეგად. მიზნის მიღწევის შემთხვევაში კი იარსებებს ნაშრომი, რომელიც სტუდენტებსა თუ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუქმნის მცირე წარმოდგენას მაინც კონფლიქტთან დაკავშირებით არსებულ დამაბულ ვითარებაზე რეგიონში, დაპირისპირებულ მხარეებს შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებაზე, აშშ-ს ჩართულობაზე დაპირისპირებაში და ამასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

კვლევის ფარგლებში მიზნის მისაღწევად დასმულ ამოცანებში შედის: სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო არსებული მდგომარეობის შესწავლა, მოკლე ისტორიული მიმოხილვის გაკეთება, დაპირისპირებასთან დაკავშირებით არსებული ოფიციალური დოკუმენტების შესწავლა. ასევე, დაპირისპირების წარმოშობის დროიდან დღემდე აშშ-ს დამოკიდებულების შესწავლა, სადაც გამოიკვეთა ჩინეთის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულების გამოვლენის მომენტები. გამოჩნდა აშშ-ს დამოკიდებულება იაპონიისა და ჩინეთის მიმართ კუნძულებთან დაკავშირებულ საკითხებზე მე-20 საუკუნის დასაწყისში, როდესაც იგი სხვადასხვა ხელშეკრულებების ფარგლებში საუბრობდა კუნძულების ჩინეთისთვის დაბრუნების ვალდებულებაზე იაპონიის მხრიდან, თუმცა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე გამოიკვეთა პოზიცია, რომ აშშ მხარს უჭერდა იაპონიას და, მართალია, არ საუბრობდა

სუვერენიტეტის უფლებების დაბრუნებაზე იაპონიისთვის, თუმცა კუნძულებზე ადმინისტრაციული უფლებების იაპონიისთვის მიკუთვნებაზე საუბრობდა და ოკინავას დაბრუნების შესახებ ხელშეკრულების თანახმად იაპონიას გადასცა კიდევ კუნძულებზე ადმინისტრაციული მმართველობის განხორციელების უფლება.

ბ) საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა, ცვლადები, თეორიული ჩარჩო

ნაშრომში ჩამოყალიბებული საკვლევი კითხვა მდგომარეობს შემდეგში: რით აიხსნება აშშ-ს მიერ იაპონიის მხარდაჭერა ჩინეთ-იაპონიას შორის არსებულ დაპირისპირებაში სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო? საკვლევი კითხვა გვაძლევს საშუალებას დადგინდეს, თუ რამდენად დიდ როლს თამაშობს აშშ ჩინეთ-იაპონიას შორის სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დაპირისპირებაში. ზემოაღნიშნული კუნძულების სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძლება თუ არა განვიხილოთ აშშ-ს აღნიშნულ კონფლიქტში მონაწილეობის მიზეზად, თუ შეიძლება მხოლოდ განვიხილოთ როგორც აშშ-ს მისწრაფებად- შეინარჩუნოს სტატუსი აღმოსავლეთ აზიის რეგიონში და ამით ხელი შეუშალოს ჩინეთის კიდევ უფრო გაძლიერებას როგორც რეგიონში, ასევე მსოფლიო ასპარეზზე.

საკვლევ კითხვასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა მდგომარეობს შემდეგში: სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო ჩინეთ-იაპონიას შორის არსებულ დაპირისპირებაში იაპონიის მხარდაჭერა აშშ-ს აძლევს საშუალებას დარჩეს ერთ-ერთ წამყვან ძალად რეგიონში, რაც მის მთავარ მიზანს წარმოადგენს. კუნძულების სტრატეგიული მნიშვნელობა და ბუნებრივი რესურსებით სიმდიდრე კი გარეშე ფაქტორებია, რომლებიც არსებობს ჩინეთ-იაპონია-აშშ-ს ურთიერთობებში.

ზემოაღნიშნული ჰიპოთეზის დამტკიცებით იკვეთება კუნძულების სტრატეგიული მნიშვნელობა და მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აშშ-ს მისწრაფება კუნძულები იყოს იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ, რადგან იაპონია მისი მოკავშირეა და იაპონიისთვის კუნძულებზე მმართველობის შენარჩუნება კი ძალიან

მნიშვნელოვანია. აშშ-ს აწყო რეგიონში იაპონიის სახით მოკავშირის ყოლა, რომელიც ჩინეთის რეგიონში გაბატონებას ხელს შეუშლის, ამით კი მისი სტატუსი რეგიონში არ დადგება საფრთხის ქვეშ. ჩინეთისთვის ხელის შეშლას იაპონია ვერ მოახერხებს დამოუკიდებლად, რაც იცის აშშ-მ და სწორედ აქედან გამომდინარეობს მისი როლი კონფლიქტში. იგი ცდილობს იაპონიასთან მჭიდრო კავშირით აგრძნობინოს ჩინეთს, რომ არ დათმობს პოზიციებს რეგიონში, ჩინეთიც ხვდება, რომ მისი დაპირისპირება იაპონიასთან შესაძლოა სერიოზული პრობლემის წარმომქმნელი აღმოჩნდეს მისთვის, რადგან აშშ, რომელსაც აქვს სტრატეგიული პარტნიორობა იაპონიასთან და რომლისთვისაც იაპონია რეგიონში მდგომარეობის შენარჩუნების მთავარ ბერკეტს წარმოადგენს, შეიძლება არ მოერიდოს რეგიონში ძალაუფლების შესანარჩუნებლად, შეიარაღებული დაპირისპირების წარმოშობის შემთხვევაში ჩინეთის წინააღმდეგ გამოსვლას.

დამოუკიდებელი ცვლადად ჩამოყალიბებულია აშშ-ს მისწრაფება, შეინარჩუნოს ძლიერება აღმოსავლეთ აზიის რეგიონში. ასევე, ნაშრომში ჩამოყალიბებულია **შუალედური ცვლადი**: კუნძულების სტრატეგიული მნიშვნელობიდან და ბუნებრივი რესურსებით სიმდიდრიდან გამომდინარე ჩინეთ-იაპონიას შორის კონფლიქტის წარმოშობა, ხოლო **დამოკიდებელი ცვლადია**: აშშ-ს ჩართულობა აღნიშნულ დავაში.

ჩამოყალიბებული ცვლადებიდან გამომდინარეობს, რომ აშშ-ს გააჩნია თავისი ინტერესები რეგიონში, რაც გულისხმობს რეგიონში ერთ-ერთ წამყვან ძალად დარჩენის სურვილს; ამავე დროს, კუნძულების მნიშვნელობა ძალიან დიდია როგორც ჩინეთის, ასევე იაპონიისთვის, რამაც გამოიწვია მათ შორის დავის წარმოშობა. ორივე სახელმწიფო იბრძვის ამ კუნძულებისთვის განსაკუთრებით აღნიშნულ ტერიტორიულ წყლებში ბუნებრივი რესურსების პოტენციური არსებობის ფაქტის გამოვლენის შემდეგ. აშშ-ს ჩართულობა დაპირისპირებაში კი გამოიწვია რეგიონში ერთ-ერთ წამყვან ძალად დარჩენის სურვილმა, ასევე მისმა სტრატეგიულმა პარტნიორობამ იაპონიასთან, რომლისთვისაც კუნძულები ძალიან დიდი მნიშვნელობის მატარებელია. კუნძულების სტრატეგიული მნიშვნელობისა და ბუნებრივი რესურსებით პოტენციური სიმდიდრის მიუხედავად, აშშ-ს დაინტერესება კუნძულების საკითხით გამომდინარეობს არა მხოლოდ კუნძულების მიმართ არსებული ინტერესიდან, არამედ მისი მისწრაფებიდან,

შენარჩუნოს ძლიერება აღმოსავლეთ აზიის რეგიონში, რასაც მისი აზრით, საფრთხე ემუქრება ჩინეთის მხრიდან. იქიდან გამომდინარე, რომ ეს კუნძულები იაპონიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, აშშ კი იაპონიასთან სტრატეგიული პარტნიორობით ცდილობს ჩინეთის გაძლიერებისთვის ხელის შეშლას და რეგიონში თავისი სტატუსის შენარჩუნებას, იგი იძულებულია დაიჭიროს იაპონიის მხარე კუნძულებთან დაკავშირებით მიმდინარე დავაში, რაც კუნძულებზე ადმინისტრაციული მმართველობის იაპონიისთვის მიკუთვნებულობის შეხედულების მხარდაჭერაში გამოიხატება. ჩინეთის გაძლიერებიდან მომდინარე საფრთხის თავიდან ასაცილებლად არის ჩართული აშშ დაპირისპირებაში როგორც იაპონიის მხარდამჭერი და მოვლენების განვითარების ნებისმიერი სცენარის შემთხვევაში უცხადებს მხარდაჭერას იაპონიას, მათ შორის უსაფრთოების შესახებ არსებული შეთანხმების თანახმად.

შედარებითი ანალიზი- საკითხის განსხვავებულობა გამოიხატება იმით, რომ აშშ, მისი სტატუსიდან და ძლიერებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის შემუშავების საკითხში, აღნიშნულ ნაშრომში კი განხილულია მისი მხრიდან გამოვლენილი შიშის მომენტი, რასაც იგი გამოხატავს აშკარად ჩინეთის მიმართ. მიუხედავად მისი ინტერესისა, იყოს მსოფლიოში ანგარიშგასაწევი ძალა და ჰქონდეს სუპერძალის სტატუსი, სხვა რეგიონებთან (ლათინური ამერიკა, აფრიკა) დაკავშირებულ საკითხებში იგი ასე მტკივნეულად არ აღიქვამს ჩინეთის ინტერესებს, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ რეგიონებში ჩინეთის მიერ აშშ-ს ჩანაცვლების სერიოზული საფრთხე არსებობს. აშშ-მ, იაპონიისთვის მხარდაჭერის გზით, გამოხატა აშკარა ინტერესი სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დაპირისპირებაში, რაც აიხსნება მისი მისწრაფებით, იყოს ერთ-ერთი წამყვანი ძალა აზია-წყნარი ოკეანის აუზში და იაპონიის მოკავშირეობით ხელი შეუშალოს ჩინეთის კიდევ უფრო მეტად გაძლიერებას.

აშკარაა ის ფაქტი, რომ აშშ-სთვის ზემოაღნიშნული კუნძულების იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ ყოფნა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იაპონია მის მოკავშირეს წარმოადგენს, ხოლო მას სჭირდება იგი ჩინეთის წინააღმდეგ რეგიონში. აშშ- იაპონიის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველს არ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ მისწრაფება, რომ ჰქონდეს იაპონიასთან კარგი ურთიერთობა,

რადგან იაპონია ძლიერი სახელმწიფოა, არამედ აშშ-ს მიზანია, ჰყავდეს იაპონია როგორც მთავარი მხარდამჭერი რეგიონში ჩინეთთან მიმართებაში. სხვა რეგიონებთან შედარებით, აშშ აშკარად მნიშვნელოვან როლს ანიჭებს აღმოსავლეთ აზიის რეგიონს, რაც სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით მის მიერ გამოხატულ პოზიციაშიც გამოჩნდა. ეს კი, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს მხოლოდ კუნძულების სტრატეგიული თუ ბუნებრივი რესურსებით პოტენციური სიმდიდრიდან გამომდინარე ფაქტს, არამედ ეს წარმოადგენს რეგიონში ერთ-ერთ ძლიერ მოთამაშედ დარჩენის წინაპირობას, რაც მისი მთავარი მიზანია.

თეორიულ ჩარჩოდ აზია- წყნარი ოკეანის აუზში სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო არსებულ დავაში აშშ-ს ჩართულობის ასახსნელად გამოყენებულია სტრუქტურული რეალიზმის მიდგომა, რაც გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოები იბრძვიან ძალაუფლებისთვის და მათ აქვთ თავიანთი მიზნები ამისთვის. სტრუქტურული რეალისტებისთვის, საერთაშორისო სისტემის არქიტექტურა, მისი სტრუქტურა აიძულებს სახელმწიფოებს მისდიონ ძალაუფლებას. სისტემაში, სადაც არ არსებობს უმაღლესი ხელისუფლება და არ არსებობს გარანტია იმისა, რომ სხვა სახელმწიფოები არ ჩაერთვებიან კონფლიქტში ერთმანეთთან, ყველა სახელმწიფო ცდილობს იყოს საკმარისად ძლიერი იმისთვის, რომ სხვა სახელმწიფოებმა არ სცადონ მათზე ზეწოლა. მათთვის, ძალაუფლება არის საშუალება გადარჩენისთვის. ძლიერ სახელმწიფოებს კი არ აქვთ სხვა გამოსავალი გარდა იმისა, რომ იბრძოლონ ერთმანეთთან ძალაუფლებისთვის.

მიდგომა, რომლის თანახმადაც სახელმწიფოები ცდილობენ ძალთა ბალანსი თავიანთ სასარგებლოდ შეინარჩუნონ და არცერთ სხვა სახელმწიფოს არ ჰქონდეს მათ ხარჯზე წარმატების მიღწევის საშუალება, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დავაში აშშ-ს ჩართულობის მთავარ მიზეზს წარმოადგენს სწორედ ძალაუფლების შენარჩუნება და ბრძოლა იმისთვის, რომ არ მოხდეს სხვა სახელმწიფოს (ჩინეთის) მიერ მისი ჩანაცვლება. რომ არა ეს მცდელობები, შესაძლოა აშშ-მ დაკარგოს ის პოზიცია რაც აქვს ამჟამად აღმოსავლეთ აზიის რეგიონში, რაც, რა თქმა უნდა, მისთვის აღიქმება ძალიან სერიოზულ გამოწვევად.

სტრუქტურული რეალიზმით აღნიშნული საკითხის განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დავაში ნათლად დასტურდება ამ მიდგომის სისწორე აშშ-ს დამოკიდებულების გათვალისწინების შემთხვევაში, რაც შეიძლება ასევე ითქვას ჩინეთზე, რომელიც ნამდვილად აღიქვამს აშშ-ს მთავარ მეტოქედ, თუმცა დაპირისპირებაში იაპონიის ჩართულობა არ არის გამოწვეული იმ მისწრაფებებით, რა მისწრაფებებიც აქვთ აშშ-ს და ჩინეთს. იაპონია წარმოადგენს სახელმწიფოს, რომელიც ზურგს უმაგრებს აშშ-ს, აშშ-სთვის უმნიშვნელოვანეს საკითხში- დიდ სახელმწიფოთა შორის მეტოქეობაში საკუთარი ძალაუფლების დასადასტურებლად. ჩინეთი კი, სწორედ თავისი სიძლიერიდან გამომდინარე წარმოადგენს საფრთხეს აშშ-სთვის და სწორედ ამიტომ ცდილობს აშშ უფრო და უფრო მეტად გაძლიერდეს.

მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნება და გაძლიერება აძლევს საშუალებას სახელმწიფოებს დაცულად იგრძნონ თავი და ამით აიხსნება აშშ-ს ჩართულობა ამ დაპირისპირებაში. აშშ არის ძლიერი სახელმწიფო და სტრუქტურული რეალიზმის თეორია ძალიან კარგად ხსნის მის დამოკიდებულებას აღმოსავლეთ აზიის რეგიონში არსებული პოლიტიკური ვითარების მიმართ, მის ჩართულობას სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო არსებულ დავაში და მის ურთიერთობებს რეგიონის სახელმწიფოებთან.

გ) მეთოდოლოგია

სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით ჩინეთ-იაპონიას შორის არსებულ დავაში აშშ-ს ჩართულობის საკვლევად ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ კი: კონტენტ ანალიზისა და პროცესის მიდევნების (Process Tracing) მეთოდები. ეს მეთოდები საჭირო გახდა იმისთვის, რომ გამოვლენილი ყოფილიყო კონფლიქტის მიმდინარეობის პროცესები, შესწავლილი ყოფილიყო მისი წარმოქმნისა და აშშ-ს ჩართულობის მიზეზები, მომხდარიყო დასკვნების გაკეთება

დაპირისპირების წარმოშობის მიზეზებსა და მასში აშშ-ს ჩართულობაზე. ამ მეთოდების გამოყენების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კვლევის მიზნის მიღწევა და ჩამოყალიბებული ჰიპოთეზის დადასტურება, რადგან საკვლევი საკითხი მოითხოვს სწორედ ამ სახის კვლევას.

კონტენტ ანალიზის მეთოდის შესაბამისად, განხილულია სხვადასხვა ავტორების წიგნები, ნაშრომები, რომლებიც დაკავშირებულია სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დავასთან ჩინეთსა და იაპონიას შორის და აშშ-ს ჩართულობასთან. ასევე, გამოყენებულია სხვადასხვა სახის დოკუმენტები, რომლის მოძიებაც შესაძლებელი გახდა ინტერნეტში და ეხებოდა სხვადასხვა დროის ხელშეკრულებებს, სადაც საუბარი იყო ამ კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ ვითარებაზე და მათი მიკუთვნებულობის საკითხზე. გარდა ზემოაღნიშნული ნაშრომების და დოკუმენტების შესწავლისა, მოხდა სამი ქვეყნის- ჩინეთის, იაპონიისა და აშშ-ს ინტერესების გაანალიზება რეგიონში სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე.

ძალიან დიდი ყურადღება დაეთმო რეგიონის მნიშვნელობის განსაზღვრას, რაც მრავალი წყაროდან ჩანს და რაც გახდა საფუძველი იმისა, რომ ეს კუნძულები ძალიან მნიშვნელოვანი გახდა დიდი სახელმწიფოებისთვის და შეიძლება ითქვას, რეგიონში ვითარების დესტაბილიზაციის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს. კუნძულების მნიშვნელობასთან დაკავშირებით არსებული ნაშრომების განხილვისას გამოიკვეთა, რომ მათი მნიშვნელობა არ არის იმდენად დიდი, რამდენადაც მათი ფლობა სახელმწიფოების ეროვნულ ინტერესებში შედის. აშშ-ს სჭირდება ეს კუნძულები იაპონიასთან კარგი ურთიერთობების შესანარჩუნებლად, რაც თავის მხრივ რეგიონში მის სტატუსს განაპირობებს და წარმოაჩენს უძლიერეს სახელმწიფოდ, თუმცა ჩინეთიც ხვდება ამას და ჩინეთისთვისაც კუნძულების მნიშვნელობა არამარტო ბუნებრივი რესურსებით სიმდიდრეში გამოიხატება, არამედ სხვა ფაქტორებში, როგორცაა რეგიონში ჰეგემონის სტატუსის მოპოვება და აშშ-ს გადაჩრდილვა.

ამ ნაშრომებისა და სტატიების გამოყენებით დამტკიცდა ჰიპოთეზა, რომელიც ჩამოყალიბებულია ამ ნაშრომში, რაც მნიშვნელოვანია ნებისმიერი ასეთი სახის კვლევის

ჩატარების დროს. იმის გათვალისწინებით, რომ შესასწავლი საკითხი წმინდა თეორიული ხასიათისაა და მნიშვნელოვანწილად გამომდინარეობს ქვეყანათა ინტერსებიდან, საჭირო იყო კვლევის ჩატარებისთვის აღნიშნული მეთოდის გამოყენება და ჩამოყალიბებული ჰიპოთეზის შერჩეული მეთოდის დახმარებით დამტკიცება.

ნაშრომში ასევე გამოყენებულია პროცესის მიდევნების მეთოდი (**Process Tracing**), როდესაც ცდილობ ერთი შემთხვევის ფარგლებში დაადგინო მიზეზ-შედეგობრივი კავშირი კონკრეტულ გადაწყვეტილებებს შორის. ეს მეთოდი იძლევა საშუალებას, დადგინდეს თუ რა განსხვავებაა მიღებულ გადაწყვეტილებებს შორის დროის სხვადასხვა მონაკვეთებში. (George and Bennett, 2005)

ამ მეთოდის გამოყენების პროცესში საჭირო გახდა აშშ-ს დამოკიდებულებების კვლევა, რისთვისაც განხილული იქნა კუნძულებთან დაკავშირებით არსებული ხელშეკრულებები 1895 წლის შემდეგ.

ხელშეკრულებების კვლევის შედეგად გამოიკვეთა აშშ-ს დამოკიდებულებების ცვლილება დროში:

- ✓ მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში: აშშ-ს დამოკიდებულება, ჩინეთს დაბრუნებოდა იაპონიის მიერ წართმეული ყველა ტერიტორია;
- ✓ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი- 21-ე საუკუნე: აშშ-ს მიერ კუნძულებზე ადმინისტრაციული მმართველობის უფლებების გადაცემა იაპონიისთვის და იაპონიის მხარდაჭერა.

ასევე, ამ მეთოდის გამოყენებით მოხდა წარმოდგენილი ანგარიშების ანალიზი წლების მიხედვით. გაანალიზებული იქნა აშშ-ს კუნძულების მიმართ აშშ-ს დამოკიდებულებებთან დაკავშირებით არსებული ანგარიშები. ხელშეკრულებებისა და კონგრესის ანგარიშების განხილვის საფუძველზე გამოიკვეთა აშშ-ს გადაწყვეტილებების ცვალებადობა დროთა განმავლობაში. რომ არა კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ საკითხებზე ხელშეკრულებების განხილვა, ასევე ანგარიშების განხილვა და გაანალიზება, ნაშრომში ჩამოყალიბებული მიზნის მიღწევა ვერ იქნებოდა შესაძლებელი, რადგან სწორედ ეს მეთოდი აღმოჩნდა მთავარი მეთოდი იმ დასკვნის გასაკეთებლად, რაც დადგა კვლევის დასასრულს. შედეგად დადგინდა აშშ-ს დამოკიდებულების ცვლილება დროში. მის მიერ გამოვლენილი განსხვავებული დამოკიდებულებები

გამოწვეულია მრავალი ფაქტორით, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოების როლებისა (იგულისხმება ჩინეთის გაძლიერება მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან და იაპონიის ჩამოყალიბება აშშ-ს სტრატეგიულ პარტნიორად) და სტატუსების ცვლილება.

მეთოდები, რომლებიც გამოყენებულია ნაშრომში არის ინდუქციური ხასიათის, რაც გულისხმობს, რომ კონკრეტული მოვლენების გაანალიზების შედეგად ჩამოყალიბდა განზოგადებული მოსაზრება (Merraim-Webster). ნაშრომში კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დავაში აშშ-ს ჩართულობის კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული მოსაზრების თანახმად, ძლიერი სახელმწიფოები იბრძვიან სტატუსის შესანარჩუნებლად და რაც შეიძლება მეტი ძალაუფლების მოსაპოვებლად საერთაშორისო ასპარეზზე, რეგიონში მათი ინტერესები კი დაკავშირებულია არა მარტო სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების მნიშვნელობასთან, არამედ სურვილთან, შეინარჩუნონ ძალაუფლება და დაანახონ სხვა ძალებს რომ არ დათმობენ იმას, რაც მათ ეკუთვნით. აშშ, თავისი პოზიციით, ხელს უწყობს იაპონიას, შეინარჩუნოს ადმინისტრაციული მმართველობა აღნიშნულ კუნძულებზე, რაც მის საბოლოო მიზნებთან მოდის შესაბამისობაში. აშშ-ს სურს, იყოს ძლიერი სახელმწიფო და აზია-წყნარი ოკეანის აუზში გააჩნდეს ძლიერი ქვეყნის სტატუსი, რათა ამ გზით ხელი შეუშალოს ჩინეთის გაბატონებას რეგიონში. ამისთვის კი სჭირდება იაპონია, რომელიც თავის მხრივ საჭიროებს მხარდაჭერას კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დავაში აშშ-სგან. ამ კონფლიქტში მხარდაჭერის ვერმიღებამ კი შესაძლოა აშშ-ს გაუფუჭოს ურთიერთობა იაპონიასთან, რაც ნამდვილად არ აწყობს.

კონტენტ ანალიზისა და პროცესის მიდევნების მეთოდების გამოყენებამ შეუწყო ხელი კვლევის მიმდინარეობასა და წარმართვას სწორი მიმართულებით. ამ მეთოდებმა მოგვცა საშუალება სწორად ყოფილიყო გაანალიზებული ის საკითხები, რაც უკავშირდება აშშ-ს ინტერესების განსაზღვრას რეგიონში და ასევე, თუ რა საკითხებმა განაპირობა აშშ-ს მიერ იაპონიის მხარდაჭერა სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დავაში.

კონფლიქტის არსიდან გამომდინარე და ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული საკითხი არ არის ნაცნობი ფართო საზოგადოებისთვის, საჭირო იყო მასთან დაკავშირებით არსებული ლიტერატურის ანალიზი. კონტენტ ანალიზი დაგვეხმარა მომხდარიყო ლიტერატურის გაანალიზება, რამაც მოგვცა საშუალება ასევე დაპირისპირების არსის გაგებისა, პროცესის მიდევნების მეთოდი კი საჭირო აღმოჩნდა იქიდან გამომდინარე, რომ მან მოგვცა საშუალება დაპირისპირების მიმდინარეობისთვის და აშშ-ს ჩართულობისთვის მიგვედევნებინა თვალი, რაც გამოიხატა ძირითადად ხელშეკრულებაში გამოვლენილი დამოკიდებულებებით და რამაც დაგვანახა აშშ-ს მხრიდან გამოვლენილი განსხვავებული დამოკიდებულებები კუნძულების მიკუთვნებულობის საკითხის მიმართ.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომში გამოყენებულია მრავალი წყარო, რომელიც არის არა მხოლოდ ერთი მხარის მიერ შედგენილი, არამედ არის განხილული და შესწავლილი სხვადასხვა მხრიდან. განხილულია როგორც ჩინური მხარის მიერ ჩამოყალიბებული ვერსიები კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დაპირისპირებაზე, ასევე იაპონური მხარის პოზიცია. დიდი მნიშვნელობა ენიჭება აშშ-ს მხრიდან გამოვლენილ დამოკიდებულებას, მის ჩართულობასა და ამერიკული მხრიდან დანახულ დაპირისპირებას. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია სამეცნიერო ნაშრომებზე, სტატიებზე, ხელშეკრულებების განხილვაზე, რომლებიც დაპირისპირების წარმოშობას, მის ისტორიას, მხარეთა ჩართულობასა და აშშ-ს როლს იკვლევს. ნაშრომში განსახილველ საკითხთან დაკავშირებით არსებობს საკმაო მოცულობის ლიტერატურა ინგლისურ ენაზე, რომელთა დიდი ნაწილი გამოყენებულია კვლევის პროცესში.

ანა კოსტას წიგნში „ჩინეთ-იაპონიის კონფლიქტი სენკაკუ/დიაოიუს კუნძულების გარშემო“ საუბარია კონფლიქტის მნიშვნელობაზე, მხარეთა არგუმენტებზე. მოყვანილია როგორც ჩინეთის, ასევე იაპონიისა და აშშ-ს დამოკიდებულება კონფლიქტთან მიმართებაში. წიგნი განიხილავს ჩინეთისა და იაპონიის მიერ შემუშავებულ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკებს 1970 წლიდან, აღმოსავლეთ აზიის ზღვაში სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დავასთან დაკავშირებით და დავის მიმდინარეობას, რომელიც გახდა რეგიონში ვითარების დაძაბვის მთავარი წყარო. საუბარია კუნძულების მნიშვნელობაზე და ჩინეთის საზღვაო პოლიტიკაზე, მის ინტერესებზე რეგიონში და საერთაშორისო ასპარეზზე არსებულ დამოკიდებულებაზე დაპირისპირების მიმართ. წიგნი ხსნის, რომ მაშინ როდესაც ჩინეთსა და იაპონიაში არსებული მზარდი ნაციონალიზმი არსებობს, მთავარი ფაქტორი ამ დაპირისპირებაში არის ის, რომ ორივე სახელმწიფოს ლიდერები კუნძულების გარშემო დაპირისპირებას აკავშირებენ თავიანთ ინტერესებთან საგარეო ასპარეზზე, რაც მათთვის სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება. (Kosta, 2018) აღნიშნული ნაშრომი აღმოჩნდა ძალიან მნიშვნელოვანი კონფლიქტის მთავარი ასპექტების გამოვლენის კუთხით. ავტორის მიერ განხილული საკითხები რელევანტურია ნაშრომის საკვლევი

თემისა და გვიქმნის ძალიან მკაფიო წარმოდგენას მხარეთა მიერ გამოვლენილ დამოკიდებულებებზე და არსებულ ვითარებაზე.

აზია-წყნარი ოკეანის ჟურნალში **რეინარდ დრიფტეს** მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში „იაპონია-ჩინეთის კონფრონტაცია სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო- საკითხის გადადებასა და ესკალაციას შორის“ საუბარია ჩინეთ-იაპონიას შორის ურთიერთობების დამახვავზე და ესკალაციის შესაძლებლობებზე. სტატიაში განხილულია როგორც კონფლიქტის წარმოშობის მოკლე ისტორია, ასევე საუბარია 21-ე საუკუნეში ჩინეთ-იაპონიას შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებაზე. სტატიის ავტორი საუბრობს, რომ სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებული დავა შეიძლება მარტივად გადაიზარდოს კონფლიქტში, რადგან ჩინეთის მხარე არ გამოხატავს დაპირისპირების გადაჭრის სურვილს. მისი თქმით, ჩინეთის მხრიდან უფრო მოდის ხოლმე ინიციატივა დაპირისპირების გართულებისა, ვიდრე იაპონური მხარის მხრიდან. იაპონური მხარე იჭერს უფრო თავდაცვით პოზიციას, არ აღიარებს ტერიტორიული კონფლიქტის არსებობის ფაქტს, ამ დროს კი ჩინეთი უარს აცხადებს მოლაპარაკებებზე იაპონიასთან. ავტორის თქმით, რომ დაიწყოს კონფლიქტის გადაჭრის პროცედურები, საჭიროა ძლიერი ლიდერების არსებობა, რომლებიც გაიაზრებენ ჩინეთ- იაპონიას შორის მჭიდრო ურთიერთობების არსებობის უდიდეს მნიშვნელობას. სწორედ ამ საკითხებს ეხება ეს სტატია. (Drifte, 2014)

სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით ჩინეთ-იაპონიას შორის არსებულ დავაში აშშ-ს როლსა და აშშ-ს ქცევების ანალიზს გვთავაზობს **ლინ იში** თავის ნაშრომში, სადაც განხილული აქვს აშშ-ს დამოკიდებულება სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებული დაპირისპირების მიმართ და საუბრობს იმაზე, რომ აშშ-მ მხარი უნდა დაუჭიროს იაპონიის სუვერენიტეტის მოთხოვნებს კუნძულებთან დაკავშირებით. მას განხილული აქვს აშშ-ს ჩართულობა დაპირისპირებაში და სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დაპირისპირებაზე მხარეების მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები, განსაკუთრებული აქცენტი აქვს გაკეთებული აშშ-სა და იაპონიას შორის დადებულ ოკინავას დაბრუნების შესახებ ხელშეკრულებაზე.

ავტორის თქმით, თუ ჩინეთი გააგრძელებს თავისი აგრესიული ქმედებების განხორციელებას კუნძულების მიმართ, მაშინ ჩინეთსა და იაპონიას შორის სამხედრო დაპირისპირების რისკი გაიზრდება, რაც ძალიან სერიოზულ ზიანს მიაყენებს ორივე სახელმწიფოს. იგი ამბობს, რომ აშშ-მ უნდა მოახდინოს იაპონიის სუვერენიტეტის აღიარება კუნძულებზე და უნდა ეცადოს ხელი შეუშალოს ჩინეთის მხრიდან არალეგალურად ძალის გამოყენებას. თუმცა ამავე დროს, ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ თუ აშშ მოახდენს იაპონიის სუვერენული უფლებების აღიარებას კუნძულებზე, მაშინ ჩინეთი უარს განაცხადებს ვაშინგტონთან მუშაობაზე, რითაც აშშ დაკარგავს ეკონომიკურ სფეროში პარტნიორს. ავტორის პოზიციას წარმოადგენს, რომ აშშ-მ უნდა მოახდინოს ნეიტრალური დამოკიდებულების შეცვლა და დაუჭიროს მხარი იაპონიის სუვერენიტეტს კუნძულებთან დაკავშირებულ საკითხებში. (Ishii, 2013)

მართალია იშის ეს ნაშრომი აგებულია სუბიექტურ მოსაზრებებზე და მის დამოკიდებულებაზე დაპირისპირების მიმართ, რომელიც ამბობს, რომ აშშ უნდა უჭერდეს მხარს იაპონიის სუვერენულ უფლებებს კუნძულებზე, რაც ნაკლებად განხორციელებადია, თუმცა ეს მოსაზრებები მომდინარეობს საკითხთან დაკავშირებით არსებული ვითარებების ანალიზიდან და როგორც ანალიზს, უნდა მიექცეს ყურადღება, თუნდაც იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ იგი აანალიზებს აშშ-სთვის არსებულ საფრთხეებს როგორც დავის შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადასვლისას მისი იაპონიის მხარდამჭერად ჩართვის შემთხვევაში (რასაც ავალდებულებს იაპონიასთან უსაფრთხოების შესახებ დადებული შეთანხმება), როდესაც ჩინეთ-აშშ-ს ურთიერთობებს შეექმნება საფრთხე, ასევე შეიარაღებული დაპირისპირების დროს მისი არჩართვის შემთხვევაში (რისი უფლებაც, იაპონიასთან დადებული უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულების თანახმად, არ აქვს), როცა უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება მისი სტრატეგიული პარტნიორობის საკითხი იაპონიასთან.

შეილა სმიტი თავის სტატიაში „იაპონია და აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვის დაპირისპირება“ საუბრობს 2010 წელს მომხდარ შემთხვევაზე, როდესაც, კონფრონტაციას ჰქონდა ადგილი იაპონიასა და ჩინეთს შორის აღმოსავლეთ აზიის ზღვაში. სენკაკუს კუნძულების მიმდებარე წყლებში ჩინეთის მხრიდან განხორციელებულმა პროვოკატიულმა ქმედებებმა ნათლად დაგვანახა, თუ როგორ

შეუძლია პატარა ინციდენტს გადაიზარდოს ძალიან სერიოზულ დიპლომატიურ კონფრონტაციაში. იაპონიასა და ჩინეთს შორის მანამდეც არსებობდა დაძაბულობა, თუმცა ასე აშკარად გამოკვეთილ ქმედებას ადგილი არ ჰქონია. პროვოკაციული ქმედება გულისხმობდა შემდეგს: იაპონურმა მხარემ დააკავა სენკაკუს/დიაოიუ დაოს წყლებში შემოსული ჩინელი მეზღვაურები, კაპიტანი და მისი გუნდი, საპასუხოდ, ჩინეთის მხარის მხრიდან დაკავებული იქნა იაპონიის მოქალაქეები, არაკანონიერი ქმედებებისთვის. ასევე ჩინეთმა განაცხადა, რომ აპირებდა იაპონიისთვის შეეწყვიტა გარკვეული საქონლის მიწოდება, რომლებიც იაპონიისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იმპორტის წყაროა და გამოიყენებს ელექტრო სფეროში. ჩინეთის მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგად, რომლითაც იაპონიას მიადგა საკმაოდ სერიოზული ზიანი, იაპონიამ გაათავისუფლა მის მიერ დაკავებული ჩინელი კაპიტანი. აღნიშნული ნათლად აჩვენებდა ურთიერთობის დაძაბულობის ხარისხს.

ავტორი საუბრობს ამ პერიოდში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, სადაც ჰილარიმ თქვა, რომ სენკაკუს კუნძულები არის აშშ-იაპონიის უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულების მოქმედების ქვეშ. ასევე აშშ-ს სხვა წარმომადგენლები აცხადებდნენ აღნიშნულ პერიოდში, რომ აშშ „შეასრულებდა თავის პასუხისმგებლობებს“, რაც ეკისრებოდა იაპონიასთან გაფორმებული უსაფრთხოების ხელშეკრულების ფარგლებში. აქედან გამომდინარე, ნათლად გამოიკვეთა, რომ ვითარების ესკალაცია წარმოადგენდა უსაფრთხოების მთავარ გამოწვევას არა მარტო ტოკიოსთვის, არამედ ვაშინგტონისთვისაც. სტატიაში საუბარია ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობებში გამოვლენილ სურვილებზე, ჰქონდეთ კარგი ურთიერთობა ერთმანეთთან, თუმცა მიუხედავად ამისა, აღმოსავლეთ აზიაში კუნძულებთან დაკავშირებით არსებული დავა გადაუჭრელი რჩება და ძალიან სათუთა რომ მხარეები მოახერხებენ საერთო ენის გამონახვას ამ საკითხში. (Smith, 2012)

ჩუ შულონგი მის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში „აშშ-ჩინეთ-იაპონიის ტრილატერალური ურთიერთობების სტაბილიზაციის მექანიზმი აზიაში“ აშშ-ს, ჩინეთსა და იაპონიას განიხილავს სტრატეგიულ ძალებად აღმოსავლეთ აზიის რეგიონში. მისი თქმით, მთელი რეგიონის კეთილდღეობა დამოკიდებულია მათ შორის არსებულ ურთიერთობებზე. ავტორი განიხილავს სამ ბილატერალურ ურთიერთობას რეგიონში:

1. აშშ-იაპონიის ურთიერთობები: იყო სტრუქტურირებული, სტაბილური და ძლიერი ცივი ომის დასრულების პერიოდიდან, განსაკუთრებით 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან;
2. ჩინეთ-აშშ-ს ურთიერთობები: გაუმჯობესდა 1990-იანი წლების ბოლოს სტაბილურად, შეიძლება ჩაითვალოს ბუმის ადმინისტრაციის შემდეგ, თუმცა მათ შორის გრძელვადიანი ურთიერთობის არსებობის საკითხი ეჭვის ქვეშ დგას, ეს შესაძლებლობა არ არის მკაფიოდ გამოვლენილი.
3. ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობები: იყო სტაბილური 1970-იანი წლების დასაწყისიდან მე-20 საუკუნის დასასრულამდე, თუმცა 21-ე საუკუნის დასაწყისში ურთიერთობები სახელმწიფოებს შორის დაიძაბა სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებული დაპირისპირების გამო.

მას ამ სტატიაში საუბარი აქვს ჩინეთ-იაპონიას შორის არსებულ დაპირისპირებაზე სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება გადაიზარდოს ძალიან სერიოზულ სამხედრო დაპირისპირებაში. სტატიაში განხილულია ამ სახელმწიფოების ინტერესები რეგიონში და რეგიონს გარეთ, მათი ეკონომიკური სიძლიერე, ამ სიძლიერიდან გამომდინარე არსებული ურთიერთდამოკიდებულება, პრობლემები, რომლის მოსაგვარებლადაც ეს სახელმწიფოები თავიანთი შესაძლებლობებიდან გამომდინარე იბრძვიან. (Shulong, 2008)

ამ სტატიიდან იკვეთება რეგიონში სწორედ ამ სამი ძალის- აშშ-ს, ჩინეთისა და იაპონიის არსებობა, თუმცა ტრილატერალური ურთიერთობების არსებობა, რომელიც რეგიონში სიტუაციას დაარეგულირებდა, ნაკლებად მოსალოდნელია სწორედ იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ აშშ და ჩინეთი ერთმანეთთან ვერ მეგობრობენ (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით), იაპონიას და ჩინეთს საკმაოდ ხანგრძლივი დაპირისპირების ისტორია აქვთ და რთულია მათ შორის მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბება, იაპონია-აშშ-ს ურთიერთობები კი დამოკიდებულია აშშ-ს სურვილზე, ჰყავდეს პარტნიორი რეგიონში ჩინეთისგან მომდინარე საფრთხის თავიდან ასაცილებლად და სხვა სტრატეგიული მიზნების მისაღწევად რეგიონში, იაპონიის მხრიდან კი ნაკლებად არის გამოვლენილი მსგავსი სურვილები აშშ-ს მიმართ.

ზემოაღნიშნული ლიტერატურა არის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი იმისა, სადაც საუბარია კუნძულების გარშემო არსებულ დავაზე, ზემოაღნიშნული სამი ქვეყნის ინტერესებზე რეგიონში, აშშ-ს ჩართულობაზე და მის ინტერესებზე როგორც კუნძულების, ასევე ჩინეთისა და იაპონიის მიმართ. კვლევის პროცესში საჭირო გახდა ძალიან ბევრი წიგნის, სტატიის, ოფიციალური დოკუმენტისა და ანგარიშის დამუშავება, რამაც აღნიშნული კვლევა საინტერესო გახადა და შექმნა წარმოდგენა როგორც დაპირისპირების არსისა და მისი მთავარი ასპექტების შესახებ, ასევე აშშ-ს ჩართულობის შესახებ.

თავი II. სენკაკუს/დიაოიუ დაოს კონფლიქტის ისტორიული წინაპირობები და ძირითადი ასპექტები

2.1. მნიშვნელობა და მდებარეობა

სენკაკუს კუნძულები არის დაუსახლებელი კუნძულების ჯგუფი აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში, რომელიც შედგება რვა კუნძულისგან. („The Senkaku Islands“, 2015) ეს კუნძულები წარმოადგენს სადავო ტერიტორიას ჩინეთს, იაპონიასა და ტაივანს შორის. ისინი ითხოვენ კუნძულებზე მმართველობას. იაპონიაში აღნიშნული კუნძულები ცნობილია სენკაკუს კუნძულების სახელწოდებით, ჩინელები მას მოიხსენიებენ როგორც დიაოიუ დაოს კუნძულებს, ხოლო ტაივანში მას უწოდებენ დიაოიუტაი ლიეიუს.

საკითხის კვლევისას არ იქნება გამოყენებული ტაივანის მიერ კუნძულებისთვის შერქმეული სახელწოდება იქიდან გამომდინარე, რომ ტაივანს არ მივიჩნევთ სრულფასოვან სახელმწიფოდ, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ტერიტორიების მასზე მიკუთვნების მოთხოვნის უფლება, შესაბამისად ნაშრომში გამოყენებული იქნება მხოლოდ ორი დასახელება, რომლებსაც ამ კუნძულებს უწოდებს ჩინეთი და იაპონია-დიაოიუ დაო და სენკაკუ.

ჩინეთსა და იაპონიას აქვთ თავიანთ მოთხოვნები კუნძულებთან დაკავშირებით. ჩინეთის პოზიციიდან, სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულები იყო უძველესი დროიდან მისი საზღვაო ტერიტორია და რუკებსა და მრავალ დოკუმენტში განხილული იყო როგორც მინგის დინასტიის მმართველობის ქვეშ მყოფი სანაპირო თავდაცვითი ტერიტორია. ჩინელები ამ ტერიტორიას უძველესი დროიდან იყენებდნენ სათევზაოდ. იაპონური მხარის მტკიცებით კი, რომელიც არ აღიარებს ტერიტორიული დავის არსებობას ამ კუნძულებზე, კუნძულები ეკუთვნის მას, რადგან 1895 წელს ეს კუნძულები მან მიიერთა მხოლოდ მას შემდეგ რაც დამტკიცდა, რომ ეს კუნძულები იყო დაუსახლებელი და სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა ცხოვრების არანაირი კვალი არ შეინიშნებოდა ამ ტერიტორიაზე. ეს მოხდა 1895 წელს, როდესაც ჩინეთ იაპონიას შორის დადებული შიმონოსეკის ხელშეკრულების თანახმად ტაივანი (იმდროინდელი სახელწოდება- ფორმოსა) გადაეცა იაპონიას მისთვის მიკუთვნებულ სხვა კუნძულებთან ერთად, რომელშიც შედიოდა სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებიც. (Manyin, 2016)

ეს კუნძულები იყო აშშ-ს ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ, იმ დროიდან როდესაც იაპონიამ აღიარა დამარცხება მეორე მსოფლიო ომში. აშშ-მ აღნიშნული კუნძულები გადასცა იაპონურ მხარეს მათი მოთხოვნით 1972 წლის ოკინავას ხელშეკრულების საფუძველზე. (Roy-Chaudhury, 2016)

იაპონური მხარის მტკიცებით, ჩინეთი აღნიშნული კუნძულებით დაინტერესდა 1970-იან წლებში, როდესაც ნავთობი და ბუნებრივი გაზი იქნა აღმოჩენილი აღნიშნულ კუნძულებზე. ძალიან ბევრი ჩინელი ამ კუნძულებს აღიქვამს, როგორც სიმბოლოს ჩინეთის ისტორიული მარცხისა. კუნძულები დღესაც კი იაპონია-ჩინეთის დაპირისპირების სერიოზულ წყაროს წარმოადგენს. დიაოიუ/დაოს კუნძულები შეიძლება ჩაითვალოს ჩინეთისთვის ეროვნული სიამაყის წყაროდ. მართალია, ისინი წარმოადგენენ პატარა კუნძულებს, მაგრამ ჩინელი ხალხი მათ მფლობელობას აღიქვამს როგორც პოლიტიკური ზეგავლენისა და უსაფრთხოების წარმოჩენას. კუნძულების მიღება მმართველობის ქვეშ ჩინეთისთვის წარმატების მიღწევად აღიქმება. არსებობს მოსაზრება, რომ კამათი მიმდინარეობს ნავთობის გარშემო, რომლის პოტენციური მარაგი არსებობს მის გარშემო წყლებში. ჩინეთის ენერჯო მოთხოვნილებები 2035 წლისთვის იქნება მსოფლიოს მოთხოვნილებების მეოთხედის და აღნიშნულ კუნძულებზე არსებული მარაგები შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ამ პრობლემის გარკვეულწილად აღმოსაფხვრელად. (Goldman, 2015)

კუნძულების მნიშვნელობას განსაზღვრავს ფაქტი, რომ ეს კუნძულები, როგორც უკვე ითქვა, არის სასაზღვრო ხაზთან ახლოს და საერთაშორისო სავაჭრო ტრანზიტის მნიშვნელოვან რაოდენობას განაპირობებს. საუბარია იმაზე, რომ აღნიშნულ ტერიტორიებზე არის შემდეგი ბუნებრივი რესურსების მარაგები: გაზი, ნავთობი, მინერალური ნარჩენები. საზღვაო სამართლის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციით განსაზღვრული საზღვაო საზღვრების დემარკაციის საკითხი ასევე აღნიშნულ კუნძულებთან დაკავშირებულ საკითხს მნიშვნელოვანს ხდის.

კუნძულების მდებარეობა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ჩინეთს, იაპონიასა და აშშ-ს შორის აზია-წყნარი ოკეანის აუზში სამხედრო უპირატესობის მოპოვების კუთხით. ჩინეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიაში მკვლევართა გარკვეული ნაწილის თქმით, თუ იაპონია აიძულებს ჩინეთს, უარი თქვას თავის მოთხოვნებზე

კუნძულებთან დაკავშირებით, მაშინ აშშ-ს მიერ მართული აზია-წყნარი ოკეანის წესრიგი აშშ-იაპონური ალიანსის არსებობით მიღწეული, უქველად კვლავ დადასტურებული იქნება რეგიონში. მეორე მხრივ, თუ ჩინეთი წარმატებით განახორციელებს თავის მიზნებს და სუვერენულ მოთხოვნებს კუნძულებთან დაკავშირებით, მაშინ აზია-წყნარი ოკეანის აუზში აშშ-ს დომინირება წარსულს ჩაბარდება. (Roy-Chaudhury, 2016)

ზემოაღნიშნული მოსაზრება შეიძლება ჩავთვალოთ იმის მიზეზად, რომ აშშ აქტიურად არის ჩართული ამ საკითხში და არ აძლევს საშუალებას ჩინეთსა და იაპონიას დამოუკიდებლად გადაჭრან მიმდინარე დაპირისპირება. აშშ-ს გამოსვლა რეგიონიდან და აღნიშნულ დაპირისპირებაში მისი ჩაურევლობა სერიოზული პრობლემა შეიძლება გახდეს მისთვის მომავალში, რადგან იგი ძალიან კარგად ხედავს ჩინეთის გამლიერებიდან მომდინარე საფრთხეს. ხვდება, რომ ჩინეთი არ წარმოადგენს მარტივად ხელწამოსაკრავ ძალას და პირიქით, თუ არ იმოქმედებს რეგიონში ძალაუფლების შესანარჩუნებლად, აუცილებლად დაკარგავს იმ სტატუსს რაც გააჩნია.

აშშ იჭერდა ყოველთვის ნეიტრალურ პოზიციას კუნძულების მიკუთვნებულობის საკითხთან მიმართებაში, რაც გამოიხატება იმით, რომ იგი არ საუბრობდა კუნძულებზე იაპონიისთვის სუვერენული უფლებების მინიჭებაზე. ის არ ცდილობს შეცვალოს პოზიცია და დღესაც კი საუბრობს კუნძულებზე იაპონიისთვის მხოლოდ ადმინისტრაციული მმართველობის უფლების მინიჭებაზე, თუმცა 1960 წლის აშშ-ს იაპონიის უსაფრთხოების შეთანხმების მე-5 მუხლის თანახმად, ორივე როგორც იაპონური, ასევე ამერიკული მხარე აღიარებს, რომ იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ მყოფ ნებისმიერ ტერიტორიაზე სამხედრო თავდასხმის განხორციელება განხილული იქნება როგორც საერთო საფრთხე ორივე მხარისთვის, ეს კი წარმოაჩენს აშშ-ს მიერ აღებულ ვალდებულებას იაპონიის მიმართ. მართალია, ჩინეთი აშშ- იაპონიის ურთიერთობებს განიხილავს არალეგალურად, მაგრამ ეს ურთიერთობები არსებობს და შეიძლება ითქვას ერთგვარი შემაკავებელი ეფექტიც აქვს ჩინეთისთვის იაპონიის მიმართ დამოუკიდებულების გამოვლენისას. (Manyin, 2016)

2.2. კუნძულების მიკუთვნებულობა- მხარეების არგუმენტები

როგორც ჩინეთს, ასევე იაპონიას გააჩნია თავისი არგუმენტები კუნძულების მიკუთვნებულობის საკითხთან დაკავშირებით. ორივე მხარე მიიჩნევს, რომ კუნძულები მას ეკუთვნის, თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კუნძულების სტრატეგიული მნიშვნელობა ძალიან დიდ როლს თამაშობს აღნიშნული მოთხოვნების ჩამოყალიბების პროცესში. რომ არა მისი სტრატეგიული მნიშვნელობა და ბუნებრივი რესურსებით პოტენციური სიმდიდრე, შესაძლოა, მისი მოთხოვნა არ მომხდარიყო ჩინეთის მხრიდან, თუმცა, ფაქტია, რომ მას სჭირდება აღნიშნული კუნძულები აშშ-ს ძალაუფლების შესასუსტებლად რეგიონში. აშშ კი, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, არ თვლის საჭიროდ, მოახდინოს დაპირისპირების მოგვარება, რაც ნამდვილად არ არის მარტივად მიღწევადი მონდომების შემთხვევაშიც კი. დაპირისპირების მიმართ აშშ-ს დამოკიდებულების მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ჩინეთი წარმოადგენს საკმაოდ ძლიერ მოწინააღმდეგეს და მისი ქმედებები კი სერიოზულ გამოწვევას აშშ-სთვის.

იაპონური მხარის პოზიცია: იაპონიის მიერ გამოხატული ოფიციალური პოზიცია სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო წარმოჩენილია მრავალ ოფიციალურ დოკუმენტში, მათ შორის იაპონურ მხარეს განთავსებული აქვს ამის შესახებ ინფორმაცია იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე. იაპონური მხარის მტკიცებით, 1895 წელს, მას შემდეგ რაც დადგინდა, რომ კუნძულების სხვა სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ ყოფნის დამადასტურებელი არანაირი საბუთი არ არსებობდა, იაპონიის მთავრობამ მოახდინა კუნძულების შეყვანა იაპონიის მმართველობის ქვეშ იმ დროს არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს გათვალისწინებით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სან ფრანცისკოს ხელშეკრულების თანახმად, სენკაკუს კუნძულები გადავიდა აშშ-ს ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ როგორც ოკინავას (კუნძული იაპონიაში, რომელშიც იგულისხმება სენკაკუს კუნძულები) ნაწილი, რაც კიდევ ერთხელ იმეორებდა, რომ კუნძულები იყო იაპონური ტერიტორიის ნაწილი.

კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ აღნიშნული ტერიტორია აღიქმებოდა როგორც იაპონიის ტერიტორიული კუთვნილება, არის ის, რომ 1972 წელს დადებული ოკინავას დაბრუნების შესახებ შეთანხმების თანახმად, ოკინავა სენკაკუს კუნძულების ჩათვლით დაუბრუნდა იაპონიას და აღსდგა იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობა აღნიშნულ ტერიტორიაზე. იაპონური მხარის მიერ გამოხატული პოზიციის თანახმად, ეს ფაქტები ნათლად გვიჩვენებს, რომ სენკაკუს კუნძულები წარმოადგენს იაპონიის ნაწილს ომის შემდგომი საერთაშორისო წესრიგის თანახმად და საერთაშორისო სამართლის პრინციპების საფუძველზე. იაპონური მხარის მიერ გატარებული პოზიციით, ჩინეთი 1895 წლიდან მთელი 75 წლის მანძილზე არანაირ პრეტენზიას არ გამოთქვამდა სენკაკუს კუნძულების იაპონური ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ ყოფნასთან დაკავშირებით, თუმცა ეს შეიცვალა 1970-იან წლებში, როდესაც კუნძულებს მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში ნავთობის შესაძლო მარაგების არსებობის ფაქტის გამოვლენის შემდეგ.

იაპონია გამოხატავს სურვილს, რომ ჰქონდეს სტაბილური დამოკიდებულება ჩინეთთან და აცხადებს, რომ ეს საჭირო და მნიშვნელოვანია ორივე ქვეყნის მოსახლეობისთვის, ასევე რეგიონისთვის და საერთაშორისო საზოგადოებისთვის. იაპონია გააგრძელებს „ორივე მხარისთვის სასარგებლო სტრატეგიული ურთიერთობის“ ჩამოყალიბების ხელშეწყობას ჩინეთთან, თუმცა სენკაკუს კუნძულებთან დაკავშირებით ღიად აცხადებს, რომ ეს კუნძულები 1971 წლის ოკინავას ხელშეკრულების თანახმად წარმოადგენენ იაპონური ტერიტორიის ნაწილს და ისინი არ დათმობენ ამ ტერიტორიას. („Situation of the Senkaku Islands”, 2014)

იაპონია დღესაც კი სენკაკუს კუნძულებს განიხილავს თავის საკუთრებად. იაპონიის მესვეურები ამბობენ, რომ არც უნდა მიმდინარეობდეს კამათი ამასთან დაკავშირებით, ეს კუნძულები არის იაპონური მმართველობის ქვეშ და ისტორიის გათვალისწინებით, ეს ასეც უნდა იყოს. მათი მტკიცებით, სენკაკუს კუნძულები წარმოადგენს Nansei Shoto-ს კუნძულების ინტეგრალურ ნაწილს, რომელიც იაპონიის ტერიტორიას წარმოადგენს. იაპონური მხარის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად, დამტკიცებული იქნა, რომ სენკაკუს კუნძულები იყო დაუსახლებელი და არ ჩანდა არანაირი კვალი იმისა, რომ ჩინეთის ცინის დინასტიის მმართველობის ქვეშ ყოფილიყო.

ამის შემდეგ მიიღო იაპონიის მთვარობამ გადაყვეტილება და მოახდინა ამ კუნძულების იაპონიის ტერიტორიისთვის მიკუთვნება 1895 წლის 14 იანვარს. ჩინეთის დაინტერესება კი, იაპონური მხარის მტკიცებით, გამოიწვია 1968 წელს გაეროს მიერ ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა, რომლის თანახმადაც, აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში შესაძლებელია არსებობდეს ბუნებრივი რესურსების მარაგები. („Basic View,” 2013)

ჩინური მხარის პოზიცია: ჩინური მხარის პოზიცია, რა თქმა უნდა, განსხვავდება იაპონური მხარის პოზიციისგან. არსებული კონფლიქტი სწორედ მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებების დაპირისპირებულობაში გამოიხატება. ჩინური მხარის მტკიცებით, აღნიშნული კუნძულები იაპონიის მიერ უკანონოდ არის მიკუთვნებული თავისი ტერიტორიისთვის.

ჩინეთის ოფიციალურ პირთა მტკიცებით, დიაოიუ დაოს კუნძულები არ ყოფილა განხილვის საგანი და არ არსებობდა არანაირი დაპირისპირება ამ საკითხთან დაკავშირებით მანამ სანამ იაპონურმა მხარემ არ განახორციელა არალეგალური ქმედება 1895 წელს და არ მოახდინა ამ კუნძულების ოკუპაცია შიმონოსეკის ხელშეკრულების საფუძველზე. („Treaty of Shimonoseki”, n.d.) დიაოიუ დაოს კუნძულები არის ჩინეთის ტერიტორია ისტორიულად და კანონიერად. სწორედ ჩინელმა ხალხმა აღმოაჩინა ეს კუნძულები და სწორედ მან შეარქვა ეს სახელი.

კუნძულების ჩინეთისადმი მიკუთვნებულობის კანონიერ მაგალითად ჩინეთს მოჰყავს საერთაშორისო სამართალი და ამბობს, რომ საერთაშორისო კანონიერ დოკუმენტებში არის ნათელი დადასტურებები იმისა, რომ კუნძულები ეკუთვნის ჩინეთის მხარეს. ამის დასტურად ჩინეთს მოჰყავს ქაიროს დეკლარაცია და პოტსდამის დეკლარაცია, სადაც საუბარია იმაზე, რომ დიაოიუ დაო და მასში შემავალი კუნძულები უნდა დაუბრუნდეს ჩინეთს ტაივანთან ერთად. ძალიან ნათლად არის ამ დეკლარაციებში გაწერილი, რომ იაპონიამ უნდა დაუბრუნოს ჩინეთს ყველა ის ტერიტორია, რომელიც მან მოსტაცა ჩინეთს. აქედან გამომდინარე, დიაოიუ დაო და მის შემადგენლობაში მყოფი ყველა კუნძული უნდა დაბრუნებოდა მას.

ჩინეთი დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებული დაპირისპირების გამმაფრებაში ადანაშაულებს აშშ-ს, რომელმაც 1971 წელს იაპონიას გადასცა

ადმინისტრაციული უფლებები დიაოიუ დაოს კუნძულებზე, რომლებიც თავის დროზე არაკანონიერად იყო აშშ-სთვის გადაცემული. ჩინეთმა გააკეთა განცხადება, რომ აღნიშნული ქმედება იყო უკანონო და არ უნდა შეცვლილიყო ჩინეთის უფლებები დიაოიუ დაოს კუნძულებთან მიმართებაში.

1972 წელს აღდგენილი იქნა დიპლომატიური ურთიერთობები ჩინეთსა და იაპონიას შორის, ამ დროს კი მიღწეული იქნა კონსესუსი იმასთან დაკავშირებით, რომ „დიაოიუ დაოს საკითხი გადაედოთ გვერდზე მომავალში განსახილველად“. („Vice Foreign Minister,” 2012) მიუხედავად ამ შეთანხმებისა, დღესაც კი არ წყდება დაპირისპირება კუნძულებთან დაკავშირებით და შეუძლებელია შეწყდეს, რადგან არცერთი მხარე არ აპირებს დათმობას.

აშშ-ს პოზიცია: აშშ-ს ადმინისტრაციული მმართველობა კუნძულებზე დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როგორც შედეგი 1951 წელს აშშ-სა და იაპონიას შორის მშვიდობის შესახებ დადებული ხელშეკრულებისა. („Security Treaty Between the United States and Japan,” 1951) მართალია, ხელშეკრულებაში არ ყოფილა ნახსენები სენკაკუს კუნძულები, თუმცა საუბარი იყო სხვა ადგილებზე, რომლებიც დაბრუნებული იყო ჩინეთის კონტროლის ქვეშ, ან რომელსაც ჩინეთი ითხოვდა და მათ შორის იყო მოაზრებული სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულები.

აშშ-ს პოზიციას აღნიშნულ კონფლიქტთან დაკავშირებით ძალიან დიდი ყურადღება ექცევა ბევრი ავტორის მხრიდან. აშშ თავიდანვე შეიძლება კონფლიქტში მონაწილე მხარედ აღვიქვათ, რადგან მას ყოველთვის ჰქონდა გარკვეული ინტერესები კუნძულების მიმართ რეგიონში მისი ინტერესებიდან გამომდინარე.

ოკინავას ხელშეკრულების დადებამდე, ჩინეთი გამოთქვამდა პროტესტს აშშ-ს კონფლიქტში ჩართულობასთან დაკავშირებით. იაპონიაც აპროტესტებდა ასევე იმ ფაქტს, რომ აშშ გამოხატავდა აშკარად ნეიტრალურ პოზიციას კუნძულებზე სუვერენიტეტის საკითხთან დაკავშირებით. აშშ-ს გადაწყვეტილება, საკამათო კუნძულები მოექცია ოკინავას ხელშეკრულებით დასაბრუნებელ ტერიტორიათა რიცხვში აღქმული იქნა მრავალი ავტორისა და ექსპერტის მიერ როგორც ნეიტრალურობის შენარჩუნება. რამდენიმე ოფიციალური განცხადების მიხედვით, ეს ხელშეკრულება არ ახდენდა კუნძულების არც სუვერენიტეტისა და არც კანონიერი

სტატუსის განსაზღვრას. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, ეს შეთანხმება არ ახდენდა ეფექტს კუნძულების ლეგალური სტატუსის განსაზღვრაზე. ასევე ერთ-ერთი განცხადების თანახმად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და იაპონია ითხოვდნენ სუვერენულ უფლებებს კუნძულებზე. სახელმწიფო დეპარტამენტი ამბობდა, რომ სან ფრანცისკოს შეთანხმების თანახმად, აშშ-მ მიიღო ადმინისტრაციული მმართველობის უფლება კუნძულებზე და არა სუვერენიტეტის უფლება. ასე რომ, აშშ-ს ქმედება თავისი ადმინისტრაციული უფლებების იაპონისთვის გადაცემისა, არ გულისხმობს სუვერენიტეტის გადაცემას კუნძულებზე. (Shaw, 1999)

ზემოაღნიშნული განცხადებიდან ნათლად ჩანს, რომ აშშ ცდილობს შეინარჩუნოს ნეიტრალიტეტი, თუმცა ამავე დროს გამოხატავს აშკარა ინტერესს კუნძულების მიმართ. აღნიშნულ დაპირისპირებაში აშშ-ს როლი გამომდინარეობს იქიდან, რომ იგი წარმოადგენს იაპონიის პარტნიორს. იაპონია და აშშ არიან სტრატეგიული პარტნიორები. აშშ-ს ყავს განთავსებული სამხედრო ბაზები იაპონიაში, სამაგიეროდ კი იაპონია აშშ-სგან ელოდება დახმარებას საჭიროების შემთხვევაში. აშშ-ს პრეზიდენტი ადასტურებდა მზადყოფნას ამისთვის, თუმცა ასევე აღნიშნავდა, რომ დაპირისპირების ესკალაცია ყველა მხარეს სერიოზულ ზიანს მიაყენებს. („How uninhabited islands,” 2014) ეს განცხადება ნათელს ხდის, რომ აშშ არ არის მომხრე დავის შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაზრდისა და თუმცა მის მიერ აღებული ვალდებულება იაპონიის მიმართ, მას არ ავიწყდება.

21-ე საუკუნის დასაწყისისთვის, ჩინეთის სწრაფი განვითარების თავიდან აცილების მიზნით, რაც საფრთხეს უქმნის აშშ-ს დომინანტურ როლს რეგიონში, მან გამოხატა უფრო მკვეთრი პოზიცია აშშ-იაპონიის უსაფრთხოების ხელშეკრულებაში სენკაკუ/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებულ საკითხზე, რაც აჩვენებს ახლო კავშირს სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან მიმართებაში გამოხატულ პოლიტიკასა და მის აღმოსავლეთ აზიურ პოლიტიკას შორის. არ არის მოსალოდნელი მოხდეს რამე სახის მნიშვნელოვანი ცვლილებები აშშ-ს ამჟამინდელ პოზიციაში კუნძულებთან დაკავშირებით მანამ სანამ არ მოხდება ფუნდამენტური ცვლილებები ჩინეთ-აშშ-იაპონიის ურთიერთობებში და მათ შორის ძალთა ბალანსში. (Qun, 2017)

თავი III. რეგიონის ძლიერ სახელმწიფოთა ურთიერთობა და ინტერესები რეგიონში

3.1. ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობები

მიუხედავად ისტორიული საფუძვლებისა, ჩინეთ-იაპონიას შორის არსებული დაპირისპირება სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით შეიძლება მოგვარებადი ყოფილიყო, თუმცა აშშ-ს როლი აღნიშნულ კონფლიქტში ძალიან დიდია. რომ არა აშშ-ს მხარდაჭერა, შესაძლოა იაპონიას ვერ გაებედა ამ დონეზე აღნიშნულ კონფლიქტთან დაკავშირებით იმ პოზიციის დაჭერა, რაც უჭირავს.

აღნიშნული სახელმწიფოების ქცევები საერთაშორისო ასპარეზზე შეიძლება განხილული იყოს როგორც მათი მისწრაფება გახდნენ დიდი ძალაუფლების მქონე სახელმწიფოები და გააჩნდეთ გადამწყვეტი სიტყვის უფლება საერთაშორისო ასპარეზზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დაპირისპირება არის იაპონიასა და ჩინეთს შორის, იაპონიის მისწრაფებაზე მეტად ჩანს აშშ-ს მისწრაფება, ამ კონფლიქტის გამოყენებით შეინარჩუნოს გაბატონებული მდგომარეობა აღმოსავლეთ აზიაში.

ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობები განიხილება როგორც ყველაზე საშიში აზიის კონტინენტზე. ამ ქვეყნებს გააჩნია საუკუნეების მანძილზე ურთიერთმტრობის ისტორია. არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი იმისა, რომ ვივარაუდოთ, ჩინეთ-იაპონიას შორის არსებული ურთიერთობების დათბობა ძალზედ საეჭვოა. აზიის რეგიონში მრავალი კერა არსებობს დამაბულობისთვის, მაგრამ ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობა განიხილება ამ მრავალთა შორის ყველაზე დამაბულად. ორივე არის ძლიერი სახელმწიფო, ისტორიას არ ახსოვს მათი ჰარმონიული თანაარსებობის პერიოდი და ძალიან რთულია იმის თქმა, რომ ეს ორი სახელმწიფო შეძლებს იარსებოს ერთმანეთის გვერდით დამაბულობისა და კონფლიქტის გარეშე. მცირეა მოლოდინი იმისა, რომ ჩინეთი და იაპონია შეძლებენ იყვნენ ჰარმონიულად მცხოვრები მეზობლები 21-ე საუკუნეში. თუ ისინი ამას შეძლებენ, ისინი წავლენ საუკუნეების მანძილზე მათ შორის არსებული ურთიერთდაპირისპირებული ქცევების პრაქტიკის წინააღმდეგ, რაც ნაკლებად მოსალოდნელია.

1970-1980-იან წლებში იაპონიის პრემიერ მინისტრთა მხრიდან ადგილი ჰქონდა მცდელობებს მომხდარიყო ურთიერთობების დათბობა ჩინეთთან, თუმცა ჩინეთისგან

ვერ მიიღეს შესაბამისი პასუხი. იაპონიის გაღიზიანება გამოიწვია სწორედ აღნიშნულმა ფაქტმა. ზემოაღნიშნულ წლებში იაპონიის პრემიერ მინისტრებმა მიიღეს მკაფიოდ გამოკვეთილი სტრატეგიული გადაწყვეტილება, რომ ემუშავათ ჩინეთთან ერთად ჩინეთის მოდერნიზაციის პროცესზე. ერთ-ერთ წიგნში მოყვანილია სტატისტიკა, რომლის თანახმადაც იაპონური დახმარების 70% წავიდა ჩინეთისკენ, თუმცა საქმე არ ეხებოდა მხოლოდ ფულს, იაპონია იყო მთავარი ტექნოლოგიური და საგანმანათლებლო სფეროში პარტნიორი. ამ დახმარების გარეშე ჩინეთის აღმავლობა (opening up) არ იქნებოდა ისეთი წარმატებული, სწრაფად მიღწეული, როგორც იყო.

საბოლოოდ, იაპონიაში მიხვდნენ, რომ ჩინეთმა არათუ არ შეცვალა დამოკიდებულება იაპონიის მიმართ, არამედ მაღლიერების გრძნობაც კი არ გასჩენია. იაპონიაში, ჩინეთისთვის დახმარების გაწევა მიჩნეულ იქნა შეცდომად, რადგან საპასუხო რეაქცია მათგან არ მიუღიათ. პირიქით, ჩინეთი დღითიდღე ემსგავსებოდა იაპონიისთვის კომმარს- ძლიერი, კომუნისტურად მართული ერთპარტიანი სისტემა, რომელიც ტოკიოს მიმართ რევანშისტულად იყო განწყობილი და არაფერ კარგს არ უქადდა იაპონიას. ჩინეთი ზრდიდა სამხედრო ფლოტს, რაც, რა თქმა უნდა, პირდაპირ საფრთხეს უქმნიდა იაპონიის ინტერესებს. (Brown, 2016)

ჩინეთ- იაპონიას შორის დაძაბული ურთიერთობების არსებობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს სწორედ აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში არსებული კუნძულთა ჯგუფი (სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულები). აღნიშნული კუნძულები მდებარეობს ტაივანის ჩრდილო აღმოსავლეთით, ჩინეთის მთავარი მიწის აღმოსავლეთით და ოკინავას სამხრეთ დასავლეთით. კუნძულები, მართალია, კონტროლდება იაპონიის მიერ, მაგრამ ჩინეთი არ წყვეტს მოთხოვნას, რომ ეს კუნძულები უნდა იყოს მისი მმართველობის ქვეშ. სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულები, თევზით მდიდარი აკვატორიითა და ბუნებრივი აირის რეზერვებით გამოირჩევა. მათ ასევე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პოზიცია უკავიათ აშშ-სა და ჩინეთს შორის მზარდ კონკურენციაში აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, („How uninhabited islands,” 2014) რაც აიძულებს სახელმწიფოებს ჰქონდეთ დაძაბული ურთიერთობა.

ჩინეთისა და იაპონიის ურთიერთობები ათასწლეულებს ითვლის. ამჟამად ისინი წარმოადგენენ მსოფლიოში სიდიდით მეორე და მესამე ეკონომიკებს. მათ შორის

არსებული თანამშრომლობა შეიძლება მსოფლიოში არსებული ეკონომიკური ვითარების მნიშვნელოვანი განმაპირობებელი იყოს. მათ შორის კულტურული მსგავსება ყოველთვის ძალიან ძლიერი იყო და ინტერნეტმა და მობილურმა საშუალებებმა ეს სიახლოვე კიდევ უფრო მეტად გაზარდა. სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო არსებული დაპირისპირების გამძაფრებამ 2010-2012 წლებში გააჩინა მოსაზრება, რომ ომის შესაძლებლობა ამ ორ სახელმწიფოს შორის იყო ძალიან დიდი.

1972 წელს ჩინეთსა და იაპონიას შორის დაიდო ხელშეკრულება დიპლომატიური ურთიერთობების ნორმალიზაციასთან დაკავშირებით. მიუხედავად დიპლომატიური ურთიერთობების ნორმალიზაციის შესახებ ხელშეკრულებისა, სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებული დავა არ გადაჭრილა. გამოიკვეთა დამოკიდებულება, რომ მათი ურთიერთობები შეთანხმების მიღწევის პერიოდიდან პირველი ორი ათწლეულის მანძილზე აშკარად გამოირჩეოდა ურთიერთობის დათბობით, თუმცა აღსანიშნავია ბოლო ათწლეული, როდესაც მათ შორის ვითარება დაიძაბა, რომლის ძირითადი მიზეზი არის კუნძულების გარშემო არსებული დავა.

ამ ორ სახელმწიფოებს შორის არსებულ ურთიერთობაში აშშ-ს როლი ძალიან დიდია. 2009 წელს ბუშის ადმინისტრაციამ დაიწყო ჩინეთთან გლობალური პარტნიორობის დამყარების შესახებ მზადება, თუმცა შემდეგ ეს ინიციატივა დაიხურა, რაც დაკავშირებული იყო ჩინეთის მხრიდან გამოვლენილ დამოკიდებულებასთან საზღვაო საკითხებთან მიმართებაში რეგიონში, კონკრეტულად კი იაპონიასთან მიმართებაში. ამის შემდეგ აშშ-ს მხრიდან უკვე გამოვლენილი იქნა რეზოლანსირების პოლიტიკის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები. (Akio, 2017) რეზოლანსირების პოლიტიკის არსებობა ჩინეთს რეგიონში მარტივად მოქმედების საშუალებას არ აძლევს, რაც, რა თქმა უნდა, მას არ მოსწონს და ყველანაირად შეეცდება აშშ-ს როლი რეგიონში მინიმუმამდე დაიყვანოს. თუმცა, ეს არც ისე მარტივია, რადგან აშშ არ მოქმედებს მარტო, მას ყავს მხარდამჭერები და სტრატეგიული პარტნიორები რეგიონში იაპონიისა და რეგიონის სხვა სახელმწიფოთა სახით.

3.2. ჩინეთის ინტერესები

საერთაშორისო ურთიერთობების მრავალი მკვლევარის მოსაზრებების თანახმად, ჩინეთი არის დამცველი იმისა, რაც გააჩნია, მაგრამ ასევე სურს მიაღწიოს დიდ სიღრმეებს უფრო მეტი ძალაუფლების მისაღებად.

მიუხედავად ისტორიული პერიოდებისა, როდესაც ჩინეთის მიზანს იზოლაციონიზმის შენარჩუნება წარმოადგენდა, დღეს უკვე ჩინეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გლობალიზაციის პროცესებისთვის ფეხის აწყობას, აძლიერებს კავშირებს და შედეგად იღებს მნიშვნელოვანი ძალის სტატუსს საერთაშორისო არენაზე, რაც დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან ხშირ შემთხვევაში სერიოზულ საფრთხედ აღიქმება. („People’s Republic of China,” n.d.)

ჩინეთის სუპერძალად აღქმა იქნებოდა თავიდანვე შეცდომა, რადგან საერთაშორისო ურთიერთობების თეორეტიკოსთა თქმით, იმისთვის, რომ სახელმწიფოს მიენიჭოს „სუპერსახელმწიფოს“ სტატუსი, მას უნდა ჰქონდეს უნარი შეინარჩუნოს ძალაუფლება მსოფლიოს გარშემო, (Munro, 2013) ეს უნარი ჩინეთს ჯერ კიდევ აკლია, მაგრამ ასევე უნდა იყოს უნარიანი მოახდინოს მანიპულირება და ჩამოყალიბება გლობალურ დონეზე საერთაშორისო სისტემისა. თანამედროვე მსოფლიოში, მხოლოდ აშშ-ს აქვს „სისტემის განმსაზღვრელი“ ძალაუფლება, ჩინეთს კი ჯერჯერობით არ აქვს შესაძლებლობები იმისთვის, რომ ჩამოაყალიბოს ალტერნატიული საერთაშორისო წესები და ნორმები.

რეგიონალური დიპლომატია ჩინეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია წლების განმავლობაში. მიმდინარე საუკუნეში ჩინეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები ყოველთვის მოიცავს მის მშვიდობიან არსებობაზე აქცენტს. ეს არის სახელმწიფო, რომლისთვისაც ეკონომიკური განვითარება და სიძლიერე უმნიშვნელოვანესია და იცის, რომ აღნიშნულის მიღწევა ძალადობის არსებობის პირობებში ძალიან რთული იქნებოდა. ჩინეთის მიერ ჩამოყალიბებული საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები ყოველთვის მოიცავს შემდეგ მნიშვნელოვან ასპექტებს:

- ერთმანეთის ტერიტორიული ინტეგრაციისა და სუვერენიტეტის პატივისცემა;
- საერთო არააგრესიული ქმედებების განხორციელება;

- ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობა;
- თანასწორობა და ერთობლივი სარგებელი;
- მშვიდობიანი თანაარსებობა;

ჩინეთი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ჰარმონიული, მშვიდობიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე. (Five Principles of Peaceful Co-Existence). სწორედ ეს ამღევს მას საშუალებას იყოს ძლიერი სახელმწიფო და სხვა სახელმწიფოთათვის ანგარიშგასაწევი ძალა.

გლობალიზაციის ეპოქაში საერთაშორისო ასპარეზზე მისი მთავარი მიზნებია:

- ✓ გლობალურ დონეზე განვითარება;
- ✓ ჰარმონიული და საერთო განვითარებაზე მორგებული პოლიტიკის გატარება საერთაშორისო დონეზე;
- ✓ მთავარი აქცენტი კეთდება სუვერენიტეტის შენარჩუნებაზე და ინტერვენციების არარსებობაზე;
- ✓ მსოფლიოს სახელმწიფოებთან მშვიდობიანი ურთიერთობების შენარჩუნება; („China’s progress towards the Millennium Development Goals“, 2013).

ჩინეთის ინტერესები მსოფლიო ასპარეზზე, რა თქმა უნდა, პირველ რიგში აისახება რეგიონში მის ინტერესებზე. სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დავაში თავისი პოზიციის დაცვა და დათმობებზე არწასვლა სწორედ მის საბოლოო მიზნებთან მოდის შესაბამისობაში, რადგან ამით სუვერენიტეტის შენარჩუნებაზე აკეთებს აქცენტს. მართალია, მისი მიზანი- ჰარმონიული თანაარსებობა საფრთხის წინაშე დგას, იაპონიასთან არსებულ ურთიერთობებს თუ გავითვალისწინებთ, თუმცა აშშ-სთან მიმართებაში ჯერ კიდევ ახერხებს შეინარჩუნოს თითქოსდა ჰარმონიული ურთიერთობა, მიუხედავად კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დავაში მათ შორის ინტერესთა აშკარა განსხვავებულობისა.

სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან ჩინეთის მიმართებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ იგი ყველანაირად ცდილობს დაიცვას თავისი პოზიცია და დაანახოს

აშშ-სა და იაპონიას, რომ არ დათმობს კუნძულებს. მისი პოზიცია სრულიად გასაგებია და არც არის გასაკვირი მისი ეს დამოკიდებულება.

მიუხედავად ჩინეთის გაცხადებული მიზნებისა, იყოს მშვიდობიანი სახელმწიფო და მიაღწიოს ეკონომიკურ სიძლიერეს, შეიძლება ითქვას, იგი რეგიონებთან უფრო მჭიდრო კავშირების დამყარებასა და რაც შეიძლება მეტი ძალაუფლების მოპოვებას ხედავს მისი მშვიდობიანი არსებობის ერთ-ერთ გარანტად, რადგან მან იცის, რომ მისი გაძლიერება სერიოზულ საფრთხედ აღიქმება, პირველ რიგში, მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს- აშშ-ს მიერ, რაც ჩინეთისთვის მომავალში შეიძლება პრობლემის შემქმნელი აღმოჩნდეს. სწორედ ეს დამოკიდებულება შეიძლება ჩავთვალოთ მოვლენების ამ მიმართულებით განვითარების მთავარ განმაპირობებლად. რომ არა ჩინეთის გაძლიერება და საერთაშორისო ასპარეზზე მისი გაბატონების საშიშროება, აშშ-ს ჩართულობა სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დავაში იქნებოდა ნაკლები.

ჩინეთის მიზნებზე საუბრისას, განიხილავენ მის სურვილს იყოს რეგიონული ჰეგემონი, თუმცა ასევე საუბრობენ რეგიონში იაპონიის ძალაუფლებაზე. იაპონიის გარდა ვერცერთი სახელმწიფო ვერ შეძლებს ერთი ან ორი ათწლეულის მანძილზე მოიპოვოს ჩინეთზე უპირატესობა. ჩინეთის ჰეგემონობა ეჭვის ქვეშ დგება იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფოებს „ჰეგემონის“ სტატუსის მისაღებად სჭირდებათ ისეთი მდგომარეობა, სადაც მხოლოდ თვითონ იქნებიან ერთადერთი ძლიერი სახელმწიფო რეგიონში. როდესაც რეგიონში არსებობს ერთზე მეტი ძლიერი სახელმწიფო, შეუძლებელია არსებობდეს ჰეგემონი. ჩინეთის სიძლიერიდან და მისი განვითარების ტემპებიდან გამომდინარე საუბარია მასზე როგორ პოტენციურ ჰეგემონზე რეგიონში, რისთვისაც ნამდვილად გააჩნია ბერკეტები.

ჩინეთის პოტენციურ ჰეგემონობაზე საუბრისას პოლ გოდვინი ასევე საუბრობს აზიის რეგიონის ორ უმთავრეს სტრატეგიულ მახასიათებელზე- კონტინენტურ და საზღვაო ნაწილზე. იმისთვის, რომ აზიაში ჰეგემონობა მოიპოვოს, სახელმწიფო უნდა იყოს როგორც კონტინენტზე, ასევე საზღვაო სივრცეში ჰეგემონი. აღმოსავლეთ ჩინეთის წყლებში კი ჩინეთს უპირისპირდება აშშ, რომელიც რეგიონის სახელმწიფოებთან, მათ შორის იაპონიასთან სტრატეგიული ურთიერთობების დამყარების გზით ითავსებს

ოფშორული დამბალანსებლის როლს ჩინეთის კონტინენტურ დომინანტობასთან მიმართებაში. ამერიკული პერსპექტივიდან, აშშ თავისი მოკავშირეების დახმარებითა და წვდომით ახერხებს „კონტინენტური-საზღვაო სამხედრო ბალანსი“ შეინარჩუნოს აღმოსავლეთ აზიაში. ზემოთქმულიდან გამომდინარე კი, რადგან რეგიონში არის მეორე რეგიონული ძლიერი სახელმწიფო აზიაში, ჩინეთი შეუძლებელია მოხსენიებული იყოს როგორც ჰეგემონი. როგორც რობერტ როსი აღნიშნავს, ამ პერსპექტივიდან აღმოსავლეთ აზია არის ბიპოლარული, ჩინეთი და აშშ იზიარებენ რეგიონულ ძალთა ბალანსს. (Godwin, 2004)

ჩინეთი როგორც ეკონომიკურად, ისე სამხედრო კუთხით ძლიერი სახელმწიფოა და ცდილობს ამ ძალაუფლების გამოყენებას. გარკვეული მოსაზრებების თანახმად, ჩინეთი ცდილობს მოახდინოს მსოფლიოს, ან მინიმუმ რეგიონის რესტრუქტურირება მის სასიკეთოდ. ფრენსის ფუკუიამას თანახმად, „ჩინელებმა იციან, რასაც აკეთებენ... მათ სურთ აღმოსავლეთ აზიის ორგანიზება ისეთნაირად რომ თვითონ მოექცნენ ცენტრში“ მისი ამ მოსაზრების თანახმად ჩინეთი ცდილობს რეგიონში, ისევე როგორც მსოფლიოში გაბატონებას. (Rathus, 2010)

ფუკუიამას ამ მოსაზრების თანახმად იგი ისწრაფვის არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მსოფლიოში ჰეგემონობისკენ. ეს არც არის გასაკვირია თუ ყურადღებას მივაქცევთ მსოფლიო არენაზე მის ქცევებს. მას ნამდვილად აქვს ბერკეტები იმისთვის, რომ გაბატონდეს მსოფლიოში და თუ გავითვალისწინებთ მისი განვითარების ტემპებს, მის მიერ აშშ-ს ჩანაცვლების საშიშროებაც ნამდვილად არსებობს. სწორედ ამის ეშინია აშშ-ს და სწორედ ამიტომ ცდილობს უფრო მეტი ძალაუფლების მოპოვებას როგორც რეგიონში, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე, რათა სხვა ძლიერმა სახელმწიფოებმა, ამ შემთხვევაში კი ჩინეთმა, ვერ შეძლოს მისი ჩანაცვლება მსოფლიო ასპარეზზე. ჩანაცვლების საშიშროება საკმაოდ დიდია და ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად საჭიროა აქტიური ქმედებები, რისთვისაც აშშ ძალას არ იშურებს.

3.3. იაპონიის ინტერესები

რეგიონში იაპონიის ინტერესებზე საუბრისას, რთულია ისაუბრო მხოლოდ და მხოლოდ იაპონურ ინტერესებზე. ამ საკითხის განხილვისას ყოველთვის ჩანს აშშ-ს არსებობა რეგიონში და იაპონიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხშირად განიხილება როგორც აშშ-ს ზეწოლის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები. აშშ-ს ზეწოლის განხილვისას კი ამბობენ, რომ აშშ-სგან გამოვლენილი ზეწოლა არის ყველაზე წარმატებული მაშინ, როდესაც წამოჭრილი საკითხი არის ძალიან მწვავე აშშ-სთვის და შედის მის ინტერესებში. იაპონური მხარე არ უარყოფს აშშ-სგან მომდინარე ზეწოლას. (Ehrhardt, 2002)

აზია- წყნარი ოკეანის რეგიონში იაპონიის ინტერესებზე საუბრისას იკვეთება იაპონიის დამოკიდებულება მსოფლიო პროცესების მიმართ. იგი ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც უნდა განახორციელოს მომავალში და რასაც ისახავს მიზნად, აკავშირებს აშშ-სთან, როგორც მის პარტნიორთან. რეგიონში იაპონია ცდილობს დაამყაროს ურთიერთობები პატარა სახელმწიფოებთან, რაც მას სჭირდება ჩინეთის წინააღმდეგ, (Heydarian, 2016) თუმცა, აშშ-ს ჩართულობა იაპონიის მიერ წამოჭრილ ნებისმიერ საკითხში და იაპონიის მიერ აშშ-ს განხილვა პარტნიორად განაპირობებს აშშ-ს წარმატებას რეგიონში. სწორედ ამით ახერხებს აშშ, შეინარჩუნოს ძალაუფლება რეგიონში და სწორედ ამიტომ უჭერს მხარს სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დავაში იაპონიას. ეს არის ის მცირედი, რისი გაკეთებაც შეუძლია აშშ-ს იაპონიისთვის იმ შესაძლებლობების სანაცვლოდ, რასაც იგი იღებს იაპონიის პარტნიორობით რეგიონში.

აშშ-სა და იაპონიის პარტნიორობა მრავალ საკითხში შეიძლება აღვიქვათ, როგორც შესაძლებლობა ორივე ქვეყნისთვის, თუმცა ამ ურთიერთობების მნიშვნელობების გააზრებისას შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ აშშ-ს უფრო მეტად სჭირდება იაპონია, ვიდრე იაპონიას აშშ, იქიდან გამომდინარე, რომ იაპონიას არ აქვს მსოფლიო ბატონობის პრეტენზია და აშშ-ს არარსებობის შემთხვევაში იგი ეცდებოდა დაემყარებინა მეგობრული ურთიერთობები ჩინეთთან და არსებული კონფლიქტიც, შესაძლოა, გადაჭრილიყო რამენაირად. თუმცა, ამ შემთხვევაში აშშ დაკარგავდა ძალაუფლებას

აღმოსავლეთ აზიის რეგიონში და იგი ვერ იქნებოდა წარმოდგენილი როგორც ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო, რაც მისთვის სერიოზული ზიანის მომტანი იქნებოდა, რადგან ჩინეთის უფრო მეტად გაძლიერების საფრთხე უფრო და უფრო გაიზრდებოდა.

რეგიონში იაპონიის ინტერესების განხილვისას ხშირად გვაქვს საქმე გაურკვეველ ვითარებასთან მისი აზიელი მეზობლებისთვის. იაპონიისთვის გამოწვევას წარმოადგენს, რომ მან უნდა განავითაროს ერთობლივი ლიდერის როლი ჩინეთთან ერთად რეგიონის ინტეგრაციისთვის. ეკონომიკურ სფეროში ასეთი თანამშრომლობა და ინტეგრაცია უკვე კარგად განვითარებულია, თუმცა ჯერ კიდევ რჩება შეზღუდვები. უფრო რთულ პრობლემას წარმოადგენს სტატეგიული და პოლიტიკური განზომილება. იაპონიის ურთიერთობები ჩინეთთან რამდენიმე ფაქტორის მხრიდან ზეგავლენას განიცდის. პირველი, ეს არის ისტორიული წარსული (ომის მეხსიერება) და აშშ-ს როლი რეგიონში. ამერიკის პრიორიტეტები ბუშის ადმინისტრაციის პერიოდიდან მოყოლებული აღმოსავლეთ აზიაში განისაზღვრა მოკავშირეებთან მჭიდრო ურთიერთობებით, რომელთა შორის აღსანიშნავია იაპონიასთან არსებული ურთიერთობები. აშშ-ს სახელმწიფო მდივანი აცხადებდა, რომ აშშ მიაქცევდა უფრო მეტ ყურადღებას აშშ-იაპონიის ალიანსს. თავის მხრივ, იაპონია წარმოადგენს აშშ-ს „ლოიალურ მიმდევარს“. ეს კი, რა თქმა უნდა, აშკარა ნიშანია ჩინეთისთვის იმის მისახვედრად, რომ მას ჰყავს რეგიონში მოწინააღმდეგეები, რომლებსაც მისი გაძლიერება სერიოზულ საფრთხეს უქმნის და საჭიროა მოქმედება.

იაპონიისთვის რეგიონში მნიშვნელოვან ანგარიშგასაწევ ფაქტს წარმოადგენს ის, რომ ჩინეთი მოქმედებს რეგიონში საკუთარი ინტერესების უზრუნველსაყოფად. ჩინეთის გაძლიერებამ, რომელიც დღეს ნამდვილად წარმოადგენს ძლიერ სახელმწიფოს შეცვალა ძალთა გადანაწილება აზიის რეგიონში, რაც, რა თქმა უნდა, შეეხო იაპონიასაც. იაპონიისთვის არსებობს მნიშვნელოვანი დაბრკოლებები როგორც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ასევე სოციალურ სტრუქტურებთან დაკავშირებით, რაც იაპონიას გამორიცხავს უფრო მეტი ძალაუფლების მოპოვების შესაძლებლობისგან რეგიონში. იაპონიისთვის გამოწვევას წარმოადგენს, რომ მან უნდა განავითაროს რეგიონში ერთობლივი ლიდერის როლი ჩინეთთან ერთად, რათა მოხდეს რეგიონის ინტეგრირება.

(Zhao, 2004)

აშკარაა, რომ იაპონიისთვის რეგიონში ძალაუფლების მხოლოდ მის ხელში გენერირების საშუალება არ არსებობს. მას ყავს მეტოქეები, რომელთა ქმედებებიც მას არ მისცემენ საშუალებას, რეგიონში ჰეგემონობის სურვილიც კი გაუჩნდეს. მიუხედავად მისი სიძლიერისა და მისთვის ძლიერი სახელმწიფოს სტატუსის მინიჭებისა, აშკარაა, რომ ჩინეთი წარმოადგენს მასზე მაღლა მდგომ სახელმწიფოს რეგიონში და იაპონიას არ აწყობს ჩინეთთან ურთიერთობების დამაბვა, თუმცა სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით უჭირავს სწორი პოზიცია, რასაც იგი ახერხებს, ალბათ, აშშ-სთან მჭიდრო ურთიერთობების შენარჩუნების გზით. აშშ-ს ძალაუფლება ქმნის წინაპირობას იმისთვის, რომ იგი ჩაითვალოს ანგარიშგასაწევი ძალად რეგიონში, რაც მისი სიძლიერიდან გამომდინარეობს. რეგიონში ძალაუფლების შენარჩუნებას კი ხელს უწყობს რეგიონის სახელმწიფოებთან ალიანსების არსებობა, რომლებსაც აშშ იყენებს როგორც მნიშვნელოვან ბერკეტს თავისი მიზნების განხორციელებისთვის.

თავი IV. აშშ-ს დამოკიდებულება ჩინეთ-იაპონიის დაპირისპირების მიმართ

4.1 . დაპირისპირებაში ჩართულობა- ჩინეთისგან მომდინარე საფრთხის თავიდან აცილების მცდელობა

ძლიერი სახელმწიფოების მიერ მართულ მსოფლიოში, სადაც ძალაუფლების მიღწევა მთავარი მიზანია, ჩინეთი ახერხებს იყოს „ჰარმონიული ურთიერთობების“ დამყარების მოსურნე სახელმწიფო, რომელიც ძლიერი ქვეყნის სტატუსს სულ უფრო და უფრო მეტად ირგებს. მისი განვითარების სისწრაფე მკვლევარებს აძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ეკონომიკური განვითარების დონით იგი მალე აშშ-ს გაასწრებს. ჩინეთის ინტერესები რეგიონებში, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია მის მიზნებთან, იყოს ძლიერი ეკონომიკის მქონე სახელმწიფო. მისი სიძლიერე მდგომარეობს იმაში, რომ იგი სჭირდებათ მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოებსაც კი ეკონომიკური სიძლიერიდან გამომდინარე.

აშშ ხედავს ჩინეთის გაძლიერებიდან მომდინარე საფრთხეს. ჩინეთის გაძლიერება აშშ-სთვის წარმოადგენს გამოწვევას. იგი უფრთხის მის გაძლიერებას, მითუმეტეს, იქიდან გამომდინარე, რომ აზია-წყნარი ოკეანის აუზი აშშ-სთვის მნიშვნელოვან ინტერესის სფეროს წარმოადგენს. რომ არა მისი მნიშვნელობა, აშშ არ ეცდებოდა ჩარეულიყო სენკაკუს/დიოაიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დაპირისპირებაში.

ჩინეთს აქვს მნიშვნელოვანი ბერკეტები იმისთვის, რომ წარმოადგენდეს მსოფლიოს უძლიერ სახელმწიფოს, მან ეს უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე არაერთხელ დაამტკიცა. გლობალიზაციის ეპოქაში, ჩინეთის მიზნები არ არის მიუღწეველი. იგი წარმოადგენს ეკონომიკურად ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს, რომელზეც მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოა დამოკიდებული. იგი იყენებს ამ ბერკეტებს და შესაბამისად, ახერხებს იყოს მნიშვნელოვანი როლის მქონე საერთაშორისო ურთიერთობებში, რაც აფრთხობს საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედ ძლიერ სახელმწიფოებს და ყველაზე მძაფრად ამ საფრთხეს აღიქვამს აშშ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მნიშვნელოვან როლს ანიჭებს რეგიონებთან ურთიერთობებს, თუმცა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი მისთვის განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია და სხვა რეგიონებთან შედარებით უფრო მეტ ყურადღებას აქცევს. მიიჩნევა, რომ ჩინეთის მიზანს არ წარმოადგენს მსოფლიოს ჰეგემონობა, არამედ მისი მიზანია, მიაღწიოს წარმატებას ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში, რაც მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მშვიდობის შესანარჩუნებლად მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებთან კავშირების დამყარებასა და მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას სერიოზულ ფაქტორად აღიქვამს ჩინეთი, თუმცა მის ამ მისწრაფებას, რა თქმა უნდა, არ იჯერებს აშშ. აშშ ფიქრობს, რომ ჩინეთს სურს მსოფლიოში გაბატონება, რისთვისაც იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს, ეს კი აფრთხობს მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოს (აშშ-ს).

სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დავაში ჩინეთის მიერ გამოხატული დამოკიდებულება და კუნძულების მოთხოვნა არ არის გამოწვეული მხოლოდ და მხოლოდ კუნძულების მნიშვნელობით, რაც გამოიხატება მის სტრატეგიულ მნიშვნელობასა და ბუნებრივი რესურსებით სავარაუდო სიმდიდრეში, არამედ ეს კუნძულები მას სჭირდება რეგიონში გაბატონებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად, რაც ასევე წარმოადგენს აშშ-ს მიზანს, სწორედ ამიტომ ატარებს იგი შესაბამის პოლიტიკას.

აშშ-ს მხრიდან აზია-წყნარი ოკეანის მიმართ ინტერესის გამოვლენა არ არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ მის კავშირებს რეგიონთან და დამოკიდებულებებს კონკრეტულ გამოწვევებთან დაკავშირებით. არსებული დამოკიდებულებების გათვალისწინების შედეგად ნათლად ჩანს, რომ აშშ-ს ინტერესები რეგიონში დაკავშირებულია მრავალ მნიშვნელოვან ფაქტორთან, რომელსაც აშშ ვერ დათმობს. მას ეს რეგიონი სჭირდება საკუთარი ტერიტორიების დასაცავად, ასევე რეგიონულ ბაზარზე წვდომისთვის, რაც მისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად კი მიიჩნევა ძალთა ბალანსის შენარჩუნება და ნებისმიერი ჰეგემონის, ან ძლიერ სახელმწიფოთა ჯგუფის გაძლიერებისთვის ხელის შეშლა რეგიონში, რაც მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს რეგიონთან მნიშვნელოვან საფრხტეს შეუქმნიდა და მის ძალაუფლებას დაასუსტებდა. ბილატერალური ალიანსების სისტემა იაპონიასთან და რეგიონის სხვა სახელმწიფოებთან, აძლევს მას საშუალებას შეინარჩუნოს სტატუსი რეგიონში. (Przystup, 2009)

აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის განსაკუთრებული მნიშვნელობა აშშ-სთვის განსაკუთრებით გამოიკვეთა მსოფლიო ფინანსური კრიზისის მერე, როდესაც რეგიონი გამოჩნდა როგორც აქტიური ეკონომიკური და პოლიტიკური მოთამაშე მსოფლიო პოლიტიკაში. აშშ-ს პოლიტიკა რეგიონის მიმართ გულისხმობს, რომ შექმნას უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ურთიერთობების ქსელი თავის მრავალწლიან პარტნიორებთან, ასევე ჰქონდეს ურთიერთობა უძლიერეს მოწინააღმდეგესთან, ჩინეთთან. ჰილარი კლინტონი, თავის განცხადებაში 2011 წელს ამბობდა, რომ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი წარმოადგენს მსოფლიო პოლიტიკის მთავარ მამოძრავებელს. რეგიონი სტრატეგიულად არის ძალიან მნიშვნელოვანი. ის მოიცავს სამ ძირითადად ეკონომიკურ ძალას- იაპონიას, აშშ-სა და ჩინეთს. ამ მიდგომიდან გამომდინარე, არ არის გასაკვირი აშშ-ს დამოკიდებულება რეგიონში მიმდინარე პროცესების მიმართ.

2005 წლის მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა დაანახა აშშ-ს, რომ მომდევნო ათწლეულების მანძილზე რეგიონში მისი ინტერესებისთვის რეალური საფრთხე მოდიოდა ჩინეთისგან, თუმცა ეს საფრთხე არ არის ცალმხრივი, არ არსებობს მხოლოდ აშშ-სთვის, საფრთხე არსებობს ჩინეთისთვისაც. აშშ-ს ყოფნა და მისი პროაქტიური როლი მოახდინოს სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, ინდოეთის ოკეანეში და სპარსეთის ყურეში ინდოეთის, ავსტრალიის, იაპონიისა და სხვა რეგიონული სახელმწიფოების დახმარებით გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნება, არის სერიოზული გამოწვევა ჩინეთისთვის. (Sana, 2012)

ეს არის სახელმწიფო, რომლისთვისაც მსოფლიოში სტატუსის შენარჩუნება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. იგი მაქსიმალურად იყენებს მის ხელთ არსებულ ძალაუფლებას, სტატუსის შესანარჩუნებლად. მისთვის, როგორც უძლიერესი სახელმწიფოსთვის, ძალიან ბევრი გამოწვევა არსებობს, თუმცა მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩინეთის გაძლიერება და მისი გაძლიერებიდან გამომდინარე საფრთხე. რაც აიძულებს მას, არ დაივიწყოს ჩინეთის არსებობა და გაამახვილოს განსაკუთრებული ყურადღება მის მიმართ გასატარებელ პოლიტიკაზე.

4.2. აშშ-ს დამოკიდებულების ცვლილება დროში

ჩინურ მხარეს კუნძულების მიკუთვნებულობაზე საუბრისას მოჰყავს სხვადასხვა დოკუმენტები, რომლებიც მისი მტკიცებით, ადასტურებს კუნძულების მიკუთვნებულობას ჩინეთისადმი. ზუსტად იგივე დამოკიდებულება აქვს იაპონიას, რომელსაც ასევე მოაქვს დოკუმენტები, რომლითაც ადასტურებს ამ კუნძულების მიკუთვნებულობას იაპონიისადმი. არსებობს ორი მხარე და არსებობს ორი ურთიერთდაპირისპირებული მოსაზრება. ყველაზე საინტერესო ფაქტი კი არის ის, რომ მათ მიერ არგუმენტად მოყვანილ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებში ფიგურირებს აშშ, რომელიც როგორც კუნძულების ჩინეთისადმი მიკუთვნებულობას უჭერს მხარს, ასევე უჭერს მხარს ამ კუნძულების იაპონიისადმი მიკუთვნებულობას, თუმცა განსხვავება არის დროის მონაკვეთებში.

შიმონოსეკის ხელშეკრულება: ჩინეთ-იაპონიას შორის სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებული დავის განხილვისას პირველ რიგში ყურადღება ექცევა შიმონოსეკის ხელშეკრულებას, რომელიც ჩინეთსა და იაპონიას შორის დაიდო 1895 წლის 17 აპრილს. ხელშეკრულების თანახმად, ტაივანი და მასზე მიერთებული კუნძულები, რომელთა შორისაც მოიაზრებოდა დიაოიუ დაოს კუნძულები უნდა გადასცემოდა იაპონიას. („Treaty of Shimonoseki,” 1895) 1900 წელს იაპონიამ შეუცვალა სახელი დიაოიუ დაოს და დაარქვა სენკაკუს კუნძულები, ამის შემდეგ იაპონური მხარე ამ კუნძულებს მოიხსენიებს სენკაკუს სახელწოდებით. („Diaoyu Dao, an Inherent Territory,” 2012)

ა) აშშ, როგორც უკვე ითქვა, კონფლიქტის ერთ-ერთ მთავარ მონაწილედ შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან კუნძულებთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში იგი ყოველთვის ჩართული იყო. მისი მონაწილეობა გამოიხატება ძირითადად ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებში გამოვლენილი დამოკიდებულებით. იკვეთება აშშ-ს მიერ გამოვლენილი განსხვავებული დამოკიდებულებები დროის გარკვეულ მონაკვეთებში. ქვემოთ ჩამოთვლილ რამდენიმე ხელშეკრულების მიხედვით, იგი

კუნძულებს აკუთვნებს ჩინეთს, ხოლო მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე აფორმებს ოფიციალურ ხელშეკრულებებს იაპონიის სასარგებლოდ. განვიხილოთ ეს ურთიერთდაპირისპირებული შეთანხმებები.

ქაიროს ხელშეკრულება: ქაიროს დეკლარაციის თანახმად, რომელიც გაფორმდა ჩინეთს, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის ქაიროში, 1943 წელს, იაპონიას უნდა დაებრუნებინა ყველა ის ტერიტორია, რაც მიკუთვნებული ქონდა 1914 წლის პირველი მსოფლიო ომის შედეგად და ასევე ყველა ტერიტორია, რომელიც მიტაცებული ჰქონდა ჩინეთისგან, მათ შორის იყო საუბარი ფორმოსაზე (ტაივანი), რომელშიც იგულისხმებოდა დიაოიუ დაოს კუნძულები. („Cairo Conference,” 1943) ამ შეთანხმებიდან კარგად ჩანს აშშ-ს დამოკიდებულება იაპონიის მიმართ. იგი ჩინეთთან დებს ხელშეკრულებას იმის თაობაზე, რომ იაპონიამ ყველა მიტაცებული ტერიტორია დაუბრუნოს ჩინეთს. ამ ხელშეკრულების გარდა არის კიდევ ერთი შეთანხმება, რომელიც მოყავს ჩინეთს არგუმენტად იმისა, რომ დიაოიუ დაოს კუნძულები ეკუთვნის ჩინეთს და არა იაპონიას. ეს არის პოტსდამის დეკლარაცია.

პოტსდამის დეკლარაციის თანახმად, რომელიც დაიდო 1945 წელს და რომლის მიღებაშიც მონაწილეობდა სამი მხარე- აშშ, ჩინეთი და დიდი ბრიტანეთი, უნდა შესრულებულიყო ქაიროს დეკლარაციით იაპონიისთვის დაკისრებული ვალდებულებები, უნდა მომხდარიყო იაპონიის მიერ ჩინეთისთვის წართმეული ტერიტორიების ჩინეთისთვის დაბრუნება. („Potsdam Declaration,” 1945) საბჭოთა კავშირმა აღნიშნულ დეკლარაციას მოაწერა ხელი მას შემდეგ, რაც გამოცხადებული იქნა ომი იაპონიის წინააღმდეგ. პოტსდამის დეკლარაცია ადასტურებდა ქაიროს დეკლარაციით განსაზღვრულ ვალდებულებებს და უწესებდა იაპონიას, მოეხდინა დეკლარაციებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება, თუმცა ეს ვალდებულებები დღესაც არაა შესრულებული და იაპონური მხარე აღნიშნულის შესრულებას არც თვლის საჭიროდ. („Potsdam Declaration is still valid today,” 2015)

იაპონიის კაპიტულაციის შესახებ დოკუმენტი ხელმოწერილი იქნა 1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიის მიერ, რომლის შედეგადაც დასრულდა მეორე მსოფლიო ომი. ეს ხელშეკრულება მომზადდა აშშ-ს საბრძოლო დეპარტამენტის მიერ და დადასტურებული იქნა პრეზიდენტ ჰარი ტრუმანის მიერ. რვა პარაგრაფში გაწერილი იყო იაპონიის მიერ

კაპიტულაციის გამოცხადების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, იაპონია აცხადებდა უპირობო კაპიტულაციას. იგი თანხმდებოდა შეესრულებინა პოტსდამის დეკლარაციით დადგენილი ვალდებულებები, რაც, რა თქმა უნდა მოიცავდა, სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების ჩინეთისთვის დაბრუნების ვალდებულებასაც. კაპიტულაცია გამოცხადებული იქნა იაპონური მხარისთვის თითქმის ორწლიანი სისტემატური მარცხის შედეგად. გადაწყვეტილებაზე დიდი გავლენა მოახდინა ჰიროსიმასა და ნაგასაკის ატომურმა დაბომბვამ 1945 წლის აგვისტოში, რომელიც განხორციელდა აშშ-ს მიერ. ორწლიანმა მარცხმა და საბოლოოდ კი ატომური ბომბის გამოყენებამ მის წინააღმდეგ, აიძულა იაპონია, გამოეცხადებინა კაპიტულაცია და მის მიერ გამოცხადებული კაპიტულაციის დასტურად გვევლინება სწორედ ეს დოკუმენტი. („Instrument of Surrender,” 1945)

აშშ-ს ჩართულობა აღნიშნული დოკუმენტის შემუშავებაში ნათლად აჩვენებს, რომ 21-ე საუკუნის განმავლობაში იაპონიის ქმედებებთან დაკავშირებით არსებულ დოკუმენტებში და იაპონიასთან დაკავშირებულ საკითხებში, აშშ ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ამ პერიოდში, აშშ ჯერ კიდევ მეტოქედ აღიქვამდა იაპონიას და მის მიმართ განხორციელებული ქმედებებიც ამ დამოკიდებულების შესაბამისი იყო. თუმცა, შემდგომში, უკვე შეიმჩნევა იაპონიის მიმართ გამოხატული მეგობრული დამოკიდებულება, რაც აისახება სწორედ სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ საკითხებზეც.

ზემოთ ნახსენები დეკლარაციები და ხელშეკრულებები ნათლად წარმოაჩენს იმ ფაქტს, რომ კუნძულები არის ჩინეთის საკუთრება და მათზე არ უნდა ხორციელდებოდეს იაპონური მმართველობა. ეს დოკუმენტები მოჰყავს ჩინეთს იმის დასასაბუთებლად, რომ კუნძულები ნამდვილად მისი საკუთრებაა ისტორიულად და კანონიერად. თუმცა, მიუხედავად ამ ხელშეკრულებების არსებობისა, მათში გაწერილი შესასრულებელი ვალდებულებებისა და აშშ-ს დამოკიდებულებისა ამ ფაქტების მიმართ, რომელსაც ამჟღავნებდა 1971 წლამდე, აღნიშნული კუნძულები დღესაც არის იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ, აშშ კი ძირითად მხარდაამჭერს წარმოადგენს ამ საკითხში.

ბ) მომდევნო წლებში სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დავაში აშკარად გამოიკვეთა აშშ-ს პოზიციის ცვლილება. იგი უკვე იაპონიას უჭერდა მხარს და საუბრობდა იმაზე, რომ სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულები უნდა ყოფილიყო იაპონური ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ. აშშ-ს შეცვლილი დამოკიდებულებების გამოსავლენად საჭიროა ყურადღება მივაქციოთ შემდეგ ხელშეკრულებებს, რომლებსაც იაპონია იყენებს იმის დასტურად, რომ სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულები ეკუთვნის მას და არც უნდა იყოს საუბარი კუნძულების ჩინეთისთვის დათმობის ვალდებულებაზე.

სან ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულება: 1951 წელს ხელმოწერილი იქნა სან ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც იაპონიას მოჰყავს იმის დასტურად, რომ სენკაკუს კუნძულები ეკუთვნის მას. აღნიშნული ხელშეკრულების მე-2 მუხლის თანახმად, იაპონია უარს აცხადებს ფორმოსას (ტაივანი) და პესკადორეს კუნძულებზე ტერიტორიულ სუვერენიტეტზე, თუმცა სენკაკუს კუნძულებთან დაკავშირებით აცხადებს რომ ეს კუნძულები რჩება იაპონიის მმართველობის ქვეშ (ხელშეკრულების მე-3 მუხლი), რომელზეც ადმინისტრაციულ უფლებებს განახორციელებს აშშ. მას ექნება უფლება განახორციელოს ადმინისტრაციული, საკანონმდებლო და სასამართლო ხასიათის ნებისმიერი ქცევა აღნიშნულ კუნძულებთან და კუნძულების მაცხოვრებლებთან მიმართებაში, მათი ტერიტორიული წყლების გათვალისწინებით. („Treaty of Peace with Japan,” 1951)

აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, ჩანს, რომ აშშ ეთანხმება კუნძულების იაპონიის შემადგენლობაში არსებობის ფაქტს, თუმცა ყველა სახის ადმინისტრაციული უფლება ენიჭება მას, როგორც კუნძულებზე ადმინისტრაციული მმართველობის განმახორციელებელს. სწორედ სან ფრანცისკოს შეთანხმებას განიხილავს იაპონიისადმი კუნძულების მიკუთვნების მთავარ არგუმენტად იაპონია და ამბობს, რომ სან ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულება იყო ის ხელშეკრულება, რომელიც მოსდევდა ქაიროსა და პოტსდამის დეკლარაციებს და სწორედ სან ფრანცისკოს ხელშეკრულებამ განსაზღვრა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიის ტერიტორიები კანონიერად. (Ministry of Foreign Affairs, 2013)

კუნძულების იაპონიისადმი მიკუთვნებულობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტად იაპონიას მოჰყავს ასევე 1971 წელს აშშ-სა და იაპონიას შორის ხელშეკრულების დადების ფაქტი, რომლის თანახმადაც აშშ-მ სან ფრანცისკოს შეთანხმების თანახმად მისთვის მინიჭებული ადმინისტრაციული, საკანონმდებლო და იურიდიული უფლებები კუნძულებსა და კუნძულების მაცხოვრებლებზე გადასცა იაპონიას. აღნიშნული ხელშეკრულება ცნობილია **ოკინავას დაბრუნების შესახებ ხელშეკრულების** სახელწოდებით, ოკინავაში კი მოიაზრება სენკაკუს კუნძულები, რომლებსაც ოკინავას კუნძულების ნაწილად აღიქვამს იაპონია. ხელშეკრულების მე-3 მუხლის თანახმად, იაპონია აძლევს უფლებას აშშ-ს გამოიყენოს კუნძულების ტერიტორია და მასზე არსებული ყველა საშუალება, რაც გაწერილი იყო **ურთიერთთანამშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ** აშშ-სა და იაპონიას შორის ვაშინგტონში 1960 წლის 19 იანვარს ხელმოწერილ ხელშეკრულებაში. ხელშეკრულებაში მოხსენიებული რიუკიუს კუნძულები მოიცავს თავის მხრივ ოკინავას, რომელშიც იგულისხმება სენკაკუს კუნძულებიც, რომლის გარშემოც მიმდინარეობს დავა. („Agreement Between the United States of America and Japan,” 1971) 1971 წლის ოკინავას დაბრუნების შესახებ ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1972 წელს.

ხელშეკრულებებისა და იაპონიასა და ჩინეთს შორის არსებული მდგომარეობის განხილვისას ნათლად ჩანს აშშ-ს მიერ გამოვლენილი ცვალებადი პოზიცია. აშშ-მ, რომელიც მეოცე საუკუნის მეორე ნახევრამდე გამოხატავდა იაპონიის საწინააღმდეგო პოზიციებს, რაც აისახება დადებულ ხელშეკრულებებზეც და რომლის თანახმადაც, სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებს მიაკუთვნებდა ჩინეთს, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრისთვის შეცვალა დამოკიდებულება და მოგვევლინა იაპონიის მხარდამჭერად კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ საკითხზე, ასევე სხვა მრავალ საკითხთან მიმართებაში აღმოსავლეთ აზიის რეგიონში. ამის მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ ის ფაქტი, რომ აშშ წარმოადგენს მსოფლიო ჰეგემონს, მას არ სურს ამ სტატუსის დაკარგვა, თუმცა ჩინეთის მხრიდან შეექმნა აშკარა საფრთხე, რასაც ნამდვილად ვერ შეეგუებოდა. მაშინ როცა აშშ-ჩინეთს შორის წარმოიშვა უთანხმოებები (მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისი), აშშ-მ აშკარად დაიჭირა იაპონიის მხარე.

იაპონია და ჩინეთი ისტორიულად, საუკუნეების მანძილზე, მეტოქეებს წარმოადგენენ და ჩინეთის მხრიდან არამეგობრული დამოკიდებულების დანახვის შემდეგ აშშ-ს აშკარად სჭირდებოდა პარტნიორი აღმოსავლეთ აზიის რეგიონში და მან აირჩია იაპონია, რომელთან პარტნიორობასაც მისთვის შეიძლებოდა წარმატება მოეტანა, ეს ასეც მოხდა. დღესდღეობით, რეგიონში მოქმედ სამ ძლიერ ძალად აღიქმება სწორედ აშშ, ჩინეთი და იაპონია, რაც იაპონია- აშშ-ს შორის არსებული ურთიერთობებით არის გამოწვეული. რომ არა იაპონია, აშშ ვერ შეძლებდა ყოფილიყო ერთ-ერთი წამყვანი ძალა რეგიონში, რადგან მას უკვე ყავს სერიოზული მოწინააღმდეგე ჩინეთის სახით არა მარტო რეგიონში, არამედ მსოფლიო ასპარეზზე.

4.3. დაპირისპირების მნიშვნელობა- ანგარიშები და ოფიციალური განცხადებები აშშ-ს ქმედებებთან დაკავშირებით

აშშ-ს ჩართულობა სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ საკითხებში დაპირისპირების დაწყების პერიოდიდანვე კარგად ჩანს. მისი ჩართულობა, რა თქმა უნდა, გარკვეულ მიზნებს ემსახურება. ეს მიზნები კი მსოფლიო ბატონობის არდაკარგვასა და შენარჩუნებასთან ასოცირდება. რომ არა მისი მიზანი, წარმოადგენდეს ანგარიშგასაწევ ძალას აღმოსავლეთ აზიის რეგიონში, რაც თავისთავად გულისხმობს მსოფლიოში ჰეგემონად დარჩენის შესაძლებლობას, ის არ დაინტერესდებოდა ამ პატარა კუნძულებით, თუმცა ამას აქვს მისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა როგორც სტრატეგიული, ასევე სხვა კუთხითაც.

სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით ვითარების ნებისმიერი დაძაბვა გულისხმობს, რომ აშშ-ს შეიძლება მოუხდეს დაპირისპირების გართულების შემთხვევაში ჩარევა და იაპონიის მხარდაჭერა, რისი სურვილიც მას ნაკლებად ჰქონდა, თუმცა ბოლო წლებში მის მიერ გამოკვეთილი პოზიციებიდან ჩანს, რომ რეგიონის მნიშვნელობა იმდენად დიდია, შეიძლება არ დაიხიოს უკან საჭიროების შემთხვევაში,

თუმცა, რა თქმა უნდა, მშვიდობიანი ვითარების შენარჩუნება უფრო აწყობს ვიდრე ვითარების დაძაბვა.

კუნძულებთან დაკავშირებით ჩინეთ-იაპონიას შორის ურთიერთობების დაძაბვისას პირველ რიგში თავს იჩენს აშშ-ს დამოკიდებულების საკითხი ამ დავისადმი. აღნიშნულ საკითხზე ძალიან ბევრ ანგარიშში არის ყურადღება გამახვილებული, განსაკუთრებით აღსანიშნავია ამერიკული მხარის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები კონფლიქტთან დაკავშირებით. ქვემოთ კი განვიხილავთ რამდენიმე მათგანს:

- **2014 წლის 14 მაისის ანგარიშში**, რომელიც წარმოდგენილია ბენ დოლვენის, მარკ მანინისა და შირლი კანის მიერ, საუბარია აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში არსებულ დაძაბულ ვითარებაზე და აშშ-სთვის ამ რეგიონში არსებულ გამოწვევებზე, რაც ობამას ადმინისტრაციას აყენებს აზია-წყნარი ოკეანის აუზში რეზალანსირების საჭიროების წარმოშობის წინაშე. ამ ანგარიშში ერთ-ერთ საკითხად გამოვლენილია აღმოსავლეთ აზიის ზღვაში სენკაკუს კუნძულების გარშემო არსებული დაპირისპირება, რომელშიც სამი მხარეა ჩართული. მართალია, აშშ-ს არ აქვს პირდაპირი მოთხოვნები ამ კუნძულების მიმართ, მაგრამ იგი ჩართულია ამ დაპირისპირებაში იქიდან გამომდინარე, რომ აშშ- იაპონიას შორის დადებული უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულების თანახმად, იგი ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, დაიჭიროს იაპონიის მხარე. კონგრესი აყალიბებს თავის პოზიციას, რომლის თანახმადაც, სენკაკუ არის იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ და ვერცერთი სხვა სახელმწიფოს ქვევა ვერ შეცვლის მის ამ სტატუსს.

ამ ანგარიშში არის ნახსენები 1960 წლის აშშ-იაპონიის უსაფრთხოების შესახებ შეთანხმება, რომელიც ავალდებულებს აშშ-ს დაიცვას იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ მყოფი ტერიტორიები და მათ შორის არის სენკაკუს კუნძულები, რომლებზეც ხორციელდება იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობა. ჩინეთის მიერ განხორციელებული ქმედებები 2012 წლის დასასრულს, როდესაც მან გააძლიერა პატრულირება ამ რეგიონში, შეიძლება, განხილული იყოს როგორც იმის დემონსტრირება, რომ ჩინეთი

ახორციელებს კუნძულების ადმინისტრაციულ კონტროლს, რაც აშშ-ს წინაშე აყენებს საკითხს, მოახდინოს კიდევ ერთხელ კუნძულებზე ადმინისტრაციული და სუვერენული კონტროლის უფლებების მიმართ მის მიერ გამოვლენილი დამოკიდებულების წარმოჩენა და ამ უფლებების გამიჯვნა ერთმანეთისგან. (Dolven, Manyin, & Kan, 2014)

- **2016 წლის 9 თებერვლის კონგრესის ანგარიშში**, რომელიც ეკუთვნის ემმა ჩანლეტს და იან რინეჰარტს, საუბარია აშშ- იაპონიის ალიანსის დიდ მნიშვნელობაზე რეგიონში. 50 000 აშშ სამხედრო არის განთავსებული იაპონიის ტერიტორიაზე. ამის სანაცვლოდ კი აშშ გარანტიას უწევს იაპონიის უსაფრთხოებას. მათი ურთიერთთანამშრომლობა და ალიანსის არსებობის მნიშვნელობა კიდევ უფრო ცხადი გახდა ჩინეთის მხრიდან საზღვაო სფეროში აქტივობების გამოვლენის შემდეგ, რაც სერიოზული გამოწვევაა იაპონიისთვის და შესაბამისად აშშ-სთვის. ამ ანგარიშშიც ექცევა ყურადღება სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დაპირისპირებას ჩინეთსა და იაპონიას შორის და საუბარია 2012 წლის ბოლოდან ჩინეთის მხრიდან დაწყებულ ქმედებებზე კუნძულებთან დაკავშირებით, როდესაც ჩინეთმა განათავსა კუნძულების სიახლოვეს სამხედრო ხომალდები და ეს ქმედება გაახმოვანა როგორც „ჩინეთის ტერიტორიულ წყლებზე“ იურისდიქციის განხორციელების საკითხი. სათევეზაო ხომალდების, სამხედრო საშუალებებისა და საზღვაო სამართლის დამცველი პატრულები ქმნიან შერეულ სიტუაციას და სიტუაციის დაძაბვის საფრთხე კიდევ უფრო და უფრო იზრდება. კრიზისის მენეჯმენტის ეფექტური საშუალებებისა და პოლიტიკური შეთანხმების გარეშე, ჩინეთი და იაპონია არიან დაპირისპირების პირდაპირ კონფლიქტში გადასვლის რისკის წინაშე, რაც საჭიროს გახდის აშშ-ს ჩართულობას აღნიშნულ ქმედებებში, იაპონიის მხარეს. 2010 წლიდან მოყოლებული კუნძულებთან დაკავშირებით ვითარების რამდენიმეჯერ დაძაბვის შემდეგ აშშ-მ განაცხადა, რომ ის არ უჭერს მხარს იაპონური მხარისთვის კუნძულებზე სუვერენიტეტის გადაცემას, მაგრამ ეს კუნძულები არის აშშ- იაპონიის უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულების მე-5

მუხლის სუბიექტი, რომლის თანახმადაც, აშშ არის ვალდებული დაიცვას „იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ არსებული ტერიტორიები“, რომელშიც პირველ რიგში იგულისხმება სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულები. სწორედ ეს პოზიცია დააფიქსირა ბარაკ ობამამ 2014 წელს როდესაც საუბრობდა აშშ- იაპონიის ალიანსზე. მისი თქმით, აშშ-ს პოლიტიკა არის ნათელი, სენკაკუს კუნძულები არის იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ და შესამაბისად ეს კუნძულები არის ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლში. აშშ კი უპირისპირდება ნებისმიერ უნილატერალურ ქმედებას, რომელიც ეცდება ამ კუნძულებზე იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობის შეზღუდვას. (Chanlett-Avery & Rinehart, 2016)

- **2018 წლის 24 მაისის ანგარიშში**, რომელიც წარმოდგენილია რონალდ როურკეს მიერ, განხილულია აშშ-ს წინაშე მდგარი საკითხები და გამოწვევები. ამ ანგარიშში აშშ-ს მხრიდან ჩამოყალიბებულია დამოკიდებულება, რომ მხარს უჭერს სახელმწიფოებს შორის დავების მშვიდობიანად, საფრთხეებისა და ძალის გამოყენების გარეშე, საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად გადაჭრას. ასევე, აშშ ეწინააღმდეგება საზღვაო საზღვრების დარღვევას და მიიჩნევს, რომ არ უნდა მოხდეს სხვა ერების მმართველობის ქვეშ მყოფი ტერიტორიების საზღვრების დარღვევა. ასევე, მას მკაცრად აქვს ჩამოყალიბებული თავისი პოზიცია სამხრეთ ჩინეთის ზღვასა და აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში სუვერენიტეტის უფლებების გადაცემასთან დაკავშირებით და ამბობს, რომ იგი არ გამოთქვამს არანაირი პოზიციას ამ საკითხზე. სენკაკუს კუნძულებთან დაკავშირებით აშშ-ს პოზიციას წარმოადგენს, რომ ეს კუნძულები არის იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ და სტატუს ქვოს ცვლილებისთვის განხორციელებული ნებისმიერი უნილატერალური ქმედება გაზრდის დაძაბულობას, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ აშშ კუნძულებზე სუვერენულ უფლებებს მიაკუთვნებს იაპონიას, საუბარი აქვს მხოლოდ ადმინისტრაციული უფლებების მისთვის მიკუთვნებულობაზე.

ამ ანგარიშში საუბარია აშშ-სთვის არსებულ რისკებზე კრიზისისა თუ კონფლიქტში ჩართვაზე. კონგრესის წინაშე მდგარ ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს აშშ-ს წინაშე მდგარი რისკი, თუ რამდენად აქვს მას მიღებული საჭირო ზომები იმისთვის, რომ ჩინეთთან დაკავშირებით არსებულ საზღვაო ტერიტორიულ დავაში შეამციროს რისკი იმისა, რომ ეს ტერიტორიული დავები გადაიზრდება შეიარაღებულ კონფლიქტში. ასევე, ავტორი საუბრობს, რომ კონგრესის წინაშე დგას კიდევ ერთი საკითხი: აშშ-სა და იაპონიას ესმით თუ არა ერთნაირად აშშ-ს პოტენციური ქმედებები, რომლებიც გაწერილია აშშ-იაპონიის საერთო კოოპერაციისა და უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულებაში, იმ შემთხვევაში თუ მოხდება სენკაკუს კუნძულებთან დაკავშირებით კრიზისის გამძლიერება.

ამ ანგარიშშიც ნახსენებია აშშ-იაპონიას შორის ურთიერთთანამშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ არსებული შეთანხმება, რომლის მე-5 თავი ამბობს, რომ შეთანხმების ორივე მხარე აღიარებს იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე ნებისმიერი შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში ამ ქმედების განხილვას როგორც საერთო საფრთხისა და აშშ „პატივს სცემს შეთანხმებით განსაზღვრულ ყველა ვალდებულებას“. თუმცა აშშ აზუსტებს მმართველობის ხასიათს. ის საუბრობს კუნძულებზე იაპონიის მხრიდან ადმინისტრაციულ მმართველობაზე და არა სუვერენიტეტზე. (Rourke, 2018)

ზემოთ მოყვანილი ანგარიშები ნათლად გვიჩვენებს სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დავაში აშშ-ს დამოკიდებულებას. ამ კუნძულებთან დაკავშირებული საკითხების მნიშვნელობა ძალიან დიდია, სწორედ აქედან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ ძალიან ბევრ ანგარიშში არის საუბარი ამ საკითხზე. ეს კი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმაზე, რომ აღმოსავლეთ აზიის რეგიონი ძალიან მნიშვნელოვანი რეგიონია აშშ-სთვის. იაპონიასთან სტრატეგიული ურთიერთობების არსებობა კი მისთვის იმდენად მნიშვნელოვანია, მზად არის მხარი დაუჭიროს იაპონიას უსაფრთხოების საკითხებში, რადგან იაპონიის უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნა, შეიძლება სერიოზული პრობლემა გახდეს აშშ-სთვისაც.

აშშ-ს მიერ გამოცხადებული ნეიტრალური დამოკიდებულება კუნძულებთან დაკავშირებით ნათლად გვაჩვენებს, რომ მას არ სურს კონფლიქტის შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადასვლა და მშვიდობიანი გზით მოგვარება მისი მთავარი მიზანია, თუმცა იმასაც კარგად ხვდება, რომ ეს დაპირისპირება არ არის მარტივი მოსაგვარებელი, რადგან ამ დაპირისპირებაში ჩართულია ორი ისეთი ძალა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე დაპირისპირება ჰქონდა ერთმანეთთან. აშშ ასევე აცნობიერებს, რომ მას აქვს აღებული ვალდებულება იაპონიის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი უკანანო ქმედების შემთხვევაში, რომელიც შეეხება მისი ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ მყოფ ტერიტორიებს, რომ მხარი დაუჭიროს იაპონიას. ეს ვალდებულება მას აქვს აშშ-იაპონიის უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად, რომელიც ყველა ზემოთჩამოთვლილი კონგრესის ანგარიშში ჩანს (რომლებიც ამ ნაშრომში არ არის ნახსენები) და კიდევ მრავალ სხვა ანგარიშსა თუ ოფიციალურ განცხადებაში:

აშშ-ს პრეზიდენტის **ბარაკ ობამას**, ტოკიოში ვიზიტის დროს, 2014 წელს გაკეთებულ განცხადებაში, მან ისაუბრა იაპონიასთან არსებული ალიანსის დიდ მნიშვნელობაზე და ახსენა აშშ-იაპონიის თანამშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ შეთანხმება. ის კიდევ ერთხელ ადასტურებდა სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების მიმართ აშშ-ს დამოკიდებულებას, რომლის თანახმადაც, აშშ შეეწინააღმდეგება იაპონიის უფლებების დარღვევისკენ მიმართულ ნებისმიერ მცდელობას. კუნძულები არის იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ და ნებისმიერი ქმედება, რომელიც გაწერილია აშშ-იაპონიას შორის არსებულ შეთანხმებაში, იქნება შესრულებული აშშ-ს მხრიდან. (Panda, 2014)

თავდაცვის საკითხებში მდივნის **ჯეიმს მატის-ის** მიერ 2017 წლის თებერვალში გაკეთებული განცხადებით, კიდევ ერთხელ იკვეთება აშშ-ს მიერ გამოვლენილი მზადყოფნა შეასრულოს აშშ- იაპონიის თანამშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ შეთანხმების მე-5 მუხლით ნაკისრი ვალდებულებები. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა აშშ-ს მიერ გაცხადებული ვალდებულება, რომ დაიცვას იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ მყოფი ტერიტორიები თავდასხმისგან და აქცენტი გააკეთა სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებზე აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში, რომელზეც იაპონია

ახორციელებს ადმინისტრაციულ მმართველობას და ჩინეთის მხრიდან კი არის მოთხოვნები, რომ კუნძულები იყოს მისი მმართველობის ქვეშ. (Panda, 2017)

2017 წლის თებერვალში აშშ-ს პრეზიდენტის დონალდ ტრამპისა და იაპონიის პრემიერ მინისტრ შინჯო აბეს მიერ შეხვედრისას გაკეთებული განცხადების თანახმად, ისინი ამბობენ, რომ პატივს სცემენ აშშ-იაპონიას შორის თანამშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ არსებული შეთანხმების მე-5 მუხლს და აღიარებენ მათ მიერ ამ შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში არსებული სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების მიმართ. (Whitehouse, 2017)

ეს ყველაფერი ნათლად მიუთითებს ამ პატარა კუნძულების მნიშვნელობაზე, რომელიც რეგიონში მოქმედი სამი ძლიერი სახელმწიფოს ურთიერთობების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორია. აშშ-ს მისწრაფებების გათვალისწინებით, მისი ჩართულობა ამ დაპირისპირებაში და პოზიციის გამოხატვა არ არის გასაკვირი. მას აქვს თავისი მიზნები რეგიონთან მიმართებაში და ახორციელებს ამ მიზნებს სხვადასხვა საშუალებებით, სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დავაში კი იაპონიის მხარდაჭერის გზით. იაპონიისადმი მხარდაჭერით იგი ინარჩუნებს რეგიონში ერთ-ერთი წამყვანი ძალის სტატუსს, რაც ასევე ზეგავლენას ახდენს მის სტატუსზე მსოფლიოში.

4.4 . დიდი სახელმწიფოების მეტოქეობა- აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების მთავარი ფოკუსი

სენკაკუს/დიაოიუ დაოს კონფლიქტში აშშ-ს ჩართულობის ძირითადი განმაპირობებელი არის დიდ სახელმწიფოებს შორის არსებული მეტოქეობა საერთაშორისო პოლიტიკაში. ზემოაღნიშნულ კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ კონფლიქტზე უნდა ითქვას, რომ პატარა კუნძულებზე გაბატონება მნიშვნელოვანი ბერკეტია დიდი სახელმწიფოებისთვის საკუთარი ინტერესების განსავითარებლად და

წარმატების მისაღწევად. სენკაკუს/დიოიუ დაოს კუნძულების გარშემო არსებული დავა არ არის გამოწვეული მხოლოდ და მხოლოდ იმის სურვილით, რომ მოხდეს კუნძულების დასაკუთრება. მიუხედავად კუნძულების სტრატეგიული მნიშვნელობისა და ბუნებრივი რესურსებით პოტენციური სიმდიდრისა, არ შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ს მთავარ მიზანს კუნძულების სიმდიდრიდან გამომდინარე იაპონიის მხარდაჭერა წარმოადგენდეს.

ეს არის დიდ სახელმწიფოთა შორის ძალაუფლების მოსახვეჭად არსებული კონფლიქტების ერთ-ერთი მაგალითი, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჩინეთისა და იაპონიის მოსახლეობას სამხედრო დაპირისპირებაში გადაზრდის შემთხვევაში. ამ კონფლიქტთან მიმართებაში დაპირისპირებულ ძალებად შეიძლება აღვიქვათ ჩინეთი და აშშ, მიუხედავად იმისა, რომ კუნძულები იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ არის და ერთი შეხედვით შეიძლება ითქვას, რომ დაპირისპირება არსებობს იაპონიასა და ჩინეთს შორის. ფაქტი არის ის, რომ აშშ იაპონიის მხარდაჭერით, ცდილობს შეინარჩუნოს თავისი სტატუსი რეგიონში და მოიაზრებოდეს ერთ-ერთ წამყვან ძალად, რადგან იგი უკვე ხედავს ჩინეთის მხრიდან მისი ჩანაცვლების საფრთხეს და რა თქმა უნდა, ეს არ აწყობს.

რაც უფრო მეტ ტერიტორიას ფლობს სახელმწიფო მით უფრო ძლიერად ითვლება ის. სწორედ ასეთი შემთხვევაა აღნიშნულ დაპირისპირებასთან დაკავშირებით. ჩინეთი და იაპონია იღვწიან ძალაუფლების გაზრდისთვის, მათ შორის არსებულ დამოკიდებულებაში აშშ-ს ქმედებები და წახალისებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სწორედ მისი ჩარევის ხარისხი და მისი მნიშვნელობა აღნიშნულ დაპირისპირებაში არის აღნიშნული კონფლიქტის წარმოშობისა და მიმდინარეობის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი. აშშ, მიუხედავად მის ხელთ არსებული ძალაუფლებისა, არ კმაყოფილდება ამით, რადგან ხვდება, რომ ჩინეთი მისთვის წარმოადგენს საფრთხის შემცველ სახელმწიფოს განვითარების ტემპების გათვალისწინებით.

2018 წლის იანვარს აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის მიერ ჩამოყალიბებული იქნა ეროვნული თავდაცვის სტრატეგია, სადაც გამოკვეთილი იქნა მთავარი პრინციპები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სახელმწიფომ. აღნიშნულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ „დიდ სახელმწიფოთა შორის მეტოქეობა და არა ტერორიზმი, არის დღესდღეობით აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების მთავარი ფოკუსი“. აღნიშნული მიდგომა განსხვავდება

2001 წლის 11 სექტემბრის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბებული მიდგომისგან, რომლის თანახმადაც აშშ მთავარ ფოკუსს აკეთებდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე. 2001 წლის 11 სექტემბერი იყო დღე, რომელმაც „შეცვალა ამერიკა სამუდამოდ“ და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა გახდა ამერიკის საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი პარადიგმა. (Cameron, F. 2006) ზემოაღნიშნულმა ტრაგედიამ განაპირობა აშშ-ს მიდგომის ჩამოყალიბება, რომლის მიხედვითაც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა განიხილებოდა ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიად.

2018 წლის დოკუმენტში კი ტერორიზმის საფრთხეზე მეტად აქცენტი კეთდება დიდ სახელმწიფოთა შორის მეტოქეობაზე. დოკუმენტში განხილულია სხვადასხვა ქვეყნების მიერ წარმოებული პოლიტიკა, მათი სტრატეგიული მიდგომები მსოფლიო ასპარეზზე. აშშ რუსეთს და ჩინეთს განიხილავს საფრთხედ, ასევე ეხება ჩრდილოეთ კორეისა და ირანის როლს, რომლებიც რეგიონში დესტაბილიზაციის შემომტანები არიან. სტრატეგიაში საუბარია, რომ როგორც აგრესიული (ჩრდილოეთ კორეა, ირანი), ასევე არააგრესიული (ჩინეთი, რუსეთი) სახელმწიფოები ცდილობენ ძალაუფლების მოხვეჭას სხვადასხვა საშუალებებით, რაც დიდ სახელმწიფოთა შორის მეტოქეობის არსებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამადასტურებელი ფაქტორია.

ეროვნული თავდაცვის სტრატეგია აღიარებს მზარდი კომპლექსური გლობალური უსაფრთხოების გარემოს არსებობას, რომლის მთავარი გამოწვევებია თავისუფალი და ღია საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბება და ერებს შორის სტრატეგიული ურთიერთდაპირისპირებების კვლავ წარმოშობა.

აღნიშნული სტრატეგიის პრინციპების გაუთვალისწინებლობა და შეუსრულებლობა გამოიწვევს სერიოზულ პრობლემას, რაც გამოხატული იქნება აშშ-ს გავლენის შემცირებაში, გამოიწვევს სხვადასხვა ქვეყნის ბაზრებზე შესვლის შეზღუდვას, რითაც მისი ეკონომიკის სიძლიერე სერიოზული საფრთხის წინაშე დადგება. ასევე ყურადღება გამახვილებულია სამხედრო ძლიერებაზე, რომელსაც აუცილებლად სჭირდება მოდერნიზება და მზადყოფნაში ყოფნა ნებისმიერ დროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, აშშ დაკარგავს სამხედრო უპირატესობას, რაც გამოხატული იქნება გაერთიანებული ძალების არსებობით, რომელსაც არ ექნება საჭირო შესაძლებლობები თავისი ხალხის დასაცავად. აშშ-ს მიზანია, ამერიკა იყოს ძლიერი და არ დაკარგოს

თავისი ადგილი მსოფლიო ასპარეზზე. (National Defence Strategy of the United States of America. 2018)

დიდი სახელმწიფოების მეტოქეობა ძალის პრიმატის საფუძველზე მოქმედ მსოფლიოში ნამდვილად არსებული რეალობაა. დიდი სახელმწიფოები იბრძვიან გავლენის შესანარჩუნებლად. არაფერია მუდმივი და ბრძოლისა და მცდელობის გარეშე შესაძლოა ამერიკამ ძალიან სწრაფად დაკარგოს თავისი სტატუსი მსოფლიო ასპარეზზე. მან იცის, რომ უნდა იბრძოდეს სტატუსისა და მდგომარეობის შესანარჩუნებლად, სწორედ ამით არის გამოწვეული მისი ქმედებები, სტრატეგიაში ჩამოყალიბებული მიდგომები და ნებისმიერი სხვა ქცევა, რომელსაც ის საერთაშორისო ასპარეზზე ახორციელებს. აშშ-ს მიდგომა მსოფლიო ასპარეზზე სტატუსისა და გავლენის შენარჩუნების მიზნითაა ჩამოყალიბებული.

სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით ჩინეთ-იაპონიას შორის არსებულ დავაში აშშ-ს ჩართულობის ერთ-ერთ დამადასტურებლად შეიძლება ჩაითვალოს სწორედ ეს დამოკიდებულება, რაც გამოჩნდა თავდაცვის ეროვნულ სტრატეგიაში. დიდ სახელმწიფოთა შორის არსებულ დაპირისპირებას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აშშ. მისი ეს დამოკიდებულება არც არის გასაკვირი, რადგან მსოფლიოში განვითარებული მოვლენებიდან ნათლად ჩანს, სახელმწიფოებს შორის დაპირისპირებების არსებობა: სუსტი სახელმწიფოები იბრძვიან გაძლიერებისთვის და ძლიერი სახელმწიფოები იბრძვიან კიდევ უფრო მეტი ძალაუფლების მისაღებად, უძლიერესი სახელმწიფოებიც კი არ კმაყოფილდებიან მიღწეულით და კიდევ უფრო და უფრო მეტად ცდილობენ გაიმყარონ მდგომარეობა. ამის გათვალისწინებით, უნდა ითქვას, რომ არ არის გასაკვირი ის პროცესები, რაც მიმდინარეობს მსოფლიოში.

ეროვნული თავდაცვის სტრატეგიაში ჩინეთიდან მომდინარე საფრთხის შესახებ აშკარად საუბრობს აშშ და ეს ერთ-ერთი დამადასტურებელია მისი დამოკიდებულებისა საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედი ამ ძლიერი სახელმწიფოს მიმართ, რომლის კიდევ უფრო მეტად გაძლიერება ნამდვილად მოსალოდნელი და საფრთხის შემცველია აშშ-სთვის. სწორედ ამ საშიშროებით აიხსნება სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით მის მიერ დაჭერილი პოზიცია. რომ არა ჩინეთისგან მომდინარე საფრთხე აშშ-ს აღნიშნულ დაპირისპირებაში ჩართულობა ალბათ ნაკლებად მოსალოდნელი იყო

და კიდევ უფრო ნაკლებად იყო მოსალოდნელი მის მიერ აშკარა მხარდაჭერა იაპონიის პოზიციისადმი კუნძულების მიმართ, განსაკუთრებით იმ მიდგომის გათვალისწინების შემთხვევაში, რომლის თანახმადაც აშშ ყოველთვის ცდილობს ნეიტრალური პოზიციის დაკავებას ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებით. თუმცა ჩინეთისგან მომდინარე საფრთე აიძულებს აშშ-ს გამოხატოს იაპონიის მიმართ აშკარა მხარდაჭერა კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დაპირისპირებაში.

თავი V. სტრუქტურული რეალიზმი- დაპირისპირებაში ჩართულობა ძალაუფლების შესანარჩუნებლად

ძალაუფლების პრიმატი საერთაშორისო პოლიტიკაში დღესაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მიუხედავად გლობალიზაციის სულ უფრო და უფრო მზარდი პროცესისა, იგი ვერ აფერხებს სახელმწიფოთა შორის არსებულ ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების სურვილს.

სახელმწიფოები, ერთი მხრივ, ცდილობენ ფეხი აუწყონ გლობალიზაციის პროცესს და არ ჩამორჩნენ მიმდინარე მოვლენებს, თუმცა ძალაუფლებისა და სამხედრო უსაფრთხოების მოპოვების საკითხში ისინი სულ უფრო და უფრო ცდილობენ მიიღონ სხვა სახელმწიფოებზე მეტი ძალაუფლება. დიდი სახელმწიფოების ძალა და მათი ქმედებები დიდ გავლენას ახდენს ერთმანეთზე და სხვა სახელმწიფოებზე, რადგან ისინი ქმნიან „თამაშის წესებს“. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე კი ნათელია, რომ ეროვნული უსაფრთხოება ანარქიულ სახელმწიფოთაშორის სისტემაში ვერასოდეს ვერ იქნება თავისუფალი გლობალური სისტემური პირობებისგან. (დავითაშვილი, 2003)

სახელმწიფოები ცდილობენ მიაღწიონ საერთაშორისო სისტემაში მნიშვნელოვანი ძალისა და შესაძლებლობების მქონე ქვეყნის სტატუსს. სწორედ ამისთვის იღვწიან ჩინეთი და იაპონია, რომელთა დაპირისპირება სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო არ შეიძლება აღქმული იყოს მხოლოდ ამ ორი სახელმწიფოს დაპირისპირებად, არამედ ყურადღება უნდა მიექცეს აშშ-ს როლს, რომლის საბოლოო მიზნიდან გამომდინარეობს სწორედ კუნძულების გარშემო არსებულ დაპირისპირებაში ჩართულობა. იგი ცდილობს ძალაუფლების შენარჩუნებას რეგიონში, რაც მას სჭირდება სხვა ძლიერი სახელმწიფოს- ჩინეთის გაძლიერებისგან მომდინარე საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

ნაშრომში ჩამოყალიბებული ჰიპოთეზის თანახმად, სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო ჩინეთ- იაპონიას შორის არსებულ დაპირისპირებაში იაპონიის მხარდაჭერა აშშ-ს აძლევს საშუალებას დარჩეს ერთ-ერთ წამყვან ძალად რეგიონში, რაც მის მთავარ მიზანს წარმოადგენს და ამავე დროს ისარგებლოს კუნძულების

სტრატეგიული მნიშვნელობით, რაც მისთვის ნამდვილად არ წარმოადგენს გამოუყენებელ შესაძლებლობას. სტრატეგიული მნიშვნელობა და ბუნებრივი რესურსებით პოტენციური სიმდიდრე იაპონიას არ მისცემს საშუალებას, დათმოს აღნიშნული კუნძულები, აშშ კი იაპონიასთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებით და კუნძულებთან დაკავშირებულ დავაში მხარდაჭერის გამოცხადებით, შეძლებს იყოს ერთ-ერთი წამყვანი ძალა რეგიონში.

აშშ-ს ჩართულობა აზია-წყნარი ოკეანის აუზში სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო არსებულ დავაში აიხსნება **სტრუქტურული რეალიზმის** მიდგომით. მიუხედავად ძალის პრიმატის მნიშვნელობისა რეალიზმის თეორიისთვის, არსებობს განსხვავება რეალისტურ მიდგომებს შორის. მთავარი განმასხვავებელი მათ შორის არის პასუხი კითხვაზე, თუ რისთვის სურთ სახელმწიფოებს ძალაუფლების ქონა. სტრუქტურული რეალისტებისთვის, საერთაშორისო სისტემის არქიტექტურა, მისი სტრუქტურა აიძულებს სახელმწიფოებს მისდიონ ძალაუფლებას. სისტემაში, სადაც არ არსებობს უმაღლესი ხელისუფლება და არ არსებობს გარანტია იმისა, რომ სხვა სახელმწიფოები არ ჩაერთვებიან კონფლიქტში ერთმანეთთან, ყველა სახელმწიფო ცდილობს იყოს საკმარისად ძლიერი იმისთვის, რომ სხვა სახელმწიფოებმა არ სცადონ მათზე ზეწოლა. ძლიერ სახელმწიფოებს არ აქვთ სხვა გამოსავალი გარდა იმისა, რომ იბრძოლონ ერთმანეთთან ძალაუფლებისთვის, რადგან მათ ეს სჭირდებათ გადარჩენისთვის. სტრუქტურული რეალისტებისთვის, ძალაუფლება არის საშუალება გადარჩენისთვის. ყველაზე მარტივი განსაზღვრებით, ძლიერი სახელმწიფოები ეძებენ საშუალებებს რათა ძალთა ბალანსი თავიანთ სასარგებლოდ შეინარჩუნონ და არცერთ სხვა სახელმწიფოს არ ჰქონდეს მათ ხარჯზე წარმატების მიღწევის საშუალება. (Mearsheimer, 2006).

სწორედ ამის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ აშშ-ს მხრიდან გამოვლენილი დამოკიდებულება, მისი მხარდაჭერა იაპონიისადმი და საჭიროების შემთხვევაში მზადყოფნა, რომ იაპონიის ინტერესები და უფლებები დაიცვას საერთაშორისო ასპარეზზე. მიუხედავად აშშ-ს სურვილისა, სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებული დავა გადაიჭრას ძალის გამოყენების გარეშე, იგი აცნობიერებს მდგომარეობის გართულების შესაძლებლობას და უსაფრთხოების შესახებ

ხელშეკრულების თანახმად ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობასაც აღიარებს.

ძალთა ბალანსზე წერს სტრუქტურული რეალიზმის წარმომადგენელი უოლცი, რომელიც საუბრობს იმაზე, თუ რატომ არის ძალთა ბალანსი მუდმივი მოვლენა, მიუხედავად ძალაუფლების გადანაწილების კონფიგურაციების ცვლილებებისა. უოლცის თანახმად, საერთაშორისო პოლიტიკის გაგება შესაძლებელია მხოლოდ მისი სისტემურად შესწავლის საფუძველზე. ის თვლის, რომ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების ორგანიზებულობის ხარისხი ახდენს გავლენას მათ ქცევაზე ერთმანეთის მიმართ. (Booth, K. 2011) ამ მიდგომის თანახმად, საერთაშორისო სისტემა არის სტრუქტურირებული ანარქიით და არა იერარქიით, სადაც მთავარი ღირებულებებია გადარჩენა, უსაფრთხოების დაცვა, დამოუკიდებლობა. მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნება და გაძლიერება აძლევს საშუალებას სახელმწიფოებს დაცულად იგრძნონ თავი. (Schroeder, 1994) მარშაიმერის მიერ გამოტანილი დასკვნით, რომელიც მას მოჰყავს თავის წიგნში „ანარქია და ბრძოლა ძალაუფლებისთვის“ საერთაშორისო სისტემა არის მემკვიდრეობითად ანარქიული, „დახასიათებული როგორც უსაფრთხოებისთვის დაპირისპირება და ომი“. (Lapeyre, 2013)

უოლცი ყურადღებას ამახვილებს სისტემის ხასიათზე და სწორედ სისტემის ხასიათიდან გამომდინარე საუბრობს სახელმწიფოთა ინტერესებზე, კონკურენციის დარეგულირების მექანიზმზე, რაშიც მოიაზრებს ძალთა ბალანსს. სისტემა შედგება სტრუქტურისა და ურთიერთმოქმედი ელემენტებისგან. სახელმწიფოების მთავარ მიზნად იგი ასახელებს გადარჩენას და ამას გამოყოფს ყველაზე მნიშვნელოვან მიზნად სხვა მიზანთა შორის. ამავე დროს, საუბრობს სახელმწიფოთათვის ძალაუფლების მოპოვების მნიშვნელობაზე, რადგან ძალაუფლების გარეშე მათთვის საკუთარი ეროვნული ინტერესების გატარება რთული იქნებოდა. სისტემის ანარქიულ ბუნებას ასახელებს იგი ძლიერ საელმწიფოთა ქცევების მთავარ მიზეზად, რადგან სწორედ ანარქიული ხასიათი აიძულებს ძლიერ სახელმწიფოებს იბრძოლონ სისტემაში არსებული ძალთა ბალანსის შესანარჩუნებლად, რადგან ძალთა ბალანსის ცვლილება სისტემასაც შეცვლის. (აკობია, 2006) ეს კი არ აწყობს აშშ-ს, რომელიც დღესდღეობით

მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენს და ამ სტატუსის დაკარგვა ნამდვილად არ უნდა.

სწორედ სისტემის თავისებურებები განსაზღვრავს სისტემის ხასიათს და აქედან გამომდინარე, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს სისტემის სტრუქტურა განსაზღვრავს. საერთაშორისო პოლიტიკის არსის გასაგებად წარმოდგენილია სამი ასპექტი, რომელთაგან მესამე წარმოადგენს სისტემის შემადგენელ სახელმწიფოთა შორის შესაძლებლობათა, ძლიერების განაწილებას, რაც ერთი ეპოქიდან მეორემდე იცვლება. ამ ელემენტს მნიშვნელობა ენიჭება იქიდან გამომდინარე, რომ სტრუქტურას განსაზღვრავს არა მისი შემადგენელი ნაწილები სრული შემადგენლობით, არამედ მონაწილეთა შორის ყველაზე ძლიერები. (რონდელი, 2006)

სწორედ აღნიშნულ მიდგომას მისდევს როგორც ჩინეთი, ასევე აშშ. იაპონიის ქმედებები არ შეიძლება განხილული იყოს ძალაუფლების მოპოვების სურვილის კუთხით, რადგან იგი, არ აღიქმება მსოფლიოს ჰეგემონობისთვის მებრძოლ ძალად, როგორც ხდება ეს ჩინეთისა და აშშ-ს შემთხვევაში. აშშ დღევანდელ მსოფლიოში ითვლება მსოფლიოს „ჰეგემონად“, რომელსაც აქვს უნარი შექმნას პოლიტიკური ამინდი და მოახდინოს მნიშვნელოვანი ცვლილებები, მისი ინტერესებიდან გამომდინარე. ჩინეთი კი, მართალია ჯერჯერობით არ წარმოადგენს ჰეგემონს, თუმცა მას განვითარების ტემპების გათვალისწინებით ნამდვილად აქვს პერსპექტივა იმისთვის, რომ გახდეს ჰეგემონი. სწორედ ამის ეშინია აშშ-ს, სწორედ ამიტომ აღიქვამს აშშ ჩინეთს საფრთხედ და სწორედ ამით აიხსნება მისი ჩართულობა ჩინეთ-იაპონიას შორის არსებულ დაპირისპირებაში სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით.

კონფლიქტში იაპონიის მხარეს დგომა აშშ-ს აძლევს საშუალებას შეინარჩუნოს კარგი დამოკიდებულება იაპონიასთან, რაც, თავის მხრივ ნიშნავს იმას, რომ აშშ არ დაკარგავს ძალაუფლებას, რომელიც გააჩნია აღმოსავლეთ აზიის რეგიონში, იგი შეინარჩუნებს ჰეგემონობას და ამ გზით ერთგვარად შეაფერხებს კიდევ ჩინეთის კიდევ უფრო მეტად გაძლიერებას.

სტრუქტურულ რეალიზმში გამოყოფენ ორ მიმართულებას. ესენია: თავდაცვითი და თავდასხმითი რეალიზმი. ეს ორი მიმდინარეობა, რა თქმა უნდა, იზიარებს სტრუქტურული რეალიზმის ფუნდამენტურ ღირებულებებს, თუმცა როდესაც

ძალაუფლების საკითხს ეხება საქმე ისინი ავლენენ გარკვეულწიდან განსხვავებულ მიდგომებს. მაშინ როდესაც თავდაცვითი მექანიზმი საუბრობს იმაზე, რომ სახელმწიფოთა მთავარ მიზანს წარმოადგენს ძალის შენარჩუნება და არა გაზრდა, თავდასხმითი რეალიზმი საუბრობს იმაზე, რომ სახელმწიფოებს, სისტემის ბუნებიდან გამომდინარე, აქვთ მიზეზები იმისთვის, რომ ძალაუფლების გაზრდისკენ მიისწრაფვოდნენ სხვა სახელმწიფოთა ხარჯზე და მათი მთავარი მიზანი უნდა იყოს ჰეგემონობა. (Lobell, 2010) ნაშრომში განხილული საკითხი- სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დავაში აშშ-ს როლის განხილვისას, შეიძლება ითქვას, რომ ეს ორივე მიმართულება ამოწმებს თეორიის სისწორეს. როგორც თავდასხმითი, ისევე თავდაცვითი რეალიზმის მიდგომები ამტკიცებენ, რომ აშშ-ს ჩართულობა დაპირისპირებაში გამომდინარეობს მისი მისწრაფებიდან, იყოს მსოფლიოში დიდი ძალის მქონე ჰეგემონი, იგი მიისწრაფვის როგორც სტატუს ქვოს შენარჩუნებისკენ, ასევე იბრძვის ჰეგემონის სტატუსის შესანარჩუნებლად საერთაშორისო სისტემაში.

სწორედ სტრუქტურული რეალიზმის თეორია იქნა გამოყენებული ჩინეთსა და იაპონიას შორის სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დავაში აშშ-ს ჩართულობის საკვლევადა. აშშ ცდილობს შეინარჩუნოს ძალაუფლება რეგიონში, მას ეს სჭირდება მსოფლიო ასპარეზზე მდგომარეობის შესანარჩუნებლად. დაპირისპირებაში მისი როლი გამოიხატება მისი მიზნით, იყოს წამყვანი ძალა რეგიონში. რომ არა მისი ეს მისწრაფება იგი არ ეცდებოდა ეთამაშა წამყვანი როლი რეგიონში. აღმოსავლეთ აზიის რეგიონი აშშ-სთვის ძალიან დიდი დატვირთვის მატარებელია. მას სჭირდება ეს რეგიონი სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე და აშშ არ დათმობს რეგიონს, თუნდაც მოუწიოს კიდევ უფრო სერიოზული ნაბიჯების გადადგმა იაპონიის მხარდასაჭერად (იგულისხმება, შეიარაღებული დაპირისპირების შემთხვევაში კონფლიქტში ჩართვა) იაპონია არის აშშ-ს დამხმარე რეგიონში და მისი მხარდაჭერის გარეშე აშშ-ს რეგიონში ყოფნას სერიოზული საფრთხე შეექმნებოდა, რეგიონში სტატუსის შესუსტება კი ცუდად იმოქმედებს მის იმიჯზე მსოფლიო ასპარეზზე. საერთაშორისო სისტემაში ჩინეთის გაძლიერების პერსპექტივები ნათლად იკვეთება, რაც მას ძალიან აშინებს.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ წარმოადგენს ძლიერ სახელმწიფოს და შეიძლება საკითხში გაურკვეველმა ადამიანმა იფიქროს, რომ პატარა კუნძულების გამო იგი არ უნდა უპირისპირდებოდეს ჩინეთს (რომელიც აშშ-ს კუნძულებისადმი გამოვლენილ დამოკიდებულებას და იაპონიის მხარის მიმართ მხარდაჭერას აღიქვამს მის წინააღმდეგ წასვლად და ეს ასეც არის), თუმცა აშშ-ს უღირს, რადგან სწორედ ძალაუფლების გამლიერებისთვის და სტატუსის შესანარჩუნებლად სჭირდება მას რეგიონში ყოფნა. მართალია, იგი არის უძლიერესი სახელმწიფო, მაგრამ სტრუქტურული რეალიზმის თანახმად, ძალაუფლება არის ძლიერ სახელმწიფოთა გადარჩენის მთავარი განმაპირობებელი და ძლიერ სახელმწიფოებსაც სჭირდებათ ბრძოლა უფრო მეტი ძალაუფლების მოსაპოვებლად, ან არსებულის შესანარჩუნებლად, რათა სხვა სახელმწიფოებმა არ გაუსწრონ და არ ჩამოართვან მათ მიერ წლების მანძილზე მოპოვებული სტატუსი.

დასკვნა

ნაშრომში ჩამოყალიბებულია აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში ჩინეთ-იაპონიას შორის სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო არსებული დავის მნიშვნელოვანი ასპექტები, მისი წარმოშობის მიზეზები, მიმდინარეობა და ჩართულ მხარეთა ინტერესები. აშშ-ს როლი რეგიონსა და ჩინეთ-იაპონიას შორის არსებულ ურთიერთობებში ძალიან დიდია. ის არის სახელმწიფო, რომელიც თავისი პოზიციების დათმობას არ აპირებს რეგიონში. ჩინეთისა და იაპონიის მიმართ გამოვლენილი დამოკიდებულებით აშშ მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუშალოს ჩინეთის ერთადერთ ძლიერ ძალად ჩამოყალიბებას რეგიონში, რადგან ეს მის ინტერესებს საფრთეს შეუქმნის. აშშ ისედაც აცნობიერებს ჩინეთიდან მომდინარე საფრთხეს, რომელიც დღითიდღე იზრდება და ცდილობს ხელი შეუშალოს ამ ფაქტს. იაპონიასთან სტრატეგიული თანამშრომლობა კი ამის ერთ-ერთი დადასტურებაა. აშშ-ს სჭირდება იაპონია როგორ მოკავშირე რეგიონში ჩინეთის გაძლიერების შესაკავებლად.

სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დავაში მისი ჩართულობა არ არის გამოწვეული იმ ფაქტით, რომ ამ წყლებში არსებობს ბუნებრივი რესურსების მარაგი, რაც შეიძლება იყოს გაცხადებული მიზეზი ჩინეთისა და იაპონიისთვის, არამედ კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დავაში იაპონიის მხარდაჭერა მას აძლევს საშუალებას რეგიონში სტატუსის შენარჩუნება შეძლოს და სხვა სახელმწიფომ არ მოახდინოს მისი ჩანაცვლება, ამ შემთხვევაში კი „სხვა სახელმწიფოში“ იგულისხმება, რა თქმა, უნდა ჩინეთი. აღმოსავლეთ აზიის რეგიონი აშშ-სთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. ის ვერ დათმობს ამ რეგიონს, რადგან ძალიან სჭირდება როგორც დასტური თავისი სიძლიერისა.

აშშ იაპონიასთან გაფორმებული თანამშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულების თანახმად, საუბრობს, რომ ადმინისტრაციული უფლებები კუნძულებზე უნდა იყოს იაპონიის ხელში. კვლევის პროცესში მოხდა ჩამოყალიბებული **ჰიპოთეზის დამტკიცება**, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო ჩინეთ-იაპონიას შორის არსებულ დაპირისპირებაში იაპონიის მხარდაჭერა აშშ-ს აძლევს საშუალებას დარჩეს ერთ-ერთ წამყვან ძალად რეგიონში, რაც

მის მთავარ მიზანს წარმოადგენს. კუნძულების სტრატეგიული მნიშვნელობა და ბუნებრივი რესურსებით სიმდიდრე კი გარეშე ფაქტორებია, რომლებიც არსებობს ჩინეთ-იაპონია-აშშ-ს ურთიერთობებში.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო ჩინეთ-იაპონიას შორის არსებულ დაპირისპირებაში მონაწილეობა აშშ-სთვის არის მნიშვნელოვანი იმდენად, რამდენადაც ეს დაპირისპირება აბალანსებს ჩინეთ-იაპონიის ძალაუფლებას აღმოსავლეთ აზიაში, რაც აშშ-ს მიზნებს რეგიონში მნიშვნელოვან წარმატებას უქადის. მეგობრული ურთიერთობები იაპონიასთან, ასევე სტრატეგიული პარტნიორობა, მას აძლევს საშუალებას, მსოფლიო ჰეგემონის სტატუსის შენარჩუნება უფრო მარტივად შეძლოს.

ჩინეთის მზარდი როლი საერთაშორისო ეკონომიკაში, რაც რა თქმა უნდა, საერთაშორისო პოლიტიკაში მის როლს კიდევ უფრო ზრდის, მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველია აშშ-თვის, რასაც აშშ აცნობიერებს. იგი ცდილობს დაუჭიროს მხარი იაპონიას, რაც აღმოსავლეთ აზიაში ძალაუფლების ბერკეტების შესანარჩუნებლად სჭირდება. სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულების გარშემო ჩინეთ-იაპონიას შორის არსებულ დაპირისპირებაში იაპონიის მხარდაჭერა აშშ-ს აძლევს საშუალებას დარჩეს ერთ-ერთ წამყვან ძალად რეგიონში, რაც მის მთავარ მიზანს წარმოადგენს. სწორედ ამ ფაქტით არის გამოწვეული მისი ჩართულობა დაპირისპირებაში.

აშშ-ს ჩართულობა კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დაპირისპირებაში არის სწორედ მისი დამოკიდებულების გამოვლინება, რომლის თანახმადაც დიდ სახელმწიფოთა მეტოქეობა არის თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში მთავარი გამოწვევა. სწორედ მისი ამ დამოკიდებულებიდან გამომდინარეებს ის ფაქტი, რომ 2018 წელს შემუშავებულ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში მთავარი აქცენტი გაკეთებულია დიდ სახელმწიფოთა შორის არსებულ მეტოქეობაზე და არა ტერორიზმზე, როგორც იყო ეს ადრეულ წლებში. აშშ მისდევს 2018 წლის ეროვნული უსაფრთხოების თანახმად გაცხადებულ მიზნებს და ეს ერთ-ერთი დასტურია იმისა, რომ იგი არ შეწყვეტს იაპონიის მხარდაჭერას სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დავაში, რადგან ამით ახერხებს, რომ ჩინეთის კიდევ უფრო გაძლიერებას გარკვეულწილად ხელი შეუშალოს. სწორედ მისი მიდგომა განაპირობებს მის

ჩართულობას ჩინეთსა და იაპონიას შორის სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დავაში.

აშშ-ს მიერ არჩეული სტრატეგია ეხმიანება სტრუქტურული რეალიზმის მიდგომას, რომლის თანახმადაც ანარქიულად მართულ მსოფლიოში სახელმწიფოთათვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ძალაუფლების მოპოვება და მისი შენარჩუნება. სწორედ მის მიერ შემუშავებული სტრატეგიის ერთ-ერთი გამოვლინებაა აღმოსავლეთ აზიის რეგიონში მისი მოქმედება და მცდელობა იმისა, რომ ნებისმიერ ფასად შეინარჩუნოს ძალაუფლება რეგიონში. ამის ერთ-ერთი გამოვლინება არის სენკაკუს/დიაოიუ დაოს კონფლიქტში მისი ჩართულობა.

აშშ მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ამავე საუკუნის შუა წლებამდე მხარს უჭერდა კუნძულების ჩინეთისთვის გადაცემას, თუმცა, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ვითარება შეიცვალა და მან მოაწერა ხელი ოკინავას დაბრუნების შესახებ ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც კუნძულებს მიაკუთვნებდა იაპონურ მხარეს, ოღონდ საუბრობდა არა სუვერენიტეტის უფლების მინიჭებაზე იაპონიისთვის, არამედ ადმინისტრაციული მმართველობის უფლების გადაცემაზე.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დავაში აშშ ცდილობდა და ცდილობს ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას, თუმცა იგი იზიარებს იაპონიასთან დადებული თანამშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს და აღიარებს, რომ იგი კუნძულებზე ადმინისტრაციული მმართველობის მიკუთვნებულობასთან დაკავშირებით არ შეიცვლის აზრს.

მისი ეს დამოკიდებულება დღესაც კი ასევე გრძელდება, თუმცა ერთი განსხვავებით. დღეს უკვე, აშშ-მ იცის, რომ ძალიან სერიოზული პრობლემის წინაშე დგას. მართალია, აქამდე შეიარაღებულ დაპირისპირებას კუნძულებთან დაკავშირებით ჩინეთ-იაპონიას შორის ადგილი არ ჰქონია, თუმცა ადგილი მოსალოდნელია, მოხდეს ეს უახლოეს წლებში, რადგან ურთიერთობის დაძაბვა კიდევ უფრო და უფრო შესამჩნევია ამ ორ სახელმწიფოს შორის. რეგიონში მოქმედი ეს ორი სახელმწიფო კუნძულებთან დაკავშირებით არ აპირებს პოზიციების დათმობას და შესაბამისად, მათ შორის ურთიერთობის მოგვარების შანსი ნაკლებად არსებობს. ურთიერთობების დაძაბვის ერთ-

ერთი მაგალითია 2010 წელს განხორციელებული ქმედებები, როდესაც აშშ იძულებული გახდა მკაფიო განცხადება გაეკეთებინა იმასთან დაკავშირებით, რომ აშშ- იაპონიას შორის გაფორმებული თანამშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ შეთანხმების თანახმად, იაპონიის ადმინისტრაციული მმართველობის ქვეშ მყოფ ნებისმიერ ტერიტორიასთან დაკავშირებით დაძაბულობის წარმოქმნის შემთხვევაში აშშ ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი ქმედებები და ის მზად არის ამისთვის.

რომ არა აშშ-ს დაინტერესება აღმოსავლეთ აზიის რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობით, მსოფლიო ასპარეზზე სტატუსის შენარჩუნებითა და სხვა სახელმწიფოთა (ამ შემთხვევაში ჩინეთი) მხრიდან მისი ჩანაცვლების შესაძლებლობის თავიდან აცილებით, ის არ ჩაებმეოდა რეგიონში არსებულ პრობლემებში და არ დაუჭერდა მხარს იაპონიას, რომლის მხარდაჭერაც მომავალში შეიძლება აშშ-ს საკმაოდ ძვირად დაუჯდეს, რადგან იგი აღიარებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს იაპონიის მიმართ, რაც ეკისრება თანამშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ დადებული ხელშეკრულების თანახმად.

კვლევა ღირებულია იქიდან გამომდინარე, რომ სენკაკუს/დიაოიუ დაოს საკითხზე ქართულ აკადემიურ სივრცეში არ არსებობს ნაშრომები. კვლევის შედეგად ჩანს რეგიონში მოქმედ სამ ძალას- ჩინეთს, იაპონიასა და აშშ-ს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება და მათი ინტერესები, რაც დაპირისპირების გადაუჭრელობის მთავარი განმაპირობებელია.

აღნიშნული ნაშრომი შეიძლება გამოყენებული იქნას აღმოსავლეთ აზიის რეგიონში მოქმედი ძლიერი სახელმწიფოების ინტერესებთან დაკავშირებით გარკვეული ცოდნის მისაღებად, ასევე, სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ კონფლიქტზე გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად. ასევე შესაძლებელია, გამოყენებული იქნას ჩინეთს, იაპონიასა და აშშ-ს შორის არსებული დამოკიდებულებების შესასწავლად და აშშ-ს რეგიონით დაინტერესების მიზეზების გამოსავლენად. სპეციალისტების, მეცნიერების, მკვლევარებისა და სხვა დაინტერესებული პირების მიერ შეიძლება მოხდეს ნაშრომის გამოყენება როგორც რეგიონში არსებულ მრავალ პრობლემათაგან ერთ-ერთის შესახებ ინფორმაციის მისაღებად. მისი პრაქტიკული მნიშვნელობა კი გამომდინარეობს იქიდან, რომ

სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დავაში აშშ-ს ქმედებები არის ერთ-ერთი მაგალითი დიდ სახელმწიფოთა ქცევისა საერთაშორისო ასპარეზზე, როდესაც მათ ეროვნულ ინტერესებს ეხება საქმე.

საკვლევი საკითხით დაინტერესება გამოიწვია აღნიშნულ კონფლიქტთან დაკავშირებით შესაბამისი კვლევების არარსებობამ ქართულ აკადემიურ სივრცეში. კვლევის მიზანს წარმოადგენდა, შექმნილიყო ნაშრომი, რომელიც კონფლიქტის შესახებ გარკვეულ ცოდნას შექმნიდა და ყურადღებას მიაქცევდა რეგიონში მოქმედ მსოფლიოს ძლიერი ძალების ქმედებებსა და ურთიერთდამოკიდებულებებს, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნებოდა ამ კონფლიქტის გაგება უფრო მარტივად. ვფიქრობ, რომ მიზანი მიღწეულია და ნებისმიერი დაინტერესებული ადამიანი შეძლებს ამ ნაშრომის დახმარებით შეიქმნას გარკვეული წარმოდგენა აღმოსავლეთ აზიის რეგიონში სენკაკუს/დიაოიუ დაოს კუნძულებთან დაკავშირებით არსებულ დაპირისპირებაზე, მის მიმდინარეობასა და მასში ჩართულ მხარეთა ინტერესებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აკობია, ე. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობების თეორია*. თბილისი: სოციალური მეცნიერებათა ცენტრი.
- დავითაშვილი, ზ. (2003). *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია*. თბილისი: „მეცნიერება“.
- რონდელი, ა. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობები*. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“.
- Akio, T. (2017). Forty-four Years of Sino-Japanese Diplomatic Relations Since Normalization. In *a China-Japan Relations in the 21st century*. Tokyo. Bunkyo, Japan: The Author(s).
- Agreement Between the United States of America and Japan. (1971). Retrieved from <http://ryukyu-okinawa.net/pages/archive/rev71.html>
- Brown, K. (2016, August 31). The Most Dangerous Problem in Asia: China-Japan Relations. *The Diplomat*. Retrieved from <https://thediplomat.com/2016/08/the-most-dangerous-problem-in-asia-china-japan-relations/>
- Basic View on the Sovereignty over the Senkaku Islands. (2013, May 8). *Ministry of Foreign Affairs of Japan*. Retrieved from http://www.mofa.go.jp/region/asia-paci/senkaku/basic_view.html
- Booth, K. (2011). *Realism and World Politics*. London and New York: Taylor and Francis Group.
- Cairo Conference. (1943). In *U.S. Department of State Archive*. Retrieved from <https://2001-2009.state.gov/r/pa/ho/time/wwii/107184.htm>
- Cameron, F. (2006). *US Foreign Policy after the Cold War*. London and New York: Taylor and Francis Group.
- Chanlett-Avery, E., & Rinehart, I. E. (2016). *The U.S.-Japan Alliance* (CRS REPORT #RL33740). Retrieved from Congressional Research Service
- Department of Defence of the United States of America. (2018). *Summary of the 2018 National Defence Strategy of the United States of America*.
- Diaoyu Dao, an Inherent Territory of China (white paper). (2012, September). *Diaoyu Dao, an Inherent Territory of China*. Retrieved from http://www.diaoyudao.org.cn/en/2015-01/25/content_34649357.htm

- Dolven, B., Manyin, M. E., & Kan, S. A.. (2014). *Maritime Territorial Disputes in East Asia: Issues for Congress* (CRS REPORT #R42930). Retrieved from Congressional Research Service
- Driete, R. (2014). The Japan-China Confrontation Over the Senkaku/diaoyu Islands- Between „shelving” and „dispute escalation” 尖閣・釣魚諸島をめぐる日中対立 棚上げと激化のあいだとは. *The Asia-Pacific Journal*. 12(30), 42-43.
- Ehrhardt, G. (2002, September). Ehrhardt on Miyashita and Sato, „Japanese Foreign Policy in Asia and the Pacific: Domestic Interests, American Pressure, and Regional Integration” (Review of the book *Japanese Foreign Policy in Asia and the Pacific: Domestic Interests, American Pressure, and Regional Integration*, by A. Miyashita, Y. Sato, eds). *H-Net: Humanities and Social Sciences Online*. Retrieved from <https://networks.h-net.org/node/11765/reviews/11882/ehrhhardt-miyashita-and-sato-japanese-foreign-policy-asia-and-pacific>
- George, A. L. and Bennett, A. (2005). *Case Studies and Theory Development in the Social Sciences*. Cambridge, Massachusetts; London, England.
- Godwin, P. H. B. (2004). China as Regional Hegemon? In *The Asia-Pacific: A Region in Transition*. Honolulu, Hawaii: the Asia-Pacific Center for Security Studies
- Goldman, C. (2015, August 5). Stanford scholar illuminates history of disputed China Sea islands. *Stanford*. Retrieved from <https://news.stanford.edu/2015/08/05/islands-chiang-diaries-080515/>
- Heydarian, R. J. (2016, April 6). The new Japanese assertiveness in Asia Pacific. *ALJAZEERA*. Retrieved from <https://www.aljazeera.com/indepth/opinion/2016/04/japanese-assertiveness-asia-pacific-160405103357842.html>
- How uninhabited islands soured China-Japan ties (2014, November 10), *BBC News*. Retrieved from <http://www.bbc.com/news/world-asia-pacific-11341139>
- Instrument of Surrender. (1945). In *National Archives Foundation*. Retrieved from <https://www.archivesfoundation.org/documents/japanese-instrument-surrender-1945/>
- Ishii, L. J. (2013). *The U.S. Imperative on the Senkaku/Diaoyu Territorial Dispute* (Master Thesis). United States Army War College, USA.
- Kosta, A. (2018). *The China-Japan conflict over the Senkaku/Diaoyu Islands*. London and New York.

- Lapeyre, S. (2013, November). *China and Japan in Anarchy: A Neorealist and Constructivist Explanation of the Kurihara Island Conflict*. Retrieved from <https://www.mironline.ca/china-and-japan-in-anarchy-a-neorealist-and-constructivist-explanation-of-the-kurihara-island-conflict/>
- Li, M. (2018). China's participation in Asian multilateralism: pragmatism prevails. *ANU Press*. Retrieved from the JSTOR database.
- Lobell, E. S. (2010). Structural Realism/ Offensive and Defensive Realism. *Oxford Research Encyclopedia of International Studies*.
- Manyin, M. E. (2016). *The Senkakus (Diaoyu/Diaoyutai) Dispute: U.S. Treaty Obligations* (CRS REPORT #R42761). Retrieved from Congressional Research Service.
- Mearsheimer, J. J. (2013). Structural Realism. in T. Dunne, M. Kurki, and S. Smith (Eds.), *International Relations Theories: Discipline and Diversity* (3rd Edition, pp. 77-93). Oxford: Oxford University Press.
- Ministry of Foreign Affairs. (2013). *The Senkaku Islands* (Ministry of Foreign Affairs report). Japan.
- Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China and United Nations System in China. (2013). *China's progress towards the Millennium Development Goals* (2013 report). China.
- Munro, A. (2013). Superpower. *Encyclopedia Britannica*. Retrieved from <https://www.britannica.com/topic/superpower>
- Panda, A. (2014). Obama: Senkakus Covered Under US-Japan Security Treaty. *The Diplomat*. Retrieved from <https://thediplomat.com/2014/04/obama-senkakus-covered-under-us-japan-security-treaty/>
- Panda, A. (2017). Mattis: Senkakus Covered Under US-Japan Security Treaty. *The Diplomat*. Retrieved from <https://thediplomat.com/2017/02/mattis-senkakus-covered-under-us-japan-security-treaty/>
- People's Republic of China (P.R.C.) 1949- Present. (n.d.). *Chinasage*. Retrieved from <http://www.chinasage.info/peoplesrepublic.htm>

- Potsdam Declaration. (1945). In *National Diet Library*. Retrieved from <http://www.ndl.go.jp/constitution/e/etc/c06.html>
- Potsdam Declaration is still valid today. (2015, Juli 27). *Chinadaily*. Retrieved from http://www.chinadaily.com.cn/opinion/2015-07/27/content_21416358.htm
- Przystup, J. J. (2009, April). The United States and the Asia-Pacific Region: National Interests and Strategic Imperatives. *Strategic Forum, Institute for National Strategic Studies*.
- Rathus, J. M. (2010). *Japan's response to the rise of China: Implications for Regional Institutions*. Adelaide, Australia: School of Social Sciences and Humanities (Discipline of Asian Studies).
- Rourke, R. O. (2018). *Maritime Territorial and Exclusive Economic Zone (EEZ) Disputes Involving China: Issues for Congress* (CRS REPORT #R42784). Retrieved from Congressional Research Service.
- Roy-Chaudhury, S. (2016, August 01). The Senkaku Islands Dispute. *International Policy Digest*. Retrieved from <https://intpolicydigest.org/2016/08/01/senkaku-islands-dispute/>
- Sana, A. (2012). United States Interests in Asia-Pacific Implications for Pakistan. *Institute of Strategic studies, research and analysis (ISSRA)*.
- Schroeder, P. (1994, Summer). Historical Reality vs. Neo-realist Theory. *The MIT Press*. Retrieved from <http://www.jstor.org/stable/2539150>
- Security Treaty Between the United States and Japan. (1951). in *The Avalon Project*. Retrieved from http://avalon.law.yale.edu/20th_century/japan001.asp
- Senkaku Islands: Location, Area, and Other Geographical Data. (2015, February 17). Retrieved from https://www.spf.org/islandstudies/info_library/senkaku-islands/02-geography/02_geo001.html
- Shaw, H. (1999). *The Diaoyutai/Senkaku Dispute: its History and an Analysis of the Ownership Claims of the P.R.C., R.O.C., and Japan*. Maryland, USA.
- Shulong, C. (2008). A Mechanism to Stabilize U.S.-China-Japan Trilateral Relations in Asia. *Center for Northeast Asian Policy Studies*.
- Situation of the Senkaku Islands. (2014, April 4). Retrieved from https://www.mofa.go.jp/a_o/c_m1/senkaku/page1we_000010.html

- Smith, A. S. (2012). Japan and the East China Sea Dispute. *Foreign Policy Research Institute by Elsevier Ltd.*
- Treaty of Shimonoseki. (n.d.) in *Diaoyu Dao: The Inherent Territory of China*. Retrieved from http://www.diaoyudao.org.cn/en/2015-01/25/content_34649429.htm
- Treaty of Shimonoseki. (1895) in *USC US-China Institute*. Retrieved from <https://china.usc.edu/treaty-shimonoseki-1895>
- Treaty of Peace with Japan. (1951). Retrieved from <https://www.documentcloud.org/documents/1338718-san-francisco-peace-treaty-1951.html>
- Vice Foreign Minister Zhang Zhijun Gave Briefing to Chinese and Foreign Journalists on the Diaoyu Dao Issue (transcript). (2012, October 27). *Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China*. Retrieved from http://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/topics_665678/diaodao_665718/t983015.shtml
- Whitehouse, (2017). *Joint Statement from President Donald J. Trump and Prime Minister Shinzo Abe*. Washington.
- Qun, C. (2017, December 15). U.S. Approach to Diaoyu Islands Issue: Policy, Motivation and Prospect. *China Institute of International Studies*. Retrieved from http://www.ciis.org.cn/english/2017-12/15/content_40106674.htm
- Zhao, Q. (2004). Japan's Leadership Role in East Asia: Cooperation and Competition between Japan and China. *Policy and Society*. 23:1, 111-128, DOI: 10.1016/S1449-4035(04)70029-6

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Mariam Bokhua

Great Power Competition in International Politics: the Role of USA
in Sino–Japanese Territorial Dispute over the Senkaku/Diaoyu Dao
Islands

Diplomacy and International Politics

Submitted to obtain the Master's degree in
Diplomacy and International Politics

Zurab Davitashvili

Full Professor

Tbilisi

2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ირმა კილასონია

უცხო ქვეყნის პოპულიზმი, როგორც საგარეო პოლიტიკური
ინსტრუმენტი, რუსეთის ფედერაციის მიერ დასავლეთის
დემოკრატიული ქვეყნების არჩევნებში ჩარევის მაგალითზე

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ეკა აკობია
ასოცირებული პროფესორი
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი

თბილისი
2018

უცხო ქვეყნის პოპულიზმი, როგორც საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტი, რუსეთის მიერ დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების არჩევნებში ჩარევის მაგალითზე

ირმა კილასონია

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, გამოიკვლიოს, თუ როგორ შეძლო რუსეთმა სტაბილური, დემოკრატიული სახელმწიფოების არჩევნებში ჩარევა საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. კვლევის მთავარი ობიექტები არიან აშშ და საფრანგეთი - სახელმწიფოები, რომლებიც წარმოადგენენ დასავლური დემოკრატიული სამყაროს მნიშვნელოვან ნაწილს.

თემა აქტუალურია იქიდან გამომდინარე, რომ წარმოადგენს ერთობლიობას ბოლოდროინდელი მოვლენებისა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან დემოკრატიის ფუნქციონირებას და კიდევ უფრო მეტად აღვივებენ ანტიდასავლურ სენტიმენტებს, რითიც ხელს უწყობენ რუსეთს, მიაღწიოს საკუთარ საგარეო პოლიტიკურ მიზნებს. გარდა ამისა, ყველა კითხვაზე პასუხი ჯერ კიდევ არაა გაცემული.

თემა საკმაოდ აქტუალურია ასევე იმის გამო, რომ თუკი რუსეთი მანამდე მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში იყენებდა ამ ხერხს, შემდეგ უშუალოდ ტექნოლოგიურად განვითარებულ ქვეყნებშიც მოახერხა ჩარევა და ზოგ შემთხვევაში სასურველ მიზანსაც მიაღწია - ხელი შეუწყო ანტიევროპული ძალების გააქტიურებას და დასავლურ ქვეყნებში დესტაბილიზაციის შეტანას.

კვლევის ძირითადი შედეგია ის, რომ რუსეთის ჩარევის წარმატების ზრდა დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოების არჩევნებში განპირობებულია აშშ - სა და ევროპის ქვეყნებში პოპულიზმის ზრდით. პოპულისტური პარტიები და მათი ლიდერები წარმოადგენენ მყარ ნიადაგს ვლადიმერ პუტინის მცდელობებისათვის.

Foreign country's populism as a foreign policy instrument - Russian interference in western
democratic countries elections

Annotation

This paper aims to understand how Russia managed to interfere in the elections of stable democratic countries in order to achieve its foreign policy goals. Main research objects are USA and France, countries that are significant parts of the western world.

The topic is actual because it is a combination of recent major events, which threaten democracy and strengthen anti – Western sentiments. This helps Russia to achieve its foreign policy goals. Besides, there are many unanswered questions.

The topic is also actual because in recent years Russia has used this tool only in Post – Soviet Countries and then it interfered in developed countries and in some cases achieved its goal – supported triggering of anti – European forces and destabilized the west.

The result of the research says that the rise of populism in the USA and Europe made Russia's meddling in western countries elections successful. Populist parties and their leaders are the main ground for Putin's attempts.

სარჩევი

შესავალი.....	6
ტერმინთა განმარტება	10
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა.....	12
თავი II. ზოგადი მიმოხილვა.....	15
თავი III. პოპულიზმი	19
3.1. განმარტებები, მიდგომები, ფაქტები.....	19
3.2. პოპულიზმის აღზევება ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.....	21
თავი IV. რუსეთის მიერ გამოყენებული მეთოდებისა და ინსტრუმენტების მიმოხილვა	24
4.1. სსრკ-ის აქტიური ზომები	24
4.2. რუსეთის მიერ გამოყენებული ჩარევის თანამედროვე მეთოდები	25
თავი V. დასავლური დემოკრატიების არჩევნებში რუსეთის ჩარევის კონკრეტული შემთხვევები.....	33
5.1. ამერიკის შეერთებული შტატები.....	33
5.2. საფრანგეთი.....	36
თავი VI. თეორიული ჩარჩო	40
6.1. რბილი დაბალანსების თეორია.....	40
თავი VII. ანალიზი	45
დასკვნა	47
ბიბლიოგრაფია:	49

შესავალი

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მსოფლიოში თავისუფლების ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველი იყო ძლიერი, განვითარებული ლიბერალური დემოკრატიები და ის ალიანსები, რომლებიც მათ აერთიანებდათ. ცივი ომის დასრულებისა და ნატოსა და ევროკავშირის თითქმის მთელ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში გაფართოებისას ლიბერალური დემოკრატია ჩანდა ისეთი ძლიერი და სანდო, როგორც არასდროს. თუმცა, ბოლო პერიოდში რუსეთის მხრიდან განხორციელებულმა ქმედებებმა ეს პროცესები რუსეთის გავლენის ქვეშ მოაქცია, რამაც ლიბერალური დემოკრატია საეჭვო და თავდაცვით მდგომარეობაში ჩააყენა. ვლადიმერ პუტინმა თავისი პრეზიდენტობის დასაწყისშიც დაიწყო მინიშნება, რომ სურდა, რუსეთი კვლავ დიდ სახელმწიფოდ ექცია და ამ იმპერატივს ის მიიჩნევდა ნულოვანჯამოვან თამაშად, რაც გულისხმობს, რომ დასავლეთი იძენდა მეგობრებს პოსტ-კომუნისტური სახელმწიფოების სახით, რუსეთი კი კარგავდა, შესაბამისად, მას ყველა შესაძლო ვარიანტი უნდა მოესინჯა, რომ ეიძულებინა მოლდოვა, უკრაინა, საქართველო და ბალკანეთის ქვეყნები, გადაეხვიათ თავიანთი დასავლური ლიბერალური ორიენტაციიდან და დაბრუნებულიყვნენ რუსულ ორბიტაზე. ამის ნათელი მაგალითია რუსეთის მიერ სეპარატისტული ძალების მხარდაჭერა და შემოჭრა საქართველოში 2008 წელს, ყირიმის ანექსია 2014 წელს და დონბასში, უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში საკუთარი ძალების შეყვანა. როგორც ჩანს, 2000 წელს ყოფილ იუგოსლავიაში, 2003 წელს საქართველოში და 2004-2005 წლებში უკრაინაში მომხდარი ფერადი რევოლუციების შემდეგ, სადაც აქციის მონაწილეებმა გააპროტესტეს გაყალბებული არჩევნები და ხელი შეუწყეს ავტორიტარიზმიდან დემოკრატიაზე გადასვლას, პუტინს შეეშინდა, რომ მასობრივი დემოკრატიული მობილიზაცია შესაძლოა თავად მის ქვეყანაშიც გავრცელებულიყო.

2000 წელს პუტინმა არჩევნების შემდეგ ხალხს მისცა დაპირება, რომ რუსეთს კვლავ დიდ სახელმწიფოდ აქცევდა. ამასთანავე, 2005 წელს მან 1991 წლის დეკემბერში სსრკ-ის დანგრევას უწოდა „მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი გეოპოლიტიკური კატასტროფა“

(Putin deploras collapse of USSR, 2005). ეს ყველაფერი ხდება მალევე მას შემდეგ, რაც 2004 წელს რვა ყოფილი კომუნისტური სახელმწიფო (ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ჩეხეთი) მიიღეს ევროკავშირში, 2007 წლის იანვარში კი მათ რიცხვს კიდევ ორი შეემატა (ბულგარეთი და რუმინეთი) (EU welcomes 10 new members, 2004). თან ამ 10 სახელმწიფოდან 3 (ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი) უბრალოდ საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ კი არ იყო, არამედ მისი წევრი იყო (Burke, 2014). გარდა ამისა, 2004 წლის მარტში ნატოში მიიღეს ბალტიისპირეთის სამი სახელმწიფო და 4 პოსტ-კომუნისტური ქვეყანა (ბულგარეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი და სლოვენია), რამაც რუსეთის კიდევ უფრო გაღიზიანება გამოიწვია (NATO Enlargement—A Case Study, 2017). მას შემდეგ პუტინის მიზანს წარმოადგენს, წინააღმდეგობა გაუწიოს ანტი რუსულ ევროპას, როგორც ამას თავად აღიქვამს. რუსეთის ფედერაციას აქვს ნატოს სამხედრო ალიანსის დესტაბილიზაციის პირდაპირი ინტერესი იმ მიზნით, რომ გააფართოვოს ძალაუფლება და აღადგინოს თავისი ჰეგემონიური როლი (Walkowiak, 2017). 2016 წლის აშშ-ისა და 2017 წლის დასავლეთ ევროპული არჩევნები გამოდგება კარგ მაგალითად იმისათვის, რომ ვაჩვენოთ პუტინის მცდელობა, კვლავ გახადოს რუსეთი საშიშ დიდ ძალად, ან შესაძლოა სუპერძალადაც კი.

ბოლო წლებში ბრძოლის ტრადიციული მეთოდების პარალელურად რუსეთი აქტიურად იყენებს საინფორმაციო ომს, როგორც საგარეო პოლიტიკურ ინსტრუმენტს და სხვა სახელმწიფოებზე გავლენის მოხდენის საშუალებას. 2016 წლის რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაც ნათლად მიუთითებს რუსეთის მიზანზე, დაბრუნდეს მსოფლიო ასპარეზზე, როგორც ჰეგემონი, რისთვისაც გამოიყენებს არაერთ შესაძლებლობას, მათ შორის საინფორმაციო ომსაც (Foreign Policy Concept of the Russian Federation, 2016).

21-ე საუკუნეში კონვენციურ ომთან შედარებით წინა პლანზე წამოიწია ომის ახალმა სახეობამ - საინფორმაციო ომმა, რაც ნიშნავს ინფორმაციის ტაქტიკურ და სტრატეგიულ გამოყენებას უპირატესობის მოსაპოვებლად. ის შესაძლოა მოიცავდეს ტაქტიკური ინფორმაციის მოგროვებას, პროპაგანდის ან დეზინფორმაციის გავრცელებას მტრის დემორალიზების ან მანიპულაციის მიზნით. შესაძლოა გამოვიყენოთ მისი რამდენიმე

მახასიათებელი: ნაკლები ღირებულება - ტრადიციულ იარაღთან შედარებით, ინფორმაციაზე დაფუძნებული ტექნიკების განვითარება არ მოითხოვს განსაკუთრებულ რესურსებს ან სახელმწიფო დაფინანსებას; საზოგადოების აღქმების მართვის გაფართოებული როლი - ახალმა ინფორმაციაზე დაფუძნებულმა ტექნიკებმა შესაძლოა გაზარდოს ტყუილის ძალა და მანიპულაციის შესაძლებლობები, რაც მნიშვნელოვნად ართულებს სახელმწიფოს მცდელობებს, მოიპოვოს პოლიტიკური მხარდაჭერა; კოალიციებისა შექმნისა და მხარდაჭერის სირთულე - კოალიციებზე დაყრდნობა ზრდის ყველა პარტნიორის დაუცველობას და აძლევს ოპონენტებს დიდ სტრატეგიულ უპირატესობას; ტაქტიკური გაფრთხილებისა და თავდასხმის შეფასების პრობლემები - დღეს არ არსებობს ადეკვატური ტაქტიკური გამაფრთხილებელი სისტემა, რომ ერთმანეთისგან განვასხვაოთ სტრატეგიული საინფორმაციო ომის თავდასხმები და სხვა სახის კიბერსივრცული ქმედებები; ახალი სტრატეგიული დაზვერვის გამოწვევა - ცუდად გაგებული სტრატეგიული საინფორმაციო ომი და მიზნები ამცირებს ინფორმაციის მოგროვების კლასიკურ სადაზვერვო და ანალიზის მეთოდებს (Roger C. Molander, 1996, p. 15).

რაც შეეხება რუსეთის მიერ დემოკრატიული ქვეყნების საარჩევნო პროცესებში ჩარევის მცდელობებს, ამ ნაშრომის კვლევის მიზნებისთვის ეს პროცესი შეიძლება ორ ეტაპად დავყოთ: რუსეთის ჩარევა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების საარჩევნო პროცესებში 1991-2014 წლებში და 2014 წლიდან მოყოლებული ჩარევა დასავლურ დემოკრატიებში. მიზანი ორივე შემთხვევაში ძირითადად ერთი იყო - პოპულისტური და, ამასთანავე, პრორუსული ძალების მხარდაჭერა.

ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს ის, თუ როგორ მოახერხა რუსეთმა სტაბილური, დემოკრატიული სახელმწიფოების შიდა საქმეებში, უფრო კონკრეტულად კი არჩევნებში ჩარევა საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. თემა საკმაოდ აქტუალურია იქიდან გამომდინარე, რომ თუკი მანამდე მხოლოდ ყოფილ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში იყენებდა ამ ხერხს, შემდეგ უშუალოდ ტექნოლოგიურად განვითარებულ ქვეყნებშიც მოახერხა ჩარევა და ზოგ შემთხვევაში სასურველ მიზანსაც მიაღწია - ხელი

შეუწყო ანტიევროპული ძალების გააქტიურებას და დასავლურ ქვეყნებში დესტაბილიზაციის შეტანას. თემა აქტუალურია იმის გამოც, რომ არც ისე დიდი ხნის წინ მომხდარი მოვლენების ერთობლიობას წარმოადგენს. ამასთანავე, ყველა კითხვაზე პასუხი ჯერ კიდევ გაცემული არაა და საკითხის კვლევა აქტუალურია.

ნაშრომში ყურადღება იქნება გამახვილებული აშშ - სა და დასავლეთ ევროპიდან საფრანგეთის, როგორც ევროკავშირის ორი საყრდენი სახელმწიფოდან ერთ - ერთზე. მითუმეტეს, რომ ბრექსიტის შემდეგ ამ სახელმწიფოს როლი, როგორც ევროკავშირის წამყვანი სახელმწიფოსი, გაძლიერდა და აქ გავლენის მოპოვება ნაწილობრივ ნიშნავს ევროკავშირზე გავლენის მოპოვებასაც. ნაშრომის მიზანია, გამოიკვლიოს, როგორ მოახერხა რუსეთმა დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების არჩევნებში ჩარევა და რა განაპირობებს რუსეთის წარმატების ხარისხს.

საკვლევი კითხვა: რა განაპირობებს რუსეთის წარმატებას ჩაერიოს დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოების არჩევნებში?

ჰიპოთეზა: დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოების არჩევნებში რუსეთის ჩარევის წარმატების ზრდა განპირობებულია აშშ - სა და ევროპის ქვეყნებში პოპულიზმის ზრდით.

დამოუკიდებელი ცვლადი: აშშ - სა და ევროპის ქვეყნებში პოპულიზმის ზრდა

დამოკიდებული ცვლადი: დემოკრატიული სახელმწიფოების არჩევნებში რუსეთის ჩარევა

თეორია: რბილი დაბალანსების თეორია არის ძალთა ბალანსის თეორიის ბოლოდროინდელი დამატება, რომელიც აღწერს დაბალანსების არასამხედრო ფორმებს ცივი ომის დასრულების შემდეგ, უფრო კონკრეტულად კი 2003 წლის ერაყის ომის შემდეგ. უმეტესი ქვეყნები იზიარებენ მთავარ საზომს - ძლიერი სამხედრო ძალის არქონას და მის ნაცვლად შიდა ძალის გამოყენებას, ვიდრე სხვა აგრესიულ ფორმას. რბილი დაბალანსება იმ შემთხვევაში გვაქვს, როდესაც სუსტი სახელმწიფო გადაწყვეტს, რომ ძლიერი ქვეყნის დომინირება და გავლენა მიუღებელია და მისი სამხედრო ძლიერება იმდენად დიდია, რომ ტრადიციული დაბალანსება განუხორციელებადი და შეუძლებელიც კი არის. ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, რბილი დაბალანსება იწყება არა ძალთა ბალანსის

ფიზიკური ცვლილებით, არამედ ძლიერი სახელმწიფოს ცალმხრივი ქმედების ღირებულების გაზრდა, ძირის გამოთხრა და ჩაშლა. იგი სამხედრო ქმედებების მიხედვით კი არ ხორციელდება, არამედ ეკონომიკური, დიპლომატიური და ინსტიტუციონალური მეთოდებით (Pape, 2005).

ტერმინთა განმარტება

პოლიტიკური ომი - ჯორჯ ქენანის მოსაზრებით, ტერმინი აღნიშნავს მშვიდობის პერიოდში კლაუზევიცის დოქტრინის ლოგიკური გამოყენებას. უფრო ფართო განსაზღვრებით კი გულისხმობს ეროვნული მიზნების მისაღწევად ომის გარდა ყველა საშუალების გამოყენებას, რომლებიც შესაძლოა მოიცავდეს ღია ქმედებებს, როგორცაა პოლიტიკური ალიანსები, ეკონომიკური ზომები და „თეთრი“ პროპაგანდა და ისეთ ფარულ ოპერაციებს, როგორცაა „მეგობრული“ უცხოური აქტორების საიდუმლო მხარდაჭერა, „შავი“ ფსიქოლოგიურ ომი და მოწინააღმდეგე ქვეყნებში მიწისქვეშა წინააღმდეგობის წახალისება (Kennan, 1948, p. 2).

პოლიტიკური საშუალებების გამოყენება იმისათვის, რომ აიძულო მოწინააღმდეგე, გააკეთოს ის, რაც გინდა. ამ ტერმინში სიტყვა „პოლიტიკურით“ აღწერენ ხალხსა და მთავრობას შორის მიზანმიმართულ ურთიერთობას, რომელსაც აქვს გავლენა შედარებით უპირატესობასა და ეროვნულ გადარჩენაზე. ეს ტერმინი ხშირად მოიცავს ეკონომიკურ ზეწოლას, ძალადობას, დიპლომატიას, თუმცა, მისი მთავარი ასპექტი მაინც სიტყვების, სურათებისა და იდეების, როგორც პროპაგანდისა და ფსიქოლოგიური ომის, გამოყენებაა (Smith, 1989, p. 3).

საინფორმაციო ომი - წარმოადგენს საკუთარი საბრძოლო ინფორმაციის წყაროების დაცვის პროცესს, რომელიც იმავდროულად ცდილობს გაანადგუროს, დაამახინჯოს, დაამციროს ან უარყოს მტრის საბრძოლო ინფორმაციის წყაროები. მოიცავს 6 მანამდე არსებულ ქვე - სფეროს: საოპერაციო უსაფრთხოება, ელექტრონული ომი, სიცრუე, ფსიქოლოგიური

ოპერაციები, ინფორმაციულ პროცესებზე ფიზიკური თავდასხმა და საინფორმაციო თავდასხმა საინფორმაციო პროცესებზე (Brian Nichiporuk, 1999, p. 180).

ტროლები (Trolls) - მედიისა და სოციალური ქსელების უბრალო მომხმარებლები, რომლებიც ერთვებიან დისკუსიაში და რომელთა მიზანს დიალოგში საკუთარი წვლილის შეტანა კი არ წარმოადგენს, არამედ მისი ჩაშლა. ისინი ერთგვარად წარმოადგენენ ინტერნეტში ქაოსის შემქმნელ აგენტებს, რომლებიც ავრცელებენ დეზინფორმაციას, ართულებენ საკითხებს და ზოგჯერ ემუქრებიან და აბულინგებენ სხვა ინტერნეტ მომხმარებლებს. (Tsantarliotis, 2016, pp. 1-2)

ბოტები - სოციალურ მედიაში ინფორმაციის ავტომატური გამავრცელებლები, რომლებიც განსხვავდებიან გამოცდილების შესაბამისად და მუდმივად შეუძლიათ ნამდვილი ცხოვრების წესების იმიტაცია. ბოტებს შეუძლიათ არასასურველი შინაარსის ინფორმაციის წაშლა ან კონკრეტული მესიჯის გაჟღერება. ასევე აქვთ უნარი, საინფორმაციო სივრცე გადაფარონ და მკითხველს უბიძგონ, შეწყვიტონ რეალური ინფორმაციის ძიება (Russia Military Power - Building a Military to Support Great Power Aspirations, 2017).

აქტიური ზომები (რუს. активные мероприятия) - საბჭოთა საგარეო პოლიტიკის მხარდაჭერით წარმოებული საიდუმლო და ცრუ ოპერაციები, რომლებიც განსხვავდება შპიონაჟის, კონტრდაზვერვის, ტრადიციული დიპლომატიური და საინფორმაციო აქტივობებისგან. მისი მიზანია მთავრობებისა და/ან საზოგადოებების წარმოდგენებსა და აზრებზე გავლენის მოხდენა კონკრეტული საპასუხო რეაქციის მისაღწევად. აქტიური ზომებია დეზინფორმაცია და გაყალბება, მედიით მანიპულაცია, პოლიტიკური გავლენის ოპერაციები, საიდუმლო რადიო მაუწყებლები (Kanner, 1986, p. 1).

დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოები - ნაშრომში იგულისხმება აშშ და საფრანგეთი.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

იმისათვის, რომ ავხსნათ, რატომ ერევა რუსეთი დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოების შიდა საქმეებში, უფრო კონკრეტულად კი არჩევნებში, აუცილებელია მიმოვიხილოთ რობერტ პეიპი და ტივი პოლი, რომლებიც საუბრობენ რბილი დაბალანსების თეორიაზე, როგორც ძალთა ბალანსის თეორიის ნაწილზე. ჟურნალ “საერთაშორისო უსაფრთხოებაში” გამოქვეყნებული სტატიაში რობერტ პეიპი ცდილობს, შეეწინააღმდეგოს დამკვიდრებულ მოსაზრებას, თითქოს ძირითად ძალებს არ შეუძლიათ აშშ - ის წინააღმდეგ დაბალანსება. მისი აზრით, ჯორჯ ბუშის სტრატეგიას სერიოზული გავლენა ექნებოდა და მნიშვნელოვნად შეცვლიდა ძირითადი ძალების დამოკიდებულებასა და რეაქციას მომავალში აშშ - ის მიერ ძალის გამოყენების თაობაზე. გარდა ამისა, ავტორი მიიჩნევს, რომ ძირითადი ძალები უკვე იმყოფებიან აშშ - ის დაბალანსების გზაზე იმ განსხვავებით, რომ ისინი ტრადიციული ხისტი დაბალანსების ნაცვლად გამოიყენებენ რბილი დაბალანსების ზომებს, როგორცაა ეკონომიკური განვითარება, საერთაშორისო ინსტიტუტები, დიპლომატიური შეთანხმებები და სხვ. დაბოლოს, პეიპი ამბობს, რომ რბილი დაბალანსება უფრო ინტენსიური გახდება, თუკი აშშ განაგრძობს ცალმხრივი აგრესიული ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის წარმოებას. მეცნიერი ასევე საუბრობს რბილი დაბალანსების მექანიზმების შესახებ, რომლებიც მოიცავს ეკონომიკურ გამლიერებას და ისეთი ორგანიზაციების შექმნას, საიდანაც სუპერსახელმწიფო გამოირიცხება, სუპერძალისათვის ტერიტორიის დათმობას, ჩახლართული დიპლომატიასა და დამბალანსებელ კოალიციაში მონაწილეობის შესახებ სურვილის გამოთქმას.

რბილ დაბალანსებაზე წერს ტივი პოლიც თავის სტატიაში „რბილი დაბალანსება აშშ - ის პირველობის დროს“. ავტორი არ ეთანხმება ანალიტიკოსების მოსაზრებას, რომლის თანახმად ძალთა ბალანსის თეორია გახდა არარელევანტური ცივი ომის შემდგომ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოთა ქცევის გასაგებად. მეორეხარისხოვანმა

ქვეყნებმა და დამწყებმა ძალებმა უარი თქვეს ტრადიციულ ხისტ დაბალანსებაზე (ალიანსების შექმნა ან შეიარაღება) იმიტომ, რომ არ ემინათ აშშ - ის მზარდი ძალაუფლების შედეგად სუვერენიტეტის დაკარგვის. თუმცა, ისინი ჩაერთვნენ რბილი დაბალანსების სტრატეგიაში, რაც მოიცავს დროებითი კოალიციების შექმნასა და ინსტიტუციურ ვაჭრობას (ძირითადად გაეროში) აშშ - ის ძალისა და მისგან მხრიდან მომდინარე საფრთხისა და ქცევის შესაკავებლად. ავტორი რბილი დაბალანსების მაგალითად მიიჩნევს 1999 წელს კოსოვოს კონფლიქტში და 2003 წლის ერაყის ომში აშშ - ის სამხედრო ინტერვენციაზე სხვა სახელმწიფოების საპასუხო ქმედებას.

რბილი დაბალანსების შესახებ ორივე ზემოაღნიშნული ავტორის სტატიები მნიშვნელოვანია ნაშრომში იმისათვის, რომ ავხსნათ, რატომ იყენებს რუსეთი რბილი დაბალანსების მეთოდებს დასავლეთთან მიმართებაში.

ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურიდან ასევე აღსანიშნავია ალინა პოლიაკოვასა და სპენსერ ბოიერის 2018 წლის მარტში გამოქვეყნებული ნაშრომი სახელწოდებით „პოლიტიკური ომის მომავალი: რუსეთი, დასავლეთი და გლობალური ციფრული შეჯიბრის მომავალი ეპოქა“. ავტორები საუბრობენ, რომ დღეს რუსეთის მიერ დასავლეთის წინააღმდეგ წარმოებული პოლიტიკური ომის ღია მეთოდები გარდაიქმნა საიდუმლო მეთოდებად. თუმცა, ეს მეთოდები ახალი ნამდვილად არაა და საბჭოთა კავშირშიც აქტიურად გამოიყენებოდა. ავტორები გვთავაზობენ რუსეთის წარმოებული პოლიტიკური ომის ინსტრუმენტების ერთგვარ სახელმძღვანელოს. დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოების დესტაბილიზაციის სტრატეგია მოიცავს დეზინფორმაციის კამპანიებს, ევროპულ დემოკრატიებში პოლიტიკური მოკავშირეების შეძენას და კიბერ შეტევებს. სახელმძღვანელოში მთავარ აქტორებად მოიაზრებიან რუსული მედია საშუალებები, სოციალური მედიის ტროლები, ავტომატიზებული ანგარიშები (ბოტები), ვიკილიკსი, დისილიკსი, რუსეთისადმი კეთილგანწყობილი უცხო ქვეყნის პოლიტიკური პარტიები (მაგ., ეროვნული ფრონტი, იტალიური ლიგა) და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სამხედრო დაზვერვის, ფედერალური უსაფრთხოებისა და უცხოური დაზვერვის სამსახურები. ყველა ზემოაღნიშნული უწყებისა თუ

მედიასაშუალებების მიზანი ძირითადად მდგომარეობს დემოკრატიული არჩევნების დისკრედიტაციასა და დელეგიტიმაციაში, ანტი - ევროპული პოლიტიკური ძალების მხარდაჭერაში, ტრანსატლანტიკური ორგანიზაციებისათვის ძირის გამოთხრაში, ქვეყნებს შორის უთანხმოებების წახალისებასა და რუსეთის მიმართ საერთო ევროპული პოლიტიკის შესუსტებაში. ნაშრომისათვის მეტად მნიშვნელოვანია ჩარევისათვის რუსეთის მიერ გამოყენებული მეთოდების ცოდნა იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ და ერთმანეთთან დავაკავშიროთ სხვადასხვა კვლევითი ორგანიზაციის დადებული დასკვნები კრემლის ჩარევასთან დაკავშირებით.

თავი II. ზოგადი მიმოხილვა

ბოლო წლებში რუსეთის მიერ სხვადასხვა ქვეყნის არჩევნებში ჩარევა ერთ-ერთ აქტუალურ თემად იქცა, განსაკუთრებით კი აშშ-ის 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი აღარ წარმოადგენს სუპერ ძალას, პუტინი ცდილობს, განიმტკიცოს სტატუსი და პოზიციები, რისი განხორციელების მთავარ ინსტუმენტად დასავლეთის დესტაბილიზაცია აირჩია. ეს ეხება როგორც აშშ-ს, ისე ევროპულ სახელმწიფოებს. დესტაბილიზაციის ერთ - ერთ გზად კი სხვადასხვა დასავლური დემოკრატიის შიდა საქმეებში, მათ შორის არჩევნებში, ჩარევა გადაწყვიტა. იმ კავშირების განადგურება, რომლებიც ერთმანეთთან აერთიანებს და აძლიერებს ევროპის ბევრ სახელმწიფოს ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად, არის კრემლის ნაცადი და დატესტილი სტრატეგია. პუტინის მიზანია, რომ ევროკავშირი შიდა უთანხმოებებისაგან დაზიანდეს. ის მსოფლიო პოლიტიკას განიხილავს, როგორც ნულოვანჯამოვან შეჯიბრს და ეძებს სუსტ წერტილებს ევროპაში იმ მთავარი მიზნით, რომ კიდევ უფრო დაასუსტოს ისინი. პუტინი აღარ მალავს თავის მიზანს. 2017 წლის 16-19 ოქტომბერს სოჭში გამართულ დისკუსიაზე „კრეატიული დესტრუქცია: შეიქმნება თუ არა ახალი მსოფლიო წესრიგი მიმდინარე კონფლიქტებიდან?“ მან კრეატიული დესტრუქცია მიიჩნია ახალი მსოფლიო წესრიგის მშენებლობის წინაპირობად (Service, 2017). კრეატიული დესტრუქცია ჯოზეფ შუმპეტერის დამკვიდრებული ტერმინია, რაც გულისხმობს პროცესს, რომელშიც ტექნოლოგიები და ინოვაციები ქმნიან ახალ გზებს საქმის გასაკეთებლად და ამ პროცესში ეს ახალი გზები უკან ტოვებენ ძველს. ტექნოლოგიურმა ინოვაციამ შესაძლოა გაანადგუროს მთელი ინდუსტრია, ბიზნესი, მაგრამ ამავდროულად მათ ნაცვლად ახალი წარმოების შექმნას შეუწყოს ხელი (Allison, 2017).

რუსეთის ხელისუფლება ცდილობს გააკეთოს ის, რისი რუსეთში გაკეთების სურვილსაც აბრალებს ამერიკელებს. ძნელი სათქმელია, ნამდვილად სურდათ თუ არა რუს ხელისუფალთ აშშ-ის 2016 წლის არჩევნებში ტრამპის გამარჯვება, თუმცა ცხადია, რომ მათ

მიზანს წარმოადგენდა ამერიკული პოლიტიკის დისკრედიტაცია და დანგრევა (Service, 2017).

ამერიკულ გაზეთ ვაშინგტონ პოსტში გამოქვეყნებულ ანალიტიკურ სტატიაში ლუკან აჰმად ვეი (Lucan Ahmad Way) და ადამ ქეისი (Adam Casey) აღნიშნავენ, რომ რუსეთი ათწლეულების მანძილზე ერეოდა უცხოურ არჩევნებში. მათ სცადეს, შეეფასებინათ იყო თუ არა ინტერვენცია ეფექტური. ამის გასარკვევად ავტორებმა თავი მოუყარეს და გამოიკვლიეს 1991 წლის შემდეგ ინტერვენციის 29 შემთხვევა, რის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ 1990-იანი წლების შემდეგ ეს მოქმედება 2 ტალღად შეგვიძლია გავყოთ: პირველი ტალღა გრძელდებოდა 2014 წლამდე და სამიზნეს მხოლოდ პოსტ-საბჭოთა ქვეყნები წარმოადგენდნენ. მეორე ეტაპმა მოიცვა განვითარებული, დასავლური დემოკრატიები (Lucan Ahmad Way, 2018). პირველ ეტაპზე, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაწყებული ინტერვენცია ძირითადად ეყრდნობოდა სამხედრო, ფინანსურ და დიპლომატიურ მცდელობებს, იმგვარად წარემართა მოვლენები, რომ შესაძლებელი ყოფილიყო სამიზნე ქვეყნებში საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება. გარდა საქართველოში, ტაჯიკეთსა და მოლდავეთში სამხედრო ოპერაციებისა, 1994 წელს რუსეთის მთავრობა დახმარებას უწევდა პრო - რუს პოლიტიკოსებს ბელარუსისა და უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში, მათ შორისაა 1994 წელს იაფი ენერგორესურსები ვიაჩესლავ კებიჩის საპრეზიდენტო კამპანიის მხარდასაჭერად და ოპოზიციის ლიდერ ლეონიდ კუჩმას პოზიტიური გაშუქება რუსულ მედიაში. საწყის ეტაპზე მისი მთავარი მიზანი დემოკრატიისათვის ძირის გამოთხრა კი არ ყოფილა, არამედ პრო-რუსი კანდიდატების მხარდაჭერა. აქვე აღსანიშნავია რუსული ინტერვენციის საწყისი მცდელობების ორი მახასიათებელი: პირველ რიგში ის, რომ რუსეთის მთავრობა ნაკლებ პრიორიტეტს ანიჭებდა ავტოკრატიის ხელშეწყობას და საერთოდ თუ იყენებდა, ძალიან იშვიათად აქცევდა წნეხის ქვეშ დემოკრატიულ ქცევას. მეორე ნიშან - თვისება კი ისაა, რომ რუსეთი ხშირად ვერ ახერხებდა სასურველ შედეგებზე გავლენის მოხდენას. იშვიათ გამონაკლისად შესაძლოა ჩავთვალოთ რუსეთის წარმატებად პოსტ - საბჭოთა სივრცეში არჩევნებში ჩარევისა - ეს იყო უკრაინაში 2002 -2004 წლებში და მოლდოვაში 2005 წელს (Casey, 2017, გვ. 1-3).

მეორე ეტაპი იწყება 2014 წელს, როდესაც ყირიმის ანექსიის გამო აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ რუსეთის მთავარი თანამდებობის პირებისათვის, ბანკებისა და ბიზნესისათვის დაწესებულმა ეკონომიკურმა და ფინანსურმა სანქციებმა დიდი ზიანი მიაყენა რუსულ ელიტას და შეამცირა რუსეთის საფინანსო, ენერგეტიკული და თავდაცვის სექტორების ფუნქციონირება, რაც წარმოადგენს ერთ - ერთ ხელისშემშლელს რუსეთისათვის, კვლავ იქცეს დიდ ძალად. შესაბამისად, კრემლის მიზანი იყო ამ სანქციებისათვის თავის დაღწევა, რათა მისი რეჟიმი გამხდარიყო წარმატებული როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე. მისი მიზნები ორგვარია. პირველი გულისხმობს რუსეთის იმპერიის აღდგენას რაღაც ფორმით, სადაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე ექნება სულ მცირე არაფორმალური ძალაუფლება. ამასთანავე მეორე მიზანია, აიძულოს დასავლეთი, მიიღოს ახალი ძალთა ბალანსი და კვლავ მოექცეს რუსეთს, როგორც დიდ ძალას (Diamond, 2016). რუსეთის სურვილი, კვლავ გახდეს დიდი ძალა და ითამაშოს წამყვანი როლი საერთაშორისო დონეზე კარგად ჩანს რუსეთის 2016 წლის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში, სადაც ასახულია, რომ რუსეთის ფედერაციის ერთ - ერთ მიზანს წარმოადგენს მისი დღევანდელი მსოფლიოს გავლენის ცენტრად გადაქცევა (Foreign Policy Concept of the Russian Federation, 2016).

მეორე მიზანი კი ისაა, რომ მსოფლიო აქციოს უსაფრთხო ადგილად ავტოკრატიისათვის. პუტინმა კარგად იცის, რომ ვერ შეძლებს დემოკრატიის აღმოფხვრას, მისთვის ძირის გამოთხრას ყველა ადგილას, თუმცა ის ეცდება დაანგრის, დაამხოს, დაამახინჯოს და აურიოს ის ყველგან, სადაც მოახერხებს. სწორედ ამიტომ, პუტინის რეჟიმი ბოლო რამდენიმე წელია დატვირთულია ოპორტუნისტული, თუმცა გამოცდილი კამპანიით, რომ გამიზნულად ავნოს დემოკრაციას და დაუმორჩილოს ის საკუთარ ინტერესებს. ეს ხდება არა მხოლოდ პატარა უმნიშვნელო ადგილებში, არამედ ლიბერალური დემოკრატიული წესრიგის ცენტრში, როგორცაა აშშ და ევროპა (Diamond, 2016).

მეორე ეტაპის დაწყებიდან, ანუ 2014 წლიდან დღემდე, სახეზე გვაქვს საზღვარგარეთ რუსეთის ქმედებების გაფართოება და ტრანსფორმაცია. ეს მხოლოდ იმას კი არ გულისხმობს, რომ რადიკალურად გაიზარდა რუსეთის ჩარევის გეოგრაფიული შინაარსი,

არამედ იმას, რომ ჩარევის მეთოდები მნიშვნელოვნად დაიხვეწა, რაზეც ცალკე თავში ვისაუბრებ. მეორე ეტაპი გამოწვევა და საფრთხეა დამკვიდრებული დემოკრატიებისთვის, პირველთან შედარებით, როდესაც რუსეთის მთავარი სამიზნე ავტორიტარული ან ნახევრად ავტორიტარული რეჟიმები იყვნენ.

თავის მხრივ, 2018 წლის 18 მარტს ჩანიშნული საპრეზიდენტო არჩევნებამდე მოსკოვმაც აღნიშნა, რომ ჰქონდა ხელშესახები მტკიცებულება რამდენიმე ევროპული ქვეყნის დესტრუქციული ჩარევისა აღნიშნულ არჩევნებში. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა მარია ზახაროვამ განაცხადა, რომ რუსეთმა გააფრთხილა ევროპული ქვეყნები, შეეწყვიტათ ასეთი ქმედებები, წინააღმდეგ შემთხვევაში ის უხეშ საპირისპირო ზომებს მიმართავდა (Anderson, 2018).

თავი III. პოპულიზმი

3.1. განმარტებები, მიდგომები, ფაქტები

პოპულიზმი გლობალური ფენომენია, რომელიც გვხვდება მსოფლიოს არაერთი კონტინენტის მრავალ ქვეყანაში, მაგალითად ინდოეთში, ტაილანდში, სენეგალში, ზამბიაში, ევროპაში - საბერძნეთში, გერმანიაში, იტალიაში, გაერთიანებულ სამეფოში, გარდა ამისა აშშ-სა და ლათინური ამერიკის ისეთ სახელმწიფოებში, როგორც არგენტინა, ვენესუელა და ბრაზილია. მის შესახებ არაერთი აკადემიურ თუ არაკადემიურ სტატიაში წერენ, თუმცა უმეტეს მათგანში არ არსებობს კონსენსუსი, თუ როგორ განვმარტოთ ეს ტერმინი.

პოპულიზმი, როგორც კონცეფცია, შეიქმნა 1967 წელს ლონდონის ეკონომიკის სკოლაში გამართულ კონფერენციაზე. 1970 – 80 - იან წლებში პოპულიზმისადმი არსებობდა ორი მიდგომა: ერთი დაკავშირებული იყო მოდერნიზაციის თეორიასთან, მეორე კი სტრუქტურულ მარქსიზმთან. თუმცა, ორივე მიდგომა პოპულიზმს მიიჩნევდა განვითარებად სახელმწიფოებსა და ნახევრად პერიფერიულ სამყაროში ისტორიული და პოლიტიკური გარემოებების შედეგად. 1990-იანი წლების დასაწყისიდან კი პოპულიზმის შესწავლის ახალმა ეტაპმა ყურადღება გაამახვილა პოპულისტ ლიდერებსა და მათ მხარდამჭერებზე და მას ნეოპოპულიზმი უწოდა. დღეს პოპულიზმი, როგორც კონცეფცია, რელევანტურიცაა და ხშირად გამოყენებულია დამამცირებელ კონტექსტში, რაც ამცირებს მისი, როგორც ანალიტიკური იარაღის, ღირებულებას (Dinç, 2016, p. 6).

ზოგადად, პოპულიზმისადმი სამი მიდგომა არსებობს: პოპულიზმი როგორც იდეოლოგია, როგორც დისკურსი და როგორც პოლიტიკური სტრატეგია. თითოეული მიდგომა სხვადასხვაგვარად განსაზღვრავს პოპულიზმს და განსხვავდება მათი ანალიზის ერთეულებიცა და შესაბამისი მეთოდებიც. მაგალითად, იდეოლოგიის შემთხვევაში პოპულიზმი განისაზღვრება, როგორც ურთიერთდაკავშირებული იდეები პოლიტიკისა და საზოგადოების ბუნების შესახებ და მისი ანალიზი ფოკუსირებულია პარტიებსა და მათ

ლიდერებზე, შესაბამის მეთოდს კი ტექსტის ანალიზი წარმოადგენს. რაც შეეხება პოპულიზმს, როგორც დისკურსს, რომლის შესაბამისი მეთოდი განმარტებით - ტექსტუალური ანალიზია, ანალიზის ერთეული კი ტექსტები, გამოსვლები და პოლიტიკის შესახებ საჯარო დისკურსი. იგი განმარტება, როგორც პოლიტიკის შესახებ განცხადებების გაკეთების ხერხი. დაბოლოს პოპულიზმი, როგორც პოლიტიკური სტრატეგია, არის მობილიზაციისა და ორგანიზაციის ფორმა, რომელიც ორიენტირებულია შედარებით ისტორიულ ანალიზსა და შემთხვევების შესწავლაზე (case studies). მისი ანალიზის ერთეულია პარტიები (სტრუქტურებზე ფოკუსირებით), ლიდერები და სოციალური მოძრაობები (Dinç, 2016, გვ. 8). მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი: პოპულიზმის, როგორც იდეოლოგია, არის ვიწროდ ფოკუსირებული იდეოლოგია, რომელიც საზოგადოებას 2 ანტაგონისტურ და ჰომოგენურ ჯგუფად დაყოფილად მიიჩნევს. ეს არის „სუფთა ხალხი“ „კორუფციული ელიტის“ წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში პოლიტიკა უნდა იყოს ხალხის ზოგადი ნების გამოხატულება (Mudde, 2007, p. 23). ამ ტიპის პოპულიზმი არის იდეების კრებული, რომელიც ხასიათდება ხალხსა და ელიტას შორის ანტაგონიზმით, პოპულარული სუვერენიტეტის პრიმატით, სადაც კეთილი, პატიოსანი ზოგადი ნება უპირისპირდება ელიტის აქტორების მორალურ კორუფციას (Bonikowski, 2013, p. 6).

მეორე ალტერნატიული მიდგომა პოპულიზმს განსაზღვრავს, როგორც უფრო დისკურსიულ სტილს. ამ შემთხვევაში პოპულიზმი არის რიტორიკა, რომელიც ქმნის ბრძოლას ხალხსა (ელ პუებლო) და ოლიგარქიას შორის, როგორც მორალურ და ეთიკურ კონფრონტაციას სიკეთესა და ბოროტებას შორის (Torre, 2007, p. 389).

მესამე მიდგომა, რომელიც ძირითადად ლათინური ამერიკის თემაზე მომუშავე სოციოლოგებსა და პოლიტიკის მეცნიერებს შორისაა პოპულარული, პოპულიზმს განიხილავს, როგორც პოლიტიკურ სტრატეგიას. ის აერთიანებს სამ ვარიანტს, რომლებიც ფოკუსირდება პოლიტიკური სტრატეგიის სამ სხვადასხვა ასპექტზე: პოლიტიკური არჩევანი, პოლიტიკური ორგანიზაცია და მობილიზაციის ფორმები (Dinç, 2016). პოპულიზმი იღებს კონკრეტული ეკონომიკური პოლიტიკისა და მასობრივი

მობილიზაციის ფორმებს. პოპულისტური პოლიტიკები ეწოდება იმ ქმედებებს, რომელთა მიზანია ეკონომიკური გადანაწილება და ბუნებრივი რესურსების ნაციონალიზაცია, პოპულისტური მობილიზაციის ნაწილი კი ხელისუფლების ელიტისა და სისტემის საწინააღმდეგო მოწოდებებია (Madrid, 2008, p. 482).

პოპულიზმისადმი საერთო მიდგომა არის ის, რომ შევხედოთ მას, როგორც „მოთხოვნის მხარეს“, ე.ი. იმ პრობლემებს, რომლებიც მოქალაქეებს უბიძგებს, ხმა მისცენ პოპულისტებს. თუმცა, კვლევის დროს პოპულიზმის გამომწვევი „მიწოდების მხარის“ გათვალისწინებაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. პოპულიზმი დემოკრატიული ფუნქციონირების დარღვევის შედეგი უფროა, ვიდრე გამომწვევი მიზეზი. ეს არის მიზეზი იმისა, რომ დემოკრატიული ინსტიტუტები ვერ მუშაობენ კარგად, ანუ აქტიურად და წარმატებით ვერ პასუხობენ იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დგას მათი საზოგადოება (Berman, 2017, p. 1).

3.2. პოპულიზმის აღზევება ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში

25 წლის წინ ლიბერალური დემოკრატია აღმასვლის ეტაპზე იყო. ევროპაში აქტიურად ვრცელდებოდა ახალი ლიბერალური დემოკრატიები, ვითარდებოდა ეკონომიკა, რადიკალურ პარტიებს არ ენიჭებოდა მნიშვნელობა. ყველა ფიქრობდა, რომ აშშ - სა და საფრანგეთში დემოკრატია ოდნავ თუ შეიცვლებოდა. თუმცა, ბოლო რამდენიმე წელიწადია ის განიცდის შიდა და გარე გამოწვევებს. შიდა გამოწვევებში განსაკუთრებით ყურადსაღებია პოპულიზმის აღზევება მთელი მსოფლიო მასშტაბით. თუმცა, ნაშრომის კვლევის მიზნებიდან გამომდინარე აქცენტი დასმული იქნება პოპულიზმის ზრდაზე დასავლეთ ევროპასა და აშშ - ზე. პოპულიზმის დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში მომძლავრების დასადასტურებლად შეგვიძლია, მოვიყვანოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი მაგალითი: ბრექსიტი, 2016 წლის აშშ - ის საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის არჩევა, საფრანგეთის ეროვნული ფრონტისადმი გაძლიერებული მხარდაჭერა, გერმანიაში

უკიდურესად მემარჯვენე პარტიის „ალტერნატივა გერმანიისათვის“ მოხვედრა ბუნდესტაგში 2017 წლის არჩევნებში, და სხვ.

ზოგადად, როდესაც დემოკრატია სტაბილურია, ყველა ძირითადი პოლიტიკური აქტორი ცდილობს, მუდმივად დაიცვას დემოკრატიის თამაშის ძირითადი წესები. ახალი პოლიტიკური ძალების გამოჩენაც დემოკრატიული სიძლიერესა და სიცოცხლისუნარიანობას მოასწავებს. თუმცა, პოპულიზმის შემთხვევაში ახალი პარტიები არ გვთავაზობენ იდეოლოგიურ ალტერნატივებს დემოკრატიულ სისტემაში. ნაცვლად ამისა, ისინი ექვექვემ აყენებენ და ეწინააღმდეგებიან თავად დემოკრატიული სისტემის ძირითად წესებსა და ნორმებს. ეს დიდ პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან ბევრს უჩნდება იმავეს გაკეთების სურვილი, მათ შორის ძველი, უკვე დამკვიდრებული პარტიების წარმომადგენლებს. გარდა ამისა, მოქალაქეები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდები, დემოკრატიის ისეთი ერთგულნი აღარ არიან, როგორც ადრე. ეს უკანასკნელნი აქტიურად ინტერესდებიან და ერთვებიან პოლიტიკურ ექსტრემიზმში, რაც შესაძლოა, აიხსნას იმით, რომ მათ მცირე წარმოდგენაც კი არ აქვთ, როგორი შეიძლება ყოფილიყო მათი ცხოვრება სხვა პოლიტიკურ სისტემაში (Mounk, 2018). პოპულიზმმა დაასრულა ცენტრისტული მემარცხენე და ცენტრისტული მემარჯვენე დუოპოლია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ბატონობდა ევროპულ პოლიტიკაში. პარტიული სისტემები დაყოფილია და უმეტესი მათგანი მემარჯვენეობისკენ გადაიხარა. არაერთი მეცნიერს სჯეროდა, რომ პოპულიზმი ძირითადად გამოხატავდა 2000 - იანი წლების ბოლოდან 2010 - იანი წლების დასაწყისში არსებულ დიდი ეკონომიკური ვარდნის შედეგს. არსებობდა ვარაუდი, რომ როდესაც დიდი ეკონომიკური ვარდნა შემცირდებოდა, იმავე ბედს გაიზიარებდა პოპულიზმი. თუმცა, მიუხედავად ევროპის ეკონომიკური გამოცოცხლებისა და უმუშევრობის შემცირებისა, პოპულიზმი კვლავ იზრდება და ძალას იკრებს კულტურული ლიბერალიზაციიდან, მასობრივი იმიგრაციის მიმართ არსებული საზოგადოებრივი წინააღმდეგობიდან და ეროვნული სუვერენიტეტის დათმობიდან. იმიგრაცია იწვევს შემფოთებას უსაფრთხოების, კულტურისა და ეკონომიკური ჩანაცვლების საკითხების

თაობაზე. ამასთანავე, იგი ასუსტებს ტრანსეროვნული ინსტიტუტების ლეგიტიმაციას, რომელნიც ადამიანებს მიერ აღიქმებიან შემზღველად სუვერენული ხალხის უფლებისა, გამოიყენონ ეროვნული პოლიტიკური შესაძლებლობები საფრთხეებისაგან თავდაცვისათვის (Galston, 2018).

პრეზიდენტ დონალდ ტრამპის 45 - ე პრეზიდენტად არჩევის შემდეგ პოპულიზმმა გავლენის ახალ დონეს მიაღწია. მისი წარმატების საწინდარი იყო რასიზმის, სექსიზმისა და ჰომოფობიის პლატფორმა. საგარეო პოლიტიკაში დონალდ ტრამპს სურს, რომ ამერიკა დააყენოს პირველ ადგილას და ამავდროულად დაასრულოს საკუთარი ქვეყნის ხანგრძლივი კეთილისმსურველი ჰეგემონის როლი, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებასა და ჰუმანიტარულ დახმარებას მთელს მსოფლიოში. დონალდ ტრამპის წარმატება და მისი დღის წესრიგი ასახავს ევროპაში უკიდურესად მემარჯვენე პოპულისტური მოძრაობებისა და პარტიების გაძლიერებას. ისევე, როგორც აშშ - ის ამჟამინდელი პრეზიდენტი, მისი ევროპელი კოლეგებიც, მაგალითად მარინ ლე პენი ან ვიქტორ ორბანი, ამტკიცებენ, რომ მათთვის პირველ ადგილას მათი ქვეყნებია. შესაბამისად, მათ მიერ საკუთარი ერის პირველ ადგილზე დაყენება იწვევს ევროკავშირის როლის შესუსტებას, როგორც ამას ორბანი აკეთებს, ან საერთოდ ამ ორგანიზაციის უარყოფას, როგორც ეს მარინ ლე პენის შემთხვევაშია (Rytz, 2017).

პოპულიზმის მომძლავრებამ შესაძლებელი გახადა რუსეთის გავლენის გაძლიერება ევროპაში, ვინაიდან პრეზიდენტ პუტინს მოსწონს ეთნონაციონალიზმი და რელიგიური ტრადიციონალიზმი, რაც მიმზიდველია პოპულისტური მოძრაობებისათვის.

თავი IV. რუსეთის მიერ გამოყენებული მეთოდებისა და ინსტრუმენტების მიმოხილვა

4.1. სსრკ-ის აქტიური ზომები

სანამ უშუალოდ რუსეთის მიერ საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევ თანამედროვე გზებსა თუ მეთოდებზე გადავალთ, მოკლედ მიმოვიხილოთ საბჭოთა კავშირის დროს არსებული ინსტრუმენტები.

საბჭოთა კავშირის რეჟიმი შექმნის დღიდან, 1917 წლიდან ცდილობდა, მისი კომუნისტური რევოლუცია ექცია გლობალურ კომუნისტურ რევოლუციად. თუმცა, მხოლოდ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებამ მისცა მას სუპერძალის სტატუსი და შესაძლებლობა, ჩარეულიყო სხვა ქვეყნებში გლობალური მასშტაბით. სსრკ აკონტროლებდა და თას ახვევდა საბჭოთა კომუნისტურ მოდელს მთელს აღმოსავლეთ ევროპას და მხარს უჭერდა კომუნისტურ და ნაციონალისტ ანტი - კოლონიურ რადიკალურ მოძრაობებს. ის ცდილობდა, შეექმნა აშშ - ისა და ევროპის ლიდერობით წარმართული მეორე მსოფლიო ომის შემდგომ არსებული ეკონომიკური სისტემის, ევროკავშირისა და ნატოს საკუთარი ალტერნატივა (Lohr, 2018).

უშუალოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოყენებული აქტიური ზომები შესაძლოა 2 ნაწილად დავყოთ, რომლებშიც სხვადასხვა აქტივობები და მოქმედი პირები გამოიყოფა. პირველი ნაწილი ეხება „კლასიკურ“ აქტიურ ზომებს, რომლებიც მოიცავს დეზინფორმაციას, ფრონტსა და სამხედრო ოპერაციებს. დეზინფორმაციის მისაღწევად აქტიურად იყენებდნენ ფარულ რადიო სადგურებს, პრესას და ყალბ ინფორმაციებს. ფრონტის მიმართულებით იგულისხმება, ასე ვთქვათ, ძმური ორგანიზაციები, მეგობრული საზოგადოებები და მასიური ორგანიზაციები. სამხედრო ოპერაციები ძირითადად ფოკუსირებული იყო აჯანყებული, წინააღმდეგობის გამწევი მოძრაობების მხარდაჭერასა და ე.წ. სველ საქმეებზე, რაც გამოიყენება მნიშვნელოვანი პირის მკვლელობის ევფემიზმად. აქტიური ზომების მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი

ნაწილია გავლენის აგენტები და სპეციალური მიზნისათვის გაწერილი ქმედებები. პირველი მათგანი აერთიანებს მედიას, აკადემიურ საზოგადოებას და პოლიტიკოსებს, მეორე კი დაფრთხობას, შანტაჟს და თაღლითობას (Whittle, 2004, p. 52).

საბჭოთა კავშირის პერიოდში მისი აქტიური ღონისძიებების რამდენიმე მაგალითის მოყვანა შეიძლება, რომელთა მიზანი იყო ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა სახელმწიფოების დისკრედიტაცია და დასუსტება. 1979 წელს საბჭოთა კავშირის აგენტებმა გაავრცელეს ჭორი, თითქოს აშშ იყო პასუხისმგებელი მექაზე დიდი მეჩეთის დაპყრობაზე. 1980 წელს ფრანგი ჟურნალისტი საფრანგეთის სასამართლომ ბრალდებულად სცნო 1959 წლიდან საბჭოთა გავლენის აგენტობისათვის, 1981 წლის აგვისტოში კი საბჭოურმა ახალი ამბების სააგენტომ ამერიკის შეერთებული შტატები დაადანაშაულა პანამის ლიდერის, ომარ ტორიჯოს, სიკვდილში (Soviet "Active Measures": Forgery, Disinformation, Political Operations, 1981).

4.2. რუსეთის მიერ გამოყენებული ჩარევის თანამედროვე მეთოდები

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდთან შედარებით, პუტინის მმართველობის დროს გაფართოვდა მის ხელთ არსებული და დასავლეთის წინააღმდეგ მიმართული აქტიური ზომები, ანუ ერთ დროს საბჭოთა კავშირის მიერ გამოყენებული პოლიტიკური ომის ინსტრუმენტები მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე გავლენის მოსახდენად მედიის, პოლიტიკისა და საზოგადოების მანიპულაციის გზით.

შესაძლოა ითქვას, რომ გავლენის მოხდენის რუსული სტრატეგია მოიცავს დეზინფორმაციის კამპანიებს, ევროპულ დემოკრატიებში პოლიტიკური მოკავშირეების შექმნას და კიბერშეტევებს. თითოეულ შემთხვევაში დაქირავებული პროქსები, რომლებიც კრემლის პირდაპირი თუ ირიბი აგენტები და ერთეულები არიან, იღწვიან იმისათვის, რომ შექმნან სტრატეგიული გაურკვევლობა და დამაჯერებელი უარყოფადობა (plausible deniability) (Alina Polyakova, Spencer P.Boyer, 2018, გვ. 4).

დეზინფორმაციის შემთხვევაში მთავარი ღია მონაწილეა რუსული მედია – „სპუტნიკი“, „რუსეთი დღეს“, ფარულ აქტორებს კი წარმოადგენს სოციალური მედიის ტროლები (მაგ., ინტერნეტის კვლევის სააგენტო), ავტომატიზებული ანგარიშები (accounts), იგივე ბოტები, ვიკილიკსი, პერსონიზირებული ანგარიშები ფეისბუქზე, ტვიტერსა თუ ინსტაგრამზე. მათი მიზანია ქვეყნებში უთანხმოების გავრცელება, ფაქტსა და გამოგონილს შორის საზღვრის წაშლა, ტრანსატლანტიკური ინსტიტუტებისა და დასავლეთის პოლიტიკური ნარატივისათვის ძირის გამოთხრა. ამ შემთხვევაში მეთოდები შეიძლება 3 ნაწილად გავყოთ: **საზოგადოებრივი მოწყვლადობის იდენტიფიცირება**, როდესაც რუსეთთან დაკავშირებული აქტორები აძლიერებენ სოციალურ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობას, მაგალითად, ევროპაში ეს ძირითადად ეხება იმიგრაციას, ისლამს, ტერორიზმს, აშშ - ში კი რასობრივ დაპირისპირებებს, სისხლის სამართლის პოლიტიკასა და ლათინური ამერიკისა და ისლამური სახელმწიფოებიდან იმიგრაციის საკითხებს. მეორე ნაწილია **კომპიუტერული პროპაგანდის განთავსება**, რაც გულისხმობს პროპაგანდისტული მესიჯების გავრცელებას ტექნიკური, ხშირად ავტომატიზებული საშუალებებით, რათა შეძლოს საზოგადოებრივი აზრის ცვლილება. დაბოლოს, მცდარი, დამაბნეველი და აზრთა სხვადასხვაობის გამომწვევი ინფორმაციის გავრცელება და გაძლიერება (Alina Polyakova, Spencer P.Boyer, 2018, pp. 4-5).

დეზინფორმაციის ნაწილში ერთ - ერთი ნათელი მაგალითი შესაძლოა იყოს „ლიზას შემთხვევა“ გერმანიაში, რომელიც 2016 წლის 11 იანვარს მოხდა. ბერლინში რუსი ემიგრანტი ოჯახიდან 13 წლის 30 საათით გაუჩინარებულმა გოგონამ პოლიციას უთხრა, რომ ის გაიტაცეს და გააუპატიურეს, მისი ოჯახი კი ამას ახლო აღმოსავლეთის ან ჩრდილოეთ აფრიკის მიგრანტებს აბრალებდა. ბერლინის პროკურორის ოფისმა გამოარკვია, რომ ეს მცდარი ინფორმაცია იყო და მასზე სექსუალური ძალადობის ნიშნები არ აღმოუჩენიათ. რეალურად გოგონა იმყოფებოდა თავისი 19 წლის მეგობართან, რომელმაც თქვა, რომ გოგონას ეშინოდა სახლში წასვლა, ვინაიდან სკოლაში ინცინდენტი შეემთხვა, რის თაობაზეც მის მშობლებს სკოლიდან შეატყობინეს. რუსეთის სახელმწიფო ტელევიზია „პირველმა არხმა“ მომხდარი არასწორად გააშუქა, გააზვიადა და თქვა, რომ

პოლიციამ გოგონას ოჯახის წევრებს უარი უთხრა საქმის გამოძიების დაწყებაზე მომხდარის დამალვის მიზნით (German Prosecutors Say Russian Teen's Rape Claim Fabricated, 2016). 23 იანვარს რუსულ - გერმანულმა თემმა და ანტი - იმიგრანტულმა აქტივისტებმა დაგეგმეს საპროტესტო აქცია არარსებული დანაშაულის წინააღმდეგ და ითხოვდნენ გერმანიაში მიგრანტების ჩადენილი ყველა დანაშაულის სრულყოფილ გამოძიებას (Nimmo, 2017). ეს ითვლება ევროპაში რუსეთის ერთ - ერთ ყველაზე გახმაურებულ დეზინფორმაციულ ოპერაციად, რომელიც მიზნად ისახავდა გერმანიის კანცლერისადმი საზოგადოების ნდობის დაკარგვას იმიგრაციის გამოყენებით. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების მიხედვით ამ საკითხმა გააუარესა ანგელა მერკელის რეიტინგი და ევროკავშირის სახელმწიფოთა მთავრობებს შორის გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა, თუ ვის უნდა მიეღო თავშესაფრის მაძიებლები (Andreas Rinke, 2016). როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც, დეზინფორმაციის გავრცელებით, გარდა ევროკავშირში დესტაბილიზაციის შეტანისა, რუსეთის მთავარი მიზანი იყო ევროკავშირის ერთ - ერთი ძლიერი და სტაბილური ქვეყნისა და მისი ლიდერის დასუსტება, რისთვისაც ევროკავშირისათვის რთული პერიოდი შეარჩია, როდესაც ორგანიზაციაში ცხარე დებატები მიმდინარეობდა კონფლიქტებისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო ჩრდილოეთ აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან თავშესაფრის მაძიებელთა საკითხთან დაკავშირებით, რომლის ერთ - ერთი მხარდამჭერი სწორედ გერმანიის კანცლერი იყო.

საინტერესოა, თუ როგორ ვრცელდება ყალბი ინფორმაცია ტროლების მეშვეობით. საკითხს ხსნის ყოფილი რუსი ტროლი ვიტალი ბესპალოვი, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობდა 2014 წლიდან 2015 წლამდე. როგორც რუსი ჟურნალისტი ამბობს, ინტერნეტში ბევრი ვაკანსია ნახა „კონტენტ მენეჯერის“ პოზიციაზე, სადაც არც სამუშაო აღწერილობა იყო მოცემული, არც რაიმე განსაკუთრებული მოთხოვნები ჰქონდათ და ამ სფეროში ზოგადად არსებულ ანაზღაურებასთან შედარებით გაცილებით მეტი ხელფასი იყო (45 ათასი რუბლი, რაც დაახლოებით 700 ამერიკული დოლარია). კომპანიის მენეჯერთან მოკლე გასაუბრების შემდეგ ვიტალიმ მუშაობა დაიწყო რუსეთის ახლა უკვე კარგად

ცნობილ ტროლების ე.წ. საწარმოში, რომელსაც სხვაგვარად ინტერნეტის კვლევის სააგენტოსაც უწოდებენ (Simon Shuster, 2018). რამდენიმე წლის შემდეგ აშშ - ის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევაში ბრალდებული 13 ადამიანიდან 12 ერთ დროს სწორედ სანკტ პეტერბურგში დაფუძნებული ამ „საწარმოს“ თანამშრომლები იყვნენ (Grand Jury Indicts Thirteen Russian Individuals and Three Russian Companies for Scheme to Interfere in the United States Political System, 2018).

ყოფილი ტროლის მთავარ მოვალეობას წარმოადგენდა სოციალურ მედიაში ყალბი ანგარიშების შექმნა და მათი გამოყენება ონლაინ კომენტარების დასაწერად. თავად საწარმოს უფრო ფართო მცდელობებს წარმოადგენდა უახლესი მეთოდებით პროპაგანდისტული კამპანიის წარმოება. დასაქმებულებს ხელმძღვანელებისგან მკაცრი წესები ჰქონდათ დაწესებული: პირველი ის იყო, რომ არ უნდა დაეგვიანათ და ადრე არასდროს უნდა წასულიყვნენ და მეორე და უმთავრესი ის იყო, რომ არასდროს გაეკრიტიკებინათ რუსეთი პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ონლაინ სივრცეში. მათ არ ჰქონდათ პუტინზე ხუმრობის უფლება. მასზე ან მხოლოდ პოზიტიური უნდა ეთქვათ, ან საერთოდ არაფერი. გარდა რამდენიმე იდეოლოგიურად მოტივირებული დასაქმებულისა, რომლებიც თავს „პუტინის ტროლებს“ უწოდებდნენ, საწარმოში ძირითადად პოლიტიკისადმი გულგრილად განწყობილი ადამიანები მუშაობდნენ და მათ მოტივაციას მხოლოდ ფული წარმოადგენდა. 2014 წლის ბოლოს მთავარი სამიზნე ბარაკ ობამა წარმოადგენდა, რომელსაც „საწარმო“ წარმოაჩენდა სულელად ან წარუმატებლად რუსეთის პრეზიდენტთან შედარებით, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელს კი ფაშისტად. როგორც ყოფილი რუსი ტროლი აღნიშნავს, სამსახურიდან წამოსვლის დღეს მას უფროსმა უთხრა ფანჯარაზე მიუთითა და უთხრა, რომ აქ (იგულისხმება „საწარმო“ ან თავად რუსეთი) პრორუსები არიან, იქით კი - პროამერიკელები (Simon Shuster, 2018).

რუსეთის სტრატეგიის მეორე ნაწილია **პოლიტიკური კავშირების შექმნა**. მათი მიზანია ევროკავშირსა და აშშ - ს შორის აზრთა სხვადასხვაობის შეტანით შეასუსტონ რუსეთის მიმართ საერთო პოლიტიკის შესახებ კონსენსუსი და ძირი გამოუთხარონ ევროპულ პოლიტიკას ანტიევროპული და ხელისუფლების წინააღმდეგ არსებული პოლიტიკური

მომრაობების მხარდაჭერით. მთავარ მეთოდს წარმოადგენს ფინანსური და დიპლომატიური დახმარება, მედიისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების მხარდაჭერა. აქ მნიშვნელოვან აქტორებად მოიაზრებიან მოკავშირე ან მეგობრული პოლიტიკური პარტიები. ევროპაში ბევრ უკიდურესად მემარჯვენე და უკიდურესად მემარცხენე პარტიებს პრო - რუსული პოზიცია უჭირავთ. ერთ მხარეს არიან ისეთები, რომლებმაც ხელი მოაწერეს თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას პუტინის „ერთიანი რუსეთის“ პარტიასთან. ასეთია ავსტრიის თავისუფლების პარტია, ფრანგული ეროვნული ფრონტი, იტალიის ლიგა და სხვ. დანარჩენი პარტიები კი მუდმივად უჭერენ მხარს პრო - რუსულ პოლიტიკას, მაგალითად ყირიმის რუსეთის ტერიტორიად აღიარებას ან სანქციების მოხსნას (Alina Polyakova, Spencer P.Boyer, 2018, გვ. 6). პოლიტიკური კავშირების დამყარების ერთ - ერთ ნათელ მაგალითად შესაძლოა მოვიყვანოთ საფრანგეთის პარტია „ეროვნული ფრონტი“. იგი წარმოადგენს უკიდურესად მემარჯვენე პროტექციონისტულ, პოპულისტურ პარტიას, რომლის მთავარი მიზანია, შეამციროს იმიგრაცია. აღნიშნული პარტია ღიად უჭერს მხარს საფრანგეთის მოქალაქეების უფლებების უპირატესობას უცხოელებსა და იმიგრანტებზე. მისი დიდი სურვილია, გაზარდოს საფრანგეთის საერთაშორისო პრესტიჟი და ძალაუფლება. სხვა არაერთ საკითხთან ერთად, ევროკავშირთან აქამდე არსებული ყველა ხელშეკრულების გადახედვა ეროვნული სუვერენიტეტის დასაბრუნებლად და ევროზე უარის თქმა მისი მანიფესტის შემადგენელი ნაწილია. საგარეო პოლიტიკური კურსიდან კი აღსანიშნავია, რომ მას სურს საფრანგეთ - გერმანია - რუსეთის სამმხრივი ალიანსის დაარსება და ევროკავშირზე უარის თქმის შედეგად სუვერენული სახელმწიფოების პან - ევროპული კავშირის შექნა, რომელშიც შევა რუსეთი და შვეიცარიაც, მაგრამ არ შევა თურქეთი (What does France’s National Front stand for?, 2014). ცნობილია ისიც, რომ მოსკოვში დაფუძნებული ბანკისგან მარინ ლე პენის პარტიამ მიიღო 9 მილიონი ევროს ღირებულების სესხი იმისათვის, რომ გაეგრძელებინა საქმიანობა. ეს ფაქტი პარტიის ლიდერმაც დაადასტურა (Walt, 2014). თავად ფრონტის წევრები აცხადებენ, რომ სესხი საჭირო იყო მუშაობის გასაგრძელებლად, რისთვისაც ისინი თვეების მანძილზე ცდილობდნენ თანხის მოძიებას და მსოფლიო ქვეყნებში მათი

მხარდამჭერებისგან დახმარების მიღებას, ვინაიდან ბანკებმა ეროვნულ ფრონტს უარი განუცხადეს სესხის მიცემაზე. არსებობს მოსაზრება, რომ შეთანხმება შედგა ნაწილობრივ ლე პენის მოსკოვში ვიზიტის გამო, როდესაც ის შეხვდა ალექსანდრ ბაბაკოვს, პუტინთან დაახლოებულ რუს კანონშემოქმედს, რომელიც ფლობს ბიზნესს უკრაინაში და 2014 წლის აპრილში მოხვდა ევროკავშირის სანქციების ქვეშ (Turchi, 2014). აქვე უნდა აღინიშნოს მარინ ლე პენის მცდელობები, შეიძინოს მოკავშირეები საფრანგეთის საზღვრებს გარეთ. 2013 წლის ივნისში ის იმყოფებოდა მოსკოვში, სადაც შეხვდა სახელმწიფო დუმის სპიკერ სერგეი ნარუშკინს და ვიცე პრემიერ დმიტრი როგოზინს. (Walt, 2014)

რუსეთის მეთოდების მესამე ნაწილი მოიცავს **კიბერშეტევებს დეზინფორმაციის სამსახურში**, რომლის მთავარი აქტორები არიან რუსეთის ისეთი სამთავრობო სააგენტოები, როგორცაა სამხედრო დაზვერვის სამსახური (GRU), უსაფრთხოების ფედერალური სამსახური (FSB), საგარეო დაზვერვის სამსახური (SVR). ცნობილი პროქსებია : APT (Advanced Persistent Threats) 28 და 29, კიბერბერკუტი (Alina Polyakova, Spencer P.Boyer, 2018, გვ. 9). ტერმინი APT ბოლო რამდენიმე წელია დამკვიდრდა და აღნიშნავს როგორც ჰაკერების მიერ გამოყენებულ ხერხებს, ასევე ახალი სახეობის საფრთხეების ბუნებას. ის იყენებს თავდასხმის მრავალმხრივ ტექნიკებსა და მიმართულებებს და შესრულებულია საიდუმლოდ იმისათვის, რომ ჰაკერებმა შეძლონ სამიზნე სისტემებზე კონტროლის შენარჩუნება და ინფორმაციის შეგროვება შეუმჩნეველად ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე (Tankard, 2011, გვ. 16). კიბერბერკუტი კი არის ორგანიზაცია რუსეთის სახელმწიფოს დაფინანსებული კიბერ შეტევებისათვის, რომელიც მხარს უჭერს რუსეთის სამხედრო ოპერაციებსა და სტრატეგიულ მიზნებს უკრაინაში. ორგანიზაცია ახორციელებს როგორც ტექნიკურ, ასევე პროპაგანდისტულ თავდასხმებს, რომლებიც შეესაბამება რუსეთის „ინფორმაციული კონფრონტაციის“ კონცეფციას. 2014 წლიდან, დაარსებიდან, კიბერბერკუტმა განახორციელა კიბერ შპიონაჟისა და თავდასხმის მრავალი ინცინდენტი, მათ შორის ნატოს, უკრაინისა და გერმანიის სამთავრობო ვებ გვერდების მწყობრიდან გამოყვანა. 2017 წელს მისი მთავარი ყურადღება ორიენტირებული იყო ჰაკერების მეშვეობით უკრაინის მთავრობისა და პოლიტიკური

ფიგურების კომპიუტერებიდან მოპოვებული დოკუმენტების ინტერნეტში გამოქვეყნებაზე. მიღებულ ინფორმაციას ის იყენებს უკრაინის მთავრობის დისკრედიტაციისათვის. მისი განზრახვაა არჩეული პირების დემორალიზება და მათ მიმართ უნდობლობის გაღვივება (Russia Military Power - Building a Military to Support Great Power Aspirations, 2017, pp. 39-40).

კიბერშეტევების შემთხვევაში დამხმარე აქტორები არიან ვიკილიკსი (WikiLeaks), დისი ლიკსი (DCLeaks) და Shadow Brokers (Alina Polyakova, Spencer P.Boyer, 2018). პირველი მათგანი წარმოადგენს ვებ გვერდს, რომელიც 2006 წელს დაარსდა. ის ერთგვარი მამხილებლის ფუნქციას ასრულებს და ასაჯაროებს საიდუმლო დოკუმენტებს (Fildes, 2010). თავად ვიკილიკსი საკუთარ თავს უწოდებს მრავალეროვან მედია ორგანიზაციას და ასოცირებულ ბიბლიოთეკას, რომელიც ფოკუსირებულია დიდი ოდენობის საიდუმლო მონაცემების ანალიზსა და გამოქვეყნებაზე. მათ შორისაა ისეთი შეზღუდული ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც ომის, შპიონაჟისა და კორუფციის თემებს ეხება (What is WikiLeaks, 2015). ვებ - გვერდი ამბობს, რომ ის იღებს პოლიტიკური, ისტორიული, დიპლომატიური და ეთიკური მნიშვნელობის შეზღუდულ ან ცენზურის ქვეშ მოქცეულ მასალებს და არ აინტერესებს ჭორები, აზრები და სხვაგან უკვე საჯაროდ ხელმისაწვდომი მასალები (Sauter, 2010).

დისი ლიკსი კიდევ ერთი წყაროა გამჟღავნებული მასალების გასაზიარებლად. სწორედ ამ ვებ გვერდზე აიტვირთა ჰილარი კლინტონის კამპანიიდან მოპარული ელექტრონული წერილები. ვებ - გვერდი შეიქმნა 2016 წლის შუა პერიოდში და თავდაპირველად მის მიზანს წარმოადგენდა საჰაერო ძალების გენერალი ფილიპ ბრიდლავის ელექტრონული წერილების გამოქვეყნება. მას ბოლოს აშშ - ის ევროპული სარდლობისა და ნატოს ძალების მეთაურის თანამდებობა ეკავა (Does a BEAR Leak in the Woods?, 2016),

რაც შეეხება Shadow Brokers-ს, არ არსებობს ოფიციალურად დადასტურებული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ის. თუმცა, მათ მიერ გამოქვეყნებული მასალების გაანალიზებით, შესაძლოა, გარკვეული ვარაუდის დონეზე ვისაუბროთ მათ საქმიანობაზე. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ჰაკერების საიდუმლო ჯგუფი, რომელიც

თავს ჩრდილის გამტეხებს უწოდებს. 2013 წელს მათ მოიპარეს აშშ - ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს საიდუმლოების შემცველი რამდენიმე დისკი და ამავე წლის ზაფხულიდან ეტაპობრივად აქვეყნებდნენ ამ ინფორმაციას ინტერნეტში, რითიც დააზიანეს ორგანიზაციის სადაზვერვო შესაძლებლობები და ხელში ჩაუგდეს გამოცდილი კიბერ ხელსაწყოები სხვებს (Schneier, 2017).

როგორც ჩანს, ყველა ზემოაღნიშნული აქტორის მთავარ მიზანს წარმოადგენს დემოკრატიული არჩევნების დისკრედიტაცია და დელეგიტიმაცია და პოლიტიკურად დამაზიანებელი ინფორმაციის გამოაშკარავებით დასავლურ ინსტიტუტებში უნდობლობის დათესვა. მეთოდებიდან აღსანიშნავია პერსონალური და ინსტიტუციონალური ინფორმაციის მოპარვა, რომელიც მოგვიანებით ინტერნეტით ვრცელდება თვითგამოცხადებული დამოუკიდებელი ჯგუფის (მაგ., ვიკილიკსი) მიერ და გამოიყენება დეზინფორმაციის კამპანიების საწარმოებლად იმ მიზნით, რომ დააზარალონ კონკრეტული ინდივიდი (მაგ., ჰილარი კლინტონი) ან ინსტიტუტი (მაგ., აშშ - ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო).

თავი V. დასავლური დემოკრატიების არჩევნებში რუსეთის ჩარევის კონკრეტული შემთხვევები

5.1. ამერიკის შეერთებული შტატები

რუსეთის მცდელობა, გავლენა მოეხდინა ამერიკის შეერთებული შტატების 2016 წლის არჩევნებზე, წარმოადგენს კრემლის ხანგრძლივ სურვილს, მიაღწიოს აშშ - ის დემოკრატიული პროცესების მიმართ საზოგადოების ნდობის დაკარგვას, გამოიწვიოს დესტაბილიზაცია და ძირი გამოუთხაროს აშშ - ის მეთაურობით შექმნილ ლიბერალურ დემოკრატიულ წესრიგს, რომლის გაძლიერებასაც რუსი ლიდერები აღიქვამენ საფრთხედ რუსეთისა და პუტინის რეჟიმისათვის (Assessing Russian Activities and Intentions in Recent US Elections: The Analytic Process and Cyber Incident Attribution, 2017, გვ. 1).

2016 წლის 21 ივლისს ვიკილიკსმა გამოაქვეყნა ეროვნული კომიტეტის, აშშ - ის დემოკრატიული პარტიის ოფიციალური მმართველი ორგანოს, 7 წამყვანი თანამშრომლის (მათ შორის კომუნიკაციების დირექტორი ლუის მირანდას და ეროვნული ფინანსური დირექტორის იორდან კაპლანის) დაახლოებით 20 ათასი ელექტრონული წერილი და 8 ათასზე მეტი დოკუმენტი. გამოქვეყნებული ელექტრონული წერილები 2015 წლის იანვრიდან მასამდე პერიოდს ეკუთვნოდა და შეიცავდა რამდენიმე დონორის პერსონალურ ინფორმაციას, მათ შორის სოციალური უსაფრთხოებისა და პასპორტის ნომრებსა და საკრედიტო ბარათების მონაცემებს. დემოკრატიულმა პარტიამ მომხდარის შემდეგ საქმის გამოსაძიებლად ჩართო კიბერ უსაფრთხოების კომპანია „Crowd Strike“, რომელმაც საერთო ტაქტიკებისა და ტექნიკების, პროგრამული უზრუნველყოფის აღმოჩენის შემდეგ დაადგინა რუსეთის მთავრობასთან დაკავშირებული 2 სხვადასხვა ჰაკერული ჯგუფი. აქედან ერთ - ერთი ჯგუფი, სახელწოდებით „მყუდრო დათვი“, 2015 წლის ზაფხულიდან წვდომის მიღების შემდეგ თვალყურს ადევნებდა ელექტრონულ წერილებსა და მიმოწერებს, მეორე ჯგუფის, „მოდური დათვის“, სამიზნე კი დონალდ ტრამპის შესახებ ოპოზიციის კვლევითი ფაილები იყო. სწორედ ეს ჯგუფი შეიჭრა

ეროვნული კომიტეტის სისტემაში აპრილში, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ორივე მათგანის გამოაშკარავება (Peterson, 2016).

ცნობილია, რომ „მოდური დათვი“, იგივე APT 28, რუსეთში დაფუძნებული განცალკევებულად მოქმედი აქტორია, რომელიც აქტიურია 2000 - იანი წლების შუა პერიოდიდან და პასუხისმგებელია ჩარევის კამპანიებზე საავიაციო, თავდაცვის, ენერჯის, სამთავრობო და მედია სექტორებზე აშშ - ში, დასავლეთ ევროპაში, კანადაში, ბრაზილიაში, საქართველოში, ჩინეთში, ირანში, მალაიზიაში, სამხრეთ კორეასა და იაპონიაში. „მყუდრო დათვი“ კი 2015 წლის ზაფხულში გამოაშკარავდა. მართალია, ზემოაღნიშნულ კიბერ უსაფრთხოების კომპანიამ ვერ დაადგინა ამ ორ აქტორს შორის თანამშრომლობა ან ერთმანეთის შესახებ ინფორმაციის ფლობა, თუმცა, აღმოაჩინა, რომ რუსეთის ჯაშუშობის ორივე ჯგუფი იყენებს ერთსა და იმავე სისტემებს და ცალ - ცალკეა ჩართული იდენტური მონაცემების მოპარვაში (Alperovitch, 2016). შესაძლოა, ეს იმის გამო ხდება, რომ რუსეთის დაზვერვისა და უსაფრთხოების 4 მთავარი სააგენტოს (ფედერალური უსაფრთხოების სამსახური, მთავარი სადაზვერვო დირექტორატი, უცხოური დაზვერვის სამსახური და ფედერალური დაცვის სამსახური) ფუნქცია - მოვალეობები ფარავს ერთმანეთისას და, ამასთანავე, მათ შორის დიდი კონკურენციაა. ეს ხდება იმის გამოც, რომ ვინაიდან ხშირად საჭიროა სწრაფი შედეგების დადება და კრემლის სიამოვნება, კოორდინაცია და ინფორმაციის გაცვლა სააგენტოებს შორის შეზღუდულია და მოითხოვს პირდაპირ კონტროლს პუტინისა ან მისი წარმომადგენლების ჩარევის გზით (Galeotti, 2016, pp. 3-4).

უკვე პრეზიდენტად არჩეულმა დონალდ ტრამპმა უარყო ის ფაქტი, რომ რუსეთი ჩაერია არჩევნებში მისი კანდიდატურის დასახმარებლად და განაცხადა, რომ ბრალდებები ეკუთვნოდან დემოკრატებს, რომელთაც რცხვენოდან მასთან წაგება (Fandos, 2016). რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმაც სისულელე უწოდა ბრალდებებს, თითქოს ვლადიმერ პუტინი პირადად იყო ჩართული აშშ - ის საპრეზიდენტო არჩევნებზე გავლენის მოხდენაში (Mills, 2016). თუმცა, სხვაგვარად ფიქრობენ აშშ - ის ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში, გამოძიების ფედერალურ

ბიუროსა და ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოში, რომლებიც ერთიან პოზიციაზე არიან. მათ ერთობლივად “მაღალი დამაჯერებლობით“ განაცხადეს, რომ რუსეთის მთავრობამ განახორციელა გამოცდილი კამპანია ბოლო არჩევნებზე გავლენის მოსახდენად (Masters, 2018).

რუსეთის მიერ აშშ - ის არჩევნებში ჩარევას ადასტურებს არაერთი უწყების ოფიციალური ანგარიში და სასამართლოს ოქმები. 2017 წლის 6 იანვარს გამოქვეყნდა ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსა და გამოძიების ფედერალური ბიუროს ერთობლივი ანგარიში სახელწოდებით „აშშ - ის ბოლო არჩევნებში რუსეთის ქმედებებისა და განზრახვების შეფასება“. დოკუმენტში სამივე უწყება აცხადებდა, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა თავად გასცა 2016 წლის კამპანიაზე გავლენის მოხდენის ბრძანება მაშინ პრეზიდენტობის კანდიდატ დონალდ ტრამპის სასარგებლოდ. ამ მიზნით კრემლი ცდილობდა ჰილარი კლინტონის დისკრედიტაციას და მისი პოტენციური პრეზიდენტობისა და არჩევადობისათვის ზიანის მიყენებას. ამის მიზეზი კი ისაა, რომ პუტინი ჰილარი კლინტონს ადანაშაულებდა 2011 წლის ბოლოდან 2012 წლის დასაწყისამდე მისი რეჟიმის წინააღმდეგ მასობრივი პროტესტის წახალისებაში. გარდა ამისა, რუსეთის პრეზიდენტი ღიად აფიქსირებდა ტრამპის პოლიტიკის უპირატესობას რუსეთთან თანამშრომლობის შესახებ და ადარებდა მას კლინტონის აგრესიულ რიტორიკასთან (Assessing Russian Activities and Intentions in Recent US Elections, 2017, გვ. 1).

2018 წლის 16 თებერვალს კოლუმბიის ოლქის სამხარეო სასამართლოს დიდმა პალატამ 13 რუს ინდივიდსა და 3 რუსულ კომპანიას წარუდგინა ბრალი ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური სისტემის ჩარევის სქემაში. ბრალდებების მიხედვით, 13 ბრალდებულიდან 12 სხვადასხვა დროს მუშაობდა ინტერნეტის კვლევის სააგენტოში (Grand Jury Indicts Thirteen Russian Individuals and Three Russian Companies for Scheme to Interfere in the United States Political System, 2018). აღნიშნული ორგანიზაციის მიზანია შექმნას ტვიტერის, ფეისბუქისა და სხვა სოციალური მედიის ათასობით ყალბი ანგარიში იმისათვის, რომ გავლენა მოახდინოს დასავლეთის საწინააღმდეგო საზოგადოებრივი

აზრის ჩამოყალიბებაზე (Everything you wanted to know about trolls but were afraid to ask, 2015). საბრალდებო ოქმშიც აღნიშნულია, რომ 2014 წლის დასაწყისიდან ორგანიზაციამ დაიწყო აშშ - ის პოლიტიკურ სისტემაში, მათ შორის 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, ჩარევის ოპერაციები. ბრალდებულების სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენდა აშშ - ის პოლიტიკურ სისტემაში უთანხმოების შეტანა. ისინი თავს ამერიკელ პიროვნებებად ასაღებდნენ და ქმნიდნენ ყალბ ამერიკელების პიროვნებებს, მართავდნენ სოციალური მედიის გვერდებსა და ჯგუფებს იმისათვის, რომ ამერიკული აუდიტორია მიეზიდათ. მოპასუხეები აქვეყნებდნენ ზიანის მომტან ინფორმაციას კანდიდატების შესახებ და 2016 წლის დასაწყისიდან შუა პერიოდამდე მათი ოპერაციები ტარდებოდა მაშინ კანდიდატი დონალდ ტრამპის მხარდასაჭერად და ჰილარი კლინტონის დასამცირებლად (United States of America VS Internet Research Agency LLC, 2018).

5.2. საფრანგეთი

რუსეთი ეცადა საფრანგეთის დემოკრატიაზე გავლენის მოხდენას დეზინფორმაციის, კიბერ შეტევებისა და კულტურული და პოლიტიკური გავლენის საშუალებით. მისი მიზანი იმ დროს პრეზიდენტობის კანდიდატის, ემანუელ მაკრონის, დისკრედიტაცია იყო. თუმცა, მიუხედავად რუსეთ - საფრანგეთის ძლიერი ისტორიული, პოლიტიკური და კულტურული კავშირებისა სხვა ევროპულ სახელმწიფოებთან შედარებით, საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი (თავად დეზინფორმაციისა და კიბერ შეტევების სამიზნე) თამაშობს წამყვან როლს ევროპაში კრემლის ჩარევის საწინააღმდეგოდ (Putin's Asymmetric Assault on Democracy in Russia and Europe: Implications for U.S. National Security, 2018, გვ. 121).

საქმე ისაა, რომ ბოლო წლებში საფრანგეთის პოზიცია უკრაინასა და სირიაში რუსეთის აგრესიასთან დაკავშირებით კრიტიკული გახდა. 2014 წელს მაკრონის წინამორბედმა, ფრანსუა ოლანდმა, შეწყვიტა რუსეთისათვის უკვე შევკეთილი 2 ფრანგული სამხედრო ხომალდის გადაცემა, 2016 წელს კი აღნიშნა რუსეთის თანამონაწილეობაზე ალეპოში

ჩადენის სამხედრო დანაშაულებზე (Michael Stothard, 2014). გარდა ამისა, 2017 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ევროკავშირის სანქციები რუსეთის წინააღმდეგ იქამდე უნდა დარჩენილიყო ძალაში, სანამ მინსკის შეთანხმება სრულად არ შესრულდებოდა (France says Russia sanctions to remain in place, 2017).

სხვა დასავლურ ევროპულ ძალებთან შედარებით, საფრანგეთი ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს რუსული გავლენისათვის. მას ხანგრძლივი ურთიერთობები აკავშირებს რუსეთთან, რაც გამოხატება რუსულ - ფრანგულ კავშირებში პოლიტიკურ პარტიებში, უნივერსიტეტებში, კვლევით ორგანიზაციებსა თუ ჟურნალისტურ წრეებში. პრო - რუსულ გრძნობებს ამჟღავნებდა ფრანგული პოლიტიკური სპექტრი, განსაკუთრებით კი უკიდურესად მემარჯვენე, უკიდურესად მემარცხენე და ცენტრისტი მემარჯვენე პარტიები. ნათელი მაგალითია ეროვნული ფრონტი, მარინ ლე პენის ევროსკეპტიკური და ულტრანაციონალისტური პარტია, რომელიც მყარად იცავდა რუსეთის ქმედებებს სირიასა და უკრაინაში (France's Marine Le Pen urges end to Russia sanctions, 2017). პარტია ითხოვდა დასავლეთისა და რუსეთის უფრო დაბალანსებული ურთიერთობებს, განსაკუთრებით ისლამური საფრთხის გამო (Walt V. , 2017). რაც ყველაზე მთავარია, ეროვნულმა ფრონტმა ღიად განაცხადა, რომ 9 მილიონი ევროს სესხი მიიღო მოსკოვში პირველი ჩეხურ - რუსული ბანკიდან, რომელსაც პრო - რუსი ოლიგარქები ფლობენ. ეს ყველაფერი კი მას შემდეგ მოხდა, რაც ფრანგულმა ბანკებმა უარი უთხრეს სესხის მიცემაზე მისი ისტორიულად ანტისემიტური და ექსტრემისტული პოზიციების გამო (Martin, 2014). 2017 წელს საფრანგეთში არჩევნების პირველ ტურამდე 1 თვით ადრე მარინ ლე პენი რუსეთში იმყოფებოდა, სადაც ვლადიმერ პუტინთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ მხარს უჭერდა რუსეთისათვის ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციების შეჩერებას (Le Pen meets Putin ahead of French presidential election, 2017).

გარდა ყურადღებით დამყარებული კულტურული და პოლიტიკური კავშირებისა, კრემლმა გამოიყენა საინფორმაციო ომის დამატებითი ინსტრუმენტები 2017 წლის საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ანტი - ევროპული გრძნობების გასაღვივებლად და ემანუელ მაკრონის დისკრედიტაციისათვის. გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებულმა

კვლევითმა ჯგუფმა კომპანია ბაკამომ გამოიკვლია მედია საშუალებების გავლენა საპრეზიდენტო არჩევნებზე. კვლევისას გაანალიზდა 2016 წლის 1 ნოემბრიდან 2017 წლის 22 მაისამდე პერიოდში 1000 ზე მეტი მედია საშუალება, საიდანაც 800 არატრადიციული წყაროა, ასევე სოციალური მედიის 20 მილიონი პოსტი და საჯარო საუბრებისას 8 მილიონი გაზიარებული ლინკი. კვლევამ აჩვენა დაყოფა ტრადიციულ და არატრადიციულ მედია წყაროებს შორის. ეს უკანასკნელი დაფუძნებულია ძირითადი მედიის წინააღმდეგ ღრმა უნდობლობასა და წინააღმდეგობაზე. ყალბი ინფორმაციის ანალიზმა აჩვენა, რომ ის ორიენტირებულია ემოციურ საჭიროებებზე, როგორცაა ხალხის შიშები და სურვილი, რომ იყვნენ იდენტიფიცირებულები კონკრეტულ ჯგუფებთან. სწორედ ემოციური ასპექტის გამო სოციალური მედია ღიაა მანიპულაციებისათვის, რათა დაადასტუროს მიკერძოებები (biases). გარდა ამისა, ავტომატიზებული ანგარიშები ავრცელებდნენ ყალბ ამბებს და უმეტესი მათგანი ამჟღავნებს რუსულ გავლენას. დაბოლოს, არჩევნებთან დაკავშირებული დისკუსიები წყდებოდა საწინააღმდეგო ნარატივით, რომელიც ტრადიციულ მედიას და უწყებებს წარმოაჩენდნენ ელიტისტურად და სთავაზობდა დემოკრატიული და პლურალისტური სოციალური წესრიგის საწინააღმდეგო გამოსავალს (Summary of the French Election Social Media Landscape Report, 2017, pp. 1-2).

სწორედ არჩევნებიდან სამი კვირის შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტის საფრანგეთში ვიზიტის შემდეგ ვერსალის სასახლეში გამართულ პრესკონფერენციაზე ემანუელ მაკრონმა რუსული სახელმწიფო მედია პროპაგანდის წარმოებაში დაადანაშაულა. დასმულ კითხვაზე, თუ რატომ არ ჰქონდა კონკრეტულ რუსულ მედია საშუალებებს წვდომა საფრანგეთის პრეზიდენტის კამპანიაზე, მაკრონმა აღნიშნა, რომ „რუსეთი დღეს“ და „სპუტნიკი“ ნამდვილი ჟურნალისტებივით და ახალი ამბების სააგენტოებივით არ იქცევიან. ნაცვლად ამისა, ისინი პროპაგანდის ორგანოებად, ცრუ პროპაგანდის გამავრცელებლებად გვევლინებიან (Macron Camp Bars Russian News Outlets, Angers, 2018).

დეზინფორმაციის კამპანიების გარდა, რუსეთმა აქტიურად გამოიყენა კიბერ შეტევები, რომლებიც გერმანიის ბუნდესტაგისა და აშშ - ის ეროვნული დემოკრატიული კომიტეტის

ელექტრონული ფოსტების გაჟონვაში ბრალდებული რუსული ჰარეკული ჯგუფის მეშვეობით განხორციელდა. მაკრონის კამპანია გახდა APT28 - ის თავდასხმის სამიზნე (Leyden, 2017). სწორედ არჩევნებამდე რამდენიმე საათით ადრე ათობით ათასი ელექტრონული წერილი და სხვა დოკუმენტები (მათ შორის ყალბი) გამოქვეყნდა ინტერნეტ სივრცეში. მოპარული იყო 5 მთლიანი ელექტრონული წერილების ყუთი, მათ შორის რამდენიმე პირადი ელექტრონული ფოსტის ანგარიშიც (Hern, 2017).

როგორც ჩანს, აშშ - ის მაგალითის შემდეგ, ფრანგებმა დაიწყეს სერიოზული მზადება შესაძლო საგარეო ჩარევის თავიდან ასაცილებლად. 2016 წლის ოქტომბერში, მას შემდეგ, რაც რუსეთის მიერ ამერიკის ეროვნულ - დემოკრატიული კომიტეტზე ჰაკერული თავდასხმა და შესაბამისი ინფორმაციის გადინების ფაქტი მოხდა, საფრანგეთის ეროვნული კიბერ უსაფრთხოების სააგენტომ ყველა პოლიტიკური პარტია მიიწვია დახურულ ბრიფინგზე მანიპულაციის რისკის თაობაზე ცნობიერების ასამაღლებლად. სააგენტომ მათ მიაწოდა 20 გვერდიანი კიბერ უსაფრთხოების ერთგვარი სახელმძღვანელო. აქვე აღსანიშნავია, რომ სწორედ მარინ ლე პენის ეროვნული ფრონტი არ ესწრებოდა ბრიფინგს (Toucas, 2017).

თავი VI. თეორიული ჩარჩო

6.1. რბილი დაბალანსების თეორია

ძალთა ბალანსი რეალიზმის ერთ - ერთი ძირითადი პრინციპია. რეალისტების აზრით, სისტემურ დონეზე სახელმწიფოები უსაფრთხოებასა და სტაბილურობას ინარჩუნებენ დაბალანსების მეშვეობით. თანამედროვე საერთაშორისო სისტემის არსებობის დღიდან ამ ტექნიკას ძირითადი ძალები საკუთარი უსაფრთხოების მიზნით იყენებენ. ეს ინსტრუმენტი, რეალიზმის მსგავსად, ემყარება 4 მთავარ დებულებას: სახელმწიფოები ცდილობენ გადარჩნენ, როგორც დამოუკიდებელი ერთეულები; საერთაშორისო სისტემა ანარქიულია და არ ჰყავს ცენტრალური ხელისუფლება ინდივიდუალურ სახელმწიფოთათვის დაცვის შესათავაზებლად; ძალთა კონკურენცია საერთაშორისო პოლიტიკის მახასიათებელია; დაბოლოს, როდესაც ერთი სახელმწიფო ცდილობს, გახდეს დომინანტი, საფრთხის ქვეშ მყოფი ქვეყნები აყალიბებენ თავდაცვით კოალიციას, ან იღებენ შესაბამის სამხედრო საშუალებებს საშინაო ან საგარეო წყაროებიდან (Paul, 2005, გვ. 51).

დაბალანსება გულისხმობს ძლიერსა და სუსტს შორის დაპირისპირებაში განსხვავებების გათანაბრებას. სახელმწიფოები აბალანსებენ მაშინ, როდესაც იწყებენ ქმედებას იმისათვის, რომ გაურთულონ ძლიერ სახელმწიფოებს საკუთარი სამხედრო უპირატესობის სხვების წინააღმდეგ გამოყენება. მიზანი შესაძლოა იყოს ძლიერი სახელმწიფოს შეკავება თავდასხმისგან ან ომში მისი გამარჯვების პერსპექტივების შემცირება. ტრადიციული ხისტი დაბალანსება ცდილობს, შეცვალოს სამხედრო ბალანსი მიმდინარე ან უფრო ხშირად პოტენციურ კონფლიქტში სუსტი მხარისათვის სამხედრო შესაძლებლობების გაუმჯობესების ისეთი გზებით, როგორცაა ომში ალიანსის შექმნა, სამხედრო ძალების გაძლიერება, მოკავშირისათვის სამხედრო ტექნოლოგიების გადაცემა. თუმცა, სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ ქვეყნებს შორის განსხვავებების გათანაბრება რბილი დაბალანსების მეშვეობით (Pape, 2005, p. 36).

საინტერესოა, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მეორეხარისხოვანმა ძირითადმა ძალებმა სისტემურ დონეზე თითქმის დათმეს ტრადიციული ხისტი დაბალანსება, რომელიც ალიანსების შექმნასა და შეიარაღების გაზრდაში გამოიხატება. ეს კი ძირითადად იმიტომ ხდება, რომ მათ აღარ ეშინიათ სუვერენიტეტისა და არსებული უსაფრთხოების დაკარგვა ჰეგემონთან, როგორც ეს მე - 18 და მე - 19 საუკუნეების დროს ხდებოდა (Paul, 2005, p. 47). მაგალითისათვის, აშშ - ის მიმართ ტრადიციული დაბალანსების ნაკლებობა შესაძლოა აიხსნას აშშ - ის ჰეგემონიის ლიბერალური მახასიათებლებით, ასევე მისი ლიბერალურ - დემოკრატიული პოლიტიკური სისტემით და მეტოქე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა კოალიციის არარსებობით, რომელთაც გააჩნიათ საკმარისი სამხედრო შესაძლებლობა, წინააღმდეგობა გაუწიონ აშშ - ს. ისეთ არალიბერალურ სახელმწიფოებს, როგორცაა რუსეთი და ჩინეთი, არ შეუძლიათ მოკავშირეების მოძებნა აშშ - ის დასაბალანსებლად, ლიბერალური სახელმწიფოები კი არ თვლიან საჭიროდ მის დაბალანსებას, ვინაიდან ვერ ხედავენ საფრთხეს აშშ - ის მზარდ ძალაში. ასევე, ორივე ტიპის სახელმწიფოებს (ლიბერალურსაც და არალიბერალურსაც) არ გააჩნიათ ამერიკულ საგარეო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის უნარი ამერიკული და საერთაშორისო ინსტიტუტების მეშვეობით (Paul, 2005, გვ. 48).

მიუხედავად იმისა, რომ რბილი დაბალანსება ყველაზე მეტად უნიპოლარული პოლიტიკის ხელისშემწყობად მიიჩნევა, შესაძლებელია ისტორიაში სხვა მაგალითების პოვნაც. მართალია, ცივი ომის დროს აშშ - ის მიერ სსრკ - ის შეკავების სტრატეგია ითვლება სამხედრო სტრატეგიად, მაგრამ იმ პერიოდში რბილი დაბალანსების მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ მარშალის გეგმა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ აშშ - ის ეკონომიკური დახმარების მასიური პროგრამა განადგურებული ინდუსტრიების, სასოფლო - სამეურნეო ტერიტორიებისა და ევროპისა და იაპონიის ქალაქების აღსადგენად. ეს ეკონომიკური ინსტრუმენტი კონკრეტულ ქვეყნებს დაეხმარა, გამკლავებოდნენ კლასთა ბრძოლისა და რევოლუციის კომუნისტურ დოქტრინებს. ასევე დასავლეთ ევროპა და იაპონია გააერთიანა ჩრდილო ატლანტიკურ სავაჭრო კავშირში (Pape, 2005, გვ. 37).

ცივი ომის დასრულების შემდეგ მეორეხარისხოვანმა დიდმა ძალებმა დაიწყეს ჩუმი, შეზღუდული ან არაპირდაპირი სტრატეგიების გამოყენება კოალიციების შექმნით ან საერთაშორისო ორგანიზაციებში დიპლომატიური ვაჭრობით. სწორედ ეს დიპლომატიური და ინსტიტუციონალური სტრატეგიები შეადგენს რბილი დაბალანსების შემადგენელ ნაწილებს (Paul, 2005, გვ. 58).

რბილი დაბალანსება ხდება შემდეგი გარემოებების არსებობის შემთხვევაში: ჰეგემონის ძალაუფლება და სამხედრო ქცევა დიდი შემფოთების საგანია, თუმცა ჯერ არ წარმოადგენს სერიოზულ გამოწვევას მეორეხარისხოვანი ძალების სუვერენიტეტისათვის; დომინანტი სახელმწიფო არის საჯარო სიკეთეების მთავარი წყარო როგორც ეკონომიკური, ისე უსაფრთხოების თვალსაზრისით, რომელსაც ჯერ ვერავინ ანაცვლებს; დომინანტ სახელმწიფოს არ შეუძლია სამაგიეროს გადახდა მარტივად, ვინაიდან სხვა ქვეყნების მიერ გამოყენებული დაბალანსების ქმედებები აშკარა არაა ან ეს სხვა სახელმწიფოები სამხედრო საშუალებებით პირდაპირ არ ემუქრებიან მის ძალაუფლებას (Paul, 2005, გვ. 59).

რბილი დაბალანსება მოიცავს რამდენიმე მექანიზმს: ეკონომიკური გაძლიერება, ტერიტორიის უარყოფა, ჩახლართული დიპლომატია და ხმამაღლა გაცხადება დამბალანსებელ კოალიციაში მონაწილეობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ის ეყრდნობა არასამხედრო იარაღებს, მას მაინც შეუძლია უძლიერესი სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების შესუსტება (Pape, 2005, p. 36). მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. **ტერიტორიულ წვდომაზე უარის თქმა** - ყველასთვის ცნობილია, რომ უძლიერესი სახელმწიფოები ხშირად სარგებლობენ მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე წვდომით სახმელეთო ძალების განსათავსებლად და საჰაერო და საზღვაო ძალების გასატარებლად. ტერიტორიის წვდომაზე უარის თქმით შესაძლოა, შემცირდეს ძლიერი სახელმწიფოს გამარჯვების პერსპექტივები, მაგალითად ლოგისტიკური პრობლემების შექმნა ან იძულება, რომ იბრძოდეს მხოლოდ საჰაერო ან საზღვაო ძალით წარმოადგენს შეზღუდვებს, რომლებსაც შეუძლიათ ეფექტურად შეამციროს მთლიანი ძალა, რომელიც უფრო ძლიერ სახელმწიფოს შეუძლია მიმართოს სუსტის წინააღმდეგ.

2. **ეკონომიკური გაძლიერება** - ძლიერი ქვეყნების სამხედრო ძლიერება, რომლების დაბალანსებასაც ცდილობენ, გამომდინარეობს დიდი ეკონომიკური ძლიერებიდან. ერთი გზა გრძელვადიან პერსპექტივაში ეფექტური დაბალანსებისათვის შესაძლოა იყოს შედარებითი ეკონომიკური ძალის მიმართვა სუსტი მხარის მიმართ. შესაძლოა, ეს იყოს რეგიონული სავაჭრო ბლოკები, რომლებიც ზრდიან ვაჭრობას და ეკონომიკურ სიძლიერეს წევრებისათვის. თუ უძლიერესი სახელმწიფო ასეთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბლოკებიდან გამოირიცხება, მისი საერთო ვაჭრობა და ზრდის ტემპები დაზარალდება.

3. **ჩახლართული დიპლომატია** - ძლიერ სახელმწიფოებსაც კი არ აქვთ სრული თავისუფლება, რომ დააიგნორონ მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციების წესები და პროცედურები, ან მიღებული დიპლომატიური პრაქტიკები საკუთარი მიზნების მხარდაჭერის დაკარგვის გარეშე. შესაბამისად, სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოიყენონ საერთაშორისო ინსტიტუტები და სპეციალური დიპლომატიური მანევრები იმისათვის, რომ გადადონ ძლიერი ქვეყნის ომის გეგმა და მისცენ სუსტ ქვეყანას დრო მოსამზადებლად. გადადების შემდეგ შესაძლოა საკითხი არარელევანტურად აღმოჩნდეს. განსაკუთრებით მაშინ, თუ ძლიერი სახელმწიფოც დემოკრატიულია, ჩახლართული დიპლომატია მუშაობს არა მხოლოდ სამხედრო შესაძლებლობების ბალანსზე გავლენის მოხდენით, არამედ ძლიერ სახელმწიფოში შიდა ოპოზიციის გაძლიერებით.

4. **დაბალანსების გადაწყვეტილების სიგნალები** - მეორეხარისხოვანი სახელმწიფოები, რომელთაც სურთ ძლიერი სახელმწიფოს წინააღმდეგ კოლექტიური ქმედება, აწყდებიან სირთულეს, რომ საჭირო კოლექტიური ქმედება შესაძლოა ვერ განხორციელდეს. რბილი დაბალანსება, გარდა მისი სარგებლიანობისა უნიპოლარული ლიდერის აგრესიის შესაკავებლად, შესაძლოა გამოდგეს ამ საკითხის მოსაგვარებლად საერთო დამაბალანსებელი ქცევის მოლოდინების კოორდინაციის გზით. ამასთანავე, რბილი დაბალანსების მთავარი მიზანი ძლიერი სახელმწიფოს მიმდინარე ქმედებების იძულება ან დაბრკოლება კი არაა, არამედ გადაწყვეტილების დემონსტრირება იმ გზით, რომელიც აჩვენებს სუპერძალის მომავალი ამბიციებისათვის წინააღმდეგობის გაწევის თავდადებას. შესაბამისად, ამ ტიპის ბალანსის წარმატების საზომი შესაძლოა მხოლოდ ის კი არაა, რომ

ერთადერთმა ძალამ მის კონკრეტული პოლიტიკის წარმოება შეწყვიტოს, არამედ მეტი ქვეყანა შეუერთდა თუ არა რბილი დაბალანსების კოალიციას უნიპოლარული ლიდერის წინააღმდეგ (Pape, 2005, გვ. 36-37).

თავი VII. ანალიზი

ნაშრომში დასმულ კითხვაზე, თუ რა განაპირობებს რუსეთის წარმატებას ჩაერიოს დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოების არჩევნებში სავარაუდო ჰიპოთეზად წარმოდგენილი იყო მოსაზრება, რომლის თანახმად, წარმატების ზრდა განპირობებულია აშშ - სა და ევროპის ქვეყნებში პოპულიზმის ზრდით. პოპულიზმი, რომელიც საინტერესო ფენომენს წარმოადგენს, საკმაოდ გავრცელებულია აშშ - სა და ევროპის ქვეყნებში, რასაც არაერთი ბოლო დროინდელი მოვლენა მოწმობს, მათ შორის აშშ - ის პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევა. გარდა ამისა, საფრანგეთში ეროვნული ფრონტის გაძლიერებაც წარმოადგენს მნიშვნელოვან მაგალითს იმისა, რომ სახეზე გვაქვს პოპულისტური, განსაკუთრებით უკიდურესად მემარჯვენე, პარტიების მომძლავრება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი აქტიურად ცდილობდა პოსტ - საბჭოთა სივრცეში მიმდინარე არჩევნებზე გავლენის მოხდენას, რაც ძირითადად პრო - რუსი კანდიდატების მხარდაჭერაში გამოიყენებოდა. ნატოსა და ევროკავშირის აქტიური გაფართოების შედეგად (განსაკუთრებით კი რუსეთის გავლენის სფეროში არსებულ სახელმწიფოებში და მეზობელ ქვეყნებში) და ასევე 2014 წელს ყირიმის ანექსიის შემდეგ სრულ იზოლაციაში მოხვედრილმა რუსეთმა მიმართა კარგად ნაცად ხერხებსა და მეთოდებს. მან დაიწყო იმავეს გაკეთება დასავლეთში, რასაც მანამდე პოსტ - საბჭოთა და პოსტ - კომუნისტურ ქვეყნებში აკეთებდა.

თავის მხრივ, რუსეთისათვის ევროპის სახელმწიფოებსა და აშშ - ში ნოყიერი ნიადაგი არსებობდა გავლენის მოსახდენად. კრემლმა შესაფერისი დრო შეარჩია მოწინააღმდეგე სახელმწიფოებზე გავლენის მოსახდენად. იმ პერიოდში საკმაოდ აქტუალური თემა იყო მიგრანტების საკითხი, რომლის შესახებაც ევროკავშირის სახელმწიფოთა შორის ცხარე დებატები მიდიოდა. ამასთანავე, რუსეთმა კარგად გამოიყენა ჰილარი კლინტონთან შედარებით დღეს უკვე პრეზიდენტ ტრამპის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება კრემლთან თანამშრომლობის შესახებ. გარდა ამისა, რუსეთს ჰყავდა მთავარი საყრდენი

ფრანგული ფრონტის სახით, რომელსაც საკმაოდ მწვავე პოზიცია აქვს მიგრანტთა საკითხთან დაკავშირებით. პარტიის ლიდერი მარინ ლე პენი საკმაოდ სკეპტიკურად უყურებდა ევროკავშირს და აცხადებდა, რომ სურდა, საფრანგეთისათვის დაებრუნებინა სუვერენიტეტი და ექცია წამყვან სახელმწიფოდ. იგივე მოხდა აშშ - ის შემთხვევაშიც, როდესაც დონალდ ტრამპი მოსახლეობას ანტიმიგრაციული პოლიტიკის გატარებას და ამერიკის კვლავ დიდ სახელმწიფოდ ქცევას ჰპირდებოდა .

საინტერესო ის არის, რომ რუსეთი სწორედ იმიტომ იყენებდა ჩარევას დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებში არსებულ სიტუაციის სათავისოდ და ცდილობდა, ერთგვარი შეეკავებინა ნატოსა და ევროკავშირის გაფართოება, რომ სხვანაირად შეუძლებელი იყო ორი ორგანიზაციის და დასავლური სახელმწიფოების დამარცხება. ამისთვის მან ფარულ თუ ღია საინფორმაციო ომს, კიბერშეტევებს და უცხო ქვეყნებში არსებულ პოპულისტურ მოძრაობებს იყენებდა. მთავარი მიზეზი ამისა კი ისაა, რომ მას სხვა გზა არ ჰქონდა. რუსეთს ფიზიკურად არ შეეძლო დასავლეთის შეკავება სამხედრო იარაღითა თუ სხვა საშუალებებით. ამის გამო მან მიმართა მარტივ, სამხედრო შეიარაღებასთან შედარებით იაფ ხერხებს, რომლებმაც წარმატებით იმუშავეს და მიაღწიეს წარმატებას აშშ - ისა და საფრანგეთის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი მეტად მომზადებული შეხვდა მომავალ საფრთხეს, თუმცა, რუსეთმა მაინც შეძლო არჩევნებში ჩარევა. მართალია, მისთვის სასურველმა კანდიდატმა ვერ გაიმარჯვა, მაგრამ მისმა განხორციელებულმა მეთოდებმა გარკვეულწილად გამოიღო შედეგი და საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატს მეორე ტურში გადასვლის შესაძლებლობა მისცა.

დასკვნა

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რუსეთი, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაკარგა სუპერძალის სტატუსი, კვლავ ცდილობს მსოფლიოში საკუთარი გავლენის მოპოვებას, რაც მისი 2016 წლის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაშიც არის აღნიშნული. ამ მიზნის მისაღწევად ის იყენებს არაერთ მეთოდს, რომელთა ნაწილი საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობას წარმოადგენს. თუმცა, აქვე უნდა დავამატოთ, რომ ეს მეთოდები და საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევის ინსტრუმენტები, ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, უფრო მრავალფეროვანი გახდა. 1990 - იანი წლების შემდეგ რუსეთის პირველად მიზანს წარმოადგენდა მისი გავლენის გაფართოება პოსტ - საბჭოთა ტერიტორიებზე. ეს განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც ნატომ და ევროკავშირმა აღმოსავლეთით დაიწყეს გაფართოება.

2014 წლიდან რუსეთი აქტიურად გადაერთო დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებზე, რისი ერთ - ერთი მიზეზიც შესაძლოა იყოს ყირიმის ანექსიის შემდეგ მისთვის დაწესებული სანქციები და ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა.

საინტერესოა კითხვა, თუ როგორ ახერხებს რუსეთი სტაბილურ, განვითარებულ, დემოკრატიულ სახელმწიფოებში ჩარევას და რიგ შემთხვევაში წარმატებასაც აღწევს. შესაბამისად, ნაშრომის საკვლევ კითხვაზე, თუ რა განაპირობებს რუსეთის წარმატებას დასავლეთის არჩევნებში ჩარევისას, პასუხი არის ის, რომ ბოლო პერიოდში პოპულიზმის და დასავლეთის დემოკრატიული ინსტიტუტებისა თუ პოლიტიკური სისტემის მიმართ მზარდი სკეპტიციზმი გახდა მთავარი ხელშემწყობი ფაქტორი რუსეთისათვის. მისთვის ასეთ ქვეყნებში არსებული პრო - რუსი, ნაციონალისტი, ევროკავშირისადმი სკეპტიკურად განწყობილი ფიგურები და პოლიტიკური პარტიები მთავარ დასაყრდენს წარმოადგენს. ასე მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, სადაც რუსეთმა გარკვეულწილად ხელი

შეუწყო პოპულისტი ლიდერის, დონალდ ტრამპის, გაპრეზიდენტებას, რაც მოახერხა მეორე საპრეზიდენტო კანდიდატის, ჰილარი კლინტონის, დისკრედიტაციის გზით.

ბიბლიოგრაფია:

- Alina Polyakova, Spencer P. Boyer. (2018, 03). *The future of political warfare: Russia, the West, and the coming age of global digital competition*. Retrieved 06 13, 2018, from [https://www.brookings.edu:
https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2018/03/the-future-of-political-warfare.pdf](https://www.brookings.edu/https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2018/03/the-future-of-political-warfare.pdf)
- Allison, J. (2017). *Creative Destruction*. Retrieved 06 19, 2018, from [http://bigthink.com:
http://bigthink.com/cornering-history/creative-destruction](http://bigthink.com/http://bigthink.com/cornering-history/creative-destruction)
- Alperovitch, D. (2016, 06 15). *Bears in the Midst: Intrusion into the Democratic National Committee*. Retrieved 07 03, 2018, from [https://www.crowdstrike.com:
https://www.crowdstrike.com/blog/bears-midst-intrusion-democratic-national-committee/](https://www.crowdstrike.com/https://www.crowdstrike.com/blog/bears-midst-intrusion-democratic-national-committee/)
- Anderson, E. (2018, 02 15). *Russia accuses Europe of meddling in presidential election*. Retrieved 06 03, 2018, from [https://www.politico.eu/:
https://www.politico.eu/article/russia-accuses-europe-election-meddling/](https://www.politico.eu/https://www.politico.eu/article/russia-accuses-europe-election-meddling/)
- Andreas Rinke, P. C. (2016, 02 01). *German-Russian ties feel Cold War-style chill over rape case*. Retrieved 06 17, 2018, from [https://www.reuters.com:
https://www.reuters.com/article/us-germany-russia/german-russian-ties-feel-cold-war-style-chill-over-rape-case-idUSKCN0VA310](https://www.reuters.com/https://www.reuters.com/article/us-germany-russia/german-russian-ties-feel-cold-war-style-chill-over-rape-case-idUSKCN0VA310)
- Assessing Russian Activities and Intentions in Recent US Elections*. (2017, 01 06). Retrieved 06 22, 2018, from [https://www.dni.gov:
https://www.dni.gov/files/documents/ICA_2017_01.pdf](https://www.dni.gov/https://www.dni.gov/files/documents/ICA_2017_01.pdf)
- Assessing Russian Activities and Intentions in Recent US Elections: The Analytic Process and Cyber Incident Attribution*. (2017, 01 06). Retrieved 06 22, 2018, from [https://www.dni.gov:
https://www.dni.gov/files/documents/ICA_2017_01.pdf](https://www.dni.gov/https://www.dni.gov/files/documents/ICA_2017_01.pdf)
- Berman, S. (2017). *Populism is a Symptom Rather than a Cause: The Decline of the Center-left and the Rise of Threats to Liberal Democracy*. Retrieved 06 20, 2018, from [https://fsi.stanford.edu:
https://fsi.stanford.edu/sites/default/files/populism_is_a_symptom_rather_than_a_cause_stanford_global_opulisms_conference.pdf](https://fsi.stanford.edu/https://fsi.stanford.edu/sites/default/files/populism_is_a_symptom_rather_than_a_cause_stanford_global_opulisms_conference.pdf)
- Bonikowski, N. G. (2013). *Varieties of Populism: Literature Review and Research Agenda*. Retrieved 06 20, 2018, from [https://scholar.harvard.edu:
https://scholar.harvard.edu/files/gidron_bonikowski_populismlitreview_2013.pdf](https://scholar.harvard.edu/https://scholar.harvard.edu/files/gidron_bonikowski_populismlitreview_2013.pdf)

Brian Nichiporuk. (1999). *Strategic Appraisal - the Changing Role of Information in Warfare*. Santa Monica: Rand Corporation. Retrieved 06 14, 2018, from https://www.rand.org/pubs/monograph_reports/MR1016.html#download

Burke, J. (2014, 06 09). *Post-Soviet world: what you need to know about the 15 states*. Retrieved 07 07, 2018, from <https://www.theguardian.com>: <https://www.theguardian.com/world/2014/jun/09/-sp-profiles-post-soviet-states>

Casey, L. A. (2017, 11 3-4). *Is Russia a Threat to Western Democracy? Russian Intervention in Foreign Elections, 1991-2017*. Retrieved 06 19, 2018, from <https://fsi.stanford.edu>: https://fsi.stanford.edu/sites/default/files/is_russia_a_threat_to_western_democracy_russian_intervention_in_foreign_elections_1991-2017_.pdf

Diamond, L. (2016, 12 09). *Russia and the Threat to Liberal Democracy*. Retrieved 05 23, 2018, from <https://www.theatlantic.com>: <https://www.theatlantic.com/international/archive/2016/12/russia-liberal-democracy/510011/>

Dinç, P. (2016). *Mapping Populism: Definitions, Cases and Challenges to Democracy*. Istanbul: Istanbul Policy Center. Retrieved 05 13, 2018, from http://ipc.sabanciuniv.edu/wp-content/uploads/2016/10/IPM_MappingPopulismReport_28.10.16_web.pdf

Does a BEAR Leak in the Woods? (2016, 08 12). Retrieved 06 18, 2018, from <https://www.threatconnect.com>: https://www.threatconnect.com/blog/does-a-bear-leak-in-the-woods/#post_content

EU welcomes 10 new members. (2004, 05 01). Retrieved 07 07, 2018, from <http://edition.cnn.com>: <http://edition.cnn.com/2004/WORLD/europe/04/30/eu.enlargement/>

Everything you wanted to know about trolls but were afraid to ask. (2015, 11 04). Retrieved 07 03, 2018, from <https://share.america.gov>: <https://share.america.gov/trolls-everything-you-wanted-to-know/>

Fandos, N. (2016, 12 11). *Trump Links C.I.A. Reports on Russia to Democrats' Shame Over Election*. Retrieved 07 01, 2018, from <https://www.nytimes.com>: <https://www.nytimes.com/2016/12/11/us/politics/trump-russia-democrats.html>

Fildes, J. (2010, 12 07). *What is Wikileaks?* Retrieved 07 18, 2018, from <https://www.bbc.com>: <https://www.bbc.com/news/technology-10757263>

Foreign Policy Concept of the Russian Federation . (2016, 12 01). Retrieved 06 20, 2018, from http://www.mid.ru: http://www.mid.ru/en/foreign_policy/official_documents/-/asset_publisher/CptlCk6BZ29/content/id/2542248

Foreign Policy Concept of the Russian Federation. (2016, 12 01). Retrieved 06 21, 2018, from http://www.mid.ru: http://www.mid.ru/en/foreign_policy/official_documents/-/asset_publisher/CptlCk6BZ29/content/id/2542248

France says Russia sanctions to remain in place. (2017, 03 09). Retrieved 07 09, 2018, from <https://battlefordsnow.com: https://battlefordsnow.com/article/553521/france-says-russia-sanctions-remain-place>

France's Marine Le Pen urges end to Russia sanctions. (2017, 03 24). Retrieved 07 09, 2018, from <https://www.bbc.com: https://www.bbc.com/news/world-europe-39375969>

Galeotti, M. (2016, 05). *Putin's Hydra: inside Russia's Intelligence Services*. Retrieved 07 03, 2018, from http://www.ecfr.eu: http://www.ecfr.eu/page/-/ECFR_169_-_PUTINS_HYDRA_INSIDE_THE_RUSSIAN_INTELLIGENCE_SERVICES_1513.pdf

Galston, W. A. (2018, 03 08). *The rise of European populism and the collapse of the center-left*. Retrieved 07 14, 2018, from <https://www.brookings.edu: https://www.brookings.edu/blog/order-from-chaos/2018/03/08/the-rise-of-european-populism-and-the-collapse-of-the-center-left/>

German Prosecutors Say Russian Teen's Rape Claim Fabricated. (2016, 01 29). Retrieved 06 17, 2018, from <https://www.rferl.org: https://www.rferl.org/a/berlin-teen-rape-case-germany-russia/27518976.html>

Grand Jury Indicts Thirteen Russian Individuals and Three Russian Companies for Scheme to Interfere in the United States Political System. (2018, 02 16). Retrieved 06 17, 2018, from <https://www.justice.gov/: https://www.justice.gov/opa/pr/grand-jury-indicts-thirteen-russian-individuals-and-three-russian-companies-scheme-interfere>

Grand Jury Indicts Thirteen Russian Individuals and Three Russian Companies for Scheme to Interfere in the United States Political System. (2018, 02 16). Retrieved 06 17, 2018, from <https://www.justice.gov: https://www.justice.gov/opa/pr/grand-jury-indicts-thirteen-russian-individuals-and-three-russian-companies-scheme-interfere>

Hern, A. (2017, 05 08). *Macron hackers linked to Russian-affiliated group behind US attack*. Retrieved 07 10, 2018, from <https://www.theguardian.com>: <https://www.theguardian.com/world/2017/may/08/macron-hackers-linked-to-russian-affiliated-group-behind-us-attack>

Kanner, C. (1986). *Active Measures: A Report on the Substance and Process of Anti-U.S. Disinformation and Propaganda Campaigns*. Los Angeles: Los Angeles Times . Retrieved 06 17, 2018, from <http://insidethecoldwar.org/sites/default/files/documents/Soviet%20Active%20Measures%20Substance%20and%20Process%20of%20Anti-US%20Disinformation%20August%201986.pdf>

Kennan, G. F. (1948, 04 30). *George F. Kennan on Organizing Political Warfare*. Retrieved 06 14, 2018, from <https://digitalarchive.wilsoncenter.org/>:
<https://digitalarchive.wilsoncenter.org/document/114320.pdf?v=941dc9ee5c6e51333ea9ebbbc9104e8c>

Knight, B. (2016, 01 31). *Teenage girl admits making up migrant rape claim that outraged Germany*. Retrieved 06 17, 2018, from <https://www.theguardian.com>: <https://www.theguardian.com/world/2016/jan/31/teenage-girl-made-up-migrant-claim-that-caused-uproar-in-germany>

Le Pen meets Putin ahead of French presidential election. (2017, 03 24). Retrieved 07 09, 2018, from <http://www.france24.com>: <http://www.france24.com/en/20170324-marine-le-pen-visits-russia-french-presidential-election-putin>

Leyden, J. (2017, 04 25). *Kremlin-backed DNC hackers going after French presidential hopeful Macron*. Retrieved 07 10, 2018, from <https://www.theregister.co.uk>:
https://www.theregister.co.uk/2017/04/25/apt28_macron_hack/

Lohr, E. (2018, 02 20). *A Brief History of Russian Interference in Foreign Elections*. Retrieved 06 22, 2018, from <https://globalsecurityreview.com>: <https://globalsecurityreview.com/brief-history-russian-interference-foreign-elections/>

Lucan Ahmad Way, A. C. (2018, 01 08). *Russia has been meddling in foreign elections for decades. Has it made a difference?* Retrieved 05 20, 2018, from <https://www.washingtonpost.com>:
https://www.washingtonpost.com/news/monkey-cage/wp/2018/01/05/russia-has-been-meddling-in-foreign-elections-for-decades-has-it-made-a-difference/?utm_term=.0edc3f553791

Macron Accuses Russian State Media Of 'Propaganda'. (2017, 05 29). Retrieved 07 10, 2018, from <https://www.rferl.org: https://www.rferl.org/a/macron-accuses-russian-state-media-of-propaganda/28517040.html>

Macron Camp Bars Russian News Outlets, Angers. (2018, 05 29). Retrieved 07 09, 2018, from <https://www.rferl.org: https://www.rferl.org/a/macron-accuses-russian-state-media-of-propaganda/28517040.html>

Madrid, R. L. (2008). *The Rise of Ethno - populism in Latin America: The Bolivian Case*. Retrieved 06 20, 2018, from <https://www.vanderbilt.edu: https://www.vanderbilt.edu/lapop/bolivia/2004-ethnopolitism.pdf>

Martin, A.-C. (2014, 12 05). *National Front's Russian loans cause uproar in European Parliament*. Retrieved 07 09, 2018, from <https://www.euractiv.com: https://www.euractiv.com/section/europe-s-east/news/national-front-s-russian-loans-cause-uproar-in-european-parliament/>

Masters, J. (2018, 02 26). *Russia, Trump, and the 2016 U.S. Election*. Retrieved 06 21, 2018, from <https://www.cfr.org: https://www.cfr.org/backgrounder/russia-trump-and-2016-us-election>

Masters, J. (2018, 02 26). *Russia, Trump, and the 2016 U.S. Election*. Retrieved 07 01, 2018, from <https://www.cfr.org: https://www.cfr.org/backgrounder/russia-trump-and-2016-us-election>

Michael Stothard, A. T. (2014, 11 25). *France suspends delivery of Mistral warship to Russia*. Retrieved 07 09, 2018, from <https://www.ft.com: https://www.ft.com/content/28ff1656-74a2-11e4-8321-00144feabdc0>

Mills, C. (2016, 12 15). *Kremlin Denies Putin's Involvement in Election Hacking*. Retrieved 07 01, 2018, from <https://www.usnews.com: https://www.usnews.com/news/world/articles/2016-12-15/russian-officials-deny-vladimir-putins-involvement-in-election-hacking#close-modal>

Mounk, Y. (2018, 03 04). *How populist uprisings could bring down liberal democracy*. Retrieved 07 13, 2018, from <https://www.theguardian.com: https://www.theguardian.com/commentisfree/2018/mar/04/shock-system-liberal-democracy-populism>

Mudde, C. (2007). *Populist radical right parties in Europe*. Cambridge: Cambridge University Press. Retrieved 06 20, 2018, from <https://epdf.tips/populist-radical-right-parties-in-europe.html>

NATO Enlargement — A Case Study. (2017, 05 15). Retrieved 07 07, 2018, from <https://medium.com: https://medium.com/center-for-strategic-and-international-studies/nato-enlargement-a-case-study-c380545dd38d>

Nimmo, B. (2017, 03 11). *Lisa 2.0 How pro-Kremlin media in Germany have been using a new fake to justify an old one*. Retrieved 06 17, 2018, from <https://www.stopfake.org>: <https://medium.com/@DFRLab/lisa-2-0-133d44e8acc7>

Pape, R. A. (2005). Soft Balancing against the United States. *International Security*, 7-45. Retrieved 06 19, 2018, from <https://www.belfercenter.org>: https://www.belfercenter.org/sites/default/files/legacy/files/1019-is-30-1_final_02-pape.pdf

Paul, T. (2005). Soft Balancing in the Age of U.S. Primacy. *International Security*. Retrieved 07 07, 2018, from <http://sci-hub.tw/https://www.mitpressjournals.org/doi/abs/10.1162/0162288054894652?journalCode=isec>

Peterson, A. (2016, 07 22). *Wikileaks posts nearly 20,000 hacked DNC emails online*. Retrieved from <https://www.washingtonpost.com>: https://www.washingtonpost.com/news/the-switch/wp/2016/07/22/wikileaks-posts-nearly-20000-hacked-dnc-emails-online/?utm_term=.3429f3a3df0f

Putin deplores collapse of USSR. (2005, 04 25). Retrieved 07 07, 2018, from <https://www.bbc.com/news>: <http://news.bbc.co.uk/2/hi/4480745.stm>

(2018). *Putin's Asymmetric Assault on Democracy in Russia and Europe: Implications for U.S. National Security*. Washington : Committee on Foreign Relations United States Senate. Retrieved from <https://www.foreign.senate.gov>: <https://www.foreign.senate.gov/imo/media/doc/FinalRR.pdf>

Roger C. Molander, A. R. (1996). *Strategic Information Warfare: A New Face of War*. Santa Monica: RAND. Retrieved 07 14, 2018, from https://www.rand.org/pubs/monograph_reports/MR661.html

(2017). *Russia Military Power - Building a Military to Support Great Power Aspirations*. Defense Intelligence Agency. Retrieved 06 19, 2018, from <http://www.dia.mil/Portals/27/Documents/News/Military%20Power%20Publications/Russia%20Military%20Power%20Report%202017.pdf>

Russian Election Interference: Europe's Counter to Fake News and Cyber Attacks. (2018, 05 23). Retrieved 06 22, 2018, from <https://carnegieendowment.org>: <https://carnegieendowment.org/2018/05/23/russian-election-interference-europe-s-counter-to-fake-news-and-cyber-attacks-pub-76435>

Rytz, H. (2017, 05 11). *The Rise of Populist Movements in the United States and Europe: Joint Challenge, Joint Answers Needed*. Retrieved 07 14, 2018, from <https://www.aicgs.org>: <https://www.aicgs.org>: <https://www.aicgs.org/2017/05/the-rise-of-populist-movements-in-the-united-states-and-europe/>

Sauter, J. Z. (2010, 12 09). *Everything You Need to Know About Wikileaks*. Retrieved 06 18, 2018, from <https://www.technologyreview.com>: <https://www.technologyreview.com/s/421949/everything-you-need-to-know-about-wikileaks/>

Schneier, B. (2017, 05 23). *Who Are the Shadow Brokers?* Retrieved 06 18, 2018, from <https://www.theatlantic.com>: <https://www.theatlantic.com/technology/archive/2017/05/shadow-brokers/527778/>

Service, R. (2017, 11 15). *Russia is meddling in western politics as it has nothing to lose*. Retrieved 05 20, 2018, from <https://www.theguardian.com>: <https://www.theguardian.com/commentisfree/2017/nov/15/russia-meddle-western-politics-putin-superpower>

Simon Shuster, S. I. (2018, 02 21). *A Former Russian Troll Explains How to Spread Fake News*. Retrieved 06 17, 2018, from <http://time.com>: <http://time.com/5168202/russia-troll-internet-research-agency/>

Smith, P. A. (1989). *On political war*. Washington DC: National Defense University Press. Retrieved 06 13, 2018, from <http://www.dtic.mil/dtic/tr/fulltext/u2/a233501.pdf>

(1981). *Soviet "Active Measures": Forgery, Disinformation, Political Operations*. Washington D.C.: United States Department of State Bureau of Public Affairs. Retrieved 06 21, 2018, from <https://www.cia.gov/library/readingroom/docs/CIA-RDP84B00049R001303150031-0.pdf>

(1981). *Soviet Active Measures: Forgery, Disinformation, Political Operations*. Washington D.C.: United States Department of State Bureau of Public Affairs. Retrieved from <https://www.cia.gov/library/readingroom/docs/CIA-RDP84B00049R001303150031-0.pdf>

(2017). *Summary of the French Election Social Media Landscape Report*. London: Bakamo Social. Retrieved 07 10, 2018, from <https://www.bakamosocial.com/frenchelection/>

Tankard, C. (2011, 08). Persistent threats and how to monitor and deter them Colin Tankard. *Network Security*, 16-19. Retrieved from <https://www.sciencedirect.com>: <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1353485811700861>

Torre, C. d. (2007, 08 31). *The Resurgence of Radical Populism in Latin America*. Retrieved 06 20, 2018, from <http://www.flacsoandes.edu.ec>: http://www.flacsoandes.edu.ec/sites/default/files/agora/files/1215098051.carlos_de_la_torre_1_0.pdf

Toucas, B. (2017, 05 30). *The Macron Leaks: The Defeat of Informational Warfare*. Retrieved 07 10, 2018, from <https://www.csis.org>: <https://www.csis.org/analysis/macron-leaks-defeat-informational-warfare>

Tsantarliotis, P. (2016, 07). *Identification of Troll Vulnerable Targets in Online Social Networks*. Retrieved 06 14, 2018, from <https://www.semanticscholar.org/>:
<https://pdfs.semanticscholar.org/a7e7/954cc2d38b8daf7a9f2e3da2b37da7cc7c11.pdf>

Turchi, M. (2014, 11 24). *The National Front wins the Russian millions*. Retrieved 06 17, 2018, from <https://www.mediapart.fr>: <https://www.mediapart.fr/journal/france/221114/le-front-national-decroche-les-millions-russes>

United States of America VS Internet Research Agency LLC. (2018, 02 16). Retrieved 07 03, 2018, from <https://www.justice.gov>: <https://www.justice.gov/file/1035477/download>

Walkowiak, E. (2017). *Russia's meddling in the French elections: How and why?* Retrieved 07 07, 2018, from <https://electionwatch.unimelb.edu.au>: <https://electionwatch.unimelb.edu.au/articles/russias-meddling-in-the-french-elections-how-and-why>

Walt, V. (2014, 11 25). *French National Front Secures Funding From Russian Bank*. Retrieved 06 17, 2018, from <http://time.com>: <http://time.com/3605080/russia-france-national-front/>

Walt, V. (2017, 01 09). *Why France's Marine Le Pen Is Doubling Down on Russia Support*. Retrieved 07 09, 2018, from <http://time.com>: <http://time.com/4627780/russia-national-front-marine-le-pen-putin/>

What does France's National Front stand for? (2014, 05 28). Retrieved 06 18, 2018, from <http://www.france24.com/en>: <http://www.france24.com/en/20140528-france-national-front-policy-eu>

What is WikiLeaks. (2015, 11 03). Retrieved 06 18, 2018, from <https://wikileaks.org>:
<https://wikileaks.org/What-is-Wikileaks.html>

Whittle, S. K. (2004). *"Conquest from within": a Comparative Analysis between Soviet Active Measures and United States Unconventional Warfare Doctrine*". Retrieved 06 20, 2018, from <https://www.hsdl.org/c/>.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Irma Kilasonia

Foreign country's populism as a foreign policy instrument - Russian
interference in western democratic countries elections

Diplomacy and International Politics

Submitted to obtain a Master degree in Diplomacy and International Relations

Supervisor: Eka Akobia, Associate Professor, PHD in International Relations

Tbilisi, 2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ნინო სინჯარაძე

უმცირესობების როლი საერთაშორისო პოლიტიკაში: ქურთული
საკითხის გავლენა თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებზე

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო
პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ზურაბ დავითაშვილი

სრული პროფესორი

თბილისი

2018

სარჩევი

შესავალი.....	6
1. ქურთების პრობლემის მოკლე ისტორიული მიმოხილვა თურქეთის რესპუბლიკაში	16
1.1. ქურთული ნაციონალიზმის მოკლე ისტორია	16
1.2. თურქეთის პოლიტიკა ქურთული ნაციონალიზმის მიმართ	20
1.3. ევროკავშირის ხედვა თურქეთის დამოკიდებულებისადმი ქურთების მიმართ.....	25
2. ევროკავშირის მოთხოვნები თურქეთის მიმართ ეთნიკური უმცირესობების კონტექსტში და თურქულ-ქურთული განწყობები	31
2.1. ევროკავშირის დოკუმენტები ქურთულ პრობლემასთან მიმართებაში	31
2.2. ოფიციალური თურქეთის კომპრომისები.....	38
2.3. ქურთული უმცირესობის პრო-ევროპული განწყობები	43
3. თურქეთის ქურთული პოლიტიკის ლიბერალიზაცია - აღმავალი და დაღმავალი ფაზები	46
3.1. შეცვლილი დამოკიდებულება ქურთების მიმართ - ლიბერალიზაციის პოლიტიკის დასაწყისი	46
3.2. სამართლიანობისა და განვითარების პარტიის პრო-ევროპული კურსი და ქურთული პოლიტიკის ლიბერალიზაცია	50
3.3. ნეო-ოტომანიზმი, როგორც იდეოლოგია	57
3.4. თურქეთის საგარეო პოლიტიკის ევრო-აზიანიზაცია და ქურთული ლიბერალიზაციის შენელება.....	60
3.5. ანტი-ევროპული რიტორიკის მზარდი ტენდენცია ოფიციალურ დისკურსში და ქურთული ლიბერალიზაციის დაღმასვლა	67
4. ევროკავშირი - თურქეთის რესპუბლიკის რაციონალური არჩევანი	76
დასკვნა	79
ბიბლიოგრაფია	83

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს თურქული პოლიტიკური და სამოქალაქო სექტორისთვის მწვავე და ამავდროულად ძალიან აქტუალური საკითხების, თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობისა და ქურთულ უმცირესობასთან დაკავშირებული პრობლემის, ერთგვარ სინთეზს. ნაშრომში გამოკვლეულია ქურთული პრობლემის მნიშვნელობა თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში და ევროკავშირის გავლენა ოფიციალური თურქეთის მიერ ქურთული უმცირესობის მიმართ გატარებული პოლიტიკური კურსის ტრანსფორმაციაში.

საკვლევი საკითხის აქტუალურობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. პირველ რიგში, აღსანიშნავია უმცირესობების საკითხის როლისა და გავლენის ზრდა საერთაშორისო ურთიერთობებში და ქურთულ ეთნოსთან, როგორც უმცირესობასთან, დაკავშირებული სეპარატიზმის რისკები თურქეთის რესპუბლიკაში (და არა მხოლოდ). საკვლევი საკითხის აქტუალურობას, ასევე, განაპირობებს თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობების ხანგრძლივი დინამიკა და თურქეთის ევროინტეგრაციის ზედმეტად გაჭიანურებული პროცესი.

ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს რა გავლენას ახდენს ქურთული პრობლემა თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებზე და რამდენად მნიშვნელოვანია ევროკავშირის როლი თურქულ-ქურთული ურთიერთობების კონტექსტში. დასახული მიზნების განსახორციელებლად კვლევის ფარგლებში გაანალიზდა რამდენიმე საკვანძო საკითხი, მათ შორის ქურთული პრობლემის წარმოშობა და განვითარება თურქეთის რესპუბლიკაში, ევროკავშირის გავლენის ფაქტორი ქურთული გამოწვევის გადაჭრის მიმართულებით განხორციელებულ ძალისხმევაში და ევროინტეგრაციის პერსპექტივის სანაცვლოდ თურქეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებული კომპრომისები.

კვლევის შედეგად დასტურდება ვარაუდი, რომლის თანახმად, ქურთი უმცირესობის მიმართ თურქეთის მიერ გატარებული პოლიტიკა დამაბრკოლებელი ფაქტორი გახდა თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში, რამაც გააჩინა აუცილებლობა მომხდარიყო არსებული პოლიტიკური კურსის ლიბერალიზაცია. ქურთული პოლიტიკის

ლიბერალიზაციის ე.წ. ოქროს ხანა კი სწორედ იმ პერიოდში ფიქსირდება, როდესაც ევროკავშირში გაწევრიანება ქვეყნის ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტი იყო, ხოლო თვითონ ორგანიზაციის მხრიდან თურქეთის ევროინტეგრაციის იდეისადმი მწვანე შუქი იქნა ანთებული.

N. Sinjaradze

The Role of Minorities in International Politics: Influence of Kurdish Question on Turkey-EU
Relations

Summary

Master's Thesis combines two urgent, highly important issues of Turkish political and civil life – Turkey-European Union relations on the one side and Kurdish Problem on the other. The Thesis represents analysis of the topics below – Importance of Kurdish Issue in Turkey-EU relations context and the role of the European Union actor in Turkey's Kurdish policy Transformation.

There are a few reasons for the urgency of the research topic. Increasing role of minorities in International Relations goes first. Kurdish nation, as a minority, causes severe risks of Separatism in the Republic of Turkey (and not only there). Turkey-EU Long Term relations dynamic and extremely prolonged process of integration represents another reason for the topic urgency confirmation.

The aim of the Thesis is to Study the effects of the Kurdish problem on Turkey-EU bilateral linkage and Importance of the European Union involvement in Turkish-Kurdish relations. As for the task of the research. It means analysis of some key issues, such as roots and further development of the Kurdish problem in the Republic of Turkey, The role of the EU in an attempt to solve the problem and official Turkish reforms for the sake of accession prospect.

The research proves the suggestion that Turkey's policy in reference with Kurdish minority became an obstacle in Turkey-EU relations, which caused Turkish authorities decision to liberalize its Kurdish attitude. The "Golden Age" of Kurdish policy liberalization happens when Turkey's EU accession is urgently prioritized by Turkish Government on the one hand and highly supported by the European Union on the other hand.

შესავალი

სამაგისტრო კვლევის თემას წარმოადგენს თურქეთის ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური საკითხის, ქურთულ უმცირესობასთან დაკავშირებული პრობლემის, ანალიზი და აღნიშნული პრობლემის გავლენის შეფასება ევროკავშირთან ურთიერთობის დინამიკაზე, რაც, თავის მხრივ, არანაკლებ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ქვეყნის ხელისუფლებისთვის. აქედან გამომდინარე, ნაშრომი სათაურით „უმცირესობების როლი საერთაშორისო პოლიტიკაში: ქურთული საკითხის გავლენა თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებზე“, თურქული საზოგადოებისთვის და პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის ორი მწვავე, შეიძლება ითქვას ეგზისტენციური მნიშვნელობის, საკითხის, ერთგვარ სინთეზს ქმნის.

საკვლევი საკითხის აქტუალურობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. პირველ რიგში აღვნიშნავ უმცირესობების როლისა და გავლენის ზრდას საერთაშორისო ურთიერთობებში. ეთნიკური, რელიგიური, კულტურული უმცირესობები ბოლო რამდენიმე ათწლეულია ქვეყნის ერთიანობის წინააღმდეგ მიმართულ მნიშვნელოვან პრობლემად და საბოლოო ჯამში, საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე გამოწვევად იქცა. ამ მიმართულებით თვალსაჩინო მაგალითს სწორედ ქურთული ეთნოსი წარმოადგენს. უდიდესი ერი სახელმწიფოს გარეშე, რომელიც ძირითადად ოთხ ქვეყანაში - თურქეთში, ერაყში, სირიაში და ირანშია - განსახლებული და მათი ე.წ. თვითგამორკვევის საკითხი თითოეულ სახელწიფოში, განსაკუთრებით თურქეთში, სეპარატიზმის რისკებთანაა დაკავშირებული.

საკვლევი საკითხის აქტუალურობას მნიშვნელოვანწილად თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობების ხანგრძლივი, გაჭიანურებული დინამიკა განაპირობებს. ოფიციალური განაცხადი ორგანიზაციაში გაწევრიანების თაობაზე რესპუბლიკამ ჯერ კიდევ 1987 წელს გააკეთა. მას შემდეგ ევროკავშირის საზღვრები მნიშვნელოვნად, ძირითადად პოსტ-საბჭოური სივრცის ქვეყნების ხარჯზე, გაფართოვდა. თურქეთი კი ჯერ ისევ გაწევრიანების მოლოდინშია და შეიძლება ითქვას, ახლა აღნიშნული მიზნის რეალიზაციის კიდევ უფრო ნაკლები პერსპექტივა გააჩნია.

კვლევის პროცესში, ჩემი, როგორც ნაშრომის ავტორის, მთავარი მიზანია გამოვკვეთო, რა გავლენას ახდენს ქურთული პრობლემა თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებზე და რამდენად მნიშვნელოვანია ევროკავშირის როლი თურქულ-ქურთული ურთიერთობების კონტექსტში. დასახული მიზნის რეალიზაციისთვის ფოკუსირებას რამდენიმე ძირითადი ამოცანის რეალიზაციაზე მოვახდენ. გავაკეთებ ქურთისტანის პრობლემის ანალიზს და ამ პრობლემის ჩამოყალიბებასა და შემდგომ გაღრმავებაში თურქეთის სახელმწიფოს როლს შევისწავლი. გამოვიკვლევე ევროკავშირის გავლენის ფაქტორს ქურთული გამოწვევის გადაჭრის მიმართულებით განხორციელებულ ძალისხმევაში და ევროინტეგრაციის პერსპექტივის სანაცვლოდ ოფიციალური თურქეთის მიერ განხორციელებულ კომპრომისებს შევაფასებ.

სამაგისტრო კვლევის ფარგლებში შევეცდები პასუხი გავცე საკვანძო კითხვას - რა როლი ითამაშა ევროკავშირმა თურქეთის პოლიტიკის ლიბერალიზაციაში ქურთული უმცირესობის მიმართ? აღნიშნული კითხვის პასუხის ავტორისეული ვერსიას წარმოადგენს შემდეგი დაშვება: ქურთი უმცირესობის მიმართ თურქეთის მიერ გატარებული პოლიტიკა დამაბრკოლებელი ფაქტორი გახდა თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში, რამაც გააჩინა აუცილებლობა მომხდარიყო არსებული პოლიტიკური კურსის ლიბერალიზაცია. ჩამოყალიბებული ჰიპოთეზის დასადასტურებლად საჭიროა მოხდეს მტკიცე მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის მიმართ ევროკავშირის პოზიციასა და ქურთულ უმცირესობასთან მიმართებაში თურქეთის პოლიტიკის ლიბერალიზაციას შორის. მხარეებს შორის საბაჟო კავშირის ამოქმედება და თურქეთის რესპუბლიკისთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭება მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის შუალედურ რგოლებს წარმოადგენს, რომლებმაც ოფიციალური თურქეთის გადაწყვეტილებაში, მოეხდინა ქურთული პოლიტიკის ლიბერალიზაცია, მნიშვნელოვანი სტიმულის როლი შეასრულეს.

აღნიშნულ სამაგისტრო კვლევას, ისევე როგორც ნებისმიერ აკადემიურ ნაშრომს, გააჩნია თავისი პრაქტიკული დანიშნულება. ჩემი, როგორც ავტორის მიზანია, სამაგისტრო ნაშრომმა გარკვეული წვლილი შეიტანოს საკვლევი საკითხის შესახებ შემუშავებული ლიტერატურის გამდიდრებაში. მითუმეტეს, რომ საკვლევი თემის გარშემო არსებული

ქართულენოვანი აკადემიური წყაროები არც ისე მრავალფეროვანია. სამაგისტრო ნაშრომის პრაქტიკული მიზანია შეასრულოს ე.წ. დამხმარე ლიტერატურის როლი აკადემიურ სფეროში, იყოს გამოსაყენებელი წყარო საერთაშორისო ურთიერთობებისა და ზოგადად, პოლიტიკის მეცნიერების სტუდენტებისთვის, მათ მიერ სამომავლოდ განსახორციელებელ კვლევით საქმიანობაში.

ნაშრომი ძირითადად თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას დაეფუძნება. „პროცესის მიდევნების“ (process tracing) საფუძველზე მოხდება ფაქტებისა და განვითარებული მოვლენების ანალიზი. ევროკავშირისა და თურქეთის ოფიციალური დოკუმენტების (რეზოლუციები, გაწვევრიანების სამოქმედო გეგმები, პროგრესის შეფასების მოხსენებები, რეკომენდაციები, თურქეთის მიერ შემუშავებულ ეროვნულ გეგმები, ევროკავშირის მიმართ გაქდერებულ ოფიციალურ პასუხები, დემოკრატიზაციის პაკეტი) შესასწავლად გამოყენებული იქნება „კონტენტ ანალიზის“ მეთოდი. „შედარებით ანალიზზე“ დაყრდნობით მოხდება პარალელის გავლება ოფიციალური თურქეთის მიერ ქურთულ უმცირესობასთან მიმართებაში გატარებულ პოლიტიკურ კურსებს შორის ლიბერალიზაციის აღმავალ, შედარებით შენელებულ (სტაბილურ) და დაღმავალ ეტაპებზე.

ნაშრომში თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებზე და ამ ურთიერთობების კონტექსტში ქურთული პრობლემის როლზე დაწერილი მოცულობითი ლიტერატურა იქნა გამოყენებული. მათ შორის არის არაერთი წიგნი, სტატია, აკადემიური ნაშრომი და ოფიციალური დოკუმენტი. კვლევის პროცესში საკმაოდ ღირებული აღმოჩნდა ნატალი ტოჩის ნაშრომი „ევროკავშირი და კონფლიქტის გადაჭრა: მშვიდობის მხარდაჭერა უკანა ეზოში“, ნასისა და ოზერის „თურქეთი და ევროკავშირში ინტეგრაცია: მიღწევები და გამოწვევები“, ჯენგიზისა და ჰოფმანის „თურქეთი და ევროკავშირი: ახალი გამოწვევებისა და შესაძლებლობების პირისპირ“, ზელალ ქისაჯიქის „უმცირესობების უფლებების ევროპეიზაცია: დისკურსი, პრაქტიკა და ცვლილება თურქეთში“, საიმონ ჰადადის „ქურთები თურქეთში: კონტექსტი და ამჟამინდელი სტატუსი“, ზეინეფ ქაიას „ეროვნებათა რუკები: ქურთისტანი, ქურთული ნაციონალიზმი და საერთაშორისო საზოგადოება“, ქემალ ქირიშჯის „ქურთული საკითხი და თურქეთის საგარეო პოლიტიკა“. მნიშვნელოვანი ინფორმაცია იქნა მოძიებული აკადემიური ნაშრომებიდან,

სტატიებიდან და კვლევითი დოკუმენტებიდან. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ენდრიუ ჯერეზის „თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანება და ქურთული საკითხი“, იასინ ბორის „ქურთული საკითხის გავლენა თურქეთის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე დასავლურ სამყაროსთან მიმართებაში“, მურათ ოსმას „ქურთული პრობლემის რეკონსტრუქცია სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მიერ ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში“, ალი ბალჯის „ქურთული მოძრაობის პოლიტიკა ევროკავშირის მიმართ თურქეთში: დისიდენტური ეთნიკური გაერთიანების საგარეო პოლიტიკის ანალიზი“, ატილა ერალპის „თურქეთი გაფართოების პროცესში: ლუქსემბურგიდან ჰელსინკამდე“, სევდა არსლანის „ენობრივი პოლიტიკა თურქეთში და მისი გავლენა ქურთულ ენაზე“, დილექ ქურბანის „ევროპა როგორც ცვლილების აგენტი: ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოსა და ევროკავშირის როლი თურქეთის პოლიტიკაში ქურთების მიმართ“ და „ევროპისკენ და უკან: ქურთების ბრძოლის სამი ათწლეული თურქეთში“. ზემოთხსენებულ წყაროებში გაანალიზებულია ქურთული პრობლემის წარმოშობა და გაღრმავება თურქეთის რესპუბლიკაში, აღნიშნული პრობლემის გავლენა თურქეთისა და დასავლური სამყაროს, განსაკუთრებით თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებზე, ოფიციალური თურქეთის მიერ გატარებული პოლიტიკა ქურთულ უმცირესობასთან მიმართებაში, ევროკავშირის როლი თურქეთის მიერ ქურთული ეთნოსის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად განხორციელებულ რეფორმებში და ა.შ. კვლევის პროცესში გაანალიზებულ იქნა ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული რეგულარული ანგარიშები თურქეთის რესპუბლიკის მიერ განხორციელებული პროგრესის შესახებ: „კომისიის რეგულარული მოხსენება გაწევრიანების პროცესში თურქეთის მიერ დაფიქსირებული პროგრესის თაობაზე 1998-2018“; ევროპარლამენტის რეზოლუციები: „რეზოლუცია სომხური საკითხის პოლიტიკური გზით გადაჭრის თაობაზე“ (1987წ), „ევროპარლამენტის რეზოლუცია თურქეთის პროგრესის შეფასების 2011 წლის მოხსენებაზე“; რეპორტები და პრესრელიზები: „მოხსენება თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე გაკეთებული განაცხადის შესახებ“, „ევროპული პარლამენტის კრიტიკული შეფასება თურქეთში რეფორმების პროცესის შენელებასთან დაკავშირებით“; ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებები: „საბჭოს გადაწყვეტილება თურქეთისთვის

შემუშავებული გაწევრიანების სამოქმედო დოკუმენტის პრინციპებთან, პრიორიტეტებთან, შუალედურ მიზნებთან და პირობებთან დაკავშირებით“ (2001, 2008 წლების დოკუმენტები); ოფიციალური დოკუმენტაცია წარმოადგენს ღირებულ წყაროებს ქურთული უმცირესობის წარმომადგენლების მდგომარეობის შესახებ თურქეთში, ხელისუფლების მიერ განხორციელებულ რეფორმებამდე და რეფორმების შემდეგ, გვაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას ევროკავშირისა და მისი ინსტიტუტების მიერ შემუშავებული პოზიციის შესახებ ქურთულ პრობლემასთან მიმართებაში. კვლევის პროცესში, ასევე, შესწავლილი იქნა თურქეთის ოფიციალური დოკუმენტები: რესპუბლიკის 1982 წლის უზენაესი კანონი, „ეროვნული პროგრამა ევროკავშირის მოთხოვნების შესასრულებლად“ (NPAA, 2001), ე.წ. ჰარმონიზაციის პაკეტი, აჰმედ დავუთოღლუს საგარეო პოლიტიკური დოკუმენტი „სტრატეგიული სიღრმე“ და ა.შ. ხსენებულ დოკუმენტებში გაანალიზებულია თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის ფორმირების საფუძვლები, თურქეთის ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები და განხორციელებული კომპრომისები ქურთულ უმცირესობასთან მიმართებაში და სხვა. კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნა სტატიები ინგლისურენოვანი გამოცემებიდან - The New York Times, The Guardian, Financial Times, Daily News, Reuters, ასევე, სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის ვებ-გვერდიდან და ა.შ. სტატიებში თავმოყრილი ინფორმაცია, ძირითადად, გამოყენებული იქნა ოფიციალური თურქეთის ენტი-ევროპული რიტორიკის მზარდი ტენდენციის შესასწავლად და გასაანალიზებლად.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურას რაც შეეხება: ნაშრომი შესავალს, სამი თავისგან შემდგარ ძირითად ნაწილს და დასკვნას აერთიანებს. თითოეული თავი, თავის მხრივ, რამდენიმე ქვეთავს მოიცავს. ნაშრომის პირველი თავი თურქეთის რესპუბლიკაში ქურთების პრობლემის მოკლე ისტორიულ მიმოხილვას მიეძღვნება: პირველ ნაწილში ქურთული ნაციონალიზმის ისტორიულ საფუძვლებზეა საუბარი. როდის დაიწყო ერის გამოცოცხლება და რა ფაქტორებმა განაპირობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ტალღის აგორება. ნაციონალიზმის პირველი ნიშნები მე-19 საუკუნეში გაჩნდა, როდესაც ოტომანთა იმპერიის ფარგლებში ავტონომიის მაღალი ხარისხით მოსარგებლე ქურთულ ეთნოსს თავისუფლება მნიშვნელოვნად შეეზღუდა. აჯანყებებისა და

საპროტესტო გამოსვლების რამდენიმე დეკადიანმა ისტორიამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს შექმნის იდეა განუხორციელებელი დარჩა. ქვეთავში ყურადღებას გავამახვილებ 1920 წლის სევრის შეთანხმებაზე, რომლითაც პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულმა ქვეყნებმა დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნა ფაქტობრივად დააკანონეს (თურქეთის საპასუხო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად სევრის შეთანხმება ლოზანის ხელშეკრულებით შეიცვალა (1923 წ.). ახალ პოლიტიკურ დოკუმენტში ქურთული სახელმწიფოს შექმნაზე არც ერთი სიტყვა იყო ნახსენები). სევრის შეთანხმება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტია. აღნიშნულმა ხელშეკრულებამ თურქულ აღქმაში ქვეყნის დეზინტეგრაციის ქვეცნობიერი შიში გააჩინა, რომელიც მნიშვნელოვანწილად ქურთული სეპარატიზმის მოლოდინით იყო განპირობებული.

მეორე ქვეთავში განვიხილავ თურქეთის პოლიტიკას ქურთული ნაციონალიზმის მიმართ. რა როლი შეასრულა თურქეთის ხელისუფლებამ ქურთული პრობლემის წარმოშობასა და გაღრმავებაში. აქცენტს გავაკეთებ ე.წ. მონოეთნიკური საზოგადოების ფორმირების იდეაზე და თურქიფიკაციის ინტენსიურ პროცესზე, რომელიც განსაკუთრებით მწვავედ ქურთულ მოსახლეობას შეეხო. ქვეთავში ვისაუბრებ ათეულობით წლის განმავლობაში ოფიციალური თურქეთის მიერ ქურთულ უმცირესობასთან მიმართებაში გატარებულ დისკრიმინაციულ პოლიტიკაზე - რამდენად მკაცრად იდევნებოდა და ძალადობრივად იხშობოდა ქურთული იდენტობის გაამოვლინების მცდელობები, ნადგურდებოდა კულტურული ფასეულობები და რამდენად ძლიერი იყო ოფიციალური თურქეთის მცდელობა ქურთულ ერში სახელმწიფოებრივი ელემენტები გაენადგურებინა.

პირველი თავის ბოლო ქვეთავი მიემდვნება ევროკავშირის ხედვას თურქეთის დამოკიდებულებისადმი ქურთული უმცირესობის მიმართ. ამ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია ევროკავშირის მიერ თურქეთის ქურთული პრობლემით დაინტერესების საკითხზე: როდის გაჩნდა აღნიშნული საკითხი ევროკავშირის პოლიტიკურ დღის წესრიგში, რამდენად სწრაფად გაიზარდა პრობლემის აქტუალურობა, როგორი იყო ორგანიზაციის შემადგენელი ინსტიტუტების რეაქცია

ოფიციალური თურქეთის მიერ ქურთული უმცირესობის მიმართ გატარებული დისკრიმინაციული პოლიტიკის მიმართ. ყურადღება გამახვილებულია ქურთული პრობლემის, როგორც თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობების შემაფარხებელი ფაქტორის, როლზე, განსაკუთრებით ორმხრივი საბაჟო შეთანხმების ამოქმედებისა და თურქეთისთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების კონტექსტში.

სამაგისტრო ნაშრომის მეორე თავში განიხილება ევროკავშირის მოთხოვნები თურქეთის მიმართ ეთნიკური უმცირესობების კონტექსტში და ამ მოთხოვნებისადმი თურქულ-ქურთული პოლიტიკურ-სამოქალაქო სექტორის დამოკიდებულება. პირველ ნაწილში შესწავლილია უშუალოდ ევროკავშირის დოკუმენტები - რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ზოგადად, უმცირესობების პრობლემას ორგანიზაციის კანონმდებლობაში და რომელი ხელშეკრულებებითა და კონვენციებით რეგულირდება აღნიშნული საკითხი. გაანალიზებულია ევროპარლამენტის, ევროპის საბჭოსა და ევროკომისიის რეზოლუციები, გადაწყვეტილებები, ოფიციალური პრეს რელიზები, რეგულარული მოხსენებები და ა.შ. აღნიშნული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილია ევროკავშირის პოზიცია ქურთულ საკითხთან მიმართებაში, იდენტიფიცირებულია ორგანიზაციის პოლიტიკური ინსტიტუტების მიერ თურქეთისთვის წყენებული მოთხოვნები, ქურთული პრობლემის მშვიდობიანი, სამოქალაქო გზით გადაჭრასთან დაკავშირებით. ქვეთავში თავმოყრილი ინფორმაცია კიდევ ერთხელ ადასტურებს ქურთული საკითხის მაღალ პრიორიტეტულობას თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში.

მეორე ნაწილი უშუალოდ თურქეთის ხელისუფლების მხრიდან ევროკავშირის მიმართ გადადგმულ თანმხვედრ ნაბიჯებს შეეხება. ქვეთავში აქცენტი გაკეთდება ოფიციალური თურქეთის თავდაპირველ კომპრომისებზე, რომლის ფარგლებში ქურთული საკითხის პრობლემად აღიარება და მისი გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება დაიწყო. ქურთულ საკითხზე არსებული ტაბუ ეტაპობრივად იხსნება და ოფიციალური პოლიტიკური დისკურსი ქურთული გამოწვევის მიმართ უფრო გახსნილი ხდება. თურქულ-ქურთულ ურთიერთობებში გარე ძალების ჩარევის რამდენიმე დეკადიანი აკრძალვა ფაქტობრივად დასრულდა, როდესაც ევროკომისიამ აღნიშნული

ურთიერთობების შესწავლა და მასზე რეგულარული ანგარიშის მომზდება დაიწყო (1998 წლიდან).

დასკვნით ქვეთავში ქურთული უმცირესობის პრო-ევროპული განწყობები განიხილება. აქცენტი გაკეთებულია ქურთული პოლიტიკური სექტორის და ევროპული დიასპორის მიერ თურქეთის ევროკავშირში ინტეგრაციის იდეის მტკიცე მხარდაჭერაზე და ამ მხარდაჭერის მოტივებზე. ქურთული პოლიტიკური სექტორის მიერ თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების იდეის ლობირების დასტურად მოშველიებულია ჩანაწერები ოფიციალური წერილებიდან და დეკლარაციებიდან. ასევე, ყურადღება გამახვილებულია XXI საუკუნის დასაწყისიდან ქურთული უმცირესობის პრო-ევროპული განწყობების შესუსტებაზე და აღნიშნული ფენომენის გამომწვევ მიზეზებზე.

მესამე თავი თურქეთის ქურთული პოლიტიკის ლიბერალიზაციის აღმავალ, შენელებულ და დაღმავალ ფაზებს შეეხება. პირველი ქვეთავი ლიბერალიზაციის პოლიტიკის დასაწყისს მიემდგინება. აღნიშნული პერიოდი ჰელსინკის 1999 წლის სამიტის შემდეგ დაიწყო, როდესაც თურქეთის რესპუბლიკამ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი ოფიციალურად მიიღო. ქვეთავში განსაკუთრებულ აქცენტი გაკეთებულია საკანონმდებლო რეფორმაციის, ე.წ. „ჰარმონიზაციის“ პროცესზე, რომლის შედეგადაც დაიწყო ქურთული უმცირესობის კულტურისა და იდენტობის ელემენტების ეტაპობრივი აღიარება, ათეულობით წლის განმავლობაში შეხალული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების აღდგენა, ქურთული უმცირესობის წარმომადგენლების თურქეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრაციაზე ზრუნვა.

შემდეგი ნაწილი სამართიანობისა და განვითარების პარტიის პრო-ევროპული კურსისა და ქურთული პოლიტიკის ლიბერალიზაციის განხილვას დაეთმობა. საუბარია სახელისუფლებო პარტიის მიერ ქურთული საკითხისადმი სრულიად ახლებური ხედვის ჩამოყალიბებაზე, კულტურული და სამოქალაქო იდენტობის ელემენტების ეტაპობრივ აღდგენაზე, ქურთულენოვანი მაუწყებლობის, განათლების, მწერლობის უფლების პრაქტიკულ რეალიზაციაზე. აღნიშნულ ქვეთავში განხილულია

ოფიციალური თურქეთის მიერ ქურთულ უმცირესობასთან მიმართებაში განხორციელებული კომპრომისები და ლიბერალიზაციის მასშტაბები. მოშველიებულია ევროკომისიის ოფიციალური შეფასებები, ყოველწლიური პროგრესის შეფასების მოხსენებებიდან. შეფასებებში ნათლად იკვეთება ევროინტეგრაციის პროცესში თურქეთის ხელისუფლების მიერ გადადგმული თანმხვედრი ნაბიჯები ქურთული პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის უზრუნველსაყოფად.

მესამე ნაწილში საუბარია ნეო-ოტომანიზმის დოქტრინაზე და აღნიშნული იდეოლოგიის შემოჭრაზე თურქეთის ოფიციალურ პოლიტიკურ დისკურსში. სწორედ ნეო-ოტომანისტური ასპექტების მომძლავრებას უკავშირდება სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მეორე სახელისუფლებო ვადიდან თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის მნიშვნელოვანი მოდიფიცირება. ერთ დროს უალტერნატივო პრო-ევროპული ვექტორის გვერდით სახელისუფლებო პარტიის პროგრამაში აღმოსავლური აქცენტები ჩნდება.

შემდეგი ქვეთავი მიემდვინება ევროკავშირის მიმართ თურქული ენთუზიაზმის თანდათანობით კლებას და ქურთული ლიბერალიზაციის „ოქროს ხანის“ დასასრულს. ლიბერალიზაციის კურსი ძალაში რჩება, მაგრამ შედარებით შენელებული ტემპებით. აღნიშნულ ქვეთავში ყურადღება გამახვილებულია თურქულ-ქურთული ურთიერთობების დინამიკაზე, რომელიც როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ ასპექტებს აერთიანებს. მოშველიებულია ევროკომისიის პროგრესის შეფასების ყოველწლიური მოხსენებები და გაანალიზებულია ოფიციალური თურქეთის მხრიდან ქურთული პოლიტიკის ლიბერალიზაციის შესუსტების ტენდენცია.

მესამე თავის დასკვნით ქვეთავში საუბარია თურქულ-ქურთული ურთიერთობების გაუარესებაზე, ლიბერალიზაციის პოლიტიკის დადმასვლაზე და ქურთული მოსახლეობის მიმართ ოფიციალური თურქეთის მხრიდან ტერორისა და რეპრესიების პოლიტიკის განახლებაზე. გაანალიზებულია სახელისუფლებო ავტორიტარიზმის მზარდი ტენდენცია, სირიის ქურთული რეგიონის დაწინაურება და თურქეთ-ევროკავშირის შორის ურთიერთობების გაცივება, როგორც ქურთული ლიბერალიზაციის დადმასვლის სავარაუდო გამომწვევი მიზეზები. იმდენად, რამდენადაც

ევროინტეგრაციის პერსპექტივა წარმოადგენდა ქურთული ლიბერალიზაციის მთავარ განმაპირობებელ ფაქტორს, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობების გაუარესებულ დინამიკაზე. ყურადღება გამახვილებულია ანტიევროპული რიტორიკის შემოსვლაზე ოფიციალურ პოლიტიკურ დისკურში და გაანალიზებულია ევროსკეპტიციზმის მზარდი ტენდენცია.

თურქეთის ქცევა ევროკავშირთან მიმართებაში პოლიტიკური რეალიზმის მიერ ჩამოყალიბებული ეროვნული ინტერესების ლოგიკით აიხსნება, რომლის თანახმად, სახელმწიფოს ინტერესი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარ ორიენტირს წარმოადგენს. უფრო ვიწრო კონტექსტში აღნიშნული ქცევის გასაგებად რაციონალური აქტორის მოდელი გამოდგება - სახელმწიფო აღიქმება რაციონალური გადაწყვეტილების მიმღებ უნიტარულ აქტორად, რომლის ქმედებები მაქსიმალურ ღირებულებებზეა გათვლილი. ქვეყნის რაციონალური არჩევანი ამ უკანასკნელის ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უსაფრთხოების გამოძახილია. კონკრეტული ქეისის თეორიულ ჭრილში განხილვისას ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ევროინტეგრაცია, როგორც სახელმწიფოს ეროვნული ინტერესი, იყო ის უზენაესი კრიტერიუმი, რომლითაც ევროკავშირთან ურთიერთობებში თურქეთი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. ევროინტეგრაციის პროცესში გადადგმული ნაბიჯები და ქურთული ეთნოსის მიმართ განხორციელებული კომპრომისები წარმოადგენდა ოფიციალური თურქეთის წინასწარგანზარხულ ნაბიჯებს, ევროკავშირში გაწევრიანების, როგორც ქვეყნის რაციონალური არჩევანის, რეალიზაციის უზრუნველსაყოფად.

თავი I. ქურთების პრობლემის მოკლე ისტორიული მიმოხილვა თურქეთის რესპუბლიკაში

1.1. ქურთული ნაციონალიზმის მოკლე ისტორია

ქურთული ეთნოსი წარმოადგენს ყველაზე მრავალრიცხოვან ერს ახლო აღმოსავლეთის იმ ეთნოსთა შორის, რომელსაც სახელმწიფოებრიობა არ გააჩნია. ქურთისტანი ახლო აღმოსავლეთის რეგიონის შიდა ნაწილში მდებარე მთიანი მხარეა, რომელიც დაახლოებით 350 ათას კვ. კილომეტრს ფარავს. აღმოსავლეთით ქურთისტანს ემიჯნება ურმის ტბა (ირანში), სამხრეთით ალ-ჯაზირა (სირიასა და ერაყში) და მარდინის დაბალმთიანეთი (თურქეთში), დასავლეთით აღმოსავლეთ ტავროსის ქედი (თურქეთში), ჩრდილოეთით (თურქეთის აღმოსავლეთ ანატოლიაში) გეოგრაფიული ქურთისტანის საზღვარი ნაკლებ მკაფიოა. (გაჩეჩილაძე, 2003: 292)

ამ მთიან მხარეში უხსოვარი დროიდან მოსახლე ქურთები მე-20 საუკუნის მეორე დეკადამდე ოსმალეთის იმპერიის ერზრუმის, ერზინჯანის, ვანის ვილაიეთებში სომხებთან და თურქებთან ერთად შერეულად ცხოვრობდნენ. ოსმალეთის მთავრობის მიერ 1915-1917 წლებში სომხების, ასირიელებისა და იეზიდის ქურთების წინააღმდეგ განხორციელებული ეთნიკური წმენდის შემდეგ მუსლიმმა ქურთებმა მოსახლეობის ძირითადი ნაწილი შეადგინეს. სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში, ირანის დასავლეთ პროვინციებსა და ჩრდილოეთ ერაყში მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქურთულ ეთნოსს განეკუთვნება (გაჩეჩილაძე, 2003: 292).

მე-16 საუკუნეში ქურთები ოტომანთა იმპერიის ბატონობის ქვეშ აღმოჩნდნენ. მოხდა ქურთული ეთნოსის გადანაწილება ემირატებად წოდებულ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებში, რომლებიც ავტონომიის საკმაოდ მაღალი ხარისხით სარგებლობდნენ და ოფიციალურად სტამბულს ემორჩილებოდნენ (Haddad, 2001: 89). დაახლოებით ორი საუკუნის განმავლობაში ქურთული ეთნოსი მშვიდობიანად ცხოვრობდა. მათთვის მისაღები აღმოჩნდა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობის ის ფორმა, რომელიც ოტომანთა იმპერიის მიერ იქნა შეთავაზებული.

ვითარება რადიკალურად მეცხრამეტე საუკუნიდან იცვლება. ცვლილებებს საფუძველი ოტომანების მიერ დაწყებულმა ცენტრალიზაციის პოლიტიკამ ჩაუყარა, რომელიც ქურთულ ემირატებზე კონტროლის გამკაცრებას გულისხმობდა და მათგან მეტ მორჩილებას მოითხოვდა. თავისუფლების ხარისხის შეზღუდვამ ქურთული ეთნოსის უკმაყოფილება და მათში სეპარატისტული და ნაციონალისტური განწყობების გაჩენა განაპირობა. ადრეული ქურთული ნაციონალიზმის პირველ ნიშნებად ქორ მუჰამედ ფაშასა და ბედირჰან ფაშას აჯანყებები მიიჩნევა. ქურთი ლიდერების ამბოხი წარმოადგენდა პროტესტს ოტომანთა იმპერიის მიერ გატარებული ცენტრალიზაციის პოლიტიკისა წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა იმპერიის ფარგლებში არსებულ ქურთულ პროვინციებზე კონტროლის დამყარებას. ქურთული ნაციონალიზმის მორიგ ტალღას სათავე შეიხმა უბეიდულაჰმა დაუდო. შეიხის აჯანყების ოფიციალურ მიზანს დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს ჩამოყალიბება წარმოადგენდა. ბრიტანეთის კონსულთან მიმოწერაში უბეიდულაჰი აცხადებს, რომ „აქვს საფუძვლიანი გეგმა გააერთიანოს ქურთული ეთნოსი ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში“ (Kaya, 2012: 114)

მეცხრამეტე საუკუნის ამბოხებების სერია რეალური შედეგის გარეშე დასრულდა. აჯანყებული ლიდერების დიდი ნაწილი ოჯახებთან ერთად იმპერიის სხვადასხვა ნაწილში, ძირითადად სტამბულში, გადაასახლეს. გადასახლების მიზანს ნაციონალისტური განწყობების ჩახშობა წარმოადგენდა, რეალურად კი მოხდა პირიქით. ქურთული ნაციონალიზმის იდეა კიდევ უფრო გაძლიერდა. გადასახლებულმა ლიდერებმა დაიწყეს ჟურნალ-გაზეთების გამოცემა, დააფუძნეს საზოგადოებრივი გაერთიანებები. აღსანიშნავია ძმები ბედირჰანების მიერ დაფუძნებული პერიოდული გამოცემა „ქურთისტანი“, რომელიც 1898-1902 წლებში ჯერ შვეიცარიაში, შემდეგ ქაიროში და ევროპის რამდენიმე ქალაქში იბეჭდებოდა. ჟურნალის მიზანს ქურთული მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, ქურთული ენის, ლიტერატურის, კულტურისა და ისტორიის პოპულარიზაცია წარმოადგენდა.

სტამბულში მცხოვრებმა ქურთული ელიტის ნაწილმა, „ახალგაზრდა თურქი“-ის მებრძოლებთან ერთად, ქურთული ნაციონალიზმის იდეის გასაძლიერებლად, არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელა. მათ შორის ყველაზე ქმედით ნაბიჯს „ერთიანობისა და პროგრესის კომიტეტის“ დაფუძნება წარმოადგენდა. სწორედ

აღნიშნული კომიტეტის საქმიანობას უკავშირდება 1908 წლის რევოლუცია, ქურთული მოსახლეობისთვის კულტურული, ინტელექტუალური, პოლიტიკური თავისუფლების მოსაპოვებლად. რევოლუციის ერთ-ერთ მონაპოვარს სტამბულში ქურთული ასოციაციებისა და საზოგადოებების მომრავლება წარმოადგენდა. ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი „დახმარებისა და ქურთული პროგრესის უზრუნველყოფის საზოგადოება“ -ორგანიზაცია, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქურთული ეთნოსის ცნობიერებისა და თვითშეგნების ამაღლების საქმეში (Kaya, 2012: 117-118).

ამ პერიოდის ქურთულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს და საზოგადოებებს ცალსახად ნაციონალისტურ ორგანიზაციებად ვერ განვიხილავთ. ისინი წარმოადგენდნენ ოტომანთა იმპერიის ფარგლებში ფუნქციონირებად დაწესებულებებს, რომელთა მოტივი ქურთული მოსახლეობის განათლება, მოდერნიზაცია და დაცვა იყო, რაც, საბოლოო ჯამში, მთლიანი იმპერიის განვითარების წისკვილზე ასხამდა წყალს. მეორე მხრივ, აღნიშნული ორგანიზაციის ლიდერების ბრძოლა მნიშვნელოვანწილად ძალაუფლებისა და ტერიტორიული კონტროლის დაბრუნების სურვილით იყო განპირობებული, რომელიც მათ ოტომანთა მიერ გატარებული ცენტრალიზაციის პოლიტიკის შედეგად დაკარგეს. აქედან გამომდინარე, ადრეულ ქურთულ ნაციონალიზმს ქურთი ეთნოსის ერთიან განმათავისუფლებელ ბრძოლად ვერ განვიხილავთ. ეს, უფრო მეტად, ე.წ. ქურთული „ნაციონალისტური ელიტის“ ვისწრო, პერსონალურ ინტერესებზე ორიენტირებული მოძრაობა იყო (Kaya, 2012: 118).

ნაციონალიზმი, კლასიკური გაგებით, ქურთულ ეთნოსში მე-20 საუკუნის 20-იან წლებში გაჩნდა. ქურთი ლიდერების ნაწილმა, ემინ ალი ბედირჰანისა და საიდ აბდულ ქადირის თაოსნობით, ღია ქურთული ნაციონალიზმის გზა აირჩია და 1918 წელს „საზოგადოება ქურთული ეთნოსის განვითარებისთვის“ (Society for the Advancement of the Kurds) დააფუძნა. ახალ ნაციონალისტურ მიმდინარეობაში ორი განსხვავებული მიმართულება გამოიკვეთა: პირველი მათგანი (აბდულ ქადირის ხელმძღვანელობით) ოტომანთა იმპერიის საზღვრებში გაერთიანებული ქურთისტანის ავტონომიის ჩამოყალიბებას უჭერდა მხარს, მაშინ, როდესაც მეორე მიმდინარეობა (ალი ბედირჰანის

ხელმძღვანელობით) დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნას ლობირებდა (პატარა ქურთისტანი - ირანისა და ერაყის ნაწილების გამოკლებით). (Kaya, 2012: 122).

ზემოთხსენებული პოზიციების ერთგვარ სინთეზს 1920 წლის სევრის ხელშეკრულება წარმოადგენდა. აღნიშნული შეთანხმება, როგორც პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული ოსლამეთის იმპერიის დანაწევრების მცდელობა, აღმოსავლეთ ანატოლიაში დამოუკიდებელი ქურთისტანი შექმნის იდეას აკანონებდა. თურქების მიერ წარმოებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად სევრის შეთანხმება ლოზანის ხელშეკრულებამ შეცვალა (1923 წ), სადაც ქურთული ავტონომიის და მითუმეტეს, დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნის იდეა ნახსენებიც არაა (გაჩეჩილაძე, 2003: 292).

ქურთული ნაციონალიზმის ადრეული ისტორია, შეიძლება ითქვას, პირველი მსოფლიო ომით მთავრდება. აჯანყებებისა და საპროტესტო გამოსვლების რამდენიმე დეკადიანმა ისტორიამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. წარუმატებლობის ერთ-ერთ ძირითად განმაპირობებელ ფაქტორს ქურთი ლიდერების არაერთსულოვნება და ვიწრო, ეგოისტური გათვლები წარმოადგენდა. მათ მიერ წარმოებული ბრძოლები ძირითადად ძალაუფლებისა და ტერიტორიული კონტროლის მოპოვების სურვილით იყო მოტივირებული და, როგორც წესი, რიგითი მოსახლეობის მხარდაჭერის დაბალი ხარისხით ხასიათდებოდა. ამასთან, არსებობდა რამდენიმე დაწინაურებული გვარი და არც ერთ მათგანს ჰქონდა სურვილი დამოუკიდებელი ყოფილიყო სხვაზე, შესაბამისად, ადგილი ჰქონდა შიდა დაპირისპირებას და შუღლს.

ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით, დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნის იდეა განუხორციელებელი დარჩა და თუკი პირველ მსოფლიო ომამდე ქურთები ორ სახელმწიფოში, ოსმალეთსა და სპარსეთში, ცხოვრობდნენ, ომის შემდეგ ისინი ახლო აღმოსავლეთის ოთხ ქვეყანაში - თურქეთში, ირანში, ერაყში და სირიაში - აღმოჩნდნენ განაწილებული. ფაქტობრივად ყველა სახელმწიფოში მათი არსებობა სეპარატიზმისა და სეცესიონიზმის რისკებთანაა დაკავშირებული. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ თურქეთში დგას. რესპუბლიკის დაარსების დღიდან ქურთული ეთნოსი წარმოადგენს პირდაპის საფრთხეს ქვეყნის ერთიანობისა

და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ. თურქეთის რესპუბლიკის თითქმის საუკუნოვანი ისტორია გაჯერებულია თურქულ-ქურთული დაპირისპირების და ქურთული ნაციონალისტურ-სეპარატისტული ბრძოლების ქრონიკებით.

1.2. თურქეთის პოლიტიკა ქურთული ნაციონალიზმის მიმართ

რამდენიმეათწლეულიანი ქურთული პრობლემის საფუძველი თურქეთის რესპუბლიკაში ლოზანის ხელშეკრულების რატიფიცირებით გაჩნდა. 1923 წლის 24 ივლისს, ზემოთხსენებული ხელშეკრულებით, თურქეთმა ქურთული ეთნოსის ოცნება, ქურთისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების თაობაზე, ფაქტობრივად დაასამარა. ლოზანის ხელშეკრულებამ, რომელიც რამდენიმე თვით უსწრებდა წინ თურქეთის რესპუბლიკის ფორმირებას, ფაქტობრივად განსაზღვრა ქურთული ეთნოსის ბედ-იღბალი მომავალი რესპუბლიკის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ საზღვრებში. აღნიშნული ხელშეკრულებით ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა მუსლიმი, განურჩევლად მათი კულტურის, ისტორიის, ტრადიციების და წეს-ჩვეულებებისა, თურქულ ეთნოსად განისაზღვრა. საფუძველი ჩაეყარა ასიმილაციის, ე.წ. გათურქების მრავალწლიან პროცესს. მხოლოდ სამმა არამუსლიმმა ერმა - ბერძნებმა, სომხებმა და ებრაელებმა - მიიღო პრივილეგია ესარგებლა უმცირესობის სტატუსით თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ლოზანის ხელშეკრულების გაფორმებიდან რამდენიმე თვეში, 1923 წლის 29 ოქტომბერს, თურქეთის რესპუბლიკის დაარსება ოფიციალურად გამოცხადდა. ახლადდაარსებული რესპუბლიკა ფრანგული ტიპის უნიტარულ სტრუქტურას დაეფუძნა, რაც ქურთი მოსახლეობის მიმართ დისკრიმინაციული პოლიტიკის გატარების კიდევ ერთი მოტივატორი გახდა. ფრანგული უნიტარიზმის იდეა ჰომოგენური საზოგადოების ფორმირებაში მდგომარეობს. თურქული საზოგადოების ჰომოგენიზაცია კი არათურქი ერების, მათ შორის ქურთების, ასიმილაციის გზით უნდა მიღწეულიყო.

„ბედნიერია ადამიანი, რომელსაც შეუძლია განაცხადოს მე თურქი ვარ“ - თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებლის მუსტაფა ქემალ ათათურქის პოლიტიკური მოტო, რომელიც ე.წ. გათურქების პროცესის მნიშვნელოვანი საფუძველი გახდა. აღსანიშნავია, რომ თურქიფიკაციის პოლიტიკის გატარება ფაქტობრივად რესპუბლიკის დაარსების პირველივე დღეებიდან დაიწყო და განსაკუთრებით მტკივნეულად ქურთულ ეთნოსს შეეხო. აიკრძალა განათლების მიღება ქურთულ ენაზე. ქურთული ქალაქებისა და სოფლების დასახელებები შეიცვალა თურქულით. მოსახლეობის მიმართ გატარდა რეპრესიული პოლიტიკა. 1924 წლისთვის ფაქტობრივად აღარ არსებობდა ქურთული უნიკალური იდენტობის ელემენტები: აკრძალული იქნა ქურთული ენის გამოყენება, დაიხურა სკოლები, ასოციაციები, პუბლიკაციები, გაუქმდა რელიგიური სწავლების ფონდები გამოყენებიდან იქნა ამოღებული სიტყვები „ქურთი“ და „ქურთისტანი“. ქურთული იდენტობა ქვეყნის ეროვნული ინტეგრაციის წინააღმდეგ მიმართულ პირდაპირ მუქარად განისაზღვრა. შესაბამისად, ნებისმიერი აქტივობა, რომელიც აღნიშნული იდენტობის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად, გახდა დასჯადი. სასჯელის უმკაცრეს ზომად სასიკვდილო განაჩენი განისაზღვრა. აიკრძალა კომუნიკაცია ქურთულ ენაზე, მაშინ, როდესაც ქურთული ეთნოსის დაახლოებით 96 %-ს თურქულად საუბარი არ შეეძლო. ქურთულმა მოსახლეობამ იძულებით გაიზიარა ისტორიული თეზისი თურქული და ქურთული ეთნოსების საერთო წარმოშობის შესახებ. აკრძალული იქნა განათლების მიღება ქურთულ ენაზე, ქურთული ფოლკლორი, ქურთული ეროვნული სამოსი და ა.შ. (Haddad, 2001: 91).

თურქეთის მიერ გატარებულ რეპრესიულ პოლიტიკას ქურთების მხრიდან საპასუხო რეაქცია მოჰყვა. ქურთულმა ეთნოსმა დაიწყო ბრძოლა საკუთარი კულტურული იდენტობის, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების შესანარჩუნებლად. მუსტაფა ქემალ ათათურქის მმართველობის 15 წლიანი პერიოდის განმავლობაში 17 ქურთული ამბოხი განხორციელდა, რომლებიც, როგორც წესი, თურქი სამხედროების მიერ სასტიკი ზომებით იქნა ჩახშობილი. ქურთული წინააღმდეგობის შესასუსტებლად თურქეთის ხელისუფლებამ არაერთი ღონისძიება გაატარა. ქურთული იდენტობის თურქულით ჩანაცვლების მიზნით ქურთისტანის ადგილობრივებისგან დაცლა და იქ თურქი მომთაბარე მოსახლეობის ჩასახლება დაიწყო (Haddad, 2001: 91).

ათათურქის რეპრესიულმა ზომებმა გაანადგურა ქურთული ტომობრივ-კლანური კავშირები და ძალაუფლების არსებული სტრუქტურა. შედეგად, მომავალი 30 წლის განმავლობაში ქურთი ნაციონალისტები ძირითადად თავდაცვით რეჟიმში ცხოვრობდნენ. ის ფაქტი, რომ ქურთები თურქეთის ხელისუფლების მიერ გატარებულ ასიმილაციის პოლიტიკას დაემორჩილნენ, აშკარად ჩანს 40-იანი წლების თურქეთში არსებული ვითარებიდან: არ არსებობს ქურთული სკოლები, არ მოიპოვება ქურთული კულტურის ელემენტები, ქურთი ეთნოსისთვის არ მოქმედებს ჯანდაცვის სისტემა. მეტიც, ქურთულ დასახლებებში არ არსებობს ცივილიზაციური ნიშნები (McDowall, 1992: 38).

თურქეთის მიერ ქურთული იდენტობის ჩახშობის მუდმივი მცდელობა, ქურთული ენის, კულტურის, ტრადიციების წინააღმდეგ გალაშქრება, ქურთული სეპარატიზმის გაღვივებისგან თავის დაზღვევის მცდელობა იყო. სევრის ხელშეკრულებამ თურქი ერის აღქმაში „სევრის სინდრომის“ სახელით ცნობილი ერთგვარი კომპლექსი გააჩინა. ეს იყო სახელმწიფოს დეზინტეგრაციის, ტერიტორიული მთლიანობის მოშლის, სეპარატისტული მიმდინარეობების გაჩენის შიში. სევრის სინდრომის ერთ-ერთ მთავარ წყაროს, რაღა თქმა უნდა, ქურთული ეთნოსი წარმოადგენდა (და წარმოადგენს). მრავალრიცხოვანი ერი, რომელსაც აქვს პრეტენზია, შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო. ქურთული სახელმწიფოს შექმნის შიში, შეიძლება ითქვას, ქურთი ერის მიმართ თურქეთის დისკრიმინაციული პოლიტიკის მთავარი მოტივატორი იყო. ოფიციალური თურქეთი მუდმივად ილაშქრებდა ქურთული ეთნოსის წინააღმდეგ და ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ არ დაეშვა აღნიშნული უმცირესობის წინსვლა, განვითარება და გაძლიერება.

თურქეთის ხელისუფლების ქურთული პოლიტიკა 1950-იან წლებში გარკვეულწილად შერბილდა. პროგრესული ძვრები თურქული პოლიტიკის ლიბერალიზაციითა და მრავალპარტიული სისტემის ფორმირებით იყო განპირობებული, რაც თავისთავად, ქურთულ მოსახლეობაზეც უნდა ასახულიყო. ქურთული ეთნოსის წარმომადგენლები გამოჩნდნენ პოლიტიკაში, დაიკავეს მინისტრის პოზიციები მთავრობაში, შევიდნენ პარლამენტში. წარსულში გატარებული რეპრესიული პოლიტიკის ფონზე, ეს საკმაოდ წინგადადგმილ ნაბიჯს წარმოადგენდა, მაგრამ არსებობდა მედლის მეორე მხარე -

პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება ქურთებს მხოლოდ თურქული იდენტობის აღიარების შემთხვევაში ეძლეოდათ. მათი მონაწილეობა შესაძლებელი იყო მხოლოდ თურქულ ორგანიზაციებში, იმდენად, რამდენადაც ქურთული პარტიების ფუნქციონირება თურქულ პოლიტიკურ სისტემაში არ იყო ლეგალიზებული. ამასთან, ქურთული ეთნოსის წარმომადგენლებს აკრძალათ ეთნიკური ასოციაციების, როგორც თურქული ერთიანობისთვის საფრთხის შემცველი გაერთიანებების, დაფუძნება (Haddad, 2001: 92).

ანტიქურთული რეპრესიების პოლიტიკა თურქეთში 1971 წლიდან განახლდა, რამაც, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ გამოაცოცხლა ქურთული ნაციონალიზმი. მოკლე პერიოდში მოხდა 15-ზე მეტი რადიკალური პარტიის და მოძრაობის ფორმირება, რომლებიც 1970-იან წლებში აქტიურად გამოდიოდნენ ქურთების პოლიტიკური, სოციალური, კულტურული უფლებების რეალიზაციის მოთხოვნით - როგორც მშვიდობიანი, ასევე შეიარაღებული მოქმედებებით. ამ დაჯგუფებებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მარქსისტულ-ლენინისტურ საწყისებზე დაფუძნებული ქურთების მუშათა პარტია (PKK) იყო. ორგანიზაცია, რომლის მიზანს სოციალურად და ეკონომიკურად მარგინალიზებული მოსახლეობის დაწინაურება და დამოუკიდებელი სოციალისტური ქურთული სახელმწიფოს ფორმირება წარმოადგენდა (McDowall, 1992: 44).

ქურთების მუშათა პარტიის დაარსებამ თურქეთის ხელისუფლების შიში ქურთული სეპარატიზმის გაღვივების თაობაზე რეალობად აქცია. ორგანიზაცია, რომლის ოფიციალურად გაცხადებულ მიზანს დამოუკიდებელი ქურთისტანის ფორმირება წარმოადგენდა და მიზნის მისაღწევად რადიკალური, ხშირ შემთხვევაში სამხედრო მოქმედებებს არ ერიდებოდა, ქურთულ მოსახლეობაში სოლიდარობის და მხარდაჭერის საკმაოდ მაღალი ხარისხით სარგებლობდა. ქურთისტანის მუშათა პარტიის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლამ ქურთული პრობლემას კიდევ უფრო მეტი აქტუალურობა შესძინა. ამასთან, ქვეყნის ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების საკითხი ახალი სიმწვავეით წამოიჭრა პოლიტიკურ დღის წესრიგში.

ახალი გამოწვევების პასუხად შემუშავდა ახალი კონსტიტუცია. ძალაში შევიდა მთელი რიგი საკანონმდებლო ნორმებისა ქურთული იდენტობისა და კულტურული ფასეულობების წინააღმდეგ. კიდევ უფრო მკაცრად აიკრძალა ქურთული ენის გამოყენება საზოგადოებრივ ინსტიტუტებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მედიაში. დაუშვებელი იყო ქურთული სკოლებისა და სასწავლო ინსტიტუტების დაფუძნება. ქურთული იდენტობისა და ისტორიის ამსახველი მასალები სრულად იქნა ამოღებული სასწავლო პროგრამიდან (Osma, 2012: 45). უნივერსიტეტებში, პოლიტიკურ პარტიებსა და მასმედიაში ქურთულ საკითხზე საუბარი აიკრძალა. პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებებითა და თავისუფლებით სარგებლობის პრივილეგია ქურთულ მოსახლეობას მხოლოდ თურქული იდენტობის აღიარების შემთხვევაში ენიჭებოდა. აღიარების ალტერნატივას დევნა და რეპრესიული პოლიტიკა წარმოადგენდა (Haddad, 2001: 93)

1980-იანი წლებში თურქეთის ხელისუფლების კიდევ ერთ რადიკალურ ნაბიჯს ქურთულ რეგიონში საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის ამოქმედება წარმოადგენდა. 1987 წელს ცენტრალურმა ხელისუფლებამ საგანგებო ვითარება 11 პროვინციაში გამოაცხადა. 1990 წლისთვის მასშტაბები გააფართოვა და კონტროლის სამხედრო რეჟიმი კიდევ ორ პროვინციაში დაამყარა. აღნიშნულმა ვითარებამ ქურთულ რეგიონის განვითარების სერიოზული შეფერხება გამოიწვია - ვაჭრობა და ინვესტიციები მნიშვნელოვნად შემცირდა, დაიწყო ეკონომიკური სტაგნაცია. იძულებითი მიგრაციის პროცესის შედეგად რეგიონის არაერთმა მოსახლემ საცხოვრებელი სახლი დაკარგა. (Osma, 2012: 46).

1980-იანი წლების ბოლოდან თურქეთის პოლიტიკაში ქურთული საკითხისადმი მიდგომა კიდევ ერთხელ შერბილდა. ლიბერალიზაციის მორიგი მცდელობა პრეზიდენტ თურგუთ ოზალის სახელთანაა დაკავშირებული, რომელმაც ქურთული პრობლემის მოგვარების სრულიად ახლებური ხედვა შეიმუშავა. თუკი მანამდე ქურთული პრობლემა სამხედრო პერსპექტივიდან განიხილებოდა, ამიერიდან ქურთული საკითხი პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ გამოწვევად განისაზღვრა. (Osma, 2012: 47) განვითარების რამდენიმეწლიანი პოზიტიური დინამიკა ისევ ანტი-ქურთულმა განწყობებმა ჩაანაცვლა. 1990-იანი წლების ბოლოს ოფიციალურმა

თურქეთმა სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაზე ზეწოლა კიდევ ერთხელ გააძლიერა. განახლდა სამხედრო კონტროლი, რამაც სამხედროების გავლენა ქურთული პრობლემის გადაჭრის საქმეში კიდევ უფრო დააწინაურა. ქურთულმა საკითხმა სოციალურ-პოლიტიკურიდან ტერორისტული პრობლემების კატეგორიაში გადაინაცვლა.

მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან საუკუნის დასასრულამდე თურქეთის ქურთული პოლიტიკა ძირითადად ქურთული ეთნოსის ჩაგვრაზე, მათი იდენტობისა, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების დაკნინებაზე იყო ორიენტირებული. იკრძალებოდა ქურთული ენა, ქურთული სკოლების, უნივერსიტეტებისა და საზოგადოებრივი დაწესებულებების დაფუძნება, ქურთული საკითხის განხილვა პრესაში და ტელევიზიაში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ქურთული პრობლემა, როგორც წესი, სამხედრო პერსპექტივიდან განიხილებოდა და აღნიშნული პრობლემის გადაჭრის სტრატეგიები, ძირითადად, მილიტარისტულ ხედვებს ეფუძნებოდა.

ქურთული სეცესიონიზმისა და დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნისადმი არსებული ფობია, რომელიც თურქულ აღქმაში ჯერ კიდევ სევრის ხელშეკრულების გაფომრების შემდეგ გაჩნდა, ოფიციალურ პოლიტიკურ აზროვნებაში 1980-იან წლებიდან უფრო მწვავედ იჩენს თავს. პოლიტიკურ ასპარეზზე ქურთების მუშათა პარტიის გამოჩენამ ქურთული უმცირესობის მიმართ კიდევ უფრო რადიკალურ პოლიტიკას დაუდო სათავე. გაიზარდა სამხედრო ფაქტორის როლი თურქულ-ქურთულ ურთიერთობებში. რაც შეეხება თურქეთის ქურთული პოლიტიკის პერიოდულ შერბილებებს. პოზიტიური დინამიკა, როგორც წესი, ხანმოკლე პერიოდს მოიცავს და სერიოზული შედეგის გარეშე სრულდება.

1.3. ევროკავშირის ხედვა თურქეთის დამოკიდებულებისადმი ქურთების მიმართ

თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობი თითქმის ექვს დეკადიან ისტორიას ითვლის. ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობაში (შემდგომში ევროკავშირი) ინტეგრაცია თურქეთის პრო-დასავლური კურსის ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევად მიიჩნევა. წევრობის სურვილის ოფიციალურად დაფიქსირების (1959 წ) შემდეგ თურქეთისთვის ევროპულ ეკონომიკურ ოჯახში გაწევრიანების მრავალწლიანი პროცესი დაიწყო,

რომელმაც სასურველი შედეგი ჯერ კიდევ ვერ გამოიღო. მეტიც, თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა დღეს უფრო არარეალურია, ვიდრე რამდენიმე წლის წინ.

1980-იანი წლების ბოლოდან, როდესაც თურქეთმა ორგანიზაციას გაწევრიანების თხოვნით ოფიციალურად მიმართა, ორმხრივი ურთიერთობები კიდევ უფრო ინტენსიურ ფორმატში გადავიდა. იყო ე.წ. დათბობის პერიოდები, როდესაც თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანება რეალურ პერსპექტივად ჩანდა და მეორე მხრივ, ძალიან ბევრი სირთულე და წინააღმდეგობა, რომელმაც თურქეთის ევროინტეგრაციის გზა დაუსრულებელ პროცესად აქცია. ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში ქურთული საკითხი იქცა. ქურთული ეთნოსის მიმართ გატარებული ხისტი პოლიტიკა და ქურთული იდენტობის დაკნინების ხანგრძლივი პრაქტიკა რამდენიმე ათეული წელია ევროკავშირის ყურადღების ცენტრშია. ორგანიზაციის ინსტიტუტები თურქეთის ქურთულ საკითხს რეგულარული მოხსენებებით, რეზოლუციებით, რეკომენდაციებით ეხმიანებიან და თურქეთს ქურთულ უმცირესობასთან დაკავშირებული პრობლემის მშვიდობიანი, დემოკრატიული გზით მოგვარებისკენ მოუწოდებენ.

ქურთული და ზოგადად, უმცირესობების საკითხი ევროკავშირის პოლიტიკურ დღის წესრიგში 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან გააქტიურდა, რაც რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული: სადამ ჰუსეინის მიერ ქურთი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილმა დანაშაულმა ევროპის კონტინენტის ყურადღება ქურთული უმცირესობებისკენ მიაპყრო და მათ მიმართ ემპათიის გრძნობა გააღვივა. მითუმეტეს, რომ იგივე ევროპისთვის თურქეთში მცხოვრები ქურთული უმცირესობის დისკრიმინაციის საკითხი უკვე ცნობილი იყო. ამას დაემატა ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე განხორციელებული გენოციდი, რომელიც ევროპისთვის და მთლიანად მსოფლიოსთვის განგმის საფუძვლად იქცა.

ქურთული პრობლემა ევროპული პარლამენტის ყურადღების ცენტრში 1980-იანი წლებიდან მოექცა, როდესაც ევროკავშირის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მიმდინარე ადამიანის უფლებების შელახვის ფაქტებით შეშფოთება ოფიციალურად დააფიქსირა. 1980-იანი წლების

ბოლოდან, მას შემდეგ, რაც თურქეთმა ევროკავშირის წევრობაზე განაცხადი ოფიციალურად გააკეთა, ევროპარლამენტმა ქურთული საკითხი ყოველგვარი ბუნდოვანი ფორმულირებების გარეშე პრობლემად გამოაცხადა (Jerez, 2012: 53)

1990-იანი წლების დასაწყისიდან ქურთული საკითხი თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობების დღის წესრიგის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხად იქცა. თურქი სამხედროების მიერ ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში განხორციელებულმა დანაშაულებრივმა მოქმედებებმა, რომელიც მნიშვნელოვანწილად რეგიონში მოქმედი საგანგებო მდგომარეობის რეჟიმითა იყო განპირობებული, ქურთული საკითხის სიმწვავე უფრო მეტად გაზარდა. ევროპარლამენტის მხრიდან გაჟღერდა არაერთი კრიტიკა და მოწოდება ქურთული გამოწვევის გადაჭრის აუცილებლობის თაობაზე. ევროკავშირის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ქურთული საკითხის მოგვარების ალტერნატივად თურქულ მხარეს ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ქურთული ავტონომიის შექმნა შესთავაზა, რამაც თავის მხრივ თურქული მხარის გაღიზიანება გამოიწვია. ოფიციალურმა თურქეთმა ევროკავშირი ქურთული სეპარატიზმის მხარდაჭერაში დაადანაშაულა (Jerez, 2012: 57).

1990-იან წლებში მოწოდებები თურქეთის რესპუბლიკისადმი ქურთული პრობლემის გადაჭრის თაობაზე უფრო ინტენსიური ხდება. 1992 წლის მარტში ორგანიზაციამ თურქეთის მიმართ კიდევ ერთი კრიტიკული განაცხადი გააჟღერა. განცხადების საფუძველს თურქული მხარის მხრიდან ქურთების მიმართ განხორციელებული ძალადობის მორიგი ფაქტი წარმოადგენდა. ევროპარლამენტმა ევროპის საპარლამენტო ასამბლეის საბჭოსთან ერთად დაგმო ქურთული ახალი წლის აღნიშვნისას თურქეთის მხრიდან ქურთების მიმართ ძალის გადაჭარბებული გამოყენების პრეცედენტი. საბჭოს ოფიციალური განაცხადით დემოკრატიულ სახელმწიფოში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა ჯდებოდეს კანონის უზენაესობის ჩარჩოებში (Balci, 2013: 75).

1994 წლის ივნისში ქურთული წარმოშობის პარლამენტარების დაპატიმრებამ თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში ქურთული საკითხის მნიშვნელობა კიდევ უფრო წინა პლანზე წამოწია. ევროკავშირმა ადამიანის უფლებების სფეროში თურქეთში არსებული ვითარება მკაცრად გააკრიტიკა. ამასთან, ოფიციალური თურქეთი დემოკრატიული

ნორმებისა და კანონის უზენაესობის პრინციპების შელახვაში დაადანაშაულა. ქურთი პარლამენტარებისთვის იმუნიტეტის შეჩერებისა და ქურთული დემოკრატიული პარტიის დახურვის პასუხად ევროკავშირმა გაერთიანებული საპარლამენტო კომიტეტის ფუნქციონირება შეაჩერა (Balci, 2013: 75).

ევროკავშირის ქურთული პრობლემით შემფოთების მორიგ გამოძახილს თურქეთ-ევროკავშირის შორის საბაჟო კავშირის ამოქმედების შესაძლო შეჩერება წარმოადგენდა. ამ მიმართულებით აღსანიშნავია ევროკავშირის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ძალისხმევა. ევროპარლამენტმა ევროსაბჭოს საბაჟო კავშირის შექმნის თაობაზე თურქეთთან დაწყებული მოლაპარაკებების შეჩერებისკენ ოფიციალურად მოუწოდა. მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის მიღების შემდეგ პარლამენტმა თურქეთის ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენა და საბაჟო კავშირის ამოქმედების სანაცვლოდ თურქეთში ქურთული ეთნოსის უფლებრივი მდგომარეობის გააუმჯობესება მოითხოვა. ევროპული სოლიდარობის დასტურად პარლამენტმა დაპატიმრებული ქურთი პოლიტიკოსი ლეილა ზანა, რომლის საქმიანობის მიზანს თურქეთში პოლიტიკური ცვლილებების განხორციელება წარმოადგენდა, სახაროვის პრიზით დააჯილდოვა (Kurban, 2014: 14-15).

ქურთული პრობლემა თურქეთი-ევროკავშირის ურთიერთობებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი გახდა. 1997 წლის ლუქსემბურგის სამიტზე თურქეთის ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნად არმიღების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი სწორედ ადამიანის უფლებების სფეროში განსახორციელებელი რეფორმები და მოუგვარებელი ქურთული პრობლემა იყო (Rumelili, 2006: 210). თურქეთის ხელისუფლებას დაევალა განხორციელებინა დემოკრატიული რეფორმები უმცირესობებთან მიმართებაში. ქურთული პრობლემის პოლიტიკური გზით გადაჭრა ორგანიზაციაში გაწევრიანების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა გახდა (Osma, 2012: 55).

თურქეთის კანდიდატ ქვეყნად დასახელებამ ევროკავშირის ინტერესი ქურთული უმცირესობის მიმართ გაზარდა. ჰელსინკის 1999 წლის სამიტის ფარგლებში, სხვა აქტუალურ საკითხებთან ერთად, ქურთული პრობლემის როლი თურქეთ-

ევროკავშირის ურთიერთობებში კიდევ ერთხელ იქნა განხილული. კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების შემდეგ თურქეთს დაევალა დაეკმაყოფილებინა პოლიტიკური კრიტერიუმი ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით, რაც, თავისთავად, გულისხმობდა ქურთული უმცირესობის მიმართ არსებული დამოკიდებულების შერბილებას და ქურთების მუშათა პარტიის ლიდერის მიმართ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის შეცვლას. 1998 წლიდან ოფიციალურად ამოქმედდა ევროკავშირის მონიტორინგის მექანიზმი. მონიტორინგის მისია თურქეთში არსებულ ვითარებას ყოველწლიურად შეისწავლიდა. რეგულარულად გამოქვეყნდებოდა პროგრესის შეფასების რეპორტები, სადაც ევროპული კომისია გააანალიზებდა თურქეთში არსებულ ვითარებას, მათ შორის, ქურთული უმცირესობის უფლებრივ მდგომარეობას. (Jerez, 2012: 53) თურქეთის დამოკიდებულება ქურთების მიმართ გახდა ლაქმუსის ტესტი, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების პესპექტივას. ევროკავშირმა თურქეთს ხელისუფლებას მოუწოდა ეცნო ქურთების კულტურული უფლებები, დაეშვა ქურთულ ენაზე მაუწყებლობა და განათლების მიღების უფლება, უზრუნველყო ქურთებით დასახლებული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და იძულებით გადაადგილებული პირების საკუთარ საცხოვრებელ სახლებში დაბრუნება (Kurban, 2014: 15).

ევროკავშირმა, შემადგენელი პოლიტიკური ინსტიტუტების დახმარებით, მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქურთული საკითხის აქტუალურობა როგორც თურქეთის, ასევე თურქეთ-ევროკავშირის პოლიტიკურ დღის წესრიგში. მოხდა ქურთული საკითხის პრობლემად აღიარება, ქურთული უმცირესობის მდგომარეობის გაუმჯობესება თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების აუცილებელ წინაპირობად განისაზღვრა. მას შემდეგ, რაც გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებები თურქეთთან ოფიციალურად იქნა ინიცირებული (2005 წ.), ინტერესმა ქურთული პრობლემის გარშემო პიკს მიაღწია. ევროპარლამენტმა კიდევ არაერთხელ დააფიქსირა სრული მხარდაჭერა ქურთული პრობლემის გადაჭრის მიმართულებით. ევროკომისია გულდასმით შეისწავლიდა ქურთული უმცირესობის მდგომარეობას თურქეთში. შემუშავდა ერაერთი რეზოლუცია და რეკომენდაცია. ევროკომისარმა სტეფან ფულემ სტრასბურგში, ქურთული პრობლემის შესახებ დაწყებული დიალოგის ფარგლებში,

განაცხადა, რომ „სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმატებით დასრულება დააჩქარებს თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე დაწყებული მოლაპარაკებების პროცესს“ (Serto, 2015: 98).

თავი II. ევროკავშირის მოთხოვნები თურქეთის მიმართ ეთნიკური უმცირესობების კონტექსტში და თურქულ-ქურთული განწყობები

2.1. ევროკავშირის დოკუმენტები ქურთულ პრობლემასთან მიმართებაში

უმცირესობების უფლებების დაცვა, რომელიც დღეს ევროკავშირის პრიორიტეტულ მიზანს წარმოადგენს, ორგანიზაციის წესდებაში და თავდაპირველ დოკუმენტებში ნახსენები საერთოდ არ არის. მეტიც, ორგანიზაციის არსებობის რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში არ შემუშავებულა შესაბამისი კანონმდებლობა და სტრატეგიები, რომლებიც უმცირესობათა ჯგუფების უფლებების გარანტირებულ უზრუნველყოფაზე იქნებოდა ორიენტირებული (Kizilkan-Kisacik, 2010: 16). ცნების „უმცირესობა“ ინკორპორირება ევროკავშირის ძირითად კანონმდებლობაში რამდენიმე წლის წინ, ლისაბონის ხელშეკრულების რატიფიცირებით, განხორციელდა (Park, 2012: 51).

თავდაპირველი იგნორირების მიუხედავად, დღეს, უმცირესობების პატივისცემა ორგანიზაციაში გაწევრიანების ერთ-ერთ აუცილებელ კრიტერიუმს წარმოადგენს. 1990 წელს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციაზე შემუშავებული იქნა ე.წ. კოპენჰაგენის პრინციპები, რომელიც მონაწილე სახელმწიფოებისგან უმცირესობების უფლებების დაცვას და უმცირესობისა და უმრავლესობის წარმომადგენლებს შორის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას მოითხოვდა (Document of the Copenhagen Meeting, 1990) კოპენჰაგენის პრინციპებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა 1993 წლიდან შეიძინა, როდესაც ეს უკანასკნელნი ევროკავშირში გაწევრიანების წინაპირობად განისაზღვრა. იმისთვის, რომ კანდიდატი ქვეყანა ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი გახდეს, მან ზედმიწევნით უნდა დააკმაყოფილოს კოპენჰაგენის სამი ფართო კრიტერიუმი. პირველი მათგანი ე.წ. პოლიტიკურ კრიტერიუმად იწოდება და დემოკრატიული ინსტიტუტების სტაბილურობის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების პრინციპებთან ერთად უმცირესობების პატივისცემა მოიაზრებს (Rezler, 2011: 392)

თურქეთ-ევროკავშირის შორის ურთიერთობებში კოპენჰაგენის პოლიტიკური კრიტერიუმის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანისა და უმცირესობის უფლებები ერთ მთლიანობას წარმოადგენს და ერთმანეთს განაპირობებს. როდესაც ირღვევა ერთი, როგორც წესი, ირღვევა დანარჩენიც. თურქეთის ქურთული საკითხი, რომელიც თავისი არსით უმცირესობის უფლებების კატეგორიას განეკუთვნება, საბოლოო ჯამში კომპლექსური პრობლემის საფუძველი გახდა. სწორედ ამიტომ, ქურთულ ეთნოსთან დაკავშირებული პრობლემა თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში ერთ-ერთ ყველაზე მწვავე საკითხად ჩამოყალიბდა. აღნიშნულ პრობლემაზე ორგანიზაციის პოლიტიკური ინსტიტუტები ოფიციალურ დოკუმენტებში ხშირად აპელირებენ და თურქეთს ქურთული საკითხის მშვიდობიანი, დემოკრატიული საშუალებებით მოგვარებისკენ მოუწოდებენ.

პირველი ოფიციალური განაცხადი ქურთული პრობლემის შესახებ ევროპარლამენტმა რეზოლუციაში #190/119 - „რეზოლუცია სომხური საკითხის პოლიტიკური მოგვარებისთვის“ - გააკეთა. რეზოლუციაში პარლამენტი ადამიანის უფლებების სფეროსთან დაკავშირებულ პრობლემაზე აპელირებს და ამ კუთხით ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევად ქურთული ეთნოსის, როგორც უმცირესობის, სრულ იგნორირებას ასახელებს. აღნიშნული გამოწვევა თურქეთის ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე მნიშვნელოვან დაბრკოლებად განიხილება. (Resolution on a Political Solution to the Armenian Issue, 1987: 2) რეზოლუცია #190/119 1987 წლის ივნისში, თურქეთის მიერ ევროკავშირის წევრობაზე ოფიციალური განაცხადის გაკეთებიდან რამდენიმე თვეში, იქნა მიღებული (თურქეთმა გაწევრიანების თაობაზე ორგანიზაციას 1987 წლის აპრილში მიმართა).

ქურთულ პრობლემასთან მიმართებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროგრესის შეფასების 1998 წლის მოხსენება, სადაც ევროკომისია ქურთული უმცირესობის საკითხს თურქეთში დაუფარავად ეხება და ოფიციალურ თურქეთის მიმართ რეკომენდაციასაც აჟღერებს:

„თურქეთის ხელისუფლება არ სცნობს ქურთული უმცირესობის არსებობას ქვეყანაში. ისინი ქურთული წარმოშობის თურქებად მიიჩნევიან და ძირითადად ქვეყნის სამხრეთ-

აღმოსავლეთ ნაწილში არიან დასახლებულნი. ქურთები რეგიონში მოქმედი საგანგებო რეჟიმის გამო ტერორისტული თავდასხმებისა და შეტაკებების მუდმივ სამიზნეს წარმოადგენენ. შეზღუდული აქვთ პოლიტიკური და სოციალური უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა. თურქეთის ხელისუფლებამ ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონის პრობლემასთან მიმართებაში პოლიტიკური სტრატეგია უნდა შეიმუშავოს, იმდენად, რამდენადაც, მილიტარისტულმა მიდგომამ უდიდესი ადამიანური და ფინანსური ზარალი გამოიწვია და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად შეაფერხა. პრობლემის გადაჭრის პოლიტიკური გზა გულისხმობს ქურთული კულტურული იდენტობის გარკვეული ფორმით აღიარებას და კულტურული გამოხატვის მიმართ ხელისუფლების ტოლერანტულ მიდგომას, რაც თავისთავად არ მოიაზრებს სეპარატიზმის მხარდაჭერას (Regular Report from the Commission, 1998: 20).

ევროკავშირისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უმცირესობების დაცვის მიმართულებით ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ ინსტრუმენტების ჩართვა ყოველდღიურ პრაქტიკაში. „ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენცია“ და „ევროპული ქარტია რეგიონული/უმცირესობების ენები შესახებ“ წარმოადგენს ძირითად გაიდლაინს, რომლითაც ორგანიზაცია როგორც წევრ, ასევე კანდიდატ ქვეყნებთან, განსაკუთრებით თურქეთთან ურთიერთობაში ხელმძღვანელობს: ქურთული წარმოშობის თურქეთის მოქალაქეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა ისარგებლონ მშობლიური ენით და შეინარჩუნონ კულტურული ტრადიციები, როგორც ეს ევროპის საბჭოს შესაბამისი კონვენციებით არის განსაზღვრული (Regular Report from the Commission, 1998: 14). ევროკავშირის სტანდარტი უმცირესობებთან მიმართებაში ადგენს - აღნიშნულ ჯგუფებს მიეცეთ მშობლიურ ენაზე მაუწყებლობისა და განათლების მიღების უფლება. ისარგებლონ მშობლიურ ენაზე შედგენილი ინსტრუქციებით. გამოიყენონ ლოკალური დასახელებები. (Kizilkan-Kisacik, 2010: 17)

2003 წლის მოხსენებაში „ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე თურქეთის განაცხადთან დაკავშირებით“ , ევროპარლამენტი ქურთულ საკითხზე მნიშვნელოვან

აქცენტებს აკეთებს და თურქეთს ქურთულ უმცირესობასთან ურთერთობის მიმართულებით რამდენიმე რეკომენდაციებს აძლევს:

საარჩევნო სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპის რეალიზაციას პარლამენტში, განსაკუთრებით ქურთული და სხვა უმცირესობების წარმომადგენლების ჩართულობას ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციონირებაში. იმ ფაქტმა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობენ, არ უნდა შეაფერხოს ხელისუფლების კონსტრუქციული, ტოლერანტული პოლიტიკა ქურთული უმცირესობის მიმართ.

მოვუწოდებთ თურქეთს უზრუნველჰყოს კულტურული მრავალფეროვნება და უფლებები ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის, განურჩევლად მათი წარმომავლობისა, შექმნას შესაბამისი პირობები ტელე-რადიო მაუწყებლობაზე ეფექტური წვდომისთვის, კერძო მედია საშუალებების ჩათვლით, გააუქმოს განათლების მიმართულებით დარჩენილი შეზღუდვები და შექმნას ქურთულ და სხვა უმცირესობების ენაზე განათლების მიღების გარანტირებული შესაძლებლობები.

მოვუწოდებთ ხელისუფლებას, ქვეყნის ტერიტორიული ინტეგრაციის კონტექსტში, ქურთული მოსახლეობისა და სხვა უმცირესობების ლეგიტიმური ინტერესების დასაკმაყოფილებლად თანმხვედრი ნაბიჯები გადადგას. უზრუნველჰყოს მათი ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში.

ევროპარლამენტი აფიქსირებს საკუთარ პატივისცემას თურქულის, როგორც სახელმწიფო ენის მიმართ, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხსენებული ფაქტორი ხელს არ უნდა უშლიდეს სხვა ადგილობრივი (ქურთული და სომხური) და ლიტურგიული (არამეული) ენების არსებობას, რომელთა გამოყენება მოქალაქეთა დემოკრატიულ უფლებას წარმოადგენს.

პარლამენტი მიესალმა საგანგებო მდგომარეობის დასრულებას დარჩენილ ორ პროვინციაში, დიარბარქირში და სირნაკში. მოუწოდა თურქეთის ხელისუფლებას მიეღო შესაბამისი ზომები ქურთულ მოსახლეობასთან დამაბული ვითარების

დასასრულებლად და ქურთული რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განუვითარებლობის აღმოსაფხვრელად, განეხორციელებინა საჭირო ღონისძიებები იძულებით გადაადგილებული ქურთების საცხოვრებელ სახლებში დასაბრუნებლად, ქურთულ და სირიულ სოფლებში მოქმედი ე.წ. სოფლის დაცვის სისტემის გასაუქმებლად (Report on Turkey's Application for Membership of the European Union, 2003).

2005 წლის პროგრესის რეპორტში ევროპული კომისია აღნიშნავს, რომ თურქეთმა მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს ადამიანის უფლებების სფეროში. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დასრულებაზე, რომელმაც რეგიონის მოსახლეობის ცხოვრებაზე პოზიტიური გავლენა მოახდინა: გათავისუფლდა რა საგანგებო მდგომარეობის მარწუხებისგან, სამხრეთ-აღმოსავლეთის მოსახლეობამ შეძლო ესარგებლა ძირითადი უფლებებით და თავისუფლებით. გაუმჯობესდა სოციალური მდგომარეობა. დაიწყო კულტურული აქტივობების განხორციელება სახელმწიფოსგან ზეწოლის შიშის გარეშე. როგორც პროგრესის შეფასების მოხსენებაშია აღნიშნული - სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მიერ გატარებულმა კულტურულმა და სოციალურმა რეფორმებმა პოზიტიური გავლენა მოახდინა თურქეთის პრესტიჟზე ევროპაში. (Osma, 2012: 73).

ქურთულ საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ევროპარლამენტის 2006 შეფასებები, რომელიც საკანონმდებლო ორგანომ ოფიციალური პრეს რელიზით გამოაქვეყნა. ევროპარლამენტი მიესალმება მაუწყებლობის დაწყებას ქურთულ ენაზე, თუმცა, ამავდროულად მიუთითებს სამოქალაქო საზოგადოების მიმართ არსებულ ტერორის პოლიტიკაზე ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ევროპარლამენტი ქურთული პრობლემის დემოკრატიული საშუალებებით გადაჭრის იმედს გამოთქვამს და პოზიტიურ მოლოდინებს პრემიერ რეჯებ ტაიპ ერდოღანის მიერ 2005 წელს გამოთქმულ დაპირებებზე ამყარებს. ქურთულ პრობლემას რამდენიმე პოლიტიკური სპიკერიც ეხება. ვიტორიო აგნოლეტოს განცხადებით მისი პოლიტიკური გუნდი (the GUE/NGL group) თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას სრულ მხარდაჭერას უცხადებს, თუმცა, ამისთვის ქურთული საკითხის დიპლომატიური და პოლიტიკური

გზით გადაწყვეტა უნდა მოხერხდეს. ანდრეას მოლზერი ქურთულ საკითხს თურქეთ-ევროკავშირს შორის დაბრკოლებად მიიჩნევს. მისი განცხადებით, თუკი დღეს თურქეთი ევროკავშირის წევრობისთვის მზად არ არის, ამის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი სწორედ მოუგვარებელი ქურთული პრობლემაა (European Parliament Critical of Slowdown in Turkey's Reform Process, 2006)

მნიშვნელოვანია 2011 წლის ევროპარლამენტის რეზოლუცია, რომელშიც ევროკავშირის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო კომისიის ამავე წლის პროგრესის შეფასების რეპორტს აჯამებს და ქურთულ საკითხთან მიმართებაში საკუთარ რეკომენდაციებს აჟღერებს:

მოვუწოდებთ თურქეთს გააძლიეროს ძალისხმევა ქურთების საკითხის პოლიტიკური გზით გადაჭრის უზრუნველსაყოფად. ვთხოვთ პოლიტიკურ ძალებს იმუშავონ ერთობლივად იმისთვის, რომ გაზარდონ ქურთული წარმოშობის მოსახლეობის ჩართულობა ქვეყნის პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. უზრუნველყოფილი იქნეს გამოხატვის, შეკრებისა და სხვა ტიპის თავისუფლებები მათთვის. განათლების მიღება მშობლიურ ენაზე არის უმნიშვნელოვანესი უფლება, რომელიც გარანტირებული უნდა იყოს ქურთი მოსახლეობისთვის. მოვუწოდებთ თურქეთის ხელისუფლებას გადადგას ადექვატური ნაბიჯები ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, შექმნას მშვიდობიანი პლატფორმა ქურთი პოლიტიკოსებისთვის, თავისუფალი და პლურალისტური დებატების ჩასატარებლად. ხაზგასმით აღვნიშნავთ ქურთული საკითხების გარშემო დემოკრატიულ ინსტიტუტების, განსაკუთრებით თურქეთის დიდი ნაციონალური ასამბლეის, ფარგლებში დისკუსიის წახალისების მნიშვნელობას (European Parliament Resolution on the 2011 Progress Report on Turkey, 2011)

ქურთული უმცირესობის საკითხი თურქეთ-ევროკავშირს შორის ურთიერთობებში რომ ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს, ამაზე ევროკავშირის ოფიციალური ნარატივი მეტყველებს. ქურთული პრობლემის გადაჭრა უკვე მრავალი წელია თურქეთისთვის გაწევრიანების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

ორგანიზაციის შემადგენელი ინსტიტუტების მიერ შემუშავებულ რეზოლუციებში, მოხსენებებში, რეკომენდაციებში მუდმივად ხდება ქურთულ უმცირესობასთან დაკავშირებულ პრობლემაზე და მისი მშვიდობიანი გზით გადაჭრის აუცილებლობაზე აპელირება. 1998 წლიდან რეგულარულად ქვეყნდება ევროკომისიის პროგრესის შეფასების მოხსენებები, სადაც ქურთულ საკითხს მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა. კომისია დეტალურად შეისწავლის ქურთული უმცირესობების მდგომარეობას თურქეთში, ქურთებთან მიმართებაში თურქეთის მიერ გატარებულ პოლიტიკას, განხორციელებულ პროგრესს, დაშვებულ გადაცდომებს.

მიუხედავად იმისა, რომ ქურთული უმცირესობის პატივისცემა თურქეთის მიმართ ევროკავშირის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოთხოვნას წარმოადგენდა, ორგანიზაციის წარმომადგენლები აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში გარკვეულ სიფრთხილეს იჩენდნენ, განსაკუთრებით გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების ოფიციალურად დაწყებამდე (2005 წ). სიფრთხილის მიზეზს ქურთული საკითხის სენსიტიურობა და ე.წ. „სევრის სინდრომის“ ფენომენი წარმოადგენდა. ხშირად გამოიყენებოდა ისეთი ბუნდოვანი ფორმულირებები, როგორცაა „საგანგებო მდგომარეობა აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში“, „შეიარაღებული თავდასხმები, რომლებიც იწვევს მსხვერპლს“, „მაუწყებლობა და განათლების მიღება თურქულის გარდა სხვა ენებზე“, „სიტუაცია უსაფრთხოების კონტექსტში“, „სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები“.

ბუნდოვანი ფორმულირებები ოფიციალურ დოკუმენტებში გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყების შემდეგ იკლებს. მაგალითად: ევროკავშირმა თურქეთისთვის, როგორც კანდიდატი სახელმწიფოსთვის, 2000 წელს იმ პრიორიტეტების ნუსხა შეიმუშავა, რომლის დაკმაყოფილებაც ამ უკანასკნელს მომავალი წლების განმავლობაში მოუწევდა. მათ შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოთხოვნას უმცირესობების პატივისცემა და მათი უფლებების დაცვა წარმოადგენდა (Council Decision on the Principles, Priorities, Intermediate Objectives and Conditions, 2001). მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში უმცირესობებთან დაკავშირებული პრობლემის საფუძველს, რეალურად, ქურთული გამოწვევა წარმოადგენდა, ქურთების საკითხი დოკუმენტში ნახსენები საერთოდ არ არის. 2007 წლის ანალოგიური დოკუმენტი

უმცირესობებთან მიმართებაში მეტად დაკონკრეტებულია. მასში უშუალოდ ქურთები და ძირითადად ქურთული ეთნოსით დასახლებული სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონია მოხსენიებული: „თურქეთს მოუწევს შეიმუშავოს კომპლექსური მიდგომა რეგიონული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, იმისთვის, რომ გაიზარდოს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული შესაძლებლობები იქ მცხოვრები მოსახლეობისთვის, ქურთული მოსახლეობის ჩათვლით“ (Council Decision on the Principles, Priorities, Intermediate Objectives and Conditions, 2008).

2.2. ოფიციალური თურქეთის კომპრომისები

თურქეთის მიერ ევროკავშირის სრულუფლებიან წევრობაზე გაკეთებული განაცხადის (1987 წ) შემდეგ ორგანიზაციის გავლენა პოტენციური წევრი ქვეყნის პოლიტიკაზე ეტაპობრივად გაიზარდა. იმდენად, რამდენადაც ქურთული საკითხი მხარეებს შორის უთანხმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო იყო, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ქურთების მიმართ გატარებული პოლიტიკა წარმოადგენდა ევროკავშირისა და მისი პოლიტიკური ინსტიტუტების კრიტიკის სამიზნეს. თურქეთი, თავის მხრივ, იძულებული გახდა გარკვეულ დათმობებზე წასულიყო, მათ შორის, მისთვის ეგზისტენციური მნიშვნელობის საკითხებთან მიმართებაში.

1980-იანი წლების ბოლოს თურქეთის პრეზიდენტმა თურგუთ ოზალმა ქურთული გამოწვევის გადაჭრის სრულიად ახლებური ხედვა შეიმუშავა. თუკი მანამდე ქურთული საკითხი სამხედრო პერსპექტივიდან განიხილებოდა, ამიერიდან აღნიშნული პრობლემა სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ გამოწვევად განისაზღვრა. პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა ინიციატივას ქურთული უმცირესობის მიმართ თურქეთის ოფიციალური პოლიტიკის ცვლილებასთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით, ერთ-ერთ პირველ ნაბიჯად ქურთული ენის გამოყენებაზე დაწესებული შეზღუდვების მოხსნა მიიჩნია და მაუწყებლობისა და განათლების ქურთულ ენაზე დაშვების მოწოდებით გამოვიდა (Osma, 2012: 47). ეროვნული

იდენტობისა და კულტურის დაკნინების მრავალწლიანი პრაქტიკის ფონზე ქართულ ენაზე სწავლებისა და ტელე-რადიო მაუწყებლობის დაშვება ფაქტობრივად უპრეცედენტო ინიციატივას წარმოადგენდა. პრეზიდენტი თურგუთ ოზალის განცხადებით, ის იყო პირველი ლიდერი თურქეთში, რომელმაც დაამსხვრია ტაბუ და ქურთებს ქურთები უწოდა. „მოვიდა დრო შეიცვალოს დამოკიდებულება ქურთების მიმართ და გატარდეს შესაბამისი რეფორმები ქურთული უმცირესობის უფლებების უზრუნველსაყოფად“ - განაცხადა ერთ-ერთ გამოსვლაში ქვეყნის უმაღლესმა პოლიტიკურმა ფიგურამ (Cohen, 1991).

თურგუთ ოზალის ქურთული პოლიტიკის მორიგ უპრეცედენტო ნაბიჯს ქურთისტანის ლიდერებთან მოლაპარაკების პროცესის დაწყება წარმოადგენდა. ორმხივი მოლაპარაკების პროცესი ჩრდილოეთ ერაყის ტერიტორიაზე წარიმართა. პრეზიდენტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინიციატივას წარმოადგენდა თურქ და ქურთ ერს შორის კავშირების გააქტიურება, რისთვისაც ოზალმა შიდა მიგრაციის პროცესის წახალისებას შეუწყო ხელი.

შეცვლილი რიტორიკა ქურთულ საკითხთან მიმართებაში და პრეზიდენტ ოზალის მიერ ინიცირებული ცვლილებები, თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების სტრატეგიის ერთ-ერთ პირველ ტაქტიკურ ნაბიჯად შეგვიძლია განვიხილოთ. გაწევრიანების თაობაზე განაცხადის ოფიციალურად გაკეთებიდან რამდენიმე თვეში ევროკავშირმა თურქეთს სწორედ ქურთული პრობლემა შეახსენა და აღნიშნული გამოწვევა ორმხრივ ურთიერთობებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაბრკოლებად განსაზღვრა (Resolution on a Political Solution to the Armenian Issue, 1987: 2). დასავლელი დიპლომატების მოსაზრებით ოზალის მოქმედებები მნიშვნელოვანწილად თურქეთის ევროკავშირთან დაახლოვების მოტივებით იყო ნაკარნახევი, მითუმეტეს, რომ ქვეყანამ 1987 წლიდან ევროპული ინტეგრაციის პროცესი ოფიციალურად დაიწყო (Cohen, 1991). თურგუთ ოზალის შერბილებული ქურთული პოლიტიკა დასავლური პოლიტიკური ინსტიტუტების, მათ შორის ევროპის საბჭოსა და ევროპული პარლამენტის, მხრიდან წინგადადგმულ ნაბიჯად იქნა შეფასებული.

თურგუთ ოზალის მიერ ინიცირებულ ცვლილებებს ქვეყნის შიგნით მომხრეებთან ერთად მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ. ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური ძალები (მათ შორის მმართველი გუნდის შემადგენლობაში) და მოსახლეობა შიშობდა, რომ ქურთული მოსახლეობისთვის დაშვებულ გამონაკლისს შესაძლოა ნეგატიური შედეგი გამოეღო - უფლებრივად მომძლავრებულ ქურთულ მოსახლეობას უფრო მეტი კომპრომისი მოეთხოვა ოფიციალური თურქეთის მხრიდან, რაც სამომავლოდ ქვეყანას სეპარატიზმისა და დეზინტეგრაციის ფასად დასჯდომოდა. იმდენად, რამდენადაც თურგუთ ოზალის მმართველობა ხანმოკლე აღმოჩნდა, მომავალმა პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა კი ქურთების მიმართ ძველი პოლიტიკური კურსი განაახლა, თურქეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სპექტრში გაჩენილი ქურთული დილემა დღის წესრიგიდან მალევე მოიხსნა.

ქურთული საკითხი ათეულობით წლის განმავლობაში ეროვნული უსაფრთხოების პრობლემად განიხილებოდა, რომელშიც გარე ძალების ჩარევა ყოველად მიუღებელ ანომალიას წარმოადგენდა. აღნიშნული ნაციონალისტური მიდგომა ქვეყნის პოლიტიკურ დისკურსში 1920-იანი წლებიდან გაბატონდა და ფაქტობრივად მეოცე საუკუნის ბოლომდე დომინირებდა. ევროკავშირში გაწევრიანების სურვილი გახდა მთავარი მოტივი, რის გამოც თურქეთმა ე.წ. „სევრის სინდრომი“ დაძლია, მნიშვნელოვან კომპრომისებზე წავიდა და გარე ძალას თურქულ-ქურთულ ურთიერთობებში ჩარევის უფლება მისცა. შედეგად, 1998 წლიდან, ევროკავშირმა, მისი შემადგენელი ინსტიტუტის, ევროკომისიის საშუალებით, თურქულ-ქურთული ურთიერთობების შესწავლის პროცესი დაიწყო. რეგულარულად ანალიზებდა თურქეთის დამოკიდებულებას ქურთული უმცირესობების მიმართ, ქურთულ უმცირესობასთან მიმართებაში გატარებული პოლიტიკის ლაფსუსებზე აპელირებდა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თურქეთს ქურთული პრობლემის გადაჭრის მიმართულებით გარკვეულ რეკომენდაციებსაც აძლევდა. უდიდეს კომპრომისს წარმოადგენდა ევროკომისიის რეგულარულ მოხსენებებში ქურთული საკითხის უმცირესობების ბლოკში განხილვის დაშვება, მაშინ, როდესაც ოფიციალური კანონმდებლობა ქურთულ მოსახლეობას უმცირესობად არ აღიარებდა.

თურქეთის ხელისუფლებამ გააანალიზა, რომ უმცირესობის საკითხის მოწესრიგება ევროკავშირთან დაახლოების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა და ქურთული გამოწვევის გადაჭრის გარეშე თურქეთის რესპუბლიკა ევროკავშირში ვერასოდეს გაწევრიანდებოდა. ქურთული პრობლემის ტრნსოფორმაციაზე ზრუნვა თურქეთმა განსაკუთრებით აქტიურად კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღების შემდეგ დაიწყო. ევროპულ სტანდარტებთან თანხვედრის მიზნით ხელი რამდენიმე მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტს მოაწერა, დააფიქსირა მზაობა მხედველობაში მიეღო ევროპული კონვენციის შესაბამისი მუხლები ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიმართულებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნაბიჯს ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მე-6 პროტოკოლის რატიფიცირება წარმოადგენდა, რომლითაც თურქეთის რესპუბლიკამ სიკვდილით დასჯის გაუქმება ოფიციალურად გამოაცხადა (Rumelili, 2006: 211). საკანონმდებლო რეფორმა ევროკავშირის მიერ იქნა ინიცირებული და მიზნად სიკვდილმისჯილი ქურთი ლიდერის აბდულა ოჯალანის განაჩენის შეცვლას ისახავდა. თურქეთის მხრიდან ამ ტიპის დათმობაზე წასვლა კიდევ ერთ ნიშანს წარმოადგენდა, რომ ქვეყანას ევროკავშირში გაწევრიანება მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი. საკანონმდებლო ცვლილებით თურქეთმა ფაქტობრივად ის ადამიანი შეიწყალა, რომელიც სახელმწიფოს ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობის მთავარ იდეოლოგს წარმოადგენდა.

ოფიციალური თურქეთის მხრიდან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპრომისი ქურთი პოლიტიკური აქტივისტის ლეილა ზანასა და ქურთული წარმოშობის კანონმდებლების ციხიდან გათავისუფლება იყო. ამ უკანასკნელთა პატიმრობის საკითხი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თურქეთ-ევროკავშირის შორის უთანხმოების მიზეზს წარმოადგენდა. ევროპული ინსტიტუტების ტრიბუნიდან არაერთხელ გაიჟღერა გაფრთხილებამ თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივაზე ქურთი აქტივისტების დაკავების ფაქტების შესაძლო ნეგატიური გავლენის შესახებ. 2004 წლის განჩინებით სასამართლომ ლეილა ზანას ქურთ კანონმდებლებთან ერთად ბრალი ოფიციალურად მოუხსნა (Goodman, 2004).

ევროპული კვლევების თანახმად, თურქეთის საშინაო პოლიტიკის ცვლილება ქურთულ საკითხთან მიმართებაში ევროკავშირმა განაპირობა. ორგანიზაციის გავლენის ბერკეტები თურქეთისთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების (1999 წ) შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. ორგანიზაციაში გაწევრიანება იყო მნიშვნელოვანი სტიმული ქურთულ საკითხთან მიმართებაში ცვლილებების პროცესის დასაწყებად. თუკი ათეულობით წლის განმავლობაში ქურთული კონფლიქტი განუვითარებლობისა და ტერორიზმის პრობლემად მიიჩნეოდა, 1999 წლიდან თურქულ პოლიტიკურ წრეებში ქურთების სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სამოქალაქო უფლებებზე ალაპარაკდნენ (Rumelili, 2006: 212). შეიცვალა ოფიციალური პოლიტიკური დისკურსი ქურთულ უმცირესობასთან მიმართებაში. მოხდა ქურთული საკითხის პრობლემად აღიარება და მისი გადაჭრის დემოკრატიული გზების ძიება. თურქეთმა ქურთული ეთნოსი დე-ფაქტო უმცირესობად აღიარა.

XXI საუკუნის დასაწყისიდან ქურთულ საკითხზე არსებული ტაბუ ეტაბობრივად იხსნება. ოფიციალური პოლიტიკური დისკურსი ქურთული გამოწვევის მიმართ უფრო გახსნილი ხდება. პრემიერ მინისტრ რეჯეპ ტაიპ ერდოღანის 2005 წლის დიარბაქირის გამოსვლა ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ქურთული პრობლემის იგნორირების პოლიტიკა წარსულს ჩაბარდა. ქვეყნის უმღალესმა პოლიტიკურმა ფიგურამ ქურთული საკითხის საჯაროდ განხილვით პრობლემის აღიარების მიმართულებით პოზიტიური პრეცედენტი შექმნა. პრემიერმა აუდიტორიის წინაშე განაცხადა, რომ „ქურთულ ეთნოსთან მიმართებაში წარსულში შეცდომები მართლაც იქნა დაშვებული. ამ შეცდომების არ აღიარება თურქეთის მსგავსი ძლიერი სახელმწიფოს მხრიდან შესაფერისი საქციელი ვერ იქნება. საჭიროა მოხდეს მათი გამოსწორება და მრავალწლიანი პრობლემის დემოკრატიული და არა სამხედრო ბერკეტებით გადაწყვეტა. ქურთული პრობლემა თურქეთის საერთო პრობლემაა“ (Turkish PM Addresses Kurdish Question, 2005).

მნიშვნელოვანია პრემიერ მინისტრის 2011 წლის სიტყვით გამოსვლა ანკარაში. ერდოღანმა 1936-1939 წლების დერსიმის მოვლენებზე ისაუბრა, რომლის დროსაც მმართველი ძალის მიერ განხორციელებულ საჰაერო და სახმელეთო ოპერაციებს ათასობით ქურთი მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა: „თუ სახელმწიფოს მხრიდან

მოზოდინებაა საჭირო, მაშინ მე მოვიზოდინებ. ბოდიშს ვიხდი“ - განაცხადა პრემიერმა. ერდოლანის შეფასებით დერსიმის მოვლენა თურქეთის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ინციდენტია, რომლის გარშემოც უამრავ კითხვას პასუხი უნდა გაეცეს (Turkey Apologises, 2011).

2.3. ქურთული უმცირესობის პრო-ევროპული განწყობები

ქურთული საკითხის პრობლემად აღიარებით და თურქეთისთვის ქურთული გამოწვევის მშვიდობიანი გზით გადაჭრის პასუხისმგებლობის დაკისრებით ევროკავშირმა ქურთულ უმცირესობაში ნდობა და ოპტიმისტური მოლოდინები გააჩინა. იმ ფაქტმა, რომ უმცირესობების პატივისცემა ევროკავშირის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას წარმოადგენდა, როგორც წევრი, ასევე გაწევრიანების პროცესში მყოფი ქვეყნების მიმართ, ქურთული უმცირესობების პოზიტიურ მოლოდინებს კიდევ უფრო მტკიცე საფუძველი შეუქმნა. ორგანიზაცია აღქმული იქნა, როგორც მხარდამჭერი საგარეო ძალა, რომლის გავლენის გამოყენება ქურთული პრობლემის მოგვარების რეალურ შესაძლებლობებს შექმნიდა. შესაბამისად, ევროკავშირში გაწევრიანების იდეის ლობირება (გაწევრიანების პროცესის ოფიციალური დაწყების პირველივე დღეებიდან) ქურთული უმცირესობის მხრიდან ლოგიკურ და მოსალოდნელ ნაბიჯს წარმოადგენდა.

1990-იან წლებში ოფიციალური თურქეთის მხრიდან ქურთების მიმართ განსაკუთრებით ხისტი და დისკრიმინაციული პოლიტიკის ამოქმედებამ ქურთულ უმცირესობაში თურქეთის ევროინტეგრაციის იდეის მხარდაჭერა გაამდიდრა. ქურთი პოლიტიკოსების ვიზიტებმა ევროკავშირის ინსტიტუტებში ინტენსიური ხასიათი მიიღო. აღნიშნული ვიზიტები ერთ საერთო მიზანს ემსახურებოდა: ევროპელი პოლიტიკოსების გავლენის გამოყენებით მოეხდინათ თურქეთის პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაცია და დაესრულებინათ ადამიანის უფლებების შელახვის არსებული პრაქტიკა ქვეყნის შიგნით. თურქეთის ევროკავშირში ინტეგრაციის იდეას აქტიურად უჭერდა მხარს ქურთული ეთნოსის ევროპული დიასპორა. დიასპორის წარმომადგენლები, თურქეთში მოღვაწე ქურთი პოლიტიკოსებისა და აქტივისტების

მსგავსად, ევროინტეგრაციაში ხედავდნენ ქურთების მდგომარეობის გაუმჯობესების გამოსავალს. ევროკავშირის ინსტრუმენტებს უნდა უზრუნველყოთ ქურთული პარტიებისა და ორგანიზაციების შეუზღუდავი ფუნქციონირება თურქეთის შიგნით (Balci, 2013: 77).

1990-იან წლებში ქურთულმა პარტიებმა საკუთარი პოლიტიკა ძირითადად ადამიანის უფლებების, დემორკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპებზე დააფუძნეს, რაც ევროკავშირის კოპენჰაგენის კრიტერიუმების ერთგვარ გამოძახილს წარმოადგენდა. ქურთული მოძრაობების პრო-ევროპული პოზიცია განსაკუთრებით 90-იანი წლების მეორე ნახევარიდან გაძლიერდა. თურქეთის მიერ კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღებამ ევროინტეგრაციის ქურთული მხარდაჭერა კიდევ უფრო გააძლიერა. ქურთების მუშათა პარტია და თურქეთში მოქმედი ლეგალური ქურთული პოლიტიკური მოძრაობები ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების იდეას ოფიციალური წერილებით და დოკუმენტებით გამოეხმაურნენ: გაერთიანებულ დეკლარაციაში ქურთულმა პარტიამ “HADEP” თურქეთის ევროკავშირში ინტეგრაციის პერსპექტივისადმი მხარდაჭერა ოფიციალურად გამოთქვა და დააფიქსირა, რომ იზიარებდა კოპენჰაგენის ხელშეკრულებით განსაზღვრულ წინაპირობებს დემოკრატიზაციის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პრინციპებთან მიმართებაში (Rubin, Heper, 2002: 134). ოფიციალური წერილით თურქეთის ევროინტეგრაციას მხარდაჭერა გამოუცხადა ქურთების მუშათა პარტიამაც. ქურთული მოძრაობის სამხედრომ ფრთამ თურქეთისთვის გაწევრიანების წინაპირობად კოპენჰაგენის პოლიტიკური კრიტერიუმების წამოყენება მოიწონა და განაცხადა, რომ პარტიის იმჟამინდელი პროგრამა თანხვედრაში იყო ევროკავშირის სტრატეგიასთან. (Balci 2013, 78). თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების იდეისადმი ქურთული მხარდაჭერის მორიგ მტკიცებულებას დაპატიმრებული ქურთი პოლიტიკოსის ლეილა ზანას წერილი წარმოადგენს. ევროპარლამენტის სპიკერის პატ კოქსისადმი გაგზავნილ წერილში ზანა აცხადებს, რომ „ურჩევნია იყოს იმ ქვეყნის პატიმარი, რომელმაც ევროკავშირთან ინტეგრაციის თაობაზე მოლაპარაკებები დაიწყო, ვიდრე იცხოვროს სახელმწიფოში, რომლისთვისაც ორგანიზაციის კარი დაკეტილია“ (Guncelleme, 2004).

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული კატასტროფის შემდეგ ურთიერთობები ევროკავშირსა და ქურთული უმცირესობის ბლოკს შორის მნიშვნელოვნად შეიცვალა. ევროკავშირმა ქურთების მუშათა პარტია ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეიტანა, დაგმო პარტიის მოქმედებები და თურქეთის რესპუბლიკას ტერორიზმის წინააღმდეგ ბროლაში სოლიდარობა გამოუცხადა (European Parliament Resolution of 21 May 2008). ბრალდებებისა და დაგმობის პოლიტიკის პასუხად, ქურთისტანის მუშათა პარტიამ პრო-ევროპული ვექტორი შეცვალა და თურქეთის ევროკავშირში ინტეგრაციის იდეის მოწინააღმდეგეთა ბანაკს შეუერთდა (Casier, 2010).

ქურთისტანის მუშათა პარტიის დაგმობამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საერთო ქურთულ განწყობებზე ევროკავშირის მიმართ. XXI საუკუნის დასაწყისიდან, თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების იდეის გარშემო აზრი ორად გაიყო: ერთი ნაწილი ევროინტეგრაციის იდეის მომხრედ დარჩა, მეორეს გარკვეული ეჭვები გაუჩნდა. უნდობლობისა და კრიტიკის ძლიერი ტალღის მიუხედავად, ქურთულმა ბლოკმა ურთიერთობები ევროკავშირის ინსტიტუტებთან ბოლომდე არ გაწყვიტა (Casier, 2010). მოლოდინი იმის, რომ ევროკავშირში ინტეგრაცია თურქეთის პოლიტიკურ სისტემაში მნიშვნელოვან ცვლილებებს დაუდებდა სათავეს, საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა. ქურთული პოლიტიკური პარტიის „DTP“ თავმჯდომარის აისელ თულლუქის განცხადებით “კოპენჰაგენის კრიტერიუმის ინტეგრირება თურქეთის კონსტიტუციაში ქურთული პრობლემის გადაჭრას შესაძლებელს გახდიდა” (Balci, 2013: 83).

თავი III. თურქეთის ქურთული პოლიტიკის ლიბერალიზაცია - აღმავალი და დაღმავალი ფაზები

3.1. შეცვლილი დამოკიდებულება ქურთების მიმართ - ლიბერალიზაციის პოლიტიკის დასაწყისი

ქურთულ უმცირესობასთან დაკავშირებული საკითხი თურქეთისთვის თითქმის ერთი საუკუნეა ეგზისტენციური მნიშვნელობის პრობლემას წარმოადგენს. რესპუბლიკის დაარსების დღიდან ქურთული უმცირესობის არსებობა ქვეყნის დეზინტეგრაციის საშიშროებასთან ასოცირდება. ქურთული განმათავისუფლებელი ბრძოლები ჯერ კიდევ ოტომანთა იმპერიის საზღვრებში იქნა დაწყებული. 1920-იან წლებში, დასავლური სახელმწიფოების ჩარევითა და მონდომებით, ქურთისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის იდეა ყველაზე რეალურ საშიშროებად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის რესპუბლიკამ არ დაუშვა საკუთარ საზღვრებში დამოუკიდებელი ქურთისტანის ფორმირება, ქურთული საკითხი ქვეყნის მომავალი ერთიანობის სერიოზულ გამოწვევად დარჩა.

გამოწვევის ერთ-ერთ პირველ პასუხს ქურთული ეთნოსის უმცირესობად არაღიარება წარმოადგენს. ეს მაშინ, როდესაც ქურთი მოსახლეობის რაოდენობრივი წილი ქვეყნის მთლიანი პოპულაციის დახლოებით 1/5-ს შეადგენდა. ამას დაემატა მონოეთნიკური საზოგადოების ფორმირების იდეა და ე.წ. „თურქიფიკაციის“ პოლიტიკა, რომელმაც ქურთული დისკრიმინაციისთვის დამატებითი საფუძვლები შექმნა. ათეულობით წლის განმავლობაში ქურთული უმცირესობა მკაცრად იდევენებოდა, ძალადობრივად იხშობოდა მათი იდენტობის გაამოვლინების ნებისმიერი მცდელობა, ნადგურდებოდა კულტურული ფასეულობები, იკრძალებოდა ნაციონალური ენა. ეს იყო ქურთულ ერში სახელმწიფოებრივი ელემენტების მიზანმიმართული ობსტრუქცია, რომელიც ფაქტობრივად მთელი მეოცე საუკუნის მახინჯ პრაქტიკად იქცა.

თურქულ-ქურთულ ურთიერთობებში ახალი ეტაპი მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულიდან იწყება. მანამდე არსებული ხისტი პოლიტიკური კურსი

გაურკვევლწილად რბილდება, XXI საუკუნის დასაწყისიდან კი მკვეთრად ლიბერალიზდება. იმდენად, რამდენადაც ევროპული სახელმწიფოების კლუბში გაწევრიანება თურქეთის რესპუბლიკის სანუკვარ მიზანს წარმოადგენდა, სწორედ ევროკავშირის ფაქტორით აიხსნება ქურთების მიმართ ოფიციალური სახელმწიფო პოლიტიკის ლიბერალიზაცია.

1999 წლიდან თურქეთმა დემოკრატიული რეფორმაციის პროცესი დაიწყო, რომელმაც პირდაპირი გავლენა მოახდინა ქვეყანაში მცხოვრები ქურთული ეთნოსის მდგომარეობაზე. გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები ქურთი მოსახლეობის სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ ცხოვრებაში ინტეგრაციის მიზნით. ევროკავშირმა მის ხელთ არსებული ბერკეტების, მათ შორის უმცირესობების დაცვის მიმართულებით შემუშავებული კონვენციების, გამოყენებით ხელი შეუწყო ქურთების უფლებრივი მდგომარეობის ეტაპობრივად გაუმჯობესებას. ქურთული ეთნოსის სასარგებლოდ თურქეთის პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციის პროცესში კოპენჰაგენის ხელშეკრულებით გათვალისწინებული კრიტერიუმების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ე.წ. პოლიტიკური კრიტერიუმი, როგორც გაწევრიანების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობა, თურქეთის ქურთული ლიბერალიზაციის მთავარი მოტივატორი გახდა.

2001 წლის ეროვნული პროგრამა, სახელწოდებით „ეროვნული პროგრამა ევროკავშირის მოთხოვნების შესასრულებლად“, წარმოადგენდა ოფიციალური თურქეთის პასუხს ევროკავშირის მიერ შემუშავებულ გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე. აღნიშნულ პროგრამაში, რომელიც ევროინტეგრაციის პროცესში შემუშავებული ერთ-ერთი პირველი ოფიციალური დოკუმენტია, ქურთული პოლიტიკის ლიბერალიზაციის პირველი ნიშნები იკვეთება. დოკუმენტის თანახმად თურქეთის მოქალაქეებისთვის დაშვებული იქნა სხვადასხვა ენისა და დიალექტის შეუზღუდავად გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში (Executive Summary of the Turkish National Programme, 2001: 25). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ჩანაწერით თურქეთი უმცირესობების საკითხზე პირდაპირ არ აპელირებს, ლინგვისტური მრავალფეროვნების დაშვება ქურთებთან მიმართებაში მნიშვნელოვანი ცვლილებების დასაწყისზე მიუთითებს.

რამდენიმე ათწლეულიანი აკრძალვის შემდეგ ქურთული ენის ლეგალიზაციის მიმართულებით პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნა გადადგმული.

ეროვნული პროგრამის პასუხად სახელმწიფომ მნიშველოვანი საკანონმდებლო ცვლილებების განახორციელებას ჩაუყარა საფუძველი. ე.წ. „ჰარმონიზაციის პაკეტების“ ფარგლებში, 2002-2004 წლებში, მიღებული იქნა მთელი რიგი საკონსტიტუციო ცვლილებებისა, რომლითაც ერთ-ერთი პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ბენეფიტი სწორედ ქურთულმა ეთნოსმა მიიღო. დაიწყო ქურთული უმცირესობის კულტურისა და იდენტობის ელემენტების ეტაპობრივი აღიარება, ათეულობით წლის განმავლობაში შელახული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების აღდგენა, ქურთული უმცირესობის წარმომადგენლების თურქეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრაციაზე ზრუნვა.

„ჰარმონიზაციის პროცესის“ ფარგლებში ერთ-ერთ პირველ და ყველაზე რეზონანსულ მიღწევას ქურთული ენის ლეგალიზაციის მიმართულებით შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებები წარმოადგენდა. უმცირესობების ენების დაცვა იყო ევროკავშირის მნიშვნელოვანი პრიორიტეტი. ამ მიმართულებით მის ერთ-ერთ სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენდა „ევროპული ქარტია რეგიონული/უმცირესობების ენები შესახებ“, რომლის გარანტირებული დაცვის ვალდებულება ევროკავშირის თითოეული წევრი და კანდიდატი ქვეყნის მტკიცე ვალდებულება იყო. თურქეთმა, როგორც კანდიდატმა ქვეყანა, ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად შესაბამისი ნაბიჯები გადადგა. ოფიციალური თურქეთის მიერ გატარებული საკანონმდებლო ცვლილებების პირველი პაკეტი ქურთულ ენაზე აზრის გამოხატვის, მაუწყებლობისა და განათლების მიღების უფლებებს შეეხო და ამ მიმართულებით არსებული საკანონმდებლო დევიაციები გამოასწორა.

კონსტიტუციური შესწორებით #4709 (2001 წლის ოქტომბერი) ქვეყნის უზენაესი კანონიდან ამოღებული იქნა ნორმა „აკრძალულ ენებზე აზრის გამოხატვისა და გავრცელების დაუშვებლობის შესახებ“. იმავე ჩასწორებით კონსტიტუციის 28 მუხლიდან ამოღებული იქნა ჩანაწერი „აკრძალულ ენებზე პუბლიკაციების გამოქვეყნების დაუშვებლობის შესახებ“. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები,

რომელიც გამოხატვის თავისუფლების სფეროს არეგულირებდა, ძირითადად ქურთული პრობლემის გადაჭრაზე იყო ორიენტირებული. ჩასწორებული ნორმები, თავის დროზე, გამოყენებული იქნა ქურთული ენის ასაკრძალად, ტერმინის „ქურთული“ დაკონკრეტების გარეშე (Kisacik, 20).

ჰარმონიზაციის პროცესის მორიგ პროგრესულ ნაბიჯს უმცირესობების ენებზე მაუწყებლობის დაშვება წარმოადგენდა. საკონსტიტუციო ჩასწორებით #4771 თურქულმა რადიო და სატელევიზიო სადგურებმა ქურთულ ენაზე მაუწყებლობის უფლება მიიღეს (Kizilkan-Kisacik, 2010: 21). კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც რამდენიმე ათწლეულიანი დისკრიმინაციული პოლიტიკის ოფიციალურ დასასრულზე მიუთითებდა. ქურთულ (ისევე როგორც სხვა უმცირესობათა) ენაზე ტრანსლაცია პირველ ეტაპზე დროითი და სამაუწყებლო ლიმიტის ფარგლებში დაიშვა. კერძოდ, მაუწყებლობის უფლება მხოლოდ სახელმწიფო მფლობელობაში არსებულ ტელე და რადიო სადგურებს ჰქონდა, ისიც 45 წუთი დღის და 4 საათი კვირის განმავლობაში (Turkey Allows Broadcasting of Kurdish-Language Shows, 2002). აღნიშნული შეზღუდვა მომდევნო წლებში მნიშვნელოვნად ლიბერალიზდა, საბოლოოდ კი მთლიანად გაუქმდა.

ქურთულ ენაზე აზრის გამოხატვის თავისუფლების დაშვება და ტელე-რადიო გადაცემების ქურთულენოვანი ტრანსლაცია წარმოადგენდა უპრეცედენტო მოვლენას თურქეთის ისტორიაში. პირველად, თითქმის საუკუნოვანი აკრძალვის შემდეგ, ქურთული ენის ლეგალიზაციის მიმართულებით რეალური ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. „თურქეთის სამაუწყებლო ხელისუფლებამ დაუშვა გარკვეული რადიო და სატელევიზიო პროგრამების მაუწყებლობა ერთ დროს აკრძალულ ქურთულ ენაზე. ეს არის ნაბიჯი, რომელიც ქვეყანამ ევროკავშირში გაწევრიანების მოთხოვნათა პასუხად გადადგა. თურქეთის პარლამენტის 2002 წლის აგვისტოს გადაწყვეტილებით სატელევიზიო და რადიო სადგურებს უფლება მიეცათ დაეწყო მაუწყებლობა ქურთულ ენაზე. ევროკავშირი მიესალმა აღნიშნულ რეფორმას, მაგრამ დასძინა, რომ დაელოდებოდა რამდენად პირნათლად მოხდებოდა მიღებული რეფორმის განხორციელება“ - წერდა დასავლური მედია (Turkey Allows Broadcasting of Kurdish-Language Shows, 2002).

ქართულ საკითხთან მიმართებაში „ჰარმონიზაციის პროცესის“ მიღწევას ქართულონოვანი კურსების გახსნის დაშვება წარმოადგენდა. საკონსტიტუციო შესწორებთ #4771 (2002 წლის აგვისტო) ნებადართული იქნა კერძო კურსების გახსნა თურქეთის მოქალაქეების მიერ ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებულ ენებზე და დიალექტებზე (Kizilkan-Kisacik, 2010: 21). ეს იყო კიდევ ერთი საკანონმდებლო ნორმა ქართული ენის ლეგალიზაციის მიმართულებით, ტერმინის „ქართული“ დაკონკრეტების გარეშე. კერძო კურსების ლეგალიზება ქართულ ენაში ევროინტეგრაციის პროცესის მორიგ თანმხვედრ ნაბიჯს წარმოადგენდა. თურქეთმა ოფიციალურად აღიარა ქართული უმცირესობის უფლება საფუძვლიანად შეესწავლა მშობლიური ენა. ქართული ენის კურსები მთელი ქვეყნის, მათ შორის დიდი ქალაქების (მაგალითად სტამბული), მასშტაბით გაიხსნა. მაგრამ, არსებობს მედლის მეორე მხარე. მაუწყებლობის რეფორმის მსგავსად, შეზღუდვები განათლების კანონსაც შეეხო. ოფიციალური რეგულაციების თანახმად, კურსების დასაშვები ხანგრძლივობა 10 კვირას შეადგენდა, მაქსიმალური 18 საათიანი სასწავლო ბადით კვირაში. აღნიშნული კურსების ღირებულება იყო საკმაოდ მაღალი და რაც მთავარია, არ ფინანსდებოდა სახელმწიფოს მხრიდან. ენის გაკვეთილებს მხოლოდ თურქი ეროვნების მასწავლებლები ჩაატარებდნენ (Arslan, 2015: 77).

3.2. სამართლიანობისა და განვითარების პარტიის პრო-ევროპული კურსი და ქართული ლიბერალიზაცია

სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ, რომელიც ხელისუფლების სათავეში 2002 წლის ნოემბერში მოვიდა, ქვეყნის პრო-დასავლური კურსი კიდევ უფრო განამტკიცა. სახელისუფლებო პარტიის ლიდერმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა პარტიის არჩევნებში გამარჯვებიდან რამდენიმე საათში ოფიციალურად განაცხადა, რომ „მისი პარტია საკუთარ მმართველობაში მტკიცედ მიჰყვება სეკულარიზმის პრინციპებს და მხარს დაუჭერს თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების კურსს“ (Mann, Rodgers, 2002). სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე

დღეებიდან დააფიქსირა საკუთარი განზრახვა თურქეთის ევროპულ სახელმწიფოდ ფორმირებასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დემოკრატიზაციის პროცესის დაჩქარების გზით მოახდინოს კოპენჰაგენის კრიტერიუმების დაკმაყოფილება (Osma, 2012: 62).

ევროკავშირში გაწევრიანება სამართლიანობისა და განვითარების პარტიის პოლიტიკური კურსის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად განისაზღვრა. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში ახალმა სახელისუფლებომ ძალამ რეფორმაციის დაწყებული პროცესი გააგრძელა. 2002-2004 წლებში ე.წ. ჰარმონიზაციის 6 ახალი პაკეტი აამოქმედა (Aknur, 2012: 295). ინტენსიური რეფორმაციის პროცესი მიზნად კოპენჰაგენის ხელშეკრულებით წამოყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას და ევროკავშირთან გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების პროცესის დაწყებას ისახავდა. მმართველი პარტიის მიერ ევროინტეგრაციის პროცესში განხორციელებული რეფორმები, ძირითადად, საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ სფეროს შეეხო. მიმდინარე რეფორმები ევროკავშირში გაწევრიანების პროგრამის ცენტრალურ ნაწილად და ქვეყნის ეკონომიკური და დემოკრატიული წინსვლის, ძირითად მექანიზმად განსაზღვრა (Elicin, 108).

სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მიერ მნიშვნელოვანი რეფორმები იქნა განხორციელებული ადამიანისა და უმცირეობების უფლებების სფეროში. საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო შეკრებისა, გამოხატვის, აღმსარებლობის თავისუფლების ნორმებს და ამ მიმართულებით თურქეთში არსებული ვითარების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას შეუწყო ხელი. გამკაცრდა რეგულაციები წამების, დამამცირებელი და არადამიანური მოპყრობის დანაშაულის მიმართ. (kubicek, 2013: 42)

ოფიციალური თურქეთის მიერ გატარებულ რეფორმატორულ კურსს 2003 წლის მაისში ევროპარლამენტი გამოეხმაურა. ევროკავშირის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ თურქეთის რესპუბლიკაში დაფიქსირებული პროგრესი პოზიტიურად იქნა შეფასებული:

„ბოლო პერიოდში ოფიციალური თურქეთის მხრიდან დაფიქსირდა მზადყოფნა, გაატაროს რეფორმები კანონის უზენაესობის სფეროში. შეგვიძლია აღვნიშნოთ საკონსტიტუციო რეფორმები (2001 წლის ოქტომბერი) და ახალი სამოქალაქო კოდექსი (2001 წლის ნოემბერი), სამი დამატებითი საკანონმდებლო რეფორმა (2002 წლის თებერვალი, მარტი და აგვისტო), და ჰარმონიზაციის მე-4 და მე-5 პაკეტი (2003 წლის იანვარი). ბოლო საკანონმდებლო პაკეტი გულისხმობს თურქეთის სასამართლო სისტემის უფლებას, დაიწყოს საქმის ხელმეორედ განხილვა, იმ შემთხვევაში, თუ ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო დაადგენს წინა სასამართლო გადაწყვეტილების შეუთავსებლობას ადამიანის უფლებების ევროპულ კონვენციასთან. ახალი საკანონმდებლო ჩანაწერი პოზიტიურად იმოქმედებს დაპატიმრებული ქურთი პარლამენტარების ქეისებზე, რომელთაგან ერთ-ერთს სახაროვის პრიზით დაჯილდოებული დეპუტატი ლეილა ზანა წარმოადგენს. პარლამენტი ბოლო ცხრა წელია უშედეგოდ მოუწოდებს თურქეთის ხელისუფლებას დაპატიმრებული ქურთი პოლიტიკოსების გათავისუფლებისკენ (Report on Turkey's Application for Membership of the European Union, 2003).

ქურთული პრობლემა, როგორც ევროინტეგრაციის პროცესის გამოწვევა, სამართლიანობისა და განვითარების პარტიის პოლიტიკური დღის წესრიგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი გახდა. წინა ხელისუფლების მიერ ქურთულ უმცირესობასთან მიმართებაში ამოქმედებული ლიბერალური პოლიტიკური კურსი ახალმა მმართველმა პარტიამ ძალაში დატოვა. მეტიც, სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობის პირველ პერიოდში ქურთული ლიბერალიზაციის მიმართულებით კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.

სახელისუფლებო პარტიამ ქურთული საკითხისადმი სრულიად ახლებური ხედვა ჩამოყალიბა. ქურთული პრობლემა, როემლიც შიდა სახელმწიფოებრივ გამოწვევად იქნა მიჩნეული, მხოლოდ პოლიტიკური და დემოკრატიული ბერკეტების გამოყენებით შეიძლებოდა გადაჭრილიყო. ახალმა მმართველმა ძალამ დღის წესრიგში ქურთებისთვის სუბიდენტობის მინიჭების საკითხი დააყენა, რაც ქურთებს საკუთარი იდენტობით სარგებლობის შესაძლებლობას მისცემდა, რაღა თქმა უნდა თურქული

იდენტობის შემდეგ (Osma, 2012: 65) ქურთული სუბიდენტობის ფორმირებას ხელი მნიშვნელოვანწილად მშობლიური ენის ლეგალიზაციამ, მასზე მაუწყებლობისა და განათლების უფლების დაშვებამ, ქურთული ეთნოსისთვის კულტურული უფლებების უზრუნველყოფამ განაპირობა.

უმცირესობების ენების სწავლების დაშვების შესახებ შესაბამისი საკანონმდებლო ნორმა 2003 წლის დეკემბერში ამოქმედდა. 2004 წლისთვის თურქეთის 6 ქალაქის, მათ შორის, ადანას, დიარბარქირის, სტამბულის, კერძო სკოლებში უკვე ისწავლებოდა ქურთული ენა (Regular Report from the Commission on Turkey's Progress, 2004: 49). უნივერსიტეტებში დაშვებული იქნა ქურთული ენის არჩევითი კურსების გახსნა. აღნიშნული საგანმანათლებლო პოლიტიკა სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში მოქმედი სასწავლებლების გარდა, სტამბულის რამდენიმე პრესტიჟულ უნივერსიტეტს, მათ შორის, ბილგისა და საბანჯის, შეეხო. მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა კურსებზე თურქი სტუდენტების დარეგისტრირების დაშვება. (Osma, 2012: 73). ინიციატივის მოტივი თურქი და ქურთი ეთნოსების დაახლოვება იყო, რაც გარკვეულწილად პარადოქსულ პრეცედენტს ქმნიდა. თუკი ათეულობით წლის განმავლობაში ქურთული ენა სახლემწიფოს დეზინტეგრაციისკენ მიმართულ პირდაპირ საშიშროებად განიხილებოდა, დღეს ამ ენას ქვეყნის მოსახლეობის „გამაერთიანებლის“ ფუნქცია უნდა ეკისრა.

ქურთული ლიბერალიზაციის ფარგლებში მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა სამოქალაქო რეგისტრაციის კანონში შესული ცვლილება (2003 წ), რომლის შედეგად მშობლებს უფლება მიეცათ საკუთარი შვილებისთვის ქურთული სახელები დაერქმიათ: აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებით, რომელიც ე.წ. ჰარმონიზაციის მე-6 პაკეტის ფარგლებში ამოქმედდა, ოფიციალურმა თურქეთმა ქურთ ეთნოსს იდენტობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი აღუდგინდა. ჩანაწერი „პოლიტიკურად“ შეურაცხმყოფელი სახელი წაიშალა კონსტიტუციური ნორმიდან. საკანონმდებლო აკრძალვა შენარჩუნდა ასოების - q, x, w - შემცველ ქურთულ სახელებზე (Regular Report from the Commission on Turkey's Progress, 2003: 37).

ჰარმონიზაციის მე-6 პაკეტით, ერთი წლის წინ მიღებული სამაუწყებლო კანონის მასშტაბები გაფართოვდა. ახალი ჩანაწერით სხვადასხვა ენებზე და დიალექტებზე ტრანსლაციის უფლება ეძლეოდა როგორც საზოგადოებრივ, ასევე კერძო ტელე და რადიო კომპანიებს (Regular Report from the Commission on Turkey's Progress, 2003: 37). სამაუწყებლო კანონის ჩარჩოების გაფართოებამ ხელი შეუწყო ქურთულენოვანი სამაუწყებლო კომპანიების მომრავლებას ქვეყანაში. 2007 წლისთვის თურქეთში ქურთულ ენაზე უკვე 4 ადგილობრივი რადიო და ტელე სადგური მაუწყებლობდა (Commission Staff Working Document, 2007) 2009 წელს, TRT 6-ის დაფუძნებით, ქურთულენოვანი მაუწყებლობა 24 საათიან რეჟიმზე გადავიდა. ახალი ქურთული არხის საინაუგურაციო ცერემონიაზე თურქეთის პრემიერ მინისტრმა რამდენიმე სიტყვა ქურთულ ენაზე წარმოთქვა. რეჟებ ტაი ერდოღანი გახდა პირველი თურქი ლიდერი, რომელმაც ქურთული ენა საჯარო გამოსვლაში გამოიყენა (Siddique, 2009).

პარლამენტის მიერ მიღებული „კანონით სოციალური რეინტეგრაციის შესახებ“ (2003 წ) დაიწყო ქურთების მუშათა პარტიის საქმიანობაში მონაწილეობის ბრალდებით დაკავებული პირების ამნისტიის/სასჯელის ზომის შემცირების პროცესი (2003 წლის დეკემბერში 2067 პატიმრიდან 524 იქნა გათავისუფლებული). იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ სახლებში დაბრუნების პროგრამის ფარგლებში, 2000-2004 წლებში, მშობლიურ კერას 124 218 ადამიანი დაუბრუნდა (Gresh and Chorev, 4) 2004 წლის მდგომარეობა ევროკავშირის მხრიდან განსაკუთრებით პოზიტიურად შეფასდა: თურქეთი შეუერთდა შესაბამის ევროპულ და საერთაშორისო კონვენციებს, რომლებიც არეგულირებენ ადამიანის უფლებების პატივისცემისა და ფუნდამენტური თავისუფლებების გარანტიების სფეროებს. რესპუბლიკამ ოფიციალურად სცნო აღნიშნული კონვენციების უზენაესობა ადგილობრივ კანონმდებლობასთან მიმართებაში და ხელს უწყობს მათი აღსრულების პრაქტიკას ქვეყნის შიგნით. ქვეყნის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში არსებული ვითარება, სადაც მოსახლეობის ძირითად ნაწილს ქურთები შეადგენენ, 1999 წლიდან ეტაპობრივად უმჯობესდება. იზრდება უსაფთხოებისა და ადამიანთა ფუნდამენტური თავისუფლებების უზრუნველყოფის ხარისხი. დაიშვა მაუწყებლობა ქურთულ ენაზე.

სულ ახლახანს რამდენიმე ქურთულენოვანი სკოლა გაიხსნა (Regular Report from the Commission on Turkey's Progress, 2004: 50-55).

ქურთულ საკითხთან მიმართებაში პოზიტიური დინამიკა შეიმჩნევა ევროკავშირის 2005 წლის მოხსენებაშიც: გაუმჯობესდა ქურთული სამოქალაქო ჯგუფების მდგომარეობა თურქეთში. უმცირესობების წარმომადგენლებისთვის მოქმედი შესაბამისი აკრძალვის მიუხედავად, დაარსდა რამდენიმე ასოციაცია, მათ შორის დიარბარქირის „ქურთ მწერალთა ასოციაცია“ (Regular Report from the Commission on Turkey's Progress, 2004: 42). ანკარას ქურთული დემოკრატიული და კულტურული გაერთიანებების, მწერალთა კავშირების წარმომადგენლებმა შეძლეს ესარგებლათ თავისუფლების უპრეცედენტო ხარისხით. 2005 წლის ევროკავშირის ოფიციალური შეფასებით მნიშვნელოვნად გამარტივდა ქურთულ თემატიკაზე დაწერილი ნაშრომების გამოქვეყნება. პუბლიკაციების ავტორების წინააღმდეგ აღძრული სასამართლო დავების უდიდესი ნაწილი სწორედ ამ უკანასკნელთა გამართლებით დასრულდა. ნაწილობრივი ლიბერალიზაციის მიუხედავად, ქურთულ საკითხებზე გამოცემულ პუბლიკაციებთან მიმართებაში გარკვეული შეზღუდვები ჯერ კიდევ ძალაშია (Turkey 2005 Progress Report, 2005: 26). ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში დაფიქსირებული პროგრესის შეფასებისას გამოყენებული იქნა ტერმინები „ნელი“ და „არათანაბარი“. ხაზგასმით აღინიშნა პრემიერ ერდოღანის 2005 წლის ვიზიტი დიარბარქირში და მის მიერ ქურთული პრობლემის გადაჭრის დემოკრატიულ გზებზე აპელირება.

იმავე 2005 წლის შეფასებით შემცირდა სამხედრო და პოლიციური ძალების მიერ განხორციელებული ძალადობრივი მოქმედებები. თურქეთმა მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს ადამიანის უფლებების სფეროში. განხორციელა ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ადამიანის უფლებების დამრღვევთა წინააღმდეგ. ქურთული ლიბერალიზაციის მიმართულებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნაბიჯს სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის გაუქმება წარმოადგენდა. ევროკავშირის მოთხოვნის პასუხად, ოფიციალურმა თურქეთმა ქურთებით დასახლებულ რეგიონში 15 წლიანი სამხედრო კონტროლი ეტაპობრივად დაასრულა. ხელი შეუწყო ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, მათი

მხრიდან სამოქალაქო, პოლიტიკური უფლებებით სარგებლობას და კულტურული აქტივობების უშიშრად განხორციელებას (Osma, 2012: 73).

სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ერთ-ერთ პრიორიტეტს ქურთულ რეგიონში ადექვატური სოციალური უზრუნველყოფის სისტემის შექმნა წარმოადგენდა. ამით ახალმა მმართველმა ძალამ საკუთარი პოლიტიკური კურსი წინა სახელისუფლებო პარტიების პოლიტიკისგან კიდევ ერთხელ გამიჯნა. გაზარდა სამედიცინო პერსონალის წილი ქურთულ დასახლებაში: თუკი 2001 წელს 2314 ადამიანზე საშუალოდ ერთი ექიმი მოდიოდა, 2006 წლის მონაცემით აღნიშნული მაჩვენებელი 1349-მდე შემცირდა. პროგრესი თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში აღმოჩნდა 4-ჯერ უფრო მაღალი ქვეყნის დანარჩენ ნაწილთან შედარებით. დაფიქსირდა მნიშვნელოვანი წინსვლა განათლების სისტემაშიც. 2006-2008 წლებში მოსწავლეების წილი მასწავლებლებთან მიმართებაში მნიშვნელოვნად შემცირდა და ფაქტობრივად ეროვნულ მაჩვენებელთან გათანაბრდა (19)მთავრობამ დაიწყო შესაბამისი პროგრამების განხორციელება კერძო სექტორის განსაკუთრებულად - 2001-2008 წლებში კერძო სექტორის მხარდაჭერის მაჩვენებელი ქურთულ რეგიონში 7-ჯერ გაიზარდა, მაშინ, როდესაც იგივე მაჩვენებელი მხოლოდ 3-ჯერ გაუმჯობესდა ქვეყნის დანარჩენ ნაწილში. დაიწყო კრედიტების შეთავაზება. გაიზარდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტი. (Aydin, Emrence, 2016: 8)

წინა სახელისუფლებო პარტიებისგან განსხვავებით, სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ლიდერებმა ქურთულ პოლიტიკურ სექტორთან ურთიერთობის დამყარების მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია პრემიერ ერდოღანისა და მისი მოადგილეების ძალისხმევა დიალოგი ეწარმოებინათ ქურთისტანის „დემოკრატიული საზოგადოების პარტიის“ (DTP) წარმომადგენლებთან. პარტია, რომლის მიზანს თურქეთის დიდ ნაციონალურ ასამბლეაში (TGNA) ქურთული ინტერესების დაცვა წარმოადგენდა, სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში უდიდესი მხარდაჭერით სარგებლობდა (Osma, 2012: 65). ქურთისტანის ერთ-ერთ წამყვან პოლიტიკურ პარტიასთან თანამშრომლობის დამყარების მცდელობა სამართლიანობისა და განვითარების პარტიის კიდევ ერთი

მნიშვნელოვანი კომპრომისი იყო, რაც, თავისთავად, ხელს შეუწყობდა ქურთული ეთნოსის პოლიტიკური საქმიანობის ეფექტურობის ზრდას.

XXI საუკუნის პირველ ათწლეულში რადიკალურად შეიცვალა ქურთული საკითხის თანამედროვე ხედვა. ქურთული ეთნოსის ბრძოლა, რომლებიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში სეცესიონისტურ ჭრილში განიხილებოდა, დემოკრატიული, კულტურული და სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლად განისაზღვრა. შეიცვალა მონოეთნიკური საზოგადოების ფორმირებაზე ორიენტირებული თურქული ნარატივი. თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში წინა პლანზე მრავალეროვნული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და თითოეული ეთნოსისთვის თანაბარი უფლებების უზრუნველყოფის იდეები წამოვიდა.

3.3. ნეო-ოტომანიზმი, როგორც იდეოლოგია

ოტომანიზმი წარმოადგენს მეცხრამეტე საუკუნის პოლიტიკურ მოძრაობას, რომელმაც საერთო რელიგიურ, ეთნიკურ, ლინგვისტურ მახასიათებლებზე დაფუძნებული ოტომანთა ეროვნული იდენტობის ფორმირებას შეუწყო ხელი. იდენტობის აღნიშნულმა პროექტმა საკუთარი თავი XX საუკუნის 20-იან წლებში ამოწურა, როდესაც ქვეყნის პოლიტიკურ დისკურსში ქემალიზმი გაბატონდა. მომდევნო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში თურქეთმა გაიზიარა აზრი ოტომანთა იმპერიის, როგორც კორუფციული და ჩამორჩენილი გაერთიანების შესახებ და სეკულარიზმის პრინციპის დანერგვით ახლო აღმოსავლეთის ისლამურ ტრადიციებსა მკვეთრად გაემიჯნა.

მიუხედავად იმისა, რომ ქემალიზმი მეოცე საუკუნის დომინანტ პოლიტიკურ იდეოლოგიას წარმოადგენდა, 1980-იან წლებში ოტომანიზმმა, როგორც მოძღვრებამ, გარკვეული ფორმით თავი კიდევ იჩინა. 70-იანი და 80-იანი წლების გადატრიალებების სერიამ ისლამის, როგორც გამაერთიანებელი ფაქტორის, როლი წინა პლანზე წამოწია. საბჭოთა კავშირის დაშლამ, თავის მხრივ, თურქეთისთვის რეალური შესაძლებლობა გააჩინა ახლად დაფუძნებული ცენტრალური აზიის, კავკასიისა და ბალკანეთის

სახელმწიფოებთან უფრო მჭიდრო ურთიერთობები დაემყარებინა. ოტომანიზმის მოდიფიცირებული ვარიანტი ნეო-ოტომანიზმად იწოდება და თურქული პოლიტიკური ვექტორის დასავლეთიდან აღმოსავლეთით გადანაცვლებას, თურქეთის საგარეო პოლიტიკის ე.წ. შუააღმოსავლეთიზაციას გულისმობს. XXI საუკუნის დასაწყისიდან ნეო-ოტომანიზმი, როგორც იდეოლოგია, თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ანგარიშგასაწევი ძალა ხდება. იზრდება მისი როლი და გავლენა თურქული პოლიტიკური ისტებლიშმენტის გადაწყვეტილებებზე.

ნეო-ოტომანიზტური ლოგიკით ოტომანთა მმართველობის პერიოდი მიიჩნევა მშვიდობის, მრავალეთნიკურობისა და ტოლერანტობის ოქროს ხანად. ოტომანთა იმპერიაში შემავალ ყოფილ ტერიტორიებში (ამჟამად სახელმწიფოებში) აღნიშნული პერიოდისადმი ძლიერი ნოსტალგია არსებობს. ნეო-ოტომანიზტური დისკურსის თანახმად, სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, ყოფილი ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში თურქეთის გავლენის ხელახალი ზრდა მოხდეს, აღდგეს ამ უკანასკნელის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, კულტურული დომინირება. თურქი პოლიტიკის მეცნიერის თარიქ ოღუზლუს განმარტებით, თურქეთს, როგორც ოტომანთა იმპერიის სამართალმემკვიდრეს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია იმპერიის ყოფილი ტერიტორიების წინაშე (Wigen, 2009: 6). ამასთან, თურქეთის რესპუბლიკამ თავი უნდა დააღწიოს დასავლეთთან, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებთან, სუბორდინაციულ მდგომარეობას.

ნეო-ოტომანიზმის ნიშნები იკითხება საგარეო ურთიერთობებში ერდოღანის ყოფილი მრჩევლისა და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის აჰმეთ დავუთოღლუს ნაშრომში „სტრატეგიული სიღრმე“. საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების განსაზღვრისას დავუთოღლუ ხაზს უსვამს ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობისა და ისტორიული კავშირების მნიშვნელობას: ევროპასა და აზიას, ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიას შორის მდებარეობა თურქეთს მთელ რიგ გეოგრაფიულ უპირატესობებს ანიჭებს. მეორე მხრივ, არსებობს იმპერიული წარსულის ფენომენი, რომელიც თურქეთის რესპუბლიკას ბრიტანეთის, საფრანგეთის, რუსეთისა და ჩინეთის მსგავსი სახელმწიფოების კატეგორიაში აქცევს (Onar, 2009: 13).

დავუთოდლუს მოსაზრებით, თურქეთმა საკუთარი ისტორიული და გეოგრაფიული სიღრმის/მნიშვნელობის თანაზომიერი პოლიტიკა უნდა გაატაროს, აღნიშნული მიზნის მისაღწევად კი ე.წ. „რბილი ძალა“ გამოიყენოს. თურქეთის რესპუბლიკამ ეტაპობრივად უნდა მოიშოროს მილიტარისტული სახელმწიფოს იმიჯი, განავითაროს ეკონომიკური თანამშრომლობა რეგიონული მასშტაბით. იმდენად, რამდენადაც წარმოადგენს ევროპულ, შუა აღმოსავლურ, ბალკანურ, კავკასიურ, ცენტრალური აზიის, ხმელთაშუა და შავი ზღვისპირეთის ქვეყანას, თურქეთს შეუძლია გავლენა მოახდინოს თითოეული ამ რეგიონის სახელმწიფოზე და გაატაროს ინტეგრირებული, მრავალგანზომილებიანი საგარეო პოლიტიკური კურსი (Grigoriadis, 2010: 4-5)

დავუთოდლუს რიტორიკაში გარკვეულწილად ანტი-დასავლური განწყობები იგრძნობა. ის, ერთი მხრივ, ამერიკის შეერთებულ შტატებს ადანაშაულებს ახლო დმოსავლეთისადმი არაკონსტრუქციული პოლიტიკის გატარებაში და მეორე მხრივ, თურქი იმიგრანტების მიმართ დაფიქსირებული ქსენოფობიური დამოკიდებულებების გამო დასავლეთ ევროპას აკრიტიკებს. ნათლად აფიქსირებს მოსაზრებას, თურქეთის მისწრაფების შესახებ, გაატაროს დამოუკიდებელი პოლიტიკა რეგიონული და გლობალური მასშტაბით და არ იმართებოდეს ზესახელმწიფოების ინსტრუქციებით (ყველაშვილი, 2013).

დავუთოდლუ თურქეთის გლობალური სტრატეგიული ამბიციების რეალიზაციისთვის ორ აუცილებელ პირობას გამოყოფს: პირველი მათგანი ქვეყნის საშინაო პოლიტიკას ეხება, რომლის თანახმად, თურქეთმა, ერთი მხრივ, ქურთული პრობლემა უნდა გადაჭრას და მეორე მხრივ, შეასრულოს ხიდის როლი ისლამისტურ და სეკულარისტულ ელემენტებს შორის საზოგადოების შიგნით. დავუთოდლუ ორივე კონფლიქტის გადაჭრას ლიბერალურ პრინციპებზე დაყრდნობით მოიაზრებს. მეორე პირობა, რომელსაც გლობალური თურქული სტრატეგია დაეფუძნება, მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობაზეა ორიენტირებული. თურქეთმა ე.წ. „ნულოვანი პრობლემების პოლიტიკა მეზობლებთან“ სტრატეგიის ფარგლებში, მეზობელ ქვეყნებთან არსებული ყველა კონფლიქტი უნდა დაასრულოს. რეგიონული ლიდერისა და გლობალური მოთამაშის როლის მოსარგებად მეზობელ ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობების დამყარება აუცილებელია (Grigoriadis, 2010: 5).

3.4. თურქეთის საგარეო პოლიტიკის ევრო-აზიანიზაცია და ქურთული ლიბერალიზაციის შენელება

სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მეორე სახელისუფლებო ვადიდან თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსი გარკვეულწილად მოდიფიცირდა. პრო-ევროპული ვექტორის გვერდით სახელისუფლებო პარტიის პროგრამაში აღმოსავლური აქცენტები ჩნდება. ქვეყნის საგარეო პოლიტიკა მულტილატერალიზმისკენ იხრება, სადაც ევროპეიზაცია და ევროკავშირში ინტეგრაცია გრავიტაციის ცენტრს აღარ წარმოადგენს. დასავლური ორიენტაცია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად რჩება, მაგრამ უფრო მოქნილი და აღმოსავლურ ვექტორთან თავსებადი ხდება (Giannotta, 2010: 4).

თურქეთის ევროპული კურსის შესუსტებას მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ევროკავშირის მხრიდან თურქეთის ევროინტეგრაციის იდეისადმი არასაკმარისმა მხარდაჭერამ. ევროპული კომისიის 2004 წლის რეპორტში გაჟღერებულმა იდეებმა, რომლის თანახმად თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე დაწყებულ მოლაპარაკებებს არ განესაზღვრა დროითი ლიმიტი, ხოლო გაწევრიანების პერსპექტივა არ იყო გარანტირებული, თურქულ მედიაში და საზოგადოებაში სერიოზული კრიტიკა გამოიწვია. გაჩნდა მოსაზრება, რომ ევროკავშირის დამოკიდებულება კანდიდატი ქვეყნების მიმართ იყო შერჩევითი, თურქეთისთვის სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მინიჭება კი საერთოდ არ წარმოადგენდა ორგანიზაციის საბოლოო მიზანს. 2005 წლის მონაცემებით, თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების იდეას მხარი ქვეყნის მოსახლეობის 59 %-მა დაუჭირა, რაც 2004 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 12 %-ით ჩამორჩებოდა (Goff-Taylor, 2017).

კვიპროსის ევროკავშირში გაწევრიანება წარმოადგენდა მორიგ კრიტიკულ ბარიერს თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში. იმ ფაქტმა, რომ ორად გაყოფილი კუნძულის ბერძნებით დასახლებული ნაწილი ორგანიზაციის წევრი გახდა, თურქეთში ევროსკეპტიციზმის ხარისხი კიდევ უფრო გაზარდა და განამტკიცა ეჭვი, ევროკავშირის მხრიდან კანდიდატი ქვეყნების მიმართ შერჩევითი დამოკიდებულებაზე. ამას დაემატა

იდეა, სრულფულებიანი წევრობის ნაცვლად თურქეთისთვის „პრივილეგირებული პარტნიორის“ სტატუსის შეთავაზების შესახებ. ევროპელი ლიდერების მნიშვნელოვანმა ნაწილმა (მათ შორის იყვნენ შემდგომში გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი და საფრანგეთის მომავალი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი) აღნიშნულ მოსაზრებას მხარი დიად დაუჭირა, რამაც თურქული საზოგადოება კიდევ უფრო გაანაწყენა (Goff-Taylor, 2017).

მმართველი პარტიის მეორე სახელისუფლებო ვადიდან ოფიციალურ პოლიტიკურ დისკურსში გაძლიერდა იდეა, რომლის თანახმად თურქეთს, როგორც ოტომანთა იმპერიის სამართლმემკვიდრეს, შეუძლია უზრუნველყოს მშვიდობა და სტაბილურობა ახლო აღმოსავლეთში. მხოლოდ რეგიონული ლიდერის ფუნქციების მორგებით შეძლებს თურქეთის რესპუბლიკა დასავლეთს, და მათ შორის ევროკავშირს, საკუთარი თავი რელევანტურ ძალად წარმოუჩინოს. ევროკავშირში ინტეგრაციის პერსპექტივამ, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქვეყნის, როგორც რეგიონული ლიდერის, იმიჯზე. გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების ოფიციალურად დაწყების შემდეგ, თურქეთი ახლო აღმოსავლეთის მოსახლეობისთვის გახდა პოტენციური „მხსნელი“, რომელიც ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში, რეგიონის განვითარებას და მოდერნიზაციას შეუწყობდა ხელს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აზროვნების ახლებურმა ასპექტებმა, ე.წ. ნეო-ოტომანიზმის ელემენტებმა, თურქეთის საგარეო პოლიტიკაში დასავლური და აღმოსავლური კურსის ერთგვარი სინთეზი მოახდინა, აღმოსავლური აქცენტების სწრაფად მზარდი ტენდენციით. პრო-ევროპული კურსი განისაზღვრა, როგორც ქვეყნის საგარეო და საშინაო მიზნების რეალიზაციის საშუალება. ევროკავშირში გაწევრიანებით თურქეთი, ერთი მხრივ, მოიზიდავდა დამატებით ინვესტიციებს და ხელს შეუწყობდა ქვეყნის ეკონომიკური სისტემის განვითარებას, მეორე მხრივ, გაზრდიდა დემოკრატიის ხარისხს და გააუმჯობესებდა საზოგადოების მდგომარეობას ქვეყნის შიგნით. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ევროინტეგრაციის იდეის ერთგული დარჩა, 2007 წლიდან, ევროენტუზიაზმმა აშკარად იკლო. ენთუზიაზმის კლება, თავის მხრივ, სახელისუფლებო პარტიის მიერ განხორციელებული რეფორმაციის პროცესის შენელებაში აისახა (Gianotta, 6-7).

ევროპული ენთუზიაზმის ხარისხის შემცირება მნიშვნელოვანწილად აისახა ოფიციალური თურქეთის პოლიტიკაზე ქურთული უმცირესობის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ სახელისუფლებო რიტორიკა პრო-ევროპული დარჩა, რეფორმების ტემპი გარკვეულწილად შენედა. სამართიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობის მეორე ვადაში ქურთული უმცირესობის მიმართ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, ერთგვარად, საუკუნის დასაწყისში აღებული ინერციის გაგრძელებას წარმოადგენდა. 2009 წელს თურქეთის ხელისუფლებამ ქურთული ლიბერალიზაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა: ე.წ. „ქურთული გახსნილობის“ პოლიტიკური კურსის ფარგლებში დაიგეგმა მთელი რიგი ცვლილებების განხორციელება, რომლებიც ქურთული უმცირესობის მდგომარეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა. მეორე საკითხია, რამდენად ზედმიწევნით შესრულდა დაგეგმილი რეფორმები.

სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ოფიციალური პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდა ბრძოლა ქურთული უმცირესობების კულტურული უფლებების აღდგენისა და დაცვისთვის. შეიმჩნევა როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური დინამიკა. პირველ რიგში, შევეხოთ ლიბერალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევას - ქურთულენოვანი მაუწყებლობის დაშვებას და აღნიშნული რეფორმის შედეგებს ევრო-აზიანობის ეპოქაში. როგორც წინა თავში აღინიშნა, 2007 წლისთვის ქურთულ ენაზე თურქეთის მასშტაბით უკვე 4 ადგილობრივი ტელე და რადიო სადგური მაუწყებლობდა. გადაცემების (მუსიკალური პროგრამებისა) ტრანსლაცია დაუშვებელი იყო თურქულენოვანი თარგმანის ან სუბტიტრების გარეშე. უნდა აღინიშნოს, რომ რეგულაცია არათურქულენოვანი, მათ შორის ქურთულენოვანი, პროგრამების მაუწყებლობას ართულებდა და კომერციული თვალსაზრისით ნაკლებად მიმზიდველს ხდიდა. 2008 წლის ევროპული კომისიის მონაცემებით, ტელე-რადიო მაუწყებლობის უზენაესმა საბჭომ (RTUK) მკაცრი მონიტორინგი დააწესა ქურთულენოვან ტრანსლაციაზე. კიდევ ერთ შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენდა ქურთულენოვანი პოლიტიკური დებატებისა და გასართობი გადაცემების მაუწყებლობის არდაშვება კერძო სატელევიზიო არხებზე. გაშუქებული პროგრამების შინაარსთან დაკავშირებით, არაერთი სასამართლო დავა იქნა აღძრული

ქურთულენოვანი სატელევიზიო არხის - GÜN TV-ის წინააღმდეგ (Commission Staff Working Document, 2008: 26).

ქურთული ლიბერალიზაციის ერთ-ერთ პრობლემურ ასპექტს პოლიტიკურ ცხოვრებაში ქურთული ენის ლეგალიზაციის უზრუნველყოფა წარმოადგენდა. 2007 წლის მონაცემებით „დემოკრატიული საზოგადოების პარტიის“ (DTP) და „უფლებებისა და თავისუფლების პარტიის“ (Hak-Par) არაერთი წარმომადგენელი იქნა გასამართლებული პარტიულ საქმიანობაში ქურთული ენის გამოყენების გამო (Commission Staff Working Document, 2007: 22). 2009 წელს, ანალოგიური ბრალდების საფუძველზე, სამართლებრივი საქმისწარმოება დაიწყო დემოკრატიული საზოგადოების პარტიის რამდენიმე წევრის წინააღმდეგ, მათთვის საპარლამენტო იმუნიტეტის მოხსნის მოთხოვნით (Commission Staff Working Document, 2009: 28).

გამოხატვისა და მედიის თავისუფლების მიმართულებით სამართიანობისა და განვითარების პარტიის მეორე სახლისუფლებო ვადიდან უარყოფითი ტენდენცია შეიმჩნევა. მოიმატა სამართლებრივი დავების რაოდენობამ იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც აფიქსირებდნენ მოსაზრებებს უმცირესობების, მათ შორის ქურთულ საკითხთან, მიმართებაში. (Commission Staff Working Document, 2007: 61). გაიზარდა ზეწოლა იმ პერიოდულ გამოცემებზე, რომლებიც ქურთულ თემატიკაზე წერდნენ. 2010 წლისთვის, რამდენჯერმე აიკრძალა გაზეთ „Azadiya Welat“-ის გამოცემა დიარბარქირში. ამასთან, პერიოდული გამოცემის ჟურნალისტები დაპატიმრებულნი იქნენ ტერორისტული პროპაგანდის ბრალდებით (Commission Staff Working Document, 2010: 20).

ქურთული საკითხის მიმართ სახელისუფლებო პარტიის მმართველობის პირველ პერიოდში შემუშავებული სამოქალაქო მიდგომა გარკვეულწილად სუსტდება, რის შედეგადაც, ქურთული გამოწვევა, ნელ-ნელა, უსაფრთხოების სფეროსთან დაკავშირებულ პრობლემად განიხილება. ამას ადასტურებს ზემოთმოყვანილი ფაქტი, ქურთულ საკითხზე მომუშავე ჟურნალისტების ტერორისტული პროპაგანდის ბრალდებით დაპატიმრების შესახებ. ამ ტიპის ბრალდებებით სამართალწარმოება მხოლოდ ჟურნალისტების წინააღმდეგ არ აღძრულა. 2009-2011 წლებში, დაახლოებით

2000 ადამიანი, რომელთაგან უდიდესი ნაწილი ქურთულ პოლიტიკურ სექტორს წარმოადგენდა, ქურთების მუშათა პარტიის ახალ უბრანულ ორგანიზაციასთან „ქურთისტანის საზოგადოებათა გაერთიანებასთან“ (KCK) კავშირის საფუძველზე იქნა დაპატიმრებული. 2009 წლის დეკემბერში საკონსტიტუციო სასამართლომ დემოკრატიული საზოგადოების პარტიას (DTP) საქმიანობის უფლება საერთოდ შეუჩერა (Aydin, Emrence, 2016: 9). 2008 წლის ქურთული ახალი წლის აღნიშვნისას, რამდენიმე პროვინციაში, მათ შორის ჰაკარში, იუკსეკოვანში და ვანში, დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალადობის ფაქტები დაფიქსირდა. დაიღუპა სამი მოქალაქე. (Commission Staff Working Document, 2008: 16).

2009 წელს დაანონსებულმა „ქურთული გახსნილობის“ პოლიტიკამ საზოგადოებაში პროგრესული ცვლილებების მოლოდინი გააჩინა. აღნიშნული პოლიტიკა მიზნად ისახავდა დაესრულებინა მიმდინარე დაპირისპირება ანატოლიაში და საბოლოოდ გადაეჭრა ქურთულ-თურქული კონფლიქტი. პრემიერ მინისტრ რეჯეპ ტაიპ ერდოღანის განცხადებით, „დემოკრატიული გახსნილობის კურსი შემუშავდა იმისთვის, რომ გაეუმჯობესებინა უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა და მოეხდინა მიმდინარე ქურთული პრობლემის ღრმა ისტორიული საფუძვლების ანალიზი“ (Osma, 2012: 74). „ქურთული გახსნილობის“ პოლიტიკამ, რომელსაც შემდგომში „დემოკრატიული გახსნილობა“ ეწოდა, საფუძველი ე.წ. „ქურთულ სამშვიდობო პროცესს“ ჩაუყარა. პროცესი რამდენიმე წელს გაგრძელდა და ქურთისტანის მუშათა პარტიის ლიდერებათან (მათ შორის დაპატიმრებულ აბდულა ოჯალანთან) აქტიური კომუნიკაციის ფონზე წარიმართა. „ქურთული სამშვიდობო პროცესი“ ოფიციალურად 2015 წელს დასრულდა (Unver, 2016).

სტამბულის ბოგაზიჩის უნივერსიტეტის პროფესორმა ქემალ ქირისჯიმ „ქურთულ გახსნილობაზე“ საუბრისას რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი გამოყო: პირველი მათგანი ე.წ. „ნდობის აღდგენის ღონისძიებების“ განხორციელებას გულისხმობდა. აღნიშნული კურსის ფარგლებში იმამებს საშუალება მიეცათ მეჩეთში ლოცვა ქურთულ ენაზე წაეკითხათ, დაიწყო 24 საათიანი ქურთული მაუწყებლობა თურქეთის საზოგადოებრივ მაუწყებელზე, ქურთულ ქალაქებსა და სოფლებს, რომლებსაც თურქიფიკაციის პოლიტიკის ფარგლებში სახელწოდებები შეეცვალათ, დაუბრუნდათ

ქურთული დასახელებები. „ქურთული გახსნილობის“ მეორე ეტაპი გულისხმობდა ოფიციალური თურქეთის მიერ ქურთისტანის მუშათა პარტიის მებრძოლების მიმართ ამნისტიის პროცესი დაწყებას. მესამე და ყველაზე რთულ ფაზას წარმოადგენდა კონსტიტუციური შესწორების ეტაპი, რაც, პირველ რიგში, თურქეთის მოქალაქის, როგორც ცნების, ახლებური განმარტებას გულისხმობდა. აღნიშნული ცნება ნაკლებად იქნებოდა კონცენტრირებული ეთნიკურ იდენტობაზე და მიიღებდა სამოქალაქო დატვირთვას. კონსტიტუციური შესწორები ქურთულ ენაზე განათლების მიღების ლეგალიზებასაც შეეხებოდა (The Kurdish Opening in Turkey, 2009)

დემოკრატიული გახსნილობის კურსს თან ახლდა გარკვეული პოზიტიური დინამიკა. დიარბარქირის მუნიციპალური თეატრის სცენაზე, პირველად ისტორიაში, დაიდგა ქურთული პიესა. მარდინის ართუქლუს უნივერსიტეტში დაფუძნდა ქურთული და ასირიული ენების დეპარტამენტი. ტელე-რადიო მაუწყებლობის უზენაესი საბჭოს რეგულაციის 2010 წლის შესწორებით მოიხსნა ყველანაირი შეზღუდვა ქურთულენოვან (და არ მხოლოდ) მაუწყებლობაზე, ადგილობრივი მასშტაბით მოქმედ კერძო და საზოგადოებრივ არხებზე. ამ ეტაპისთვის ქვეყნის მასშტაბით უკვე თოთხმეტი რადიო და ტელე არხი მაუწყებლობდა ქურთულ და არაბულ ენებზე. 2010 წლის საკანონმდებლო შესწორებამ (ჩასწორდა კანონი არჩევნებისა და საარჩევნო რეგისტრაციის ფუნდამენტური პრინციპების შესახებ) საარჩევნო კამპანიის დროს ქურთული ენის გამოყენება დე-ფაქტო დასაშვები გახადა („არჩევნებისა და პოლიტიკური პარტიების შესახებ“ კანონის თანახმად, პოლიტიკურ ცხოვრებაში თურქულის გარდა სხვა ენებით სარგებლობა იურიდიულად ისევ დაუშვებელი დარჩა) (Commission Staff Working Document, 2010: 32-33). განათლების უზენაესი საბჭოს (YÖK) 2011 წლის გადაწყვეტილებით მუშ ალფარსლანის უნივერსიტეტში ქურთული ენისა და ლიტერატურის დეპარტამენტი გაიხსნა. (Commission Staff Working Document, 2011: 39).

ევროკომისიის 2010 წლის შეფასებით, „დემოკრატიული გახსნილობის“ პოლიტიკური კურსში გაწერილი კრიტერიუმები ოფიციალურმა თურქეთმა მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა. ქვეყანაში ტერორიზმის მაჩვენებელი გაიზარდა. კომისია ხელისუფლებას ქურთულ საკითხთან მიმართებაში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე რეკომენდაციას აძლევს: საჭიროა მოხდეს ანტი-

ტერორისტული კანონის შესწორება, რაც ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებების სფეროში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას და ტერორიზმის ბრალდებით დაპატიმრებულ მოქალაქეთა რაოდენობის (მაჩვენებელი არაპროპორციულად მაღალია) შემცირებას. თურქეთმა გარკვეული პროგრესი დააფიქსირა კულტურული უფლებების მიმართულებით - მათ შორის აღსანიშნავია ქურთული ენის ლეგალიზაცია მაუწყებლობის სფეროში და 24 საათიანი ქურთულენოვანი მაუწყებლობა (არაბულენოვან მაუწყებლობასთან ერთად). მიუხედავად ამისა, ძალაში რჩება უმცირესობების ენებზე დაწესებული შეზღუდვები პოლიტიკურ, საგანმანათლებლო და საჯარო სექტორში (Commission Staff Working Document, 2010: 34).

თურქეთის ქურთული პოლიტიკის შეფასებისას კიდევ უფრო პესიმისტურია ევროპული კომისიის 2012 წლის მოხსენება: ქურთული საკითხი რჩება თურქული დემოკრატიის ძირითად გამოწვევად. პრემიერ მინისტრისა და მთავარი ოპოზიციური პარტიის “CHP” ლიდერის შეხვედრას, რომელიც მიზნად ქურთული პრობლემის გადაჭრის მიმართულებით გარკვეული პროგრესის მიღწევას ისახავდა, ჯერ-ჯერობით შედეგი არ მოჰყოლია. 2009 წელს დაწყებული „დემოკრატიული გახსნილობის“ კურსი, სრულფასოვნად არ განხორციელდა. სასამართლო დავების რიცხვი „ქურთისტანის საზოგადოებათა გაერთიანებასთან“ (KCK) კავშირის ბრალდებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. დაპატიმრებული იქნა ქურთული პოლიტიკური სექტორის არაერთი წარმომადგენელი, მათ შორის, ქურთი პოლიტიკური პარტიის “BDP” წევრები, მერები და მუნიციპალური საბჭოს წარმომადგენლები. გაიზარდა სასამართლო დავების რაოდენობამ ქურთულ თემატიკაზე მომუშავე მწერლების, ჟურნალისტების, მეცნიერების, მკვლევარების წინააღმდეგ. ქურთული ეროვნების არაერთი ჟურნალისტი იქნა დაპატიმრებული ტერორიზმის ხელშეწყობის ბრალდებით (Commission Staff Working Document, 2012: 22).

3.5. ანტი-ევროპული რიტორიკის მზარდი ტენდენცია ოფიციალურ დისკურსში და ქურთული ლიბერალიზაციის დადმასვლა

2013 წლის 30 სექტემბერს, პრემიერ მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა მთავრობის მიერ დაანონსებული „დემოკრატიზაციის“ პაკეტის დაწყება ოფიციალურად გამოაცხადა. დაგეგმილი რეფორმატორული კურსით, რომელიც მიზნად ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის ზრდას ისახავდა, მნიშვნელოვანწილად სწორედ ქურთული უმცირესობა ისარგებლებდა. კურსის ერთ-ერთ მიზანს 10 %-იანი საარჩევნო ბარიერის შემცირება წარმოადგენდა, რაც საარჩევნო გარემოს უფრო კონკურენტუნარიანს გახდიდა. აღნიშნული რეფორმით ქურთულ პარტიებს თურქეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში საკუთარი წარმომადგენლების გაგზავნის შესაძლებლობა ეძლეოდათ (2007 და 2011 წლების საპარლამენტო არჩევნების დროს ქურთულმა პოლიტიკურმა სპექტრმა საკუთარი წევრები პარლამენტში დამოუკიდებელი კანდიდატის სტატუსით წარადგინა). პაკეტით გათვალისწინებული მორიგი რეფორმა განათლების სფეროს ეხებოდა. კერძო (მაგრამ არა საჯარო) სკოლებში, არათურქული წარმოშობის ერების, მათ შორის ქურთული უმცირესობის, წარმომადგენლები, შეძლებდნენ განათლება მშობლიურ ენაზე მიეღოთ. ამ მიზნით უნდა მომხდარიყო „უცხოურ ენაზე განათლების მიღების შესახებ“ არსებული კანონის (#2923) შესწორება და მოდიფიცირება (აღნიშნული ნორმა პირველად 2003 წელს ჩასწორდა, რომლითაც უმცირესობების ენების შემსწავლელი კერძო კურსების გახსნა დასაშვები გახდა ქვეყნის მასშტაბით) (Ozbudun, 2013) „დემოკრატიზაციის“ პაკეტი ითვალისწინებდა ქურთული სოფლებისთვის პირვანდელი სახელების აღდგენას, ასოების - X, Q, W - გამოყენების დაშვებას ოფიციალურ დოკუმენტებში. ამასთან, დაწყებითი სკოლის მოსწავლეებს აღარ მოეთხოვებოდათ თურქული ერისადმი ერთგულების ფიცის დადება (Kurban, 2013: 1).

2013 წელს დაანონსებული დემოკრატიზაციის პაკეტი თურქეთის ქურთული პოლიტიკის ლიბერალიზაციის ფაქტობრივად უკანასკნელ მცდელობას წარმოადგენდა. გააქტიურდა ოფიციალური თურქეთის ძალისხმევა „ქურთული სამშვიდობო პროცესის“ წარმატებით დასრულებასთან და ქურთისტანის მუშათა პარტიის

მებრძოლების ქვეყნის ტერიტორიიდან გაყვანასთან დაკავშირებით. პოზიტიურმა შეფასებებმა გაიჟღერა ევროკავშირის მხრიდანაც. პროგრესის 2013 წლის მოხსენებაში ევროკომისია დადებითად აფასებს სამთავრობო ინიციატივებს და მას „ქურთული სამშვიდობო პროცესის“ გარდამტეხ მომენტად ასახელებს: ქურთული საკითხის გადასაჭრელად შემუშავებული გზა ქმნის პოზიტიურ მოლოდინებს. მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაასრულოს ტერორიზმი ქვეყნის შიგნით და უზრუნველყოს ქურთისტანის მუშათა პარტიის წევრების მშვიდობიანი გასვლა თურქეთის საზღვრებს მიღმა. პარლამენტარებს მიეცათ შესაძლებლობა ეწარმოებინათ მოლაპარაკებები PKK-ის დაპატიმრებულ ლიდერთან, აბდულა ოჯალანთან. ოჯალანმა პარტიის წევრებს საბრძოლო მოქმედებების დასრულებისკენ მოუწოდა. მნიშვნელოვანია ხელისუფლების გადაწყვეტილება სამოქალაქო კომისიის დაფუძნებასთან დაკავშირებით. კომისიის მიზანს სამშვიდობო პროცესისადმი საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვება წარმოადგენს. სამშვიდობო პროცესს მხარს უჭერს საერთაშორისო საზოგადოება, მათ შორის ევროკავშირი (Commission Staff Working Document, 2013: 15).

ოფიციალური თურქეთის მხრიდან, „ქურთული სამშვიდობო პროცესის“ წარმატებით დასრულების მიმართულებით 2014 წელს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც გულისხმობდა ტერორიზმის წინააღმდეგ ადექვატური ღონისძიებების გატარებას, ქურთული მოსახლეობის სოციალური ჩართულობის უზრუნველყოფას, ქურთისტანის მუშათა პარტიის იმ მებრძოლების რეინტეგრაციას, რომლებმაც ტერორისტული დაჯგუფება დატოვეს (Turkey – Progress Report, 2014: 3).

პოზიტიური მოლოდინებისა და შეფასებების მიუხედავად, 2015 წლის შემდეგ ქურთულ-თურქული ურთიერთობები მზარდი ტერორის, ხშირ შემთხვევაში ძალადობის ფონზე მიმდინარეობს, რაც, ერთი მხრივ, თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობების გაცივებითა, მეორე მხრივ კი სახელისუფლებო ავტორიტარიზმის მკვეთრი ტენდენციითაა გამოწვეული. ამას დაემატა სირიის სამოქალაქო კონფლიქტი და ავტონომიური ქურთული რეგიონის დაფუძნება ჩრ. სირიის ტერიტორიაზე, რამაც თურქეთის შიშები ქურთული სეპარატიზმის თაობაზე კიდევ უფრო გააძლიერა.

იმდენად, რამდენადაც ქურთული მოსახლეობის მიმართ ოფიციალური თურქეთის პოლიტიკის გამკაცრება ზემოთხსენებული ფაქტორების ერთგვარ კომბინაციას წარმოადგენს, განვიხილავ სამივე მათგანს. განსაკუთრებულ აქცენტს, რაღა თქმა უნდა, თურქეთ-ევროკავშირს შორის ურთიერთობების გაუარესებაზე და ევროსკეპტიკური რიტორიკის ზრდაზე გავაკეთებ.

სამართლიანობისა და განვითარების პარტიისა და მისი ლიდერის რეჯეპ ტაიპ ერდოღანის ავტორიტარული ამბიციები განსაკუთრებით აშკარა 2016 წლის წარუმატებელი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ გახდა. გადატრიალების მცდელობას, რომელსაც 250-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, რეპრესიების რამდენიმეთვიანი ტალღა მოჰყვა - სამხედრო პერსონალის, მოსამართლეების, აკადემიური სფეროსა და მედიის წარმომადგენლების მასობრივი დაპატიმრება, სატელევიზიო და რადიო არხების, ჟურნალ-გაზეთების დახურვა, ელექტრონული მედიასაშუალებების დაბლოკვა, არასამათავრობო ორგანიზაციებისთვის ლიცენზიის შეჩერება (Solomon, Srivastava, 2016). სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ავტორიტარული ამბიციები 2017 წლის რეფერენდუმის შედეგებმა კიდევ უფრო განამტკიცა. რეფერენდუმში მონაწილეთა უმრავლესობამ მხარი ძლიერ საპრეზიდენტო მოდელს დაუჭირა, რითიც მმართველი პარტიის ლიდერის წისქვილზე დაასხა წყალი (Shaheen, 2017) ხელისუფლების ავტორიტარული კურსი, ტერორისა და რეპრესიებსი გააქტიურებული პოლიტიკა უარყოფითად აისახა ქვეყნის საერთო მდგომარეობაზე, განსაკუთრებით კი ქურთული უმცირესობის ყოფაზე თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

სირიის ჩრდილოეთ ნაწილში, რომელიც ქურთებით დასახლებულ რეგიონს წარმოადგენს, 2003 წლიდან ფუნქციონირებს დემოკრატიული კავშირის პარტია (PYD). აღნიშნული გაერთიანება ქურთისტანის მუშათა პარტიის ყოფილი წევრებით იქნა დაკომპლექტებული და ოფიციალური თურქეთის მხრიდან ყოველთვის ოპოზიციურ ძალად ითვლებოდა. საფრთხისშემცველად განიხილებოდა მთლიანად ქურთებით დასახლებული როჯავას რეგიონი (განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 2014 წლიდან ავტონომიურ რეგიონად გამოცხადდა), სადაც ქურთების მუშათა პარტიის სირიული ფრთა საკმაოდ დიდი გავლენით სარგებლობდა. სამოქალაქო კონფლიქტმა და ამ

კონფლიქტში საგარეო ძალების (ძირითადად ამერიკის შეერთებული შტატების) მხრიდან ქურთული მოსახლეობის მიმართ გაწეულმა დახმარებამ ქურთული რეგიონი განსაკუთრებით დააწინაურა (Resch, 2017: 7-8). სირიის მოვლენებმა, ლოგიკურად, თურქეთში ქურთისტანის მუშათა პარტიის უპრეცედენტოდ გაძლიერების შიში გააჩინა და ქვეყნის ხელისუფლებას მეტი სიფრთხილის გამოჩენისკენ უბიძგა. შესაბამისად, ქურთული მოსახლეობის მიმართ პოლიტიკური კურსის გამკაცრება სიფრთხილით ნაკარნახევ ლოგიკურ ნაბიჯადაც შეგვიძლია განვიხილოთ.

იმდენად, რამდენადაც, ევროკავშირში გაწევრიანება გახდა წამახალისებელი ფაქტორი თურქეთისთვის, დაეწყო ქურთული პოლიტიკის ლიბერალიზაცია, ვფიქრობ, სწორედ ევროკავშირთან ურთიერთობების გაუარესება და პრო-ევროპული პრიორიტეტის გადაფასება წარმოადგენდა ქურთული მოსახლეობის მიმართ ლიბერალური პოლიტიკის გამკაცრების მთავარ განმაპირობებელ ფაქტორს. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, თურქეთის მხრიდან ევროინტეგრაციის რამდენიმეათწლეულიან მოლოდინს და გაწევრიანების ზედმეტად გაჭიანურებულ პროცესს.

გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყებიდან მე-8 წლის თავზე, ევროკავშირის ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი ძალის, საფრანგეთის მხრიდან, თურქეთის ევროინტეგრაციის პერსპექტივისადმი მორიგი ეჭვი იქნა გამოთქმული, რამაც მოლაპარაკების მიმდინარე პროცესი გარკვეულწილად შეაფერხა. ამას მოჰყვა 2013 წლის საპროტესტო აქციები (გეზის პარკში) და თურქეთ-ევროკავშირს შორის დამაბულობის მორიგი რაუნდი. თურქეთის ხელისუფლების მიერ პროტესტანტების წინააღმდეგ გამოყენებულმა ძალადობრივმა მეთოდებმა ბრიუსელის კრიტიკა და ევროპარლამენტის მხრიდან ხელისუფლების მოქმედების დამგმობი რეზოლუციის შემუშავება გამოიწვია. ოფიციალური თურქეთი განსაკუთრებით გააღიზიანა ევროკავშირის წარმომადგენლების მიერ გაკეთებულმა მუქარის შემცველმა განცხადებებმა გაწევრიანების თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებების შესაძლო გაჭიანურების შესახებ. (European Union Enlargement, 2013).

ევროკავშირის მიმართ სკეპტიკურად ხდება განწყობილი თურქეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი. ქვეყნის ევროინტეგრაციის პერსპექტივამ პირვანდელი ხიბლი დაკარგა,

რაც გამოკითხვის შედეგებითაც დასტურდება. 2013 წლისთვის თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების იდეას მხარი ქვეყნის მცხოვრებთა დაახლოებით 1/3-მა დაუჭირა. ის ფაქტი, რომ სეკულარულ ევროპასთან და ისლამისტურ შუა აღმოსავლეთთან ურთიერთობების ფონზე, თურქეთის ეკონომიკური მაჩვენებლები მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა, საკმარისი მიზეზი აღმოჩნდა თურქეთის მოსახლეობისთვის გაეცნობიერებინათ, რომ ევროკავშირში გაწევრიანება ქვეყნისთვის აუცილებელ საჭიროებას აღარ წარმოადგენდა (European Union Enlargement, 2013).

თურქეთის ანტიევროპული რიტორიკა 2013 წლის შემდეგ ეტაპობრივად ძლიერდება, რასაც, ისევ და ისევ, ევროინტეგრაციის ზედმეტად გაჭიანურებული პროცესი განაპირობებს. განსაკუთრებული სიმწვავეით გამოირჩევა ქვეყნის სახელისუფლებო ლიდერის რეჟეპ ტაიპ ერდოღანის ევროკავშირის მიმართ გაკეთებული განცხადებები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, თურქეთის პოლიტიკური ხელისუფლების ოფიციალურ პოზიციას წარმოადგენს. ამ განცხადებებში ის ევროკავშირის შეუსრულებელ დაპირებებზე და ოფიციალური თურქეთის იმედგაცრუებაზე საუბრობს. ამასთან, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე ევროკავშირს უფრო მეტად სჭირდება თურქეთი, ვიდრე თურქეთს ევროკავშირი.

2016 წლის ერთ-ერთ გამოსვლაში, შეეხო რა თურქეთ-ევროკავშირის შორის ლტოლვილთა საკითხის თაობაზე გაფორმებულ შეთანხმებას, ერდოღანმა მკაცრად გააკრიტიკა ევროკავშირი და განაცხადა: „თქვენი მოქმედებები აჩვენებს რამდენად არასანდონი ხართ. თქვენ არ ასრულებთ დადებულ პირობას. შეშფოთდებით მაშინ, როდესაც ერდოღანი მსოფლიოს თქვენს რეალურ სახეს აჩვენებს. ეს იმისთვის, რომ ცდილობთ გაგვრიყოთ. 1963 წელს თქვენ თურქეთს ოფიციალური დაპირება მიეცით. ახლა 2016 წელია. 53 წელია ცრუ დაპირებებს გვამლევთ. გაწევრიანების მოთხოვნაზე ნეგატიურ პასუხს თურქი ერის მუსულმანური მრწამსი განაპირობებს და თქვენ ამას ვეღარ უარყოფთ (Yekeler, 2016).

იმავე წლის ოქტომბერში, თურქეთის დიდი ნაციონალური ასამბლეის წინაშე გამოსვლისას, ერდოღანმა ევროკავშირი კიდევ ერთხელ გააკრიტიკა და ორგანიზაციისგან მეტი ღიაობა, გამჭვირვალობა და აქტივიზმი მოითხოვა: „თუ ისინი

თავიანთ რიგებში ჩვენს მიღებას არ აპირებენ და გაწევრიანების პროცესის არაგონივრული მოთხოვნების წამოყენებით გაჭიანურებას ფიქრობენ, გადაწყვეტილებაში ძალიან შემცდარან. მათ უნდა იცოდნენ, რომ თამაში დასრულებულია. ახლა ყველაფერი ევროკავშირის არჩევანზეა დამოკიდებული, გზას თურქეთთან ერთად გააგრძელებს, თუ მის გარეშე“ (Yekeler, 2016).

როიტერთან საუბრისას პრეზიდენტი ერდოღანი თურქეთის მხრიდან ევროკავშირში გაწევრიანების იდეის გადახედვის აუცილებლობაზე საუბრობს და აცხადებს: „თუ ევროინტეგრაციის პროცესი კიდევ უფრო გაჭიანურდება, ხოლო ევროკავშირის წევრი ქვეყნების ნაწილის მხრიდან თურქეთის მიმართ მტრული დამოკიდებულება არ შეიცვლება, ოფიციალურ თურქეთს ევროკავშირის მიმართ შემუშავებული პოზიციის გადასინჯვა მოუწევს. ევროპაში ისლამოფობიის მზარდი ტენდენცია შეიმჩნევა. ევროკავშირი თურქეთს კარს უკეტავს, მაშინ, როდესაც თურქეთი ანალოგიურად არავის მიმართ იქცევა. თუ ევროკავშირის მოქმედება თურქეთის მიმართ არ იქნება სამართლიანი, ჩვენ მოგვიწევს ვიპოვოთ ალტერნატიული გზა (Nakhou, Tattersall, Coskun, 2017).

ევროსკეპტიციზმის საფუძველს, ხშირ შემთხვევაში, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხრიდან თურქეთის ევროინტეგრაციის იდეის დისკრედიტაცია წარმოადგენდა. გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის მიერ 2017 წლის სექტემბერში გაკეთებულმა კრიტიკულმა განცხადებამ, რომლის თანახმად თურქეთი ევროკავშირის წევრი ქვეყანა არ უნდა გამხდარიყო, ერდოღანი კიდევ უფრო გაანაწყენა. თურქეთის პირველმა პოლიტიკურმა ფიგურამ მერკელის ინიციატივის პასუხად გაკეთებულ გამოსვლაში ევროკავშირს დანაპირები კიდევ ერთხელ შეახსენა და განაცხადა: ევროკავშირმა უნდა გადადგას შესაბამისი ნაბიჯი - შეასრულოს თურქეთისთვის მიცემული დაპირება სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მინიჭების თაობაზე, ან საბოლოოდ უთხრას უარი გაწევრიანებაზე. თურქეთისთვის ევროკავშირში ინტეგრაცია ისევ სტრატეგიულად მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, მაგრამ გაწევრიანების გაჭიანურებულმა პერსპექტივამ მისი მოთმინების ფიალა აავსო (Time for EU to decide on Turkey's membership bid, 2017).

ერთ-ერთ ყველაზე მწვავე და კრიტიკულ გამოსვლაში პრეზიდენტმა ერდოღანმა პირდაპირ განაცხადა, რომ თურქეთს ევროკავშირი არ სჭირდება: „გულწრფელად თქვით თქვენი სათქმელი და ჩვენც დავასრულებთ ამ საქმეს. ჩვენ თქვენ აღარ გვჭირდებათ. თქვენ არ გვიღებთ საკუთარ რიგებში. უბრალოდ აჭიანურებთ დროს“. სიტყვით გამოსვლის ფარგლებში ერდოღანმა ევროკავშირი კიდევ ერთი შეუსრულებელი დაპირების გამო გააკრიტიკა და ორგანიზაციის მესვეურებს თურქეთთან ვიზა-ლიბერალიზაციის შეთანხმების გაუფორმებლობა შეახსენა (Turkey does not need EU, 2017).

ოფიციალურ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ დისკურსში მოჭარბებული ევროსკეპტიციზმის პარალელურად უარესდება თურქულ-ქურთული ურთიერთობები. 2015 წელს, ქურთისტანის მუშათა პარტიის მებრძოლების მიერ სამი თურქი პოლიციელის მკვლელობა გახდა რამდენიმეწლიანი „ქურთული სამშვიდობო პროცესის“ დასრულების საბაზი. პროცესის წარუმატებლად დასრულებას შედეგად თურქულ-ქურთულ მხარეებს შორის კონფრონტაციის ზრდა და ძალადობრივი ფაქტების მოჭარბება მოჰყვა. სამხედრო შეტაკებებმა ასობით ადამიანის, მათ შორის თურქი და ქურთი მებრძოლების, სამოქალაქო პირების, სიცოცხლე შეიწირა. ძალადობის გაზრდილმა ფონმა ქვეყანაში დესტაბილიზაციის ხარისხის ზრდას და ქურთი სეპარატისტების გაძლიერებას შეუწყო ხელი. ოფიციალური თურქეთი განხორციელებულ მოქმედებებს უსაფრთხოების მიზნებით ხსნიდა, მაგრამ არსებობდა მეორე, ანტი-სახელისუფლებო პოზიცია, რომელიც ჩაშლილი მოლაპარაკებების მიღმა რეჟიმ ტაიპ ერდოღანის პირად და პოლიტიკურ არჩევანს ხედავდა (Unver, 2016).

თურქულ-ქურთული ურთიერთობების გაუარესებაზე მიუთითებს ევროკომისია თავის ყოველწლიურ შეფასებებში. ბოლო წლების მოხსენებებში სულ უფრო ნაკლებად იკითხება ქურთული ლიბერალიზაციის ნიშნები. ქურთული უმცირესობის მიმართ ოფიციალური თურქეთი ისევ ხისტი პოლიტიკის გატარებას იწყებს, რაც მათი კულტურული, პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების შელახვაში გამოიხატება:

2015 წელს სასამართლო დავები აღიძრა ადამიანის უფლებებზე და ქურთულ საკითხებზე მომუშავე 7 ასოციაციის წინააღმდეგ, აღნიშნული ასოციაციების დახურვის

მოთხოვნით. ქურთული რეგიონი სოციალურ-ეკონომიკური და საგანმანათლებლო მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქვეყნის ერთიან სტანდარტს. „ქურთული სამშვიდობო პროცესის“ განახლება ხელისუფლების პირდაპირი პასუხისმგებლობის საკითხს წარმოადგენს. (Commission Staff Working Document, 2015: 24, 65).

ქურთულ საკითხთან მიმართებაში შეცვლილი დამოკიდებულება და ქურთული წამომადგენლობის დისკრედიტაცია ერდოლანმა განსაკუთრებით ნათლად 2016 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დააფიქსირა. ქვეყნის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, გადატრიალების შემდგომ ქვეყნის პოლიტიკურ ძალებს შორის წარმოებულ მოლაპარაკებათა პროცესში პრო-ქურთული სახალხო დემოკრატიული პარტიის ლიდერს სელაჰათინ დემირატს მონაწილეობა არ მიუღია. ქურთული პარტიის ლიდერი არც სტამბოლის იენიკაპის მოედანზე გამართულ დემონსტრაციაზე გამოსულა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დემონსტრაცია თურქეთის პოლიტიკური ძალების ერთიანობის ერთგვარ სიმბოლოს წარმოადგენდა. ოფიციალური თურქეთის მიერ ქურთული წამომადგენლობის იგნორი სახალხო დემოკრატიული პარტიის მიერ ქურთისტანის მუშათა პარტიის სავარაუდო მხარდაჭერით იქნა დასაბუთებული (Bora, 2016).

საკმაოდ ნეგატიურია ევროკომისიის 2016 წლის შეფასება თურქულ-ქურთულ ურთიერთობებთან მიმართებაში: ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში არსებული ვითარება წარმოადგენს ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე რთულ გამოწვევას. „ქურთული სამშვიდობო პროცესის“ ჩაშლის შემდეგ რეგიონის მდგომარეობა უსაფრთხოების თვალსაზრისით მკვეთრად გაუარესდა. სულ უფრო ინტენსიურად ფიქსირდება ადამიანის უფლებების შელახვისა და მოქალაქეების მიმართ ძალის გადაჭარბებული დოზით გამოყენების ფაქტები ხელისუფლების მხრიდან. ტერორიზმის ხელშეწყობის ბრალდებით უფლებამოსილება შეუჩერდა ან დაპატიმრებული იქნა ადგილობრივი ხელისუფლების არაერთი წამომადგენელი. აღნიშნულმა გარემოებამ ნეგატიური გავლენა იქონია ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებზე. გაიზარდა მორალური და მატერიალური ზიანის მოცულობა. მოიმატა იძულებით გადაადგილებული პირების რაოდენობამ. ტერორისტული პროპაგანდისა და ქვეყნის

დეზინტეგრაციის მცდელობის ბრალდებით გატარდა მთელი რიგი სანქციები ქურთული ტელე-რადიო მაუწყებლების წინააღმდეგ. სანქციების პოლიტიკის ფარგლებში 39 ქურთული მაუწყებლიდან 23-ს ლიცენზია შეუჩერდა. კონსტიტუციური გარანტიების მიუხედავად, პრაქტიკაში გამოხატვის თავისუფლების ნორმა მნიშვნელოვნად შეიზღუდა. ქურთული დემონსტრაციების დიდი ნაწილი სახელმწიფო უსშიშროების წინააღმდეგ მიმართულ პირდაპ საფრთხედ იქნა მიჩნეული (Commission Staff Working Document, 2016: 28-29).

თურქულ-ქურთული ურთიერთობების გაუარესებაზე აპელირებს ევროკომისიის 2018 წლის მოხსენებაც და ქურთულ პრობლემას თურქეთისთვის ისევ ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ გამოწვევად აფასებს: იზრდება შეზღუდვები ქურთულ თემატიკაზე მომუშავე ჟურნალისტებისა და უფლებადამცველების წინააღმდეგ. დაიხურა რამდენიმე ასოციაცია. მთავრობის მიერ გამოცემული დეკრეტების საფუძველზე გაიზარდა ლიცენზიაშეჩერებული ქურთულენოვანი ტელე-რადიო მაუწყებლების რაოდენობა. ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით აიკრძალა არაერთი ქურთული ღონისძიება, ფესტივალი და დემონსტრაცია. ნებართვის გარეშე გამართული დემონსტრაციების მონაწილეების მიმართ სახელმწიფოს მხრიდან ძალადობრივი მეთოდები იქნა გამოყენებული. მიუხედავად იმისა, რომ ქურთულენოვანი სასკოლო კურსები და საუნივერსიტეტო პროგრამები ისევ ფუნქციონირებს, საგანგებო მდგომარეობის დროს გამოცემული დეკრეტების საფუძველზე უფლებამოსილება შეუჩერდა ქურთული ენისა და ლიტერატურის არაერთ ლექტორს. ხელისუფლების მხრიდან არ გადადგმულა შესაბამისი ნაბიჯები არსებული პრობლემის გადაწყვეტისთვის საჭირო პოლიტიკური გზების შემუშავების უზრუნველსაყოფად (Commission Staff Working Document, 2018: 36-41).

თავი IV. ევროკავშირი - თურქეთის რესპუბლიკის რაციონალური არჩევანი

საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე მოვლენები, როგორც წესი, საერთაშორისო ურთიერთობების ამათუი თეორიის კრილში იხსნება. ყველა თეორიას თავისი ნიშა და ძირითადი პოსტულატები აქვს, რომელთა მოშველიებით ცდილობს გააანალიზოს კონკრეტული შემთხვევა და მას ადექვატური ახსნა მოუძებნოს: რეალიზმი ძალთა ბალანსზე და სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებზე აკეთებს აქცენტს, ლიბერალიზმი ქვეყნებს შორის თანამშრომლობას განიხილავს საერთაშორისო ურთიერთობების განმსაზღვრელ ფაქტორად, კონსტრუქტივიზმი რწმენებისა და აღქმების მნიშვნელობაზე საუბრობს, რადიკალიზმს მიაჩნია, რომ საერთაშორისო სისტემა ექსპლუატაციის მოდელზეა დაფუძნებული და განვითარებულ ჩრდილოეთსა და ჩამორჩენილ სამხრეთს შორის ურთიერთობების კანონზომიერებას ასახავს და ა.შ.

რეალიზმი, როგორც უძველესი და ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თეორია, სისტემაში მიმდინარე მოვლენების ახსნისას ლიდერ კონცეპტუალურ ჩარჩოს წარმოადგენს. აღნიშნული თეორიის ძირითადი პოსტულატები ღირებულ რესურსს წარმოადგენს საერთაშორისო აქტორების მოქმედებების მიღმა რეალური მიზნების, მოტივებისა და კანონზომიერებების დასანახად. სწორედ რეალიზმის თეორიული ჩარჩოს ფარგლებში შეიძლება აიხსნას ჩემს მიერ გამოკვლეული საკითხი - თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობები და ქურთული უმცირესობის როლი ამ ურთიერთობებში.

პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთი ძირითადი პოსტულატი, რომელსაც საკვლევი საკითხის ახსნისას დავეფუძნები, ეროვნული ინტერესის უზენაესობას ქადაგებს და მას საერთაშორისო პოლიტიკაში გზის გაგნების მთავარ საშუალებად განსაზღვრავს. სახელმწიფო მოღვაწე ფიქრობს და მოქმედებს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. თანამედროვე, ე.წ. ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში, სადაც არ არის საერთაშორისო კანონების ზეობა და არ არსებობს საერთაშორისო წესრიგისა და

მშვიდობის გარანტად გამოსადეგი უზენაესი ხელისუფლება, სუვერენული სახელმწიფოები ატარებენ ისეთ პოლიტიკას, რომელიც, მათი მთავრობების აზრით, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარეობს (რონდელი, 2006).

ევროკავშირში გაწევრიანება თურქეთის რესპუბლიკის ეროვნულ ინტერესად შეგვიძლია განვიხილოთ. ეს ინტერესი განსაკუთრებით სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იკვეთება - სახელისუფლებო რიტორიკა, პროგრამა, მოქმედებები ცალსახად ადასტურებს, რომ თურქეთს ევროკავშირში გაწევრიანება აქვს დასახული მიზნად. თურქული კომპრომისები, რეფორმები და ზოგადად თურქეთის პოლიტიკური კურსი ქურთულ უმცირესობასთან მიმართებაში, სწორედ, ეროვნული ინტერესის გამოძახილს წარმოადგენდა. ოფიციალური თურქეთისთვის ევროინტეგრაცია, ფაქტობრივად, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების წინაპირობად და პროდასავლური ორიენტაციის განმამტკიცებელ ფაქტორად განიხილებოდა. რეალიზმის ეროვნული ინტერესების ლოგიკიდან გამომდინარე კი, ხელისუფლება ყოველთვის ცდილობს გაატაროს ისეთი პოლიტიკური კურსი, რომელიც ქვეყნისთვის პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით მომგებიანი იქნება. იმავე პრინციპით შეგვიძლია ავხსნათ თურქურ-ქურთული ურთიერთობების ბოლოდროინდელი დინამიკა. ევროკავშირში გაწევრიანება თურქეთისთვის აღარ წარმოადგენს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ეროვნულ ინტერესს და საგარეო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტს (რაც რამდენიმე გარემოებით, მათ შორის ევროინტეგრაციის ზედმეტად გაჭიანურებული პროცესით, თურქეთის ეკონომიკური განვითარებით, ხელისუფლების მზარდი, ევროპულ იდეალებთან არათავსებადი ავტორიტარული ამბიციებით, აიხსნება). სწორედ ევროენტუზიაზმის კლების პარალელურად შესუსტდა და გაფერმკრთალდა ქურთული ლიბერალიზაციის ნიშნები.

რეალიზმის უფრო დავიწროვებულ კონტექსტში, თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობების ასახსნელად რაციონალური აქტორის მოდელის გამოყენებაა შესაძლებელი. აღნიშნული მოდელის თანახმად სახელმწიფო/ხელისუფლება წარმოადგენს გადაწყვეტილების მიმღებ რაციონალურ აქტორს, რომელიც

რაციონალური არჩევანის პრინციპით მოქმედებს. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედებები წარმოადგენს დასახული მიზნის რეალიზაციისთვის გადადგმულ ოპტიმალურ ნაბიჯებს. ეროვნული ინტერესი არის ის ძირითადი კატეგორია, რომელსაც რაციონალური აქტორის, ანუ სახელმწიფოს სტრატეგიული გათვლები ეფუძნება (Allison, 2001: 694).

თურქეთის რესპუბლიკა წარმოადგენს რაციონალური აქტორის მოდელს, რომლისთვისაც ევროკავშირში ინტეგრაცია რაციონალური არჩევანია. ოფიციალური თურქეთის მიერ გატარებული პრო-ევროპული პოლიტიკა და ქურთული ლიბერალიზაცია კი რაციონალური არჩევანის რეალიზაციის მიმართულებით გადადგმულ ოპტიმალურ ნაბიჯებს წარმოადგენს. მანამ, სანამ სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მიერ დასახული მიზანი, თურქეთის დასავლური ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, ძალაში იყო, ქურთული ლიბერალიზაციის ნიშნები სახეზე გვქონდა. სახელმწიფო პრიორიტეტების გადაფასებას კი, სხვა მნიშვნელოვან ცვლილებებთან ერთად, ქურთული პოლიტიკის გამკაცრება და ლიბერალიზაციის კურსის დაღმასვლა მოჰყვა.

დასკვნა

ნაშრომის დასასრულს მინდა გავავლო პარალელები თურქეთის ქურთული პოლიტიკის ლიბერალიზაციის სამ ძირითად ეტაპს შორის: როგორ დაიწყო ლიბერალიზაციის აღმავალი ფაზა და რა სიკეთის მომტანი აღმოჩნდა აღნიშნული პერიოდი ქურთული უმცირესობისთვის, როგორ გადავიდა ლიბერალიზაციის ე.წ. „ოქროს ხანა“ შედარებით შენელებულ სტადიაში და რამდენად შეიცვალა ოფიციალური თურქეთის დამოკიდებულება ქურთების მიმართ, როდის და რატომ დაიწყო დაღმასვლის ეტაპი და როგორ აისახა ეს ქურთული უმცირესობის მდგომარეობაზე თურქეთში. დასკვნით ნაწილში მინდა, ასევე, გავანალიზო თურქეთის ქურთული პოლიტიკის ლიბერალიზაციის მოტივები, ევროკავშირის როლი ორმხრივი ურთიერთობების როგორც გაუმჯობესებაში, ასევე გაუარესებაში.

როგორც უკვე ვნახეთ, თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში წინსვლა მხარეებს შორის საბაჟო კავშირის ამოქმედების შემდეგ დაიწყო და კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოპოვებით კიდევ უფრო დაჩქარდა. სწორედ კანდიდატად დასახელება გახდა მნიშვნელოვანი სტიმული პოტენციური წევრი სახელმწიფოსთვის, გადაედგა ქმედითი ნაბიჯები ევროკავშირთან დაახლოების მიმართულებით. მითუმეტეს, რომ პარტია, რომელიც ამ პერიოდში მოვიდა ხელისუფლების სათავეში, მკვეთრად პრო-დასავლური და პრო-ევროპული ორიენტაციით გამოირჩეოდა. ინტენსიური რეფორმაციის პროცესი და ქურთული პოლიტიკის ლიბერალიზაციის დაწყება (შემდგომი აღმასვლა) შექმნილი ვითარების ლოგიკური გაგრძელება იყო.

ლიბერალიზაციის „ოქროს ხანაში“, რომელიც 2002-2007 წლებში დაფიქსირდა, ქურთულმა მოსახლეობამ ათეულობით წლის განმავლობაში დაკნინებული კულტურული იდენტობის აღიარებას, სამოქალაქო უფლებების აღდგენას, მშობლიური ენის ლეგალიზაციას, შეკრებისა და გამოხატვის ხარისხის ზრდას მიაღწია. თურქეთის ხელისუფლებამ ქურთული მოსახლეობა დე-ფაქტო უმცირესობად აღიარა, რაც ფაქტობრივად საუკუნოვანი ბრძოლის დამაგვირგვინებელ გამარჯვებას

წარმოადგენდა. ხელისუფლების კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს ქურთული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებით გატარებული ზომები წარმოადგენდა, რომლის შედეგად სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის მცხოვრებთა ყოველდღიური ყოფა მკვეთრად გაუმჯობესდა. შემცირდა ძალადობის მაჩვენებელი რეგიონში. ქურთულმა სამოქალაქო და პოლიტიკურმა ჯგუფებმა თავისუფლების ხარისხის მნიშვნელოვან ზრდას მიაღწიეს.

სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მეორე სახელისუფლებო ვადიდან ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი უნილატერალიზმიდან მულტილატერალიზმისკენ ტრანსფორმირდება: პრო-დასავლურ და პრო-ევროპულ პრიორიტეტს ერწყმის აღმოსავლური აქცენტები. ქურთული ლიბერალიზაციის კურსი ძალაში რჩება, მაგრამ შეიმჩნევა რეფორმებისა და განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შენელება. ამ პერიოდში ქურთული მოსახლეობის მდგომარეობას ცალსახად ვერც პოზიტიურად და ვერც ნეგატიურად შევაფასებთ. ერთი მხრივ, შეიზღუდა გამოხატვის თავისუფლების ხარისხი და გაჩნდა ცენზურის ნიშნები, ქურთული მედიის, პოლიტიკური და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებზე გამკაცრდა კონტროლი, ქურთული პრობლემის გადასაჭრელად ხელისუფლებამ სამხედრო სტრატეგიების შემუშავება დაიწყო (ანტი-ტერორისტული კანონმდებლობის ამოქმედება). მეორე მხრივ, გადაიდგა ნაბიჯები ქურთული კულტურული იდენტობის განსამტკიცებლად, ქურთულენოვანი მაუწყებლობის გასაფართოებლად, ქურთულ ენაზე საგანმანათლებლო, კულტურული, პოლიტიკური აქტივობების განხორციელების უზრუნველსაყოფად. საბოლოო ჯამში, ლიბერალიზაციის კურსი ძალაში დარჩა.

ქურთული ლიბერალიზაციის დადმასვლის ეტაპი 2015 წლიდან იწყება და რამდენიმე გარემოებამ განაპირობა. რეგრესის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი გამომწვევი მიზეზი, ისევ და ისევ, თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში უნდა ვეძებოთ, რომელიც ბოლო რამდენიმე წელია ჩიხში შევიდა. გაწვევრიანების ნახევარსაუკუნოვანმა მოლოდინმა და ცრუ დაპირებებმა თურქეთში ევროინტეგრაციის პერსპექტივისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება გააჩინა. ამასთან, ქვეყნის ეკონომიკურმა წინსვლამ და განვითარებამ მოსახლეობაში გააჩინა რწმენა, რომ თურქეთს ევროკავშირში

გაწევრიანება უკვე აღარ სჭირდება. აღნიშნულ გარემოებას დაემატა სახელისუფლებო ავტორიტარიზმის მზარდი ტენდენცია თურქეთში, რაც ევროპულ ღირებულებებთან და იდეალებთან სრულიად შეუთავსებელია. ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილი თურქეთისთვის ქურთული პოლიტიკის ლიბერალიზაცია, როგორც ჩანს, ნაკლებად პრიორიტეტული აღმოჩნდა. ზემოთხსენებულ ფაქტორებს ემატება სირიის ქურთული რეგიონის ავტონომიური სტატუსი და სამოქალაქო კონფლიქტის შედეგად აღნიშნული რეგიონის პოზიციების დაწინაურება, რამაც თურქეთისთვის ქურთული საფრთხის აღქმა კიდევ უფრო გაამწვავა. ზემოთხსენებული ფაქტორების კომბინირებული ანალიზი ლოგიკურს ხდის ქურთული უმცირესობის მიმართ თურქეთის დამოკიდებულების გამკაცრებას და ტერორზე დაფუძნებული პოლიტიკის განახლებას. ლიბერალიზაციის კურსის დაღმასვლა ცალსახად შესამჩნევია 2015 წლიდან. იმატებს ძალადობრივი ფონი, ძლიერდება რეპრესიების პოლიტიკა, ქურთული უმცირესობის სამოქალაქო, პოლიტიკური და კულტურული უფლებების შელახვის ფაქტები სულ უფრო ინტენსიურ ფორმას იღებს, ძლიერდება კონტროლი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაზე, უარესდება ქურთული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები.

ნაშრომის დასკვნას წარმოადგენს მტკიცება, რომ ქურთი უმცირესობის მიმართ თურქეთის მიერ გატარებული პოლიტიკა დამაბრკოლებელი ფაქტორი გახდა თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობებში, რამაც გააჩინა აუცილებლობა მომხდარიყო არსებული პოლიტიკური კურსის ლიბერალიზაცია. ლიბერალიზაციის კურსი ძალაში XXI საუკუნის დასაწყისიდან შევიდა და ოფიციალურად დღემდე ძალაშია, თუმცა რეალური მონაცემებით თურქეთის დამოკიდებულება ქურთი ეთნოსის მიმართ ბოლო რამდენიმე წელია მკვეთრად გაუარესდა. შემცირდა ევროინტეგრაციის პერსპექტივაც და დღეს, შეიძლება ითქვას, თურქეთს ევროკავშირში გაწევრიანების უფრო ნაკლები შანსი აქვს, ვიდრე რამდენიმე წლის წინ ჰქონდა. როგორ განვითარდება მოვლენები სამომავლოდ, ამ ეტაპზე ძნელად პროგნოზირებადია. ფაქტია, რომ თურქეთში ანტი-ევროპული რიტორიკა ავტორიტარიზმის ტენდენციასთან ერთად იზრდება. განვითარების არსებული დინამიკის შენარჩუნების შემთხვევაში, ავტორიტარული,

პრო-ადმოსავლური ორიენტაციის მქონე თურქეთის რესპუბლიკისთვის ევროკავშირში გაწევრიანების იდეა, სავარაუდოდ, ნაკლებად პრიორიტეტული იქნება.

ბიბლიოგრაფია:

1. აკობია, ე., საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, სოციალურ მეცნიერებათა სერია, თბილისი, 2006;
2. გაჩეჩილაძე, რ., ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, დიოგენე, 2003;
3. რონდელი, ა., საერთაშორისო ურთიერთობები, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2006;
4. ყველაშვილი, ა., თურქეთის საგარეო პოლიტიკის თანამედროვე მიმართულებები, 2013;
http://myirw.blogspot.com/2013/10/blog-post_980.html
5. Aknur, M., Democratic Consolidation in Turkey, Universal-Publishers Boca Raton, 2012;
https://books.google.ge/books?id=wCiDp6XwgJMC&pg=PA295&lpg=PA295&dq=six+harmonization+packages+of+AKP&source=bl&ots=0TFHn0Sb0z&sig=xvmkGQZ-zHn15r8FE1P1OHEPvME&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwivpKm2otvbAhVH7xQKHYYT_C2AQ6AEILTAB#v=onepage&q=six%20harmonization%20packages%20of%20AKP&f=false
6. Allison, G., Conceptual Models and Cuban Missile Crisis, Jstor, 2001;
<http://www3.nccu.edu.tw/~lorenzo/Allison%20Conceptual%20Models.pdf>
7. Arslan, S., Language Policy in Turkey and Its Effect on the Kurdish Language, Western Michigan University, 2015;
https://scholarworks.wmich.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1630&context=masters_theses
8. Aydin, A, Emrence, C, Two Routes to an Impasse: Understanding Turkey’s Kurdish Policy, Turkey Project Policy Paper, 2016;
<https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2016/12/aydin-and-emrence-two-routes-to-an-impasse.pdf>
9. Balci, A, The Kurdish movement’s EU policy in Turkey: an Analysis of a Dissident Ethnic Bloc’s Foreign Policy, 2013;
<http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.837.6156&rep=rep1&type=pdf>
10. Bor, Y, The Effects of the Kurdish Question on Turkey’s Foreign and Security Policy with Reference to the Western World, 2013
<https://lra.le.ac.uk/bitstream/2381/27968/1/2013boryasinphd.pdf>
11. Bora, B., How Could Failed Coup Affect Kurdish Peace Process, 2016;
<https://www.aljazeera.com/news/2016/08/failed-coup-impact-kurdish-peace-process-160806051709935.html>

12. Casier, M., Designated Terrorists: The Kurdistan Worker's Party and Its Struggle to Re(Gain) Political Legitimacy, 2010
<https://biblio.ugent.be/publication/1029474/file/6742716.pdf>
13. Cengiz, F, Hoffman, L, Turkey and the European Union: Facing New Challenges and Opportunities, Routledge, 2014
https://books.google.ge/books?id=59hJAgAAQBAJ&printsec=frontcover&dq=Cengiz,Hoffman,+Turkey+and+the+European+Union&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwisj_yO8KHcAhVFyaQKHc-DOIQ6AEILTAB#v=onepage&q&f=false
14. Celik, A, Rumelili, B, Necessary but not Sufficient: The Role of the EU in Resolving Turkey's Kurdish Question and the Greek-Turkish Conflicts, European Foreign Affairs Review, 2006;
<http://research.sabanciuniv.edu/220/1/301180000729.pdf>
15. Cohen, S., Turkey Lifts Language Restrictions on its Kurdish Minority, 1991;
<https://www.csmonitor.com/1991/0207/oturk.html>
16. Commission Staff Working Document – Turkey 2006 Progress Report, Commission of the European Communities, 2006;
https://www.ab.gov.tr/files/ardb/evt/2_turkiye_ab_iliskileri/2_2_adaylik_sureci/2_2_1_duzenli_ilerleme_raporlari/turkiye_ilerleme_rap_2006_eng.pdf
17. Commission Staff Working Document – Turkey 2007 Progress Report, Commission of the European Communities, 2007;
https://www.ab.gov.tr/files/AB_Iliskileri/Tur_En_Realitons/Progress/turkey_progress_report_2007.pdf
18. Commission Staff Working Document – Turkey 2008 Progress Report, Commission of the European Communities, 2008;
https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/pdf/press_corner/key_documents/reports_nov_2008/turkey_progress_report_en.pdf
19. Commission Staff Working Document – Turkey 2009 Progress Report, Commission of the European Communities, 2009;
https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/pdf/key_documents/2009/tr_rapport_2009_en.pdf
20. Commission Staff Working Document – Turkey 2010 Progress Report, European Commission, 2010;

- https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/pdf/key_documents/2010/package/tr_rapport_2010_en.pdf
21. Commission Staff Working Document – Turkey 2011 Progress Report, European Commission, 2011;
- https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/pdf/key_documents/2011/package/tr_rapport_2011_en.pdf
22. Commission Staff Working Document – Turkey 2012 Progress Report, European Commission, 2012;
- https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/pdf/key_documents/2012/package/tr_rapport_2012_en.pdf
23. Commission Staff Working Document – Turkey 2013 Progress Report, European Commission, 2013;
- https://www.ab.gov.tr/files/2013%20ilerleme%20raporu/tr_rapport_2013_en.pdf
24. Commission Staff Working Document – Turkey 2015 Progress Report, European Commission, 2015;
- https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/pdf/key_documents/2015/20151110_report_turkey.pdf
25. Commission Staff Working Document – Turkey 2016 Progress Report, European Commission, 2016;
- https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/pdf/key_documents/2016/20161109_report_turkey.pdf
26. Commission Staff Working Document – Turkey 2018 Progress Report, European Commission, 2018;
- <https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/20180417-turkey-report.pdf>
27. Council Decision on the Principles, Priorities, Intermediate Objectives and Conditions Contained in the Accession Partnership with the Republic of turkey, Official Journal of European Communities, 2001;
- https://www.ab.gov.tr/files/AB_Iliskileri/Tur_En_Realitons/Apd/Turkey_APD_2001.pdf
28. Council Decision on the Principles, Priorities and Conditions Contained in the Accession Partnership with the Republic of turkey and Repealing Decision, Official Journal of European Communities, 2008;
- https://www.ab.gov.tr/files/AB_Iliskileri/Tur_En_Realitons/Apd/Turkey_APD_2008.pdf

29. Constitution of the Republic of Turkey, 1982
http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_protect/---protrav/---ilo_aids/documents/legaldocument/wcms_127495.pdf
30. Dahlman, C, Turkey's Accession to the European Union: The Geopolitics of Enlargement
<http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.490.338&rep=rep1&type=pdf>
31. Document of the Copenhagen Meeting of the Conference on the Human Dimension of the Case, 1990;
<https://www.osce.org/odihr/elections/14304?download=true>
32. Elicin, Y., The Europeanization of Turkey: Reform in Local Governments, International Journal of Economic and Administrative Studies;
<file:///C:/Users/41814/Desktop/samagistro%20-%20masalebi/5000118624-5000176598-1-SM.pdf>
33. Eralp, A., Turkey in the Enlargement Process: From Luxembourg to Helsinki, 2000;
<http://sam.gov.tr/wp-content/uploads/2012/01/Atila-Eralp.pdf>
34. European Parliament Critical of Slowdown in Turkey's Reform Process, European Parliament, 2006
<http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?type=IM-PRESS&reference=20060922IPR10896&language=EN>
35. European Parliament Resolution of 21 May 2008 on Turkey's 2007 Progress Report 2007/2269;
<http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+TA+P6-TA-2008-0224+0+DOC+XML+V0//EN&language=EN>
36. European Parliament Resolution on the 2011 Progress Report on Turkey, 2011/2889;
<http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+MOTION+B7-2012-0189+0+DOC+XML+V0//EN>
37. European Union Enlargement: A Status Report on Turkey's Accession Negotiations, 2013;
<https://www.everycrsreport.com/reports/RS22517.html>
38. Executive Summary of the Turkish National Programme for the Adoption of the Aquis, 2001;
https://www.ab.gov.tr/195_en.html
39. Giannotta, V., Is Turkey Turning its Face from the West?, 2010;
http://www.eisa-net.org/eisa-net.org/be-bruga/eisa/files/events/stockholm/is_TR%20turning_its_face_from_the_West.pdf
40. Goff-Taylor, M., The Shifting Drivers of the AKP's EU Policy, 2017;
<https://www.wilsoncenter.org/publication/the-shifting-drivers-the-akps-eu-policy>
41. Goodman, A., Kurdish Political Prisoner Leyla Zana Released After a Decade in Jail, 2004;

https://www.democracynow.org/2004/6/10/kurdish_political_prisoner_leyla_zana_released

42. Gresh, G, Chorev, M, Turkish-kurdish Reconciliation: Promise and Peril
https://www.esiweb.org/pdf/esi_turkey_tpq_id_71.pdf
43. Grigoriadis, I., The Davutoglu Doctrine and Turkish Foreign Policy, Middle Eastern Studies Programme, 2010;
http://www.eliamep.gr/wp-content/uploads/2010/05/%CE%9A%CE%95%CE%99%CE%9C%CE%95%CE%9D%CE%9F-%CE%95%CE%A1%CE%93%CE%91%CE%A3%CE%99%CE%91%CE%A3-8_2010_IoGrigoriadis1.pdf
44. Guncelleme, S., Support to Turkey from Prison, 2004;
<http://www.hurriyet.com.tr/gundem/support-to-turkey-from-prison-198881>
45. Gunter, M., Reopening Turkey's Closed Kurdish Opening? , Middle East Policy Council;
<https://www.mepc.org/reopening-turkeys-closed-kurdish-opening>
46. Haddad, S, The Kurds in Turkey: Context and Current Status, Faculty of Political Science, Public Administration and Diplomacy, Notre Dame University, 2001;
[file:///C:/Users/41814/Downloads/Haddad%20\(4\).pdf](file:///C:/Users/41814/Downloads/Haddad%20(4).pdf)
47. Jerez, A., The Turkish Accession in the European Union and the Kurdish Question, 2012;
http://www.academia.edu/1761105/The_accession_of_Turkey_in_the_EU_and_the_Kurdish_question
48. Kaya, Z., Maps into Nations: Kurdistan, Kurdish Nationalism and International Society, The London School of Economics and Political Science, 2012;
http://etheses.lse.ac.uk/645/1/Zeynep_Maps_into_Nations.pdf
49. Kirisci, K., Kurdish Question and Turkish Foreign Policy, 2015;
https://www.researchgate.net/publication/237734135_The_Kurdish_Question_and_Turkish_Foreign_Policy
50. Kizilkan-Kisacik, Z, Europeanization of Minority Rights: Discourse, Practice and Change in Turkey , European Diversity and Autonomy Papers EDAP, 2010
http://aei.pitt.edu/29751/1/2010_edap01.pdf
51. Kubicek, P., Democratization and Relations with the EU in the AKP Party Period: Is Turkey Really Making Progress?, 2013;

- <https://www.insightturkey.com/commentary/democratization-and-relations-with-the-eu-in-the-ak-party-period-is-turkey-really-making-progress>
52. Kurban, D., To Europe and Back: The Three Decades of Kurdish Struggle in Turkey, 2013;
http://www.iai.it/sites/default/files/GTE_PB_07.pdf
 53. Kurban, D., Europe as an Agent of Change - The Role of the European Court of Human Rights and the EU in Turkey's Kurdish Policies, 2014;
https://www.swp-berlin.org/fileadmin/contents/products/research_papers/2014_RP09_kun.pdf
 54. Kurdish PM Addresses Kurdish Question, 2005;
<https://www.aljazeera.com/archive/2005/08/200841015451927942.html>
 55. The Kurdish Opening in Turkey: Origins and Future? , 2009;
<https://carnegieendowment.org/2009/12/01/kurdish-opening-in-turkey-origins-and-future-event-1494>
 56. Mann, J., Rodgers, W., Europe Hails AKP Victory in Turkey, 2002;
<http://edition.cnn.com/2002/WORLD/europe/11/04/turkey.elections/>
 57. McDowall, D., The Kurds: A Nation Denied, Harry Ransom Humanities Research Center, 1992;
 58. Nakhoul, S., Tattershall, N., Coskun, O., Erdogan Says Turkey Could Reconsider its Position on Europe, Reuters, 2017;
<https://www.reuters.com/article/us-turkey-politics-erdogan-europe/erdogan-says-turkey-could-reconsider-its-position-on-europe-idUSKBN17R2GG>
 59. Nas, C, Ozer, Y, Turkey and EU Integration: Achievements and Obstacles, Routledge, 2017;
<https://books.google.ge/books?id=OCAIDwAAQBAJ&printsec=frontcover&dq=ozер+and+nas+Turkey+and+EU+Integration:+Achievements+and+Obstacles&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwje-5799KHcAhXC16QKHY3rB-wQ6AEIKDAA#v=onepage&q=ozер%20and%20nas%20Turkey%20and%20EU%20Integration%20Achievements%20and%20Obstacles&f=false>
 60. Onar, N., Neo Ottomanism, Historical Legacies and Turkish Foreign Policy, GMF, 2009;
[file:///C:/Users/41814/Downloads/TurkeyOnar Neo Ottomanism%20\(1\).pdf](file:///C:/Users/41814/Downloads/TurkeyOnar%20Neo%20Ottomanism%20(1).pdf)
 61. Osma, M., The AKP's Reconstruction of the Kurdish Problem during the European Union Accession Process, Eastern Mediterranean University, 2012;
<http://i-rep.emu.edu.tr:8080/xmlui/bitstream/handle/11129/236/Osma.pdf?sequence=1>
 62. Ozbudun, E., The Turkish "Democratization Package", Middle East Institute, 2013;
<http://www.mei.edu/content/turkish-%E2%80%9Cdemocratization-package%E2%80%9D>

63. Park, B., *Modern Turkey, People, State and Foreign Policy in a Globalized World*, Routledge, 2012;
https://books.google.ge/books?id=VZCoAgAAQBAJ&pg=PA51&lpg=PA51&dq=erdogan+promises+that+human+rights+will+be+main+value+in+2004&source=bl&ots=-WSqLLqfAf&sig=bStmO1xj69QO6OWexT_vgDRagGk&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwj8ntmSptvbAhXGtxQKHWP-CX04ChDoAQgnMAA#v=onepage&q=erdogan%20promises%20that%20human%20rights%20will%20be%20main%20value%20in%202004&f=false
64. Paschalis, Z, *Turkey and European Union: Problems and Prospects for Membership*, Calhoun, 2004-06
<https://core.ac.uk/download/pdf/36695216.pdf>
65. Regular Report from the Commission on Turkey's Progress Towards Accession, 1998;
http://aei.pitt.edu/44619/1/turkey_1998.pdf
66. Regular Report from the Commission on Turkey's Progress Towards Accession, 2003;
https://www.ab.gov.tr/files/AB_Iliskileri/Tur_En_Realitons/Progress/Turkey_Progress_Report_2003.pdf
67. Regular Report from the Commission on Turkey's Progress Towards Accession, 2004;
[http://www.europarl.europa.eu/meetdocs/2004_2009/documents/sec/com_sec\(2004\)1201/com_sec\(2004\)1201_en.pdf](http://www.europarl.europa.eu/meetdocs/2004_2009/documents/sec/com_sec(2004)1201/com_sec(2004)1201_en.pdf)
68. Report on Turkey's Application for Membership of the European Union, European Parliament, 2003;
<http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+REPORT+A5-2003-0160+0+DOC+XML+V0//EN>
69. Resolution on a Political Solution to the Armenian Issue, 1987;
http://www.europarl.europa.eu/intcoop/euro/pcc/aag/pcc_meeting/resolutions/1987_07_20.pdf
70. Resch, E., *Syria's Impact on the Kurdish Peace Process in Turkey*, IAI, 2017;
<http://www.iai.it/sites/default/files/iaiw1724.pdf>
71. Rezler, P., *The Copenhagen Criteria: Are They Helping or Hurting The European Union?*, 2011;
<https://www.csis.org/analysis/harsh-rhetoric-underlines-growing-tensions-turkey-eu-relationship-after-july-15>
72. Rubin, B., Heper, M., *Political Parties in Turkey*, 2002;

- <https://books.google.ge/books?id=B71dAgAAQBAJ&pg=PA134&lpg=PA134&dq=hadep+declaration+supporting+turkey%27s+EU+membership&source=bl&ots=h7GC13OMHE&sig=vh7naPLd0eqzKR0SqER2fubCW8E&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwjT9KiStdXbAhUCXSwKHbLBBtcQ6AEIXjAF#v=onepage&q=hadep%20declaration%20supporting%20turkey's%20EU%20membership&f=false>
73. Sertoz, G, The Challenges and Prejudgments Turkey has Experienced Through Accession Process to the European Union, 2015;
[file:///C:/Users/41814/Downloads/b8b3b-673ed-3882e-a4cd5%20\(5\).pdf](file:///C:/Users/41814/Downloads/b8b3b-673ed-3882e-a4cd5%20(5).pdf)
74. Shaheen, K., Erdogan Clinches Victory in Turkish Constitutional Referendum, The Guardian, 2017;
<https://www.theguardian.com/world/2017/apr/16/erdogan-claims-victory-in-turkish-constitutional-referendum>
75. Siddique, A., Turkey's New Kurdish TV Hopes to Win Hearts and Minds, 2009;
https://www.rferl.org/a/Turkeys_Kurdish_TV_Hopes_To_Win_Hearts_And_Minds/1365884.html
76. Solomon, E., Srivastava, M., Erdogan launches crackdown after failed Turkish coup, Financial Times, 2016;
<https://www.ft.com/content/ba2f3a5a-4b3f-11e6-8172-e39ecd3b86fc>
77. Turkey 2005 Progress Report, European Commission, 2005;
https://www.ab.gov.tr/files/AB_Iliskileri/Tur_En_Realitons/Progress/Turkey_Progress_Report_2005.pdf
78. Turkey – Progress Report, European Commission, 2014;
https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/pdf/key_documents/2014/20141008-turkey-progress-report_en.pdf
79. Turkey Allows Broadcasting of Kurdish-Language Shows, The New York Times, 2002;
<https://www.nytimes.com/2002/11/21/world/turkey-allows-broadcasting-of-kurdish-language-shows.html>
80. Turkey Apologises for 1930s Killing of Thousands of Kurds, The Telegraph, 2011;
<https://www.telegraph.co.uk/news/worldnews/europe/turkey/8910369/Turkey-apologises-for-1930s-killing-of-thousands-of-Kurds.html>
81. Time for EU to Decide on Turkey's Membership Bid, Erdogan Says, Reuters, 2017;

- <https://www.reuters.com/article/us-germany-turkey/time-for-eu-to-decide-on-turkeys-membership-bid-erdogan-says-idUSKCN1BH1XP>
82. Tocci, N, *The EU and Conflict Resolution: Promoting Peace in the Backyard*, Routledge, 2007;
<https://books.google.ge/books?id=aD-D5KusCkMC&printsec=frontcover&dq=The+EU+and+Conflict+Resolution:+Promoting+Peace+in+the+Backyard&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwix1Lff-KHcAhUFxaYKHUTkC50Q6AEIKDAA#v=onepage&q=The%20EU%20and%20Conflict%20Resolution%3A%20Promoting%20Peace%20in%20the%20Backyard&f=false>
83. Unver, A., *Comment: Turkey and Kurds, Charting the End of a Peace Process*, 2016;
<https://www.ft.com/content/9f06f0cc-1b85-11e6-b286-cddde55ca122>
84. Wigen, E., *Turkish Neo-Ottomanism: A Turn to the Middle East?*, Security Policy Library, 2009;
<http://www.atlanterhavskomiteen.no/files/atlanterhavskomiteen.no/Documents/Publikasjoner/Sikk.pol.bibliotek/2009/SPB%203-2009.pdf>
85. Yekeler, Z., *Harsh Rhetoric Underlines Growing Tensions in the Turkey-EU Relationship after July 15*, Center for Strategic and International Studies, 2016;
<https://www.csis.org/analysis/harsh-rhetoric-underlines-growing-tensions-turkey-eu-relationship-after-july-15>

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Nino Sinjaradze

The Role of Minorities in International Politics:
Influence of Kurdish Question on Turkey-EU Relations

Diplomacy and International Politics

Thesis is Submitted to obtain Master's Academic Degree in Diplomacy and
International Politics

Zurab Davitashvili

Full Professor

Tbilisi

2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

თინათინ ბერიძე

პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში: ჩრდილოეთ კორეის
ბირთვული პოლიტიკა

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი- ფიქრია ასანიშვილი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2018

ანოტაცია

საკვლევი თემის „პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში: ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პოლიტიკა“ ობიექტი ჩრდილოეთ კორეაა. ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს ჩრდილოეთ კორეის ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმებების წარუმატებლობის მიზეზები და შეამოწმოს ჰიპოთეზა, რომელიც შეთანხმებების რღვევის მიზეზად ქვეყნის უსაფრთხოებას, თავდაცვასა და რეჟიმის შენარჩუნებას ასახელებს. ჩრდილოეთ კორეა შეთანხმებების დარღვევით დროს იგებს ბირთვული შესაძლებლობების განვითარებისათვის. წინამდებარე ნაშრომის ამოცანაა გასცეს პასუხები შემდეგ კითხვებს: რატომ ვერ მოახერხა მსოფლიომ ჩრდილოეთ კორეის დენუკლარიზაცია? რატომ არღვევს ქვეყანა ბირთვულ შეთანხმებებს და რა რეალური მიზეზი იმალება ამის უკან? თემა საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგში საკმაოდ აქტუალურია. ჩრდილოეთ კორეის ბირთვული და სარაკეტო პროგრამის არსებობა ამერიკის შეერთებული შტატებისა და აღმოსავლეთ აზიის რეგიონში მისი მოკავშირე ქვეყნებისთვის უსაფრთხოების სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. გამომდინარე იქიდან, რომ არაპროგნოზირებადი ქვეყანა ბირთვულ იარაღთან ერთად საკონტინენტაშორისო ბალისტიკურ რაკეტასაც ფლობს საკითხი კიდევ უფრო მწვავე და აქტუალურია. მისგან მოსალოდნელი საფრთხის გამო ჩრდილოეთ კორეის დენუკლარიზაციას საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ჩრდილოეთ კორეის დაუმორჩილებელმა ბირთვულმა ქცევამ შესაძლებელია ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ გლობალური ნორმების ეროზია გამოიწვიოს. ქვეყანასთან მიმართებაში წარუმატებლობა განიცადა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის პროგრამამ. საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად კვლევაში გამოყენებული იქნება პროცესის მიდევნების მოდელი. კვლევის შედეგად დადასტურდა ჰიპოთეზა, რომელიც ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ შეთანხმებების რღვევის მიზეზად ქვეყნის უსაფრთხოებას, თავდაცვასა და რეჟიმის შენარჩუნებას ასახელებს.

Annotation

The object of my thesis "Small state in international system: nuclear policy of North Korea" is North Korea. My study aims at researching the reasons of failure of North Korea's Non-proliferation treaties and testing hypothesis that security, defense and regime survival are the reasons of breaking the agreements. North Korea is buying time until it increases nuclear capacity. The purpose of the thesis is to answer the following questions: why did the world fail to denuclearize North Korea? Why does the country break nuclear agreements and what is the real reason behind that actions? The topic is quite actual in international policy agenda. North Korean nuclear and missile programs are a serious challenge to the United States and its allies in the East Asia region. Because of unpredictability of the country with nuclear weapons and having the intercontinental ballistic missile the issue is more acute and urgent. Due to the possible threat from North Korea, denuclearization of the country is very important issue in international policy agenda. Insubordinate nuclear behavior of North Korea can cause an erosion of global norms on nuclear non-proliferation. Nuclear Non-Proliferation Program has failed in this country. In order to test the hypothesis, this study employs the "process-tracing" method. The study has proved the hypothesis that the reasons of breaking the agreement are security, defense and regime survival.

სარჩევი

ტერმინთა განმარტებები.....	5
1. შესავალი.....	7
1.1 მეთოდოლოგია.....	9
1.2 ლიტერატურის მიმოხილვა.....	12
2. ბირთვული მიღწევები.....	19
3. დიპლომატიური მოლაპარაკებები ჩრდილოეთ კორეასა და აშშ-ს შორის.....	25
3.1 ჩრდილოეთ კორეის მიერ შეუსრულებელი დაპირებები.....	28
3.2 კიმ ჩენ ინის 2018 წლის დიპლომატიური მიდგომა.....	35
4. ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის გლობალური რეჟიმის ეროზია.....	39
4.1 ჩრდილოეთ კორეის იდეოლოგია.....	40
5. აშშ-ის, სამხრეთ კორეისა და იაპონიის ინტერესები ჩრდილოეთ კორეის საფრთხის დასაბალანსებლად.....	44
5.1 აშშ-ის, სამხრეთ კორეისა და იაპონიის მიმართ ანტაგონისტური დამოკიდებულების მიზეზები.....	45
5.2 ჩინეთის პოლიტიკა.....	47
6. თეორიული ჩარჩო.....	49
7. დასკვნა.....	53
გამოყენებული ლიტერატურა.....	55

ტერმინთა განმარტებები:

ატომური ბომბი- ბომბი, რომლის ენერჯის წყაროს წარმოადგენს რადიოაქტიური ელემენტების დაშლის რეაქცია (მემმარიაშვილი, 2017).

ბალისტიკური რაკეტა – რაკეტა, რომლის ფრენა, აქტიური მონაკვეთის გარდა, ხორციელდება ბალისტიკური ტრაექტორიით (თავისუფლად ნასროლი სხეულის ტრაექტორიით). ფრთოსანი რაკეტისაგან განსხვავებით, მას არ აქვს სპეციალური აეროდინამიკური ზედაპირები ატმოსფეროში ფრენისას ამწევი ძალის შესაქმნელად. გამოიყენება საბრძოლო, რაკეტამატარებლების, საკვლევი რაკეტების სახით და სხვა. საბრძოლო ბალისტიკური რაკეტები შედის სახმელეთო სარაკეტო კომპლექსებისა და წყალქვეშა ნავების სახომალდე-სარაკეტო კომპლექსების შემადგენლობაში. ბალისტიკური რაკეტას, რომლის ფრენის სიშორე აღემატება 6500 კმ-ს, საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა ეწოდება (NPLG, 2018)

ბირთვული იარაღი – ასაფეთქებელი მოქმედების მასობრივი დაზიანების იარაღი. ეფუძნება შიდაბირთვული ენერჯის გამოყენებას, რომელიც გამოიყოფა ურანისა და პლუტონიუმის ზოგიერთი იზოტოპის მძიმე ბირთვების დაყოფის ჯაჭვური რეაქციების დროს. ბირთვული იარაღის ძირითადი დამაზიანებელი ფაქტორებია: დამრტყმელი ტალღა; შუქური გამოსხივება; გამჭოლი რადიაცია; რადიოაქტიული დასნებოვნება; ელექტრომაგნიტური იმპულსი. მოიცავს ბირთვულ საბრძოლო მასალებს, სამიზნესთან მათი მიტანის საშუალებებს (რაკეტებს, ავიაციას, არტილერიას) და მართვის საშუალებებს (მემმარიაშვილი, 2017).

თერმობირთვული ბომბი იგივე წყალბადის ბომბი- მიეკუთვნება მასობრივი განადგურების იარაღს, დაფუძნებულია გამანადგურებელი და კოლოსალური ენერჯის წყაროზე, რომელსაც ატომური სინთეზი წარმოადგენს. ატომური სინთეზი ეს არის პროცესი, რომლის დროსაც მცირე მასის ელემენტები ერთდებიან უფრო მძიმე ელემენტად და წარმოიქმნება გაცილებით მეტი ენერჯია, ვიდრე ატომური დაშლის რეაქციისას (მემმარიაშვილი, 2017).

სახმელეთო სარაკეტო კომპლექსი - განკუთვნილია სახმელეთო მიზნების გასანადგურებლად. მოიცავს რაკეტებს და სახმელეთო მოწყობილობას. განასხვავებენ სტრატეგიულ, ოპერატიულ-ტაქტიკურ და ტაქტიკურ სახმელეთო სარაკეტო კომპლექსებს. სტრატეგიული შედის სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების შეიარაღებაში. აქვთ საშუალო სიშორის (1000–5500 კმ) მართვადი ბალისტიკური რაკეტები და კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტები (5500 კმ-ზე მეტი). ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური შედის სახმელეთო ჯარების, სარაკეტო ჯარების და სამხედრო-საზღვაო ძალების სანაპირო სარაკეტო-საარტილერიო ჯარების შეიარაღებაში. ფრენის სიშორე შეადგენს, შესაბამისად, 150–1000 კმ-ს და 150-მდე კმ-ს (NPLG, 2018).

ტაქტიკური ბირთვული იარაღი- ტაქტიკური ეწოდება ისეთ ბირთვულ იარაღს, რომელიც გამოიყენება ბრძოლის ველზე, როგორც შეტევის ნაწილი. ის განსხვავდება სტრატეგიული ბირთვული იარაღებისგან, რომელიც გათვლილია დიდი პოპულაციების და მტრის მნიშვნელოვანი ობიექტების გასანადგურებლად, რათა მან ვეღარ შეძლოს ომის წარმოება (მემმარიაშვილი, 2017).

ქობინი- ეწოდება შეიარაღების ნაწილს, რომელიც სატყორცნი იარაღის (როგორცაა რაკეტული იარაღი, ტორპედო, ბომბი ან სხვა) წინა ნაწილასაა განლაგებული და რომელიც შეიცავს ბირთვულ ან თერმობირთვულ სისტემას, ფეთქებად ნივთიერებას, ქიმიური ან ბიოლოგიური აგენტებს ან ინერტული მატერიას, რომლის მიზანია, სამიზნესთვის ზიანის მიყენება. აფეთქებითი მოქმედებისაა (თუმცა არა-კონვენციური) ბირთვული ქობინები, სადაც, ბირთვული გახლეჩის და სინთეზის რეაქციების შედეგად, გამონთავისუფლდება უზარმაზარი რაოდენობის ენერჯია (Wordpress, 2017).

რეალპოლიტიკა- დიპლომატიური გზებითა და ძალის გამოყენებით მოკლევადიანი, ზომიერი ამოცანების გადაწყვეტის პოლიტიკა (ხელაშვილი, 2004).

1. შესავალი

საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგში ჩრდილოეთ კორეის ბირთვული და სარაკეტო პროგრამის არსებობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. ის ამერიკის შეერთებული შტატებისა და აღმოსავლეთ აზიის რეგიონში მისი მოკავშირე ქვეყნებისთვის უსაფრთხოების სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. ბირთვული იარაღი ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების ერთ-ერთი გარანტიაა. ამერიკის მეცნიერთა ასოციაციის მონაცემებით ჩრდილოეთ კორეას დღეს 60-ზე მეტი ბირთვული იარაღი აქვს. 1960-იანი წლებიდან მოყოლებული ჩრდილოეთ კორეის ბირთვული მისწრაფებები შეესაბამება რეჟიმის სურვილს, მოიპოვოს პოლიტიკური და სამხედრო ავტონომია არა მხოლოდ მისი ტრადიციული მტრებისგან, აშშ-ის, იაპონიისა და სამხრეთ კორეისგან, არამედ ისტორიული პარტნიორების, ჩინეთის და რუსეთისგანაც. ფხენიანისთვის ბირთვული იარაღის ქონა შემაკავებელი შესაძლებლობების გაზრდას გულისხმობს. ქვეყნის ლიდერისთვის, კიმ ჩენ ინისთვის, ეს არის პოლიტიკური ძალაუფლებისა და ლეგიტიმაციის გაზრდის საშუალება (ნილსონ-ვაითი, 2017). ჩრდილოეთ კორეის დაუმორჩილებელმა ბირთვულმა ქცევამ შესაძლებელია ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ გლობალური ნორმების ეროზია გამოიწვიოს. მოლაპარაკებები ბირთვული პროგრამის შეწყვეტასთან დაკავშირებით წარუმატებლად სრულდება. ქვეყანასთან მიმართებაში წარუმატებლობა განიცადა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის პროგრამამ. ჩრდილოეთ კორეა მსოფლიო ყურადღების ცენტრშია.

ჩემ მიერ არჩეული საკვლევით თემა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმებების წარუმატებლობის მიზეზებს ეხება. თუ რატომ ვერ მოახერხა მსოფლიომ ჩრდილოეთ კორეის დენუკლეარიზაცია. ლოგიკურად ჩნდება კითხვა, თუ რატომ არღვევს იგი თავისი ნებით გაფორმებულ შეთანხმებებს და რა რეალური მიზეზი იმალება ამის უკან. კვლევის ობიექტი ჩრდილოეთ კორეაა.

საკვლევით კითხვა მდგომარეობს შემდეგში: **რა ფაქტორები განაპირობებს ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმებების რღვევას?** მაშინ, როდესაც 1985 წლიდან მოყოლებული, როცა ქვეყანა პირველად

შეუერთდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ შეთანხმებას, მან ათწლეულების მანძილზე არაერთი შეთანხმება დადო იმის შესახებ, რომ უარს იტყოდა ბირთვულ პროგრამაზე. რეალურად კი არ შეასრულა.

თემა აქტუალურია, რადგანაც ჩრდილოეთ კორეამ პოსტკოლონიური პატარა სახელმწიფოს სტატუსიდან გადაინაცვლა ბირთვულ სახელმწიფომდე. ახლა, როდესაც ქვეყანა ბირთვულ იარაღთან ერთად საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტასაც ფლობს საკითხი კიდევ უფრო მწვავე და აქტუალურია. არაპროგნოზირებადი ქვეყნისგან მოსალოდნელი საფრთხის გამო ჩრდილოეთ კორეის დენუკლეარიზაციას საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ჩემი ნაშრომის მიზანია, გამოიკვლიოს ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული შეთანხმებების რღვევის მიზეზები და შეამოწმოს ჰიპოთეზა, რომ ჩრდილოეთ კორეა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმებებს არღვევს ქვეყნის უსაფრთხოების, თავდაცვისა და რეჟიმის შენარჩუნების მიზნით, დროის მოგების გზით. უფრო კონკრეტულად კი ჩრდილოეთ კორეა ბირთვული გაუვრცელებლობის შეთანხმებების დადებით და მალევე მისი რღვევით იგებს დროს, რომელსაც ჰიპოთეზაში აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე იყენებს ბირთვული შესაძლებლობების ზრდისთვის. **დამოკიდებული ცვლადია:** ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმებების რღვევა, **ხოლო დამოუკიდებელი ცვლადი:** ქვეყნის უსაფრთხოება, თავდაცვა და რეჟიმის შენარჩუნება. **ამხსნელი ცვლადია:** დროის მოგება ბირთვული შესაძლებლობების გაზრდისთვის.

ცვლადების ოპერაციონალიზაციის მეშვეობით ნაშრომის მიზანი კიდევ უფრო ნათელი გახდება. ბირთვული შესაძლებლობების ზრდა, ჩრდილოეთ კორეის ეროვნულ ინტერესებში შედის. გამომდინარე იქიდან, რომ პატარა, ეკონომიკურად ჩამორჩენილი, იზოლირებული სახელმწიფო უფრო ძლიერი მოწინააღმდეგეებითაა გარშემორტყმული, მისთვის ბირთვული იარაღი წარმოადგენს თავდაცვის და უსაფრთხოების გარანტს. ქვეყანამ ბევრჯერ დაარღვია სარაკეტო საქმიანობისა და ბირთვული პროგრამების შეჩერების შეთანხმება, ტაქტიკურად იმოქმედა და მოიგო დრო, შედეგად მას უკვე ბირთვული იარაღი და საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური

რაკეტა აქვს, ასევე შემუშავებული აქვს ბირთვული ქობინის ზომის შემცირების ტექნოლოგია. ბირთვული იარაღი ასევე წარმოადგენს ქვეყანაში არსებული რეჟიმის პოლიტური და სამხედრო ავტონომიის გადარჩენის ერთ-ერთი საშუალება.

ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმებები მოიცავს ძირითად ხელშეკრულებას, რომელიც 1968 წელს გაფორმდა და ჩრდილოეთ კორეა 1985 წლიდან 2003 წლამდე რჩებოდა მის ხელმომწერად. ამასთან ერთად აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეას შორის, ასევე მრავალმხრივ გაფორმებულ შეთანხმებებს ბირთვული პროგრამის, პლუტონიუმის იარაღის პროგრამის გაყინვაზე, ურანის გამდიდრების, ბირთვული რეაქტორების მშენებლობის შეჩერებაზე, ბირთვული მასალების, სარაკეტო ტექნოლოგიები გადაადგილების შეწყვეტაზე.

1.1 მეთოდოლოგია

ჩემს კვლევაში გამოყენებული იქნება თვისებრივი კვლევის მეთოდები, რომელიც სოციალურ ცხოვრებას სიღრმისეულად შეისწავლის და ხშირად კვლევისადმი ინდივიდუალურ მიდგომას ეყრდნობა. ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმა ცოდნა მივიღოთ საკითხის ირგვლივ და ვუპასუხოთ კითხვებს „რატომ?“, „როგორ?“. თვისებრივი კვლევის მეთოდების ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება ისაა, რომ შეგვიძლია სამყარო დავინახოთ და აღვწეროთ კვლევის ობიექტების თვალთ. თვისებრივი კვლევის ტექნიკებიდან გამოვიყენებ წერილობითი დოკუმენტების თვისებრივ შესწავლას (ზურაბიშვილი, 2006, 7). გამოვიყენებ კონტენტ-ანალიზს, კვლევაში გავაანალიზებ მეორად წყაროებს, მიმოვიხილავ აკადემიურ წიგნებს, სტატიებს, ოფიციალურ დოკუმენტებს ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პოლიტიკაზე, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის მცდელობებზე, შეთანხმებების დარღვევაზე. საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად გამოვიყენებ პროცესის მიდევნების მოდელს, რომელიც იკვლევს თეორიული მიზეზობრივი მექანიზმებისა და მიზეზ-შედეგობრიობის კავშირს, გვეხმარება ცვლადებს შორის შედეგობრიობის დადგენაში, რომლის გამოყენებითაც განვითარებული მოვლენების ანალიზის საფუძველზე

ჰიპოთეზის ჭეშმარიტების დადასტურებას შევეცდები. პროცესის მიდევნება არის ისტორიული ახსნების სპეციალური ტიპი, რომელიც მკვლევარს აძლევს შესაძლებლობას განსაზღვროს კონკრეტული მოვლენის მიზეზობრივი კავშირები. ეს არის მეთოდი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს იმ პირობებს, რა პირობებშიც ხდება კონკრეტული მოვლენა. გვეხმარება დეტალურად დავინახოთ ის, თუ როგორ იწვევს ერთი მოვლენა მეორეს. მას შეუძლია გვაჩვენოს შედეგებამდე მისასვლელი გზა, განსაზღვროს ცვლადები, გამოავლინოს სიყალბე და მოგვცეს მიზეზობრივი დასკვნა რამდენიმე ან თუნდაც ერთი შემთხვევის საფუძველზე (ბენეტი და ჯორჯი, 2005).

საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად გამოვიყენებ ნეორეალიზმის თეორიულ ჩარჩოს, რომელიც ჰიპოთეზის გენერირებაში დამეხმარება. სტრუქტურული რეალიზმის მიხედვით საერთაშორისო სისტემა განაპირობებს სახელმწიფოების გათვლებს, ქცევასა და ურთიერთქმედებას. ანარქიის პირობებში სახელმწიფოები მუდმივი საშიშროებიდან გამომდინარე არიან ერთმანეთის შიშში; დამოკიდებულნი არიან მხოლოდ საკუთარ თავზე, რადგან სხვა სახელმწიფოები პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენენ. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ისინი უნდა ეყრდნობოდნენ საკუთარ საშუალებებსა და მექანიზმებს. სახელმწიფოები ცდილობენ თავიანთი ფარდობითი ძლიერების გაზრდას სხვა ქვეყნებთან მიმართებაში, სამხედრო უპირატესობის მქონე ქვეყანა კი უფრო უსაფრთხოა. საერთაშორისო დონეზე სახელმწიფოების ძალა ხმარდება თავდაცვასა და სხვებზე უპირატესობის მოპოვებას (აკობია, 2006, 23). სწორედ სისტემის ხასიათიდან გამომდინარეობს ჩრდილოეთ კორეის ქცევა, ბირთვული შეიარაღება მისთვის თავდაცვის მექანიზმი და ძლიერების გამოხატულება, რადგან სამხედრო ძლიერება საუკეთესო გზაა საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ქენეთ უოლცი რეალპოლიტიკით ხსნის სახელმწიფოების საქციელს, კერძოდ, კონკურენციის დარეგულირებას, სახელმწიფოთა ინტერესების უზენაესობას, ძალის პრიმატს (აკობია, 2006, 24).

ჩემი ნაშრომი დაყოფილია შვიდ თავად. პირველი თავი კვლევის შესავალ ნაწილს ეთმობა, ხოლო მეორე თავში ვისაუბრებ ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ მიღწევებზე, მასში მიმოხილული იქნება ჩრდილოეთ კორეის მიერ წარმოებული ბირთვული შემოწმებები, 2006 წლიდან ჩატარებული 6 ბირთვული ტესტის წარმართვის პირობები

და შედეგები. ვისაუბრებ იმაზე, თუ რა შეიარაღებას ფლობს დღეს ჩრდილოეთ კორეა, ბირთვულთან ერთად განხილული იქნება სხვა სახის შეიარაღებებიც. რა წარმატებები განიცადა ქვეყანამ ბირთვულ სახელმწიფოდ გახდომის სურვილიდან დღემდე.

მესამე თავში განხილული იქნება დიპლომატიური მოლაპარაკებები ჩრდილოეთ კორეასა და აშშ-ს შორის, ურთიერთობების დინამიკა ჯორჯ ბუშ უფროსის ადმინისტრაციიდან მოყოლებული დღემდე, ჩრდილოეთ კორეასთან მიმართებაში კლინტონის მოლაპარაკებების ტაქტიკა, ბუშის მოლაპარაკებების მუქარით ჩანაცვლება, ობამას „სტრატეგიული მოთმინების“ პოლიტიკა, ტრამპის „მაქსიმალური ზეწოლის“ პოლიტიკა. საუბარი იქნება აშშ-ს კრიზისის 3 ეტაპზე, რომელიც ჩრდილოეთ კორეასთან მიმართებაში ჰქონდა. ასევე ამ თავში განვიხილავ ჩრდილოეთ კორეის მიერ შეუსრულებელ დაპირებებს, საუბარია სამი ათწლეულის მანძილზე მიმდინარე ბირთვული მოლაპარაკებებზე ჩრდილოეთ კორეასა და აშშ-ს შორის, 1985 წლიდან დღემდე. ბირთვული პროგრამისა და სარაკეტო საქმიანობის შეჩერების პირობას ქვეყანა ათწლეულების მანძილზე დებდა, სანქციების შემსუბუქების ან დახმარების სანაცვლოდ. უშედეგო აღმოჩნდა ბირთვული პროგრამის განვითარებისთვის ხელის შეშლა. სამართლებრივი კუთხით განვიხილავ ჩრდილოეთ კორეის ქმედებებს, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს, რომელიც ქვეყნის მისამართით შექმნეს. ამავე თავში განხილული იქნება კიმ ჩენ ინის 2018 წლის დიპლომატიური მიდგომა, რომელშიც საუბარია მის მიერ დასახულ ახალ მიზანზე, ეკონომიკის განვითარებაზე, მაშინ როცა ბირთვულ სახელმწიფოდ გახდომის მიზანს ქვეყანამ უკვე მიაღწია.

მეოთხე თავი ეთმობა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის გლობალური რეჟიმის ეროზიას, რომელშიც საუბარი იქნება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის გლობალური რეჟიმის კომბინირებულ ინსტრუმენტებსა და ზომებზე, რამაც ჩრდილოეთ კორეასთან მიმართებაში წარუმატებლობა განიცადა, დენუკლარიზაციისთვის საჭირო ტექნიკურ და იურიდიულ საკითხებზე. ამ თავში ასევე განხილული იქნება ჩრდილოეთ კორეის იდეოლოგიები, „ჩუჩხე“, რომელიც მარქსიზმის კიმ ირ სენულ ვარიანტს წარმოადგენს, მისი მთავარი არსი კი მდგომარეობს შემდეგში, ადამიანი არის როგორც საკუთარი ბედის, ასევე სამყაროს მბრძანებელიც. „ჩუჩხესთან“ ერთად განხილული იქნება იდეოლოგია „სონგუნი“, რომელიც კიმ ჩენ

ირის მეთაურობით გაძლიერდა და სამხედრო ფაქტორის პირველ ადგილზე დაყენების სტრატეგიას წარმოადგენს. გულისხმობს სამხედრო მხადყოფნას გარე საფრთხის თავიდან ასაცილებლად. იგი არა მხოლოდ პოლიტიკური პროპაგანდა, არამედ სამხედრო ძალაც გახდა. ჩრდილოეთ კორეა ხალხს უბიძგებს გააძლიეროს თავდაცვითი შესაძლებლობები სონგუნის პოლიტიკის მეშვეობით.

მეხუთე თავში განხილული იქნება აშშ-ის, სამხრეთ კორეისა და იაპონიის ინტერესები ჩრდილოეთ კორეის საფრთხის დასაბალანსებლად, გაანალიზებული იქნება ანტაგონისტური დამოკიდებულების მიზეზები თითოეულ ქვეყანასთან მიმართებაში. ასევე მიმოხილული იქნება ჩინეთის პოლიტიკა და ინტერესები ჩრდილოეთ კორეის მიმართ.

მეექვსე თავი ჩრდილოეთ კორეის ბირთვული ქმედებების, მიზნების, მისწრაფებების, ბირთვული პოლიტიკის ამხსნელ თეორიულ ჩარჩოს, ნეორეალიზმს ეთმობა, რომელიც ჰიპოთეზის გენერირებაში დამეხმარება.

მეშვიდე თავი კი დასკვნის სახით შეაჯამებს ჩატარებულ კვლევას.

1.2 ლიტერატურის მიმოხილვა

კესლინ სათქლიფი თავის ნაშრომში ბირთვული კლუბის საწყის ეტაპებსა და მის გაფართოებას მიმოიხილავს. მსოფლიოს დაყოფა ბირთვული იარაღის მქონე და ბირთვული იარაღის არმქონე ქვეყნებად ოფიციალურად 1968 წელს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებით მოხდა. გლობალური ბირთვული იარაღის შეიარაღებამ თავის პიკს 1986 წელს მიაღწია, როცა 5 ბირთვული სახელმწიფოს ხელში 70 000-ზე მეტი ბირთვული ქობინი დაგროვდა. მათი უმეტესობა აშშ-სა და რუსეთს ეკუთვნის. პირველი ხუთი ქვეყანა, რომელმაც ბირთვული იარაღი განავითარა და მისი ტესტირება მოახდინა, არის „დიდი ხუთეული“, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ვეტოს უფლების მქონე, მუდმივი ქვეყნები: აშშ, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ჩინეთი. ამ ხუთი ქვეყნის გარდა ბირთვული იარაღის მქონე ქვეყნების კლუბში შედის კიდევ 4 ქვეყანა, რომელსაც აქვს

საჯაროდ გამოცდილი ბირთვული იარაღი ან ფართოდაა მიჩნეული, რომ ფლობს მას (ისრაელი). ჩრდილოეთ კორეის პირველმა ბირთვულ გამოცდამ 2006 წელს გამოიწვია მიწისძვრა 4.2 მაგნიტუდით (სათქლიფი, 2006).

დავენპორტი საუბრობს მსოფლიოში ბირთვული შემოწმების საწყისებსა და ბირთვული იარაღის პრევენციის თავდაპირველ საშუალებებზე. ბირთვული იარაღის პირველი ტესტი 1945 წელს აშშ-მა ჩაატარა, ის იმედოვნებდა, რომ შეინარჩუნებდა მონოპოლიას თავის ახალ იარაღზე, მაგრამ ბირთვული იარაღის შექმნის ტექნოლოგია და საიდუმლოებები მალე გავრცელდა. მას მოჰყვა სსრკ-ს (1949), დიდი ბრიტანეთის (1952), საფრანგეთის (1960), ჩინეთის (1964) ბირთვული შემოწმებები. ბირთვული იარაღის გავრცელების თავიდან ასაცილებლად აშშ და მისი თანამოაზრეები შეთანხმდნენ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებაზე 1968 წელს და ბირთვული ტესტის საყოველთაო აკრძალვის ხელშეკრულებაზე 1996 წელს. ინდოეთს, პაკისტანსა და ისრაელს არასდროს მოუწერიათ ხელი გაუვრცელებლობის შეთანხმებაზე, ისინი ფლობენ ბირთვულ იარაღს, ხოლო ჩრდილოეთ კორეა 2003 წელს გამოეყო ამ შეთანხმებას და იმ დროიდან წარმართავს ბირთვულ შემოწმებებს (დავენპორტი, 2018).

თუ რითი განსხვავდება ბირთვული იარაღი სხვა იარაღებისგან და რა შესაძლებლობები აქვს მას ამაზე თომას შელინგი „ძალადობის დიპლომატიაში“ წერს. ბირთვული იარაღი განსხვავდება არა მხოლოდ დიდი რაოდენობით ადამიანთა მოკვლის შესაძლებლობით, არამედ ამ ქმედების განხორციელების სიჩქარით. მას შეუძლია გლობალური ომის რამდენიმე საათში ჩატევა, მაგრამ ეს არ ნიშნავს გარდაუვალად ომის მოხდენას (შელინგი, 2004, 275). ბირთვული იარაღით მტრის წინააღმდეგ დიდი მასშტაბის ძალადობის ჩადენაა შესაძლებელი წინასწარ გამარჯვების გარეშე. ასევე შესაძლებელია მტერ ქვეყანაში მისი სამხედრო ძალის დამარცხების გარეშე შესვლა. ბირთვულმა ომმა შესაძლებელია „სამხედრო გამარჯვებები“ დაჩრდილოს. შეკავება უკვე არა მხოლოდ სამხედრო ასპარეზზე დამარცხების, არამედ ტკივილის მიყენების და ამოწყვეტის მუქარას ემყარება (შელინგი, 2004, 276).

ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პოლიტიკაზე საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს. ჩრდილოეთ კორეამ დიქტატორების 3 თაობა შეინარჩუნა. კიმების ოჯახი, განსაკუთრებით კინ ირ სენი ყოველთვის აქტიურად მოქმედებდა სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ეროვნული ძალაუფლების კიმების ოჯახის ხელში კონსოლიდაცია და ქვეყნის საერთაშორისო აღიარება იყო. კიმ ირ სენმა თანამედროვე პიროვნების კულტი და მილიტარისტული კულტურა შექმნა. მთავარი სურვილი კიმების ოჯახის თაყვანისცემაა, ვინც ამას არ იზიარებს ისჯება, ვერც ერთი მოქალაქე ვერ ბედავს წინააღმდეგობის გაწევას. CNN-ის მონაცემებით, 2015 წელს ჩრდილოეთ კორეას 1.1 მლნ აქტიური და რეზერვში დამატებით 7.7 მლნ ჯარისკაცი ჰყავდა. ასეთი მილიტარისტული საზოგადოების არსებობა გვიჩვენებს თუ რა ძვირი დაუჯდება ვინმეს რეჟიმთან დაპირისპირება. კი ჩენ ინის რეჟიმს ხალხისადმი უფრო რეპრესიულ და საერთაშორისოდ იზოლირებულადაც თვლიან, ვიდრე სადამ ჰუსეინის ერაცს. ქვეყანა ყველაფერს აკეთებს რეჟიმის შესანარჩუნებლად, ეკონომიკური ქაოსის და შიმშილის მიუხედავად (ლისმენი, 2017).

ჰეგარდი საუბრობს ჩრდილოეთ კორეის უფრო შორსმჭვრეტელ გეგმებზე, რომელიც კიმ ჩენ ინმა 2011 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ, ხელისუფლებაში მოსვლისას დაისახა, ფოკუსი ეკონომიკურ, მატერიალურ ბენეფიტებსა და სამხედრო მოდერნიზაციაზე შეაჩერა. ამ გეგმის შესასრულებლად კი საჭიროა ჩრდილოეთ კორეა მიჰყვეს სხვა აზიური სახელმწიფოების ინტეგრაციის წარმატებულ გზას გლობალურ ბაზრებზე. რაც გაღრმავებული სანქციების რეჟიმში შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, მისი ერთადერთი იმედი პოლიტიკური დაპირისპირების წარმოქმნაა კოალიციის წევრებს შორის: ჩინეთს, აშშ-ს, იაპონიასა და კორეას შორის. ამ კოალიციის აღსაკვეთად კი რაკეტების ტესტირება საუკეთესო გზაა (ჰეგარდი, 2017).

მაიკ იოიანგი, ეროვნული უსაფრთხოების ანალიტიკოსი საუბრობს იმაზე, რომ ჩრდილოეთ კორეა დენუკლეარიზაციას სასოწარკვეთილების დროს იყენებს, როგორც კოზირს. ჩვეულებრივ, ისინი გარკვეული სახის შიდა კრიზისებს განიცდიან და შემდეგ იწყებენ მოქმედებას მუქარის გზით. აშშ-მა თავდაპირველი დაპირება დენუკლეარიზაციაზე ჩრდილოეთ კორეისგან 1985 წლიდან მიიღო. ფხენიანმა კი რეალურად დრო მოიგო თავისი ბირთვული შესაძლებლობების შექმნისთვის. არ

არსებობს კონკრეტული შეთანხმება როგორ უნდა მოხდეს კორეის შემოწმება. ჩრდილოეთ კორეას არ გამოუცხადებია თავისი შესაძლებლობები, არაფერი უთქვამს კონკრეტული ქობინების განადგურებაზე (ზარეტი, 2018).

ჩრდილოეთ კორეის ახლო მეზობლების მიერ პოტენციურად მტრული მოქმედებების მოლოდინმა ქვეყანის ამბიციები გაზარდა, თავი დაეცვა ბირთვული შესაძლებლობების განვითარებით და საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის შექმნით. ეს ხდება გაეროს მიერ დაწესებული სანქციების კვალდაკვალ. ჩრდილოეთ კორეა ჯორჯ ბუშის მიერ დასახელებული „ბოროტების ღერძი“ სამი სახელმწიფოდან ერთ-ერთია. კიმ ჩენ ირი ბოლო ათწლეულების მანძილზე ამ წოდებას კარგად იყენებდა თავისი ტაქტიკის განვითარებისთვის, აგრძელებდა ბირთვული იარაღისა და საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის განვითარებას. კორეის ლიდერი არ სჩადის რაიმე სულელურ აგრესიულ ქმედებას, მაგრამ ზრდის ბირთვულ შესაძლებლობებს. კიმების რეჟიმი არასანდოა. მათი შიში აშშ-სა და სამხრეთ კორეის მხრიდან თავდასხმაზე უსაფუძვლოა და ემსახურება საერთაშორისო თანამეგობრობაზე მანიპულირებას მოტყუებით (ბონედისი, 2007).

ჩრდილოეთ კორეასთან გამკლავების გზებს გვთავაზობენ ვინიფელდი და მორელი. მათი აზრით, აშშ-ის რწმენა იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთ კორეა ბირთვულ პროგრამაზე უარს იტყოდა, იყო მათი პოლიტიკური აზროვნების მთავარი შეცდომა. მიზანი უნდა იყოს არა დენუკლარაიზაცია, არამედ გამოყენებისა და გავრცელების თავიდან აცილება. პირველი ნაბიჯი, რაც უნდა გადაიდგას, განისაზღვროს რა არ უნდა გაკეთდეს ჩრდილოეთ კორეასთან მიმართებაში, მათგან უმნიშვნელოვანესია რეჟიმის გასანადგურებლად ძალის გამოყენების მუქარაზე უარის თქმა, ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ სახელმწიფოდ არ აღიარების გაგრძელება. ქვეყანამ უნდა გააგრძელოს ბირთვული იარაღის პროგრამისთვის საფასურის გადახდა, ეს გულისხმობს სანქციების გაგრძელებას. აშშ-მ ჩინეთზე ზეწოლა უნდა განაგრძოს, ჩინეთი დილემის წინაშე დგას, მას ბირთვული შეიარაღების მქონე ჩრდილოეთ კორეაზე მეტად დესტაბილიზებული ჩრდილოეთ კორეის ეშინია. მიზეზი აშკარაა, მას არ სურს არც ლტოლვილთა მასიური ნაკადის მიღება და არც აშშ-სა და სამხრეთ კორეის სამხედრო ძალების განაწილება საზღვართან. მორელისა და ვინეფელდის მოსაზრებით, აშშ-მა ჩრდილოეთ კორეას

ნათლად უნდა გამოუცხადოს, რომ აშშ მასზე და მის მოკავშირეებზე მათ მიერ წარმართულ ნებისმიერ თავდასხმას წინ აღუდგება, ბირთვული შეტევის განხორციელების შემთხვევაში კი უპასუხებს უზარმაზარი ძალით. აშშ-მა უნდა განაცხადოს, რომ ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღის გავრცელება გაეროს უშიშროების საბჭოს მხრიდან მნიშვნელოვან საპასუხო ზომას გამოიწვევს, როგორცაა ბლოკადა (ვინეფელდი და მორელი, 2017).

კვლევარებმა რამდენიმე არგუმენტი მოიყვანეს, თუ რატომ მოახმარა ჩრდილოეთ კორეამ ათწლეულების მანძილზე ბირთვული პროგრამის შექმნას დრო და რესურსები. არგუმენტები სამ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: უსაფრთხოება, შიდა პოლიტიკური საკითხები და ნორმები. ჩრდილოეთ კორეა გრძნობს საფრთხის არსებობას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ერის დაბადებიდან რეჟიმის მთავარი წარმმართველი იყო უსაფრთხოება. კორეის დამანგრეველი ომის და აშშ-ს მიერ ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხის მოლოდინის გამო კიმ ირ სენმა გადაწყვიტა ჰქონოდა საკუთარი ბირთვული იარაღი.

კაპლანი წერს, რომ ბირთვული არსენალი ჩრდილოეთ კორეას იმავე მიზეზით სჭირდება, რა მიზეზითაც სხვა ქვეყნებს, განსაკუთრებით კი პატარებს, სურთ თავიდან აიცილონ მტრებისგან თავდასხმა. ჩრდილოეთ კორეას ყოველთვის ეშინოდა და ახლაც ეშინია აშშ-ის ქვეყანაში შემოჭრის. კიმების დინასტიამ მოახერხა საკუთარი ხალხის დათრგუნვა ამ შიშის ჩანერგვით. ფხენიანს ახლა სჯერა, რომ ბომბი მათ ქვეყანას გადაარჩენს და უკვე აღარ მალავს ბირთვულ მისწრაფებებს.

ზოგიერთი მოსაზრებით, ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამა შიდა პოლიტიკით განისაზღვრება, ძალაუფლების მქონე პირებს სურთ მისი შემუშავება. ქვეყანაში მხოლოდ ლიდერს აქვს პროგრამაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. ჩრდილოეთ კორეის ხელმძღვანელობა მოსახლეობას არწმუნებს სერიოზული გარე საფრთხის არსებობაზე, ამ არგუმენტით ამართლებს ბირთვულ პროგრამას და მისი არსებობით ხალხს დაცულობის განცდას უქმნის. პროპაგანდის მეშვეობით ხალხს საერთაშორისო აქტორების წინააღმდეგ განაწყობენ (International Relations, 2017).

მკვლევარები თანხმდებიან იმაზე, რომ ჩრდილოეთ კორეა არ არის მოლაპარაკებისას სანდო პარტნიორი და მან შეიძლება მოიტყუოს, თუ ამის საშუალება ეძლევა. ჰონდის მოსაზრებით, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მიზნების მამოტივირებელია სამი პრიორიტეტი: უსაფრთხოება, იდენტობა და კეთილდღეობა.

ეროვნული უსაფრთხოება ნებისმიერი ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. უსაფრთხოება არის მნიშვნელოვანი საშინაო ფაქტორი და პრიორიტეტი ჩრდილოეთ კორეის საგარეო პოლიტიკისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. „ცივი ომის“ პერიოდის შემდეგ, ჩრდილოეთ კორეა მიჰყვებოდა საგარეო პოლიტიკურ ფაქტორებს, რომლებსაც უნდა აერიდებინა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის მოსალოდნელი საფრთხე და ხელი შეეწყო მისი უნიკალური სოციალიზმისთვის ახალ მსოფლიო წესრიგში, რომელშიც დომინანტ ძალას აშშ წარმოადგენდა.

ყოველი პოლიტიკური სისტემა ცდილობს შეინარჩუნოს ლეგიტიმურობა. იგი ხელისუფლების ინსტიტუტების მოქმედების მართლზომიერად ცნობასა და მათ მიმართ მოსახლეობის დიდი ნაწილის კეთილგანწყობას გულისხმობს. ხალხის მხარდაჭერით ლიდერებს აქვთ შესაძლებლობა დაამყარონ საკუთარი წესრიგი, ძალის გამოყენების გარეშე. გარდა ამისა, ლეგიტიმურობის ძირითადი კომპონენტია მმართველის შეხედულებები, მორალური უფლება გასცეს განკარგულებები და ხალხიც საპასუხოდ დაემორჩილოს ამ განკარგულებებს. ჩრდილოეთ კორეა არის ყველაზე გასაოცარი მაგალითი სისტემის, რომელიც ფასეულობებსა და შეხედულებებს იყენებს, როგორც ძალაუფლებისა და ავტორიტეტის საფუძველს. როდესაც რეჟიმის ლეგიტიმურობა იქმნება რწმენის სისტემის დანერგვის საფუძველზე, ლიდერებს აღარ სჭირდებათ ეკონომიკურ საქმიანობაზე და ხალხის მატერიალური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვა. ჩრდილოეთ კორეა კონკრეტული სამხედრო შესაძლებლობების შეძენის შემდეგ, როგორცაა ბირთვული ძალა, მიზნად ისახავს ეკონომიკურ კეთილდღეობას (ჰონგი, 2013).

გრეგ ბონედისი მიიჩნევს, რომ ქმედებები დღევანდელ საერთაშორისო სისტემაში სრულად შეესაბამება რეალიზმის ვარაუდებსა და პროგნოზებს. რეალპოლიტიკა მისი აზრით ცოცხალია და ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის სცენარში გვხვდება, მაგრამ

რთულია შედარებითი უპირატესობის განსაზღვრა ფაქტობრივი კონფლიქტისა და ღია აგრესიის არარსებობის პირობებში. რეალისტური მიდგომა, რომელიც სახელმწიფოს მიზნად საკუთარ უსაფრთხოებასა და გადარჩენას ისახავს, მართლაც მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის. რეალისტური მიდგომები საერთაშორისო ურთიერთობებში და სახელმწიფოს მართვის საკითხებში მანამ დარჩება, სანამ არ გადაილახება ადამიანის დღევანდელი მდგომარეობისათვის დამახასიათებელი შიში და უნდობლობა. ჩრდილოეთ კორეის ქმედებები რეალისტური მიდგომით ხაზს უსვამს მის მიზნებს, ბირთვული შესაძლებლობების ზრდას და რეჟიმის წარმატებას (ბონედისი, 2007).

2. ბირთვული მიღწევები

მას შემდეგ, რაც კორეის ნახევარკუნძული მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ორ ნაწილად გაიყო და ჩრდილოეთი ჩამოყალიბდა სტალინისტურ ავტორიტარულ სისტემად, გლობალურად იზოლირებულმა სახელმწიფომ ბირთვული იარაღი ერთ-ერთ შემაკავებელ ფაქტორად მოისაზრა. ჩრდილოეთ კორეაში სჯეროდათ, რომ მსოფლიოს მისი განადგურება სურდა და ბირთვული იარაღი ამას წინ აღუდგებოდა. ქვეყანამ 6 ბირთვული შემოწმება ჩაატარა, მათი თქმით, ერთი იყო წყალბადის ბომბის (BBC, 2018).

ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის ომს თომას შელინგი კორეის ომს ბირთვული ძალადობის ეპოქაში შეზღუდული ომის კარგ მაგალითად მიიჩნევს და მას ამავდროულად „საყოველთაო“ ბრძოლასაც უწოდებს, არა მარტო ნახევარკუნძულის მასშტაბით, არამედ ორივე მხარის მიერ მოხმარებული რესურსების თვალსაზრისით. შეზღუდულად შეიძლება ჩავთვალოთ იმის გამო, რომ მასში არ გამოუყენებიათ ბირთვული იარაღი, გაერო-ს შეიარაღებულ ძალებს არ დაუბომბავთ საზღვაო გემები და აეროდრომები, ომში მონაწილეობა არ მიუღიათ რუსებს, საბრძოლო მოქმედებები არ გავრცელებულა ჩინეთისა და იაპონიის ტერიტორიებზე. კორეის ომი იყო სამხედრო ძლიერებაში შეჯიბრი, რომელშიც მოსახლეობის მიმართ უპრეცედენტო ძალადობის მუქარა ხორციელდებოდა (შელინგი, 2004, 282).

ჩრდილოეთ კორეის ბირთვული ამბიციები კორეის ომიდან, 1950-იანი წლებიდან თარიღდება, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება კი 1992 წელს მიიპყრო, როცა ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტომ აღმოაჩინა, რომ მისი ბირთვული აქტივობები აჭარბებდა გამოცხადებულს. ამან გამოიწვია ჩრდილოეთ კორეის მიერ სააგენტოს დატოვება 1994 წელს. აშშ-მა და ჩრდილოეთ კორეამ მოილაპარაკეს შეთანხმებულ ჩარჩოზე, რომლის მიხედვითაც ფხენიანი ბირთვული აქტივობების გაყინვას დათანხმდა. ეს შეთანხმება ქვეყანამ 2002 წელს დაარღვია.

ჩრდილოეთ კორეამ ხელი მოაწერა ჟენევის პროტოკოლს და შეუერთდა ბიოლოგიური და ტოქსინის იარაღის კონვენციას 1987 წელს. აშშ-ის სადაზვერვო

წყაროები ინფორმაციით, ქვეყანა ბიოლოგიურ იარაღს აწარმოებს და შეიარაღებაც აქვს. თუმცა, ღია წყაროების ინფორმაცია ჩრდილოეთ კორეის ბიოლოგიური იარაღის პროგრამის სტატუსზე განსხვავებულია.

ჩრდილოეთ კორეა არ არის ქიმიური იარაღის კონვენციის ხელმომწერი. ქვეყნის ქიმიური იარაღით დაინტერესება 1954 წლიდან მოხდა. სამხრეთ კორეის 2016 წლის თავდაცვის „თეთრი წიგნის“ შეფასებით ჩრდილოეთ კორეას 2500-დან 5000 ტონამდე ქიმიური იარაღის საშუალება გააჩნია.

ქვეყნას დიდი და დახვეწილი ბალისტიკური სარაკეტო პროგრამა აქვს, ატარებს ხშირ შემოწმებებს. 2017 წელს წარმატებული გამოდგა Hwasong-14-ის და Hwasong-15-ის, პირველი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების შემოწმება (NTI, 2018).

ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის წარმომავლობას რომ შევეხოთ, 1960-იან წლებში, როცა ქვეყანა საბჭოთა კავშირის ახლო მოკავშირე იყო, საბჭოთა ლიდერებმა გადასცეს ჩრდილოეთ კორეას ბირთვული ტექნოლოგია და მოწყობილობები, რათა ფხენიანს განევითარებინა ბირთვული ენერჯის პროგრამა. 1970-იან წლებში ჩრდილოეთ კორეამ ეგვიპტისაგან მიიღო საბჭოთა პერიოდის რაკეტა და ის შეცვალა ორი უახლესი ვერსიით: Hwasong-5-ით და Hwasong-6-ით. 1980-იანი წლებისთვის კორეელმა მეცნიერებმა დაიწყეს ურანის ლითონის გაყალბება და ბირთვულ ქობინებში გამოყენებულ ასაფეთქებელ სისტემაზე ექსპერიმენტის ჩატარება. ძირითადი დახმარება, ურანის გამდიდრებისთვის საჭირო ცენტრიფუგები და ქობინების დიზაინის პროექტიც 1990-იან წლებში პაკისტანელმა ბირთვულმა მეცნიერმა- ხანმა უზრუნველყო. მაგრამ ათწლეულების მანძილზე ჩრდილოეთ კორეამ მსოფლიოს ათობით ქვეყნისგან მიიღო დახმარება (ვორიკი და ვიტკოვსკაია, 2018).

ჩრდილოეთ კორეა ბირთვული კლუბის მეცხრე წევრი 2006 წელს გახდა. ბირთვული პროგრამა 1964 წლიდან გამოცხადდა, როცა კიმ ირ სენის რეჟიმმა საბჭოთა კავშირის დახმარებით იონგბუონში ბირთვული ობიექტი შექმნა პატარა კვლევითი რეაქტორით. 1986 წელს კი დასრულდა 5 მეგავატის ბირთვული რეაქტორის შექმნა, რომელიც კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაზე ზუსტად იყო მორგებული: მხოლოდ ადგილობრივად მიღებულ ბუნებრივ ურანზე იყო დამოკიდებული და არა

იმპორტირებულ მძიმე წყალსა და გამდიდრებულ ურანზე. სულ მალე ჩრდილოეთ კორეამ გრაფიტის ორი დიდი რეაქტორის მშენებლობა დაიწყო (50-200 მეგავატი) (ლითვექი, 2017, 8).

ამ დრომდე ჩრდილოეთ კორეამ 6 მიწისქვეშა ბირთვული ტესტი ჩატარა. საერთაშორისო მოლაპარაკებები ათწლეულების მანძილზე იმართებოდა იმ მიზნით, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე არაპროგნოზირებადი ქვეყნის ხელში ბირთვული იარაღი არ მოხვედრილიყო.

პირველი ბირთვული შემოწმება 2006 წლის 9 ოქტომბერს ჩატარდა, რომელმაც მოლაპარაკებების მრავალწლიანი მცდელობები დააგვირგვინა. ყველა ტესტის მსგავსად ის მიწისქვეშ ჩატარდა, ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მოშორებულ მთიან პანგი-რიში. გამოყენებული იქნა იონგბიონის ლაბორატორიიდან მიწოდებული პლუტონიუმი. საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებით, მისი ენერჯია ჰიროსიმაში გამოყენებული ბომბის მეათედის ტოლი იყო. ამ ნაბიჯით ჩრდილოეთ კორეა ბირთვული კლუბის წევრი გახდა, მისი თქმით, ეს ბომბი გახდებოდა მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი კორეის ნახევარკუნძულზე, ამიტომ პირველ ტესტს „მშვიდობის“ იარაღს უწოდებენ.

მეორე ბირთვული შემოწმება 2009 წლის 25 მაისს ჩატარდა, რომელიც სტაბილურობის დამტკიცების მცდელობა იყო. ის უფრო მძლავრი, 2-8 კილოტონა იყო. ჩრდილოეთ კორეის განცხადებით, მიაღწიეს მაღალ დონეს ასაფეთქებელი ძალისა და ტექნოლოგიების თვალსაზრისით.

მესამე ბირთვულ შემოწმებას 2013 წლის 12 თებერვალს ჰქონდა ადგილი. სეისმური ბიძგები ჩრდილოეთ კორეამ მინიატურული და მსუბუქი ბირთვული მოწყობილობის ტესტით გაამართლა, არსებობდა ეჭვი, რომ ქვეყანა ურანის გამდიდრებას შეუდგა.

მეოთხე ტესტი 2016 წლის 6 იანვარს ჩატარდა. ინდიკატორი პანგი-რის მახლობლად დაფიქსირებული 5.1 მაგნიტუდის „ხელოვნული მიწისძვრა“ გახდა.

ჩრდილოეთ კორეამ მოგვიანებით განაცხადა, რომ წყალბადის ბომბის პირველი წარმატებული შემოწმება ჩაატარა. რაც კვლავ არ არის დადასტურებული.

მეხუთე ბირთვული შემოწმება ჩრდილოეთ კორეამ 2016 წლის 9 სექტემბერს გამოაცხადა. სხვადასხვა შეფასებებით მისი სიმძლავრე 10-დან 20 კილოტონამდე მერყეობდა.

მეექვსე გამოცდა 2017 წლის 3 სექტემბერს ჩატარდა. მათი განცხადებით, წარმატებით განხორციელდა მინიატურული წყალბადის ბომბის შემოწმება, რომელიც შეიძლება გრძელ რადიუსიან რაკეტაზე ჩაიტვირთოს. ეს გამოცდა იყო ძალიან დიდი სიმძლავრის, 100-150 კილოტონის. ქვეყნის მედიამ მას სრულყოფილი წარმატება და ბირთვული იარაღის ეროვნული პროგრამის შესრულებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი უწოდა (BBC, 2017).

ჩრდილოეთ კორეის მიერ რიგით მეექვსე, ყველაზე მძლავრ ბირთვულ გამოცდას გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სანქციების გამკაცრება მოჰყვა. ის ითვალისწინებს ჩრდილოეთ კორეიდან საფეიქრო ნაწარმის ექსპორტის აკრძალვასა და ჩრდილოეთ კორეაში ნედლი ნავთობის იმპორტის შეზღუდვას, ნახევარკუნძულზე დაპირისპირების მშვიდობიანად, დიპლომატიის გზით და პოლიტიკურად მოგვარების მოწოდებას.

გაეროს უშიშროების საბჭომ 2017 წლის 11 სექტემბერს მეცხრე რეზოლუცია მიიღო. ინიციატორმა, აშშ-მა, პროექტიდან ამოიღო ჩრდილოეთ კორეისთვის ნავთობის მიწოდების მთლიანად აკრძალვისა და ლიდერის, კიმ ჩენ ინის საბანკო ანგარიშების გაყინვის მოთხოვნები (რადიოთავისუფლება, 2017).

კიმ ჩენ ინის რეჟიმის ქვეშ ჩრდილოეთ კორეამ გარკვეულ წარმატებას მიაღწია საშუალო რადიუსის ბალისტიკური რაკეტებისა (IRBM) და წყალქვეშა ბალისტიკური რაკეტების (SLBM) ტესტირებაში, ასევე პროგრესი განიცადა ბირთვული ქობინების წონის შემცირებასა და მინიატურიზაციაში. ჩრდილოეთ კორეა აგრესიულად აგრძელებს ტექნოლოგიის განვითარებას, რათა შეძლოს ბირთვული იარაღის გრძელ რადიუსიან ბალისტიკურ რაკეტაზე მიბმა, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებამდე მიღწევა შეეძლება. აღმოსავლეთ აზიის რეგიონში დაძაბულობა მატულობს

ბირთვული იარაღის გამო. ეს ხდება მაშინ, როცა ძალაუფლების გადანაწილება ხდება აღმოსავლეთ აზიაში ჩინეთის აღზევების გამო. მისი სამხედრო ზრდა კი მეზობელ ქვეყნებს აღიზიანებს, ხოლო ჩინეთი იაპონიისა და აშშ-ის „შეკავების სტრატეგიის“ მიმართ სიფრთხილეს იჩენს (აოიამა, 2016, 143).

ჩრდილოეთ კორეის ბირთვული იარაღის რაოდენობაზე დაზუსტებული მონაცემები არ არსებობს, სამხედრო ექსპერტების აზრით, ეს რიცხვი 20-მდეა, ხოლო აშშ-ს სადაზვერვო მონაცემები 60-მდე, მათი მონაცემებით, ჩრდილოეთ კორეის საკონტინენტაშორისო ბალისტიკურ რაკეტებს შეუძლიათ 5 ათას კილომეტრზე ფრენა. ქვეყანამ ბოლო ბალისტიკური გამოცდა განახორციელა რაკეტა „ჰვასონ 14“-ით. შეცვლილი კონსტრუქცია რაკეტას ნახევარ წუთიანი წვის ციკლს უმატებს და აძლევს უფრო შორს გაფრენის შესაძლებლობას, რის შედეგადაც, ქვეყანას ალასკამდე მიღწევა შეუძლია. აშშ-ის დაზვერვის მონაცემებით, ჩრდილო კორეას აქვს ბირთვული ქობინის ზომის შემცირების ტექნოლოგია შემუშავებული, რაც ბალისტიკური რაკეტების მეტი სიზუსტით დამაგრების და შორ მანძილზე გადატანის საშუალებას იძლევა (ზარამიძე, 2017).

შეიარაღების კონტროლის ასოციაციის 2018 წლის იანვრის მონაცემებით, ჩრდილოეთ კორეას დაახლოებით 10-20 ბირთვული ქობინი და 30-60 ბირთვული იარაღისთვის საჭირო მასალა აქვს. მიუხედავად, იმისა, რომ ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ წარმოებაზე დიდი გაურკვევლობაა, სავარაუდოდ მას 20-40 კგ. პლუტონიუმი და 250-500 კგ. გამდიდრებული ურანი აქვს. საშუალოდ მისი წლიური ხლეჩადი მასალის წარმოება 6-7 იარაღისთვისაა საკმარისი (დავენპორტი, 2018).

ჩრდილოეთ კორეას მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი არმია ჰყავს, მილიონზე მეტი ჯარისკაცითა და სავარაუდოდ 5 მილიონიანი რეზერვით. ოფიციალური სამხედრო ბიუჯეტი უცნობია, თუმცა რეჟიმის პოლიტიკა „სონგუნი“ პრიორიტეტად ისახავს მთავრობის ყველა ასპექტიდან შეიარაღებული ძალების დაფინანსებას. ჩრდილოეთ კორეას ჰყავს 200 000-იანი სპეციალური დანიშნულების რაზმი, რომელსაც სამხრეთთან ნებისმიერ კონფლიქტში გამოიყენებს, ასევე შეუძლია გამოიყენოს ნახევრად საიდუმლო 20-25 დიდი გვირაბი დემილიტარიზებულ,

სასაზღვრო ზონაში. სამხრეთ კორეის მთავრობის 2012 წლის შეფასებით, ჩრდილოეთ კორეას შესაძლოა ჰქონდეს 2500-დან 5000 ტონამდე ქიმიური იარაღი, პოტენციურად ერთ-ერთი ყველაზე დიდი მარაგი მსოფლიოში (BBC, 2018).

ჩრდილოეთ კორეასთან მიმართებაში საუბრობენ რუსეთისა და ირანის დახმარებებზე. არსებობს მოსაზრება, რომ რუსეთი აძლევს მას რაკეტებს და ეხმარება მის მოდიფიკაციაში, ანუ ჩრდილოეთ კორეა ახდენს რუსული რაკეტების ერთგვარ კოპირებას. რუსეთის ინტერესებშია რეგიონში აშშ-ის გავლენის შეზღუდვა. რაც შეეხება ირანს, ამერიკული წყაროების ინფორმაციით, მათი კავშირები სარაკეტო სისტემების სფეროში ურთიერთანამშრომლობის პრინციპს ემყარება (ბარამიძე, 2017).

ქვეყანას, რომელთანაც დიპლომატია არ მუშაობს, სამი რამ სურს: უსაფრთხოება, რაც გარანტია იმისა, რომ ქვეყანა გადარჩება, პატივისცემა და ეკონომიკური კეთილდღეობა. იმისათვის რომ გადარჩეს, ჩრდილოეთ კორეა აუცილებლად მიიჩნევს ბირთვული არსენალის არსებობას (BBC, 2018).

3. დიპლომატიური მოლაპარაკებები ჩრდილოეთ კორეასა და აშშ-ს შორის

„ცივი ომის“ დასრულებამ აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეას შორის დიპლომატიურ მოლაპარაკებებს გაუღო კარი, ისევე როგორც ორ კორეას შორის. 1991 წელს ჯორჯ ბუშ უფროსის ადმინისტრაციამ სამხრეთ კორეიდან ტაქტიკური ბირთვული იარაღის გატანის შესახებ გამოაცხადა, რაც აშშ-საბჭოთა შეთანხმების ნაწილს წარმოადგენდა (აოიამა, 2016, 9).

აშშ ჩრდილოეთ კორეასთან მიმართებაში ახლა მესამე ბირთვული კრიზისის წინაშეა ბოლო 25 წლის მანძილზე. პირველი კრიზისი 1994 წელს მოხდა, როცა ჩრდილოეთ კორეამ პლუტონიუმის გამოყოფა დაარეგულირა, რაც საკმარისი იყო რამდენიმე იარაღისთვის.

მეორე კრიზისი 2002 წლის ოქტომბერში დაიწყო, როცა ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია დაუპირისპირდა ფხენიანის რეჟიმს ურანის საიდუმლოდ გამდიდრების გამო, რომელმაც ჩრდილოეთ კორეას იარაღისთვის საჭირო მასალის ალტერნატიული წყარო გაუჩინა. შეთანხმების რღვევას შედეგად მოჰყვა ჩრდილოეთ კორეის მიერ საწვავის მილების გადაადგილება გასაგრილებელი აუზებიდან. წარუმატებელი აღმოჩნდა პლუტონიუმის გაყინვის მცდელობაც ექვსმხრივი მოლაპარაკებებისას. ობამას ადმინისტრაციამ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული გამოწვევა კიმების ოჯახის რეჟიმის მიერ საერთაშორისო ნორმების დარღვევად გამოაცხადა. ფხენიანს შესთავაზა სტრუქტურული არჩევანი: დამორჩილებოდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის საერთაშორისო ნორმებს ან მის მიმართ დიპლომატიური იზოლაცია და სადამსჯელო ზომები გატარდებოდა. ამაზე ჩრდილოეთ კორეამ განახლებული პროვოკაციებით და ბალისტიკური და ბირთვული რაკეტების ტესტირებით უპასუხა, ობამა კი „სტრატეგიული მოთმინების“ პოლიტიკას მიჰყვა.

მესამე კრიზისი ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვულმა მუქარამ წარმოშვა. ისევე როგორც წინა კრიზისებში, ახლაც ბირთვული საკითხი წარმოადგენს ფუნდამენტურ

დებატებს აშშ-ს პოლიტიკაზე ჩრდილოეთ კორეის მიმართ: აშშ-მა ფხენიანის რეჟიმის ქცევა უნდა შეცვალოს თუ თავად რეჟიმი შეცვალოს? ჩრდილოეთ კორეის საშიში ქმედებები უკავშირდება ფხენიანის რეჟიმის ხასიათს. ამიტომ, ფხენიანის ქცევის შეცვლა არ არის საკმარისი, თუ კიმების ოჯახის რეჟიმს, რომელიც საფრთხის საფუძველია, კვლავ ხელში ეჭირება ქვეყნის სადავეები (ლითვექი, 2017, 3).

პირველი ბირთვული კრიზისი ჩრდილოეთ კორეასთან დააჩქარა ფხენიანის 1994 წლის განცხადებამ იონგბიონის რეაქტორის დახურვის შესახებ, დარჩენილი საწვავით შესაძლებელი იყო 4 ან 5 ბირთვული ბომბის წარმოება. კრიზისი გაამწვავა კლინტონის ადმინისტრაციის განცხადებამ, რომ აშშ შეეცდებოდა მრავალმხრივი ეკონომიკური სანქციების დაეწესებინა ჩრდილოეთ კორეისთვის გაეროს უშიშროების საბჭოს მეშვეობით. აშშ-მ ეკონომიკურ სანქციებზე დამყარებული ძალადობრივი დიპლომატიის სტრატეგია განხილვებისა და პრევენციული სამხედრო ქმედებების ალტერნატივის უარყოფის შედეგად მიიღო (აოიამა, 2016, 11).

კლინტონის ადმინისტრაციის მიერ გატარებული ეკონომიკური სანქციების კამპანია ყოფილი აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის, ჯიმი კარტერის ფხენიანში ვიზიტმა განმუხტა. კიმ ირ სენტან შეხვედრის შემდეგ მან განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეის ლიდერი დათანხმდა ბირთვული პროგრამის „გაყინვას“. კარტერი-კიმის სამიტის შემდეგ რამდენიმე თვიანი მოლაპარაკებები 1994 წლის ოქტომბერში მიღებული შეთანხმებით დაგვირგვინდა. ჩრდილოეთ კორეამ პირობა დადო, რომ დარჩებოდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულების ნაწილად, შეწყვეტდა გადამუშავებას. ხელშეკრულება ასევე კიმ ჩენ ირის რეჟიმს ავალდებულებდა 1991 წელს ჩრდილოეთ კორეასა და სამხრეთ კორეას შორის მიღებული გაუვრცელებლობის ხელშეკრულების შესრულებას. ვაშინგტონსა და ფხენიანს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების „სრული ნორმალიზებისკენ“ პირველი ნაბიჯები გადაიდგა. კრიზისის განახლების გამო, აშშ-ს ყოფილი თავდაცვის მინისტრი უილიამ პერი ახალი დიპლომატიური მისიით ფხენიანში იმყოფებოდა 1999 წელს, მან „ყოვლისმომცველი და ერთიანი მიდგომა“ შეიმუშავა, რომელიც აშშ-ს ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობების ნორმალიზებას ისახავდა მიზნად (აოიამა, 2016, 12).

აშშ-ის ბოლო ადმინისტრაციებიდან (კლინტონი, ბუში, ობამა) ყველა დაუპირისპირდა ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამას. მათი მიზანი ქვეყნის ბირთვული შესაძლებლობების განვითარების და გავრცელების თავიდან აცილება იყო, როგორც ნახევარკუნძულზე, ასევე მის გარეთაც. სამივე ადმინისტრაცია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჩრდილოეთ კორეის სტრატეგიული შეიარაღების პროგრამა კომპლექსური და რთულად მოსაგვარებელი საკითხია. როგორც ჩანს, ტრამპის ადმინისტრაციაც იმავე მიმართულებით მიდის. უშედეგო აღმოჩნდა არაერთი ტაქტიკა: მოლაპარაკებები, სანქციები, ძალის გამოყენების მუქარა, ჩინეთზე ზეწოლა, გავლენა მოეხდინა მასზე. წარუმატებლობის მიზეზი ნათელია: იზოლირებული რეჟიმები ჩრდილოეთში, არასწორი რწმენა, რომ აშშ-ს მათი დამხობა სურს. ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული იარაღი მოისაზრა მსგავსი ქმედებების შემაკავებლად და რეჟიმის გადასარჩენად. უფრო მეტიც, ქვეყანა მოლაპარაკებისას არაა დაინტერესებული აშშ-სთან ყოვლისმომცველი გარიგების მიღწევით, რადგან აშშ მას სჭირდება მტრად (ვინეფელდი და მორელი, 2017).

ბოლო ორი წლის მანძილზე კიმ ჩენ ინის მიერ გრძელრადიუსიანი ბალისტიკური რაკეტების გამოცდისა და ბირთვული ტესტების გახშირებას დონალდ ტრამპმა „მაქსიმალური ზეწოლის“ პოლიტიკით უპასუხა. სანქციები გაამკაცრა და ჩრდილოეთ კორეის მიერ წარმოებულ ქვანახშირზე, ტანსაცმელზე, ფოლადსა და ზღვის პროდუქტებზე აკრძალვა დააწესა. სამხედრო ძალის გამოყენებაზეც მზაობა გამოაცხადა (ამერიკის ხმა, 2018).

ჩრდილოეთ კორეის ბირთვული იარაღის გავრცელების თავიდან ასაცილებლად ტრამპის ადმინისტრაციას ორი ვარიანტი აქვს: პრევენციული სამხედრო დარტყმა დანახორციელოს ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ და სარაკეტო ინფრასტრუქტურაზე, რათა აღმოიფხვრას საშიშროება აშშ-ს მისამართით ან კვლავ მიჰყვეს დიპლომატიურ გზას და მოლაპარაკებებით გაყინოს ბირთვული და სარაკეტო პროგრამები (ლითვექი, 2017, 69).

2018 წლის თებერვალში ტრამპმა განაცხადა, რომ სანქციებმა ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ არ იმუშავა და საჭირო იყო „მეორე ეტაპზე“ გადასვლა, რომელიც შეიძლება ძალიან უსიამოვნო ყოფილიყო მსოფლიოსთვის. ორ კვირაში კი ტრამპმა შეიცვალა

კურსი და ჩრდილოეთ კორეის პრეზიდენტ კიმ ჩენ ინთან შეხვედრაზე მოწვევა მიიღო. გადაწყვეტილება მოულოდნელი აღმოჩნდა თეთრი სახლისთვისაც და სახელმწიფო დეპარტამენტისთვისაც. ტრამპის დიპლომატიის ახალმა ენთუზიაზმმა დროებით შეამცირა ნახევარკუნძულზე ტემპერატურა, მაგრამ ჩნდება კითხვა: აქვს თუ არა აშშ-ს სტრატეგია ჩრდილოეთ კორეასთან მიმართებაში?

ტრამპის გაპრეზიდენტების პირველ წელს ჩრდილოეთ კორეამ ორჯერ მეტი ბალისტიკური რაკეტის შემოწმება ჩაატარა (20), ვიდრე ბარაკ ობამას პრეზიდენტობის პირველ წელს (8). ქვეყნის პირველ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის ტესტირებას ტრამპის მხრიდან მუქარა მოჰყვა, ფხენიანი კი აშშ-ს ბირთვული თავდასხმით დაემუქრა. მაგრამ 2018 წელს შეიცვალა ვითარება. სამხრეთ კორეამ შიდა კორეული დიალოგი განაახლა დიდი ხნის შემდეგ. ზამთრის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ კიმმა სამხრეთ კორეის წარმომადგენელთა ჯგუფი მიიღო და დათანხმდა საზღვრის გადაკვეთას შიდა კორეული სამიტის გასამართად. სამხრეთ კორეელების განცხადებით, კიმმა ასევე კორეის ნახევარკუნძულის ბირთვული იარაღისგან განთავისუფლებაზეც ისაუბრა, იმ პირობით, თუკი აშშ მათ ქვეყანას საფრთხეს არ შეუქმნის.

ჩრდილოეთ კორეის აშკარა ცვლილების მიზეზად შეიძლება ტრამპის მაქსიმალური ზეწოლის კამპანია მივიჩნიოთ, რომელმაც ნავთობის იმპორტი და ქვანახშირის ექსპორტი შეამცირა, მყარი ვალუტის შემოდინება შეწყვიტა. ტრამპის ადმინისტრაციის წარმომადგენლების განცხადებით, სანქციებმა გამოიწვია ჩრდილოეთ კორეის გაზის ფასის გასამმაგება და ექსპორტის 2.7 მილიარდ დოლარზე მეტით შემცირება (ჩა და კათუი, 2018).

3.1 ჩრდილოეთ კორეის მიერ შეუსრულებელი დაპირებები

აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეას შორის ბირთვული მოლაპარაკებები სამი ათწლეულია მიმდინარეობს და საკმაოდ უშედეგოდ, ვერ ხერხდება ატომური იარაღის

პროგრამის განვითარების შეწყვეტა. მეტი თვალსაჩინოებისთვის ქრონოლოგიურად მივყვით მოვლენებს:

1985 წლის დეკემბერში ჩრდილოეთ კორეა შეუერთდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმს. ამ მრავალმხრივ შეთანხმებას ხელი მოაწერა ათეულობით ქვეყანამ და მათ აიღეს ბირთვული იარაღის, ტექნოლოგიების გაუვრცელებლობის, ბირთვულ ენერჯიაზე მშვიდობიანი თანამშრომლობის ვალდებულება. ჩრდილოეთ კორეამ პირველი ბირთვული ობიექტები 1980-იანი წლების დასაწყისში ააშენა.

1991 წლის სექტემბერში აშშ-მა სამხრეთ კორეიდან ბირთვული იარაღი გაიტანა სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულების (START) გათვალისწინებით. ეს შეთანხმება, რომელიც ჯორჯ ბუშ უფროსსა და მიხეილ გორბაჩოვს შორის გაფორმდა, ზღუდავდა ბირთვული იარაღის საზღვარგარეთ გატანას.

1992 წლის იანვარში კორეელები კუნძულის ბირთვული იარაღისგან განთავისუფლებაზე შეთანხმდნენ. ეკრძალებოდათ ბირთვული იარაღის ტესტირება, წარმოება, შენახვა, გამოყენება, გადამუშავება.

1993 წელს ჩრდილოეთ კორეა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულების გაუქმებით იმუქრება.

1994 წელს აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ინფორმაციით, ჩრდილოეთ კორეამ 1 ან 2 ბირთვული იარაღი აწარმოა. ჯიმი კარტერი გახდა აშშ-ს პირველი პრეზიდენტი, რომელიც ჩრდილოეთ კორეაში ჩავიდა კიმ ირ სენტან, ვიზიტმა ორმხრივი შეთანხმებისთვის ნიადაგი მოამზადა.

1994 წლის ოქტომბერში აშშ-მა და ჩრდილოეთ კორეამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, ჩრდილოეთ კორეა გაყინავდა უკანონო პლუტონიუმის იარაღის პროგრამას და ბირთვული რეაქტორების მშენებლობას შეაჩერებდა.

1995 წელს აშშ-მა, იაპონიამ და სამხრეთ კორეამ დააარსეს კორეის ნახევარკუნძულის ენერჯეტიკის განვითარების ორგანიზაცია (KEDO), 1994 წლის

შეთანხმების იმპლემენტაციისა და 2 მსუბუქი წყლის რეაქტორის მშენებლობა/დაფინანსებისათვის (CFR, 2018).

1996 წლის 24 მაისს აშშ-მა ჩრდილოეთ კორეასა და ირანს სანქციები დაუწესა სარაკეტო ტექნოლოგიების გადაადგილებისთვის. აიკრძალა იმპორტი და ექსპორტი სანქცირებულ ფირმებთან. 1 წლის შემდეგ კი აშშ-მა ორ დამატებით ერთეულს ახალი სანქციები დაუწესა სარაკეტო ქმედებებისთვის. 1998 წელს ჩრდილოეთ კორეის მიერ სარაკეტო ტექნოლოგიის ტრანსფერს კვლავ მოყვა აშშ-ს სანქციები.

1999 წელს ჩრდილოეთ კორეამ სარაკეტო მორატორიუმი დააწესა, სანაცვლოდ აშშ-მა გაამარტივა ეკონომიკური სანქციები.

2002 წელს ჯორჯ ბუშმა ჩრდილოეთ კორეას ერაყთან და ირანთან ერთად „ბოროტების ღერძი“ უწოდა, რაკეტებითა და მასობრივი განადგურების იარაღით შეიარაღების გამო, საკუთარი მოქალაქეების შიმშილის პირობებში, რომელიც მსოფლიო მშვიდობას საფრთხეს უქმნიდა (ზაკრი, 2018).

2003 წელს ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება დატოვა და ამ წელს დაიწყო ექვსმხრივი მოლაპარაკებები ბირთვული საკითხის მოსაგვარებლად ჩინეთს, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას, აშშ-ს, იაპონიასა და რუსეთს შორის.

2004 წელს ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ფხენიანი აწარმოებდა ბირთვულ იარაღს, ეს იყო ქვეყნის ყველაზე მწვავე საჯარო განცხადება.

2005 წელს ექვსმხრივი მოლაპარაკებები წარიმართა. ინტენსიური მოლაპარაკების რამდენიმე რაუნდის შემდეგ ჩრდილოეთ კორეამ პირობა დადო ყველა ბირთვული იარაღისა და არსებული ბირთვული პროგრამის აკრძალვის შესახებ. აშშ და ჩრდილოეთ კორეა ვერ შეთანხმდნენ შემოწმების დეტალებზე.

2007 წელს მორიგი ექვსმხრივი მოლაპარაკებები ჩრდილოეთ კორეის თანხმობით დასრულდა, რომ გამოაცხადებდა მის ყველა ბირთვულ პროგრამას, გააუქმებდა მას და

უარს იტყოდა ბირთვული მასალების, ტექნოლოგიების გადაადგილებაზე. დაინტერესებული მხარეები კიდევ ვერ შეთანხმდნენ შემოწმების პროცესის წარმართვაზე.

2008 წელს აშშ-ს პრეზიდენტმა, ჯორჯ ბუშმა კონგრესს აცნობა ჩრდილოეთ კორეის ტერორიზმის სპონსორი სახელმწიფოების სიიდან ამოღების განზრახვის შესახებ, აშშ-ს კანონმდებლობის შესაბამისად.

2012 წელს აშშ-ის შეთანხმების მიხედვით, ჩრდილოეთ კორეამ თანხმობა განაცხადა ბირთვული შემოწმებების, ურანის გამდიდრების შეჩერებაზე, სანაცვლოდ კი საკვებით დახმარება მოითხოვა. ორი კვირის მერე კი სატელიტის გაშვების გეგმა გამოაცხადა, რამაც შეთანხმება გადაფარა (ბარეტი, 2018).

1992 წელს კიმ ირ სენი აშშ-ს დახმარების სანაცვლოდ პლუტონიუმის პროგრამის შეწყვეტას შეპირდა, თუმცა 10 წლის შემდეგ აშშ-ს მტკიცებულება ჰქონდა იმის შესახებ, რომ ქვეყანა ურანის გამდიდრებაზე მუშაობდა. ამ ქმედებას სანქციები მოჰყვა. 2005 წელს ზოგიერთი სახელმწიფოს მხრიდან ჩრდილოეთ კორეასთან დიპლომატიური შეთანხმების მიღწევის მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. 2006 წლის პირველ ბირთვულ გამოცას 2007 წელს ექსპარტიული შეთანხმება მოჰყვა ჩრდილოეთ კორეასთან გაიმართა, რაც მეორე ბირთვულმა ტესტმა დაარღვია. ეს მოლაპარაკებები ძირითადად პლუტონიუმის საკითხებს ეხებოდა და არა ურანს და ბირთვული იარაღის განადგურებას. მესამე ბირთვული გამოცდის შემდეგ საერთაშორისო საზოგადოებამ დამატებითი ზომები მიიღო, გაერომ დამატებითი სანქციები დაუწესა ჩრდილოეთ კორეას. მომდევნო ბირთვულ გამოცდებსაც სანქციები მოჰყვა, ქვეყანას დაებლოკა საწვავის ექსპორტი (International Relations, 2017).

ჩრდილოეთ კორეამ არაერთხელ დადო პირობა, რომ უარს იტყოდა ბირთვულ პროგრამაზე და მშვიდობას დაამყარებდა. 2018 წლის აპრილში სამხრეთ კორეის პრეზიდენტ, მუნ ჯე ინთან ისტორიული შეხვედრისას კიმ ჩენ ინმა გაყინული კონფლიქტის მოგვარებისა და ბირთვული განიარაღების პირობა დადო. სტალინისტური რეჟიმი ათწლეულების მანძილზე პირობას დებდა ბირთვული პროგრამების შეჩერების თაობაზე, სანქციების შემსუბუქების ან დახმარების

სანაცვლოდ. კიმ ჩენ ირი, ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლის პირველ წელს 1994-ში და შემდეგ 2000, 2005 და 2007 წლებში, დათანხმდა სარაკეტო საქმიანობისა და ბირთვული პროგრამების შეჩერებაზე. მაგრამ ყოველ ჯერზე აგრძელებდა ბირთვულ გამოცდას და სარაკეტო საქმიანობის განვითარებას. 1993 წელს, მას შემდეგ, რაც ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტომ დაამტკიცა, რომ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული საწარმოები პლუტონიუმს აწარმოებდნენ, ქვეყანა დაიმუქრა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულების გაუქმებით.

ბილ კლინტონმა მოლაპარაკების გზით ჩრდილოეთ კორეასთან შეთანხმებას მიაღწია, ბირთვული რეაქტორების მშენებლობის შეჩერებაზე. სანაცვლოდ ააშენებდნენ ახალს, რომელიც პლუტონიუმს არ აწარმოებდა. მაგრამ 1998 წელს უკვე დაიწყო ბალისტიკური რაკეტების შემოწმება. ჯორჯ ბუშ უფროსის პრეზიდენტობისას ჩრდილოეთ კორეა ფარულად ამდიდრებდა ურანს. აშშ-მა მოლაპარაკებებში სხვა ქვეყნებზე ჩართო და ექვსი მხარის მოლაპარაკების შემდეგ 2005 წელს ახალი პირობა მიიღეს ჩრდილოეთ კორეისგან ბირთვული იარაღისა და პროგრამების აკრძალვის შესახებ. წარსული ტყუილების გათვალისწინებით, ბუში მკაცრად აკვირდებოდა ფხენიანს, თუმცა 2006 წელს მან პირველი მიწისქვეშა ბირთვული შემოწმება განახორციელა (THE WEEK, 2018).

ბარაკ ობამას გაპრეზიდენტების დროს ჩრდილოეთ კორეას უკვე ჰქონდა ბირთვული შესაძლებლობები. ადმინისტრაციამ გაამკაცრა სანქციები. 2012 წელს ჩრდილოეთ კორეამ და აშშ-მა ხელი მოაწერეს შეთანხმებას- „ნაკიანი დღე“, რომელმაც მორატორიუმი გამოაცხადა რაკეტის გაშვებასა და ბირთვულ შემოწმებაზე. მაგრამ კიმ ჩენ ინმა კიდევ უფრო გაზარდა მასშტაბები. დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებიდან 9 თვეში ჩრდილოეთ კორეამ განაცხადა წყალბადის ბომბის, 2 თვის შემდეგ კი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის გამოცდის შესახებ, რომლის მიზანი აშშ-ზე თავდასხმაა. ახლა, როდესაც ქვეყანას აქვს ბირთვული იარაღი და საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა, რომელსაც აშშ-მდე მიღწევა შეუძლია, მას უფრო ძლიერი პოზიცია უჭირავს მოლაპარაკებებში. ამავდროულად, ტრამპის მიერ დაკისრებულმა გაცილებით მკაცრმა საერთაშორისო სანქციებმა კორეის სუსტი ეკონომიკა უფრო დააზიანა. აქედან გამომდინარე, ტრამპის ადმინისტრაციას სჯეროდა,

რომ ჩრდილოეთ კორეა აშშ-სგან თავდაუსხმელობის გარანტიისა და სანქციების განმუხტვისთვის დათანხმდებოდა სამშვიდობო ხელშეკრულებას. კრიტიკოსების აზრით, კი კიმი დროს იგებს, სანამ ბოლომდე არ მიიყვანს მცირე ზომის ქობინების შექმნას, რომელიც ბალისტიკურ რაკეტას მოერგება და გაუძლებს ატმოსფეროში მის აღდგენას (THE WEEK, 2018).

თუ რა გზებით უნდა განაგრძოს აშშ-მა ჩრდილოეთ კორეიდან მომდინარე საფრთხესთან გამკლავება, რამდენიმე გზას გვთავაზობენ ვიქტორ ჩა და კეთრინ კეთზი. პირველ რიგში, ვაშინგტონმა გლობალური კოალიციის გაძლიერება უნდა განაგრძოს, რომელიც სანქციების პროგრამამ შეკრიბა. 13 წლის წინანდელი ე.წ. ჭკვიანი სანქციებისგან განსხვავებით, ტრამპის ძალისხმევა გაეროს უშიშროების საბჭოს 10 რეზოლუციის მხარდაჭერით ხორციელდება. სანქციების დაცვა ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში უფრო გაიზარდა, რადგან ის უზიარებს სადაზვერვო ინფორმაციას მესამე პირებს, რათა დაეხმარონ სანქცირებული ქმედებების შეჩერებაში; აშშ-მა იაპონიასთან და სამხრეთ კორეასთან ალიანსი უნდა გააუმჯობესოს, სამხედრო თვალსაზრისით, ეს ნიშნავს ინტეგრირებული სარაკეტო თავდაცვითი შესაძლებლობების გაუმჯობესებას, დაზვერვის გაზიარებას, ანტისაზღვაო ომისა და სარაკეტო საფრთხის თავიდან აცილებას; ფხენიანისგან ბირთვული გაუვრცელებლობის გარანტიის მიღების მიუხედავად, ტრამპის ადმინისტრაციამ უნდა გააძლიეროს პროლიფერაციის საწინააღმდეგო კოალიცია, რომელიც საზღვაო ბირთვულ სადაზვერვო ინფორმაციას გაუზიარებს. იაპონიის და სამხრეთ კორეის საზღვაო ძალებმა, სანაპირო დაცვამ აშშ-სთან ერთად უნდა იმუშაოს ბირთვული მასალის ქვეყნიდან გასვლის თავიდან აცილებაზე; აშშ-მა უნდა განაგრძოს დიპლომატიური და სამხედრო გეგმების შემუშავება ჩრდილოეთ კორეასთან მიმართებაში. მან უნდა შეინარჩუნოს სამხედრო წვრთნების მაღალი ტემპი რეგიონში, სამხედრო მასალების, ბირთვული წყალქვეშა ნაგების, საჰაერო ხომალდების არსებობა ნახევარკუნძულზე, შესაძლო კონფლიქტის მოსაგერიებლად. ყველა ეს ნაბიჯი ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღის გავრცელებას, რეგიონში ძალადობრივ ქმედებებს და აშშ-სადმი მიმართულ საფრთხეს ხელს შეუშლის (ჩა და კეთზი, 2018).

ბირთვული იარაღის მართვას და მის შემოწმებას არეგულირებს შემდეგი ძირითადი ხელშეკრულებები: მათ შორის ძირითადია 1968 წელს დადებული ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულება, 188 ხელმომწერი სახელმწიფოთი. მისი უფლებამოსილება შეავიწროვა ისრაელის, ინდოეთის, პაკისტანის ქმედებებმა, რომლებმაც ხელი არ მოაწერეს შეთანხმება და ასევე ჩრდილოეთ კორეამ; ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის ყოვლისმომცველი ხელშეკრულება (CTBT) დაიდო 1996 წელს, მისი რატიფიცირება 160-მა ქვეყანამ მოახდინა. მან ჩაანაცვლა 1963 წლის ნაწილობრივი გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულება. ჩრდილოეთ კორეამ მას ხელი არ მოაწერა; სტრატეგიული შეიარაღების შემცირების იგივე მოსკოვის ხელშეკრულება, აშშ-სა და რუსეთს შორის, რომელსაც ხელი 2002 წელს მოეწერა; ანტი-ბალისტიკური სარაკეტო ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოეწერა 1972 წელს აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის, კრძალავს საქვეყნო ბალისტიკური რაკეტების თავდაცვის სისტემის გამოყენებასა და შემოწმებას (სათქლიფი, 2006).

ჩრდილოეთ კორეა არღვევს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს, რომელიც კონკრეტულად მისი მისამართით შეიქმნა და ხორციელდება ქარტიის მეშვიდე თავის ფარგლებში. რეზოლუცია 1718 მიიღეს 2006 წელს, მისი გათვალისწინებით ჩრდილოეთ კორეას არ უნდა ჩაეტარებინა ბირთვული შემოწმებები, უნდა შეეჩერებინა ბალისტიკურ სარაკეტო პროგრამასთან დაკავშირებული ყველა ქმედება, აეკრძალა ბირთვული იარაღის ქონა, ბირთვული პროგრამების არსებობა, რაკეტების, სარაკეტო სისტემების იმპორტი და ექსპორტი. 2009 წელს უშიშროების საბჭომ რეზოლუცია 1874 მიიღო, ერთხმად დაგმო 2009 წლის მაისის ბირთვული შემოწმებები. ამ რეზოლუციის მიხედვითაც ქვეყანას მოეთხოვებოდა ბირთვულ გამოცდებზე და ბალისტიკური რაკეტის ტექნოლოგიის გამოყენებაზე უარის თქმა, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმების წევრობის აღდგენა, რეზოლუციით გათვალისწინებული ვალდებულებების დაუყოვნებლივ შესრულება. შემდგომ დაუწესდა ეკონომიკური და კომერციული სანქციები. 2013 წელს მიღებული იქნა უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 2094. საბჭომ ერთსულოვნად დაგმო ჩრდილოეთ კორეის მიერ ჩატარებული ბირთვული შემოწმებები, კიდევ ერთხელ დაადასტურა წინა რეზოლუციების მოთხოვნები. კიდევ უფრო გააძლიერა ეკონომიკური, კომერციული და

ფინანსური სანქციების რეჟიმი ქვეყნის მიმართ. ჩრდილოეთ კორეა აგრძელებს ქარტიის 25-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას- „მიიღოს და განახორციელოს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებები“. უშიშროების საბჭოს მიერ მე-7 თავის ქვეშ მიღებული გადაწყვეტილებები მიეკუთვნება საერთაშორისო სამართალში ყველაზე სერიოზულ ვალდებულებებს (ჰოლი, 2013).

3.2 კიმ ჩენ ინის 2018 წლის დიპლომატიური მიდგომა

თეორიულად, ჩრდილოეთ კორეა ყოველთვის ღია იყო მოლაპარაკებებისადმი, მაგრამ თვეების მანძილზე იარაღის ჟღარუნის მერე, მოულოდნელი იყო კიმ ჩენ ინის ღიაობა დიალოგისადმი. ტრამპმა კი უარი თქვა წინა პრეზიდენტების მიერ დაწესებულ მოლაპარაკების წინასწარ განხილვაზე. აპრილში კორეის ლიდერების ისტორიული შეხვედრა შედგა, სადაც კორეის ომის დასრულებისთვის საჭირო გზების გამონახვაზე შეთანხმდნენ. შეთანხმდნენ ნახევარკუნძულის დენუკლარიზაციაზე. 12 ივნისს კი დონალდ ტრამპი ჩრდილოეთ კორეის ლიდერს შეხვდა. სინგაპურის სამიტზე კიმმა დენუკლარიზაციის პირობა დადო, მიმომხილველების განცხადებით, დოკუმენტი არ აკონკრეტებს დეტალებს (BBC, 2018). ქვეყნის ლიდერებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას და შეთანხმდნენ ორ ქვეყანას შორის ახალი ურთიერთობის დამყარებაზე, კორეის ნახევარკუნძულზე გრძელვადიანი და სტაბილური სამშიდობო რეჟიმის შექმნაზე. ტრამპმა ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობა დადო, კიმმა კი ნახევარკუნძულის ბირთვულ განიარაღებაზე ზრუნვის. სამიტის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე აშშ-ის პრეზიდენტმა ასევე განაცხადამ რომ ლიდერები შეთანხმდნენ აშშ-სამხრეთ კორეის სამხედრო წვრთნების გაუქმებაზე. 5-7 ივლისს აშშ-ს სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო კორეაში ვიზიტით იმყოფებოდა კორეის სამიტის შემდგომი კონსულტაციების გასაგრძელებლად. მისი თქმით, მოლაპარაკებები ნაყოფიერი და კეთილსინდისიერი აღმოჩნდა. მაგრამ ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, აშშ-ის შეთავაზებები ცალმხრივი იყო და ეწინააღმდეგებოდა ჩრდილოეთ კორეისა და აშშ-ის სამიტის შეხვედრის სულისკვეთებას (დავენპორტი, 2018).

ჩრდილოეთსა და სამხრეთ კორეის შორის აპრილში გაფორმებული დეკლარაცია ასევე მოიცავს: ოთხმხრივ შეხვედრას, რომელსაც კორეის, აშშ-სა და ჩინეთის წარმომადგენლები დაესწრებიან; ყველა არამეგობრული მოქმედებების შეწყვეტასა და არასამხედრო ზონის სამშვიდობო ზონად გარდაქმნას; ვალდებულებას გაერთიანდნენ ოჯახები, რომლებიც ომის გამო ერთმანეთს დაშორდნენ. შესაბამისი პროგრამა მიმდინარე წლის 15 აგვისტომდე უნდა ამოქმედდეს; საზღვართან ახლოს საერთო ეკონომიკური ზონის შექმნას; ორ ქვეყანას შორის მმართველობის ყველა დონეზე დიპლომატიური ურთიერთობების გაღრმავებას; გაერთიანებული გუნდის შექმნას, რომელიც 2018 წლის აზიურ თამაშებში მიიღებს მონაწილეობას (გრიფიტსი, 2018).

კიმ ჩენ ინმა 2018 წელი ახალი დიპლომატიური მიდგომით დაიწყო. მუნ ჯე ინისა და კიმ ჩენ ინის სამიტი ორი კორეის ლიდერებს შორის გამართული მესამე შეხვედრა იყო 2000 წლის შემდეგ. წინა ორი 2000 და 2007 წლებში ფხენიანში გაიმართა. ურთიერთობები კი მაინც დამაბული იყო. ბირთვული პროგრამის დემონტაჟზე მოლაპარაკებები 1990-იანი წლების დასაწყისიდან თარიღდება. აბრაამ დენმარკი, ვილსონის ცენტრის აზიის პროგრამის დირექტორი და პენტაგონის ყოფილი თამამშრომელი, ამტკიცებს, რომ ჩრდილოეთ კორეამ გაყინა ტესტირების გარკვეული ასპექტები და არა ბირთვული იარაღისა და ბალისტიკური რაკეტების შემოწმება. მისი თქმით, ჩრდილო კორეელ მეცნიერებს დღესაც შეუძლიათ მუშაობა ბირთვულ პროგრამაზე. დენმარკი საუბრობს იმაზეც, რომ იმ პერიოდში, როცა ჩრდილოეთ კორეა სრულ შემოწმებას არ ატარებს, ის მაშინაც წარმართავს თავის პროგრამას. დრო რაც უფრო გადის, მათი შესაძლებლობები იზრდება. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი ანალიტიკოსის დახასიათებით კიმ ჩენ ინი კარგია მაქსიმალურ ზეწოლასა და მაქსიმალურ ჩართულობაში, რათა თავი საერთაშორისო სახელმწიფო მოღვაწედ წარმოაჩინოს. პეკი და ლიი კიმის ორმხრივ სამიტებს „დაყავი და იბატონეს“ სტრატეგიად ახასიათებენ (ჯენგი, 2018).

ჩრდილოეთ კორეის ცენტრალური საინფორმაციო სააგენტოს ინფორმაციით, კიმმა ახალი მიზანი დაისახა, ეკონომიკის განვითარება, ახლა, როცა მისი თქმით, ბირთვულ სახელმწიფოდ გახდომის მიზანს უკვე მიაღწია. ეს მისი პარტიის ახალი სტრატეგიის პოლიტიკური ხაზია. კიმ ჩენ ინის თქმით, ჩრდილოეთ კორეის ბირთვული

იარაღის განვითარება დიდი გამარჯვებაა, რადგანაც ის უკვე შემოწმებულია, ქვეყნისთვის აუცილებელი აღარაა ბირთვული ტესტირება, რაკეტების და საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების გაშვება. სააგენტოს ინფორმაციით, კიმა ბირთვული გამოცდის მისია დასრულებულად გამოაცხადა (მაკკერი, 2018).

პოლიტიკური საკითხების ანალიტიკოსი, ჯონ კარლ ბეიკერის აზრით, სამუშაო დონეზე ბევრად უფრო რთულია იმის შემოწმება, თუ რამდენად შეასრულებს ჩრდილოეთ კორეა დენუკლეარიზაციის პირობას (ბარეტი, 2018).

აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეას შორის გამართული სინგაპურის სამიტის შემდეგ პოლიტიკის ანალიტიკოსები სკეპტიციზმით უყურებენ ტრამპის ადმინისტრაციის მიზანს, მიაღწიოს ჩრდილოეთ კორეის სრულ ბირთვულ განიარაღებას. მათი მოსაზრებით, ჩრდილოეთ კორეა არ შეწყვეტს ბირთვული იარაღის პროგრამას, რომელსაც კიმ ჩენ ინი საკუთარი რეჟიმის გადარჩენის გზად ისახავს. ანალიტიკოსების აზრით, ფხენიანი სამიტსა და მოლაპარაკებებს დროის მოსაგებად გამოიყენებს. ამ პესიმიზმის საფუძველად კოგნიტური მიკერძოება შეიძლება მივიჩნიოთ. პირველი კოგნიტური მიკერძოებაა: „ცუდებს უკეთესად გამოსდით“. პირველი ფაქტორი, რომელიც ჩრდილოეთ კორეის ანალიზისას გვჭირდება, არის რწმენა იმისა, რომ ჩრდილო კორეელები ბრწყინვალე მანიპულატორები და სტრატეგები არიან. ანალიტიკოსების მტკიცებით, აშშ-ს „ცივი ომის“ შემდეგ ეროვნულ უსაფრთხოებაზე დისფუნქციური გადაწყვეტილების მიღების პროცესი ჰქონდა. ჩრდილოეთ კორეის პოლიტიკური პროცესები კი შავ ყუთად რჩება, ლიდერებს აქვთ გარე ინფორმაციაზე წვდომა, მათ არ გააჩნიათ ინფორმაციის თავისუფლების ისეთივე დონე, როგორც აშშ-შია და მუშაობენ იდეოლოგიურ ჩარჩოში. სადაზვერვო აპარატი სისასტიკით გამოირჩევა. ქვეყანაში არ არსებობს ანგარიშვალდებულება, კიმი გადაწყვეტილებებს იღებს მის ახლო პარტნიორებთან და მრჩეველებთან ერთად.

მეორე კოგნიტური მიკერძოებაა- „წარსულის მაგალითი უნდა გაგრძელდეს“. ჩრდილოეთ კორეასთან განცდილი წარსული მარცხი ნიშნავს იმას, რომ საეჭვოა დღევანდელმა დიპლომატიამ დამაკმაყოფილებელი შედეგი მიიღოს, იმის მუხედავად, რომ დღეს ზოგი ფაქტორი განსხვავებულია. როგორც წესი, დიპლომატები ამზადებენ

ნიადაგს და მუშაობენ დეტალებზე, რასაც შემდეგ მოჰყვება ლიდერების შეხვედრა და სამიტებზე შესაბამის დოკუმენტებზე ხელმოწერა. ჩრდილოეთ კორეის შემთხვევა კი განსხვავებულია, პოლიტიკური სისტემა ცალსახად ცენტრალიზებული და პერსონალიზებულია, მხოლოდ ლიდერს შეუძლია პოლიტიკური საკითხების განხორციელება (სნიდერი, 2018).

4. ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის გლობალური რეჟიმის ეროზია

ჩრდილოეთ კორეასთან მიმართებაში ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის გლობალური რეჟიმის კომბინირებულმა ინსტრუმენტებმა წარუმატებლობა განიცადა. რამაც შეიძლება შემაშფოთებელი პრეცედენტი შექმნას მომავალი მოსწავლეებისთვის. აღნიშნულ შემთხვევაში არაეფექტური აღმოჩნდა შემდეგი ზომები: 1. საერთაშორისო რეჟიმის ძირითადი ელემენტები, განსაკუთრებით კი ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულება, ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს უსაფრთხოების სისტემა. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1540-მა მოითხოვა ყველა სახელმწიფოს მიერ მასობრივი განადგურების იარაღზე კონტროლი, ექსპორტზე კონტროლი, ხოლო რეზოლუცია 1718-მა სანქციები დაუწესა ჩრდილოეთ კორეას. 2. მრავალმხრივი რეჟიმის ასოცირებული ელემენტები, კერძოდ, ბირთვული მომწოდებლების ჯგუფი, ზენგერის კომიტეტი, პროლიფერაციის უსაფრთხოების ინიციატივა და ფინანსურ მოქმედებათა სამუშაო ჯგუფი. 3. რეჟიმის ელემენტების მოქმედებაში მოსაყვანად ფართოდ მიღებული ეროვნული ზომები, მათ შორის ექსპორტი და ფინანსური კონტროლი. 4. დამატებითი ელემენტები, გადმოღებული საგარეო დიპლომატიისგან, ეკონომიკისგან, სამხედრო და სადაზვერვო შესაძლებლობებიდან, მათ შორისაა ექვსმხრივი მოლაპარაკება; უნილატერალური და მრავალმხრივი ეკონომიკური სანქციები, მათ შორის დასავლეთის ფინანსური დიპლომატიისგან იზოლაცია; სამხედრო ინტერვენციის საფრთხე. ფაქტობრივად, ჩრდილოეთ კორეა გაუვრცელებლობის ღონისძიებებისადმი მიუწვდომელია. მისი იზოლაცია გლობალური პოლიტიკური დისკურსისაგან და საერთაშორისო საფინანსო სისტემისაგან ართულებს იმ ზომების გატარებას, რომელსაც გარე ზეწოლით ბირთვული შეკავება შეუძლია. ძნელად მოიძებნება სხვა პოტენციური პროლიფერანტი სახელმწიფო, რომელსაც ჩრდილოეთ კორეის მსგავსი იზოლაციური პროფილი აქვს (სპექტორი, 2015, 8).

ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის ნორმა, კერძოდ, ამ იარაღის გავრცელებისთვის ხელისშემლის მიზანი, დამოკიდებულია მსოფლიოში არსებული

სახელმწიფოების უნივერსალურ კონსენსუსზე. ჩრდილოეთ კორეის ზრდადმა ბირთვულმა არსენალმა აშშ-ს პოლიტიკის ცვლილება გამოიწვია ფხენიანის მიმართ. იგი პრევენციულიდან შეკავების პოლიტიკაზე გადავიდა (სპექტორი, 2015, 9).

დენუკლარიზაციისთვის საჭირო ტექნიკური ნაბიჯები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის გაუვრცელებლობაზე ვსაუბრობთ. ჩრდილოეთ კორეის იდეები დენუკლარიზაციაზე განსხვავდება ამერიკულისგან. ჩრდილოეთ კორეა მასში ფართო იდეას ხედავს, მისთვის ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა არ არის ცალმხრივი და ის მთელს კუნძულს მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკამ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის ქვეშ სამხრეთ კორეიდან გამოიტანა ტაქტიკური ბირთვული იარაღი, ჩრდილოეთ კორეა მაინც გრძნობს საფრთხეს. აშშ კი სრულყოფილ, შემოწმებულ და შეუქცევად ცალმხრივ განიარაღებაზეა ფოკუსირებული.

დენუკლარიზაციის ნებისმიერ სახის ხელშეკრულების არსებობისას აქვს იურიდიული და ტექნიკური ნაწილი. აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეის შემთხვევაში სავარაუდოდ ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო წარმართავს ინვაზიურ შემოწმებას. ქვეყანამ უნდა გამოააშკაროს თავისი შესაძლებლობები. ჩრდილოეთ კორეის შესახებ ღია ანგარიშებისა და სატელიტური გამოსახულებების მეშვეობით ბევრი რამაა ცნობილი, თუმცა შესაძლებელია მის ზოგიერთ შესაძლებლობაზე არაფერი ვიცოდეთ. ურანის გამდიდრების ობიექტები, განსაკუთრებით გადამამუშავებელი დაწესებულებები სატელიტური გამოსახულებით რთული ამოსაცნობია. შეთანხმება უნდა შეიცავდეს კამერების გამოყენებას, დალუქვის შესაძლებლობას, 24 საათიან მონიტორინგს, თანამგზავრების გამოყენებას და სხვა დისტანციური გადამცემი ტექნოლოგიების გამოყენებას მაღალი რისკების გასაკონტროლებლად (ჰენკემი, 2018).

4.1 ჩრდილოეთ კორეის იდეოლოგია

ჩრდილოეთ კორეაში გაცხადებულია პიროვნების კულტი. ქვეყანა დაფუძნებულია „ჩუჩხეს“ იდეოლოგიაზე. „ჩუჩხე“ მარქსიზმის კიმ ირ სენული ვარიანტია. მისი მთავარი არსი მდგომარეობს შემდეგში, ადამიანი არის როგორც

საკუთარი ბედის, ასევე სამყაროს მბრძანებელიც. „ჩუჩხე“ მიზნად ისახავს სოციალიზმის შენებას საკუთარ ძალებზე დაყრდნობით და ქადაგებს ბელადიზმს. მისი იდეების თანახმად, ისჯება დიდი ქვეყნების წინაშე ქედის მოხრა ნებისმიერი ფორმით. სახელმწიფო იდეოლოგია "ჩუჩხე" სერვისების უმეტესობის, ჯანდაცვის, განათლების, საკვების პროდუქციის სახელმწიფო საკუთრებაში ყოფნას ითვალისწინებს. (COLUMBIAEDU, 2010).

„ჩუჩხე“ კიმ ირ სენმა 1955 წელს გამოაცხადა. ის მიზნად ისახავდა, მისი ექსკლუზიური ხელმძღვანელობის ქვეშ ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას. „ჩუჩხეს“ დოქტრინა პირველ ადგილზე აყენებს „ადამიანის ცენტრიზმს“, ამ იდეის მიხედვით, კაცობრიობა არის სამყაროს მმართველი, მეორე ადგილზეა „კოლექტივიზმი“, რომელშიც საზღვარი არაა. ამ ორი პრინციპის შესასრულებლად „ჩუჩხემ“ განავითარა პოლიტიკის 3 მიზანი: სამხედრო თავდაცვა, ეკონომიკური თვითუზრუნველყოფა და პოლიტიკური თვითმმართველობა (სუვერენიტეტი). „ჩუჩხე“ იდეოლოგია კიმ ირ სენმა შექმნა ჩრდილოეთ კორეის გასაძლიერებლად, განევითარებინა ეკონომიკა უცხო ქვეყნების დახმარების გარეშე. „ჩუჩხე“ ფილოსოფია მიმართულია თვითუზრუნველყოფისაკენ და დამოუკიდებლობისაკენ. აქედან გამომდინარე, ის სამხრეთ კორეას არა მხოლოდ მარიონეტად ხედავს, რომელიც უცხო ძალებზეა დამოკიდებული, არამედ ჩრდილოეთ კორეის იდეოლოგიის საფრთხედაც მიიჩნევს (ჰონგი, 2013, 37).

ბენჯამინ სოუი წერს, რომ სწორედ „ჩუჩხე“ იდეოლოგია უსვამს ხაზს ჩრდილოეთ კორეის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო თვითნებობას. ის სახელმწიფო იდეოლოგია და მთავრობისთვის ერთადერთი სახელმძღვანელო პრინციპი გახდა ერთპარტიული კომუნისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ. იდეოლოგია ამტკიცებს, რომ ინდივიდი საკუთარი ბედის მბრძანებელია. ეს პოლიტიკური ფილოსოფია ეფუძნება იდეას, რომლის მიხედვითაც ადამიანი არის ყველაფრის ბატონი და ის წყვეტს ყველაფერს. ეს იდეოლოგია დიდი ლიდერის დაქვემდებარებაშია. „ჩუჩხე“ იდეოლოგია არ არის მხოლოდ პოლიტიკური იდეა, ისე აისახება კორეელების ცხოვრების ყველა ასპექტში სულიერად, სოციალურად და ეკონომიკურად. მასები მას აღიარებენ, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური

დამოუკიდებლობის იარაღს, რომელიც აყალიბებს დიდ ლიდერზე რწმენას, ანუ პიროვნების კულტს (სოუი, 2017).

„ჩუჩხე“ იდეოლოგია ქვეყნის მიერ აღწერილია, როგორც პოლიტიკური ფილოსოფია და მსოფლიო მსოფლმხედველობა, რომლის ცენტრში ადამიანი დგას და რომლითაც ხალხის მასების დამოუკიდებლობა ხორციელდება. საზოგადოების განვითარების სწორ გზას აჩვენებს პოლიტიკის თეორიული ბაზისი. ჩრდილოეთ კორეის მთავრობის მოსაზრებით, ქვეყანა ჩუჩხე იდეოლოგიას ინარჩუნებს რევოლუციისა და აღმშენებლობისთვის. ის გულისხმობს პრობლემებთან გამკლავებას საკუთარი ძალისხმევით და ქვეყნის პოლიტიკურ პირობებთან შესაბამისობაში. მთავრობის ძირითადი პრინციპია პოლიტიკური დამოუკიდებლობის რეალიზება, თვითუზრუნველყოფა ეკონომიკაში და თავდაჯერებულობა ეროვნულ თავდაცვაში (Korea-dpr, 2011).

ქვეყანაში აქტიური პროპაგანდის მეშვეობით, ქვეყნის ლიდერი თაყვანისცემის ობიექტია. ინფორმაციულ ვაკუუმში მცხოვრები მოსახლეობის თვალსაწიერი ძალიან ვიწროა, მათ მხოლოდ ერთი სიმართლის სწამთ, ესაა ჩუჩხე იდეოლოგია და ერთ პიროვნებას აღმერთებენ კიმ ირ სენს. მოქმედებენ მხოლოდ ლიდერის მითითების შესაბამისად.

ჩრდილოეთ კორეა სტალინისტური სტილის კომუნისტური ქვეყანაა. სახელმწიფო ათეისტურია. არაპროპორციული სამხედრო დანახარჯების (მშპ-ს 25%), სანქციების გამო იზოლაციის ზრდისა და აბსურდული ანტი-დასავლური და ანტი-იაპონური რიტორიკის ერთობლიობამ ფინანსური კრიზისი შექმნა. 1990-იანი წლების შუა რიცხვებში ჩრდილოეთ კორეაში 1-დან 2 მლნ.-მდე ადამიანი შიმშილობდა (ბონედისი, 2007).

მონაცემები ცხადყოფს, რომ ჩრდილოეთ კორეის ეკონომიკამ სანქციებისგან დარტყმა განიცადა. გასულ წელს ექსპორტი დაახლოებით 30%-ით შემცირდა. განსაკუთრებით შემცირდა ჩინეთთან, 35%-ით, რომელიც ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია (ვესვენი, 2018).

„ჩუჩხე“ იდეოლოგიასთან ერთად ჩრდილოეთ კორეაში არის განვითარებული იდეოლოგია „სონგუნი“, რომელიც კიმ ჩენ ირის ხელმძღვანელობით გაძლიერდა. ეს იდეოლოგია ითარგმნება, როგორც „ჯერ სამხედრო“, გულისხმობს სამხედრო მხადყოფნას გარე საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ეროვნულ უსაფრთხოებას, სისტემის შენარჩუნებას შეიძლება დაემუქროს. „სონგუნი“ არის ღირებულებებისა და ნორმების ყოვლისმომცველი სისტემა, რომელიც გამოიყენებოდა კიმ ჩენ ირის რეჟიმის მიერ, როგორც პოლიტიკური და სოციალური პროგრამა. სონგუნის დოქტრინა უფრო მეტად ფოკუსირებულია ფსიქოლოგიურ და სულიერ მხარეებზე, რაც გახდა ჩრდილოეთ კორეის პოლიტიკური და სოციალურ ფილოსოფიური საფუძველი. ამის საპირისპიროდ „ჩუჩხე“ უფრო მეტადაა ორიენტირებული „პოლიტიკურ-სოციალურ“ და ადამიანის განვითარების კონცეფციაზე. „სონგუნის“ დოქტრინა არის სხეულის, გონების და სულის ერთიანობა, სამხედრო მნიშვნელობა კი წინ დგას. აღნიშნულ დოქტინას 3-3-4 პრინციპითაც ახასიათებენ. პირველი სამი გულისხმობს სამხედროს სამ ფუნქციას: ვალდებულებას, მიზნებსა და უფრო დიდი სიკეთისთვის მსხვერპლის გაღებას; მეორე სამი წარმოადგენს განათლებისა და მომზადების 3 მიზანს: ჯგუფის მნიშვნელობას, დისციპლინასა და უკომპრომისო ერთიანობას; 4 კი ხალხის არმიის ოთხ ღირსებას: პარტიოტიზმს, ერის სიყვარულს, ხალხზე ზრუნვასა და ერთგულებას. სამხედრო ფაქტორის პირველ ადგილზე დაყენების სტრატეგიით „სონგუნი“ არა მხოლოდ პოლიტიკური პროპაგანდა გახდა, არამედ სამხედრო ძალაც. რამაც საზოგადოებაში კრიტიკული საფუძველი შექმნა. ჩრდილოეთ კორეა ხალხს უბიძგებს გააძლიეროს თავდაცვითი შესაძლებლობები სონგუნის პოლიტიკის მეშვეობით. აქედან გამომდინარე, სამხედრო შესაძლებლობების პროგრესი, როგორცაა ბირთვული იარაღის შექმნა, გახდა ქვეყნის ღირსების ეროვნული სიმბოლო და რეჟიმის ლეგიტიმურობის სიმბოლო (ჰონგი, 2013, 42-45).

5. აშშ-ის, სამხრეთ კორეისა და იაპონიის ინტერესები ჩრდილოეთ კორეის საფრთხის დასაბალანსებლად

ჩრდილოეთ კორეის ბირთვული იარაღის, ბალისტიკური რაკეტების გამოცდები, დიქტატურა, არაპროგნოზირებადობა საფრთხის შემცველია სამხრეთ კორეისთვის, იაპონიისთვის, რეგიონისთვის. აშშ-ს ინტერესებშია:

- ჩრდილოეთ კორეამ შეაჩეროს ბირთვული იარაღის მოპოვების პროცესი;
- თავიდან აიცილოს სხვა ბალისტიკური რაკეტების განვითარება, ტესტირება, დანერგვა, გაყიდვა;
- აკრძალოს ბიოლოგიური და ქიმიური იარაღი;
- ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის შერიგება.

აშშ-ის უსაფრთხოების ინტერესების დაკმაყოფილება შესაძლებელი გახდება ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში აშშ-ს გრძელვადიანი მიზნების მიღწევით:

- პირველ რიგში, ჩინეთთან თანამშრომლობის შენარჩუნებით, არა მხოლოდ ორმხრივად, არამედ კორეის ნახევარკუნძულზე და რეგიონში;
- კორეასა და რეგიონში კოოპერაციული უსაფრთხოების რეჟიმის შექმნით;
- ჩრდილოეთ კორეაში ხანგრძლივი ეკონომიკური რეფორმების გატარებით;
- კორეის მშვიდობიანი გაერთიანებით.

ამერიკის ინტერესებშია საკუთარი და მისი მოკავშირეების უსაფრთხოების გაუმჯობესება, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის შერიგების ხელშეწყობა (სიგალი, 2003).

იაპონია, რომელიც მსოფლიოს მესამე ეკონომიკაა, მძლავრი შეიარაღებული ძალებით რეგიონში მიმდინარე პროცესებისგან შორს ვერ იქნება. თანაც, იაპონია რიგით მეორე ქვეყანაა, რომელსაც კიმი პერიოდულად თავისი ბირთვული ხელკეტით ემუქრება. პირველი შემთხვევა იყო, როცა კორეის ბალისტიკურმა რაკეტებმა ჩრდილოეთ იაპონიის კუნძილ ჰოკაიდოს გადაუფრინა. იაპონიის სანაპიროზე ღამით ჩატარებულმა ბალისტიკური რაკეტის ტესტირებამ რეგიონში დაძაბულობა გამოიწვია.

პენტაგონის განცხადებით, ეს იყო საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა (მაქქერი, 2017).

წყნარი ოკეანის რეგიონში ჩრდილოეთ კორეა ყველაზე მტკივნეულ წერტილს წარმოადგენს, ბირთვული იარაღის ქონასთან ერთად იქ არსებული დიქტატურისა და არაპროგნოზირებადი მმართველობის გამო.

სამხრეთ კორეამ გამოხატა სურვილი აშშ-მა ბირთვული იარაღი დააბრუნოს კორეის ნახევარკუნძულზე. აშშ-ს კი ეს არ სურს, სავარაუდოდ ამით ჩინეთიც გაღიზიანდება. 1991 წლამდე ამერიკას 100-მდე ბირთვული იარაღი ჰქონდა ქვეყანაში. ბუმის ინიციატივით ის უკან წაიღეს. სამხრეთ კორეას სურს ბირთვული წყალქვეშა ნავის აშენება და რაკეტების რაოდენობის გაზრდა. ის ასევე დროებით განათავსებს 4 რაკეტსაწინააღმდეგო სისტემას, რომელიც აშშ-სგან შეიძინა. ტრამპმა კი შესაძლოა ბირთვული იარაღის გაგზავნის ნაცვლად განაგრძოს სამხრეთ კორეის შეიარაღება (ვორდი, 2017).

სამხრეთ კორეაში თაობათა შორის განსხვავებული გრძნობებია ჩრდილოეთ კორეის მიმართ. ახალგაზრდების ნაწილს აინტერესებთ, რატომ დააშორა საზღვარმა მათი „ძმები“ ერთმანეთს, ასევე არიან ძველი თაობის წარმომადგენლები, რომელთაც კორეის ომის საშინელებები ახსოვთ (ჰენკემი, 2018).

5.1 აშშ-ის, სამხრეთ კორეისა და იაპონიის მიმართ ანტაგონისტური დამოკიდებულების მიზეზები

რეგიონულ დინამიკაში ჩართული ქვეყნებია: ჩრდილოეთ კორეა, იაპონია, ჩინეთი, რუსეთი, ტაივანი და აშშ. კონფლიქტის ყველაზე მწვავე პოტენციალი ჩრდილოეთ კორეასა და იაპონიას, ჩრდილოეთ კორეასა და აშშ-ს, ჩრდილოეთ კორეასა და სამხრეთ კორეას შორის დაპირისპირებას აქვს (ბონედისი, 2007).

ჩრდილოეთ კორეას სამხრეთ კორეის, აშშ-სა და იაპონიის მიმართ ანტაგონისტური დამოკიდებულების კონკრეტული მიზეზები აქვს. კორეას,

ჩრდილოეთსაც და სამხრეთსაც იაპონიაზე განაწყენების კარგი მიზეზი აქვთ. იაპონიის იმპერიამ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში კორეის ნახევარკუნძულის ანექსირება მოახდინა და მეორე მსოფლიო ომის დროს ათასობით კორეელი ქალი გაიტაცა. კორეულ საზოგადოებაში ანტიიაპონური დამოკიდებულება წარმოიშვა ისტორიული, კულტურული და ნაციონალისტური განწყობებისგან. იაპონელი მეკობრეების იერიშები, მოგვიანებით 1592-1598 წლებში იაპონელების შეჭრა კორეაში, თანამედროვე საზოგადოებაში კი 1910-1945 წლებში მათმა ბატონობამ კორეაში წარმოშვა ეს დამოკიდებულება (ჰოფერი, 2017).

ამერიკისადმის მტრული დამოკიდებულების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კორეის ომში 1950-1953 წლებში ამერიკის ქმედებებია. საჰაერო ძალების გენერლის კურტის ლემის განცხადებით, დაბომბვა დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა, ეს იყო ხანგრძლივი და დაუნდობელი ბრძოლა, რომელშიც 3 წლის მანძილზე დავხოცეთ მოსახლეობის 20%. აშშ-მა დაბომბა ყველაფერი, რაც ჩრდილოეთ კორეის მხარეს გადავიდა, ურბანული სამიზნეების შემდეგ ამერიკულმა ბომბდამშენებმა ჰიდროელექტოსადგურები და სარწყავი კაშხლები დაანგრია. აშშ-მა ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე 635 000 ტონა ასაფეთქებელი ნივთიერება ჩამოაგდო, მათ შორის იყო 32 557 ტონა ნაპალმი, სითხე, რომელსაც შეუძლია ტყეების განადგურება და ადამიანის კანის დამღუპველი დამწვრობის გამოწვევა. ეს რაოდენობა ბევრად აღემატებოდა მეორე მსოფლიო ომში გამოყენებულს (კოხლერი, 2017). 3 წლის განმავლობაში ომმა მილიონობით ადამიანი შეიწირა და კორეის ნახევარკუნძული სრულიად შეცვალა. ჩრდილოეთ კორეის მოსახლეობა ომის დაწყებამდე 9.6 მილიონი იყო, ომის შემდეგ მსხვერპლის რაოდენობა 1.3 მილიონს შეადგენდა. კონფლიქტი განიხილება, როგორც აშშ-ს საჰაერო ძალების მიერ ჩატარებული პირველი ფართომასშტაბიანი საჰაერო კამპანია. ამ ომმა ჩრდილოეთ კორეას ამერიკა დაანახა, როგორც შორეული კარიკატურა, უპიროვნო მტერი, რომელმაც დააზიანა მათი ქვეყანა და კიდევ შეუძლია დააზიანოს (ბერლინგერი, 2017).

სამხრეთ კორეისადმი ანტაგონისტული დამოკიდებულების ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება განვიხილოთ ჩრდილოეთ კორეაში არსებული მითები, რომ სამხრეთ კორეა

ამერიკის მარიონეტია, უფრო მეტიც, მათ უღალატეს კორეელ ხალხს და ოკუპაციის დროს იაპონიასთან თანამშრომლობდნენ (ასბური, 2017).

5.2 ჩინეთის პოლიტიკა

ჩინეთის პოლიტიკა ჩრდილოეთ კორეის მიმართ შემდეგი ოთხი ფაქტორით წარიმართება, ესენია: კორეის ნახევარკუნძულის დენუკლეარიზაცია, მშვიდობა და სტაბილურობა კორეის ნახევარკუნძულზე, აშშ- ჩინეთის ურთიერთობების სტაბილიზაცია და ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეას შორის ეკონომიკური ურთიერთობების ხელშეწყობა. 2000-იანი წლების პირველ ნახევარში მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა ჩინეთის პოლიტიკას ჩრდილოეთ კორეასთან მიმართებაში. ექვსი მხარის მოლაპარაკებების საშუალებით ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ საკითხებში პროაქტიური ჩარევით აშშ-თან კონფრონტაცია თავიდან იქნა აცილებული. ჩინეთისა და ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობებმა პროგრესი განიცადა ეკონომიკური და პოლიტიკური კუთხით. 2006 წელს კი ჩრდილოეთ კორეის მიერ განახლებულმა ბირთვულმა ტესტმა ჩინეთი დილემის წინაშე დააყენა. მისთვის ძნელი აღმოჩნდა შეენარჩუნებინა ბალანსი უსაფრთხო გარემოს სტაბილიზაციასა და ეკონომიკურ ჩართულობას შორის (აოიამა, 2016, 159).

2003 წლიდან ჩინეთი თავმჯდომარეობდა მრავალმხრივი მოლაპარაკებების სერიას კორეის ნახევარკუნძულის ბირთვულ განიარაღებაზე, რომელიც პეკინში გაიმართა. მოლაპარაკებები ექვსი ქვეყნის დიპლომატებს შორის იმართებოდა, ესენია: აშშ, ჩინეთი, იაპონია, რუსეთი, სამხრეთ კორეა და ჩრდილოეთ კორეა. 2009 წელს მოლაპარაკებების პროცესში მონაწილეობაზე ჩრდილოეთ კორეამ უარი განაცხადა, ხოლო ჩინეთი მომდევნო წლებში პერიოდულად მოუწოდებდა მონაწილეებს პროცესის განახლებისაკენ (დავენპორტი, 2017).

დრო და დრო ჩინეთმა შეასუსტა ფხენიანზე ზეწოლის მცდელობა ბირთვული კურსის შეცვლასთან დაკავშირებით. ჩინეთმა არ გამოიყენა თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტი ჩრდილოეთ კორეის შესაკავებლად. ნახევარი ძალისხმევა

მოახმარა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული და სარაკეტო მასალების გავრცელების შეკავებას და მხოლოდ განსაზღვრული შეზღუდვები დააწესა კორეის მიერ ჩინური ბანკებიდან პროლიფერაციაზე მოქმედი ტრანზაქციების გამოყენებაზე (სპექტორი, 2015, 8).

ჩინეთის ინტერესებში არ შედის ბირთვული ჩრდილოეთ კორეის არსებობა, ამავდროულად არ აწყობს მისი დესტაბილიზაცია, რაც მილიონობით ლტოლვილის მათ ქვეყანაში გადმოსვლას გამოიწვევს. ჩინეთისთვის ასევე გამოწვევას წარმოადგენს ჩრდილოეთ კორეის ნებისმიერი შესაძლო ბირთვული შემთხვევა ან ატმოსფერული ტესტი, რაც რადიაციას გამოიწვევს მოსაზღვრე ტერიტორიაზე (ჰენჰემი, 2018).

6. თეორიული ჩარჩო

ჩრდილოეთ კორეის ქმედებების, მიზნების, მისწრაფებების, ბირთვული პოლიტიკის ასახსნელად გამოვიყენებ ნეორეალიზმის თეორიას, რომელიც სათავეს 1960-70-იანი წლებიდან იღებს. მას „სტრუქტურული რეალიზმითაც“ მოიხსენიებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი საერთაშორისო პოლიტიკის შედეგების ანალიზისას პირველ რიგში საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის ეფექტებს ეფუძნება. ნეორეალიზმის პოსტულატები ხსნის ჩრდილოეთ კორეის ქმედებებს ბირთვული პროგრამის განვითარებისას და ხსნის მის მიზნებს. ქენეთ უოლცის სტრუქტურის კონცეფციაში ორი რამაა აღსანიშნავი. პირველ რიგში, სისტემის ანარქიულობა, სადაც არ არსებობს მსოფლიო მთავრობა და საერთაშორისო სისტემა თვითდახმარების სისტემაა, რომელშიც ავტონომიური სახელმწიფოები შედიან და ისინი ფუნქციურად არ არიან განსხვავებულები. გადარჩენა მათი მთავარი მიზანია. საერთაშორისო პოლიტიკის სტრუქტურის მეორე განმსაზღვრელი პრინციპი არის სისტემაში არსებული ერთეულებს შორის შესაძლებლობების განაწილება. შესაძლებლობებს შორის განსხვავება განსაზღვრავს სახელმწიფოების ქცევას (იაკობსენი, 2013).

ჯონ მირშაიმერის აზრით, სახელმწიფოები ანარქიის პირობებში იქცევიან შემდეგნაირად: მუდმივი საშიშროებიდან გამომდინარე არიან ერთმანეთის შიშში; დამოკიდებულნი არიან მხოლოდ საკუთარ თავზე, რადგან სხვა სახელმწიფოები პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენენ, მოქმედებენ “თვით დახმარების” რეჟიმში. ამიტომაც რეალისტების აზრით სახელმწიფოები უნდა იყვნენ ეგოისტურები და იზრუნონ საკუთარ ეროვნულ ინტერესებზე; და ბოლოს, სახელმწიფოები ცდილობენ თავიანთი ფარდობითი ძლიერების გაზრდას სხვა ქვეყნებთან მიმართებაში, სამხედრო უპირატესობის მქონე ქვეყნა უფრო უსაფრთხოდაა. სამხედრო ძლიერება საუკეთესო გზაა საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. საერთაშორისო დონეზე სახელმწიფოების ძალა ხმარდება თავდაცვასა და სხვებზე უპირატესობს მოპოვებას. სახელმწიფოთა ინტერესების უზენაესობა, კონკურენციის დარეგულირება და ძალის პრიმატი ყოველთვის მუდმივია ყველა სახელმწიფოს შემთხვევაში (აკობია, 2006, 23). სწორედ სისტემის ხასიათიდან გამომდინარეობს ჩრდილოეთ კორეის ქცევაც,

ბირთვული შეიარაღება მისთვის თავდაცვის მექანიზმი და ძლიერების გამოხატულებაა, რადგან სამხედრო ძლიერება საუკეთესო გზაა საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ნეორეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობების განმსაზღვრელად საერთაშორისო სისტემის სტრუქტურულ მახასიათებლებს მიიჩნევს და არა ამ სისტემის შემადგენელ ნაწილებს. კენეტ უოლცის აზრით, გლობალური სისტემის ხასიათი განაპირობებს სახელმწიფოების ქცევას და არა პირიქით. საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის ერთიანობის დემონსტრირებით ნეორეალიზმი საერთაშორისო პოლიტიკის ავტონომიურობას უსვამს ხაზს, რაც საერთაშორისო ურთიერთობების ბუნების თეორიული განზოგადების საშუალებას იძლევა. ნეორეალიზმმა ბევრი რამ ისესხა კლასიკური რეალიზმისაგან, მათ შორის სახელმწიფოების, როგორც რაციონალური და უნიტარული მოქმედი პირების თეზისი და ძალაუფლების, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრალური თემის ცნება. რეალიზმისაგან განსხვავებით, ნეორეალიზმი სახელმწიფოთა ქცევის ანალიზისას მათ ეროვნულ ინტერესებს კი არ ანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას, არამედ საერთაშორისო სისტემის კონფიგურაციის ხასიათს. საერთაშორისო სისტემა განაპირობებს სახელმწიფოების გათვლებს, ქცევასა და ურთიერთქმედებას (ჩიტაშვილი, 2004, 351).

ნეორეალიზმის მამამთავარი კენეთ უოლცი სახელმწიფოებს უნიტარულ რაციონალურ აქტორებად მიიჩნევს, რომლებიც საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ სისტემაში, სადაც ყოველი ქვეყანა მიისწრაფვის ძალთა ბალანსის შესანარჩუნებლად. სტრუქტურა არის ამ თეორიაში განმსაზღვრელი მახასიათებელი, მთავარი აქტორები, სახელმწიფოები მიისწრაფვიან ანარქიულ სისტემაში სტაბილურობისა და ძალაუფლების შესანარჩუნებლად. თანამედროვე აღმოსავლეთ აზიის რეგიონული კომპლექსისთვის დამახასიათებელი უსაფრთხოების დინამიკა ძალიან ჰგავს ცივი ომის დროინდელს. რადგანაც კორეის ომში დაიდო დაზავების შეთანხმება და არა სამშვიდობო ხელშეკრულება, ნახევარკუნძულზე „ცივი ომი“ ეფექტურად გაგრძელდა (პოთსი, 2015).

ქენეთ უოლცი თავის ნაშრომში „ანარქიული წესრიგი და ძალთა ბალანსი“ საუბრობს იმაზე, რომ ანარქიის პირობებში ადამიანები კორპორაციები, ორგანიზაციები თუ სახელმწიფოები თავიანთი მიზნების მისაღწევად და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უნდა ეყრდნობოდნენ საკუთარ საშუალებებსა და მექანიზმებს. საერთაშორისო დონეზე სახელმწიფოების ძალა ხმარდება თავდაცვასა და სხვებზე უპირატესობს მოპოვებას. სახელმწიფოთაშორისი ომები განსაზღვრავს სარგებლისა და დანაკარგის განაწილებას მოქიშპეებს შორის, ასევე ადგენს თუ ვინაა ძლიერი გარკვეული პერიოდის მანძილზე, და არა სამართლიანობის და ძალაუფლების საკითხებს. საერთაშორისო პოლიტიკაში ძალა არის პირველი და უმთავრესი არგუმენტი (ღირსიაშვილი, 2004, 64-66).

ანარქიულ სისტემაში არსებული ერთეულები ერთმანეთისგან ფუნქციებით კი არ განსხვავდებიან, არამედ მსგავსი ამოცანების შესასრულებლად შედარებით მეტი ან ნაკლები შესაძლებლობებით. სახელმწიფოებს შორის ბუნებრივი მდგომარეობა- ომის მდგომარეობაა, რაშიც არ იგულისხმება ომის მუდმივად მიმდინარეობა, არამედ ნებისმიერ დროს დაწყების საშიშროება. ანარქია კი ძალადობის წარმოშობასთან ასოცირდება. საერთაშორისო პოლიტიკის სტრუქტურა სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობას ზღუდავს. საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა ისეთნაირია, რომ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოები ერთმანეთის მიმართ აგრესიას გამოხატავენ (არტი და ჯერვისი, 2011, 44-48).

ამერიკის მეცნიერთა ასოციაციის მონაცემებით ჩრდილოეთ კორეას დღეს 60-ზე მეტი ბირთვული იარაღი აქვს. ისევე როგორც, სხვა ბირთვულ სახელმწიფოებს, ჩრდილოეთ კორეასაც აქვს სურვილი ჰქონდეს ბირთვული შესაძლებლობები, თავისი იზოლირებულობიდან და დაუცველობიდან გამომდინარე. ბირთვული იარაღის ქონა შემაკავებელი შესაძლებლობების ზრდას გულისხმობს. საერთაშორისო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე ჩრდილოეთ კორეის საზრუნავი თავდაცვა და უსაფრთხოებაა, პატარა, იზოლირებულმა, ეკონომიკური პრობლემების მქონე სახელმწიფომ ძირითადი აქცენტი და ფინანსები მიმართა სამხედრო შეიარაღებისაკენ და ბირთვული იარაღი ქვეყნის გადარჩენის ერთ-ერთ გარანტიად მოაიზრა, სამხედრო შეიარაღებისათან ერთად, ამ მიზნით ის არღვევდა ათწლეულების მანძილზე სხვადასხვა შეთანხმებებს

ბირთვული პროგრამის გაყინვასთან დაკავშირებით. ბირთვული იარაღი ამავდროულად არის ქვეყნის ლიდერისთვის პოლიტიკური ძალაუფლებისა და ლეგიტიმაციის გაზრდის საშუალება.

7. დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის მიზანი იყო ეჩვენებინა მკითხველისთვის, რომ ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ შეთანხმებების რღვევის უკან დგას ჩრდილოეთ კორეის მიზანი, ბირთვული იარაღის შექმნითა და ბირთვული შესაძლებლობების ზრდის მეშვეობით აერიდებინა ქვეყნისთვის მოსალოდნელი საფრთხე, მიეღწია რეჟიმის პოლიტიკური და სამხედრო ავტონომიისთვის.

ბირთვულ სახელმწიფოდ გახდომა ჩრდილოეთ კორეას სჭირდებოდა თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის. საერთაშორისო სისტემაში არსებული ისეთი პატარა, იზოლირებული, ეკონომიკური პრობლემების მქონე ქვეყნისთვის, როგორც ჩრდილოეთ კორეას, უსაფრთხოება და თავდაცვა ძალიან მნიშვნელოვანია. მითუმეტეს, იგი გარშემორტყმულია ძლიერი სახელმწიფოებით, რომელთაგანაც ნებისმიერ დროს შეიძლება იგრძნოს ჩრდილოეთ კორეამ საფრთხე.

ნაშრომმა აჩვენა, რომ ჩრდილოეთ კორეა 1985 წლის დეკემბრის შემდეგ, რა პერიოდიდანაც იგი შეუერთდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმს და სხვა მრავალმხრივი შეთანხმებით ათეულობით ქვეყანასთან აიღო ბირთვული იარაღის, ტექნოლოგიების გაუვრცელებლობის, ბირთვულ ენერჯიაზე მშვიდობიანი თანამშრომლობის ვალდებულება, ხშირად არღვევდა შეთანხმებებს. აშშ ორმხრივი და მრავალმხრივი მოლაპარაკების ფორმატებით ცდილობდა თავიდან აერიდებინა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული შესაძლებლობების გაძლიერება. ჩრდილოეთ კორეა შეთანხმებებს ბირთვული პროგრამის აკრძალვაზე, შეჩერებაზე დებდა მცირეხნიანი სარგებლისთვის, მასზე დაკისრებული სანქციების შესამსუბუქებლად ან ჰუმანიტარული დახმარების მისაღებად. პარალელურად კი ის ბირთვულ საქმიანობას აგრძელებდა.

ნაშრომმა აჩვენა, რომ ჩრდილოეთ კორეამ შეთანხმებების რღვევით მოიგო დრო, ბირთვული შესაძლებლობების ზრდისთვის და გახდა ბირთვული სახელმწიფო. იგი უკვე ფლობს 60-ზე მეტ ბირთვულ იარაღსა და საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ

რაკეტას, რომელსაც მათი აზრით, აშშ-მდე მიღწევა შეუძლია. ჩრდილოეთ კორეას ბირთვული იარაღი სჭირდება საკუთარი ინტერესებისთვის, თავდაცვისთვის, რეჟიმის ავტონომიისთვის, ის მსოფლიოს აცნობებს, რომ არის საშიში.

ჩემს კვლევაში მიმოვიხილე ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის მარეგულირებელი ნორმები, საჭირო ტექნიკური საკითხები, ჩრდილოეთ კორეის ბირთვული იარაღის საწყისები, ინტერესები, ქვეყანაში არსებული იდეოლოგიები, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის პოლიტიკის წარმართვაში. მიმოვიხილე რეგიონის ქვეყნების ინტერესები ჩრდილოეთ კორეისგან მომდინარე საფრთხისგან დასაცავად და ქვეყნის მიერ რეგიონის ქვეყნებისადმი მტრული დამოკიდებულების შესაძლო მიზეზები. განვიხილე ჩრდილოეთ კორეის აშშ-სთან ურთიერთობის დინამიკა, პრეზიდენტების სხვადასხვა სტრატეგია და მათ შორის გაფორმებული ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები ბირთვულ პროგრამაზე. ასევე გავაანალიზე თუ რა ბირთვული მიღწევები მოჰყვა კონკრეტული შეთანხმებების რღვევას. წინამდებარე ნაშრომმა აჩვენა ჰიპოთეზის დადასტურება, რომელიც ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ შეთანხმებების რღვევის მიზეზად ქვეყნის უსაფრთხოებას, თავდაცვასა და რეჟიმის შენარჩუნებას ასახელებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ამერიკის ხმა. 2018. *პროგრესი თუ ჩრდილოეთ კორეის სტრატეგია სანქციების შესარბილებლად?* ინტერნეტი: <https://www.amerikiskhma.com/a/north-korea-talks/4284890.html>; ბოლო ნახვა, 16 ივნისი, 2018.
- არტი რობერტ, და რობერტ ჯერვისი. 2011. *საერთაშორისო პოლიტიკა. მუდმივი ცნებები და თანამედროვე საკითხები*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ზარამიძე, გივი. 2017. *ჩრდილოეთ კორეის ბირთვული მუქარა და ბრძოლა გეოპოლიტიკური გავლენებისთვის*. ინტერნეტი: <https://1tv.ge/news/chrdiloet-koreis-birtvuli-muqara-da-brdzola-geopolitikuri-gavlenebistvis/>; ბოლო ნახვა, 3 ივნისი, 2018.
- ზურაბიშვილი, თინათინ. 2006. *თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში*. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
- მემმარიაშვილი, ელგუჯა. *ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი*. თბილისი.
- რადიოთავისუფლება. 2017. *ახალი სანქციები ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ*. ინტერნეტი: <https://www.radiotavisupleba.ge/a/akhali-sanktsiebi-chrdiloet-koreis-tsinaamdeg/28731786.html>; ბოლო ნახვა, 3 ივნისი, 2018.
- ღირსიაშვილი, ლევან. 2004. *ანარქიული წესრიგი და ძალთა ბალანსი*. რედაქტორი ზურაბ დავითაშვილი. *საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, ქრესტომათია*. თბილისი: სამოქალაქო ინიციატივების ინსტიტუტი.
- შელინგი, თომას. 2004. „ძალადობის დიპლომატია“. *საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, ქრესტომათია*. თბილისი: სამოქალაქო ინიციატივების ინსტიტუტი.
- ჩიტაშვილი, მარინე. 2004. *სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი*. თბილისი: ლოგოს პრესი.

ხელაშვილი, გიორგი. 2004. „სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი“. თბილისი: ლოგოს პრესი.

Aoyama, Rumi. 2016. "The Kim Jong Un Regime and the Future Security Environment Surrounding the Korean Peninsula". *China's North Korea Policy: The Dilemma between Security and Economic Engagement*. Japan: The National Institute for Defense Studies.

Asbury, Douglas. 2017. *Why does North Korea hate South Korea?* ინტერნეტი: <https://www.quora.com/Why-does-North-Korea-hate-South-Korea>; ბოლო ნახვა, 18 ივნისი, 2018.

Barrett, Brian. 2018. *All The Time North Korea Promised to Denuclearize*. ინტერნეტი: <https://www.wired.com/story/north-korea-summit-denuclearize-history/>; ბოლო ნახვა, 19 ივნისი, 2018.

BBC. 2017. *North Korea nuclear tests: What did they achieve?*. ინტერნეტი: <https://www.bbc.com/news/world-asia-17823706> ; ბოლო ნახვა, 20 ივნისი, 2018.

BBC. 2018. *The three things North Korea wants*. ინტერნეტი: https://www.bbc.com/news/video_and_audio/headlines/44383849/a-north-korean-wishlist-the-three-things-pyongyang-wants; ბოლო ნახვა, 6 ივნისი, 2018.

BBC. 2018. *North Korea crisis in 300 words*. ინტერნეტი: <https://www.bbc.com/news/world-asia-40871848>; ბოლო ნახვა, 17 ივნისი, 2018.

BBC. 2018. *North Korea's missile and nuclear programme*. ინტერნეტი: <https://www.bbc.com/news/world-asia-41174689>; ბოლო ნახვა, 21 ივნისი, 2018.

George, Alexander and Andrew Bennett. 2005. *Case studies and theory development in the social sciences*. Mass.: MIT Press.

Berlinger, Joshua. 2017. *Why North Korea still hates the United States: The legacy of the Korean War*. ინტერნეტი: <https://edition.cnn.com/2017/07/26/asia/north-korea-united-states-relationship/index.html> ; ბოლო ნახვა, 18 ივნისი, 2018.

Bonadies, Greg. 2007. *North Korea: Realpolitik Trumps Nuclear Non-proliferation Regime*. ინტერნეტი:https://www.researchgate.net/publication/313371842_North_Korea_Realpolitik_Trumps_Nuclear_Non-proliferation_Regime#pf2; ბოლო ნახვა, 16 ივნისი, 2018.

Cha, Victor and Katrin Fraser Katz. 2018. *The Right Way to Coerce North Korea*. ინტერნეტი:<https://www.foreignaffairs.com/articles/north-korea/2018-04-01/right-way-coerce-north-korea>; ბოლო ნახვა, 15 ივლისი, 2018.

Council on Foreign Relations. 2018. *North Korean Nuclear Negotiations 1985 – 2018*. ინტერნეტი: <https://www.cfr.org/timeline/north-korean-nuclear-negotiations>; ბოლო ნახვა, 4 ივნისი, 2018.

Davenport, Kelsey. 2017. *The Six-Party Talks at a Glance*. ინტერნეტი:<https://www.armscontrol.org/factsheets/6partytalks>; ბოლო ნახვა, 6 ივნისი, 2018.

Davenport, Kersey. 2018. *Nuclear Weapons: Who Has What at a Glance*. ინტერნეტი:<https://www.armscontrol.org/factsheets/Nuclearweaponswhohaswhat> ; ბოლო ნახვა, 21 ივნისი, 2018.

Democratic People's Republic of Korea. 2011. *Juche Ideology*. ინტერნეტი: http://www.korea-dpr.com/juche_ideology.html; ბოლო ნახვა, 14 ივნისი, 2018.

Griffiths, James. 2018. *North and South Korea vow to end the Korean War in historic accord*. ინტერნეტი: <https://edition.cnn.com/2018/04/27/asia/korean-summit-intl/index.html> ; ბოლო ნახვა, 22 ივნისი, 2018.

Haggard, Stephan. 2017. *What is North Korea's goal with missile tests?* ინტერნეტი:<http://www.sandiegouniontribune.com/military/guest-voices/sd-me-haggard-northkorea-missiles-20170829-story.html>; ბოლო ნახვა, 18 ივნისი, 2018.

Hall, Stephen. 2013. *North Korea, Nuclear Weapons, and International Law*. ინტერნეტი:<http://www.hk-lawyer.org/content/north-korea-nuclear-weapons-and-international-law>; ბოლო ნახვა, 16 ივლისი, 2018.

Hanham, Melissa. 2018. *What Would Denuclearization Look Like in North Korea?* ინტერნეტი: <https://www.cfr.org/interview/what-would-denuclearization-look-north-korea> ; ბოლო ნახვა, 18 ივნისი, 2018.

Hong, Sukhoon. 2013. *Explaining the Pattern of the DPRK's Foreign Policy toward Major States: An Analysis of Domestic Policy Priorities of North Korea on Foreign Policy*. Athens: The University of Georgia.

Hopper, Tristin. 2017. *Inside North Korea's propaganda machine: They hate Japan and the U.S. — but love the Queen*. ინტერნეტი: <http://nationalpost.com/news/world/inside-north-koreas-propaganda-machine>; ბოლო ნახვა, 17 ივნისი, 2018.

InternationalRelations.org. 2017. *North Korea Nuclear Weapons*. ინტერნეტი. <http://internationalrelations.org/north-korea-nuclear-weapons/> ; ბოლო ნახვა, 8 ივნისი, 2018.

Jakobsen, Jo. 2013. *Neorealism in International Relations – Kenneth Waltz*. ინტერნეტი. <http://www.popularsocialscience.com/2013/11/06/neorealism-in-international-relations-kenneth-waltz/>; ბოლო ნახვა, 12 ივლისი, 2018.

Jeong, Suna. 2018. *New Year, New Strategy: Shifting Policies on North Korea in 2018*. ინტერნეტი: <https://www.wilsoncenter.org/blog-post/new-year-new-strategy-shifting-policies-north-korea-2018>; ბოლო ნახვა, 17 ივნისი, 2018.

Koehler, Robert. 2017. *Why Does North Korea Hate Us?* ინტერნეტი: https://www.huffingtonpost.com/entry/why-does-north-korea-hate-us_us_59960349e4b03b5e472cedfb; ბოლო ნახვა, 18 ივნისი, 2018.

Lismen, Bryan. 2017. *North Korea's Grand Strategy*. ინტერნეტი: <https://foreignpolicyblogs.com/2017/10/13/north-koreas-grand-strategy/>; ბოლო ნახვა, 15 ივნისი, 2018.

Litwak, Robert. 2017. *“Preventing North Korea’s Nuclear Breakout”*. Washington: Wilson Centre.

McCurry, Justin. 2017. *North Korea missile launch: regime says new rocket can hit anywhere in US*. ინტერნეტი: <https://www.theguardian.com/world/2017/nov/28/north-korea-has-fired-ballistic-missile-say-reports-in-south-korea>; ბოლო ნახვა, 17 ივნისი, 2018.

McCurry, Justin. 2018. *North Korea halts nuclear and missile tests ahead of planned Trump summit*. ინტერნეტი: <https://www.theguardian.com/world/2018/apr/20/north-korea-suspends-nuclear-missile-tests> ; ბოლო ნახვა, 18 ივნისი, 2018.

Nilsson-Wright, John. 2017. *North Korea crisis: What does Kim Jong-un really want?* ინტერნეტი: <http://www.bbc.com/news/world-asia-40913650>; ბოლო ნახვა, 18 ივნისი, 2018.

Nuclear Threat Initiative. 2018. *North Korea-Country Profile*. ინტერნეტი: <http://www.nti.org/learn/countries/north-korea/>; ბოლო ნახვა, 11 ივლისი, 2018.

NPLG. 2018. *ბალისტიკური რაკეტა*. ინტერნეტი: http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%90 ; ბოლო ნახვა, 15 ივნისი, 2018.

Potts, Morgan. 2015. *The Koreas, Bastion of Cold War Realism*. ინტერნეტი: <https://thediplomat.com/2015/06/the-koreas-bastion-of-cold-war-realism/> ; ბოლო ნახვა, 14 ივლისი, 2018.

Sawe, Benjamin Elisha. 2017. *What Is The Juche Ideology Of North Korea?*. ინტერნეტი: <https://www.worldatlas.com/articles/what-is-the-juche-ideology-of-north-korea.html>; ბოლო ნახვა, 14 ივნისი, 2018.

Sigal, Leon. 2003. *U.S. Interests And Goals On The Korean Peninsula*. ინტერნეტი: <https://nautilus.org/publications/books/dprkbb/uspolicy/dprk-briefing-book-u-s-interests-and-goals-on-the-korean-peninsula/> ; ბოლო ნახვა, 18 ივნისი, 2018.

Snyder, Scott. 2018. *Cognitive Bias and Diplomacy with North Korea*. ინტერნეტი: <https://www.cfr.org/blog/cognitive-bias-and-diplomacy-north-korea>; ბოლო ნახვა, 16 ივლისი, 2018.

Spector, Leonard. 2015. *The Future Impact of North Korea's Emerging Nuclear Deterrent on Nuclear Nonproliferation*. United States of America: US-Korea Institute at SAIS.

Sutcliffe, Kathleen. 2006. *The Growing Nuclear Club*. ინტერნეტი: <https://www.cfr.org/background/growing-nuclear-club>; ბოლო ნახვა, 9 ივნისი, 2018.

THE WEEK. 2018. *North Korea's long history of broken promises*. ინტერნეტი: <http://theweek.com/articles/772503/north-koreas-long-history-broken-promises>; ბოლო ნახვა, 12 ივნისი, 2018.

Vaswani, Karishma. 2018. *Trump and North Korea: Are sanctions reason for planned talks?* ინტერნეტი: <https://www.bbc.com/news/business-43340243>; ბოლო ნახვა, 16 ივნისი, 2018.

Ward, Alex. 2017. *South Korea wants the US to station nuclear weapons in the country. That's a bad idea*. ინტერნეტი: <https://www.vox.com/world/2017/9/5/16254988/south-korea-nuclear-weapons-north-korea-trump> ; ბოლო ნახვა, 18 ივნისი, 2018.

Warrick, Joby and Julie Vitkovskaya. 2018. *North Korea's nuclear weapons: What you need to know*. ინტერნეტი: https://www.washingtonpost.com/news/worldviews/wp/2018/03/06/5-things-to-know-about-north-koreas-nuclear-weapons/?noredirect=on&utm_term=.e23c1bc6540f; ბოლო ნახვა, 13 ივლისი, 2018.

Winnefeld, James and Michael Morell. 2017. *Realism and North Korea*. ინტერნეტი: <https://www.belfercenter.org/publication/realism-and-north-korea>; ბოლო ნახვა, 2 ივნისი, 2018.

Wordpress. 2017. *კომინები და მათი კლასიფიკაცია*. ინტერნეტი: <https://geoarmada.wordpress.com/2013/03/12/%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98->

[%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/#more-1340](#); ბოლო ნახვა, 16 ივნისი, 2018.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tinatin Beridze

Small State in International System: Nuclear Policy of North Korea

Diplomacy and International Politics

Submitted to obtain a Master degree in Diplomacy and International Politics

Supervisor – Pikria Asanishvili, Associate Professor

Tbilisi

2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო გეწაძე

ლიდერის გადაწყვეტილებებისა და შიდასახელმწიფოებრივი
ფაქტორების გავლენა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის
ფორმირებაზე: პრეზიდენტ ბარაკ ობამას ჩაურევლობის
პოლიტიკა სირიაში

სამაგისტრო პროგრამა დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიასა და
საერთაშორისო პოლიტიკაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:

თორნიკე თურმანიძე

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2018

სარჩევი

ანოტაცია.....	3
Annotation.....	4
თავი 1. შესავალი	5
1.1.საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა და ცვლადები	8
1.2. ცვლადების ოპერაციონალიზაცია და ტერმინთა განმარტება	9
1.3. მეთოდოლოგია.....	12
თავი 2. ნეოკლასიკური რეალიზმი.....	16
თავი 3. ლიტერატურის მიმოხილვა	20
თავი 4. ამერიკა, როგორც ლიბერალური ჰეგემონი, 2009-2016 წწ.....	23
თავი 5. პირველი დამოუკიდებელი ცვლადი - პიროვნული ანალიზის დონე	26
5.1. ბარაკ ობამას განხვავებული მიდგომები ლიბიისა და სირიის კრიზისების მიმართ: შედარებითი ანალიზი.....	27
5.2. „ობამას დოქტრინა“.....	33
თავი 6. მეორე დამოუკიდებელი ცვლადი - შიდასახელმწიფოებრივი ანალიზის დონე	43
6.1. პრეზიდენტი, კონგრესი და „პენსილვანია ავენიუს დიპლომატია“	43
6.2. სახალხო აზრი.....	51
6.3. ეკონომიკური და ფინანსური დანახარჯები.....	56
6.4.მედისის როლი, როგორც შუალედური ცვლადი (ლიბია და სირია).....	58
თავი 7. სისტემური დონის ფაქტორები - რუსეთი და ირანი.....	62
თავი 8. ნეოკლასიკური რეალიზმის პრიზმიდან დანახული ბარაკ ობამას ჩაურევლობის პოლიტიკა სირიაში.....	69
თავის 9. დასკვნა	71
გამოყენებული ლიტერატურა	75
დანართი I.....	80
დანართი II.....	83
დანართი III.....	86

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი - „ლიდერის გადაწყვეტილებებისა და შიდასახელმწიფოებრივი ფაქტორების გავლენა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე: პრეზიდენტ ბარაკ ობამას ჩაურევლობის პოლიტიკა სირიაში“ იკვლევს სირიის კონფლიქტის მიმართ ამერიკის საგარეო პოლიტიკის თავისებურებებს ბარაკ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში. ქვეყნის საგარეო პოლიტიკის შესწავლა კომპლექსური საკითხია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ისეთ დიდ სახელმწიფოს შეეხება, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებია. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები საგარეო პოლიტიკის ფორმირებას სხვადასხვა კუთხით ხსნიან. აღნიშნულ ნაშრომში ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკა სირიის კრიზისის მიმართ (2013 წ.) გაანალიზებულია ნეოკლასიკური რეალიზმის თეორიის ჭრილში, რაც გულისხმობს პიროვნული, შიდასახელმწიფოებრივი და სისტემური ანალიზის ფაქტორების მიმოხივლას და მათ შესაძლო გავლენას პრეზიდენტ ობამას საგარეო პოლიტიკურ კურსზე სირიის კონფლიქტის მიმართ.

ნაშრომი მიზნად ისახავს პასუხი გასცეს საკვლევ კითხვას - რა სახის ფაქტორებმა (პიროვნული გადაწყვეტილებები, შიდასახელმწიფოებრივი კონტექსტი, საერთაშორისო გარემო) განსაზღვრა ბარაკ ობამას ჩაურევლობის პოლიტიკა სირიის კონფლიქტში? წინამდებარე კითხვაზე პასუხი ჩამოყალიბებულია თეზისის ჰიპოთეზაში - პრეზიდენტ ობამას პიროვნულმა შეხედულებებმა და აღქმებმა („ობამას დოქტრინა“, ლიბიის გამოცდილება) და ქვეყნის შიგნით არსებულმა ვითარებამ (კონგრესის წინააღმდეგობა, სახალხო აზრი, ეკონომიკური დანახარჯები,) განსაზღვრა სირიის კონფლიქტის მიმართ პრეზიდენტის ჩაურევლობის პოლიტიკა. აღნიშნული გულისხმობს, რომ სისტემური დონის ფაქტორები (მოცემულ შემთხვევაში რუსეთი და ირანი) ყოველთვის არ თამაშობს გადამწყვეტ როლს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში.

ნაშრომის დანიშნულებას წარმოადგენს შესწავლილ იქნას ბარაკ ობამას პოლიტიკური პორტრეტი და აჩვენოს, რომ ლიბიაში განხორციელებულმა სამხედრო ინტერვენციამ შეცვალა პრეზიდენტ ობამას საგარეო პოლიტიკური მსოფლმხედველობა და სერიოზული გავლენა იქონია სირიის მიმართ ოფიციალური ვაშინგტონის მიერ ჩამოყალიბებულ პოლიტიკაზე.

Annotation

The Master thesis – “Influence of political leader`s decisions and domestic context on the formation of state`s foreign policy: president Barack Obama`s non-intervention policy in Syria” studies US foreign policy particularities towards Syria conflict over the presidency of Barack Obama. Analyzing state`s foreign policy is complex, in particular, when one intends to study the foreign policy of such a great power as it is the United States of America. International Relations theories look at the formation of foreign policy of states from different perspectives. This dissertation examines Barack Obama`s foreign policy towards the Syrian crisis (2013) in framework of the Neoclassical realism theory that underlines the importance of individual, domestic and systemic levels of analysis and their potential implication over the President Obama`s foreign political course concerning the Syrian war.

The thesis aims at answering the research question – what factors (personal decisions, domestic context, international environment) determined President Obama`s non-intervention policy in Syria? The answer to the above-mentioned question is introduced in the following hypothesis – President Obama`s personal views and perceptions (“The Obama Doctrine”, lessons-learned from Libya) as well as the domestic situation (Congress resistance, public opinion opposition, economic and financial costs) determined Barack Obama`s hands-off policy towards Syria. It means that systemic level of analysis (in my case Russia and Iran) not always play the decisive role in forming the foreign policy of any state.

The purpose of the thesis is to study the political portrait of Barack Obama and demonstrate that the previous military intervention in Libya transformed President Obama`s perceptions and attitudes, it also seriously influenced official Washington policy regarding the Syria war.

Nino Getsadze (N.G.)

თავი 1. შესავალი

სამაგისტრო ნაშრომი შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების 44-ე პრეზიდენტის, ბარაკ ობამას, ჩაურევლობის პოლიტიკას სირიის კონფლიქტში. სირიაში ასადის ძალადობრივი რეჟიმი დღემდე გრძელდება და სამწუხაროდ, აღნიშნული კრიზისი კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის. გარდა ამისა, საკითხი აქტუალურობას ისევ არ კარგავს, რასაც მოწმობს ამ საკითხის ირგვლივ მიმდინარე დებატები, კონფლიქტის გადაჭრის გზების ძიება და აკადემიური სტატიების სიმრავლე სამეცნიერო-კვლევით წრეებში.

ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს შესწავლილ იქნეს მიმდინარე მოვლენები სირიის კონფლიქტში, არამედ საკვლევი საკითხის ფორმულირება ხდება ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის, ბარაკ ობამას ადმინისტრაციის, მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე სირიის კონფლიქტთან მიმართებაში და ფოკუსი კეთდება იმ ფაქტორების შესწავლაზე, რამაც განაპირობა ბარაკ ობამას არაინტერვენციული პოლიტიკა სირიაში.

ვფიქრობ, აღნიშნული საკითხი, მართლაც, საინტერესოა, როგორც კვლევის საგანი. დღემდე არსებობს სამეცნიერო წრეებში ორაზროვნება ობამას მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. ზოგიერთი მკვლევარი ამერიკის პრეზიდენტის პოლიტიკურ ნაბიჯებს სირიის მიმართ გაუმართლებლად და ამერიკის საგარეო პოლიტიკაში დაშვებულ სერიოზულ შეცდომად მიიჩნევს, ხოლო მკვლევართა მეორე ბანაკის შეხედულებით, ობამას მიერ არჩეული პოლიტიკური კურსი წარმატებული და გონივრულია. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ფაქტია, რომ დღემდე გრძელდება სირიის მიმართ ობამას არჩეული პოლიტიკის და ამ პოლიტიკური კურსისგან მიღებული შედეგების გავლენა თავად სირიაზე, ამერიკაზე, ახლო აღმოსავლეთის რეგიონსა და საერთაშორისო უსაფრთხოებაზე.

სირიის მიმართ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში არჩეული პოლიტიკური კურსის შესახებ უცხოურ კვლევით წყაროებში უამრავი სამეცნიერო მასალა არსებობს და არაერთი საინტერესო კვლევაა ჩატარებული. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ აღნიშნული თემის შესწავლა სხვა კუთხიდანაც შეიძლება. კერძოდ, სიღრმისეული კვლევის ჩატარებით შესაძლებელია შევისწავლოთ თუ როგორ შეიძლება მოახდინოს გავლენა პოლიტიკური ლიდერის პირადმა შეხედულებებმა, იდეებმა და ამავე დროს

შიდასახელმწიფოებრივმა ვითარებამ ქვეყნის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე. სწორედ ამიტომ ჩემი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს მკითხველს დავანახო, რომ მხოლოდ საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე მოვლენები და სახელმწიფოს გარეთ არსებული პოლიტიკური ცვლილებები არ ახდენს გავლენას ქვეყნების საგარეო პოლიტიკური კურსის არჩევანზე. პირიქით, როგორც სირიის მიმართ ობამას ადმინისტრაციის პოლიტიკური კურსიდან გამომჩნდა ლიდერის პირადი აღქმები, მისი შეხედულებები და ქვეყნის შიდა კონტექსტი უზარმაზარი პოლიტიკური ზეწოლის მომხდენი შეიძლება გახდეს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ფორმირებასა და სირიაში ჩაურევლობის პოლიტიკაზე. უცხოურ წყაროებთან შედარებით ბევრად მწირი სამეცნიერო მასალა არსებობს ქართულ აკადემიურ წრეებში ამ თემის ირგვლივ. შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომის უპირველესი პრაქტიკული დანიშნულება იქნება, რომ მან შეავსოს ქართულ კვლევით წრეებში არსებული ვაკუუმი და თქვას ახალი სირიაში ობამას მიერ არჩეულ საგარეო პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით.

ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ფაქტორი, რის გამოც არჩევანი აღნიშნული საკითხის კვლევაზე გავაკეთე, არის მისი განსაკუთრებული და უცნაური ხასიათი. უფრო მეტიც, მივიჩნევ, რომ ობამას პრეზიდენტობის დროს ამერიკის საგარეო პოლიტიკა პარადოქსული და უჩვეულოა. ის მკვეთრად განსხვავდება წინა ათწლეულების მანძილზე ამერიკის სათავეში მყოფი გადაწყვეტილების მიმღები პირების მიერ გატარებულ ხისტი, სამხედრო ინტერვენციული და როგორც ყველასათვის ცნობილია რეჟიმის ცვლილებისკენ (“regime change“) მიმართული კურსისაგან. ამ ყოველივეს საპირისპიროდ, ობამას საგარეო პოლიტიკური აზროვნება საკმაოდ ლიბერალურია, მისი პრეზიდენტობის დროს კი ამერიკა რბილი და შემწყნარებელი ჰეგემონის მახასიათებლებით გამოირჩევა. თუმცა, როგორც უკვე მკითხველისთვისაა ცნობილი, ნაშრომის მიზანს წარმოადგენს არა ობამას საგარეო პოლიტიკის ზოგადი ანალიზი, არამედ კვლევისათვის შერჩეულია ერთი კონკრეტული ქეისი, ობამას ადმინისტრაციის მიერ სირიის კონფლიქტში ჩაურევლობა (2013 წელს ასადის მიერ ქ. დამასკოში ქიმიური იარაღის გამოყენების შემთხვევა) რომელიც, ვფიქრობ, არაერთ კითხვას ბადებს ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევარებს შორის. ამ ყოველივეს ნაშრომის საკვანძო მონაკვეთამდე მივყავართ, რომელიც შემდეგი სახით შეიძლება ჩამოვყალიბოთ: რატომ განსხვავდებოდა პრეზიდენტ ობამას არჩეული პოლიტიკა

და ინტერვენციის ფორმა და მასშტაბები ორი თითქმის ძალზედ მსგავსი კონფლიქტის მიმართ, რომლებიც ლიბიაში და სირიაში მიმდინარეობდა. საერთაშორისო საზოგადოების მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, რომ სირიის კონფლიქტის დროს ამერიკა ამჯერადაც საერთაშორისო პოლიციელის როლს მოირგებდა და სამხედრო ინტერვენციით, ძალის გამოყენებით შეიჭრებოდა და დაამხოდა ასადის ძალადობრივ რეჟიმს სირიაში არ გამართლდა. სწორედ ეს საკითხი იწვევს პირადად ჩემს დაინტერესებას და მსურს შევისწავლო ის თუ რა შეიცვალა ლიბიის შემთხვევის შემდგომ ობამას პოლიტიკურ აზროვნებასა და მსოფლმხედველობაში, რა განმასხვავებელი ფაქტორები გამოიკვეთა ამ ორ შემთხვევას შორის და რამ გადააწყვეტინა პრეზიდენტ ობამას ლიბიის კონფლიქტისგან განსხვავებით, სირიის კონფლიქტის მიმართ არჩევანი ჩაურევლობის პოლიტიკაზე გაეკეთებინა.

ნაშრომი იყოფა რამდენიმე ნაწილად, რათა დეტალურად იქნეს გაანალიზებული ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორი, რასაც შეიძლება გავლენა მოეხდინა ობამას ჩაურევლობის პოლიტიკაზე სირიის კონფლიქტში. თეზისის შესავალ ნაწილში ვაყალიბებ ნაშრომის საკვლევ კითხვას, ჰიპოთეზას, ცვლადებს, მიმოვიხილავ კვლევის სხვადასხვა მეთოდს, რომელთა საშუალებითაც ამომწურავი პასუხი გაეცემა ნაშრომის საკვლევ კითხვას და მოხდება ჰიპოთეზის შემოწმება. მეორე თავში წარმოდგენილი მაქვს ნეოკლასიკური რეალიზმის თეორიის ძირითადი პოსტულატები. აღნიშნული თეორია რომელიც ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ანალიზს ახდენს სამ დონეზე - სისტემური, შიდა პოლიტიკური და პიროვნული, სიღრმისეულად შეისწავლის ჩემი თეზისისთვის შერჩეულ შემთხვევას (ქიმიური იარაღის გამოყენება სირიაში, 2013 წ). სამაგისტრო ნაშრომის მესამე თავი ეთმობა ამ საკითხის ირგვლივ დაწერილი ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას. თეზისის მეოთხე თავში წარმოვადგენ ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დროს 2009-2016 წწ. ამერიკის საგარეო პოლიტიკის ზოგად მიმოხილვას. მეხუთე და მეექვსე თავებში დეტალურადაა ახსნილი და გაანალიზებული სამაგისტრო ნაშრომის დამოკიდებული, დამოუკიდებელი და შუალედური ცვლადები, რაც საშუალებას მაძლევს გამოვკვეთო ცვლადებს შორის არსებული მიზეზშედეგობრივი კავშირი. ამავე თავებში განვიხილავ ინდივიდუალური და შიდასახელმწიფოებრივი ანალიზის დონეებზე სირიაში ბარაკ ობამას არჩეულ პოლიტიკურ კურსს. მეშვიდე

თავში მიმოვიხილავ სისტემური დონის ცვლადებს და საერთაშორისო ფაქტორების შესაძლო გავლენას სირიაში ობამას ჩაურევლობის სტრატეგიაზე. ნაშრომის დასასრულს ობამას არაინტერვენციული პოლიტიკა სირიაში გაანალიზებულია ნეოკლასიკური რეალიზმის თეორიის ჭრილში და ამ თეორიის ძირითადი პოსტულატების საფუძველზე ახსნილია ობამას მოქმედების სტრატეგია სირიის კრიზისის მიმართ. ნაშრომის დასასრულს კი მოცემულია დასკვნა, რომელშიც შეჯამებულია ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევა და ძირითადი მიგნებები.

1.1.საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზა და ცვლადები

აღნიშნულ თავში წარმოვადგენ თეზისის საკვლე კითხვას, ჰიპოთეზას და ცვლადებს. სამაგისტრო ნაშრომის **საკვლევი კითხვის** ფორმულირება შემდეგი სახით მოხდა:

რა სახის ფაქტორებმა (პიროვნული გადაწყვეტილებები, შიდასახელმწიფოებრივი კონტექსტი, საერთაშორისო გარემო) განსაზღვრა ბარაკ ობამას ჩაურევლობის პოლიტიკა სირიის კონფლიქტში?

წარმოდგენილ საკვლევ კითხვაზე პასუხი გაცემულია შემდეგ **ჰიპოთეზაში**:

H1: პრეზიდენტ ობამას პიროვნულმა შეხედულებებმა და აღქმებმა (ობამას დოქტრინა, ლიბის გამოცდილება) და ქვეყნის შიგნით არსებულმა ვითარებამ (კონგრესის წინააღმდეგობა, სახალხო აზრი, ეკონომიკური დანახარჯები,) განსაზღვრა სირიის კონფლიქტის მიმართ პრეზიდენტის ჩაურევლობის პოლიტიკა.

ნაშრომში ასევე წარმოდგენილი მაქვს **მეორე ჰიპოთეზა**, რომლის შემოწმებას და უარყოფას კვლევის პროცესში მოვახდენ, რათა დამტკიცდეს, რომ მხოლოდ საერთაშორისო სისტემიდან მომდინარე ფაქტორები არ ახდენს გავლენას სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკურ არჩევანსა და გადაწყვეტილებებზე.

H2: სირიის კონფლიქტში ჩაურევლობის გადაწყვეტილება პრეზიდენტმა ობამამ მიიღო რუსეთთან და ირანთან (სისტემური ფაქტორები - საერთაშორისო გარემო) დაპირისპირებისაგან თავის არიდების მიზნით.

რაც შეეხება ნაშრომის ცვლადებს, ისინი შემდეგი სახით არიან წარმოდგენილი:

ნაშრომის **ორი დამოუკიდებელი ცვლადი**: 1. პრეზიდენტის გადაწყვეტილებები და შეხედულებები (ლიბიის გამოცდილება და გაკვეთილი, „ობამას დოქტრინა“) და 2. შიდაპოლიტიკური ვითარება (კონგრესის წინააღმდეგობა, სახალხო აზრი, ეკონომიკური და ფინანსური დანახარჯები)

დამოკიდებული ცვლადი: ბარაკ ობამას ჩაურევლობის პოლიტიკა სირიაში

შუალედური ცვლადი: მედიის ფაქტორის გავლენა, რომელმაც განსხვავებული შედეგები მოიტანა ლიბიისა და სირიის ომებში

1.2. ცვლადების ოპერაციონალიზაცია და ტერმინთა განმარტება

პირველი დამოუკიდებელი ცვლადი

პრეზიდენტის გადაწყვეტილებები და შეხედულებები - პრეზიდენტმა ობამამ საკუთარი სუბიექტური აღქმებიდან და დამოკიდებულებებიდან გამომდინარე ფორმულირება გაუკეთა ამერიკის საგარეო პოლიტიკას და ქვეყნის სტრატეგიულ ხედვებს. პრეზიდენტი ბუნებით ლიბერალია, ის ცდილობდა, რომ მისი პირადი შეხედულებები და იდეები თანხვედრაში მოსულიყო საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან და ნორმებთან. საერთაშორისო სისტემაში ამერიკამ, ბარაკ ობამას აზრით, უნდა იმოქმედოს საერთაშორისო ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან მჭიდრო კოორდინაციაში. ეს პრეზიდენტის ზოგადი ხედვებია, რომელზეც, ფაქტების ანალიზის საფუძველზე, სერიოზულ გავლენას ახდენს წარსულში მომხდარი მოვლენები. პრეზიდენტ ობამას გადაწყვეტილებები ყალიბდება წინა გამოცდილების შესწავლითა და გაანალიზებით. ზუსტად ამ დასწავლის მეთოდით იხელმძღვანელა პრეზიდენტმა, როცა 2011 წელს ლიბიაში ინტერვენციის შემთხვევა სირიის კრიზისთან დაკავშირებით პოლიტიკის შემუშავებაში გაითვალისწინა.

“ობამას დოქტრინა” - ამერიკის 44-ე პრეზიდენტის, ბარაკ ობამას, შეხედულებების და მოსაზრებების კრებული ამერიკის საგარეო პოლიტიკასთან და ქვეყნის როლთან დაკავშირებით საერთაშორისო სისტემაში. „ობამას დოქტრინა“ წარმოადგენს ამერიკელი ჟურნალისტის, „The Atlantic“-ის მთავარი რედაქტორის, ჯეფრი მარკ გოლდბერგის საკმაოდ ვრცელ სტატიას, რომელიც ამავე ჟურნალში 2016 წელს დაიბეჭდა და დიდი გამოხმაურება ჰპოვა მთელ მსოფლიოში. ამერიკის წინამორბედი

პრეზიდენტებისგან განხვავებით, ობამას დოქტრინა არ არის ამერიკის ოფიციალური პოლიტიკის დოკუმენტი, არამედ ამ სტატიაში ჟურნალისტს თავმოყრილი აქვს სხვადასხვა დროს ობამასთან ჩაწერილი ინტერვიუები, პრეზიდენტის ოფიციალური განცხადებები, სიტყვით გამოსვლები და საუბრები სახელმწიფო მოღვაწეებთან. ობამას დოქტრინის საშუალებით, მკითხველი ეცნობა და აანალიზებს პრეზიდენტის თვალთ დანახულ ამერიკის საგარეო პოლიტიკას და სტრატეგიებს. (Goldberg, 2016).

მეორე დამოუკიდებელი ცვლადი

კონგრესის წინააღმდეგობა - ამერიკის საკანონმდებლო ორგანოს წინააღმდეგობა 2013 წლის სექტემბერში, სირიაში ბარაკ ობამას შესაძლო ინტერვენციასთან დაკავშირებით გამოიხატა შესაბამისი რეზოლუციის არმილების გადაწყვეტილებით. ფაქტობრივად, ამერიკის კონგრესმა ამ ნაბიჯით ზურგი აქცია პრეზიდენტის ადმინისტრაციას. კონგრესის რეზოლუციის გარეშე საზოგადოების თვალში ბარაკ ობამას სამხედრო მოქმედებები სირიაში არაკონსტიტუციურად ჩაითვლებოდა. საინტერესოა, რომ 2011 წლის ლიბიის ინტერვენციასაც არ ახლდა თან კონგრესის სანქცირებული ნებართვა, (მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუცია არსებობდა) მაგრამ, მიუხედავად ამისა, პრეზიდენტმა ობამამ მაინც გადაწყვიტა სამხედრო იერიშის მიტანა კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ. სწორედ ამ განხვავებების შესწავლა წარმოადგენს ნაშრომის ერთ-ერთ საკვანძო ნაწილს.

სახალხო აზრი - ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დროს ლიბიაში (2011) და სირიაში (2013) ინტერვენციების მიმართ ამერიკის მოსახლეობის დამოკიდებულების დასადგენად ვიყენებ რამდენიმე ამერიკული კვლევითი ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ გამოკითხვებს. ძირითადად ვყვრდნობი Gallup-ის, CNN-ORC-ის, Washington Post-ის და Pew Research Center-ის კვლევებს, რაც საშუალებას მძლევს შევისწავლო სამხედრო ინტერვენციებთან დაკავშირებით ამერიკის საზოგადოების დამოკიდებულების ცვლილების დინამიკა.

ეკონომიკური და ფინანსური დანახარჯები - სირიაში შესაძლო ინტერვენციის ფინანსური დანახარჯები იყო ერთ-ერთ მოტივი, რის გამოც ობამას ადმინისტრაციამ თავი შეიკავა კონფლიქტში ჩართვისაგან. ამას თან ერთვოდა ერაყის და ავღანეთის ომებში დაკარგული ადამიანური, სამხედრო და ეკონომიკური რესურსები. ვფიქრობ,

სწორედ დიდი ფინანსური ხარჯებისგან თავის არიდების მიზნით ჩაერთო პრეზიდენტი ობამა ლიბიაში საერთაშორისო კოალიციასთან და ნატოსთან ერთად და განახორციელა ერთობლივი საჰაერო დარტყმები კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ, რაც ნაკლებად ხარჯიანი და მსხვერპლის მომტანი იყო. სირიის შემთხვევაში კი პრეზიდენტ ობამა შემოიფარგლა მხოლოდ სირიელი ოპოზიციური ძალების წვრთნისა და აღჭურვის პროგრამით (Sharp, 2013).

დამოკიდებული ცვლადი

პრეზიდენტ ობამას სირიაში ჩაურევლობის პოლიტიკა გულისხმობს ამერიკის 44-ე პრეზიდენტის გადაწყვეტილებას არ განეხორციელებინა სირიის კრიზისში ამერიკის სამხედრო ინტერვენცია, რასაც შესაძლოს მოჰყოლოდა ასადის ძალადობრივი რეჟიმის დამხობა. ნაშრომის ძირითადი ნაწილი დაეთმო 2013 წელს დამასკოში ასადის მიერ მომწამვლელი გაზის გამოყენებასთან დაკავშირებით ბარაკ ობამას თავშეკავების პოლიტიკას და პრეზიდენტის პოლიტიკაზე სხვადასხვა ფაქტორის გავლენის შესწავლას.

შუალედური ცვლადი

მედიის როლი - სირიისა და ლიბიის კრიზისების დროს ამერიკის მედია საშუალებებით უქედებოდა ის სისხლისღვრა და ძალადობა, რასაც ასადის და კადაფის რეჟიმები ახორციელებდნენ საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ. მიუხედავად ჟურნალისტების აქტიურობისა და მსოფლიო მედიის მიერ ამ კონფლიქტების მისამართით გამოხატული ყურადღებისა, ე.წ. „CNN ეფექტი“ განსხვავებული შედეგების მომტანი აღმოჩნდა ლიბიასა და სირიაში. ჩვეულებისამებრ, მედია გავლენას ახდენს სახალხო აზრის ჩამოყალიბებასა და პოლიტიკური ლიდერის დამოკიდებულებებზე, მაგრამ ლიბიისგან განსხვავებით, სირიის შემთხვევაში მედიამ, რომელიც ასე აქტიურად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე ჰუმანიტარულ კატასტროფას და ძალადობას, მაინც ვერ შეძლო სახალხო განწყობის, კონგრესის პოზიციის და თავად ობამას გადაწყვეტილების ცვლილება და მათი დაყოლიება განეხორციელებინათ სამხედრო ინტერვენცია. სწორედ ამიტომ მსურს მკითხველს დავანახო, რომ ლიბიის კონფლიქტში მედიას ჰქონდა შუალედური ცვლადის დატვირთვა, მაგრამ სირიის ომის დროს მან ვეღარ შეასრულა შუალედური ცვლადის

როლი და შესაბამისად, ვერაღ იქონია გავლენა პრეზიდენტ ობამას არაინტერვენციულ პოლიტიკაზე სირიაში.

ტერმინთა დეფინიცია:

ჰუმანიტარული ინტერვენცია

კაცობრიობის სახელით სახელმწიფოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ძალების შეჭრა ნებისმიერი ძალადობრივი ფორმით, რომლის მიზანია ამ ქვეყნის მოქალაქეთა ძირითადი უფლებების დაცვა, მაშინ, როდესაც ადგილობრივ რეჟიმს არ სურს, ან არ შეუძლია ამის გაკეთება (Jayakumar, 2012).

მულტილათერალიზმი/მრავალმხრივობა

ტერმინი საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელიც მინიმუმ სამი ქვეყნის ერთ საერთო საკითხზე თანამშრომლობას გულისხმობს. ხშირად მრავალმხრივობა ინსტიტუციონალურად ფორმდება და რეგიონული ან საერთაშორისო ორგანიზაციის სახით წარმოჩინდება, მაგ. გაერო, ნატო და ა.შ. (Nuscheler, 2001).

უნილათერალიზმი/ცალმხრივობა

ტენდენცია, როდესაც სახელმწიფოები ცდილობენ საგარეო პოლიტიკის წარმოებას დამოუკიდებლად. ხასიათდება კონსულტაციის მინიმალური ხარისხით და სხვა ქვეყნების, მათ შორის მოკავშირეების, ჩაურთველობით გადაწყვეტილების მიღების პროცესში (Nuscheler, 2001).

1.3. მეთოდოლოგია

სამაგისტრო ნაშრომის საკვლევ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გასაცემად შევარჩიე თვისებრივი კვლევის მეთოდი. თავდაპირველად მსურს აღვნიშნო, რომ თვისებრივი კვლევის მეთოდი უკეთ მეხმარება შერჩეული თემის სიღრმისეულ ანალიზსა და შესწავლაში, რადგან:

„თვისებრივი მეთოდის გამოყენების შედეგად მკვლევრებს ეძლევათ შესაძლებლობა შენიშნონ, დააფიქსირონ და ახსნან ადამიანების ქცევის ისეთი ნიუანსები, რომლებიც შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებისას.

თვისებრივი მეთოდების მეშვეობით ჩვენ უფრო ღრმა ცოდნას ვიღებთ იმ ხალხის შესახებ, ვის ცხოვრებას ან ვის მოსაზრებებსაც შევისწავლით; ჩვენ არა მხოლოდ ვაფიქსირებთ მათ მიერ გამოთქმულ აზრებს, არამედ აგრეთვე საშუალებას ვაძლევთ ახსნან თავისი პოზიცია, თქვან თუ რატომ ფიქრობენ ისე როგორც ფიქრობენ, რა ფაქტორებმა იქონიეს გავლენა მათ ცხოვრებაზე. ამ მეთოდის ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება ისაა, რომ ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ და აღვწეროთ სამყარო კვლევის ობიექტების თვალთ“ (ზურაბიშვილი, 2006, 7).

აღნიშნულიდან გამომდინარე თვისებრივი მეთოდი მეხმარება სიღმისეულად შევისწავლო პრეზიდენტ ობამას აზროვნების სტილი და მისი შეხედულებები. თავად პრეზიდენტის მიერ წარმოთქმული ოფიციალური განცხადებების ერთმანეთთან შედარებით და პრეზიდენტთან ჩაწერილი ინტერვიუების მეშვეობით („ობამას დოქტრინა“) შესაძლებელი ხდება იმ ფაქტორების გამოკვლევა, რამაც პრეზიდენტის მსოფლმხედველობასა და აღქმებზე იქონია გავლენა.

თვისებრივი კვლევის მეთოდის ტექნიკებიდან თეზისში გამოყენებული მაქვს შემთხვევის შესწავლა (Case Study). ერთეული შემთხვევის შესწავლა მიზნად ისახავს წინასწარ შერჩეული მოვლენის, სიტუაციისა თუ ფენომენის სიღრმისეულ ანალიზს და აღწერას, რათა აღმოჩენილ იქნას საინტერესო კავშირები მოვლენის შემადგენელ ელემენტებს შორის (Yin, 2014). 2011 წელს ლიბიაში ამერიკის ინტერვენცია და 2013 წელს სირიაში ობამას ჩაურევლობის პოლიტიკა სწორედ ამ მეთოდის შესაბამისად არის გაანალიზებული ნაშრომში.

თეზისში გამოყენებულია ინდუქცია, შემეცნების ისეთი მეცნიერული მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, მივიღოთ ძირითადი დასკვნა ცალკეული ფაქტების საფუძველზე, ანუ ესაა აზროვნების მოძრაობა კერძოდან ზოგადისაკენ (Blaikie, 2004). აღნიშნული მეთოდის შერჩევა გადაწყვიტე ორი მიზეზის გამო: სირიაში პრეზიდენტ ობამას ჩაურევლობის პოლიტიკასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების განზოგადებით ნაჩვენებია, თუ რა სახის გავლენა შეიძლება იქონიოს ლიდერის სუბიექტურმა იდეებმა, შეხედულებებმა და ეროვნულ დონეზე არსებულმა კონტექსტმა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე. გარდა ამისა, ინდუქციური მიდგომის საშუალებით, ასევე, შესაძლებელია პრეზიდენტ ობამას პიროვნების განზოგადება და მისი მსგავსი ღირებულებების და მახასიათებლების

მატარებელი პოლიტიკური ლიდერის ჩამოყალიბება. ობამას მაგალითით თუ ვიხელმძღვანელებთ, შეცდომის განმეორების თავიდან არიდების მიზნით პრეზიდენტი ე.წ. დასწავლის მეთოდით მხედველობაში იღებს უკვე მომხდარ შემთხვევებს და გამოცდილებას.

მოცემული თავში დეტალურად მექნება საუბარი იმ კვლევითი ტექნიკებისა და საშუალებების შესახებ, რომლებიც მეხმარებიან მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროცესში.

თეზისში ვიყენებ თვისებრივი კვლევის ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ ხერხს ჩაღრმავებულ ინტერვიუს, რომელიც ამერიკაში სამსახურეობრივი მივლინების დროს ჩავწერე ჩრდილო ჯორჯიის უნივერსიტეტის ორ პროფესორთან (პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, მეგან ჰოსერი და ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სპეციალისტი, დოქტორი მონიკა ფრიჩლი). რესპოდენტებისგან მიღებული პასუხებით შესაძლებელია უკეთ შევისწავლო ობამას დროს შიდასახელმწიფოებრივი ფაქტორების გავლენის ხარისხი პრეზიდენტის გადაწყვეტილებებზე და რუსეთის, როგორც სისტემური დონის აქტორის, დამოკიდებულება სირიასთან და ამერიკასთან მიმართებაში. რადგან ნაშრომი ეძღვნება პრეზიდენტ ობამას საგარეო პოლიტიკას, იდეალური ვარიანტი იქნებოდა თავად პრეზიდენტისგან ამელო ინტერვიუ. სამწუხაროდ, უამრავი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის გამო აღნიშნულის განხორციელება ვერ მოხერხდებოდა. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ ამერიკელ პროფესორებთან ჩაწერილი ინტერვიუები ფასეული დამხმარე მასალაა ჩემი კვლევისათვის.

სირიის მიმართ პრეზიდენტ ობამას პოლიტიკის შესასწავლად საჭირო ინფორმაციის მოძიება და დამუშავება ხდება ამერიკის 2010 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის, პრეზიდენტის სხვადასხვა ოფიციალური განცხადებების და ჩანაწერების გაანალიზებით. სახალხო აზრის შესასწავლად დავეყრდენი მეორეულ წყაროებს, ამერიკული კვლევითი ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ გამოკითხვებს (Gallup, Washington Post, CNN/ORC, Pew Research Center). მიღებული შედეგების განზოგადებით ცხადი ხდება, რომ ამერიკის მოსახლეობის უმრავლესობა წინააღმდეგი იყო სირიაში ობამას ინტერვენციული პოლიტიკის. კვლევითი მონაცემების მოძიებაში, ასევე, ძალიან დამხმარა ოფიციალური ინტერნეტ მასალები

და აკადემიური ლიტერატურა. ეკონომიკურ და სამხედრო დანახარჯებთან დაკავშირებით თეზისში გამოყენებულია სტატისტიკური ანალიზიც.

პროცესის მიდევნება (Process tracing), როგორც თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი მეთოდი, აკვირდება უშუალოდ პროცესს, მოვლენების განვითარებას დროის გარკვეულ შუალედში. აღნიშნული მეთოდი ჩამოაყალიბეს, როგორც ქეისების ანალიზისათვის აუცილებელი კომპონენტი. ის პირველ რიგში აკვირდება არა ცვლილებებს და მოვლენების თანმიმდევრულობას, არამედ მნიშვნელოვან ნაბიჯებს (Collier, 2011). ის გულისხმობს გარკვეული დროის შუალედში მოქცეული მოვლენის ისტორიულ ახსნას. ისტორიული ახსნა თავის მხრივ არ უნდა გავიგოთ, როგორც მხოლოდ თანმიმდევრული მოვლენების აღწერა, არამედ ცალკეულ ნაბიჯებს შორის მიზეზობრივი კავშირების განსაზღვრაც. ამ მეთოდის გამოყენებით მეცნიერმა უნდა აჩვენოს რა განსხვავება არსებობდა ორ სხვადასხვა შემთხვევას შორის, როგორ იყვნენ ისინი ერთმანეთზე დამოკიდებული და რომელმა შემთხვევამ რა გამოიწვია (Bennett, George, 1997). ვფიქრობ, პროცესის მიდევნების მეთოდით კარგად აიხსნება ყველა ის მსგავსება და განხვავება, რაც ლიბიასა და სირიის შემთხვევებს შორის არსებობდა და რამაც პრეზიდენტ ობამას გადმოსახედიდან ერთმანეთზე დამოკიდებული გახადა ლიბიისა და სირიის შემთხვევები.

თავი 2. ნეოკლასიკური რეალიზმი

სირიაში ბარაკ ობამას ჩაურევლობის პოლიტიკის ასახსნელად ვიყენებ ნეოკლასიკური რეალიზმის თეორიას. აღნიშნული თეორიის შემუშავება მოხდა გიდეონ როზის მიერ 1998 წელს და ეს თეორია შეისწავლის სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკას საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის და სახელმწიფოს შიდა ფაქტორების კომპლექსური ინტერაქციის საფუძველზე. აღნიშნული თეორიის მიხედვით, სახელმწიფოსათვის უსაფრთხოება არ არის უმთავრესი მიზანი, არამედ ქვეყნები მიისწრაფვიან საერთაშორისო სისტემის ცვლილებისაკენ საკუთარი პრიორიტეტებიდან და ძალაუფლებიდან გამომდინარე (Firoozabadi, 2016). როზის მიხედვით, ნეოკლასიკური რეალიზმი აერთიანებს გარე და შიდა სახის ცვლადებს და აცხადებს, რომ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ამბიციები განისაზღვრება და ნაკარნახევია უპირველესად თავად ამ სახელმწიფოს ადგილით საერთაშორისო სისტემაში და მისი შედარებითი მატერიალური ძალაუფლებით სხვა სახელმწიფოებთან. სწორედ ამ ფაქტორების გამო მიაკუთვნებენ ამ თეორიას რეალიზმს. ამას გარდა, თეორია ასევე ამბობს, რომ სახელმწიფოს ძლიერების გავლენა ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე საკმაოდ კომპლექსური და არაპირდაპირია, რადგან საჭიროა შუალედური ცვლადების გამოყენებით საერთაშორისო სისტემიდან მომდინარე ზეწოლის გარდაქმნა სახელმწიფოს შიგნით არსებულ რეალობაში. ამ მიზეზის გამო ეს თეორია მიეკუთვნება ასევე ნეოკლასიკურს. (Gideon, 1998).

საგარეო პოლიტიკის შესწავლა ნეოკლასიკური რეალიზმის წარმომადგენლების მიერ ხორციელდება მიკრო და სისტემური დონის ფაქტორების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე, რაც ჩემი აზრით, კიდევ უფრო მეტ ხიბლს ქენს ამ თეორიას სხვა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებთან შედარებით. ნეოკლასიკური რეალიზმის თეორიით, ვფიქრობ, უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი ხდება სირიაში ობამას საგარეო პოლიტიკის კვლევა, რადგან სხვადასხვა ურთიერთშემასვებელი ფაქტორის საშუალებით ყურადღება გამახვილებულია სისტემური დონის ფაქტორების გარდა ლიდერის სუბიექტურ დამოკიდებულებებსა და სახელმწიფოს შიდა სტრუქტურაზე.

ნიკოლას კიტჩენი თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ ნეოკლასიკური რეალიზმის უმთავრესი ამოცანაა შეისწავლოს ქვეყნის შიდა პოლიტიკა (Innepolitik), რაც შემდეგ საკითხებს აერთიანებს - სახელმწიფოს ძალაუფლება და ეროვნულ დონეზე მიმდინარე პროცესები, ლიდერის აღქმები და იდეები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება საერთაშორისო სისტემიდან მომდინარე პრობლემებთან წინააღმდეგობის გასაწევად (Kitchen 2010).

იმავე სტატიაში ავტორი ამბობს, რომ ნეოკლასიკური რეალიზმისთვის იდეები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს. სახელმწიფო ინდივიდების ერთობლიობაა, რომლებიც ქმნიან და აყალიბებენ სისტემებს, ინსტიტუტებს, ბიუროკრატias და ძლიერ ლიდერებს. ამ მხრივ საინტერესოა გამოვიკვლიოთ თუ რომელ იდეებზე დაყრდნობით იღებენ ლიდერები გადაწყვეტილებებს, ანუ რა არის ის სახელმძღვანელო იდეები, რომლებსაც ისინი ანიჭებენ უპირატესობას. იდეები ორ კატეგორიად იყოფა. 1) ხარისხიანი იდეები, როცა იდეებს შორის არსებობს თავსებადობა, რაც ასევე თანხვედრაში მოდის რეალურ ფაქტებთან, 2) თავად იდეის ავტორის, პოლიტიკური ლიდერის, ინტელექტუალური შესაძლებლობები და საკუთარი აზრის დაცვის უნარი. მასასადამე, იდეის სიძლიერე, რაც გამოიხატება მის უნარში გავლენა მოახდინოს და შეძლოს საზოგადოების დარწმუნება ამა თუ იმ ისტორიულ მონაკვეთში, დამოკიდებულია გავლენიან იდეასა და ამ იდეის ავტორის ავტორიტეტულობაზე. აქედან გამომდინარე, როგორც სტატიის ავტორი ამბობს უნდა ვაღიროთ, რომ გარკვეული იდეები სხვებთან შედარებით უკეთესი და პროგრესულია. უფრო მეტიც, ნებისმიერი იდეა ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე პირაპირ გავლენას მოახდენს თუ ის ძლიერი ლიდერის, გავლენიანი პოლიტიკური ფიგურის მიერ არის წარმოდგენილი (Kitchen 2010).

რანდალ შველერი საკუთარ სტატიაში აღნიშნავს, რომ ნეოკლასიკური რეალიზმის თეორია აღწერილობითი თეორიების კატეგორიას განეკუთვნება და მას საერთო არაფერი აქვს რეკომენდაციის, რაიმე ინსტრუქციის მომცემ თეორიებთან, რადგანაც ეს თეორია წინასწარ არ კარნახობს რომელიმე ქვეყანას პოლიტიკური ქცევის რაიმე კონკრეტულ კურსს და ასევე, აცხადებს, რომ სხვადასხვა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში არსებული მოცემულობიდან და ლიდერების განსხვავებული პირადი

შეხედულებებიდან გამომდინარე განსხვავებულ მოქმედების სტრატეგიას აირჩევს (Schweller 2004).

ნეოკლასიკური რეალიზმი სამ ჰიპოთეტიკურ სცენარს ავითარებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება, რომ სახელმწიფოზე იდეები მეტ გავლენას ახდენდნენ ვიდრე ინტერესები.

1. სახელმწიფოებს, რომლებიც ფლობენ განსაკუთრებით დიდ ძალაუფლებას აქვთ მიდრეკილება შექმნან იდეებზე დაფუძნებული პოლიტიკა. ჯეფრი ლეგროს მიხედვით, სუპერ სახელმწიფოების იდეები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან ისინი ხელმძღვანელობენ სისტემაში მიმდინარე პროცესებს და სუპერ ძალებს შორის ძალაუფლების გადანაწილება უნებლიეთ იწვევს „მიწისძვრის მსგავს ეფექტებს“ საერთაშორისო სისტემაში. ჰეგემონური, იმპერიული სახელმწიფოები საკუთარი სტრატეგიული იდეებიდან გამომდინარე მოქმედებენ, რომლებიც ხშირად იცვლებიან ენდოგენური თუ ეგზოგენური პროცესებიდან გამომდინარე.
2. მეორე სცენარი მოიცავს იმ ტიპის სახელმწიფოებს, რომლებშიც გარკვეული იდეები მკაცრად ინსტიტუციონალიზებული და კულტურულად შერწყმულია საზოგადოებაში. იდეები, რომლებიც ჰქმნიან ეროვნულ იდენტობასა და სტრატეგიულ კულტურას ქვეყანაში ქვეცნობიერად გაზიარებულია მმართველი ელიტის ან საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული ინსტიტუტების მიერ.
3. მესამე სცენარი დაკავშირებულია დიქტატორული რეჟიმის სახელმწიფოებთან, სადაც პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიღება ინდივიდის ან ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მიერ და სხვა ალტერნატიულ აზრს არ აქვს უპირატესობის მოპოვების უფლება (Kitchen 2010).

ჩემი აზრით, ზემოთწარმოდგენილი სცენარებიდან პირველი ორი კარგად ეხმიანება და ხსნის ამერიკის, როგორც ერთ-ერთი ჰეგემონი ძალის, პოზიციას და ბარაკ ობამას იდეების გავლენის ხარისხს სირიის კონფლიქტთან დაკავშირებით. თუ დავაკვირდებით სწორედ ობამას იდეებმა, აღქმებმა და სუბიექტურმა შეხედულებებმა, ასევე ქვეყნის შიგნით მოქმედმა პოლიტიკურმა ინსტიტუტებმა და ამ ინსტიტუტების მიერ გაზიარებულმა რწმენებმა იქონია უზარმაზარი გავლენა

სირიაში ამერიკის სამხედრო და პოლიტიკურ ჩაურევლობაზე და უკანა პლანზე გადაიტანა ის სისტემური ფაქტორები, რომლებიც საერთაშორისო გარემოდან მომდინარეობდა.

თავი 3. ლიტერატურის მიმოხილვა

წინამდებარე თავში მიმოვიხილავ კვლევის ჩატარების პროცესში მოძიებულ ძირითად აკადემიურ ლიტერატურას და სამეცნიერო წყაროებს, რომელთა საშუალებითაც საშუალება მომეცა აღნიშნული ნაშრომი სრულყოფილად დამეწერა. მიუხედავად იმისა, რომ სირიის ომის, ამ ომში ჩართული ადგილობრივი, რეგიონული თუ საერთაშორისო აქტორების, შესახებ უამრავი სამეცნიერო მასალაა გამოცემული, ასევე ბევრი იწერება სირიის შეიარაღებული კონფლიქტის გადაჭრის გზების შესახებ, ვფიქრობ, საფუძვლიანად გაანალიზებული არ არის ბარაკ ობამას, როგორც ამერიკის პირველი პირის, ჩაურევლობის არჩევანი სირიის კრიზისში. აქედან გამომდინარე, ჩემი სამაგისტრო ნაშრომის უპირველესი დანიშნულებაა შესავსოს ამ თემის ირგვლივ არსებული ინფორმაციული ვაკუუმი და გაანალიზოს ობამას ადმინისტრაციის პერიოდში ამერიკის საგარო პოლიტიკის დამოკიდებულება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე ერთ-ერთი ცხელი კონფლიქტის მიმართ.

რადგანაც კვლევის უპირველესი ამოცანაა შევისწავლო პრეზიდენტ ობამას პოლიტიკური აღქმები და ქცევები, ამიტომ ამერიკულ ჟურნალ „The Atlantic“-ში ჟურნალისტ გონდერბერგის ავტორობით დაბეჭდილი სტატია - „ობამას დოქტრინა“ (2016) წარმოუდგენლად ფასეულ წყაროს წარმოადგენს პრეზიდენტის პოლიტიკური პორტრეტის შესასწავლად. რადგანაც ეს სტატია არის ბარაკ ობამასთან სხვადასხვა პერიოდში ჩაწერილი ინტერვიუების, მისი განცხადებების კრებული, ამიტომ მიადვილდება ლოგიკური ჯაჭვი დავინახო პრეზიდენტის მიერ წარმოთქმულ ფრაზებსა და მის შემდეგ მოქმედებებს შორის.

რაც შეეხება სირიის კონფლიქტის დამოკიდებულებას ლიბიაში განხორციელებულ ინტერვენციაზე, ამ მხრივ საინტერესო მასალებს გავეცანი სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალში. მათ შორის აღსანიშნავია „The New Yorker“-ის სტატია სახელწოდებით „Consequentialist“, ასევე Fox News-ისთვის პრეზიდენტის მიერ მიცემული ინტერვიუ, სადაც პრეზიდენტი აცხადებს, რომ მისი უდიდესი პოლიტიკური შეცდომა ლიბიაში განხორციელებული ინტერვენცია იყო (Barakat, 2016).

რაც შეეხება შიდასახელმწიფოებრივ დონეზე არსებული ფაქტორების გავლენას პრეზიდენტ ობამას საგარეო პოლიტიკურ აზროვნებაზე, ამ მხრივ ნაშრომში

ჯენტლესონის (2010) წიგნის თანახმად, გამოვკვეთ იმ ძირითად შემთავებელ ფაქტორებს, რომლებიც წინააღმდეგობას უწევს პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკურ კურსს სირიაში და როგორც აღმოჩნდა მხოლოდ აღმასრულებელი შტოს პეროგატივას როდი წარმოადგენს თურმე ამერიკის საგარეო პოლიტიკის და საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების განსაზღვრა. სწორედ ამ საკითხის შესახებ საუბრობს, ასევე, ჩემს ინტერვიუში, რესპოდენტი ჩრდილო ჯორჯიის უნივერსიტეტიდან. ჯენტლესონის წიგნის მიხედვით (2010), თეზისში ცალ-ცალკე მიმოვიხილავ პრეზიდენტ-კონგრესის დაპირისპირებას და მედიის როლის გავლენას პოლიტიკურ ისტაბლიშმენტზე. მედიის როლი, როგორც შუალედური ცვლადი, ცალ-ცალკე მაქვს გაანალიზებული ლიბიისა და სირიის ომებში. ნაშრომში ერთ-ერთი სტატიის მიხედვით ვსაუბრობ ე.წ. “CNN Effect”-ის გავლენის შესახებ სირიის კონფლიქტში (Doucet, 2018) და ამასთანავე, წარმოდგენილი მაქვს შედარება თუ რა სიხშირით შუქდებოდა და იბეჭდებოდა სირიისა და ლიბიის შესახებ ახალი ამბები ბეჭდურ მედიასა თუ საკაბელო არხებზე (Moore, 2013). რაც შეეხება სახალხო აზრის დამოკიდებულების შესწავლას, ამას სხვადასხვა ამერიკული ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ანგარიშებისა და გამოკითხვების მიხედვით ვადგენ (Gallup, Pew Research, CNN Poll, Washington Post), რომელიც პროცენტული მაჩვენებლით გადმოსცემს საზოგადოების განწყობებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. ეკონომიკურ და ფინანსური ანალიზს ვაკეთებ ჰარვარდის კენედის სკოლის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, სადაც კვლევის ავტორი საუბრობს იმ ფინანსური მემკვიდრეობის შესახებ, რაც ერაყისა და ავღანეთის ომებმა მოუტანეს ამერიკას და რითიც სამომავლოდ განისაზღვრება ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული სახელმწიფო ბიუჯეტის ოდენობა (Bilmes, 2013). ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით სისტემური დონის ფაქტორების ახსნისთვის ვეყრდნობი ორ ძირითად წყაროს. ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის (2010) და ამერიკის საგარეო პოლიტიკის 4P-ს პრინციპს (Jentleson, 2010), რაც სრულ თანხვედრაში მოდის ზემოაღნიშნულ სახელწიფო დოკუმენტთან. რაც შეეხება რუსეთისა და ირანის სახელწიფოებრივ ინტერესებს და მათ დაინტერესებას სირიის კონფლიქტით აქ უკვე ვიყენებ “The National Interest”-ში (Menon, 2015) “The Washington Post”-ში (Tucker, 2015) დაბეჭდილ სტატიებსა და ინტერვიუებს.

ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკას სირიის შეიარაღებული კონფლიქტის მიმართ შევისწავლი ნეოკლასიკური რეალიზმის თეორიით. თეორიის ფუძემდებლები (Rose, 1998), (Schweller, 2004), და ამ თეორიის სხვა წარმომადგენლები (Kitchen, 2010) აღნიშნავენ, რომ საგარეო პოლიტიკის ფორმირება ხდება საერთაშორისო სისტემის სტრუქტურისა და სახელმწიფოს შიდა ფაქტორების (ელიტების დამოკიდებულებები, ინტერესთა ჯგუფები) გაანალიზების და მათი ურთიერთკავშირის საფუძველზე. იდეები, აღქმები მნიშვნელოვანია, სახელმწიფო წარმოადგენს ინდივიდების ერთობლიობას, რომლებიც ქმნიან სისტემას, ბიუროკრატias, ინსტიტუტებს და ძლიერ ლიდერებს და სახელმწიფოს შიდა მახასიათებლები კარნახობენ ლიდერებს თუ როგორ შეაფასონ გარე საფრთხეები, შესაძლებლობები და ამის მიხედვით მიიღონ მოქმედების სტრატეგია. ვფიქრობ, თეორიის ძირითადი პოსტულატები ზუსტად ასახავს ბარაკ ობამას პოლიტიკურ პროგრამას სირიის ომში (2013).

ნაშრომში დამხმარე წყაროებად, ასევე, გამოყენებული მაქვს ამონარიდები სხვა ოფიციალური სახელმწიფო დოკუმენტებიდან (US Defence Strategic Guidance, 2012, Concept of the Foreign Policy of the Russian Federation, 2013) და გამოყენებული მაქვს სხვადასხვა სამეცნიერო მასალა, სტატისტიკური მონაცემი, გრაფიკები და ინტერვიუები, რომელთაც ძირითად ამერიკულ სამეცნიერო ჟურნალებში და წიგნებში ვეცნობოდი.

დასასრულს აღვნიშნავ, რომ კვლევის პროცესში წაკითხული აკადემიური ლიტერატურის დამუშავებამ საშუალება მომცა ამომერჩია და აქცენტი გამეკეთებინა იმ სამეცნიერო მასალებზე, რომელიც თეზისის საკვლევ კითხვას სცემს პასუხს. როგორც წარმოდგენილი თავის დასაწყისში აღვნიშნე ნაშრომში წარმოდგენილი ლიტერატურა ამდიდრებს ჩემი კვლევის საგანს და ხსნის იმ მოტივებსა და მიზეზებს, რასაც შესაძლოა სირიაში ბარაკ ობამას არაინტერვენციულ პოლიტიკაზე მოეხდინა გავლენა.

თავი 4. ამერიკა, როგორც ლიბერალური ჰეგემონი, 2009-2016 წწ

ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დროს ამერიკის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები განსხვავებულ პრინციპებს ემყარებოდა, რაც ძირითადად სამხედრო ძალის გამოყენებისგან თავშეკავებას, მოკავშირეებთან მჭიდრო თანამშრომლობას, საგარეო პარტნიორებს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილებას და გლობალური გამოწვევების კოლექტიური რეაგირებით გადაჭრას გულისხმობდა. ობამას ლიბერალური პოლიტიკა ძალიან ახლოს დგას რეიგანისთვის დამახასიათებელ მიდგომებთან, რომელიც ამერიკის მინიმალისტური ჩარევით გულისხმობდა მსოფლიოს შეცვლას. ფაქტობრივად, 2009-2016 წწ. ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ხედვაც სტრატეგიულ თავშეკავებაზე იყო აგებული, რაც თავის მხრივ „ობამას დოქტრინის“, ოფიციალური ჩამოყალიბებული სახელმწიფო სტრატეგიის, არარსებობამ განაპირობა (Nunlist 2016). ობამას საგარეო პოლიტიკას თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ პრეზიდენტი მაქსიმალურად ცდილობს მეორეხარისხოვანი გახადოს ამერიკის ჩართულობა მსოფლიოს ისეთ ცხელ წერტილებში, როგორცაა ერაყი, სირია, ავღანეთი, ლიბია და უკრაინა. აღნიშნული მიდგომის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი ამ რეგიონებში ამერიკის რესურსების დიდი რაოდენობით დანახარჯიდანაც გამომდინარეობს, რაც სერიოზულ დარტყმას აყენებს ამერიკის სახელმწიფო ბიუჯეტს.

თუმცა, ობამას თავშეკავებული და ბევრისათვის უჩვეულო საგარეო პოლიტიკის გამომწვევი მიზეზების დასადგენად, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნის მთავარი პოლიტიკური ფიგურის პიროვნების შესწავლა. საინტერესოა რა გარემოებებმა მოახდინა გავლენა ობამას პოლიტიკურ აზროვნებაზე და რამ უბიძგა პრეზიდენტს სახელმწიფო პრიორიტეტად ისეთი საკითხების მოგვარება დაესახა, როგორცაა დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა კუბასთან, ბირთვული შეთანხმების მიღწევა ირანთან, სავაჭრო შეთანხმებების გაფორმება აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან. უფრო მეტიც ობამას 2015 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის მიხედვით, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ იმ პერიოდში, როცა რუსეთმა ყირიმის ანექსია მოახდინა, ამერიკის საგარეო პოლიტიკის მთავარმა ფოკუსმა ევროპიდან და ახლო აღმოსავლეთიდან აზია-წყნარი ოკეანის

აუზში გადაინაცვლა (Lofflmann 2015). მივიჩნევ, რომ განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ობამას უჩვეულოდ ლიბერალური საგარეო პოლიტიკა ისეთ ფონზე ვითარდებოდა, რომელიც მოგებულ სიტუაციაში ამყოფებდა საერთაშორისო სისტემის სხვა მეტოქე ძალებს, როგორცაა თუნდაც რუსეთი ან ისლამური სახელმწიფო. ალბათ, მკითხველი დამეთანხმება იმაში, რომ ამერიკის პასიური საგარეო პოლიტიკით ჯერ კიდევ „მოხერხებულად“ სარგებლობდნენ ირანი და რუსეთი და მაქსიმალურად ცდილობდნენ შეეცნოთ ვაკუუმი და აღედგინათ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ის გავლენა, რაზეც ობამას ადმინისტრაციამ თვითნებურად განაცხადა უარი.

2009 წ. ნატო-ს სამიტის პრეს-კონფერენციაზე, ერთ-ერთმა რეპორტიორმა ობამას ჰკითხა, თუ როგორ ესმოდა მას ამერიკის განსაკუთრებულობა, რაზეც პრეზიდენტმა უპასუხა, რომ მისი რწმენა ამერიკის გამორჩეულობასთან დაკავშირებით არაფრით განსხვავდებოდა ბერძენი ან თუნდაც ბრიტანელი ერის მიერ საკუთარი ქვეყნის განსაკუთრებულობის რწმენისგან. ობამას აზრით, ამერიკა საჭიროებდა ხელშეწყობას საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან, რადგან მარტო ამერიკას მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობებსა და რესურსებზე დაყრდნობით აღარ შესწევდა ძალა საერთაშორისო მშვიდობისა და წესრიგის დასაცავად (იქვე).

ობამას საგარეო პოლიტიკური კურსი მულტილატერალიზმის მახასიათებლებს ატარებს. როგორც ცნობილია რბილი ჰეგემონი, (Benign hegemony) რითიც ობამას პრეზიდენტობის დროს ამერიკა გამოირჩეოდა შემდეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს:

- სახელმწიფოები თავისუფლად გამოხატავენ საკუთარ ინტერესებს. ქვეყნები ემორჩილებიან და მიჰყვებიან საერთო ღირებულებების მატარებელი საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დაწესებულ მმართველობას და პრინციპებს.
- ლიდერი სახელმწიფო ზრუნავს საზოგადო სიკეთეების (public goods) შექმნაზე და საჭიროების შემთხვევაში საერთაშორისო წესრიგის დასაცავად მზად არის სამხედრო ინტერვენციისათვის, მაშინაც კი როცა აღნიშნული გამოწვევა პირდაპირ საფრთხეს არ უქმნის ამ ჰეგემონი სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს.

- რბილი ჰეგემონი თანამშრომლობას აგრძელებს სისტემის სხვა ძლიერ სახელმწიფოებთან. ითვალისწინებს და მხედველობაში იღებს მათ ინტერესებს, რათა მინიმუმადე იქნეს დაყვანილი ამ მეტოქე ქვეყნების მცდელობები კონკურენცია გაუწიონ სისტემის რბილ ჰეგემონს ან შეცვალონ ამ უკანასკნელის მიერ შექმნილი ძალთა ბალანსი (Rudolf 2016).

ობამას პოლიტიკური კურსი ნაწილობრივ თანხვედრაში მოდის რბილი ჰეგემონის ზემოაღნიშნულ მახასიათებლებთან. აშშ-მა სისტემის სხვა მოთამაშეებთან შეთანხმების საფუძველზე გამოიყენა სამხედრო ძალა და საერთაშორისო ინსტიტუტებთან ერთად ჩაება ლიბიის კონფლიქტში. მართალია, ლიბიაში არსებული დამაბულობა პირდაპირ საფრთხეს არ უქმნიდა აშშ-ის ეროვნულ ინტერესებს, მაგრამ მიუხედავად ამისა 2011 წელს ამერიკამ ფრანგ და ბრიტანელ მოკავშირეებთან ერთად საჰაერო იერიში მიიტანა და სამხედრო მოქმედებები დაიწყო ლიბიაში. ეს არ იყო სრულმასშტაბიანი ჩართულობა კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ და ობამას პოლიტიკა სტრატეგიული შეკავების ელემენტებს მოიცავდა, რასაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის ერთ-ერთმა წევრმა სპეციალური ტერმინიც კი უწოდა - „უკნიდან წინ გაძღოლა“ (Leading from Behind). ყოველ შემთხვევაში ეს ობამას მხრიდან ბევრად რისკიან პოლიტიკად უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე შემდგომ ეტაპზე ამერიკის სრული უმოქმედობა და უკან დახევა სირიაში მიმდინარე კონფლიქტურ სიტუაციასთან მიმართებაში (Lofflmann 2015).

სწორედ ამ ფაქტმა მიიქცია ჩემი ყურადღება. რატომ და როგორ მოხდა, რომ ობამას პრეზიდენტობის დროს მომხდარი ორი მსგავსი შემთხვევის მიმართ - ლიბია და სირია - ვაშინგტონის ოფიციალური პოლიტიკა განსხვავებული აღმოჩნდა. თეზისისათვის შერჩეული საკითხის შესწავლამდე საჭიროდ ჩავთვალე ამერიკის საგარეო პოლიტიკური კურსის მოკლე მიმოხილვა გამეკეთებინა და მხოლოდ ამ ზოგადი სურათის დანახვის და გარკვეული წინაპირობების მიმოხილვის შემდგომ გადავსულიყავი უშუალოდ სირიის მიმართ ობამას არაინტერვენციული პოლიტიკის განმაპირობებელი ფაქტორების შესწავლაზე, რასაც სამ განსხვავებულ დონეზე (ინდივიდუალური, შიდასახელმწიფოებრივი, სისტემური) წარმოვადგენ ნაშრომში.

თავი 5. პირველი დამოუკიდებელი ცვლადი - პიროვნული ანალიზის დონე

იმისათვის, რომ მკაფიოდ გამოჩნდეს ურთიერთკავშირი და ლოგიკური ჯაჭვი ნაშრომის დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის, მომდევნო თავი დაეთმობა პირველი დონის - პიროვნული ფაქტორების გავლენის შესწავლას ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ფორმირების პროცესზე. ამ შემთხვევაში მიზნად ვისახავ დავადგინო, თუ რა რეზონანსი ჰქონდა ობამას მიერ ლიბიაში განხორციელებულმა ინტერვენციამ სირიაში ჩაურევლობის პოლიტიკაზე და ამას გარდა რა პროცესებმა იქონიეს გავლენა პრეზიდენტ ობამას იდეების, აღქმების და შეხედულებების ჩამოყალიბებაზე.

ბარაკ ობამას ჩაურევლობის პოლიტიკა სირიაში პირველ ჯერზე გაანალიზებული იქნება ინდივიდუალური ანალიზის დონეზე, რაც გულისხმობს თავად პრეზიდენტის სუბიექტური შეხედულებების და მისი გადაწყვეტილებების შესწავლას. რეალიზმის მიხედვით, სახელმწიფო სხვადასხვა დონეზე შეიძლება იქნეს აღქმული. წიგნში „საერთაშორისო პოლიტიკა თანამედროვე თეორიები და ამოცანები“:

„ანალიზის დონე შეიძლება იყოს მიკროანალიტიკური გადაწყვეტილების მიმდებარეობის გადამწყვეტი როლის მიკუთვნებით და კონფლიქტების ანალიზში მათი ფსიქოლოგიის გათვალისწინებით; მეზოანალიტიკური, რომელიც უპირატესობას ინსტიტუციურ და ბიუროკრატიულ შეზღუდვებს ანიჭებს, ისევე როგორც პოლიტიკურ რეჟიმებს; და ასევე მაკროანალიტიკური, იმ სტრუქტურების მნიშვნელობის ხაზგასმით, რომლებიც მთავარ საერთაშორისო აქტორებს შორის ურთიერთქმედებიდან მომდინარეობენ“ (სენარკლენი და არიფენი 2014, 47).

ნაშრომში ინდივიდუალური ანალიზის დონე მიზნად ისახავს შესწავლილ იქნას ორი საკითხი - ლიბიიდან მიღებული ისტორიული გამოცდილების გავლენა სირიაში ობამას არაინტერვენციულ სტრატეგიაზე და თავად ბარაკ ობამას, როგორც ამერიკის საგარეო პოლიტიკის პასუხისმგებელი პირის, მსოფლმხედველობა, მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადებების და საუბრების შესწავლის საფუძველზე.

5.1. ბარაკ ობამას განხვავებული მიდგომები ლიბიისა და სირიის კრიზისების მიმართ: შედარებითი ანალიზი

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ნაშრომის ეს ნაწილი დაეთმობა იმ ფაქტორების ანალიზს, რამაც ამერიკის ადმინისტრაციაში განსხვავებული დამოკიდებულებების ჩამოყალიბება გამოიწვია ლიბიისა და სირიის კრიზისების მიმართ. ანუ კვლევის ამ ნაწილში დაზუსტდება ის ძირითადი მოტივები, რომლებმაც ლიბიის კრიზისის შემდეგ ობამას პოლიტიკურ მსოფლმხედველობაში შეიტანა უდიდესი გარდატეხა. ფაქტია, რომ ამერიკა და ნატო ერთობლივი ძალისხმევით (მულტილატერალური მიდგომა) ჩაერივნენ ლიბიის საშინაო საქმეებში და დაასრულეს კადაფის დიქტატურული რეჟიმი. თუმცაღა სულ მალე ყველამ დაინახა, რომ მოვლენები მსგავსი სცენარით არ განვითარდა სირიაში და ფაქტობრივად, საერთაშორისო საზოგადოებამ სირიელი მოსახლეობა სრულიად მარტო დატოვა ასადის მშვიდობიან მოსახლეობაზე მოძალადე რეჟიმთან. არადა ერთი შეხედვით ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე ორი კონფლიქტი ძალიან ჰგავს ერთმანეთს, ორივე მათგანის განვითარებას არაბულმა გაზაფხულმა მისცა ბიძგი, ორივე კონფლიქტი შიდასახელმწიფოებრივი ხასიათისაა, მსგავსი ისტორიული წარსულით. აქედან გამომდინარე, ალბათ, მკითხველს უჩნდება ლოგიკური კითხვები რომ, როცა გაერომ საჭიროდ ჩათვალა ძალის გამოყენება და საერთაშორისო ჰუმანიტარული ინტერვენცია ლიბიაში, რატომ არ მიიღო მსგავსი გადაწყვეტილება სირიასთან მიმართებაში? რა კრიტერიუმების მიხედვით განასხვავა საერთაშორისო თანამეგობრობამ და ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ ლიბიაში არსებული გენოციდი სირიის შემთხვევისაგან? ვფიქრობ, ამ კითხვების ლეგიტიმურობას ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკაც ამყარებს, რომლის მიხედვითაც 2012 წლის იანვარში (ჯერ კიდევ ქიმიური იარაღის ამოქმედებამდე) სირიაში დაღუპული მოქალაქეების რაოდენობა 5000 ადამიანს აჭარბებდა და მათ შორის 40,000 ათასამდე დაკარგულად ითვლებოდა. მიუხედავად აღნიშნულისა, რიცხვები უბრალო სტატისტიკად დარჩა და სირიაში ჰუმანიტარული ინტერვენცია დღემდე არ დაწყებულა. შედარებისათვის, 2011 წლის თებერვალში, ლიბიაში ნატო-ს ეგიდით, რომელსაც ზურგს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციაც უმაგრებდა, ინტერვენციის

დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე დალუპულად 1000-მდე ადამიანი ცხადდებოდა (Guiora 2012).

გასაკვირია, მაგრამ რეალობაა, რომ სირიისგან განსხვავებით ლიბიაში სამხედრო ინტერვენცია სამართლებრივად გამყარებული იყო საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ და სამხედრო ძალის გამოყენებას მხარს უჭერდა არაბული ლიგა, სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭო, რამაც კიდევ უფრო მეტი ლეგიტიმურობა შესძინა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას სამხედრო ძალის ჩართულობით და ლიბიის საჰაერო სივრცის დაკეტვით დაწყებულიყო მოქალაქეების დაცვა ლიბიაში (Buckley, 2012). ლიბიასთან დაკავშირებით შემუშავებული გაეროს რეზოლუციის ამოქმედებაში აქტიურად ჩაერთო ობამა და ნატო-ს ძალებიც.

იმისათვის, რათა დავადგინოთ თუ რამ განაპირობა შემუშავებულიყო დაახლოებით ერთ პერიოდში მიმდინარე კონფლიქტების მიმართ (ლიბია და სირია) ამერიკის ადმინისტრაციის რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური სტრატეგიები, პირველ რიგში, მოკლედ მიმოვიხილავ ლიბიისა და სირიის კონფლიქტებს და ზოგადად ამ ქვეყნების მნიშვნელობას რეგიონისათვის. ეს ყოველივე, ვფიქრობ, საშუალებას მომცემს დავადგინოთ თუ რა მოტივის საფუძველზე გადაწყვიტა ობამამ თავდაპირველად მხარი დაეჭირა საერთაშორისო თანამეგობრობისათვის და მათთან ერთად ემოქმედა ლიბიაში კადაფის რეჟიმის დასამარცხებლად, ხოლო ლიბიის შემთხვევის დასრულების შემდეგ გვერდით გამდგარიყო და ზურგი შეექცია იმავე გასაჭირში მყოფი სირიელი ხალხისათვის. რა თქმა უნდა, ნებისმიერი სახის პოლიტიკური არჩევანი ქვეყნის პირველი პოლიტიკური ფიგურის, ამ შემთხვევაში ბარაკ ობამას, პრეროგატივაა. თუმცა, ჩემს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს მკვლავრის მიზანს, სწორედ ის წარმოადგენს, რომ მივაგნო ის ამხსნელ ფაქტორებს, რომელთა საშუალებითაც ზემოაღნიშნული პოლიტიკური ფიგურის აზროვნების და მის აზროვნებაში მომხდარი ცვლილებების შესწავლა იქნება შესაძლებელი.

სირიაში არეულობები 2011 წლის მარტში იწყება და ლიბიის მსგავსად მოსახლეობა აქაც პოლიტიკური რეჟიმის დამხობის მოთხოვნით გამოდის ქუჩებში. ვითარება განსაკუთრებით მწვავე სირიაში 2012 წლის თებერვალში ხდება, როცა გაეროს ანგარიშის მიხედვით, ყოველდღიურად დაახლოებით ასი ადამიანი ეწირება ასადის

სისხლიან რეჟიმს და საშუალოდ ერთი წუთის განმავლობაში ორი რაკეტა ეცემა სირიის მიწაზე. სირიის შემთხვევაში მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ის ფაქტორი, რომ მოსახლეობის ეთნიკურ-რელიგიური შემადგენლობა არაა ჰომოგენური. ქვეყანაში დაახლოებით 74%-ს შეადგენს სუნიტი მოსახლეობა და დაახლოებით 10-10% არიან წარმოდგენილი ქრისტიანები, ალავიტები და არასუნიტი მოსახლეობა, მაგალითად, დრუზები, ქურთები. პრეზიდენტი ასადი მიეკუთვნება უმცირესობის, ალავიტების, ჯგუფს, რომელიც შიიტიზმის მიმდევრები არიან. არსებული განსხვავებულობა და ეთნიკურ-რელიგიური სიჭრელე ხელს უშლის ერთიანი ოპოზიციური ძალების ჩამოყალიბებას ქვეყანაში, რომელიც შეძლებდა ერთი მიზნის გარშემო გაერთიანებას და საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებას (იქვე).

სირიას, ვფიქრობ, ლიბიასთან შედარებით რეგიონშიც და თავად ამერიკის ეროვნულ ინტერესებთან მიმართებაშიც გაცილებით მეტი სტრატეგიული და სიმბოლური დატვირთვა გააჩნია. სირიის ომს ამერიკისთვისაც და ახლო აღმოსავლეთის რეგიონისთვისაც მეტი პოლიტიკური თავსატეხის გაჩენა შეუძლია, ვიდრე ომს ლიბიაში. მიუხედავად იმისა, რომ ლიბია კვლავაც რჩება რეგიონის მასშტაბით ნავთობის ერთ-ერთ მომპოვებელ და ექსპორტიორ ქვეყნად (ლიბიაზე მოდის მსოფლიოს ნავთობის 2%, რომელიც ასევე გამოირჩევა თავისი სიმსუბუქითა და გადამუშავებასთან დაკავშირებული დაბალი ხარჯებით) და ასევე ქვეყანას გააჩნია მზარდი პოტენციალი მზის, გეოთერმური და ქარის ენერჯის თვალსაზრისით, ვფიქრობ, სირიის სტრატეგიულ მნიშვნელობას მაინც ვერ უწევს კონკურენციას (Sawani 2014). სირიას ლიბიასგან განსხვავებით ბევრად უფრო მოდერნიზებული, მოქნილი და ინტეგრირებული საჰაერო თავდაცვის სისტემა და შეიარაღებული ძალები გააჩნია, ქვეყანა ასევე ფლობს ქიმიურ იარაღს (Nunlist 2016). სირია განსაკუთრებული საფრთხის შემცველია ამერიკისთვის, რადგან პირველი, სირია სუნიტი და შიიტი ექსტრემისტების უსაფრთხო თავშესაფარია რეგიონში, მეორეც, სირიიდან ადვილადაა შესაძლებელი „დომინოს ეფექტის“ მსგავსად არეულობების და სამოქალაქო დამაბულობის გავრცელება მოხდეს მეზობელ ქვეყნებში. ამ ყველაფერთან ერთად არანაკლებ საყურადღებოა, ასევე, ის, რომ სირიას, ლიბიასგან განსხვავებით, რეგიონში ჰყავს ორი ძლიერი მოკავშირე რუსეთისა და ირანის სახით, რომლებიც მზად არიან გააკეთონ ყველაფერი, რათა შენარჩუნდეს ასადის რეჟიმი

ქვეყანაში, რადგან ეს პირდაპირ თანხვედრაში მოდის რუსეთისა და ირანის პოლიტიკური ლიდერების სახელმწიფოებრივ ინტერესებთან.

სანამ სირიაზე ლიბიის კონფლიქტიდან მიღებული შედეგების გავლენის ანალიზს შევუდგები, მსურს მკითხველს მოკლედ დავანახო ის რამდენიმე სისტემური დონის ფაქტორი, რის გამოც ერთი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ობამამ თავი შეიკავა სირიაში ინტერვენციისაგან:

- სირია რეგიონში ამერიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოკავშირის, ისრაელის უშუალო მეზობელია. ამას გარდა, მამა-შვილი ასადების მმართველობის განმავლობაში, 1973 წლიდან მოყოლებული, სტაბილური მდგომარეობა სირია-ისრაელის საზღვარზე და ამ სტატუს-ქვოს შენარჩუნება სურს კვლავ ისრაელის ამჟამინდელ ხელისუფლებასაც. ისრაელს აქვს იმის შიში, რომ თუ ასადის რეჟიმი ჩანაცვლდება სხვა ისრაელის მიმართ უფრო მტრულად განწყობილი ძალის მიერ, სირია-ისრაელის საზღვარზე მიძინებული კონფლიქტი შესაძლოა კვლავ გააქტიურდეს. რადგანაც ობამას ადმინისტრაცია გამორჩეულად იცავდა ისრაელის ინტერესებს, აქედან გამომდინარე, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ისრაელის უსაფრთხოება იყო ამერიკის და ობამას ადმინისტრაციის ერთ-ერთი მოტივი არ ჩარეულიყვნენ სირიის საშინაო საქმეებში (Katz, 2013).
- როგორც ზემოთ აღვნიშნე, სირიას რეგიონში ჰყავს ორი ძლიერი მოკავშირე რუსეთისა და ირანის სახით, რომლებსაც საკუთარი ინტერესები ამომრავებთ ასადის რეჟიმის შენარჩუნებასთან დაკავშირებით. ობამას არ სურდა სირიაში ინტერვენციის სანაცვლოდ მიეღო ურთიერთობების გაუარესება რუსეთთან და ირანთან. განსაკუთრებით მაშინ, როცა გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით დათბობა შეინიშნებოდა ამერიკა-ირანის და ამერიკა-რუსეთის ორმხრივ ურთიერთობებში, როგორცაა: ირანის ბირთვული შეთანხმება და რუსეთ-ამერიკის გადატვირთვის პოლიტიკა, რუსეთის და ცენტრალურ აზიაში მისი მოკავშირე სახელმწიფოების გავლით ავღანეთიდან ამერიკის ძალების გაყვანაში მხარდაჭერა (იქვე).

მიუხედავად ამ რამდენიმე სისტემური დონის მიზეზის არსებობისა ობამას ჩაურევლობის პოლიტიკა სირიაში მაინც უმთავრესად განპირობებული იყო ლიბიის

კრიზისიდან მიღებული გამოცდილებით. ეს ნიშნავს შემდეგს - რომ არ ყოფილიყო ლიბია ობამასთვის, მაშინ პრეზიდენტი იმავს გააკეთებდა სირიაში, რაც მანამდე ლიბიაში მოიმოქმედა. ჩემი აზრით, ლიბიისაგან ობამამ კარგი და დროული გაკვეთილი მიიღო. თუ ამერიკის მთავრობის ოფიციალური მონაცემებით ვიხელმძღვანელებთ 2011 წლის სექტემბერში ამერიკის თავდაცვის დეპარტამენტს ლიბიაში განხორციელებულ ინტერვენციაში მილიარდზე მეტი დოლარი ჰქონდა დახარჯული (Guiora 2012). ეს, მართლაც, კოლოსალური თანხაა, რომელიც ამერიკამ გაიღო ლიბიის კრიზისის გადასაჭრელად. აქვე, ვფიქრობ, რომ მკითხველს უჩნდება ლეგიტიმური კითხვები თუ რა მიზნებს მოახმარა ამერიკამ აღნიშნული თანხა და ამერიკელი ჯარისკაცების სიცოცხლე? მიაღწია კი ლიბიაში განხორციელებულმა ინტერვენციამ სასურველ შედეგებს გარდა კადაფის რეჟიმის დამხობისა? იყო კი ამერიკის და საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან გაწეული მხარდაჭერა საკმარისი დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობისთვის ლიბიაში?

ლიბიაში განხორციელებული ინტერვენციის შემდგომ მიღებულმა შედეგებმა პრეზიდენტს ნათლად დაანახა, რომ ინტერვენციის მიზანი მხოლოდ ტირანის ჩამოდგება არ უნდა იყოს არავითარ შემთხვევაში. ერთი ტირანის წასვლა არაა საკმარისი რომ ქვეყნის დემოკრატიულად გარდაქმნა მოხდეს. მათ, ვინც გარედან რომელიმე ქვეყნის სახელმწიფო მშენებლობის პროცესში ერთვება კარგად უნდა მოსინჯოს და შეისწავლოს ის ნიადაგი და წინაპირობები, რაც სახელმწიფოს მშენებლობისათვის არის საჭირო, რათა მინიმუმადე იქნას დაყვანილი ყველა არასასურველი შედეგები, რაც ლიბიის მაგალითზე ახლო აღმოსავლეთში მივიღეთ (Etzioni 2012).

ობამას პრეზიდენტობის დროს ამერიკას სურდა საერთაშორისო საზოგადოების თვალში წარმოჩენილიყო, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების და პრინციპების დამცველი. ობამას ინტერვენცია ლიბიაში ზუსტად ასახავდა ამერიკის 2010 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში წარმოდგენილ ხედვებს იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკა მხოლოდ დიპლომატიის, მოლაპარაკებების გამოყენებით და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების გვერდიგვერდ გადაჭრიდა საერთაშორისო სისტემაში წამოჭრილ კონფლიქტებს (Sawani 2014). სწორედ ამ მიდგომის შესაბამისად გადადგა პოლიტიკური ნაბიჯები ბარაკ ობამამ

ლიბიაში, რომელიც იმედოვნებდა, რომ დაიბრუნებდა საზოგადოების (მათ შორის არაბული სამყაროს) ნდობას, რაც 9/11 შემდგომ ბუშის უნილატერალური პოლიტიკის შედეგად იყო დაკარგული. ობამას, როგორც დემოკრატ პრეზიდენტს, მუდამ აფიქრებდა ამერიკის ეროვნული ინტერესების და ღირებულებების დაცვა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში რაც მხოლოდ ამერიკის მინიმალისტური ჩარევით უნდა მიღწეულიყო. მისი პრეზიდენტობის დროს გაკეთებულ საჯარო გამოსვლებსაც თუ გადავხედავთ, პრეზიდენტი საკუთარ განცხადებებში ყოველთვის აქცენტს აკეთებდა, რომ ამერიკა ყოფილიყო მისაბამი მაგალითი საერთაშორისო საზოგადოებისათვის. ამ პრინციპის შესაბამისად, ობამამ ყოველგვარი დაყოვნების გარეშე მხარი აუბა საერთაშორისო თანამეგობრობას ერთობლივი ძალისხმევით ემოქმედათ ლიბიაში. რაც შეეხება სირიას, რადგან ვერ მოხერხდა გაეროს უშიშროების საბჭოში კონსენსუსის მიღწევა ინტერვენციის დასაწყებად, ობამამაც თავი შეიკავა რაიმე ახალი პოლიტიკური ინიციატივის წამოწყებისა და ახალი პასუხისმგებლობების აღებისაგან, რაც დიდ ფინანსურ დანახარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული.

ჩემს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სირიაში ობამას ჩაურევლობის პოლიტიკაში გარდამტეხი როლი ლიბიაში განხორციელებულმა ინტერვენციამ და ამ ინტერვენციიდან მიღებულმა ნეგატიურმა შედეგებმა იქონია ამყარებს ისიც, რომ Fox News-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ობამამ განაცხადა, რომ მისი პრეზიდენტობის დროს დაშვებული უდიდესი პოლიტიკური შეცდომა ლიბიაში ინტერვენცია იყო. (Barakat 2016). როგორც, „ობამას დოქტრინიდან“ ვიგებთ, ლიბიის შემთხვევამ საბოლოოდ დაარწმუნა პრეზიდენტი, რომ თავი დაენებებინა ახლო აღმოსავლეთის რეგიონისათვის, რადგან როგორც ობამა ხშირად პირად საუბრებში აღნიშნავდა ლიბია იყო „დიპლომატიური უწესრიგობა“ და „სისულელეების შოუ“ (Goldberg 2016) ინტერვენციის სავალალო შედეგებს ხაზს ისიც უსვამს, რომ დღეისათვის ლიბია პოლიტიკურად გახლეჩილია და ერთიანი მთავრობის ფორმირება ვერ მოხერხდა.

თავად სირიელ ხალხში, ალბათ, მოლოდინი იმისა, რომ ბარაკ ობამა დახმარების ხელს გაუწვდიდა რიგით მოქალაქეებს და დალუპვისაგან იხსნიდა უდანაშაულო მოსახლეობას ძალზედ მაღალი იყო. მათ მეხსიერებაში კარგად იყო შემონახული ახლო წარსულში განხორციელებული წარმატებული პოლიტიკური ცლილებები

ეგვიპტეში, შემდეგ კი ლიბიაში. თანაც ნათქვამია, რომ რაც უფრო მაღალია მოლოდინი, მით უფრო მწარეა შემდგომი იმედგაცრუება (Guiora 2012). ვფიქრობ, ვერცერთი სირიელი ვერ წარმოიდგენდა თუ ასეთი დრამატული ცვლილების მომტანი შეიძლებოდა გამხდარიყო ლიბიის შემთხვევა ბარაკ ობამასათვის. 2011 წლის ნოემბერში ნატო-ში ამერიკის ელჩის, ივო დაალდერის მიხედვით, არანაირი სამხადისი ან პოლიტიკური განხილვები არ მიმდინარეობდა იმ პერიოდში სირიაში ინტერვენციის დასაწყებად, რადგან:

„საჭიროა არსებობდეს მტკიცედ გამოხატული საჭიროება, რეგიონული მხარდაჭერა და სამართლებრივი საფუძველი ინტერვენციის დასაწყებად. ეს არის ის სამი ძირითადი მიზეზი, რასაც მხედველობაში ვიღებთ აღნიშნული ქმედების განსახორციელებლად. სირიის შემთხვევაში არცერთი მიზეზი არ გვაქვს სახეზე“ (Buckley 2012, 93)

ამას გარდა ნატო-ს გენერალური მდივნის ანდრეს ფოგ რასმუსენის განცხადებამ, რომელიც გაკეთებულ იქნა 2011 წლის ნოემბერში ხაზი გაუსვა, რომ ნატო-ს ძალები უერთდებოდნენ გაეროს ჰუმანიტარული ინტერვენციის მანდანტს ლიბიაში, ხოლო სირიის შემთხვევაში მტკიცედ დაიცვა საკუთარი პოზიცია, რომ ნატო-ს არ აქვს არანაირი განზრახვა და პოლიტიკური საფუძველი ინტერვენცია განახორციელოს ლიბიის მსგავსადაც სირიაში (იქვე).

ზემოთწარმოდგენილი ფაქტების ანალიზი მივიჩნევ საკმარისია, რათა მკითხველმა დაინახოს, რომ ობამამ კარგი გაკვეთილი მიიღო ლიბიის მაგალითისგან და ამის საფუძველზე მოხდა შემდეგ ეტაპზე მის მიერ მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების ფორმირება სირიასთან დაკავშირებით. მართალია, ლიბიის კრიზისის მიმდინარეობის დროს ობამა ნაწილობრივ ჯერ კიდევ ცდილობდა ამერიკის გამორჩეულობის ხაზგასმას, რასაც მისი პოლიტიკური არჩევანი მოწმობს ლიბიაში - „უკნიდან წინ გაძლოლა“, მაგრამ უკვე სირიის მოვლენებმა ნათლად დაანახა მსოფლიოს, რომ ობამას ადმინისტრაციის პირობებში ამერიკამ საერთაშორისო სისტემაში საკუთარი დომინანტობა საბოლოოდ უარყო.

5.2. „ობამას დოქტრინა“

როგორც შესავალში აღვნიშნე, „ობამას დოქტრინა“ წარმოადგენს პრეზიდენტის პირადი შეხედულებების, დამოკიდებულებების, მისი ოფიციალური განცხადებების

და მასთან ჩაწერილი ინტერვიუების საინტერესო კრებულს, რომელიც პირადად მე, როგორც ნაშრომის ავტორს, მეხმარება შევისწავლო ბარაკ ობამას მსოფლმხედველობა და ანალიზი გავუკეთო მის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით სირიამდე და უშუალოდ სირიის კრიზისის მიმდინარეობისას. ობიექტური მიზეზების გამო, ჩემ შეთხვევაში შეუძლებელია პირისპირ ვესაუბრო პრეზიდენტ ობამას, დავუსვა საჭირო კითხვები ან შევხვედე მისი პოლიტიკური გუნდის რომელიმე წარმომადგენელს. სწორედ ამიტომ ჟურნალისტ გოლდბერგის სტატია - „ობამას დოქტრინა“ წარმოუდგენლად ფასეული დამხმარე დოკუმენტი ხდება ჩემი კვლევისათვის. ჟურნალ “The Atlantic“-ის მთავარ რედაქტორს გამოქვეყნებულ სტატიაში მოჰყავს ის მნიშვნელოვანი ამონარიდები ბარაკ ობამას საჯარო გამოსვლებიდან და მისი პოლიტიკური გარემოცვის, მრჩევლების საუბრებიდან, რომელიც დიდ როლს თამაშობს პრეზიდენტის პოლიტიკური პორტრეტის შესწავლაში.

ნაშრომის ამ ნაწილის მიზანია მკითხველს დავანახო ბარაკ ობამას პიროვნებაში მომხდარი ცვლილება, რომელიც, ვფიქრობ, არ ყოფილა მყისიერი და ამ პროცესზე მისი პრეზიდენტად არჩევის დღიდან მოყოლებული გავლენას ახდენდა სახელმწიფოს შიგნით არსებული კონტექსტიც. სხვადასხვა განცხადების და ოფიციალური სიტყვების ანალიზის საფუძველზე საშუალება მომეცემა ერთმანეთისაგან გავმიჯნო პრეზიდენტის ორი განსხვავებული სახე, ანუ რა რეალობა გვექონდა თავდაპირველად მისი ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდში და ლიბიის კრიზისის შემდეგ როგორი სახის ტრანსფორმაცია განიცადა პრეზიდენტ ობამას პოლიტიკურმა აღქმებმა და რწმენებმა სირიის შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით.

ბარაკ ობამა, ხელისუფლებაში მოსვლამდე, ვფიქრობ, მეტად თამამი და რისკიანი საგარეო პოლიტიკის გატარების მომხრე იყო. ჯერ კიდევ 2007 წელს ბარაკ ობამამ, როდესაც ილინოისის შტატის სენატორი იყო, განცხადა, რომ ამერიკამ საკუთარი ღირსეული საქციელით და სიტყვებით უნდა დაანახოს ყველას, რომ ის დგას იმ ხალხის გვერდით, ვინც უკეთესი ცხოვრებისაკენ იღწვის. ბავშვი, რომელიც ცაში ამერიკის კუთვნილ ვერტმფრენს ხედავს უნდა გრძნობდეს სიმშვიდესა და დაცულობას. (Ryan 2011). ეს განცხადება, მივიჩნევ, რომ სხვა არაფერია თუ არა

დახმარების ხელის გაწვდენა ლიბიისა და სირიის მსგავს სიტუაციაში მყოფი ქვეყნებისათვის, რომლებიც პროტესტის გზით გამოხატავენ საკუთარ სურვილს მოქმედი რეჟიმების დასამხობად. თუმცა, პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ბარაკ ობამას ეცვლება შეხედულებები მთელ რიგ საკითხებზე და ის პრიორიტეტების დალაგებას იწყებს. პრეზიდენტმა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მემკვიდრეობით მიიღო ისეთი საჭირობოროტო საკითხების მოგვარება, როგორცაა: ეკონომიკური კატასტროფა ქვეყნის შიგნით, ამერიკის ორი ომი ერაყსა და ავღანეთში, რეგიონული საფრთხეები პაკისტანისა და ირანის მხრიდან, გლობალური ტერორიზმი, ჩინეთისა და ინდოეთის მზარდი დომინანტობა მსოფლიოში, რაც ბევრის აზრით ამერიკის, როგორც ლიდერის ფუნქციის დაკარგვის ფონზე მიმდინარეობდა (იქვე).

პრეზიდენტი ბარაკ ობამა სიტყვით გამოსვლისას ნობელის პრემიის ცერემონიაზე, 2009 წლის დეკემბერში, საინტერესო საკითხებს ეხება. მონოლოგში პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ მთავრობის სამხედრო-პოლიტიკურ უმოქმედობას შეუძლია საზოგადოების სინდისის ქენჯნა გამოიწვიოს და ერთ დღესაც ამ უმოქმედობისგან გამომდინარე უფრო ხარჯიანი ინტერვენციის განხორციელება გახდეს აუცილებელი. ძალა გამოყენებულ უნდა იქნას სახელმწიფოების მხრიდან ჰუმანიტარული ინტერვენციისათვის, ისეთი კატასტროფების ჩასახშობად, როგორც მაგალითად ბალკანეთი იყო (Obama 2009). ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ საინტერესოა რატომ შეიკავა თავი პრეზიდენტმა დაახლოებით 4 წლის თავზე, 2013 წლის აგვისტოში, ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებაზე სამხედრო ინტერვენციით ეპასუხა. სირიაშიც ხომ ბალკანეთის რეგიონის მსგავსად მიმდინარეობდა მოსახლეობის მასობრივად და უმოწყალოდ ხოცვა?

მეორე მნიშვნელოვანი გამოსვლა, რაზეც მკითხველის ყურადღება მინდა გავამახვილო არის ქაიროს უნივერსიტეტში, 2009 წელს ობამას მიმართვა მუსლიმი ხალხისადმი, სადაც პრეზიდენტი ამერიკელ და მუსლიმ ხალხებზე საუბრობს. მისი განცხადება შემდეგ სათაურს ატარებს: „ახალი დასაწყისი“. პრეზიდენტის სიტყვას გარდატეხა უნდა შეეტანა ამერიკისა და მუსლიმი ერების ურთიერთობაში და ობამას ადმინისტრაციის პირობებში სუფთა ფურცლიდან უნდა დაწყებულიყო მუსლიმ ხალხთან თანამშრომლობა. პრეზიდენტის სიტყვებით ის ქაიროში ჩავიდა,

„რათა დასაბამი მიეცეს ახალ ეტაპს შეერთებულ შტატებსა და მსოფლიოს მუსულმანებს შორის ურთიერთობაში - ახალ ეტაპს, რომელიც დაფუძნებული იქნება საერთო ინტერესებსა და ურთიერთპატივისცემაზე და დაფუძნებული იქნება ჭეშმარიტებაზე, რომ ამერიკა და ისლამი ერთმანეთს არ გამოირიცხავენ და არ ესაჭიროებათ ერთმანეთთან კონკურენცია. პირიქით, ისინი ერთმანეთს ესადაგებიან და იზიარებენ საერთო პრინციპებს: პრინციპებს, როგორცაა სამართლიანობა და პროგრესი, ტოლერანტობა და ყველა ადამიანის ღირსება“ (Obama 2009).

ქაიროში სიტყვით გამოსვლის შემდეგ, ორ სხვადასხვა მუსულმანურ ქვეყანაში ობამა განსხვავებული სტრატეგიებით მოქმედებს. ლიბიის კრიზისში საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად ინტერვენციაში ერთვება, ხოლო სირიის შემთხვევაში ჩაურევლობის პოლიტიკას მიმართავს. ვფიქრობ, დღემდე ბარაკ ობამას ეს განსხვავებული დამოკიდებულებები სერიოზულ აზრთასხვადასხვაობას იწვევს ახლო აღმოსავლეთის ხალხებში. სწორედ ამიტომ კიდევ უფრო საინტერესო ხდება ჩემთვის იმ ფაქტორების შესწავლა, რამაც პრეზიდენტს განსხვავებული სტრატეგიების არჩევა უკარნახა.

რობერტ ჯერვისი ნაშრომში „საერთაშორისო პოლიტიკის მართებული და მცდარი აღქმა,“ შეეცადა გამოეყო ის კოგნიტიური ფაქტორები, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე ახდენენ გავლენას. მისი აზრით:

„გადაწყვეტილების მიმღებნი“ სწავლობენ და განკარგავენ ინფორმაციას, რომელსაც ისინი მეტ-ნაკლებად შემუშავებული ნორმატიული ჩარჩოს შესაბამისად იღებენ და მათ მიერ გარე სამყაროს აღქმას წარმართავს. ამგვარად, ისინი ცდილობენ ინფორმაციის იმ ელემენტის უგულებელყოფას, რომელიც მათ ღირებულებათა სისტემას არ შეესაბამება და ამ კოგნიტიურ ფაქტორს საგარეო პოლიტიკის კონსტანტის განმარტება შეუძლია, – მმართველი სფეროები შედარებით სტაბილური ნორმატიული ჩარჩოების შესაბამისად მოქმედებენ. ეს ფაქტორი ასევე განმარტავს ზოგიერთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიწოდებული ინფორმაციის საპირისპიროდაა მიღებული“. (სენარკლენი და არიფენი 2014, 49).

საინტერესოა რამდენად მიესადაგება აღნიშნული ციტირება ბარაკ ობამას პოლიტიკურ გადაწყვეტილებას სირიის შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით. ხომ არ მოხდა ისე, რომ პრეზიდენტმა ქვეცნობიერად, სუბიექტური მიზეზებიდან ან ქვეყნის შიდა პოლიტიკური მოტივებიდან გამომდინარე,

უფლებელყო და სათანადო დონეზე არ შეაფასა სირიაში მიმდინარე მოვლენები, რადგან ამ პრობლემების გადაჭრა არ შედიოდა ამერიკის სასიცოცხლო ინტერესებში და თანხვედრაში არ მოდიოდა პრეზიდენტის პირად რწმენებთან. ბარაკ ობამას პრეზიდენტობის წლებზე ზოგად დაკვირვებას თუ გავაკეთებთ დავინახავთ, რომ პრეზიდენტი მუდმივად იდგა მორალური დილემის წინაშე - არჩევანი გაეკეთებინა ღირებულებებსა თუ სახელმწიფოებრივ ინტერესებს შორის.

„ობამას დოქტრინის“ ერთ-ერთ ნაწილში პრეზიდენტი საკუთარ თავს ინტერნაციონალისტად მოიხსენიებს. ის, ასევე აცხადებს, რომ იდელიასტია, რადგან ღრმად სწამს, რომ კაცობრიობამ სასურველია ხელი შეუწყოს ღირებულებების, როგორცაა, მაგალითად დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, გავრცელებას და დაცვას, რადგანაც ეს ერთი მხრივ, პირდაპირ ემსახურება ჩვენს ინტერესებს და მეორე მხრივ, თუ ადამიანები აღიარებენ კანონის უზენაესობას, დაიცავენ საკუთრების უფლებას მსოფლიოში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ უკეთესი და ის შედარებით უსაფრთხო გახდება (Goldberg 2016). ამას გარდა, ამერიკელი ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში, ბარაკ ობამა იმასაც აღნიშნავდა, რომ სხვა სუპერ სახელმწიფოებთან შედარებით ამერიკა იყო ძალა, რომელიც საერთო სიკეთეებს იცავდა, ამერიკას არ ამოძრავებდა მხოლოდ პირადი ინტერესები, არამედ ქვეყანა და ინტერესებული იყო ჩამოეყალიბებინა ის ზოგადი ნორმები, რომლებიც მსოფლიოს სარგებელს მოუტანდა. ასევე, თუ ამ საზოგადო სიკეთის დაცვა, მათ შორის ადამიანების სიცოცხლის გადარჩენა, ამერიკას არც თუ ისე დიდი რესურსების ფასად დაუჯდებოდა, ამერიკა მზად იყო ეზრუნა ადამიანების სიცოცხლის გადარჩენისთვისაც (იქვე).

ვფიქრობ, სირიის შემთხვევაში ამერიკის მხრიდან არც ღირებულებების და არც ქვეყნის ინტერესების დაცვა არ მომხდარა. როგორც ქვემოთ ვნახავთ, პრეზიდენტი სულ სხვა სახის გლობალურ გამოწვევებს ასახელებს ამერიკის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საფრთხეებს შორის, რომელშიც სირია და ზოგადად ახლო აღმოსავლეთის რეგიონი საერთოდ არ შედის. ასევე, ბარაკ ობამამ თითქმის არაფერი მოიმოქმედა სირიის შეიარაღებულ კონფლიქტში ადამიანების სიცოცხლის ხელყოფის აღსაკვეთად და მარტო დატოვა მოსახლეობა ასადის ძალადობრივ რეჟიმთან. მივიჩნევ, რომ ბარაკ ობამას შემთხვევაში ქვეცნობიერდ არ მომხდარა,

ზემოთმოხმობილი ციტირების შესაბამისად, ინფორმაციის იმ ელემენტთა უგულებელყოფა, რომელიც პრეზიდენტის ღირებულებების და რწმენების სისტემას არ შეესაბამებოდა. ობამამდე ყოველგვარი გაზვიადების გარეშე აღწევდა სირიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ახალი ამბები, სხვა თუ არაფერი მასობრივი მედიის საშუალებები სავსე იყო სირიაზე გადაღებული რეპორტაჟებით, ვიდეო თუ ფოტო მასალებით, რაზეც ობამას სათანადო და ადეკვატური კონტრეაქციის განხორციელება მყისიერადვე ხელეწიფებოდა. უბრალოდ, პრეზიდენტის პირადი გადაწყვეტილება იყო დამატებითი რისკების არ გაწევა და უკან დახევის პოლიტიკა. ჟურნალისტ გოლდბერგთან მიცემულ ინტერვიუში პრეზიდენტმა მკაფიოდ დააფიქსირა და თითქოს ამით პასუხი გასცა ჩემს კითხვას: თუ ვინმე ასადის რეჟიმს სასტიკად და ძალადობრივად მოიხსენიებს და ამბობს, რომ ეს არ არის მმართველის მხრიდან საკუთარი ხალხის მიმართ მოქცევის მისაღები ფორმა, მაშინ რჩება მხოლოდ ერთი გამოსავალი უნდა შეხვიდე ძალის გამოყენებით სირიაში, დაამხო არსებული მმართველობა და ხელისუფლებაში მოიყვანო ახალი, შენთვის მისაღები ძალა (იქვე). სწორედ ამიტომ სამეცნიერო მასალებში, რომელსაც ამ თეზისის წერის პროცესში გავეცანი, თითქმის არ შემხვედრია ისეთი წყარო, (2013 წელს ქიმიური იარაღის გამოყენებამდე) სადაც პრეზიდენტი ობამა საჯაროდ აკრიტიკებდეს ასადის ძალადობრივ რეჟიმს და მოითხოვდეს მისი რეჟიმის დამხობას. ამით მრჩება შთაბეჭდილება, რომ ბარაკ ობამა თავს იზღვევდა საერთაშორისო საზოგადოების თვალში, არ კიცხავდა სირიაში არსებულ მმართველობას, რათა ვინმეს მერე ამერიკისთვის ხელი არ გაეშვირა და ვალდებულება არ დაეკისრებინა სირიაში ინტერვენციისა და იქ მშვიდობის დამყარებისთვის.

როგორც აღვნიშნე, პრეზიდენტმა ობამამ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან მიზნად დაისახა ქვეყნის შიდა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესება, ამ მიმართულებით სხვადასხვა რეფორმაც გაატარა. ბარაკ ობამას სიტყვების მიხედვით, ისლამური სახელმწიფო არ წარმოადგენს გარდაუვალ საფრთხეს ამერიკელი ერისათვის, განა რა შედეგებით დასრულდა ბინ ლადენის სიკვდილით დასჯა? რამე შეიცვალა ამერიკის უსაფრთხოებისათვის? ტერორისტულ აქტებს ამერიკაში გაცილებით ნაკლები ადამიანი ეწირება, ვიდრე ისეთ გამოწვევებს როგორცაა ფატალური საავტომობილო შემთხვევები ან თუნდაც უკანონოდ იარაღის ტარება და ხალხის ჩაცხრილვა (Ferguson, 2016). თუ საერთაშორისო პოლიტიკის

ჭრილშიც შევხედავთ, აქაც ბევრისთვის უცნაური და ქაოტურია ბარაკ ობამას პოლიტიკური გადაწყვეტილებები და ის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ახდენს პრეზიდენტი პრიორიტეტების დალაგებას. ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლის ნაცვლად, პრეზიდენტი უფრო ღირებულად თვლის და ირჩევს კუბასთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას, პარიზის კლიმატის ცვლილების შესახებ შეთანხმების მიღწევას, ამერიკის სტრატეგიული ღერძის აზიისაკენ გადახრას, მომავალი კონკურენტის, ჩინეთის დაბალანსების მიზნით და ირანთან ბირთვულ შეთანხმების გაფორმებას (იქვე).

ჩემი აზრით, ბარაკ ობამას საპრეზიდენტო მოღვაწეობა თავიდანვე გამსჭვალული იყო იმ პრინციპით, რომ დასრულებულიყო ამერიკის ისტორიაში წარსულში უკვე დაშვებული შეცდომების კვლავ გამეორება, რასაც სხვა სახელმწიფოს საზღვრებში თავდაპირველად, ომის მოგება თუმცა შემდგომ ეტაპზე იქ მშვიდობის წაგება ნიშნავდა (Tierny, 2016). “The Atlantic”-ის ერთ-ერთ სტატიაში ვკითხულობთ, რომ პრეზიდენტ ობამას პოლიტიკურ ლიდერად არჩევა იმ მოტივით მოხდა, რომ აღარასდროს განმეორებულიყო ერაყის მსგავსი შემთხვევები ამერიკის საგარეო პოლიტიკაში. (“no more Iraqs platform”) (იქვე). მიუხედავად ამ მოტივისა 2011 წლის ლიბიის ინტერვენციის სახით ობამამ, გამოდის, რომ, ფაქტობრივად დაარღვია ხალხისთვის მიცემული პირობა და ერაყის, ან თუნდაც ავღანეთის მსგავსად ომი მოიგო, თუმცა მშვიდობა წააგო ლიბიაში. ნატო-ს და ამერიკის ძალებით დაწყებული ერთობლივი კამპანია ლიბიაში, რომელსაც უდანაშაულო ადამიანების დაცვა უნდა უზრუნველყო ბენგაზისში სულ მალე კადაფის დამხობისკენ მიმართულ მოძრაობაში გადაიზარდა. ნაშრომის წინა ნაწილშიც აღვნიშვე და აქაც განვმეორდები, რომ ამერიკის პრეზიდენტმა ლიბიის შემთხვევაზე ისწავლა და კიდევ ერთხელ ნათლად დაინახა, რომ სახელმწიფოს მშენებლობის პროცესებმა ლიბიაში ვერ იმუშავა. სწორედ ამას მოწმობს ჟურნალისტ გოლდბერგთან ლიბიის ინტერვენციის შესახებ ბარაკ ობამას მიერ გამოყენებული ისეთი ფრაზები, რომელიც ლიბიაში არსებულ სიტუაციას „სისულელების შოუდ“ ახასიათებს (Goldberg 2016).


მივიჩვენ, რომ ბარაკ ობამა მოუმზადებელი აღმოჩნდა ლიბიის კრიზისის მიმართ. მოუმზადებლობაში კი პირველ რიგში სახელმწიფოს მხრიდან ჩამოყალიბებული და თანმიმდევრული მოქმედების სტრატეგიის თუ გეგმის არარსებობას მივიჩნევ. წინა

ათწლეულებში ჯორჯ ბუშის მიერ დაწყებული რეჟიმის ცვლილებისაკენ მიმართული სამხედრო ინტერვენციების საფუძველზე (ერაყი, ავღანეთი) მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამერიკის სტრატეგია მსგავსი შემთხვევების მიმართ მხოლოდ მყისიერი ეფექტის მოხდენას, ანუ რომელიმე ქვეყანაში დიქტატორის ჩამოგდებას ისახავს მიზნად და შემდეგ ეტაპზე არ აანალიზებს დიქტატორის გარეშე დარჩენილი ტრავმირებული და სამოქალაქო ომში ჩაძირული მოსახლეობისთვის დროული და საჭირო დახმარების აღმოჩენას, რომელსაც, ჩემი აზრით რამდენიმე ათწლეული მაინც სჭირდება. ამბობენ, რომ ომის მიმდინარეობისას ამერიკა ორი არჩევანის წინაშე დგას: პირველი ეს არის ამერიკის მიერ წარმატებულად განხორციელებული რეჟიმის ცვლილება, რომელსაც სოცოცხლისუნარიანი გეგმა უნდა მოსდევდეს სახელმწიფოებრიობის მშენებლობისათვის, ხოლო მეორე არჩევანი ეს არის, რომ ამერიკა საერთოდ არ ჩაებას საომარ ვითარებაში, რადგანაც თუ ტირანის დამხობას მაინც ანარქიამდე მივყავართ, ომის წარმოებას აზრი ეკარგება (იქვე).

თეზისის ამ ნაწილში, რომელიც პრეზიდენტ ობამას პიროვნების შესწავლას ეხება, მსურს მკითხველის ყურადღება კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გავამახვილო. ობამას თავშეკავების პოლიტიკა სირიაში, ვფიქრობ, რომ არ უნდა მივიჩნიოთ პრეზიდენტის პირად სისუსტედ, პირიქით ის ზრუნავდა საკუთარ ავტორიტეტზე და ამასთანავე, აკეთებდა ყველაფერს, რათა რისკის ქვეშ არ დამდგარიყო პრეზიდენტის იმიჯი. კვლევის პროცესში იმ დასკვნამდე მივედი, რომ ლიბია ბარაკ ობამასთვის კარგი გაკვეთილის მომცემი აღმოჩნდა იმ თვალსაზრისით, რომ ამერიკის პრეზიდენტს პოპულარობა არ დაეკარგა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. ობამამ უკანასკნელად მოსინჯა ნიადაგი ლიბიაში და ნახა რა 2011 წლის ინტერვენცია ფუჭი შედეგების მომტანი იქნებოდა, მსგავსი შეცდომა აღარ გაიმეორა სირიაში. პრეზიდენტი ჟურნალისტ გოლდბერგისთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ პრეზიდენტობის მიწურულს ობამა კმაყოფილია საკუთარი პოლიტიკური მოღვაწეობით, მას სჯერა, რომ ამერიკის მიერ თავის არიდება ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პრობლემებისგან და ამის საპირისპიროდ სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონებთან ურთიერთობების დალაგება გამართლებული გადაწყვეტილება იყო თავად პრეზიდენტის მხრიდან. ამას გარდა, ბარაკ ობამა ეჭვსაც გამოთქვამს, რომ ისტორიკოსები ამ არჩევანს პრეზიდენტს

მოუწონებენ და პრეზიდენტის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ბრძულადაც კი შეაფასებენ რამდენიმე წლის შემდეგ (Goldberg 2016).

როგორც ვთქვი, სირიაში ობამას ინტერვენციას შეეძლო საფრთხე შეექმნა პრეზიდენტის პოპულარობისათვის, მითუმეტეს თუ ან ნაბიჯს ამერიკა გაეროს რეზოლუციის გარეშე გადადგამდა და საერთაშორისო თანამეგობრობის, ან თუნდაც შიდასახელმწიფოებრივ დონეზე კონსენსუსის მიღწევის გარეშე შევიდოდა ასადის რეჟიმის დასამხობად ქვეყანაში. ჩემი მოსაზრების გასამყარებლად მომყავს ერთ-ერთი ამერიკული ორგანიზაციის მიერ (Pew Research Center) ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლის საფუძველზე დასტურდება ბარაკ ობამას პოპულარობა ჯორჯ ბუშთან შედარებით ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ 2003-2015 წლებში (Nunlist,



2016).

დასასრულს აღვნიშნავ, რომ რვაწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში სრულიად ბუნებრივ მოვლენად მიმაჩნია უკვე მომხდარი მოვლენების დასწავლის და გამოცდილების გაზიარების გზით პრეზიდენტ ობამას პიროვნებას, მის იდეებს და აღქმებს ტრანსფორმაცია განეცადა. საერთო ჯამში, ამერიკის პრეზიდენტი მაინც ბოლომდე იცავდა საკუთარ პრინციპებს საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით და ამასთანავე, ცდილობდა სტრატეგიული ხედვები და დამოკიდებულებები რაიმე კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, ობამას დოქტრინაში ჩამოყალიბებულ საკითხებთან თანხვედრაში მოეყვანა. ქენანის შეკავების დოქტრინის ან კისინჯერის შეკავების სტრატეგიის მსგავსი არაფერი შექმნილა ობამას ადმინისტრაციის პერიოდში ამერიკის საგარეო პოლიტიკურ ხედვებთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, ბევრის მოსაზრებით, ამერიკის

საგარეო პოლიტიკაში “ობამას დოქტრინამ” რევოლუციური გარდატეხა შეიტანა და ერთ დროს დაპირისპირებული მხარეები მეგობრებად, ხოლო ძველი მეგობრები მტრებად აქცია (Ikenberry, 2014)

თავი 6. მეორე დამოუკიდებელი ცვლადი - შიდასახელმწიფოებრივი ანალიზის დონე

ნაშრომის მეორე დამოუკიდებელი ცვლადია ამერიკის შიდასახელმწიფოებრივ დონეზე არსებული ფაქტორები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ბარაკ ობამას ჩაურევლობის პოლიტიკაზე სირიაში. აღნიშნული თავის დასაწყისშივე მსურს ხაზგასმით აღვნიშნო, რომ პრეზიდენტ ობამას პიროვნული დამოკიდებულებების გარდა მის არაინტერვენციულ პოლიტიკაზე სირიაში არანაკლები დოზით იმოქმედა ეროვნულ დონეზე არსებულმა რამდენიმე მნიშვნელოვანმა ფაქტორმა, რაშიც მოვიაზრებ კონგრესის რეზოლუციის არარსებობას, სახალხო აზრს და ეკონომიკურ დანახარჯებს. ამ ყველაფერთან ერთად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2011 წლის ლიბიის შემთხვევამ შიდასახელმწიფოებრივ კონტექსტზე გარდამტეხი როლი ითამაშა სირიის მიმართ არაინტერვენციული პოლიტიკის შემუშავებაში. აქედან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ თეზისი მეტ დატვირთვას შეიძენს თუ ნაშრომში შიდასახელმწიფოებრივი ანალიზის დონეზე შევისწავლი ლიბიის (2011წ.) და სირიის კონფლიქტების (ქიმიური იარაღის გამოყენება 2013წ.) შემთხვევებში არსებულ მოცემულობებს. სწორედ ამ მნიშვნელოვანი მოვლენების გამოკვეთით დავინახავ თუ რა შეიცვალა ლიბიაში განხორციელებული ინტერვენციის შემდგომ ამერიკაში და რამ მისცა ბიძგი სირიაში ობამას ადმინისტრაციის მიერ ჩაურევლობის პოლიტიკის შემუშავებას.

6.1. პრეზიდენტი, კონგრესი და „პენსილვანია ავენიუს დიპლომატია“

სანამ 2013 წ. ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით შევისწავლი კონგრეს-პრეზიდენტის ურთიერთობებს, მანამდე მსურს ისტორიულ კონტექსტში მოკლედ მიმოვიხილო ამერიკის ორი პოლიტიკური ორგანოს ფუნქციები და მუშაობის სპეციფიკა.

პრეზიდენტის და კონგრესის ურთიერთობების თეორიების კარგ ანალიზს გვთავაზობს ბრუს ჯენტლესონი წიგნში „ამერიკის საგარეო პოლიტიკა - არჩევანის დინამიკა 21-ე საუკუნეში“, სადაც ავტორი ყვება, რომ თეთრი სახლი და კაპიტოლიუმი, სადაც განთავსებულია ამერიკის კონგრესი, ერთმანეთისგან

გამოიყოფა პენსილვანიის ავენიუთი, რომელიც, ამერიკის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს ერთმანეთთან აკავშირებს კიდევაც და თან ერთმანეთისგან გამოყოფს (Jentleson, 2010). ისტორიულად ამერიკის საგარეო პოლიტიკის შემუშავებასთან დაკავშირებით პრეზიდენტსა და კონგრესს შორის ურთიერთობების ოთხი მახასიათებელი შეგვიძლია გამოვყოთ: 1. თანამშრომლობა - კოორდინირებული შეთანხმების მიღწევა, 2. კონსტრუქციული კომპრომისი - ორგანოებს შორის დასაწყისში ვერ ხერხდება შეთანხმების მიღწევა, თუმცა საბოლოო პროდუქტი და კონსენსუსი ბევრად უკეთესია ორივე მხარის თავდაპირველ პოზიციებზე, 3. ინსტიტუციონალური კონკურენცია - იდეოლოგიური შეუთავსებლობა ორგანოებს შორის, რასაც მივეყვართ ორივე მხარის მიერ ეროვნულ ინსტიტუტებზე კონტროლის მოპოვების მცდელობისკენ. 4. კონფრონტაცია - გამოკვეთილად იგრძნობა პენსილვანია ავენიუს დამაბულობა და პოლიტიკური შტოების პოზიციები კონფლიქტში მოდის ერთმანეთთან (იქვე).

ამერიკის საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში როგორც კონგრესს, ასევე პრეზიდენტს განსაკუთრებული ფუნქცია აკისრიათ. კონსტიტუციის პირველი მუხლის მიხედვით, ორივე ორგანოს სხვადასხვა უფლებამოსილება გააჩნია. კონგრესის ძალაუფლება მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა „ომის გამოცხადება“, „კომერციული ურთიერთობების დამყარება სხვა სახელმწიფოებთან“, „არმიის ჩამოყალიბება“, „კანონების შექმნა მთავრობისთვის, სახმელეთო და საზღვაო ძალებისთვის რეგულაციების შემუშავება“. (Masters 2017). რაც შეეხება პრეზიდენტის ძალაუფლებას ის გადმოცემულია კონსტიტუციის მეორე მუხლში. პრეზიდენტი ითვლება ქვეყნის მთავარსარდლად, მას ასევე შეუძლია ხელი მოაწეროს ან ვეტო დააბრუნოს კანონმდებლობას. ის თეთრ სახლთან და ეროვნულ უსაფრთხოების საბჭოსთან ერთად განსაზღვრავს და ახორციელებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას, პრეზიდენტის უფლებამოსილებაა მოახდინოს ხელშეკრულებების რატიფიცირება და ელჩები დანიშნოს სენატის 2/3 თანხმობის საფუძველზე (Stevenson, 2013).

მიუხედავად უფლებამოსილებების მკვეთრი გამიჯვნისა საინტერესო სტატისტიკურ მონაცემებს გავეცანი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორაა გადმოცემული რეალურ ცხოვრებაში კონსტიტუციაში გაწერილი კონგრეს-პრეზიდენტის ურთიერთობები (War Powers). ამერიკის დაარსების დღიდან ქვეყანამ დაახლოებით ორასჯერ

გამოიყენა სამხედრო ძალა, საიდანაც მხოლოდ ხუთი ომი, 1812 წლის ომი, მექსიკის ომი, ამერიკა-ესპანეთის ომი, I და II მსოფლიო ომები განხორციელდება კონგრესის მიერ გამოცემული დეკლარაციით. დარჩენილიდან დაახლოებით ოთხმოცდაათამდე ომის (მათ შორის 1991 წ. სპარსეთის ყურის ომი, 2001 წ. ავღანეთის ომი, 2003 წ. ერაყის ომი) წარმოება მოხდა სხვა შეზღუდული სახის საკანონმდებლო უფლებამოსილებით, სხვა დანარჩენ საომარ ვითარებაში კი პრეზიდენტს, კონგრესისგან დამოუკიდებლად, მოქმედების სრული თავისუფლება გააჩნდა (Jentleson 2010).

ამერიკის პრეზიდენტისა და კონგრესის ურთიერთობების შესწავლის კარგ საშუალებას იძლევა 2013 წლის 21 აგვისტოს, სირიაში, დამასკოს გარეუბანში ასადის რეჟიმის მიერ გამოყენებული ქიმიური იარაღი, ზარინის გაზი, რასაც ათსზე მეტი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. თუმცა, რადგანაც პრეზიდენტი-კონგრესის ურთიერთობების შესწავლა არ წარმოადგენს ჩემს მიზანს, ამიტომ სირიის 2013 წ შემთხვევაში ამერიკის საკანონმდებლო ორგანოს წინააღმდეგობა ამერიკის 44-ე პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით მომყავს იმის საჩვენებლად, თუ რა მასშტაბით შეძლო ეროვნულ დონეზე არსებულმა ერთ-ერთმა შემაფერხებელმა ფაქტორმა, კონგრესის რეზოლუციის არარსებობამ, უარყოფითად ემოქმედა ობამას მცდელობაზე თუნდაც შეზღუდული მასშტაბის სამხედრო დარტყმები განხორციელებინა ასადის რეჟიმზე. შესაბამისად, ქვემოთ უფრო დეტალურად მექნება საუბარი პრეზიდენტ ობამას მისამართით კონგრესის მხრიდან წამოსულ წინააღმდეგობაზე, რითიც ნათლად დადგინდება ის ლოგიკური ჯაჭვი, რაც ნაშრომის მეორე დამოუკიდებელ ცვლადსა და დამოკიდებულ ცვლადს შორის არსებობს.

31 აგვისტოს ბარაკ ობამა განცხადებას აკეთებს თეთრ სახლში, ვარდების ბაღში. პრეზიდენტის მხრიდან ასადის რეჟიმის დასასჯელად სირიაში სამხედრო შეტევის განხორციელებას ყველა ელოდა, თუმცა ამ დღეს პრეზიდენტის მიერ წარმოთქმულმა სიტყვებმა ბევრი გააკვირვა. დაახლოებით ერთი წლის წინ თავად პრეზიდენტმა ობამამ გააფრთხილა ასადი, რომ თუ ეს უკანასკნელი ქიმიურ იარაღს გამოიყენებდა ეს იქნებოდა წითელი ხაზის დარღვევა, რომელსაც ამერიკის ადმინისტრაცია გადააბიჯებდა და პასუხს გასცემდა ასადის რეჟიმს სამხედრო მოქმედებების განხორციელებით სირიაში. ობამას განცხადებაში კი ვკითხულობთ, რომ:

„მე, როგორც ქვეყნის მთავარსარდალი, ვიცავ ჩვენი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს და დარწმუნებული ვარ, როგორც ამ ქვეყნის პრეზიდენტი, რომ ამერიკის ძალა, რომელიც წარმოადგენს მსოფლიოს უძველეს კონსტიტუციურ დემოკრაციას, ემყარება არა მხოლოდ ჩვენს სამხედრო სიძლიერეს, არამედ ჩვენს მაგალითს, რომ ვართ ხალხის მიერ არჩეული მთავრობა და ვმოქმედებთ ხალხის ინტერესებისათვის. აქედან გამომდინარე მივიღე გადაწყვეტილება, რომ ვითხოვო კონგრესის, ჩვენი მოსახლეობის წარმომადგენლების, ნებართვა სირიაში ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით“ (Obama, 2013).

იმავე განცხადებაში, პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ქიმიური იარაღის გამოყენება სირიაში არ არის მხოლოდ საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა, არამედ ეს დანაშაული სერიოზულ საფრთხეს უქმნის ამერიკის უსაფრთხოებასაც. პრეზიდენტი, ისევე როგორც სენატის ან წარმომადგენელთა პალატის წევრები, არ აურჩევია ამერიკელ ხალხს რთული გადაწყვეტილებებისგან თავის არიდების მიზნით, პირიქით ასეთ რთულ სიტუაციაში უკანა პლანზე უნდა გადავიდეს ქვეყნის პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის დაპირისპირება და ერთი მიზნისკენ უნდა გაერთიანდეს ძალები, რადგან დემოკრატია უფრო ძლიერია ქვეყანაში, როცა პრეზიდენტი მოქმედებს კონგრესის მხარდაჭერით და ამერიკაც უფრო ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს საერთაშორისო აპარეზზე, როცა პრეზიდენტსა და კონგრესს შორის კონსენსუსი მიღწეულია (Obama, 2013).

პრეზიდენტი ობამა განცხადებაში პირდაპირ მიმართავს კონგრესს და რამდენიმე კითხვასაც სვამს მისი მისამართით. პრეზიდენტი, პირველ რიგში, სთხოვს კონგრესის წევრებს უყურონ სირიაში 21 აგვისტოს დატრიალებული უბედურების ამსახველ ვიდეო-ფოტო მასალებს და შემდეგ საკუთარ თავს დაუსვან კითხვა - როგორ მსოფლიოში ვცხოვრობთ დღეს ჩვენ თუ ამერიკის შეერთებული შტატები ხედავს, რომ სხვა ქვეყანაში დიქტატორი უსირცხვილიოდ არღვევს საერთაშორისო ნორმებს მომწამვლელი გაზის გამოყენებით და ჩვენ კიდევ სხვა მიმართულებით ვიწყებთ ყურებას, ვითომც ვერ ვხედავდეთ მომხდარს? რა არის საერთაშორისო სისტემის მიზანი, თუ ჩვენ, მსოფლიო მთავრობების 98% ხელს ვაწერთ ქიმიური იარაღის გაუვრცელებლობას, მათ შორის ამერიკაც და შემდეგ ვერ ვახდენთ ამ შეთანხმების იმპლემენტაციას? (იქვე).

პრეზიდენტი კარგად იაზრებს იმ ფაქტს, რომ ერაყისა და ავღანეთის გამოცდილების შემდეგ სხვა ქვეყანაში, თუნდაც შეზღუდული ძალებით, სამხედრო შეტევის დაწყებას მოსახლეობა მხარს არასდროს დაუჭერს. ბარაკ ობამამ ხელისუფლებაში მოსვლიდან ოთხწელიწად-ნახევარი ომების დასრულებას შეაღია და არა მათ ხელახლა დაწყებას. ამერიკელებს ამერიკელები ჭირდებათ ვაშინგტონში, განსაკუთრებით პრეზიდენტს, რომელიც ზრუნავს მოსახლეობის საშუალო ფენაზე, მათთვის სამუშაო ადგილების უზრუნველყოფასა და განათლების ხელმისაწვდომობაზე. პრეზიდენტის აზრით, ასადის რეჟიმის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტზე პასუხი გასაცემია მიზანმიმართული სამხედრო დარტყმების განხორციელებით, რომლის მიზანსაც უნდა წარმოადგენდეს სამომავლოდ ქიმიური იარაღის გამოყენების მცდელობისაგან ასადის შეკავება, ასევე რეჟიმის დასუსტება და რაც მთავარია მსოფლიომ უნდა დაინახოს, რომ ამერიკა ვერასდროს იქნება შემწყნარებელი ამ ტიპის დანაშაულებების ჩამდენების მისამართით (Obama 2013).

ვფიქრობ, ამ განცხადებების პარალელურად უნდა შევხებო საერთაშორისო ასპარეზზე იმ პერიოდში განვითარებულ მოვლენებსაც რამაც, ფაქტობრივად, პრეზიდენტის პოლიტიკური გათვლების და გადაწყვეტილებების ფორმირება განაპირობა. 2013 წლის 28 აგვისტოს, გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე რუსეთმა და ჩინეთმა ვეტო დაადეს გაეროს რეზოლუციას სირიაში სამხედრო მოქმედებების დაწყებასთან დაკავშირებით. მომდევნო დღეს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს, დავიდ კამერონს მხარი არ დაუჭირა თემთა პალატამ სირიაში ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით. პრემიერმა, მიუხედავად პირადი რწმენისა, რომ აუცილებელი იყო სირიაში გარედან დაწყებულიყო სამხედრო ძალის ჩარევა, პატივი სცა და დათანხმდა პარლამენტის გადაწყვეტილებას ძალის გამოყენებლობასთან დაკავშირებით. ამ ყველაფრის საპასუხოდ, კონგრესმა, მათ შორის ოცდაერთმა დემოკრატმა წევრმა, ხელი მოაწერა წერილს, სადაც ეწერა, რომ საჭირო იყო პრეზიდენტს მოეთხოვა კონგრესის უფლებამოსილება სამხედრო მოქმედებების დასაწყებად სირიაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ობამას გადაწყვეტილება არაკონსტიტუციურად გამოცხადდებოდა (Kriner, 2014).

ამ თავის დასაწყისში მოვიშველიე სტატისტიკური მონაცემები წარსულში ამერიკის მიერ წარმოებულ შეიარაღებულ კონფლიქტებში კონგრესის უფლებამოსილების

გაცემის ძალზედ დაბალ მაჩვენებლზე. ამის საპირისპიროდ სირიის შემთხვევასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, საინტერესოა მკითხველს დავანახო თუ რა მაღალი იყო ამერიკელების სურვილი ბარაკ ობამას მიეღო კონგრესის რეზოლუცია სამხედრო ძალის გამოყენების წინ. NBC News მიერ ჩატარებული სახალხო აზრის გამოკითხვის შედეგად შეკითხვაზე - სირიაში სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე პრეზიდენტმა ობამამ უნდა მოითხოვოს თუ არა კონგრესის უფლებამოსილება - რესპოდენტმა 80%-მა დადებითი პასუხი გასცა (იქვე).

ვფიქრობ, მართლაც საინტერესოა აიხსნას რის გამო მოხდა სახალხო აზრის ფორმირება ამ სახით? იყოს ეს 2011 წელს ლიბიაში განხორციელებული სამხედრო მოქმედებების შედეგი? ან რატომ ცდილობდა პრეზიდენტი კონგრესის თანხმობის მოპოვებას, როცა წინა პრეზიდენტების მოღვაწეობის პერიოდში მომხდარი მრავალი ათეული პრეცედენტიდან გამომდინარე მას თავისუფლად შეეძლო დამოუკიდებლად სირიაში სამხედრო შეტევის წამოწყება?

ჩემი აზრით, უმთავრესი მიზეზი, რის გამოც ბარაკ ობამამ უკან დაიხია და კონგრესის დაუკითხავად არ გადადგა ნაბიჯები ასადის რეჟიმზე სამხედრო დარტყმების მისაყენებლად, იყო მოლოდინი და შიში იმისა, რომ სირიაში ასადის რეჟიმის მისამართით განხორციელებული, თუმცა ლიმიტირებული მასშტაბების მოქმედებები, წარმატებით არ დასრულდებოდა და ის კიდევ უფრო მასშტაბურ ინტერვენციაში გადაიზრდებოდა. ანუ ობამას არ ჰქონდა სირიიდან უკან გამოსვლის სტრატეგია შემუშავებული, ის არ იყო თავის თავში დარწმუნებული და ამ შემთხვევაში თუ პოლიტიკური პასუხისმგებლობების გადანაწილება საკანონმდებლო შტოზეც მოხდებოდა, სირიაში წარუმატებელი შედეგების დადგომის შემთხვევაში საზოგადოების მხრიდან წამოსული კრიტიკის ობიექტი მხოლოდ პრეზიდენტი აღარ იქნებოდა.

2007 წ. “The Boston Globe”-ისთვის მიცემულ ინტერვიუში სენატორი ბარაკ ობამა, აღნიშნავდა:

„პრეზიდენტს კონსტიტუციის მიხედვით არ აქვს უფლება უნილატერალურად წამოიწყოს სამხედრო თავდასხმა რომელიმე ქვეყნის მიმართ იმ სიტუაციაში, როცა შექმნილ მდგომარეობაში რეალური ან გარდაუვალი საფრთხე არ ექმნება ამერიკის მოსახლეობას და ეროვნულ ინტერესებს“ (Resi, 2013).

ამერიკული კვლევითი ორგანიზაციის, საგარეო ურთიერთობების საბჭოს დირექტორი, ჯეიმს ლინსლი, აღნიშნავს, რომ პრეზიდენტს სრული უფლებამოსილება გააჩნია დაიცვას ქვეყანა პირდაპირი შემოტევისაგან, მაგრამ როდესაც ქვეყანა თავდასხმითი სახის შეტევებს ახორციელებს არ არსებობს შეჯერებული კონსენსუსი კონგრესის მიერ სანქცირებული ნებართვის საჭიროებასთან დაკავშირებით (იქვე).

აქვე ვვარაუდობ, რომ პრეზიდენტ ობამას სირიაში სამხედრო ჩაურევლობის და პოლიტიკური თავშეკავების მიზეზი 2011 წ. ლიბიის შემთხვევაც იყო. ჩემი აზრით, წარსულში მომხდარ მსგავს პრეცედენტებს შორის პრეზიდენტი ობამა ყველაზე მეტად ლიბიის შემთხვევას დაეყრდნობოდა და კარგ გაკვეთილად გამოიყენებდა. 2011 წ. ლიბიაში ინტერვენციის დროს ბარაკ ობამას არ უთხოვია მიეღო კონგრესის მხრიდან რეზოლუცია, მიუხედავად ამისა მაშინ მის პოლიტიკურ ქმედებებს სამართლებრივ ლეგიტიმურობას გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია და ოპერაციაში ნატო-ს ჩართულობა ანიჭებდა. ვფიქრობ, პრეზიდენტი არავისზე ნაკლებად გრძნობდა, რომ ამერიკა, რომელიც პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით, საკმაოდ დაყოფილი და მრავალფეროვანი ქვეყანაა, სადაც ცხოვრობენ დემოკრატები, რესპუბლიკელები, კონსერვატორები და სხვ. ყველა გამოხატავდა შემფოთებას და წუხილს ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, კი სირიაში, ბოლო თორმეტი წლის განმავლობაში მესამე სამხედრო ინტერვენციის დაწყების ალბათობასთან დაკავშირებით (Kronlund, 2015).

მართალია, ლიბიაში ინტერვენციის დროსაც არ არსებობდა ამერიკის საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან სანქცირებული ნებართვა საჰაერო დარტყმების განხორციელებასთან დაკავშირებით, მაგრამ ამის მაგივრად პრეზიდენტ ობამას გააჩნდა საერთაშორისო საზოგადოების ლეგიტიმური მხარდაჭერა. მიუხედავად ამ ყველაფრისა ბარაკ ობამას განცხადების მიხედვით, ლიბიის 2011 წ. ინტერვენცია, სადაც ყველაფერი ნორმის ფარგლებში დაიწყო, სადაც ინტერვენციის შედეგად სიცოცხლე შეუნარჩუნდა ათიათასობით მოქალაქეს, მოხდა დიქტატორის ჩამოგდება და ამის ფონზე არ დაშავებულა და არც გარდაცვლილა ამერიკის არცერთი ჯარისკაცი, ამერიკაში ნეგატიურად იქნა აღქმული. (Obama 2013).

აქედან გამომდინარე მივიღეთ შემდეგი სურათი. ორი კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთში - ლიბია (2011), სირია (2013), მათგან არცერთ შემთხვევაში ამერიკის მხრიდან არ ყოფილა კონგრესის რეზოლუცია მიღებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, ლიბიაში გადაწყვიტა ბარაკ ობამამ სამხედრო ინტერვენცია, ხოლო სირიაში პრეზიდენტმა თავი შეიკავა მსგავსი ქმედების განხორციელებისგან. ჩემი დასკვნა და ახსნა ამ შემთხვევების მიმართ შემდეგია: მიუხედავად იმისა, რომ ლიბიაში ინტერვენციას საერთაშორისო მხარდჭერა და ლეგიტიმურობა თან ახლდა, რასაც ვერ ვიტყვით 2013 წელს სირიაში ამერიკის მხრიდან დაგეგმილი ოპერაციის შესახებ, ვფიქრობ, რომ პირველ რიგში მაინც ლიბიის ინტერვენციიდან მიღებული უარყოფითი რეზონანსი ამერიკაში, შემდეგ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და საკანონმდებლო ორგანოებს შორის აზრთასხვადასხვაობა იყო ის წყალგამყოფი ხაზი, რამაც ბარაკ ობამას სირიაში ჩაურევლობა გადააწყვეტინა. ამ პოლიტიკური არჩევანით, ფაქტობრივად, თავად უარყო პრეზიდენტმა ამერიკის საგარეო პოლიტიკის ამოცანა, რაზეც „ობამას დოქტრინაში“ პრეზიდენტს ჰქონდა საუბარი - არ გააკეთო სისულელე (“Don’t do stupid shit”). (Obama 2013). მაგრამ, განა ნამდვილ სისულელედ არ უნდა მივიჩნიოთ პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხრიდან ლიბიაში შესვლა თუ არ არსებობდა ქვეყნის რეკონსტრუქციის გრძელვადიანი გეგმა და ამერიკის გამოსვლის შემდეგ მყისიერადვე ლიბია სრულ ქაოსში ჩაეფლო? ან კიდევ, რა მიზანს ემსახურებოდა წითელი ხაზის გავლება? ვფიქრობ, პრეზიდენტს დაპირებები და დამუქრებები არ უნდა გაეცა თუ ერთი წლის თავზე, ასადის მიერ სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების საწინააღმდეგოდ ვერაფერს მოიმოქმედებდა.

სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენებლობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მხოლოდ საერთაშორისო შეთანხმების დადების შედეგად იქნა მიღწეული. დიდი ოცეულის შეხვედრაზე სანქტ-პეტერსბურგში, 2013 წლის 5-6 სექტემბერს, რუსეთსა და ამერიკის სახელმწიფო მეთაურებს შორის გამართული დიალოგის დროს გადაწყდა, რომ რუსეთი თავიდან აირიდებდა ამერიკის ჩართულობას სირიაში იმის სანაცვლოდ, თუ პუტინი დაარწმუნებდა ასადს მომხდარიყო ქვეყანაში არსებული მომწამლავი გაზის მარაგის გადაცემა საერთაშორისო კონტროლის ქვეშ მისი შემდგომი განადგურების მიზნით. (Tiefer, Clark, 2016). ამერიკის მთავრობის და პირადად პრეზიდენტის ეს უკანასკნელი მცდელობა წარმატებით განხორციელდა.

6.2. სახალხო აზრი

ამერიკის ერთ-ერთი სენატორის სიტყვებს თუ მოვიშველიებ, პოლიტიკურ მოვლნებში კონგრესის ჩართულობა მხოლოდ მშრალი კონსტიტუციური პრინციპის დაცვას როდი ნიშნავს. კონგრესში დებატების გამართვით, დისკუსიით და ომის ინიცირებასთან დაკავშირებით კონგრესმენებს შორის ხმის მიცემის წარმოებით ხდება მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან დაკავშირებით და ამომრჩევლისთვის მოსალოდნელი კონფლიქტის ხასიათთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება (Kronlund, 2015). საზოგადოებრივი აზრი და კონგრესის პოზიცია, ვფიქრობ, საჭიროა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ერთიანი და შეთანხმებული იყოს. რადგანაც საკანონმდებლო ორგანოს წევრების დაკომპლექტება ამომრჩეველთა მხრიდან ხმის მიცემით ხორციელდება, ამიტომ თითოეული ამომრჩეველი ნამდვილად იმსახურებს, რათა ფლობდეს საჭირო ინფორმაციას ქვეყნის წინაშე არსებულ შიდა თუ გარე გამოწვევებთან დაკავშირებით. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებში საზოგადოებრივი აზრი ხშირ შემთხვევაში მთავრობის მიერ ყოველთვის მხედველობაში მიიღება სერიოზული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს. სწორედ ამიტომ ვუწოდებთ მათ ხალხის მმართველობაზე დამყარებულ რეჟიმებს, სადაც სახალხო განწყობები და შეხედულებები დიდ როლს თამაშობს პოლიტიკური დღის წესრიგის განსაზღვრაში.

სახალხო აზრს არაპირდაპირი გზით შეუძლია გავლენა მოაძინოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებებსა და მის პოლიტიკურ აზროვნებაზე. სახალხო აზრი საპრეზიდენტო არჩევნების და კონგრესის წევრთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ახდენენ ზემოქმედებას პრეზიდენტის პოლიტიკურ კურსსა და პროგრამაზე. (Dieck, 2014). როგორც 2013 წელს სირიაში ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების შემთხვევამ აჩვენა პრეზიდენტი ობამა რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან მოსალოდნელ შეზღუდული მასშტაბების სამხედრო ინტერვენციას სირიაში თანხმობა არ გამოუცხადა ქვეყნის კონგრესმა, რომლის უკანაც ამერიკელი ამომრჩეველი იდგა.

მოკლედ რომ შევაჯამო ამერიკის შესაძლო ინტერვენციას სირიაში რამდენიმე გასამართლებელი მიზანი, ნამდვილად, ჰქონდა: 1. უპირველეს ყოვლისა შესაძლოა ძალიან მალე ამ მოვლენებს ასადის რეჟიმის დასრულება გამოეწვია 2. ასადის რეჟიმის დამხობას ასევე თან მოჰყვებოდა ჰუმანიტარული კრიზისის დამთავრება ქვეყანაში 3. საერთაშორისო სამართლის შესაბამისად მოხდებოდა მასობრივი განადგურების იარაღის (ასეთის არსებობის აღმოჩენის შემთხვევაში) საერთაშორისო ნორმების მიხედვით განადგურება და მოიხსნებოდა ტერორისტული დაჯგუფებების მიერ ქიმიური იარაღის ხელში ჩაგდების საფრთხე. 4. ამერიკის სამხედრო ინტერვენციას უნდა უზრუნველყო დესტაბილიზაციის და სამოქალაქო არეულობების პრევენცია სირიაში, რაც თავის მხრივ შეამცირებდა ევროპის მასშტაბით ლტოლვილთა დიდი ნაკადის გადაადგილებას, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის დღემდე ევროპის პოლიტიკურ უსაფრთხოებას და სტაბილურობას (იქვე). მიუხედავად ამ დადებითი მოლოდინებისა ამერიკის მოსახლეობა უარყოფითად განწყობილი აღმოჩნდა ინტერვენციის მიმართ და კონგრესთან ერთად ცალსახად ეწინააღმდეგებოდა კიდევ ერთი კონფლიქტის მხარედ გახდომას ახლო აღმოსავლეთში.

სახალხო აზრის დასადგენად ნაშრომში ვიყენებ სხვადასხვა ამერიკული კვლევითი ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ გამოკითხვებს, რაც საშუალებას მძლევს რომ კიდევ ერთხელ გამოვკვეთო საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება და ამ ნეგატიური დამოკიდებულების მაღალი გავლენის ხარისხი პრეზიდენტის პირად შეხედულებებსა და გადაწყვეტილებებზე საგარეო პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით. ძალიან კარგ დამხმარე მასალას წარმოადგენს ისეთი გავლენიანი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სახალხო აზრის გამოკითხვები, როგორცაა „Gallup“, „The Washington Post“, „The CNN/ORC“. რესპოდენტებისთვის დასმული შეკითხვებიდან გამომდინარე ირკვევა რამდენიმე საინტერესო დეტალი, რაც კიდევ უფრო ამყარებს ჩემს ჰიპოთეზას იმასთან დაკავშირებით, რომ სახალხო აზრი იყო ერთ-ერთი აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი ფაქტორი პრეზიდენტ ობამას ჩაურევლობის პოლიტიკისა სირიის კონფლიქტში. გამოკითხვებზე დაყრდნობით ნაშრომში რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს წარმოვადგენ.

2013 წლის 3 სექტემბერს „The Washington Post“-ის მიერ დასმულ შეკითხვაზე - „იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სირიის მთავრობამ ქიმიური იარაღი გამოიყენა სამოქალაქო ომში საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ, ემხრობით თუ არა ამერიკის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას სამხედრო შეტევა განახორციელოს სირიის ხელისუფლების წინააღმდეგ? - ამომრჩეველთა 59%-მა უარყოფითი, ხოლო 36%-მა დადებითი პასუხი დააფიქსირა, დანარჩენმა თავი შეიკავა პასუხის გაცემისაგან (Clement, 2013). საინტერესო ცვლილებას ასახავს Gallup-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვა, სადაც ჩანს, რომ 2013 წლის 10 სექტემბერს, პრეზიდენტ ობამას მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ, კიდევ უფრო იკლებს იმ ადამიანთა რაოდენობა, ვინც ამერიკის მიერ სირიაში სამხედრო ინტერვენციის განხორციელების მომხრე იყო სირიის მხრიდან ქიმიური იარაღის გამოყენების შესაძლებლობების შემცირების მიზნით. როგორც თავად კვლევითი ორგანიზაცია აღნიშნავს, პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლის შემდეგ საზოგადოებაში იმატა მოლოდინმა იმასთან დაკავშირებით, რომ სირიის კონფლიქტი ძალის გამოყენების ნაცვლად, დიპლომატიური მოლაპარაკებების გზით მოგვარებულიყო (Swift, 2013).

Americans' Views on Military Intervention in Syria

Would you favor or oppose the U.S. taking military action against Syria in order to reduce that country's ability to use chemical weapons?

	% Favor	% Oppose	% No opinion
Sep 11-12, 2013	28	62	11
Sep 3-4, 2013	36	51	13

GALLUP

ჩემთვის, როგორც ამ საკითხის შესწავლით დაინტერესებული მკვლევარისთვის, საინტერესო მონაცემებს წარმოადგენს, ასევე, “The Washington Post“-ის მიერ რესპოდენტებისთვის დასმული შეკითხვები - „სირიაში მიმდინარე მოვლენებში საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მონაწილეობის შემთხვევაში დაუჭერდით თუ არა მხარს ამერიკის და მისი მოკავშირეების ერთობლივ სამხედრო ინტერვენციას ასადის რეჟიმის წინააღმდეგ.“ აღნიშნულ შეკითხვაზე 51%-მა უარყოფითი, ხოლო 43% დადებითი პასუხი გასცა, დანარჩენმა თავი შეიკავა აზრის დაფიქსირებისაგან. ხოლო მეორე შეკითხვაზე - „ემხრობით თუ ეწინააღმდეგებით ამერიკისა და მისი

მოკავშირე ქვეყნების მიერ სირიელი აჯანყებულებისთვის იარაღის მიწოდებას“ – 70% უარყოფითი პასუხი დააფიქსირა (Clement, 2013).

CNN/ORC-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვა 2013 წელის 6-8 სექტემბერს განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც სატელეფონო ინტერვიუებში მონაწილეობა მიიღო 1022 ადამიანი, საიდანაც 30% იყო დემოკრატი, 21% იყო რესპუბლიკელი, ხოლო დანარჩენი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი. ორგანიზაციის მიერ დასმულ შეკითხვაზე - „დაუჭერთ თუ არა მხარს ამერიკის მიერ სირიაში საჰაერო იერიშის განხორციელებას, თუ იერიშის განხორციელებასთან დაკავშირებით კონგრესი რეზოლუციას გამოსცემს“ - რესპოდენტთა 53% უარყოფითი, 43% დადებითი პასუხი გასცა, დანარჩენმა თავი შეიკავა აზრის დაფიქსირებისაგან. რაც შეეხება მეორე შეკითხვას - მისცემთ თუ არა ხმას ისევ თქვენს წარმომადგენელს კონგრესში თუ ეს ადამიანი მხარს დაუჭერს ამერიკის მიერ სირიაში სამხედრო მოქმედებების განხორციელებას“ - რესპოდენტთა უმრავლესობამ, 57%-მა, განაცხადა, რომ ეს ვერ მოახდენს გავლენას და ის ისევ იმავე კონგრესმენს მისცემდა ხმას არჩევნებში (Steinhauser and Helton, 2013, CNN Poll).

იმავე სახალხო აზრის გამოკითხვაში მოყვანილია შედარებები სირიაში ამჟამინდელ ინტერვენციასა და ამერიკის მიერ წარმოებულ წინა სამხედრო ოპერაციებს შორის. კითხვაზე - „სირიაში სამხედრო ინტერვენციის დაწყებით მიიღწევა თუ არა ამერიკისთვის მნიშვნელოვანი მიზნები“ - ინტერვიუერთა 72%-მა უარი განაცხადა. ანალოგიური შეკითხვა Gallup-მა 2003 წლის ნოემბერში დასვა, 1998 წელს ბილ კლინტონის მიერ ერაყში განხორციელებული დაბომბვების წინ, სადაც რესპოდენტთა 48%-მა შეკითხვას დადებითად უპასუხა, 42%-ის შეფასებით კი ერაყზე განხორციელებული შეტევა უშედეგო იქნებოდა. გარდა ამისა, სირიასა და ლიბიას შორის კარგ შედარებას გვთავაზობს CNN/ORC-ის მიერ დასმული შეკითხვა - „სირიაში ამერიკის ინტერვენცია წარმოადგენს თუ არა ამერიკის ეროვნულ ინტერესს“ - რაზეც ინტერვიუერთა 69%-მა უარი განაცხადა. მსგავსი შინაარსის შეკითხვა იქნა დასმული 2011 წლის მარტში ლიბიის კონფლიქტში ამერიკის ჩართულობასთან დაკავშირებით, სადაც შედარებით დაბალმა, თუმცა მაინც უმრავლესობამ, 55%-მა აღნიშნა, რომ ლიბიის კონფლიქტში ამერიკის ჩართულობა ქვეყნის ეროვნულ ინტერესს არ წარმოადგენდა (იქვე).

აღნიშნული გამოკითხვების მიღმა, მსურს, ასევე, აღვნიშნო, რომ სირიაში ინტერვენციასთან დაკავშირებით სახალხო აზრის უარყოფითი დამოკიდებულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი წინა ომებში ამერიკის ჩართულობიდან გამომდინარე საზოგადოებაში გაჩენილი „დაღლილობის“ გრძნობაა. ჩემს მოსაზრებას ამყარებს თავად პრეზიდენტ ბარაკ ობამას მიერ 2013 წლის სექტემბერში სირიასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაში გამოყენებული სიტყვები, რომელიც პრეზიდენტმა ერთ-ერთი ვეტერანისგან მიღებული წერილისგან გამოიყენა. „ამერიკელი ხალხი დაღლილია ომებისაგან“ (Lofflmann 2015). უფრო მეტიც, ანალოგიურ ფრაზას იყენებს თავის საუბრებში სახელმწიფო მდივანი, ჯონ ქერი, რომელიც ღიად აცხადებს, რომ ერაყიდან და ავღანეთიდან გამომდინარე ამერიკელი ხალხი ომებისგან თავს დაღლილად გრძნობს (Dieck 2014). დაღლილობასთან დაკავშირებით ასევე საუბრობს ინტერვიუში ჩემი რესპოდენტი ამერიკის ჩრდილო ჯორჯიის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, მეგან ჰოსერი. მან ხაზი გაუსვა ზოგადად შიდასახელმწიფოებრივი კონტექსტის გავლენას ბარაკ ობამას პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. კითხვაზე პასუხის გაცემის დროს, ჩემმა რესპოდენტმა არ დამალა, რომ ამერიკელი ხალხის დაღლილობის ფაქტორი სერიოზულ საფიქრალს უჩენდა პირადად პრეზიდენტს და მის პოლიტიკურ გუნდს (დანართი II). მრავალწლიანი კონფლიქტი ერაყში, ავღანეთში, ახლა უკვე ლიბიაში ჩართულობაც, მსხვედრპლად შეწირული ამერიკელი ჯარისკაცები, რასაც ასევე ემატებოდა ამერიკაში არსებული ეკონომიკური კრიზისი იყო ძირითადი მიზეზი იმისა, თუ რატომ სთხოვდა კონგრესი ობამას მათთან მოლაპარაკების წარმოების გარეშე არ გადაედგა სამხედრო-პოლიტიკური ნაბიჯები სირიის კონფლიქტთან დაკავშირებით.

სახალხო აზრის შესახებ საუბრისას, ვფიქრობ, კიდევ ერთ დეტალზეა საჭირო მოხდეს მკითხველის ყურადღების გამახვილება. საინტერესოა, ხომ არ იყო ამერიკელი მოსახლეობა იმედგაცრუებული პრეზიდენტ ობამას მისამართით. როცა 2002 და 2003 წლებში პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უმცროსი ამერიკელ ხალხს და კონგრესს არწმუნებდა, რომ ერაყში ინტერვენცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო იქ არსებული ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის განადგურების მიზნით, როგორც განხორციელებული ინტერვენციის შემდეგ დადასტურდა ერაყში საერთოდ ვერ იპოვეს მასობრივი განადგურების იარაღი, რის გამოც თითქოს უსაფუძვლო გამოდგა

პრეზიდენტ ბუშის არგუმენტები ერაყში სამხედრო ინტერვენციის განხორციელებასთან დაკავშირებით (Tiefer, Clark, 2016). ამ ყველაფრიდან გამომდინარე მიჩნდება მოსაზრება, რომ ერთხელ მოტყუებული და შეცდომაში შეყვანილი საზოგადოება მეორედ აღარ ენდობოდა ბრმად მოქმედ ხელისუფლებას და ექვს ქვეშ დააყენებდა ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტის საშიშროებას ამერიკასთან დაკავშირებით. ანუ საზოგადოების თვალში, ბარაკ ობამას მხრიდან გამომტყული მოსაზრება, რომ ქიმიური იარაღის გამოყენების გამო ლეგიტიმური იყო სირიაში ინტერვენცია, მოწონებას ვეღარ დაიმსახურებდა და ხალხიც უარყოფითად შეხვდებოდა პრეზიდენტის ინიციატივას სამხედრო მოქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებით, მითუმეტეს საერთაშორისო საზოგადოების და გაეროს რეზოლუციის არარსებობის პირობებში.

6.3. ეკონომიკური და ფინანსური დანახარჯები

მოცემული ქვეთავი შეეხება ამერიკის ეკონომიკური დანახარჯების მიმოხილვას, რამაც სერიოზული გავლენა იქონია პრეზიდენტ ობამას არაინტერვენციულ პოლიტიკაზე სირიაში. წინა სამხედრო ოპერაციებიდან მიღებული ეკონომიკური ზარალიდან გამომდინარე შეიზღუდა სირიაში ბარაკ ობამას შესაძლო ინტერვენციის მასშტაბები და ფორმები.

პრეზიდენტ ობამას ხელისუფლებაში მოსვლა მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ კრიზისს ემთხვევა. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა დიდი დარტყმა მიაყენა აშშ-ის ეკონომიკასაც, წარმოებას, ინვესტიციების მოზდვას. ამ ყველაფრის ფონზე გაიზარდა უმუშევრობის დონე ქვეყანაში. ნიშნულმა 2009 წლისთვის 10,1% მიაღწია, მაშინ როცა უმუშევრობა 2007 წლისათვის 4,6 %-ს უტოლდებოდა (Labonte, 2010).

ამერიკაში ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესების პარალელურად კიდევ უფრო ბუნდოვანი და ხარჯიანი ხდებოდა საზოგადოების და რიგი პოლიტიკოსების თვალში ერაყსა და ავღანეთში მიმდინარე ამერიკის სამხედრო ოპერაციები. ჰარვარდის კენედის სკოლის მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, ერაყსა და ავღანეთში 2013 წლამდე მიმდინარე ოპერაციების დანახარჯი 4-იდან 6

მილიარდამდე ამერიკულ დოლარდს შეადგენდა. ეს თანხა მოიცავდა ეკონომიკურ-სოციალურ დანახარჯებს, სამედიცინო დახმარებას, აღჭურვილობის გაუმჯობესებას და ვეტერანთა, ომისგან დაზარალებულთა მხარდაჭერას. ამას გარდა, დაახლოებით 6,700 ამერიკელი სამხედრო მოსამსაურე შეეწირა და 51,000 დაშავდა აღნიშნულ ომებში (Bilmes, 2013).

2012 წელს გამოცემულ ამერიკის თავდაცვის სტრატეგიულ სახელმძღვანელოში, (Defense Strategic Guidance) პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამერიკა აღარ გააგრძელებდა ფართომასშტაბიან სტაბილურობის ოპერაციებს, რასაც ერაყსა და ავღანეთში აქამდე ახორციელებდა. ერაყიდან და ავღანეთიდან მიღებული გამოცდილების საფუძველზე შემოღებულ იქნა ახალი სტრატეგია „მსუბუქი ნაკვალევი“. აღნიშნული მიდგომის თვალსაზრისით, ამერიკის ეროვნული ინტერესების უზრუნველსაყოფად მასიური სამხედრო ძალის გამოყენების ნაცვლად ამერიკა ჩაერთვებოდა მცირემასშტაბიან, სპეციალიზირებულ სამხედრო ოპერაციებში, რაც მიმართული იყო მხოლოდ ქვეყნის ფარგლებს გარეთ საჰაერო იერიშის განხორციელებასა და ადგილობრივი შეიარათებული ძალების მხარდაჭერაში (Obama 2012).

ერაყისა და ავღანეთის შემდეგ იყო 2011 წლის ლიბიის ინტერვენცია. როგორც საზოგადოებრივი აზრი, ისე კონგრესი აკრიტიკებდა პრეზიდენტს ამ ნაბიჯს და არგუმენტად ორივე მხარეს ახალ კონფლიქტში ამერიკის მიერ გაწეული ფინანსური ხარჯები მოჰყავდა. ერთ-ერთი რესპუბლიკელი კონგრესმენის განცხადებით, ამერიკის თავდაცვის დანახარჯებმა 700 მილიარდს მიაღწია, საიდანაც უდიდესი ნაწილი ერაყის, ავღანეთის და ლიბიის ინტერვენციებზე მოდიოდა. აღნიშნული ფინანსური რესურსი კი უმჯობესი იყო ამერიკაში დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას მოხმარებოდა (Johnson, 2011).

2013 წელს სირიაში ამერიკის შესაძლო ინტერვენციის შესახებ კონგრესში წამოჭრილი დებატებისას კვლავ გრძელდებოდა სკეპტიციზმი სირიის ომში ამერიკის ჩართულობასთან დაკავშირებით. კონგრესის წევრები პრეზიდენტს მოუწოდებდნენ ემოქმედა „ობამას დოქტრინაში“ წარმოდგენილი პრინციპების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტს მთელი რესურსები ეროვნულ დონეზე წამოჭრილი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრისაკენ უნდა მიემართა.

დასკვნის სახით აღვნიშნავ, რომ კვლევის პროცესში მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, ინტერვენციის ფინანსური დანახარჯები იყო ის ერთ-ერთი ფაქტორი, რის გამოც ობამას ადმინისტრაციამ შედარებით ნაკლებხარჯიანი მოქმედებების განხორციელებას მიანიჭა უპირატესობა სირიაში, როგორც იყო საჰაერო იერიშის მიტანა და ოპოზიციური ძალების მხარდაჭერა წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის ფარგლებში (Blanchard, Humud, Nikitin, 2015). ფინანსურ ხარჯებს სირიაში, წინა ინტერვენციებისაგან განსხვავებით ზრდიდა ის ფაქტი, რომ სირიის ომს რეგიონზე მეტი გავლენა გააჩნდა და მასში ჩართული იყვნენ რეგიონის სხვა მოთამაშეები, რუსეთი და ირანი. აქედან გამომდინარე, ობამამ აღარ გარისკა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ასადის ჩამოდგებით ამერიკის პოლიტიკური ისტაბლიშმენტი ერაცისა და ავღანეთის მსგავს (თუ არა უარესს) ვითარებას შექმნიდა ახლო აღმოსავლეთში. ფაქტია, ეკონომიკურმა ხარჯებმა განსაზღვრა სირიაში ინტერვენციის ფორმა და საშუალებები. ავღანეთისა და ერაცის ინტერვენციების „ღირებულებამ“ დიდი გავლენა იქონია სირიის მიმართ ობამას ადმინისტრაციის აღქმებზე ფინანსური თვალსაზრისით.

6.4. მედიის როლი, როგორც შუალედური ცვლადი (ლიბია და სირია)

შიდასახელმწიფოებრივ დონეზე ქვეყნის პოლიტიკური დღის წესრიგის განსაზღვრაში მედიას უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია. ლიბიასა და სირიაში ამერიკული მედიის ჩართულობას ვიკვლევ იმდენად რამდენადაც, ორივე ქვეყანაში ბეჭდური თუ სატელევიზიო მედია აქტიურად მოუწოდებდა ხელისუფლებას ინტერვენციების დაწყებისაკენ. ორივე ქვეყანაში მიმდინარე კონფლიქტი ინტენსიურად შუქდებოდა ამერიკულ ახალ ამბებში. ჩემ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ადასტურებს სხვადასხვა ამერიკული მედია საშუალების მიერ ლიბიისა და სირიის კრიზისების თემაზე დაწერილი სტატიების და პოლიტიკური მიმოხილვების უხვი რაოდენობა. საბოლოოდ, ლიბიის და სირიის შემთხვევებში მედია საშუალებების აქტიურობამ განსხვავებული რეზონანსი ჰქოვა ამერიკელი პოლიტიკოსების, კონგრესის და საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესზე.

სწორედ ამიტომ გადაწყვეტიტე ამ საკითხის გამოკვლევა. ნაშრომის აღნიშნული თავი დაეთმო იმ ფაქტორების შესწავლას, რის გამოც, მედიამ, როგორც გადაწყვეტილების მიღებაზე ზემოქმედების ერთ-ერთმა ძლიერმა ბერკეტმა, ლიბიაში შეძლო და გავლენა მოახდინა ობამას პოზიციაზე ინტერვენციის დაწყებასთან დაკავშირებით, ხოლო მეორე შემთხვევაში მედია უძლური აღმოჩნდა შეეცვალა ობამას პოზიცია სირიაში სამხედრო ჩაურევლობის შესახებ.

მედიის გავლენა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე სამი მოდელის მიხედვით აიხსნება. პირველი ეს არის დღის წესრიგის განსაზღვრა. მას-მედიას და განსაკუთრებით ტელევიზიას შეუძლია მიუთითოს საზოგადოებას თუ რის შესახებ იფიქროს. ის რაც გადის ახალ ამბებში ე.ი. აქტუალურია. მეორე, მედია აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს. მედიას გააჩნია შექმნისა და შევსების ეფექტები, რაც გულისხმობს, რომ სწორედ მედია ქმნის იმ კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც საზოგადოება პრიორიტეტებს ანიჭებს გარკვეულ საკითხებსა და მიმდინარე მოვლენებს. მესამე მოდელი დაკავშირებულია გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე გავლენის მოხდენასთან. რას იტყვის პრესა? ეს კითხვა მუდამ აქტუალურია შეხვედრებზე, სადაც აღმასრულებელი შტო საგარეო პოლიტიკის საკითხებს განიხილავს (Jentleson, 2010).

მედიის გავლენა პოლიტიკურ ვითარებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ცნობილია ე.წ. “CNN effect”-ის სახელით. აღნიშნული ტერმინი სათავეს იღებს 1990-91 წწ. სპარსეთის ომიდან, როდესაც ტექნოლოგიურმა პროგრესმა საშუალება მისცა ამერიკულ საკაბელო ქსელებს ექსკლუზიურად აეღოთ კადრები და გაეშუქებინათ მსოფლიო მასშტაბით პირდაპირ ეთერში მიმდინარე შოკისმომგვრელი მოვლენები. შექმნილი მდგომარეობიდან და მედია ზეწოლიდან გამომდინარე, პრეზიდენტმა ბუშმა მაშინ მიიღო გადაწყვეტილება ჰუმანიტარული ინტერვენცია განეხორციელებინა ერაყში (Doucet, 2018).

სირიის სამოქალაქო ომთან დაკავშირებით Youtube-ზე განთავსებულმა ვიდეოებმა, Facebook-სა და Twitter-ზე დაწერილმა კომენტარებმა დააჩქარა პოლიტიკური დებატები ამერიკაში. (Geis, Schlag, 2017). 31 აგვისტოს თეთრი სახლიდან ობამას მიმართვამ შოკში ჩააგდო მთელი მსოფლიო. ფაქტობრივად, პრეზიდენტმა თავად უარყო ასადის რეჟიმის გასაფრთხილებლად გავლებული წითელი ხაზი და სირიაში

სამხედრო მოქმედებების დაწყების ლეგიტიმურობისათვის კონგრესის ნებართვა ითხოვა. ამასთანავე, პრეზიდენტ ობამას თხოვნის შესაბამისად, 2013 წლის 5 სექტემბერს ქიმიური იარაღის გამოყენებით მიღებული ფატალური შედეგების ამსახველი ცამეტი ვიდეო უჩვენეს კონგრესის წევრებს, რომლებიც ბარაკ ობამას აზრით, ამ ემოციური კადრების ნახვის შემდეგ დაფიქრდებოდნენ და დასჯის მიზნით პასუხს მოსთხოვდნენ ასადის მოძალადე რეჟიმს (Doucet, 2018).

საინტერესოა რატომ მოხდა, რომ ლიბის შემთხვევაში პრეზიდენტი ობამა მოწყვლადი აღმოჩნდა „CNN effect“-ზე (იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პრეზიდენტს არ ჰქონია არც სახალხო აზრის და არც კონგრესის მხარდაჭერა), ხოლო სირიის ომის დროს მედიის მიერ გაშუქებულმა ახალმა ამბებმა ვეღარ მოახერხა სახელმწიფო სტრატეგიის შეცვლა სირიაში სამხედრო ჩარევის დაწყებასთან დაკავშირებით. გამოვიდა, რომ ლიბის ომში მედიამ ითამაშა შუალედური ცვლადის როლი, რადგან კონგრესის და სახალხო აზრის წინააღმდეგობის მიუხედავად, მან მაინც მოახერხა აღმასრულებელი შტოს დაყოლიება ლიბიაში ინტერვენციის განსახორციელებლად. რაც შეეხება სირიის კრიზისს, აქ უკვე ვეღარ შეძლო მედიამ შუალედური ცვლადის ფუნქციის შესრულება.

ერთი შეხედვით, თანაბარი იყო მედიის აქტიურობა ლიბიისა და სირიის ომების მიმდინარეობისას. თუმცა კვლევის პროცესში საინტერესო მიგნებებს მივაკვლიე. პირველი არის უშუალოდ კონფლიქტურ ზონებში საერთაშორისო, მათ შორის ამერიკელი ჟურნალისტების, რაოდენობა. ამ მხრივ სირია ბევრად ჩამორჩება ლიბიის მაჩვენებელს (Foss, 2012). ამის გამომწვევი მიზეზი კი რამდენიმეა, მათ შორის ჟურნალისტების გატაცების, სიკვდილით დასჯის მაღალი რისკები სირიაში. ამერიკელ ჟურნალისტებს აკრძალული ჰქონდათ ხანგრძლივი ვადით სირიის მიწაზე გაჩერება და პროფესიული საქმიანობის განხორციელება (იქვე, 70). მეორე, როგორც მასალების მოძიების საფუძველზე დავადგინე, ბევრად ჩამორჩებოდა სირიის შესახებ დაწერილი სტატიების თუ გასული რეპორტაჟების რაოდენობა ლიბიის თემაზე დაწერილი და გაშუქებული მასალებისგან. მაგალითისთვის, 2011 წლის 15 თებერვლიდან 2013 წლის 20 მარტამდე The New York Times-ში 324, The Wall Street Journal-ში 277, ხოლო The Washington Post-ში 354 სტატია დაიბეჭდა ლიბიის კრიზისზე (Moore, 2013, 39). ამის ფონზე წამყვანი სატელევიზიო ამერიკული არხები,

როგორცაა Fox News, CNN, MSNBC და ALJazeera America სხვებთან შედარებით თუ შეიძლება ითქვას ყველაზე აქტიურები იყვნენ სირიაში ჰუმანიტარული ინტერვენციის დაწყების მოთხოვნით. ამათგან კი Pew Research-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, ALJazeera America-ს რეპორტაჟების მხოლოდ 6% ეთმობოდა სირიის თემას, რაც ყველაზე მაღალ მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ ამ საკითხზე სხვა ტელევიზიებზე გასული გადაცემების რაოდენობასთან შედარებით(Doucet, 2018, 147).

ამ ფაქტორების გარდა, კიდევ ერთმა დეტალმა შეუწყო ხელი “CNN effect”-ის წარმატებლობას სირიაში. “CNN effect” ნაყოფიერად მუშაობს როცა დაკმაყოფილებულია ოთხი პირობა - ჰუმანიტარული ინტერვენციის საჭიროება, შიდასახელმწიფოებრივი თანხმობა, ეროვნული ინტერესები და წარმატების მიღწევის მაღალი ალბათობა. ამერიკის გადმოსახედიდან სირიის შემთხვევაში არცერთი პირობა არ კმაყოფილდებოდა. შესაბამისად, ამერიკის პოლიტიკური ელიტის მხრიდან სირიაში სამხედრო ინტერვენციის საკითხი უგულვებელყოფილ იქნა და ვერც მედია აღმოჩნდა ბარაკ ობამას გადაწყვეტილებაში გარდამტეხის შემტანი.

თავი 7. სისტემური დონის ფაქტორები - რუსეთი და ირანი

როგორც მკითხველისთვისაა ცნობილი სირიაში ობამას არაინტერვენციულ პოლიტიკას ანალიზის სამ დონეზე წარმოვადგენ. პიროვნული და შიდასახელმწიფოებრივი ფაქტორების მიმოხილვის შემდეგ მიზნად ვისახავ ვისაუბრო ანალიზის მესამე, სისტემური, დონის შესახებ. აქედან გამომდინარე, მოცემულ თავში თავდაპირველად მოკლედ შევაჯამებ სირიასთან და ზოგადად ახლო აღმოსავლეთის რეგიონთან მიმართებაში რუსეთის ინტერესებს. შემდეგ ჯერზე გავანალიზებ ნაშრომის მეორე ჰიპოთეზას - *სირიის კონფლიქტში ჩაურევლობის გადაწყვეტილება პრეზიდენტმა ობამამ მიიღო რუსეთთან და ირანთან (სისტემური ფაქტორები - საერთაშორისო გარემო) დაპირისპირებისაგან თავის არიდების მიზნით*. ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე, მსურს ნაშრომის მკითხველმა დაინახოს, რომ სისტემური ფაქტორები და საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები არ ყოფილა სირიაში ბარაკ ობამას ჩაურევლობის სტრატეგიის განმაპირობებელი.

მკვლევართა დიდი ნაწილი რუსეთის რეგიონულ სტრატეგიას ახლო აღმოსავლეთში განიხილავს, როგორც რუსეთის ფედერაციის მცდელობას გაიუმჯობესოს საკუთარი მოკლევადიანი ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო უპირატესობები რეგიონში კონკურენტი მოთამაშეების დასუსტების ხარჯზე. შესაბამისად, რუსეთის მიზნები ჩამოყალიბებული, მკაფიოდ გამოხატული სტრატეგიიდან არ გამომდინარეობს, არამედ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა ეყრდნობა განზოგადებულ, ფუნქციონალურ სტრატეგიას, რომელსაც ასევე პრაგმატიზმით, ოპორტუნიზმით მოიხსენიებენ (Sladden, Wasser, Connable, 2017).

თითქოს, ჩემი დაკვირვებით 2011 წელს დაწყებულ არაბულ გაზაფხულს და რეგიონში ამ მოვლენებიდან გამომდინარე განხორციელებულ მყისიერ ცვლილებებს და ძალადობას ოფიციალური მოსკოვი უნდა შეეშინებინა, რათა საფრთხე არ შექმნოდა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში რუსეთის ინტერესებს. თუმცა, როგორც 2013 წლის რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კონცეფციის დოკუმენტიდან ჩანს, კრემლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიისთვის ახლო აღმოსავლეთს ევროპასა და აზიასთან შედარებით ნაკლები სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია (Concept of the Foreign Policy of the Russian

Federation, 2013). რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფციის დოკუმენტის მეოთხე თავი ეძღვნება ქვეყნის რეგიონული პრიორიტეტების მიმოხილვას და აღნიშნული პრიორიტეტების ჩამონათვალში ახლო აღმოსავლეთის რეგიონს დასასრულს აქვს ადგილი დათმობილი, რაც ხაზს უსვამს ამ რეგიონის მეორეხარისხოვან მნიშვნელობას რუსეთის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში.

სანამ ნაშრომის მეორე ჰიპოთეზის შემოწმებას დავიწყებდე მანამდე მსურს მოკლედ მიმოვიხილო რუსეთის ინტერესები ახლო აღმოსავლეთში. ზოგადად რუსეთი რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნების მომხრეა, სწორედ ამიტომ უჭერს ის ასე აქტიურად მხარს ასადის რეჟიმს. მაგრამ სიღრმისეულ დაკვირვებას თუ მოვახდენთ ასადის რეჟიმის შენარჩუნებაზე ბევრად მნიშვნელოვანი პოლიტიკური გათვლები და მოტივები ამოდრავებს რუსეთის მთავრობას:

- სირიასა და რუსეთს შორის ისტორიული, რამდენიმე ათწლეულის მეგობრობა არსებობს. მოსკოვი სირიას ცივი ომის დროს განიხილავდა როგორც პან-არაბული ნაციონალიზმისა და სოციალიზმის „პროგრესული ძალის“ ერთგვარ ნაზავს. ურთიერთობების დაახლოება განაპირობა იმანაც, რომ სირიამ უარი თქვა ჩართულიყო ამერიკის მიერ ინიცირებულ შეკავების სტრატეგიაში და დღემდე სირია სერიოზულადაა დამოკიდებული რუსეთზე და მარაგდება რუსული შეიარაღებითა და სამხედრო ტექნიკით (Menon 2015).
- რუსი პოლიტიკოსები რუსეთ-სირიის დაახლოებას მორიგი არგუმენტით ხსნიან - მოხდეს სირიის სახელმწიფოებრივი წყობილების მაქსიმალური შენარჩუნება, ერაყისა და ლიბიისგან განსხვავებით, სადაც ამერიკის ხელშეწყობით განხორციელდა სახელმწიფო ინსტიტუტების სრული დესტრუქცია (Tucker, 2015). ზემოთმოყვანილი წარმოადგენს პუტინის მცდელობას არ დაუშვას რეგიონში ამერიკის გავლენის ზრდა და დომინანტობის მოპოვება, რითიც რუსეთი შეძლებს გლობალური მოთამაშის სტატუსის შენარჩუნებას.
- რუსეთის მიერ ასადის მხარდაჭერა ერთ საყურადღებო საკითხს ემსახურება მიზნად. სირიაში რუსეთის მიერ ძალის გამოყენება სხვა არაფერია თუ არა რუსეთის მიერ საერთაშორისო საზოგადოებისათვის გაგზავნილი მესიჯი, რომ ამერიკისგან განსხვავებით რუსეთი ეხმარება და იცავს სახელმწიფო

სუვერენიტეტის ცნებას, ქვეყნის მეთაურებსა და ლეგიტიმურად არჩეულ მთავრობებს ამბოხებულებისაგან და რუსეთი არ დატოვებს სახელმწიფო მეთაურს მარტო აჯანყებულებთან, რომლებიც ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ცდილობენ, ანუ რუსეთი არ მოიქცევა ამერიკის მსგავსად, როდესაც ამ უკანასკნელმა 2011 წელს ეგვიპტის პრეზიდენტი, ჰოსნი მუბარაქი მიატოვა ეგვიპტეში (Stent 2016).

- რუსეთის უმთავრესი ინტერესი ახლო აღმოსავლეთის რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებაა, რადგან ოფიციალური მოსკოვის გათვლებით ერაყში, სირიაში და ზოგადად ჩრდილო აფრიკაში მიმდინარე არეულობები ხელს უწყობს თვითგამოცხადებული ისლამური სახელმწიფოს და ისლამური ექსტრემისტების გაძლიერებას რუსეთის სამეზობლოში, რამას სერიოზული ქაოსი შესაძლოა შექმნას თავად რუსეთის საზღვრებს შიგნითაც (იქვე, 109).
- სირიის მიმართ რუსეთის დაინტერესება ასევე უნდა აიხსნას ახლო აღმოსავლეთში არსებული ნავთობისა და გაზის მდიდარი რესურსებით. რუსეთის მიერ სირიის ბაზების კონტროლი სწორედ ამ მიზანს ემსახურება - მაქსიმალურად გაზარდოს კონტროლი ტრანზიტულ რესურსებზე, რომელიც ევროპას ხმელთაშუა ზღვის აუზიდან მიეწოდება. გარდა ამისა, რუსეთი დღემდე ინარჩუნებს წვდომას სირიის საზღვაო და საჰაერო ბაზებზე, ლატაკიასა და ტარტუსში, რაც რუსეთს საშუალებას აძლევს გასასვლელი იქონიოს ხმელთაშუა ზღვაზე (Sladden, Wasser, Connable, 2017).

სამაგისტრო ნაშრომის მეორე ჰიპოთეზის უარყოფამდე საჭიროდ ჩავთვალე მოკლე მიმოხილვა გამეკეთებინა სირიაში რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის, რომელიც იმდენად მაღალია, რომ წესით ამერიკას უნდა ეშინოდეს რეგიონული ძალთა ბალანსის დარღვევის და მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს ობამა სირიაში ინტერვენციის გზით მაინც შეაკავოს კრემლის მზარდი გავლენა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. მიუხედავად ამისა, ბარაკ ობამას მხრიდან სულ სხვა სახის გადაწყვეტილებები მივიღეთ. ახლო აღმოსავლეთის რეგიონში რუსეთის დეკლარირებული ინტერესების მიუხედავად, რაც სერიოზულ გამოწვევას ქმნის ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზოგადად საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის, პრეზიდენტ ობამას გადაწყვეტილება არ ჩარეულიყო სირიის კონფლიქტში, არ არის დაკავშირებული რუსეთთან და ირანთან, რეგიონის

გლობალურ მოთამაშებთან, დაპირისპირებისათვის თავის არიდებასთან და რეგიონული ძალთა ბალანსის შენარჩუნების სურვილთან. მივიჩნევ, რომ 2013 წელს ასადის მიერ გამოყენებული ქიმიური იარაღის ინციდენტის შემდეგ ბარაკ ობამას სირიის კონფლიქტში უკან დახევის პოლიტიკა საერთოდ არ იყო ნაკარნახევი რუსეთისგან ან ირანისგან წამოსული შესაძლო საფრთხისაგან. შესაბამისად, ბარაკ ობამას სირიაში მოქმედების სტრატეგიის შემუშავებაში გადამწყვეტი აღმოჩნდა პრეზიდენტის პირადი შეხედულებები და შიდასახელმწიფოებრივი კონტექსტი და ამის სანაცვლოდ უკანა პლანზე გადაინაცვლა სისტემური დონის ფაქტორებმა.

წარმოდგენილი ჰიპოთეზის ტესტირების და შემდეგ მისი უარყოფის მიზნით ვეყრდნობი ამერიკის 2010 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიას და სტრატეგიასთან შესაბამისობაში ასევე ვიყენებ ჯენტლესონის წიგნს "ამერიკის საგარეო პოლიტიკა, არჩევანის დინამიკა 21-ე საუკუნეში".

2010 წელს გამოცემული ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის დოკუმენტი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს ოთხი კატეგორიის ქვეშ განიხილავს - უსაფრთხოება, ეკონომიკური კეთილდღეობა, ღირებულებები და საერთაშორისო წესრიგი. დოკუმენტის მიხედვით, ამერიკის საგარეო პოლიტიკური ხედვები და მიდგომები ამ ოთხ პრინციპზეა დაფუძნებული, რომლებიც თავის მხრივ ერთმანეთისგან იზოლირებულად არ შეიძლება იქნეს განხილული (National Security Strategy, 2010). ამასთანავე, სტრატეგიის შესაბამისად, 2010 წელს გამოცემული წიგნი - „ამერიკის საგარეო პოლიტიკა, არჩევანის დინამიკა 21-ე საუკუნეში“ ამერიკის ეროვნულ ინტერესებს “4Ps” - პრინციპის ჩარჩოში აქცევს (Power, Prosperity, Peace, Principles) და ძალაუფლების, მშვიდობის, ეკონომიკური კეთილდღეობის, პრინციპების მიხედვით აყალიბებს ამერიკის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიებს და არჩევანს (Jentleson 2010). ეროვნულ უსაფრთხოების სტრატეგიაში მოხსენიებული უსაფრთხოება საგარეო პოლიტიკის კონტექსტში იმავე მნიშვნელობას ატარებს, რასაც ჯენტლესონის წიგნში მოყვანილი ძალაუფლება, ეკონომიკური კეთილდღეობა ორივეგან ერთი და იმავე ტერმინითაა გამოყენებული, ხოლო ღირებულებები პრინციპებთან და საერთაშორისო წესრიგი კი მშვიდობასთანაა გათანაბრებული და შინაარსობრივად მსგავსია.

მკითხველისთვის მარტივი აღსაქმელი რომ იყოს ერთმანეთს შევადარებ ეროვნულ უსაფრთხოების სტრატეგიაში მოყვანილ ეროვნულ ინტერესებს “4Ps”-ის პრინციპებთან. ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის მიხედვით, უსაფრთხოებაში მოიაზრება ამერიკის მზაობა დაიცვას საკუთარი მოქალაქეები, ქვეყანა, პარტნიორი სახელმწიფოები და საერთაშორისო უსაფრთხოება არსებული საფრთხეებისგან. სტრატეგიის ამავე ქვეთავში განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა სტაბილურობის დაცვა ქვეყნის ფარგლებში, ექსტრემისტული ტერორისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლა და მათი დამარცხება, მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობაზე ზრუნვა, მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვა ახლო აღმოსავლეთში, კიბერუსაფრთხოება (National Security Strategy, 2010). რაც შეეხება ძალაუფლებას, „4Ps” პრინციპის მიხედვით, ის განიხილება, როგორც ქვეყნის საგარეო პოლიტიკის რეალიზაციის უმთავრესი ატრიბუტი, რომელიც აუცილებელია ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის დაცვისათვის, ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხეების პრევენციისათვის (Jentleson 2010). ერთმანეთთან თანხვედაში მოდის, ასევე, ამერიკის ეროვნული ინტერესების დანარჩენი სამი პრინციპი და ეროვნულ უსაფრთხოების სტრატეგიაში დეკლარირებული ეროვნული ინტერესი. ეკონომიკური კეთილდღეობა ორივე წყაროში საუბრობს ისეთი საკითხების შესახებ, როგორცაა ამერიკის ძლიერი, ინოვაციური და მზარდი ეკონომიკის ხელშეწყობა, საერთაშორისო ეკონომიკაში გლობალური კაპიტალიზმის გაძლიერება, განათლებასა და ადამიანურ კაპიტალზე ზრუნვა. ღირებულებებსა და პრინციპებში მოიაზრება ამერიკის და ზოგადად კაცობრიობისთვის უნივერსალური ნორმების, რწმენებისა და იდეების პატივისცემა და დაცვა, ხოლო მშვიდობა და საერთაშორისო წესრიგი აერთიანებს ისეთ საკითხებს, როგორცაა ამერიკის ხელშეწყობითა და მხარდაჭერით, საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატში მსოფლიო მშვიდობის, უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საერთო გამოწვევებთან გამკლავება.

ამერიკის ეროვნულ უსაფრთხოების სტრატეგიაში იდენტიფიცირებულ ეროვნულ ინტერესებს და „4Ps-ის“ პრინციპებს მოვარგებ სირიაში ამერიკის უსაფრთხოების ინტერესებს, რათა დადგინდეს რომ ამერიკის ეროვნული ინტერესები ნამდვილად საფრთხის ქვეშ იდგა სირიაში მიმდინარე კონფლიქტის დროს. მიუხედავად ამისა, ობამას ადმინისტრაციამ მაინც უარი განაცხადა სირიის კონფლიქტში ჩართვაზე და

ამით უგულებელყო სისტემური დონის ფაქტორების გავლენა ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების პროცესზე.

სისტემური ანალიზის დონეზე მსურს მოკლე შეჯამება გავუკეთო სირიაში არსებულ იმ საფრთხეებს, რომლებიც ამერიკის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებდა:

1. (Power/Security) სირიაში აქტიურად იკიდებდა ფეხს რუსეთი და ირანი, ასევე ძლიერდებოდა ტერორისტული დაჯგუფებების გავლენა რეგიონში, რაც თავის მხრივ ასუსტებდა ამერიკის მოკავშირე სახელმწიფოების შესაძლებლობებს ახლო აღმოსავლეთში (ისრაელი, თურქეთი, იორდანია). გადა ამისა, ასადის მიერ ქიმიური იარაღის ამოქმედების შემდეგ განსაკუთრებით არსებობდა ექსტრემისტული დაჯგუფებების მიერ ქიმიური იარაღის ხელში ჩაგდების საფრთხე და მისი გავრცელება. ყველაფერთან ერთად სულ უფრო იზრდებოდა ევროპის კონტინენტის მიმართულებით სირიიდან წამოსული მიგრანტთა ნაკადი, რაც არასტაბილურობას და უსაფრთხოების პრობლემებს ქმნიდა ამერიკის მოკავშირე სახელმწიფოებში ევროპის მასშტაბით (Jentleson, 2010).
2. (Principles/Values) ასადის მთავრობის მხრიდან 2011, 2012 წლებში უკვე მასობრივად ხორციელდებოდა მოსახლეობის წინააღმდეგ ძალადობის ფაქტები, რამაც დრამატულად განაპირობა დაღუპულთა რაოდენობის ზრდა და ადამიანის ფუნდამენტური, სიცოცხლის უფლების, ხელყოფის უხეში დარღვევა. მას შემდეგ, რაც სირია დათანხმდა საერთაშორისო კონტროლის ქვეშ მომხდარიყო ქვეყანაში არსებული ქიმიური იარაღის მარაგის განადგურება მთავრობის მხრიდან მაინც აქტიურად ხორციელდებოდა მოსახლეობის წინააღმდეგ კონვენციური იარაღის გამოყენება. ექსტრემისტული მოქმედებები პირდაპირ დარტყმას აყენებდა დემოკრატიულ და დასავლურ ღირებულებებს და ფასეულობებს სირიაში (Jentleson, 2010).
3. (Prosperity) იზრდებოდა საფრთხე ამერიკის მოკავშირე სახელმწიფოების ენერგო რესურსების წარმოებისა და ტრანზიციის გზების განადგურების და ხელში ჩაგდების თვალსაზრისით, რადგან არსებობდა სირიაში მიმდინარე არეულობების მეზობელ ნავთობითა და გაზით მდიდარ სახელმწიფოებში გადაღვრის საფრთხე (Jentleson, 2010).

4. (Peace/International Order) - თანდათან იზრდებოდა დაღუპულთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა, ქიმიურ იარაღს ემსხვერპლა ასეულობით უდანაშაულო მოქალაქე და ამით საერთაშორისო სტაბილურობა იდგა საფრთხის ქვეშ (Jentleson, 2010).

სისტემურ დონეზე წარმოდგენილი ამერიკის ეროვნული ინტერესები სირიის მიმართ ცხადყოფს, რომ ნამდვილად რისკის ქვეშ იდგა ამერიკის საგარეო პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთსა და კერძოდ სირიაში. შესაბამისად, ობამას პრეზიდენტობის დროს ამერიკის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში გადამწყვეტი მართლა სისტემური ფაქტორები რომ ყოფილიყო ამერიკა გადაწყვეტდა სირიაში ინტერვენციას, რათა შეეჩერებინა იქ რუსეთისა და ირანის გავლენა, ამით კი შეენარჩუნებინა ძალთა ბალანსი რეგიონში. ამას გარდა, ამერიკას წესით უნდა ეზრუნა იმ „4Ps“-ის პრინციპის დაცვაზე, რაზეც ამერიკის საგარეო პოლიტიკაა დაშენებული. და რადგანაც ამერიკამ მაინც ჩაურევლობის პოლიტიკა არჩია სირიაში და სისტემური ფაქტორების გამოც კი არ გარისკა „წითელი ხაზის“ გადაკვეთის გამო პასუხი მოეთხოვა ასადის რეჟიმისათვის, ამით მართლდება ჩემი ვარაუდი, რომ საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე ყოველთვის განსაკუთრებულ გავლენას ვერ ახდენს სისტემური ფაქტორები და საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, არამედ გადამწყვეტი შეიძლება თავად ლიდერის პირადი შეხედულებები და შიდასახელმწიფოებრივი კონტექსტი აღმოჩნდეს.

თუმცადა, არ არის გამორიცხული, რომ ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ჩემი ჰიპოთეზა გამართლებულიყო. როგორც ცნობილია, 2015 წელს ირანთან ბირთვული შეთანხმების ხელმოწერა შედგა. შესაბამისად, ნამდვილად აქვს იმ ვარაუდს არსებობის უფლება, რომ პრეზიდენტ ობამას სირიაში ჩაურევლობის პოლიტიკა სისტემური ფაქტორების, ამ შემთხვევაში ირანთან დაპირისპირებისაგან თავის არიდების, გამო მიეღო. ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ თეთრი სახლის საგარეო პოლიტიკაში ბევრად პრიორიტეტული ირანთან მიღწეული ისტორიული შეთანხმება იყო, რომელსაც არანაირად არ დააყენებდა საფრთხის ქვეშ სირიის კონფლიქტში ჩართვის სანაცვლოდ (Neale, 2018).

თავი 8. ნეოკლასიკური რეალიზმის პრიზმიდან დანახული ბარაკ ობამას ჩაურევლობის პოლიტიკა სირიაში

ნებისმიერი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე სხვადასხვა ფაქტორმა შესაძლოა მოახდინოს გავლენა. რადგანაც, ზოგადად დაინტერესებული ვარ ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ფორმირების პროცესის ანალიზით, ამიტომ გადავწყვიტე ამერიკის საგარეო პოლიტიკა შემესწავლა ამერიკის 44-ე პრეზიდენტის, ბარაკ ობამას მაგალითზე. როგორც ნაშრომში გამოჩნდა, ბაკარ ობამას საგარეო პოლიტიკური აზროვნება სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით ყალიბდება. აქ უნდა იქნას მიღებული მხედველობაში თავად პრეზიდენტის, როგორც პოლიტიკური ლიდერის პირადი რწმენები და სუბიექტური დამოკიდებულებები საკითხების მიმართ, ასევე შედასახელმწიფოებრივ დონეზე მიმდინარე მოვლენები, პოლიტიკური აზრთასხვადასხვაობა, სახალხო აზრის პესიმიზმი და სამხედრო ინტერვენციებისთვის გაწეული უდიდესი ფინანსური ხარჯები. ამ ყველაფერს თან ერთვის სისტემური დონის ფაქტორების ჩართულობა პრეზიდენტ ობამას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მოკლედ რომ აღვნიშნო, სირიის შეიარაღებული კონფლიქტის მიმართ ბარაკ ობამას დამოკიდებულება კარგი პრეცედენტია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ანალიზისათვის. აქვე, აღსანიშნავია, რომ თავად ბარაკ ობამა, როგორც პოლიტიკური პიროვნება საინტერესო კვლევის საგანს წარმოადგენს, რადგან ამ პოლიტიკურ ფიგურაზე დაკვირვებით ეტაპობრივად შესაძლებელი ხდება, ჩემთვის, როგორც მკვლევრისთვის გავაანალიზო ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების წინაშე არსებული გამოწვევები და ქვეყნის მიერ არჩეული საგარეო პოლიტიკური კურსი.

გიდეონ როზის მიხედვით, ნეოკლასიკური რეალიზმი წარმოადგენს „საგარეო პოლიტიკის თეორიას“, რომლის მიზანია ახსნას ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ქცევა განსაზღვრულ დროსა და ვითარებაში (Omar, 2013). რადგანაც აღნიშნული თეორია ანალიზის სამ დონეზე განიხილავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ფორმირებას, სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ამ თეორიის საშუალებით შემესწავლა ამერიკის და კონკრეტულად პრეზიდენტ ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკური სტრატეგია სირიის ომთან დაკავშირებით. ნეოკლასიკური რეალიზმის ერთ-ერთი წარმომადგენელი ზაქარია აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო მოღვაწეები არიან პრინციპული აქტორები და

მათი აღქმები და შეხედულებები გადამწყვეტია საგარეო პოლიტიკაში (იქვე). ის თუ როგორ აღიქვამს ბარაკ ობამა საერთაშორისო სისტემაში არსებულ ძალთა ბალანსს, ან თუნდაც ეროვნულ დონეზე მიმდინარე მოვლენებს განსაზღვრავს შემდეგ ეტაპზე პრეზიდენტის პოლიტიკურ არჩევანს და პრიორიტეტებს.

მიზეზი, თუ რატომ შევაჩერე არჩევანი ნეოკლასიკური რეალიზმის მიხედვით შემესწავლა ამერიკის საგარეო პოლიტიკა ბარაკ ობამას ადმინისტრაციის პერიოდში არის ამ თეორიის განსაკუთრებულობა. ნეოკლასიკური რეალიზმი მოიცავს სხვადასხვა დონის ანალიზის საფეხურებს, რაც საშუალებას მძლევს საფუძვლიანად, ურთიერთშემავსებელი ფაქტორების გათვალისწინებით შევისწავლო ამერიკის საგარეო პოლიტიკა. ნაშრომის ჰიპოთეზა, რომ პრეზიდენტ ობამას პიროვნულმა შეხედულებებმა და აღქმებმა (ობამას დოქტრინა, ლიბის გამოცდილება) და ქვეყნის შიგნით არსებულმა ვითარებამ (კონგრესის წინააღმდეგობა, სახალხო აზრი, ეკონომიკური დანახარჯები) განსაზღვრა სირიის კონფლიქტის მიმართ პრეზიდენტის ჩაურევლობის პოლიტიკა, კარგად არის გამყარებული ნეოკლასიკური რეალიზმის თეორიის მახასიათებლებით. ლიდერის იდეები და შიდასახელმწიფოებრივი კონტექსტი მართლა გადამწყვეტი აღმოჩნდა სირიის მიმართ ჩაურევლობის პოლიტიკის ფორმირებაში. ამ ჰიპოთეზისგან განსხვავებით, ნაშრომის მეორე ჰიპოთეზის უარყოფა მოვახდინე კვლევის პროცესში, რადგან ნეოკლასიკური რეალიზმის სისტემური დონის ფაქტორები - რუსეთის და ირანის გავლენა - არ აღმოჩნდა გადამწყვეტი სირიაში პრეზიდენტ ობამას პოლიტიკის განსაზღვრის თვალსაზრისით. ჩემ მიერ შერჩეული თეორიის უპირატესობის გამო უარი ვთქვი ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკა თუნდაც კონსერვატიზმის მიხედვით განმეხილა, რომლისთვისაც რეალობა არის სოციალურად კონსტრუირებული და იდეების, აღქმების, კონცეფციების მიხედვით ყალიბდება პოლიტიკური სამყარო (აკობია, 2006). კონსერვატიზმი ამ მხრივ ნაკლები ინფორმაციის მომცემი იქნებოდა ჩემთვის, რადგან არ განიხილავს საერთოდ შიდასახელმწიფოებრივ ან სისტემულ ფაქტორებს. შესაბამისად, უგულებელვყავი კონსერვატიზმის საჭიროება აღნიშნული საკითხის შესწავლაში და არჩევანი ნეოკლასიკური რეალიზმის თეორიის მიხედვით, საკითხის უფრო სიღრმისეულ შესწავლაზე შევაჩერე.

თავის 9. დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა შემესწავლა ამერიკის 44-ე პრეზიდენტის, ბარაკ ობამას, პოლიტიკური დამოკიდებულება სირიის კონფლიქტთან დაკავშირებით. უფრო კონკრეტულად ნაშრომის კვლევის ობიექტად შერჩეული იყო ასადის მიერ 2013 წელს დამასკოს გარეუბანში მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენების შემთხვევა. სირიის მოქმედმა ხელისუფლებამ ჩადენილი ქმედებით, ფაქტობრივად, დაარღვია პრეზიდენტ ობამას მიერ გავლელბული „წითელი ხაზი“ და მსხვედრპლად შეიწირა ასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე.

ჩემთვის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრისთვის, საინტერესო საკითხს წარმოადგენდა შემესწავლა ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესი, ამ პროცესზე გავლენის მოხდენის ფაქტორები და თავად პოლიტიკური ლიდერების აზროვნების სტილი და სპეციფიკა. შესაბამისად, მივიჩნევ, რომ სწორად შევარჩიე საკვლევი თემა, რადგან მან საშუალება მომცა დავეკვირვებოდი ანალიზის სხვადასხვა დონეზე ყველა იმ ფაქტორს, რაც ზემოქმედებას ახდენდა ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკაზე სირიაში ინტერვენციასთან დაკავშირებით. სწორედ ამ მიმართულებით ჩამოყალიბდა ნაშრომის დასაწყისში საკვლევი კითხვაც - რა სახის ფაქტორებმა (პიროვნული გადაწყვეტილებები, შიდასახელმწიფოებრივი კონტექსტი, საერთაშორისო გარემო) განსაზღვრა ბარაკ ობამას ჩაურევლობის პოლიტიკა სირიის კონფლიქტში?

ვფიქრობ, კვლევის ჩატარების პროცესში მოძიებული ოფიციალური მასალების, დოკუმენტების, განცხადებების და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე სიღრმისეულად შევისწავლე სირიის კონფლიქტის მიმართ პრეზიდენტ ობამას საგარეო პოლიტიკა და ამ პოლიტიკაზე მოქმედი ფაქტორების მნიშვნელობა. გამოყენებული მასალების საშუალებით ნათლად გამოჩნდა მიზეზშედეგობრივი კავშირი ნაშრომის დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის და დამტკიცდა, რომ თანაბარ დონეზე პრეზიდენტ ობამას სუბიექტურმა აღქმებმა და მისმა შეხედულებებმა, ასევე შიდასახელმწიფოებრივ დონეზე შექმნილმა ვითარებამ (კონგრესის რეზოლუციის არარსებობა, სახალხო აზრი, ეკონომიკური დანახარჯები)

უკარნახა პრეზიდენტ ობამას არჩევანი სირიაში ჩაურევლობის სტრატეგიაზე გაეკეთებინა. ამასთანავე, გამოჩნდა, რომ, ეროვნულ თუ საერთაშორისო ასპარეზზე, მიღწეული პოპულარობის დაკარგვის საფრთხემ უბიძგა პრეზიდენტ ობამას სირიის ომისგან თავი შორს დაეჭირა.

ვფიქრობ, ბარაკ ობამას დამოკიდებულება სირიის მიმართ კარგად აიხსნება ნეოკლასიკური რეალიზმის თეორიით, რომელიც ქვეყნის საგარეო პოლიტიკას სამ დონეზე განიხილავს. თეზისში ანალიზის ამ დონეების მიხედვით განვიხილე ამერიკის საგარეო პოლიტიკა და ობამას დამოკიდებულება სირიის ომის მიმართ. ნაშრომში ასევე, დამტკიცდა, რომ სისტემური დონის ფაქტორები, ანუ ამერიკის რუსეთთან და ირანთან დაპირისპირებისგან თავის არიდება, ასევე ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ძალთა ბალანსის დარღვევის მცდელობა არ ყოფილა განმსაზღვრელი ობამას ჩაურევლობის პოლიტიკისა სირიაში.

დასკვნაში მოკლედ შეჯამებულია თეზისის შედეგები და კვლევის ძირითადი მიგნებები. პირველი, როგორც დამტკიცდა ლიბიაში ამერიკის ინტერვენცია აღმოჩნდა კარგი გაკვეთილი პრეზიდენტ ობამასთვის აღარ განხორციელებინა სამხედრო მოქმედებები სირიაში. რომ არ ყოფილიყო ლიბიის ომი, დიდი ალბათობით პრეზიდენტი არ მოერიდებოდა სირიაში ინტერვენციას. რადგანაც პრეზიდენტი ობამა დასწავლის მეთოდით მხედველობაში იღებს მომხდარ გამოცდილებებს და ფაქტებს, ამიტომ მან აღარ გაიმეორა იგივე შეცდომა, რაც რამდენიმე წლის წინ ლიბიის შემთხვევის დროს დაუშვა. მეორე, პრეზიდენტი ობამა განეკუთვნება ისეთი ლიდერების რიგს, რომლებიც ერიდებიან რისკიანი და ხისტი საგარეო პოლიტიკის განხორციელებას და უპირატესობას მულტილატერალური მიდგომებით მიზნის მიღწევას ანიჭებენ.

ასევე, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ჩემი ნაშრომის პრაქტიკული დანიშნულება იქნება თუ მოხდება მისი გამოყენება იმ სპეციალისტების მიერ, ვინც ქვეყნების საგარეო პოლიტიკის შესწავლით არიან დაკავებული. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში სირიის ომის შესახებ და ზოგადად სამხედრო ინტერვენციებისადმი ამერიკის დამოკიდებულების შესახებ არაერთი ნაშრომია დაწერილი. თუმცა, ჩემი თეზისი ნეოკლასიკური რეალიზმის კრილში სხვა კუთხიდან აფასებს და იკვლევს ობამას საგარეო პოლიტიკურ აზროვნებას და სწორედ ეს

საკითხი წარმოადგენს ნაშრომის სიახლეს და ავლენს აკადემიურ წრეებში მისი სამომავლო გამოყენების პერსპექტივებს.

გამოყენებული ლიტერატურა

წყაროები ქართულ ენაზე:

1. აკობია ე. (2006), *საერთაშორისო ურთიერთობების თეორია*, თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი;
2. ზურაბიშვილი თ. (2006), *თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში*, თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი;
3. სენარკლენი პ. და არიფენი ი. (2014), *საერთაშორისო პოლიტიკა თანამედროვე თეორიები და ამოცანები*, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;

წყაროები ინგლისურ ენაზე:

1. Barakat K. (2016, April 14), Obama`s Foreign Policy Failure: From Libya to Syria, The new Arab, ნანახია 31.05.2018
<https://www.alaraby.co.uk/english/comment/2016/4/15/obamas-foreign-policy-failure-from-libya-to-syria>
2. Bennett A. George A. L. (1997, October), Process tracing in case study research, MacArthur Foundation Workshop on Case Study Methods, October, ნანახია 29.06.2018
https://www.uzh.ch/cmsssl/suz/dam/jcr:00000000-5103-bee3-0000-000059b16b9d/05.19.bennett_george.pdf
3. Bilmes, L. J. (2013, March), The Financial Legacy of Iraq and Afghanistan: How Wartime Spending Decisions Will Constrain Future National Security Budgets. HKS Faculty Research Working Paper Series RWP13-006 ნანახია 24.06.2018,
<https://www.hks.harvard.edu/publications/financial-legacy-iraq-and-afghanistan-how-wartime-spending-decisions-will-constrain>
4. Blanchard C. M. Humud C. E. , Nikitin M. B. (April 18, 2018), Armed Conflict in Syria: Overview and U.S. Response, Congressional Research Service Report;
5. Buckley C. A. (summer 2012), learning from Libya, Acting in Syria, Journal of strategic security, N 2, volume 5, article 10, 81-104;
6. Clement S. (September 3, 2013), Most In US oppose Syria Strike, Post-ABC poll finds, *The Washington Post*, ნანახია 14.06.2018

7. <http://www.washingtonpost.com/blogs/the-fix/wp/2013/09/03/most-in-u-s-oppose-syria-strike-post-abc-poll-finds/>
8. Collier D. (2011), Understanding Process tracing, *Political Science and Politics* 44, #4, 823-830;
9. Department of defence, USA, (January 2012), Sustaining US Global leadership: Priorities for 21st Century Defence, The White House, Washington;
10. Dieck H. (28 January, 2014), SciencesPo, Centre de Recherches Internationales, *The United States and the Syrian crisis: The Influence of Public Opinion on the Non-Intervention Policy*, 555555 24.05.2018
<http://www.sciencespo.fr/cei/en/content/united-states-and-syrian-crisis-influence-public-opinion-non-intervention-policy>
11. Doucet L. (winter 2018), Syria and the CNN effect: What role does the Media Play in Policy-Making? *The MIT press journals*, volume 147, issue 1, 141-157;
12. Ferguson N. (March 13, 2016), Barack Obama's Revolution in Foreign Policy, *The Atlantic*, 555555 26.05.2018,
<https://www.theatlantic.com/international/archive/2016/03/obama-doctrine-revolution/473481/>
13. Firoozabadi J. D. (May, 20, 2016), Neo-classical Realism in International Relations, *Asian Social Science*, Vol. 12, No. 6, 95-99;
14. Flick Uwe, (2009), *An Introduction to Qualitative Research*, Fourth Edition, London SAGE Publications;
15. Foss A. B. (2012), *The Libyan Rebellion: With Media as a Weapon, A study of a modern insurgency's effort to influence international media*, Master's thesis University of Oslo, Department of Political Science, Oslo;
16. Geis, A. and Schlag G. (February, 2017). The Facts Cannot Be Denied': Legitimacy, War and the Use of Chemical Weapons in Syria, *Global Discourse, An Interdisciplinary Journal of Current Affairs and Applied Contemporary Thought*, Volume 7, issue (2-3): 285-303;
17. Goldberg J. (April, 2016), The Obama Doctrine, *The Atlantic*, 555555 25.04.2018,
<https://www.theatlantic.com/magazine/archive/2016/04/the-obama-doctrine/471525/>

18. Guiora A. N. (2012), Intervention in Libya, Yes; Intervention in Syria, No: Deciphering the Obama Administration, *Case Western Reserve Journal of International Law*, Volume 44 | Issue 1, 251-276;
19. Ikenberry J. G. (April 8, 2014), Obama`s Pragmatic Internationalism, *The American Interest*, Volume 9, Number 5;
20. Jentleson B. W. (2010), American Foreign Policy – The dynamics of Choice in the 21st Century, 4th ed. Fifth Avenue, New York, N.Y., W.W. Norton & Company;
21. Jayakumar K. (February 6, 2012), *Humanitarian Intervention: A Legal Analysis*, E-International Relations, 01/07/2018 <http://www.e-ir.info/2012/02/06/humanitarian-intervention-a-legal-analysis/>
22. Katz N. M. (October, 2013), US policy toward Syria: Making the best of a bad situation? Wilson Center, Middle East program, viewpoint #41, 1-3;
23. Kitchen N. (January, 2010), Systemic pressures and domestic ideas: a neoclassical realist model of grand strategy formation, *Review of International Studies*, 117-143;
24. Kriner D. L. (June, 2014), Obama`s Authorization Paradox: Syria and Congress`s Continued Relevance in Military Affairs, Center for the study of the Presidency, *Presidential Studies Quarterly* 44, no. 2, 309-327;
25. Kronlund A. (February, 2015), The US Congress and Decision-Making on War, DEBATES ON WAR POWERS IN THE SEPARATION OF POWERS SYSTEM, The Finish Institute on International Affairs, 22.06.2018 <https://www.files.ethz.ch/isn/187782/wp83.pdf>
26. Labonte M. (October 11, 2009), U.S. Economy in Recession: Similarities To and Differences From the Past, Congressional Research Service, Cornell University ILR School, 08.07.2018 https://digitalcommons.ilr.cornell.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=https://www.google.ge/&httpsredir=1&article=1694&context=key_workplace
27. Lofflmann G. (April 14, 2015), Leading from behind – American exceptionalism and president Obama`s Post-American vision of hegemony, *Geopolitics*, Vol 20, 308-332;
28. Masters J. (March, 2017), U.S. Foreign Policy Powers: Congress and the President, Council on Foreign Relations, 20.06.2018 <https://www.cfr.org/backgrounder/us-foreign-policy-powers-congress-and-president>

29. Menon R. (September 15, 2015), *Why Russia's Actions in Syria Are No Shocker*, The National Interest, 25.06.2018 <http://nationalinterest.org/feature/why-russias-actions-syria-are-no-shocker-13843>
30. Moore M. (2013), Watchdog or Lapdog? The Role of U.S. Media in the International Humanitarian Intervention in Libya, *Exchange: The Journal of Public Diplomacy*: Vol. 4 :Iss. 1 ,Article 4. 33-48;
31. Neale E. (February 14, 2018) Russia: Is Syria's Fate Libya's Future?, Atlantic Council, 20.05.2018 <http://www.atlanticcouncil.org/blogs/menasource/russia-is-syria-s-fate-libya-s-future-2>
32. Neuman S. (August 31, 2013), Obama To Seek Congressional Approval For Action Against Syria, National Public Radio, 15.06.2018 <https://www.npr.org/sections/thetwo-way/2013/08/31/217574150/president-obama-to-speak-on-syria>
33. Nunlist C. (March, 2016), The legacy of Obama`s foreign policy, Center for security studies, #188, 1-4;
34. Nuscheler F. (2011) Multilateralism vs. Unilateralism, Cooperation vs. Hegemony in Transatlantic Relations, Development and Peace Foundation, the policy paper 16, 02/07/2018 https://www.sef-bonn.org/fileadmin/Die_SEF/Publikationen/Policy_Paper/pp-16_2001-01_en.pdf
35. Obama, B. H. (October 13, 2008), US election: Full text of Barack Obama's speech on the economy, The Guardian, 08.07.2018 <https://www.theguardian.com/world/2008/oct/13/uselections2008-barackobama>
36. Obama B. H. (December 10, 2009), The Nobel Peace Prize, 19.06.2018 https://www.nobelprize.org/nobel_prizes/peace/laureates/2009/obama-lecture_en.html
37. Obama B.H. (June 4, 2009), *Barack Obama's speech at Cairo University: Full text*, The Telegraph, 19.06.2018 <https://www.telegraph.co.uk/news/worldnews/barackobama/5447513/Barack-Obamas-speech-at-Cairo-University-Full-text.html>
38. Obama B.H. (August 31, 2013), Read And Listen: President Obama Turns To Congress On Syria, National Public Radio, 15.06.2018

- <https://www.npr.org/2013/08/31/217610904/transcript-president-obama-turns-to-congress-on-syria>
39. Omar A. A. (February, 2013), Is There Anything 'New' in Neoclassical Realism?, E-International Relations Studies, 30.06.2018 <http://www.e-ir.info/2013/02/13/is-there-anything-new-in-neoclassical-realism/>
 40. Resi P. (August 31, 2013), Obama Says He Doesn't Need Congress' Permission to Strike Syria, So Why is He Asking for It?, The Atlantic, 30.06.208, <https://www.theatlantic.com/politics/archive/2013/08/obama-says-he-doesnt-need-congress-permission-to-strike-syria-so-why-is-he-asking-for-it/453249/>
 41. Rosi G. (October, 1998), Neoclassical Realism and Theories of Foreign Policy, World Politics, Vol. 51, No. 1, 144-172;
 42. Rudolf P. (August 2016), Liberal Hegemony and US foreign Policy, German Institute for International and Security Affairs, SWP Comments 40, 1-8;
 43. Ryan L. (May 2, 2011), *The Consequentialist*, The New Yorker, 30.06.2018 <https://www.newyorker.com/magazine/2011/05/02/the-consequentialist>
 44. Sawani Y. (December 27, 2014), *The United States and Libya: Turbulent History and Uncertain Future*, e-international relations, 08.06.2018 <https://www.e-ir.info/2014/12/27/the-united-states-and-libya-turbulent-history-and-uncertain-future/>;
 45. Schweller R. (Fall, 2004), Unanswered Threats: A Neoclassical Realist Theory of Underbalancing, *International Security*, Vol. 29, No. 2, 159-201;
 46. Sharp J.M, Blanchard C.M. (September 3, 2013), Possible U.S. Intervention in Syria: Issues for Congress, Congressional Research Service;
 47. Sladden J. Wasser B. Connable B. (2017), *Russian Strategy in the Middle East*, RAND Corporation, Perspectives; 30.06.2018 <https://www.rand.org/pubs/perspectives/PE236.html>
 48. Steinhauser P. and Helton J. (September 9, 2013), CNN poll: Public against Syria strike resolution, CNN Politics, 30.06.2018 <https://edition.cnn.com/2013/09/09/politics/syria-poll-main/index.html>
 49. Stent A. (January/February 2016), Putin`s Power Play in Syria, How to respond to Russia`s Intervention, *Foreign Affairs*;

50. Stevenson C. A. 2013, *America's Foreign Policy Toolkit, Key Institutions and Processes*, SAGE publication, Library of Congress;
51. Swift A. (September 13, 2013) Americans Evenly Divided on Russia's Plan for Syria, *βsβsβos* 30.06.2018 <https://news.gallup.com/poll/164402/americans-evenly-divided-russia-plan-syria.aspx>
52. The Ministry of Foreign Affairs of the Russian Federation, (February 12, 2013), *Concept of the Foreign Policy of the Russian Federation*;
53. The President of the United States, (May, 2010), National Security Strategy, The White House, Washington;
54. Tiefer C. Clark K. (Fall 2016), Congressional and Presidential War Powers as a dialogue: Analysis of the Syrian and ISIS conflicts, *Cornell International Law Journal*, Vol 49, Issue 3, Article 4, 683-722;
55. Tierny D. (April 15, 2016), The Legacy of Obama's worst mistake, *The Atlantic*, *βsβsβos* 16.06.2018 <https://www.theatlantic.com/international/archive/2016/04/obamas-worst-mistake-libya/478461/>
56. Tucker J. (March 11, 2015), *Interview: Carnegie Corporation of New York's Deana Arsenian on U.S. – Russia relations, and making scholarly expertise more accessible*, *The Washington Post*, *βsβsβos* 30.06.2018 https://www.washingtonpost.com/news/monkey-cage/wp/2015/03/11/interview-carnegies-deana-arsenian-on-u-s-russia-relations-and-making-scholarly-expertise-more-accessible/?noredirect=on&utm_term=.14daca2c2513
57. Yin Robert K.. (2014). *Case Study Research Design and Methods* (5th ed.), Thousand Oaks, CA: Sage;

დანართი I

ინტერვიუ ამერიკის ჩრდილო ჯორჯიის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების დოქტორთან, ქალბატონ მეგან ჰოსერთან (დალონეგა, 9 მაისი, 2018)

შეკითხვა 1 : როგორ ფიქრობთ, რა სტრატეგიულ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს ორი ჰეგემონი სახელმწიფოს, რუსეთისა და ამერიკის სირიაში ინტერვენცია?

პირველ რიგში ვფიქრობ, რომ რუსეთს სურს დომინანტური პოზიციის შენარჩუნება სირიაში, ახლო აღმოსავლეთში. გარდა ამისა, ვფიქრობ, რომ პუტინი ძალიან სკეპტიკურად არის განწყობილი ზოგადად სახელმწიფო სუვერენიტის დარღვევის საკითხის მიმართ და ის ეწინააღმდეგება რეჟიმების ცვლილებას გარე აქტორების ჩარევის გზებით და აკეთებს ყველაფერს, რათა შეფარვით, თუმცა მაინც მხარი დაუჭიროს და გაამყაროს ასადის რეჟიმი ქვეყანაში. ლიბიის კონფლიქტის შემდეგ რუსეთიცა და ამერიკაც რაღაც დოზით იხევენ უკან და მეტი ლავირების საშუალებას აძლევენ გაეროს რეგიონში და სირიაშიც. რუსეთს არ უნდა მსგავსი ინტერვენციონისტული სცენარი განვითარდეს სირიაში, რაც ცოტა ხნის წინ ლიბიაში იხილა საერთაშორისო საზოგადოებამ და ასევე არ სურს საერთაშორისო ინსტიტუტების ჩართულობით შეიცვალოს ასადის ლეგიტიმური რეჟიმი ქვეყანაში.

2013 წლის ქიმიური იარაღის გამოყენების პრეცედენტმა დამასკოში რუსეთს მეტი გასაქანი მისცა უფრო აქტიური როლი ეთამაშა და გამხდარიყო მხარე სირიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. რადგანაც ამ დროს ობამას არ მისცა კონგრესმა თანხმობა სირიაში ინტერვენციის დასაწყვებად, ამიტომ ობამამ რუსეთისაკენ დაიწყო ყურება, რათა ამ უკანსკნელს მოლაპარაკებები ეწარმოებინა და დაეთანხმებინა ასადი ქვეყანაში არსებული ქიმიური იარაღის მარაგი საერთაშორისო კონტროლის ქვეშ გადაეცა მისი შემდგომი განადგურების მიზნით.

შეკითხვა 2: ობამამ თავი აარიდა სირიაში ინტერვენციას, რადგან არ არსებობდა ქვეყნიდან მშვიდობიანად გამოსვლის გონივრული გეგმა. თქვენი აზრით, რა სახის გეოპოლიტიკური გავლენის და შედეგების მომტანი იყო ობამას ჩაურევლობის პოლიტიკა სირიაში საერთაშორისო საზოგადოებისა და უსაფრთხოებისათვის?

ობამას უმოქმედობით, პირველ რიგში, ისარგებლა რუსეთმა, რომელმაც აღნიშნულ კონფლიქტში ჩართული მხარის როლი დაიკავა და გაგზავნა საკუთარი სამხედრო ძალები ასადის რეჟიმის გასამყარებლად სირიაში. ვფიქრობ, ამერიკა რომ მეტად აქტიური ყოლიფიყო ეს არ მოხდებოდა რუსეთის მხრიდან. რუსეთის მიზნები სირიაში მარტივი მისახვედრია ყველასათვის: ასადის დახმარება და ტერორისტულ დაჯგუფებებთან ბრძოლა.

შეკითხვა 3: თქვენი გადმოსახედიდან რატომ არ შეეწინააღმდეგა ობამას ადმინისტრაცია რუსეთის ძალის თამაშს სირიაში, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ პუტინის ბოლო აგრესიულ პოლიტიკას და მოქმედებებს ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში, მაშინ გაუგებარი რჩება რატომ შეიკავა თავი ობამამ რუსეთის სამხედრო აგრესიის შეკავებისაგან სირიაში?

ობამას საგარეო პოლიტიკური გეგმები დამყარებულია საკითხისადმი მულტილატერალური მიდგომებით, რაც გაეროს, მოკავშირე სახელმწიფოების ჩართულობით საქმის კეთებას გულისხმობს. შესაბამისად, ამერიკისთვის რთული იყო გადამწყვეტი როლი ეთამაშა სირიაში, მაშინ როცა ობამას ზურგს არ უმაგრებდა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ობამას ადმინისტრაციამ არ გარისკა და არ დაუპირისპირდა გაეროს უშიშროების საბჭოს წევრ სახელმწიფოს. რუსეთი არასდროს იცავს სახელმწიფო სუვერენიტეტის ცნებას და ნორმას, მხოლოდ ერთი გამონაკლისის გარდა, როცა საქმე ეხება ეთნიკურად რუსი მოსახლეობის დაცვას რუსეთის ფედერაციის ფარგლებს გარეთ, მაგალითად ყირიმში. ამერიკისთვის წარმოუდგენლად რთული იყო ჰქონოდა რაიმე მოქმედების სტრატეგია ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში ამ მიწაზე ამერიკელი სამხედრო ჯარისკაცების გადასხმის გარეშე. ამ ყველაფერმა კი გააძლიერა რუსული ნარატივები და პროპაგანდა. ამერიკისთვის რთული იყო სირიაში ინტერვენცია, რადგან ობამას არ ჰქონდა ეროვნულ დონეზე მხარდაჭერა და გარდა ამისა, თავს იკავებდა მეორე ბირთვული იარაღის მქონდე სახელმწიფოსთან დაპირისპირებისაგან.

შეკითხვა 4: როგორ ფიქრობთ არსებობს რაიმე რეალური შანსი რუსეთსა და ამერიკას შორის სირიის კონფლიქტთან დაკავშირებით თანამშრომლობის მისაღწევად?

ამ ეტაპზე, ვფიქრობ, რომ რაიმე სახის თანამშრომლობა ამ ქვეყნებს შორის გამორიცხულია. შესაძლოა თანამშრომლობას აზრი 5-6 წლის წინ ჰქონოდა. ვფიქრობ, 2013 წელს ქიმიური იარაღის გამოყენების შემთხვევა გადამწყვეტი აღმოჩნდა იმ მხრივ, რომ რუსეთმა მთლიანად ასადის მხარე დაიჭირა და ქიმიური გაზის გამოყენების ფაქტი სირიის ოპოზიციურ ძალებს დააბრალა. ამერიკისათვის ამან დამაბნეველად იმოქმედა, რადგან ობამას ვეღარ გადაეწყვიტა როგორ ეთანამშრომლა რუსეთთან, რომელიც საქმეში არსებულ ძირითად ფაქტებს უარყოფდა, რაც მაგალითად უდანაშაულო მოსახლეობის დახოცვას უკავშირდებოდა.

შეკითხვა 5: თქვენი აზრით, რამდენად განხვავებულია ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის პრინციპები, მისი წინამორბედი პრეზიდენტის, ბუშის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიისგან?

ობამა შედარებით მეტად არის ფოკუსირებული საერთაშორისო თანამშრომლობასა და მულტილათერალურ მიდგომებზე. მას სურს მისდიოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და კანონებს, რაც ამერიკულ პრინციპებთან მოდის თანხვედრაში და არ იყოს საერთაშორისო ასპარეზზე მხოლოდ ამერიკული მიდგომების გამტარებელი. ბუში მეტად აგრესიული პოლიტიკით გამოირჩეოდა, რაც დემოკრატიის გავრცელებას გულისხმობდა. ობამაც მხარს უჭერდა დემოკრატიული პრინციპების გავრცელებას, მაგრამ მას სხვა მეთოდების გამოყენებით აპირებდა ამ მიზნის მიღწევას. ობამამ ჩემი დაკვირვებით ბუშისგან ისწავლა, რომ გარე აქტორების ჩარებით დამყარებული დემოკრატია დიდხანს ვერ იარსებებდა.

შეკითხვა 6: როგორ ფიქრობთ, რანდენად დიდი იყო შიდასახელმწიფოებრივი კონტექსტის ზემოქმედება და რა გავლენა იქონია ეროვნულ დონეზე არსებულმა ვითარებამ ობამას საგარეო პოლიტიკაზე სირიის კრიზისის მიმართ?

შიდასახელმწიფოებრივი კონტექსტი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო ობამასთვის და ის სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდებოდა კონგრესის მხრიდან. 2013 წ წარმომადგენელთა პალატას სურდა მათი თანხმობის გარეშე არ მომხდარიყო ამერიკის შეჭრა სირიაში. უფრო მეტიც, რესპუბლიკური პარტია ობამას ყველა პოლიტიკურ ნაბიჯს და ნებისმიერ ინიციატივას აკრიტიკებდა.

დანართი II

ინტერვიუ ამერიკის ჩრდილო ჯორჯიის უნივერსიტეტის ახლო აღმოსავლეთის რეგიონის სპეციალისტთან, დოქტორთან მონიკა ფრიჩლისთან (დალონეგა, 9 მაისი, 2018)

შეკითხვა 1 : როგორ ფიქრობთ, რა სტრატეგიულ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს ორი ჰეგემონი სახელმწიფოს, რუსეთისა და ამერიკის სირიაში ინტერვენცია?

აშშ დაინტერესებულია საერთაშორისო ნორმების დაცვით და მათ შორის აკეთებს მაქსიმუმს, რათა არ მისცეს ასადის რეჟიმს საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპების დარღვევის უფლება. ობამას პოლიტიკა სირიის კონფლიქტის მიმართ გარკვეულ კავშირებს ავლებს ლიბიაში 2011 წელს განხორციელებულ ინტერვენციასთან. ლიბიაში სამხედრო ძალის აქტიურად გამოყენებასთან დაკავშირებით გახლეჩილი აღმოჩნდა ამერიკული საზოგადოება და პოლიტიკოსთა წრე, მათ შორის თავად პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაცია. გამომდინარე იქიდან, რომ ლიბიაში, საბოლოო ჯამში, ამერიკის ყოფნამ ვერ შეძლო სიტუაციის შემობრუნება, ამან სერიოზული გავლენა და ნეგატიური რეზონანსი იქონია სირიის კრიზისის მიმართ ამერიკის თავშეკავების სტრატეგიაზე.

შეკითხვა 2: ობამამ თავი აარიდა სირიაში ინტერვენციას, რადგან არ არსებობდა ქვეყნიდან მშვიდობიანად გამოსვლის გონივრული გეგმა. თქვენი აზრით, რა სახის გეოპოლიტიკური გავლენის და შედეგების მომტანი იყო ობამას ჩაურევლობის პოლიტიკა სირიაში საერთაშორისო საზოგადოებისა და უსაფრთხოებისათვის?

ჩემი აზრით, უმთავრესი მაინც ე.წ. დაღლილობის სინდრომი აღმოჩნდა მოსახლეობაში. მას შემდეგ, რაც ამერიკა ჩართული აღმოჩნდა ისეთ ხანგრძლივ კონფლიქტებში, როგორც თავდაპირველად ერაყი, ავღანეთი, ხოლო შემდეგ ეტაპზე უკვე ლიბია იყო, ამერიკის საზოგადოებას სირიაში ახალი ომის დაწყების არანაირი სურვილი და მოტივაცია აღარ გააჩნდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა აშშ-ში ეს პერიოდი ეკონომიკურ კრიზისს დაემთხვა, მოქმედ მთავრობაზე არსებობდა მოსახლეობის მხრიდან დიდი წნეხი ამერიკას თავი შეეკავებინა ახალი ხარჯების გაღებისაგან, რაც სირიაში ამერიკის ჩართულობასთან იყო დაკავშირებული. ამასთანავე, ერაყისა და ავღანეთის ომებიდან, ფინანსური ხარჯების გარდა,

სამწუხაროდ, ამერიკამ დიდი ადამიანური მსხვერპლიც მიიღო. სწორედ ამ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე არსებული მიზეზების გამო ითხოვდა კონგრესიც, რათა ობამას მათთან კონსულტაციების გარეშე არ წამოეწყო სამხედრო ინტერვენცია სირიაში.

შეკითხვა 3: თქვენი გადმოსახედიდან რატომ არ შეეწინააღმდეგა ობამას ადმინისტრაცია რუსეთის ძალის თამაშს სირიაში, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ პუტინის ბოლო აგრესიულ პოლიტიკას და მოქმედებებს ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინაში, მაშინ გაუგებარი რჩება რატომ შეიკავა თავი ობამამ რუსეთის სამხედრო აგრესიის შეკავებისაგან სირიაში?

ვფიქრობ, სირიის კონფლიქტი ევროპის უსაფრთხოებისთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენდა, რადგან სირიიდან წამოსული ლტოლვილთა ნაკადი, რომლებიც ძირითადად თურქეთის გავლით შედიოდნენ ევროპის კონტინენტზე ამერიკის სახელმწიფოებრივ ინტერესებზე მეტად ევროპის უსაფრთხოებას უქმნიდნენ საფრთხეს. ლტოლვილთა პრობლემა და ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, ჩემი აზრით, დღემდე ანგრევს ევროკავშირის სისტემას.

შეკითხვა 4: როგორ ფიქრობთ არსებობს რაიმე რეალური შანსი რუსეთსა და ამერიკას შორის სირიის კონფლიქტთან დაკავშირებით თანამშრომლობის მისაღწევად?

ასადის რეჟიმის მხრიდან მიზანმიმართულად ხორციელდებოდა მშვიდობიანი მოქალაქეების ხოცვა და შევიწროება. ზოგადად საომარ მდგომარეობაში ყოველთვის რთულია დაადგინო ვინ იცავს და ავრცელებს სწორ ინფორმაციას. თუმცა ამერიკის გადმოსახედიდან, ვფიქრობ, აღიქმება შემდეგი, რომ კრემლი თავს გრძნოს ძალიან კომფორტულად საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დარღვევით და ამასთანავე, მხარს უჭერს საკუთარ მოკავშირეს, ასადს, საერთაშორისო პრინციპების დარღვევაშიც. არადა ჩვენ, ალბათ, საჭიროა დავსვათ უმთავრესი შეკითხვა - რაში გვჭირდება საერთაშორისო ნორმები თუ არ ვიცავთ მათ? რა დანიშნულება აქვს საერთაშორისო სისტემას, რომელიც დიდი გამოწვევების წინაშე დგას ახლა და როგორ უნდა იმოქმედოს მან? რუსეთსა და ამერიკას შორის დაპირისპირებას უმთავრესად წარმოქმნის ისეთი გლობალური საკითხების და ცნებების მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება, როგორცაა, მაგალითად უსაფრთხოება.

რუსეთისათვის უსაფრთხოება მინიმალისტური გაგებით ნიშნავს ქვეყნის დაცვას გარეშე საფრთხეებისა და მეტოქეებისაგან. მათ შორის, რაც ხდება ქვეყნის საზღვრებში განეკუთვნება მხოლოდ ამ ქვეყნის შიდა საქმეების კატეგორიას. დასავლური სამყაროს და საერთაშორისო საზოგადოების წარმოდგენა უსაფრთხოების შესახებ ნამდვილად განსხვავდება რუსული ხედვისაგან.

შეკითხვა 5: თქვენი აზრით, რამდენად განხვავებულია ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის პრინციპები, მისი წინამორბედი პრეზიდენტის, ბუშის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიისგან?

ჩემი გადმოსახედიდან, ობამა მეტად ემხრობა თანამშრომლობის გზით ამერიკის საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევას. თუმცა, გულწრფელად რომ განვსაჯო უმთავრესი, რაც ობამას ჯორჯ ბუში უმცროსისაგან განასხვავებს არის ის განსხვავებული ეპოქა და გარემოებები, როცა თითოეულ მათგანს მოუწია პრეზიდენტობამ. რადგანაც ბუში ნეოკონსერვატიული ღირებულებების მიმდევარი იყო, ამიტომ მისი პოლიტიკის ნაწილი იყო უნილატერალიზმით, ნაკლებად დიპლომატიური ძალისხმევით, დემოკრატია შეეტანა და დაენერგა არადემოკრატიულ საზოგადოებებში, მაშინ როცა ობამა მულტილატერალური მიდგომების მხარდამჭერად გამოდიოდა. მას შემდეგ, რაც ობამა მოვიდა ხელისუფლებაში ამერიკას მოუწია ხელახლა შეეფასებინა საკუთარი საგარეო პოლიტიკა. შეგვიძლია შემდეგი სახის კავშირი დავინახოთ ამერიკის პრეზიდენტებს შორის - ბუში ერთგვარად ცდილობდა პასუხი გაეცა კლინტონის ადმინისტრაციისთვის და მიეღო რადიკალური ზომები 9/11 ტერაქტის შემდეგ, ხოლო ამის შემდეგ ობამას ადმინისტრაციას მოუწია უკვე ბუშის ქმედებებზე რეაგირება.

შეკითხვა 6: როგორ ფიქრობთ, რანდენად დიდი იყო შიდასახელმწიფოებრივი კონტექსტის ზემოქმედება და რა გავლენა იქონია ეროვნულ დონეზე არსებულმა ვითარებამ ობამას საგარეო პოლიტიკაზე სირიის კრიზისის მიმართ?

მიმაჩნია, რომ ამერიკაში ეროვნულ დონეზე არსებულმა პოლარიზაციამ ამერიკის არაინტერვენციულ სტრატეგიას ჩაუყარა საფუძველი სირიის კონფლიქტის მიმართ. პოლარიზაციასთან ერთად სირიაში ამერიკის ჩაურევლობის პოლიტიკას ხელი

შეუწყო წარმომადგენელთა პალატის წინააღმდეგობამ. ზოგადად, ამერიკის საგარეო პოლიტიკა პრეზიდენტის და აღმასრულებელი შტოს პრეროგატივად მიიჩნევა, თუმცა სირიის შემთხვევაში ასე როდი მოხდა.

დახართი III

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Nino Getsadze

Influence of political leader`s decisions and domestic context on the formation of state`s foreign policy: president Barack Obama`s non-intervention policy in Syria

Master Program in Diplomacy and International Politics

Master Thesis is submitted to obtain a Master degree in Diplomacy and International Politics

Master Thesis Supervisor

Tornike Turmanidze

Doctor in International Relations

TSU Social and Political Sciences

Associated Professor of the International Relations Department

Tbilisi, 2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ნინო იაკაშვილი

თურქეთის ახალი საგარეო პოლიტიკური კურსი და
ურთიერთობა აშშ-თან

სამაგისტრო პროგრამა: დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო
პოლიტიკის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ზურაბ დავითაშვილი
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თბილისი 2018

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გაანალიზოს თურქეთის საგარეო პოლიტიკა აშშ-თან ურთიერთობების ჭრილში და გამოკვეთოს ქვეყნისთვის ტრადიციული საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების ცვლილების მიზეზები და მისი შედეგები აშშ-თურქეთის ურთიერთობებზე.

ნაშრომში დასმულია შემდეგი **საკვლევი კითხვა**: რით იყო განპირობებული თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილება 2002 წლიდან და როგორ აისახა ეს ცვლილებები თურქეთ-აშშ-ს ურთიერთობებზე? კვლევის პროცესში გამოიკვეთა შემდეგი **ჰიპოთეზა**: 2002 წლიდან თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილება განპირობებული იყო რეგიონში თურქეთის ლიდერობაზე ქვეყნის პოლიტიკური ელიტის პრეტენზიებით. ზემოაღნიშნული ჰიპოთეზის ასახსნელად ნაშრომში გამოყენებულია **კონსტრუქტივიზმის თეორია**, რომლის თანახმად აქტორის ქცევები განპირობებულია არა გარედან არსებული ობიექტური სოციალური რეალობით, არამედ ადამიანური იდეებით, აღქმებით და იდენტობებით.

ნაშრომში კვლევის **მეთოდოლოგიად** გამოყენებულია თვისებრივი კვლევა, კერძოდ, თვისებრივი კონტენტ-ანალიზი და ე.წ. პროცესის მიდევნების (Process Tracing) მეთოდი, რაც თურქეთის საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა ეტაპებზე დაკვირვებით და ქვეყნის თანამედროვე პოლიტიკასთან შედარების გზით შესაბამის პირობებს ქმნის თურქეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილების მიზეზთა დადგენისთვის. ნაშრომში ასევე წარმოდგენილია მცდელობა ამავე მეთოდის გამოყენებით დადგინდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი თურქეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილებასა და თურქეთ-აშშ-ს შორის ურთიერთობების გაუარესებას შორის.

Turkey`s New Foreign Policy and Relations with USA

Nino Iakashvili

Abstract

The aim of the thesis is to analyze Turkey`s foreign policy with respect to USA-Turkey`s relations and to emphasise the causes of shifting Turkey`s traditional foreign policy priorities and the results of this process on USA-Turkey`s relations.

The thesis focuses on the following research question: Why did Turkey`s foreign policy change from 2002 year and how did these changes reflect on USA-Turkey`s relations? The following hypothesis was proposed in cause of the research: From 2002 year Turkey`s foreign policy changes were caused of country`s political elite`s perceptions of Turkey`s leadership in the region.

The theory of constructivism is applied to the research to prove hypothesis. According to the this theory actor`s behaviors are determined not by the objective social reality, but by the human ideas, perceptions and identities.

The work uses the qualitative research methodology, in particular the content-analyse and process tracing methods. The latter researchs the different phases of Turkey`s foreign policy and compares it to Turkey`s modern forein policy and thus creates the appropriate conditions for establishing the causes of Turkey`s foreign policy changes. The same method (process tracing) is used for establishing the causal connection between the shifting of Turkey`s foreign policy and the deterioration of USA-Turkey`s relations.

სარჩევი

შესავალი	6
➤ ნაშრომის აქტუალობა და სიახლე	6
➤ კვლევის საგანი	7
➤ თეორიული ჩარჩო და მეთოდოლოგია	7
➤ ნაშრომის სტრუქტურა	8
➤ ლიტერატურის მიმოხილვა	9
თავი I. თურქეთის საგარეო პოლიტიკა ისტორიულ რეტროსპექტივაში	13
1.1. თურქეთის საგარეო პოლიტიკა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში	13
1.2. თურქეთის საგარეო პოლიტიკა ცივი ომის პერიოდში	15
1.3. თურქეთის როლი საერთაშორისო სისტემაში ცივი ომის შემდეგ	17
თავი II. თურქეთის საგარეო პოლიტიკა სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობის პერიოდში - გზა მუსლიმური დემოკრატიის მოდელიდან ავტორიტარიზმამდე	20
2.1. „სტრატეგიული სიღრმე“--ანალიზი და დასკვნები	20
2.2. AKP-ს პოლიტიკა--ქემალიზმიდან ერდოღანიზმამდე	26
თავი III. აშშ--თურქეთის ურთიერთობების გაუარესების მიზეზები	34
თავი IV. თურქეთის ახალი საგარეო პოლიტიკა კონსტრუქტივიზმის ჭრილში	39
დასკვნა	43
გამოყენებული ლიტერატურა	46

აბრევიატურების ნუსხა

AKP—სამართლიანობისა და განვითარების პარტია

PKK—ქურთების მუშათა პარტია

YPG—სახალხო თავდაცვის ძალები

MGH—ისლამისტური ნაციონალური ხედვის მოძრაობა

ISIS—ერაყისა და ლევანთის(სირიის) ისლამური სახელმწიფო

RP—კეთილდღეობის პარტია

შესავალი

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია თურქეთის თანამედროვე საგარეო პოლიტიკის გაანალიზების მცდელობა ქვეყნის ძველ პოლიტიკურ იდეოლოგიასთან შედარების საფუძველზე. ნაშრომის მიზანია გაანალიზოს სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობის პერიოდში თურქეთის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების შეცვლის მიზეზები. ამავე ჭრილში განხილულია აშშ-თურქეთის ურთიერთობები და წარმოდგენილია ბოლო წლებში მათ შორის ურთიერთობების დაძაბვის მიზეზების დადგენის მცდელობა.

➤ ნაშრომის აქტუალობა და სიახლე

თურქეთი წარმოადგენს ნატოს წევრ ძლიერ რეგიონალურ სახელმწიფოს, რომლის საგარეო პოლიტიკური ქმედებები უდიდეს გავლენას ახდენს რეგიონის და მსოფლიო პოლიტიკაზე. აშშ-ს და თურქეთს შორის ურთიერთობები გამოირჩევა განსაკუთრებული **აქტუალობით**, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ, აშშ-ს, როგორც ზესახელმწიფოს სტატუსით და მეორე მხრივ იმ ფაქტით, რომ ორივე მათგანი ნატოს წევრი სახელმწიფოა და მათ შორის არსებულმა დაპირისპირებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს არა მხოლოდ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ერთიანობაზე, არამედ მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაზეც. აქედან გამომდინარე, თურქეთის საგარეო პოლიტიკის და აშშ-თურქეთის ორმხრივი ურთიერთობების ანალიზი თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგის უდავოდ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს.

ნაშრომის **სიახლეს** განაპირობებს ის ფაქტი, რომ მეცნიერული კვლევის დონეზე ნაკლებადაა შესწავლილი სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მიერ მართული თურქეთის აშშ-თან ურთიერთობების გაუარესების მიზეზები ბოლო პერიოდში აშშ-ს მიერ მხარდაჭერილი სირიელი ქურთების შეიარაღებულ ფორმირებებთან თურქეთის ბრძოლის ფონზე. ამასთან, მრავალრიცხოვანი უცხოენოვანი მასალისაგან განსხვავებით, ჯერჯერობით საკმაოდ მწირი ოდენობით მოიპოვება ქართულენოვანი ანალიტიკური ლიტერატურა თურქეთის თანამედროვე საგარეო პოლიტიკის და განსაკუთრებით, აშშ-თურქეთს შორის ურთიერთობების

გაუარესების მიზეზების შესახებ. ვიმედოვნებ, რომ წინამდებარე ნაშრომი აღნიშნული თემის კვლევისას ფასეულ დახმარებას გაუწევს ქართულენოვან სტუდენტებს, მკვლევარებს თუ საკითხით დაინტერესებულ სხვა პირებს.

➤ კვლევის საგანი

როგორც აღინიშნა, ნაშრომი იკვლევს თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილების და აშშ-თურქეთის ურთიერთობის დამაბვის მიზეზებს. აქედან გამომდინარე, ნაშრომში წარმოდგენილი იქნება მცდელობა პასუხი გაეცეს შემდეგ **საკვლევ კითხვას**: რით იყო განპირობებული თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილება 2002 წლიდან და როგორ აისახა ეს ცვლილებები თურქეთ-აშშ-ს ურთიერთობებზე?

კვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე **ჰიპოთეზა** ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: 2002 წლიდან თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილება განპირობებული იყო რეგიონში თურქეთის ლიდერობაზე ქვეყნის პოლიტიკური ელიტის პრეტენზიებით, რაც თურქეთ-აშშ-ს ურთიერთობების დამაბვის მიზეზი გახდა.

➤ თეორიული ჩარჩო და მეთოდოლოგია

ჰიპოთეზის ასახსნელად ნაშრომში გამოყენებულია **კონსტრუქტივიზმის თეორია**, რომლის თანახმად საერთაშორისო სისტემა წარმოადგენს გარკვეული იდეებისა და ნორმების სისტემას, რომელიც გარკვეული ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფების მიერ ჩამოყალიბდა გარკვეულ დროს და გარკვეულ ადგილას, ანუ საერთაშორისო სისტემა, ისევე როგორც ამ სისტემის შემადგენელი ელემენტების--სახელმწიფო აქტორების პოლიტიკა ყალიბდება არა გარედან არსებული ობიექტური სოციალური რეალობის, არამედ ადამიანური იდეების, აღქმების და იდენტობების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, თუ შეიცვლება ეს აღქმები და იდეები, მაშინ შეიცვლება თვითონ საერთაშორისო სისტემაც (Wendt, 2000).

ნაშრომში კვლევის **მეთოდოლოგიად** შერჩეულია თვისებრივი კვლევა, რომლის მიზანია შეისწავლოს ის ძირითადი მიზეზები, რამაც განაპირობა თურქეთის საგარეო

პოლიტიკის დრამატული ცვლილება და ურთიერთობების დაძაბვა მის სტრატეგიულ პარტნიორთან--აშშ-თან. გარდა ამისა, საკითხის საკვლევად გამოყენებულია ასევე ე.წ. პროცესის მიყოლის (Process Tracing) მეთოდი, რომლის ფარგლებში გაანალიზებული იქნება თურქეთის საგარეო პოლიტიკა ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე--მეორე მსოფლიო ომიდან დღემდე, რაც შექმნის ზოგად წარმოდგენას ქვეყნის ტრადიციულ საგარეო პოლიტიკურ კურსზე, რომელიც 2002 წელს ხელისუფლებაში სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მოსვლის შემდეგ ეტაპობრივად განიცდის ცვლილებებს. ზემოაღნიშნული კვლევის მეთოდის საშუალებით ასევე ნათლად გამოიკვეთება ქვეყნის ძველ და ახალ საგარეო პოლიტიკურ კურსს შორის არსებული ძირეული განსხვავებები და კურსის შეცვლის სავარაუდო მიზეზები.

ნაშრომში გამოყოფილია შემდეგი ცვლადები:

დამოკიდებული ცვლადი--თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსი.

დამოუკიდებელი ცვლადი--თურქეთის ახალი იდენტობა, რომელიც ემყარება რეგიონში ჰეგემონიის ამბიციებს.

შუალედური ცვლადი--თურქეთის მიერ ისეთი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა, რაც წინააღმდეგობაში მოდის აშშ-ს და სხვა ნატოელი პარტნიორების ინტერესებთან.

➤ **ნაშრომის სტრუქტურა**

რაც შეეხება ნაშრომის სტრუქტურას, იგი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და რამდენიმე ქვეთავისგან. შესავალში საუბარია ზოგადად კვლევის საგანზე, საკვლევ კითხვასა და ჰიპოთეზაზე, ისევე როგორც საკვლევ თემის აქტუალობასა და სიახლეზე. გარდა ამისა, შესავალში მიმოხილულია ნაშრომის თეორიული ჩარჩო და კვლევის მეთოდოლოგია. ასევე შესავალშია საუბარი ნაშრომის სტრუქტურასა და ლიტერატურის მიმოხილვაზე, სადაც განხილული იქნება ის რამდენიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წიგნი და ანალიტიკური სტატია, რომელთა ანალიზის შედეგებსაც ეყრდნობა წინამდებარე ნაშრომი.

პირველი თავში მიმოხილულია თურქეთის საგარეო პოლიტიკა მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული 2002 წლამდე, მეორე თავი ეთმობა თურქეთის საგარეო პოლიტიკის მიმოხილვას სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობის

პერიოდში. ამავე თავში გაანალიზებულია აგრეთვე ქვეყნის ახალი იდეოლოგიის და პოლიტიკური რეჟიმის--ერდოღანიზმის პრინციპები და წარმოდგენილია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ცვლილების მიზეზების დადგენის მცდელობა. მესამე თავში გაანალიზებულია აშშ-თურქეთის ურთიერთობის გაუარესების ძირითადი და მეორადი ფაქტორები, ხოლო მეოთხე თავში გაანალიზებულია ნაშრომში ჩამოყალიბებული ჰიპოთეზის ასახსნელად გამოყენებული კონსტრუქტივიზმის თეორიის ძირითადი პრინციპები და წარმოდგენილია მცდელობა თურქეთის საგარეო პოლიტიკური ვექტორის ცვლილების მიზეზები გაანალიზდეს აღნიშნული თეორიის ჭრილში. ნაშრომის დასკვნით ნაწილში მოკლედაა შეჯამებული ნაშრომში წარმოდგენილი მოსაზრებები თურქეთის საგარეო პოლიტიკის შეცვლის და აშშ-თან ურთიერთობების გაუარესების მიზეზების და შედეგების შესახებ. გარდა ამისა, დასკვნაში ასევე განხილულია კვლევის პროცესში დაგროვილი ინფორმაციის საფუძველზე ჩამოყალიბებული კონკრეტული მოსაზრებები ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ნორმალიზების შესაძლო გზებთან დაკავშირებით.

➤ ლიტერატურის მიმოხილვა

წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება მრავალ აკადემიურ გამოცემას და სტატიას, თუმცა ინფორმატიულობის და ანალიტიკური ღირებულების მიხედვით განსაკუთრებით საინტერესოა რამდენიმე მათგანი, რომლებიც წინამდებარე ქვეთავში იქნება გაანალიზებული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს ნაშრომი იკვლევს 2002 წლის თურქეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილების მიზეზებს, ხოლო ამ მიზეზების დადგენა შეუძლებელია პრეზიდენტ ერდოღანის ყოფილი თანამებრძოლის--აჰმედ დავითოღლუს დოქტრინის--„სტრატეგიული სიღრმის“ გაანალიზების გარეშე, რადგან სწორედ ეს ნაშრომი მიიჩნევა თურქეთის ახალი იდენტობისა და ქვეყნის თანამედროვე საგარეო პოლიტიკის ერთგვარ მანიფესტად და სახელმძღვანელო პრინციპების კრებულად. იოანის გრიგორიადისის მიხედვით (Grigoriadis, 2010) „სტრატეგიულ სიღრმეში“ დავითოღლუ აყალიბებს თურქეთის ახალი საგარეო პოლიტიკის--ნეო-ოტომანიზმის მთავარ პრინციპებს: კერძოდ, თურქეთს თავისი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა და

რამდენიმე რეგიონს შორის მყოფობა აძლევს საშუალებას გაატაროს საკუთარ ეროვნულ ინტერესებზე მორგებული საგარეო პოლიტიკა. თურქეთი აღარ უნდა იყოს დიდი სახელმწიფოების ინტერესების განმახორციელებელი ინსტრუმენტი. დავითოლლუს მოსაზრებით, თურქეთმა თავის ყველა რეგიონალურ მეზობელთან უნდა დაამყაროს კეთილმეზობლური ურთიერთობა და თავის საგარეო პოლიტიკის წარმართვისას დაეყრდნოს სწორედ სამეზობლო პოლიტიკას. ამასთან, მეზობლებთან ურთიერთობებისას თურქეთმა უნდა გამოიყენოს რბილი ძალის ინსტრუმენტები, კერძოდ, აამოქმედოს ის კულტურული, ლინგვისტური თუ სხვა სახის კავშირები, რომლებიც მას აქვს რეგიონის ქვეყნებთან და რაც მისი ოტომანური მემკვიდრეობის დამსახურებაა. ამასთან, დავითოლლუს ქვეყნის საგარეო ურთიერთობების უმთავრეს პრიორიტეტად მიაჩნია სწორედ მეზობლებთან ურთიერთობების ნორმალიზება, ხოლო რაც შეეხება ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანებას იგი მიიჩნევს ქვეყნისთვის სასურველ, მაგრამ არა უმთავრეს პრიორიტეტად.

ვამინგტონის უნივერსტეტის წამყვანი ექსპერტი თურქეთის საკითხებში--სონერ ჩაღათაი თავის წიგნში--„ახალი სულთანი--ერდოღანი და თანამედროვე თურქეთის კრიზისი“ განიხილავს სამართლიანობისა და განვითარების პარტიის და უშუალოდ თურქეთის მემარჯვენე პოპულისტი პრეზიდენტის, რეჯებ თაიფ ერდოღანის პოლიტიკურ კარიერას ხელისუფლებაში მოსვლამდე და მოსვლის შემდეგ, მის პოლიტიკურ იდეოლოგიას და გზას აბსოლუტური ძალაუფლებისკენ, რომელიც, ავტორის აზრით, საშუალებას აძლევს მას რეალობად აქციოს თავისი იდეოლოგია და მიზნები, ერთი მხრივ, თურქული საზოგადოების გარდაქმნა ისლამისტურ ფასეულობებზე დაყრდნობით და მეორე მხრივ, თურქეთის გარდაქმნა რეგიონალური ძალის ცენტრად (Cagaptay, 2017).

პენსილვანიის უნივერსტეტის პროფესორები--ნიკოლას საიდელი და კლერ ფინკელშტეინი თავიანთ ანალიტიკურ სტატიაში--„თურქეთის აღმოსავლეთისკენ შემობრუნება--გამოწვევა ნატოსთვის და საშიშროება აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოებისთვის“ (Saidel, Finkelstein, 2018) განიხილავენ იმ ძირითად მიზეზებს, რამაც გამოიწვია აშშ-თურქეთს შორის ურთიერთობების დაძაბვა. მათ მიერ განხილულ მიზეზებს შორისაა სირიაში თურქეთის მიერ ისლამურ სახელმწიფოსთან და აღ-

ქაიდასთან ასოცირებული ისლამისტური დაჯგუფებების შესაძლო მხარდაჭერა, აშშ-ს მიერ მხარდაჭერილ სირიის დემოკრატიულ ძალებთან და მისი ქოლგის ქვეშ მოქმედ YPG-თან (სახალხო თავდაცვის ძალები) შეიარაღებული ბრძოლა. გარდა ამისა, ავტორები ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუარესების ერთ-ერთ გარდამტეხ ფაქტორად მიიჩნევენ 2016 წლის სამხედრო გადატრიალების მცდელობას, მასში დადანაშაულებულ ამერიკულ მხარეს, ერდოღანის პოლიტიკური ოპონენტის-- ფეთჰულა გიულენის ექსტრადირების მოთხოვნაზე აშშ-ს უარს და ამ მოვლენის შემდეგ განხორციელებულ პოლიტიკურ რეპრესიებს. ამასთან, ავტორები ურთიერთობების გაუარესების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიიჩნევენ ამბოხების შემდეგ რუსეთ-თურქეთს შორის დამყარებულ პარტნიორულ ურთიერთობებს, რაც აშშ-ს განსაკუთრებული შეშფოთების საგანია. ავტორთა მოსაზრებით, დღესდღეობით სწორედ ეს საკითხი დგას ყველაზე მწვავედ ორი ქვეყნის ურთიერთობების დღის წესრიგში.

ი. ილმაზი (დიკინის უნივერსტეტი, ავსტრალია) და გ.ბაშიროვი(ფლორიდის უნივერსტეტი, აშშ) თავიანთ სტატიაში: “AKP 15 წლის შემდეგ: ერდოღანიზმის ჩამოყალიბება თურქეთში“ განიხილავენ სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობას ხელისუფლებაში მოსვლიდან 15 წლის შედეგ და აანალიზებენ ამ დროის განმავლობაში თურქეთის ახალი პოლიტიკური იდეოლოგიის და ახალი რეჟიმის--ერდოღანიზმის ჩამოყალიბების საკითხს. ავტორთა განმარტებით, ერდოღანიზმი დგას 4 მთავარ პრინციპზე, ესენია: სეკულარიზმი, ნეოპატრიმონიალიზმი, პოპულიზმი და ისლამიზმი. სტატიაში ვრცლადაა განხილული თითოეული პრინციპი და მათი პრაქტიკული განხორციელება თურქეთის მმართველი პარტიის და პირადად პრეზიდენტ ერდოღანის მიერ.

მ.ჯორჯი და მ.ოზქანი სტატიაში „კონსპირაციული თეორიები ჩაშლილი გადატრიალების შემდეგ“ განიხილავენ 2016 წელს გადატრიალების მცდელობის შემდეგ თურქეთში მომხდარ მოვლენებს, კერძოდ, ერდოღანის მიერ გაკეთებულ განცხადებებს, რომლებშიც ის სამხედრო გადატრიალების მცდელობაში ადანაშაულებდა ემიგრაციაში მყოფ ფ. გიულენს, რომლის უკანაც, მისივე მტკიცებით, იდგა აშშ. გარდა ამისა, სტატიაში გაანალიზებულია ამ მოვლენების შემდეგ ერდოღანის

მიერ გადაგმული ნაბიჯები, კერძოდ, შიდა და გარე მტერზე, მათ შორის გამოგონილ მტერზე „ნადირობა“, რითაც მან გაამართლა პოლიტიკური წმენდების ჩატარება სახელმწიფო აპარატის ყველა დონეზე და საზოგადოების ყველა ფენაში, რითაც გზიდან ჩამოიშორა პოლიტიკური ოპონენტების უმრავლესობა და რაც დაეხმარა მას ხელისუფლების კიდევ უფრო მეტი ხარისხით კონსოლიდაციაში.

პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი ჯენ-ვერნერ მიულერი თავის მონოგრაფიაში „რა არის პოპულიზმი?“ ანალიზებს ამ პოლიტიკური ფენომენის ფესვებს, მის ბუნებას და გამოვლენის ფორმებს. ავტორის აზრით, პოპულიზმის მთავარი ფაქტორი პლურალიზმის უარყოფაა. პოპულისტების მტკიცებით, მხოლოდ ისინი წარმოადგენენ ხალხს. წიგნში წარმოდგენილია რამდენიმე რჩევა ლიბერალური დემოკრატების მიერ პოპულიზმთან გამკლავების შესახებ.

თავი I. თურქეთის საგარეო პოლიტიკა ისტორიულ რეტროსპექტივაში

ნაშრომის მთავარი მიზნის--თურქეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილების და აშშ-თურქეთის ურთიერთობების დამაბვის მიზეზების გასაანალიზებლად მიზანშეწონილად მიმაჩნია თურქეთის საგარეო პოლიტიკის ეტაპების მიმოხილვა მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული თანამედროვე ეპოქამდე. აღნიშნული ისტორიულ-ანალიტიკური მიმოხილვა შექმნის შესაძლებლობას შედარდეს თურქეთის ტრადიციული საგარეო პოლიტიკა და ქვეყნის თანამედროვე საგარეო პოლიტიკური დისკურსი და ამ შედარების საფუძველზე საგარეო ვექტორის შეცვლის მიზეზები და და ამ ცვლილების შედეგები უკეთ იქნეს გააზრებული.

1.1. თურქეთის საგარეო პოლიტიკა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში თურქეთის საგარეო პოლიტიკური სტრატეგია საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ ლიტერატურაში შეფასებულია, როგორც „აქტიური ნეიტრალიტეტი“. ომის მთელი პერიოდის განმავლობაში თურქეთს ჰქონდა მჭიდრო ურთიერთობები მოკავშირეებთან, განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთთან. პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი მრავალრიცხოვან შეხვედრებზე აქტიურად ცდილობდა თურქეთის იმჟამინდელი პრეზიდენტის--ისმეთ ინონუს დარწმუნებას ომში ჩართვის საჭიროებასთან დაკავშირებით, სანაცვლოდ კი შეიარაღებით მომარაგებას ჰპირდებოდა. ინონუ ამ მოლაპარაკებებზე ყოველთვის აცხადებდა, რომ სამხედრო დახმარებით უზრუნველყოფის შემთხვევაში თურქეთი ხელსაყრელ დროს აუცილებლად ჩაერთვებოდა ომში, თუმცა როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, ეს „ხელსაყრელი დრო“ არ დამდგარა თურქეთისთვის. რეალურად მან ნეიტრალიტეტის შენარჩუნება ამჯობინა რამდენიმე პრაგმატული მოსაზრებიდან გამომდინარე (იხ.ქვემოთ).

პარადოქსულია, თუმცა მოკავშირეებთან კარგი ურთიერთობების ფონზე თურქული დიპლომატია ახერხებდა ასევე კარგი ურთიერთობები ჰქონოდა ლერძის ქვეყნებთან და განსაკუთრებით გერმანიასთან. თურქეთმა გერმანიასთან გააფორმა თავდაუსხმელობის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც იღებდა ვალდებულებას მოკავშირეების მხარეზე არ ჩართულიყო ომში, ამის სანაცვლოდ კი ჰიტლერისაგან მიიღო უსაფრთხოების

გარანტიები. უნდა აღინიშნოს, რომ გერმანია-თურქეთის ურთიერთობა გასცდა ქალაქებზე დაწერილ თავდაუსხმელობის პირობას და ერთგვარი პარტნიორობის ფორმაც კი მიიღო, რადგან ომის პერიოდში თურქეთი განაგრძობდა გერმანიის მომარაგებას ქრომით, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო ამ უკანასკნელის სამხედრო ინდუსტრიისათვის.

თურქეთის მიერ ნეიტრალიტეტის შენარჩუნების მთავარ მოტივს, გარდა ადამიანური და მატერიალური მსხვერპლის თავიდან აცილებისა, წარმოადგენდა მოკავშირეების გამარჯვების შემთხვევაში ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა ექსპანსიის საფრთხე. თურქეთის ეს შიში ისტორიული ფესვებიდან იღებდა სათავეს. როგორც ცნობილია, ოსმალეთის იმპერია და ცარისტული რუსეთი ისტორიული მეტოქეები არიან, მათი ურთიერთობა ერთმანეთთან გამართულ 13 ომს ითვლის. გარდა ამისა, თურქეთს ემინოდა ასევე იმის, რომ მისი ომში ჩართვის შემთხვევაში სსრკ ნაცისტური გერმანიისაგან თურქეთის დაცვის საბაზით ომის პერიოდშივე განახორციელებდა შეჭრას მის ტერიტორიაზე. სწორედ ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად პრეზიდენტმა ინონუმ წერილი მისწერა ჰიტლერს, სადაც ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ თურქეთი არაფერს მოიმოქმედებდა ბულგარეთში დისლოცირებული გერმანული ძალების წინააღმდეგ, სანაცვლოდ კი მისი ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის უსაფრთხოების იმედს გამოთქვამდა, რისი გარანტია მან მიიღო კიდევ ჰიტლერისგან (Altınörs, 2017).

ახალგაზრდა თურქული სახელმწიფოს მთავარი პრიორიტეტი მშვიდობის შენარჩუნება და ქვეყნის სწრაფი განვითარების უზრუნველყოფა იყო. ომში .ჩართვა კი, გარდა უდიდესი ადამიანური მსხვერპლისა, გამოიწვევდა ასევე უდიდეს მატერიალურ ზარალს და ქვეყნის ეკონომიკის განადგურებას, რისი ნათელი მაგალითიც ომის შემდგომი სსრკ იყო. ომის ასეთი შედეგები კი შეიძლებოდა საბედისწეროც კი აღმოჩენილიყო ახალგაზრდა რესპუბლიკისთვის. ეს კარგად ესმოდა პრეზიდენტ ინონუს და თავისი მტკიცე პოზიციის და ამავდროულად ფრთხილი დიპლომატიის წყალობით ქვეყანა აარიდა უდიდეს პოლიტიკურ საფრთხეს (სსრკ-ს შესაძლო ინტერვენციას) და ეკონომიკის სრულ გაჩანაგებას, რაც პერსპექტივაში უთუოდ დააბრკოლებდა ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ პროგრესს. თურქეთმა ომთან დაკავშირებით ერთადერთი ქმედითი გადაწყვეტილება მიიღო 1944

წლის აპრილში, როდესაც ქრომის მიწოდება შეუწყვიტა გერმანიას და აგვისტოში გაწყვიტა ყველანაირი ურთიერთობა მასთან, მაშინ როდესაც ომის ბედი ფაქტობრივად უკვე გადაწყვეტილი იყო. 1945 წლის თებერვალში კი ფორმალურად გამოუცხადა ომი ღერძის ქვეყნებს, რის შედეგადაც იგი მიწვეულ იქნა გაერთიანებული ერების დამფუძნებელ ყრილობაზე და როგორც ქვეყანამ, რომელმაც ომი გამოუცხადა ღერძის ქვეყნებს, მიიღო გაეროს დამფუძნებელი წევრის სტატუსი. ამგვარად, თურქეთმა ფაქტობრივად ნულოვანი ძალისხმევის და არარსებული მსხვერპლის ფასად მიაღწია მაქსიმალურ შედეგს, რაც კი იმ გარემოებაში შეიძლებოდა მიეღო ქვეყანას. ეს უდავოდ უნდა შეფასდეს თურქული დიპლომატიის ნამდვილ ტრიუმფად.

ბევრი ანალიტიკოსი თუ საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი თურქეთის პოლიტიკას მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დღემდე მიიჩნევს არაეთიკურ და უპრინციპო პოზიციად, თუმცა თურქეთის გადმოსახედიდან ეს პოლიტიკა იყო იმ პერიოდში ერთადერთი სწორი არჩევანი ქვეყნის გადასარჩენად, რაც დაადასტურა კიდევ შემდგომ განვითარებულმა.

1.2. თურქეთის საგარეო პოლიტიკა ცივი ომის პერიოდში

მიუხედავად იმისა, რომ აქტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკა წარმატებული აღმოჩნდა თურქეთისთვის, შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ მას ჰქონდა ასევე თავისი უარყოფითი შედეგებიც. ეს შედეგები აშკარა გახდა ომის შემდგომ პერიოდში, როდესაც სტალინმა ულტიმატუმი წაუყენა თურქეთს და მოითხოვა სრუტეებზე ტერიტორია, ისევე როგორც ქვეყნის ზოგიერთი აღმოსავლეთ რეგიონის დაბრუნება. ომში თურქეთის ნეიტრალიტეტის უარყოფითი შედეგი კი იყო ის, რომ სსრკ-ს ამ ზეწოლაზე აშშ-ს და დიდ ბრიტანეთს კარგა ხანი არ ჰქონიათ რეაქცია და არ შეუთავაზებიათ არანაირი ფორმით დახმარება. გარდა ამისა, თურქეთს არ მიუღია დიდი ბრიტანეთისგან შეპირებული ფინანსური დახმარება ომის შემდგომი რეკონსტრუქციისა და განვითარებისთვის (Han Aslan, 2014).

მიუხედავად ზემოთქმულისა, აშშ-მ და ბრიტანეთმა გააცნობიერეს ომის შემდგომ მსოფლიოში სსრკ-ს ექსპანსიის საფრთხის რეალურობა. ამ მოსალოდნელი საფრთხის

წინა ხაზზე კი სწორედ თურქეთი იმყოფებოდა, რის გამოც ამ უკანასკნელმა 1947 წელს მიიღო აშშ-გან ტრუმენის დოქტრინით და მარშალის გეგმით გათვალისწინებული დიდი სამხედრო და ფინანსური დახმარება, რასაც 1952 წელს მოყვა მისი მიღება ნატოში. მალევე თურქეთს, როგორც ალიანსის წევრ სახელმწიფოს, მოუწია თავისი საჯარისო დანაყოფების გაგზავნა კორეის ომში. ამით დასრულდა თურქეთის ნეიტრალიტეტი, რის შენარჩუნებასაც ასე ესწრაფვოდა იგი როგორც ომის, ისე ომის შემდგომ პერიოდში. ამ დროიდან მოყოლებული რიგი ისტორიული და გეოპოლიტიკური მიზეზებიდან გამომდინარე, თურქეთი ხდება დასავლეთის ახლო პარტნიორი და მოკავშირე.

1960-80-იან წლებში თურქეთის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგის ძირითადი თემა იყო კვიპროსის საკითხი, რაშიც თურქეთი ატარებდა აშშ-გან უკვე შედარებით დამოუკიდებელ პოლიტიკას. აშშ-თურქეთის უმჭიდროვეს პარტნიორულ ურთიერთობებში პირველი ბზარი გააჩინა 1964 წელს აშშ-ს პრეზიდენტ ლ.ჯონსონის წერილმა, რომელშიც იგი აფრთხილებდა თურქეთს, რომ აშშ არ დაეხმარებოდა მათ, თუ თურქული ინტერვენცია კვიპროსში გამოიწვევდა სსრკ-ს სამხედრო პასუხს. ამ წერილის შემდეგ ანკარაში დაფიქრდნენ იმაზე, რომ აშშ-ზე ასეთი ხარისხის დამოკიდებულებას თავისი ფასი გააჩნდა, ამიტომ საჭირო იყო ამ დამოკიდებულების ხარისხის შემცირება და მათი საგარეო პოლიტიკის დივერსიფიცირება. ამ პერიოდიდან თურქეთმა დაიწყო თავისი საგარეო პოლიტიკური კავშირების გაფართოება და ურთიერთობების დამყარება სსრკ-თან და მესამე სამყაროს ქვეყნებთან.

თურქეთის მოსაზრება, რომ მას „მკირი“ უჯდებოდა ახლო მოკავშირეობა აშშ-თან, კიდევ უფრო განმტკიცდა 1975 წელს აშშ-ს მიერ თურქეთისათვის იარაღზე დაწესებული ემბარგოს შემდეგ, რაც აშშ-ს პასუხი იყო მისი ურჩი მოკავშირის მიერ 1974 წელს განხორციელებული კვიპროსის ანექსიაზე. თურქეთის მცდელობა, მოეხდინა მისი საგარეო პოლიტიკის დივერსიფიცირება, მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული ცივი ომის დროს არსებული საბჭოთა საფრთხით. მიუხედავად ორ ქვეყანას შორის გაჩენილი ბზარისა, ორივე მათგანი აცნობიერებდა მათ შორის მჭიდრო პარტნიორობის გაგრძელების აუცილებლობის, რის გამოც სერიოზულ კრიზისამდე არ მისულა მათ შორის არსებული წინააღმდეგობები (Larrabee 2010).

1.3. თურქეთის როლი საერთაშორისო სისტემაში ცივი ომის შემდეგ

სსრკ-ს დაშლამ და აშშ-თურქეთის პარტნიორობის განმაპირობებელი მთავარი ფაქტორის--საბჭოთა ექსპანსიის საფრთხის დღის წესრიგიდან მოხსნამ შეამცირა ანკარის დამოკიდებულება ვაშინგტონზე, თუმცა ამავე მოვლენამ ასევე შექმნა ახალი შესაძლებლობები თურქეთისთვის, კერძოდ, მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობების დამყარება ახლო აღმოსავლეთის და კავკასია/ცენტრალური აზიის რეგიონებთან, სადაც თურქეთს გააჩნია ისტორიული კავშირები და გრძელვადიანი ინტერესები.

ცივი ომის დასრულების შემდეგ თურქეთისთვის შეიცვალა ასევე საშიშროებებისა და გამოწვევებისა ფოკუსი, რომელმაც ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ გადაინაცვლა: მზარდი ქურთული ნაციონალიზმი და სეპარატიზმი, სექტარული ძალადობა ერაყში, რომელიც შეიძლებოდა გავრცელებულიყო მეზობელ ქვეყნებშიც; ირანიდან მომავალი როგორც შესაძლო ბირთვული საფრთხე, ისე რადიკალური ისლამის გავრცელების საშიშროება და სხვ. თურქეთის უსაფრთხოების გამოწვევების მსგავსმა ცვლილებამ ბუნებრივად გამოიწვია მისი ინტერესების ზრდა მისივე სამხრეთ საზღვრების სტაბილურობით და თავის რეგიონალურ მეზობლებთან ურთიერთობების ნორმალიზებით. განსაკუთრებით ეს შეეხებოდა ირანს და სირიას--ქვეყნებს, რომლებთანაც აშშ-ს ჰქონდა და აქვს განსაკუთრებით დამაბული ურთიერთობები. ამგვარად, ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში გამოიკვეთა ნატოელი მოკავშირეების, აშშ-ს და თურქეთის ინტერესების დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში და განსაკუთრებით ზემოაღნიშნულ ქვეყნებთან დაკავშირებით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია სპარსეთის ყურის ომის გავლენა ორი ქვეყნის ურთიერთობებზე. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში ამ ომს ბევრი მიიჩნევს აშშ-თურქეთის თანამშრომლობის „ოქროს ხანად“, ანკარაში მას სხვაგვარად აღიქვამენ: თურქები თვლიან, რომ ეს ომი ორ ქვეყანას შორის დამაბული ურთიერთობების დაწყების ათვლის წერტილია. თურქეთის იმჟამინდელი პრეზიდენტი--თურგუთ ოზალი იმედოვნებდა, რომ მისი მტკიცე მხარდაჭერა აშშ-დმი 1991 წლის ერაყის კამპანიაში თურქეთს მოუტანდა მნიშვნელოვან საგარეო პოლიტიკურ დივიდენდებს და გაიზრდებოდა ევროკავშირში (მაშინდელ ევროპულ საბჭოში-EC) თურქეთის

გაწევრიანების შანსები, თუმცა მისი ეს იმედები არ გამართლდა--აშშ-თან მჭიდრო სამხედრო პარტნიორობამ არ მოუტანა თურქეთს ევროპის საბჭოში გაწევრიანების გაუმჯობესებული პერსპექტივა. ეკონომიკური თვალსაზრისით თურქეთმა აშშ-ს სამხედრო კამპანიაში მონაწილეობის გამო დიდი ფინანსური დანაკარგები განიცადა, რაც, მათივე მტკიცებით, სათანადოდ არ აუნაზღაურებია აშშ-ს. ამ ფაქტმა ანკარაში კიდევ უფრო გაამყარა რწმენა, რომ ამ პარტნიორობისგან თურქეთი ბევრად მეტს კარგავს, ვიდრე იღებს.

ამ ომმა გამოიწვია ასევე თურქეთის ქურთული პრობლემის ესკალაცია. დასავლეთის მხარდაჭერით ჩრდილოეთ ერაყში დე-ფაქტო ქურთული სახელმწიფოს დაარსებამ ახალი ბიძგი მისცა ქურთულ ნაციონალიზმს და უზრუნველყო ლოჯისტიკური ბაზის არსებობა ქურთების მუშათა პარტიის (PKK) მიერ თურქეთის ტერიტორიაზე ახალი შეტევების განხორციელებისათვის.

სპარსეთის ყურის ომმა გამოიწვია აგრეთვე თურქების გრძნობების გაძლიერება ეროვნულ სუვერენიტეტთან დაკავშირებით. ზოგადად, თურქები ძალზე ფრთხილად იყვნენ განწყობილნი აშშ-თვის საკუთარი ტერიტორიის გამოყენების უფლების მიცემის მიმართ (არანატოელი კონტიგენტისათვის).

მას შემდეგ, რაც აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა თანხმობა განაცხადეს ჩრდილოეთ ერაყის არასაფრენ ზონად გამოცხადების შესახებ, აშშ-ს მიერ ინჯირლიკის ბაზის გამოყენებამ არასაფრენი ზოლის პატრულირებისათვის მკვეთრად უარყოფითი რეაქციები გამოიწვია თურქ პოლიტიკოსებსა და სამხედრო ელიტაში. თურქეთმა მნიშვნელოვნად შეზღუდა აშშ-ს მოქმედების თავისუფლება და შეიტანა ბაზების გამოყენების შესახებ შეთანხმებაში ცვლილებები. ამ ცვლილებების თანახმად, ორი ქვეყნის დამაბული და არასტაბილური ურთიერთობებიდან გამომდინარე, ყოველ 6 თვეში უნდა გადახედილიყო ბაზების გამოყენების პირობები.

სხვა მხრივ, ცივი ომის შემდგომი პერიოდი, 90-იანი წლები და 2000-იანი წლების დასაწყისი თურქეთში აღინიშნა იმით, რომ ამ პერიოდში ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად გამოცხადდა ქვეყანაში ეკონომიკური მაჩვენებლების გაზრდა. აღსანიშნავია, რომ ვინაიდან ამ პერიოდში თურქეთი უკვე ცდილობდა საკუთარი საგარეო ურთიერთობების დივერსიფიცირებას,

იგი შეეცადა ურთიერთობების დამყარებას რუსეთთანაც, თუმცა მაშინ ეს ურთიერთობა ატარებდა ძირითადად უფრო სავაჭრო-ეკონომიკურ ხასიათს. ამავე პერიოდში ქვეყნის მთავარ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტად ევროკავშირში გაწევრიანება იქნა დასახული.

თავი II. თურქეთის საგარეო პოლიტიკა სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობის პერიოდში - გზა მუსლიმური დემოკრატიის მოდელიდან ავტორიტარიზმამდე

2002 წელს თურქეთის სათავეში სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მოსვლის შემდეგ ქვეყანაში დაიწყო ახალი პოლიტიკური ხანა, რომლის პერიოდშიც ეტაპობრივად შეიცვალა ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მთავარი მიმართულებები. პარტიის იდეოლოგიის მთავარ თეორიულ ბაზისად ხშირად მიიჩნევენ AKP-ს ერთ-ერთი დამფუძნებლის და ერდოდანის თანამებრძოლის, ქვეყნის ყოფილი საგარეო საქმეთა და პრემიერ-მინისტრის და საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორის აჰმედ დავითოღლუს ფუნდამენტურ ნაშრომს-- „სტრატეგიის სიღრმე“, რომელშიც გადმოცემულია მისი შეხედულებები საერთაშორისო სისტემაში თურქეთის ადგილისა და როლის და მისი ძირითადი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების შესახებ.

იმისათვის, რათა მკითხველმა ნათლად დაინახოს, თუ რამდენად შეესაბამება (ან შეესაბამებოდა წარსულში) პარტიის პოლიტიკა(შესაბამისად ქვეყნის საგარეო პოლიტიკა) დავითოღლუს „სტრატეგიულ სიღრმე“, მიზანშეწონილად მიმაჩნია თავად დოქტრინის გაანალიზება და შესაბამისი დასკვნების მხოლოდ ამის შემდეგ გაკეთება.

2.1. „სტრატეგიული სიღრმე“--ანალიზი და დასკვნები

დავითოღლუს მოსაზრებით, რომელსაც თავის დოქტრინაში ავითარებს, თურქეთს გააჩნია “სტრატეგიული სიღრმე“, რომელიც მას საშუალებას აძლევს გაატაროს მრავალმხრივი საგარეო პოლიტიკა და პრეტენზია განაცხადოს რეგიონის ლიდერი სახელმწიფოს და გლობალური პოლიტიკური აქტორის სტატუსზე. ხსენებული „სიღრმე“ დაკავშირებულია თურქეთის ისტორიულ და გეოგრაფიულ პოზიციასთან. კერძოდ, თურქეთი წარმოადგენს ერთდროულად რამდენიმე რეგიონის--ახლო აღმოსავლეთის, ბალკანეთის, კავკასიის, ცენტრალური აზიის, ხმელთაშუაზღვის, სპარსეთის ყურის და შავი ზღვის რეგიონების ქვეყანას და, დოქტრინის თანახმად, სწორედ გეოგრაფიული მდებარეობისა და ისტორიული კავშირების გამო მას უნდა

გააჩნდეს გავლენა ყველა ამ რეგიონში. დოქტრინაში გამოთქმული ეს მოსაზრება მიიჩნევა ნეო-ოტომანური იდეოლოგიის მთავარ თეორიულ საფუძვლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის ახალი საგარეო პოლიტიკის ძირითად იდეოლოგიურ ბირთვს წარმოადგენს სწორედ ნეო-ოტომანიზმი. იგი გულისხმობს თურქეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გავლენის ექსპანსიას ყველა ზემოჩამოთვლილ რეგიონზე, ანუ იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც თავის საზღვრებში აერთიანებდა ოტომანთა იმპერია. უნდა აღინიშნოს, რომ ერდოღანი და მისი პარტია ქვეყნის საპარლამენტოდან საპრეზიდენტო მოდელზე გადასვლისას ერთ-ერთ არგუმენტად იყენებდა იმას, რომ ქვეყანას სჭირდებოდა თითქმის ისეთივე ძლიერი და ცენტრალიზებული მმართველობა, როგორც დამახასიათებელი იყო ოტომანთა იმპერიის პერიოდისთვის. ამასთან, პირადად პრეზიდენტის და მისი გარემოცვის მიერ მუდმივად ხდება ხაზგასმა იმაზე, რომ თურქები არიან „ოტომანთა მემკვიდრეები“ და რომ ქვეყანამ უნდა დაიბრუნოს ძველი დიდება და განამტკიცოს თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გავლენა ოტომანთა იმპერიის ყოფილ ტერიტორიებზე. ამგვარად, ნეო-ოტომანიზმი წარმოადგენს სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ოფიციალური იდეოლოგიის ნაწილს და პოლიტიკური ელიტის მიერ წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ქვეყნის ახალი იდენტობის საფუძველს (Sozen, 2010).

მიუხედავად იმისა, რომ „სტრატეგიულ სიღრმეში“ არსადაა პირდაპირი მითითება თურქეთის რეგიონალურ ჰეგემონობაზე და დავითოღლუც ყველა საჯარო გამოსვლაში ყოველთვის ხაზს უსვავდა, რომ დოქტრინაში ხსენებული გავლენის სფეროების გაფართოება თურქეთის და რეგიონის სხვა სახელმწიფოების პოლიტიკური თანასწორობის საფუძველზე უნდა მოხდეს, ანალიტიკოსთა უმრავლესობა, განსაკუთრებით დასავლეთში, მიიჩნევს, რომ დოქტრინაში ხსენებული გავლენის სფეროების გაფართოება რეალურად სხვა არაფერია, თუ არა რეგიონში თურქეთის ერთპიროვნული ჰეგემონობის აღდგენა, თუმცა ამჯერად თანამედროვე ეპოქაზე მორგებული საშუალებებით, კერძოდ, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ექსპანსიის და რბილი ძალის სხვა ინსტრუმენტების გამოყენებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „სტრატეგიულ სიღრმეში“, რომელიც 2000 წელს გამოიცა, არსად ვხვდებით პან-ისლამისტური იდეოლოგიის შესახებ მინიშნებებს, თუმცა

დავითოლლუს უფრო ადრე, დაახლოებით 1990-იან წლებში დაწერილ სტატიებს თუ გადავხედავთ, იქ აშკარად იკვეთება ავტორის ცალსახად პან-ისლამისტური იდეები. ამ იდეოლოგიის თანახმად მხოლოდ ისლამია ის გამაერთიანებელი ძალა, რომელიც უზრუნველყოფს ახლო აღმოსავლეთის მუსლიმ ხალხთა შორის მყარ და გრძელვადიან, სტაბილურ კავშირს. ამასთან, ზემოაღნიშნულ სტატიებში დავითოლლუ ერთიანი ახლო აღმოსავლეთის კონცეფციაში არ მოიაზრებს ირანს, ამ უკანასკნელის შიიტური აღმსარებლობის გამო.

დავითოლლუ ასევე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ თურქეთმა უარი უნდა თქვას ისლამურ სამყაროსა და დასავლეთს შორის დამაკავშირებელი „ხიდის“ ფუნქციის შესრულებაზე, რადგან ეს გადააქცევს მას დიდი ქვეყნების სტრატეგიული ინტერესების შესრულების ინსტრუმენტად. ამის სანაცვლოდ თურქეთმა უნდა განავითაროს საკუთარ ეროვნულ ინტერესებზე მორგებული პოლიტიკა, რომელიც შესაბამისობაში იქნება მის „სიღრმესთან“, რომელიც სათავეს მისივე ოტომანური ფესვებიდან იღებს. ამასთან, დავითოლლუ მიიჩნევს, რომ დასავლეთზე თურქეთის ცალსახა დამოკიდებულების შემცირების გზაა მრავალმხრივი დიპლომატიის წარმოება არა მხოლოდ რეგიონის შიგნით, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. კერძოდ, ის თვლის, რომ თურქეთისთვის დასავლეთის დაბალანსების საუკეთესო გზა ისეთ რეგიონულ ჰეგემონებთან ურთიერთობების დამყარებაა, როგორცაა რუსეთი, ჩინეთი, ირანი და ინდოეთი (Walker, 2007).

დავითოლლუ მიიჩნევს, რომ თავისი ეროვნული ინტერესების დასაკმაყოფილებლად თურქეთმა უნდა გამოიყენოს რბილი ძალის პოტენციალი. კერძოდ, მან უნდა აამოქმედოს ყველა ის ისტორიული, ლინგვისტური თუ კულტურული ფაქტორი, რაც აკავშირებს რეგიონის ქვეყნებთან. საამისოდ გამოყენებულ უნდა იქნეს დემოკრატიული ინსტიტუციები და განვითარდეს საბაზრო ეკონომიკური ბერკეტები. ამასთან, დოქტრინაში ერთ-ერთ პრიორიტეტადაა გაწერილი თურქეთის მიერ მილიტარისტული სახელმწიფოს იმიჯზე უარის თქმა და სამხედრო ელიტის გავლენის შემცირება საზოგადოებასა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, თუმცა იქვე ხაზგასმულია, რომ ეს და დოქტრინაში გაცხადებული ყველა სხვა მიზანი

ერთმნიშვნელოვნად ლიბერალური და დემოკრატიული სამუალებებით უნდა განხორციელდეს.

იმისათვის, რომ თურქეთმა მიაღწიოს თავის საგარეო პოლიტიკურ მიზნებს, დავითოლლუს მოსაზრებით, საჭიროა ორი წინაპირობის შესრულება: პირველი ეხება ქვეყნის შიდა პოლიტიკას, ხოლო მეორე დაკავშირებულია რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობების ნორმალიზებასთან. შიდა პოლიტიკურ ფრონტზე თურქეთმა უნდა გადაჭრას ქურთული საკითხი და ასევე გააერთიანოს რელიგიურ ნიადაგზე ორ ნაწილად--სეკულარისტებად და ისლამისტებად გახლეჩილი საზოგადოება. როგორც აღინიშნა, ორივე ამ პრობლემის მოგვარება უნდა მოხდეს ლიბერალური პრინციპების საფუძველზე, კერძოდ: ქურთული უმცირესობისათვის ფართო უფლებების მინიჭებით და თურქული საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტს (სეკულარისტებს და ისლამისტებს) შორის ლიბერალური კონსენსუსის მიღწევით.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკურ ფლანგს, დავითოლლუ მიიჩნევს, რომ თურქეთმა ყველა თავის მეზობელთან პრობლემური საკითხების მინიმინზაცია უნდა მოახდინოს. მან ეს მოსაზრება დოქტრინაში გამოხატა პრინციპით: „ნულოვანი პრობლემები მეზობლებთან“, რის პრაქტიკაში განხორციელებასაც AKP ხელისუფლებაში მოსვლისთანავე შეუდგა.

პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა დოქტრინის თითქმის ყველა პრინციპის განხორციელების მცდელობას. კერძოდ, დაიწყო ქურთული უმცირესობებისათვის ფართო უფლებების მინიჭების პროცესი, თუმცა წარუმატებლად: 2009 წელს მმართველი პარტიის ინიციატივით ქურთული წარმომობის მოქალაქეებს მიენიჭათ თურქეთის სხვა მოქალაქეებთან გათანაბრებული უფლებები, ჩრდილოეთ ერაყიდან დაბრუნდა ქურთების მუშათა პარტიის 34 მებრძოლი, თუმცა მთავრობის აღნიშნულ ნაბიჯებს უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა თურქული მოსახლების მხრიდან, რის გამოც მთავრობა იძულებული გახდა შეეჩერებინა ეს ინიციატივები. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ერდოღანის და მისი გუნდის ამ დროისთვის უკვე საკმაოდ აშკარა ავტორიტარულ მიდრეკილებებს, საეჭვოა, რომ ხელისუფლების მხრიდან პრობლემის მოგვარების რეალური სურვილის არსებობის შემთხვევაში ამ უკანასკნელს ვერ

მოეგვარებინა მოსახლეობის უკმაყოფილების საკითხი(ძალით ან თუნდაც დარწმუნების საშუალებით) და ვერ მიეყვანა რეფორმა ბოლომდე.

გარდა ზემოთქმულისა, დოქტრინის პრინციპები გატარდა მთელ რიგ საკითხებთან მიმართებით, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე, ხოლო შიდა პოლიტიკაში დოქტრინისეული პრინციპის განხორციელების მაგალითი იყო სამხედრო ელიტის პოლიტიკური გავლენის შემცირებისკენ მიმართული მუშაობა, რაც ერდოღანის მმართველობის წლებში ეტაპობრივად მიმდინარეობდა და პიკს მიაღწია 2016 წლის სამხედრო ამბოხის მცდელობის შემდეგ, როდესაც არმიაში (ისევე როგორც პოლიტიკურ და სხვა წრეებში) ჩატარებული დიდი წმენდის შემდეგ ჯარში დარჩნენ მხოლოდ მთავრობის და პირადად ერდოღანის ერთგული, ხშირ შემთხვევაში არაპროფესიონალი კადრები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერდოღანმა არათუ არ გაატარა ზომები ქვეყანაში დაპირისპირებულ სეკულარისტებსა და ისლამისტებს, ანდა სუნიტებსა და ალავიტებს შორის ლიბერალური კონსესუსის მისაღწევად, არამედ მისი რადიკალური ისლამურისტური განცხადებებით შეგულიანებული რადიკალი სუნიტები არაერთხელ დაესხნენ თავს სეკულარისტებს და ალავიტებს და ამგვარად, ისედაც მძიმე კონფესიური მდგომარეობა მისი განცხადებების გამო კიდევ უფრო დამძიმდა. ერდოღანის ამ და სხვა არადემოკრატიული განცხადებების თუ ქმედებების გამო ქვეყანა დაშორდა ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივას და ასევე პრობლემები გაჩნდა თურქეთის ნატოს პრინციპებთან თავსებადობის მხრივაც.

დოქტრინაში საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით მოცემული პრინციპებიდან ერდოღანმა გაითვალისწინა მეზობელ სახელმწიფოებთან ერთიერთობების ნორმალიზაციის და თურქული გავლენის ეტაპობრივი გავრცელების რეკომენდაცია და დავითოღლუს მონაწილეობით პრაქტიკულად შეუდგა კიდევ მის განხორციელებას. AKP-ს ხელისუფლებაში მოსლისთანავე ნელ-ნელა დაიწყო თურქეთის ურთიერთობების გაუმჯობესება რეგიონის ქვეყნებთან, მათ შორის ტრადიციულად მტრულად განწყობილ სირიასთან, ერაყთან და თურქეთის ისტორიულ მეტოქე ირანთანაც კი. ურთიერთობები ასევე დარეგულირდა ისრაელთან და თურქეთი არაბულ-ებრაულ კონფლიქტში შუამავლის როლის შესრულებასაც კი ესწრაფვოდა, თუმცა ეს ურთიერთობები 2009 წელს გაუარესდა ერდოღანის მიერ პალესტინური

მხარისადადმი გამოხატული ღია სიმპატიების გამო. მიუხედავად ამისა, მთლიანობაში თურქეთს რეგიონის ქვეყნებთან საკმაოდ კეთილმეზობლური დამოკიდებულება ჰქონდა არაბული გაზაფხულის დაწყებამდე. სწორედ 2011 წლიდან გაუარესდა მისი ურთიერთობები მეზობლებთან, განსაკუთრებით სირიასთან, წარმოშობილ კონფლიქტში ასადის საწინააღმდეგო მხარეს ჩართვის გამო. თუმცა სირიის ომში თურქეთის მთავარი პრიორიტეტი მაინც მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრის დაცვა, ქურთულ სამხედრო დაჯგუფებებთან ბრძოლა და მის საზღვართან დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს შექმნის არ-დაშვებაა, რის გამოც იგი არ ერიდება არც ჯიჰადისტური ორგანიზაციებისთვის სხვადასხვა სახის დახმარების გაწევას და არც დასავლური კოალიციის მიერ მხარდაჭერილ ქურთულ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან ბრძოლას, რომლებსაც იგი ქურთისტანის მუშათა პარტიასთან ასოცირებულ ტერორისტულ ძალებად მიიჩნევს. ამდენად, დავითოღლუს სამეზობლო პოლიტიკის პრინციპი „ნულოვანი პრობლემები მეზობლებთან“, ზოგიერთი პოლიტიკური მიმომხილველის შეფასებით, გადაიქცა „არაფერი პრობლემების გარდა“ პოლიტიკად.

ზოგიერთი ანალიტიკოსი აკრიტიკებს დავითოღლუს „სტრატეგიის სიღრმეს“ შემდეგი ფაქტორების გამო: 1.დავითოღლუს ხედვის მიხედვით, თურქეთმა აღარ უნდა შეასრულოს დასავლეთს და ისლამურ სამყაროს შორის შუამავლის ფუნქცია და დამოუკიდებელი პოლიტიკა გაატაროს რეგიონში. ამ ხედვის პრაქტიკაში განხორციელებას ჰქონდა ადგილი ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით თურქეთის პოზიციის დაფიქსირებისას: ოფიციალურად თურქეთი ემხრობოდა ბირთვულ განიარაღებას, თუმცა ამავდროულად მიიჩნევდა, რომ უსამართლობა იქნებოდა ირანისათვის მისი ბირთვული პროგრამის გაყინვის მოთხოვნა მაშინ, როცა ისრაელს არავინ აკრიტიკებდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულების დარღვევისა და ბირთვული არსენალის განვითარებისთვის. მსგავსი წინადაუხედავი პოზიცია თურქეთს დიდ საფრთხეს უქადდა ირანის მიერ ბირთვული პროგრამის გაგრძელების შემთხვევაში, რადგან იგი რეგიონის სხვა ქვეყნებთან ერთად იძულებული გახდებოდა ჩართულიყო გამალებული ბირთვული შეიარაღების

შეჯიბრში, რაც ყოველნაირად დააბრკოლებდა ქვეყნის განვითარებას და გაურკვეველი მომავლის წინაშე დააყენებდა მთელს რეგიონს.

2.დოქტრინაში გაწერილი ზოგიერთი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტი წინააღმდეგობაში მოდის ასევე თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების მიზანთან: დავითოლლუს მოსაზრებით, ევროკავშირში გაწევრიანება თურქეთისთვის სასურველია, მაგრამ ეს მის სტრატეგიულ მიზანს არ წარმოადგენს. მთავარი, რასაც ეს პოზიცია არ ითვალისწინებს, არის ის, რომ ევროკავშირში გაწევრიანების და მისი თანმდევი რეალური დემოკრატიზაციის პროცესი იქნებოდა თურქეთის იმ შიდა პრობლემების გადაჭრის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რასაც თავად დავითოლლუ მიიჩნევს თურქეთის სტრატეგიული ამბიციების დაკმაყოფილების აუცილებელ წინაპირობად. ამასთან, თურქეთის მზარდი რეგიონალური ამბიციები არ წარმოადგენს მისი ევროინტეგრაციის გზაზე ა-პრიორი დაბრკოლებას. ზოგიერთი ანალიტიკოსის მოსაზრებით, რეგიონალური მასშტაბით ძლიერი და დემოკრატიული თურქეთი ევროკავშირისთვის უფრო სასურველი წევრი, ხოლო აშშ-თვის უფრო მიმზიდველი პარტნიორი იქნებოდა (Grigoriadis 2010). თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ერდოღანის მზარდი გეოპოლიტიკური ამბიციები როგორც მინიმუმ, წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სამართლის ნორმებთან, ევროკავშირს და აშშ-ს არ უნდა ჰქონდეთ ამ მხრივ ოპტიმიზმის საფუძველი (ვრცლად იხ.ქვემოთ).

2.2. AKP-ს პოლიტიკა--ქემალიზმიდან ერდოღანიზმამდე

განვითარებისა და სამართლიანობის პარტიის პოლიტიკის გაანალიზებამდე მართებულად მიმაჩნია ქემალიზმის, როგორც თურქეთის თანამედროვე საგარეო პოლიტიკის საპირისპირო ფენომენის მოკლედ მიმოხილვა. ქემალიზმი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ქვეყნის ოფიციალურ პოლიტიკურ იდეოლოგიას წარმოადგენდა, იყო ნაციონალისტური და სეკულარისტული რეჟიმი, რომელიც ჩამოყალიბდა მუსტაფა ქემალ ათათურქის ავტორიტარული ფიგურის გარშემო და უშუალოდ მისი იდეების გავლენით. გარდა არჩევნების და ალტერნატიული

პოლიტიკური აზრისადმი ავტორიტარული დამოკიდებულებისა, ქემალისტურ რეჟიმს ახასიათებდა ნეოპატრიმონალური მიდგომა ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ, რაც ძირითადად გულისხმობდა ბურჟუაზიის მფარველობას ამ უკანასკნელის მხრიდან ხელისუფლებისადმი ლოიალობის შენარჩუნების სანაცვლოდ. ქემალიზმის, როგორც იდეოლოგიის, ძირითადი პრინციპებია რესპუბლიკანიზმი და სეკულარული თურქული ნაციონალიზმი. ქემალიზმის ექვსი პრინციპიდან ერთ-ერთია ასევე პოპულიზმი. გარდა ამისა, ქემალისტური რეჟიმის მნიშვნელოვანი მახასიათებელი იყო ასევე თავად ათათურქის პიროვნული კულტი, რისი დასტურიცაა მისი გვარი, რაც ითარგმნა, როგორც „თურქთა მამა“ და აგრეთვე ამ იდეოლოგიის სახელწოდება, რომელიც ათათურქის სახელიდან წარმოდგა. როგორც ქვემოთ იქნება დასაბუთებული, თურქეთის ორ ძირითად პოლიტიკურ დოქტრინას--ქემალიზმს და ერდოღანიზმს (რომელიც ჩამოყალიბდა თურქეთში AKP-ს მმართველობისას) აქვთ გარკვეული საერთო მახასიათებლები, თუმცა მათ შორის არსებობს პრინციპული განსხვავებები, რაც განაპირობებს კიდევ თურქეთის ძველ და ახალ საგარეო პოლიტიკას შორის განსხვავებას. წინამდებარე ქვეთავი ამ ორ იდეოლოგიას შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების და AKP-ს პოლიტიკის გაანალიზებას დაეთმობა.

სამართლიანობისა და განვითარების პარტიას ისლამისტური ფესვები აქვს. პოლიტიკური ისლამი აღმოცენდა 1970-იან წლებში იმ დროისთვის ჰეგემონური ქემალიზმის დოქტრინის საწინააღმდეგოდ. ისლამისტური იდეოლოგიის მქონე პირველი წარმატებული პოლიტიკური ორგანიზაცია იყო ისლამისტური ნაციონალური ხედვის მოძრაობა(MGH). მან რამდენიმე ისლამისტური პოლიტიკური პარტია დააარსა, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ გაბატონებული ქემალიზმის პრინციპებს, მათ შორის განსაკუთრებით სეკულარულ ნაციონალიზმს, ვესტერნიზაციას და მოდერნიზაციას. ერთ-ერთი ასეთი პარტია იყო კეთილდღეობის პარტია(RP), რომლის მანდატით 1994 წელს ერდოღანმა გაიმარჯვა არჩევნებში და გახდა სტამბოლის მერი. ისლამისტური იდეოლოგიის კეთილდღეობის პარტია ხელისუფლებაში იყო 1995-97 წლებში, ხოლო 1997 წელს ქემალისტურმა ძალებმა მოაწყვეს გადატრიალება, რის შედეგადაც პარტიამ დაკარგა ძალაუფლება, თუმცა ამ მოვლენიდან მალევე თურქი ისლამისტების ახალგაზრდა რეფორმისტმა თაობამ განაცხადა, რომ შეცვალა თავისი შეხედულებები

დემოკრატიისა და სხვა დასავლური ფასეულობების სასარგებლოდ. მათ შორის იყო ახალგაზრდა ერდოლანიც.

AKP დაარსდა სწორედ MGH-ის რეფორმისტული ფრთის მიერ 2001 წელს. დემოკრატიულ ფასეულობებზე აპელირების წყალობით პარტიამ გაიმარჯვა 2002 წელს საპარლამენტო არჩევნებში და მოვიდა ხელისუფლებაში, რის შემდეგაც მან მალევე დაიწყო დემოკრატიზაციის პროცესი და ევროკავშირში გაწევრიანება გამოცხადდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად, მიუხედავად იმისა, რომ AKP-ს მანიფესტად წოდებულ დავითოღლუს „სტრატეგიულ სიღრმეში“ ევროკავშირის წევრობა გამოცხადებულია თურქეთისთვის სასურველ, მაგრამ არა მთავარ სტრატეგიულ მიზნად.

რაც შეეხება იმ ფაქტს, თუ რატომ დასჭირდა ერდოლანს და მის გარემოცვას მმართველობის პირველ წლებში დემოკრატიულობის ილუზიის შექმნა, ამას რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: პირველ რიგში, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ეს იყო ხელისუფლებაში მოსვლის მიზანი, რასაც იმ პერიოდში ქემალიზმის პრინციპის მხარდამჭერ საზოგადოებაში დასავლური ფასეულობებისადმი ერთგულების დამტკიცების გარეშე ვერ მოახერხებდა. პარტიის საარჩევნო ვადის პირველ პერიოდში (2002-2007 წ.წ.-ში) და ცოტა უფრო გვიანაც მათ მიერ მსგავსი მიდრეკილებების გამოჩენას ადგილი არ ჰქონია ორი მთავარი მიზეზის გამო: ესენი იყო ევროკავშირში გაწევრიანების იმედი და სეკულარისტულ ძალებთან დაპირისპირებისთვის აუცილებელი აბსოლუტური ძალაუფლების არ ქონა. ეს უკანასკნელი მიზანი ვერ იქნებოდა მიღწეული რამდენიმე წელიწადში ისეთ ქვეყანაში, სადაც ქემალისტური პრინციპების სადარაჯოზე ათეული წლების განმავლობაში იდგა უდიდესი პოლიტიკური გავლენის მქონე რეგიონის უძლიერესი არმია. ერდოლანმაც ძალაუფლების კონსოლიდაცია, თავისი რეალური შეხედულებების გამჟღავნება და მათი პრაქტიკაში განხორციელება მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების და რაც მთავარია, არმიის ეტაპობრივი დასუსტების შემდეგ მოახერხა. ამ პროცესის პიკს წარმოადგენდა 2016 წლის ივლისში სამხედრო გადატრიალების მცდელობა, რაც ერდოლანმა გამოიყენა არა მხოლოდ არმიის, პოლიციის და სხვა ურჩი ინსტიტუციების თუ ინდივიდუალური პირების საბოლოოდ დამორჩილებისთვის, არამედ იმ

დროისთვის უკვე დაწყებული ანტი-დასავლური და განსაკუთრებით, ანტი-ამერიკული რიტორიკის კიდევ ერთი ტალღის აგორებისათვის.

ამგვარად, AKP-ს მმართველობის დაახლოებით მეორე ვადიდან (2007-დან) დაიწყო პარტიის ელიტამ და პირადად პრეზიდენტმა(იმ დროს პრემიერ-მინისტრმა) ერდოღანმა დემოკრატიზაციის პროცესის შენელება, ავტორიტარული ქმედებების გახშირება, რაც ადამიანების უფლებათა უხეში დარღვევის სხვადასხვა აქტებში გამოიხატა, განსაკუთრებით 2013 წლის მასშტაბური საპროტესტო აქციების მკაცრად ჩახშობის და 2016 წლის გადატრიალების მცდელობის შემდეგ მასობრივი წმენდის ჩატარებით არმიასა და სხვა ინსტიტუციებში. გარდა ამისა, დაახლოებით 2010-იანი წლების დასაწყისიდან გამოიკვეთა ქვეყნის აშკარა რეისლამიზაციის პროცესი, რასაც პარტია ოფიციალურად უარყოფს, თუმცა გატარებული საგანმანათლებლო და სხვა რეფორმები ზემოთქმულის ნათელი დადასტურებაა (ქალების მიერ ბურკის ტარების აკრძალვის გაუქმება, ალკოჰოლური სასმელების მოხმარებაზე შეზღუდვების დაწესება, რელიგიური პროფილის სკოლების მომრავლება, საჯარო სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის სამხედრო აკადემიაში ისლამის სავალდებულო საგნად შეტანა და სხვ.). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის ივლისის მოვლენების შემდეგ ერდოღანის ერთპიროვნული ძალაუფლების დონემ ზენიტს მიაღწია, რის გამოც ანალიტიკოსები მის მმართველობას სულთანატს, ხოლო თავად მას კი სულთანს უწოდებენ. (Yilmaz, Bashirov, 2018).

როგორც ზემოთ აღინიშნა, AKP-ს და უშუალოდ ერდოღანის მმართველობის წლებში თურქეთში ჩამოყალიბდა ახალი რეჟიმი, რომელსაც ამ უკანასკნელის პერსონალისტური ხასიათიდან გამომდინარე, საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ ლიტერატურაში ხშირად ერდოღანიზმის სახელით მოიხსენიებენ. მას ახასიათებს ოთხი მთავარი განზომილება: ავტორიტარიზმი, როგორც მართვის ფორმა; ნეოპატრიმონიალიზმი, როგორც ეკონომიკური სისტემა; პოპულიზმი, როგორც პოლიტიკური სტრატეგია და ისლამიზმი, როგორც პოლიტიკური იდეოლოგია.

ავტორიტარულ რეჟიმებს ყველა ქვეყანაში და მათ შორის თურქეთშიც, ახასიათებს სამი ძირითადი ფაქტორი: ოპოზიციისთვის მინიჭებული არათანაბარი სამოქმედო არეალი, უსამართლო და სერიოზული დარღვევებით ჩატარებული არჩევნები და ადამიანის

ფუნდამენტური უფლებების მასობრივი შელახვის ფაქტები. AKP-ს მმართველობის მეორე ვადიდან (2007 წლიდან) დაიწყო დემოკრატიზაციის პროცესიდან გადახვევის ფაქტები, ხოლო მესამე ვადის დასაწყისიდან (2011 წლიდან) პარტიის მმართველობას უკვე ახასიათებდა ავტორიტარიზმის ყველა ზემოჩამოთვლილი ნიშანი: უკიდურესად შეზღუდული სამოქმედო არეალი ოპოზიციური პარტიებისთვის, დამოუკიდებელი მედიისთვის ოპოზიციონერი პოლიტიკოსების გაშუქების აკრძალვა, მათი დაპატიმრება აბსურდული ბრალდებებით და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში არასდროს ყოფილა დამკვიდრებული ლიბერალური დემოკრატია, 1950-იანი წლების შემდეგ ქვეყანაში ყოველთვის ტარდებოდა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები. წაგების შემთხვევაში ხელისუფლებები მშვიდობიანად ტოვებდნენ მმართველ პოსტებს. 2015 წლის ივნისის და ნოემბრის არჩევნებმა და განსაკუთრებით, 2017 წლის რეფერენდუმმა აჩვენა, რომ ეს საარჩევნო ტრადიცია წარსულს ჩაბარდა. 2015 წლის არჩევნების გაყალბების მიუხედავად პარტიამ დაკარგა საკონსტიტუციო უმრავლესობა მეჯლისში, თუმცა უარი განაცხადა როგორც ხელისუფლების დატოვებაზე, ისე კოალიციური მთავრობის შექმნაზე. ამასთან, დაიწყო მთავარი ოპონენტი პოლიტიკური პარტიების მასობრივი რეპრესიები. პარტიის მიერ გატარებული დაშინების პოლიტიკის ფონზე ნოემბრის არჩევნებზე პარტიამ დაიბრუნა უმრავლესობა, მიიღო რა ხმების ნახევარზე მეტი. მსგავსი რეპრესიების ფონზე ჩატარდა 2017 წელს რეფერენდუმიც, რომლის შედეგადაც თურქეთის საპარლამენტო სისტემა შეიცვალა საპრეზიდენტოთი.

ერდოღანის რეჟიმის ავტორიტარულობა გამოვლინდა არა მხოლოდ ოპონენტი პოლიტიკური პარტიების, არამედ ოპოზიციურად განწყობილი რიგითი მოქალაქეების მიმართ განხორციელებული რეპრესიებითაც. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2013 წელს სტამბოლში მასობრივი ანტისამთავრობო აქციების სასტიკად დარბევა, რომლის დროსაც დაიღუპა რვა და დაშავდა ასობით მშვიდობიანი პროტესტანტი. ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის მრავალ ფაქტს ჰქონდა ადგილი ასევე 2016 წლის გადატრიალების მცდელობის შემდეგ მთავრობის მიერ დაწყებული მასობრივი წმენდის დროსაც, რომელიც შეეხო არამხოლოდ გადატრიალების მცდელობაში ეჭვმიტანილ გიულენისტებს, არამედ სამთავრობო პოლიტიკის მოწინააღმდეგე მრავალ მოქალაქეს და საჯარო მოსამსახურეს. ამგვარად,

ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ერდოლანიზმის, როგორც თურქეთის ახალი პოლიტიკური რეჟიმის არსებითი მახასიათებელია კლასიკური ავტორიტარული მმართველობა.

ერდოლანისტული რეჟიმისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე ნეოპატრიმონალიზმი. ნეოპატრიმონალური სისტემის პირობებში მმართველებსა და მართულებს შორის ნებისმიერი სახის ურთიერთობა, მათ შორის პოლიტიკური და ადმინისტრაციული, დაიყვანება პიროვნულ ურთიერთობამდე. ამასთან, ეს ურთიერთობები მოიაზრებს მმართველისადმი ლოიალობასა და უსიტყვო დაქვემდებარებას. ნეოპატრიმონალური რეჟიმები დამყარებულია არა მხოლოდ პატრიარქალურ ნორმებსა და ფასეულობებზე, არამედ სერვისების რაციონალურ გაცვლაზე, როდესაც მმართველი „ყიდულობს“ მართულის ლოიალობას მისი პროტექციის ან სხვაგვარი საშუალებით. ნეოპატრიმონალიზმის ნაწილია კლიენტელიზმი, თუმცა ეს უკანასკნელი შედარებით უფრო თანამედროვე ფენომენია. ერდოლანის მთავრობამ ქვეყანაში დაამყარა ნეოპატრიმონალური ურთიერთობების ფართო ქსელი, რითიც საზოგადოების გარკვეული სეგმენტის კეთილგანწყობა მოიპოვა. აღნიშნული ურთიერთობები ძირითადად ხორციელდება საქველმოქმედო პატრონაჟის ფორმით, რომლის ფარგლებში ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილ რეგიონებს ეძლევათ მთელი რიგი შეღავათები და უპირატესობები. ამასთან, ერდოლანის რეჟიმის ნეოპატრიმონალიზმის კიდევ ერთი გამოვლინებაა მთავრობის მიერ სახელმწიფო ტენდერებში იმ ბიზნესმენების გამარჯვების უზრუნველყოფა, რომლებიც ხელისუფლებისადმი ლოიალობით გამოირჩევიან.

ერდოლანიზმის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია პოპულიზმი. იგი წარმოადგენს პოლიტიკის ერთგვარ მორალისტურ აღქმას, როდესაც საზოგადოება იყოფა მორალურად „წმინდა“ და „სხვა“ ნაწილებად. „სხვებში“ პოპულისტები მოიაზრებენ კორუფციონერებს და გაბატონებულ კლასებს, ისევე როგორც განსხვავებული იდენტობის მქონე ადამიანებს. ამასთან, პოპულისტები არიან არა მხოლოდ ანტი-ელიტისტები, არამედ ანტი-პლურალისტებიც. ისინი უარყოფენ წარმომადგენლობით დემოკრატიასა და მის ინსტიტუციებს, მიიჩნევენ რა საკუთარ თავს ხალხის ერთადერთ ლეგიტიმურ წარმომადგენლებად. ნებისმიერი, ვინც მათ არ

უჭერს მხარს, მათივე კლასიფიცირებით, მოლაღატა (Muller, 2016). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოპულისტებისთვის ზემოთ განხილული ავტორიტარიზმი და ნეოპატრიმონალიზმი ქვეყნის მართვის აპრობირებული ტექნიკაა. ერდოლანი და მისი პარტიაც კლასიკური პოპულისტური დღის წესრიგით მართავენ ქვეყანას: ერდოლანი საზოგადოებას ყოფს პატიოსან მოქალაქეებად და კორუფციულ ელიტად, ამასთან, საკუთარ თავს წარმოაჩენს „სახალხო“ პოლიტიკოსად. გარდა ამისა, 2011 წლის შემდეგ თავისუფალი მედიის უზურპირების შედეგად გაიზარდა ერდოლანის პიროვნული კულტის მნიშვნელობა, რომელიც მას წარმოაჩენს ერის მხსნელად და ახალ ათათურქად. როგორც ქარიზმატული ლიდერი აგრესიული ნაციონალისტური რიტორიკით, იგი ცდილობს უტოპიური პოლიტიკური მიზნების მიღწევას როგორც სამინაო, ისე საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე (მაგ.ლოზანის ხელშეკრულების გადახედვა და თურქეთის მიერ ოტომანთა იმპერიის ზოგიერთი ტერიტორიის დაბრუნება, რომლებიც ამჟამად სხვა სუვერენული სახელმწიფოების ფარგლებშია). ერდოლანის პოლიტიკური პოპულიზმის ნაწილია ასევე დასავლეთის და განსაკუთრებით აშშ-ს არაერთგზისი დადანაშაულება სხადასხვა კონსპირაციულ შეთქმულებებში. საგარეო პოლიტიკური მიზეზების გარდა (იხ. ქვემოთ), ერდოლანის ანტი-დასავლური რიტორიკის მიზეზია დასავლეთისაგან მტრის ხატის შექმნა, რასაც წარმატებით იყენებს შიდა-პოლიტიკურ ასპარეზზე საკუთარი პოზიციების განმტკიცებისა და ქვეყნის რეალური პრობლემებიდან მოსახლეობის ყურადღების გადატანისთვის.

ისლამიზმი წარმოადგენს ისლამის ინსტრუმენტალიზების ფორმას იმ ინდივიდების, ჯგუფების თუ ორგანიზაციების მხრიდან, რომლებსაც აქვთ პოლიტიკური მიზნები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისლამისტები არიან ცალსახად რაციონალური აქტორები, რომლებიც თეოლოგიურ იდეალებს „ცვლიან“ პოლიტიკურ ქულებში. ისინი იყენებენ იდეოლოგიას საარჩევნო ხმების მოპოვებისა და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თავიანთი პოლიტიკის გასამართლებლად. AKP-ს მეორე ვადიდან მოყოლებული პარტიის ხედვა კვლავ გახდა ისლამისტური, ხოლო 2011 წელს ხელისუფლების კონსოლიდირების შემდეგ პარტიამ დაიწყო თურქული საზოგადოებისა და პოლიტიკის ისლამიზაციის ამბიციური გეგმის განხორციელება (Demet,2016). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი არ ნიშნავს იმას, რომ თურქეთი გახდა თეოკრატიული სახელმწიფო,

რადგან ქვეყნის რელიგიური ისტებლიშმენტი მთლიანად პოლიტიკოსებისადმი დაქვემდებარებული და არ გააჩნია დამოუკიდებელი პოლიტიკური პოზიციები. ამასთან, ისლამისტები თავიანთ დოქტრინებს აყალიბებენ უმეტესად ნაციონალური კონტექსტიდან გამომდინარე, რის გამოც მათთვის მმართველობის იდეალური ფორმაა ან ოტომანური სულთანატი, ან სუნისტური ხალიფატი ანდა შიისტური იმამატი შესაბამისი ეროვნული იდენტობიდან გამომდინარე. სწორედ ამით აიხსნება დავითოღლუს „სტრატეგიულ სიღრმეში“ ოტომანური წარსულისთვის ასეთი დიდი მნიშვნელობის მინიჭება როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის ფორმირებისას და ამით აიხსნება ზოგადად, ნეო-ოტომანიზმის ქვეყნის ახალ იდენტობად ჩამოყალიბების ფაქტი.

AKP-ს ისლამიზმმა, ისევე როგორც მისმა პოპულიზმმა, თავი იჩინა ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ქმედებებშიც. 2016 წლის გადატრიალების მცდელობის შემდეგ ერდოღანის ანტი-დასავლური რიტორიკა იმდენად შორს წავიდა, რომ დაპირისპირება გადაიტანა მუსლიმურ თურქეთსა და ქრისტიანულ დასავლეთს შორის რელიგიურ-ცივილიზაციური დაპირისპირების ჭრილში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მისი და მისი ხელისუფლების მიერ რელიგიის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების ფაქტს.

ამგვარად, ქემალიზმის და ერდოღანიზმის შედარებისას გამოიკვეთა, რომ ამ ორ პოლიტიკურ დოქტრინას შორის არსებობს როგორც მსგავსებები, ისე მნიშვნელოვანი განსხვავებებიც. მათ შორის მსგავსებაა ავტორიტარიზმის, ნეოპატრიმონალური სისტემის და პოპულიზმის ნაწილში, ისევე როგორც ნაციონალისტური რიტორიკის საკითხში. მათ შორის არსებული პრინციპული განსხვავებები კი ძირითადად გამოიხატება ქემალიზმისთვის დამახასიათებელი სეკულარიზმის ისლამიზმით ჩანაცვლებით. ამასთან, ქემალიზმის ვესტერნიზაციის პრინციპი შეცვალა ერდოღანიზმის დასავლეთისაგან გამიჯვნის და მასთან დაპირისპირების პოლიტიკამ, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქვეყნის ახალი საგარეო პოლიტიკური კურსის ფორმირებაზე.

თავი III. აშშ--თურქეთის ურთიერთობების გაუარესების მიზეზები

როგორც აღინიშნა, თურქეთის პოლიტიკურმა ელიტამ AKP-ს და კონკრეტულად, პრეზიდენტ ერდოღანის სახით პრეტენზია განაცხადა თურქეთის რეგიონულ ჰეგემონობაზე და გამოხატა სურვილი და მზადყოფნა, რომ მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე ოპერირებდეს არა როგორც დასავლეთის ინტერესების გამტარებელი სახელმწიფო, არამედ როგორც დამოუკიდებელი გლობალური აქტორი. თურქეთის ეს სწრაფვა გამოვლინდა ჯერ კიდევ 2003 წელს, როდესაც მან უარი განაცხადა ნატოელ მოკავშირებთან ერთად მონაწილეობა მიეღო ერაყის ომში სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ. თურქეთის ამ გადაწყვეტილების ოფიციალურ მიზეზად დასახელდა რელიგიური ფაქტორი (მუსლიმი არ იბრძვის მუსლიმის წინააღმდეგ), თუმცა ამ ქმედების ერთ-ერთი რეალური მოტივი მდგომარეობდა იმის ხაზგასმაში, რომ თურქეთი აპირებს გაატაროს დაბალანსებული პოლიტიკა და ის არ არის უბრალო მარიონეტი დასავლეთის ხელში. ხელისუფლებაში AKP-ს მოსვლის შემდეგ ეს ფაქტი იყო პირველი დასავლეთსა და აშშ-ს ურთიერთობებში გაჩენილი პირველი „შავი ლაქა“. მმართველი პარტიის მიერ ხელისუფლების კონსოლიდაციის ხარისხის ზრდასთან ერთად პირდაპირპროპორციულად იზრდებოდა ერდოღანის და მისი გარემოცვის ავტორიტარული მიდრეკილებების გამოვლენის ფაქტები, დასავლეთის მიმართ ასევე ამ პროცესის პარალელურად მკაცრდებოდა რიტორიკა, რამაც განსაკუთრებით მწვავე სახე მიიღო 2016 წლის 15 ივლისის მოვლენების შემდეგ.

ერდოღანის უკიდურესად გაზრდილ ამბიციებსა და არაპროგნოზირებადობაზე მეტყველებს მის მიერ გაკეთებული განცხადება, სადაც არ ერიდება თურქეთის ჰეგემონისტური მისწრაფებების აფიშირებას. კერძოდ, მან განაცხადა, რომ ემხრობოდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებების გადახედვას (New Time News, 2017), რომლებშიც დადგენილია თურქეთის დღევანდელი საზღვრები. ერდოღანმა პრეტენზია განაცხადა მოსულის, ქირკუკის და ჩრდილოეთ ერაყის ზოგიერთ იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს ერაყის ქურთისტანის შემადგენლობაშია, ასევე საბერძნეთის კუთვნილ დოდეკანესის კუნძულებსა და თურქულ-სირიული სასაზღვრო ზოლის კონკრეტულ მონაკვეთზე. ერდოღანის ეს

განცხადება ადასტურებს თურქეთის არა მხოლოდ დაუოკებელ და თანამედროვე საერთაშორისო სისტემის პირობებში არაადეკვატურ სწრაფვას ერთპიროვნული რეგიონული ჰეგემონობისკენ, არამედ საერთაშორისო სამართლის პრინციპების უგულვებელყოფით ნეო-ოტომანური იდეოლოგიის პრაქტიკაში განხორციელებისთვის მზადყოფნას, რაც მისთვის ხელსაყრელ დროს, მისივე არაპროგნოზირებადობიდან გამომდინარე, შესაძლოა განცხადებიდან ქმედებად იქცეს. ერდოღანის მსგავსი რიტორიკა, ბუნებრივად იწვევს აშშ-ს შემფოთებას, ემუქრება მის ინტერესებს რეგიონში და პერსპექტივაში თავად რეგიონს--კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი დესტაბილიზაციით.

გარდა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დამაბვის ზემოხსენებული ფუნდამენტური მიზეზისა, კერძოდ, თურქეთის პოლიტიკური ელიტის სწრაფვისა თურქეთის რეგიონული ჰეგემონობისკენ და ამით აშშ-ს ინტერესების დამუქრებისა, არსებობს ასევე მათი ურთიერთობების გაუარესების რამდენიმე დამატებითი ფაქტორიც, კერძოდ:

სირიის ომში მათი ინტერესების დაპირისპირება: აღნიშნულ კონფლიქტში აშშ-ს მთავარი ინტერესი მდგომარეობს ისლამური სახელმწიფოს საბოლოო დამარცხებაში, რისთვის ის მხარს უჭერს ქურთულ შეიარაღებულ ფორმირებებს, რომლებიც ეფექტურად იბრძვიან ტერორისტების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთისთვის ისლამური სახელმწიფო ასევე უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს, მისთვის მთავარი პრიორიტეტი მაინც ქურთ სეპარატისტებთან ბრძოლა და მის საზღვართან ქურთული დამოუკიდებელი სახელმწიფოს ან ავტონომიის ჩამოყალიბების ნებისმიერ ფასად არ-დაშვებაა. იგი ებრძვის აშშ-ს მიერ მხარდაჭერილ ქურთულ დაჯგუფებებს (ძირითადად YPG-სახალხო თავდაცვის ძალებს, რადგან მათ ქურთისტანის მუშათა პარტიასთან ასოცირებულ ტერორისტულ ორგანიზაციებად მიიჩნევენ). ქურთულ სამხედრო შენაერთებთან ბრძოლის პარალელურად იგი ფინანსურად და ლოჯისტიკურად ეხმარება ჯიჰადისტურ დაჯგუფებებს პრინციპით- „ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია“. ეს ფაქტორი, თავისთავად, კიდევ უფრო ძაბავს ორი ქვეყნის ურთიერთობებს.

სირიის კრიზისში ორი ქვეყნის ინტერესების დაპირისპირების ერთ-ერთი სიმპტომი იყო 2018 წლის დასაწყისში ჩრდილოეთ სირიის ქალაქ აფრინში თურქეთის მიერ YPG-

ის წინააღმდეგ ჩატარებული სრულმასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია: თურქეთის მიერ ოპერაციის დაწყების რეალურ მიზეზად მიიჩნევა აშშ-ს მხარდაჭერით თურქეთის მოსაზღვრე რეგიონებში 30000-იანი ქურთული შენაერთის შექმნის დაანონსება, რომელიც გააკონტროლებდა საზღვარს და მიმდებარე რაიონებს. ამ შენაერთის შექმნის მთავარი დანიშნულება იყო თურქეთის მიმართულებით ISIS-ს თუ სხვა დაჯგუფების ტერორისტებისთვის, სირიიდან გასასვლელის ჩაკეტვა. პრეზიდენტმა ერდოღანმა ოპერაციის დაწყებამდე აღნიშნულ შენაერთს აშშ-ს მიერ მხარდაჭერილი „ტერორისტების არმია“ უწოდა და სრულ დაკომპლექტებამდე მისი განადგურების პირობა დადო. ოფიციალური ანკარის პოზიციით, ამ შენაერთის თურქეთის საზღვართან განლაგება გამოიწვევდა თურქეთის ტერიტორიაზე მოქმედ ქურთ-სეპარატისტთა მოძრაობის გაძლიერებას და შესაბამისად, საფრთხეს შეუქმნიდა თურქეთის უსაფრთხოებას. ოპერაციის მსვლელობისას თურქეთის ავიაციამ სხვა ობიექტებთან ერთად დაბომბა აეროდრომი, რომლითაც აშშ ქურთებს იარაღით ამარაგებდა. სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავა პრეზიდენტ ერდოღანის განცხადებამ იმასთან დაკავშირებით, რომ თურქეთის არმია მხოლოდ აფრინის აღებას არ დაჯერდებოდა და ტერორისტების დევნას იმ ტერიტორიებამდეც გააგრძელებდა, სადაც უშუალოდ აშშ-ს შეიარაღებული ძალები იყვნენ დისლოცირებულნი. ამგვარად, აფრინის ოპერაციამ კიდევ უფრო დაძაბა ორი ქვეყნის ურთიერთობები. აღსანიშნავია, რომ ერდოღანმა ეს ოპერაცია შიდა პოლიტიკური პრობლემების გადასაფარად და ახალი ანტი-ამერიკული პროპაგანდის კიდევ ერთი ტალღის აგორებისთვის გამოიყენა. ორი ქვეყნის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2013 წელს მომხდარი სკანდალი თურქეთის ირანთან ოქროთი უკანონო ვაჭრობის შესახებ. გაირკვა, რომ თურქული ბანკები და ერდოღანის უახლოესი გარემოცვა ირანთან უკანონო ბიზნეს საქმიანობას აწარმოებდა აშშ-ს მიერ ირანისათვის დაწესებული სანქციების რეჟიმის გვერდის ავლით. ამ მორიგმა პოლიტიკურმა სკანდალმა ასევე შეუწყო ხელი ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუარესებას. სწორედ ეს შემთხვევა გახდა მანამდე კულუარულად მიმდინარე მათი დაპირისპირების გასაჯაროების მიზეზი. ასევე დიდი ზიანი მიაყენა ორი ქვეყნის ურთიერთობებს 2016 წლის ივლისში სამხედრო გადატრიალების მცდელობამ. ზოგიერთი მოსაზრებით იგი აშშ-ს მიერ იყო

ინსპირირებული მათთვის არასასურველი ლიდერის-ერდოღანის დამხობის მიზნით. ერდოღანის მიერ ანტი-ამერიკული რიტორიკის ახალი ძალით დაწყების საბაზი გახდა ასევე აშშ-ში ემიგრირებული მისი ყოფილი თანამებრძოლის და მისი ნომერ პირველი პოლიტიკური მეტოქის--ფ.გიულენის ექსტრადირებაზე აშშ-ს უარი.

თურქეთს და აშშ-ს შორის ურთიერთობების დაძაბვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ასევე გადატრიალების მცდელობის შემდეგ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები საგრძნობლად გაუმჯობესება. სავარაუდოდ, ამას ხელი შეუწყო ერდოღანისთვის გადატრიალების მცდელობის აღკვეთაში რუსული დაზვერვის მიერ მიწოდებულმა დროულმა ინფორმაციამ. შემდგომი ორი წლის განმავლობაში მოხდა მათი კიდევ უფრო დაახლოება: თურქეთმა დადო რუსეთთან გარიგება რუსული S-400 ტიპის სარაკეტო სისტემის შესყიდვის თაობაზე, რასაც მოჰყვა ნატოს სარდლობის მხრიდან განცხადება, რომ გარიგების სისრულეში მოყვანისთანავე თურქეთს შეეზღუდება ალიანსის წევრი ქვეყნების საჰაერო თავდაცვით სისტემებთან წვდომა და შესაძლოა აშშ-მ აღარ მიყიდოს თურქეთს შეთანხმებული F-35 ტიპის რეაქტიული თვითმფრინავები. გარდა ამისა, მოსკოვი აპირებს თურქეთში 20 მლრდ ღირებულების პროექტის განხორციელებას--ატომური ენერჯის პირველი სადგურის აშენებას, რაც სავარაუდოდ მოწმობს იმას, რომ რუსეთს და თურქეთს საკმაოდ გრძელვადიანი პარტნიორობის გეგმები აქვთ. ამასთან, ბოლო პერიოდში ასტანაში გამართულ სირიის სამშვიდობო სამიტზე გამოიკვეთა რუსეთის, თურქეთის და ირანის დაახლოების პერსპექტივები, რაც განსაკუთრებით შემაშფოთებელია აშშ-თვის იმის გათვალისწინებით, რომ თუ მან ვერ მოახერხა ამ სახელმწიფოების პარტნიორობის თავიდან აცილება, ეს გახდება რეგიონში მისი ინტერესებისთვის უდიდესი გამოწვევა. დღეისათვის აშშ-თურქეთის ურთიერთობების მთავარი „ძაბვის ხაზი“ სწორედ თურქეთის ირანთან და განსაკუთრებით რუსეთთან შესაძლო პარტნიორობაზე გადის (Saidel, Finkelstein, 2018).

ბოლო პერიოდში აქტუალური გახდა ინჯირლიკის ბაზის შესაძლო დახურვის საკითხიც, რაზეც ორი ქვეყნის ურთიერთობებში ყოველი მორიგი კრიზისისას მიანიშნებს ან პირდაპირ იმუქრება ანკარა. აღსანიშნავია, რომ თურქეთის არაადეკვატური ქცევის გამო ინჯირლიკის ბაზა უკვე დატოვა გერმანულმა არმიის ნაწილებმა და გადავიდა იორდანიაში არსებულ ნატოს სხვა სამხედრო ბაზაზე. რაც

შეეხება აშშ-ს, თავდაცვის დეპარტამენტში ჯერ კიდევ 2017 წლის ბიუჯეტში იყო გათვალისწინებული ინჯირლიკის ბაზის იორდანიაში შესაძლო გადატანისთვის ფინანსური ხარჯები. სავარაუდოა, რომ არასაჯარო დონეზე ასევე გათვლილი იქნება ამ ქმედების სტრატეგიული და პოლიტიკური ღირებულება, თუმცა ფაქტია, რომ ბაზის დახურვაზე ანკარის მუდმივი სპეკულაციების მიუხედავად, აშშ ჯერჯერობით არ ჩქარობს ამ უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ბაზიდან საკუთარი საჯარისო ნაწილების გაყვანას.

თავი IV. თურქეთის ახალი საგარეო პოლიტიკა

კონსტრუქტივიზმის ჭრილში

როგორც შესავალში აღინიშნა, ნაშრომში ჩამოყალიბებული ჰიპოთეზის ასახსნელად გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის თეორია. თურქეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილების მიზეზების კონსტრუქტივიზმის შეხედულებებით ახსნამდე მიზანშეწონილად მიმაჩნია თავად ამ თეორიის ძირითადი პრინციპების მოკლედ მიმოხილვა.

კონსტრუქტივისტების მოსაზრებით, საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანი ასპექტები ისტორიულად და სოციალურად კონსტრუირებულია და არ წარმოადგენს ადამიანური ბუნების და მსოფლიო პოლიტიკის სხვა მახასიათებლების გარდაუვალ შედეგს. კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთი წამყვანი თეორიტიკოსის, ა.ვენდტის თანახმად საერთაშორისო აქტორთა იდენტობები და ინტერესები კონსტრუირებულია ფართოდ გაზიარებული იდეებით და არა მატერიალური ძალებით (Wendt, 1995).

კონსტრუქტივისტები უარყოფენ ნეორეალისტურ მიდგომას, რომლის თანახმად ანარქია განსაზღვრავს საერთაშორისო აქტორების ქცევის ხასიათს. კონსტრუქტივისტების მოსაზრებით, აქტორების ქცევას განაპირობებს მათივე იდენტობები და ინტერესები. ინდივიდები ან სახელმწიფო აქტორები ანიჭებენ ობიექტებს მნიშვნელობებს და შეუძლიათ სხვადასხვა საგანს ან მოვლენას მიანიჭონ სხვადასხვა სოციალური მნიშვნელობა. ამასთან, ეს მნიშვნელობები, როგორც ზემოთ აღინიშნა, აუცილებლად უნდა იყოს საყოველთაოდ გაზიარებული.

კონსტრუქტივისტებისთვის ინტერესთა ცვლადები--სამხედრო ძლიერება, სავაჭრო ურთიერთობები, საერთაშორისო ინსტიტუციები ან აქტორის შიდა პოლიტიკური გარემოებები მატერიალური, ობიექტური ფაქტებია და ამ თეორიის ინტერესების სფეროს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათ აქვთ განსაზღვრული სოციალური მნიშვნელობები (Wendt, 2000). ეს მნიშვნელობები კონსტრუირებულია ისტორიის, იდეების, ნორმების და რწმენების ერთობლიობით, რაც ხსნის აქტორის ქმედებებს. მაგ. კონსტრუქტივისტთა აზრით, დიდი ბრიტანეთის და ჩინეთის ატომურ არსენალს აქვს ძალზედ განსხვავებული მნიშვნელობა აშშ-თვის,

რაც აიხსნება აშშ-ჩინეთს და აშშ-ბრიტანეთს შორის განსხვავებული ინტერაქციის ხასიათით: ჩინეთი აშშ-ს მიერ ტრადიციულად აღიქმება მეტოქედ და მისი ბირთვული არსენალის მნიშვნელობაც ამ პოზიციიდან ფასდება აშშ-ს მიერ. დიდი ბრიტანეთი კი მიიჩნევა მეგობარ და პარტნიორ სახელმწიფოდ, შესაბამისად, იმავე გამანადგურებელი ძალის ბირთვულ არსენალს აშშ-ს მიერ ენიჭება განსხვავებული მნიშვნელობა და არ აღიქმება პოტენციური საფრთხის წყაროდ. ამგვარად, კონსტრუქტივიზმის მიხედვით, „მეგობრების“ და „მტრების“, სამართლიანობის და სამართლის და სხვა ცნებების აღქმა წარმოადგენს სახელმწიფო აქტორების ქცევის ამხსნელ მთავარ დეტერმინანტებს.

ნაშრომი ცდილობს თურქეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილება ახსნას 2002 წლიდან ქვეყნის ახალი პოლიტიკური ელიტის--სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მიერ თურქეთის რეგიონის ლიდერ სახელმწიფოდ და ერთ-ერთ გლობალურ აქტორად აღქმით და აღნიშნული აღქმის შესაბამისი პოლიტიკური ქმედებების ეტაპობრივი განხორციელებით. როგორც ზემოთ აღინიშნა, კონსტრუქტივიზმის თეორიის მიხედვით, აქტორების ქცევას განაპირობებს მათივე იდენტობები და ინტერესები. ამასთან, ეს იდენტობები უნდა იყოს გაზიარებული საზოგადოების მიერ. თურქეთის მმართველი პარტიის მიერ წლების განმავლობაში ეტაპობრივად ხორციელდებოდა ქვეყნის ახალი იდენტობის ფორმირება, რაც დროთა განმავლობაში გაზიარებულ იქნა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ. თურქეთის ახალი იდენტობა გულისხმობს, ერთი მხრივ, ქვეყნის მიერ როგორც რეგიონალური, ისე გლობალური მასშტაბით დიდი სახელმწიფოებისაგან მაქსიმალურად დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას; ასევე რეგიონის სახელმწიფოებთან(რომლებიც შედიოდნენ ოტომანთა იმპერიის საზღვრებში) ლინგვისტურ, კულტურულ და სხვა სახის კავშირებზე დაყრდნობით ახლო პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას და ამგვარად რეგიონში პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ჰეგემონობისკენ სწრაფვას. მეორე მხრივ, ახალი თურქული იდენტობის მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის რეისლამიზაცია, რამაც განსაკუთრებით აქტიური ხასიათი მიიღო 2008-2010 წლებიდან. რაც შეეხება ნაშრომის საკვლევი კითხვის მეორე ნაწილს--თურქეთის ურთიერთობების შესამჩნევ გაუარესებას მის მანამდე ნომერ პირველ სტრატეგიულ პარტნიორთან--აშშ-თან, ეს დაკავშირებულია ქვეყნის პოლიტიკის ცვლილებით, რაც თავის მხრივ,

გამოწვეულია მმართველი ელიტის მიერ საერთაშორისო სისტემაში თურქეთის ადგილის და როლის ახლებური გააზრებით და ქვეყნის ახალი იდენტობით.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის შემფოთების საგანია ასევე ქვეყნის აშკარა რეისლამიზაციის პროცესი. აღნიშნულ ფაქტორთან კავშირში საინტერესოა ზემოთ მოხმობილი ვენდტიესული მაგალითის (აშშ-თვის ჩინეთის და დიდი ბრიტანეთის ბირთვული არსენალის განსხვავებული მნიშვნელობა თითოეულთან აშშ-ს განსხვავებული ინტერაქციის გამო) ანალოგიით განხილვა თურქეთში ისლამის აღმავლობასა და საუდის არაბეთში ისლამის პოლიტიკური როლის შედარებით. პოლიტიკური ისლამი წარმოადგენს ფაქტორს, რომელიც ქვეყნის შიდა პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია, თუმცა გარკვეულ გარემოებებში შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებზე. მოცემულ შემთხვევაში თურქეთში ისლამის როლის ზრდა (ისევე როგორც ავტორიტარული მმართველობა) აშშ-თან ურთიერთობების გაუარესების ერთ-ერთი დამატებითი ფაქტორია მაშინ, როდესაც საუდის არაბეთში ისლამის ტრადიციულად უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური როლი, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევის მრავალი ფაქტი მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებზე. ეს ფაქტორი აიხსნება კონსტრუქტივიზმის პრინციპით, რომლის თანახმად აქტორთა ქმედებები განისაზღვრება მათ მიერ ობიექტების, მოვლენების თუ სხვა აქტორებისათვის მინიჭებული კონკრეტული სოციალური მნიშვნელობებით, რომლებიც კონსტრუირებულია ისტორიის, იდეების, ნორმების და რწმენების ერთობლიობით. განსახილველ შემთხვევაში თურქეთი აშშ-თვის წარმოადგენს უკვე არა უახლოეს სტაბილურ მოკავშირეს, არამედ მერყევ, არასტაბილურ პარტნიორს, რაც განაპირობებს იმას, რომ მისთვის თურქეთის აქტიური რეისლამიზაციის პროცესი შეიძლება პოტენციური საფრთხის წყაროს წარმოადგენდეს, მაშინ როცა საუდის არაბეთის შემთხვევაში მსგავსი ფაქტორი არ იწვევს მათ შემფოთებას, რადგან ეს უკანასკნელი რეგიონში აშშ-ს ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური და პოლიტიკური პარტნიორია.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლა განპირობებულია მმართველი ელიტის მიერ თურქეთის საერთაშორისო და

რეგიონული როლის მანამდე არსებულისგან განსხვავებული აღქმით და შესაბამისად, თურქეთის ახალი იდენტობით. ამასთან, თურქეთ-აშშ-ს ურთიერთობების გაუარესება ძირითადად გამოწვეულია თურქეთის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების ცვლილებით, ხოლო სხვა მიზეზები („ქურთულ საკითხთან“ დაკავშირებული აზრთა სხვადასხვაობა, 2016 წლის გადატრიალების მცდელობის შემდგომი მოვლენები, თურქეთის მმართველი პარტიის მიერ დანერგილი მართვის ავტორიტარული მეთოდები, ქვეყნის აქტიური რეისლამიზაცია და სხვ.) წარმოადგენს მხოლოდ დამატებით, მეორეულ ფაქტორებს. ჰიპოთეზას, რომლის თანახმად ქვეყნის საგარეო კურსის შეცვლა ძირითადად პოლიტიკური ელიტის მიერ თურქეთის როლის განსხვავებული აღქმითაა გამოწვეული, ხსნის სტრუქტურალიზმის თეორია, რომლის თანახმად სახელმწიფო აქტორის ქმედებებს განსაზღვრავს მისივე აღქმები და იდეები და არა გარედან არსებული ობიექტური სოციალური რეალობა. ამ აღქმების და იდეების შეცვლა კი შესაბამისად იწვევს სახელმწიფოს ქმედებების, მათ შორის, საგარეო პოლიტიკური ქმედებების ცვლილებას.

დასკვნა

წარმოდგენილი ნაშრომი იკვლევდა საკითხს, თუ რით იყო გამოწვეული 2002 წლიდან თურქეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილება და როგორ აისახა ეს ცვლილება აშშ-თურქეთის ურთიერთობებზე. ნაშრომის შესავალში ხსენებული მეთოდოლოგიით (თვისებრივი კონტენტ-ანალიზი, ე.წ. პროცესის მიდევნება-Process Tracing) ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ 2002 წლიდან თურქეთის საგარეო პოლიტიკის ცვლილება, პირველ ყოვლისა, განაპირობა ქვეყანაში ახალი პოლიტიკური ელიტის მიერ თურქეთის რეგიონის ლიდერ სახელმწიფოდ და მსოფლიო პოლიტიკის გლობალურ აქტორად აღქმამ და ამ აღქმის შესაბამისმა პოლიტიკურმა ქმედებებმა, რამაც აშშ-თურქეთის ურთიერთობების დამაბუჯა გამოიწვია.

ამგვარად, ნაშრომის შესავალში წამოყენებული ჰიპოთეზა ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის შემდეგ დადასტურდა.

გარდა ზემოთ ჩამოყალიბებული მთავარი მიზეზისა, ნაშრომში გაანალიზებულია ასევე აშშ-თურქეთის ურთიერთობების გაუარესების **დამატებითი ფაქტორები**: აშშ-ს გაღიზიანებას იწვევს რუსეთ-თურქეთის ორმხრივი პარტნიორობა, ისევე როგორც რუსეთ-თურქეთ-ირანის შესაძლო მოკავშირეობა და ამით რეგიონში აშშ-ის ინტერესებისთვის საფრთხის შექმნა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ფაქტორია თურქეთის მიერ საკუთარი საზღვრების მკაცრი კონტროლის არარსებობა, რითაც იგი საშუალებას აძლევს ჯიჰადისტ მებრძოლებს თურქეთის გავლით გადავიდნენ სირიაში და პირიქით. აშშ-ს კრიტიკის საგანია ასევე თურქეთის მიერ სხვადასხვა ჯიჰადისტური დაჯგუფებების და ისლამისტური ორგანიზაციების (მაგ.ჰამასის) არაოფიციალურად მხარდაჭერა, გარდა ამისა, ერდოღანის მიერ ხელისუფლების უკიდურესი ცენტრალიზაცია და ქვეყნის ავტორიტარული მეთოდებით მართვა. რაც შეეხება თურქეთს, აშშ-ს მიმართ მისი უკმაყოფილების საფუძველია ამერიკის მიერ იმ ქურთული დაჯგუფებების მხარდაჭერა, რომლებსაც თურქეთი ტერორისტებად მიიჩნევს და ებრძვის ყველა საშუალებით. ოფიციალური ანკარის და პირადად პრეზიდენტ ერდოღანის აშშ-ს მიმართ გაღიზიანების მნიშვნელოვანი მიზეზია ასევე ფ.გიულენის ექსტრადირებაზე შტატების უარი და სხვა ფაქტორები.

აქვე უნდა აღინიშნოს იმ ზოგადი ხასიათის მოსაზრებების შესახებ, რომლებიც ჩამოყალიბდა საკითხის კვლევის პროცესში და რომელიც ეხება აშშ-ს და ნატოს შესაძლო პოლიტიკურ ნაბიჯებს თურქეთის მიმართ: ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, ჯერ კიდევ შესაძლებელია თურქეთსა და ნატოს შორის სტრატეგიული ურთიერთობის გადარჩენა, რადგან ერთდროს მისი სხვადასხვა ქმედებებით თუ განცხადებებით ავლენს სურვილს, რომ მთლიანად არ გახდეს იზოლირებული დასავლეთისგან და შესაბამისად, გრძელვადიან პერსპექტივაში მართა არ აღმოჩნდეს რუსეთის პირისპირ. ზემოხსენებულ ანალიტიკოსებს სწორედ ეს ფაქტი აძლევს საფუძველს იფიქრონ, რომ გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია აშშ-თურქეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზება.

თურქეთის მიმართ ტრამპის ადმინისტრაციის რბილი რიტორიკა სავარაუდოდ ერთდროს მიერ აშშ-ს სისუსტედ იქნა აღქმული, რამაც მისი ანტიდასავლური რიტორიკის და ქმედებების კიდევ უფრო წახალისება გამოიწვია. აშშ-მ და ზოგადად, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა თურქეთის მიმართ უნდა აწარმოონ ე.წ. „მათრახისა და თაფლაკვერის პოლიტიკა“, რაც უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს თურქეთისთვის გარკვევით მინიშნებას, რომ დასავლეთი აღარ მოითმენს ნატოელი პარტნიორის მხრიდან მსგავს არასტაბილურ, ორმაგ პოლიტიკას და თურქეთის პარტნიორობას რუსეთთან. ამის პარალელურად, აშშ-მ უნდა აგრძნობინოს თურქეთს, რომ ის მისთვის კვლავაც უმნიშვნელოვანეს პარტნიორად რჩება და რომ აშშ-თან პარტნიორული ურთიერთობების შენარჩუნება პირველ ყოვლისა, თავად თურქეთის ინტერესებში შედის.

გასათვალისწინებელია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ მიუხედავად ბოლო წლებში დამთბარი ურთიერთობებისა, რუსეთი და თურქეთი სირიაში მაინც კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს იმყოფებიან. ეს კი წარმოადგენს ისეთ ფაქტორს, რომელიც აშშ-ს შესაბამისი ორგანოების ადეკვატური ოპერატიული მუშაობის შემთხვევაში შეიძლება აშშ-ს მიერ გამოყენებული იქნეს რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებში განხეთქილების შემტან ფაქტორად.

ამასთან, რუსეთი არ ითვალისწინებს თურქეთის არაერთგზის მოთხოვნას სირიის სამშვიდობო მოლაპარაკებებიდან ქურთული დაჯგუფებების გაძევების შესახებ. ეს

ფაქტორიც ასევე შეიძლება გამოიყენოს აშშ-მ და თურქეთს შესთავაზოს ორივე მხარისთვის(აშშ-ის და თურქეთისთვის) უფრო მისაღები, დეტალურად გაანალიზებული გეგმა ქურთულ შენაერთებთან დაკავშირებით, თუმცა მხოლოდ იმ პირობით, თუ თურქეთი შეწყვეტს რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობას და განსაკუთრებით, თუ შეაჩერებს რუსული S-400-ების შესყიდვის პროცესს(რომელიც მხოლოდ ხელშეკრულებაში ასახული შეთანხმების ეტაპზეა, ხოლო უშუალოდ შეიარაღების გადაცემის პროცესი 2020 წლამდეა გრაფიკით გაწერილი). იმ შემთხვევაში, თუ რეგიონში ისლამური სახელმწიფოს საბოლოო დამარცხებისთვის აუცილებელი გახდება რუსეთ-თურქეთის კოორდინირებული სამხედრო ქმედებები, ისინი უნდა განხორციელდეს მხოლოდ ნატოს წარმომადგენლობის უშუალო მონაწილეობით და მხოლოდ კონკრეტული მიზნის (ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლის) ირგვლივ.

ამგვარად, საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვის და თურქეთთან უკიდურესად გაუარესებული ურთიერთობების ნორმალიზაციისთვის აშშ-მ უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა შესაძლო ბერკეტი და განსაკუთრებით, სირიელი ქურთების შეიარაღებულ დაჯგუფებებზე არსებული თავისი გავლენა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Altinors, M. A. (2017). Turkish Foreign Policy during WW2. *Asian Journal of Social Science Studies*. Vol. 2, NO 4. 5-7.
<http://journal.julypress.com/index.php/ajsss/article/view/224>
2. Cagaptay, S. (2017). *The New Sultan: Erdogan and the crisis of modern Turkey*. London: I.B. Tauris.
3. Demet, L. (2016). “Creating a Pious Generation: Youth and Education Policies of the AKP in Turkey.” *Southeast European and Black Sea Studies* 16, no.4. 637–649
4. Georgy, M., Ozkan, M. (2016). “Conspiracy Theories Flourish after Turkey’s Failed Coup,” *Reuters*, July 27, 2016.
5. Grigoriadis, I. (2010). *The Davutoglu Doctrine and Turkish Foreign Policy*. Hellenic Foundation for European and Foreign Policy. Working Paper NO 8/210. 4-6.
www.eliamep.gr
6. Kandiyoti, D., and Emanet. Z. (2017). “Education as Battleground: The Capture of Minds in Turkey.” *Globalizations* 14, no. 6. 869–876
7. Larabee, S.F. (2010). *Troubled Partnership: USA-Turkish Relations in an Era of Global Geopolitical Change*. RAND Corporation Monograph Series. 119-121. www.rand.org
8. Muller, Jan-Werner. *What Is Populism?* Philadelphia, PA: University of Pennsylvania Press, 2016
9. New Time News (2017, December 7).
<https://www.youtube.com/watch?v=LILLOYfaXl3Q&t=25s>
10. Saidel N & Finkelstein C. (2018). *Turkey’s Eastern Pivot: A Challenge for Nato and a Threat to US National security*. A Report by the Center of Ethics and the Rule of Law, University of Pennsylvania. 01/19/2018. 3-12.
11. Sozen, A. (2010). *A Paradigm Shift in Turkish Foreign Policy: Transition and Challenges*. *Turkish Studies*. Vol 11. 103-123. <https://doi.org/10.1080/14683841003747062>
12. Walker, J. (July–September, 2007). “Learning Strategic Depth: Implications of Turkey’s New Foreign Policy Doctrine“. *Insight Turkey*, Vol.19. NO3. 32-47.

13. Warning, M., Kardas, T. (Summer-Fall, 2011). The Impact of Changing Islamic Identity on Turkey`s New Foreign Policy. Turkish Journal of International Relations. Vol. 10, NO. 2-3. 158-160. www.alternativesjournal.net
14. Wendt, A. (Summer, 1995). Constructing International politics. International Security. Vol.20. NO.1. 71-81. <https://www.jstor.org/stable/2539217>
15. Wendt, A. (2000). Social Theory of International Politics. Cambridge: Cambridge University Press
16. Yilmaz, I., Bashirov G., (2018). The AKP after 15 Years : Emergence of Erdoganism in Turkey, Third World Quarterly. DOI: 10.1080/01436597.2018.1447371. 5-12.

Ivane Javakhishvili State University Faculty of Social and Political Sciences

Nino Iakashvili

Turkey`s New Foreign Policy and Relations with USA

Master program: Diplomacy and International Politics

Submitted to obtain a Master Degree in Diplomacy and
International Politics

Scientific adviser: Zurab Davitashvili
Doctor of Political Sciences, Professor

Tbilisi 2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ისრაელის უნდობლობა ევროკავშირის მიმართ ისრაელ-პალესტინის
კონფლიქტისმოგვარების პროცესში

დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის
მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

*ნაშრომის ხელმძღვანელი:
ფიქრია ასანიშვილი
ასოცირებული პროფესორი*

თბილისი
2018

ანოტაცია

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი შეიძლება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და გრძელვადიან გამოწვევად ჩაითვალოს. იგი უკვე რამოდენიმე ათწლეულია აგრძელებს საზრდოობას და უფრო და უფრო მეტ სახელმწიფოს რთავს მისი მოგვარების პროცესში. მიზეზი იმისა, თუ რატომ ავირჩიე ეს კონფლიქტი, არის ინტერესი იმისა, თუ რატომ აქვს უნდობლობა ისრაელს ევროკავშირის პოლიტიკის მიმართ კონფლიქტის და კრიზისების მოგვარების პროცესში და არის თუ არა ეფექტური არბიტრი ზოგადად ევროკავშირი ამ ერთ-ერთ ყველაზე გრძელვადიანი კონფლიქტის მოგვარებაში. ასევე საინტერესოა, თუ რატომ არის ასეთი აქტუალური ეს კონფლიქტი დასავლური ქვეყნებისთვის და რა ინტერესები ამომრავებთ მათ ამ კონფლიქტის მოგვარებაში? მიუხედავად იმისა, რომ თავად კონფლიქტის მოგვარების გზებზე ძალიან ბევრი საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტი მუშაობს და ბევრი ნაშრომიც გამოქვეყნებული, ეს ნაშრომი ცოტა სხვა კუთხით დაგვანახებს არბიტრების ჩართულობას პროცესებში. ამ ნაშრომის მიზანია გაარკვიოს თუ რა მიზეზების გამო დაკარგა ისრაელმა ევროკავშირის ნდობა და რა შედეგი გამოიღო კონკრეტულად ევროკავშირის ჩართულობამ კონფლიქტის მოგვარებაში და ხომ არ მოიტანა საპირისპირო შედეგი პალესტინისთვის გაწეულმა დახმარებამ ამ პროცესებში. ეს ნაშრომი ასევე შეეხება თუ რა ინსტრუმენტებს იყენებს ევროკავშირი კონფლიქტის მოგვარებისთვის და როგორია მისი დამოკიდებულება საზღვრებთან, იერუსალიმთან, ზოგად უსაფრთხოებასთან, პალესტინელ ლტოლვილებთან და ებრაულ დასახლებებთან დაკავშირებით. ასევე ვნახავთ თუ რა გავლენა იქონია ევროკავშირის სამმა ყველაზე მნიშვნელოვანმა, ვენეციის (1980), ბერლინის (1999) და სევილიის (2002) დეკლარაციამ კონფლიქტზე და რამდენად თანმიმდევრული იყო ევროკავშირის ჩართულობა ამ პროცესებში, როგორც მედიაციის ერთ-ერთი მხარის.

Annotation

The Israeli-Palestinian conflict can be considered as one of the most important and long-term challenges of modern system of international relations. It continues to be “alive” and involves more and more states in its conflict resolution process. The reason why I chose this conflict is the interest of why Israel has mistrust for EU policies in the process of resolving conflict and crisis and generally whether EU is an efficient mediator in solving this one of the most long-term conflict. It is also interesting why this conflict is up-to-date for the Western countries and what interests do they have in the solution of this conflict? Despite the fact that many international relations specialists have worked on the ways of conflict resolution and many research papers have been published, this work will be a little different in terms of involvement of mediators in this process. The aim of this paper is to find out why Israel lost trust for the EU and what effect does the EU's involvement in the settlement of the conflict have and also, did EU's aid to Palestine have the contradictory outcome for the peace process. This paper also deals with what instruments the European Union uses for conflict resolution and with its attitude towards borders, Jerusalem, general security, Palestinian refugees and Jewish settlements. We will also examine how the EU's three most important, Declarations of Venice (1980), Berlin (1999) and Seville (2002) were in conflict and how consistent was EU involvement in these processes as one of the mediators.

სარჩევი

შესავალი.....	4
თავი I. ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მიმოხილვა.....	10
1.1 კემპ დევიდის შეთანხმება	12
1.2 მადრიდის კონფერენცია.....	14
1.3 ოსლოს შეთანხმება	15
თავი II. ევროკავშირის ჩართვა კონფლიქტში	18
2.1. ვენეციის დეკლარაცია.....	19
2.2. პირველი ინტიფადა.....	22
2.3. მეორე ინტიფადა	23
თავი III. სევილიის 2002 წლის დეკლარაცია	24
თავი IV. ევროკავშირის ხმელთაშუა ზღვის პარტნიორობა (EMP)	27
თავი V. ევროკავშირის ჩართვის გზები	29
5.1. იძულებითი.....	29
5.2. მასტიმულირებელი	30
5.3. დამაკავშირებელი	31
5.4. კონსტრუქციული.....	31
თავი VI. მიდგომების ეფექტურობა	32
6.1. მედიაცია	33
6.2. ევროკავშირის ხედვა	35
6.3. ევროკავშირის პოლიციის მისია პალესტინის ტერიტორიაზე.....	36
6.4. ევროკავშირის საზღვრის დაცვაში დახმარების მისია რაფაში	37
დასკვნა.....	41
ბიბლიოგრაფია.....	43

შესავალი

1948 წელს შეიქმნა ისრაელის სახელმწიფო, რამაც ბუნებრივად გააჩინა კონფლიქტიც პალესტინასა და მას შორის. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის პოზიცია, რომ კონფლიქტი უნდა დასრულებულიყო იყო ერთიანი, წლების განმავლობაში სხვადასხვა ევროპული სახელმწიფო სხვადასხვა რიტორიკით იყო განწყობილი ამ კონფლიქტის აღმოფხვრელად. ბოლო რამდენიმე წელიწადია, ევროკავშირის ქვეყნებმა გააცნობიერეს, რომ ერთიანი პოზიციისა და პოლიტიკის გარეშე შეუძლებელი იქნება ასეთი მასშტაბის კონფლიქტის აღმოფხვრა. როდესაც ვლადპარაკობთ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტზე აუცილებელია განვსაზღვროთ კონკრეტულად რას ედავება ეს ორი აქტორი ერთმანეთს და რამდენად შეიძლება კონსესუსამდე მისვლა. აიელ ლევინის აზრით კონფლიქტი 6 ძირითად ერთეულზეა დამყარებული¹: (1) პალესტინის სახელმწიფოს ჩამოყალიბება, (2) პალესტინის სახელმწიფოს ადგილმდებარეობა, (3) ებრაული დასახლებების ევაკუაცია, (4) იერუსალიმის გაყოფა, (5) პალესტინის მეურვეობა ტაძრის მთაზე და (6) ლტოლვილების პრობლემა. სწორედ ამ ერთეულების გადაწყვეტა ვერ მოხერხდა უკვე 50 წელია ისე, რომ ორივე მხარე დაკმაყოფილებული იყოს. მაგრამ რა შუაშია ევროკავშირი და რამდენად რეალურია მისი პოლიტიკის წვლილი ამ კონფლიქტის მოგვარებაში? ² ევროკავშირის ინსტიტუტების ანგარიშებს თუ გადავხედავთ ძალიან რთული, კომპლექსური და ხშირ შემთხვევაში გაურკვეველიც კი დარჩება თუ რა პირდაპირი გავლენა იქონია მისმა ჩართულობამ ამ კონფლიქტზე, მაგრამ ამას თავისი მიზეზი აქვს. ევროკავშირის ინსტიტუტებს ურჩევნიათ გაიაზრონ ის კონკრეტული ქმედებები თუ ოპერაციები და ის პატარა ცვლილებაც კი აღწერონ რაც მოხდა 50 წლის განმავლობაში. ამიტომ მთლიანი სურათის დანახვა გაცილებით რთული ხდება. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ თავად კონფლიქტის მოგვარებაში და მოლაპარაკებებში ევროკავშირის წვლილი მნიშვნელოვნად ჩარმოჩება ამერიკის შეერთებული შტატების წვლილს, რაც ისრაელის უნდობლობითაც აიხსნება.

¹ “The inevitable dead end of the Arab-Israeli conflict” - Eyal Lewin, Cogent Social Sciences, 2016 (p.1)

² “European Involvement in The Arab-Israeli Conflict” Edited by Esra Bulut Aymat Chaillot Papers | December 2010, p.17

ევროკავშირი მეტ ყურადღებას უთმობს თავად იმ პრობლემებს, რაც პალესტინას და ისრაელს აქვთ, როგორც ქვეყანას.

საკვლევი კითხვა:

რა ფაქტორები განაპირობებს ევროკავშირის, როგორც ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის არბიტრის, უნდობლობას ისრაელის მხრიდან?

ჰიპოთეზა:

ვენეციის დეკლარაციაზე პალესტინის აღიარებამ, ევროკავშირის სანდოობა ეჭვქვეშ დააყენა ისრაელისთვის. ისრაელი ნებისმიერ ჩართულობას კონფლიქტის მოგვარებაში აღიქვამს როგორც პრო-პალესტინურ ქმედებას, ამიტომ თითქმის არ მიდის არანაირ დათმობაზე ევროკავშირთან. ევროკავშირის ეკონომიკური ბერკეტები კი ისრაელისთვის საკმაოდ სუსტია.

ნაშრომში გამოყოფილი ცვლადები:

დამოუკიდებელი ცვლადი - ისრაელ-ევროკავშირის ურთიერთობის გამოცდილება, პოლიტიკა და ვენეციის დეკლარაციაში ჩადებული გადაწყვეტილება.

დამოკიდებული ცვლადი - ისრაელის უნდობლობა ევროკავშირის მიმართ.

მეთოდოლოგია

ნაშრომში კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულია თვისებრივი კვლევა, კერძოდ, თვისებრივი კონტენტ-ანალიზი და პროცესის მიყოლის (Process Tracing) მეთოდი, რაც გულისხმობს კონფლიქტის მიმოხილვისა და ევროკავშირის დროის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა ჩართულობების ანალიზს. იმისათვის, რომ უკეთესად გავიგოთ თუ რატომ არის ევროკავშირის ჩართულობა კონფლიქტის მოგვარებაში არაეფექტური, გადავწყვიტე ჩემი კვლევა კონსტრუქტივისტულ თეორიულ ჩარჩოში მომექცია. ამიტომ გადავწყვიტე case study-ის პრინციპის გამოყენება, რაც გულისხმობდა იმ ოპერაციებისა თუ შეთანხმებების და დეკლარაციების შესწავლას, რასაც წლების განმავლობაში აწარმოებდა ევროკავშირი პალესტინასთან და ისრაელთან. ეს

კონკრეტული შემთხვევა გვაჩვენებს, როგორ შეიძლება მიუხედავად დიდი ჩართულობისა, ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებით და ქმედებებით კონფლიქტის მოგვარების ეფექტურობის შემცირება. ასევე შევეცდები process tracing-ის მეთოდით გამოვკვეთო, რამ განაპირობა ისრაელის უნდობლობა ევროკავშირის, როგორც არბიტრის მიმართ ამ კონფლიქტში.

რაც შეეხება თავად თეორიას, კონსტრუქტივიზმი არის საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, რომელიც ამბობს, რომ საერთაშორისო რეალობა კონსტრუირებულია ისტორიულ და სოციალურ ასპექტებზე და არა ცალკეული ადამიანის ბუნებაზე, როგორც ამას სხვა საერთაშორისო ურთიერთობის თეორიები ამბობენ. ალექსანდერ უენდტი, რომელიც კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთ დამფუძნებელ მკვლევარად ითვლება ძალიან ნათელ მაგალითს გვაძლევს თუ რა არის კონსტრუქტივიზმი. ის ამბობს, რომ მაგალითად აშშ სრულიად სხვაგვარად აღიქვამს დიდი ბრიტანეთის 500 ბირთვულ იარაღს, ვიდრე ჩრდილოეთ კორეის მხოლოდ 5 ცალს.³ რა თქმა უნდა ჩრდილოეთ კორეისას საფრთხედ აღიქვამს, ხოლო დიდი ბრიტანეთის იარაღი მისთვის პარტნიორის ძლიერებაა. ეს ყველაფერი კი ისტორიის, გამოცდილებისა და სოციალური აგენტების ბრალია, რომელიც აკავშირებს აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეას.

კონსტრუქტივიზმის ძალიან კარგ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ბარი ლევინსტონის სატირული ფილმი “ძალის კუდის ქიციანი”, სადაც ნათლად ჩანს როგორ შეუძლია მედიას და თუნდაც სახელმწიფოს შექმნას სრულიად ახალი რეალობა. ფილმში აშშ-ის პრეზიდენტი სექსუალურ სკანდალში ეხვევა. ამის გასანეიტრალებლად იძახებენ ე.წ. სპინ დოქტორს, კონრად ბრინს, რომლის მოვალეობაცაა საზოგადოებას გადაატანინოს ყურადღება სკანდალიდან ნებისმიერ სხვა რამეზე. კონრადი ჰოლივუდის ცნობილ პროდუსერთან ერთად მოიფიქრებს არარეალურ ამბავს, რომელსაც მთელი ქვეყანა დაუჯერებს. არარეალური ამბავი კი ალბანეთთან ომის

³ Introducing Constructivism in International Relations Theory, Sarina Theys, FEB 23 2018, webpage: <http://www.e-ir.info/2018/02/23/introducing-constructivism-in-international-relations-theory/>

წამოწყებაა, რომელსაც მარკეტინგულად ისე ფუთავენ, რომ ექვი უკვე აღარავის ეპარება, რომ ეს სიმართლეა.

კონსტრუქტივიზმი ასევე ეხება ჩვენი საკითხისთვის მნიშვნელოვან თემებსაც, როგორცაა იდენტობა და ინტერესები. სახელმწიფოებს შეიძლება ქონდეთ მრავალი იდენტობა და ინტერესი, და ეს დამოკიდებული იმაზე თუ ვინაა ე.წ. მეორე აქტორი. დიდი სახელმწიფოების ინტერესები განსხვავდება პატარა სახელმწიფოს ინტერესებისგან. დიდი ქვეყნები ცდილობენ თავიანთი ინტერესები გლობალურად გაატარონ და რაც შეიძლება მეტი ბერკეტი ჰქონდეთ სხვა ქვეყნებზე ზეგავლენის მოსახდენად. პატარა ქვეყნების ძირითადი საფიქრალი კი თვითგადარჩენაა, რომელიც შეიძლება მიტმასნებით ან ალიანსების შექმნით მოახერხოს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია რაიმე კონკრეტულმა შემთხვევამ ან ისტორიულმა გამოცდილებამ შეცვალოს ქვეყნის იდენტობა. მაგალითად, როგორც სარინა თეი (2018) სტატიაში გერმანიას ახსენებს, რომელმაც ნაცისტური წარსულის გამო დადგა არა მილიტარისტული სახელმწიფო, არამედ პაციფისტური.

სხვადასხვა ქმედებები, კავშირები და აღქმები ქმნიან რეალობას. ეს არის კონსტრუქტივიზმის ძალიან ლაკონური განმარტება. ნებისმიერმა ქმედებამ, იგივე დამოუკიდებელმა ცვლადმა, შეიძლება გამოიწვიოს ჯაჭვური რეაქციები და შექმნას სრულიად ახალი რეალობა.

ვენეციის დეკლარაციამ, რომლის შესახებაც მოგვიანებით უფრო დეტალურად ვისაუბრებ, შეცვალა ისრაელის დამოკიდებულება ევროკავშირის სანდოობის მიმართ. ვგულისხმობ, რომ ისრაელმა ევროკავშირის გადაწყვეტილება, ელიარებინა პალესტინა, როგორც კონფლიქტის მხარე და პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაცია, როგორც პალესტინის ოფიციალური წარმომადგენელი მოლაპარაკებებში, აღიქვა როგორც პრო-პალესტინური ნაბიჯი. ამან კი ევროკავშირის ლეგიტიმურობა კონფლიქტის მოგვარების პროცესში ეჭვქვეშ დააყენა. სწორედ ეს ექვი ხდის ევროკავშირის პოლიტიკას რეგიონში არაეფექტურს. სამაგიეროდ პალესტინისთვის ევროკავშირი გულთადი პარტნიორია, რომელიც ფინანსურად და ინსტიტუციურად ცდილობს პალესტინის განვითარებას. ისრაელს არც ორი სახელმწიფოს იდეა მოწონს

და არც ის, რომ ევროკავშირი ოკუპირებული ტერიტორიების დატოვებას თხოვს. ისრაელში ბევრი ფიქრობს, რომ ევროკავშირი მიკერძოებულია. სწორედ ამ სოციალურმა ქმედებებმა და დამოუკიდებელმა ცვლადებმა (ევროკავშირის გადაწყვეტილება ვენეციის დეკლარაციაში და პალესტინისთვის დახმარებების გაწევა) იმოქმედეს დამოკიდებულ ცვლადზე (ისრაელის განწყობები, რაც თავის მხრივ კონფლიქტის მოგვარებას უშლის ხელს).

კონსტრუქტივიზმი თავად ევროკავშირის ქმედებების ახსნაშიც გვეხმარება. ევროკავშირი ცდილობს, რომ მისთვის მიღებული ნორმები, წესები და სახელმწიფოს მშენებლობის პრონციპები დანერგოს ორივე სახელმწიფოში, განსაკუთრებით კი პალესტინაში. ევროკავშირი ასევე ცდილობს ეკონომიკური სარგებლით „შეიტყოს“ სახელმწიფოები და გააკეთებინოს ის, რაც მისთვის იქნება მომგებიანი. თუმცა ამისათვის ბერკეტი ძლიერი უნდა იყოს. პალესტინისთვის ეს ბერკეტი ის უდიდესი ფინანსური დახმარებაა, რასაც ევროკავშირისგან იღებს ყოველწლიურად. რაც შეეხება ისრაელს, ეს ბერკეტები მასზე დიდად არ მოქმედებს ორი მიზეზის გამო. პირველი, ისაა, რომ მისი ექსპორტი ევროკავშირში არც ისეთი მაღალია, როგორც იმპორტი, ამიტომ ევროკავშირი აქეთაა დამოკიდებული ისრაელზე და არა პირიქით. მეორე არის ძალიან ძლიერი ზურგი, რომელიც ისრაელს აშშ-ის სახით ჰყავს. ისრაელისთვის აშშ მთავარი სტრატეგიული პარტნიორია და ამიტომაც კონფლიქტის მოგვარების პროცესში ყოველთვის ურჩევნია, რომ ისიც იყოს ჩართული.

ლიტერატურის მიმოხილვა

ეს ნაშრომი მოიცავს რამოდენიმე აკადემიურ გამოცემას და სტატიას, თუმცა მნიშვნელობის მიხედვით განსაკუთრებით ორი მათგანი იქცევა მკითხველის ყურადღებას.

პირველი არის ბენ გურიონის უნივერსიტეტის პოლიტიკის მიმართულების კვლევა⁴, რომლის მიზანია ევროპული ინტეგრაციისა და ევროკავშირის როლის დადგენა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში. ავტორები ჰაიმ იაკობი და დევიდ ნიუმანი

⁴ EU Border Conflicts Studies, The Role of the EU in the Israel\Palestine Conflict - David Newman and Haim Yacobi, Department of Politics and Government, Ben Gurion University, Beer Sheva, Israel, 2004

მკითხველს თავაზობს ევროკავშირის 4 ტიპის მიდგომას კონფლიქტის მოგვარების პროცესში. ესენია: მასტიმულირებელი, იძულებითი, დამაკავშირებელი და კონსტრუქციული. ეს მიდგომები გვაჩვენებს რამდენად მრავალმხრივია ევროკავშირის ჩართულობა მშვიდობის პროცესებში, თუმცა ამ მიდგომების განხილვითვე ვხვდებით, რომ ევროკავშირის ეფექტურობა არც თუ ისე მაღალია ამ რეგიონში მშვიდობის დამყარებაში.

მეორე მნიშვნელოვანი კვლევა არის ეზრა ბულუტ აიმათის რედაქტირებით გაერთიანებული ევროკავშირის უსაფრთხოების კვლევების ინსტიტუტის სხვადასხვა ავტორის სტატიების კრებული ევროკავშირის ამ კონფლიქტში ჩართულობასთან დაკავშირებით.⁵ სტატიები მრავალფეროვანია და განსხვავებული კუთხით ხედავს ევროკავშირის ურთიერთობებს პალესტინასთან და ისრაელთან.

და ბოლოს რა თქმა უნდა ყველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურა, რაც დამეხმარა კვლევის ჩატარებაში ის ანგარიშებია, რაც გამოიცემოდა თვითოეული მოლაპარაკებების შემდეგ. ეს დოკუმენტები მოიცავს კემპ-დევიდის შეთანხმებას, ვენეციის დეკლარაციას, ოსლოს ხელშეკრულებებს და ა.შ. სწორედ ეს ანგარიშები გვაძლევს წარმოდგენას თუ რამდენად ჩართული იყო ევროპა ამ კონფლიქტის მოგვარებაში და რამდენადაა ახლა ჩართული.

⁵ European Involvement in the Arab-Israeli Conflict - edited by Esra Bulut Aymat Chaillot Papers, December 2010

თავი I. ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მიმოხილვა

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის ნიშნები ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს უნდა ვეძებოთ. სიონიზმის წარმოშობასთან და გაძლიერებასთან ერთად დაიწყო ებრაელების იმიგრაცია, რომლებიც რუსულ, გერმანულ და აღმოსავლეთ ევროპის ანტისემიტიზმს გაურბოდნენ და პალესტინის ტერიტორიაზე დასახლდნენ.

1917 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს, დიდი ბრიტანეთის იმპერიამ დაიპყრო ოსმალთა იმპერიის ტერიტორია, პალესტინა. იმავე წლის 2 ნოემბერს კი გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომლითაც ებრაელებს პირდებოდა ამ ტერიტორიაზე მათი “ეროვნული კერის” ჩამოყალიბებას. პირველად ამის საპირისპიოდ, 1919 წელს პალესტინელები გამოდიან იერუსალიმის კონგრესზე. 1922 წელს ერთა ლიგა ახორციელებს ამ მანდატს პალესტინაში და მომავალ ისრაელს აყალიბებს, რომელიც ებრაელების “საერთო სახლის” ჩამოყალიბებას გულისხმობს.

1936-1939 წლებში კი დიდი არაბული რევოლუცია დაიწყო, რომელიც პალესტინელმა არაბებმა წამოიწყეს ბრიტანული ადმინისტრაციის და მისი მანდატის წინააღმდეგ, ითხოვდნენ არაბთა დამოუკიდებლობას და ებრაული მოსახლეობის მიგრაციის შეწყვეტას.

1947 წლის ნოემბერში, გაეროს 181-ე რეზოლუციის მიხედვით⁶, პალესტინა გაიყო ორ, არაბულ და ებრაულ, სახელმწიფოებად. ამ დოკუმენტის მიხედვით, იერუსალიმი უნდა ყოფილიყო Corpus Separatum გაეროს ადმინისტრირებისა და განსაკუთრებული საერთაშორისო რეჟიმის ქვეშ.

1948 წლის 14 მაისს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ისრაელის სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო მეტი ებრაელის მიგრაცია გამოიწვია, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთ სახელმწიფოში დასახლებულიყვნენ. არაბულმა საზოგადოებამ ეს გადაწყვეტილება არც თუ ისე კარგად

6 Security Council Report – Middle East, A/RES/181 (II), Overview of General Assembly Document. The General Assembly Partition Plan for the British Mandate of Palestine.

მიიღო. ამის ერთ-ერთ მიზეზად ლევან ღირსიაშვილი თავის სტატიაში “ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი: ორი ერი, ერთი მიწა”⁷ “ისრაელის დამოუკიდებლობის დეკლარაციის” მიღებას ასახელებს და ამბობს, რომ ამ დეკლარაციის სიონისტურმა განწყობამ არაბული საზოგადოება ერთგვარად შეაშინა, რადგან ეს დოკუმენტი მოუწოდებდა ყველა ებრაელს დაბრუნებულიყო “აღთქმულ მიწაზე”, რაც ებრაული მოსახლეობის ზრდას და პალესტინელი ებრაელების შევიწროვებას გამოიწვევდა.

ამას დაემატა ის ფაქტიც, რომ ებრაელებმა აღმოსავლეთ იერუსალიმიც დაიკავეს, რითაც მუსლიმანებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, ალ-აქსას მეჩეთი, ებრაულ მხარის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. ამ ფაქტმა 15 თვიანი ომი გამოიწვია არაბულ სახელმწიფოებთან (ეგვიპტის, ლიბანის, სირიის და ერაყის სამხედრო დანაყოფები). და მიუხედავად უკვე ისრაელის მცდელობებისა მოლაპარაკებები ეწარმოებინა არაბულ სახელმწიფოებთან, ერაყის უარი ცეცხლის შესახებ შეწყვეტის შეთანხმებაზე სიტუაციას კიდევ უფრო დაზარადა.

1964 წელს, პალესტინის ეროვნული საბჭოს პირველ სხდომაზე ყალიბდება პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაცია (PLO – Palestine Liberation Organization), რომლის მიზანიც პალესტინის გაათავისუფლება და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება იყო.

1967 წელს უკვე ეგვიპტემ წამოიწყო ომი ისრაელთან. სინაის კუნძულიდან გაეროს ქვედანაყოფები ეგვიპტის არმიამ გააძევა და თვითონ გაიმყარა პოზიციები ამ ადგილას. ისრაელი კონტრიერიშიზე წავიდა და როგორც სინაის ნახევარკუნძული, დაზას სექტორი და ასევე მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროც დაიქვემდებარა. მაგრამ ისრაელი ისევ წავიდა მოლაპარაკებებზე და მაინც 1968 წელს ომი განახლდა. 1970-იანი წლების დასაწყისში ვითარება კიდევ უფრო იძაბებოდა მიუხედავად აშშ-ის მოლაპარაკებებში

⁷ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი: ორი ერი, ერთი მიწა. ლევან ღირსიაშვილი. პოლიტიკური კვლევების ცენტრი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ვებსაიტი: <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0periodika--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-1-outfZz-8-00&cl=CL2.6&d=HASH98259c57e5bfd4193446f4.5>=1>

ჩართულობისა. 1973 წელს კი როგორც იქნა ხელი მოეწერა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. არაბულ-ებრაულ კონფლიქტის როგორც დაწყებაში, ისე დასრულებაში დიდი როლი შეიტანა ეგვიპტემ, რომელმაც 1978 წელს კემპ დევიდში ხელი მოაწერა შეთანხმებას მშვიდობის შესახებ.

რამდენადაც კემპ დევიდის შეთანხმებამ გაითვალისწინა ეგვიპტე-ისრაელის ინტერესები, ამ შეთანხმების მიღმა მაინც დარჩა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც ისრაელის მიერ მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს, ღაზას სექტორისა და გოლანის მაღლობების ოკუპაცია იყო. გაეროს 181-ე რეზოლუციის საპირისპიროდ, რაც 2 სახელმწიფოს თანაარსებობას გულისხმობდა და კემპ დევიდის შეთანხმებით, პალესტინა უბრალოდ ისრაელის ავტონომიური ერთეული ხდებოდა. მაგრამ კემპ დევიდის შეთანხმება ამითი არ დასრულებულა და 1978 წლის 17 სექტემბერს მას კიდევ ოთხი პუნქტი დაემატა, რაც გულისხმობდა:

1. სამარიაში, ღაზას სექტორსა და იუდეაში თავისუფალი არჩევნების ჩატარებას;
2. ისრაელსა და არაბულ სახელმწიფოებს შორის მშვიდობის დადგომა;
3. ეგვიპტესთან ურთიერთობის დალაგება და შემდეგ ამ ურთიერთობის გამყარება;
4. პალესტინელი ლტოლვილების დაბრუნების მიზნით ყველანაირი ძალისხმევის გამონახვა.⁸

1.1 კემპ დევიდის შეთანხმება

1978 წელს 12 დღიანი საიდუმლო მოლაპარაკებების შემდეგ ეგვიპტის პრეზიდენტმა ანვარ სადათმა და ისრაელის პრემიერ მინისტრმა მენახემ ბეგინმა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯიმი კარტერის თვალწინ ხელი მოაწერეს მშვიდობის შესახებ შეთანხმებას კემპ დევიდში. თუმცა მხოლოდ 1979 წელს ხელმოწერილი შეთანხმება აღიარა გაერომ, რადგან პირველი შეთანხმება, რომელიც პალესტინის ტერიტორიებს ეხებოდა, პალესტინის წარმომადგენლების გარეშე

⁸ Camp David Accords; September 17, 1978 – Yale Law School, Lilian Goldman Law Library; The Avalon Project - Documents in Law, History and Diplomacy. Webpage: http://avalon.law.yale.edu/20th_century/campdav.asp

ჩატარდა. ეს იყო პირველი ეგვიპტე-ისრაელის სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელმაც წერტილი დაუსვა ომს ორ ქვეყანას შორის და დასაბამი დაუდო მათ დიპლომატიურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს.

დოკუმენტის თანახმად, ისრაელს 1982 წლამდე უნდა გაეთავისუფლებინა სინაის ნახევარკუნძული და მომხდარიყო სამხედრო ძალების გაყვანა ამ ტერიტორიიდან, შედეგ კი იქ გაეროს ჯარები უნდა განლაგებულიყო. ისრაელს ასევე უნდა ელიარებინა პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უფლება. სანამ ეს პრობლემა გადაიჭრებოდა კი ისრაელი მათ ავტონომიას მიცემდა. პალესტინის შესახებ დოკუმენტი რამდენიმე პუნქტს ითვალისწინებდა:

- გაეროს უშიშროების საბჭოს 242 რეზოლუციის გამოყენება ღაზას სექტორსა და დასავლეთ სანაპიროზე მოლაპარაკებების წარმოებაში.
- პალესტინელების უფლების აღიარება აერჩიათ საკუთარი თავისთვის შემდგომი მმართველობის ფორმა, რასაც პალესტინელები იგებენ ხოლმე, როგორც მათ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ოფიციალურად აღიარებას.
- მხარეების მხრიდან აღიარება იმისა, რომ საჭირო იყო ძლიერი პალესტინური პოლიციის შექმნა, რომელიც პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაციისთვის და ჰამასისთვის საკუთარი შეიარაღებული ძალების სამართლებრივ საფუძვლად იქცა. ორივე ორგანიზაცია ცდილობდა ამ გზით ლეგიტიმაციის მოპოვებას.
- შეთანხმებას ხელი მოაწერა ეგვიპტის პრეზიდენტმა, ისრაელის პრემიერ მინისტრმა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა. ეს უკანასკნელი გახდა შეთანხმების შესრულების მოწმე და გარანტი, ხოლო ხელშეკრულებამ სამართლებრივად გაამყარა აშშ-ის როლი არაბულ-ებრაული კონფლიქტის მოგვარების პროცესში.

ისრაელ-ეგვიპტის საზღვრები ისევ 1948 წლის საზღვრები გახდა. მხოლოდ ღაზას სექტორი დარჩა კვლავ ისრაელის კონტროლის ქვეშ. ამ შეთანხმების შემდეგ, პირველმა ეგვიპტემ ცნო არაბული ქვეყნებიდან ისრაელი როგორც სუვერენული სახელმწიფო და დიპლომატიური ურთიერთობები გაჩნდა. თუმცა არაბულმა ქვეყნებმა ეს შეთანხმება არ მიიღეს და ანვარ სადათი მოკლეს, ხოლო ეგვიპტე გარიცხეს არაბული ქვეყნების ლიგიდან. კემპ დევიდის შეთანხმება იყო მშვიდობის დამყარების პირველი მცდელობა ახლო აღმოსავლეთში.

1.2 მადრიდის კონფერენცია

1989 წელს აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ჰერბერტ ბუში გახდა, რომელმაც გადაწყვიტა ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის გავლენის გაზრდა და ამ რეგიონზე კონტროლის მოპოვება. გრეგორი ჰარმსი და ტოდ ფერი თვლიან, რომ ამ დროისთვის აშშ-ის წინაშე უნიკალური გარემოებები იყო, კერძოდ კი:

- “აშშ იყო ერთადერთი მოთამაშე რეგიონში;
- მან შეკრიბა ისეთი არაბული ქვეყნები, რომლებიც მზად იყვნენ ეთანამშრომლათ და ამერიკული კოალიციის მხარესაც იყვნენ სპარსეთის ყურის ომში;
- ყოფილ საბჭოთა კავშირის მომხრეები, როგორც იყო სირია, ერაყი, და ლიბია, მთავარი მოკავშირის გარეშე დარჩნენ;
- ისრაელის იდეა, როგორც აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი, ახლა განიხილებოდა”⁹

1991 წელს ესპანეთმა უმასპინძლა აშშ-ის მიერ დაფინანსებულ კონფერენციას, რომელიც მიზნად ისახავდა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოლაპარაკებებით მოგვარების მცდელობას. კონფერენციას უძღვებოდა თავად ბუში და ბეიკერი გორბაჩოვთან ერთად. ამ კონფერენციაში ჩართულები იყვნენ იორდანია, სირია და ლიბანიც. გაიმართა ორმხრივი მოლაპარაკებები ებრაულ და იორდანიულ-პალესტინურ დელეგაციებს და ლიბანსა და სირიას შორის. ამას მოყვა შეხვედრები ვაშინგტონში. 1992 წელს კი მრავალმხრივი მოლაპარაკებები გაგრძელდა მოსკოვში რეგიონალურ თანამშრომლობასთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობდა ისრაელი, იორდანიულ-პალესტინური დელეგაცია და საერთაშორისო საზოგადოება. თუმცა ამ შეხვედრებს აღარ ესწრებოდა ლიბანი და სირია.

რაც შეეხება თავად მიღწევებს რაც ამ კონფერენციას ქონდა. ფერი და ჰარმსი თვლიან, რომ ამ კონფერენციას გაცილებით დიდი სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე რაიმე მიღწევა კონფლიქტის აღმოფხვრაში. მათი აზრით, ეს იყო პრეცედენტი, რომელიც შექმნეს მონაწილე სახელმწიფოებმა მხოლოდ იმით, რომ პირისპირ შეხვდნენ

⁹ The Palestine–Israel Conflict A Basic Introduction, Fourth Edition, Gregory Harms with Todd M. Ferry. Page 150

ერთმანეთს. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ისრაელი და პალესტინა ღია დიალოგის სახით შეხვდნენ ერთმანეთს.

ევროკომისიის 1998 წლის პრეს რელიზის მიხედვით,¹⁰ ახლო აღმოსავლეთის ამ სამშვიდობო პროცესმა, რომელიც ამ კონფერენციაზე დაიწყო ასევე დიდი იმედები დასახა, რომ ისრაელსა და მის არაბულ მეზობლებს შორის შესაძლებელი იყო სამართლიანი და გრძელვადიანი მშვიდობის დამყარება. მიუხედავად იმისა, რომ ამ კონფერენცია ამ გამოიღო სწრაფი შედეგი, ორმხრივი აღიარება და პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყება ისრაელსა და პალესტინის გამათავისუფლებელ ორგანიზაციას შორის ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამან გამოიწვია სამშვიდობო პროცესის დაწყება რეგიონულ დონეზე. ისრაელმა და იორდანამ ხელი მოაწერეს სამშვიდობო შეთანხმებას და ჩამოყალიბდა პალესტინის ხელისუფლება რაც შეეხება ევროკავშირის ჩართულობას, მან უზრუნველყო ეკონომიურად ეს სამშვიდობო პროცესი დიდი საერთაშორისო პროგრამის დახმარებით: 1,680 მილიონი ევროს დონაციით მხოლოდ 1993-97 წლებისთვის. პარალელურად, ევროკავშირმა შეინარჩუნა მისი დამატებითი პოლიტიკური როლი.

1.3 ოსლოს შეთანხმება

ოსლოს შეთანხმებები ორი ნაწილისგან შედგება და გულისხმობს ისრაელის სახელმწიფოსა და პალესტინის გამათავისუფლებელ ორგანიზაციას შორის დადებულ შეთანხმებებს¹¹. პირველი შეთანხმება დაიდო ვაშინგტონში 1993 წლის სექტემბერში, ხოლო მეორე შეთანხმება ეგვიპტეში, კერძოდ კი ქალაქ ტაბაში დაიდო. ოსლოს შეთანხმებებმა საფუძველი ჩაუყარა მშვიდობის პროცესს, რომლის მიზანიც იყო გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული 242-ე და 338-ე რეზოლუციებზე დაყრდნობით

¹⁰ The Role of the European Union in the Middle East Peace Process and Its Future Assistance, Brussels, 16 January 1998, European Commission Press Release

¹¹ The Oslo Accords and the Arab-Israeli Peace Process, MILESTONES: 1993–2000, 2016, Webpage: <https://history.state.gov/milestones>

მშვიდობის შესახებ შეთანხმების მიღწევა და პალესტინელებისთვის თვითგამორკვევის უფლების გამოყენების საშუალების მიცემა.

ამ შეთანხმების სახელი უკავშირდება იმ გასაიდუმლოებულ მოლაპარაკებებს, რომელიც ოსლოში ჩატარდა. მთავარი მონაპოვარი ამ მოლაპარაკებებისა იყო ის, რომ ისრაელმა აღიარა პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაცია როგორც პალესტინელი ხალხის ოფიციალური წარმომადგენელი და მომლაპარაკებელი და პალესტინის გამათავისუფლებელმა ორგანიზაციამ აღიარა ისრაელი, როგორც სახელმწიფო. შეთანხმება გულისხმობდა ისრაელის სამხედრო ძალის გამოსვლას ღაზას სექტორიდან და დასავლეთ სანაპიროდან და პალესტინის თვითმმართველობის უფლების აღიარებას ამ ტერიტორიებზე.

ოსლოს შეთანხმება 2 ნაწილისგან შედგება. პირველი როგორც უკვე ვთქვი ურთიერთადიარების წერილებია, ხოლო მეორე მოიცავს პრინციპების დეკლარაციას, რაც ერთგვარი მომავალი საკითხების განხილვის გეგმა იყო. შეთანხმებაში შესული იყო იერიქონისა და ღაზას სექტორის ავტონომიად გადაქცევა, ასევე პალესტინის ადმინისტრაციისა და პოლიციის ჩამოყალიბება, პალესტინური საბჭოსა და თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირის არჩევისთვის არჩევნების დანიშვნა; პალესტინელებს ასევე დამოუკიდებლობა სურდათ ტურიზმის, განათლების, კულტურის, შემოსავლებისა, ჯანდაცვის საკითხებში. მაგრამ იცხაკ რაბინის მკვლელობას ეს სამშვიდობო პროცესი ფაქტიურად ჩაშალა. ამას დაერთო ისიც, რომ ისრაელს აღარ ემუქრებოდა საფრთხე იორდანიიდან და სირიიდან და პალესტინა ფაქტიურად მარტო დარჩა, რის გამოც პროცესმა სახელი იცვალა და გახდა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი და არა არაბულ-ებრაული კონფლიქტი.

1995 წელს ისევ მოხდა მოლაპარაკებების წამოწყება ამ ფორმატში, რომელსაც ტაბას მოლაპარაკებებსაც ეძახიან. ამ მოლაპარაკებებზე საუბარი იყო დასავლეთ სანაპიროს კონტროლის გადანაწილება ებრაელებსა და პალესტინელებს შორის. დასავლეთ სანაპირო 3 ნაწილად დაიყო, რომელიც შემდეგნაირად უნდა გადაცემოდა პალესტინას:

- ზონა A: დასავლეთ სანაპიროს 3 პროცენტი პალესტინის კონტროლის ქვეშ, რომელიც მოიცავდა ძირითად ქალაქებს: ბეთლემი, ჯენინი, ნაბლუსი, რამალა, ქალქილია, თულკარმი, იერიქონი და ჰებრონი.

- ზონა B: დასავლეთ სანაპიროს 24 პროცენტი ებრაულ-პალესტინური კონტროლის ქვეშ, რომელშიც 450 სოფელი და ქალაქი შედიოდა;
- ზონა C: დასავლეთ სანაპიროს 73 პროცენტი ისრაელის კონტროლის ქვეშ (მათ შორის იერუსალიმი, სამხედრო ბაზები, სახელმწიფო მიწები, ებრაული დასახლებები და ა.შ. ამ გადანაწილებამ არაერთგვაროვანი შეფასება იქონია ორივე მხარეს. განსაკუთრებით მწვავე აღმოჩნდა ებრალების რეაქციაც, რომლებიც იმდენად უკმაყოფილონი იყვნენ მოლაპარაკებების შედეგებით, რომ 1995 წელს იცხაკ რაბინი ახალგაზრდა ებრაელმა სამართლის სტუდენტმა მოკლა, რათა „დაეცვა ისრაელი რაბინის მავნებლური პოლიტიკისგან, რომელიც ცდილობდა მიწების გადაცემას პალესტინელებისთვის.“¹²

¹² The Palestine–Israel Conflict - A Basic Introduction, Fourth Edition by Gregory Harms with Todd M. Ferry, page 157

თავი II. ევროკავშირის ჩართვა კონფლიქტში

იმისათვის, რომ გავიგოთ რა გავლენა იქონია ევროკავშირმა კონფლიქტის მოგვარებაზე და როგორია მისი პოლიტიკა რეგიონში, აუცილებელია იმის გარკვევა რა დამოკიდებულება ქონდა ისრაელს და პალესტინას ევროპულ საზოგადოებასთან.

ჰაიმ იაკობი და დევიდ ნიუმანი, თავის სტატიაში “ევროკავშირი და ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი”, განიხილავენ თუ როგორ აღიქვამდნენ ებრაელები და პალესტინელები ევროპას. ებრაელებისთვის ევროპა იყო ადგილი სადაც მოხდა ჰოლოკოსტი. ისრაელის ჩამოყალიბებისას, ებრაელები სახელმწიფოს აყალიბებდნენ ევროპული სახელმწიფოს პრინციპებზე, რადგან მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სწორედ ევროპელი ებრაელების შთამომავლები იყვნენ. მეორე მხრივ, პალესტინელებისთვის ევროპა იყო იმედის მომცემი ძალა, რომელიც შეიძლება აშშ-ის საპირწონე ძალა გამხდარიყო მათი უფლებების დაცვაში.¹³

ევროპის სხვადასხვა ქვეყანა რა თქმა უნდა სხვადასხვა დოზით იყო ჩართული ამ კონფლიქტში. მაგალითად დიდი ბრიტანეთის ინტერესები ამ რეგიონში გაცილებით დიდი იყო, რადგან ოსმალთა იმპერიის დაშლისტანავე ეს ტერიტორია ბრიტანული კოლონიის ნაწილი გახდა 1948 წლამდე. და ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგაც ევროპა ცდილობდა ჩართულიყო და ზეგავლენა მოეხდინა იქ განვითარებულ მოვლენებზე. ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პირველ წლებში ისრაელი განსაკუთრებული სიფრთხილით ურთიერთობდა გერმანიასთან და დიდ ბრიტანეთთან რადგან დიდი ბრიტანეთი ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბების წინააღმდეგი იყო, ხოლო გერმანია ჰოლოკოსტის მთავარი მიზეზი გახლდათ. ევროპაში 1960-იან წლებამდე ისრაელის მთავარი საყრდენი მაინც საფრანგეთი იყო, რაც საფრანგეთის მიერ დიმიონას ატომური რეაქტორის მშენებლობაში დახმარებაშიც გამოიხატა.¹⁴

1960-იანი წლებიდან შეიცვალა დამოკიდებულება დასავლეთ გერმანიის მიმართ. 1965 წელს ჩამოყალიბდა დიპლომატიური ურთიერთობები ისრაელსა და გერმანიის

¹³ “The EU and The Israel-Palestine Conflict” – Haim Yacobi and David Newman, page180.

¹⁴ “The EU and The Israel-Palestine Conflict” – Haim Yacobi and David Newman, page181.

ფედერალურ რესპუბლიკას შორის. ამისი მთავარი მიზეზი 1950-იანი წლებიდან დაწყებული რეპარაციების შეთანხმება იყო. კონრად ადენაუერმა და დავიდ ბენ გურიონმა მიიღეს გადაწყვეტილება შერიგებულიყვნენ და საფუძველი ჩაეყარათ მომავალი პარტნიორობისთვის. დღეს კი გერმანია ისრაელისთვის აშშ-ის შემდეგ პირველი სავაჭრო პარტნიორია.

ევროკავშირის ქვეყნების ნაწილის და ისრაელის ურთიერთობები 1967 წლის 6 დღიანი ომის შემდეგ გაუარესდა. მაგრამ მკვეთრად გამოვლინდა ეს ყველაფერი იომ-ქიფურის ომის შემდეგ უფრო მკვეთრად გამოიხატა. იომ-ქიფურის ომის შემდეგ ნავთობის ექსპორტიორ სახელმწიფოთა ორგანიზაციამ დააწესა ემბარგო ნავთობზე იმ ქვეყნებისთვის, რომელიც მხარს უჭერდა ისრაელს ომის დროს. ემბარგო მიმართული იყო კანადისკენ, იაპონიისკენ, ნიდერლანდებისკენ, დიდი ბრიტანეთისკენ და აშშ-სკენ. სწორედ ეს ემბარგო გახდა ბერკეტი ევროპის წინააღმდეგ და ამით “ოპეკი” (ნავთობის ექსპორტიორი სახელმწიფოების ორგანიზაცია) უბიძგებდა ევროპულ სახელმწიფოებს მეტი ყურადღება მიექციათ კონფლიქტისთვის და ჩართულიყვნენ მასში. ამ მოვლენებმა კიდევ უფრო გააძლიერა პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაციის პოზიცია და საერთაშორისო პოლიტიკურ სცენაზეც უკვე არიქმებოდა როგორც პალესტინელი ხალხის სრულიად ლეგიტიმური წარმომადგენელი. ევროპული საზოგადოების ვექტორიც ნელ-ნელა ისრაელიდან პალესტინისკენ გადაიწია და სწორედ ევროპა გახდა ის აქტორი, რომელიც მხარს უჭერდა პალესტინის თვითგამორკვევის იდეას.

2.1. ვენეციის დეკლარაცია

1980 წელს ევროპული თანამეგობრობის 9 წევრმა (ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, დანიის სამეფო, ირლანდიის რესპუბლიკა და გაერთიანებული სამეფო) მიიღო ვენეციის დეკლარაცია, რომელიც 11 პუნქტისგან შედგებოდა. დეკლარაციის მთავარი დასკვნები შემდეგი იყო:¹⁵

¹⁵ Venice European Council Declaration - EEAS, June 13, 1980

- შექმნილი სიტუაცია დიდ საფრთხეს უქმნის რეგიონში მშვიდობის შენარცუნებას, ამიტომ აუცილებელია კიდევ უფრო მეტად ჩაერთონ კომპლექსური გადაწყვეტილების მონახვის პროცესში;
- ევროპული თანამეგობრობა თვლიდა, რომ დადგა დრო მომხდარიყო ყველა სახელმწიფოს არიარების დრო. რომელსაც ჰქონდა არსებობის უფლება, როგორც იყო მაგალითად ისრაელი, და იყო დრო დამდგარიყო სამართალი ყველა ხალხისთვის, მათ შორის პალესტინელი ხალხისთვისაც.
- ყველა სახელმწიფოს ამ რეგიონში უნდა ცხოვრობდეს მშვიდად დაცული, აღიარებული და გარანტირებული საზღვრებით. ხოლო მშვიდობის დამყარებისთვის და საჭირო გარანტიები უნდა უზრუნველყოს გაერომ უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების და სხვა ყოველმხრივ შეთანხმებული რეგულაციების საფუძველზე. ამის განსახორციელებლად კი 9 სახელმწიფო მზად იყო ჩართულიყო მშვიდობის დამყარებისთვის ბრძოლაში.
- დეკლარაციაში ნათქვამია, რომ აუცილებელია პალესტინის პრობლემის მოგვარება, რაც არ გულისხმობს უბრალოდ ლტოლვილები პრობლემას. მშვიდობის დამყარების პროცესმა სრულად უნდა უზრუნველყოს პალესტინის თვითგამორკვევის უფლება.
- ამ მიზნების მისაღწევად კი ევროპული თანამეგობრობა თვლიდა, რომ აუცილებელი იყო ყველა მხარის ჩართულობა იმ პრინციპების გათვალისწინებით რაზეც ზემოთ იყო ლაპარაკი. ეს პრინციპები დეკლარაციით ეხება პალესტინელ ხალხსა და პალესტინისა გამათავისუფლებელ ორგანიზაციას, რომელიც პალესტინელების წარმომადგენელია მოლაპარაკებების პროცესში.
- ცხრავე ქვეყანა აღიარებდა და ხვდებოდა იერუსალიმის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ყველა მხარისთვის. ამიტომ თანამეგობრობა აცხადებდა, რომ არ მიემხრობოდა არცერთ ცალმხრივ გადაწყვეტას თუ ყველა მხარეს არ ექნებოდა საშუალება წმინდა ადგილების მონახულებისა.
- თანამეგობრობა ხაზს უსვამდა ისრაელის მიერ 1967 წლის შემდეგ ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლების მნიშვნელობას და თვლიდნენ რომ ებრაული დასახლებების ზრდა ამ ტერიტორიებზე სერიოზულ პრობლემას უქმნიდა მშვიდობის დამყარების პროცესს რეგიონში. თანამეგობრობის წევრები ასევე თვლიდნენ, რომ

ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე ამ დასახლებების გაჩენა და ნებისმიერი დემოგრაფიული ცვლილება არღვევს საერთაშორისო სამართალს.

- იმისათვის რომ დამთავრებულიყო ძალადობა ამ რეგიონში, თანამეგობრობა 2 გამოსავალს ხედავდა: ძალის სრული გამოუყენებლობა ან ძალის გამოყენების მუქარა ორივე მხრიდან შეაჩერებს კონფლიქტს და მის ჩაწყნარებას შეუწყობს ხელს.
- ამ ყველაფრის მისაღწევად თანამეგობრობამ დაამყარა საჭირო კონტაქტები ყველა ჩართულ მხარესთან, რაც ემსახურებოდა მიზანს, გაეგო თანამეგობრობას რამდენად ეთანხმებიან მხარეები ზემოთქმულ პრინციპებს და რა სახით შეიძლება ამ პრინციპების განხორციელება.

ამ დეკლარაციამ დიდი გამოხმაურება მოიპოვა როგორც ისრაელში, ისევე პალესტინაში. ისრაელი უკმაყოფილო იყო ევროპული პოლიტიკით და თვლიდა, რომ ევროპულმა თანამეგობრობამ ცალმხრივი გადაწყვეტილება მიიღო და არ გაითვალისწინა ისრაელის უფლებები. პალესტინელები კი თვლიდნენ, რომ დეკლარაციაში არ იყო ნახსენები ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორც იყო იორდანია და დასავლეთ ნაპირი. ისრაელი თვლიდა, რომ ვენეციის დეკლარაცია ზედმეტად იყო პოლიტიზირებული და ამიტომ აღარ სურდა ევროპული თანამეგობრობის ჩართვა კონფლიქტის მოგვარების პროცესში. სიტუაცია მხოლოდ მადრიდის კონფერენციაზე შეიცვალა, სადაც ევროპული თანამეგობრობა უმცროსი პარტნიორი იყო. ევროკავშირს დაევალა რეგიონალური ეკონომიკური განვითარების სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბება, იგივე REDWG.

მიუხედავად იმისა, რომ თავად მშვიდობის დამყარების პროცესში ამ ჯგუფებმა დიდი წარმატება ვერ ნახა, სწორედ ამ ჯგუფებმა გააერთიანა იორდანელები, პალესტინელები, ებრაელები და ეგვიპტელები რათა შეემუშავებინათ რეგიონის გასავითარებელი საერთო პროექტები. რა თქმა უნდა ევროკავშირი პირველ რიგში ეკონომიკური გაერთიანებაა, ამიტომ მისი ჩართულობაც კონფლიქტის მეტწილად ეკონომიკური სახის უფრო იყო, ვიდრე პოლიტიკური, მაგრამ ვენეციის დეკლარაციის შემდეგ მადრიდის კონფერენციის ამ სამუშაო ჯგუფების შექმნით ევროკავშირი ჩაერთო კონფლიქტის მოგვარების პროცესში.

1990-იან წლებში ევროკავშირმა აქტიურად დაიწყო ვაჭრობა როგორც ისრაელთან, ისე პალესტინასთან. პალესტინისთვის ევროკავშირი ძლიერი ფინანსური საყრდენი აღმოჩნდა.

2.2. პირველი ინტიფადა

1987 წელს ისრაელის თავდაცვის ძალების მანქანა შეეჯახა ავტომობილს ლაზაში, რომელსაც პალესტინელი მუშები მიყავდა სამსახურიდან სახლში. გარდაიცვალა 4 ადამიანი, ხოლო 7 მძიმედ დაიჭრა. ამ ავარიის მიზეზად სახელდებოდა ებრაელი მოქალაქის წამების ფაქტი ერთი კვირით ადრე. პალესტინელი გარდაცვლილების დაკრძალვაზე ათასობით ადამიანი მივიდა და გლოვა ნელ-ნელა საპროტესტო აქციაში გადაიზარდა. ისრაელმა დაშალა ეს აქცია ცრემლსადენი გაზით, რასაც ემსხვერპლა ახალგაზრდა პალესტინელი ჰატემ ალ სისი. იგი გახდა წამებულის სიმბოლო, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა საპროტესტო მუხტი და დაიყო პირველი ინტიფადა, რაც გამოფხიზლებას ნიშნავს. 1967 წლის შემდეგ პირველ ინტიფადამდე ისრაელში წელიწადში დაახლოებით 3000-მდე საპროტესტო გამოსვლები ტარდებოდა ხოლმე. ამ ინციდენტის შემდეგ კი მაცვენებელმა 42000-ს მიაღწია. დაიწყო გამოსვლები, პალესტინელები უარს აცხადებდნენ გადაეხადათ გადასახადები, ემუშავათ ისრაელისთვის და ა.შ. ხდებოდა სისხლიანი დაპირისპირებები, რის შედეგადაც უამრავი სამოქალაქო პირი გადაიცვალა. მსხვერპლის რაოდენობა ათასებამდე ავიდა.

და მიუხედავად ამ დანაკარგისა, პალესტინელმა ხალხმა ამით გაამყარა იდეა, რომ ერთი სახელმწიფოს პირობებში შეუძლებელი იქნება ებრაელებისა და პალესტინელების თანაარსებობა. სწორედ პირველმა ინტიფადამ გაამყარა ორი სახელმწიფოს ჩამოყალიბების იდეა.

2.3. მეორე ინტიფადა

მეორე ინტიფადა 2000 წელს დაიწყო და კემპ დევიდის არშემდგარი მოლაპარაკებების წინააღმდეგ იყო მიმართული. მაშინდელი ისრაელის პრემიერ მინისტრი ეჰუდ ბარაკი და პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაციის ლიდერი იასირ არაფატი ვერ მივიდნენ საერთო გადაწყვეტილებამდე. ისრაელი უარყოფდა პალესტინას როგორც სახელმწიფოს და არც პალესტინელი ლტოლვილების დაბრუნებაზე იყო თანახმა. ამიტომ პალესტინის, როგორც სახელმწიფოს აღიარება გადაიდო.

28 სექტემბერს კი არიელ შარონი ალ-აქსას მეჩეთსი შევიდა ებრაულ პოლიციასთან ერთად, რათა ეჩვენებინა პალესტინელებისთვის, რომ ალ-აქსას მეჩეთი ისრაელის კონტროლის ქვეშ რჩებოდა. მუსლიმური წმინდა ადგილის შეურაცხყოფამ პალესტინელები გაამწარა და მეორე დღესვე დაიწყო გამოსვლები. ეს იყო გამოსვლები, სადაც ჩანდა, რომ პალესტინელებმა ვერ იპოვეს სამართალი მოლაპარაკებებით და ისინი მზად იყვნენ ახლა თავად ემოქმედათ. ეს გამოსვლები იერუსალიმის ძველ ქალაქში დაიწყო. 7 პალესტინელი ემსხვერპლა ამ გამოსვლებს, ხოლო 300-ზე მეტი დაშავდა. 2003 წელს მაჰმუდ აბასის პალესტინის პრემიერად არჩევის შემდეგ მოლაპარაკებები განახლდა, მაგრამ უშედეგოდ. მხოლოდ იასირ არაფატის გარდაცვალების შემდეგ, 2004 წელს დაიწყო ინტიფადას ჩაწყნარება რაც 2005 წელს, შარმ-ელ-შეიხში შარონსა და აბასს შორის ცეცლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით დასრულდა.

თავი III. სევილიის 2002 წლის დეკლარაცია

მეორე ინტიფადას ევროკავშირი ევროსაბჭოს 2002 წლის სამიტზე გამოეხმაურა. 2002 წლის ივნისში სევილიაში ჩატარდა ევროკავშირის საბჭოს სამიტი, სადაც ევროკავშირის მინისტრთა საბჭომ დაგმო ის საშინელი ძალადობა რაც ხდებოდა იერუსალიმში, ღაზას სექტორსა და დასავლეთ სანაპიროზე. სამიტის პრეს რელიზში, ევროკავშირი მოუწოდებდა კონფლიქტის ორივე მხარეს, რომ დამორჩილებოდნენ გაეროს უშიშროების საბჭოს 1996 წელს მიღებულ 1073-ე რეზოლუციას¹⁶. ევროკავშირი მოუწოდებდა როგორც ისრაელის მთავრობას, ისე პალესტინას არ დაემვათ ძალადობის ფაქტები და თავი შეეკავებინათ ნებისმიერი გამონათქვამისგან თუ ქმედებისგან, რომელიც კიდევ უფრო გაამწვავებდა სიტუაციას. ევროკავშირი ასევე მოუწოდებდა მხარეებს თავი შეეკავებინათ არაპროპორციული ძალის გამოყენებისგან, რაც გულისხმობდა ცეცხლსასროლი იარაღის, ტანკებისა და სამხედრო ვერტმფრენების გამოყენებას. ევროკავშირი აცხადებდა, რომ პალესტინის ადმინისტრაციას უნდა გაეკონტროლებინა ავტონომიური ერთეულები და აღესრულებინა კანონი ამ ტერიტორიებზე (კონკრეტულად A ზონაში). ევროკავშირი ასევე ამბობდა, რომ ხვდებოდა ამ ძალადობის მიზეზებს და რომ მთავარი მიზეზი იყო გაყინული მდგომარეობა კონფლიქტის მოგვარების პროცესში. ამ სამიტზე ისიც იყო ნახსენები, რომ პალესტინელების მდგომარეობა იერუსალიმში საფრთხის წინაშე იყო და აუცილებელი იყო მშვიდობის პროცესის გაგრძელება ისე, რომ არ დაერღვიათ ოსლოს სელშეკრულება, რასაც ორივე მხარემ მოაწერა ხელი და ამასთანავე, არ მომხდარიყო რაიმე ცვლილება იერუსალიმის წმინდა ადგილების სტატუსთან დაკავშირებით.

ევროკავშირმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ იერუსალიმის სტატუსი განისაზღვრებოდა გაეროს უშიშროების საბჭოს 242-ე რეზოლუციით და ის არ ეკუთვნოდა ისრაელს, ამიტომ დაუშვებელი იყო ნებისმიერი ძალის გამოყენება ამ ტერიტორიაზე. ევროკავშირი ამტკიცებდა, რომ არმოსავლეთ იერუსალიმი, ისევე

¹⁶ Resolution 1073 (1996), Adopted by the Security Council at its 3698th meeting, on 28 September 1996, Webpage: <https://unispal.un.org/DPA/DPR/unispal.nsf/0/EE9FD45E870EF244852563B5004AC1C6>

როგორც სხვა ოკუპირებული ტერიტორიები ქენევის მეოთხე კონვენცია იყო დასაცავი, რაც საომარი მოქმედებების დროს სამოქალაქო პირების დაცვას გულისხმობს.

საბჭო ითხოვდა ხმელთაშუა ზღვის პატნიორობის შეთანხმება გაეთვალისწინებინა ისრაელს და აელო პასუხისმგებლობა და იმ შეთანხმებების იმპლემენტაცია მოეხდინა, რომელიც უკვე ჰქონდა მიღწეული პალესტინის გამათავისუფლებელ ორგანიზაციასთან.

ევროსაბჭომ ასევე გამოყო ის სფეროები რასიც აუცილებელი იყო პროგრესი, იმისათვის რომ მშვიდობის პროცესი დამდგარიყო:

- „პალესტინელი ტყვეების გატავისუფლება; ყველა არსებული შეთანხმების იმპლემენტაცია და ისრაელის ჯარების ჰებრონიდან გამოყვანა;
- ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება პალესტინელებისთვის; დაზას სექტორსა და დასავლეთ სანაპიროზე მშვიდობიანად გადაადგილების გარანტიის მიცემა;
- საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების ჩამოსვლისთვის ყველანაირი დაბრკოლების მოხსნა
- თანამშრომლობის განახლება რათა ისრაელმა და პალესტინამ უზრუნველყონ შიდა უსაფრთხოება თავის ტერიტორიებზე
- ისეთი ზომების მიღებისგან თავის შეკავება, რომელიც გავლენას იქონიებს მოალაპარაკებების საბოლოო შედეგზე, მათ შორის მიწის ანექსია, სახლების დემონტაჟი, ახალი დასახლებების მშენებლობა და ამ დასახლებების ზრდა.
- ოსლოს შეთანხმების მოალაპარაკებების შემდეგ ეტაპში ჩართვა.“¹⁷

ევროკავშირი მიესალმებოდა ინიციატივას მხარეების ვაშინგტონში შეხვედრასთან დაკავშირებით და იმედოვნებდა, რომ ეს შეხვედრა მიიყვანდა მხარეებს კონსტრუქციული მოლაპარაკებების ხელახლა დაწყებამდე მადრიდის დეკლარაციის პრინციპებზე დაყრდნობით. ევროკავშირი თვლიდა, რომ პარტნიორობა უსაფრთხოების განხრით, რომელიც შეიქმნა პალესტინასა და ისრაელს შორის მშვიდობის პროცესის ერთ-ერთი მთავარი მიღწევა იყო. ამიტომ მოუწოდებდნენ ორივე მხარეს აღედგინათ სამშვიდობო პროცესი თანამშრომლობითა და ნდობით. ევროკავშირი მზად იყო

¹⁷ European Commission, Press Release Database. Webpage: http://europa.eu/rapid/press-release_PESC-96-83_en.htm

მოლაპარაკების ნებისმიერ დონეზე დახმარებოდა ისრაელის მთავრობასა და პალესტინის ხელისუფლებას. ევროკავშირი მოუწოდებდა ისრაელს გამოეცინა კეთილგონიერება და ეფიქრა კარგ მეზობლურ ურთიერთობებზე თავის პალესტინელ მეზობელთან, რადგანაც გრძელვადიან პერსპექტივაში ისევ ისრაელისთვის იქნებოდა ეს კარგი.

პრეს რელიზში ასევე ნახსენებია, რომ 1996 წლის ფლორენციის სამიტის საფუძველზე, ახლო აღმოსავლეთში მშვიდობა ევროკავშირის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს. შესაბამისად, ევროკავშირი მზადაა აქტიურად ჩაერთოს მოლაპარაკებების განახლებაში, რათა ეს ინტერესები გატარდეს და სამშვიდობო პროცესიც განახლდეს.

თავი IV. ევროკავშირის ხმელთაშუა ზღვის პარტნიორობა (EMP)

ევროკავშირმა შეძლო ისრაელისა და პალესტინის ჩართვა თავის ხმელთაშუაზღვის პარტნიორობაში. ამ სავაჭრო პარტნიორობის მთავარი მიზანი იყო თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნა ევროკავშირსა და ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნებს შორის. მთავარი ამოსავალი წერტილი იყო სამხრეთ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან სავაჭრო ბარიერების მოხსნა და რაც შეიძლება მეტი ინვესტიციების განხორციელება როგორც ევროკავშირის ქვეყნებთან, ისე თავად ამ ქვეყნებს შორისაც. ევროკავშირ-ხმელთაშუა ზღვის ასოცირების შეთანხმებების ირიისა და ლიბიის გარდა ყველა სახელმწიფოსთან გაფორმდა, მათ შორის პალესტინასთანაც.

ამ შეთანხმებების მთავარი ჩარჩო ვაჭრობა და მოლაპარაკებებია ასოცირების ხელშეკრულებების გასაღრმავებლად. მოლაპარაკებები მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის, სერვისებით ვაჭრობის და რეგულაციების ლიბერალიზაციაზე.

კავშირის მიზანია შეიქმნას ისეთი საერთო გარემო, რომელიც იქნება მშვიდობიანი, სტაბილური და ყველასათვის მომგებიანი. ამ ურთიერთობების დარეგულირება კი ძირითადად ასოცირების ხელშეკრულებებით რეგულირდება. სამხრეთ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების უმეტესობა ჩართულია ამ ხელშეკრულებაში. მხოლოდ ლიბიასთან და სირიასთანაა მოლაპარაკებები შეწყვეტილი ამ დრომდე. ისრაელი ამ ხელშეკრულებას 1995 წელს შეუერთდა და უკვე იორდანიასთან ერთად ხელი მოაწერა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას. პალესტინა 1997 წელს შეუერთდა ასოცირების ხელშეკრულებას.

დღეს ეს პარტნიორობა უკვე ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ქვეშ გაერთიანდა. მაგრამ როგორც ნიუმანი იაკობი თვლიან, ამ ქმედებების გამო ევროკავშირი არა „მოთამაშე“, არამედ „გადამხდელი“.¹⁸ მაგრამ აქვს კი გავლენა ამ შეთანხმებებს თავად კონფლიქტის მოგვარების პროცესში? ეკონომიკური განვითარება რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი შედეგების დანახვა რთულია და დროში გაწელილი. ევროკავშირს კი არც თუ ისე ბევრი ბერკეტი აქვს ამ ქვეყნების საკონტროლებლად.

¹⁸ “The EU and The Israel-Palestine Conflict” – Haim Yacobi and David Newman, page183

მაგრამ ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია ამ კონფლიქტის მოგვარება, რადგან უკვე დიდი ხანია ჩართულია მოლაპარაკებების პროცესში და პალესტინის განვითარებაშიც დიდი თანხები აქვს დახარჯული. ევროკავშირის ფინანსური დახმარებით სტატუს კვოს შენარჩუნება რეგიონში უფრო მარტივია, რადგან მისი არარსებობის შემთხვევაში დიდი შანსია სტაბილურობა დაირღვეს და ჰუმანიტარული კრიზისის წინაღუ აღმოჩნდეს რეგიონი. და მიუხედავად სტატუს კვო-ს შენარჩუნებისა, ისრაელი კვლავ აგძელებს დასავლეთ სანაპიროსა და აღმოსავლეთ იუერუსალიმში დასახლებების გაშენებას. უსაფრთხოების კვლევების ინსტიტუტის სტატიამ „ევროპის ჩართულობა არაბულ-ებრაულ კონფლიქტში“ ავტორები გამოთქამენ მოსაზრებას, რომ შეიძლება ევროკავშირის გადასახადის გადამხდელებმა შეიძლება უარი თქვან ამ ხარჯებზე, რადგანაც მიუხედავად ამხელა ხარჯებისა, კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივა არ ჩანს.¹⁹

ამას ემატება ის ფაქტიც, რომ ევროპული პოლიტიკა და ნებისმიერი პოლიტიკური ნაბიჯი რასაც ევროკავშირი დგამს კონფლიქტის მოგვარებისთვის, ისრაელი განიხილავს როგორც პრო-პალესტინურ ნაბიჯს. ისრაელს არ აქვს ნდობა ევროკავშირის მიმართ, რაც რამდენიმე ფაქტორს შეიძლება დავაზრდოთ. პირველი, რომ ებრაელებს აქვთ ჰოლოკოსტის გამოცდილება ევროპაში და მეორე ვენეციის დეკლარაცია, რითაც ევროპულმა თანამეგობრობამ აღიარა, რომ პალესტინელ ხალხს თვითგამორკვევის უფლება აქვთ და რომ მათი ტერიტორიები ისრაელის მიერ არის ოკუპირებული, რაც საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგაა.

¹⁹ European Involvement In The Arab-Israeli Conflict - Muriel Asseburg, Michael Bauer, Agnès Bertrand-Sanz, Esra Bulut Aymat, Jeroen Gunning, Christian-Peter Hanelt, Rosemary Hollis, Daniel Möckli, Michelle Pace, Nathalie Tocci, Edited by Esra Bulut Aymat – European Union Institute of Security Studies (ISS), CHAILLOT PAPERS December 2010

თავი V. ევროკავშირის ჩართვის გზები

იაკობის და ნიუმანს ევროკავშირის ჩართულობის 4 პრინციპი მოყავთ, რითაც ევროკავშირი ცდილობს ამ კონფლიქტის მოგვარებას. ისინი თვლიან, რომ თვითოეულ მათგანს სხვადასხვა ეფექტი აქვს კონფლიქტის სხვადასხვა მხარეზე და ესენია: იძულებითი, მასტიმულირებელი, დამაკავშირებელი, კონსტრუქციული.

5.1. იძულებითი

ისრაელსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები ძირითადად ეკონომიკური ხასიათისაა. ისრაელი არ ცდილობს გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი, რადგანაც არ სურს დაუშვას თავისუფალი მიმოსვლა თავის ტერიტორიაზე. ამას ემატება ისიც, რომ ევროკავშირში შესვლასთან ერთად მას მოუწევს უამრავი რეგულაციის მიღება, რაც სულ არ აწყობს მას. ისრაელს ურჩევნია, რომ ევროკავშირისგან სარგებელი ისე მიიღოს რომ თავად რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯი გაწიოს. ევროკავშირის ხმელთაშუა ზღვის პარტნიორობის ფარგლებში ევროპული საინვესტიციო ბანკი აფინანსებს ებრაულ პროექტებს სხვადასხვა სფეროში. თუმცა მთავარი პრობლემა რაც დაუწესა ევროკავშირმა ისრაელს არის ის, რომ ევროკავშირი პარიზის შეთანხმების საფუძველზე თხოვს განასხვავოს ისრაელის ტერიტორიიდან და ოკუპირებული ტერიტორიებიდან წარმოებული პროდუქტის განსხვავებას. რადგანაც ევროკავშირს არ სურს პალესტინის ოკუპირებული ტერიტორიიდან წარმოებული პროდუქტის მიღება. გარკვეული დროის შემდეგ ისრაელი იძულებული გახდა დათანხმებულიყო ამ პოლიტიკას და მიეთითებინა არა მარტო ქვეყანა, არამედ ქალაქიც, სადაც იყო წარმოებული პროდუქტი. მაგრამ მაინც განაცხადა, რომ ეს ტერიტორიები ნებისმიერი შეთანხმების შემთხვევაში ისრაელს ეკუთვნოდა.

სხვა ქვეყნების შემთხვევაში თუ ევროკავშირი წევრობას სამართავ ბერკეტად იყენებს, ისრაელისთვის ეს არარელევანტურია. ისრაელი თვლის, რომ ევროკავშირის ეკონომიკური სანქციები კი რა თქმა უნდა დააზიანებს მის ეკონომიკას, მაგრამ არა ისე, როგორც თავად ევროპას, რადგან ევროკავშირს უფრო მეტი ექსპორტი აქვს ისრაელში, ვიდრე იმპორტი. ისრაელი გაცილებით მეტადაა აშშ-ზე დამოკიდებული

ეკონომიკურად, ვიდრე ევროკავშირზე. ამიტომ იძულებითი დამოკიდებულება არარელევანტურია ამ შემთხვევაში.

5.2. მასტიმულირებელი

რა თქმა უნდა ევროკავშირის გავლენა პალესტინაზე გაცილებით დიდია ვიდრე ისრაელზე. ევროკავშირს არ ჭირდება იძულებითი მიდგომის გამოყენება პალესტინაზე, რადგან პალესტინა ზედმეტადაა დამოკიდებული მასზე როგორც ეკონომიკურად, ისევე პოლიტიკურად და ინსტიტუციურად. პალესტინა იღებს ევროკავშირის ყველაზე დიდ ფინანსურ დახმარებას, რასაც ის იყენებს სახელმწიფო ინსტიტუტების გასავითარებლად და სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ევროკავშირი სტიმულირებას უკეთებს ჰუმანიტარული დახმარების გაწევას პალესტინაში. ეხმარება მუნიციპალიტეტებს, ჯანდაცვისა და განათლების სფეროებს და ა.შ.

ევროკავშირის მთავარი მიზანია პალესტინამ შეძლოს ძლიერი ინსტიტუტების ჩამოყალიბება და სახელისუფლებო წრეებში რეფორმების გატარება. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, 2003 წელს დაიწყო სასამართლო სისტემის რეფორმა, რაც ითვალისწინებდა პროკურორების და მოსამართლეების გადამზადებასა და სასამართლოების განახლებას. ამას დამატა ისიც, რომ ბიუჯეტი გახდა გამჭვირვალე. პალესტინის მკვლევარების ნაწილისთვის ევროკავშირის დახმარება პალესტინისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას ატარებს, ხოლო ზოგი მკვლევარი ფიქრობს რომ ევროკავშირი ზედმეტად ერევა პალესტინის შიდა საქმეებში. ყოველ შემთხვევაში ყველა თანხმდება, რომ ევროკავშირის მცდელობას, რომ პალესტინის ეკონომიკის განვითარების სტიმულირება მოახდინოს, მოყვება ის, რომ ისრაელი დაინახავს რომ პალესტინა შეიძლება მისი ძალიან კარგი პარტნიორი გახდეს მომავალში როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურადაც. ამიტომაც იაკობი და ნიუმანი თვლიან, რომ მასტიმულირებელი მიდგომა, რომელიც დემოკრატიული და ადმინისტრაციული რეფორმების ერთობლიობაა, გაცილებით მეტს აკეთებს კონფლიქტის მოგვარებისთვის ვიდრე პირდაპირი პოლიტიკური ინტერვენცია შეძლებდა.

5.3. დამაკავშირებელი

დამაკავშირებელი მიდგომა გულისხმობს იმ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას ორივე ტერიტორიაზე, რომელიც ცდილობს მოლაპარაკებები აწარმოოს თავად ებრაულ და პალესტინურ მოსახლეობებს შორის, რათა არ მოხდეს სრული გაუცხოვება და კონფლიქტის მოგვარება მეტად რეალური გახდეს. მეორე ინტიფადას (2000-2005 წწ. როდესაც კვლავ განახლდა ამბოხება ისრაელის წინააღმდეგ) დროს სწორედ ასეთი მიდგომით ცდილობდა ევროკავშირი რაც შეიძლება მეტი მოლაპარაკებები ყოფილიყო კონფლიქტის მოსაგვარებლად. მიუხედავად ამისა, ებრაულმა მხარემ არც თუ ისე კარგად მიიღო ეს ქმედებები და ევროკავშირს პრო-პალესტინური პოლიტიკის გატარებაში ადანაშაულებდნენ. ჩამოყალიბდა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“, რომელიც მიზნად ისახავდა ებრაული და პალესტინური მხარეების ჩართულობას მშვიდობის დამყარებაში. მაგრამ ამ მიდგომამ სამწუხაროდ კონფლიქტის მოგვარების ნაცვლად ანტი-ევროპული სენტემენტები გააღვიძა ებრაულ მოსახლეობაში. აკადემიურ და დიპლომატიურ დონეზე ამ მიდგომამ ხელი შეუწყო კონტაქტების გაჩენას ებრაულ და პალესტინურ მხარეებს შორის, მაგრამ ეს უფრო ელიტებს ეხება ვიდრე მთლიან მოსახლეობას, რომელსაც მაინც არ აქვს წვდომა ასეთ ორგანიზაციებთან.

5.4. კონსტრუქციული

კონსტრუქციული მიდგომის განხორციელება ყველაზე რთულია, რადგან ის იდენტობის ცვლილებას გულისხმობს. გრძელვადიანი ცვლილება თავის მხრივ მოითხოვს არა მუდმივ ძალადობასა და არეულობას, არამედ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ ევროკავშირი ცდილობს მოხსნას ეთნიკური და ნაციონალური ბარიერები ამ ობიექტებს შორის, ისინი კი პირიქით იმიტომ, რომ კონფლიქტი ნაციონალური ხასიათისაა რთულია საერთო იდენტობასა და ინტეგრაციაზე საუბარი. ეს განაპირობებს კონსტრუქციული მიდგომის სირთულეს ამ შემთხვევისთვის.

თავი VI. მიდგომების ეფექტურობა

რაც შეეხება თავად მიდგომების შედარებას, როგორც უკვე ვთქვით იძულებითი მიდგომა არც თუ ისე გამოსადეგი გამოდგა ისრაელთან მიმართებაში. რადგან ისრაელი არ აპირებს ევროკავშირის წევრობას, მაშასადამე ბერკეტიც ძალიან სუსტი აქვს ევროპას ისრაელის წინააღმდეგ. სამაგიეროდ პალესტინის განვითარებაშია ჩართული ევროკავშირი და იმხელა დაფინანსებას აძლევს პალესტინას, რომ მას სხვა გზა არ რჩება, უნდა გაატაროს რეფორმები, რომ გახდეს დამოუკიდებელი ქვეყანა. ძალიან კარგად მუშაობს დამაკავშირებელი მიდგომა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით ცდილობს ორ ხალხს შორის დაიწყოს დიალოგი. ამ მიდგომის პრობლემა ისაა, რომ იგი ორიენტირებულია არა დიდ მასებზე, არამედ კონკრეტულ პატარა ჯგუფებსა და ელიტებზე. მიუხედავად ამისა, ეს მიდგომა ხშირ შემთხვევაში ურთიერთობის ერთადერთი წყაროა ორ ხალხს შორის. აუცილებელია უბრალოდ მასშტაბების გაზრდა, რათა მოლაპარაკებებში რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩაერთოს. კონსტრუქციული მიდგომა თითქმის ირელევანტურია ამ კონფლიქტის შემთხვევაში, რადგან ებრაელებისა და პალესტინელების იდენტობები ძალზედ ეთნოცენტრულია და ნაკლებად ცდილობენ ევროპული ნორმების გატარებას.

იაკობისა და ნიუმანის აზრით, იძულებითი და მასტიმულირებელი მიდგომები ძირითადად მაინც ხელისუფლებისა და ადმინისტრაციისკენაა მიმართული. ამიტომ ევროკავშირის ჩართულობას აღიქვამენ მათ შიდა საქმეებში ჩარევად, რაც ართულებს ევროკავშირისთვის ლეგიტიმურობის მოპოვებას. დამაკავშირებელი მიდგომა ძალიან ეფექტურია, რადგან ეფექტურად ახდენს კონფლიქტის მოგვარებაზე დახარჯული რესურსების გამოყენებას. კონკრეტულად იმ ჯგუფებს შორის აწარმოებს მოლაპარაკებებს, რომლებიც დაინტერესებულები არიან კონფლიქტის მოგვარებით, იქნებიან ესენი დიპლომატები, მეცნიერები თუ პოლიტიკური ელიტის წევრები. ეს ჯგუფები განსაზღვრავენ და აყალიბებენ უკვე შემდგომში საზოგადოებრივ აზრს და შეუძლიათ დიდი როლი შეასრულონ კონფლიქტის აღმოფხვრაში. რაც შეეხება კონსტრუქციულ მიდგომას, იაკობი და ნიუმანი თვლიან, რომ კონფლიქტის მოგვარების დასრულებამდე ამ მიდგომას არავითარი გამოყენება არ აქვს.

Pathway	Main EU institution	Main addressee	Nature of influence	Conditions
Compulsory	European Parliament; elected and appointed officials	Governments, particularly Israel political leadership	Economic pressure (EMP)	Conflict antagonism
Enabling	Aid agencies; European Commission	Governments; particular Palestine officials; local authorities	Political culture; democratisation	Conflict; fiscal dependency
Connective	European Commission	NGOs; grassroots	Local communities; grass-roots/civil society	Conflict resolution; peace industry; social and economic elites
Constructive	All	Political leadership and conflict societies	Identity-scripts	Post-conflict; peace/cooperation; integration

Overview of EU influence on Israel–Palestine – “The EU and The Israel-Palestine Conflict” – Haim Yacobi and David Newman

ევროკავშირისთვის რთულია მოიპოვოს ისრაელის ნდობა, რადგანაც მისი დახმარება პალესტინის გასავითარებლად ძალიან დიდი და მნიშვნელოვანია. ეს უნდობლობა არც თუ ისე უსაფუძვლოა. ევროკავშირს ბრალად დებდნენ იმაში, რომ მათ მიერ გადაცემული დახმარება, პალესტინამ იარაღის შესაძენად გამოიყენა. მიუხედავად უარყოფისა, ევროკავშირმა აღიარა რომ ბოლომდე არ ფლობდა ინფორმაციას რაში იყო დახარჯული მათ მიერ გადაცემული თანხები.

6.1. მედიაცია

რა თქმა უნდა როცა ვსაუბრობთ ევროკავშირის ჩართულობასა და მედიაციაზე ამ კონფლიქტში, თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროკავშირის გავლენა ამ მოლაპარაკებებზე გაცილებით მცირეა ვიდრე აშშ-ის, რადგან სწორედ აშშ არის ის მედიატორი, რომელიც კონფლიქტის ორივე მხარისთვის არის მისაღები. თავად ევროკავშირი ცალკე არ აწარმოებს მედიაციის პროცესს. ისრაელისთვის ვენეციის დეკლარაციის შემდეგ, რაც ევროკავშირმა პალესტინა აღიარა როგორც კონფლიქტის მხარე და მოთხოვა ისრაელს პალესტინის ოკუპირებული ტერიტორიების დატოვება.

მხოლოდ მადრიდის კონფერენციაზე შეძლო ევროკავშირმა კვარტეტში გაერთიანებით, გარკვეული ლეგიტიმაციის მოპოვებას. პასი პატოკალიო (2004) თვლის, რომ ისრაელისთვის ნებისმიერი არა ევროკავშირის წევრი ქვეყანა ბევრად მისაღები და სანდოა მოლაპარაკებებში. ამას ერთვის ისიც, რომ ევროკავშირი არაა სახელმწიფო და მის წევრ ქვეყნებს არ აქვთ უფლება ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღების. ნებისმიერი ნაბიჯი უნდა შეთანხმდეს კავშირის ყველა წევრ ქვეყანასთან, რაც ამ ინსტიტუტის, როგორც მედიატორის როლს, აკნინებს. ისრაელისთვის კი ევროკავშირი პრო-პალესტინურ პოლიტიკას ეწევა, რითაც არიზიანებს ისრაელს. ამას ერთვის ის ფინანსური თანხებიც, რასაც ევროკავშირი დებს პალესტინის, როგორც სახელმწიფოს, განვითარებაში. პასი პატოკალიო ასევე თვლის, რომ ისრაელი იმდენად ენდობა აშშ-ის პოლიტიკას, რომ ევროკავშირს შეუძლია თავისი ინტერესები აშშ-ის მხრიდან გაატაროს, რადგან სწორედ აშშ-ს ენდობა ისრაელი ყველაზე მეტად.

ევროკავშირის ძალიან დიდი პრობლემა ამ მედიაციაში არის ის, რომ ისრაელი განსხვავდება სხვა ქვეყნებისგანა, სადაც ევროკავშირი ჩართულია მშვიდობის დამყარების პროცესებში. ძალიან ხშირად ევროკავშირი იყენებს ამ ინსტიტუტში გაწევრიანების პერსპექტივას, როგორც ბერკეტს. რაც შეეხება ისრაელს, როგორც უკვე აღვნიშნეთ იძულებითი მიდგომა არ ჭრის, რადგან ევროკავშირის ექსპორტის დიდი წილი ისრაელზე მოდის, იმპორტი კი ძალიან მცირე დოზით. პირიქით შეიძლება ითქვას, რომ ისრაელი ერთადერთი ევროკავშირის არაწევრი ქვეყანაა, რომელიც კვლევისა და განვითარების პროგრამით სრულად სარგებლობს.

ევროკავშირი ცდილობს მართოს კრიზისული მდგომარეობები პალესტინაში, რადგან იგი პალესტინის ყველაზე დიდი ფინანსური დონორია, ამიტომ მისი ჩართულობა პალესტინის ადმინისტრაციულ საკითხებში გაცილებით დიდია, ვიდრე ისრაელისაში. პრობლემაც სწორედ ისაა, რომ მხარეები სხვადასხვანაირად აღიქვამენ ევროკავშირის მედიატორობას.

6.2. ევროკავშირის ხედვა

ევროკავშირი ხვდება, რომ ერთი სახელმწიფოს პირობებში ვერ მიიღწევა ის შედეგი, რასაც კონფლიქტის მოგვარება ქვია. ამიტომ აუცილებელია ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც უნდა დაეყრდნოს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციებს, მადრიდის პრინციპებს და არაბული მშვიდობის ინიციატივებს.²⁰ ევროკავშირის საგარეო მოქმედების სამსახურის 2016 წლის ოფიციალური დოკუმენტის თანახმად, “ევროკავშირი პარტნიორებთან ერთად მზად არის კვლავ ჩაერთოს მოლაპარაკებებში რამდენიმე პარამეტრის გათვალისწინებით (MEPP – EEAS):

- ორი სახელმწიფოს საზღვრების შესახებ შეთანხმება, 1967 წლის 4 ივნისს მიღებულ საზღვრებზე დაყრდნობით, რომელიც ორ მხარეს შორის მოლაპარაკებით მიიღწევა. ევროკავშირი დათანხმდება საზღვრებს, თუნდაც 1967 წლამდე მიღებულს და თუნდაც იერუსალიმზე, თუ ორივე მხარე მიაღწევს შეთანხმებას.
- უსაფრთხოების ზომები, რომლის მიხედვითაც პალესტინელების სუვერენიტეტს პატივს სცემენ და აჩვენებენ, რომ ოკუპაცია დასრულდა; ხოლო ისრაელი შეძლებს დაიცვას მისი უსაფრთხოება, ხელი შეუშალოს ტერორიზმის აღორძინებას და ეფექტურად გაუმკლავდეს საფრთხეს, მათ შორის რეგიონში გაჩენილ ახალ საფრთხეებს.
- ლტოლვილის საკითხის მარტივი, სამართლიანი, შეთანხმებული და რეალური გადაწყვეტის გზის მოძებნა.
- იერუსალიმის ორივე მხარის ინტერესების შესრულება. მოლაპარაკებების გზით გზა იერუსალიმის სტატუსის განსაზღვრა ისე, რომ ის გახდეს ორივე სახელმწიფოს დედაქალაქი მომავალში.”

ევროკავშირი ცდილობს დაეხმაროს პალესტინას ჩამოყალიბდეს სახელმწიფოდ და აღმოფხვრას ყველანაირი ადამიანის უფლებების დარღვევები, რაც ხდება ამ ტერიტორიაზე. ევროკავშირი მხარს უჭერს პალესტინის დემოკრატიზაციას.

²⁰ Middle East Peace Process - European External Action Service, 15 June 2016, web page: https://eeas.europa.eu/topics/middle-east-peace-process/337/middle-east-peace-process_en

2014 წელს ევროკავშირმა მხარი დაუჭირა პალესტინისა და ისრაელის პირდაპირი მოლაპარაკებების განახლებას და საგარეო საქმეთა მინისტრებთან ერთად სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერა გამოუცხადა ორივე მხარეს. ეს მხარდაჭერა სიტყვებად არ დარჩენილა და ძალიან მალე ევროკავშირმა წამოაყენა სპეციალური პრივილეგირებული პარტნიორობა, რომელიც გულისხმობს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას სამხრეთი ურთიერთობის გაძლიერებით. ევროკავშირი მხარს უჭერს ისეთ პროექტებს, რომლებიც ეხმარება ამ ორ რეგიონს მოლაპარაკებების გამართვაში, იქნება ეს “კვარტეტი” (გაერო, ევროკავშირი, რუსეთის ფედერაცია და აშშ), არაბული მშვიდობის ინიციატივა, თუ სხვა. ევროკავშირი ცდილობს გახდეს ცეცხლის შეჩერების გარანტი ისეთი მისიების შესაძლო გაფართოებითა და მანდატის გაზრდით, როგორცაა EUBAM Rafah (European Union Border Assistance Mission in Rafah) და EUPOL COPPS (EU Co-ordinating Office for Palestinian Police Support) (MEPP-EEAS,2016).

6.3. ევროკავშირის პოლიციის მისია პალესტინის ტერიტორიაზე

ევროკავშირის პოლიციის ქმედებებისა და კანონის უზენაესობის მისია, რომელსაც ოფიციალურად ევროკავშირის კოორდინირებული ბიურო პალესტინური პოლიციის დახმარების ქვია წარმოადგენს ევროკავშირის ზოგადი უსაფრთხოებისა და დაცვის პოლიტიკის მისიას პალესტინის ტერიტორიაზე, რომელიც განთავსებულია და ოპერირებს დასავლეთ სანაპიროზე. ეს არის ევროკავშირის ორი სახელმწიფოს ჩამოყალიბებით კონფლიქტის მოგვარების კონტექსტში არსებული მისია, რომლის მიზანიცაა პალესტინური სახელმწიფოს შენება. ეს მისია არის ერთ-ერთი სამოქალაქო მისიათაგანი, რომელიც პალესტინის ტერიტორიაზე ხორციელდება. მეორე როგორც უკვე ვახსენეთ ევროკავშირის საზღვრის დაცვაში დახმარების მისიაა რაფაში.

2004 წელს, ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა გამოთქვეს მზაობა დახმარებოდნენ პალესტინას სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებაში. ამისათვის კი პირველ რიგში გადაწყვიტეს პოლიციის სისტემის და კანონის უზენაესობის განმტკიცების რეფორმების გატარება. მისია 2005 წელს ევროპული საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე

ჩამოყალიბდა. მისიის მოქმედება დაიწყო ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ახლო აღმოსავლეთის მშვიდობის პროცესში, მარკ ოტტეს ოფისში.

მისია შედგება 114 შეუიარაღებულ თანამშრომლისგან, რომელთაგანაც 69 უცხო ქვეყნის მოქალაქეა, ხოლო დანარჩენი 45 თანამშრომელი ადგილობრივი მცხოვრებია. EUPOL COPPS-ს აქვს მოქმედების სამი ნაწილი. ესენია: პოლიციის სათათბირო, კანონის უზენაესობის ოფისი და პროგრამის შეფასების დეპარტამენტი. ყველა დეპარტამენტში მუშაობს გამოცდილი პოლიციის ოფიცრები, საჯარო მოხელეები და ეხპერტები, რომლებიც ევროკავშირის წევრი ქვეყნების, კანადის და ნორვეგიის მოქალაქეები არიან. თითქმის ყველა დონეზე ხდება ამ დეპარტამენტებს შორის თანამშრომლობა.

EUPOL COPPS-ის შტაბბინა მდებარეობს რამალაში და მისი მთავარ მიზანს წარმოადგენს პალესტინის მომავალ სახელმწიფოს დაეხმაროს კრიმინალისტიკისა და პოლიციური ინსტიტუტების განვითარებაში და გამყარებაში, მაგრამ ეს მოხდეს პალესტინური მხარის მიერ და ყველა საერთაშორისო სტანდარტის გათვალისწინებით. ევროკავშირის მიზანია უზრუნველყოს უსაფრთხოება პალესტინელი ხალხისათვის და განამტკიცოს კანონის უზენაესობა ამ ტერიტორიაზე. ევროკავშირი თვლის რომ ასეთი ტიპის მისიები გააძლიერებს პალესტინას, როგორც სახელმწიფოს და ხელს შეუწყობს მას კონფლიქტის მოგვარებაში ისრაელთან, ამიტომ ამ მისიებს საერთაშორისო დონის დატვირთვაც გააჩნია.

2017 წელს მისიის უფროსად ფინელი კაუკო აალთომაა დაინიშნა.

6.4. ევროკავშირის საზღვრის დაცვაში დახმარების მისია რაფაში

ევროკავშირის საზღვრის დაცვაში დახმარების მისია რაფაში არის კიდევ ერთი სამოქალაქო მისია, რომლის მიზანია ოკუპირებულ პალესტინის ტერიტორიაზე კრიზისების მართვა მოახერხოს.

ისრაელისთვის რაფადან სამხედრო ძალის გამოყვანა დაკავშირებული იყო უსაფრთხოების დაკარგვასთან, რადგან სწორედ ამ პუნქტით პალესტინას შეიძლება შეიარაღება მიეღო და გადაეყვანა ტერორისტები და ექსტრემისტი ლიდერების თავის

ტერიტორიაზე. ამიტომ საჭირო გახდა მესამე ძალის ჩართვა, იმისათვის რომ ისრაელის სახელმწიფოს და პალესტინის ადმინისტრაციას ნდობა გაჩენოდათ ერთმანეთის მიმართ.

2005 წელს პალესტინის ადმინისტრაციამ და ისრაელმა ხელი მოაწერა გადაადგილების შესახებ. საჭირო გახდა რაფაში ღაზას სექტორისა და ეგვიპტის საზღვრის გადაკვეთის მონიტორინგი, ამიტომაც იმავე წლის ნოემბერში შეიქმნა ეს მისია. როდესაც მისია ჩავიდა რაფას საზღვარზე, ის შედგებოდა მხოლოდ 70 ადამიანისგან. ეს მისია შედგება სამოქალაქო პირებისგან და პოლიციის ოფიცრებისგან, სასაზღვრო პოლიციისგან და მეზაჟე-ოფიცრებისგან. თავიდან მისია მიზნად ისახავდა შტაბბინის ღაზაში გახსნას, თუმცა უსაფრთხოების მიზნით ის თელავივში გაიხსნა.

2007 წელს, როდესაც ჰამასმა ღაზას სექტორში შეაღწია, მისია დროებით შეჩერდა. იმ წლების განმავლობაში კი რაც ეს მისია მოქმედებდა, მათ დაახლოებით 450,000 ადამიანმა გამოიყენა ეს საზღვარი. და მაინც რატომაა ასეთი მნიშვნელოვანი ეს საზღვარი? საქმე იმაშია, რომ ეს არის ერთადერთი პუნქტი საიდანაც შეიძლება ღაზას სექტორში მოხვედრა, ისე რომ ისრაელის ტერიტორია არ გადაკვეთო. მისიის დაკეთვასთან და ისრაელის სამხედრო ძალების ღაზას გამოყვანიდან, ეგვიპტესთან შეწყდა სავაჭრო ურთიერთობები. დღეს მიუხედავად იმისა, რომ 2011 წლის შემდეგ ისევ არის განთავსებული მისია რაფას საზღვარზე, თანამშრომლების რაოდენობა შემცირდა, თუმცა მაინც განაგრძობს საზღვრის დაცვისა და საბაჟო კონტროლის მართვის გამოცდილების გაზიარებას, რაც ამ ადამიანებს აქვთ.

საზღვრის დაცვის მისიას ორივე მხარისთვის სარგებელი აქვს. პალესტინა კვლავ აწარმოებს ღაზას სექტორში ხალხისა და პროდუქტის მიმოცვლას, ხოლო მესამე ძალის ჩართულობით ისრაელი თავს დაცულად გრძნობს.

მისიის ამოცანებში შედის რაფას ტერმინალის კონტროლი და მონიტორინგი თუ რამდენადაა დაცული საბაჟო შეთანხმებები დაცული. მისია ითვალისწინებს ეგვიპტის, პალესტინისა და ისრაელის ერთმანეთში კავშირის დამყარებაში დახმარებასაც.

2016 წლის დოკუმენტში, ევროკავშირს ასევე ძალიან მკაფიოდ აქვს განსაზღვრული, რომ ის მხარს უჭერს ორივე სახელმწიფოს თანაარსებობას და სურს, რომ ამ ორმა ქვეყანამ იცხოვროს მშვიდად როგორც ერთმანეთთან, ასევე სხვა მეზობლებთან ერთად. ეს დოკუმენტი ასევე გარკვევით საუბრობს თუ რა პოზიციები აქვს ევროკავშირს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის:

- **“საზღვრები:** ევროკავშირი თვლის რომ მომავალი პალესტინის სახელმწიფოს საზღვრები უნდა იქნას აღიარებული და დაცული. უნდა იყოს 1967 წლის ოკუპაციამდელი საზღვრები პატარა ცვლილებებით, რომელიც ორმხრივად იქნება შეთანხმებული და შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს გაეროს უშიშროების საბჭოს 242-ე, 338-ე, 1397-ე, 1402-ე და 1515-ე რეზოლუციებთან და მადრიდის პრინციპებთან.
- **ებრაული დასახლებები ოკუპირებულ პალესტინის ტერიტორიებზე:** ევროკავშირი აღშფოთებულია იმ ფაქტით, რომ დასავლეთ სანაპიროზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმშიც, ებრაული დასახლება იზრდება. მათი აზრით ეს გაფართოება ხელს უშლის საბოლოო მოლაპარაკებების წარმოებასა და ორი სახელმწიფოს თანაარსებობის იდეას. ევროკავშირი თვლის, რომ პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე (აღმოსავლეთ იერუსალიმი) დასახლებების წარმოქმნა საერთაშორისო სამართლითაა აკრძალული და ისევ და ისევ ხელს უშლის ორი სახელმწიფოს ჩამოყალიბებით პრობლემის გადაწყვეტას.
- **იერუსალიმი:** რაც შეეხება იერუსალიმს, ევროკავშირი თვლის რომ მოლაპარაკებებმა უნდა გადაჭრან ყველა პრობლემა რაც მის გარშემოა, მათ შორის მისი სტატუსის პრობლემაც, როგორც ორი სახელმწიფოს მომავალი დედაქალაქი. ევროკავშირი არ აღიარებს არანაირ ცვლილებას 1967 წლამდელ მდგომარეობაში, თუ ორივე მხარე არ შეთანხმდება ამაზე. მაგრამ ევროკავშირი მხარს უჭერს ისეთი საგანმანათლებლო, სამედიცინო და სასამართლო ინსტიტუციების ჩამოყალიბებას.
- **პალესტინელი ლტოლვილები:** ევროკავშირი მხარს დაუჭერს ისეთ შეთანხმებას რომელიც იქნება სამართლიანი და განხორციელებადი. 1971 წლის შემდეგ, ევროკავშირი ჩართულია პალესტინელი ლტოლვილებისთვის დახმარების და სასიცოცხლო მნიშვნელობის მომსახურების გაწევის საქმეში (UNRWA - გაეროს ახლო

აღმოსავლეთის სააგენტო, რომელიც ზრუნავს პალესტინელ ლტოლვილებზე) და სურს ამ კონფლიქტის გადაწყვეტა მშვიდობიანად.

- **უსაფრთხოება:** ევროკავშირი გმობს ნებისმიერ ძალადობის აქტს, რომელიც ხელს უშლის მშვიდობის დადგომას. იგი თვლის, რომ ისრაელს აქვს უფლება დაიცვას საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოება, მაგრამ ამ უფლების დაცვა ისრაელის ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს საერთაშორისო სამართლის დაცვით. როგორც უკვე ვახსენეთ, ევროკავშირი ეხმარება პალესტინის პოლიციასა და სასამართლო ინსტიტუტებს განვითარებასა და რეფორმირებაში. ევროკავშირი-ისრაელის თანამშრომლობა ტერორიზმისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ და უსაფრთხოების კვლევები დიდ როლს თამაშობს ისრაელის უსაფრთხოების დაცვაში. რეგიონის უსაფრთხოებამ უნდა უზრუნველყოს პალესტინის სუვერენიტეტის დაცვა და ოკუპაციის დამთავრება, ხოლო ისრაელისთვის უსაფრთხოების შენარჩუნება, ტერორიზმის უგულვებელყოფა და ახალ წარმოქმნილ საფრთხეებთან გამკლავება.”²¹

²¹ Middle East Peace Process - European External Action Service, 15 June 2016, web page: https://eeas.europa.eu/topics/middle-east-peace-process/337/middle-east-peace-process_en

დასკვნა

როგორც შესავალშივე ავღნიშნე ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი მე-20 და 21-ე საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს გეოპოლიტიკურ გამოცდად იქცა. ამ რეგიონშია ძალიან ბევრი დაბრკოლება, რაც ხელს უშლის მშვიდობის დამყარებას პალესტინისთვის და ისრაელისთვის. მსოფლიოს ყველაზე ძლიერი ძალები ცდილობენ ჩაერთონ კონფლიქტის მოგვარებაში, მაგრამ დღემდე არ დაწყებულა მშვიდობის მშენებლობა. ევროპისთვის ეს რეგიონი ჯერ კიდევ 1917 წლიდან იყო ინტერესის სფერო, როდესაც დიდმა ბრიტანეთმა დაიპყრო ოსმალთა იმპერიის ეს ნაწილი. სწორედ ამ წარსული ჩართულობის გამო, ახლო აღმოსავლეთი ისევ აქტუალურია ევროპისთვის.

რაც შეეხება ისრაელსა და ევროკავშირს, მათ შორის ურთიერთობა შეიძლება დახასიათდეს როგორც ეკონომიკური თანამშრომლობის კარგი მაგალითი, თუმცა პოლიტიკურ და სოციალურ დონეზე ამ აქტორების ურთიერთობა საკმაოდ არასტაბილურია. ამ არასტაბილურობის მთავარი მიზეზი სწორედ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტია. 1973 წლის ოქტომბრის ომის შემდეგ ევროპული თანამეგობრობის ჩართვამ კონფლიქტის მოგვარების პროცესში ეს ურთიერთობა დაძაბა. ევროპა პალესტინას ეხმარებოდა ისე, როგორც ისრაელს აშშ, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია ისრაელის მხრიდან.

დღეს ევროპა ცდილობს ფინანსური და პოლიტიკური დახმარების გაწევას ორივე მხარისთვის. მას ასევე მკაფიო ხედვა აქვს, რომ საჭიროა ორი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, სადაც დაცული იქნება ამ ხალხების ყველა მოთხოვნა. მაგრამ ისრაელს არ მოწონს, რომ მის საგარეო პოლიტიკაში ევროკავშირი ცდილობს ცხვირის ჩაყოფას და მიაჩნია, რომ თავადაც გაართმევს თავს ამ პრობლემას. მაგრამ უარს არ ამბობს იმ ბენეფიტებზე, რასაც მას ევროკავშირი სთავაზობს. ისრაელს მოწონს ეკონომიკური კავშირები ევროპასთან, მაგრამ არ მოწონს, როცა ის ერევა პალესტინა-ისრაელის კონფლიქტში. ამას თავისი მიზეზი გააჩნია, რაზეც უკვე ვისაუბრე კიდევ. ვენეციის დეკლარაცია აღმოჩნდა ის გარდამტეხი მომენტი, რამაც ისრაელი დააფიქრა რამდენად მიუკერძოებელი იყო ევროპა ამ კონფლიქტის მოგვარებაში. ისრაელს არ მოწონს ის ფაქტი, რომ ევროკავშირი პალესტინის უდიდესი დონორია, რადგან თვლის, რომ ფინანსების გაუმჭვირვალობის გამო, პალესტინამ შეიძლება ეს თანხები იარაღის

შესაძენად და ტერორისტული დაჯგუფებების დასაფინანსებლად გამოიყენოს. ამას თან ერთვის ის თანხები რაც იხარჯება პალესტინის საჯარო ინსტიტუტების განვითარებაში, მათ შორის პოლიციისა და სასამართლოს სისტემებში. ისრაელი გრძნობს, რომ ევროკავშირი ზედმეტადაა ჩართული ამ კონფლიქტის პალესტინი მხარეს. ამის დამამტკიცებელი ისიცაა, რომ ევროკავშირი კონფლიქტის მოგვარების გამოსავლად ხედავს ორი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

ჰაიმ იაკობისა და დევიდ ნიუმანის სტატიაში მოყვანილია შტაინმეცის მშვიდობის კვლევების ცენტრის გამოკითხვა²². სადაც ებრაელ მოსახლეობას ეკითხებოდნენ, რამდენად ისურვებდნენ მესამე ძალის ჩართვას კონფლიქტის მოგვარებაში და თუ ისურვებდნენ, რომელ სახელმწიფოს. აღმოჩნდა, რომ ისრაელის ებრაელი მოსახლეობის 30 პროცენტი ისურვებდა მესამე ძალის ჩართვას კონფლიქტში, უბრალოდ პირველ ადგილზე ეს მესამე ძალა აშშ იყო. მას მოყვებოდა დიდი ბრიტანეთი, ხოლო საფრანგეთი სიის ბოლოში აღმოჩნდა.

ევროპული არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობითაც უკმაყოფილოა ებრაული მოსახლეობა და თვლიან, რომ ის მხოლოდ კონკრეტულ ელიტებზეა ორიენტირებული და არა მთლიან მოსახლეობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი ცდილობს ინსტიტუციურად მოაძლიეროს პალესტინა, ეს პოლიტიკა უფრო გრძელვადიანია და არც იმის გარანტია რომ მომავალში გაძლიერებული პალესტინა ისრაელისთვის უკვე მიმზიდველი მეზობელი გახდება.

²² Peace Index - December 2001, Ephraim Ya'ar and Tamar Hermann, The Tami Steinmetz Center for Peace Research Webpage: http://www.peaceindex.org/files/peaceindex2001_12_3.pdf

ბიბლიოგრაფია:

- The inevitable dead end of the Arab-Israeli conflict - Eyal Lewin; Lewin, Cogent Social Sciences (2016), 2: 1227294
- European Union Policy on the Israeli-Palestinian Conflict: From Payer to Player? - Pasi Patokallio Fellow, Weatherhead Center for International Affairs Harvard University 8 April 2004
- Middle East Peace Process - European External Action Service, 15 June 2016
Webpage: https://eeas.europa.eu/topics/middle-east-peace-process/337/middle-east-peace-process_en
- Security Council Report – Middle East, A/RES/181 (II), Overview of General Assembly Document. The General Assembly Partition Plan for the British Mandate of Palestine.
- Camp David Accords; September 17, 1978 – Yale Law School, Lilian Goldman Law Library; The Avalon Project - Documents in Law, History and Diplomacy.
Webpage: http://avalon.law.yale.edu/20th_century/campdav.asp
- The Palestine–Israel Conflict A Basic Introduction, Fourth Edition, Gregory Harms with Todd M. Ferry.
Webpage: https://the-eye.eu/public/concen.org/01052018_updates/The%20Palestine-Israel%20Conflict%20A%20Basic%20Introduction.4thEd.2017.pdf
- Venice European Council Declaration - EEAS, June 13, 1980.
Webpage: http://eeas.europa.eu/archives/docs/mepp/docs/venice_declaration_1980_en.pdf
- European Involvement In The Arab-Israeli Conflict - Muriel Asseburg, Michael Bauer, Agnès Bertrand-Sanz, Esra Bulut Aymat, Jeroen Gunning, Christian-Peter Hanelt, Rosemary Hollis, Daniel Möckli, Michelle Pace, Nathalie Tocci, Edited by Esra Bulut Aymat – European Union Institute of Security Studies (ISS), CHAILLOT PAPERS December 2010
- European Commission, Press Release Database. Webpage: http://europa.eu/rapid/press-release_PESC-96-83_en.htm
- Common Security and Defence Policy of the European Union: Missions and Operations Annual Report 2016.
Webpage: http://eupolcopps.eu/sites/default/files/newsletters/e_CSDP_Annual%20Report.pdf

- The EU and the Israel–Palestine conflict Haim Yacobi and David Newman. Webpage: [file:///Users/Irinka/Downloads/The EU and the Israel Palestine Conflict.pdf](file:///Users/Irinka/Downloads/The%20EU%20and%20the%20Israel%20Palestine%20Conflict.pdf)
- Declaration of Principles On Interim Self-Government Arrangements, The Oslo Accords Between Israel and Palestine, Sept. 13, 1993. Webpage: <https://www.thoughtco.com/declaration-of-principles-self-government-2352888>
- Oslo Accords 1993. Webpage: <https://www.globalpolicy.org/images/pdfs/oslo091393.pdf>
- *What the Oslo Accords Accomplished*, By Jodi Rudoren, Sept. 30, 2015, The New York Times, Webpage: <https://www.nytimes.com/2015/10/01/world/middleeast/palestinians-mahmoud-abbas-oslo-peace-accords.html>
- Resolution 1073 (1996), Adopted by the Security Council at its 3698th meeting, on 28 September 1996, Webpage: <https://unispal.un.org/DPA/DPR/unispal.nsf/0/EE9FD45E870EF244852563B5004AC1C6>
- Peace Index - December 2001, Ephraim Ya'ar and Tamar Hermann, The Tami Steinmetz Center for Peace Research Webpage: http://www.peaceindex.org/files/peaceindex2001_12_3.pdf
- The troubled relationship between Israel and the European Union: an empirical explanation. Lavoie, Patrick V. Monterey, California: Naval Postgraduate School, 2015-03 Webpage: <http://hdl.handle.net/10945/45215>
- The Concept of Normative Power in World Politics. Diies Brief. Ian Manners, May, 2009 Webpage: http://pure.diis.dk/ws/files/68745/B09_maj_Concept_Normative_Power_World_Politics.pdf
- 'EU differentiation' as a case of 'Normative Power Europe' (NPE) in the Israeli-Palestinian conflict, Anders Persson, published 08 Jan 2018, Webpage: <https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/07036337.2017.1418867>
- Shaping Discourse and Setting Examples: Normative Power Europe can Work in the Israeli–Palestinian Conflict Persson, Anders Published in: Journal of Common Market Studies Published: 2017-08-07. Lund University

Webpage:

http://portal.research.lu.se/portal/files/29685173/Persson_2017_JCMS_Journal_of_Common_Market_Studies.pdf

- Socio-Psychological Barriers to Resolving the Israeli-Palestinian Conflict: An Analysis of Jewish Israeli Society Eran Halperin, Neta Oren, and Daniel Bar-Tal, Chapter 1.

Webpage:

http://www.kas.de/upload/dokumente/2011/03/barriers_to_peace/chapter1.pdf

- Public Opinion in the Israeli-Palestinian Conflict From Geneva to Disengagement to Kadima and Hamas Jacob Shamir. Library of Congress First published June 2007.

Webpage: <https://www.usip.org/sites/default/files/PWjune2007.pdf>

- Reframing and Resolving Conflict. Israeli-Palestinian Negotiations 1988-1998 Aggestam, Karin Published: 1999-01-01, Lund University

Webpage: <http://portal.research.lu.se/portal/files/4494879/4770171.pdf>

- The Two-State Solution: What It Is and Why It Hasn't Happened, By Max Fisher. Dec. 29, 2016.

Webpage: <https://www.nytimes.com/2016/12/29/world/middleeast/israel-palestinians-two-state-solution.html>

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Irina Gakheladze

Discredited EU Involvement in Israel-Palestine Conflict

Diplomacy and International Politics

Submitted to obtain a Master degree in Diplomacy and International Politics

Supervisor – Pikria Asanishvili, Associate Professor

Tbilisi

2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ერეკლე კველიშვილი

თვითგამორკვევის უფლება დასავლურ დემოკრატიებში:

კატალონიური გამოწვევა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო
პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: დავით მაცაბერიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

პოლიტიკის მეცნიერებების დოქტორი

თბილისი, 2018წ.

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომის სათაურია „თვითგამორკვევის უფლება დასავლურ დემოკრატიებში: კატალონიური გამოწვევა“. იგი მიზნად ისახავს შეისწავლოს სეცესიის მცდელობების უახლესი პრეცედენტები დასავლურ დემოკრატიებში. ამ უკანასკნელთა აღწერისას შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად მრავალი დივიდენდისა, რომლებიც დასავლურ დემოკრატიებში მცხოვრებ ხალხებს გააჩნიათ, არც თუ ისე იშვიათად ვხვდებით შემთხვევებს, როცა ეს მოსახლეობის კონკრეტული ჯგუფები ითხოვენ ან მეტ უფლებრივი მდგომარეობის მოპოვებას ან საერთოდ მასპინძელი ქვეყნიდან გამოყოფასა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. შესაბამისად, სეცესიის გამოწვევის წინაშე მსოფლიოს ყველაზე ცივილიზებული და დემოკრატიული ნაწილიც დგას, რაც კიდევ უფრო მეტ აქტუალურობას სძენს ნაშრომში მოყვანილ საკვლევ საკითხს.

კვლევის ფარგლებში განხილულია სეცესიის საკითხთან დაკავშირებული არსებული თეორიული ნარატივები, რომელთაგან, ზემოთხსენებული გეოპოლიტიკური არეალის მახასიათებლებიდან გამომდინარე, შერჩეული იქნება ძირითადი თეორიული ჩარჩო.

ნაშრომში დასმულია რამდენიმე მიზანი. კერძოდ, განხილულია რა დასავლურ დემოკრატიებში სეცესიის მცდელობის უახლესი პრეცედენტებიდან კატალონიის, შოტლანდიისა და კვებეკის შემთხვევები, ზემოთხსენებული თეორიული ნარატივის მიერ მოცემული გარემოებებისა და კრიტერიუმების ფარგლებში მოხდება ხსენებულ სამ შემთხვევას შორის მსგავსებების დადგენა.

როგორც ცნობილია, მოცემული სამი სუბიექტიდან ორის შემთხვევაში სეცესიის მომთხოვნ რეგიონებს მიეცათ საშუალება გამოევლინათ საკუთარი ნება სამომავლო პოლიტიკური სტატუსის შესახებ, კანონიერი რეფერენდუმის ჩატარების საფუძველზე, ხოლო კატალონია კი ამ შესაძლებლობას მოკლებული იყო. აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით, კვლევის ძირითად მიზანი გახდა იმის გარკვევა, იყო თუ არა ხსენებული რეგიონის დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობა მართებული, შოტლანდიისა და კვებეკის სეცესიის მცდელობების უკვე არსებული პრეცედენტების საფუძველზე.

ნაშრომის ძირითადი მიზნის მისაღწევად, ჩატარებულია ერთი მხრივ, სამივე სუბიექტის მიერ სეცესიის მცდელობის პროცესში გამოყენებული პრაქტიკული მექანიზმებისა და ინსტრუმენტების, ხოლო მეორეს მხრივ მასპინძელი სახელმწიფოების მიერ ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნების პროცესში გამოყენებული მექანიზმებისა და ინსტრუმენტების ანალიზი.

კვლევის ძირითად მეთოდად გამოყენებული იქნება შედარებითი მონოგრაფიული კვლევა, ასევე თვისობრივი კვლევის მეთოდები. მოყვანილი პრეცედენტების ფარგლებში განსხვავებული შედეგის გამომწვევი მიზეზის დასადგენად გამოყენებული იქნება ჯონ სტუარდ მილის „განსხვავების მეთოდი“. კვლევის ფარგლებში მოხდება რელევანტური სტატისტიკური მონაცემების გაანალიზება და მათი დაკავშირება მოცემულ გარემოებებთან. ასევე, მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდება საკითხის სამართლებრივ მხარეზე და განხილული იქნება სამართლებრივი პრეცედენტები, რომლებიც უკავშირდება დასავლურ დემოკრატიებში არსებული სეცესიის მცდელობის შემთხვევებს.

ნაშრომში დასმული საკვლევი კითხვით შემოწმდება თუ რამდენად მართებული იყო კატალონიის მოთხოვნა რეფერენდუმის გზით დამოუკიდებლობის მოპოვების შესახებ, ხოლო კვლევის შედეგად გამოვლინდება შესაბამისი შედეგი, რომელიც ჰიპოთეზის ფარგლებშია მოცემული.

Abstract

The paper below is titled in the following way: “Right of Self-Determination within Western Democracies: Catalan Challenge”. It is aimed at studying secessionist attempts in western-democratic countries. Despite various advantages provided by the western democracies to their citizens, we still may observe the cases, when particular groups of people still demand more entitlements within their state or want to gain independence and create their own sovereign unit. Accordingly, the challenge of secession stands before the world’s most democratic and civilized parts, thus increasing the actuality of the research issue.

Theoretical narratives regarding secession are discussed within the framework of the research. Considering the characteristics of the western democracies, relevant theoretical direction is to be selected during the research process.

The paper is to accomplish several objectives. Recent precedents of secessionist attempts within western democracies (Catalonia, Scotland, and Quebec) will be studied through the given theoretical narrative. Relevant similarities between the cases will be identified during research.

Considering the fact that in two cases listed above, the regions wishing secession were granted the right to implement legal referendums about their future political status, while Catalonia lacked this opportunity, the major objective of the paper is to examine whether Catalonia’s attempt to secede was justified in the view of abovementioned precedents occurred within western democracies.

In order to accomplish the major aim the paper will provide the analysis of those practical means and instruments carried out by the regions willing to secede as well as by the official authorities who wanted to maintain the unity of their state.

The method of comparative case studies is set to be the major methodology selected for the research. Apart from this, J. S. Mill’s “Method of Difference” will be applied in order to find the cause of different result in the case of Catalonia. The research is to examine the legal issue of the case and will discuss relevant legal precedents regarding the attempts of secession within western democracies.

The main Research Question is to examine justification of Catalonia's bid for independence through the referendum, independent and dependent variables will be elaborated during the research process. Finally, relevant hypothesis will be formulated which is to be examined within the paper.

სარჩევი

შესავალი.....	7
მეთოდოლოგია	10
I. საკითხის აქტუალურობა	11
II. საკითხის ისტორიული მიმოხილვა.....	16
1. პირველი ეტაპი - თვითგამორკვევის პირველი მცდელობები	17
2. მეორე ეტაპი - მეტი ავტონომია	19
3. მესამე ეტაპი - დამოუკიდებლობის მოთხოვნა.....	21
III. ლიტერატურის მიმოხილვა.....	26
1. სეცესიის თეორიები	26
1.1 რემედიული უფლების თეორიები	26
1.2. არსებითი უფლების თეორიები	29
2. კატალონიის თვითგამორკვევის სხვადასხვა ასპექტები	31
IV. კატალონია,შოტლანდია და კვებეკი სეცესიის თეორიებში	39
1. ასკრიპტივიტული თეორია.....	41
2. პლებისციტური თეორია	42
V. დამოუკიდებლობის მოპოვების მექანიზმები.....	47
VI. დამოუკიდებლობის პრევენციის მექანიზმები	53
VII. მილის მეთოდის გამოყენება	59
VIII. ესპანეთის პოზიციის რელევანტურობა	62
1. კატალონიელთა პოლიტიკური ნება ციფრებში.....	62
2. რეფერენდუმის ჩატარების სამართლებრივი ინსტრუმენტი	65
დასკვნა.....	71
გამოყენებული ლიტერატურა	75
დანართი	85

შესავალი

დღევანდელ მსოფლიოში განვითარებულმა პროცესებმა დიდი გავლენა იქონია, საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე მოვლენებზე. გლობალიზაცია, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, ტრანსნაციონალური და სუპრანაციონალური ფენომენების გამოჩენა, ეს მცირედი ჩამონათვალია იმ მრავალი ფაქტორისა, რომლებიც თითოეული სახელმწიფოს, კონკრეტული ჯგუფისა თუ ადამიანის გადაწყვეტილებებსა და ქმედებებზე ყოველდღიურად მოქმედებენ. ამავდროულად, აღსანიშნავია ისეთი კონცეფციებისა და ნორმების არსებობა/განვითარება, როგორცაა ნაციონალიზმი და ერთა თვითგამორკვევის პრინციპი. ეს უკანასკნელნი ყოველთვის მნიშვნელოვან ადგილს იკავებდნენ საერთაშორისო ურთიერთობებში და უდავოდ დიდ გავლენას ახდენდნენ საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე მოვლენებზე.

კაცობრიობის ისტორიას კარგად ახსოვს მრავალი ერისა თუ ეთნიკური ჯგუფის მცდელობა მოეპოვებინათ დამოუკიდებლობა, შეექმნათ საკუთარი თვითმმართველი ინსტიტუტები და გამხდარიყვნენ სუვერენული სუბიექტები, რომლებიც თვითონვე გადაწყვეტდნენ საკუთარ აწმყოსა და მომავალს. აღნიშნული პროცესი მრავალჯერ გამხდარა დიდი დაპირისპირებისა და სისხლისღვრის გამომწვევი ფაქტორი. თუმცა, დღეს ზემოთხსენებული ფართომასშტაბიანი გლობალური პროცესების გათვალისწინებით მიმდინარეობს ძირეული და რადიკალური ცვლილებები, რომლებმაც პერსპექტივაში შესაძლებელია საკმაოდ საინტერესო ტენდენციები დაამკვიდროს საერთაშორისო ურთიერთობებში. აღნიშნული ცვლილებები კი ყველაზე თვალსაჩინოდ ე.წ. დასავლურ სამყაროში გვხვდება.

დასავლურ/ლიბერალურ საზოგადოებაში უმეტესწილად დიდი ყურადღება ეთმობა სხვადასხვა ერებისა და ეთნიკური ჯგუფებისთვის განსაკუთრებული უფლებებისა და თავისუფლებების მინიჭება/უზრუნველყოფას, რაც მეტწილად ხსენებული ჯგუფების საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებასა და აქტივობებში მეტ ჩართულობასა და ინტეგრაციას განაპირობებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თვითგამორკვევის სურვილის გადაწონვა არცთუ ისე მარტივი საქმეა, რამეთუ თითქმის ყველა ჯგუფს საკუთარი

ინტერესების დაცვა და მეტიც, საკუთარი თავის, როგორც ერთადერთი სუვერენის ამპლუაში აღქმა სურს. შესაბამისად, თვითგამორკვევისა და სეცესიის მცდელობების მაგალითები ყველაზე დემოკრატიულ და ცივილიზებულ სახელმწიფოებშიც გვხვდება, რაც უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს დასავლურ/ლიბერალური სამყაროსთვის.

ამ მხრივ საინტერესო და უახლეს შემთხვევას წარმოადგენს კატალონიის საკითხი, რამეთუ ის პროცესები, რომლებიც აღნიშნული რეგიონის თვითგამორკვევის მცდელობას უკავშირდება, საკმაოდ მნიშვნელოვანი პრეცედენტებს ქმნის, ერთის მხრივ დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილის მქონე ხალხებისთვის, ხოლო მეორეს მხრივ იმ სახელმწიფოებისთვის, რომელთა შემადგენლობაში შემავალი ერთეულებიც ცდილობენ მათგან გამოყოფას. მიუხედავად იმისა, რომ კატალონიის მიერ სეცესიის მოთხოვნა და მცდელობა, დასავლურ სამყაროში ყველაზე ახალ შემთხვევას წარმოადგენს, აუცილებელია ამ კუთხით განხილულ იქნას, ხსენებული გეოპოლიტიკური არეალის მასშტაბით, მსგავსი პრეცედენტები, მოხდეს მათი ანალიზი და დადგინდეს გარკვეული კანონზომიერებები, რომლებიც სამომავლო პერსპექტივაში, დასავლურ დემოკრატიებში სეცესიის საკითხის მეცნიერულ შესწავლას გაამარტივებს.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში დასახული იქნება რამდენიმე მიზანი. კერძოდ, დასავლურ/ლიბერალურ დემოკრატიებში ხალხთა თვითგამორკვევის კუთხით უახლესი პრეცედენტების შესწავლა და მათ შორის მსგავსებების დადგენა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, განხილული იქნება სამი პრეცედენტი. კერძოდ, 1995 წლის რეფერენდუმის საფუძველზე, კვებეკის მცდელობა გამოყოფოდა კანადას, 2014 წლის რეფერენდუმის საფუძველზე, შოტლანდიის მცდელობა გამოყოფოდა გაერთიანებულ სამეფოს და 2017 წლის რეფერენდუმის საფუძველზე, კატალონიის მცდელობა გამოყოფოდა ესპანეთს.

ხსენებულ სამ პრეცედენტს შორის მსგავსებების დადგენის გარდა, ნაშრომი მიზნად ისახავს უშუალოდ იმ მექანიზმებისა და ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც გამოყენებული იქნა ზემოთაღნიშნული სამი სუბიექტის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობის პროცესში. ანალიზის საფუძველზე მოხდება საერთო

მახასიათებლების გამოვლენა და დადგინდება უშუალოდ რა პრაქტიკულ ქმედებებს მიმართავენ დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობის პროცესში, ის ხალხები და რეგიონები, რომლებიც მდებარეობენ დასავლურ დემოკრატიებში. მეორეს მხრივ, განხილული იქნება არამართო უშუალოდ ხსენებული ერთეულების პრაქტიკული ქმედებები, არამედ ყურადღება ასევე გამახვილდება იმ სახელმწიფოთა ცენტრალური მთავრობების/ხელისუფლებების მიერ გამოყენებულ მექანიზმებსა და ინსტრუმენტებზე, რომელთაც ამ უკანასკნელთ მიმართეს ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნებისა და გამოყოფის მომხრეთა მცდელობების პრევენციის პროცესში, რაც დაგვეხმარება იმის დადგენაში, აქვთ თუ არა დასავლურს დემოკრატიებს საერთო ხედვა იმ ინსტრუმენტების შესახებ, რომელთაც იყენებ ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნების მცდელობისას.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება საკვლევ საკითხთან დაკავშირებული პროცესების სამართლებრივ მხარეზე, რადგან ხსენებულ მოვლენებში ჩართული ყველა მხარე, საკუთარი გადაწყვეტილებებისა და პოზიციების გასამართლებლად მათ კანონიერ მხარეზე აკეთებენ აქცენტს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ კუთხით არსებული გადაწყვეტილებებისა თუ პრეცედენტების შესწავლა.

ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს შოტლანდიისა და კვებეკის პრეცედენტების საფუძველზე - რომელთა კატალონიის შემთხვევასთან მსგავსების დადგენა კვლევის ერთ-ერთი მიზანია - კატალონიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობის მართებულობის დადგენა, რადგან განსხვავებით ზემოთხსენებული ორი ერთეულისა, აღნიშნულ რეგიონს ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების ქმედებებიდან გამომდინარე შეეზღუდა თვითგამორკვევის უფლების პრაქტიკაში განხორციელების საშუალება. შესაბამისად, ნაშრომის საკვლევ კითხვა ფორმულირებული იქნება შემდეგნაირად: *არის თუ არა კატალონიის, როგორც დასავლური დემოკრატიის შემადგენელი ელემენტის, რეფერენდუმის გზით დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობა მართებული?*

ნაშრომში დამოკიდებული ცვლადია - *კატალონიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობა*

ხოლო დამოუკიდებელი ცვლადი - დასავლურ დემოკრატიებში დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობების პრეცედენტები

შესაბამისად, ნაშრომი შეეცდება დაამკტიცოს ჰიპოთეზა: კატალონიის, როგორც დასავლური დემოკრატიის შემადგენელი ელემენტის, ამავე გეოპოლიტიკურ სივრცეში შემავალი სუბიექტების, შოტლანდიისა და კვებეკის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობების უკვე არსებული პრეცედენტების ისტორიულ, პოლიტიკურ, სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით, მცდელობა რეფერენდუმის გზით დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად იყო მართებული. ისტორიულ ასპექტებში იგულისხმება სეცესიის მსურველი სამივე სუბიექტის პროფილური განხილვა, ის ობიექტური გარემოებები, რომლებშიც ეს უკანასკნელნი იმყოფებოდნენ დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩატარებისას. პოლიტიკური ასპექტები მოიცავს უშუალოდ იმ პრაქტიკული ინსტრუმენტებისა და მექანიზმების განხილვას, რომლებიც გამოყენებულ იქნა, როგორც სეცესიონისტების ასევე ერთიანობის შენარჩუნების მომხრეთა მხრიდან. სამართლებრივ ასპექტებში განხილულია ის სამართლებრივი პრეცედენტები, რომლებიც უკავშირდება ნაშრომში მოყვანილი შემთხვევებს.

ნაშრომის ფარგლებში მიმოხილული იქნება აღნიშნულ საკითხზე მომუშავე მკვლევრების დასკვნები, სამეცნიერო სტატიები და სხვა რელევანტური ლიტერატურული წყაროები, რომელთა საშუალებით გამარტივდება საკვლევი თემის აღქმა/გაგება. ძირითადი ყურადღება დაეთმობა იმ ძირითადი მიმართულებების ანალიზს, რომელთა საფუძველზეც აღნიშნული მკვლევრები იკვლევენ კატალონიის რეფერენდუმის საკითხს. ასევე, რელევანტური თეორიული ჩარჩოს ძებნის პროცესში გაანალიზებული იქნება ე.წ. სეცესიის თეორიები და მათი შემადგენელი ნაწილები.

მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდად გამოყენებულია მონოგრაფიულ კვლევა, ე.წ. Case Study, რომელიც “ცალკეული შემთხვევის, თემის ან სოციალური ჯგუფის სიღრმისეული შესწავლაა მკვლევართა ხელთ არსებული ყველა საშუალების მეშვეობით,” (ზურაბიშვილი, 2006, 95). მონოგრაფიული კვლევის ფარგლებში გამოიყენება მრავალმეთოდური მიდგომა (ზურაბიშვილი, 2006, 90), რომელიც მოიცავს მრავალ თვისებრივ მეთოდს. ნაშრომის

შემთხვევაში გამოყენებულია შედარებითი მონოგრაფიული კვლევა, რომელიც გულისხმობს რამდენიმე შემთხვევის ანალიზის საფუძველზე გარკვეული კანონზომიერებების დადგენას. აღნიშნული მეთოდი ორიენტირებულია ორი ან მეტი შემთხვევის, რომლებშიც იკვეთება საერთო მახასიათებლები, ანალიზის ფარგლებში დაადგინოს მათ შორის კონკრეტული მსგავსებები/განსხვავებები (Goodrick, 2014). თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ნაშრომში მოყვანილი სამი პრეცედენტი ანალოგიური საბოლოო მიზნითა და მოქმედებების მსგავსი დინამიკით გამოირჩეოდა, სწორედ აღნიშნული მეთოდი გამოდგება ჰიპოთეზაში მოცემული დებულებების დასამტკიცებლად. ნაშრომის ფარგლებში გამოყენებული იქნება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებული ყველა რელევანტური ოფიციალური დოკუმენტისა თუ სტატისტიკური მონაცემის ანალიზი. შესაბამისად, მივმართავ კონტენტ-ანალიზის მეთოდს რომლის მეშვეობითაც შეისწავლება სხვადასხვა ტიპის დოკუმენტები. (ზურაბიშვილი, 2006, 101).

სამ პრეცედენტს შორის მგავსებების დადგენის შემდეგ, კატალონიის შემთხვევაში მიღებული განსხვავებული შედეგის გამომწვევი ფაქტორის გამოსავლენად გამოვიყენებ ჯონ სტიუარტ მილის „განსხვავების მეთოდს“ (Method of Difference), რომელიც მდგომარეობს შემდეგში: „თუ დაკვირვების ქვეშ მყოფ შემთხვევებში, რომელთაგან ერთში დადგა კონკრეტული შედეგი და მეორეში მისგან განსხვავებული და ამასთან აღნიშნულ შემთხვევებთან დაკავშირებული გარემოებები ანალოგიურია გარდა ერთი ფაქტორისა, სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს განსხვავებული შედეგის გამომწვევ მიზეზს (Churchill, 1990).

I. საკითხის აქტუალობა

თვითგამორკვევის უფლება თანამედროვე მსოფლიოსა და საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს. აღნიშნული უფლება ფართოდ არის აღიარებული საერთაშორისო საზოგადოების მიერ და უახლოესი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მსოფლიო პრაქტიკაშიც ხშირად გამოყენებულა. საინტერესოა,

თუ კონკრეტულად რას გულისხმობს თვითგამორკვევის უფლება არსებული საერთაშორისო შეთანხმებებისა და ქარტიების განხილვის საფუძველზე.

მსოფლიოში ყველაზე ფართოდ აღიარებულ და გაზიარებულ საერთაშორისო დოკუმენტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ქარტია წარმოადგენს. აღნიშნულ დოკუმენტში თვითგამორკვევის უფლებასთან დაკავშირებულ ჩანაწერებს ვხვდებით პირველ და 55-ე მუხლებში, რომლებიც მიზნად ისახავენ ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და თანასწორუფლებიანობისა და ხალხთა თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე უნივერსალური მშვიდობის გაძლიერებას (Thürer & Burri, 2008). გამომდინარე აქედან, გაერო საკუთარი წევრი ქვეყნებისთვის გამოსცემს რეკომენდაციებს თუ როგორ უნდა მოხდეს თვითგამორკვევის უფლების პრაქტიკაში განხორციელება:

- გაეროს ყველა წევრმა სახელმწიფომ უნდა აღიაროს/გაიზიაროს ყველა ხალხისა თუ ერის უფლება თვითგამორკვევის შესახებ;
- ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს თვითგამორკვევის უფლების გამოყენებას იმ ტერიტორიებისა და ხალხის მიმართ, რომლებიც მოქცეულნი არიან მათი იურისდიქციის ქვეშ და წარმოადგენენ არათვითმმართველ სუბიექტებს. აუცილებელია, ხსენებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს მიეცეს საშუალება, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი ნება თვითგამორკვევასთან დაკავშირებით, პლებისციტების ან სხვა დემოკრატიული ინსტრუმენტების საფუძველზე.
- გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან არათვითმმართველი ხალხისა თუ ტერიტორიების ადმინისტრირებაზე, უნდა მიიღონ პრაქტიკული ზომები მათში თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის მისაღწევად, უზრუნველყონ აღნიშნული ხალხების პირდაპირი მონაწილეობა მათი ტერიტორიის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირებასა და მუშაობაში და მოამზადონ ისინი თვითმმართველობის შექმნის ან დამოუკიდებლობის მისაღწევად (General Assembly, 2018).

თვითგამორკვევის უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს ასევე არეგულირებს კიდევ ორი საერთაშორისო დოკუმენტი, რომლებიცაა საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ. ორივე დოკუმენტის პირველივე მუხლი საინტერესო ცნობებს გვაწვდის თვითგამორკვევის შესახებ:

- ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება, რომლის საფუძველზე ისინი თავისუფლად წყვეტენ საკუთარ პოლიტიკურ სტატუსის საკითხს და თავისუფლად უზრუნველყოფენ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას;
- ყველა ხალხს აქვს უფლება თავისუფლად ფლობდეს და იყენებდეს საკუთარ მატერიალურ სიმდიდრესა და რესურსებს, ყველანაირი შეზღუდვების გარეშე, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს საერთაშორისო ეკონომიკური ვალდებულებებით;
- აღნიშნული პაქტების ყველა წევრმა სახელმწიფომ, უნდა უზრუნველყოს ხალხთა თვითგამორკვევის უფლების რეალიზაცია გაეროს ქარტიის მიერ დადგენილ ვალდებულებებთან შესაბამისობაში მოყვანილი ქმედებებით (United Nations Human Rights Office of High Commissioner, 1966);

თვითგამორკვევის უფლების რაობისა და მასთან დაკავშირებული საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ნორმების გაცნობის შემდეგ, საინტერესოა თუ რატომ არის მნიშვნელოვანი აღნიშნული პრინციპის განხილვა დასავლური დემოკრატიების სტატუსის მქონე სახელმწიფოების მაგალითებზე.

დასავლური დემოკრატიები ან დასავლური სამყარო წარმოადგენს იმ სახელმწიფოთა ერთობლიობას, რომლებიც იზიარებენ ლიბერალურ-დემოკრატიულ პრინციპებსა და ღირებულებებს და მმართველობის ტიპად წარმომადგენლობით დემოკრატიას იყენებენ. შეგვიძლია გამოვკვეთოთ ის რამდენიმე კომპონენტი, რომელიც ახასიათებს დასავლურ დემოკრატიებს: უმრავლესობის მმართველობა; კონკურენტუნარიანი არჩევნები, უმცირესობის ინტერესთა დაცვა; პლურალიზმი; ინდივიდუალური თავისუფლებების დაცვა; თავისუფალი პრესა; გამოხატვის თავისუფლება; ინტერესთა ჯგუფების

თავისუფლება; მიუკერძოებელი სასამართლო სისტემა და ა.შ. (Morton, 2016). სამუელ ჰანტინგტონი, „ცივილიზაციათა შეჯახებაში“, დასავლურ სამყაროში (ცივილიზაციას) მოიაზრებს გეოგრაფიულ არეალს, რომელშიც შედის დასავლეთ და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოები, აშშ, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია (Huntington, 1993, 25).

მოკლედ, რომ ვთქვათ დასავლური დემოკრატიები წარმოადგენს იმ ელემენტთა სისტემას, რომელიც თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივი თუ პრაქტიკული ნორმების ფუძემდებელია და რომლის შემადგენელი ელემენტები ცდილობენ კიდევაც, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე საყოველთაოდ აღიარებული და გაზიარებული პრინციპების სისრულეში მოყვანას. აღნიშნული სახელმწიფოები გამოირჩევიან, სტაბილური პოლიტიკური სისტემით, ეკონომიკური განვითარების მაღალი დონით და მეტწილად პოლიტიკური და მატერიალური რესურსების მოსახლეობაში სამართლიანად და პროპორციულად გადანაწილებით. თუმცა, მიუხედავად იმ დივიდენდებისა, რომლებიც დასავლურ დემოკრატიებში მცხოვრებ ხალხებს გააჩნიათ, არც თუ ისე იშვიათად ვხვდებით შემთხვევებს, როცა ეს უკანასკნელნი ითხოვენ ან მეტ უფლებრივი მდგომარეობის მოპოვებას ან საერთოდ მასპინძელი ქვეყნიდან გამოყოფასა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას.

ნაშრომის ფარგლებში განხილული სამი პრეცედენტიც, სწორედ დასავლურ დემოკრატიებში დაფიქსირდა - ქვეყნებში რომლებიც დემოკრატიულობის, ადამიანის უფლებების დაცვისა და ეკონომიკური განვითარების მხრივ მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოებს წარმოადგენენ. აღსანიშნავია ისიც, რომ კატალონიის, შოტლანდიისა და კვებეკის გარდა დასავლურ დემოკრატიებში კიდევ არსებობს პოტენციური კერები, რომლებმაც შესაძლებელია მოითხოვონ თვითგამორკვევის უფლების პრაქტიკაში გამოყენება. (Henley, Swann, Sheehy & Fenn, 2017). ქვემოთჩამოთვლილი შემთხვევები არ წარმოადგენს მოცემული კვლევის ობიექტებს, რადგან მათ, ნაშრომში მოყვანილი სამი პრეცედენტისგან განსხვავებით, დამოუკიდებლობის მოპოვების ფართომასშტაბიანი მცდელობა არ ჰქონიათ. გამომდინარე აქედან, მათი გაიგივება შოტლანდიის, კვებეკისა თუ კატალონიის შემთხვევებთან ამ ეტაპზე არარელევანტურია, თუმცა მეორეს მხრივ მოცემული სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ ყველაზე სტაბილურ, ეკონომიკურად

განვითარებულ და ცივილიზებულ სახელმწიფოებშიც კი სხვადასხვა ხალხი ცდილობს საკუთარი პოლიტიკური სტატუსის რადიკალურად ცვლილებას და დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მოპოვებას, რაც კიდევ უფრო მეტ აქტუალურობას მენს შესასწავლს საკითხს. *თვითგამორკვევის მცდელობის პოტენციური კერები დასავლურ დემოკრატიებში:*

- **ბასკეთი** - ესპანეთისა და საფრანგეთის შემადგენლობაში შემავალი ტერიტორია უკვე ათწლეულების განმავლობაში სისხლისმღვრელი დაპირისპირებებისა და დიდი დამაბულობის საფუძველი გამხდარა. ბასკები, რომლებიც დამოუკიდებლობას ითხოვენ, არც შეიარაღებულ დაპირისპირებაზე ამბობდნენ, უარს და არც დემოკრატიულ პროცესებით მიზნის მიღწევაზე. უკანასკნელი მონაცემებით ბასკთა 36% პროცენტი მხარს უჭერს დამოუკიდებლობის მოპოვებას (Ellyatt, 2017);
- **ფლანდრია და ვალონია** - ბელგიაში შემავალი რეგიონებია, რომლებიც სარგებლობენ ფართო ავტონომიით, როგორც საკანონმდებლო ისე აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე. ფლანდრიის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა კულტურულ-ლინგვისტური თვალსაზრისით ჰოლანდიური წარმომავლობისაა, ხოლო ვალონია კი ძირითადად ფრანგულენოვანი მოსახლეობითაა დასახლებული, რაც ორ ხალხს შორის დამაბულობის მიზეზი ხშირად გამხდარა, რის გამოც ორივე ერთეულში შემავალი მოსახლეობის სოლიდურ ნაწილს, სურს ცალ-ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბება (Schreuer, 2017);
- **ლომბარდია** - იტალიის ჩრდილოეთით მდებარე რეგიონი, ქვეყნის სხვა ნაწილებთან შედარები ეკონომიკურად საკმაოდ ძლიერი და განვითარებულია, რაც ლომბარდიის 10 მილიონიანი მოსახლეობის პროტესტს იწვევს, რადგან მათი აზრით მათ მიერ გენერირებული ეკონომიკური დივიდენდების დიდი ნაწილი სამხრეთ იტალიის განუვითარებელი ნაწილების შესანახად იხარჯება. რეგიონის დამოუკიდებლობისთვის მეტროპოლ პოლიტიკურ ჯგუფებს ამ ეტაპზე მცირე მხარდაჭერა აქვთ, თუმცა ლომბარდიაც დასავლურ დემოკრატიებში თვითგამორკვევის მოთხოვნის პოტენციურ კერად რჩება;

- შოტლანდია - 2014 წლის წარუმატებელი რეფერენდუმის შემდეგ, შოტლანდიის პოლიტიკური ესტაბლიშმენტი კვლავ ცდილობს დამოუკიდებლობის მოპოვებას. აღნიშნულ მცდელობას ხელი შეუწყო ე.წ. ბრექსიტის რეფერენდუმმა, სადაც შოტლანდიელთა 62%-მა მხარი დაუჭირა გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირის შემადგენლობაში დარჩენას, ხოლო შედეგით უკმაყოფილო მოსახლეობა, სწორედ ამ მიზეზის გამო კვლავ ითხოვს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შემქნას.
- სხვა პოტენციური კერები - ბავარია გერმანიაში, უელსი და ჩრდ. ირლანდია გაერთიანებულ სამეფოში, კორსიკა საფრანგეთი და სხვ (Ellyatt, 2017).

გამოჩნდა რა, რომ დასავლურ დემოკრატიებში დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობების არსებული პრეცედენტების გარდა არსებობს კიდე სხვა შემთხვევები, რომლებშიც პოტენციურად შესაძლებელია ვიხილოთ თვითგამორკვევის მცდელობას, საინტერესოა, ისეთი გარემოებების დადგენა, როგორებიცაა პროცესის მიმდინარეობა და მისი თანმდევი მახასიათებლები, გამოყენებული ინსტრუმენტები და მექანიზმები, დამოუკიდებლობის მომხრეთა მოტივები და სუვერენიტეტის მოპოვების რეალურობა და შემაფერხებელი ფაქტორები, რაც საბოლოო ჯამში გაამარტივებს შემდგომ კვლევებს დასავლურ დემოკრატიებში დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობების პრეცედენტების შესწავლისას.

II. საკითხის ისტორიული მიმოხილვა

ნაშრომის ფარგლებში დასმული ძირითადი საკვლევითი შემაჯავებელი უკეთ გასაცნობად, საჭიროა ჩავატაროთ ამ უკანასკნელის გარშემო არსებული ისტორიული ფაქტების მიმოხილვა და ანალიზი. განვიხილოთ ის დინამიკა, რომლითაც წლების განმავლობაში მიმდინარეობდა კატალონიის თვითგამორკვევისთვის ბრძოლა და ის კონკრეტული ქმედებები, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში ერთის მხრივ, კატალონიის პოლიტიკურმა ელიტამ, ხოლო მეორეს მხრივ ესპანეთის ხელისუფლებამ გადადგა. ნაშრომის მოცემული ნაწილი მიზნად ისახავს, მხოლოდ საკითხთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტების კონსტატაციას, რომელთა ანალიზის

საფუძველზე კვლევის შემდგომ ნაწილებში მოხდება კატალონიისა და ესპანეთის მთავრობების მიერ გამოყენებული ინსტრუმენტების იდენტიფიცირება და მათი შედარება ნაშრომში მოყვანილ სხვა პრეცედენტებთან.

1. პირველი ეტაპი - თვითგამორკვევის პირველი მცდელობები

კატალონიის დამოუკიდებლობის მოძრაობა აქტიურ ფაზაში გადადის მე-20 საუკუნის დასაწყისში, როდესაც შეიქმნა Estat Català (კატალონიის სახელმწიფო), პოლიტიკური პარტია, რომელიც 1922 წლიდან იწყებს რეგიონის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას. აღნიშნულმა ორგანიზაციას, პოლიტიკური მიზნების მისაღწევად 1926 წელს სცადა აჯანყება, თუმცა მალევე დამარცხდა. ამასთან, ესპანეთში მიგელ დე პრიმო რივიერას დიქტატორული რეჟიმის პირობებში შეუძლებელი გახდა ბრძოლის გაგრძელება კატალონიის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. შესაბამისად, Estat Català-ს წარმომადგენლობა იძულებული გახდა დაეტოვებინათ ესპანეთი და საფრანგეთიდან გაეგრძელებინათ საკუთარი მიზნისთვის ბრძოლა (Moran a, 2005, 122-124).

1931 წლიდან, როცა რივიერას რეჟიმი დასრულდა, Estat Català ერთიანდება კატალონიის რესპუბლიკურ პარტიასთან და პოლიტიკურ ჯგუფთან L'Opinió (აზრი) და იქმნება ერთიანი პოლიტიკური ძალა Esquerra Republicana de Catalunya (კატალონიის მემარცხენე რესპუბლიკელები). იმავე წლის 14 აპრილს აღნიშნულმა პარტიამ დიდ წარმატებას მიაღწია მუნიციპალურ არჩევნებში და იმავე 14 აპრილს პოლიტიკური დაჯგუფების ლიდერმა ფრანსისკო მასიამ გამოაცხადა კატალონია რესპუბლიკად (Conversi, 2000, 38-42; 143-145). თუმცა, კატალონიელებმა მალევე დაიწყეს მოლაპარაკება ესპანეთის ცენტრალურ ხელისუფლებასთან, რომელთანაც შეთანხმების საფუძველზე რეგიონმა მოიპოვა ავტონომია და შეიქმნა კატალონიის მთავრობა (Generalitat de Catalunya).

კატალონიის ავტონომია დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს რეგიონის პოლიტიკურმა ესტაბლიშმენტმა მხარი დაუჭირა რესპუბლიკურ მთავრობას, რომელმაც მარცხი იწვნია სამხედრო კონფლიქტში და ესპანეთში დამყარდა

ფრანსისკო ფრანკოს დიქტატორული რეჟიმი, რომელმაც რეგიონზე კონტროლის დამყარებისთანავე (1938წ.) გააუქმა კატალონიის ავტონომიური სტატუსი და პირდაპირი მმართველობა დაამყარა ქვეყნის ხსენებულ ნაწილზე (BBC Profiles, 2018). აღნიშნული ვითარება გაგრძელდა ფრანკოს სიკვდილამდე (1975წ.), რომელიც კატალონიელი ხალხის ნებისმიერ პროსტესტს სასტიკად ახშობდა (Conversi, 2000, 38-42; 143-145).

კატალონიის, ისევე როგორც ესპანეთის ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება 1975 წლიდან, როდესაც ფრანკოს დიქტატორული რეჟიმი დასრულდა და ქვეყანაში დაიწყო დემოკრატიზაციის პროცესი მეფე ხუან კარლოს I-ის მეთაურობით. 1978 წელს ესპანეთმა მიიღო კონსტიტუცია, რომელშიც ჩაიწერა ორი უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომელსაც დღევანდელ დღემდე აქვს გავლენა კატალონიაში მიმდინარე პროცესებზე.

- ✓ ესპანეთის სახელმწიფო არის ხალხთა ურღვევი ერთობა;
- ✓ ესპანეთის ხალხებს აქვთ უფლება, საკუთარი ნების საფუძველზე დაარსონ და ფლობდნენ პოლიტიკური ავტონომიას.

კატალონიის დამოუკიდებლობის მომხრე პარტიები უკმაყოფილონი დარჩნენ მოვლენების ხსენებული სცენარის განვითარებით და დაარსეს მოძრაობა - *Comité Català Contra la Constitució Espanyola* - კატალონიური კომიტეტი ესპანეთის კონსტიტუციის წინააღმდეგ. თუმცა, მათმა მოძრაობამ კოლოსალური მარცხი განიცადა, რადგან ესპანეთის კონსტიტუციას რეფერენდუმზე მხარი დაუჭირა ესპანეთის მოსახლეობის 88%-მა, ხოლო კატალონიის მოსახლეობის 90%-მა. მომდევნო წელს კატალონიამ მიიღო ე.წ. ავტონომიის კანონი, რომელსაც რეფერენდუმზე მხარი დაუჭირა მოსახლეობის 88%-მა, რითიც ფაქტიურად მოხდა დამოუკიდებლობის მომხრეთა მარგინალიზაცია, რადგან მათ დაკარგეს მხარდაჭერა ხალხში. ავტონომიის ფარგლებში, კატალონიაში აღსდგა პარლამენტი და მთავრობა (*Generalitat de Catalunya*), ხოლო რეგიონის მასშტაბის კატალონიურ ენას, ესპანურთან ერთად, მიენიჭა ოფიციალური ენის სტატუსი (Conversi, 2000). 1980 წელს კატალონიაში ჩატარდა პირველი საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც გაიმარჯვა პარტია *Convergència i Unió* (კონვერგენცია და ერთობა), ხოლო

მთავრობის მეთაურად არჩეულ იქნა ხორდი პუიოლი, რომელიც შემდგომი 23 წლის განმავლობაში მართავდა რეგიონს (Conversi, 2000, 38-42; 143-145).

2. მეორე ეტაპი - მეტი ავტონომია

2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში *Convergència i Unió* (შემდგომში CiU) პირველად დამარცხდა და დათმო საკუთარი პოზიცია მეტი ავტონომიის მომხრე კოალიციური ძალების სასარგებლოდ, რომელშიც შედიოდნენ კატალონიის სოციალისტური პარტია (PSC), კატალონიის მემარცხენე რესპუბლიკელები (ERC) და მწვანეთა კოალიცია (ICV-EUiA). 2005 წელს აღნიშნულმა კოალიციამ შექმნა და წარადგინა ახალი კანონი კატალონიის ავტონომიის შესახებ, რომელსაც მხარი დაუჭირა კატალონიური პარლამენტის დიდმა ნაწილმა, მათ შორის ყოფილმა მმართველმა პარტიამ (კონვერგენცია და ერთობა). ახალი კანონი ითვალისწინებდა რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს და მიზნად ისახავდა ესპანეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში, კატალონიის უნიკალური იდენტობის აღიარებას, ფინანსური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას ბარსელონასა და მადრიდს შორის ურთიერთობის ახალი წესების შემოღებით, ასევე კატალონიისთვის უფრო მეტი უფლებების გადაცემას რეგიონის შიდა საქმეების მოგვარების კუთხით (Cuadras Morato, 2016, 12-13; 41-43).

კატალონიის მხრიდან კანონის მიღებისთანავე, იგი გადაეგზავნა ესპანეთის კონგრესს შემდგომი დამტკიცებისთვის, რომელმაც მიიღო სტატუსის არსებული ფორმა და დაიწყო მსჯელობა მისი დამკვიცების შესახებ. მადრიდსა და ბარსელონას შორის მოლაპარაკებების შემდეგ მოხდა ტექსტის ცვლილება, კერძოდ მეტი ეკონომიკური თავისუფლების გადაცემის ნაწილში, ასევე კანონის პრეამბულიდან ამოღებული იქნა ის ნაწილი სადაც ეწერა რომ კატალონია წარმოადგენს ხალხის ერთობას.

რეფორმირებული კანონი ესპანეთის ხელისუფლებამ დაამკვიცა და ძალაში შევიდა 2006 წელს. თუმცა, ესპანეთის მხრიდან ყველა არ ეთანხმებოდა კატალონიის მეტი ავტონომიის გადაცემას. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული პოზიცია დაიკავა სახალხო პარტიამ (*Partido Popular*), რომელმაც მიმართა ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. სასამართლო განხილვა 4 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და საბოლოოდ

ასახა 2010 წლის განჩინებაში, რომლის საფუძველზე კანონის 14 მუხლი არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი, კერძოდ (Mermel, 2018, 17-25):

- ენის საკითხი
 - რეგიონის მასშტაბით საგანმანათლებლო საქმიანობის წარმოებისას კატალონიურ ენას მიენიჭა პრივილეგირებული სტატუსი, თუმცა სასამართლომ აკრძალა სახელმწიფო/საჯარო სექტორის საქმიანობებში ხსენებული ენისთვის ანალოგიური სტატუსის მინიჭება. თუმცა, როგორც კატალონიური ისე ესპანური ენები სამართლებრივად თანასწორუფლებიან სტატუსს ინარჩუნებდნენ.
 - სასამართლომ რეკომენდაციის სახით განაცხადა, რომ კატალონიური ენა კატალონიის მოსახლეობისთვის უნდა იყოს „მეორეხარისხოვანი“, რადგან მათი კონსტიტუციური ვალდებულებაა კარგად ფლობდნენ ესპანურ ენას

- ეკონომიკური საკითხი
 - კატალონიის ნებისმიერი მცდელობა დააწესოს საკუთარი საგადასახადო სისტემა არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი
 - კონსტიტუციასთან შესაბამისობაშია მუხლი რომლითაც გათვალისწინებულია, რომ რეგიონში სახელმწიფო ინვესტიციების მოცულობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს კატალონიის მშპ-ს პროპორციულობას ესპანეთის მშპ-სთან, თუმცა აქვე სასამართლო ამბობს, რომ აღნიშნული მუხლის აღსრულების ვალდებულება ესპანეთის ხელისუფლებას არ გააჩნია.

- სასამართლო სისტემა
 - კატალონიის მართლმსაჯულების სასამართლოს შექმნა არაკონსტიტუციურია რადგან, სასამართლოების ჩამოყალიბება

ცდება ავტონომიური გაერთიანებების უფლებამოსილებებს (Mermel, 2018, 17-25).

ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მომჩივანი მხარის არგუმენტები, რომლებიც საფრთხეს უქმნის კონსტიტუციის იმ ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც ესპანეთი არის „დაუშლელი ერთობა“. კერძოდ, კანონის ის ნაწილი რომელშიც ნახსენებია, რომ თვითმმართველობა არის კატალონიელთა „განუყოფელი უფლება“. გარდა ამისა, სასამართლომ გააკრიტიკა კანონის ჩანაწერი, რომელშიც ნახსენებია კატალონიის „მოქალაქე“, რადგან რეგიონის მოსახლეობას შეუძლია მხოლოდ ესპანეთის მოქალაქის სტატუსით სარგებლობა. ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა სახალხო პარტიის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ ნებისმიერი მცდელობა, რომელიც დამტკიცების კატალონიის უნიკალურობას საფრთხეს უქმნის კონსტიტუციის საფუძველზე დადგენილ ესპანეთის დაუშლელ ერთობას. აღნიშნული, ჩანაწერი სასამართლო განაჩენში რვაჯერ არის გამოყენებული (Mermel, 2018).

3. მესამე ეტაპი - დამოუკიდებლობის მოთხოვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია კატალონიაში. 2010 წლის 10 ივლისს ბარსელონაში ჩატარდა მიტინგი ავტონომიის დაცვის მიზნით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1.1-დან 1.5 მილიონამდე ადამიანმა. ამავდროულად, 2009-2011 წწ-ებში კატალონიის მასშტაბით 552 მუნიციპალიტეტში ჩატარდა სიმბოლური რეფერენდუმები დამოუკიდებლობის შესახებ (Cuadras Morato, 2016, 12-13; 41-43), სადაც მონაწილეობა მიიღო კატალონიის ელექტორატის 40%-მა რომელთაგან 96%-მა მხარი დაუჭირა დამოუკიდებლობას (Webb, 2009). თუმცა, აღნიშნულ რეფერენდუმებს რა თქმა კანონიერი შედეგი არ ჰქონდა. 2011 წელს კატალონიაში არსებულმა მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა დაარსეს ორგანიზაცია დამოუკიდებლობის მომხრე მუნიციპალიტეტების ასოციაცია, რომელშიც დღეის მდგომარეობით 948 მუნიციპალიტეტიდან 787-ია გაერთიანებული (Municipis adherits, 2018).

2010 წლის სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, კატალონიის დამოუკიდებლობის მოთხოვნა აქტიურ ფაზაში შედის და თუ აქამდე მოსახლეობის დიდი ნაწილი ითხოვდა კიდევ უფრო ფართო ავტონომიას, მოთხოვნა შეიცვალა და დღის წესრიგში უკვე უშუალოდ რეგიონის დამოუკიდებლობის საკითხი დადგა. 2010 წელსვე არჩევნებში გაიმარჯვა და ხელისუფლებაში მოვიდა CiU, რომელმაც მთავრობის პრეზიდენტად აირჩია საკუთარი ლიდერი არტურ მასი. 2012 წლის 11 სექტემბერს, კატალონიის ეროვნული დღის აღსანიშნავად ბარსელონაში კვლავ გაიმართა მილიონიანი მიტინგი კატალონიის დამოუკიდებლობის მოთხოვნით (Goodman, 2012). 2012 წლის ნოემბერში არტუს მასმა დანიშნა პარლამენტის ახალი არჩევნები, სადაც კიდევ უფრო დიდი მხარდაჭერა მიიღეს დამოუკიდებლობის მომხრე პარტიებმა. შესაბამისად, კატალონიის მთავრობას მიეცა საშუალება აქტიურად ეწარმოებინა ბრძოლა დამოუკიდებლობის დანიშვნის შესახებ ოფიციალური რეფერენდუმის ჩასატარებლად (Reuters Staff, 2012).

2013 კატალონიის პარლამენტმა მიიღო ე.წ. „დეკლარაცია სუვერენიტეტისა და კატალონიელი ხალხის მიერ გადაწყვეტილების მიღების შესახებ“. ამის შემდეგ, კატალონიაში დამოუკიდებლობის მომხრე პარტიებს შორის დაიწყო კონსულტაციები რეფერენდუმის ჩატარების დროსა და სარეფერენდუმო შეკითხვის ფორმირების შესახებ (BBC Profile, 2018). რეფერენდუმის ჩატარების შესახებ, მოთხოვნა გადაიგზავნა ესპანეთის კონგრესსში. ამავდროულად, გაჩნდა ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება რეფერენდუმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ აღნიშნული ქმედება იქნებოდა არაკონსტიტუციური, თუმცა კატალონიის მოსახლეობას ჰქონდათ უფლება აზრის დაფიქსირების მიზნით ჩაეტარებინათ გამოკითხვა, რომელსაც არანაირი კანონიერი ძალა არ ექნებოდა. საკონსტიტუციო სასამართლოს გარდა ესპანეთის საკანონმდებლოს ორგანომაც არ დაუჭირა მხარი რეფერენდუმის ჩატარებას, რის გამოც კატალონიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ჩაეტარებინა „საკონსულტაციო“ ხასიათის რეფერენდუმი, რომელსაც არ ექნებოდა არანაირი კანონიერი ძალა (BBC News, 2018).

საკონსულტაციო რეფერენდუმი ჩატარდა 2014 წლის 9 ნოემბერს სადაც აქტივობამ შეადგინა ელექტორატის 41% ხოლო დამოუკიდებლობაზე თანხმობა განაცხადა ამომრჩეველთა 80.76%-მა. მიუხედავად დიდი მხარდაჭერისა, ლეგალურად

კატალონიას არ ჰქონდა იმის საშუალება, რომ გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა, შესაბამისად არტურ მასის გადაწყვეტილებით ჩაინიშნა პარლამენტის ახალი არჩევნების, რომელშიც ესპანეთისგან გამოყოფის მომხრეების მანდატები გაიზრდებოდა და შექმნიდა საფუძველს დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლისთვის (Participa2014, 2018).

2015 წლის 27 სექტემბერს კატალონიაში ახალი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. არჩევნების წინ დამოუკიდებლობის მომხრე პოლიტიკურმა ჯგუფებმა შექმნეს კოალიცია, რომელშიც შეიოდნენ CiU, კატალონიის მემარცხენე რესპუბლიკელები (ERC), კატალონიის დემოკრატები და მემარცხენე მოძრაობა. აღნიშნულ ალიანსს სიმბოლურად დაერქვა Junts pel Sí (JxSí) - ერთად თანხმობისთვის, რომელმაც ხსენებული არჩევნების საფუძველზე 135 კაციან პარლამენტში 71 მანდატი მოიპოვა (ADMINISTRACIÓN ELECTORAL, 2015), რაც სრულიად საკმარისი იყო მთავრობის ჩამოსაყალიბებლად და დამოუკიდებლობის გამოცხადების მოსამზადებლად. 2016 წელს კატალონიის მთავრობის პრეზიდენტის პოსტი დაიკავა კარლეს პუჩდემონმა, რომელმაც ახალი ძალა მისცა დამოუკიდებლობის მოძრაობას. (Aljazeera, 2018).

2017 წლის 6 სექტემბერს კატალონიის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება რეფერენდუმის ჩატარების შესახებ, რომელზეც შეკითხვა დაისვა შემდეგი ფორმულირებით: „გსურთ თუ არა, რომ კატალონია გახდეს დამოუკიდებელი სახელმწიფო და მისი მმართველობის ფორმა იყოს რესპუბლიკა?“ (Spongenberg, 2017). მეორე დღეს, ესპანეთის პრემიერ მინისტრ მარიანო რახოს მიმართვის საფუძველზე ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო კატალონიის პარლამენტის 6 სექტემბრის გადაწყვეტილება და აუკრძალა კატალონიას ჩატარებინა რეფერენდუმი (BBC News, 2018), (Lavanguardia, 2017).


მიუხედავად, ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების მცდელობებისა, კატალონია მაინც მომზადებული შეხვდა 2017 წლის 1 ოქტომბერს. რეგიონის მთავრობის ინფორმაციით რეფერენდუმის დღისთვის მომზადდა 2243 საარჩევნო უბანი (Aljazeera, 2017). ესპანეთის სასამართლოს გადაწყვეტილებით პოლიციამ მიიღო ბრძანება აღეკვეთა საჯარო დაწესებულებების გამოყენება რეფერენდუმის მომზადებისა თუ

ჩატარების მიზნით. ბრძანება ასევე გადაეცა კატალონიის მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფ პოლიციის ქვედანაყოფებს (Mossos d'Esquadra), თუმცა ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლება მათ ბოლომდე არ ენდობოდა და მათი გადაწყვეტილების რეგიონში დამატებით გაგზავნეს სამოქალაქო გვარდიის (Guardia Civil) ქვედანაყოფები. სხვადასხვა მონაცემებით მათი რაოდენობა 4-დან 10 ათას ოფიცრამდე მერყეობდა (Rogers, 2017).

1 ოქტომბრის დილის 9 საათზე გაიხსნა საარჩევნო უბნები და დაიწყო კენჭისყრის პროცესი. ადგილობრივი პოლიციისგან განსხვავებით სამოქალაქო გვარდიის ქვედანაყოფები მთელი დღის განმავლობაში მასიურად ცდილობდნენ კენჭისყრის შენობების დახურვას, ბიულეტენებისა და საარჩევნო ყუთების ამოღებას, რასაც მოსახლეობის მხრიდან ხისტი რეაქცია მოჰყვა (BBC News, 2017). რეფერენდუმის დღეს მთელი კატალონიის მასშტაბით მიმდინარეობდა დაპირისპირება სამართალდამცავებსა და მოსახლეობას შორის. კატალონიის ჯანდაცვის სამსახურისა და ესპანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, შეტაკებების დროს დაშავდა 893 მოქალაქე და პოლიციის 39 ოფიცერი (País, 2017).

შეტაკებებისა და მძიმე ვითარების მიუხედავად კატალონიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმი მაინც ჩატარდა და 2 ოქტომბერს კატალონიის მთავრობამ გამოაქვეყნა კენჭისყრის საბოლოო შედეგები:

რეფერენდუმზე დასმული შეკითხვა: „გსურთ თუ არა, რომ კატალონია გახდეს დამოუკიდებელი სახელმწიფო და მისი მმართველობის ფორმა იყოს რესპუბლიკა?“



წყარო: Generalitat De Catalunya, 2017

როგორც მონაცემებიდან ჩანს რეფერენდუმში მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა (92.01%) მხარ უჭერ კატალონიის დამოუკიდებლობას. თუმცა, აღსანიშნავია რომ კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობა ელექტორატის მხოლოდ და მხოლოდ 43.03%-ს შეადგენს რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. კონტრასტისთვის შოტლანდიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმში აქტივობამ შეადგინა - 84.59% (The Electoral Commission, 2014) ხოლო კვებეკის შემთხვევაში აღნიშნული მონაცემი 93.52% უტოლდებოდა (Elections Quebec, 1995).

მიუხედავად დაბალი აქტივობისა კატალონიის ხელისუფლებამ მაინც გადაწყვიტა რეფერენდუმის შედეგები გამოეყენებინა საკუთარი მიზნების მისაღწევად და 2017 წლის 10 ოქტომბერს კატალონიის მთავრობის პრეზიდენტმა, კარლეს პუჩდემონმა აღიარა რეფერენდუმის შედეგები, მაგრამ გადადო დამოუკიდებლობის გამოცხადება, თუმცა არა დიდი ხნით რადგან 2017 წლის 27 ოქტომბერს კატალონიის პარლამენტმა 70 ხმით (135-დან) მხარი დაუჭირა რეზოლუციას კატალონიის ესპანეთიდან გამოყოფის შესახებ (Newton, 2017). აღნიშნულ ქმედებაზე მადრიდმა მყისიერი რეაქცია იქონია და სულ რამდენიმე საათში ესპანეთის სენატმა მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება და კონსტიტუციის 155-ე მუხლის შესაბამისად გამოაცხადა კატალონიაზე პირდაპირი მმართველობის დამყარება (BBC UK, 2017).

ხსენებული მოვლენების შემდეგ, ესპანეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა დაენიშნა კატალონიის პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების, რომელიც ჩატარდა 2017 წლის 21 დეკემბერს, რომელშიც მომნაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა რეკორდულმა 79.1%-მა პროცენტმა. აღნიშნულ არჩევნებში გამარჯვება კვლავ დამოუკიდებლობის მომხრე პარტიებმა მოახერხეს, რომლებშიც შეიოდნენ პუჩდემონის „ერთად კატალონიისთვის“, „მემარცხენე რესპუბლიკელები“ და „სახალხო ერთობის კანდიდატურა“. საერთო ჯამში ხსენებულმა პარტიებმა კატალონიის პარლამენტის 135 მანდატიდან 70 მოიპოვეს. (the Guardian, 2017). კატალონიაში არჩევნებისა და მთავრობის ფორმირების მიუხედავად ჯერ კიდევ გრძელდება ესპანეთის ხელისუფლების „პირდაპირი მმართველობა“.

III. ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომის ფარგლებში მოცემული საკითხის უკეთ აღსაქმელად საჭიროა მის გარშემო უკვე არსებული კვლევებისა და ლიტერატურის გაცნობა და მათ საფუძველზე კვლევისთვის საჭირო დასკვნების გამოტანა. შესაბამისად, ლიტერატურული მიმოხილვა დაიყოფა ორ ნაწილად. პირველ ნაწილში განხილული იქნება ის თეორიები, რომლებიც უკავშირდება თვითგარმორკვევის საკითხს, ხოლო მეორე ნაწილში მოყვანილი იქნება სხვადასხვა მკვლევრისა თუ მეცნიერის მიერ კატალონიის დამოუკიდებლობის მართებულობასთან დაკავშირებული ნარატივები, რომელთა განხილვა მოხდება პირველ ნაწილში მოყვანილი თეორიული ასპექტების ფარგლებში.

1. სეცესიის თეორიები

თვითგარმორკვევის პრაქტიკაში გამოყენების უმთავრესი ინსტრუმენტი ე.წ. სეცესიაა. სეცესია ნიშნავს კონკრეტული გაერთიანებიდან ან პოლიტიკური სუბიექტისგან/სახელმწიფოსგან ოფიციალურად გამოყოფას (West's Encyclopedia of American Law, 2002). შესაბამისად, კვლევის ფარგლებში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით ნათლად სტრუქტურირებული აზრები და ინსტრუმენტები შეიძლება სწორედ სეცესიის თეორიებში და მათ შემადგენელ ნაწილებში მოვძებნოთ. აღნიშნული თეორიები ძირითადად ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ ჯგუფებში ნაწილდებიან. ესენია რემედიული უფლების თეორიები (Remedial Right Only Theories) და არსებითი უფლების თეორიები (Primary Right Theories). განხვიხილოთ თუ რას გულისხმობს თითოეული თეორიული ნარატივი და რა ნაწილებისგან შედგება ისინი.

1.1 რემედიული უფლების თეორიები

რემედიული უფლების თეორია სეცესიას აიგივებს რევოლუციასთან და ამბობს, რომ სეცესია ეს არის კონკრეტული ჯგუფის უფლება, რომლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა სახეზეა მათი უფლებებისა და უფლებრივი მდგომარეობის დარღვევა. შესაბამისად, სეცესია არ წარმოადგენს კონკრეტული ჯგუფების არსებით უფლებას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ელემენტების მიერ შეიძლება იყოს

გამოყენებული, ისიც უკანასკნელ ზომად, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ მათთვის არასამართლიან გარემოში, რაც წარმოადგენს „სამართლიან“ მიზეზს მათი სეცესიისთვის. აღნიშნული თეორიის ნარატივი მთლიანად დაფუძნებულია სწორედ, ხსენებული სამართლიანი მიზეზის არსებობაზე, რის გამოც რემედიული უფლების თეორიებს სხვანაირად, სამართლიანი მიზეზის თეორიებსაც (Just Cause Theories) უწოდებენ (Zalta, 2017).

აღნიშნული თეორიის ფარგლებში დადგენილია რამდენიმე არასამართლიანი გარემოება, რომელთა არსებობის შემთხვევაში კონკრეტულ ჯგუფებს აქვთ უფლება გამოიყენონ სეცესიის უფლება. კერძოდ,

- თუ კონკრეტული ტერიტორია, რომელიც ადრე შედიოდა კონკრეტული ჯგუფის სუვერენიტეტის ფარგლებში და მისგან იქნა წართმეული არასამართლიანი მიზეზით, მაშინ ხსენებულ ჯგუფს აქვს უფლება აღადგინოს საკუთარი სუვერენიტეტი ამ ტერიტორიაზე;
- თუ კონკრეტულ ჯგუფის მიმართ მუდმივ რეჟიმში ირღვევა ადამიანის ძირითადი უფლებები/თავისუფლებები, მაშინ ხსენებულ ჯგუფს, როგორც უკანასკნელი ზომა (Last Resort), შეუძლია გამოიყენოს სეცესიის უფლება და დაამყაროს საკუთარი სუვერენიტეტი ტერიტორიაზე.
- თუ სახელმწიფო, რომელშიც ცხოვრობს კონკრეტული ჯგუფი, არ აძლევს ამ უკანასკნელს უფლებას ფლობდეს საკუთარ თვითმმართველ/ავტონომიურ ორგანოებს, ან უკვე არსებულ თვითმმართველ/ავტონომიურ ორგანოებს აუქმებს, რითიც საფრთხე ექმნება ზემოთხსენებული ჯგუფის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ განვითარებას, მაშინ ხსენებულ ჯგუფს აქვს უფლება აღადგინოს საკუთარი სუვერენიტეტი მის საცხოვრებელ ტერიტორიაზე (Zalta, 2017).

მოკლედ რომ ვთქვათ, რემედიული უფლების თეორიების მიხედვით კონკრეტულ ჯგუფის სეცესიის უფლება გამომდინარეობს მხოლოდ იმ შემთხვევებიდან, როცა სახეზეა ამ ჯგუფის მიმართ არასამართლიანი ქმედებები, ამასთან სეცესია უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ უკანასკნელი ზომა. თუმცა, აღნიშნული თეორია ბევრს არაფერს

ამბობს, იმ შემთხვევებზე, როცა საქმე გვაქვს ე.წ. სამართლიან სახელმწიფოებთან - ჩვენს შემთხვევაში დასავლურ დემოკრატიებთან - რომელთა შემადგენელ ნაწილებს, მიუხედავად იმისა, რომ ზემოთხსენებულ „არასამართლიანი“ ქმედებებიდან არცერთის მსხვერპლი არ გამხდარან, მაინც სურთ სეცესია და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა (Zalta, 2017).

რემედიული უფლების თეორია სეცესიის „სამართლიანი“ მიზეზის არ არსებობის შემთხვევაში საუბრობს სეცესიის ე.წ. სპეციალური უფლების გამოყენებაზე. აღნიშნული უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნას სამ შემთხვევაში. 1) თუ სახელმწიფო აძლევს მის შემადგენელ სუბიექტს უფლებას მოახდინოს სეცესია; 2) თუ სეცესიის უფლება კონკრეტული სახელმწიფოს კონსტიტუციითა გათვალისწინებული; 3) თუ შეთანხმება, რომლითაც სახელმწიფო შეიქმნა სხვა დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების გაერთიანების საფუძველზე, გულისხმობდა შემდგომი სეცესიის უფლებას (BUCHANAN, 1997, 31-61).

რემედიული უფლების თეორია საკმაოდ საინტერესო ნარატივს გვთავაზობს, სეცესიასთან დაკავშირებული საკითხების გარშემო, თუმცა ამავდროულად შემოიფარგლება მხოლოდ ე.წ. „არასამართლიანი გარემოებების“ არსებობაზე აპელირებით, ასევე უშუალოდ სახელმწიფოს კეთილ ნებაზე მის შემადგენელ ელემენტებს მიცნეს თვითგამოკრვევის უფლება. აღსანიშნავია რომ, აღნიშნული თეორია ნაშრომის ფარგლებში შერჩეული საკვლევი ობიექტების, დასავლური დემოკრატიების, შიგნით კონკრეტული ელემენტების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობას ვერ ხსნის, რადგან დასავლური დემოკრატიები არ წარმოადგენენ არასამართლიან სუბიექტებს. თუმცა, ფაქტია რომ ყველაზე სამართლიანი სახელმწიფოებიდანაც კი კონკრეტულ ჯგუფებს სურთ სეცესია და დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა, რასაც ნაშრომის ფარგლებში მოყვანილი პრეცედენტებიც ადასტურებს (BUCHANAN, 1997, 31-61).

1.2 არსებითი უფლების თეორიები

არსებითი უფლების თეორიების მიხედვით, სეცესიის საფუძველი რა თქმა უნდა არის კონკრეტული ჯგუფის მიმართ არასამართლიანი ქმედებები. თუმცა, მეორეს მხრივ კონკრეტულ ჯგუფებს აქვს შესაძლებლობა მოახდინონ სეცესია, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც სახეზე არ გვაქვს ე.წ. არასამართლიანი ქმედებები. აღნიშნული თეორია იყოფა ორ ძირითად ნაწილად: ასკრიპტივისტური თეორიები (Ascriptivist Theories) და პლემბისციტული თეორიები (Plebiscitary Theories) (BUCHANAN, 1997).

ასკრიპტივისტური თეორიების მიხედვით სეცესიის გამოყენების უფლება გააჩნიათ იმ ჯგუფებს, რომლებსაც გააჩნიათ ასკრიპტივისტური მახასიათებლები, ამასთან მათ მიმართ შეიძლება საერთოდ არ ხორციელდებოდეს არასამართლიანი ქმედებები. აღნიშნული თეორიული ნარატივი, ასევე დიდ ყურადღებას არ უთმობს კონკრეტული ჯგუფის შიგნით პოლიტიკური ელემენტების საფუძველზე ერთიანობის ჩამოყალიბებას და ძირითად აქცენტს სწორედ ხსენებულ მახასიათებლებზე აკეთებს.

ასკრიპტივისტურ მახასიათებლების საფუძველზე შექმნილ ერთობებად ითვლებიან ერები და ხალხები. მათთვის დამახასიათებელია საერთო კულტურა, ენა, ისტორია, განსაკუთრებულობის აღქმა და შესაძლებელია ფართოდ გაზიარებული იდეა იმის შესახებ, რომ თვითონვე ჰქონდეთ პოლიტიკური ძალაუფლება მართონ საკუთარი თავი. როგორც ვხედავთ, აღნიშნული თეორია ნაციონალისტური ხასიათის მატარებელია და კვლევის ობიექტად სწორედ ერსა და ხალხს მიიჩნევს. თუმცა, აქ ვაწყდებით საკმაოდ რთულ პრობლემას. კონკრეტული ჯგუფისათვის ერისა ან ხალხის სტატუსის მინიჭება არც თუ ისე მარტივია, წარმოადგენს სხვადასხვა ელემენტების სუბიექტურ აღქმას, შესაბამისად ძნელია იმის გამორკვევა თუ რომელ ჯგუფს უნდა მიეცეს იმის საშუალება, რომ შეძლონ დამოუკიდებლობის მოპოვება, თუნდაც ე.წ. სამართლიანი სახელმწიფოებისგან (Zalta, 2017).

პლემბისციტული თეორიების ნარატივი ძირითადად პროცესების დემოკრატიულობას, უმრავლესობის ნებასა და პოლიტიკური წარმომადგენლობის საკითხებზეა დაფუძნებული. კერძოდ, ხსენებული თეორიის მიხედვით, კონკრეტულ ჯგუფის მიერ სეცესიის უფლების გამოსაყენებლად, არ არის საჭირო არსებობდეს ერთის მხრივ, ამ

ჯგუფის მიმართ არასამართლიანი ქმედებები და მეორეს მხრივ, ჯგუფის იდენტიფიცირებისთვის არაა აუცილებელი რაიმე ასკრიპტივისტური მახასიათებლების დანახვა. ერთადერთი რაც სეცესიისთვის საჭიროა არის ის, რომ ჯგუფს ჰქონდეს საშუალება თავისუფლად გამოხატოს პოლიტიკური ნება და თუ უმრავლესობის მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება სეცესიის შესახებ ამ შემთხვევაში ხსენებულ ჯგუფს აქვს უფლება შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო (BUCHANAN, 1997, 31-61).

უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის თეორიის ფარგლებში წარმოდგენილია რამდენიმე გარემოება, რომელთა არსებობის შემთხვევაში კონკრეტულ ჯგუფს ექნება უფლება გამოეყოს მასპინძელ სახელმწიფოს. კერძოდ,

- დამოუკიდებლობის მომხრეთა რაოდენობა უნდა წარმოადგენდეს, კონკრეტულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობას. შესაბამისად, გადაწყვეტილება მიიღება დემოკრატიული პრინციპით და უმრავლესობის პოლიტიკური ნების საფუძველზე;
- სახელმწიფოს რომლის შექმნასაც ხსენებული ჯგუფი ცდილობს, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა განახორციელოს საკუთარი სუვერენიტეტი კონკრეტულ ტერიტორიაზე და შეასრულოს სახელმწიფოს „ლეგიტიმური ფუნქციები“;
- მასპინძელი სახელმწიფოდან, კონკრეტული ტერიტორიის გამოყოფამ არ უნდა გამოიწვიოს ხსენებული ქვეყნის ისეთ მდგომარეობაში ჩაყენება, რომლის გამოც ამ უკანასკნელს აღარ ექნება შესაძლებლობა დარჩენილ ტერიტორიაზე განახორციელოს ზემოთხსენებული „ლეგიტიმური ფუნქციები“.

თვითგამორკვევასთან დაკავშირებული სხვადასხვა თეორიული ნარატივის გაცნობისა და კვლევის ფარგლებში მოყვანილი პრეცედენტების ისტორიულ, პოლიტიკურ, სამართლებრივ ასპექტებში შესწავლის შემდეგ, მოცემული თეორიების საფუძველზე დადგინდება თუ რომელი ნარატივი შეიძლება იყოს გამოყენებული ნაშრომში მოყვანილი გარემოებების ასახსნელად.

2. კატალონიის თვითგამორკვევის სხვადასხვა ასპექტები

თვითგამორკვევის უფლებასთან დაკავშირებული თეორიული ნარატივების გაცნობის შემდეგ, საინტერესოა იმ ნაშრომებისა და პუბლიკაციების განხილვა, რომლებიც კატალონიის დამოუკიდებლობის მოთხოვნის საკითხის გარშემო არსებობს. მიმოხილვის ფარგლებში განხილული იქნება დამოუკიდებლობის, როგორც მომხრე ისე მოწინააღმდეგეების ნარატივი, არგუმენტები და ძირითადი ყურადღება დაეთმობა იმ მიმართულებების ანალიზს, რომელთა საფუძველზეც აღნიშნული მკვლევრები იკვლევენ კატალონიის რეფერენდუმის საკითხს.

დამოუკიდებლობის რეფერენდუმის მოწინააღმდეგეთა უპირველესი არგუმენტი ესპანეთის კონსტიტუციას და მის მიერ დადგენის სამართლებრივ ნორმებს უკავშირდება. ხსენებულს საკითხზე საკმაოდ საინტერესო კვლევას წარმოგიდგენს ბარსელონის უნივერსიტეტის, საკონსტიტუციო სამართლის პროფესორი **ჟოან ვინტრო**. ავტორის აზრით, ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების პოზიციის მთავარი გამამყარებელი არგუმენტი 1978 წლის კონსტიტუციაში, კერძოდ მის პირველ და მეორე მუხლში, რომელიც ადგენს, რომ ესპანელი ხალხის არჩევანი სუვერენიტეტია და ესპანური სახელმწიფო წარმოადგენს ხალხთა „დაუშლელ ერთობას“. გარდა ამისა, ავტორი ყურადღებას ამახვილებს ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება N103/2008, რომელიც გამორიცხავს სუვერენული სუბიექტის მხრიდან საკუთარი იდენტობის გამორკვევის მოთხოვნით რეფერენდუმის ჩატარებას, გარდა იმ შემთხვევისა როცა საქმე ეხება კონსტიტუციის ცვლილებას და ამასთან აღნიშნული ტიპის რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს ესპანეთის მთელ ტერიტორიაზე და მასში მონაწილეობა უნდა მიიღოს ესპანეთის ყველა მოქალაქემ (Vintro, 2012, 2-4) .

საინტერესოა, რომ ვინტრო დეტალურად განიხილავს ორ ინსტრუმენტის კანონიერებას, რომლებიც არსებული საკანონმდებლო გარემოს პირობებში კატალონიის ხელისუფლებას რეფერენდუმის ლეგიტიმურობის დამტკიცების საფუძველს აძლევდა. პირველი, ეს არის კონსტიტუციის 92-ე მუხლი, რომელიც გულისხმობს, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობის პოლიტიკური საკითხის გადასაწყვეტად, შესაძლებელია ჩატარდეს „საკონსულტაციო“ რეფერენდუმი. ამ უკანასკნელის

დანიშვნის უფლება გააჩნია ესპანეთის მეფეს, პრემიერ მინისტრის თხოვნითა და დეპუტატთა კონგრესის თანხმობის შემთხვევაში. თუმცა, ავტორი აქვე განმარტავს, რომ აღნიშნული ჩანაწერი კონსტიტუციაში ბუნდოვანია და საჭიროებს ორგანული კანონით დარეგულირებასა და მსგავსი ტიპის რეფერენდუმის ჩატარების კონკრეტული წესის დადგენას. გარდა ამისა, ხსენებულ დათმობაზე წასვლის პოლიტიკური ნება ესპანეთის ცენტრალურ ხელისუფლებას არ გამოუჩენია (Vintro, 2012, 2-4).

მეორე კანონიერი ინსტრუმენტი, რომელიც კატალონიის ხელისუფლების ხელში არსებობდა, იყო კატალონიის კანონი N 4/2010 რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია ჩატარდეს „საკონსულტაციო“ ხასიათის რეფერენდუმის ჩატარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხის შესახებ, თუმცა მხოლოდ და მხოლოდ იმ უფლებამოსილებების ფარგლებში, რომლებიც გააჩნია კატალონიის მთავრობის (პარლამენტს). ამ უკანასკნელს კი გააჩნია სრული უფლება მიმართოს ესპანეთის პარლამენტს საკონსტიტუციო ცვლილების მოთხოვნით. თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი „საკონსულტაციო“ ხასიათის რეფერენდუმის ჩატარებისთვის პარლამენტის თანხმობაა საჭირო. ავტორის აზრით, ნათელია რომ ესპანეთის ხელისუფლებას ჰქონდა ყველანაირი ბერკეტი რათა კატალონიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმი არაკანონიერად ეცნო (Vintro, 2012, 2-4).

ვინტროს ნარატივი მეტწილად ასახავს არსებულ საკანონმდებლო ბაზას, რომლის ფარგლებშიც მტკიცდება კატალონიის თვითგამორკვევის არამართებულობა, რაც რა თქმა უნდა ესპანეთის კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერებით ისედაც ნათელია. აღნიშნული ნარატივი მეტწილად შეიძლება დაუკავშირდეს სეცესიის რემედიული თეორიების ჯგუფს სადაც ნახსენებია ე.წ. სპეციალური პირობები რომლის საფუძველზე შესაძლებელია მასპინძელი სახელმწიფოდან გამოყოფა თუ ამის შესახებ კონსტიტუციური თანხმობა არსებობდა. თუმცა, მხოლოდ კონკრეტული სახელმწიფოს შიდა სამართლებრივი დოკუმენტების საფუძველზე რელევანტური დასკვნის გამოტანა კატალონიის თვითგამორკვევის უფლების მართებულობასთან დაკავშირებით არ არის საკმარისი საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე.

კატალონიის დამოუკიდებლობის მართებულობაზე საუბრობს საერთაშორისო სამართლის განხრით მომუშავე პროფესორი ანნა პეტერსი, რომელიც შემთხვევას განიხილავს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს (შემდგომში ICJ) 2010 წლის გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც ეხებოდა კოსოვოს სეცესიის საკითხს. კერძოდ კი იმ ნაწილს სადაც საუბარია, რომ დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადება არ არღვევს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც სახეზეა ძალის არასამართლიანად გამოყენების ფაქტი (Peters, 2017).

პეტერსის აზრით, ხსენებული ჩანაწერი კატალონიის შემთხვევაზეც შეიძლება გავრცელდეს, რადგან ICJ-ს გადაწყვეტილებაში არსად არ არის დაკონკრეტებული თუ როდის შეიძლება იქნას გამოყენებული ხსენებული ძალა ან ვის მიერ. შესაბამისად, ავტორის აზრით ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების მიერ კატალონიელთა წინააღმდეგ პოლიციური ძალის გამოყენება ზუსტად ჯდება ძალის არასამართლიანად გამოყენების ფარგლებში, რაც ქმნის საფუძველს იმისათვის, რომ კატალონიელებს მიეცეთ საშუალება სამართლიანად მოითხოვონ სეცესია (Peters, 2017).

მეორე გარემოება, რაზეც პეტერსი ამახვილებს ყურადღებას გახლავთ სეცესიის ე.წ. რემედიული უფლება, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ჩაგვრის ქვეშ მყოფ ხალხებს გააჩნიათ დამოუკიდებლობის მოპოვების შესაძლებლობა. თანამედროვე საერთაშორისო სამართალიც სეცესიის საკითხებთან დაკავშირებით გაჯერებულია სწორედ რემედიული ნარატივით, რაც ავტორის აზრით წარმოადგენს კანონიერ „თავდაცვით“ ინსტრუმენტს სახელმწიფოებისთვის, რათა მათ გაამართლონ საკუთარი ქმედებები, სეცესიონისტთა მოთხოვნების პრევენციისთვის (Peters, 2017).

პეტერსის აზრი თანამედროვე საერთაშორისო სამართალსა და რემედიულ სეცესიასთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო და მეტწილად ლოგიკურიცაა, რამეთუ ავტორის აკრიტიკებს იმ კრიტერიუმებს რასაც რემედიულ უფლებებში ვხვდებით, რადგან აღნიშნული ნარატივი საშუალებას აძლევს არსებულ სახელმწიფოებს მოახინონ სეცესიური პროცესების პრევენცია იმ საბაზით, რომ არ არსებობს კონკრეტული ჯგუფის მიმართ რაიმე სახის არასამართლიანი ქმედებები. თუმცა მეორეს მხრივ, მიდგომას

რომლითაც ავტორი პარალელს ავლებს კატალონიისა და კოსოვოს პრეცედენტებს შორის კატეგორიულად არ ვეთანხმები, რადგან ამ უკანასკნელის შემთხვევაში სახეზე იყო ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტი, სხვადასხვა სამხედრო დანაშაულებების ჩადენის დადასტურებული ფაქტებით, რაც კატალონიის შემთხვევაში არ გვხვდება. შესაბამისად, იმ სამართლებრივი დოკუმენტის განზოგადება, რომელიც რადიკალურად განსხვავებული გარემოებების არსებობის შემდეგ დადგა არ გვამღვეს იმის საშუალებას, რომ დასავლური დემოკრატიები ე.წ. ორმაგი სტანდარტით მოქმედებაში დავადანაშაულოთ, რაც პეტერსის მთავარ სათქმელს წარმოადგენს.

კატალონიის თვითგამორკვევის საკითხზე ასევე წერს ბარსელონის პომპეუ ფაბრას სახელობის უნივერსიტეტის, პოლიტიკური თეორიების პროფესორის **იოზეფ კოსტა**. იგი ეთანხმება იმ აზრს, რომ კატალონიას ჰქონდა უფლება გამოყოფოდა ესპანეთს და შეექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამისათვის ავტორის ნარატივი კონცენტრირებულია იმის გამორკვევაზე, თუ რამდენად აქვს რეგიონს საკუთარი თვითგამორკვევის შესაძლებლობა უშუალოდ ესპანეთის შემადგენლობაში დარჩენის შემთხვევაში. ავტორი აქცენტს აკეთებს თვითგამორკვევის სამ ძირითად ნაწილზე, რომლებიცაა: თვითმმართველობა, წარმომადგენლობა, ინკლუზიურობა (ხელმისაწვდომობა)(Costa, 2017, 1-5).

თვითმმართველობაზე საუბრისას კოსტა ამბობს, რომ კატალონიის რეალურმა ავტონომიამ დაარსებიდან მხოლოდ ორ წელს გასტანა, რადგან 1981 წელს ესპანეთში სამხედრო გადატრიალების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ცენტრალური ხელისუფლება მეტწილად დიდ გავლენას ამყარებს რეგიონზე და ცვლის კატალონიის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის სტილს. ამ უკანასკნელთა უკმაყოფილება გახდა მიზეზი იმისა, რომ 2006 წელს კატალონიისა და ესპანეთის საკანონმდებლო ორგანოებმა მიიღეს ახალი კანონი რეგიონის ავტონომიური სტატუსის შესახებ, რომელიც აფართოებდა თვითმმართველი სუბიექტის უფლებრივ მდგომარეობას. თუმცა, 2010 წელს ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ხსენებული კანონის ჩაგდება მეტყველებს იმაზე, რომ კატალონიას მასპინძელი სახელმწიფოს შემადგენლობაში არ ეძლევა საშუალება ეფექტურად უზრუნველყოს საკუთარი თვითმმართველი ფუნქციების განხორციელება (Costa, 2017, 1-5).

კოსტას აზრით კატალონიელთა წარმომადგენლობა სახელმწიფო ორგანოებში არ არის პროპორციული რეგიონის დემოგრაფიულ, სოციალურ თუ პოლიტიკურ დინამიკასთან. ავტორს მოყავს არგუმენტი, რომ უკანასკნელი 150 წლის განმავლობაში ესპანეთის არცერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინსტიტუტისა და ორგანოს ხელმძღვანელად არ დანიშნულა კატალონიელი. ასევე, დაბალი დონის სტრუქტურებში ხსენებული ხალხის მიმართ დისკრიმინაციისა და არარელევანტური მოპყრობის ფაქტების ბევრია (Costa, 2017, 1-5).

ინკლუზიურობასთან დაკავშირებით ავტორის არგუმენტი მდგომარეობს შემდგომში, რომ მიუხედავად ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა კატალონიის ავტონომიური კანონის შესახებ, რომელიც უარყოს რეგიონული პარლამენტის წარმომადგენელთა 86%-მა, კატალონიის პოლიტიკური ესტაბლიშმენტი მრავალჯერ ეცადა ეწარმოებინა მოლაპარაკებები ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთიანი გამოსავლის მოძებნის მიზნით, თუმცა მადრიდმა ყველა ხსენებული მცდელობის იგნორირება მოახდინა (Costa, 2017, 1-5).

შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ კოსტას აზრით კატალონიის დამოუკიდებლობა გამართლებულია იმ არგუმენტის გამო, რომ რეგიონის მოსახლეობას ესპანეთის შემადგენლობაში ყოფნით არ ეძლევა საშუალება მოახდინოს თვითგამორკვევა. ავტორის არგუმენტი, მადრიდის მხრიდან კატალონიის მთავრობის მცდელობების იგნორირებასთან დაკავშირებით, საკმაოდ ლოგიკური და საფუძვლიანია. თუმცა, უშუალოდ რეგიონული თვითმმართველობის ორგანოებისა და ეთნიკურად კატალონიელი პოლიტიკოსების ცენტრალურ ხელისუფლების რიგებში ყოფნის საკითხები საკმაოდ სადავოა და აშკარად იკვეთება ავტორის ტენდენციური დამოკიდებულება.

შემდეგი მკვლევარი, რომელიც კატალონიის რეფერენდუმის საკითხზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ნიუ იორკის უნივერსიტეტის, პოლიტიკის მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი იანინა უელზია. ავტორი ძირითად აქცენტს აკეთებს დამოუკიდებლობის იდეის მიმართ უშუალოდ კატალონიის მოსახლეობის პოზიციასა და მის ცვალებადობაზე სხვადასხვა პერიოდში.

მსჯელობის ნაწილში, უელპიც ესპანეთის კონსტიტუციას აქცევს ყურადღებას, კერძოდ კი მისი მიღების პროცესში კატალონიის მოსახლეობის ჩართულობას. სტატისტიკის მიხედვით 1978 წლის კონსტიტუციის მიღების რეფერენდუმზე მონაწილეობა მიიღო კატალონიური ელექტორატის 67.9%-მა, რომელთაგან 95.1% მხარდაჭერა გამოუცხადა კონსტიტუციის მიღება. კონტრასტისთვის, ესპანეთის მეორე პრობლემური რეგიონის, ბასკეთის შემთხვევაში ელექტორატის მხოლოდ 44.7% პროცენტი გამოცხადდა საარჩევნო უბნებზე, რომელთა 74.6%-მა გამოუცხადა ნდობა კონსტიტუციას. ავტორის აზრით ის დოკუმენტი, რომელიც დღეს კატალონიის დამოუკიდებლობის წინაშე უმთავრესს გამოწვევას წარმოადგენს რეგიონის მოსახლეობის მიერ მხარდაჭერილი იყო და შესაბამისად ესპანეთის მთავარი საკანონმდებლო დოკუმენტის არალეგიტიმურობის დაყენება შეუძლებელია (Welp, 2017, 7-9).

მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც პირდაპირ კავშირშია კატალონიის დამოუკიდებლობის მოთხოვნის პროცესთან უშუალოდ მოსახლეობის ერთი მიზნის გარშემო მობილიზებაა. უკანასკნელ წლებში რეგიონის მოსახლეობაში დამოუკიდებლობის მომხრეთა რაოდენობის ზრდადი დინამიკა შეიმჩნევა. თუმცა, ამ შემთხვევაში საინტერესო გარემოებას ვაწყდებით. კერძოდ, სხვადასხვა კვლევის საფუძველზე, ავტორმა დაასკვნა, რომ კატალონიური ელექტორატის სოლიდური ნაწილი ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ მათ უნდა ჰქონოდათ შესაძლებლობა გამოეხატათ პოლიტიკური ნება რეფერენდუმის საშუალებით (ელექტორატის 76.6%). მაგრამ, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იმავე კვლევების მიხედვით მოსახლეობის სოლიდური ნაწილი (59.1%) მხარს უჭერდა რეფერენდუმის გამართვის ესპანეთის ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებას, ხოლო გაცილებით მცირე, 37 პროცენტი თანხმდებოდა, რომ კატალონიის მთავრობას ცალმხრივად უნდა ემოქმედა. შესაბამისად, ავტორის ასკვნის რომ რეგიონის მოსახლეობაში არის დიდი განსხვავება იმ მიდგომებისა და ინსტრუმენტების გარშემო, რომლითაც შესაძლებელია დამოუკიდებლობის გამოცხადების უზრუნველყოფა. ფაქტია, რომ კატალონიური ელექტორატის სოლიდურ ნაწილს სურს აღნიშნული პროცესი სტაბილურად, ესპანეთის ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებით მიმდინარეობდეს (Welp, 2017, 7-9).

უელპის კვლევადან გამომდინარე შეგვიძლია მოვახდინოთ ორი მნიშვნელოვანი გარემოების იდენტიფიცირება, რომლის გარშემოც ტრიალებს ხსენებული ავტორის ნარატივი. 1) შეინიშნება კატალონიის დამოუკიდებლობის მხარდამჭერთა რაოდენობის ზრდადი დინამიკა. თუმცა, მათი ხვედრითი წილი რეგიონის მთლიან მოსახლეობასთან შედარებით არ არის იმდენად დიდი, რომლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კატალონიელთა პოლიტიკური ნება სწორედ ესპანეთისგან სეცესიაა. აღნიშნული არგუმენტი და მოცემული სტატისტიკური მონაცემი შესაძლებელია სრულებით არ იყოს მოკლებული სიმართლეს, თუმცა ამ შემთხვევაში ვაწყდებით საკმაოდ არალოგიკურ ფენომენს. თუ სტატისტიკური მონაცემებით კანონიერი რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაშიც კი სეცესიის მომხრენი დიდი ალბათობით დამარცხდებიან, მაშინ რატომ არ ეძლევა კატალონიის მოსახლეობას პოლიტიკური ნების გამოვლენის საშუალება? ამ კითხვაზე პასუხს კვლავს ესპანეთის კონსტიტუციამდე მივყავართ. 2) უელპის აზრით კონსტიტუციას, რომელიც გახდა კატალონიელთა სეცესიის პრევენციის მთავარი მექანიზმი, რეგიონის მოსახლეობის ფაქტიურად აბსოლიტური უმრავლესობა უჭერდა მხარს. თუმცა, აქაც ჩნდება კითხვა, რამდენად რელევანტურია 1978 წელს მიღებული დოკუმენტზე აპელირება დღევანდელ სიტუაციაში, მითუმეტეს რომ პერიოდის როცა ესპანეთის კონსტიტუცია მიღებული იქნა, წარმოადგენს ფრანცისკო ფრანკოს 40 წლიანი დიქტატორული და ძალადობრივი რეჟიმის დასასრულს. შესაბამისად, დაწყებული დემოკრატიზაციის პროცესში ჩაგრულ ხალხთა თანხმობა იმ საკანონმდებლო ბაზის მიმართ, რომელიც გამოასწორებდა მათ უფლებრივ მდგომარეობას დიდად გასაკვირი არ უნდა იყოს.

კატალონიის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით ყურადღებას ძალიან საინტერესო ასპექტებზე ამახვილებს გლაზგოს უნივერსიტეტის პროფესორი **კეტრინ კრამერი**. აღნიშნული ავტორი ძირითადად კონცენტრირებულია ე.წ. „გადაწყვეტილების მიღების უფლების“ (Right to Decide), საკითხზე. ადარებს რა კატალონიის შემთხვევას შოტლანდიის რეფერენდუმს, ავტორს მოყავს გაერთიანებული სამეფოს ექს-პრემიერის დევიდ ქემერონის სიტყვები, რომლითაც მან ახსნა ის მიზეზი თუ რატომ დაეთანხმა შოტლანდიელთა თხოვნას დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩატარების შესახებ. კერძოდ, ქემერონის აზრით მას არ ჰქონდა უფლება ხელი შეეშალა ხალხისთვის

გამოვევლინათ საკუთარი ნება სამომავლო პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებით, რადგან აღნიშნული თხოვნა მოდიოდა შოტლანდიის დემოკრატიულად არჩეული პარლამენტისა და მთავრობისგან. ესპანეთის ხელისუფლებამ არათუ ნება მისცა კატალონიელებს ჩაეტარებინათ რეფერენდუმი, არამედ არაკანონიერად გამოაცხადეს კიდევაც რეგიონის მთავრობის მცდელობა უზრუნველყოთ საკუთარი მოსახლეობის პოლიტიკური ნების გამოვლინება (Cramer, 2015, 426).

კრამერი ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ლიბერალურ-დემოკრატიული მთავრობები იძულებულნი არიან იმოქმედონ ე.წ. ხელისუფლების შეზღუდული უფლებამოსილებების პირობებში. შესაბამისად, დემოკრატიული ნორმები მაშინ არის ყველაზე კარგად დაცული, როდესაც მიმდინარეობს აქტიური პოლიტიკური პროცესი და არ მიდი აპელირება დოგმატურ და დაყენებულ პრინციპებზე. გამომდინარე აქედან, ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან კონსტიტუციაზე აპელირება არასწორია რადგან იგი საფრთხეს უქმნის დემოკრატიული პროცესების მიმდინარეობას და ხელს უშლის წარმომადგენლობითი დემოკრატიის უმთავრესი პრინციპის, პოლიტიკური ნების დაფიქსირების შესაძლებლობას (Cramer, 2015, 429).

მეორეს მხრივ, კატალონიის მთავრობის მცდელობა სეცესიის მოთხოვნა დაუკავშიროს გადაწყვეტილების მიღების პრინციპს სწორია, რადგან ავტორის აზრით ამ კუთხით უკვე არსებული პრეცედენტები, მათ შორის კვებეკისა და შოტლანდიის რეფერენდუმები უფრო ზრდის კატალონიელთა მოტივაციას, რომელთაც სურთ სწორედ პოლიტიკური ნების გამოხატვის უზრუნველყოფით მიაღწიონ საკუთარ მიზანს, დამოუკიდებლობის მოპოვებას (Cramer, 2015, 430). აღნიშნული ავტორის მიერ შემოთავაზებული ნარატივი საკმაოდ საინტერესოა და მეტწილად ეთანხმება კვლევაში მოხმობილ არგუმენტებსა და ანალიზს.

კატალონიის დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა მკვლევრების აზრების გაცნობის შემდეგ გადავდივართ უშუალოდ კვლევის ძირითად ნაწილზე სადაც განხილული იქნება ხსენებულ შემთხვევასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტები, რომელთა ანალიზის შედეგად მოხდება რელევანტური დასკვნების გაკეთება.

IV. კატალონია, შოტლანდია და კვებეკი სეცესიის თეორიებში

კვლევის საწყის ეტაპზევე ითქვა, რომ ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა კატალონიის საკითხის შედარება დასავლურ დემოკრატიებში თვითგამორკვევის მცდელობის ორ სხვა პრეცედენტთან (შოტლანდისა და კვებეკის საკითხები). შესაბამისად, აუცილებელია იმის დადგენა თუ რა ფაქტორების საფუძველზე იქნა არჩეული ხსენებული სამი საკითხი ერთმანეთთან შესადარებლად. ამისათვის, გამოვიყენებ წინა თავში მოცემული თეორიების მიერ დადგენილ სტადარტებს.

სამივე სუბიექტი - კატალონია, შოტლანდია, კვებეკი - წარმოადგენენ დასავლური დემოკრატიების - ესპანეთი, გაერთიანებული სამეფო, კანადა - შემადგენელ ნაწილს, ანუ მდებარეობენ ისეთ სახელმწიფოებში, რომელთა საერთო ღირებულებები და პრინციპები აკავშირებთ. გარდა ამისა, ხსენებული სამი რეგიონი მასპინძელი ქვეყნების შემადგენლობაში ყოფნისას სარგებლობენ ავტონომიური სტატუსით. კერძოდ, 1997 წელს შოტლანდიის ეროვნული პარტიის მოთხოვნის საფუძველზე, რეგიონში ჩატარდა ე.წ. „მეორე დევოლუციური“ რეფერენდუმი, რომლის ფარგლებში შოტლანდიელი ამომრჩევლის 74.3%-მა მხარი დაუჭირა რეგიონისთვის გაფართოებული უფლებების მიცემას. მომხრეთა რაოდენობამ მთლიანი ელექტორატის 44.87% შეადგინა (BBC UK, 1997), რამაც იძულებული გახადა გაერთიანებული სამეფოს პარლამენტი დაემტკიცებინა „შოტლანდიის აქტი 1998“, რომლის საფუძველზეც, პირველად 1707 წლის შემდეგ შოტლანდიაში ჩამოყალიბდა პარლამენტი. უწყებას შოტლანდიის ფარგლებში მიეცა ფართო საკანონმდებლო და აღმასრულებელი უფლებები (Legislation.gov, 1998). ასევე, ჩამოყალიბდა შოტლანდიის პირველი მინისტრის თანამდებობა, რომელიც სათავეში ჩაუდგა რეგიონის აღმასრულებელ ხელისუფლებას.

ჯერ კიდევ 1867 წლის 1 ივლისის აქტის საფუძველზე კანადამ მიიღო გაერთიანებული სამეფოს დომინიონის სტატუსი. ქვეყანა დაიწყო ათ პროვინციად და სამ ტერიტორიად. თითოეულ პროვინცია სარგებლობდა ძლიერი თვითმმართველობით, რამეთუ კანადა დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზევე ფედერალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. ასევე, კონსტიტუციაში ჩაიწერა დებულებები კვებეკის პროვინციის განსაკუთრებული ტრადიციული ინსტიტუტების შენარჩუნების შესახებ (BBC Profile, 2018). კერძოდ,

რეგიონს გააჩნია საკუთარი საკანონმდებლო ორგანო, კვებეკის ეროვნული ასამბლეა და ჰყავს ადგილობრივი მინისტრთა კაბინეტი საკუთარი პრემიერ მინისტრის თაოსნობით. ინგლისური და ფრანგული გახდა ოფიციალური ენა როგორც კანადისთვის, ასევე კვებეკისათვის. თუმცა, 1974 წლის ოფიციალური ენის აქტის საფუძველზე კვებეკის ტერიტორიაზე, ფრანგული ერთადერთი ოფიციალური ენის სტატუსის მატარებელია (Hudon, 2006).

კატალონია, ფრანკოს ძალადობრივი რეჟიმის დამხობისა და ესპანეთის დემოკრატიზაციის გზაზე დადგომისთანავე, 1978-წლიდან წარმოადგენს ესპანეთში შემავალ ავტონომიურ გაერთიანებას, რომელსაც გააჩნია საკუთარი პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება მთავრობისა და მისი პრეზიდენტის სახით. კატალონიის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად ითვლება, როგორც კასტილიური (ესპანური), ისე კატალონიური.

გამოიკვეთა ორი მნიშვნელოვანი გარემოება: 1) კატალონია, შოტლანდია და კვებეკი არიან ისეთი სახელმწიფოს შემადგენლობაში, რომლებიც წარმოადგენენ დასავლური/ლიბერალური დემოკრატიის განუყოფელ ნაწილებს; 2) კატალონია, შოტლანდია და კვებეკი დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობის პროცესში სარგებლობდნენ ავტონომიითა და საკუთარი თვითმმართველი ინსტიტუტების ფლობით. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ არცერთი სუბიექტის მიმართ არ დარღვეულა საერთაშორისო სამართლის პრინციპი თვითმმართველობის ფლობის შესახებ და სამივე მათგანი მდებარეობენ ე.წ „სამართლიან სახელმწიფოებში“, რომელთა მიმართაც არ მიმდინარეობს რაიმე სახის დევნა.

გამომდინარე იქიდან, რომ ხსენებული სამი რეგიონის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები ცხოვრობენ „სამართლიან სახელმწიფოებში“ სეცესიის თეორიების რემედიული უფლების ჯგუფი, მოცემულ პრეცედენტებზე მსჯელობისას არ გამოგვადგება, რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ იმ ჯგუფებისა და ხალხების თვითგამორკვევის საკითხებზე აპელირებს, რომლებიც „არასამართლიანი“ სახელმწიფოსა და გარემოებების ქვეშ ცხოვრობენ.

მეორეს მხრივ, სეცესიის თეორიების არსებითი უფლების ჯგუფის ნარატივის, სწორედ იმ შემთხვევებზე მსჯელობს, როდესაც სახეზე გვაქვს კონკრეტული სუბიექტების მხრიდან სეცესიის მცდელობა, თუნდაც ისინი „სამართლიან“ სახელმწიფოებში მდებარეობდნენ. განვიხილოთ როგორც ასკრიპტივისტური, ისე პლემბისციტური თეორიის ნარატივი.

1. ასკრიპტივისტური თეორია

ასკრიპტივისტური თეორიის მიხედვით სეცესიის უფლება აქვთ მხოლოდ იმ ელემენტებს, რომლებიც წარმოადგენენ ერებს ან ხალხებს და რომელთაც გააჩნიათ ასკრიპტივისტური მახასიათებლები, ანუ საერთო ენა, რელიგია, კულტურა, ისტორია, განსაკუთრებულობის აღქმა და საერთო ნება დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისთვის. როგორც უკვე ითქვა, არც თუ ისე მარტივია კონკრეტული ჯგუფისთვის ხალხისა თუ ერის სტატუსის მინიჭება.

კატალონიის შემთხვევაში, რეგიონის მოსახლეობა შეიძლება ფლობდეს ხსენებული მახასიათებლებიდან რომელიმეს. კერძოდ, ენის თვალსაზრისით კატალონიური ენა გასხვავდება კასტილიურისგან (ესპანურით), თუმცა მოსახლეობის დიდი ნაწილი (56%) სწორედ ამ უკანასკნელს ანიჭებს უპირატესობას და ფლობს ორივე ენას (Idescat, 2013). ისტორიული, კულტურული თუ რელიგიური თვალსაზრისით, რეგიონი საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა ესპანური სახელმწიფოსა და მისი კულტურულ-რელიგიური ღირებულებების გამზიარებელს.

შოტლანდიის შემთხვევაში, აღნიშნული რეგიონის მოსახლეობისთვის ინგლისური ენა, გაერთიანებული სამეფოს მსგავსად, წარმოადგენს მშობლიურს. მართალია, დაახლოებით 170 000 შოტლანდიელი ჯერ კიდევ ფლობს უძველეს, გელურ ენას, თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი საკმაოდ მცირეა და მოსახლეობის სრული უმრავლესობა ინგლისურენას ანიჭებს უპირატესობას (Scotland's Census, 2011). ისტორიული თვალსაზრისით, შოტლანდია 1707 წლიდან წარმოადგენდა ჯერ დიდი ბრიტანეთის,

ხოლო შემდგომში გაერთიანებული სამეფოს განუყოფელ ნაწილს (The Editors of Encyclopaedia Britannica, 2018).

ამერიკის კოლონიზაციის საწყის ეტაპზე კვებეკი საფრანგეთის სუვერენიტეტის ქვეშ მოექცა, თუმცა 1756-1763 წწ-ების ე.წ. „7 წლიანი ომის“ შემდგომ ბრიტანეთის შემადგენლობაში შევიდა, ხოლო 1867 წლიდან კანადის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის დაახლოებით 80 პროცენტი ფრანგულენოვანია და 1974 წლიდან სწორედ ფრანგული წარმოადგენს რეგიონის ერთადერთ ოფიციალურ ენას, კვებეკს კანადასთან ძალია ახლო ისტორიულ-რელიგიური კავშირი გააჩნია და მოსახლეობაც ფაქტიურად სრულად არის ინტეგრირებული კანადურ საზოგადოებაში (History.com Staff, 2009).

მიუხედავად იმისა, რომ სამივე რეგიონის შემთხვევაში შეიძლება დავინახოთ გარკვეული ასკრიპტივისტური მახასიათებლები, საკმაოდ სადავოა კატალონიელების, შოტლანდიელებისა და კვებეკელებისთვის ხალხის ან ერის სტატუსის მინიჭება, რამეთუ მათ მასპინძელი სახელმწიფოსთან მრავალსაუკუნოვანი საერთო ისტორია გააჩნიათ, ასევე ენობრივ-კულტურული თვალსაზრისით დიდწილად არიან ინტეგრირებულნი ხსენებული ქვეყნების საზოგადოებრივ ცხოვრებში. შესაბამისად, ასკრიპტივისტური თეორიის გამოყენება ნაშრომში მოყვანილი გარემოებების ასახსნელად სადავოა.

2. პლებისციტური თეორია

ბოლოს, განვიხილოთ ზემოთხსენებული სამი რეგიონი პლებისციტური თეორიის მიხედვით წარმოდგენილი კრიტერიუმების ფარგლებში:

ქვეყნის დამოუკიდებლად მართვის შესაძლებლობა

კატალონიას 1980 წლიდან ჰყავს დემოკრატიულად არჩეული საკანონმდებლო ხელისუფლება და მთავრობა, რომლებიც შეუჩერებლად ახორციელებდნენ საკუთარ უფლებამოსილებებს რეგიონის ფარგლებში. გარდა ამისა, კატალონიის მთავრობის დაქვემდებარებაში შედის, როგორც პოლიციური ქვედანაყოფები ასევე, სხვადასხვა რეგიონული ინსტიტუტები განათლების, კულტურის, ფინანსებისა თუ სხვა

რელევანტური მიმართულებებით. შესაბამისად, უკვე არსებული ინსტიტუტების საფუძველზე კატალონიას აქვს შესაძლებლობა განახორციელოს სახელმწიფოს „ლეგიტიმური ფუნქციები“.

შოტლანდია ასევე 1998 წლიდან სარგებლობს საკუთარი თვითმმართველი ორგანოების ფლობით. ყავს მინისტრთა კაბინეტი და წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანო. ასევე, ფლობს სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს, რომლებსაც დიდი ალბათობით აქვთ შესაძლებლობა შეასრულოს მათზე დაკისრებული ლეგიტიმური ფუნქციები. კვებეკიც 1867 წლიდან ფლობს საკუთარ აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს მათზე დაქვემდებარებულ სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებთან ერთად.

გარდა სახელმწიფო ინსტიტუტების არსებობისა მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა თუ რამდენად შეძლებდნენ კატალონია, შოტლანდია და კვებეკი საკუთარი მოსახლეობის მატერიალურ/ეკონომიკური კუთხით უზრუნველყოფას. შესაბამისად, საინტერესოა თუ როგორი ეკონომიკური მდგომარეობა ფიქსირდებოდა ნაშრომში განხილულ სამ რეგიონში მათ მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობის პერიოდში.

2013 წლის მონაცემებით, შოტლანდიის მოსახლეობა 5.3 მილიონს ადამიანს შეადგენდა, რაც მთელი გაერთიანებული სამეფოს მოსახლეობის 8.3%-ს უტოლდებოდა. მომდევნო, წელს შოტლანდიის მშპ-ს საერთო რაოდენობამ 144 მილიარდ ფუნტს მიაღწია, რაც გაერთიანებული სამეფოს 9.9% შეადგენს (Smiths, 2014). გარდა ამისა, შოტლანდია გაერთიანებული სამეფოს მასშტაბით მოწინავე რეგიონს წარმოადგენდა, მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე რაოდენობით. 2013 წლის მონაცემებით აღნიშნული მონაცემი შოტლანდიისთვის წარმოადგენდა 26 424 ფუნტს, მაშინ როცა გაერთიანებული სამეფოს საშუალო მონაცემი იმავე წელს ერთ სულ მოსახლეზე 22 336 ფუნტს შეადგენს, რაც გაცილებით ნაკლებია შოტლანდიის მონაცემზე (BBC News, 2013). აღსანიშნავია ისიც, რომ შოტლანდიის სანაპიროებთან არსებული ბუნებრივი აირისა და ნავთობის მარაგების გამოყენება, კიდევ უფრო დიდ უპირატეს მდგომარეობაში აყენებს რეგიონის ეკონომიკას დანარჩენი ქვეყნის საშუალო მონაცემთან მიმართებაში (Phaup, 2017).

1995 წლის მონაცემებით კვებეკის მოსახლეობა შეადგენდა 7.22 მილიონ ადამიანს, რაც მთელი კანადის მოსახლეობის დაახლოებით 24%-ია. იმავე წელს რეგიონის მშპ 177 მილიარდი კანადური დოლარი იყო, რაც იმ პერიოდისთვის მთელი ქვეყნის 29.3 პროცენტს უტოლდებოდა (Statista, 2018). გარდა ამისა კვებეკი ეკონომიკური სიძლიერის მიხედვით, კანადის მასშტაბით მე-2 ადგილს იკავებდა და გამოირჩეოდა ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს სიდიდით, კერძოდ, 1995 წლის მონაცემებით კანადის მშპ ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ 20 641 დოლარს შეადგენდა, ხოლო იგივე მონაცემი კვებეკში 24 515 დოლარს უტოლდებოდა (Countryconomy, 1995).

კატალონიის შემთხვევაშიც ეკონომიკური თვალსაზრისით მსგავს კანონზომიერებას ვხვდებით. როგორც უკვე ითქვა, რეგიონის მოსახლეობა 7.5 მილიონ ადამიანს შეადგენს, რაც ქვეყნის მოსახლეობის 16% პროცენტია. 2017 წელს კატალონიის მშპ 234,6 მილიარდ ევროს შეადგენს, რაც ესპანეთის მთლიანი შიდა პროდუქტის 20%-ია. ხსენებული რეგიონის შემთხვევაშიც, ფიქსირდება სოლიდური სხვაობა ქვეყნის საერთო მაჩვენებელსა და კონკრეტული ავტონომიური ერთეულის ეკონომიკურ სიძლიერეში (Statista, 2018). კერძოდ, იმავე 2017 წლის მონაცემებით, მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე ესპანეთის საშუალო მაჩვენებელი 25 115 ევრო იყო, ხოლო კატალონიის იგივე მონაცემი 29 966 უტოლდებოდა (Statista, 2017).

დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობის პერიოდში, შოტლანდიის, კვებეკისა და კატალონიის ეკონომიკურ მდგომარეობის კვლევისას, გამოვლინდა რამდენიმე თვალსაჩინო კანონზომიერება. კერძოდ,

- პროპორციულად სამივე რეგიონი გამოიმუშავებს, უფრო მეტ ეკონომიკურ სარგებელს, ვიდრე მისი მოსახლეობის წილია მასპინძელ სახელმწიფოში. გასცემს მეტს, იღებს ნაკლებს;
- ეკონომიკური სიძლიერის მიხედვით, სამივე რეგიონი მასპინძელი ქვეყნების სხვა რეგიონებთან შედარებით მოწინავე ადგილს იკავებენ (შოტლანდია მე-3, კვებეკი მე-2, კატალონია პირველი);
- მშპ-ს ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე, სამივე შემთხვევაში დაახლოებით 20%-ით მეტია ვიდრე მასპინძელი სახელმწიფოს საშუალო მაჩვენებელი.

ეკონომიკური თვალსაზრისით კატალონიის, კვებეკისა და შოტლანდიის განვითარების მაღალი დონე ასევე წარმოადგენს ერთ-ერთ ფაქტორს, რომლის მიხედვითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ დამოუკიდებლობის მიღების შემთხვევაში სამივე სუბიექტი შეძლებდა სახელმწიფოს ლეგიტიმური ფუნქციების შესრულებას.

გავლენა მასპინძელ სახელმწიფოებზე

საინტერესოა თუ რა პოტენციურ გავლენას მოახდენდა ნაშრომში მოყვანილი სამი რეგიონის სეცესია ესპანეთზე, გაერთიანებულ სამეფოსა და კანადაზე.

კატალონიის გამოყოფის შემთხვევაში ესპანეთის დანაკარგების საკმაოდ სოლიდური იქნებოდა. კერძოდ, ქვეყანა დაკარგავდა საკუთარი ტერიტორიის 6.4%-ს, მოსახლეობა შემცირდებოდა 16%-ით, ხოლო მშპ დაახლოებით 20%-ით, რაც ისედაც არასტაბილურ ესპანურ ეკონომიკას დიდ ზიანს მიაყენებდა. ასევე, კატალონიის წარმატების შემთხვევაში, დიდი ალბათობით ქვეყნიდან გამოყოფის აქტიური მოძრაობა დაიწყებოდა ბასკების რეგიონში (Statista, 2017).

შოტლანდიის სეცესიისას, გაერთიანებული სამეფო დაკარგავდა საკუთარი მოსახლეობის 8.3%-ს, ტერიტორიის 32%-ს, ხოლო ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი დაახლოებით 10%-ით შემცირდებოდა, რაც საკმაოდ დიდ დანაკარგს წარმოადგენს. ასევე, ესპანეთის მსგავსად, გაერთიანებული სამეფოც შეიძლება დამდგარიყო ჩრდ. ირლანდიის სეცესიური მოძრაობის გააქტიურების მსხვერპლი (BBC News, 2013).

კვებეკის დამოუკიდებლობის შემთხვევაში კი, კანადა კარგავდა მოსახლეობის 24%-სა და მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 30%-ს. კვებეკი ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი რეგიონია და კანადის ტერიტორიის 15.4% უკავია, რაც მსოფლიოში სიდიდით მეორე სახელმწიფოს 1.5 მილიონი კვადრატული კილომეტრით შეამცირებდა. კანადისთვის საბედნიეროდ, ქვეყნის შემადგენელ სხვა რეგიონებში აქტიური სეცესიური მოძრაობები არ შეინიშნება (Countryconomy, 1995).

ძნელია იმის თქმა, შეძლებდნენ თუ არა ესპანეთი, გაერთიანებული სამეფო და კანადა საკუთარი „ლეგიტიმური ფუნქციების“ შესრულება ზემოთხსენებული რეგიონების სეცესიის შემთხვევაში. ფაქტია, რომ მათი ტერიტორიული და ეკონომიკური დანაკარგი საკმაოდ სოლიდური იქნებოდა. ასევე, საკმაოდ შემცირდებოდა მათი მოსახლეობა. დიდი დანაკარგების მიუხედავად, შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რამდენად შეინარჩუნებდნენ სტაბილურობას ხსენებული „მასპინძელი“ ქვეყნები, რადგან არცერთი მათგანი სეცესიის ფაქტის წინაშე არ დამდგარა.

უმრავლესობის პოლიტიკური ნება

პლებისციტური თეორიის მიხედვით სეცესიის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღებოდეს დემოკრატიული გზებით და მას უნდა ეთანხმებოდეს გამოყოფის მომთხოვნი ერთეულის მოსახლეობის უმრავლესობა. შოტლანდიის 2014 წლის რეფერენდუმის შემთხვევაში ამომრჩეველთა აქტივობამ 84.6% პროცენტი შეადგინა, რომელთაგან 55.3%-მა უარი განაცხადა სეცესიაზე. კვებეკის 1995 წლის რეფერენდუმზე კი მომსახლეობის 93.52% მივიდა, რომელთაგან 50.54% არ დაეთანხმა რეგიონის დამოუკიდებლობას. შესაბამისად, ნათლად ჩანს, რომ შოტლანდიისა და კვებეკის შემთხვევაში გამოვლინდა რელევანტური პოლიტიკური ნება, რომელიც სეცესიის წინააღმდეგ იყო მიმართული.

კატალონიის შემთხვევაში ჩატარებული რეფერენდუმზე მისული ელექტორატის უმრავლესობამ (90%) მხარი დაუჭირა სეცესიას, თუმცა კენჭისყრაზე აქტივობა მხოლოდ 43%-ს შეადგენდა. შესაბამისად, არსებული მონაცემით შეუძლებელია საბოლოოდ დადგინდეს უჭერს თუ არა მხარს მოსახლეობის დიდი ნაწილი დამოუკიდებლობას. თუმცა, ამ შემთხვევაში ისმის კითხვა. ჰქონდა თუ არა კატალონიის მოსახლეობას საშუალება და წვდომა შესაბამისი პოლიტიკური ნების გამოსახატად. აღნიშნული გარემოება კვლევის შემდგომ ეტაპზე გამოჩნდება.

სეცესიის თეორიების განხილვის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომის ფარგლებში დასმული გარემოებებს, მეტწილად ხსნის პლებისციტური თეორია, რადგან იგი პიდაპირ კავშირშია, ერთის მხრივ დასავლურ დემოკრატიებში (სამართლიან

სახელმწიფოებში) სეცესიების თეორიულ შესწავლასთან, აქცენტს აკეთებს პროცესის დემოკრატიულობასა და პოლიტიკური ნების გამოხატვის მნიშვნელობაზე, რაც კვლევის უმთავრეს ნაწილს წარმოადგენს. ასევე, აღნიშნული თეორია გვეხმარება კატალონიის, შოტლანდიისა და კვებეკის პრეცედენტებს შორის თვალსაჩინო მსგავსებების დადგენაში, რამეთუ ნათლად გვაჩვენებს სამივე შემთხვევაში არსებულ სამ ძირითად გარემოებას. 1) ინსტიტუციური თვალსაზრისით სამივე რეგიონის მიერ „სახელმწიფოს ლეგიტიმური“ ფუნქციების შესრულების ალბათობა დიდია; 2) ეკონომიკური თვალსაზრისით სამივე რეგიონის სიძლიერე მათ მიერ „სახელმწიფოს ლეგიტიმური“ ფუნქციების შესრულები ალბათობას ზრდის; 3) სამივე შემთხვევაში სეცესიის პროცესი მიმდინარეობს პოლიტიკური ნების გამოვლენის საშუალებით, რაც კვებეკის, შოტლანდიისა და კატალონიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმებში გამოიხატა.

V. დამოუკიდებლობის მოპოვების მექანიზმები

კატალონიის, შოტლანდიისა და კვებეკის პრეცედენტებს შორის მსგავსების დადგენაში, გარდა ხსენებული ერთეულების პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის განხილვისა, გამოვიყენებ უშუალოდ იმ მექანიზმებისა და ისტრუმენტების ანალიზს, რომლებიც კვლევი ფარგლებში გამოკვეთილ სამ შემთხვევაში გამოყენებული იქნა დამოუკიდებლობის სურვილი მქონე სუბიექტებისგან.

სამივე პრეცედენტის განხილვისას ვაწყდებით ერთ საინტერესო კანონზომიერებას. კერძოდ, თითოეული მათგანის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის იწყებოდა მასპინძელი ქვეყნის შიგნით მეტი ავტონომიური და თვითმმართველი უფლებების მოპოვების მცდელობით.

როგორც უკვე ცნობილია, კვებეკი, დამოუკიდებელი კანადის არსებობის დღიდანვე სარგებლობდა ავტონომიური სტატუსით და ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ჰქონდა დელეგირებული მთელი რიგი უფლებები. თუმცა, რეგიონის მოსახლეობის სოლიდური ნაწილი კვლავ მოითხოვდა უფრ მეტ უფლებების ცენტრალური

ხელისუფლებისგან, რაც ნამდვილად არ გამორჩენიათ ადგილობრივ პოლიტიკურ ჯგუფებს. 1976 წელს კვებეკის არჩევნებში იმარჯვებს კვებეკური პარტია (Parti Québécois), რომლის უმთავრეს დაპირებას, რეგიონისთვის თვითგამორკვევის უფლების მოპოვება წარმოადგენდა (Ayala, 2018).

1980 წელს დაინიშნა კვებეკში დაინიშნა რეფერენდუმი, თუმცა არა დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით, არამედ რეგიონისთვის ფართო ავტონომიისა და გარკვეული სუვერენიტეტის მოთხოვნით, რაც კარგად აისახა უშუალოდ იმ კონკრეტულ მიზნებში, რაც კვებეკური პარტიის ესტაბლიშმენტს გააჩნდა (Ayala, 2018). კერძოდ,

- ჰქონოდა უფლება მიეღო საკუთარი კანონები;
- დაეწესებინა გადასახადები საკუთარი სურვილისამებრ;
- დაემყარებინა ურთიერთობები საზღვარგარეთ;

ამავდროულად,

- შეენარჩუნებინა ეკონომიკური კავშირების კანადასთან, მათ შორის ერთიანი ვალუტა;
- ნებისმიერი ცვლილება კვებეკის პოლიტიკური სტატუსთან დაკავშირებით უნდა გადაწყვეტილიყო სხვა რეფერენდუმის ფარგლებში (Gall, 2013).

ზემოთმოყვანილი მოთხოვნებიდან ნათლად ჩანს, რომ 1980 წლისთვის კვებეკის მმართველი წრების მიზანი არა სეცესია, არამედ უფრო მეტი უფლებების მოპოვება საკანონმდებლო, საგადასახადო მიმართულებით, ასევე საგარეო პოლიტიკის წარმოების კუთხით. რეფერენდუმზე მოსახლეობის აქტივობამ შეადგინა 85.6%. დასმულ შეკითხვას დაეთანხმა 40.44%, ხოლო 59.56%-მა მეტი უფლებების მოპოვების წინააღმდეგ მისცა ხმა. მიუხედავად ესეთ წარუმატებლობისა, კვებეკურმა პარტიამ რეგიონულ არჩევნებში კვლავ ლიდერის პოზიცია შეინარჩუნა და განარგძო ბრძოლა მიზნის მისაღწევად (Hudon, 2013).

1985-92წწ-ებში კანადის ცენტრალური ხელისუფლება იწყებს მოლაპარაკებებს ათივე პროვინციის მმართველ ელიტებთან საკანონმდებლო დონეზე ცვლილებების მისაღებად, რომლებიც ამ უკანასკნელთ უფრო მეტ უფლებრივ მდგომარეობაში

ჩააყენებდა. საბოლოოდ, კანადის მცდელობა დაფიქსირდა ე.წ. შარლოტაუნის პრინციპებში, რომელიც გულისხმობდა პროვინციებისთვის კულტური ავტონომიის გაფართოებას, ცენტრალური ხელისუფლებისგან ფულადი კომპენსაციის მიღებას რეგიონული პროექტების განსახორციელებლად, კანადის პარლამენტში რეგიონული წარმომადგენლობის გაზრდას (Ayala, 2018). გარდა ხსენებული ფაქტორებისა, აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებდა კვებეკისთვის კანადის შემადგენლობას „განსაკუთრებული საზოგადოების“ სტატუსის მინიჭებას. შარლოტაუნის პრინციპების დასამკვიცებლად 1992 წელს კანადაში ჩატარდა რეფერენდუმი, სადაც ელექტორატის 54.3%-მა უარი განაცხადა ხსენებული პრინციპების პრაქტიკაში გატარებაზე, რამაც კიდევ ერთხელ მისცა ბიძგი კვებეკში დამოუკიდებლობის მოძრაობის გააქტიურებას. 1995 წელს კვებეკური პარტიის ინიციატივით, ჩატარდა დამოუკიდებლობის რეფერენდუმი, სადაც მოსახლეობის აქტივობამ შეადგინა 93.52%, რომელთაგან 50.58%-მა უარი თქვა კანადიდან გამოყოფაზე. კვებეკის ბედი 54 ათასი ადამიანის პოზიციამ გადაწყვიტა. აღსანიშნავია, რომ მეორე რეფერენდუმში წარუმატებლობის მიუხედავად კვებეკის მმართველის სადავები კვლავ კვებეკურმა პარტიამ შეინარჩუნა (Elections Quebec, 1995).

შოტლანდიის გაერთიანებული სამეფოდან გამოყოფის აქტიური მცდელობები უკავშირდება შოტლანდიის ეროვნული პარტიას (Scottish National Party – SNP), რომელიც 1970-იან წლებიდან მას შემდეგ რაც, ჩრდილოეთის ზღვაში, შოტლანდიის სანაპიროსთან აღმოჩენილი იქნა დიდი რაოდენობით ნავთობის საბადოები, აქტიურად ერთვება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ პერიოდში პარტიამ აწარმოა საკმაოდ წარმატებული კამპანია სახელწოდებით „ეს შოტლანდიის ნავთობია“ (Oil of Scotland, 2014) რომლის მიხედვითაც, შოტლანდია ვერ შეძლებდა მიეღო სრული დივიდენდი „მათი ნავთობისგან“, თუ იგი არ მოიპოვებდა თვითმმართველობას და არ მიიღებდა გაერთიანებული სამეფოს მმართველ პოლიტიკური ელიტებისგან მეტ დამოუკიდებლობას. აღნიშნული კამპანიის წარმატების ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ იმ პერიოდში შოტლანდია განიცდიდა დეინდუსტრიალიზაციის პროცესს, რაც გარკვეულწილად უარყოფითად აისახა მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. შესაბამისად, მკვეთრად გაიზარდა SNP-ის პოპულარობა, რომელმაც 1974 წლის

საპარლამენტო არჩევნებში შოტლანდიაში ხმების 30% და ვესტმინსტერში 11 მანდატი მოიპოვა ("BBC Politics 97", 1997). მომდევნო წლებში ამ უკანასკნელმა აქტიურად გააგრძელა საქმიანობა, რის შედეგადაც 1978 წელს გაერთიანებული სამეფოს პარლამენტმა მიიღო „შოტლანდიის აქტი“ ("The Scotland Act 1998 (Commencement) Order 1998", 1998), რომლის მიხედვითაც უნდა შექმნილიყო შოტლანდიის ასამბლეა და მომხდარიყო გარკვეული უფლებებისა და თავისუფლებების გადაცემა რეგიონის მთავრობისთვის. აღნიშნული აქტის დასამტკიცებლად 1979 წელს შოტლანდიის მასშტაბით ჩატარდა პირველი „დევოლუციური რეფერენდუმი“ ("BBC Politics 97", 1997) რაც გულისხმობდა შოტლანდიისთვის გარკვეულ სფეროებში თვითმმართველი ფუნქციების გადაცემას. რეფერენდუმზე ელექტორატის 52%-მა თანხმობა განაცხადა აქტის დამტკიცებაზე. თუმცა, იგი ძალაში არ შევიდა იმის გამო, რომ რეფერენდუმის ჩატარების პირობების მიხედვით, დოკუმენტის დასამტკიცებლად საჭირო იყო მთლიანი ელექტორატის 40%-ის თანხმობა. არჩევნებზე მოსახლეობის აქტივობამ მხოლოდ 63.6% შეადგინა, ხოლო მომხრეთა რაოდენობამ ამომრჩეველთა 32.9%, რაც იმ პერიოდში არ აღმოჩნდა საკმარისი დევოლუციის დასამტკიცებლად.

შოტლანდიის ეროვნულმა პარტიამ და დევოლუციის მომხრე სხვა ჯგუფებმა კვლავ განაგრძეს ბრძოლა უფლებების მოპოვების მიზნით, რასაც 1997 წელს „მეორე დევოლუციური“ რეფერენდუმის ჩატარება მოჰყვა. ამჯერად ამომრჩეველთა 74.3%-მა მხარი დაუჭირა რეგიონისთვის გაფართოებული უფლებების მიცემას. მომხრეთა რაოდენობამ მთლიანი ელექტორატის 44.87% შეადგინა ("BBC Politics 97", 1997), რამაც იძულებული გახადა გაერთიანებული სამეფოს პარლამენტი დაემტკიცებინა „შოტლანდიის აქტი 1998“, რომლის საფუძველზეც, პირველად 1707 წლის შემდეგ შოტლანდიაში ჩამოყალიბდა პარლამენტი. უწყებას შოტლანდიის ფარგლებში მიეცა ფართო საკანონმდებლო და აღმასრულებელი უფლებები ("The Scotland Act 1998 (Commencement) Order 1998", 1998))

1999 წელს შოტლანდიის მასშტაბით ჩატარდა პირველი საპარლამენტო არჩევნები, სადაც SNP მეორე ადგილი დაიკავა და შემდეგი 8 წლის განმავლობაში ძლიერ ოპონირებას უწევდა მმართველ ლეიბორისტულ პარტიას (Election Resources, 1999) 2007 წლის არჩევნებში კი SNP-იმ საკანონმდებლო ორგანოში მცირე უმრავლესობით

გაიმარჯვა. სწორედ ამ პერიოდიდან იწყებს პარტია აქტიურ საკანონმდებლო ბრძოლას შოტლანდიის დამოუკიდებლობის მისაღწევად. თუმცა, მათ ხელი შეუშალა იმ ფაქტმა, რომ პარლამენტში უმრავლესობის მისაღწევად საჭირო იყო 129 მანდატიდან მინიმუმ 65-ის მოპოვება, რაც SNP-იმ 2007 წელს ვერ მოახერხა ("BBC Politics 07, 2007), სამაგიეროდ, მომდევნო არჩევნებში, 2011 წელს პარტია საკანონმდებლო ორგანოში უკვე 69 მანდატით შევიდა, რამაც მათ საშუალება მისცა ლეგიტიმურად მოეთხოვათ შოტლანდიის დამოუკიდებლობის მისაღწევად რეფერენდუმის ჩატარება (BBC Politics, 2011). ლონდონსა და ედინბურგს შორის დაიწყო მოლაპარაკებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რაც საბოლოო ჯამში გამოიხატა 2012 წლის 15 ოქტომბრის ედინბურგის შეთანხმებაში აისახა, რომელსაც ხელი გაერთიანებული სამეფოს პრემიერ მინისტრმა დევიდ ქემერონმა და შოტლანდიის პირველმა მინისტრმა ალექს სალმონდმა მოაწერეს. (Edinburgh Agreement, 2012, 3-4). 2014 წელს შოტლანდიაში ჩატარდა დამოუკიდებლობის რეფერენდუმი სადაც ელექტორატის აქტივობამ შეადგინა 84.6%, რომელთაგან გაერთიანებული სამეფოსგან გამოყოფაზე უარი 55.3%-მა განაცხადა. აქაც, მიუხედავად რეფერენდუმის წარუმატებლობისა შოტლანდიის ეროვნულმა პარტიამ კვლავ შეინარჩუნა უმრავლესობა რეგიონულ პარლამენტში და ძალაუფლება აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

კატალონიის გზა დამოუკიდებლობის რეფერენდუმამდე ნაშრომის ფარგლებში უკვე მოცემულია. შესაბამისად, სამივე შემთხვევის თამდევი მოვლენების ანალიზისას შეგვიძლია დავადგინოთ ის კანონზომიერებები, რომლებიც კატალონიის შოტლანდიისა და კვებეკის დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობის პროცესს სდევდა თან.

- *მეტი თვითმმართველობის მოთხოვნა* - სამივე შემთხვევაში ბრძოლა თვითგამორკვევისათვის იწყება არა დამოუკიდებლობის მოთხოვნით, არამედ უფრო მეტი ავტონომიური უფლებების მოპოვების მცდელობით. კერძოდ, ხსენებულ შემთხვევებში იკვეთება უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება შემდეგი მიმართულებებით: მოთხოვნა საკუთარი კანონების მიღების შესახებ, საკუთარი გადასახადების შემოღების მცდელობა, მასპინძელი ქვეყნების შიგნით

„განსაკუთრებული ერთეული“ სტატუსის მოპოვება, საგარეო ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობა;

- *პროცესის დემოკრატიულობა* - სამივე პრეცედენტის ანალიზისას დადგინდა, რომ მეტი თვითმმართველობისა თუ დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობის პროცესი იყო დემოკრატიული და მიმდინარეობდა დემოკრატიულად არჩეული, კანონიერი პოლიტიკური ჯგუფების თაოსნობით და არ იყო მართული მარგინალური ჯგუფების მიერ. კერძოდ, შოტლანდიაში მოძრაობას სათავეში ედგა შოტლანდიის ეროვნული პარტია (SNP), კვებეკში კვებეკური პარტია (Parti Québécois), ხოლო კატალონიის შემთხვევაში ძირითად სხვადასხვა პარტიების კოალიციები ცდილობდნენ თვითგამორკვევის უფლების მოპოვებას, რომელთაგან პოლიტიკურმა მოძრაობამ ერთად თახნმობისთვის (Junts pel Sí) საბოლოოდ მიიყვანა რეგიონი 2017 წლის დამოუკიდებლობის რეფერენდუმამდე;
- *მშვიდობიანი და დინამიური პროცესი* - ნაშრომში განხილული პრეცედენტების განხილვისას აღმოჩნდა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობის პროცესში, სეცესიის მომხრე პოლიტიკური ესტაბლიშმენტი და ასევე მოსახლეობა სრულიად მშვიდობიანი გზებით ცდილობდა საკუთარი მიზნის მიღწევას. ამასთან, პროცესი იყო არა სპონტანური, არამედ გამოირჩეოდა დინამიურობითა და საბოლოო მიზნისკენ ნელი, ფრთხილი და ზომიერი ნაბიჯებით გადადგმით,
- *პოსტ-რეფერენდუმის პერიოდი* - საინტერესოა, რომ როგორც კატალონიაში, ისე შოტლანდიაში და კვებეკში წარუმატებელი რეფერენდუმების შემდეგ, ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებში უმრავლესობასა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ძალაუფლება კვლავ ინარჩუნებდნენ ის პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც მხარს უჭერდნენ სეცესიას.

კატალონიის, შოტლანდიისა და კვებეკის პოლიტიკური ესტაბლიშმენტის მიერ გამოყენებული ქმედებებისა და ინსტრუმენტების ანალიზის შემდეგ, საინტერესოა თვალი გადავავლოთ იმ მხარეთა მიერ გადადგმულ პრაქტიკულ ნაჯიებსა და მიღებულ

ზომებს, რომლებიც ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ქვეყნის ერთიანობა და არ დაეშვათ ხსენებული სამი რეგიონის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება.

VI. დამოუკიდებლობის პრევენციის მექანიზმები

1867 წლიდან კანადა წარმოადგენდა დამოუკიდებელ, დემოკრატიულ ფედერაციულ სახელმწიფოს, რომლის შიგნით არსებული 10 პროვინცია და 3 ტერიტორია სარგებლობდნენ ავტონომიისა და თვითმმართველობის გარკვეული დონით. თუმცა, აღნიშნული სახელმწიფოსთვის ყოველთვის პრობლემატურ რეგიონად რჩებოდა კვებეკი, რომელიც დასახლებული იყო ძირითადად ფრანგულენოვანი მოსახლეობით და რომელთათვისაც კანადის შემადგენლობაში ყოფნა ძირითადად აღიქმებოდა ბრიტანეთის მიერ ე.წ. 7 წლიან ომში (1756-63წწ-ები) საფრანგეთისა და პრო-ფრანგული მოსახლეობის დამარცხებად და ინგლისელთა მიერ „ფრანგული“ მიწის დაპყრობად (History.com Staff, 2009). შესაბამისად, კვებეკელი მოსახლეობა ყოველთვის განრიდებულად თვლიდა საკუთარ თავს დანარჩენი სახელმწიფოსგან. ამის დასტურია 1974 წლის ოფიციალური ენის აქტის მიღება, რომლის საფუძველზე, კვებეკის ტერიტორიაზე, ფრანგული ერთადერთი ოფიციალური ენის სტატუსის მატარებელია (Hudon, 2006).

1980 წელს, როდესაც კვებეკში მეტი უფლებრივი მდგომარეობის მოპოვების რეფერენდუმი იმართებოდა კანადის ხელისუფლებამ საბოლოოდ გადაწყვიტა მიეღო აქტიური ქმედებები იმისათვის, რომ შეენარჩუნებინა სახელმწიფოს ერთიანობა. კერძოდ, მათ გადაწყვიტეს არა ძალის გამოყენება ან სხვა გზებით კვებეკელთა მოძრაობის ჩახშობა, არამედ უშუალოდ სარეფერენდუმო კამპანიაში ჩართვა და სწორედ მშვიდობიანი და დემოკრატიული გზით ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება. ზუსტად, იმავე ხერხს მიმართა ცენტრალურმა ხელისუფლებამ 1995 წლის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის მიმდინარეობისას. საინტერესოა თუ როგორ კამპანიას აწარმოებდა კანადის ხელისუფლება?

ორივე რეფერენდუმის შემთხვევაში ქვეყნის ერთიანობის მომხრეთა სარეფერენდუმო კამპანია დაფუძნებული იყო იმ რისკებისა და ნეგატიური გარემოებების

იდენტიფიცირებასა და მოსახლეობამდე მიტანაზე რომლის წინაშეც დამოუკიდებლობის შემთხვევაში კვებუკის დიდი ნაწილი დადგებოდა. კერძოდ,

- დამოუკიდებლობის მომხრეთა დაპირებები და მათი მიღწევის გზები ბუნდოვანია;
- ეკონომიკური თვალსაზრისით დამოუკიდებლობის მოპოვება გამოიწვევდა გადასახადებისა და უმუშევრობის დონის გაზრდას;
- კვებუკი დაკარგავდა ფისკალურ კავშირს დანარჩენ კანადასთან, რაც იძულებულს გახდიდა რეგიონს შეექმნა ახალი ვალუტა, რაც დროს მოითხოვდა;
- დამოუკიდებლობის შემთხვევაში კვებუკს არ ექნებოდა საშუალება დაეცვა თავი გარე საფრთხეებისგან, რადგან მას არ ჰყავდა დამოუკიდებელი არმია, ასევე ის აღარ იქნებოდა ნატოს წევრი ქვეყანა (BBC UK, 2012).

აღსანიშნავია, რომ სარეფერენდუმო კამპანიებში ჩართვა კანადის ცენტრალური ხელისუფლების მოქმედების ერთადერთი გზა არ იყო. იცოდნენ რა, რომ კვებუკის საკითხი მუდმივად პრობლემატური იქნებოდა, ფედერალისტებმა გადაწყვიტეს მოლაპარაკებისა და დათმობის გზით მოეღობოთ ფრანგულენოვანი მოსახლეობის გული. კერძოდ, რეფერენდუმთა შორის პერიოდში (1980-95წწ-ები) ოტავამ რეგიონულ მთავრობას ორჯერ შესთავაზა საკანონმდებლო ცვლილებების მიღება, რომლებიც კვებუკს მისცემდა გარკვეულ თვითმმართველობასა და განსაკუთრებულ სტატუსს ქვეყნის შიგნით. თუმცა, აღნიშნული ცვლილებები არამარტო კვებუკს შეეხებოდა, არამედ ქვეყნის ყველა დანარჩენ პროვინციასა და ტერიტორიას, რაც მათთვის კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა. 1987 წელს ჯერ პარლამენტმა ჩააგდო ე.წ. მიჩის შეთანხმება, ხოლო 1992 წელს კანადის მოსახლეობამ რეფერენდუმის საშუალებით თქვა უარი ე.წ. შარლოტვილის შეთანხმებაზე. ორივე მათგანი კვებუკისთვის მეტი თვითმმართველობისა და განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებას ითვალისწინებდა (Smith, 2013).

კანადის მსგავსად, გაერთიანებული სამეფოც სერიოზულად აღიქვამდა შოტლანდიის პრობლემას და იღებდა შესაბამის ზომებს ქვეყნის ერთიანობის შესანარჩუნებლად. ლონდონი ტრადიციულად ცდილობდა დაეთმო გარკვეული უფლებები საკუთარი

„პატარა ძმისთვის“, რადგან ეკონომიკური თვალსაზრისით შოტლანდია მთელი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენდა, ასევე ინგლისსა და შოტლანდიას შორის ოდიოტანვე არსებული (1603 წლიდან ინგლისის ტახტზე შოტლანდიის მეფის ჯეიმს I (VI) - ის ასვლის შემდეგ არაფორმალურად ერთი სახელმწიფოაა. 1707 წლის გაერთიანების აქტით ერთიანობა დაკანონდა) პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურული კავშირი გაერთიანებული სამეფოს ერთიანობის საწინდარი იყო (The Editors of Encyclopaedia Britannica, 2018).

გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლება 1998 წლის „შოტლანდიის აქტის“ მიღების შემდეგ აქტიურად თანამშრომლობდა შოტლანდიურ პარლამენტთან და რეგიონის პირველ მინისტრთან, თუმცა ურთიერთობა დაიძაბა ხელისუფლებაში შოტლანდიის ეროვნული პარტიის მოსვლის შემდეგ, რომელმაც რეგიონისთვის მეტი უფლებრივი მდგომარეობები მოითხოვა. ამ შემთხვევაში, ლონდონმაც კანადის გზა აირჩია და შოტლანდიის საკითხის მოგვარება დემოკრატიული და მშვიდობიანი გზებით სცადა. 2012 წლის გაერთიანებულმა სამეფომ მისცა უფლება ედნიბურგის მთავრობას ჩაეტარებინა დამოუკიდებლობის რეფერენდუმი და თვითონაც აქტიურად ჩაერთო მოსამზადებელ პროცესებში. ლონდონი არც საარჩევნო კამპანია გამოაკლდა და შოტლანდიის ელექტორატის აზრის ფორმირებას შეუდგა შემდეგი საკითხების წამოწევით:

- SNP-ის დაპირებები ბუნდოვანია
- ეკონომიკური თვალსაზრისით შოტლანდია დაკარგავდა ფისკალურ კავშირს დანარჩენ ქვეყანასთან
- ფინანსური თვალსაზრისით ახალშექმნილ სახელმწიფოს უდიდესი სირთულეები ელოდა, რადგან გაერთიანებული სამეფოსგან მემკვიდრეობის ერგებოდა საკმაოდ დიდი საგარეო ვალი;
- თავდაცვისუნარიანობის კუთხით შოტლანდიის შესაძლებლობები დაქვეითდებოდა, რადგან სამხედრო ძლიერების კუთხით მსოფლიოს ერთ-ერთ მოწინავე სახელმწიფოს ჩამოშორდებოდა;

- საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით შოტლანდია დაკარგავდა ნატოსა და ევროკავშირის შემადგენელი ელემენტის სტატუსს, რისი მოპოვებაც თავიდან მოუწევდა

გარდა ნეგატიური კამპანიისა, ლონდონი ცდილობდა დაენახებინა შოტლანდიელი ელექტორატისთვის ერთიანობის ნათელი მხარეები და რიგ შემთხვევებში უფრო მეტ უფლებრივ მდგომარეობასაც პირდებოდა.

გაერთიანებული სამეფოსა და კანადის ცენტრალური ხელისუფლებების მხრიდან ქვეყნის ერთიანობის შესანარჩუნებლად გადადგმული ნაბიჯების შეფასებისას რამდენიმე კანონზომიერ ქმედებას ვაწყდებით:

- პროცესის მშვიდობიან და დემოკრატიულ ჩარჩოებში მოქცევა - ორივე შემთხვევაში ხელისუფლებას არ გამოუყენებია რაიმე ტიპის ძალადობა საკუთარი მიზნის მისაღწევად;
- მოთხოვნათა შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილება - ლონდონიცა და ოტავაც გამოყოფის მსურველ რეგიონებს შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში აყენებდნენ უფრო მეტ უფლებრივ მდგომარეობაში;
- რეგიონულ მთავრობებთან მოლაპარაკება - ცენტრალური ხელისუფლებები მშვიდობიანი პროცესის შენარჩუნების პროცესში უშუალოდ მონაწილეობდნენ მოლაპარაკებებში იმ პოლიტიკურ ჯგუფებთან, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ სახელმწიფოს ერთიანობას;
- დამოუკიდებლობის რეფერენდუმების კანონიერების აღიარება - პრობლემის მოგვარების გზად არჩეული იყო ხალხისთვის გადაწყვეტილების მიღების საშუალების მიცემა და ელექტორატთან მუშაობა სასურველი შედეგის მისაღწევად;
- სარეფერენდუმო კამპანიის ნეგატიური ასპექტი - ორივე შემთხვევაში ვხედავთ, რომ ქვეყნის ერთიანობის მომხრეთა კამპანია აწყობილი იყო დამოუკიდებლობის შემთხვევაში მიღებული განუსაზღვრელი და პრობლემატური მომავალის აფიშირებაზე. კამპანიაში აუცილებლად იყო გამოყენებული შემდეგი კომპონენტები: დამოუკიდებლობის მომხრე პოლიტიკურ ჯგუფთა ბუნდოვანი

იდეები, ეკონომიკური და ფისკალური დივიდენდების დაკარგვის საფრთხე, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის დაქვეითება, საერთაშორისო ორგანიზაციებში ადგილის თავიდან დამკვიდრების საჭიროება.

გაერთიანებული სამეფოსა და კანადის მოქმედებებს შორის მსგავსების დადგენის შემდეგ, საინტერესოა თუ რა პრაქტიკული ქმედებები განახორციელა ესპანეთის ხელისუფლებამ კატალონიის დამოუკიდებლობის მოთხოვნის მცდელობის აღსაკვეთად და გაითვალისწინა თუ არა ზემოთხსენებული სახელმწიფოების მაგალითები.

ისტორიული მიმოხილვიდან ჩანს, რომ ესპანეთის ხელისუფლების ქმედებები გაკრვეულწილად შესაბამისობაში მოდის გაერთიანებული სამეფოსა და კანადის მთავრობების მიერ წარმოებულ პოლიტიკასთან. კერძოდ, მადრიდიც ცდილობდა პროცესების დემოკრატიულ და მშვიდობიან ჩარჩოებში მოქცევას, რამეთუ მათ კატალონიის მიერ დამოუკიდებლობის ბრძოლის საწყის ეტაპზე არანაირი ძალადობა არ გამოუყენებიათ და მათი წინააღმდეგობა სეცესიონისტების წინააღმდეგ სრულიად სამართლებრივ მხარეზე აპელირებით მიმდინარეობდა. როგორც, 2017 წლის დამოუკიდებლობის რეფერენდუმისთვის მოსამზადებელ ეტაპზე, ისე კენჭისყრის დღეს, ესპანეთის მიერ პოლიციური ძალის გამოყენება, მხოლოდ მას შემდეგ მოხდა, რაც სასამართლომ შექმნა შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი.

გარდა ამისა, ნაშრომში გაანალიზებული დანარჩენი ორი სახელმწიფოს მსგავსად, მადრიდიც გარკვეულ ეტაპამდე უკმაყოფილებდა კატალონიას მის მოთხოვნებს, ფართო ავტონომიის მიღების შესახებ. კერძოდ, 2006 წლის კანონს კატალონიის თვითმმართველობის შესახებ, მაშინდელი მმართველი ელიტის მხრიდან დიდი მხარდაჭერა ჰქონდა, რაც საბოლოოდ ხსენებული კანონის მიღებაში გამოიხატა. თუმცა, როგორც უკვე ვიცით ფართო კონსესუსი საკითხთან დაკავშირებით ესპანურ პოლიტიკურ სივრცეში არ ყოფილა. კერძოდ, 2006 წლისთვის უმცირესობაში მყოფი სახალხო პარტია, მარიანო რახოს ხელმძღვანელობით, არა ეთანხმებოდა კატალონიისთვის ავტონომიის გაფართოებას და საკუთარ პოზიციას საკონსტიტუციო სასამართლოში დაწყებული დავით გამოხატავდა. 2008 წლიდან აღნიშნული პარტია

ესპანეთის კონგრესში უკვე უმრავლესობით შევიდა, რაც ფაქტიურად გამორიცხავდა კატალონიის მიმართ რაიმე დათმობების მიღებას. განვიხილოთ თუ რა ქმედებებს მიმართა მადრიდმა, სახალხო პარტიის ხელმძღვანელობით ბარსელონის ხელისუფლების მოთხოვნების წინააღმდეგ:

- *საპროტესტო ტალღის უგულვებელყოფა* - 2010 წლიდან, მას შემდეგ რაც გამოცხადდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება კატალონიის თვითმმართველობის კანონის შესახებ, რეგიონში დაიწყო ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები, რომლებშიც ხშირ შემთხვევებში მილიონ ადამიანზე მეტი მონაწილეობდა. ასევე, 2009-11 წლებში კატალონიის 552 მუნიციპალიტეტში ჩატარდა სიმბოლური რეფერენდუმები დამოუკიდებლობის შესახებ, სადაც გამოცხადებული ელექტორატის 90% მხარ უჭერდა სეცესიას. მიუხედავად, ხსენებული მოვლენებისა მადრიდი მაინც ჯიუტად განაგრძობდა კატალონიის მოსახლეობის სოლიდური ნაწილის ნების უგულვებელყოფას;
- *დამოუკიდებლობის მოთხოვნის რეფერენდუმების პრევენცია* - როგორც 2014 ისე 2017 წლის რეფერენდუმების დანიშვნისას მადრიდი ახდენდა მყისიერ რეაგირებას და მიმართავდა საკონსტიტუციო სასამართლოს ხსენებული პროცესების არაკანონიერების დადგენის მიზნით. ესპანეთის ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა, ის ფაქტი რომ 2014 წელს კატალონიის ხელისუფლება დათმობაზე წავიდა და რეფერენდუმს მხოლოდ საკონსულტაციო სტატუსი მიანიჭა. ასევე, ხსენებულ კენჭისყრაზე რეგიონის მოსახლეობის სოლიდური ნაწილის თანხმობა სეცესიაზე კვლავ უგულვებელყოფილი იქნა მარიანო რახოს მთავრობის მიერ;
- *რეფერენდუმებისთვის ბოიკოტის გამოცხადება* - აღიარებდა რა, 2014 წლისა და 2017 წლის რეფერენდუმებს არაკანონიერად, ესპანეთის ხელისუფლება და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც მხარს უჭერდნენ კატალონიის ერთიან სახელმწიფოში დარჩენას, ბოიკოტს უცხადებდნენ კენჭისყრის პროცესს და თავიანთ ელექტორატსაც მოუწოდებდნენ კენარ მიელოთ მონაწილეობა ხსენებულ პროცესში. როგორც უკვე ცნობილია, კანადისა და გაერთიანებული სამეფოს შემთხვევაში ცენტრალური ხელისუფლების

შემადგენელი პოლიტიკური ჯგუფები პირიქით აქტიურად ჩართვნენ, როგორც წინასარეფერენდუმო კამპანიაში, ისე კენჭისყრის პროცესში.


ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების მიერ გამოყენებული ინსტრუმენტებისა და მექანიზმების ანალიზის შემდეგ, საინტერესოა იმის გარკვევა, იყო თუ არა ამ უკანასკნელის პოზიცია გადამწყვეტი კატალონიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობის ჩავარდნაში.

VII. მილის მეთოდის გამოყენება

კატალონიის, შოტლანდიისა და კვებეკის დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობებისა და ესპანეთის, გაერთიანებული სამეფოსა და კვებეკის მიერ გამოყენებული ინსტრუმენტებისა და მექანიზმების განხილვის შემდეგ, საჭიროა მათ სისტემატიზაცია და სამი პრეცედენტიდან ერთში განსხვავებული შედეგის დადგომის მიზეზის დადგენა.

ქვემოთმოცემული გრაფიკებში მოხდება მილის მეთოდის ვიზუალიზაცია ნაშრომში მოყვანილი გარემოებების აღსაწერად, რომელს მუშაობს შემდეგი პრინციპით: თუ დაკვირვების ქვეშ მყოფ შემთხვევებში, რომელთაგან ერთში დადგა კონკრეტული შედეგი და მეორეში მისგან განსხვავებული და ამასთან აღნიშნულ შემთხვევებთან დაკავშირებული გარემოებები ანალოგიურია გარდა ერთი ფაქტორისა, სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს განსხვავებული შედეგის გამომწვევ მიზეზს.


ინდიკატორები: დასავლური დემოკრატია; თავისუფალი/სამართლიანი სახელმწიფო



ინდიკატორები: ავტონომია, ეკონომიკური განვითარება, პოლიტიკური ნების გამოვლენა

აღნიშნული სურათი გამოსახავს სამ პრეცედენტს შორის საწყის ეტაპზე გამორკვეული მსგავსებებს. ინდიკატორები არჩეულია ნაშრომში მოცემულ თეორიული ჭრილში განხილული გარემოებებისა და ასპექტების მიხედვით.

ინდიკატორები: მეტი თვითმმართველობა; პროცესის დემოკრატიულობა; მშვიდობიანი და დინამიური პროცესი; პოსტ-რეფორმის პერიოდი



მოცემული სურათი ასახავს ერთის მხრივ სეცესიის მსურველი სუბიექტებისა და მეორეს მხრივ მასპინძელი სახელმწიფოების მიერ გატარებული ინსტრუმენტებისა და ქმედებების კორელაციას. როგორ ვხედავთ, კატალონიის, შოტლანდიისა და კვებეკის ქმედებების სრულს შესაბამისობაში მოდის ერთმანეთთან. იგივე შეიძლება ითქვას,

გაერთიანებულ სამეფოსა და კანადის მიერ გამოყენებულ ინსტრუმენტებს შორის. განსხვავებულ ტენდენციას ვაწყდებით მხოლოდ და მხოლოდ ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების ქმედებებში. შესაბამისად, მილის მეთოდის მიხედვით დგინდება, რომ ერთადერთი ხელისშემშლელი ფაქტორი, კატალონიის მიერ დამოუკიდებლობის კანონიერი რეფერენდუმის ჩატარებისათვის ესპანეთის ხელისუფლების პოზიცია და ქმედებებია.

VIII. ესპანეთის პოზიციის რელევანტურობა

საინტერესოა თუ რა ფაქტორებმა გამოიწვიეს მადრიდის მიერ ხსენებული პოზიციის დაკავება და რამდენად რელევანტურია ისინი იმისათვის, რომ ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან კატალონიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის პრევენციის გასამართლებლად. ამისათვის საჭიროა პასუხი გაეცეს შემდეგ ორ შეკითხვას. 1) კანონიერი რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში, დიდია თუ არა ალბათობა იმისა, რომ დამოუკიდებლობის მომხრეთა მხარე გაიმარჯვებს? 2) არსებობდა თუ არა სამართლებრივი ინსტრუმენტი იმისათვის, რომ სურვილის შემთხვევაში ესპანეთის ხელისუფლებას მიეცა უფლება კატალონიისთვის ჩატარებინა კანონიერი რეფერენდუმი?

1. კატალონიელთა პოლიტიკური ნება ციფრებში

როგორც უკვე ითქვა კატალონიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმზე რეგიონის მოსახლეობის მცირე ნაწილი 43.03% გამოცხადდა რაც არ ასახავს კატალონიელთა სრულ აზრს. აღნიშნულ თავში ვეცდები ციფრებში გამოვსახო რამდენიმე მნიშვნელოვან სტატისტიკას, რომლებიც პასუხის გაგვემენ მნიშვნელოვან კითხვებზე, რითიც მეტწილად გამოჩნდება საერთო სურათი, თუ რა მხარდაჭერას ფლობს კატალონიაში, როგორც დამოუკიდებლობის ისე ესპანეთთან ერთიანობის იდეა.

პირველ რიგში გავარკვიოთ რამდენად სურს საერთოდ კატალონიის მოსახლეობას დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩატარება და რამდენად ერთვება იგი რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში:

სურთ თუ არა კატალონიელებს რეფერენდუმის ჩატარება? - ბოლო კვლევების თანახმად კატალონიის მოსახლეობის 76.6% მხარს უჭერს დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩატარებას. თუმცა, მათ შორის 59.1% თანახმაა აღნიშნული რეფერენდუმის ჩატარებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იარსებებს კონსესუსი მაძრიდსა და ბარსელონას შორის, ხოლო რეფერენდუმის ცალმხრივად ჩატარებას გამოკითხულთა მხოლოდ 37% უჭერს მხარს(Welp 2017).

დაინტერესებულია თუ არა კატალონიის მოსახლეობა პოლიტიკური პროცესებით? - რეფერენდუმზე დაფიქსირებული 43%-იანი აქტივობა, რა თქმა უნდა იწვევს საფუძვლიან ეჭვს იმის შესახებ, რომ კატალონიის სოლიდური ნაწილი საერთოდ არ არის დაინტერესებული რეგიონის თვითგამორკვევის საკითხით ან უბრალოდ ბოიკოტს უცხადებს აღნიშნულ რეფერენდუმს. საინტერესოა თუ რამდენად, აქტიურია კატალონიის მოსახლეობა პოლიტიკური პროცესებით. რეგიონში ჩატარებულ ბოლო სამ არჩევნებზე მოსახლეობის ჩართულობის მაღალი დონე ფიქსირდება. კერძოდ, 2012 წ. - აქტივობა 67.8%; 2015 წ. - აქტივობა 75%; 2017წ - აქტივობა 81.94% (Departament de Polítiques Digitals i Administració Pública, 2012, 2015, 2017). შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ კატალონიის მოსახლეობა პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება.

დადგინდა რა რომ, კატალონიის მოსახლეობის დიდი ნაწილი აქტიურად მონაწილეობს რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, საჭიროა გაირკვეს თუ რა რეალურ მხარდაჭერას ფლობს ერთის მხრივ დამოუკიდებლობის, ხოლო მეორეს მხრივ ესპანეთთან ერთიანობის იდეა ელექტორატში

რამდენად დიდია დამოუკიდებლობის მხარდაჭერის დონე კატალონიაში? - როგორც უკვე ცნობილია 2017 წლის რეფერენდუმზე გამოცხადდა კატალონიის მოსახლეობის 43.03% რაც რიცხობრივად შეადგენს 2,286,217. მათგან 2,044,038 (90.18%) მხარი დაუჭირა დამოუკიდებლობას. 2017 წელსვე ჩატარებულ რეგიონულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 4.36 მილიონმა ადამიანმა (81.94%), რომელთაგან სეცესიის მომხრე სამ პარტიას მხარი დაუჭირა 2 079 340 (47.72%) (Departament de Polítiques Digitals i Administració Pública, 2017). თუმცა, ხსენებულმა პარტიამ მაჟორიტარულ ოლქებში გამარჯვების

შედეგად 135-დან 70 მანდატი მოიპოვეს. აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე შეიძლება თამამად ითქვას, რომ კატალონიის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მხარს უჭერს დამოუკიდებლობას, 2-2.1 მილიონ ადამიანს შეადგენს, რაც უკანასკნელ არჩევნებზე გამოცხადებული ელექტორატის ნახევარზე ნაკლებს წარმოადგენს.

რამდენად დიდია ესპანეთთან ერთიანობის მხარდაჭერის დონე კატალონიაში? - ვითვალისწინებ რა იმ ფაქტს, რომ კატალონიის სეცესიის მოწინააღმდეგე მხარემ დამოუკიდებლობის რეფერენდუმს ბოიკოტი გამოუცხადა, რეგიონის ესპანეთთან ერთიანობის მხარდაჭერის დონის დასადგენად გამოვიყენებ უშუალოდ იმ სტატისტიკურ მონაცემებს რომლებიც უკავშირდება იმ პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერთა რაოდენობას, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კატალონიის ესპანეთისგან გამოყოფას. უკანასკნელი სამი რეგიონალური არჩევნების შედეგად დაფიქსირდა, რომ ესპანეთთან ერთიანობის მომხრე პოლიტიკური ჯგუფები სოლიდური მხარდაჭერით სარგებლობენ არჩევნებში. კერძოდ, კატალონიის პარლამენტში ერთიანობის მომხრე პარტიების მიერ მიღებული მანდატების/ხმების/პროცენტული რაოდენობა მთლიან ელექტორატთან მიმართებაში:

- 2012 წლის არჩევნების საფუძველზე შეადგენს 66 - 135/1 631 100 ხმა/44.88%; (Departament de Polítiques Digitals i Administració Pública, 2012)
- 2015 წლის არჩევნების საფუძველზე შეადგენს 64 – 135/1 712 133 ხმა/42.7% (Departament de Polítiques Digitals i Administració Pública, 2015)
- 2017 წლის არჩევნების საფუძველზე შეადგენს 65 – 135/1 902 061 ხმა/44.58%(Departament de Polítiques Digitals i Administració Pública, 2017)

სტატისტიკური მონაცემების ანალიზისას გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი. კერძოდ,

- კატალონიის მოსახლეობის უმეტესობას სურს რეფერენდუმის ჩატარება;
- კატალონიის მოსახლეობა აქტიურად ერთვება საარჩევნო პროცესში;
- დამოუკიდებლობის მომხრეთა რაოდენობა პოლიტიკურად აქტიური ელექტორატის ნახევარზე ნაკლებია;

- ერთიანობის მომხრე პარტიებს, წლების განმავლობაში სოლიდური მხარდაჭერა გააჩნდათ კატალონიის მოსახლეობისგან.

გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ წარუმატებელი რეფერენდუმის შემდეგ სეცესიის მომხრეთა არჩევნებში გამარჯვება არ წარმოადგენს იმ ფაქტორს, რომლის საფუძველზეც შეიძლება ითქვას, რომ კატალონიის მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს სეცესიას, რადგან კვებეკისა და შოტლანდიის შემთხვევაშიც რეფერენდუმზე დამარცხების შემდეგაც დამოუკიდებლობის მომხრე პოლიტიკური ჯგუფები კვლავს ინარჩუნებდნენ უმრავლესობას როგორც საკანონმდებლო ისე აღმასრულებელ ხელისუფლებებში.

შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ არცერთი სტატისტიკური მონაცემი ესპანეთის ხელისუფლებას არ აძლევს იმის საფუძველს, რომ კატალონიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის დანიშვნის შემთხვევაში ერთიანობის მომხრეები აუცილებლად დამარცხდებიან. მეორეს მხრივ, არსებობს ნათელი სტატისტიკა იმის შესახებ, რომ კატალონიის მოსახლეობას დიდ უმრავლესობას სურს კანონიერ რეფერენდუმზე დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება. შესაბამისად, გაუგებარია ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების პოზიცია, რომ არ მისცეს საშუალება რეგიონის მოსახლეობას გამოავლინოს საკუთარი ნება და გამოიყენოს „გადაწყვეტილების მიღების“ საერთაშორისოდ აღიარებული უფლება.

2. რეფერენდუმის ჩატარების სამართლებრივი ინსტრუმენტი

ესპანეთის კონსტიტუცია

ისტორიული მიმოხილვიდან ჩანს, რომ ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების რკინის არგუმენტი, კატალონიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის ჩატარების წინააღდეგ ესპანეთის კონსტიტუციას უკავშირდება. საუბარია კონსტიტუციის რამდენიმე მნიშვნელოვან ნაწილზე:

- სექცია N1
 - მუხლი N2 - ეროვნულის სუვერენიტეტი ეკუთვნის ესპანელ ხალს, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების წყაროს;
 - სექცია N2 - კონსტიტუცია დაფუძნებულია ესპანელი ერის ურღვევს ერთობაზე; კონსტიტუცია წარმოადგენს ესპანეთში შემავალი რეგიონებისთვის თვითმმართველობის განხორციელების და მათ შორის სოლიდარობის არსებობის გარანტი;

- სექცია N92
 - მუხლი N1 - დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება შეიძლება მოხდეს საკონსულტაციოს რეფერენდუმის საშუალებით, რომელშიც მონაწილეობს ყველა მოქალაქე;
 - მუხლი N2 - რეფერენდუმს ნიშნავს მეფე მთავრობის პრეზიდენტის მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც დამტკიცებული უნდა იყოს კონგრესის მიერ;
 - მუხლი N3 - კონსტიტუციაში მოცემული რეფერენდუმის ჩატარების ვადები და პროცედურები უნდა დარეგულირდეს ორგანული კანონით.

- სექცია N155
 - მუხლი N1 - თუ თვითმმართველი ერთობა არ ასრულებს კონსტიტუციითა თუ სხვა კანონით, მასზედ დაკისრებულ ვალდებულებებს ან მოქმედებს ისე, რომ ექმნება საფრთხე ესპანეთის ინტერესებს, მთავრობა, მას შემდეგ რაც განიხილავს თვითმმართველი გაერთიანების პრეზიდენტთან საკითხს და ვერ მიიღებს დამაკმაყოფილებელ შედეგს, სენატის სრული შემადგენლობის უმრავლესობის თანხმობის შემდეგ, უფლებამოსილია მიიღოს ყველა ზომა, რათა უზრუნველყოს თვითმმართველი გაერთიანების მიერ მასზედ დაკისრებული ვალდებულებების შესრულება ან ხსენებული ინტერესების დაცვა;

- მუხლი N2 - ზემოთხსენებული ზომების განხორციელების ფარგლებში, მთავრობას შეუძლია გასცეს შესაბამისი ინსტრუქციები თვითმმართველი გაერთიანების ხელმძღვანელ პირებზე (CORTES GENERALES, 1978).

ესპანეთის კონსტიტუციის ჩანაწერებით ვხედავთ, რომ რეფერენდუმის ჩატარების ერთადერთი კანონიერი საშუალება, არის ცენტრალური და საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან თანხმობა. აქვე შეიძლება დავინახოთ ესპანეთის ერთობის „ურღვევობის“ საკითხი, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლება კატალონიის მთავრობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ ხშირად იყენებდა. საინტერესოა 155-ე სექციაში მოცემული ინფორმაცია, რომელიც აძლევს ცენტრალურ მთავრობას უფლებას თვითმმართველ რეგიონის წარმომადგენლობაზე გასცეს შესაბამისი, ინსტრუქციები თუ ის ჩათვლის, რომ თვითმმართველი გაერთიანების ხელისუფლება არ ასრულებს ვალდებულებებს ან მისი ქმედებით საფრთხეს უქმნის ესპანეთის ინტერესებს. კონსტიტუციის ხსენებული ჩანაწერები ზედმიწევნით იქნა გამოყენებული მადრიდის მიერ საკუთარი მიზნის მიღწევის პროცესში. თუმცა, საინტერესოა ნაშრომში განხილულ კიდევ ორი პრეცედენტის შემთხვევაში თუ მოიპოვება საკითხის, სამართლებრივი განხილვა, რომელიც კონსტიტუციის ჩანაწერების მიუხედავად გარკვეულ წესს ადგენს კონკრეტული რეგიონისა თუ ხალხის მხრიდან დამოუკიდებლობის მოთხოვნის გამოხატვასთან დაკავშირებით.

კვებეკის სამართლებრივი პრეცედენტი

ხსენებულ საკითხთან დაკავშირების საკმაოდ საინტერესო პრეცედენტი გვხვდება კვებეკის დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით. როგორც უკვე ცნობილია, 1995 წლის დამოუკიდებლობის რეფერენდუმში, კვებეკის მოსახლეობამ მცირედი უმრავლესობით უარი განაცხადა კანადისგან გამოყოფაზე. მიუხედავად, ამისა კვებეკური პარტიის ახალმა ლიდერმა, ლუსიენ ბუშარმა განაცხადა, რომ რეგიონი კვლავს იბრძოლებს დამოუკიდებლობისთვის და დანიშნავს დამოუკიდებლობის ახალ რეფერენდუმს როცა, ამისათვის შესაფერისი დრო დადგება ("Separatist Lucien Bouchard

blasts PQ referendum plan", 2012). კანადის მთავრობამ გადაწყვიტა მიემართა აქტიური ქმედებებისთვის და დაედგინა თუ რამდენად შესაძლებელი იყო კვებეკს ცალმხრივად გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა, რეფერენდუმზე წარმატების შემთხვევაში.

მთავრობის ინიციატივით 1996 წელს კანადის უზენაეს სასამართლოს დაესვა საკონსულტაციოს ხასიათის შეკითხვები, რომელიც ეხებოდა კვებეკის მიერ დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადების შესაძლებლობის საკითხს. სასამართლომ განხილვაში მიიღო საქმე და 2 წლის შემდეგ გასცა პასუხი დასმულ შეკითხვებს, რომლებიც ფორმულირდნენ შემდეგნაირად :

1. კანადის კონსტიტუციის მიხედვით, შეუძლია თუ არა (კვებეკის) ეროვნულ ასამბლეას, საკანონმდებლო ან აღმასრულებელ ხელისუფლებას კვებეკის კანადიდან გამოყოფის შესახებ ცალმხრივად მიიღონ გადაწყვეტილება?

2. იძლევა თუ არა საერთაშორისო სამართალი იმის უფლებას, რომ (კვებეკის) ეროვნულ ასამბლეამ, საკანონმდებლო ან აღმასრულებელმა ხელისუფლებამ კვებეკის კანადიდან გამოყოფის შესახებ ცალმხრივად მიიღონ გადაწყვეტილება? ამასთანავე, საერთაშორისო სამართლის მიხედვით არსებობს თუ არა თვითგამორკვევის უფლება, რომელიც საშუალებას მისცემს (კვებეკის) ეროვნულ ასამბლეას, საკანონმდებლო ან აღმასრულებელ ხელისუფლებას კვებეკის კანადიდან გამოყოფის შესახებ ცალმხრივად მიიღონ გადაწყვეტილება?

3. ადგილობრივ და საერთაშორისო სამართალს შორის (კვებეკის) ეროვნული ასამბლეის, საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ კვებეკის კანადიდან გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილების ცალმხრივად მიღებასთან დაკავშირებით, თანხვედრა არ იქნა, რომელი მათგანს ექნება უპირატესობა კანადაში (Reference re Secession of Quebec, 1998).

1998 წელს გამოქვეყნდა კანადის უზენაესი სასამართლოს პასუხი სამივე დასმულ შეკითხვაზე:

1. პირველ შეკითხვაზე პასუხისას სასამართლო აქცენტს აკეთებს ე.წ. „დაუწერელ პრინციპებზე“, რომელიც კანადის სახელმწიფოს არსებობის უმნიშვნელოვანეს

ასპექტებს მოიცავს. ესენია, ფედერალიზმი, კანონის უზენაესობა, დემოკრატია და უმცირესობათა დაცვა. თუმცა სასამართლო იქვე განმარტავს, რომ ყველა ზემოთმოცემული კომპონენტი თანასწორად მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის და რომელიმეს უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენება დაუშვებელია. შესაბამისად, ხსენებული პრინციპებიდან გამომდინარე, კვებეკის კანადიდან გამოყოფამდე უნდა შესრულდეს სამი მნიშვნელოვანი პირობა:

- დასმული უნდა იყოს კონკრეტული და ნათელი შეკითხვა;
- უნდა არსებობდეს კონკრეტული უმრავლესობა, რომელიც პასუხს გასცემს დასმულ შეკითხვას (უმრავლესობის აღქმასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება პარლამენტის პრეროგატივაა);
- თუ წინა ორი პირობა სრულდება, მაშინ მთელი ერი ვალდებულია დაიწყოს სამართლიანი მოლაპარაკება საკითხის გარშემო.

პასუხიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ კანადის უზენაესი სასამართლო კვებეკის ცალმხრივად გამოყოფის მცდელობას არაკანონიერად მიიჩნევს, რადგან იგი დაარღვევს ფედერალიზმის პრინციპს. თუმცა, მეორეს მხრივ აუცილებელია, რომ კვებეკელ ხალხს მიეცეს უფლება გამოავლინონ საკუთარი პოლიტიკური ნება და აღნიშნული ნების არსებობის შემთხვევაში, აუცილებელია მოლაპარაკებების დაწყება, რომლის შედეგიც ხსენებული ხალხის პოლიტიკური ნების გატარება უნდა იყოს ("Reference re Secession of Quebec", 1998).

2. მეორე შეკითხვაზე პასუხის გაცემისას, უზენაესი სასამართლო განიხილავს გაეროს ქარტიას, საერთაშორის პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და საერთაშორის პაქტს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, რომელთა მიხედვითაც თვითგამორკვევისა და თვითმმართველობის მოპოვების უფლება გააჩნია ყველა ხალხს თუ მათ უწევთ ცხოვრება კონკრეტული შემზღუდავი გარემოებების ქვეშ. თუმცა კვებეკის შემთხვევაში აღნიშნული ფაქტები არ ფიქსირდება, რადგან კვებეკში მცხოვრები ადამიანები არ განიცდიან არანაირი სახის დევნას, არ არიან კოლონიზირებულნი და აქვთ შესაძლებლობა ჰქონდეთ შესაბამისი წვდომა სახელმწიფო ინსტიტუტებთან, რათა

უზრუნველყონ საკუთარი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული განვითარება.

3. მსჯელობის ნაწილში სასამართლომ დაადგინა, რომ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე კვებეკს არ აქვს უფლება ცალმხრივად გამოეყოს კანადას. შესაბამისად, ამ საკითხის გარშემო ადგილობრივ და საერთაშორისო სამართალს შორის სრული თანხვედრაა და აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემის საჭიროება არ არსებობს ("Landmark Case: The Question of Quebec Sovereignty - Reference Re Secession of Quebec - OJEN", 2012).

შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ კანადის უზენაესმა სასამართლომ კვებეკის საკითხში, ისევე როგორც ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლომ არაკანონიერად სცნო რეგიონის მცდელობა ცალმხრივად გამოყოფილი მასპინძელ სახელმწიფოს. თუმცა, კანადური სასამართლოს გადაწყვეტილების განხილვისას კვლევითვის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ხალხის მხრიდან პოლიტიკური ნების გამოხატვის აუცილებლობა. უზენაესი სასამართლო პირდაპირ მიანიშნებს, რომ რეგიონის მოსახლეობას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა დაეფიქსიროს საკუთარი აზრი კონკრეტული საკითხის მიმართ და მოსახლეობის უმრავლესობის მხრიდან შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია დაიწყოს მოლაპარაკებები ხსენებული ხალხის ინტერესების გასათვალისწინებლად.

მიუხედავად, იმისა რომ არსებობს ლეგალური პრეცედენტი, იმისა რომ კატალონიის მოსახლეობას მისცემოდა საშუალება კანონიერ ფარგლებში დაეფიქსირებინათ და გამოევიდინათ საკუთარი პოლიტიკური ნება, ესპანეთის ხელისუფლებამ რეგიონის მოსახლეობას არ მისცა ამის საშუალება.

დასკვნა

ნაშრომის ფარგლებში დადგენილი ძირითადი მიზნების შესაბამისად, კვლევის შეჯამება შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ნაწილად: 1) სეცესიის თეორიების საფუძველზე, კატალონიის, შოტლანდიისა და კვებეკის შემთხვევებს შორის ანალოგიების დადგენა; 2) სამივე პრეცედენტის მიმდინარეობის პროცესში, ერთის მხრივ სეცესიონისტების, მეორეს მხრივ სეცესიის საფრთხის წინაშე მდგომი სახელმწიფოების მიერ, საკუთარი მიზნის მისაღწევად გამოყენებული პრაქტიკული მექანიზმებისა და ინსტრუმენტების გამოვლენა; 3) სამი შემთხვევიდან ერთში განსხვავებული შედეგის დადგომის მიზეზისა და ამ უკანასკნელის გამამყარებელი არგუმენტაციის რელევანტურობის დადგენა.

სეცესიების თეორიებში მოცემული კრიტერიუმებისა და გარემოებების ანალიზის შემდეგ, მოხდა მათ ჭრილში კატალონიის, შოტლანდიისა და კვებეკის შემთხვევების განხილვა, რომლის ფარგლებშიც გამოირკვა, რომ კვლევაში გამოვლენილი გარემოებების ახსნის საშუალებას, სეცესიის ბლეპისციტური თეორია წარმოადგენს. სამივე შემთხვევაში სახეზეა შემდეგი ტიპის გარემოებები: 1) საკვლევი სუბიექტები მდებარეობენ დასავლურ დემოკრატიებში, ანუ სამართლიან სახელმწიფოებში. ამასთან, ისინი საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში ფლობენ თვითმმართველობის განხორციელების შესაძლებლობას; 2) დამოუკიდებლობის შემთხვევაში კატალონიის, შოტლანდიისა და კვებეკის მხრიდან „სახელმწიფოს ლეგიტიმური“ ფუნქციების შესრულების ალბათობა დიდია, რამეთუ სეცესიის მცდელობის მომენტში ისინი უკვე ფლობდნენ სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს, ხელისუფლების ადმასრულებელი და საკანონმდებლო შტოებს. ასევე დადგინდა, რომ სამივე რეგიონი ხასიათდებოდა მაღალი ეკონომიკური განვითარების, მასპინძელი ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, რაც დამატებით ფაქტორს წარმოადგენს ხსენებული სუბიექტების მიერ სახელმწიფოს ფუნქციების შესრულების ალბათობის ზრდაში. 3) ნაშრომში მოყვანილი სამი სუბიექტის სეცესიის შემთხვევაში ესპანეთის, გაერთიანებული სამეფოსა და კანადის დანაკარგი ტერიტორიის, ეკონომიკისა და მოსახლეობის თვალსაზრისით საკმაოდ სოლიდური იქნებოდა. თუმცა, შეუძლებელია იმის დადგენა რამდენად შეძლებდნენ ზემოთხსენებული სახელმწიფოები სტაბილურ ფუნქციონირებას

არსებული დანაკარგების შემთხვევაში, რადგან სეცესიის ფაქტი არცერთ შემთხვევაში არ დამდგარა; 4) სამივე შემთხვევაში, სეცესიონისტური ჯგუფები საკუთარი მიზნის მიღწევას პოლიტიკური ნების გამოხატვით - რეფერენდუმის ჩატარებით ცდილობდნენ.

კვლევის ფარგლებში ასევე დადგინდა ის პრაქტიკული მექანიზმები და ინსტრუმენტები, რომელთაც სეცესიონისტები და ერთიანობის შენარჩუნების მომხრეები იყენებდნენ. კერძოდ, კატალონიის, კვებეკისა და შოტლანდიის ქმედებებში გამოვლინდა შემდეგი სახის კანონზომიერებები: 1) სეცესიის პროცესის საწყის ეტაპზე, სეცესიონისტები ითხოვდნენ მეტ უფლებრივ მდგომარეობას თვითმმართველობის კუთხით. დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა იწყება მას შემდეგ რაც ცენტრალური ხელისუფლებები უარს აცხადებენ ზემოთხსენებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე; 2) სეცესიონისტების მიერ გადადგმული ნაბიჯების სრულიად ჯდება დემოკრატიულ ჩარჩოებში. ამასთან, დამოუკიდებლობის მოპოვების მცდელობას სათავეში ედგნენ დემოკრატიულად არჩეული პოლიტიკური პარტიები; 3) სეცესიის მცდელობის პროცესი იყო მშვიდობიანი, სპონტანურობას მოკლებული, დროში გაწელილი და დინამიური; 4) საინტერესო ტენდეცია, რომელიც შეინიშნება არის ის, რომ სამივე შემთხვევაში რეფერენდუმზე წარუმატებლობის მიუხედავად, სეცესიონისტები კვლავ ინარჩუნებენ ძალაუფლება რეგიონის თვითმმართველ ორგანოებში.

კანადის, გაერთიანებული სამეფოსა და ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლებები მიერ გამოყენებული პრაქტიკული ინსტრუმენტებისა და მექანიზმების მიმოხილვისას, გამოვლინდა რომ მადრიდის მეტწილად განსხვავდებოდა დანარჩენი ორი სახელმწიფოსგან წარმოებული პოლიტიკისგან, რომელიც მდგომარეობდა შემდგომში: 1) კანადაც და გაერთიანებული სამეფოც ცდილობდნენ პროცესის მშვიდობიან და დემოკრატიულ ჩარჩოებში მოქცევას; 2) გარკვეულ ეტაპამდე ხდებოდა სეცესიონისტების მოთხოვნების დაკმაყოფილება მეტი თვითმმართველობის მოპოვების კუთხით; 3) სეცესიის მოთხოვნისთანავე იწყებოდა მოლაპარაკებები რეგიონულ მთავრობებთან და საბოლოო ჯამში მხარეები თანხმდებოდნენ იმ პროცედურებზე, რომლითაც უნდა წარმართულიყო ქვეყნიდან გამოყოფის პროცესი. კანადისა და გაერთიანებული სამეფოს შემთხვევაში მოხდა დამოუკიდებლობების რეფერენდუმების კანონიერების აღიარება. 4) ლონდონი და ოტავა აქტიურად ჩაერთვნენ სარეფერენდუმო

კამპანიაში და სწორედ ამ გზით ცდილობდნენ ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნებას. აღსანიშნავია ისიც, რომ კამპანიის ფარგლებში ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები ძირითად აქცენტს აკეთებდნენ იმ რისკებსა და საფრთხეებზე, რომლებიც სეცესიის შემთხვევაში დაემუქრებოდათ კვებეკსა და შოტლანდიას, მაშინ როცა ერთიანობის შენარჩუნების შემთხვევაში მიღებული დივიდენდების შესახებ ლონდონი და ოტავა ძირითადად დუმდნენ.

ესპანეთის ხელისუფლების ქმედებები შემდეგნაირად ხასიათდება: 1) წლების განმავლობაში ხდებოდა კატალონიელთა საპროტესტო ტალღის უგულებელყოფა; 2) კატალონიის დამოუკიდებლობის პრევენცია მოხდა რეფერენდუმის არაკანონიერად გამოცხადებითა და წინასარეფერენდუმო სამზადისის პოლიციური ძალით შეფერხებით; 3) მადრიდისა და მისი მხარდამჭერი პოლიტიკური პარტიებისა თუ მოსახლეობის მხრიდან მოხდა კატალონიის რეფერენდუმის ბოიკოტირება. ჯონ სტუარდ მილის „განსხვავების მეთოდის“ გამოყენებით გამოვლინდა, რომ სწორედ ესპანეთის ხელისუფლების ქმედებები გახდა მოცემული სამი პრეცედენტიდან ერთ შემთხვევაში განსხვავებული შედეგი დადგა.

კვლევის ინტერესიდან გამომდინარე შემოწმდა იმ არგუმენტების რელევანტურობა, რომლებიც ესპანეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ მოიყვანა საკუთარი პოზიციის გასამყარებლად. 1) კატალონიის რეფერენდუმის ჩატარება ესპანეთის კონსტიტუციის მიხედვით არაკანონიერია; 2) სეცესია არ არის კატალონიის მოსახლეობის უმრავლესობის პოლიტიკური ნება. ორივე არგუმენტის ანალიზისა და შემოწმების შემდეგ გამოიკვეთა შემდეგი ფაქტორები: 1) დასავლურ დემოკრატიებში, კერძოდ კანადის შემთხვევაში არსებობს სამართლებრივი პრეცედენტი, რომლის საფუძველზეც სეცესიის პროცესის მიმდინარეობისას უმნიშვნელოვანესია დადგინდეს მოსახლეობის პოლიტიკური ნება და ამ ნების გამოვლენის შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია დაიწყოს შესაბამისი მოლაპარაკებები შესაბამის აქტორებთან მოსახლეობის სურვილის სისრულეში მოსაყვანად. 2) კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ კატალონიის დამოუკიდებლობას რეგიონის ელექტორატის ნახევარზე ნაკლები უჭერს მხარს. მეორეს მხრივ, უკანასკნელი სამი არჩევნების მონაცემებით, ესპანეთთან ერთიანობის მომხრე პოლიტიკური ჯგუფების მხარდაჭერა რეგიონის მასშტაბით საკმაოდ მაღალი იყო და

თითქმის უტოლდებოდა დამოუკიდებლობის მომხრეთა მონაცემებს. ასევე ის ფაქტი, რომ წარუმატებელი რეფერენდუმის შემდეგაც კატალონიის პარლამენტში კვლავს სეცესიონისტები შევიდნენ უმრავლესობით არ წარმოადგენს იმ ფაქტორს, რომლითაც შეიძლება ითქვას, რომ რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში სეცესიის მომხრეები გაიმარჯვებდნენ. შესაბამისად, არცერთი სტატისტიკური მონაცემი არ უქმნის საფრთხეს ესპანეთის ერთიანობას. ამ შემთხვევაში კი საერთოდ გაუგებარია მადრიდის პოზიცია იმის შესახებ, რომ არ მისცეს საშუალება კატალონიის მოსახლეობას გამოხატოს საკუთარი ნება სამომავლო პოლიტიკური სტატუსის შესახებ. კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ ესპანეთის ხელისუფლების არგუმენტები არარელევანტურია.

ნაშრომში მოყვანილი სხვადასხვა ფაქტორების განხილვისა და ანალიზის, ასევე შოტლანდიისა და კვებეკის პრეცედენტების კატალონიასთან მსგავსების დადგენითა და ესპანეთის ხელისუფლების არგუმენტაციის სისუსტის საფუძველზე დადგინდა, რომ კატალონიის მცდელობა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად იყო მართებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ADMINISTRACIÓN ELECTORAL. (2015). ANUNCIOS VARIOS (pp. 1-7). Barcelona. Retrieved from http://www.juntaelectoralcentral.es/cs/jec/documentos/CATALU%C3%91A_2015_Resultados.pdf
- Allemandou, S. (2018). Torra: Catalonia looks set to vote for hardline separatist regional president - France 24. Retrieved from <http://www.france24.com/en/20180513-puigdemont-quim-torra-vote-catalan-regional-president-spain-independence>
- Angela Dewan, C. (2017). Catalonia referendum: What just happened?. Retrieved from <https://edition.cnn.com/2017/10/02/europe/catalonia-independence-referendum-explainer/index.html>
- Ayala, D. (2018). Quebec and the Constitution: A timeline of dead ends. Retrieved from <https://montrealgazette.com/news/local-news/quebec-and-the-constitution-a-timeline-of-dead-ends>
- BBC Politics 97. (1997). Retrieved from <http://www.bbc.co.uk/news/special/politics97/background/pastelec/ge74feb.shtml>
- BUCHANAN, A. (1997). Theories of Secession. *Philosophy & Public Affairs*, 26(1), 31-61. doi: 10.1111/j.1088-4963.1997.tb00049.x
- Canada profile. (2018). Retrieved from <https://www.bbc.com/news/world-us-canada-16841165>
- Catalan independence crisis escalates. (2017). Retrieved from <https://www.bbc.co.uk/news/world-europe-41780116>
- Catalans occupy polling stations before referendum. (2017). Retrieved from <https://www.aljazeera.com/news/2017/09/catalans-occupy-polling-stations-referendum-170930034819511.html>
- Catalonia election: full results. (2017). Retrieved from <https://www.theguardian.com/world/ng-interactive/2017/dec/21/catalonia-election-full-results>

- Catalonia leader decrees referendum. (2018). Retrieved from <https://www.bbc.com/news/world-europe-29390774>
- Catalonia profile - Timeline. (2018). Retrieved from <https://www.bbc.com/news/world-europe-20345073>
- Churchill, R. (1990). *Logic* (p. 418). New York: St. Martin's Press.
- Clashes as Catalan voters defy Madrid. (2017). Retrieved from <https://www.bbc.com/news/world-europe-41457238>
- Conversi, D. (2000). *The Basques, the Catalans and Spain* (pp. 38-42; 143-145). Reno: Univ. of Nevada Press.
- CORTES GENERALES. (1978). *Constitution of Spain* (pp. 10; 45; 75-76). Madrid.
- Costa, J. (2017). *DOES CATALONIA HAVE THE RIGHT OF SELF-DETERMINATION?*[Ebook] (2nd ed., pp. 1-5). Barcelona: Public Diplomacy Council of Catalonia. Retrieved from https://www.elconfidencialdigital.com/LINK_ECDFIL20170927_0002.pdf
- Costello, P. (2017). *Crisis in Spain: Madrid Takes Control but Loses the Narrative*. Retrieved from <http://www.gmfus.org/blog/2017/09/29/crisis-spain-madrid-takes-control-loses-narrative>
- Court suspends Catalan independence vote. (2018). Retrieved from <https://www.bbc.com/news/world-europe-41196677>
- Cramer, K. (2015). Do Catalans have 'the right to decide'? Secession, legitimacy and democracy in twenty-first century Europe. *Global Discourse*, 6(3), 423-439. doi: 10.1080/23269995.2015.1083326
- Cuadras Morato, X. (2016). *Catalonia: A New Independent State in Europe?: A Debate on Secession within the European Union* (pp. 12-13) (41-43). Taylor and Francis.
- Departament d'Acció Exterior, Relacions Institucionals i Transparència. (2017). *Briefing N5*. Retrieved from <http://exteriors.gencat.cat/ca/actualitat/notes-de-context/#bloc1>
- Departament de Polítiques Digitals i Administració Pública. (2012). *Resultats electorals*. Retrieved from http://governacio.gencat.cat/ca/pgov_ambits_d_actuacio/pgov_eleccions/pgov_dades_electorals/resultats-2?id_eleccions=A20121&id_territori=CA09

- Departament de Polítiques Digitals i Administració Pública. Resultats electorals. (2015). Retrieved from http://governacio.gencat.cat/ca/pgov_ambits_d_actuacio/pgov_eleccions/pgov_dades_electorals/resultats-2?a=a&id_eleccions=A20151&id_territori=CA09
- Departament de Polítiques Digitals i Administració Pública. Resultats electorals. (2017). Retrieved from http://governacio.gencat.cat/ca/pgov_ambits_d_actuacio/pgov_eleccions/pgov_dades_electorals/resultats-2?a=a&id_eleccions=A20171&id_territori=CA09
- Election Resources on the Internet: Elections to the Scottish Parliament - Results Lookup. (1999). Retrieved from <http://www.electionresources.org/uk/sct-wls/parliament.php?election=1999>
- Elections Quebec. (1995). Retrieved from <https://www.electionsquebec.qc.ca/francais/tableaux/referendum-1995-8481.php>
- Elections Quebec. (1995). Référendum du 30 octobre 1995. Montreal.
- Ellyatt, H. (2017). If Catalonia goes independent, these places could be next. Retrieved from <https://www.cnbc.com/2017/10/06/if-catalonia-goes-independent-these-places-could-be-next.html>
- Ellyatt, H. (2017). If Catalonia goes independent, these places could be next. Retrieved from <https://www.cnbc.com/2017/10/06/if-catalonia-goes-independent-these-places-could-be-next.html>
- Gall, G. (2013). Québec Referendum (1995). Retrieved from <https://www.thecanadianencyclopedia.ca/en/article/quebec-referendum-1995/>
- General Assembly, U. (1952). Refworld | The right of peoples and nations to self-determination. Retrieved from <http://www.refworld.org/docid/3b00f0791c.html>
- General Assembly, U. (1952). Refworld | The right of peoples and nations to self-determination. Retrieved from <http://www.refworld.org/docid/3b00f0791c.html>
- Generalitat De Catalunya. (2018). El Govern trasllada els resultats definitius del referèndum de l'1 d'octubre al Parlament de Catalunya. Retrieved from http://www.govern.cat/pres_gov/govern/ca/monografics/303541/govern-trasllada-resultats-definitius-referendum-11-doctubre-parlament-catalunya.html
- Goodman, A. (2012). Massive turnout for Catalan rally. Retrieved from <https://www.bbc.com/news/world-europe-19564640>

- Goodrick, D. (2014). Comparative Case Studies [Ebook] (9th ed., pp. 1-2). Florence: United Nations Children's Fund (UNICEF). Retrieved from [http://devinfo.live.info/impact_evaluation/ie/img/downloads/Comparative Case Studies ENG.pdf](http://devinfo.live.info/impact_evaluation/ie/img/downloads/Comparative_Case_Studies_ENG.pdf)
- Gross domestic product (GDP) per capita in Catalonia, S. (2018). GDP per capita: Catalonia, Spain, Eurozone 2004-2017 | Statista. Retrieved from <https://www.statista.com/statistics/327120/gdp-per-capita-in-catalonia-spain-and-eurozone/>
- Grütters, D. (2017). Catalonia: The Right to Secede and the Right to Self-Determination. Retrieved from <http://ohrh.law.ox.ac.uk/catalonia-the-right-to-secede-and-the-right-to-self-determination/>
- Grütters, D. (2017). Catalonia: The Right to Secede and the Right to Self-Determination. Retrieved from <http://ohrh.law.ox.ac.uk/catalonia-the-right-to-secede-and-the-right-to-self-determination/>
- Güell, O. (2017). Ballot boxes: Catalonia's best-kept secret. Retrieved from https://elpais.com/elpais/2017/10/03/inenglish/1507025882_591932.html
- Henley, J., Swann, G., Sheehy, F., & Fenn, C. (2017). Beyond Catalonia: pro-independence movements in Europe. Retrieved from <https://www.theguardian.com/world/ng-interactive/2017/oct/27/beyond-catalonia-pro-independence-movements-in-europe-map>
- Henley, J., Swann, G., Sheehy, F., & Fenn, C. (2017). Beyond Catalonia: pro-independence movements in Europe. Retrieved from <https://www.theguardian.com/world/ng-interactive/2017/oct/27/beyond-catalonia-pro-independence-movements-in-europe-map>
- History.com Staff. (2009). Seven Years' War - Facts & Summary - HISTORY.com. Retrieved from <https://www.history.com/topics/seven-years-war>
- <https://www.theguardian.com/world/ng-interactive/2017/oct/27/beyond-catalonia-pro-independence-movements-in-europe-map>

- Hudon, R. (2006). Bill 22. Retrieved from <https://www.thecanadianencyclopedia.com/en/article/bill-22/>
- Hudon, R. (2013). Québec Referendum (1980). Retrieved from https://www.thecanadianencyclopedia.ca/en/article/quebec-referendum-1980/#h3_jump_1
- Huntington, S. (1993). The Clash of Civilizations?. Retrieved from <http://online.sfsu.edu/mroozbeh/CLASS/h-607-pdfs/S.Huntington-Clash.pdf>
- Idescat. Statistical Yearbook of Catalonia. Language Uses of the Population. By most frequent languages and areas of use. (2013). Retrieved from <https://www.idescat.cat/pub/?id=aec&n=805&lang=en>
- Idescat. Statistical Yearbook of Catalonia. Population density. Counties and Aran, areas and provinces. (2017). Retrieved from <https://www.idescat.cat/pub/?id=aec&n=249&lang=en>
- Jones, S. (2018). Spanish court remands Catalan presidential candidate in custody. Retrieved from <https://www.theguardian.com/world/2018/mar/23/jordi-turull-latest-candidate-catalan-presidency-appear-court-spain>
- Landmark Case: The Question of Quebec Sovereignty - Reference Re Secession of Quebec - OJEN. (2012). Retrieved from <http://ojen.ca/en/resource/landmark-case-the-question-of-quebec-sovereignty-reference-re-secession-of-quebec>
- Levrat, N., ANTUNES, S., & TUSSEAU, G. (2017). CATALONIA'S LEGITIMATE RIGHT TO DECIDE PATHS TO SELF-DETERMINATION (pp. 2-4). Geneva. Retrieved from https://www.unige.ch/gsi/files/9115/0461/7417/EXECUTIVE_SUMMARY_Catalogne.pdf
- Más de 700 ayuntamientos confirman que colaborarán en el referéndum del 1-O. (2017). Retrieved from <http://www.lavanguardia.com/politica/20170909/431163187424/ayuntamientos-1o-barcelona.html>
- Mermel, K. (2018). The End of the State of Autonomies? An Analysis of the Controversy Surrounding the 2010 Spanish Constitutional Court Ruling on Catalonia 's 2006 Statute of Autonomy [Ebook] (pp. 17-25). Boulder: University of Colorado, Boulder. Retrieved

from

https://scholar.colorado.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2312&context=honr_theses

- Minder, R. (2018). Spain's Prime Minister, Mariano Rajoy, Is Ousted in No-Confidence Vote. Retrieved from <https://www.nytimes.com/2018/06/01/world/europe/spain-mariano-rajoy-no-confidence.html>
- Morana, M. (2005). Ideologies of Hispanism (Hispanic issues ; v. 30) (pp. 122-124). Nashville: Vanderbilt University Press.
- Morton, C. (2016). The definition and features of Liberal Democracy. Retrieved from <http://www.virtualkollage.com/2016/03/the-definition-and-features-of-liberal-democracy.html>
- Municipis adherits |. (2018). Retrieved from <http://www.municipisindependencia.cat/municipis-adherits>
- Newton, C. (2017). Catalonia declares independence from Spain. Retrieved from <https://www.aljazeera.com/news/2017/10/catalan-parliament-begins-vote-independence-171027115908493.html>
- País, E. (2017). How many people were really injured during the Catalan referendum?. Retrieved from https://elpais.com/elpais/2017/10/04/inenglish/1507104937_874487.html
- Participa2014. Procés de participació ciutadana. (2018). Retrieved from <http://www.participa2014.cat/resultats/dades/en/escr-tot.html>
- Per capita GDP Canada 1960-2015 | Statistic. (2018). Retrieved from <https://www.statista.com/statistics/650797/per-capita-gdp-canada/>
- Peters, A. (2017). EJIL: Talk! – Populist International Law? The Suspended Independence and the Normative Value of the Referendum on Catalonia. Retrieved from <https://www.ejiltalk.org/populist-international-law-the-suspended-independence-and-the-normative-value-of-the-referendum-on-catalonia/comment-page-1/>
- Peters, A. (2017). Populist International Law? The Suspended Independence and the Normative Value of the Referendum on Catalonia [Blog]. Retrieved from <https://www.ejiltalk.org/populist-international-law-the-suspended-independence-and-the-normative-value-of-the-referendum-on-catalonia/>

- Phaup, H. (2017). How big is Scotland's deficit compared to the UK as a whole?. Retrieved from <https://fullfact.org/economy/how-big-scotlands-deficit-compared-uk-whole/>
- Product, G. Canada GDP - Gross Domestic Product 1995. Retrieved from <https://countryeconomy.com/gdp/canada?year=1995>
- Reference re Secession of Quebec. (1998). Reference re Secession of Quebec, [1998] 2 SCR 217, 1998 CanLII 793 (SCC). Retrieved from <https://www.canlii.org/en/ca/scc/doc/1998/1998canlii793/1998canlii793.html>
- Reference re Secession of Quebec. (1998). Retrieved from http://casebrief.wikia.com/wiki/Reference_re_Secession_of_Quebec
- Reuters Staff. (2012). Spain's Catalonia region to hold early elections on Nov 25. Retrieved from <https://www.reuters.com/article/spain-catalonia-elections/spains-catalonia-region-to-hold-early-elections-on-nov-25-idUSE8E8GI01L20120925>
- Right to self determination | Australian Human Rights Commission. Retrieved from <https://www.humanrights.gov.au/right-self-determination>
- Right to self determination | Australian Human Rights Commission. Retrieved from <https://www.humanrights.gov.au/right-self-determination>
- Rogers, J. (2017). Catalonia referendum: Spain deploys more than 10,000 police officers for independence vote. Retrieved from <https://www.express.co.uk/news/world/860503/Catalonia-referendum-police-guardia-civil-reinforcement-piolin-tweety-pie-Mossos>
- San Diego, U. (2010). Mill's Methods Phil 12: Logic and Decision Making [Ebook] (2nd ed., pp. 12-15). San Diego: UC San Diego. Retrieved from [https://mechanism.ucsd.edu/~mitch/teaching/w10/phil12/lectures/Phil12_W10_Mill's_methods\(2-22-2010\).pdf](https://mechanism.ucsd.edu/~mitch/teaching/w10/phil12/lectures/Phil12_W10_Mill's_methods(2-22-2010).pdf)
- Schreuer, M. (2017). Catalan Separatists Want Independence. Who Else?. Retrieved from <https://www.nytimes.com/2017/12/17/world/europe/catalonia-independence-europe.html>

- Schreuer, M. (2017). Catalan Separatists Want Independence. Who Else?. Retrieved from <https://www.nytimes.com/2017/12/17/world/europe/catalonia-independence-europe.html>
- Scotland in numbers. (2013). Retrieved from <https://www.bbc.com/news/uk-scotland-24866266>
- Scotland's Census. (2011). Data Warehouse | Census Data Explorer | Scotland's Census. Retrieved from <http://www.scotlandscensus.gov.uk/ods-web/data-warehouse.html>
- Scottish Independence Referendum Scottish North Sea Oil Revenues Reserves Faslane Maps Scotland's Oil Rigs Economy News Gavin Mc Crone Reports Marine Boundaries. (2014). Retrieved from <http://www.oilofscotland.org/>
- Scottish Referendums. (1997). Retrieved from <http://www.bbc.co.uk/news/special/politics97/devolution/scotland/live/index.shtml>
- Scottish Referendums. (1997). Retrieved from <http://www.bbc.co.uk/news/special/politics97/devolution/scotland/briefing/79referendums.shtml>
- Scottish Referendums. (1997). Retrieved from <http://www.bbc.co.uk/news/special/politics97/devolution/scotland/live/index.shtml>
- Secession. (2008). Retrieved from <https://legal-dictionary.thefreedictionary.com/Secession>
- Secession. (n.d.) *West's Encyclopedia of American Law, edition 2*. (2008). Retrieved July 15 2018 from <https://legal-dictionary.thefreedictionary.com/Secession>
- Separatist Lucien Bouchard blasts PQ referendum plan. (2012). Retrieved from <http://torontosun.com/2012/09/10/separatist-lucien-bouchard-blasts-pq-referendum-plan/wcm/a4276cb0-e207-41c3-9092-6a559107f2b3>
- Smith, B. (2013). The Quebec referendums. Retrieved from <http://researchbriefings.parliament.uk/ResearchBriefing/Summary/RP13-47#fullreport>
- Smiths, C. (2014). How big is Scotland's economy?. Retrieved from <https://www.bbc.com/news/uk-scotland-28761179>
- Spain GDP per capita (EUR) - Spain Economy Forecast & Outlook. (2017). Retrieved from <https://www.focus-economics.com/country-indicator/spain/gdp-per-capita-EUR>

- Spongenberg, H. (2017). Catalan authorities call independence vote. Retrieved from <https://euobserver.com/beyond-brussels/138923>
- The Editors of Encyclopaedia Britannica. (2018). Act of Union | Great Britain [1707]. Retrieved from <https://www.britannica.com/event/Act-of-Union-Great-Britain-1707>
- The Electoral Commission. (2014). Report on the referendum held on 18 September 2014 (p. 152). Edinburgh.
- The Scotland Act 1998 (Commencement) Order 1998. (1998). Retrieved from <http://www.legislation.gov.uk/uksi/1998/3178/contents/made>
- The Scotland Act 1998 (Commencement) Order 1998. (2018). Retrieved from <http://www.legislation.gov.uk/uksi/1998/3178/contents/made>
- Thürer, D., & Burri, T. (2008). Self-Determination. Retrieved from <http://opil.ouplaw.com/view/10.1093/law:epil/9780199231690/law-9780199231690-e873>
- Thürer, D., & Burri, T. (2008). Self-Determination. Retrieved from <http://opil.ouplaw.com/view/10.1093/law:epil/9780199231690/law-9780199231690-e873>
- United Nations Human Rights Office of High Commissioner. (1966). OHCHR | International Covenant on Economic, Social and Cultural Rights. Retrieved from <https://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/CCPR.aspx>
- Valero, J. (2017). Catalan leader flees to Brussels and prepares for legal battle against Spain. Retrieved from <https://www.euractiv.com/section/future-eu/news/catalan-president-flees-to-brussels-and-prepares-for-legal-battle-against-spain/>
- Vintro, J. (2012). Legality and the Referendum on Independence In Catalonia [Ebook] (pp. 1-7). Barcelona. Retrieved from http://idpbarcelona.net/docs/blog/legality_referendum.pdf
- Webb, J. (2009). Catalan town votes for independence from Spain. Retrieved from <https://uk.reuters.com/article/uk-spain-catalonia-idUKTRE58C1V320090913>
- Welp, Y. (2017). THE RIGHT TO DECIDE? THE CATALANS' DILEMMA. The Catalan Independence referendum: An assessment of the process of self-determination, 7-9. Retrieved from http://www.zora.uzh.ch/id/eprint/143018/1/Welp_IRAI_Rapports-experts-Catalogne_EN_final.pdf

- Who is Catalan President Carles Puigdemont?. (2018). Retrieved from <https://www.aljazeera.com/news/2017/10/catalan-president-carles-puigdemont-171001122719197.html>
 - Zalta, E. (2017). "Secession". In The Stanford Encyclopedia of Philosophy (17th ed.). Stanford: Metaphysics Research Lab, Stanford University.
- ზურაბიშვილი, თ. (2006). [Ebook] (p. 61). თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. Retrieved from <http://old.ucss.ge/publication/012%20Tvisibrivi%20Metodebi%20Socialur%20Kvlebshi.pdf>

დანართი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Erekle Kevlishvili

Right of Self-Determination within Western Democracies: Catalan
Challenge

The Paper Submitted in Fulfillment of the Requirements for the Academic Degree
of Master in Diplomacy and International Politics

Advisor: Davit Matsaberidze

PhD of Political Science at

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, 2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

მირიან რჩეულიშვილი

არ შემდგარი დემოკრატია: ლიბია
დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

ნაშრომი საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის
მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ნიკა სამხარაძე
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი

აბსტრაქტი

ნაშრომის მთავარი მიზანია, ლიბიაში დემოკრატიის დამყარების მცდელობის შესწავლა და იმის გარკვევა, თუ რატომ იყო ეს მცდელობა წარუმატებელი. საკვლევ კითხვაც, შესაბამისად, შემდეგნაირად ჟღერს: რატომ ვერ მოხერხდა ლიბიაში დემოკრატიის დამყარება? პასუხის გასაცემად ნაშრომში გამოყენებულია ჰიპოთეზა, რომელიც მეცნიერული, ჟურნალისტური და პირველადი წყაროების მასალის შესწავლისა და ანალიზის შედეგად იქნა ჩამოყალიბებული. კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით წარმოდგენილია ჰიპოთეზა: ლიბიაში, ისევე როგორც სხვა ისლამისტურ ქვეყნებში, დემოკრატია ვერასდროს დამყარდებოდა, რადგან ეს ორი იდეოლოგია-დემოკრატია და ისლამი, ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ჰიპოთეზის დასამტკიცებლად გამოყენებულია ლიბერალური თეორია, რომელიც დემოკრატიას პოლიტიკური ტრადიციად მიიჩნევს და არა გარე ძალების წარმატებულ ზემოქმედებად.

Abstract

The main purpose of this paper is to examine the attempt at establishing democracy in Libya and explain to why it failed. Hence, arises the research question: why couldn't democracy be established in Libya? Paper uses journalistic, research-based and primary source information to answer this question, which allows the specification of hypothesis only at the end of the research, after all the empirical data are collected. Based on the research results, following hypothesis is generated: in Libya, just as any other Islamic country, democracy could never be established, because two ideologies go against each other. For testing the hypothesis Liberalism theory is applied, which finds democracy to be a consequence of political tradition, and not a successful intervention of outside force

სარჩევი

შესავალი.....	4
1. ლიტერატურის მიმოხილვა.....	7
2. არაბული გაზაფხული.....	8
3. კადაფის პოლიტიკა და არაბული გაზაფხულის მომწიფება ლიბიაში	12
4. აშშ-ს ჩართულობა ლიბიის არაბულ გაზაფხულში.....	18
5. არაბული გაზაფხულის კულმინაცია ლიბიაში.....	23
6. ისლამი ლიბიაში.....	25
7. ლიბიის გარდამავალი ხელისუფლება.....	27
8. აშშ-ს რეაქცია.....	34
9. საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკა ლიბიაში.....	35
10. კვლევის შეჯამება და ჰიპოთეზის დართვა.....	40
11. ლიბერალიზმის თეორია.....	41
12. დასკვნა.....	46
13. გამოყენებული ლიტერატურა.....	51

შესავალი

XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე არაერთი ქვეყანა დაადგა დემოკრატიის გზას. ზოგან ეს ფარულად ხდებოდა, ზოგან უფრო ღიად, მაგრამ ცივი ომის დასრულების შემდეგ, აშკარა იყო აშშ-ს დომინანტობა და მსოფლიოში დემოკრატიის მზარდი პოპულარობა, ასევე თავად დემოკრატიზაციის ტალღის ზრდა.

ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებიდან არაერთმა რესპუბლიკამ აირჩია საკუთარ პოლიტიკურ ცნობიერში დასავლური ღირებულებებისა და სისტემების დანერგვა, რაც საკმაოდ სერიოზული გამოწვევა გამოდგა. აღმოსავლეთ ევროპაში ამის საუკეთესო მაგალითი იყო ბალტიისპირეთი, რომელიც მალევე შევიდა ევროკავშირსა და ნატოს ალიანსში, სადაც ყოველი წევრი ქვეყანა აშკარად დემოკრატიული მოწყობისაა. ასევე მეტად საყურადღებო და თვალშისაცემი გამოდგა საქართველოსა და უკრაინის რევოლუციები, სადაც მოსახლეობის უმეტესობა კატეგორიულად მოითხოვდა დემოკრატიულ მმართველობასა და სამართლიან არჩევნებს. აშშ-სა და მისი მოკავშირეების გავლენა დღითი დღე მატულობდა და სულ უფრო დიდ დემოკრატიულ ტალღას აგზავნიდა მსოფლიოში.

ამ ტალღას არც ლიბიაში ჩაუვლია შეუმჩნევლად. მართალია, პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში უფრო თავისუფალი საინფორმაციო წყაროები მოქმედებდა და ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იქ წარმოშობილ დემოკრატიულ მუხტს, მაგრამ არაბულ სამყაროში მასმედია სრულიად სახელმწიფოს დაქვემდებარებაში იყო, და იმავე მუხტის გენერირებისათვის ჯერ ინტერნეტის ფართო მასშტაბიანი გავრცელება იყო საჭირო.

2010 წლისათვის, როდესაც არაბული გაზაფხული დაიწყო, ეს იყო სრულიად უპრეცედენტო და მხოლოდ ინტერნეტით ორგანიზებული და ოპერირებული საპროტესტო ტალღა. დიქტატორულ რეჟიმებს არ ჰყოფნიდათ ძალა, ცოდნა, ნება თუ გამოცდილება, რომ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია რაიმენაირად გაეკონტროლებინათ. შესაბამისად, სულ უფრო რთული ხდებოდა საზოგადოებისთვის იმ რეალობის დამალვა, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ.

არაბული გაზაფხულის საპროტესტო აქციები ლიბიასაც შეეხო, და ამ დროისათვის დასავლეთი ვარაუდობდა, რომ ეს იქნებოდა ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილო აფრიკის ქვეყნების ერთგვარი დემოკრატიული გამოღვიძება. მათ ბოლოს და ბოლოს მიეცემოდათ შანსი, ჰყოლოდათ თავიანთი არჩეული წარმომადგენლობა და ისეთი

მთვრობა, რომელიც ჭეშმარიტად დაიწყებდა მოსახლეობაზე ზრუნვას და ნელ-ნელა დაადგებოდა დემოკრატიზაციის გზას.

მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. როდესაც მემბოხეებმა და აჯანყებულმა მოსახლეობამ პოლკოვნიკი კადაფი თავის დიქტატორულ რეჟიმთან ერთად წარსულში „გაისტუმრა“, ლიბიის სახელმწიფო სულ სხვა რეალობის წინაშე დადგა. იმ რეალობისა, რომლისთვისაც არავინ არ იყო მზად, რეალობისა, რომელიც ვერავინ ვერ გათვალა და რეალობისა, რომელიც არანაკლებ საშიში და სისხლიანი აღმოჩნდა, ვიდრე თავად დიქტატორ კადაფის მმართველობის რეჟიმი.

თუ რატომ დადგა ასეთი კრიტიკული რეალობა და რატომ დასრულდა ლიბიაში დემოკრატიული სისტემის დანერგვის მცდელობა კრახით, რა თქმა უნდა, ერთობ საინტერესო საკითხია, გამომდინარე იქიდანაც, რომ ლიბია, ჯერჯერობით, დემოკრატიის დანერგვის უახლეს მცდელობად რჩება. მე მივიჩნე, რომ ამ საკითხის კვლევა და სათანადო ანალიზი, ძალიან ბევრ კითხვას გასცემდა პასუხს.

სამწუხაროდ, არც პრეზიდენტ ობამას და არც პრემიერ - მინისტრ დევიდ კემერონის (Wheeler, 2016) კომენტარები არ გვეხმარება იმის გარკვევაში, თუ რეალურად რაში მდგომარეობდა პრობლემა და რატომ აღმოჩნდა ისეთი დემოკრატიული ძვრები, რომლებმაც დიდწილად ყველა პოსტსაბჭოურ ქვეყანაში გაამართლა, ლიბიაში ასეთი დამანგრეველი.

ჩემი კვლევის მთავარი მიზანიც ესაა : რატომ ვერ გადაიქცა ლიბია დემოკრატიულ ქვეყნად?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, მე მიმოვიხილე ლიბიის უახლესი ისტორია და გამოვიყენე არაერთი მეცნიერისა და ცნობილი ჟურნალისტის სტატიები და ნაშრომები, ასევე გაეროს მიერ ლიბიასთან დაკავშირებით გამოცემული ოფიციალური დოკუმენტები, და ისინი ჩემს ნაშრომში შევაჯამე.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ იმ პერიოდს, როდესაც ლიბიაში დაიწყო ამბოხებულთა შეიარაღება (Watt, 2011), მაგრამ ეს იარაღი ჯიჰადისტებსაც ჩაუვარდათ ხელში (RISEN, MAZZETTI, & SCHMIDT, 2012). სიტუაცია გადაიზარდა სამოქალაქო ომში, რამაც გამოიწვია კადაფის მკვლელობა. ამავე დროს ვაანალიზებ, დიქტატორული რეჟიმის დამხობის შემდეგ (2011-2013 წლებში), გადადგმულ ნაბიჯებს. ასევე მიმოვიხილავ თავად კადაფის მიერ დამყარებული მმართველობის რეჟიმსა და იმ პოლიტიკურ რეალობასა თუ სტრუქტურას, რომელიც მან ათწლეულების განმავლობაში შეიმუშავა და დანერგა ლიბიაში.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მთავარი თეზისის ფორმულირება ამდაგვარადაა შესაძლებელი: დემოკრატია არის პოლიტიკური ტრადიციების შედეგი, რომლის დანერგვა ქვეყანაში უნდა მოხდეს დროთა განმავლობაში შიდა ძალებითა და ძალისხმევით და არა ერთი ხელის მოსმითა და გარე ძალების ჩართულობით. უფრო მარტივად კი: ტრადიცია განაპირობებს დემოკრატიას. ასევე საყურადღებოა ის, რომ ლიბია მაჰმადიანური სახელმწიფოა, რაც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული, როდესაც დემოკრატიზაციაზე ვსაუბრობთ. წინამდებარე ნაშრომი იკვლევს ისლამის დამოკიდებულებას დასავლური ფასეულობებისა და დემოკრატიული სტრუქტურების მიმართ, რასაც საბოლოო დასკვნებამდე მივყავართ. ამ თეზისში პოლიტიკური ტრადიცია არის დამოუკიდებელი, ცვლადი, ხოლო დემოკრატია დამოკიდებული.

თეზისის ფორმულირებაში დამეხმარა ლიბერალური თეორია, რომლის მიმდევრებიც ამტკიცებენ, რომ დემოკრატია წარმოიშობა ქვეყნის შიგნით და ამ პოლიტიკურ მოდელზე გადასვლა, ქვეყნის შინაგანი პროცესი იყოს. ლიბერალური თეორია კატეგორიულად უარყოფს მესამე მხარის ჩარევას ქვეყნის დემოკრატიულ პროცესებში და მას არაპროდუქტიულად და გაუმართლებლად მიიჩნევს, რადგან სჯერა, რომ ჩარევა მხოლოდ დაზარალებს დემოკრატიული პრინციპების დანერგვას.

ნაშრომის დასაწერად გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა მეცნიერის, ორგანიზაციისა და ჟურნალისტის ნაშრომების მოძიებას, შესწავლასა და შედარებას. ამ ძიების დროს არჩევანი შევაჩერე საერთაშორისოდ აღიარებულ და სანდო წყაროებზე. ნაშრომი ასევე ეყრდნობა გაეროს მიერ ლიბიისადმი შემუშავებულ 1973 წლის რეზოლუციას. საგულისხმოა ის, რომ მოპოვებული მასალების უმეტესობაში საუბარია ლიბიის დემოკრატიზაციის გზაზე დაშვებულ კონკრეტულ შეცდომებზე, მაგრამ ვერ და თითქმის არასდროს ხდება ამ მოვლენის მთლიანი ანალიზი. წინამდებარე ნაშრომი თუ მცდელობაა გვთავაზობს ბევრად უფრო კონკრეტულად გასცეს პასუხი კითხვას: რატომ ვერ მოხერხდა ლიბიაში დემოკრატიული მმართველობის დამყარება.

ლიტერატურის მიმოხილვა

ლიბიაში განვითარებული მოვლენების შესახებ არაერთი მეცნიერი და მკვლევარი წერს, მაგრამ ისინი მეტ-ნაკლებად სხვანაირ მიდგომას იყენებენ და სხვა პასუხებს გვთავაზობენ. ერთ-ერთი ნაშრომის ავტორია ყატარის უნივერსიტეტის პროფესორი ემინ პოლიარევიჩი, რომელიც თავის ნაშრომში (Poljarevic, 2016, pp. 73-74) რევოლუციის ხასიათსა და მის შეცდომებს იკვლევს და ლიბიას ზოგადად განიხილავს როგორც არშემდგარ სახელმწიფოდ, ვიდრე არ შემდგარ დემოკრატიად.

მსგავსი ნაშრომის (Kulkarni, 2014) ავტორია, გრიფიტის უნივერსიტეტის (ავსტრალია) სტუდენტი სიდჰარტ კულკარნი, რომელმაც ზემოხსენებული ავტორის მსგავსად ლიბია განიხილა როგორც არ შემდგარი ქვეყანა, თუმცა ირწმუნება, რომ ლიბიელი საზოგადოება აქტიურად უჭერს მხარს დემოკრატიულ ძვრებს, ხოლო დასავლურ პრინციპებს მართლაც გააჩნიათ მომავალი ამ ქვეყანაში. მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მისი ნაშრომი 2014 წელსაა დაწერილი, მაშინ, როცა ასეთი მოსაზრება ძალზე პოპულარული იყო. ჯერ კიდევ ფართოდ იყო გავრცელებული.

ამ ორი ავტორის მსგავსი ნაშრომები მრავლად მოიძებნება. იქაც ლიბიის სახელმწიფოებრიობასა და რევოლუციის შეცდომებია ხაზგასმული, ხოლო ჩემის კვლევის საგანსა და მნიშვნელოვან კითხვებს კი, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ყოველთვის გვერდს უვლიან.

არაბული გაზაფხული

არაბული გაზაფხული ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონში რევოლუციურ მოვლენად შეგვიძლია ჩავთვალოთ. ამ მოძრაობის დამსახურებაა მნიშვნელოვანი და საყურადღებო ცვლილები რეგიონში. დასაწყისში ის თავისუფლებისა და დემოკრატიის იმიჯს ატარებდა, მაგრამ, მოგვიანებით, არაბული გაზაფხულის რიგებში, თავი იჩინეს რადიკალური ისლამის მიმდევრებმა, ლიდერებმა, მომხრეებმა და გამავრცელებლებმა. დღეს არსებული მსოფლიო პოლიტიკური კლიმატი, იმ ფაქტზე მიგვითითებს, რომ ისლამი და დემოკრატია ანტონიმია.

არაბული გაზაფხული შემზარავი ფაქტით დაიწყო: ტუნისში, 2011 წელს, 17 დეკემბერს, სიღარიბის ზღვარს მყოფი ახალგაზრდა ქალაქის მერიის წინ, ქუჩაში, გამოვიდა, ბენზინი გადაისხა და ცეცხლი წაიკიდა. მისმა ასეთმა საქციელმა დასაბამი მისცა მასობრივ აქციებს ჯერ მის ქალაქში, შემდეგ კი მთელ ქვეყანაში. ეკონომიკური სიდუხჭირე, რისი დასტურიც იყო ქუჩაში გამოსული ათასობით ადამიანი, მართლაც გაუსაძლისი იყო და რევოლუციების ტალღა დანარჩენ არაბულ ქვეყნებსაც მისწვდა. არაბულ გაზაფხულს მიაკუთვნებენ იმ საპროტექსტო აქციებს, გაფიცვებსა და მსვლელობებს, რომლებიც 2011 წლიდან 2012 წლამდე ხდებოდა შემდეგ ქვეყნებში: ტუნისში, ეგვიპტეში, ლიბიაში, იემენში, სირიაში, ბაჰრეინში.

მაღაიზიის საერთაშორისო ისლამური უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორი ელფატიჰ აბდელსალამი თავის ნაშრომში ირწმუნება, რომ ამ რევოლუციის გამომწვევ მიზეზებს ბევრად უფრო ღრმა წარსულში აქვს ფესვები გადგმული და ის მოსახლეობის ზოგადი სოციალური, ეკონომიკური სიდუხჭირითა და უსამართლობით იყო განპირობებული. ქვეყნების ეკონომიკური რესურსები მთლიანად ორგანიზებული იყო რამდენიმე ადამიანის, ოჯახის ან საზოგადოების ხელში (Mokhefi, 2011). საკუთარი ქვეყნების მდიდარი რესურსებით მხოლოდ მოსახლეობის მცირედი პროცენტი სარგებლობდა, ისინიც, უმეტესად, მმართველ

კლასს წარმოადგენდნენ და სიმდიდრის გარდა არც ძალაუფლების განაწილება სურდათ ვინმესთან. ასევე, ცხადი იყო ნეპოტიზმი და ინფლაცია.

XX საუკუნის დასაწყისისთვის ქვეყნის ინსტიტუტების გაუმართავი მუშაობა სულ უფრო ცხადი ხდებოდა და საზოგადოების უნდობლობას იწვევდა. ამ მოვლენისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას ისიც განსაზღვრავდა, რომ ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების ახალგაზრდები სწავლა - განათლების მისაღებად ევროპასა და ამერიკაში მიდიოდნენ და უკვე განათლებამიღებულები სამშობლოში რომ ბრუნდებოდნენ, გრძნობდნენ, რომ მათი ქვეყნების წინსვლისა და განვითარებისათვის საჭირო იყო ძირეული ცვლილებების განხორციელება.

არაბული ქვეყნებისთვის საპროტესტო მოძრაობები და ამბოხება ახალი არ ყოფილა. მაგრამ არაბული გაზაფხული სრულიად ახალი მოვლენაა, რადგანაც უახლეს ისტორიაში, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები („მენა“) პირველად აუჯანყდნენ არა დამპყრობელ, იმპერიულ და კოლონიალისტურ ძალებს, არამედ საკუთარ სახელმწიფოს (Abdelsalam, 2015).

აქვე აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, კერძოდ, ამ ქვეყნების დემოგრაფიული მონაცემები. 50-60-იან წლებში, როდესაც არაბული გაზაფხულის ქვეყნები ჩამოყალიბდნენ, მათი მოსახლეობა საკმაოდ მცირე იყო, ლიბიაში, დაახლოებით მილიონ ასი ათასი მოსახლე ცხოვრობდა (Pyramid, 1951). მაგრამ დროთა განმავლობაში ამ ქვეყნებში დაიწყო მოსახლეობის საოცარი სისწრაფით ზრდა. არაბულ გაზაფხულამდე ხუთი წლით ადრე არაბულ ქვეყნებში 314 მილიონი მოსახლე ცხოვრობდა (Manfreda, 2017). მოსახლეობის ასეთ ზრდამ თან მოჰყვა სოციალური პირობების გაუარესება, რასაც ზედ დაერთო ნავთობზე ფასების ვარდნა და არასტაბილური ეკონომიკა. მოსახლეობასთან ერთად, შესაბამისად, გაიზარდა უმუშევართა რიცხვიც. სახელმწიფოებს არ გააჩნდათ არავითარი ინსტიტუტი, რესურსი ან საშუალება, რომ თავისი მოსახლეობის ელემენტარული მოთხოვნილებები დაეკმაყოფილებინათ (Idris, 2016, გვ. 4).

არაბულმა გაზაფხულმა ტუნისიდან ეგვიპტეში გადაინაცვლა. აქციებმა, დემოსტრაციებმა და პროტესტმა აქაც მასობრივი ხასიათი მიიღო და ათი ათასობით ადამიანი გამოიყვანა ქუჩაში. არაბული ქვეყნების მკაცრი ხელისუფლება გულხელდაკრეფილი არ აპირებდა პროტესტის ყურებას და ქუჩაში გამოსულ ხალხს შეიარაღებული პოლიცია და შესაბამისად აღჭურვილი ჯარისკაცები დაუპირისპირა. დღესდღეობით, ამ ქვეყნების მონაცემების თანახმად, არაბულ გაზაფხულს დაახლოებით 35 ათასი ადამიანი ემსხვერპლა (Rettig, 2011). თუმცა ეგვიპტელმა ხალხმა თავისას მიაღწია და პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი თანამდებობიდან გადადგა, თუმცა ეს ფაქტი არ ყოფილა ეგვიპტის დემოკრატიზაციის გარანტი.

არაბულმა გაზაფხულმა იფეთქა ლიბიასა და სირიაშიც იფეთქა. ეს რევოლუციური ჯაჭვი კიდევ იმითაც იყო საინტერესო, რომ მას თითქმის არცერთი არაბული ტელევიზია არ აშუქებდა. რევოლუცია იმართებოდა სოციალური ქსელებიდან. ინტერნეტის ეპოქამდე, მთავრობებს ეკავათ ინფორმაციის გაცვლის სადავეები, მაგრამ სოციალურმა ქსელებმა ეს მდგომარეობა რადიკალურად შეცვალა. იმას, რომ ამ ქვეყნებს მიმდინარე მიმდინარე პროცესებს არ აშუქებდა მასმედია, მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ინტერნეტისა და სოც. ქსელების მეშვეობით ხდებოდა აქციების დაანონსება, დაგეგმვა, განხორციელება და ამბოხებულებს შორის ინფორმაციის გაცვლა. არაბული გაზაფხულის ამსახველი ვიდეო ჩანაწერებისა და ფოტოების უდიდესი მასალა ამ მეთოდებითაა მოპოვებული.

არაბულმა სახელმწიფოებმა საფრთხეს თვალი რომ გაუსწორეს, გადაწყვიტეს, დათმობებზე წასულიყვნენ და დაიწყეს ზრუნვა სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად: გაზარდეს დახმარებები, ხელფასები, პენსიები, გააუმჯობესეს სხვადასხვა სოციალური სერვისები და ამ ღონისძიებებმა ზოგან მმართველებისთვის დადებითი შედეგები გამოიღო. მაგრამ დაპირისპირებებმა დაუსრულებელი ხასიათი მიიღო სირიაში. სირიის პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი გადადგომას არ აპირებდა, არც რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებებს გეგმავდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ ისლამური

სახელმწიფოს გავლენა ყველაზე დიდი სირიაში იყო, რამაც მეტისმეტად გააჭიანურა და მომავალში სულ სხვა დაპირისპირების სახე შესძინა რევოლუციური ტალღას.

კადაფის პოლიტიკა და არაბული გაზაფხულის მომწიფება ლიბიაში

ლიბიის სახელმწიფო, გაეროს გადაწყვეტილებით, 1947 წელს გახდა დამოუკიდებელი (SAHO, 2015). მის სათავეში კი კვირინის გავლენიანი მმართველი, იდრის ალ-სენუსი (The Editors of Encyclopaedia Britannica, 2018) მოექცა და თავი მეფედ გამოაცხადა. ამ სრულიად არადემოკრატიულ ნაბიჯზე პრეტენზია არავის განუცხადებია. პირიქით, მეფის დასახმარებლად ინგლისის მთავრობამ ლიბიაში გაგზავნა თავისი წარმომადგენლები, რომლებმაც ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის გარანტად 1955 წელს ნავთობის ძიება დაიწყეს. რამდენიმე წელიწადში იპოვეს კიდევ და 1959 (WOLFE, 2011) წელს ლიბია უკვე ნავთობის ექპორტიორ ქვეყნად იქცა. საშინაო ეკონომიკაც აღმავლობის გზას დაადგა, მაგრამ, მოგვიანებით, როგორც სხვა არაბულ ქვეყნებში, ისე ლიბიაშიც ასეთი რესურსების ბატონ-პატრონები მხოლოდ მცირე კლანები გახდნენ. კლანების გაბატონება და ტომობრივი ყოფა კი დემოკრატიის პერსპექტივებს ყოველთვის აზიანებს. მაშინდელი ლიბიის მოსახლეობა მილიონ ნახევარსაც არ შეადგენდა, მაგრამ მათი სოციალური კეთილდღეობა ლიბიის ერთპიროვნული მმართველისთვის (მეფისთვის)დიდი პრიორიტეტს არ წარმოადგენდა (Aghayev, 2013).

მეფე იდრისი 1969 წელს თურქეთში გაემგზავრა სამკურნალოდ და სწორედ ეს მომენტი გამოიყენეს ახალგაზრდა ლიბიელმა მეზრძოლებმა სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად. გადატრიალების სათავეში იდგა მუსლიმური სამმო, რომელსაც პოლკოვნიკი მუამარ კადაფი ხელმძღვანელობდა. გადატრიალება წარმატებით განხორციელდა და მუამარ კადაფიმ ქვეყანა ლიბიურ - არაბულ რეპსუბილიკად გამოაცხადა, თავისი თავი კი - მის ერთპიროვნულ მმართველად. ფაქტობრივად, ერთი დიქტატორი მეორემ ჩაანაცვლა. მოგვიანებით, 1972 წელს, მან ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება და მათში გაწევრიანებაც კი აკრძალა და უკანონოდ სცნო (Hatita, 2011).

მიუხედავად ამისა, კადაფის მმართველობის პირველი წლები საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. ინგლისელი ჟურნალისტი დადებითად აფასებდა ლიბიელი ახალგაზრდების ჩაცმულობასა და განათლებას. იმასაც კი აღნიშნავდა, რომ ლიბიის მშპ ინგლისსაც კი უსწრებდა. სამაგალითოდ ახასიათებდა ეკონომიკური კეთილდღეობის გადანაწილებას და იმ სოციალურ პირობებს, რასაც სახელმწიფო თავის მოქალაქეებსა და, მით უმეტეს, ახალდაქორწინებულ წყვილებს სთავაზობდა: საცხოვრებელ ბინებს, მანქანებს, ნულპროცენტთან სესხებს და ა.შ. რომ არაფერი ითქვას ჯანმრთელობის დაზღვევაზე.

კადაფიმ ასევე მომგებიანი რეფორმები გაატარა ნავთობინდუსტრიაში, რამაც სულ რაღაც ერთ წელიწადში, 1 მილიარდი დოლარის მოგება მოუტანა ლიბიას (Sally Totman, 2015, pp. 1-2). ეს ფული მთლიანად სოციალურ პროექტებში დაიხარჯა და ლიბიის მოსახლეობამ მართლაც იგრძნო და საკუთარი თვალთ დაინახა, თუ რა სარგებელი მოჰქონდა მათი ქვეყნის რესურსებს. მართალია, ეს დადებითი მოვლენა იყო, მაგრამ მას მეორე მხარე ჰქონდა, კერძოდ, მოსახლეობა ხედავდა როგორი მომგებიანი იყო დიქტატორული რეჟიმი და დემოკრატიული მმართველობის პოპულარობა და საჭიროება სულ უფრო და უფრო მცირდებოდა. პოლკოვნიკი კადაფი ხდებოდა ლიბიელი ხალხის კეთილდღეობისა და გაერთიანების ერთადერთი სიმბოლო.

ლიბია მდიდარი იყო ნავთობით, მაგრამ მას არ ჰქონდა სასმელი საკმაოდ ღარიბი იყო სასმელი წყლის მარაგი. პოლკოვნიკმა კადაფიმ 33 მილიარდი დოლარი დახარჯა, რომ ლიბიის მოსახლეობის 70%-ს სუფთა სასმელი წყალი ჰქონოდა.

მიუხედავად ასეთი რევოლუციური ცვლილებებისა, 70-იანი წლების დასასრულს, კადაფი მაინც ბოროტი, ერთპიროვნული და ავტოკრატიულ ლიდერად იქცა. კადაფის მმართველობის სისტემა დაფუძნებული იყო ტომობრივ მმართველობაზე. ლიბიაში დაახლოებით ორიათასამდე ტომია, მათ შორის 140 სარგებლობს სერიოზული პოლიტიკური გავლენით. ამ 140 ტომიდან ორმოცდაათი იყო დაპატრონებული ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტრუქტურებს. როდესაც კადაფი

ქვეყნის სათავეში მოვიდა, ტომობრივი მმართველობის სტრუქტურა თავის იარაღად აქცია. ის თავის პოლიტიკაში სწორედ ამ ტომებს ეყრდნობოდა და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ქვეყნის არაერთ რეგიონში, კონსტიტუციასა და კანონზე მაღლა ტომების სამართალი და წეს-ჩვეულებები (Aghayev, 2013, გვ. 193-197). დადგა.

ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივი რეფორმა 1978 წელს გატარდა. პოლკოვნიკმა კადაფიმ გადაწყვიტა, რომ ყველა ლიბიელს უნდა ჰქონოდა საკუთარი სახლი. შესაბამისად, ყველას, ვისაც ორი ან მეტი სახლი ჰქონდა - საკუთრება ჩამოერთვა, და ეს ბინები, საკმაოდ იაფად მიჰყიდეს მასში მცხოვრებ ადამიანებს (Black, 2011). ეს რეფორმა, ერთის მხრივ, ზოგს შეიძლება დადებით ნაბიჯად ჩეთვალოს, მაგრამ მარად მზარდი მოსახლეობის პირობებში, ბინების მინიმალურ ფასად გაყიდვა, არც თუ ისე ჭკვიანური და გრძელვადიანი ეკონომიკური გათვლა იყო. ამ რეფორმამ დემოკრატიის ერთ-ერთი ძირეული ფასეულობა - კერძო საკუთრების უფლება, სრულიად აღმოიფხვრა. მოსახლეობაში დოვლათის დაგროვების სურვილის სერიოზული საფრთხე შეექმნა, რადგანაც დიქტატურის პირობებში დოვლათის დასაგროვებლად შრომა უაზრობად იქცა. ლიბიელ ხალხს ყველაფერი თავისი ლიდერისთვის უნდა გადაეხარებინა და მის იმედად ყოფილიყო.

სახლების რეფორმის შემდეგ კერძო სექტორის ჯერი დადგა, ასეულობით კერძო ფირმა და კომპანია გადაიქცა სოციალურ საწარმოდ და კოოპერატივად. ლიბიელები აშკარად გრძნობდნენ, რომ ქვეყნის ერთპიროვნული ლიდერი სხვადასხვა სოციალურ ექსპერიმენტებს ატარებდა მათზე, და ამ ექსპერიმენტებს წარმატებული დასასრული არ ეწერა.

90-იანი წლების ბოლოს კადაფიმ აშკარად და თავისუფლად დაიწყო ტერორისტული ორგანიზაციების მხარდაჭერა, დაფინანსება და ჯარისკაცებით მომარაგებაც კი. რის გამოც გაერომ ლიბიას უმკაცრესი სანქციები (Nations, 1993) დაუწესა და მისი ნავთობექსპორტი სხვა წლებთან შედარებით მკვეთრად დაეცა, რასაც ლიბიაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება მოჰყვა.

გამომდინარე იქიდან, რომ ლიბიის შემოსავლების სრული უმეტესობა ნავთობის ექსპორტზე იყო დაყრდნობილი, რაც სახელმწიფო სტრუქტურების მთავარ რესურსსაც შეადგენდა (Ibrahim, 2013, pp. 537-540), აშკარა იყო, რომ ქვეყნის ინფრასტრუქტურა მძიმე დარტყმის ქვეშ მოექცა. ყოველგვარი სოციალური კეთილდღეობა, რითაც მოქალაქეები კადაფის აღზევების პერიოდში სარგებლობდნენ, ახლა, 2000 წლისთვის, ნულს გაუტოლდა. მაგრამ დიქტატორი მმართველი კვლავაც არ აქცევდა ყურადღებას ადამიანის უფლებების ან დემოკრატიული ფასეულობების დანერგვა-განვითარებას.

კადაფის უნდოდა „ბრძენი დესპოტის“ (Aghayev, 2013, გვ. 193-197) ტიტული ეტარებინა და იმგვარი პოლიტიკური კლიმატი შექმნა, სადაც მის გარდა არცერთი ლიდერი არ გამოჩნდებოდა. მართალია, არსებობდა სხვადასხვა დასახლებების წარმომადგენლობითი სტრუქტურა, მაგრამ ერთი დასახლების მაცხოვრებელს წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ იყო მეორე დასახლების წარმომადგენელი. როდესაც პოლიტიკაზე მიდგებოდა საუბარი, მოსახლეობა სრულმა უმეტესობამ კადაფის გარდა ვერავის ცნობდა. კადაფის უნდოდა ოპოზიციის ან კონკურენციის იდეა საერთოდ აღმოეფხვრა საზოგადოებიდან, მაგრამ ამით იმავე ტოტი მოჭრა, რომელზეც, ზოგადად, მმართველი წრეები სხედან ხოლმე. რადგანაც კონკურენციისა და ოპოზიციის გარეშე ნაკლებ თვალსაჩინო ხდებოდა პრობლემები, რომლებსაც პრიორიტეტების მიხედვით დალაგება და მუშაობა დასჭირდებოდა. ერთია რომ მოსახლეობა იყო პოლიტიკურ სიბნელეში, მაგრამ ასეთსავე სიბნელეში იყო თავად კადაფი, რომელსაც მოსახლეობის ნამდვილი ხმა, მოთხოვნილებები და სურვილები ვერ სწვდებოდა. მოქალაქეებსა და მათ ლიდერს შორის წარმოიშვა საოცარი ვაკუუმი და ერთმანეთზე ორივეს მხოლოდ ვარაუდები და ზოგადი წარმოდგენები ჰქონდათ. ძალიან რთულია დემოკრატიაზე საუბარი იმ საზოგადოებაში, რომელშიც მმართველი და მოქალაქე ასე ძალიან არიან დაშორებული ერთმანეთს.

კადაფი თავის ცნობილ მწვანე წიგნში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს რელიგიისა და დემოკრატიის შედარებას (Кадафи, 1976, стр. 16-19). და აღიარებს, რომ დემოკრატია, როგორც ის დასავლურ სამყაროშია დამყარებული, არ გამოხატავს ხალხის ნებას. პირიქით, დასავლური კონსტიტუციები არის კონკრეტული ჯგუფების, კლანებისა და ინდივიდების მიერ შედგენილი წესები, რომელიც დანარჩენ მოსახლეობას თავს მოახვიეს. „ჭეშმარიტი დემოკრატიის“ საფუძველს პოლკოვნიკი კადაფი მხოლოდ ტრადიციებსა და რელიგიაში ხედავს, რადგან ტრადიციები საზოგადოების საყოველთაო შეთანხმების შედეგია, ხოლო რელიგია უზენაესი არსების, ალაჰის, სიტყვაა და მასზე წინ არაფერი და არავინ დგას. დემოკრატიაში ის საერთოდა ვერ ხედავს თავისუფლებას, მაშინ, როცა რელიგიის შეზღუდვა თავისუფლების საფრთხედ მიაჩნია. მისი აზრით, რელიგია ტრადიციებისგანაც შედგება და ამით უკეთესად გამოხატავს ხალხის ნებას. შესაბამისად, ბევრად უფრო ღირსეულ კანონებსაც რელიგიიდან ვიღებთ.

პოლკოვნიკ კადაფის მიერ გატარებული უსამართლო და ხშირად არაგონივრული პოლიტიკა, ახალ ინფორმაციულ საუკუნეში ლიბიის მოქალაქეთა უმეტესობისათვის თვალსაჩინო გახდა. ეს პროტესტი განპირობებული იყო ეკონომიკური და მატერიალური სიდუხჭირით, რომელსაც ფონად ერთვოდა უუნარო პოლიტიკური ლიდერის დისფუნქციური რეჟიმი (Abdelsalam, 2015, გვ. 122-124; 136) . ლიბიის მოსახლეობას და ახალგაზრდობას სჭირდებოდა ცვლილებებია, მაგრამ კონკრეტულად როგორი ცვლილება იყო საჭირო - ეს დღემდე განსახილველ თემად რჩება. ლიბიელმა საზოგადოებამ წამოიწყო ცვლილების ტალღა, მაგრამ ის სრულიად მოუმზადებელი იყო დემოკრატიული ნაბიჯების გადასადგმელად , რადგან ამ საპროტესტო ტალღაში საკმაოდ დიდ როლს ასრულებდნენ ისლამური რელიგია და მისი წარმომადგენლები (EGHDAMIAN, 2014).

ბენღაზიში გამართული პროტესტები 17 თებერვალს უკვე სამოქალაქო ომში გადაიზარდა, როდესაც ძალოვანმა სტრუქტურებმა ცეცხლი გაუხსნეს აქციაზე შეკრებილ ხალხს, რომლებიც მისი რეჟიმის დამხობას მოითხოვდნენ. ამ მოვლენამ კი

პროტესტები მთელს ქვეყანაში მალე ააქცია ამბოხებად. მთელი ეს ძალა კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ სამოქალაქო ომში ჩააბა (Barker, 2011). ამის შემდეგ, მემბოხე ოპოზიციურმა ძალებმა სულ უფრო დიდი ნაბიჯებით იწყეს სვლა: დააარსეს ლიბიის გარდამავალი საბჭო, რომელსაც ოფიციალური მთავრობის როლი უნდა შეესრულებინა და რომელიც გაერომ ლეგიტიმურად სცნო (THE ASSOCIATED PRESS, 2011). მემბოხეები გამარჯვების გზაზე იდგნენ.

აშშ-ს ჩართულობა ლიბიის არაბულ გაზაფხულში

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, 1940 წელს, ამერიკამ ლიბიაში, ტრიპოლთან ახლოს, საჰაერო სამხედრო ბაზა განათავსა, რომელიც 1971 წლამდე მოქმედებდა და 4000-მდე მომსახურე სამხედრო პერსონალისაგან შედგებოდა (Ploch, 2011). ბაზის ძირითადი მოვალეობა ევროპაში მიმდინარე საომარ მოქმედებებში მოკავშირეების მხარდაჭერა იყო და მათ ბომბდამშენ პლაცდარმს წარმოადგენდა. მაგრამ ასევე საგულისხმოა, რომ ამ ბაზამ დიდი ჰუმანიტარული დახმარება გაუწია 60-იან წლებში წყალდიდობისა და მიწისძვრისგან დაზარალებულ ლიბიელებსა და ტუნისელებს.

1952 წლიდან ეს ბაზა გახდა ამერიკისა და ევროპის მთავარი ინსტრუმენტი, როცა ამ უკანასკნელთ ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებზე, მათ შორის ლიბიაზე, პასუხისმგებლობა დაეკისრათ. მას შემდეგ, ამ სამხედრო ბაზამ არაერთხელ გამოიცვალა სახელი, მოკლევადიანი მიზნების განხორციელების შემდეგ, 2007 წლის 1 ოქტომბერს, „აფრიკომი“ დაერქვა. „აფრიკომის“ მისია დროთა განმავლობაში იზრდებოდა, მაგრამ როგორც აშშ-ს თავდაცვის წარმომადგენლები საჯაროდ ამტკიცებდნენ, მისი მთავარი მიზანი რეგიონში სტაბილურობისა და მშვიდობის შენარჩუნება და გაძლიერება იყო, რაც მაღალი სამხედრო პროფესიონალიზმით უნდა განხორციელებინათ. ამ ორგანიზაციის მოვალეობაა რეაგირება ნებისმიერ კრიზისზე და ნებისმიერი სახის აგრესიის ჩახშობა.

დღეს „აფრიკომის“ მთავარ ვებგვერდზე (Africom) წერია, რომ „აფრიკომი“, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, ხელს უწყობს სამხედრო თავდაცვის განვითარებას, კრიზისის მართვასა და აცილებას, ტრანსნაციონალური უსაფრთხოების დაცვას, რათა გააღრმავოს აშშ-ს ნაციონალური ინტერესები და განამტკიცოს რეგიონალური უსაფრთხოება, სტაბილურობა და აღმავლობა. მგონი, სრულიად ნათელი უნდა იყოს, რომ „აფრიკომის“ ბაზა არაჩვეულებრივი

სტრატეგიული პუნქტია აშშ-სთვის, რომელმაც 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ სამართლიანი ინტერესს იჩენს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების მიმართ.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სხვა ლიდერებთან ერთად, კადაფი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა რეგიონში „აფრიკომის“ არსებობას. ამიტომ ამ ბაზების შტაბ-ბინა გერმანიაში, შტუტგარდში გადავიდა. მიუხედავად ამისა, აშშ-ს აფრიკის 54 ქვეყანაში 50 ბაზა (Neuhaus, 2017) აქვს განლაგებული და არც ტრიპოლის მიმდებარე ტერიტორიიდან მოუცვლია ფეხი. მაგრამ არაბულ გაზაფხულამდე აფრიკის ქვეყნები და ლიბია ამერიკის პოლიტიკაში დიდი პრიორიტეტით არ სარგებლობდნენ და რეგიონს ჩინეთთან საკონკურენციო არეალად აღიქვამდნენ (Lyman).

2011 წელს, როდესაც ლიბიაში არაბული გაზაფხული თავისი სრული სიმწვავით იდგა და ერთმანეთს დაპირისპირდა მშვიდობიანი მოსახლეობა და ძალოვანი სტრუქტურები, რასაც მალევე მოჰყვა მსხვერპლი, აშშ-მ ჩათვალა, რომ ჩაურევლობა უპასუხისმგებლობა იქნებოდა. 2011 წლის 18 მარტს პრეზიდენტმა ობამამ სპეციალური პრესკონფერენცია (House, 2011) მოიწვია, რათა უკეთესად გაეცნო თავისი მოქალაქეებისათვის ლიბიაში მიმდინარე მოვლენები, ამ მოვლენათა შინაარსი და აშშ-ს სტრატეგიები მის დასარეგულირებლად.

პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ ლიბიის მოქალაქეები, რომლებიც საკუთარი მთავრობისაგან თავიანთი უნივერსალური უფლებების დაცვას მოითხოვდნენ, „რკინის მუშტს“ შეეჯახნენ. პრეზიდენტმა ობამამ ასევე აღნიშნა, რომ ლიბიის სახელმწიფო სტრუქტურათა ლიდერებმა ხალხის მხარე დაიჭირეს და განუდგნენ პოლკოვნიკ კადაფის, რაც, სხვა ყველაფერთან ერთად, საკმარისი მიზეზი აღმოჩნდა იმისათვის, რომ აშშ-ს პრეზიდენტს პოლკოვნიკი კადაფი არალეგალურ ლიდერად ეცნო. თავის სიტყვაში, მან ასევე ახსენა ის ფაქტები, თუ როგორ სასტიკად გაუსწორდნენ ქუჩაში გამოსულ მშვიდობიან მოქალაქეებს და როგორ დაესხნენ თავს საავადმყოფოებს, საიდანაც დაშავებული პაციენტები გაიტაცეს.

ამ მოვლენებზე სწრაფი რეაგირება მოახდინეს აშშ-მ და გაერომ, რაც დაუყოვნებელი სანქციებით გამოიხატა. გაეროს უშიშროების საბჭომ ეკონომიკური სანქციები შეიარაღებაზე განავრცელა და შეწყვიტა ლიბიაში ამ სფეროში ოპერირება. გაერომ ასევე მობილიზება გაუკეთა ჰუმანიტარულ ძალებს ლიბიის საზღვრებზე, რათა ძალადობისგან თავდაღწეულ ადამიანები თავშესაფრის გარეშე არ დარჩენილიყვნენ.

პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ კადაფიმ მკაცრი გაფრთხილება მიიღო, რომ შეეჩერებინა თავისი სასტიკი რეჟიმი ან პასუხი ეგო თავის მოქმედებებზე. გაეროს ძალადობის შეწყვეტის კამპანიას არაბული ლიგაც შეუერთდა (Richard Leiby, 2011), მაგრამ კადაფიმ ყური არავის ათხოვა. ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ კადაფიმ წლების განმავლობაში არაერთხელ გამოამჟღავნა, რომ ძალისმიერი მეთოდების გამოყენება არ ეხამუშებოდა, როცა ამერიკელი ხალხის სამტროდ აფინანსებდა ტერორისტულ ორგანიზაციებს. და არც საკუთარ საზღვრებს შორის ერიდებოდა არასასურველი პირების ლიკვიდაციას. პრეზიდენტმა ობამამ ხაზი გაუსვა კადაფის სიტყვებს, როდესაც ამ უკანასკნელმა ბენლახის მემბოხეებზე განაცხადა: „ჩვენ არავის დავინდობთ და არავის შევიბრალებთ.“

პრეზიდენტი ობამა დარწმუნებული იყო (Telegraph, 2011), რომ თუ კადაფის არ შეაჩერებდნენ, ის კვლავაც გააგრძელებდა საკუთარი ხალხის რეპრესიებს, რასაც ათასობით ადამიანი შეეწირებოდა, ჰუმანიტარული კრიზისი გამწვავდებოდა და დაიწყებოდა რეგიონის დესტაბილიზაცია, რაც არც აშშ-ს და არც მისი პარტნიორების ინტერესებში არ შედიოდა, რადგანაც ამ რეგიონის უსაფრთხოებას, საკუთარ უსაფრთხოებასთან აიგივებდნენ.

პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა (PBS News, 2011), რომ თუკი საერთაშორისო მეგობრობა უფრო აქტიურად არ ჩაერთვებოდა ლიბიის მიმდინარე მოვლენებში, ეს ჩრდილს მიაყენებდა საერთაშორისო სამართალსა და დემოკრატიულ ფასეულობებს. შესაბამისად, პრეზიდენტმა ობამამ ორი მიზანი დაისახა: გაეროს მეშვეობით მოკავშირეების მობილიზება, ლიბიაში უდანაშაულო მოქალაქეების უსაფრთხოება და კადაფის რეჟიმის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება. არაბული ლიგისა და

ლიბიელი ხალხის მოთხოვნით, გაერომ გამოსცა რეზოლუცია (Ben Smith, 2011), რომელის თანახმად ნებისმიერი ხერხის გამოყენება დასაშვებად იქნებოდა მიჩნეული, თუკი ის შეაჩერებდა ლიბიაში მკვლელობების სერიას, ეს კი ლიბიაში No fly zone-ს (Security Council, 2011) დაწესებასაც ითვალისწინებდა.

არაბული ლიგა, აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი შეთანხმდნენ, რომ ცეცხლის შეწყვეტა დაუყოვნებლივ უნდა მომხდარიყო. რეზოლუციის თანახმად (United Nations, 2011), კადაფის უნდა შეეჩერებინა თავისი შეიარაღებული ძალები, რომლებიც მიდიოდნენ ბენღაზისა და სხვა რამდენიმე მჭიდროდ დასახლებული პუნქტების დასაკავებლად, გაეგრძელებინა თავისი მოსახლეობის გაზითა და წყლით მომარაგება, და უფლება მიეცა, გაეროს ჰუმანიტარულ ძალებს ლიბიელი ხალხისთვის დახმარება აღმოეჩინათ. ეს იყო კატეგორიული მოთხოვნები.

პრეზიდენტი ობამა, ასევე ხმამაღლა აცხადებდა, რომ ეს ოპერაცია არ იყო მხოლოდ აშშ-ს ინტერესების სფერო და ლიბიის პრობლემაზე აშშ გაერთიანებულ ერებთან ერთად მუშაობდა, რაც კონკრეტულად ძალიან დიდ ჩართულობას ნიშნავდა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მხრიდან. ასევე განაცხადა, რომ აშშ არ აპირებდა ლიბიის მიწაზე საკუთარი სახმელეთო ძალების შემშვებას.

ამერიკის პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადებები ძალევე მოვიდა სისრულეში და თითქმის არცერთი დეტალი არ შეცვლილა. ყველაზე მნიშვნელოვანი „საომარი“ მოქმედება, რაც ლიბიაში განხორციელდა, იყო კოალიციის მიერ ლიბიის საჰაერო თავდაცვის ბაზების დაბომბვა (Kopp) და შესაბამისად, ლიბიის საჰაერო ძალების სრული განადგურება. ამ მოქმედებას დიდი კრიტიკა მოჰყვა (Xian, 2012), რადგანაც ლიბია, როგორც ქვეყანა, თითქმის სრულიად დაუცველი აღმოჩნდა. მაგრამ კოალიციის წევრები არ ენდობოდნენ კადაფის რეჟიმს და თავიანთი ძალოვანი სტრუქტურების უსაფრთხოების მიზნით, იძულებულნი იყვნენ ეს გაეკეთებინათ, რათა გადაადგილებისას რისკის წინაშე არ აღმოჩენილიყვნენ კოალიციის საჰაერო და ჰუმანიტარული ძალები.

აშშ გაეროსთან ერთად აგრძელებდა ლიბიაში ჰუმანიტარულ ოპერაციებს. აშშ-ს მთავარი ინტერესი იყო ლიბიაში და შესაბამისად მთელ რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნება. ამერიკის პრეზიდენტს უნდოდა, მომავალი დე-ფაქტო მთავრობისა და შემდეგ დემოკრატიულად არჩეული მთავრობისათვის გადაეცა 30 მილიარდ დოლარად შეფასებული ქონება, რომელიც აშშ-მ ლიბიას გაუყინა, (Sweet, 2011) (NewsHour, 2011), რათა თავისუფლად და დამოუკიდებლად დაეწყოთ ლიბიის სახელმწიფოს აღორძინება.

არაბული გაზაფხულის კულმინაცია ლიბიაში

მართალია, ლიბიის ამბოხებულთა უდიდესი ნაწილი და მამოძრავებელი ტალღა ახალგაზრდები იყვნენ, მაგრამ ეს ფაქტი მაინც არ წარმოადგენს სრულ ჭეშმარიტებას. როგორც უკვე ნაშრომში იყო ნახსენები, ოპოზიციურ მოძრაობას გავლენიან ტომთა მეთაურები და ლიდერებიც შეუერთდნენ და კადაფის წინააღმდეგ გამოვიდნენ. 2011 წლის 27 თებერვალს ლიბიის ოპოზიცია გაერთიანდა და ლიბიური ნაციონალური საბჭოს სახელი დაირქვა. ნაციონალური საბჭო ოფიციალურად ცნეს და გაეროს ოფიციალურ წევრებად აღიარეს (United Nations, 2011). მაგრამ ოპოზიციურ მოძრაობაში ყველაზე დიდი გავლენით ლიბიური ისლამის მებრძოლთა (The Irish Times, 2011) ჯგუფი სარგებლობდა. ისინი კი ცნობილი იყვნენ თავიანთი კავშირებით ალ-ქაიდასთან, რის გამოც აშშ-სა და გაეროს ტერორისტული ორგანიზაციების სიაში ჰყავდათ შეყვანილი.

ამის შემდეგ, ლიბიის ოპოზიციაში იწყება გამაღებელი შეიარაღება. საინფორმაციო საშუალებები სხვადასხვა ინფორმაციას ავრცელებდნენ, ზოგის მიხედვით, ლიბიაში ეგვიპტის საზღვრიდან შედიოდა იარაღი, ზოგი წყარო აშშ-საც აბრალებდა ოპოზიციის იარაღით მომარაგებას. ისეთი ცნობებიც კი გავრცელდა, რომელშიც აცხადებდნენ, რომ ფრანგულმა ავიამზიდმა ჰაერიდან ჩაუყარა აჯანყებულებს სხვადასხვანაირი ცეცხლსასროლი და ტანკსაწინააღმდეგო იარაღი. სხვა წყაროები იმასაც იუწყებოდნენ, რომ აჯანყებულთა ხელში იმდენი იარაღი მოხვდა, რომ ოპოზიციონერებმა თავად დაიწყეს რეგიონში სხვადასხვა დაჯგუფებებთან ვაჭრობა. მაგრამ ფაქტი ერთია: რეალურად დაუცველი და გაუკონტროლებელი ლიბიის საზღვარზე შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რამაც განაპირობა ქვეყნის ტერიტორიაზე იარაღის თავისუფლად შეტანა, რაც განხორციელდა კიდევ. აჯანყებულები საკმაოდ კარგად იყვნენ შეიარაღებულნი და კადაფის წინააღმდეგ გამართული მშვიდობიანი აქციები ძალიან მალე გადაიქცა სამოქალაქო ომად. დაღუპულთა რაოდენობა

დღემდე უცნობია, მაგრამ შეტაკებები საკმაოდ სისხლიანი აღმოჩნდა (BBC News, 2011). ოპოზიციურმა ლიდერებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს კადაფის სამხედროებს და ქვეყანაში მნიშვნელოვანი პუნქტები დიკავეს (Human rights investigations, 2011). სისხლიანი მოვლენების შედეგად ლიბის მოსახლეობამ მასიურად დატოვა ქვეყანა. რამდენიმე ასეული ათასი მოქალაქე იმიგრაციაში წავიდა ლიბის მოსაზღვრე ქვეყნებში (Mainwaring, p. 443).

2011 წლის ზაფხულში, ნატოს (Marriott, 2014) ძალებთან ერთად, ლიბიურმა ოპოზიციამ ტრიპოლიც დაიკავა, შემდეგ კი ქალაქ სირტესკენ წავიდნენ, სადაც კადაფი იმალებოდა. 20 ოქტომბერს კადაფი დაიჭრა, ამბოხებულებმა მისი დაჭერა მოახერხეს, სასტიკად გაუსწორდნენ და „ლინჩის წესით“ გაასამართლეს.

ლიბის სახელმწიფოს სათავეში გაეროს მიერ მხარდაჭერილი და ოფიციალურად ცნობილი ლიბის ნაციონალური გარდამავალი საბჭო მოვიდა. კადაფის დროს, დასავლეთისა და ამერიკის ბანკებში გაყინული ქონება, ქვეყანას სრულად დაუბრუნდა. ლიბის ნაციონალური გარდამავალი საბჭო მსოფლიოს ასზე მეტმა ქვეყანამ აღიარა. საბჭომ მოგვიანებით თავისი მოვალეობები პარლამენტს - გენერალურ ნაციონალურ კონგრესს, გადააბარა. არჩევნებში მონაწილეობდა 21 პარტია, რომლიდანაც ნაციონალური ძალების ალიანსმა გაიმარჯვა. ლიბის სახელმწიფო თითქოს დემოკრატიისაკენ მიდიოდა.

ისლამი ლიბიაში

სოციო-პოლიტიკური კვლევების დროს ყოველთვის აუცილებელია, რომ გავითვალისწინოთ სოციუმის კულტურული ძეგლები და ღირებულებები, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები და საშინაო თუ საგარეო ურთიერთდამოკიდებულებანი. ლიბიის შემთხვევაში თვალშისაცემი და აშკარაა ის ფაქტი, რომ ლიბიელი მოსახლეობა ტრადიციულად სუნიტური ისლამის მიმდევრები არიან.

სოციუმის გარდა, მაჰმადიანურ ტრადიციებს პოლიტიკურ ცხოვრებაშიც მყარად აქვს ფეხი გადგმული: ისლამური დღესასწაულები უქმე დღეებადაა ცნობილი, დროშა ადრე მთლიანად მწვანე ფერის იყო (რაც ისლამის მთავარი ფერია), რევოლუციის შემდეგ, ცვლილებების მიუხედავად, ახალ დროშაზე მაინც დარჩა მწვანე ფერი.

ქალაქი ტრიპოლი, რომელიც ჯერ ოსმალეთს ეკუთვნოდა (XVI-XVIII სს), შემდეგ კი ცოტა ხნით იტალიის კოლონიად ითვლებოდა, ცნობილი იყო ტრიპოლიტანიის სახელით. ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში ის ერთგვარი რეგიონული პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრი გახლდათ. ტრიპოლიტანია ყოველთვის მოიაზრებოდა და ახლაც მოიაზრება მალრიბის (მაროკოს, ალჟირს, ტუნისს და ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის მიმდებარე ზოგიერთ რეგიონების) ნაწილად, რომელიც მთლიანად ისლამური რეგიონია (Library of Congress, 2005). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიბიის დანარჩენი პოლიტიკური ცენტრების, როგორცაა კვირინი და მაშრიქი, მოსახლეობის სრულ უმეტესობას ტრადიციული, მუსულმანური მოსახლეობა შეადგენდა.

ლიბიის დამოუკიდებლობისა და კონსტიტუციურ მონარქიად გამოცხადების შემდეგ, ქვეყნის მოსახლეობაში ისლამური რელიგია კვლავაც მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა. მართალია, შემდეგ პოლკოვნიკმა კადაფიმ საკუთარი თავი აქცია ლიბიის ერთადერთ და ერთპიროვნულ მმართველად, მაგრამ ის მყარად ეყრდნობოდა

რადიკალურ ისლამურ იდეოლოგიას და ევროპასაც კი ემუქრებოდა ისლამური დაპყრობით (Aljazeera TV, 2006). კადაფიმ კონკურენტი ისლამისტები კი მოიშორა (Glenn, 2017), მაგრამ ცხადია, რომ თავის „მწვანე წიგნში“ ამ იდეოლოგიას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სოციუმის მოსაწყობად.

შესაბამისად, მისი რეჟიმის დამხობის შემდეგაც, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ნატოს ძალები ლიბიაში იმყოფებოდნენ, ქვეყნის ყოფილმა პრემიერ მინისტრმა და დროებითი მთავრობის, ლიბიის გარდამავალი მთავრობის ლიდერმა, მუსტაფა აბდულ ჯალილმა ხმამაღლა განაცხადა, რომ პოლიგამია უნდა დაკანონებულიყო (NOSSITER, 2011). მსოფლიოში ცნობილი რელიგიებიდან მხოლოდ ისლამია, რომელიც პოლიგამიურ ურთიერთობას აღიარებს.

მალე ამბოხებულთა მოწინავე რიგებში ისლამისტური პროპაგანდისტებიც გამოჩნდნენ, და ცხადი გახდა, რომ დასავლურ ფასეულობებზე საუბარი, მხოლოდ ნატოს მიერ კადაფის ჩამოსაგდებად იქნა გამოყენებული. დროებითმა მთავრობამ ისლამი სახელმწიფო რელიგიად, ხოლო შარიას კანონი კანონმდებლობის მთავარ ძეგლად აღიარა (US Department of State, 2015).

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ლიბიის კვლევა-დაკვირვებისას ყოველთვის უნდა ვითვალისწინებდეთ იმ უმნიშვნელოვანეს სოციალურ-პოლიტიკურ გარემოებას, რომ ლიბია მაჰმადიანური სახელმწიფოა. აღიარებს მის პრინციპებს, ტრადიციებსა და კანონებს. ლიბიელი მოსახლეობის ცნობიერში ისლამურ ღირებულებებს ღრმად აქვს ფესვი გადგმული და პოლიტიკოსებიც ამ ბერკეტს ყოველი ფეხის ნაბიჯზე იყენებენ და მომავალშიც გამოიყენებენ. აქედან გამომდინარე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მაჰმადიანურ სახელმწიფოებში ჯერაც არ დამყარებულა ბოლომდე დემოკრატიული მმართველობა. აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ეს რეალობა და, მომავალში, სხვა ინტერვენციისა თუ ნებისმიერი პოლიტიკური ჩარევის დროს, შემუშავებული იქნას რაიმე გეგმა, ღონისძიება ან იდეოლოგია, რომლითაც დემოკრატიის მქადაგებლები პასუხს გასცემენ ფუნდამენტურ ისლამურ ცნობიერს.

ლიბიის გარდამავალი ხელისუფლება

ლიბიელი ხალხის პროტესტის შინაარსი მუამარ კადაფის ხელისუფლების დასრულება და დემოკრატიისაკენ სვლა იყო (NDI). მასიური გამოსვლების დაწყებიდან რამდენიმე დღეში ყოფილმა იუსტიციის მინისტრმა მუსტაფა აბდულ ჯალილმა სხვა მაღალი თანამდებობებისა და გავლენიან პირებთან შეხვედრა გამართა (NTC). ჯალილის მთავარი მიზანი იყო, კადაფის რეჟიმის დამხობის შემდეგ ადგილზე ყოფილიყო ფუნქციონირებადი და მარჯვე დროებითი ხელისუფლება. შესაბამისად, ჩამოყალიბდა ლიბიის გარდამავალი ხელისუფლება, რომელსაც მუსტაფა აბდულ ჯალილი ედგა სათავეში.

გარდამავალი ხელისუფლების ლეგიტიმურობა მალევე აღიარა საფრანგეთმაც და ნელ-ნელა შეძლო გაეროს დანარჩენი წევრების აყოლიებაც. მაგრამ პრობლემა მაშინ წარმოიშვა, როდესაც გარდამავალმა ხელისუფლებამ თანხები მოითხოვა, რათა ქვეყნის რეაბილიტაციის პროცესები დაეწყო. ეს კი გაეროში აშკარად საყოყმანო საკითხად იქცა, რადგანაც ხალხის მიერ არ არჩეული მმართველები არც თუ ისე დიდ ნდობას იწვევდნენ მათში.

ლიბიის გარდამავალ ხელისუფლებას ჰქონდა ხუთი ძირითადი მიზანი (NTC):

1. საიფ ალ-კადაფის, მუამარ კადაფის შვილისთვის, სამართლიანი სასამართლოს ჩატარება და მისი შესაბამისად დასჯა. მამის გვერდით ქვეყანაში მეორე ყველაზე ცნობად პირს ათეულობით სისხლის სამართლებრივ დანაშაულში ედებოდა ბრალი. გარდამავალ ხელისუფლებას უნდოდა, რომ ლიბიელი ხალხისთვის დემოკრატიული და თავისუფალი პოლიტიკური მოდელის მაგალითი ეჩვენებინა და საიფ ალ-კადაფი კანონის დაცვით გაესამართლებინა. სამწუხაროდ, ბრალდებული დღემდე დაკავებულია და ელოდება სასამართლო პროცესს.

2. ქვეყანაში უსაფრთხოების დამყარება. აუცილებელი იყო შეიარაღებული მემამბოხეებისთვის იარაღის ჩამორთმევა და ქვეყანაში კანონის უზენაესობის გამყარება, შესაბამისად, უბრალო მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფაც. ეს პროცესი საკმაოდ რთული გამოდგა და თითქმის შეუძლებელიც. ლიბიაში დღემდე ასამდე შეიარაღებული დაჯგუფებები არსებობს და აკონტროლებს სხვადასხვა მცირე ტერიტორიებს.
3. ქვეყანაში სისუფთავის დაცვა - მართალია, ასეთ დროს, ცოტა გასაკვირია მთლიანად კოსმეტიკური ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ ასეთი მცდელობები იყო, რის განსახორციელებლადაც ადგილობრივი მმართველობებიც კი დაინიშნა. საგრძნობი პროგრესი არც ამ მხრივ შეიმჩნევა,
4. სამსახურეობრივი უზრუნველყოფა - მნიშვნელოვანია, რომ პროტესტის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი უმუშევრობა იყო. სხვადასხვა ორგანიზაციებისთვის სარისკო იყო გარდამავალი ხელისუფლების ნდობა, რადგან ემინოდან, რომ მათ სამსახურებიდან გაუშვებდნენ.
5. და რაც ყველაზე მთავარია, სამართლიანი არჩევნების ჩატარება. ეს, ალბათ, ერთადერთი და უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ლიბიის ისტორიაში, სადაც თითქმის ნახევარი საუკუნე მოსახლეობა სრულიად გამოთიშული იყო პოლიტიკური ცხოვრებისგან. გარდამავალმა ხელისუფლებამ ამ დავალებას წარმატებით გაართვა თავი და ლიბიის მოსახლეობის უმეტესობამ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო. არჩევნების შედეგად ქვეყნის სათავეში მოვიდოდა პარტია, რომელიც აირჩევა პრემიერ მინისტრს და ლიბიის მართვა გაგრძელდებოდა წარმომადგენლობითი დემოკრატით.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ გადამავალი საბჭო კადაფის რეჟიმის დამხობამდე ჩამოყალიბდა, ყოფილი პრემიერ მინისტრის თანამშრომლებს მაინც ძალიან უჭირდათ სხვადასხვა საკითხებზე შეთანხმება. ნატოს ძალების ჩარევის შემდეგაც ლიბიის ოპოზიციას ჯერაც არ ჰქონდა დასახული კონკრეტული მიზნები და ბოლომდე არ იყვნენ იმაზე შეთანხმებული, თუ როგორ შეეცვალათ

ლიბიის მომავალი (Reuters, 2011). როდესაც სხვადასხვა ოპოზიციური ძალა გაერთიანდა, სცადეს, ერთიან მოძრაობად ჩამოყალიბებულიყვნენ, მაგრამ კონკრეტული ლიდერი ან კონკრეტული ხედვა მაინც არ გააჩნდათ, რადგანაც ხშირი იყო უთანხმოებები და ერთმანეთით უკმაყოფილება. ამ უთანხმოებების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი კი კადაფის რეჟიმში მომუშავე, მაგრამ მისგან განდგომილი და ამბოხებულთა მხარეზე გადასული პიროვნებების საკითხი იყო. ასევე დაპირისპირებას იწვევდა ის ფაქტი, რომ მემამბოხეთა რიგებში ალ-ქაიდასა და ჰეზბოლას ელემენტებიც მოქმედებდნენ. გამომდინარე იქიდან, რომ ოპოზიციაში ბევრი ავტორიტეტული რადიკალ-ისლამისტური ძალა მოქმედებდა, რთული გამოსაცნობი არ უნდა ყოფილიყო, რომ ლიბია დემოკრატიასთან არც ისე ახლოს იყო, როგორც ეს თავად ლიბიელ ხალხს, ან დანარჩენ მსოფლიოს ეგონა. სერიოზული შეცდომა იყო იმ ფაქტის გაუთვალისწინებლობა, რომ ლიბია ტრადიციულად ისლამისტური ქვეყანაა, და მის წარმომადგენლობით, დემოკრატიულ მოწყობაზე გადასასვლელად აუცილებელი გახდებოდა დამატებითი, განსხვავებული ღონისძიებებისა და პროექტების გატარება. მალე ისიც გამოამჟღავნა, რომ მემამბოხეებს მხოლოდ ერთი მიზანი აერთიანებდათ: დაემხოთ კადაფის ხელისუფლება. მომავალზე კი მათ უემტესობას საკუთარი წარმოდგენები და ხედვები ჰქონდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ თუკი რაიმე სახის ლიბიური ნაციონალური იდენტობა არსებობს, ის უსათუოდ კადაფის სახელს უკავშირდება. მისი მმართველობის ერთ-ერთი უმთავრესი და ხისტი პოლიტიკა სწორედ ის იყო, რომ ლიბიელებს საერთო მიზანი, ნაციონალური კუთვნილება და ამ ქვეყნის მოქალაქეობის ძლიერი შეგრძნება ჰქონოდათ. კადაფის აზრით, ნაციონალური კუთვნილებისა და ერთობის შეგრძნება აუცილებელია ნაციის არსებობისთვის. მან კარგად ჩამოაყალიბა ლიბიის სოციალური გეგმა და ლიბიელი მოქალაქის მისაზამი მოდელიც კი შექმნა (Каддафи, 1976, გვ. 41-49). ეს საკმაოდ ამბიციური და დიდი მიზანი იყო, რადგან კადაფის

მმართველობამდე ლიბიაში ფაქტიურად არ ყოფილა ერთი, ცენტრალური მმართველობა, რომელიც მთელს ხალხს გააერთიანებდა.

დიქტატორულ რეჟიმს თავდაღწეული ლიბიელი ხალხი, პოლიტიკური სოფლმხედველობის თვალსაზრისით საკმაოდ გამოუცდელი აღმოჩნდა. მათ არ გააჩნდათ თითქმის არავითარი საფუძველი, რომელსაც დაეყრდნობოდნენ და განავითარებდნენ, გარდა 1951 წლის კონსტიტუციისა, რომელიც მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გაიხსენეს და აქცენტი კონსტიტუციური მონარქიის აღდგენაზე გადაიტანეს (Libya Herald, 2017). შესაბამისად, ის სოციო-პოლიტიკური მდგომარეობა, რაც მუამბოხეების გამარჯვების შედეგად დადგა, წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა „დაყავი და იბატონეს“ მოსალოდნელ სტრატეგიას.

კადაფის რეჟიმის დამხობის შემდეგ, მიუხედავად თავიანთი თავგანწირვისა, ამბიციისა და თავისუფლების წყურვილისა, ლიბიის მოსახლეობა საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. გაბატონებულმა ანარქიამ, „ერთის მაგივრად ასამდე „კადაფი“ წარმოშვა.“ ყოველი შეიარაღებული დაჯგუფება კონტროლისა და ძალაუფლების მოპოვებას ცდილობდა (Shelton, 2013). აშშ-ს ძალიან უნდოდა, რომ ლიბიის ბედი თავად ლიბიელ ხალხს გადაეწყვიტა (Obama, 2011), მაგრამ ეს მხოლოდ კეთილი სურვილი იყო და ლიბიის მოქალაქეების ბედი კვლავაც საერთაშორისო თანამეგობრობისა და გაეროს ხელში რჩებოდა.

სწორედ ეს გამოუცდელობა და სისუსტე აისახებოდა ნაციონალური გარდამავალი საბჭოს(NTC) მოქმედებებში, რომელიც კადაფის რეჟიმის დამხობის შემდეგ ლეგიტიმურად სცნეს გაეროს წევრებმა. ამ საბჭოს ევალეობოდა ქვეყანაში წესრიგის დამყარება და დემოკრატიული არჩევნების ფასილიტაცია, რომელიც საფუძველს ჩაუყრიდა ლიბიის მოქალაქეების მიერ არჩეული ხელისუფლების მოქმედებასა და შემდგომში, ლიბიის დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობას.

ეს დროებითი ხელისუფლება 2010 წლის 24 ნოემბერს დამტკიცდა და პრემიერ მინისტრიც დაენიშნა, რომელიც თანამდებობას არჩევნების შემდეგ ფორმირებული

ხელისუფლების მოსვლამდე დაიკავებდა. მაგრამ NTC-ის სისუსტე მისი ავტორიტეტის ვარდნაშიც აისახა, რადგანაც მისი რიგები შეავსეს ან ძველმა პოლიტიკურმა დევნილებმა, ან კი ისევ იმავე ხალხმა, რომლებიც კადაფის რეჟიმს ემსახურებოდნენ. ეს, შეიძლება სწორი ლოჯისტიკური ნაბიჯი იყო, რადგანაც მათ გამოცდილი და საქმის მცოდნე კადრები სჭირდებოდათ, მაგრამ ამ ნაბიჯით მათ დაკარგეს ნდობა იმ მეამბოხე ხალხისა, რომელთა ინტერესიც უნდა გაეტარებინათ.

გარდა ამისა, როგორც მთლიანად ოპოზიციური ძალები, NTC-ც სავსე იყო შიდა დაპირისპირებებითა და დაქსაქსულობით. ამან კი ხელი შეუშალა უფრო ამბიციური და რადიკალური პოლიტიკის გატარებას თუ მსგავს იდეებზე მსჯელობასაც კი, რადგანაც მმართველ ორგანოებში ემინოდათ, მეტი არეულობითა და უთანხმოებით საერთოდ არ დაეკარგათ ის, რაც ბრძოლით მოიპოვეს. NTC სრულიად უმწეო და უძლური გამოდგა როგორც ქვეყნის წინაშე, ისე საკუთარი თავის წინაშეც. მაგრამ მკაცრი და საჭირო პოლიტიკური ნაბიჯებისგან ისინი იმიტომაც იკავებდნენ თავს, რომ მათი აზრით, ასეთი გადაწყვეტილებები ხალხის არჩეულ მთავრობას უნდა მიეღო. NTC მხოლოდ რენეგატ, დროებით ორგანოს წარმოადგენდა და არ უნდა გადაეჭარბებინა უფლებამოსილებისთვის. შედეგად, მივიღეთ უსუსური და არაეფექტური მიდგომები სამოქალაქო ომის შემდეგ წარმოშობილი პრობლემისადმი, რომლებიც ძალიან აღიზიანებდათ აშშ-სა და გაეროს დანარჩენ წევრებს. (Sadiki, 2012, pp. 297-298)

კადაფის რეჟიმის დამხობისა და სამოქალაქო ომის შემდეგ, ქვეყანაში დარჩა არაერთი შეიარაღებული ჯგუფი, რომლებიც მეამბოხეების სახელით ებრძოდნენ რეჟიმს. მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ ისინი დარჩნენ განზენილი ქვეყნის სხვადასხვა დიდ და მცირე ქალაქებში, რომლებიც ომის დროს კადაფის ძალებს წაართვეს, და ის დაქსაქსულობა, რაც ლიბიის პოლიტიკაში არსებობდა, შეიარაღებულ დაჯგუფებებზეც თავისთავად აისახა. მართალია, ისინი ერთმანეთს ღიად არ მტრობდნენ, მაგრამ მათ ვერც გაერთიანებულ ძალებს ან ალიანსს ვერ ვუწოდებთ, ეს დიდი შეცდომა იქნება. არაერთი დაპირისპირება მოხდა მათ შორისაც, ზოგი

მონაცემებით, ასეთი დაპირისპირებები ყოველდღიური მოვლენაც კი იყო (Karim Mezran). მათი შეტაკებები არ მოიცავდა რაიმე პოლიტიკურ ჟინს ან მოტივს, ეს სცდებოდა სამოქალაქო ომსაც, ეს იყო უბრალო თავდასხმები ტერიტორიისა და რესურსების წასაგლეჯად. ქვეყანაში სხვადასხვა ტერიტორიებზე ბატონობდნენ შეიარაღებული დაჯგუფებები, რომლებიც არ წარმოადგენდნენ ლიბიის სახელმწიფო შეიარაღებულ ძალებს და მხოლოდ თავთავიანთ ტომებს ემორჩილებოდნენ. მათი განიარაღება და დაშოშმინება, პრაქტიკულად, შეუძლებელი გამოდგა. განიარაღებასა და დაშოშმინებას რომ თავი დავანებოთ, საკმაოდ ძნელი გახდა ასეთი დაჯგუფებების რაოდენობის დათვლაც კი. ზოგი მონაცემით ისინი ასს არ აღემატებიან, ზოგით კი ასზე მეტი არიან (McQuinn, 2012; pg. 40). მაგრამ ასეთი ჯგუფების დახარისხება მაინც შესაძლებელია: პირველნი - შეიარაღებული ძალები, რომლებიც რეჟიმს ებრძოდნენ. მეორენი - ძალები, რომლებიც პოლიტიკური მოვლენებისგან დამოუკიდებლად ადგილობრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შეიქმნა. მესამენი - კრიმინალური ბანდები, მედროვეები, რომლებმაც დაძაბული სიტუაციით ისარგებლეს. მეოთხენი - რადიკალი ისლამისტები და ჯიჰადისტები, რომელთა წარმომავლობაც მეტ-ნაკლებად რთული დასადგენია, მაგრამ აშკარაა, რომ ალ-ქაიდასა და ჰეზბოლას უკავშირდებიან.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, რთული არაა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მთავრობა, რომელიც ვერ ახერხებს შეიარაღებულ ძალებსა და ქვეყანაში ძალის გამოყენებაზე აბსოლუტური მონოპოლიის მოპოვებას, უსათუოდ განწირულია კრახისთვის, რადგან სწორედ ეს არის პირველი და უპირობო ნაბიჯი ნებისმიერი ტიპის სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად.

2014 წლიდან მოყოლებული, ლიბიაში მიმდინარეობს დაუსრულებელი სამოქალაქო ომი სხვადასხვა ტომებს, დაჯგუფებებსა და 2014 წელს არჩეული ტობრუკის (Al Jazeera News, 2017) მთავრობას შორის, რაც, ძირითადად და თავისთავად, ტერიტორიისა და ნავთობმოპოვების კონტროლის გამო ხდება. ტობრუკის მთავრობა გარდამავალი საბჭოს მემკვიდრეა, რომელმაც ხმათა უმრავლესობით მოიგო არჩევნები. მისი

ძალაუფლება საერთაშორისოდ აღიარებულია, მაგრამ რეალურად, მხოლოდ ქალაქ ტობრუკსა და მის შემოგარენზე ვრცელდება, რადგანაც ლიბიის უზენაესმა სასამართლომ ის უკანონოდ ცნო.

ლიბიის გარდამავალ საბჭოს გაეროსგან დაევალა დემოკრატიული რეფორმების გატარება, მაგრამ მან ვერცერთი დემოკრატიული პრინციპის დანერგვა ვერ შეძლო, რადგან მსგავსი მაგალითი ისტორიაში პრაქტიკულად არსად არ ჰქონია. ერთადერთი მონაპოვარი იყო ჩატარებული არჩევნები, რომლის შედეგადაც ქვეყანას სათავეში ჩაუდგა გენერალური კონგრესი, მაგრამ მანაც ორ წელიწადში თავი დაშლილად სცნო და ძალაუფლება პრეზიდენტის კაბინეტს გადასცა (archive.org, 2016). ლიბიის სათავეში კვლავაც ისეთი ხელისუფლება მოექცა, რომელიც ხალხს არ აურჩევია. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება კატეგორიულად წინააღმდეგი იყო კადაფის რეჟიმისა, მაინც ვერ შეძლო დემოკრატიული პრინციპების გარშემო გაერთიანება. ისლამისტურმა, სეპარატისტულმა და მედროვეულმა იდეოლოგიამ, მოძრაობებმა და განწყობებმა ქვეყანა სრულ ანარქიულ ქაოსში გახვია. როდესაც პოლიტიკურ მიღწევებზეა საუბარი, უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი A ქვეყნის მაგალითი, სრულყოფილად ვერ მოერგება ნებისმიერ B ქვეყანას. ლიბიის მაგალითმა გვიჩვენა, რომ საჭიროა დრო, გამოცდილება და პოლიტიკური ტრადიცია.

აშშ-ს რეაქცია

აშშ-ს პრეზიდენტის რეაქცია ამ მოვლენებისადმი შოკისმომგვრელი აღმოჩნდა საერთაშორისო საზოგადოებისთვის. მან ლიბიაში მიმდინარე არეულობა გაეროში მოქმედ პარტიონერებს: ბრიტანეთსა და საფრანგეთს დააბრალა. ყურადღება გამახვილა იმ ფაქტზეც, რომ პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ მალევე დატოვა თანამდებობა საპრეზიდენტო ვადის დასრულების გამო, ამან კი საფრანგეთის აქტიური საგარეო პოლიტიკა შეაყოვნა. მისი თქმით, ბრალი ასევე მიუძღვოდა ბრიტანეთს და, საერთოდაც, იმედი გაუცრუა ევროკავშირმა, რადგანაც ეგონა, რომ ეს უკანასკნელი, ტერიტორიული სიახლოვის გამო მაინც, უფრო მეტად იქნებოდა ჩართული ლიბიის მიმდინარე მოვლენებში (Howell, 2016). შედეგად, შინაგანი უთანხმოებები, რომელიც ლიბიაში წარმოიშვა, ახლა გაეროს პარტნიორებსაც გადაედოთ და ყველამ ერთმანეთისკენ დაიწყეს თითის გაშვება და დამნაშავის ძებნა (RT UK, 2016). საბოლოო ჯამში, ლიბიაში ISIS-მაც კარგად მოიკიდა ფეხი, წინ წამოვიდა რადიკალური ისლამი და მთელი ქვეყანა ტერორიზმის ბუდედ გადაიქცა.

ბარაკ ობამა საკუთარი პრეზიდენტობის ყველაზე დიდ შეცდომად დღემდე სწორედ ლიბიის რევოლუციისთვის მოუმზადებლობას მიიჩნევს. მისი თქმით, ამერიკამ ყველაფერი გააკეთა კადაფის ჩამოსაგდებად, მოსახლეობის დასახმარებლად და ქვეყანაში პოლიტიკური ცვლილებისთვის პლატფორმის შესაქმნელად, მაგრამ საშინლად შეცდა, როცა საერთოდ არ შეიმუშავა გეგმა, რომლითაც რევოლუციის შემდეგ იხელმძღვანელებდნენ ან თავად ლიბიელები, ან გაეროს ის პარტნიორები, რომლებიც ჩართული იყვნენ ამ პროცესში (RHODAN, 2016).

ასევე აღიარა ის ფაქტიც, რომ უკანონო მიგრაციის ტალღა, რომელიც ევროპისაკენ იყო დაძრული, ლიბიის გავლით, უკვე თავისუფლად წვდებოდა ევროპის საზღვრებს (BBC News, 2016). ასეთი რამ ფაქტობრივად შეუძლებელი იყო კადაფის მმართველობის დროს, რადგანაც შეიარაღებული ძალები და ქვეყნის საზღვრები ყოველთვის მკაცრად კონტროლდებოდა.

საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკა ლიბიაში

ლიბიაში დაწყებულმა „არაბულმა გაზაფხულმა“ და მის შედეგად წარმოშობილმა კრიზისმა საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი უსაფრთხოების საკითხის წინაშე დააყენა: როგორი ინტერპრეტაცია უნდა მიეცათ საკუთარი ჩარევისათვის (Wheeler N., 2008). საფრანგეთი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც ლიბიაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ინიციატივა გამოიჩინა და ამ პროცესში აშშ და დიდი ბრიტანეთიც ჩართო. 2011 წელს მათი მხარი დაუჭირეს ლიბიაში ინტერვენციას, რის საფუძვლადაც 1973 წლის რეოზლუცია გამოიყენეს, რათა დაეცვათ და უსაფრთხოებით უზრუნველყოთ ლიბიელი მოქალაქეები.

დიდი ბრიტანეთის მაშინდელმა პრემიერ მინისტრმა, დევიდ კემერონმა, ჩათვალა, რომ ლიბიელი ხალხი ძალიან დიდი და რეალური საფრთხის წინაშე იდგა, ამიტომ აუცილებელი იყო ინტერვენცია. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დიდი ბრიტანეთისთვის საკმაოდ რთული იყო ამ გადაწყვეტილების მიღება, რადგანაც ისინი არ იყვნენ ლიბიაში მიმდინარე მოვლენების საქმის კურსში და არ გააჩნდათ სათანადო ინფორმაცია ბენლახიში მოწყობილი აჯანყების შესახებ. სპეც სამსახურებსა და სხვადასხვა სადამკვირვებლო მისიებზე რომ არაფერი ვთქვათ, დიდ ბრიტანეთს ელჩიც კი არ ჰყავდა ლიბიაში. მაგრამ მიუხედავად ამისა, ბრიტანეთში ჩათვალეს, რომ ისეთი ტერორისტული ჯგუფები, როგორიც იყო ალ-ქაიდა და ISIS-ი, ისარგებლებდნენ ამ ხელსაყრელი მომენტით და საკუთარი გავლენის გავრცელებასა და ლიბიაში ახალი პლაცდარმის შექმნას დააპირებდნენ.

საინტერესო იყო ის ფაქტიც, რომ დიდ ბრიტანეთში ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა ლიბიაში ინტერვენციის გადაწყვეტილებას. მათი აზრით, საჭირო იყო მეტი ინფორმაცია, სამხილები და დამადასტურებელი მასალები, რომლებიც, როგორც მინიმუმ, საფუძვლიან ეჭვს მაინც შექმნიდნენ, რომ კადაფი მართლაც სისხლიანად გაუსწორდებოდა ბენლახიში ამბოხებულ ხალხს. დევიდ

კემერონისთვის კი ასეთი სამხილი თავად კადაფის მიერ გაკეთებული განცხადება გახდა (DAVID D. KIRKPATRICK, 2011). მაგრამ იმის დაშვებაც კი, რომ ასეთი თავდასხმის შანსი საკმაოდ დიდი იყო, უკვე აშინებდა ბრიტანეთსა და საფრანგეთს იმ არეულობითა და დესტაბილიზაციით, რაც მსგავს მოქმედებას მოჰყვებოდა ჩრდილო-აფრიკის რეგიონში. აქვე, შეიძლება ისიც ვიგულისხმოთ, რომ კადაფის მშვენივრად ესმოდა, რომ რეგიონის დესტაბილიზაციისა ჭირის დღესავით ემინოდათ ბრიტანეთსა და საფრანგეთს, და სავარაუდოდ, ბლევს მიმართა. მაგრამ ახლა უკვე აშკარაა რომ კადაფი ნავით ცდილობდა ცეცხლის ჩაქრობას, როდესაც აჯანყებულები სასიკვდილოდ გაიმეტა.

არეულობის დარეგულირებას ითხოვდა საფრანგეთიც. მათაც არაერთი მიზეზი ჰქონდათ ჩარეულიყვნენ მიმდინარე პროცესებში: ერთი ის, რომ ლიბიის მოსახლეობა საფრთხის წინაშე იდგა, მეორე - რეგიონის დესტაბილიზაცია აშკარად ხელს აძლევდა ტერორისტულ დაჯგუფებებს, მაგრამ მესამე და ყველაზე გამოკვეთილი კი ლიბიიდან დაძრული ემიგრანტების ტალღა. ამას გარდა, დახურულ კარს მიღმა ფრანგულმა მხარემ კიდევ ხუთი სხვადასხვა მიზეზი დაასახელა ლიბიაში ინტერვენციის განსახორციელებლად:

1. ლიბიის ნავთობწარმოებიდან სარგებლის მიღება
2. ჩრდილოეთ აფრიკაში საფრანგეთის გავლენის გაზრდა
3. პრეზიდენტ სარკოზის რეპუტაცია საფრანგეთში
4. ფრანგული შეიარაღებული ძალების გააქტიურება და აქტიურ საერთაშორისო ოპერაციებში ჩართვა
5. საფრანგეთის ყოფილ კოლონიებში საფრანგეთის დომინიონობის შენარჩუნება, სტატუსი, რომლის ტარებაშიც კადაფი ეცილებოდა (House of Commons Foreign Affairs Committee, 2016, p. 10).

საფრანგეთის ინტერესი ავტომატურად განაპირობებდა ბრიტანეთის ინტერესსაც, რადგან ჩრდილო აფრიკის რეგიონში საფრანგეთის სტატუსისა და გავლენის მატება ავტომატურად უდრიდა ბრიტანეთის სტატუსი და გავლენის შემცირებას. ამ ორი

სახელმწიფოს კონკურენტული წარსული კვლავაც აქტიური დარჩა მიმდინარე მოვლენების მიმართ. მაგრამ ფრანგები სერიოზულად უდგებოდნენ რეგიონში გავრცელებულ ტერორისტულ ორგანიზაციებსა და მათგან მიმდინარე რეალურ საფრთხეს. ასევე შიშობდნენ ემიგრანტთა ტალღის დამკრახე, სადაც თავად ემიგრანტებზე მეტად, უფრო მეტ ფიზიკურ საფრთხეს, მათთან ერთად შემოპარული ტერორისტულ დაჯგუფებებთან დაახლოებული პირები წარმოადგენდნენ (Park, 2015). ამ ყველაფრიდან გამომდინარე, საფრანგეთს უფრო ფართო, რეალური და ამბიციური მისწრაფებები ჰქონდა ლიბიის დამაბულ მდგომარეობაში ჩასარევად, ვიდრე დიდ ბრიტანეთს. ბრიტანეთს უბრალოდ არ უნდოდა საფრანგეთი მარტო გაეშვა და გამარჯვება მხოლოდ ფრანგულ მხარეს მოეხვეჭა. ასე რომ, ორივე ქვეყანას სრული ლეგიტიმური უფლება და საბაზი ჰქონდა ლიბიის პროცესებში ჩასარევად. ისინი ავრცელებდნენ საკუთარ გავლენას, იცავდნენ ლიბიის მოსახლეობას, იცავდნენ მთელ რეგიონს დესტაბილიზაციისა და ტერორისტებისაგან. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდნენ საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის მწარმოებლები.

ბრიტანეთი და საფრანგეთი, აშშ-სთან ერთად, ჩაერივნენ ლიბიაში და გაეროს მეშვეობით, ჰუმანიტარული ინტერვენცია დაიწყეს. ამ გადაწყვეტილებას არაერთი მომხრე და კრიტიკოსი გამოუჩნდა, მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, ჰუმანიტარული ინტერვენცია გულისხმობდა დამხობილი სახელმწიფოს აღორძინებასაც (Keranen, 2016), ამგვარი გეგმა კი არც დიდ ბრიტანეთს, არც საფრანგეთს და არც აშშ-ს არ გააჩნდათ. ქვეყანა, რომელიც ჰუმანიტარული ინტერვენციით შევიდოდა მეორე ქვეყანაში, ვალდებული იყო იქ შეენარჩუნებინა წესრიგი სამიზნე ქვეყნის აღორძინებამდე. ლიბიაში ინტერვენციისას კი ამგვარი რამ არ მომხდარა. ლიბიის გათავისუფლების გამოცხადების შემდეგ საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს სრული უფლება და მოვალეობაც კი ჰქონდათ, რომ დარჩენილიყვნენ სამიზნე ქვეყანაში, მაგრამ კადაფის რეჟიმის დამხობის შემდეგ, მათ ლიბია ფაქტიურად ნანგრევებში დატოვეს.

ამით საკმაოდ უცნაური სურათი მივიღეთ: თავდაპირველად, გაერო იმიტომ ჩაერთა ლიბიაში, რომ მოსახლეობას საფრთხეს უქმნიდა და პირდაპირ ემუქრებოდა მმართველი რეჟიმი. ინტერვენციის ერთ-ერთი უმთავრესი გაცხადებული მიზეზი იყო მასობრივი ჟლეტვის თავიდან აცილება. მაგრამ პოლიტიკურად და სოციალურად დაუცველი ქვეყნის შეიარაღებული დაჯგუფებების ხელში დატოვება პრაქტიკულად იმავე საფრთხეს უქადდა ლიბიელ მოსახლეობას.

საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა დაივიწყეს 1973 წლის რეზოლუცია, რომლის თანახმადაც, მათ არ ჰქონდათ უფლება: შეეყვანათ შეიარაღებული ძალები, შეეცვალათ ან მხარი დაეჭირათ ქვეყნის პოლიტიკური რეჟიმისადმი ან აღედგინათ ქვეყანაში მმართველობა (BBC News, 2011). მათ მხოლოდ ჰუმანიტარული ინტერვენციის, მოსახლეობის უსაფრთხოების პრინციპით უნდა ეხელმძღვანელა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ 2011 წლის 25 მარტისთვის უკვე აღებული ჰქონდათ ბენღაზი და მოსახლეობა სრულიად დაცული იყო, კვლავაც აგრძელებდნენ სამხედრო ოპერაციებსა და კადაფის რეჟიმის სამხედრო პუნქტებზე თავდასხმას.

მიუხედავად იმისა რომ არც 1973 წლის რეზოლუცია და არც გაერო არ იძლეოდა ამის უფლებას, აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა განაცხადეს, რომ ლიბიის ინტერვენციას ბოლომდე მიიყვანდნენ, სანამ კადაფი არ ჩამოშორდებოდა პოლიტიკურ ასპარეზს (Stratton, 2011). ლიბიაში შესული ფრანგული და ბრიტანული შეიარაღებულ ძალებს ახლა თავად კადაფის რეზიდენციაზე მიჰქონდათ იერიში.

2011 წლის ოქტომბერში კადაფი ამბოხებულებს ჩაუვარდათ ხელში და ისინი მას სასტიკად გაუსწორდნენ. ამის შემდეგ, საფრანგეთმა და ბრიტანეთმა ლიბია თავისუფლად ცნეს. რასაც ის მოჰყვა, რომ ორივე ქვეყნის სამხედრო ძალებმა დატოვეს ქვეყანა და ლიბია ფაქტობრივად ნანგრევებში აღმოჩნდა. ამ დაპირისპირებების შედეგად კადაფის აშენებული ყველა სისტემა და სტრუქტურა მთლიანად გაცამტვერდა. ლიბიას არ გააჩნდა მთავრობა, არავითარი ადმინისტრაციული ცენტრი ანდა სამართალდამცავი ორგანო, რომელიც ქვეყანაში უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა.

ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა ნაწილობრივ განხორციელდა. მათ ადვილად შეძლეს თავიანთზე ბევრად სუტს ლიბიაში საკუთარი სამხედრო ძალის დემონსტრირება და გავლენის გაძლიერება, ასევე უცვლელ ჰეგემონებად მოველინენ ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონს და ეგონათ, რომ გაანეიტრალეს ლტოლვილთა და ემიგრანტთა ტალღის საშიშროება, რომელიც მუამარ კადაფის რეჟიმს შეიძლებოდა შეექმნა. თუმცა ემიგრანტების რიცხვი უფრო გაიზარდა, რადგანაც ლიბიას აღარ ჰყავდა სასაზღვრო პოლიცია და მოშლილი იყო ქვეყნის საზღვრები (Silva, p. 2).

მართალია, ნაშრომი უარყოფს იმ ფაქტს, რომ გარე ძალებით ჩარევა სადმე დემოკრატიას დაამყარებს, მაგრამ კვლევისას ისიც იკვეთება, რომ გარე ძალები არც კი ცდილობდნენ დემოკრატიული პროცესების რეალურ ხელშეწყობას. გაერომ მიიჩნია, რომ მთავარი იყო დიქტატურის დამხობა, ხოლო დემოკრატის დამყარება მეორე რიგის საკითხი იყო.

კვლევის შეჯამება და ჰიპოთეზის დართვა

ნაშრომის საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩატარებული გამოკვლევისა და ემპირიული მონაცემების შეგროვების შემდეგ საჭიროა მიღებული რეზულტატების ანალიზი და ინტერპრეტაცია, რათა მასალებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდეს ჰიპოთეზა.

კვლევის ფარგლებში დამოუკიდებელი ცვლადის - პოლიტიკური ტრადიციის, კვლევა მოხდა ლიბიის უახლესი ისტორიის შესწავლით და გატარებული პოლიტიკური რეფორმების შეფასებით. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ისლამის გავლენა და კადაფის მიერ თავის „მწვანე წიგნში,“ ისლამის მეშვეობით, დასავლური დემოკრატიის (დამოკიდებული ცვლადის) იმგვარი კრიტიკა, რომელიც ამ უკანასკნელს საერთოდ არ სცნობს ჭეშმარიტ დემოკრატიად. ხალხის ნების გამომხატველ ინსტრუმენტად მხოლოდ ისლამურ ადათ-წესებსა და მოძღვრებას მიიჩნევს.

ასევე, უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა გაეროს მიერ ჩატარებული ინტერვენცია, რომელმაც ქვეყანა სრულიად დაუცველ და ანარქიულ გარემოში დატოვა, რამაც დემოკრატიის ფაქტორს ყოველგვარი საფუძველი გამოაცალა.

ლიბერალიზმის თეორია

ცივი ომის დასრულების შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობების სარბიელზე სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს ლიბერალიზმის თეორია. ასევე იზრდება იმ სახელმწიფოების რიცხვი, რომელიც ღიად და ხმამაღლა აცხადებენ, რომ ლიბერალური სახელმწიფოები არიან და სწორედ ამ ფასეულობებს მიჰყვებიან.

რა არის ლიბერალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებისა და სახელმწიფოებისთვის? ეს არის მსოფლმხედველობა, სადაც რეალიზმისგან განსხვავებით, საერთაშორისო პოლიტიკური არენა და მასში მოღვაწე აქტორები ერთმანეთის თანამშრომლებად, მეგობრებად და მოკავშირეებად მოიაზრებიან, და არა მეტოქეებად, მტრებად და უხემ კონკურენტებად (აკობია, 2006, გვ. 34-40). რეალიზმი ამტკიცებს, რომ პოლიტიკას მართავს ძალა და როცა რაიმე სერიოზულ ან მასშტაბურ პოლიტიკურ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების დრო დადგება, ეს გადაწყვეტილება ძალის უპირატესობის გათვალისწინებით იქნება მიღებული. ლიბერალიზმი აღიარებს პოლიტიკაში ძალის ფაქტორის არსებობას, მაგრამ მას ერთადერთ და ყოვლისმომცველ მოვლენად არ აღიქვამს და ამტკიცებს, რომ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობისა და მეგობრობის მრავალი მაგალითი იყო XX საუკუნეში, ეს ტენდენცია არაერთ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაში ტრადიციადაც იქცა და ის სულ უფრო პოპულარული გახდება მომავალში.

ლიბერალები იზიარებენ იმ მოსაზრებას, რომ ადამიანები და, შესაბამისად, სახელმწიფოებიც რაციონალური არსებები არიან და შეუძლიათ რაციონალური გადაწყვეტილების მიღება. რაციონალური აზროვნება კი აშკარას ხდის, რომ ურთიერთგაგება და თანამშრომლობა ხშირად ბევრად უფრო მომგებიანია ორი, სამი ან მეტი მხრისთვის, ვიდრე ერთმანეთის წინააღმდეგ ომის გაჩაღება, გამალებული შეიარაღება, ბლოკადა ან სხვა სახის დამაბული ურთიერთობების წარმოება.

ლიბერალიზმსა და რეალიზმს შორის ასეთივე საპირისპირო განსხვავებაა, როდესაც თავად სახელმწიფოს დეფინიციაზე მიდგება საქმე. რეალისტები სახელმწიფოს აღიქვამენ ძალის ცენტრალიზებად, სადაც მთლიანი საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური ნება თუ შესაძლებლობაა თავმოყრილი და ერთიან იერს იძენს საყოველთაო კეთილდღეობისთვის საბრძოლველად. ლიბერალები კი სახელმწიფოს კონსტიტუციურ სტრუქტურად აღიქვამენ, საზოგადოების მიერ შექმნილ ინსტიტუტად, რომელმაც მათ კეთილდღეობაზე კანონის უზენაესობის პრინციპით უნდა იხელმძღვანელოს. ასეთი ქვეყნები საკმაო პატივისცემით არიან განმსჭვალული მათი მსგავსი ქვეყნების მიმართ, რომლებიც ასევე აღიარებენ და იცავენ საერთაშორისო სამართალს. ლიბერალიზმის ასეთი კონცეფცია ემყარება ურთიერთგაგების პრინციპს და ეს იდეა ჯერემი ბენტამის ნაშრომშია ჩამოყალიბებული, იმ ნაშრომში, რომელიც დღესდღეობით ლიბერალური თეორიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ელემენტად არის მიჩნეული. ასევე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სწორედ ამ ნაშრომში და, შესაბამისად, ლიბერალურ აზროვნებაში გაჩნდა პირველად ტერმინი „საერთაშორისო სამართალი.“

ლიბერალიზმს აქვს სოციოლოგიური ლიბერალიზმის განხრა, რაც იმას გულისხმობს, რომ საერთაშორისო არენაზე მხოლოდ სახელმწიფოები არ არიან აქტიური მონაწილეები. შეიძლება წარსულში ასეც იყო, როდესაც სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები, უმეტესად, სახელმწიფოს უმაღლესი რანგის წარმომადგენლებს შორის წყდებოდა, მაგრამ XX საუკუნის მიწურულს ეს რეალობა აშკარად შეცვლილია. ჩემს ნაშრომზე მუშაობისას გამოვლინდა ისეთი მასალა და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ საერთაშორისო ურთიერთობებში სხვადასხვა ორგანიზაციების, საზოგადოებების და ინდივიდების ჩართულობას. ასეთი ხედვის გამო, ლიბერალიზმს ხშირად „პლურალიზმდაც“ მოიხსენიებენ, რადგან ის მხოლოდ სახელმწიფოებზე არ ახდენს კონცენტრაციას და ასეთსავე ყურადღებას უთმობს ტრანსნაციონალურ კომპანიებს.

საყურადღებოა ლიბერალიზმის ურთიერთდამოკიდებულების თეორიაც (VIOTTI & KAUPPI, 2012, გვ. 129-131), რომელიც აღიარებს და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სახელმწიფოები ერთმანეთთან არიან გადაჯაჭვული და ნებისმიერი მოვლენა, რომელიც A სახელმწიფოში შეიძლება განვითარდეს, უსათუოდ ჰპოვებს ზეგავლენას B სახელმწიფოზე, იქნება ეს ეკონომიკური ძვრები, პოლიტიკური კატაკლიზმები თუ თუნდაც ბევრად უფრო მცირემასშტაბიანი ცვლილებები. XX საუკუნეში სახელმწიფოები, მითუმეტეს როდესაც აშშ-ზე, ავსტრალიასა და ევროპის ქვეყნებზეა საუბარი, საკმაოდ ახლო და ჩახლართულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალურ ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან ჩაბმული. მაგრამ ასეთი მჭიდრო ურთიერთობაც რომ არ ჰქონდეთ, მაინც სრულიად შესაძლებელია, რომ, მაგალითად, ჩინეთში დამზადებულ რომელიმე პროდუქტზე ფასების ზრდამ ან კლებამ, პირდაპირი კავშირი იქონიოს მექსიკაში დასაქმებული რომელიმე სოციალური ჯგუფის ხელფასების ზრდასა თუ შემცირებაზე. სწორედ ასეთი ლოგიკით ჩაერთა გაერო ლიბიაში განვითარებულ მოვლენებში, რადგან ლიბიაში დამყარებული წესრიგი/უწესრიგობა, პირდაპირ გავლენას იქონიებდა ევროკავშირის ქვეყნების სოციალურ მდგომარეობაზე, იმიგრაციის პრობლემაზე, ტერორისტების გადაადგილებასა და ა.შ. ლიბიაში განვითარებულ მოვლენებში გაეროს ჩარევა თავისუფლად შეიძლება სხვადასხვა მიზეზებით იქნას გამართლებული, მაგრამ აშკარაა ის ფაქტი, რომ ამ ნაბიჯმა, პირდაპირი ზარალი მიაყენა ლიბიაში დემოკრატიის დანერგვას.

სეინტ ენდრიუს უნივერსიტეტის პროფესორი ენტონი ლენგი თავის სტატიაში ჯონ სტიუარტ მილისა და მაიკლ უოლცერის ნაშრომებს ციტირებს (Walzer, 2000; თავი 4; 5) და 2006 წელს ერაყში განვითარებულ მოვლენებს ნეგატიურ შეფასებას აძლევს, რადგანაც სამართლიან ომად არ მიიჩნევს დემოკრატიის პოპულარიზაციას. ჩემი ნაშრომიც სწორედ ამ მოსაზრებას ემხრობა და ხაზს უსვამს იმ სავალალო შედეგებს, რაც ქვეყნის შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში მესამე მხრის ჩარევას მოჰყვება. აქ კი უნდა ვახსენოთ, რომ გაეროს პარტნიორები, მართალია, ჰუმანიტარული

ინტერვენციის საფუძვლებით შევიდნენ ლიბიაში, მაგრამ იქიდან მანამდე არ გამოვიდნენ, სანამ პოლიტიკური რეჟიმი არ დაამხეს (Greene & Hayes, 2011).

ლიბიაში განვითარებულ მოვლენებზე საუბრისას ასევე აუცილებლად უნდა ვახსენოთ ნაის და კოჰენის 1998 წლის სტატია, რომელშიც მკვლევრები საერთაშორისო ურთიერთობებში ინფორმაციის ხარისხსა და მნიშვნელობაზე საუბრობენ. ისინი ამბობენ, რომ ახალ ეპოქაში საინფორმაციო ტექნოლოგიები საკმაოდ დიდი მოთამაშეები იქნებიან, რაც აშკარა გახდა „არაბული გაზაფხულის“ მაგალითზე, როდესაც მთელი მოძრაობა სოციალური ქსელების მეშვეობით იყო კოორდინირებული.

და ბოლოს, გადავდივართ ლიბერალიზმის თეორიის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილზე. ლიბიის შიდა პროცესებში ჩარევა უდავოდ გლობალური მოვლენა იყო. XX საუკუნემდე, ფაქტობრივად, ისტორიაში არ მოიძებნება ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთი ან რამდენიმე ქვეყანა, სამიზნე ქვეყანაში სამიზნე ქვეყნის მთავრობისგან მოსახლეობის დასაცავად შეჭრილიყოს. გლობალური თვითმმართველობის თუ გლობალური მთავრობის იდეა ახალი არ არის. კანტი თავის დროზე გვთავაზობდა დეცენტრალიზებულ, თვითრეგულირებად მშვიდობას, რომელსაც ერთი მთავრობა არ სჭირდებოდა. ის გულისხმობდა მთავრობებს შორის კავშირებსა და ალიანსებს, რომლებიც ერთიან გადაწყვეტილებას მიიღებდნენ. ლიბიაში გაეროს ინტერვენცია შეიძლება ამის მაგალითი იყოს. მაგრამ ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას ლიბერალიზმი (ვიოპის და კაუპის თანახმად) ადვილ პროცესად საერთოდ არ მიიჩნევს.

აქვე უნდა ვახსენოთ ის კონცეფცია, რასაც ლიბერალიზმი დიდ ყურადღებას აქცევს: დემოკრატიები ხშირად ებრძვიან და/ან ეომებიან ავტორიტარულ რეჟიმებს. ხშირად, საკუთარ თავებს „დემოკრატიის არსენალად“ მოიხსენიებენ. ამის პრეცედენტი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გვაჩვენა, როდესაც მეორე მსოფლიო ომში ჩაერთო. ხოლო XXI საუკუნის დასაწყისში კი ერაყში შეიჭრა. ეს პრობლემა ახსნილია „ახალი დემოკრატიების“ პრინციპით, რაც იმას გულისხმობს, რომ ომისკენ მიდრეკილი

არიან არა ჩამოყალიბებული და დემოკრატიული ტრადიციების მატარებელი სახელმწიფოები, არამედ ახალი დემოკრატიული სახელმწიფოები, რისი სანიმუშო მაგალითიც არის ლიბია.

როდესაც ლიბერალიზმი აღიარებს, რომ დემოკრატიული ქვეყნები საგრძნობლად ნაკლებ აგრესიულები არიან, ის ტრადიციულ დემოკრატიულ ქვეყნებს გულისხმობს, და არა ახლად ჩამოყალიბებულს. ლიბიაში დიქტატურის დამხობის შემდეგ სამოქალაქო ომის პრეცედენტი კი სწორედ დემოკრატიული მმართველობის მცდელობიდან იღებს სათავეს. როგორც კი ქვეყანამ დემოკრატიაზე იწყო გადასვლა, მაშინვე მოჰყვა შეიარაღებული დაპირისპირება. ლიბიას არ გააჩნდა დემოკრატიის ტრადიცია. მაშასადამე, ლიბერალური თეორია თითქმის იდეალურად ხსნის ლიბიაში ჩაშლილი დემოკრატიზაციის პროცესს: ეს არ იყო თანამშრომლობა, ეს იყო ხისტი პოლიტიკა, ჩარევა და ინტერვენცია.

დასკვნა

დემოკრატია, რომლისთვისაც ლიბიელი ხალხი იბრძოდა, კვლავაც ილუზიად და აუსრულებელ ოცნებად რჩება. ჩვენ ვხედავთ, რომ კადაფის რეჟიმის დამხობის შემდეგ, ლიბიის მმართველები არაერთხელ შეიცვალნენ, მაგრამ მათ მინიმალურ შედეგსაც კი ვერ მიაღწიეს. კონსტიტუციის შესადგენად ქვეყნის ლიდერები 1951 წლის კონსტიტუციის დამუშავებას ცდილობენ, მაგრამ წარსულში ყურებით სულ უფრო ძლიერდება ქვეყანაში ისლამური მოძრაობების გავლენები.

პოლკოვნიკმა კადაფიმ, თავისი მმართველობის დროს, ისე გააძლიერა და ისეთ მობილიზებაში მოიყვანა ლიბიური კლანური დაჯგუფებები, რომ ისინი თავიანთ ავტორზე ბევრად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდნენ და კადაფის გარდაცვალების შემდეგ უფრო მეტადაც გაძლიერდნენ. შეიარაღებული დაჯგუფებები არ აპირებდნენ იარაღის ჩაბარებას იმ მთავრობისთვის, რომელიც ლიბიელმა ხალხმა სამართლიანი არჩევნების გზით აირჩია.

ნატოსა და აშშ-ს ძალისხმევით სამოქალაქო ომის დროს სრულიად განადგურდა ქვეყნის სამხედრო ინფრასტრუქტურა, რომლის დახმარებითაც იქნებ შესაძლებელი ყოფილიყო შეიარაღებული დაჯგუფებების ალაგმვა. გაეროს ორგანიზაციამ, რომელიც კონფლიქტების სტაბილიზებისა და მშვიდობის სადარაჯოზე უნდა იდგეს, თავისი ინტერვენციული ოპერაციების შედეგად უფრო მეტი მსხვერპლი, არეულობა და ზარალი მიაყენა ლიბიას, როგორც სახელმწიფოს და როგორც მომავალი დემოკრატიის შუქურას.

ზოგიერთი შეიარაღებული დაჯგუფებების მფარველები არიან ისეთი პოლიტიკური პარტიებიც, რომლებმაც არჩევნებში მარცხი განიცადეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც არ ურიგდებიან რეალობას და არ ეგუებიან ბედს. პირიქით, ისინი უფრო მეტადაც გათავხედდნენ და არაერთი უკანონო გამოხტომის სერიებისას, სხვა პოლიტიკოსებზე რომ არაფერი ითქვას, ერთხელ თავად პრემიერ მინისტრიც კი გაიტაცეს (Stephen, 2013). ასევე კეთდებოდა განცხადებები პარლამენტის

დასაშლელად (Reuters, 2014), ხოლო ერთ-ერთი გენერლის მხრიდან ხელახალი გადატრიალების გეგმაც კი გაჟღერდა (Kirkpatrick, 2014).

ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, თუ რაოდენ დაშლილი და დანაწევრებულია ლიბიელი მოსახლეობა და მათი პოლიტიკური ლიდერები. მათ პრაქტიკულად არ აერთიანებთ არცერთი იდეოლოგია, გარდა ერთისა, რომელსაც ყოველთვის მყარად ჰქონდა პოლიტიკურ ცხოვრებაში ფეხი გადგმული - ისლამი. ეს უკანასკნელი კი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დემოკრატიული პრინციპები ასე ერთბაშად დაინერგოს. მცდარი იყო ის მოსაზრებაც, რომ კადაფის რეჟიმის დამხობის შემდეგ, ლიბია თავისუფალბას მოიპოვებდა. პირიქით, პოლკოვნიკის გარდაცვალება ერთგვარ პანდორას ყუთად ექცა მთელ ქვეყანას.

საბოლოო ჯამში, ლიბიელ ხალხს ჰქონდა სურვილი, რომელიც არაბული გაზაფხულის მუხტიდან მოდიოდა, რომ დაემყარებინა დემოკრატია, მაგრამ მათ არ გააჩნდათ ამ წამოწყებისთვის რეალური მზაობა, რომ სწრაფად და ერთი ხელის მოსმით მოეყვანათ ეს გეგმა სისრულეში. და როდესაც აშკარა გახდა, რომ ლიბიის დემოკრატიული ძვრები სისხლიან სახეს იღებდა, მოვლენებში ჩაერთვნენ საგარეო ძალები, რომლებმაც კიდევ უფრო გააუარესეს სიტუაცია და ქვეყანაში სტაბილურობის ერთადერთი გარანტია - სამხედრო ინფრასტრუქტურა - მიწასთან გაასწორეს, რის შედეგადაც ლიბია ძალადობისა და სამოქალაქო ომის ქაოსში გაება.

კადაფის „მწვანე წიგნში“ ნათლად დავინახეთ, რომ ის იდეები და პრინციპები, რომლებიც დასავლეთში თავისუფლების უმთავრეს საფუძვლებად ითვლება, ისლამისთვის პირიქით, მართვასა და კონტროლს ნიშნავს. ისლამისთვის კანონი არის ტრადიცია, კონსტიტუცია კი ისლამი, და მათი რწმენით, მხოლოდ ალაჰის ნებისა და ისლამური მოსახლეობის უძველესი ტრადიციებით ცხოვრება მოჰგვრის ადამიანს ჭეშმარიტ თავისუფლებას. ვფიქრობ, სრულიად ნათელია, რომ ისლამი და დასავლური დემოკრატიული მოდელი ერთსა და იმავე გარემოში ერთად ვერასოდეს იარსებებენ.

დღეს ლიბიას წარმოადგენს არ შემდგარ დემოკრატიულ სახელმწიფოს. იქ დაშვებული იქნა ძალიან დიდი შეცდომები და უფრო მეტი განუკითხაობაა, ვიდრე დიქტატურის დროს იყო. ამიტომ აუცილებელია, მორიგი ასეთი შემთხვევის დროს, ქვეყნის შიდა ძალები ბოლომდე საკუთარ ქვეყანაზე მორგებული იდეოლოგიითა და ღონისძიებებით ხელმძღვანელობდნენ, და არ გადადგან მყისიერი და დაუფიქრებელი ნაბიჯები, რომლებიც საბოლოო ჯამში, ქვეყანასაც და მოსახლეობასაც დააზარალებს.

გამოყენებული ლიტერატურა

<https://humanrightsinvestigations.org/2011/08/13>. (2011 წლის 13 აგვისტო). დაბრუნებული 2018 წლის 20 მაისი, <https://humanrightsinvestigations.org>:

<https://humanrightsinvestigations.org/2011/08/13/tawergha-no-longer-exists-only-misrata/>-დან

Abdelsalam, E. (2015 წლის ივნისი). The Arab spring: Its origins, evolution and consequences... four years on. *Intellectual Discourse* , გვ. 122-124; 136.

Africom. (თ. გ.). <http://www.africom.mil/>. დაბრუნებული 2018 წლის 20 მაისი, <http://www.africom.mil/>: <http://www.africom.mil/what-we-do>-დან

Aghayev, E. (2013). Analysis and background of the “Arab Spring” in Libya. *European Researcher* , გვ. 193-197.

Al Jazeera News. (2017 წლის 22 მარტი). დაბრუნებული 2018 წლის 20 მაისი, <https://www.aljazeera.com>: <https://www.aljazeera.com/indepth/interactive/2017/03/libya-controls-170321125820367.html>-დან

Aljazeera TV. (2006 წლის 10 აპრილი). დაბრუნებული 2018 წლის 20 მაისი, <https://www.youtube.com/watch?v=WCGYKSEsYFM>-დან

Barker, A. (2011 წლის 24 თებერვალი). <http://www.abc.net.au/news/>. დაბრუნებული 2018 წლის 19 მაისი, <http://www.abc.net.au/>: <http://www.abc.net.au/news/2011-02-24/time-running-out-for-cornered-gaddafi/1955842>-დან

BBC News. (2011 წლის 31 აგვისტო). დაბრუნებული 2018 წლის 19 მაისი, <http://www.bbc.com/news/world-africa-14729083>-დან

BBC News. (2011 წლის 18 მარტი). დაბრუნებული 2018 წლის 16 მაისი, <https://www.bbc.com/news/world-africa-12782972>-დან

BBC News. (2016 წლის 11 აპრილი). დაბრუნებული 2018 წლის 17 მაისი, <http://www.bbc.com/news/world-us-canada-36013703>-დან

Ben Smith, A. T. (2011 წლის 6 აპრილი). <http://researchbriefings.files.parliament.uk/documents>. დაბრუნებული 2018 წლის 20 მაისი, <http://researchbriefings.files.parliament.uk/>: <http://researchbriefings.files.parliament.uk/documents/SN05916/SN05916.pdf>-დან

Black, I. (2011 წლის 4 ნოემბერი). www.theguardian.com/world/2011/nov/04/. დაბრუნებული 2018 წლის 20 მაისი, www.theguardian.com: <https://www.theguardian.com/world/2011/nov/04/libya-gaddafi-property-restitution-demands>-დან

DAVID D. KIRKPATRICK, K. F. (2011 წლის 17 მარტი). დაბრუნებული 2018 წლის 17 მაისი, <https://www.nytimes.com/2011/03/18/world/africa/18libya.html>-დან

EGHDAMIAN, K. (2014 წლის 28 ივლისი). <https://www.opendemocracy.net/north-africa-west-asia/>. დაბრუნებული 2018 წლის 19 მაისი, <https://www.opendemocracy.net/north-africa-west-asia/kat-eghdamian/what-was-role-of-religion-in-arab-spring-დან>

Glenn, C. (2017 წლის 8 აგვისტო). დაბრუნებული 2018 წლის 20 მაისი, <https://www.wilsoncenter.org/>: <https://www.wilsoncenter.org/article/libyas-islamists-who-they-are-and-what-they-want-დან>

Hatita, A. S. (2011). *Libya, Searching for a Political Map*. Arab Reform Initiative.

House of Commons Foreign Affairs Committee. (2016). *Libya: Examination of intervention and collapse and the UK's future policy options*. House of Commons.

House, T. W. (2011 წლის 18 მარტი). დაბრუნებული 2018 წლის 20 მაისი, <https://www.youtube.com/>: <https://www.youtube.com/watch?v=geqTT14AXwE-დან>

Howell, K. (2016 წლის 11 მარტი). დაბრუნებული 2018 წლის 18 მაისი, <https://www.washingtontimes.com/>: <https://www.washingtontimes.com/news/2016/mar/11/obama-blames-britain-france-debacle-libya/-დან>

<https://www.populationpyramid.net/libya/>. (თ. გ.). დაბრუნებული <https://www.populationpyramid.net/>-დან

<https://www.populationpyramid.net/libya/>. (1951). დაბრუნებული 2018 წლის 18 მაისი, <https://www.populationpyramid.net/libya/1951/-დან>

Human rights investigations. (2011 წლის 13 აგვისტო). დაბრუნებული 2018 წლის 19 მაისი, <https://humanrightsinvestigations.org/>: <https://humanrightsinvestigations.org/2011/08/13/tawergha-no-longer-exists-only-misrata/-დან>

Ibrahim, M. A. (2013 წლის 23 ნოემბერი). The over dependency of Libya on oil revenue: Economic vulnerability. *Australian Journal of Basic and Applied Sciences* , გვ. 537-540.

Idris, I. (2016). *Analysis of the Arab Spring* (p. 4). GSDRC .

Karim Mezran, F. L. (თ. გ.). დაბრუნებული 2018 წლის 20 მაისი, https://www.files.ethz.ch/isn/154068/101445_ACUS_Libya-p3-final.pdf-დან

Keranen, O. (2016 წლის 11 ნოემბერი). დაბრუნებული 2018 წლის 20 მაისი, <https://reliefweb.int/report/libya/libyan-lessons-bring-back-responsibility-rebuild-დან>

Kirkpatrick, D. D. (2014 წლის 14 February). დაბრუნებული 2018 წლის 16 მაისი, <https://www.nytimes.com/2014/02/15/world/middleeast/in-libya-a-coup-or-perhaps-not.html>-დან

Kopp, D. C. (თ. გ.). დაბრუნებული 2018 წლის 20 მაისი, <http://www.ausairpower.net/PDF-A/DT-Libya-Jun-2011.pdf>-დან

Kulkarni, S. (2014). *Libya: Birth or Death of a New Democracy*. Griffith University (გვ. 2-3; 18-19). Brisbane: ResearchGate.

Library of Congress. (2005 წლის აპრილი). დაბრუნებული 2018 წლის 20 მაისი, <https://www.loc.gov/rr/frd/cs/profiles/Libya-new.pdf>-დან

Lyman, P. (თ. გ.). <https://www.cfr.org/>. დაბრუნებული 2018 წლის 19 მაისი, https://www.cfr.org/:https://www.cfr.org/content/thinktank/ChinaandUS_Africa.pdf-დან

Mainwaring, C. (. (თ. გ.). დაბრუნებული 2018 წლის 19 მაისი, https://www.um.edu.mt/_data/assets/pdf_file/0015/150423/Chapter_22_-_Cetta_Mainwaring.pdf-დან

Manfreda, P. (2017 წლის 01 სექტემბერი). *10 Reasons for the Arab Spring*. დაბრუნებული 2018 წლის 19 მაისი, thoughtco.com: <https://www.thoughtco.com/the-reasons-for-the-arab-spring-2353041-დან>

Marriott, M. (2014 წლის 19 ივნისი). დაბრუნებული 2018 წლის 19 მაისი, https://www.exeter.ac.uk/media/universityofexeter/strategyandsecurityinstitute/pdfs/Libya_Crisis_Watch_Essay_Michael_Marriott.pdf-დან

McQuinn, B. (2012; pg. 40 წლის ოქტომბერი). <http://www.smallarmssurvey.org>. დაბრუნებული 2018 წლის 20 მაისი, <http://www.smallarmssurvey.org:http://www.smallarmssurvey.org/fileadmin/docs/F-Working-papers/SAS-WP12-After-the-Fall-Libya.pdf>-დან

Mokhefi, M. (2011 წლის 20 მარტი). *Gaddafi's regime in relation to the Libyan tribes*. დაბრუნებული 2018 წლის 19 მაისი, www.aljazeera.net/: http://www.aljazeera.net/mritems/streams/2011/3/20/1_1049205_1_51.pdf-დან

Nations, U. (1993 წლის 11 ნოემბერი). დაბრუნებული 2018 წლის 20 მაისი, <http://www.un.org/>: [http://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=S/RES/883\(1993\)-დან](http://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=S/RES/883(1993)-დან)

NDI. (თ. გ.). დაბრუნებული 2018 წლის 19 მაისი, www.ndi.org: <https://www.ndi.org/middle-east-and-north-africa/libya-დან>

Neuhaus, L. (2017 წლის 01 დეკემბერი). <http://observer.com/2017/12/>. დაბრუნებული 2018 წლის 20 მაისი, <http://observer.com>: <http://observer.com/2017/12/us-military-has-presence-in-50-of-54-african-countries/>-დან

NewsHour, P. (2011 წლის 28 მარტი). დაბრუნებული 2018 წლის 20 მაისი, <https://www.youtube.com/watch?v=hUXEiwJiKj4&feature=youtu.be&t=11m15s>-დან

NOSSITER, A. (2011 წლის 29 ოქტომბერი). დაბრუნებული 2018 წლის 20 მაისი, www.nytimes.com: <https://www.nytimes.com/2011/10/30/world/africa/libyan-leaders-remark-favoring-polygamy-stirs-anger.html>-დან

NTC. (თ. გ.). დაბრუნებული 2018 წლის 20 მაისი, <http://ntclibya.org/>-დან

NTC. (თ. გ.). <http://ntclibya.org>. დაბრუნებული 2018 წლის 20 მაისი, <http://ntclibya.org>: <http://ntclibya.org/5-goals-set-for-the-ntc-by-the-libyan-people/>-დან

Park, J. (2015 წლის 23 სექტემბერი). დაბრუნებული 2018 წლის 18 მაისი, <https://www.cfr.org/background/eurpeans-migration-crisis>-დან

Ploch, L. (2011). *Africa Command: U.S. Strategic Interests and the Role of the U.S. Military in Africa*. Congressional Research Service.

Poljarevic, E. (2016). Libya: A Case Study of a Failed Revolution. *SCIENTIFIC COOPERATIONS 2nd INTERNATIONAL CONFERENCE ON SOCIAL SCIENCES* (გვ. 73-74). ISTANBUL: Department of International Affairs.

Pyramid, P. (1951). <https://www.populationpyramid.net/libya>. დაბრუნებული 2018 წლის 19 მაისი, <https://www.populationpyramid.net/>: <https://www.populationpyramid.net/libya/1951/>-დან

Rettig, J. (2011 წლის 8 ნოემბერი). <https://www.usnews.com/news/slideshows>. დაბრუნებული 2018 წლის 17 მაისი, <https://www.usnews.com/>: <https://www.usnews.com/news/slideshows/death-toll-of-arab-spring/2>-დან

Reuters. (2011 წლის 4 აპრილი). დაბრუნებული 2018 წლის 20 მაისი, <https://af.reuters.com/article/libyaNews/idAFLDE7331A120110404>-დან

Reuters. (2014 წლის 18 თებერვალი). დაბრუნებული 2018 წლის 16 მაისი, <https://uk.reuters.com/article/libya/update-2-libyan-militias-threaten-to-dissolve-parliament-protesters-close-airport-idUKL6N0LN2BA20140218>-დან

RHODAN, M. (2016 წლის 11 აპრილი). დაბრუნებული 2018 წლის 17 მაისი, <http://time.com/>: <http://time.com/4288634/president-obama-worst-mistake/>-დან

RISEN, J., MAZZETTI, M., & SCHMIDT, M. S. (2012 წლის 5 დეკემბერი). <https://www.nytimes.com/world/africa>. დაბრუნებული 2018 წლის 19 მაისი,

<https://www.nytimes.com/>: <https://www.nytimes.com/2012/12/06/world/africa/weapons-sent-to-libyan-rebels-with-us-approval-fell-into-islamist-hands.html>-დან

RT UK. (2016 წლის 11 მარტი). დაბრუნებული 2018 წლის 20 მაისი, <https://www.youtube.com/watch?v=n27e8Rmjgs>-დან

SAHO. (2015 წლის 15 დეკემბერი). <https://www.sahistory.org.za/dated-event>. დაბრუნებული 2018 წლის 17 მაისი, <https://www.sahistory.org.za>: <https://www.sahistory.org.za/dated-event/libya-becomes-independent>-დან

Sally Totman, M. H. (2015). When good dictators go bad: examining the 'transformation' of Colonel Gaddafi. *International journal of interdisciplinary global studies* , გვ. 1-2.

Security Council. (2011 წლის 17 მარტი). დაბრუნებული 2018 წლის 20 მაისი, <https://www.un.org/press/en/2011/sc10200.doc.htm>-დან

Silva, D. P. (თ. გ.). დაბრუნებული 2018 წლის 15 მაისი, <http://www.lse.ac.uk/iga/assets/documents/events/2016/migration-and-its-regional-impact.pdf>-დან

Stephen, C. (2013 წლის 10 ოქტომბერი). დაბრუნებული 2018 წლის 16 მაისი, <https://www.theguardian.com/world/2013/oct/10/libyan-prime-minister-ali-zeidan-freed-kidnap>-დან

Stratton, A. (2011 წლის 15 აპრილი). დაბრუნებული 2018 წლის 17 მაისი, <https://www.theguardian.com/world/2011/apr/15/obama-sarkozy-america-libya>-დან

Sweet, K. (2011 წლის 28 თებერვალი). <https://money.cnn.com/2011/02/28/news/international>. დაბრუნებული 2018 წლის 20 მაისი, <https://money.cnn.com/>: https://money.cnn.com/2011/02/28/news/international/gadhafi_libya_assets_frozen/index.htm-დან

THE ASSOCIATED PRESS. (2011 წლის 16 სექტემბერი). <http://www.nydailynews.com/news/world/>. დაბრუნებული 2018 წლის 19 მაისი, <http://www.nydailynews.com>: <http://www.nydailynews.com/news/world/united-nations-approves-libya-seat-rebels-officially-recognizes-transitional-council-article-1.957204>-დან

The Editors of Encyclopaedia Britannica. (2018 წლის 08 მარტი). <https://www.britannica.com/biography/I>. დაბრუნებული 2018 წლის 18 მაისი, <https://www.britannica.com/>: <https://www.britannica.com/biography/Ildris-I-king-of-Libya>-დან

The Irish Times. (2011 წლის 29 მარტი). <https://www.irishtimes.com/news/>. დაბრუნებული 2018 წლის 19 მაისი, <https://www.irishtimes.com>: <https://www.irishtimes.com/news/islamic-militant-group-pledges-support-to-anti-gadafy-rebels-1.585344>-დან

United Nations. (2011 წლის 17 მარტი). დაბრუნებული 2018 წლის 19 მაისი, https://www.nato.int/nato_static/assets/pdf/pdf_2011_03/20110927_110311-UNSCR-1973.pdf-დან

United Nations. (2011 წლის 16 სექტემბერი). დაბრუნებული
<https://www.un.org/press/en/2011/ga11137.doc.htm>-დან

US Department of State. (2015). დაბრუნებული 2018 წლის 19 მაისი,
<https://www.state.gov/documents/organization/256491.pdf>-დან

Watt, N. (2011 წლის 29 მარტი). *www.theguardian.com/world*. დაბრუნებული 2018 წლის 20
მაისი, *www.theguardian.com/*: <https://www.theguardian.com/world/2011/mar/29/arms-libya-rebels->
დან

web.archive.org. (2016 წლის 7 აპრილი). *web.archive.org*. დაბრუნებული 2018 წლის 20 მაისი,
[https://web.archive.org/web/20160415152054/https://nz.news.yahoo.com/world/a/31277753/tripoli-](https://web.archive.org/web/20160415152054/https://nz.news.yahoo.com/world/a/31277753/tripoli-authorities-cede-power-to-libyan-unity-government-statement/)
authorities-cede-power-to-libyan-unity-government-statement/-დან

Wheeler, B. (2016, January 15). *www.bbc.com/new/uk*. Retrieved მაისი 20, 2018, from *www.bbc.com*:
<https://www.bbc.com/news/uk-politics-35300667>

Wheeler, N. (2008). *The Security Dilemma: Fear, Cooperation, and Trust in World Politics*.
დაბრუნებული 2018 წლის 17 მაისი,
[https://www.researchgate.net/publication/37145949_The_Security_Dilemma_Fear_Cooperation_and_](https://www.researchgate.net/publication/37145949_The_Security_Dilemma_Fear_Cooperation_and_Trust_in_World_Politics)
Trust_in_World_Politics-დან

WOLFE, L. R. (2011 წლის 24 მარტი). <https://coldwarstudies.com/2011/03/24/>. დაბრუნებული 2018
წლის 18 მაისი, <https://coldwarstudies.com>: [https://coldwarstudies.com/2011/03/24/cold-war-](https://coldwarstudies.com/2011/03/24/cold-war-libyaall-about-oil/)
libyaall-about-oil/-დან

Xian, W. (2012). An Analysis of the EU's Military Intervention against Libya. *WORKING PAPER SERIES ON EUROPEAN STUDIES* .

Каддафи, М. (1976). Закон общества. М. Каддафи-ში, *Зелёная Книга* (გვ. 16-19).

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Mirian Rcheulishvili

Failed Democracy: Libya

The Thesis is submitted in partial fulfillment of the requirements for a degree of
Master of Diplomacy and International Politics

Thesis supervisor: Nika Samkharadze

Docto of International Relations

Tbilisi, 2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

შოთა შაფაქიძე

კატალონიური ნაციონალიზმის გამოწვევები: საერთაშორისო და
საშინაო ფაქტორების როლი კატალონიის დამოუკიდებლობის
გზაზე

დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: პროფესორი, დავით მაცაბერიძე

თბილისი

2018

ანოტაცია

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს შეისწავლოს ის საგარეო და საშინაო ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენენ გარკვეული ეთნიკური ჯგუფის თუ რეგიონის მცდელობაზე დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პროცესში და რა ასპექტებმა შეიძლება მიანიჭოს ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას სეპარატიზმის სტატუსი. ნაშრომში ასევე განხილული იქნება თუ რა დროს არის გამართლებული ეთნიკური ჯგუფის თუ რეგიონის ბრძოლა გარკვეული ცვლილებებისთვის, როგორც ლოკალურ ასევე გლობალურ დონეზე და რა საკითხები უნდა იყოს გათვალისწინებული აღნიშნულ პროცესში.

ნაშრომში განხილული იქნება კატალონიური ნაციონალიზმი და ესპანეთის აღნიშნული რეგიონის ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის უკანასკნელ წლებში. კატალონიური ნაციონალიზმის რადიკალიზაცია, შემდგომ უკვე დამოუკიდებლობის მოთხოვნა და აღნიშნული მცდელობის კრაზი იქნება აღნიშნული ნაშრომის საკვლევი თემა. საკითხი ძირითადად სამი ძირითადი მიმართულებით იქნება გაშლილი და მოიცავს კატალონიის შიდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებას 2010-2017 წლებში, რომელმაც ხელი შეუწყო პროცესების იმგვარად განვითარებას, რომ 2017 წლის შემოდგომაზე ადგილობრივმა ხელისუფლებამ არასანქცირებული რეფერენდუმის საფუძველზე დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ასევე განხილული იქნება ესპანეთის შიდა პოლიტიკური სისტემა, რომლის საფუძველზეც კატალონიის ხელისუფლების ყოველი მცდელობა შეიძლება უკანონოდ ჩაითვალოს, მოაკლდეს ლეგიტიმაცია და არა თვითგამორკვევის სტატუსი არამედ სეპარატიზმი აღმოჩნდეს, საბოლოოდ კი ევროკავშირის და მისი წევრი ქვეყნების პოზიცია, რომლის მიხედვითაც, კატალონიურ ნაციონალიზმს, მის რადიკალიზაციას და დამოუკიდებლობის მცდელობას ერთიანი სუპრანაციონალური ევროპული იდეისთვის სახიფათოდ მოიაზრებდა.

აღნიშნული ნაშრომის ძირითადი საკვლევი კითხვებიც, სწორედ დამოუკიდებლობის გამოცხადების და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს ეხება და ზემოთ ჩამოთვლილი სამი მიმართულებით იქნება განხილული. შესაბამისად ნაშრომის საკვლევი კითხვებია: 1. რა ფაქტორები ანიჭებს კატალონიის დამოუკიდებლობის მცდელობას სეპარატიზმის და არა თვითგამორკვევის ფორმას? 2. რა გარემო ფაქტორებმა შეუშალეს ხელი კატალონიის დამოუკიდებლობას? საკვლევ კითხვებიდან გამომდინარეობს ნაშრომის ჰიპოთეზები: H1 – ესპანეთის შიდა პოლიტიკურმა სისტემამ კატალონიის დამოუკიდებლობის მცდელობას არ მისცა ლეგიტიმაცია. H2 – ევროპული ინტეგრაციის გამოწვევებმა კატალონიის დამოუკიდებლობის განხორციელებას შეუშალა ხელი. ნაშრომში გამოყენებული იქნება ევროპული ინტეგრაციის სუპრანაციონალური მმართველობის თეორია, რომლის ფარგლებშიც ჩანს, რომ ევროპული ინტეგრაცია შეუქცევადი პროცესია, წევრი ქვეყნების მთავრობების როლი სუსტდება და სუპრანაციონალური ინსტიტუტები უფრო და უფრო ძლიერდებიან შესაბამისად აღნიშნული თეორიის ფარგლებში შეუძლებელია მისი შემაფერხებელი ნებისმიერი ფაქტი მხარდაჭერილი იქნას სუპრანაციონალური ორგანიზაციისგან, მისი ინსტიტუტებისგან და წევრი ქვეყნებისგან. ნაშრომში გამოყენებული იქნება კვლევის სხვადასხვა მიდგომა თუ მეთოდოლოგია, რომელიცაა საწყისი და ძირითადი მასალების მოძიება, ლიტერატურის მიმოხილვა, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები და საბოლოოდ ჰიპოთეზების შემოწმება.

Annotation

The aim of the work is to examine the foreign and domestic factors influencing the struggle for independence of a particular ethnic group or region, and what aspects may give the status of separatism to process of fight for the independence of any ethnic group. The research also discusses the time when struggling for certain changes of the ethnic group or region is justified both locally and globally, and what issues should be taken into consideration in this process.

The work will focus on Catalan nationalism and the struggle of this Spanish region for independence in the past few years. Radicalization of Catalan nationalism, demanding independence, and the failure of this attempt will be the subject of the research. The issue will be discussed in three main directions: Catalonia's internal political, economic and social situation in 2010-2017, that caused the development of processes in the fall of 2017, when the local authorities declared independence on the basis of an unauthorized referendum by Spanish Court, research also discusses Spanish internal political system, that considered the efforts of Catalan government illegal and non-legitimate and also the actions of Catalan officials were considered as separatism and not as self-determination. And the third direction will be the position of the European Union and its Member States, which considers the radicalization of Catalan Nationalism and the attempt of independence as threat and danger towards united European supranational idea.

The main research questions are related to declaration of independence of Catalonia in 2017 and the events that happened afterwards and will be discussed in the above three directions. Accordingly, the research questions are: 1. what factors make the attempt of Catalan independence as form of separatism and not self-determination? 2. What external factors prevented independence of Catalonia? The hypotheses are derived from research questions: H1 - Spanish internal political system did not allow legitimacy to Catalan attempt of independence.

H2 - challenges of European integration prevented Catalonia's independence. European Integration theory of Supranationalism will be used in the research, under which it appears that the European integration is an irreversible process, weakening the role of member states' national governments and supranational institutions are becoming stronger more and more. So in accordance with this theory any attempt that interrupts this process cannot be supported by supranational organization of European Union, its institutions and its member states. The different approaches and methodology are used in the research to study the initial and basic materials, the literature review, quantitative and qualitative research methods and finally examine the hypotheses.

სარჩევი

1. შესავალი	7
1.2 საკვლევე კითხვა/ჰიპოთეზა/ცვლადების ოპერაციონალიზაცია	11
2. მეთოდოლოგია	13
2.1 კვლევის მეთოდები	13
2.2 თეორიული ჩარჩო	15
2.3 ლიტერატურის მიმოხილვა	18
3. ძირითადი ნაწილი	21
3.1 კატალონიური ისტორიული მიმოხილვა	26
3.2 კატალონიური ნაციონალიზმის რადიკალიზაცია	29
3.3 კატალონიის დამოუკიდებლობის მცდელობა, შიდა პოლიტიკური სიტუაცია	38
3.4 ესპანეთის შიდა პოლიტიკური სისტემა	
3.5 ევროკავშირის გამოწვევები და პოზიცია კატალონიის დამოუკიდებლობის მცდელობაზე	41
4. დასკვნა	44
5. გამოყენებული ლიტერატურა	46

1. შესავალი

ნაციონალიზმის და საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინა ხშირად უკავშირდება ერთმანეთს, რადგან ხშირია შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის ნაციონალიზმი ხშირად უქმნის საფრთხეს, როგორც ლოკალურ დონეზე ქვეყანას, მის ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტს და სახელმწიფოებრიობას საფრთხეს, ასევე ის შეიძლება საფრთხის მატარებელი გახდეს კონკრეტული რეგიონის სტაბილურობისთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული ერების ქარტიით აღიარებულია ერების თვითგამორკვევის უფლება, სახელმწიფოთა სუვერენიტეტი გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს და ერების თვითგამორკვევის უფლებამ ხელი არ უნდა შეუშალოს, როდესაც აღნიშნულმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას საერთაშორისო სისტემაში სტაბილურობის და მშვიდობის დარღვევას (გაეროს ქარტია). შესაბამისად, ყოველთვის ხდება ისე, რომ ერების და ეთნიკური ჯგუფების თვითგამორკვევა და სახელმწიფოს სუვერენიტეტი და სტაბილურობა დაპირისპირებაში მოდის ერთმანეთთან, და გაეროს ქარტიითაც აღიარებულია, რომ ეროვნული ინტერესები და სახელმწიფოებრიობა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორია, თვითგამორკვევასთან შედარებით.

ნაშრომი შეისწავლის კატალონიაში განვითარებულ მოვლენებს უკანასკნელ წლებში, რომელმაც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური რეგიონი - დასავლეთ ევროპა კრიზისის საფრთხის ქვეშ დააყენა 2017 წლის ბოლოს. კატალონია წარმოადგენს ესპანეთის ერთ-ერთ რეგიონს, რომელშიც უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გაღვივდა ნაციონალიზმი, პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ დონეზე, რომელიც საბოლოოდ 2017 წლის ნოემბრის დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით ჩატარებული რეფერენდუმით და შემდეგ დამოუკიდებლობის გამოცხადებით დასრულდა, თუმცა ლოკალურ და გლობალურ დონეზე მხარდაჭერის არ არსებობის გამო კატალონია ვერ გახდა სუვერენული სახელმწიფო.

ნაშრომში განხილული იქნება ის ძირითადი საკითხები, რამაც კატალონიის პოლიტიკური ელიტა მიიყვანა დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე და შემდეგ უკვე ლოკალურ დონეზე - ანუ, ესპანეთის პოლიტიკური სისტემის დონეზე, რატომ ჩაითვალა არალეგიტიმურად ეს მცდელობა, ხოლო გლობალურ დონეზე - ანუ ევროკავშირის დონეზე რატომ არ მოხდა ამ იდეის მხარდაჭერა. სწორედ აღნიშნული სამი მიმართულება იქნება გამოყოფილი ნაშრომის ძირითად ნაწილში, კატალონიის შიდა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარება 2010-2017 წლებში, რამაც კატალონიის პოლიტიკური ელიტა მიიყვანა დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ხოლო ესპანეთის შიდა პოლიტიკური სისტემა და ევროკავშირის პოზიცია, როგორც მისი ხელისშემშლელი ფაქტორი. ესპანეთის შიდა პოლიტიკური სისტემა, რაღა თქმა უნდა ყოველგვარ ხელჩასაჭიდი ინსტრუმენტი გამოიყენა კატალონიის დამოუკიდებლობის ხელის შეშლისთვის, რადგანაც აღნიშნული აქტი საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის სუვერენიტეტს, შესაბამისად ასეთ შემთხვევაში გაერთიანებული ერების ქარტიითაც და ესპანეთის შიდა კონსტიტუციითაც, როგორც კატალონიის რეფერენდუმი, ასევე რეფერენდუმის საფუძველზე დამოუკიდებლობის გამოცხადებაც ჩაითვალა არალეგიტიმურად. ესპანეთის 1978 წლის კონსტიტუციით აღიარებულია, რომ როდესაც ქვეყნის ერთიანობის მიმართულებით ხდება გარკვეული ცვლილებები და რომელიმე რეგიონს სურს დამოუკიდებლობა, უკიდურეს შემთხვევაში ხდება რეფერენდუმის ჩატარება მთელი ქვეყნის მასშტაბით და ესპანეთის ჩვიდმეტივე ფედერაციული ერთეულის მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს ქვეყნის შემადგენლობაში დარჩეს თუ არა ესა თუ ის რეგიონი. შესაბამისად, კატალონიის მიერ ცალკე ჩატარებული რეფერენდუმი საკუთარი სტატუსის გარკვევის მიზნით, შეეწინააღმდეგა ესპანეთის კონსტიტუციას და ჩაითვალა არა თვითგამორკვევად, არამედ სეპარატიზმად. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ 2017 წლის რეფერენდუმი, რომლის საფუძველზეც კატალონიამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა უკანონოდ ცნო ესპანეთის უზენაესმა სასამართლომ. შესაბამისად, ლოკალურ - ანუ ესპანეთის შიდა პოლიტიკური სისტემის დონეზე კატალონიის დამოუკიდებლობის მცდელობა უკანონოდ ჩაითვალა.

რაც შეეხება ევროკავშირის პოზიციას, აღნიშნული სუპრანაციონალური ორგანიზაციის მთავარმა ინსტიტუტებმა და წევრმა სახელმწიფოებმა არ დაუჭირეს მხარი კატალონიის დამოუკიდებლობის მცდელობას, რამდენიმე ფაქტორის გამო: პირველ რიგში, ევროკავშირის როგორც რეგიონალური ორგანიზაციის სტაბილურობისთვის მსგავსი შემთხვევა ჩაითვალა საფრთხედ, ხოლო მეორეს მხრივ, უკვე არსებული გამოწვევების გამო, რომლებიც იყო ერთის მხრივ, დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის პროცედურების დაწყების, ხოლო მეორეს მხრივ, აღმოსავლეთ ევროპაში რადიკალური მემარჯვენე პოლიტიკური ძალების გაძლიერება და ევროკავშირის ერთიანობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება. ამის ფონზე, კატალონიის პოლიტიკური ელიტის ქმედებები ვერ იქნებოდა მხარდაჭერილი ევროკავშირის მხრიდან. ნაშრომის ძირითად ნაწილში სწორედ აღნიშნული სამი ძირითადი მიმართულება იქნება განხილული, რომლის გამოც საბოლოოდ შეუძლებელი გახდა კატალონიელთა თვითგამორკვევის უმაღლესი ფორმა - დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. სწორედ აღნიშნული მიმართულებები იქნება ნაშრომის ძირითად ნაწილში.

ნაშრომის ძირითადი ნაწილის ქვეთავებში ასევე წარმოდგენილია კატალონიური ნაციონალიზმის ისტორიული განვითარება, თუ როგორ ყალიბდებოდა კატალონიაში ნაციონალიზმი მეცხრამეტე საუკუნეში ფრანცისკო ფრანკოს პერიოდამდე, რა პოლიტიკა ტარდებოდა კატალონიელების მიმართ ფრანცისკო ფრანკოს მმართველობის პერიოდში ხოლო რა შეიცვალა ფრანკოს გარდაცვალების და ესპანეთის დემოკრატიზაციის პერიოდიდან მეოცე საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ. ასევე, წარმოდგენილია კატალონიური ნაციონალიზმის რადიკალიზაცია ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისიდან და საბოლოოდ, 2014 და 2017 წლების რეფერენდუმები და მათი შედეგები - დამოუკიდებლობის გამოცხადება და ესპანეთის რეაქცია აღნიშნულ საკითხზე.

ნაშრომში გამოყენებულია უეინ სენდჰოლცის და ალეს სტოუნის სუპრანაციონალური მმართველობის თეორია, რომელიც ხსნის თუ რატომ არ დაუჭირა მხარი ევროკავშირის

ინსტიტუტებმა და მისმა წევრმა სახელმწიფოებმა კატალონიის დამოუკიდებლობის მცდელობას მხარი. ევროპული ინტეგრაციის სუპრანაციონალური მმართველობის თეორიის ფარგლებში ჩანს, რომ ევროპული ინტეგრაცია შეუქცევადი პროცესია, წევრი ქვეყნების მთავრობების როლი სუსტდება და სუპრანაციონალური ინსტიტუტები უფრო და უფრო ძლიერდებიან. შესაბამისად, აღნიშნული თეორიის ფარგლებში შეუძლებელია მისი შემაფერხებელი ნებისმიერი ფაქტი მხარდაჭერილი იქნას სუპრანაციონალური ორგანიზაციისგან, მისი ინსტიტუტებისგან და წევრი ქვეყნებისგან. შესაბამისად, კატალონიის დამოუკიდებლობის მცდელობა შეიძლება ჩაითვალოს ევროპული ინტეგრაციის საპირისპიროდ, რასაც ევროკავშირი ვერ დაუჭერდა მხარს. ასევე კატალონიის მცდელობა, თუ რატომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და შემდეგ ლოკალურ დონეზე წინააღმდეგობა მიიღო ახსნილი იქნება შესაძლებლობების ფანჯრის მიდგომით და ახსნის თუ, რატომ არ იყო კატალონიის მცდელობა რაციონალური აღნიშნულ ეტაპზე და შესაბამისად, მიიღო სეპარატიზმის და არა თვითგამორკვევის სტატუსი.

ნაშრომს აქვს ორი საკვლევი კითხვა და ორი ჰიპოთეზა, ზემოთ წარმართული მსჯელობიდან გამომდინარე და ეხება ლოკალურ და გლობალურ დონეზე წამოჭრილ საკითხებს. საკვლევი კითხვებია:

1. რა ფაქტორები ანიჭებს კატალონიის დამოუკიდებლობის მცდელობას სეპარატიზმის და არა თვითგამორკვევის ფორმას?
2. რა გარემო ფაქტორებმა შეუშალეს ხელი კატალონიის დამოუკიდებლობას?

ჰიპოთეზები:

1. H1 - ესპანეთის შიდა პოლიტიკურმა სისტემამ კატალონიის დამოუკიდებლობის მცდელობას არ მისცა ლეგიტიმაცია.
2. H2 - ევროპული ინტეგრაციის გამოწვევებმა კატალონიის დამოუკიდებლობის განხორციელებას შეუშალა ხელი.

ნაშრომის შემდგომ ქვეთავებში არის ცვლადების ოპერაციონალიზაცია და ასევე, სხვა ტერმინების განმარტება, ის მეთოდოლოგია და მიდგომები, რომელიც გამოყენებულ იქნა მისი შექმნისას, როგორებიცაა საწყისი და ძირითადი მასალების მოძიება, ლიტერატურის მიმოხილვა, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები და საბოლოოდ ჰიპოთეზების შემოწმება.

1.2. საკვლევი კითხვა/ჰიპოთეზა/ცვლადების ოპერაციონალიზაცია

როგორც უკვე აღინიშნა, ნაშრომს აქვს ორი საკვლევი კითხვა და შესაბამისად 2 ჰიპოთეზაც, რომელთა მთავარი მიზანიც კატალონიის დამოუკიდებლობის მცდელობაზე საშინაო და საგარეო ფაქტორები როლის შესწავლა იყო. ნაშრომის საკვლევი კითხვებია:

1. რა ფაქტორები ანიჭებს კატალონიის დამოუკიდებლობის მცდელობას სეპარატიზმის და არა თვითგამორკვევის ფორმას?
2. რა გარემო ფაქტორებმა შეუშალეს ხელი კატალონიის დამოუკიდებლობას?

ჰიპოთეზები:

1. H1 - ესპანეთის შიდა პოლიტიკურმა სისტემამ კატალონიის დამოუკიდებლობის მცდელობას არ მისცა ლეგიტიმაცია.
2. H2 - ევროპული ინტეგრაციის გამოწვევებმა კატალონიის დამოუკიდებლობის განხორციელებას შეუშალა ხელი.

ნაშრომისთვის მნიშვნელოვანია, დეტალურად იქნეს განხილული წარმოდგენილ საკვლევ კითხვებში და ჰიპოთეზებში არსებული დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადები. მნიშვნელოვანია, ცვლადების დეტალური განხილვა, რომ არ მოხდეს მათი

ინტერპრეტირება. საკვლევი კითხვებიდან და ჰიპოთეზებიდან გამოიკვეთა დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადები:

დამოკიდებული ცვლადი არის კატალონიის დამოუკიდებლობის მცდელობა. კატალონიის დამოუკიდებლობაში მოიაზრება, კატალონიის პარლამენტის - „გენერალიტეტის“ მიერ 2017 წლის 1 ოქტომბრის კატალონიის ე.წ. დამოუკიდებლობის რეფერენდუმის საფუძველზე, 2017 წლის 27 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც კატალონიის რეგიონმა გამოაცხადა ესპანეთისგან დამოუკიდებლობა, თუმცა ამან განხორციელება ვერ ჰპოვა იმ გარემო ფაქტორებიდან გამომდინარე, რომლებიც ნაშრომში წარმოდგენილია დამოუკიდებელი ცვლადების სახით და კატალონიის მთავრობისა და პარლამენტის მიერ გამოცხადებული დამოუკიდებლობა მხოლოდ მცდელობა დარჩა.

პირველ საკვლევ კითხვასა და ჰიპოთეზაში დამოუკიდებელი ცვლადი არის ესპანეთის შიდა პოლიტიკური სისტემა, რომლის მეშვეობითაც კატალონიის მცდელობა გამოყოფოდა ესპანეთს ვერ განხორციელდა. შიდა პოლიტიკურ სისტემაში მოიაზრება ის ინსტიტუტები, ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებები, ესპანეთის კონსტიტუცია და სხვა მრავალი ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც ესპანეთის ხელისუფლებამ კატალონიის მცდელობა ჩაეტარებინა დამოუკიდებლობის რეფერენდუმი, გამოყოფოდა ესპანეთს და შეექმნა საკუთარი სუვერენული სახელმწიფო აქცია სეპარატიზმად და არა თვითგამორკვევად. ყველა აღნიშნული ინსტრუმენტი, გადაწყვეტილება თუ სხვადასხვა ინსტიტუტების ქმედებები განხილულია ნაშრომში.

მეორე საკვლევი კითხვისა და ჰიპოთეზის დამოუკიდებელი ცვლადი კი არის ევროკავშირის ის გამოწვევები, რომელთა ფონზეც ევროკავშირის ინსტიტუტებმა და ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა არ გამოხატეს მხარდაჭერა კატალონიის მცდელობაზე გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა. აღნიშნული გამოწვევები იყო ერთის მხრივ, დიდი ბრიტანეთის მიერ ევროკავშირიდან გასვლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება რეფერენდუმის საფუძველზე, ხოლო მეორეს მხრივ, ევროკავშირის

წევრ ქვეყნებში გაძლიერებული რადიკალი მემარჯვენე პარტიების მომრავლება და შესაბამისად ევროსკეპტიციზმის მომძლავრება ევროკავშირის ქვეყნებში. ასე რომ, აღნიშნული გამოწვევების ფონზე დამატებული კატალონიის დამოუკიდებლობის მცდელობა ევროკავშირისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, რადგან ეს კიდევ უფრო დიდი დარტყმა იქნებოდა ევროკავშირის სტაბილურობაზე. შესაბამისად, ევროკავშირმა ყველანაირად სცადა კატალონიური მხარის დაშოშმინება და მოვლენების მშვიდობიანად დარეგულირება. ასე, რომ, ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი მათი კავშირი დამოუკიდებულ ცვლადთან, ვინაიდან ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, რომ წამოჭრილი გამოწვევები გამიჯნულია ერთმანეთისგან, თუმცა სინამდვილეში ყველა მათგანი ხელს უშლიდა ევროკავშირის სტაბილურობას.

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი საკვლევის კითხვების პასუხისგასაცემად და ჰიპოთეზების დასამტკიცებლად, შეიქმნა შეიქმნა ნაშრომი, რომელზეც დეტალურად ნაშრომის ძირითად ნაწილში იქნება წარმოდგენილი.

2. მეთოდოლოგია

2.1 კვლევის მეთოდები

აკადემიური ნაშრომის შექმნის ყოველ ეტაპზე მნიშვნელოვანია სწორი მეთოდოლოგიის და მიდგომების გამოყენება მასალების მოძიებისას, მათი დამუშავებისას და საბოლოოდ შეფასებისას. ნაშრომში გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდოლოგია და მიდგომები. პირველ რიგში მოხდა პირველადი მასალების შეგროვება, რომლის მიხედვითაც დადგა ზოგადი სურათი, თუ რა ფაქტორებს შეიძლებოდა ხელი შეეშალა კატალონიის დამოუკიდებლობისთვის. საწყისი მასალების

თუ მონაცემების შეგროვება მნიშვნელოვანია ნაშრომისთვის, რადგან თავიდანვე ყალიბდება გარკვეული მონახაზი, თუ რა კუთხით უნდა განვითარდეს კვლევა. ნაშრომის შექმნის შემდეგი ეტაპი, ძირითადი მასალების მოძიებაში გამოიკვეთა, რომლის მიხედვითაც უკვე მოხდა აკადემიური სტატიების, გამოცემების თუ წიგნების გაცნობა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოღება. (Kothari, 2004, 223) ნაშრომის შექმნის კიდევ ერთი ეტაპი ლიტერატურის მიმოხილვა იყო რომლის ფარგლებშიც, მსგავს თემატიკაზე არსებული აკადემიური ნაშრომების გაცნობა და ნაშრომში ასახვა მოხდა. ნაშრომში ასევე გამოყენებული იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები და საბოლოოდ, ჰიპოთეზების შემოწმება.

გამოყენებული იქნება საკვლევო თემის ლოგიკურ-სისტემური ანალიზი, რომლის დროსაც ხდება პირველ რიგში საკვლევ თემაში კანონზომიერების დადგენა გარკვეულ ფაქტებს თუ მოვლენებს შორის, და მეორეს მხრივ კანონზომიერება გარკვეული რეალობის დადგენაში ეხმარება მკვლევარს, რადგან ამის გარეშე შეიძლება კვლევა უსასრულოდ გაგრძელდეს რადგან ყოველგვარი რეალობა ამოუწურავია, მითუმეტეს როდესაც საქმე ისეთი ფენომენის კვლევას ეხება, როგორც ნაციონალიზმია. შესაბამისად კვლევის აღნიშნული მეთოდით მოხდება, თემის იმგვარადა აღწერა, რომ ის კვლევას დაექვემდებაროს, ხოლო შემდეგ შეიძლებოდეს მისი შედეგების განზოგადება და გარკვეული კანონზომიერების დადგენა (დურგლიშვილი 2006, 9). აღნიშნული მეთოდით შესძლებელი იქნება ცვლადებს შორის კანონზომიერების დადგენა და დასკვნის გაკეთება, თუ რამდენად მართლდება წარმოდგენილი ჰიპოთეზა.

ნაშრომის კვლევისას გამოყენებული იქნება კონტენტ ანალიზი, რომლის მიხედვითაც მოხდება სხვადასხვა ოფიციალური მონაცემების, სტატისტიკების, დოკუმენტების თუ სტატიების ანალიზი, რომელიც რა თქმა უნდა პირდაპირ კავშირში იქნება საკვლევ თემასთან. კონტენტ ანალიზი ამ შემთხვევაში იმიტომ არის ყველაზე კარგი მეთოდოლოგიური მიდგომა, რომ ხდება ინფორმაციის ყოველი დეტალის

ანალიზი, და ამის შედეგად შესაძლებელია საკვლევი თემისთვის საჭირო ინფორმაციის მიღება (Mayring, 2000).

თემის საკვლევად ასევე გამოყენებული იქნება რაოდენობრივი მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის აზრის გაგებას, რომელსაც საფუძვლად ორი შეხედულება უდევს: პირველი ის, რომ მოსახლეობის მიერ გარკვეული მოვლენების შეფასება სტატისტიკურ კანონებს ემორჩილება, და მეორე, მსგავსი სოციალური მდგომარეობის ადამიანები მოვლენებს ერთმანეთის მსგავსად აფასებენ (ზურაბიშვილი 2006, 6).

2.2 თეორიული ჩარჩო

როგორც შესავალში აღინიშნა, ნაშრომში გამოყენებულია უენ სენდჰოლცისა და ალეს სტოუნის სუპრანაციონალური მმართველობის თეორია, რომელიც ხსნის თუ რატომ არ დაუჭირა მხარი ევროკავშირის ინსტიტუტებმა და მისმა წევრმა სახელმწიფოებმა კატალონიის დამოუკიდებლობის მცდელობას მხარი. ევროპული ინტეგრაციის სუპრანაციონალური მმართველობის თეორიის ფარგლებში ჩანს, რომ ევროპული ინტეგრაცია შეუქცევადი პროცესია, წევრი ქვეყნების მთავრობების როლი სუსტდება და სუპრანაციონალური ინსტიტუტები უფრო და უფრო ძლიერდებიან. (Sandholtz, Stone, 1997, 301) შესაბამისად, აღნიშნული თეორიის ფარგლებში შეუძლებელია მისი შემაფერხებელი ნებისმიერი ფაქტი მხარდაჭერილი იქნას სუპრანაციონალური ორგანიზაციისგან, მისი ინსტიტუტებისგან და წევრი ქვეყნებისგან. შესაბამისად, კატალონიის დამოუკიდებლობის მცდელობა შეიძლება ჩაითვალოს ევროპული ინტეგრაციის საპირისპიროდ, რასაც ევროკავშირი ვერ დაუჭერდა მხარს. ასევე კატალონიის მცდელობა, თუ რატომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და შემდეგ ლოკალურ დონეზე წინააღმდეგობა მიიღო ახსნილი იქნება შესაძლებლობების ფანჯრის

მიდგომით და ახსნის თუ რატომ არ იყო კატალონიის მცდელობა რაციონალური, აღნიშნულ ეტაპზე, და, შესაბამისად, მიიღო სეპარატიზმის და არა თვითგამორკვევის სტატუსი.

უშუალოდ სუპრანაციონალური მმართველობის თეორია საკმაოდ სიღრმისეულ მიდგომას წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც ევროკავშირში სუპრანაციონალური ინსტიტუტების როლი იზრდება გადაწყვეტილებების მიღების ეტაპობრივად, საპირისპიროდ კი, სახელმწიფოები თმობენ საკუთარი სუვერენიტეტის ნაწილს და გადასცემენ ევროკავშირის ინსტიტუტებს, შესაბამისად, ევროკავშირის სუპრანაციონალური მმართველობის დონე თანდათან იზრდება. (Sandholtz, Stone, 1997, 303) ინტეგრაციული პროცესები ევროკავშირის შიგნით განპირობებულია შემდეგი ასპექტებით: მმართველობის სფეროებს თანდათან ევროკავშირი იკავებს და მისი სუპრანაციონალური ინსტიტუტები იღებენ გადაწყვეტილებებს და ასევე, ევროკავშირი ყალიბდება სუპრანაციონალურ მმართველობად, რაც გაცილებით უფრო ფუნდამენტურია ვიდრე სახელმწიფოთა მმართველობა. შესაბამისად, ევროკავშირის ინტეგრაციის პროცესი შესაძლოა ჩაითვალოს შეუქცევადად და მისი ყველანაირი ხელისშემშლელი ფაქტორი ევროკავშირისგან ვერ იქნება მხარდაჭერილი. (Sandholtz, Stone, 1997, 305) რა თქმა უნდა, სუპრანაციონალური თეორიის მისამართით არსებობს გარკვეული შეკითხვები, მაგალითად, რატომ წარიმართა ევროკავშირში ზოგიერთ სფეროში ინტეგრაციული პროცესი უფრო სწრაფად, იყო თუ არა ინტეგრაციული პროცესები ყოველთვის ძლიერი ევროპის მასშტაბით და აქვთ თუ არა როლი ევროკავშირის სუვერენულ ერთეულებს სახელმწიფოებს? აღნიშნულ თეორიას აქვს პასუხი, რომ კონკრეტულ პერიოდში არსებობდა მოთხოვნა განსაზღვრული სფეროს ინტეგრაციის, შესაბამისად, ეტაპობრივად ყველა სფეროში მოხდება ინტეგრაცია და საბოლოოდ, ევროკავშირი მიიღებს სუპრანაციონალური სახელმწიფოს სახეს, ანალოგიური პასუხი აქვს წევრი ქვეყნების როლზე სუპრანაციონალიზმს, ინტეგრაციის საწყის ეტაპზე სახელმწიფოთა როლი გაცილებით მაღალი იყო ინსტიტუტების ფორმირებაში, ინტეგრაციული პროცესების სხვადასხვა სფეროებში განვითარებისთვის,

თუმცა ნელ-ნელა სუპრანაციონალური ხასიათის ზრდამ მოახდინა ის, რომ დღესდღეობით წევრი ქვეყნების როლი გაცილებითაა შემცირებული და თეორიის მიხედვით კიდევ უფრო შემცირდება სახელმწიფოთა როლი და სუპრანაციონალური ინსტიტუტები კიდევ უფრო გაძლიერდებიან და საბოლოოდ, ევროკავშირი გახდება სუპრანაციონალური სახელმწიფო. (Sandholtz, Stone, 1997, 310) ასევე, თუ გადავხედავთ ევროკავშირის სუპრანაციონალურ ინსტიტუტებს, ისეთი როგორცაა ევროკომისია და ევროკავშირის მარლმსაჯულების სასამართლო მათი როლი და ფუნქციები თვალსაჩინოდაა გაზრდილი, მათი შექმნის შემდეგ 80-იანი წლებიდან მოყოლებული. ტრანსნაციონალური აქტორებისთვისაც მნიშვნელოვანია ევროკავშირის სუპრანაციონალური დონე, ვინაიდან მათ ინტერესებში შედის მთელს ევროკავშირში და ამ არეალში მოქმედება, ვიდრე მხოლოდ ეროვნულ სახელმწიფოებრივ ჭრილში უყურებდნენ საკუთარ ინტერესებს. შესაბამისად, მათ ინტერესებში შედის ინტეგრაციული პროცესები კიდევ უფრო განვითარდეს და უწევენ ლობს ევროკავშირის სუპრანაციონალური ინსტიტუტების და ინტეგრაციული პროცესების განვითარებას, აღნიშნული ინტერეს ჯგუფების მთავარი მოტივატორი არის ეკონომიკური კეთილდღეობა, შესაბამისად მათი ინტერესებიც შეუქცევადს ხდის ევროპულ ინტეგრაციას, და სწორედ ამას მიიჩნევს სუპრანაციონალური თეორია უმთავრეს გადამწყვეტ ფაქტორად, და სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი რომ ევროკავშირი უფრო სუპრანაციონალური ხდება, ფუნდამენტურად იცვლება მისი ინსტიტუტები და სახელმწიფოების როლი მცირდება. (Sandholtz, Stone, 1997, 315)

შესაბამისად, აღნიშნული თეორიისთვის ყოვლად მიუღებელია ყოველი ისეთი აქტივობა, რაც ინტეგრაციულ პროცესებს აფერხებს და ხელს უშლის ევროკავშირის სუპრანაციონალურ ინსტიტუტად ჩამოყალიბებას. კატალონიის მთავრობის ქმედება, მით უმეტეს იმ გამოწვევების ფონზე რაც დღესდღეობით და უახლოეს წარსულში ევროკავშირს აქვს, ვერ იქნებოდა მხარდაჭერილი ევროკავშირის მიერ, რადგან ეს დიდი დარტყმა იქნებოდა ამ ინსტიტუტისთვის. შესაბამისად, თეორია ზუსტად ხსნის იმას,

თუ რატომ არ დაუჭირა მხარი და შეეწინააღმდეგა ევროკავშირის ინსტიტუტები და ასევე მისი წევრი სახელმწიფოები კატალონიის ესპანეთისგან შესაძლო გამოყოფას.

ნაშრომში ასევე გამოყენებულია შესაძლებლობის ფანჯრის მიდგომა, რომლის მიხედვითაც კატალონიის მთავრობის ქმედებები ირაციონალურად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ის პერიოდი როცა კატალონიის მთავრობამ გადაწყვიტა რეფერენდუმების ჩატარება თუ დამოუკიდებლობის გამოცხადება რაციონალურად არ იყო გამართლებული, თუ გავითვალისწინებთ იმ ინსტრუმენტებს რაც ესპანეთს გააჩნდა კატალონიის წინააღმდეგ, ხოლო ევროკავშირის კუთხით ის განწყობები, რომელიც არსებობდა და ეხლაც არსებობს. აღნიშნული მიდგომით, ხშირად ინდივიდუალურად შეიძლება მოხდეს სასურველი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება, როგორც იყო კატალონიის დამოუკიდებლობის გამოცხადება და არ იყოს სინამდვილეში ასეთი გადაწყვეტილება რაციონალური. (Doeser, Eidenfalk, 2013)

1.3 ლიტერატურის მიმოხილვა

საინტერესოა, თუ რა აზრი არსებობს ოცდამეერთე საუკუნის კატალონიურ ნაციონალიზმთან დაკავშირებით სხვადასხვა ავტორების მიერ. აღნიშნული ქვეთავის მიზანიც სწორედ ლიტერატურის მიმოხილვა იქნება, ვინაიდან საკვლევი თემის უფრო უკეთესად გასაანალიზებლად და ჰიპოთეზების დასამტკიცებლად საჭიროა ეს ეტაპი.

პირველ რიგში მაგალითად შეიძლება კატალონიელი სამართალმცოდნის კიმ ტორას ნააზრევის მოყვანა კატალონიურ ნაციონალიზმთან დაკავშირებით. მისი აზრით კატალონიურმა ნაციონალიზმმა თავის ლიმიტს მიაღწია მეოცე საუკუნის ბოლოს, ნამდვილად მეოცე საუკუნის ბოლომდე კატალონიელთა მთავარი მიზანი საკუთარი კულტურის, იდენტობის, ენის და ასე შემდეგ შენარჩუნება იყო, თუმცა კატალონიელები არ იხედებოდნენ ესპანეთის გარეთ. ახლა კი ეს შეიცვალა, კატალონიელ მეცნიერებს,

პოლიტიკოსებს, ბიზნესმენებს, უბრალო აქტივისტებს, ფერმერებს და ერთი სიტყვით ნებისმიერ მოქალაქეს სურთ საკუთარი სახელმწიფოს შექმნა - აცხადებს ტორა. ის მიიჩნევს, რომ სწორედ ნაციონალიზმის დამსახურება იყო კატალონიის, როგორც ესპანეთისგან განსხვავებულის შენარჩუნება თუმცა მისი აზრით დღეს ნაციონალიზმი ტრანსფორმირდა განსხვავებულ მოძრაობად, რომლის უმთავრესი მიზანი ესპანეთისგან გამოყოფა და საკუთარი სახელმწიფოს შექმნაა. ტორა ასევე საუბრობს იმ მიზეზებზე რამაც გამოიწვია კატალონიური ნაციონალიზმის ტრანსფორმაცია და აღნიშნული ნაშრომის ჰიპოთეზისგან განსხვავდება. კატალონიური ნაციონალიზმის ტრანსფორმაციის მიზეზი არის ის, რომ კატალონიაში მიხედნენ, რომ ესპანეთი მიუხედავად რეგიონებისთვის ავტონომიის მინიჭებისა მაინც ცენტრისტულ სახელმწიფოდ დარჩება არ აქვს მნიშვნელობა ვინ იქნება მის სათავეში მეფე, დიქტატორი თუ დემოკრატიულად არჩეული მთავრობა. ანუ მისი აზრით კატალონიური ნაციონალიზმის ტრანსფორმაციის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ავტონომია რეგიონებისთვის ფორმალურ ხასიათს ატარებს, ესპანეთი მაინც დარჩა ცენტრისტულ სახელმწიფოდ და ეს ყველაფერი იწვევს კატალონიური ნაციონალიზმის ახალ საფეხურზე აყვანას. (Torra, 2011).

ჯეისონ სორენსი აღნიშნავს, რომ ქვეყნის გარკვეულ რეგიონში ნაციონალიზმის გაძლიერების რისკები შეიძლება რამოდენიმე იყოს: რეგიონის ცენტრისგან მნიშვნელოვანი მანძილით დაშორება, რეგიონში ეთნიკური უმცირესობის უმრავლესობაში ყოფნა, ასევე გარკვეული ეკონომიკური უფულებელყოფა ცენტრის მიერ ამ რეგიონისა (Cramer 2014, 3). კატალონია აღნიშნულ ყველა კრიტერიუმს „აკმაყოფილებს“, სწორედ ამიტომაც მოხდა ესპანეთის ამ რეგიონში ნაციონალიზმის ასე გაძლიერება.

საინტერესო აზრი აქვს კატალონიურ ნაციონალიზმთან დაკავშირებით ალბერტ ბრანჰადელს, რომლის აზრითაც ოცდამეერთე საუკუნეში დიდი მნიშვნელობა გააჩნია სალაპარაკო ენას ნაციონალიზმის განვითარებაში, არა მხოლოდ კატალონიაში არამედ

ზოგადად სხადასხვა ქვეყანაში თუ რეგიონში ნაციონალიზმის დასაყრდენი შესაძლოა გახდეს განსხვავებული სალაპარაკო ენა. მისი აზრით კატალონიური ნაციონალიზმის მთავარ მამოძრავებლად სწორედ კატალონიური ენის როლია უმთავრესი. ასევე მნიშვნელოვანია მისი აზრი იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ კატალონიურ ნაციონალიზმზე ასევე დიდ გავლენას ახდენს რეგიონში ესპანურ ენოვანი და ეთნიკურად ესპანელი მოსახლეობის არსებობაც, და თუ კატალონიაში შესაძლოა არსებობდეს ესპანეთისგან გამოყოფის მოწინააღმდეგეები სწორედ ამ ფაქტით აიხსნება ეს. (Branchadell, 2012, 2)

ნოემი ლამას-გომესი კი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ უმთავრესმა პრო-კატალონიურმა პარტიამ „Convergencia i Unio – CiU“-მ 2003 წელს დაკარგა მხარდჭერა, რეალურად ამ პერიოდში კატალონიაში მაინც ნაციონალისტურად განწყობილი მოსახლეობა იყო და საბოლოოდ მაინც მოხდა ისე, რომ 2010 წელს დაბრუნდა პარტია სათავეში და ეს უნდა მივიჩნიოთ კატალონიური ნაციონალიზმის გამოხატულებად. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა, (Llamas-Gomes, 2012, 12) ანუ 2010 წლის არჩევნები რომელზეც შემდეგ ქვეთავში იქნება საუბარი, უმთავრეს გარდამტეხ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს კატალონიურ ნაციონალიზმში.

მონსერატ გუბერნაუ უკანასკნელ წლებში, კატალონიაში სეცესიონიზმის გაძლიერების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად მიიჩნევს 2006 წელს კატალონიაში რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების ესპანეთის მიერ გაუქმებას, რაც ეხებოდა კატალონიის ავტონომიის სტატუსის გადახედვას. ავტონომიის სტატუსის გადახედვა ასევე ითვალისწინებდა კატალონიისთვის გარკვეულ ეკონომიკურ დახმარებას და ასევე კატალონიის მთავრობას თავადვე უნდა დაეწესებინა საკუთარი მოქალაქეებისთვის გადასახადები. ამ მიზეზების გამო ესპანეთმა გააუქმა რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება, შესაბამისად კატალონიური ნაციონალიზმის გაძლიერებასაც გარკვეულწილად შეუწყო ხელი. (Guibernau, 2013)

3. ძირითადი ნაწილი

3.1 კატალონიური ნაციონალიზმის ისტორიული მიმოხილვა

კატალონიური ნაციონალიზმის და უკანასკნელ წლებში განვითარებული მოვლენების შეფასებისას და კვლევისას მნიშვნელოვანია, იმ ისტორიული ასპექტების განხილვა, რამაც კატალონიაში მოახდინა ნაციონალიზმის რადიკალიზაცია და საბოლოოდ ადგილობრივი პოლიტიკური ელიტის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების მცდელობა, კატალონიური ნაციონალიზმი ვინაიდან, ისტორიული ნარატივით ხელმძღვანელობს და შესაბამისად ისტორიული დისკურსის გარეშე რთული იქნება იმ მოვლენების შეფასება, რომელიც ესპანეთის ამ რეგიონში განვითარდა უკანასკნელ წლებში. შესაბამისად, აღნიშნულ ქვეთავში განხილული იქნება კატალონიური ნაციონალიზმის ჩამოყალიბება, მისი მთავარი მახასიათებლები და შემდგომი განვითარება ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისამდე.

კატალონიის ისტორიის დასაწყისად ხშირად მერვე საუკუნეს მიიჩნევენ, როდესაც დღევანდელი კატალონიის ტერიტორია კარლოს დიდის იმპერიას შეუერთდა არაბთა ექსპანსიისგან თავდასაცავად. უკვე მეთერთმეტე საუკუნეში კატალონია ხდება დამოუკიდებელი სამეფო, ხოლო 1137 წელს კატალონიის და არაგონის სამეფოები დინასტიური ქორწინებით ერთიანდება, რამაც მნიშვნელოვნად დაასუსტა კასტილიის სამეფო, მითუმეტეს იმის ფონზე, რომ 1238 წელს ვალენსიის სამეფოც შეუერთდა გაერთიანებულ არაგონსა და კატალონიას. უკვე 1492 წელს კატალონიისა და არაგონის სამეფო კასტილიასთან ერთიანდება, ამ შემთხვევაშიც დინასტიური ქორწინების საფუძველზე. აღსანიშნავია, ისიც, რომ ვაჭრობა და ეკონომიკა საკმაოდ იყო ამ პერიოდში კატალონიის დღევანდელ ტერიტორიაზე განვითარებული. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ 1369 წელს კატალონიაში ჩამოყალიბდა „გენერალიტეტი“ იგივე მთავრობა ან თვითმართველობა, თუმცა 1640 წელს ესპანურ-ფრანგული ომის შედეგად ის საკმაოდ შესუსტდა, თუმცა ამის მიუხედავად, კატალონია მუდმივად სარგებლობდა გარკვეული ავტონომიით. მნიშვნელოვანი თარიღია 1714 წლის 11 სექტემბერი,

როდესაც კატალონია კასტილიასთან ომში დამარცხდა და ავტონომია გაუუქმდა (Payne 1971, 15). ომის შედეგად მოხდა ავტონომიის გაუქმება, იყო კატალონიური ენის შევიწროვების და კატალონიაში კასტილიური ენისა და ცხოვრების წესის შეტანის მცდელობა. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ კატალონია გახდა ესპანეთის ნაწილი, მეთვრამეტე საუკუნემდე რეგიონს არ მიეცა საშუალება ევაჭრა ესპანურ კოლონიებთან. მას შემდეგ, რაც აღნიშნული სავაჭრო შეზღუდვები გაუქმებული იქნა, რეგიონში ეკონომიკა საკმაოდ სწრაფად განვითარდა და ინდუსტრიული რევოლუციაც დაახლოებით იმავე პერიოდში მოხდა კატალონიაში როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

ამ პერიოდში იწყება კატალონიური ნაციონალიზმის ჩამოყალიბება, რომელსაც „კატალანიზმის“ სახელითაა ცნობილი. ეკონომიკის განვითარებასთან ერთად დაიწყო კატალონიური საზოგადოების და კულტურის განვითარებაც. ადგილობრივი ინტელექტუალური ელიტისთვის კატალონიური ენა იყო უმთავრესი საწყისი წერტილი, რაზეც შემდეგ უნდა მომხდარიყო კატალონიური ნაციონალიზმის განვითარება, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ კატალონიური ნაციონალიზმი საწყის ეტაპზე არ მგულისხმობდა კატალონიის ესპანეთისგან დამოუკიდებლობას, არამედ მისი მიზანი ესპანეთისგან ავტონომიის მოპოვება იყო აღნიშნული ფაქტობრივად ოცდამეერთე საუკუნემდე გაგრძელდა, სანამ მოხდა ნაციონალიზმის რადიკალიზაცია კატალონიაში.

მეცხრამეტე საუკუნის 80-იანი წლები უმნიშვნელოვანესი გამოდგა კატალონიური ნაციონალიზმისთვის. ვალენტი ალმირალმა, რომლის სახელსაც უკავშირდება კატალონიური ნაციონალიზმის ჩამოყალიბება, „კატალანიზმი“ როგორც პოლიტიკური იდეოლოგია გამოარჩია, რომლის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო კატალონიისთვის ავტონომიის მინიჭება და კატალონიური ენის აღიარება ოფიციალურად ესპანეთის მიერ. მან დაარსა გაზეთი (El Diari Catala), რომელიც კატალონიურ ენაზე გამოიცემოდა,

რომლის უმთავრესი დანიშნულებაც კატალონიური ავტონომიისთვის ბრძოლა იყო. (Payne 1971, 22)

კატალონიური ნაციონალიზმისთვის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 1887 წელს პოლიტიკური პარტიის “Lliga de Catalunya”-ს ჩამოყალიბება, რომლის ლიდერი ენრიკ პრატი იყო. აღნიშნული პარტიის იდეოლოგია ძირითადად ემთხვეოდა „კატალანიზმს“ და ისიც ზემოთ აღნიშნულ მიზნებს ემსახურებოდა. პრატმა პირველად მოიხსენია კატალონიელები, როგორც ცალკე ეთნოსი და მისი აზრითაც მთავარი ამოცანა იყო არა დამოუკიდებელი კატალონიური სახელმწიფოს ჩამოყალიბება და ესპანეთისგან გამოყოფა, რადგან ის მიიჩნევდა, რომ კატალონიელები ჯერ არ იყვნენ ამისთვის მზად და მისი აზრი რეგიონისთვის ავტონომიის მინიჭება და გარკვეული ინსტიტუტების ესპანეთისგან დამოუკიდებლად მართვა უფრო მნიშვნელოვანი იყო. ის ფიქრობდა, რომ მსგავსი მიდგომით ეკონომიკის, კულტურის და საზოგადოების განვითარება უფრო სწრაფად მოხდებოდა (Payne 1971, 23).

კატალონიური ნაციონალიზმის განვითარება მეოცე საუკუნეშიც გაგრძელდა. 1923 წელს კატალონიის სამხედრო ლიდერი გენერალი მიგელ პრიმო დე რივიერა, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა, მოახერხა ძალაუფლების ხელში ჩაგდება კატალონიაში და დაიწყო სამხედრო დიქტატურა რეგიონში. რივიერამ აქტიურად დაიწყო ანტი-კატალანისტური პოლიტიკის გატარება. ის უპირისპირდებოდა მანკომუნიდადის ჩამოყალიბებას, რომლის მიზანიც კატალონიის ავტონომიის მოპოვება იყო. ამ ყველაფრის პარალელურად კი ფრანსისკ მებხიამ - კატალონიური ნაციონალიზმისთვის მნიშვნელოვანმა ფიგურამ, ჩამოაყალიბა პოლიტიკური პარტია “Estat Catala”, რომელიც ასევე ცნობილი იყო, როგორც ტერორისტული ორგანიზაცია, რომელსაც „შავ დროშა“-საც უწოდებდნენ. აღნიშნულმა ორგანიზაციამ სცადა ესპანეთის მეფის ალფონსო XIII-ს მკვლელობა, თუმცა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა (Payne 1971, 31). აღსანიშნავია ისიც, რომ 30-იან წლებში სწორედ ალფონსო XIII-ს სურდა კატალონიისთვის ავტონომიის მინიჭება, რომლის

მიზანიც ამით ესპანეთში პოლიტიკური დაძაბულობის, თუმცა ადგილობრივმა პოლიტიკურმა და ინტელექტუალურმა ელიტამ უარი განაცხადა ავტონომიაზე, რადგან ესპანელების მიერ შეთავაზებული ავტონომია არ ემსახურებოდა მათ ინტერესებს.

მას შემდეგ რაც 1931 წელს ესპანეთში დაემხო მონარქია, რეგიონულმა მთავრობებმა და შესაბამისად, კატალონიამაც მოიპოვა ავტონომია და აღადგინა „გენერალიტეტის“ მმართველობა, რომელსაც ფრანსისკ მებია ხელმძღვანელობდა. თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელდა, მიუხედავად იმისა, რომ 1936-39 წლებში ესპანეთის სამოქალაქო ომის პირველ ხანებში კატალონიის მთავრობამ მოახერხა ძალაუფლების შენარჩუნება და რიგ შემთხვევებში გაზრდაც კი, საბოლოოდ ესპანელმა გენერალმა ფრანსისკო ფრანკომ მოახერხა გენერალიტეტის ჩამოგდება და კატალონიის ესპანეთის შემადგენლობაში დაბრუნება, რითაც ესპანეთში დაიწყო ფრანკოს სამხედრო დიქტატურა. ფრანკოს დიქტატურის ძირითადი მახასიათებელი იყო ის, რომ აქტიურად ებრძოდა ის ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას ესპანეთის ტერიტორიაზე. ამ პერიოდში ხდებოდა კატალონიელთა შევიწროვება, ათასობით კატალონიელი სიკვდილით დაისაჯა, ბევრიც დაპატიმრებულ ან გადასახლებულ იქნა ქვეყნიდან, სრულიად აიკრძალა კატალონიური ენა. ფრანკოს უმთავრესი მიზანი იყო ეროვნული ესპანური ერთობის ჩამოყალიბება, რომელსაც კასტილიურ ენაზე უნდა ესაუბრა და შესაბამისად ეროვნული იდენტობის ყოველგვარი მახასიათებელი სასტიკად იქნა აკრძალული კატალონიაში: კატალონიურ ენაზე დაწერილი წიგნები, პუბლიკაციები, სიმბოლიკები დროშა და ჰიმნი. მიუხედავად ფრანკოს მიერ გატარებული პოლიტიკისა, კატალონიაში წინააღმდეგობების აღმოფხვრა შეუძლებელი გახდა. კატალონიის გარკვეული ნაწილი მაინც ახერხებდა მოსახლეობამდე საკუთარი იდეების მიტანას სხვადასხვა მეთოდებით, ქუჩებში წარწერებით, კატალონიის დროშის საჯარო ადგილებში გამოფენით თუ „კატალანისტური“ პროკლამაციების გავრცელებით. ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა კატალონიურ კათოლიკურ ეკლესიას, რადგან ის იყო ერთადერთი ინსტიტუტი იყო მთელს რეგიონში, რომელიც ცდილობდა დაეცვა კატალონიური ენა და კულტურა. კატალონიური ნაციონალიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა

ხორდი პუიოლი, რომელიც ებრძოდა ფრანკოს რეჟიმს და მიიჩნევდა, რომ ენა და კულტურა იყო კატალონიური იდენტობის ფუნდამენტური მახასიათებელი. 1960 წელს მოხდა მისი დაკავება, იმ მიზეზით, რომ მის მიერ მოსახლეობაში ანტი-ფრანკოიზმის გავრცელება ხდებოდა (Grejsen, 2011, 8) და ციხეში ყოფნის დროსაც კი აგრძელებდა ის ბრძოლას.

ფრანკოს გარდაცვალების შემდეგ, ვითარება გაცილებით გამოსწორდა და ესპანეთი დემოკრატიზაციის გზას დაადგა, რამაც ხელი შეუწყო კატალონიური პოლიტიკური ცხოვრება უფრო და უფრო გააქტიურებას. 1978 წელს ესპანეთის ახალმა კონსტიტუციამ კატალონიას მინიჭა ავტონომია, რითაც მიიღო საკმაოდ დიდი ძალაუფლება. აღსანიშნავია ის, რომ ავტონომიის მინიჭება მოხდა არამხოლოდ კატალონიისთვის და ბასკეთისთვის, რომლებიც ითვლებოდნენ სეპარატისტულ და ნაციონალისტურად განწყობილ რეგიონებად, არამედ ესპანეთი დაიყო ჩვიდმეტ ადმინისტრაციულ ერთეულად და ყველას მიენიჭა თანაბარი უფლებები და ავტონომია. ავტონომიის მიღების შედეგად კატალონიის უმთავრესი პოლიტიკური პარტია გახდა „Convergencia i Unio – CiU“, რომელსაც სათავეში ზემოთ უკვე ნახსენები ხორდი პუიოლი ჩაუდგა, რომელიც გახდა კიდევ 1980 წლის რეგიონალური არჩევნების შედეგად კატალონიის პრეზიდენტი. CiU-ს ძირითადად კონკურენციას უწევდა კატალონიის სოციალისტური პარტია (PSC – Partits dels Socialistes del Catalunya). CiU-ს პოლიტიკის უმთავრესი მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტი სარგებლის მიღება ესპანეთისგან და გაფართოებულიყო ავტონომია და შენარჩუნებული ყოფილიყო ეროვნული იდენტობის მახასიათებლები, განსაკუთრებით კი კატალონიური ენა. სწორედ ამიტომ, 1980 წლიდან 2003 წლამდე, ხდებოდა კატალონიური ენის წახალისება, ამ პერიოდში მუდმივად CiU მართავდა რეგიონს. საპირისპიროდ სოციალისტური პარტია უფრო მეტად ესპანეთის ინტერესების გამტარებელი იყო, რომელმაც 2003 წელს დაასრულა CiU-ს 23 წლიანი მმართველობა კატალონიაში. (Grejsen, 2011, 10)

აღნიშნული პერიოდიდან უკვე იწყება კატალონიური ნაციონალიზმის ახალ ეტაპზე გადაყვანა და რადიკალიზაცია, რომლის შემდეგაც უკვე კატალონიაში მოხდა რეფერენდუმების ჩატარება და საბოლოოდ დამოუკიდებლობის გამოცხადება.

3.2 კატალონიური ნაციონალიზმის რადიკალიზაცია

ოცდამეერთე საუკუნიდან უკვე დიწყო კატალონიური ნაციონალიზმის რადიკალიზაცია და სწორედ აღნიშნული პერიოდიდან იწყება ის მოვლენები, რომელიც საბოლოოდ დამოუკიდებლობის გამოცხადების უშედეგო მცდელობით დასრულდა და ლოკალურ დონეზე ესპანეთის, ხოლო გლობალურ დონეზე ევროკავშირის სტაბილურობას შეუქმნა საფრთხე ადგილობრივმა პოლიტიკურმა ელიტამ.

კატალონიური ნაციონალიზმის რადიკალიზაციის დასაწისად შეიძლება 2010 წელი იქნეს მიჩნეული, რომლის უმთავრეს გამომხატველ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს კატალონიის ინტერესების გამტარებელი მთავარი პოლიტიკური პარტიის დაბრუნება რეგიონალური ხელისუფლების სათავეში, რომელიც რა თქმა უნდა დაგვირგვინება იყო, იმ ფაქტის, რომ კატალონიაში ნაციონალიზმი თანდათან უფრო რადიკალური გახდა. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული პარტია, სწორედ ამ არჩევნების დროს წინ იყო ყველაზე რადიკალური. საპარლამენტო არჩევნებში „Convergencia i Unio – CiU“-მ 38 პროცენტი და შესაბამისად 62 მანდატი მოიპოვა, „გენერალიტეტში“ არსებული 135 ადგილიდან. (Les eleccions: Parlament de Catalunya, 2010). „Esquerra Republicana de Catalunya – ERC“-მ ანუ კატალონიის მემარცხენე-რესპუბლიკელთა პარტიამ, რომელიც დამოუკიდებლობისთვის მებრძოლად ითვლება ხმების 7 პროცენტი მიიღო, რაც გენერალიტეტში 10 მანდატს ნიშნავდა. ERC-ს მსგავსად 10 მანდატი და 7,37 პროცენტი მიიღო კატალონიის მწვანეთა პარტიამ (Iniciativa per Catalunya Verds) (Les eleccions: Parlament de Catalunya, 2010). მწვანეთა პარტია თავისი იდეოლოგიიდან გამომდინარე

ევროპელ ხალხთა თვითგამორკვევას და შემდეგ მათ თავისუფლებას ემხრობა. ამ ხალხებში კი მოიაზრებს რა თქმა უნდა პირველ რიგში კატალონიელებს, ბასკებს, კორსიკელებს და ა.შ. რაც შეეხება კატალონიის სოციალისტურ პარტიას (PSC – Partits dels Socialistes del Catalunya), რომელიც როგორც უკვე აღინიშნა ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების ინტერესების გამტარებელია კატალონიაში არჩევნებში ხმების 18 პროცენტი და შესაბამისად პარლამენტში 28 მანდატი მიიღეს. დანარჩენი ხმები კატალონიის სხვადასხვა პარტიებზე გადანაწილდა, და აქედან აღნიშვნის ღირსია კატალონიის სახალხო პარტია (Partit Popular de Catalunya), რომელმაც ხმების 12 პროცენტი და 18 მანდატი. სახალხო პარტია არის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იუნიონისტი პარტია კატალონიაში და ის არის ესპანეთის სახალხო პარტიის რეგიონული განყოფილება. კატალონიის გენერალიტეტის პრეზიდენტად არჩეულ იქნა „Convergencia i Unio – CiU“-ს კანდიდატი არტურ მასი გავარო. საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ კატალონიური ნაციონალიზმის გამტარებელ პარტიებში არ იყო ერთიანობა, თუმცა კატალონიის ესპანეთისგან გამოყოფას შორეულ პერსპექტივაში მაინც მოიაზრებდნენ „გენერალიტეტში“ 135-დან 86 ადგილი დაიკავეს, და მიუხედავად იმისა, რომ ამ პარტიებს ფუნდამენტური განსხვავებები, მაინც მსგავსმა ფაქტმა ხელი შეუწყო კატალონიური ნაციონალიზმის კიდევ უფრო რადიკალიზაცია (Les eleccions: Parlament de Catalunya, 2010). მნიშვნელოვანია ისიც, რომ მმართველ პარტიას, დიდი ძალაუფლება მიიღო და შესაძლებელი გახდა კატალონიას უკვე ჩატარებინა რეფერენდუმები საკუთარ სტატუსთან დაკავშირებით.

თუმცა საინტერესოა, თუ რამ გამოიწვია, კატალონიური ნაციონალიზმის გაძლიერება და რადიკალიზაცია 2010 წლის არჩევნებამდე, ვინაიდან ასეთი რადიკალური შედეგის მიღება მოკლე პერიოდში არ მომხდარა. აღნიშნული უმთავრესი მიზეზი ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა გახდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, იყო კატალონიის ბიუჯეტი, რომლის ფარგლებშიც კატალონიაში ჩატარდა კიდევ რეფერენდუმი 2006 წელს და ძირითადი მოტივი იყო კატალონიას თავად ეწარმოებინა საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკა, ვინაიდან

გადასახადების სახით, კატალონიიდან გაცილებით მეტი აქტივები შედიოდა ესპანეთის ბიუჯეტში, ვიდრე შემდეგ თავად კატალონიელები იღებდნენ უკან ცენტრალური ხელისუფლებისგან (Guibernau, 2014). ესპანეთის ხელისუფლებამ ასევე შეწყვიტა სხვადასხვა სოციალური პროგრამების დაფინანსება კატალონიაში, აიწია საპენსიო ასაკი 65-დან 67 წლამდე, ასევე კატალონიელებს მიაჩნდათ, რომ ესპანეთი აფერხებდა რეგიონის ეკონომიკის კიდევ უფრო განვითარებას. აღნიშნულს წინასაარჩევნოდ კარგად იყენებდა ნაციონალიზმის იდეებით გაჟღენთილი პარტიები და პირველ რიგში „Convergencia i Unio – CiU“, რომლის ლიდერებიც არ ერიდებოდნენ პოპულისტურ განცხადებებს და მიიჩნევდნენ, რომ ესპანეთი კატალონიას ქურდავდა და აღვივებდნენ ნაციონალიზმის რადიკალიზაციას კატალონიაში (Meritxell, 2012). ასევე, მთავარი აქცენტი კეთდებოდა, იმაზე, რომ კატალონიის, როგორც ერთერთი ყველაზე მდიდარი რეგიონის, ხარჯზე ხდებოდა ესპანეთის სხვა ღარიბი რეგიონების დახმარება, რაც ასევე ხელს უწყობდა რეგიონში ნაციონალიზმის გაღვივებას.

მეორეს მხრივ, ესპანეთმა შეძლო და ჩამოაყალიბა ფედერაციული სისტემა, რომელიც კარგად მუშაობდა მეოცე საუკუნის ბოლომდე მშვიდობის და სტაბილურობის შენარჩუნებისთვის და ასევე, სწრაფი ეკონომიკური განვითარებისთვის. ესპანეთის ხელისუფლება ახერხებდა ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით ღარიბ რეგიონებსაც უპრობლემოდ შეძლებოდათ გარკვეული ფინანსური სირთულეების გადაჭრა, თუმცა ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში კატალონიაში წააწყდა ზემოთ აღნიშნულ სირთულეებს, სადაც ნაციონალისტურად განყობილმა პარტიებმა კარგად გამოიყენეს ის ფაქტი, რომ ესპანეთის ცენტრალურ ხელისუფლებას გააჩნდა ბერკეტები სრულიად ეკონტროლებოდა რეგიონების მიერ დახარჯული თანხები და ასევე გააჩნდა ექსკლუზიური უფლება აეკრიფა გადასახადები. სწორედ აღნიშნულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, კატალონიაში ოცდამეერთე საუკუნის პირველი ათწლეულის ბოლოს გამძაფრა სიტუაცია, და კატალონიელები ასე გაუკეთებეს ანალიზი ამ საკითხს: რეგიონი რომელიც ბიუჯეტში ერთ-ერთი უმსხვილესი გადამხდელია და 7,5 მილიონიანი მოსახლეობა ყავს თავადაც შეუძლია გადაჭრას საკუთარი ფინანსური

პრობლემები. ხშირად ასეთი განცხადებები კი ნაციონალისტური იდეების მატარებელიცაა, რომ კატალონიას თავისუფლად შეუძლია საკუთარი სახელმწიფოს შექმნა (Garcia-Mila, Mcguire, 2014). 2010 წლის არჩევნები კი სწორედ აღნიშნულის დაგვირგვინება გახდა, რომელმაც უკვე საფუძველი მოუმზადა კატალონიური ნაციონალიზმის კიდევ უფრო რადიკალიზაციას, 2014 და 2017 წლების რეფერენდუმებს და საბოლოოდ დამოუკიდებლობის გამოცხადებას, რომელიც უშედეგო აღმოჩნდა.

3.3 კატალონიის დამოუკიდებლობის მცდელობა და შიდა პოლიტიკური სიტუაცია (2014-2017)

ნაშრომითვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს წარმოადგენს და კატალონიაში ნაციონალიზმის კიდევ უფრო რადიკალიზაციას უკავშირდება ორი მნიშვნელოვანი მოვლენა, კატალონიის 2014 და 2017 წლების რეფერენდუმები და შემდეგ უკვე ამის საფუძველზე დამოუკიდებლობის გამოცხადება, რომლებიც, რა თქმა უნდა, კავშირშია ერთმანეთთან ისევე, როგორც ზემოთ მოყვანილი თითოეული მოვლენა პირდაპირ თუ ირიბად. ასევე, აღნიშნულ რეფერენდუმებთან და დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან ერთად, ვერ მოხდება ესპანეთის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებთან გვერდის ავლა, რომლის მიხედვითაც ორივე რეფერენდუმი და დამოუკიდებლობის გამოცხადებაც უკანონოდ ჩაითვალა, ვინაიდან როგორც უკვე აღინიშნა ესპანეთის 1978 წლის კონსტიტუციით ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის საკითხი უნდა გაირკვეს რეფერენდუმით და უნდა ჩატარდეს მთელი ქვეყნის მასშტაბით და არა ერთ კონკრეტულ რეგიონში.¹

¹ ვინაიდან, ესპანეთის უზენაესმა სასამართლომ უკანონოდ ცნო 2014 და 2017 წლების რეფერენდუმები, ნაშრომში გამოყენებული სიტყვა „რეფერენდუმი“ განმარტავს აღნიშნულ ორ მოვლენას, რომ არ მოხდეს მოვლენების არევა და არ ემსახურება აღნიშნული ორი მოვლენის ლეგიტიმაციას.

დამოუკიდებლობის რეფერენდუმების ჩატარების მცდელობა მანამდეც იყო კატალონიაში 2009-2011 წლებში, რომელსაც დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი სხვადასხვა პარტიები ხელმძღვანელობდნენ, თუმცა მიუხედავად დადებითი შედეგისა, ამ ეგრეთ წოდებულ რეფერენდუმებზე აქტივობა ძალიან დაბალი იყო.

კატალონიაში 2014 წლის 9 ნოემბერს გაიმართა პირველი რეფერენდუმი, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო კატალონიელთა მიერ საკუთარი თვითგამორკვევის შესახებ აზრის დაფიქსირება, კატალონიის პოლიტიკური მომავლის განსაზღვრა და სურდათ თუ არა კატალონიელებს რეგიონი სუვერენული სახელმწიფო გამხდარიყო (Gyldenkerne, 2014). მას შემდეგ, რაც ესპანეთის კონსტიტუციურმა სასამართლომ უკანონოდ ცნო რეფერენდუმი, კატალონიის მთავრობამ რეფერენდუმის ნაცვლად „გამოკითხვის პროცესის“ სტატუსი მიანიჭა აღნიშნულ პროცესს. გამოკითხვა შედგებოდა ორი მთავარი შეკითხვისგან, რომლებიც იყო, სურდათ თუ არა მოქალაქეებს კატალონია გამხდარიყო სახელმწიფო და პირველ შეკითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, პასუხი უნდა გაეცათ სურდათ თუ არა, რომ კატალონია გამხდარიყო დამოუკიდებელი სახელმწიფო. რეფერენდუმში მონაწილეთა რაოდენობამ 2,3 მილიონი შეადგინა, რაც გულისხმობდა 37 პროცენტთან აქტივობას, ხოლო რაც შეეხება გამოკითხვის შედეგებს თითქმის 81 პროცენტმა ორივე შეკითხვას დადებითად გასცა პასუხი, რაც ნიშნავდა იმას, რომ 81 პროცენტს სურდა კატალონია გამხდარიყო დამოუკიდებელი სახელმწიფო. როგორც ზემოთ აღინიშნა, 2010 წლის არჩევნებში კატალონიური ნაციონალიზმის რადიკალიზაციის შემოქმედმა პარტიებმა ჯამში მიიღეს 86 მანდატი, და ამ პარტიებიდან ორი ედგა სათავეში 2014 წლის რეფერენდუმს. „Convergencia i Unio – CiU“-ს და კატალონიის მემარცხენე რესპუბლიკელთა პარტიის - ERC-ს ინიციატივით „გენერალიტეტმა“ 2012 წელს მოახდინა მისი რატიფიცირება და ამ რეფერენდუმის დაგეგმვა (Castro, 2014). გენერალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ კატალონიელ ხალხს ქონდათ უფლება თავისუფლად და დემოკრატიულად გადაეწყვიტათ საკუთარი მომავალი რეფერენდუმზე. პარლამენტში აღნიშნულ იდეას მხარი 85-მა წევრმა დაუჭირა 41-ის წინააღმდეგ. რეფერენდუმის ჩატარება „Convergencia

i Unio – CiU”-ს ერთ-ერთ წინასაარჩევნო დაპირებას წარმოადგენდა და მისი ჩატარებით გაიხანგრძლივა მთავრობის ხელმძღვანელობა არტურ მასმა. საგულისხმოა ისიც, რომ ყველაზე ძლიერი ნაციონალისტური პოლიტიკური პარტია „Convergencia i Unio – CiU“ განიხილავს არა მხოლოდ ესპანეთისგან სეცესიას, არამედ კონფედერაციას ესპანეთთან ერთად. მიშვნელოვანი მოვლენა მოხდა ასევე 2013 წლის დასაწყისში, 23 იანვარს, როდესაც კატალონიის „გენერალიტეტი“ „სუვერენიტეტის დეკლარაციას და კატალონიელი ხალხის უფლებას თავად გადაეწყვიტა საკუთარი მომავალი“ დაუჭირა მხარი (Jones, 2017). 2013 წლის ბოლოს კი, კატალონიის ნაციონალისტურად განწყობილმა პარტიებმა მიაღწიეს შეთანხმებას რეფერენდუმის თარიღზე, 2014 წლის 9 ნოემბერი, რეფერენდუმზე არსებული შეკითხვების ფორმულირებებზე, რომელზეც ზემოთ უკვე იქნა აღნიშნული და ასევე თუ ვინ მიიღებდა მონაწილეობას მასში. 2014 წლის რეფერენდუმში მონაწილეობა შეეძლებოდათ, მინიმუმ 16 წლის ასაკის მოქალაქეებს, რომლებიც შემდეგ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ: რომლებიც იყვნენ ესპანეთის მოქალაქეები და ცხოვრობდნენ კატალონიის რეგიონის ტერიტორიაზე და მოქალაქეები, რომლებიც ცხოვრობდნენ კატალონიის ფარგლებს გარეთ, თუმცა გარკვეული კავშირი გააჩნდათ კატალონიასთან. ასეთი მოქალაქეების რიცხვი კი, დაახლოებით 6 მილიონს წარმოადგენდა. როგორც უკვე აღინიშნა ესპანეთის პოლიტიკური სისტემით აღნიშნული რეფერენდუმი ჩაითვალა უკანონოდ, თუმცა, 9 ნოემბერს მაინც ჩატარდა მოქალაქეთა გამოკითხვის სახელით. ესპანეთის უზენაესმა სასამართლომ უკანონოდ 2013 წლის 23 ცნო სუვერენიტეტის დეკლარაციაც. ხოლო ესპანეთის პრემიერ მინისტრის, მარიანო რაიოს განცხადებით ასეთი რეფერენდუმი არ ჩატარდებოდა და მისი მცდელობაც კი ჩაითვლებოდა უკანონოდ (Jones, 2017). კატალონიის „გენერალიტეტი თავის მხრივ, ყოველგვარ ინსტრუმენტს იყენებდა, რომ მოეხდინა რეფერენდუმის და მისი შემდეგი მოვლენების ლეგიტიმაცია დიალოგის საშუალებით, რომელიც ასევე „გენერალიტეტი“ დაამტკიცა 2014 წლის დეკემბერში, იმ შემთხვევაში თუ კატალონიის რეფერენდუმი დადებითად დასრულდებოდა, თუმცა,

ესპანეთის შიდა პოლიტიკური სისტემის ფონზე მცდელობა განუხორციელებელი გამოდგა.

რაც შეეხება რეფერენდუმის შედეგებს, როგორც უკვე აღნიშნა 2,3 მილიონმა ადამიანმა მიიღო რეფერენდუმში მონაწილეობა და 81-მა პროცენტმა ხმა კატალონიის დამოუკიდებელ სახელმწიფოს მისცა ხმა, აქტივობამ კი 37 პროცენტი შეადგინა. ესპანეთის მთავრობის აზრით დიდი შეცდომა იყო აღნიშნული რეფერენდუმის ჩატარება, იმის გათვალისწინებითაც რომ კატალონიის მოსახლეობის ორმა მესამედმა საერთოდ არც მიიღო მონაწილეობა მასში, ხოლო არტურ მასის წინააღმდეგ სასამართლოს მოუწოდა გამოძიების დაწყება, ეს ასეც მოხდა და მის და კატალონიის მთავრობის სხვა წევრებზე აღიძრა საქმე სამოქალაქო დაუმორჩილებლობის საფუძველზე. საბოლოოდ, არტურ მასს 2017 წლის თებერვალში დაედო მსჯავრი და 2 წლით მოიკვეთა პოლიტიკური აქტივობიდან (Mowat, 2017).

ფაქტია, რომ ესპანეთის შიდა პოლიტიკურმა სისტემამ 2014 წლის რეფერენდუმის ჩატარებისთვისთვის ყოველგვარი ინსტრუმენტი მოუსპო კატალონიის მთავრობას და შესაბამისად, მათი ყოველგვარი ქმედება გამოაჩინა, როგორც სეპარატიზმი და არა როგორც თვითგამორკვევა. შესაბამისად, კატალონიის მთავრობის ქმედებები, რომ მომხდარიყო აღნიშნული გამოკითხვის და მის წინ არსებული მოვლენების ლეგიტიმაცია და ამის საფუძველზე ესპანეთთან გარკვეულ მოლაპარაკებებზე წასვლა უშედეგო აღმოჩნდა. კატალონიის მთავრობის ლიდერის ქმედებები შეფასდა, როგორც დაუმორჩილებლობა, სეპარატიზმის მცდელობა, სტაბილურობის დარღვევა და ა.შ. თუმცა, მიუხედავად ამისა, კატალონიის ხელისუფლებამ კვლავ გააგრძელა მსგავსი პოლიტიკა, რასაც უკვე 2017 წლის რეფერენდუმი მოჰყვა.

2017 წლის რეფერენდუმი ცნობილია დამოუკიდებლობის რეფერენდუმის სახელით. აღნიშნული მოვლენის დაგეგმვა უკვე 2015 წლიდან დაიწყო, როდესაც კატალონიაში რეგიონალური საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა და კვლავ ნაციონალისტურმა პარტიებმა გაიმარჯვეს. აღნიშნული პარტიები გაერთიანებულ კოალიციაში

გაერთიანდნენ და ჩამოაყალიბეს პარტია Junts Pel Si, რომლის მთავარი მიზანიც უკანასკნელ წლებში არსებული პოლიტიკის გაგრძელება იქნებოდა. კოალიციაში გაერთიანებულები იყვნენ „Convergencia i Unio – CiU“, კატალონიის მემარცხენე-რესპუბლიკელთა პარტია - ERC, კატალონიელი დემოკრატები - DC და მემარცხენე მოძრაობა. არტურ მასი ლიდერობდა კოალიციას, თუმცა მასე შემდეგ, რაც მას ორი წლით აეკრძალა პოლიტიკური საქმიანობა, კოალიციას სათავეში კარლეს პუჩემონტი ჩაუდგა, რომელიც 2016 წლის 10 იანვარს გახდა კატალონიის 130ე პრეზიდენტი და რომლის სახელსაც უკავშირდება კატალონიის 2017 წლის რეფერენდუმის ჩატარება და შემდეგ უკვე დამოუკიდებლობის გამოცხადებაც.

სწორედ 2015 წლის რეგიონული საპარლამენტო არჩევნების დროს, კოალიციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დაპირება იყო ის, რომ კატალონიაში ჩატარდებოდა დამოუკიდებლობის რეფერენდუმი 2017 წელს, 2014 წლის უკვე აღწერილი რეფერენდუმის საფუძველზე.

საბოლოოდ 2017 წლის სექტემბერში მოხდა კატალონიის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის დაგეგმვა. პირველი შეკითხვები კატალონიის რეფერენდუმის ჩატარებისას საარჩევნო პროცესმა გამოიწვია. ესპანეთში ყოველგვარ საარჩევნო პროცესებს ხელმძღვანელობს ესპანეთის მთავრობა, შესაბამისად არჩევნებისთვის განკუთვნილ ყოველგვარ პროცედურებს და საჭიროებებს უზრუნველყოფს ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლება. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ კატალონიის რეგიონულმა მთავრობამ საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტა უზენაესი სასამართლოს მიერ უკანონოდ მიჩნეული რეფერენდუმის ჩატარება, ამ ფაქტითაც მოაკლდა ლეგიტიმაცია რეფერენდუმს. ასევე კატალონიის პროკურატურა დაინტერესდა იმ ფინანსური ხარჯებით, რაც რეფერენდუმის ჩატარების პროცესისთვის იყო საჭირო, ვინაიდან პროცესი არ იყო სანქცირებული ესპანეთის ხელისუფლებისგან. შესაბამისად, პროცესებზე გაწეული ყველა ხარჯი შესაძლოა ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვა. თუმცა საბოლოოდ გამოიკვეთა, რომ საარჩევნო პროცედურები არ იყო დაფინანსებული

ბიუჯეტიდან, თუ საიდან მოხდა მისი დაფინანსება დღესაც მიმდინარეობს ამაზე გამოძიება. ასევე, შედეგების აღრიცხვა არ მოხდა ცენტრალურ ხელისუფლებაზე დაქვემდებარებული სტატისტიკის ბიუროს მიერ და შესაბამისად მისი ლეგიტიმაცია ამანაც დააყენა ეჭვქვეშ. ეს ფაქტორები რეფერენდუმის ჩატარებამდეც იყო ცნობილი კარლეს პუჩემონტისთვის, თუმცა ის რეფერენდუმის საკითხზე იყო შეუვალი და რეფერენდუმი მაინც ჩატარდებოდა მისი თქმით, ხოლო როდესაც ესპანეთის უზენაესმა სასამართლომ 2017 წლის 7 სექტემბერს უკანონოდ სცნო რეფერენდუმის ჩატარების შესახებ კატალონიის „გენერალიტეტის“ მიერ მიღებული გადაწყვეტილება, პროცესებში მონაწილეობა შეეზღუდა და აკრძალა კატალონიის ხელისუფლების წარმომადგენლების ნაწილს, მედიის და კატალონიის მუნიციპალიტეტების უმრავლესობას მონაწილეობა მიეღოთ რეფერენდუმის ორგანიზების პროცესში. 948 მუნიციპალიტეტიდან ჯამში 726-მა უპასუხა ამ აკრძალვას, რომელთაგანაც 682 მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით რეფერენდუმს მხარს დაუჭერდნენ მაინც. თუმცა, დიდმა ქალაქებმა, ან არ დაუჭირეს მხარი რეფერენდუმს, ან კიდევ საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ განცხადება კონკრეტულად არ დაუფიქსირებიათ.

რეფერენდუმის ჩატარებამდე კიდევ რამოდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა. ორგანიზების პროცესში ხელისუფლების 14 წევრის დააკავა ესპანეთის სამოქალაქო გვარდიამ და პოლიციამ, ასევე, პოლიცია შეიჭრა იმ ორგანიზაციებში, რომლებიც საარჩევნ ბიულეტენებს ბეჭდავდნენ, რასაც მოსახლეობისგან წინააღმდეგობა მოჰყვა და მასობრივი პროტესტი. კატალონიელების მოთხოვნა იყო გათავისუფლებულიყვნენ დაკავებულები და ასევე მომხდარიყო რეფერენდუმის მშვიდობიან გარემოში ჩატარება. აღსანიშნავია, რომ კატალონიის პოლიცია მოთხოვნის მიუხედავად არ დაეხმარა ამ პროცესების დროს ესპანეთის პოლიციას, შესაბამისად, პროცესების დასრულების შემდეგ მათზეც დაიწყო გამოძიება.

ნაშრომისთვის მნიშვნელოვანი ნაწილია ესპანეთის ხელისუფლების ქმედებები, რეფერენდუმის ჩატარების დაგეგმვისა და განხორციელების დროს. მიუხედავად, იმისა,

რომ ესპანეთის პოლიციამ გარკვეულ შემთხვევებში გადააჭარბა საკუთარ უფლება-მოვალეობებს, მათი ქმედებები მაინც შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმურად, რადგან კატალონია ამ ეტაპზე ესპანეთის შემადგენლობაში იმყოფება და შესაბამისად, თვითგამორკვევამ არ უნდა მიიღოს სეპარატიზმის სახე. კატალონიის ხელისუფლება რეფერენდუმის ჩატარებამდე არღვევდა ესპანეთის კონსტიტუციას, ასევე, უარყო ესპანეთის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება და ასევე, კატალონიის სამთავრობო ერთეულები არ ემორჩილებოდნენ ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების მოთხოვნებს ხშირ შემთხვევებში. მეორეს მხრივ, კატალონიაში სახელისუფლებო დონეზე, იმდენად ღრმად იყო გამჯდარი დამოუკიდებლობის მოპოვების იდეა, რო ხშირ შემთხვევაში ვერ მოხდა მოვლენების სწორად შეფასება მათ მიერ, მაგრამ პროცესების მიმდინარეობა აჩვენებს ერთ ფაქტს, რომ წლიდან წლამდე კატალონიაში ნაციონალიზმი უფრო და უფრო მწვავე ხდება, ესპანეთს კი უწევს უფრო და უფრო ძლიერი ინსტრუმენტებით დაუპირისპირდეს კატალონიის თვითგამორკვევას.

რაც შეეხება უშუალოდ რეფერენდუმის ჩატარებისას მიმდინარე პროცესებს, როგორ უკვე აღინიშნა, რეფერენდუმი 2017 წლის 1 ოქტომბერს დაანონსდა კატალონიის ხელისუფლების მიერ, 22 სექტემბერს კი, ესპანეთის უზენაესმა სასამართლომ „გენერალიტეტის“ ეს გადაწყვეტილებაც უკანონოდ ცნო და კატალონიის რეგიონალურ საარჩევნი კომისიას აეკრძალა პროცესებში მონაწილეობა. რაც შეეხება შეკითხვას, კატალონიელებს პასუხი უნდა გაეცათ შემდეგზე, სურდათ თუ არა კატალონია გამხდარიყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელსაც რესპუბლიკის ფორმა ექნებოდა. რეფერენდუმში მონაწილეობა შეეძლო 18 წელს გადაცილებულ კატალონიაში მცხოვრებ პირს და ასევე საზღვარგარეთ მცხოვრებ ესპანეთის მოქალაქეებს, რომელთაც კატალონიაში ცხოვრების მოწმობა გააჩნდა. საარჩევნო პროცესებში ჩაერთო საერთაშორისო დამკვირვებლებიც, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან დაახლოებით ასამდე ექსპერტი აკვირდებოდა ექსპერტებს, თუმცა ესპანეთის ეროვნული გვარდიის

ქმედებებიდან გამომდინარე, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რომ ჩაშლილიყო გამოკითხვის პროცესი, საერთაშორისო დამკვირვებლების დასკვნით რეფერენდუმის შედეგები ვერ ჩაითვლებოდა ვალიდურად, რადგან საერთაშორისო სტანდარტების მინიმალური კრიტერიუმებიც კი ვერ დააკმაყოფილა პროცესებმა. პოლიციის მიერ ხშირად ხდებოდა საარჩევნო ბლოკების დარბევა, ხალხისთვის მოწოდება დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი არჩევნებზე და ასევე საარჩევნო ყუთების გატაცებაც. კატალონიის მთავრობის ცნობით პოლიციის ქმედებების გამო ჯამში 1000-მდე ადამიანი დაშავდა. აღნიშნულმა პროცესებმა მნიშვნელოვნად შეარყია, ამ რეფერენდუმის ვალიდურობა, თუნდაც მისი არალეგიტიმურობის ფარგლებშიც. კატალონიის რეგიონული მთავრობის მონაცემებით 2017 წლის დამოუკიდებლობის რეფერენდუმს ჯამში დაახლოებით 2,3 მილიონამდე ამომრჩეველი დაესწრო, რომელთა 92მა პროცენტმა დააფიქსირა, რომ სურდათ დამოუკიდებელი სახელმწიფო გამხდარიყო კატალონია და მას ჰქონოდა რესპუბლიკის სახე, რეფერენდუმზე კი აქტივობა 43 პროცენტს მიაღწია, თუმცა, გაკეთდა ასეთი დასკვნაც, რომ ესპანეთის გვარდიის და პოლიციის შემავიწროვებელი ქმედებების არ არსებობის შემთხვევაში, რეფერენდუმზე აქტივობა გაცილებით მაღალი იქნებოდა. ესპანეთის ხელისუფლებამ მიერ კატალონიელთა შევიწროვება რეფერენდუმის შემდეგაც გაგრძელდა, როდესაც ხმის დამთვლელი პროგრამების დაბლოკვა მოხდა, ასევე ესპანურ მედიაში გავრცელდა ცნობები, რომ ერთ მოქალაქეს შეეძლო რამდენჯერმე მიეცა ხმა არჩევნებში, ასევე სხვა მრავალი დარღვევის შესახებ აკეთებდა აქცენტს ადგილობრივი მედია. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ესპანეთის ხელისუფლების წარმომადგენლები განცხადებებს აკეთებდნენ რეფერენდუმის სხვადასხვა დეტალებზე და დარღვევებზე ასევე იმ ფაქტზე, რომ აქტივობა მხოლოდ 43 პროცენტი იყო, რის გამოც შედეგებს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ, როცა რეფერენდუმი ისედაც არალეგიტიმურად იყო მიჩნეული სასამართლოს მიერ და მსგავსი სახის განცხადებების საჭიროება აღარ იყო.

კატალონიის რეგიონალურმა მთავრობამ, პუჩემონტის ხელმძღვანელობით, ლეგიტიმურად აღიარა რეფერენდუმის შედეგები და დაიწყო შემდეგი პროცესების

განვითარება, რაც მოიაზრებდა კატალონიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას. პუჩემონტის გადაწყვეტილებით, შედეგების გამოცხადებიდან ერთ კვირაშივე დაიწყებოდა შემდეგი აქტივობები. 10 ოქტომბერს კარლეს პუჩემონტის გამოსვლისას კატალონიის „გენერალიტეტში“, მან განაცხადა, რომ რეფერენდუმის შედეგები იყო ლეგიტიმური და შესაბამისად, მიიჩნევდა, რომ კატალონია უნდა გამხდარიყო დამოუკიდებელი სახელმწიფო რესპუბლიკის სახით და მოუწოდა პარლამენტს მიეღო დამოუკიდებლობის აქტი. ცენტრალური ხელისუფლების ქმედებებმაც არ დააყოვნა და პუჩემონტს მოთხოვეს აეხსნა, თუ რას გულისხმობდა ის აღნიშნული განცხადებით და ნიშნავდა, თუ არა ეს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ასევე ესპანეთის სოციალისტ მუშათა პარტიას დაავალა პირდაპირი კონტროლი დაემყარებინა კატალონიაზე და გაეტარებინა ყველა საჭირო რეფორმა. კარლეს პუჩემონტის განცხადებით კი, მისი გამოსვლით კატალონია დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა უახლოეს დღეებში, რაც საბოლოოდ ასეც მოხდა, 2017 წლის 27 ოქტომბერს, მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთმა მას მოთხოვნა წაუყენა გაეუქმებინა თავისი გადაწყვეტილება, „გენერალიტეტმა“ მხარი დაუჭირა 70 ხმით 10-ის წინააღმდეგ კატალონიის დამოუკიდებლობას, ოპოზიციის ნაწილმა კი პროტესტი გამოუცხადა გენერალიტეტს. ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების პასუხი კი იყო ის რომ, ამოქმედა კონსტიტუციის 155 მუხლი, რომლის მიხედვითაც პირდაპირი კონტროლი დაამყარა კატალონიის რეგიონზე. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლება ხისტი არ ყოფილა ამ გადაწყვეტილების მიღებისას და პუჩემონტის ხელისუფლებას შესთავაზეს კიდევ გაეუქმებინა ეს გადაწყვეტილება და დანიშნულიყო რიგგარეშე რეგიონალური საპარლამენტო არჩევნები.

საბოლოოდ, აღნიშნული მოვლენები კარლეს პუჩემონტის გაქცევით დასრულდა და ესპანეთმა კონსტიტუციის 155 მუხლის საფუძველზე პირდაპირი კონტროლი დაამყარა კატალონიაზე. ესპანეთის პროკურატურამ კი, დაიწყო გამოძიება კატალონიელი ოფიციალური პირების საწინააღმდეგოდ და გამოძიება ეხლაც მიმდინარეობს. უკვე არალეგიტიმურმა „გენერალიტეტმა“ პუჩემონტს საპატიო პრეზიდენტის წოდება

მიანიჭა. მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთმა შეძლო და 2017 წლის ბოლოს გარკვეულწილად ჩაახშო კატალონიური ნაციონალიზმის გამოვლინება, მაინც რთულ მოვლენასთან აქვს საქმე როგორც ესპანეთის ხელისუფლებას, ასევე, ევროკავშირს, რადგან ფაქტია, 2014-2017 წლებში კატალონიაში განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნა. ნაშრომის შემდეგ ქვეთავებში დეტალურად განხილული იქნება ესპანეთის შიდა პოლიტიკური სისტემა, რამაც მოახერხა და კატალონიის ხელისუფლების ქმედებები სეპარატიზმის ჭრილში გადაიყვანა და არ მისცა საშუალება პროცესების ლეგიტიმაციისთვის, რამაც შესაბამისად, ვერ პოვა მხარდაჭერა ვერც ევროკავშირის ინსტიტუტებში და წევრ სახელმწიფოებში, მხოლოდ ერთი ნაწილის გარდა, რაც მოიაზრებს ესპანეთის ეროვნული გვარდიის და პოლიციის ქმედებებს კატალონიაში და ამ შემთხვევაშიც გაკვრით მოხდა ესპანეთის ხელისუფლების გაკრიტიკება, რომ მომხდარიყო მშვიდობიან ფორმატში და დიალოგის რეჟიმში პროცესის დასტაბილურება. აღნიშნული დეტალურადაა აღწერილი ნაშრომის შემდეგ ქვეთავებში.

3.4. ესპანეთის შიდა პოლიტიკური სისტემა

ესპანეთის პოლიტიკურ სისტემაზე ნაშრომის წინა ქვეთავში, გარკვეული წარმოდგენები შეიქმნა. ესპანეთის პოლიტიკური ელიტა მრავალი ინსტრუმენტით დაუპირისპირდა კატალონიის მთავრობას, პირველ რიგში რეფერენდუმების ხელის, ხოლო შემდეგ კი უკვე დამოუკიდებლობის გამოცხადების ხელის შეშლისთვის. ესპანეთის მიერ გამოყენებულმა ინსტრუმენტებმა კატალონიის გენერალიტეტის ქმედებები მოაქციეს სეპარატიზმის გამოვლინების ჩარჩოებში და არა თვითგამორკვევის მიმართულებით. ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლო, ხელისუფლება, როგორც წინა თავში აღინიშნა, 2014 და 2017 წლების რეფერენდუმებისას ყოველ მეთოდს იყენებდა, რომ კატალონიელთა ქმედებების

დემონიზაცია მოეხდინა. ყველაზე მთავარი ინსტრუმენტი კი რომელიც ესპანეთს გააჩნია ეს არის ესპანეთის 1978 წლის კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი რეგიონის მცდელობა, გარკვეული ცვლილებები მოახდინოს თავისი რეგიონალური მთავრობის ნებით საკუთარ სტატუსზე. აღნიშნული მუხლების, რომელიც დეტალურად იქნება განხილული ამ ქვეთავში, კონსტიტუციაში ჩადება, ერთგვარი პრევენციის სახედ შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან ფრანკოს პერიოდში და მანამდეც ხშირად ყოფილა ნაციონალიზმის გამოვლინების შემთხვევები კატალონიაში და შესაბამისად ესპანეთის დემოკრატიზაციის პროცესში და ახალი კონტიტუციის მიღებისას შესაძლო განწყობები გათვალისწინებული იქნა და შედმეგ კარგადაც იქნა გამოყენებული უკანასკნელი წლების მოვლენებისას, რომელიც კატალონიაში განვითარდა.

ესპანეთის კონსტიტუციით, ქვეყანა დაყოფილია ჩვიდმეტ ადმინისტრაციულ ერთეულად და ყველა რეგიონს თანაბარი უფლებები აქვთ, მცირე გამონაკლისების შემთხვევაში, მაგალითად კატალონიის რეგიონს გაცილებით უფრო დიდი ეკონომიკური თავისუფლება და თვითმართველობა გააჩნია ვიდრე სხვა რეგიონებს, ასევე ბასკეთის რეგიონიც გარკვეული სტატუსით და უფლებებით სარგებლობს ესპანეთის ფარგლებში, რომელიც კატალონიის მსგავსად ასევე ითვლება ესპანეთის ნაციონალისტურად განწყობილ რეგიონად, თუმცა ბასკეთში პირიქით ნაციონალიზმი თანდათან უფრო შერბილდა 80იანი წლების შემდეგ. კატალონიური და ბასკური ნაციონალიზმი განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, კატალონიური, როგორც უკვე აღინიშნა უფრო მეტად მიმართული ფართო ავტონომიის მოპოვებისკენ, ბასკური კი საპირისპიროდ გაცილებით უფრო რადიკალური იყო და თავიდანვე განიხილებოდა ესპანეთისგან გამოყოფის შესაძლებლობა. (Payne 1971, 39) თუმცა ოცდამეერთე საუკუნეში ბასკური ნაციონალიზმი აღარ არის ისეთი რადიკალური.

ესპანეთის კონსტიტუციის მერვე თავში, რომელიც ესპანეთის ტერიტორიულ მოდელს ეხება გათვალისწინებულია ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი, რომლის მიხედვითაც, თუ რომელიმე რეგიონის თვითგამორკვევის საკითხი დგება დღის წესრიგში და

გარდაუვალია გადაწყვეტილების მიღება, ესპანეთის ხელისუფლება, უზენაესი სასამართლოს დასკვნით იღებს გადაწყვეტილებას, ჩატარდეს რეფერენდუმი მთელი ქვეყნის მასშტაბით, ვინაიდან ესპანეთის 1978 წლის კონსტიტუციით აღიარებულია, რომ ქვეყნის ინტერესები და ტერიტორიული მთლიანობა უფრო მაღალ დონეზე დგას, ვიდრე ერთი კონკრეტული რეგიონის, შესაბამისად მთელი ქვეყნის მოსახლეობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მისცეს თუ არა კონკრეტულ რეგიონს თვითგამორკვევის უფლება, შესაბამისად სხვა შემთხვევაში, როდესაც რეგიონი არ ემორჩილება კონსტიტუციას, უზენაეს სასამართლოს და საკუთარი ნებით ატარებს რეფერენდუმს დგება საკითხი, რომ რეგიონში არის სეპარატიზმის საფრთხე და უკვე ამოქმედდება ესპანეთის 1978 წლის კონსტიტუციის 155 ნაწილი, როლის მიხედვითაც თუ თვითმართველი რეგიონი არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, რომელიც კონსტიტუციით ან სხვა კანონით აქვს, ან რეგიონის ქმედებები ეწინააღმდეგება ესპანეთის ინტერესებს, ასეთ შემთხვევაში ესპანეთის ხელისუფლებას შეუძლია აამოქმედოს ყველა შესაძლო საშუალება, რომ შესრულდეს რეგიონის მიერ ვალდებულება და დაკმაყოფილდეს ქვეყნის ინტერესები. (La Elaboracion de la Constitucion) შესაბამისად, 2017 წლის 27 ოქტომბერს აღიარებული დამოუკიდებლობის შემდეგ სწორედ ეს პუნქტი აამოქმედა ესპანეთის ხელისუფლებამ და პირდაპირი კონტროლი დაამყარა კატალონიაზე, სანამ რიგგარეშე არჩევნები ჩატარდა და ასევე მოხდა ქვეყნიდან კარლეს პუჩემონტის გაქცევა. ყველა საშუალების გამოყენებაში ასევე იგულისხმება ყველა ის მეთოდი, რაც ესპანეთმა გამოიყენა კატალონიის რეფერენდუმების და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ: ძალოვანი სტრუქტურების გამოყენება რეფერენდუმის ჩასაშლელად, დევნის და გამოძიების დაწყება კატალონიელი მაღალი დონის პირების წინააღმდეგ, ესპანეთის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, კონსტიტუციის 155 მუხლის ამოქმედება და ა.შ. აღნიშნულმა ყველა დეტალმა საბოლოოდ გამოიწვია ის, რომ კატალონიის მთავრობის ქმედებები ჩაითვალა სეპარატიზმად და არა თვითგამორკვევად და შესაბამისად მცდელობა დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ წარუმატებელი აღმოჩნდა.

შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომის აღნიშნულ ქვეთავში, ჩანს, რომ ურთულესია ესპანეთის ნებისმიერი რეგიონის მცდელობა, საკუთარი სტატუსი გადაწყვიტოს თავად არ ჩაითვალოს სეპარატიზმად, თუ ამას ცენტრალური ხელისუფლება მოინდომებს, ვინაიდან იმ კონკრეტულ მომენტში, როდესაც კატალონიელებმა მოინდომეს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის წამოწყება არარაციონალური აღმოჩნდა იმდენად, რამდენადაც არ არსებობდა შესაძლებლობების ფანჯარა ამ სურვილის რეალობაში განსახორციელებლად, ესპანეთმა ჩათვალა ქვეყნის ინტერესების და საკუთარი სტაბილურობის დარღვევად კატალონიელთა ქმედება, რაც ნამდვილად ასე იყო ლოკალურ დონეზე და შესაბამისად არ მისცა კატალონიის რეგიონალურ ხელისუფლებას მიეღწია ამ შედეგისთვის. შემდეგ ქვეთავში კი უკვე განხილული იქნება, თუ რატომ არ დაუჭირა ევროკავშირმა კატალონიელთა თვითგამორკვევას - ესპანეთის შიდა პოლიტიკური სისტემით სეპარატიზმად ქცეულს, მხარი.

3.5 ევროკავშირის გამოწვევები და პოზიცია კატალონიის დამოუკიდებლობის მცდელობაზე

როგორც უკვე აღინიშნა, რაც შეეხება ევროკავშირის პოზიციას, აღნიშნული სუპრანაციონალური ორგანიზაციის მთავარმა ინსტიტუტებმა და წევრმა სახელმწიფოებმა არ დაუჭირეს მხარი კატალონიის დამოუკიდებლობის მცდელობას, რამდენიმე ფაქტორის გამო: პირველ რიგში, ევროკავშირის როგორც რეგიონალური ორგანიზაციის სტაბილურობისთვის მსგავსი შემთხვევა ჩაითვალა საფრთხედ, ხოლო მეორეს მხრივ, უკვე არსებული გამოწვევების გამო, რომლებიც იყო ერთის მხრივ, დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის პროცედურების დაწყების, ხოლო მეორეს მხრივ, აღმოსავლეთ ევროპაში რადიკალური მემარჯვენე პოლიტიკური ძალების გამლიერება და ევროკავშირის ერთიანობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება. ამის ფონზე,

კატალონიის პოლიტიკური ელიტის ქმედებები ვერ იქნებოდა მხარდაჭერილი ევროკავშირის მხრიდან.

სანამ უშუალოდ ევროკავშირის ინსტიტუტების და წევრ სახელმწიფოების პოზიციაზე მოხდებოდა გადასვლა, მნიშვნელოვანია მოხდეს მიმოხილვა იმ გამოწვევებისა, რაც უკანასკნელ წლებში ევროკავშირის სტაბილურობა შეარყია და რის გამოც კატალონიის მხარდაჭერა არ მოხდა.

ბრექსიტის საკითხს რაც შეეხება, ეს ნაწილი ეხება დიდი ბრიტანეთის გადაწყვეტილებას ევროკავშირის დატოვების შესახებ, რომლის შესახებაც გადაწყვეტილების მიღება მოხდა 2016 წლის 23 ივნისის რეფერენდუმის საფუძველზე, რომელზეც დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის 51,9 პროცენტმა გადაწყვიტა, რომ გაერთიანებულ სამეფოს ევროკავშირი უნდა დაეტოვებინა. ასევე დიდი ბრიტანეთის თემთა პალატამაც 326 ხმა 290ის წინააღმდეგ მიიღო ევროკავშირის დატოვების გადაწყვეტილება. პრემიერ მინისტრ ტერეზა მეის თქმით, დიდი ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის წევრობა არ იყო მუდმივი და გასაკვირი არ იყო, თუ ბრიტანელმა ხალხმა გადაწყვიტა მისი დატოვება, რომლის პროცესიც 2017 წელს დაიწყო და დასრულდება 2018 წლის ოქტომბერში. აღნიშნულმა მოვლენამ მნიშვნელოვნად შეარყია ევროკავშირის სტაბილურობა, როგორც ეკონომიკურად, პოლიტიკურად, განწყობების მხრივ და რა თქმა უნდა როგორც სუპრანაციონალური ინსტიტუტისთვის. დიდი ბრიტანეთი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფინანსური კონტრიბუტორი იყო ევროკავშირში გერმანიის შემდეგ და რა თქმა უნდა ეკონომიკურად ურთულესი იყო ამის გადატანა. აღნიშნულმა ფაქტმა მნიშვნელოვანი ზიანი მოუტანა ევროკავშირს, როგორც სუპრანაციონალურ ინსტიტუტს და შესაბამისად ყოველ ახალ შემთხვევაზე, რომელიც სტაბილურობას საფრთხეს უქმნის აღნიშნული სუპრანაციონალური ორგანიზაცია უფრთხის(European Commission, 2016).

მეორე დიდი გამოწვევა, რაც მოცემულ ეტაპზე ევროკავშირს აქვს ეს არის რადიკალი მემარჯვენე პარტიების გაძლიერება განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპაში, რაც ასევე

საფრთხეს უქმნის ევროკავშირის სტაბილურობას. თითქმის ყველა ქვეყანაში, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყანაა, მემარჯვენე ნაციონალისტურ პარტიებს ყველაზე ცუდ შემთხვევაში პარლამენტში მაინც ყავს წევრი. ესპანეთი, რუმინეთი, ისლანდია, კვიპროსი, ირლანდია, პორტუგალია და ესტონეთია ის ქვეყნები, სადაც პარლამენტში არ ყავთ მემარჯვენე რადიკალური ძალის წარმომადგენელი. მემარჯვენე ნაციონალისტური პარტიების წარმომადგენელი არიან შემდეგი ქვეყნის მთავრობებში: იტალია, ავსტრია, სლოვაკეთი, ფინეთი, ნორვეგია, ბულგარეთი, საბერძნეთი, ავსტრია და ლიტვა. ხოლო ქვეყნების ხელმძღვანელები რადიკალური მემარჯვენე პარტიებიდან პოლონეთს და უნგრეთში არიან. მემარჯვენე რადიკალური პარტიები, რომელთა გავლენებიც უფრო და უფრო იზრდება უკანასკნელ წლებში, საკმაო პრობლემებს უქმნიან ევროკავშირს, ვინაიდან ნაციონალისტური პარტიების ინტერესს არ წარმოადგენს საკუთარი სუვერენიტეტის დათმობა სუპრანაციონალური ორგანიზაციის სასარგებლოდ, შესაბამისად ასეთი პარტიების მხარდაჭერა უკვე ნიშნავს იმას, რომ ევროკავშირის სტაბილურობას საფრთხე ექმნება. ასეთ დროს, ევროკავშირი მხარს ვერ დაუჭერდა კატალონიის დამოუკიდებლობას, რადგან მის სტაბილურობას კიდევ უფრო მეტი საფრთხე შეექმნებოდა.

რაც შეეხება, კატალონიის მიმართ ევროკავშირის დამოკიდებულებას, ჩატარებული რეფერენდუმების და გამოცხადებული დამოუკიდებლობის შესახებ, ის შემდეგია, რომ ესპანეთმა და კატალონიამ დიალოგის საფუძველზე უნდა მოძებნონ გამოსავალი და რა თქმა უნდა ესპანეთის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე არ უნდა მიდგომოდა. ასევე, კატალონიის მთავრობას გაცხადებული აქვს, რომ მისი სურვილი დამოუკიდებლობის შემთხვევაში არის ევროპული ინტეგრაცია, შესაბამისად ესპანეთიდან გამოყოფის შემთხვევაში კატალონია, ავტომატურად ევროკავშირს გარეთ რჩება, შესაბამისად კატალონიის მთავრობის ქმედება ევროკავშირის ინსტიტუტების აზრით მოკლებული იყო რაციონალურობას. ევროკავშირის განცხადებით ასევე, მისი წევრი ყველა ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობა უნდა იყოს შენარჩუნებული და დაცული, შესაბამისად ყველაფერს გააკეთებდა ევროკავშირი ესპანეთის

მხარდასაჭერად. ევროკავშირის პარლამენტის მიხედვით, რეფერენდუმები უნდა ჩატარებულიყო ესპანეთის კონსტიტუციის შესაბამისად, ასე, რომ მასზე დაფუძნებული დამოუკიდებლობა არალეგიტიმური იყო. ევროკომისიამაც მხარი დაუჭირა ესპანეთის ტერიტორიულ მთლიანობას და კატალონიის თავრობას მოუწოდა დიალოგისგან, ისევე, როგორც ევროკავშირის სხვა სახელმწიფოებმა.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მთავარი მიზეზი თუ რატომაც არ დაუჭირა ევროკავშირმა მხარი კატალონიის დამოუკიდებლობას, გახდა საფრთხე საკუთარი სტაბილურობის მისამართით და ზემოთ აღნიშნული გამოწვევების ფონზე სუპრანაციონალური ორგანიზაცია კიდევ ერთ თავის ტკივილს ვერ გაიჩენდა.

5. დასკვნა

საბოლოოდ დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომში განხილული იყო უახლოესი წლების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მოვლენა, როგორც ნაციონალიზმისთვის ასევე საერთაშროსიო ურთიერთობებისთვის. კატალონიის შემთხვევა არის, ისეთი რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მსოფლიოს ერთ-ელტი ყველაზე განვითარებული რეგიონის სტაბილურობას, შესაბამისად როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ დონეზე, ესპანეთისა და ევროკავშირის დონეზე უნდა მოხდეს მოველენების რაციონალურად შეფასება და მომავალი ნაბიჯების ისე გადადგმა, რომ მშვიდობიანად და დემოკრატიულად მოხდეს აღნიშნული პრობლემის გადაჭრა. ნაშრომში წამოჭრილი ორივე ჰიპოთეზა შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს, რადგან ნამდვილად ესპანეთის პოლიტიკურმა სისტემამ გასაქანი არ მისცა კატალონიის მთავრობის სურვილს გამოყოფოდა ესპანეთს და შეექმნა საკუთარი სახელმწიფო და ყველა მისი ქმედება ჩაითვალოს სეპარატიზმად, ხოლო მეორეს მხრივ ევროკავშირს,

როგორც სუპრანაციონალურ ორგანიზაციას, რომლის წევრიცაა ესპანეთი, ხელს არ აძლევდა არსებული გამოწვევების ფონზე კატალონიის დამოუკიდებლობა და შესაბამისად არც დაუჭირა მხარი მას. აღნიშნული ჰიპოთეზების გასამყარებლად გამოყენებულ სუპრანაციონალური მმართველობის თეორია და შესაძლებლობების ფანჯრის მიდგომა, რომლის მიხედვითაც აიხსნა ცვლადების ურთიერთდამოკიდებულება და შესაბამისად შესაძლებელი გახდა ჰიპოთეზების დამტკიცება. ასევე დეტალურად იქნა განხილული 2014 წლის და 2017 წლის რეფერენდუმების პერიოდი და მათი შედეგები. ყველაფერი ამის გათვალისწინებით შეიძლება ჩაითვალოს, რომ საკვლევ კითხვებს წარმატებით გასცა ნაშრომმა პასუხი და მოხდა ორივე წამოჭრილი ჰიპოთეზის დამტკიცება.

5. გამოყენებული ლიტერატურა

- Kothari, C. R. 2004. Research Methodology, Methods and Technicques. New Age International Publishers.
- დურგლიშვილი, ნინო. 2006. სოციოლოგიურ მონაცემთა ანალიზი. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი
- ზურაბიშვილი, თინათინი. 2006. თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი
- Mayring, Philipp. 2000. Qualitative Content Analysis: Basic Ideas of Content Analysis. Forum: Qualitative Social Research (June): Vol 1, No 2.
- Sweet, Alec Stone and Sandholtz, Wayne. 1997. European integration and supranational governance. Journal of European Public Policy, Vol. 4:3, 297 - 317
- Eidenfalk, Joakim and Doeser, Frederik. 2013. The importance of windows of opportunity for foreign policy change. International Area Studies Review. <http://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/2233865913512117> ნანახია 6 მაისი, 2018
- Torra, Quim. 2011. From 20th-Century Nationalism to 21st-Century Separatism. <http://www.helpcatalonia.cat/2011/09/from-20th-century-nationalism-to-21st.html> ნანახია: 18 ივნისი, 2018.
- Crameri, Kathrin. 2014. Goodbye spain? The question of independence for Catalonia. Eastbourne: Sussex Academic Press
- Branchadell, Albert. 2012. One Nation, One (Common) Language? Language and Nationalism in 21st Century Catalonia. Online paper no: 10. <http://www.recode.info/wp-content/uploads/2013/02/Branchadell-Albert-2012-RECODE.pdf> ნანახია 6 ივნისი, 2018.
- Guibernau, Montserrat. 2013. Secessionism in Catalonia: After Democracy. Taylor & Francis online: (October), Vol 12, Issue 4, 368-393.
- Payne, Stanley. 1971. Journal of Contemporary History: Nationalism and Separatism: Catalan and Basque Nationalism. Vol 6, No 1. 1-51.

- Grejsen, Tina Alsted. 2011. A Study of Nationalism and Identity in Catalonia. Bach. D. University of Aarhus.
- United Nations. Charter of United Nations.
- Departament de Governació i Relacions Institucionals. 2010. Eleccions al Parlament de Catalunya 2010.
- Gyldenkerne, Elena. 2014. Catalanian leader orders referendum on independence from Spain. Reuters. <https://www.reuters.com/article/us-spain-catalonia/catalonian-leader-orders-referendum-on-independence-from-spain-idUSKCN0HM09120140927> ԾճՏԵՅՈՒՅ 8 ՕՅՆՈՆՈ, 2018
- 1.5 Million People take to streets to Barcelona. 2014. The Telegraph. <https://www.telegraph.co.uk/news/worldnews/europe/spain/9537181/1.5-million-take-to-streets-of-Barcelona-in-support-of-independence.html> ԾճՏԵՅՈՒՅ 9 ՕՅՆՈՆՈ, 2018
- Castro, Liz. 2014. CIU and ERC came to an agreement in Catalonia Referendum 2014. <https://www.vilaweb.cat/noticia/4066661/20121218/ciu-and-erc-come-to-an-agreement-in-catalonia-referendum-in-2014.html> ԾճՏԵՅՈՒՅ 4 ՕՅՆՈՆՈ, 2018
- Goodman, Al. 2014. Political Parties Announce date for vote in Catalonia. CNN. <https://edition.cnn.com/2013/12/12/world/europe/spain-catalonia-vote/index.html> ԾճՏԵՅՈՒՅ 4 ՕՅՆՈՆՈ, 2018
- Katz, Andrew. 2013. Spain Rejects the Call for Catalan Independence Vote. <http://world.time.com/2013/12/12/spain-rejects-call-for-catalonia-independence-vote/> ԾճՏԵՅՈՒՅ 3 ՕՅՆՈՆՈ, 2018
- The Spanish Government will not allow on Catalonia's self determination vote. 2013. <https://www.vilaweb.cat/noticia/4161935/20131213/the-spanish-government-will-not-allow-and-will-not-negotiate-catalonias-self-determination-vote.html> ԾճՏԵՅՈՒՅ 3 ՕՅՆՈՆՈ, 2018

- Jones, Sam. 2017. Spain Crisis. The Guardian.
<https://www.theguardian.com/world/2017/sep/20/spain-guardia-civil-raid-catalan-government-hq-referendum-row> Ծանձնո՞ւմ 3 օրհոնո, 2018
- Mowat, Laura. 2017. Spain in Crisis.
<https://www.express.co.uk/news/world/857110/Catalan-vote-Spain-crisis-police-Madrid-protesters-Barcelona-activists> Ծանձնո՞ւմ 3 օրհոնո, 2018
- Hedgecoe, Guy. 2017. Catalonia Referendum: Hundreds Injured.
<https://www.irishtimes.com/news/world/europe/catalonia-referendum-hundreds-injured-in-clashes-with-police-1.3240410> Ծանձնո՞ւմ 3 օրհոնո, 2018
- European Comission. 2016. Brexit Preparedness. https://ec.europa.eu/info/brexit/brexit-preparedness_en Ծանձնո՞ւմ 3 օրհոնո, 2018
- Balcells, Albert and Hall Jacquelline. 1996. Catalan Nationalism: Past and Present. Palgrave Mcmillan.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ცირა შვანგირაძე

კრიზისის მენეჯმენტი ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და
უსაფრთხოების პოლიტიკის კონტექსტში: EU NAVFOR Atalanta
(2008-2016)

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო
პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სოფია პეტრიაშვილი- ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2018

აბსტრაქტი

ნაშრომის „კრიზისის მენეჯმენტი ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის კონტექსტში: EU NAVFOR ATALANTA (2008-2016)“ მიზანია გამოიკვლიოს თუ რა ფაქტორები განაპირობებენ ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის თანმიმდევრულობას ვერტიკალურ დონეზე და ახდენენ გავლენას წვერი ქვეყნების კოორდინაციაზე, სადაც, თანმიმდევრულობა ეროვნულ სახელმწიფოებს შორის შეთანხმებულ პოლიტიკას გულისხმობს ევროკავშირის პოლიტიკასთან. გათვალისწინებულია რა ამ პოლიტიკის ინტერგავერნმენტალური ხასიათი, სადაც წვერი ქვეყნების ინტერესებისა და პრიორიტეტების კორელაცია განსაზღვრავს კიდევაც მათ შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის ხარისხს. ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმის თეორიის მიხედვით კი, რომელიც ევროკავშირის შიგნით ინტეგრაციისა და თანამშრომლობის შესაძლებლობებს იკვლევს, მოხდა ჰიპოთეზის გენერირება: ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის თანმიმდევრულობის ხარისხი მაღალია ვერტიკალურ დონეზე, როდესაც ა)კრიზისი რისკის ქვეშ აყენებს ამ ქვეყნების სექტორულ ეკონომიკურ ინტერესებს ბ) არსებული კრიზისიდან მომდინარე აღქმული საფრთხე საერთოა. ჰიპოთეზის დატესტვა ხდება ერთი ქეისის შესწავლის მეთოდზე დაყრდნობით ევროკავშირის კრიზისის მენეჯმენტის- საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის საზღვაო-სამხედრო ოპერაცია EU NAVFOR Atalanta-ზე ფოკუსით, რომელიც ევროკავშირის წარმატებული კრიზისის მენეჯმენტის ყველაზე ციტირებადი მაგალითია. პროცესის მიდევნების მეთოდის გამოყენებით ანალიზი მიმართულია ევროკავშირის „დიდი სამიანის“-საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის აქტივობებსა და ინტერაქციაზე კრიზისის მენეჯმენტის პროცესში. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მხარეებს შორის ინტერესთა პოლარიზაციის ნაკლები დონე იყო, რადგან სომალიში გაზრდილი მეკობრეობის შედეგად დაზარალდა მათი სექტორული ეკონომიკები, მეკობრეობასა და ტერორიზმს შორის არსებულმა კავშირმა კი გაამძაფრა მომდინარე საფრთხის აღქმა, რამაც სახელმწიფოთა შორის კოორდინირებული ქმედება გაამარტივა, რადგან მათი ინტერესები ფუნდამენტშივე ემთხვეოდა ერთმანეთს და ასევე, ევროკავშირისას. ამავე

დროს, ზემოაღნიშნული საფრთხეების გასანეიტრალებლად საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმატში მოქმედება იყო ნაკლებ დანახარჯებთან და რისკთან დაკავშირებული. აღნიშნული კი ნათელს ჰფენს ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკმაოდ დინამიური, სწრაფად განვითარებადი და ამავე დროს ძალზედ გაკრიტიკებული სფეროს არა მხოლოდ შეზღუდვებს, არამედ შესაძლებლობებსაც.

Abstract

The thesis- „Crisis Management in the context of the EU Common Security and Defence Policy: EU NAVFOR ATALANTA (2008-2016)“ aims to examine what factors determine the EU's common security and defense policy's coherence and influence on the EU member states coordination on the vertical level, whereas Vertical coherence refers to the interaction and congruence between the EU level and member state crisis responses. Intergovernmental nature of the EU's common security and defense policy should be taken into consideration, which implies that correlation between the member states interest and priorities determines the scope and level of their coordination. According to the liberal intergovernmentalism, which studies the EU integration processes and cooperation opportunities, respective hypotheses of the study was developed: the degree of the vertical coherence of the common security and defense policy Is high when a) concrete crisis puts member states' sector economic interests under risks and b) perceived threat from the crisis is shared. Derived hypotheses are evaluated through the single case study method focused on the EU common security and defense instrument- the first naval-military operation EU NAVFOR Atalanta, which is the most cited example of the EU's coherent crisis management. The analysis traces the activities and interaction of the “Big Three”- France, Germany and UK. The thesis suggests that there was low level of interest polarization between the abovementioned countries: Somali piracy endangered and put under risk their sector economies, correlation between Somali piracy and terrorism enhanced threat perception, which resulted in common priorities and further cooperation under the EU's common security and defense policy. At the same time neutralizing the abovementioned threats in the format of the Operation EU NAVFOR Atalanta was less costly and risky, benefits were calculable, which resulted in even more robust engagement of the “Big Three”. This indicates not only constraints of the very dynamic, rapidly developing and much criticized field of the EU Common security and defense policy but opportunities as well.

სარჩევი

1. შესავალი	1
1.1 კვლების პრობლემა და მიზანი	3
1.2 საკვლევ კითხვა და თეორიული ჩარჩო	9
1.3 ევროკავშირი და კრიზისის მენეჯმენტი.....	10
1.4 თეორიული ჩარჩო: ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმი.....	12
1.5 ჰიპოთეზა და დამოკიდებული ცვლადის ოპერაციონალიზაცია	14
1.6 კვლევის მეთოდოლოგია	18
1.7 დამოუკიდებელი ცვლადების ოპერაციონალიზაცია	21
2. საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ისტორიული წინაპირობები და განვითარება	23
3 სომალის კრიზისი	28
3.1 მეკობრეობა სომალიში: განახლებული ფენომენი	29
3.2 ევროკავშირის პასუხი კრიზისზე.....	31
3.3 თეორიული პერსპექტივები EU NAVFOR Atalanta-ზე	36
3.4 სომალის მეკობრეობის ეკონომიკური შედეგები, ევროკავშირი და „დიდი სამიანის“ სექტორული ეკონომიკა	38
3.5 საზოგადოებრივი ჯგუფების მოთხოვნები და გავლენა „დიდი სამიანის“ მთავრობებზე.....	45
4 „დიდი სამიანის“ აღქმული საერთო საფრთხე- მეკობრეობის უსაფრთხოების განზომილება ..	49
5 გადაწყვეტილების მიღების პროცესი „დიდ სამიანში“	52
6 EU NAVFOR Atalanta-თანმიმდევრული კრიზისის მენეჯმენტი ვერტიკალურ დონეზე.....	63
7 საკვლევითი თემის თეორიულ ჭრილში განხილვა	65
8 დასკვნა	68
9 კვლევის შეზღუდვები	70
გამოყენებული ლიტერატურა.....	71
დანართები.....	83

1. შესავალი

ევროკავშირი საერთაშორისო ურთიერთობების სხვა სუბიექტებთან შედარებით, სწრაფად ცვალებად საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში, ახალი აქტორია. ცივი ომის დასრულების შემდეგ, ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა უფრო მეტად კონსტრუქციული საგარეო პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა იგრძნეს, რომელიც ხელს შეუწყობდა მთავარი მიზნის მიღწევას, რომ ევროკავშირი გამხდარიყო ანგარიშგასაწევი საერთაშორისო აქტორი, რათა „დაიცვას მისი ინტერესები და ფუნდამენტური ღირებულებები, ხელი შეუწყოს ძირითადი პოლიტიკური მიზნების განხორციელებას და თავიდან აიცილოს კრიზისები ან აღადგინოს სტაბილურობა და მშვიდობა“. (European Commission & HR, 2013). საპასუხოდ, როდესაც 1992 წელს, მასტრიხტის ხელშეკრულებაში ინკორპორირდა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა რითაც, უსაფრთხოების დაცვა და უზრუნველყოფა, როგორც საგარეო პოლიტიკის ნაწილი, ევროკავშირის ინსტიტუციური ჩარჩოს ოფიციალური ნაწილი გახდა, საერთაშორისო საზოგადოების მოლოდინი საკმაოდ მაღალი გახლდათ, რომ ევროკავშირი ახლა მაინც შეძლებდა ე.წ „შესაძლებლობებსა და მოლოდინების უფსკრულის-ის“ ბარიერის გადალახვას, რომელიც ხაზს უსვამდა ევროკავშირის ეკონომიკურ სიძლიერეს, თუმცა პოლიტიკურ სისუსტეს. თითქმის ამავე პერიოდში, იუგოსლავიის დაშლის შემდეგ, ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟაკ პოსმა განაცხადა, რომ „ევროპის საათი დადგა“ თუმცა, ევროკავშირმა ვერ შეძლო „საკუთარ უკანა ეზოში“ კონფლიქტის რეზოლუცია. შემდეგი კრახი, რომელიც მან განიცადა 2003 წლის ერაყის მოვლენები გახლდათ, სადაც აშშ-ის თაოსნობით განხორციელებულმა ინტერვენციამ კონტინენტი „ძველ“ და „ახალ“ ევროპად გაჰყო. (Rumsfeld, 2003). ამიტომაც, საკმაოდ მალე ჩამოყალიბდა და ფესვი გაიდგა მოსაზრებამ, რომ ცნობილი გამოთქმა- „ევროკავშირი არის ეკონომიკური გიგანტი, პოლიტიკური ჯუჯა და სამხედრო ჭია“ (Anderson, 1992, ციტირებული Jørgensen, 1997, 15) შესაძლოა გამართლებულიც კი ყოფილიყო.

ერაყში განვითარებული მოვლენებიდან ძალიან მალე ევროკავშირის უსაფრთხოების სტრატეგია გამოქვეყნდა, სადაც აღნიშნული იყო, რომ ევროკავშირი ანგარიშგასაწევი საგარეო პოლიტიკური აქტორის როლის თამაშს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებდა, თუკი „მიიღწეოდა უფრო მეტი თანმიმდევრულობა არა მხოლოდ ევროკავშირის ინსტრუმენტებს, არამედ ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო აქტივობებს შორის“ (Council, 2003, 13). აღნიშნული დოკუმენტის გამოქვეყნებიდან 6 წლის შემდეგ შექიმნა ლისაბონის ხელშეკრულება, რომლის ცენტრალურ მიზანს ევროკავშირის საგარეო ქმედებების თანმიმდევრულობის გაზრდა წარმოადგენდა შესაბამისი ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელებით. კვლავ ჩაისახა მოლოდინი, რომ „ევროპის საათი“ მართლაც დადგა, თუმცა პირველივე სერიოზულ კრიზისზე ევროკავშირმა ვერ შეძლო სათანადო პასუხის გაცემა- ლიბიაში წარმოქმნილი კრიზისული სიტუაციის საპასუხოდ, ევროპული ქვეყნების ინტერესები ერთმანეთს შეეჯახა და ვერ მოხერხდა ერთიანი საგარეოპოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა:საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ინსტრუმენტის-სამხედრო მისიის ამოქმედება. მაშინ, როცა თითქმის იგივე პერიოდში, სომალის მეკობრეობის ზრდასთან დაკავშირებული მოვლენების კვლადაკვალ, სამხედრო-საზღვაო ოპერაცია EUNAVFOR Atalanta ევროკავშირის თანმიმდევრული და ეფექტიანი კრიზისის მენეჯმენტის ყველაზე ციტირებადი მაგალითი გახდა. (European Commission & HR, 2013, 2). თუმცა, მაინც, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა “ევროკავშირის ინტეგრაციის შვილობილად“, ხოლო საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა „შვილობილის შვილობილად“ შეირაცხა (Cf. Techau, 2013) მიუხედავად იმისა, რომ ის განიხილება, როგორც ევროკავშირის პოლიტიკის ყველაზე დინამიურ არეალად ინსტიტუციური განვითარების, ოპერაციული და კონცეპტუალური ინიციატივების განხორციელებისკენ გადაგმული ნაბიჯების მიხედვით.

1.1 კვლების პრობლემა და მიზანი

ზემოთ განხილული, აუცილებლად ბადებს კითხვას, თუ რა ფაქტორები ახდენენ გავლენას ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსფართოების პოლიტიკაზე, როგორც ევროკავშირის კრიზისის მენეჯმენტის მთავარ იარაღზე, რომ რიგ შემთხვევაში კრიზისის მენეჯმენტის თანმიმდევრულ საგარეოპოლიტიკურ იარაღად იქცეს, უმეტეს შემთხვევაში კი ევროკავშირის წარუმატებელი საგარეო ქმედების მთავარ მიზეზად მოგვევლინოს. ევროკავშირის კონტექსტში, თანმიმდევრულობა აღნიშნავს მდგომარეობას, როდესაც პოლიტიკას, საგარეო პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტებს, ინსტიტუტებსა და გადაწყვეტილებებს შორის არ არსებობს წინააღმდეგობა და დაპირისპირება. (Nuttall, 2005, 97) აღნიშნული იყოფა შემდეგ ძირითად მიმართულებად:

- ვერტიკალური თანმიმდევრულობა, როდესაც არ არსებობს დაპირისპირება და ურთიერთგამომრიცხავობა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნულ საგარეო პოლიტიკასა და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკას შორის კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებით.

- ჰორიზონტალური თანმიმდევრულობა აღნიშნავს ევროკავშირის კრიზისის მენეჯმენტის პოლიტიკისა და აქტივობების მიზანსა და მიზნის მიღწევის ინსტრუმენტების ინტერაქციას.

- ინსტიტუციური თანმიმდევრულობა- ევროკავშირის ინსტიტუტებსა და კრიზისის მენეჯმენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ აქტორებს შორის ინტერაქციას გულისხმობს. (Nuttall, 2005)

ევროკავშირის შესახებ არსებულ სამეცნიერო ნაშრომებში თანმიმდევრულობა ხშირად კონცეპტუალიზდება, როგორც დამოუკიდებელი ცვლადი, რომელსაც გავლენა აქვს ევროკავშირის, როგორც საერთაშორისო აქტორის ეფექტიანობაზე, ან ძლიერებაზე. (Olsen, 2008; Pace, 2009). თანმიმდევრულობის მგსავსი კონცეპტუალიზება ახლოსაა ევროკავშირის ოფიციალურ დისკურსთანაც, რომლის მიხედვითაც იგი ეფექტიანი საგარეო ქმედების მთავარი პირობაა (European Council, 2000) თუმცა, ჩემს ნაშრომში თანმიმდევრულობას განვიხილავ, როგორც დამოუკიდებელ ცვლადს.

აღსანიშნავია, რომ შემოთავაზებული მეცნიერული კვლევები ამ საკითხზე სახელმწიფო-ცენტრული და რაციონალისტური თეორიულ პერსპექტივებითაა დომინირებული. როგორც უკვე აღვნიშნე, დარგის მკვლევართა შეხედულებით, ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ინსტიტუციური მექანიზმი საკმარისად მოქნილი და განვითარებულია, რათა წევრ ქვეყნებს შესაძლებლობა ჰქონდეთ ერთიანი მიდგომები ჩამოაყალიბონ და ეს მექანიზმი სრულიად გამოიყენონ საერთაშორისო არენაზე, (Smith, 2004; Pinelli, 2007; McCormick, 2005; Peterson et al., 2012) მათ შორისაც კი მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა ნაკლებსავარაუდოა, რომ ევროკავშირის ინტეგრაციის ნაწილად იქცეს. (Howorth, 2011). შესაბამისად, საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს იმის შესახებ, თუ რატომ ვერ ახერხებს ევროკავშირი წარმატებულ კრიზისის მენეჯმენტს. (იხ. ცხრილი N1)

ახსნათა კლასიფიცირება შესაძლებელია მოხდეს სამ დონეზე: ეროვნულ, სუპრანაციონალურ და საერთაშორისო.

1. *ეროვნულ დონეზე* ახსნის შესახებ არსებული ლიტერატურის მიხედვით, საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის თანმიმდევრულობა თითქმის შეუძლებელია, რადგან ევროკავშირის წევრი ქვეყნებს შორის არ არსებობს კონსენსუსი, არ არის საკმარისი პოლიტიკური სურვილი აღნიშნული პოლიტიკის ფარგლებში კოორდინაციისა და თანამშრომლობისათვის, რადგან მათი განსხვავებული ეროვნული ინტერესები, რომელთა განხორციელებასაც პირველ რიგში ცდილობენ, თანმიმდევრულობას თითქმის შეუძლებელს ხდის. (Pinelli, 2007; Smith, 2004). აქედან გამომდინარეობს უოლფგანგ ვეგნერისა და ჯოლიონ ჰოვორსის კონცეპტუალიზაცია, რომლებიც საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას განსაზღვრავს, როგორც „პრობლემატურ სოციალურ სიტუაციას“, ან „შერეული მოტივების თამაშს“: მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს აქვთ საერთო ინტერესი საერთაშორისო არენაზე გავლენისა და ძალაუფლების მოპოვებისა, რაც უფრო მეტად მიიღწევა ჯგუფურად მოქმედებისას, ვიდრე ინდივიდუალურად, მათ შორის თანამშრომლობა მაინც ნაკლებსავარაუდოა (Wagner, 2003, 582-583; Howorth, 2011, 223). ევროკავშირის წევრი ქვეყნები, განსაკუთრებით კი ძლიერები, შიშობენ, რომ თანამშრომლობის

შემთხვევაში, მათ მოუწევთ თავიანთი ინტერესების დათმობა ევროკავშირის ინტერესების სასარგებლოდ, განსაკუთრებით კი საგარეო უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში.(Howorth, 2011, 223; Smith, 2011, 172-173; Portela and Raube, 2009)

2. სუპრანაციონალურ დონეზე ახსნის შესახებ არსებული ლიტერატურის მიხედვით, არათანმიმდევრულობა გამოწვეულია ევროკავშირის გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურით, რომელიც ეყრდნობა ერთპიროვნულად გადაწყვეტილების მიღების მეთოდს. (Portela and Raube, 2009; Peterson et al., 2012, 311; Pinelli, 2007, 283). ჯონ მაკორმიკის შეხედულებით, ეს დაკავშირებულია ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებულ პერსპექტივებთან- ევროკავშირის წევრი დიდი ქვეყნები ემხრობიან საგარეო და უსაფრთხოების სფეროში დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, ამიტომაც ცდილობენ, რომ ევროპული კომისია და სხვა მსგავსი ინსტიტუტები, რომლებიც , მსგავსად წევრი პატარა ქვეყნებისა, გადაწყვეტილების მიღების არაერთპიროვნულ მეთოდს ანიჭებენ უპირატესობას, არ ჩაერთოს საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში. (McCormick, 2005, 209) ანუ, წევრი სახელმწიფოების განსხვავებული ინტერესები და გადაწყვეტილების მიღების ინერგავერნმენტალური მეთოდი, დამყარებული ერთპიროვნულობაზე, ძირს უთხრის ეფექტიანობასა და თანმიმდევრულობას. შესაბამისად, წევრი ქვეყნების ცდილობენ იმოქმედონ პატარა ჯგუფებში ან ინდივიდუალურად, როცა საქმე თავდაცვასა და უსაფრთხოებას ეხება.(McCormick, 2005, 214-216).

3. საერთაშორისო დონეზე ახსნაზე ორიენტირებული ლიტერატურა კი ფოკუსირდება ევროკავშირის, როგორც საერთაშორისო აქტორის მნიშვნელობაზე, თუ რამდენად შეუძლია მას ითამაშოს დამოუკიდებელი და ანგარიშგასაწევი როლი საერთაშორისო არენაზე. იან ზიელონკას შეხედულებით, ევროკავშირის საგარეო აქტივობების წარმატებულობა მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული და ზეგავლენილი აშშ-ს მიერ. (Zielonka, 2000). ამასთან, გასათვალისწინებელია ევროკავშირის წევრი ქვეყნების ორმხრივი და მრავალხმრივი ტრანსატლანტიკური კავშირები, რომელიც ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს

საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის თანმიმდევრულობაში. სმიტისა და მენონის აზრით, მსგავსი განსაკუთრებული ურთიერთობები ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ავითარებს არცთუ იშვიათად კონფლიქტურ შეხედულებებს იმის შესახებ, თუ რა ადგილი უნდა ეჭიროს ევროკავშირს საერთაშორისო სისტემაში. აღნიშნული განსაკუთრებით კარგად წარმოჩინდა 2003 წლის ერაყის მოვლენების დროს, როდესაც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის განსაკუთრებულმა ურთიერთობამ გამოიწვია ის, რომ ევროკავშირი, როგორც საერთაშორისო აქტორი წარუმატებელი აღმოჩნდა. (Smith, 2011; Menon, 2004).

ბასტიან გიეგერიხი, წიგნში „ევროკავშირის სამხედრო კრიზისის მენეჯმენტი- ამბიციისა და შესაძლებლობის დაკავშირება“ ანალიზებს ევროკავშირის შესაძლებლობებს კრიზისის მენეჯმენტის პროცესში, სამხედრო მისიის კონტექსტში. ავტორი ევროკავშირის ამბიციებისა და შესაძლებლობების ურთიერთკავშირს აღწერს და ამ ორს შორის ვაკუუმის არსებობაზე მიუთითებს. მისი აზრით კრიზისის მენეჯმენტში ევროკავშირის წარუმატებლობის მიზეზი უნდა ვეძიოთ ზოგიერთი წევრი ქვეყნების ეროვნული ინტერესების შეუთანხმებლობაში. (Giegerich, 2010)

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი კი საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის გამოწვევის სისტემატიზაციას შემდეგ სამ ჯგუფში ახდენენ ა) სტრატეგიული განვითარების ნაკლებობა, ბ) შესაძლებლობების ნაკლებობა გ)კოორდინაციის ნაკლებობა ა) ბევრი CSDP მისია და ოპერაცია მკვლევარების მიერ გაკრიტიკებულ იქნა საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის არარსებობის გამო. დევიდ ჰელის აზრით, ეს გულისხმობს, რომ კრიზისის მენეჯმენტი სრულდება წინასწარგანსაზღვრული მანდატის ხანგრძლივობის მიხედვით და არა შეცვლილი უსაფრთხოების გარემოს მიხედვით. (Helly, 2009, 11)

ბ) CSDP-ს ფუნქციონირების პირველი ათწლეულის განმავლობაში, განსაკუთრებით მწვავედ შეინიშნებოდა შესაძლებლობებსა და მოლოდინებს შორის უფსკრული. ევროკავშირის კრიზისის მენეჯმენტი დამოკიდებულია წევრი ქვეყნების სურვილზე, რომ გამოყონ მატერიალური, ფინანსური, სამხედრო და სამოქალაქო პერსონალი (Mattelaer, 2008).

გ) რაც შეეხება კოორდინაციის პრობლემებს, მკლევართა შეხედულებით CSDP-ის მისიებისა და ოპერაციების წარმატებულობა დიდწილადაა დამოკიდებული კომისიის დელეგაციებს, ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს, წევრი ქვეყნების დელეგაციებსა და სხვა ინსტიტუციურ აქტორებს შორის კოორდინაციის ხარისხზე. (Drent 2011; Grevi et al. 2009).

როგორც ლიტერატურის მიმოხილვიდან ჩანს, არსებული სამეცნიერო კვლევების დიდი ნაწილი ფოკუსირებულია ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების ინტერგავერმენტალურ ბუნებაზე. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ანალიზის ერთეული თავად ევროკავშირის ინსტიტუციური მექანიზმია, უმთავრეს პრობლემად კვლავ წევრი სახელმწიფოების პოლიტიკური ნება და კოორდინაციის სურვილი წარმოადგენს. მთელი ფოკუსი წარუმატებლობის გამომწვევ მიზეზებზეა, თუმცა, ნაკლები ყურადღება, უფრო სწორად კი, თითქმის საერთოდ არ არის გამახვილებული თანმიმდევრული საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უკვე არსებულ შემთხვევებზე და ამ შემთხვევების თანმიმდევრულობის მიზეზებზე. მეცნიერული ცოდნის ნაკლოვანებას წარმოადგენს ის, რომ არ ვიცით ან ცუდად ვიცით, თუ რამ განაპირობა თანმიმდევრულობა წარმატებულ ქეისებში.

ცხრილი NI. ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის (არა)თანმიმდევრულობის მიზეზები

ეროვნული დონე	ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის კონსესუსის და პოლიტიკური სურვილის ნაკლებობა, ეროვნული ინტერესების პრიორიტეტულობა, უსაფრთხოების სფეროში კოლექტიური ქმედებით გავლენის მიღწევა უფრო მარტივია, თუმცა აქვთ სუვერენულობის დაკარგვის შიში (Pinelli, 2007; Smith, 2004, Wagner, 2003, Howorth, 2011, Portela and Raube, Giegerich, 2010)
სუპრანაციონალური	საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ინტერგავერმენტალური ბუნება, წევრი ქვეყნების განსხვავებული პრიორიტეტები. დიდი სახელმწიფოები ერიდებიან სუვერენილობის დელეგირებას, პატარა სახელმწიფოები კი კოლექტიურ ქმედებას ამჯობინებენ, რაც უარყოფითად მოქმედებს თანმიმდევრულობაზე (Peterson et al., 2012; Pinelli, 2007, McCormick, 2005)
საერთაშორისო დონე	ევროკავშირი, როგორც საერთაშორისო აქტორი, რომლის წარმატებულობა დამოკიდებულია საერთაშორისო სისტემების სხვა სუბიექტებთან ურთიერთობაზე. ორმხრივი და

	მრავალმხრივი ტრანსატლანტიკური კავშირების მნიშვნელობა, რომელიც წევრ ქვეყნებს შორის ბადებს განსხვავებულ პრიორიტეტებს და მოსაზრებას ევროკავშირის ადგილზე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში (Zielonka, 2000, (Smith, 2011; Menon, 2004).
ევროკავშირის ინსტიტუციური მექანიზმის ბუნება	სტრატეგიული განვითარების ნაკლებობა, შესაძლებლობების ნაკლებობა კრიზისის მენეჯმენტში ჩართულ აქტორებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა (Dari et al. 2012; Grevi et al. 2009, Mattelaer 2008).

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს **კვლევის მიზანიც**: გათვალისწინებულია რა ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ინტერგავერნმენტალური ხასიათი და გადაწყვეტილების მიღების ბუნება, რასაც ლოგიკურად მივყავართ წევრი ქვეყნების განსხვავებული ინტერესების არსებობის მნიშვნელობასა და შესაბამისად, კოორდინაციის აუცილებლობასთან/პრობლემასთან, ნაშრომის მიზანია, გამოიკვლიოს თუ რა ფაქტორები განაპირობებენ ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის თანმიმდევრულობას და ახდენენ გავლენას წევრი ქვეყნების კოორდინაციაზე ვერტიკალურ დონეზე, რომელიც ეროვნული სახელმწიფოებს შორის შეთანხმებულ პოლიტიკას გულისხმობს ევროკავშირის პოლიტიკასთან.

ნაშრომი რელევანტური და აქტუალურია იმდენად, რამდენადაც მიუხედავად საკითხის პოპულარობისა, მასზე არ არის საკმარისი თეორიული ცოდნა (Bickerton, 2011) რასაც შეუძლია უფრო ღრმად დაანახოს არა მხოლოდ მეცნიერებსა და მკვლევარებს არამედ მათ, ვინც პრაქტიკულადაა ჩართული დარგის განვითარებაში, ევროკავშირის კრიზისის მენეჯმენტისა და კონკრეტულად, საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის *არა მხოლოდ შეზღუდვები, არამედ შესაძლებლობებიც*. გარდა ამისა, ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა ინტეგრაციის პროცესის შედარებით ახალი ელემენტია და განიცდის მუდმივ განვითარებას. ინსტიტუციური სრულყოფის გზაზე კი თეორიაზე დაფუძნებული ემპირიული კვლევა მნიშვნელოვანია, იმდენად, რამდენადაც ის საშუალებას მოგვცემს უფრო ნათლად დავინახოთ პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტები, რომელსაც პრაქტიკული კონტრიბუცია ექნება მისი სამომავლო აქტივობების დაგეგმვისა და იმპლემენტაციის პროცესში.

1.2 საკვლევი კითხვა და თეორიული ჩარჩო

ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, მთავარი საკვლევი კითხვა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: *რა პირობების არსებობის შემთხვევაშია ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა თანმიმდევრული კრიზისის მენეჯმენტის პროცესში ვერტიკალურ დონეზე?*

როგორც უკვე აღვნიშნე, ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ინტერგავერნმენტალური ხასიათი, შესაბამისად, წევრი სახელმწიფოების პოლიტიკური სურვილი, რომ მოხდეს კოორდინაცია გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს კრიზისის მენეჯმენტის ინსტრუმენტების, ამ შემთხვევაში, სამხედრო მისიების ინიცირებასა და შემდგომ იმპლემენტაციაში. აქედან და ჩემი ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი და წევრი ქვეყნების მოტივაციები ამ გადაწყვეტილების მიღმა თანმიმდევრულობის ვერტიკალური დონის გასაანალიზებლად ანალიზის მნიშვნელოვანი ერთეულია. ევა გროსისა და ბრაიან უაიტის აზრით, ევროკავშირის კრიზისის მენეჯმენტის პროცესში სახელმწიფოთა გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წევრი ქვეყნების საშინაო პოლიტიკის ფაქტორები და მიმდინარე პროცესები. (Gross 2009, White 2004). აღნიშნულის გათვალისწინებით, საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად გამოვიყენებ ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმის თეორიულ ჩარჩოს, რომელიც ჰიპოთეზის გენერირებაში დამეხმარება. თუმცა, მანამდე, მართებულად მიმაჩნია კრიზისის მენეჯმენტის კონცეფციის ევროკავშირის კონტექსტში განხილვა და მნიშვნელოვანი ასპექტის იდენტიფიცირება.

1.3 ევროკავშირი და კრიზისის მენეჯმენტი

ფართო გაგებით, კრიზისის მენეჯმენტი გულისხმობს კრიზისის თავიდან აცილებას, მიმდინარე კრიზისზე პასუხის გაცემას ან მშვიდობის აღდგენას ან შეთანხმების მიღწევას, როდესაც კრიზისის აქტიური ფაზა დასრულდა. „კრიზისის“ დამახასიათებელია გაურკვეველობა, საფრთხის მოლოდინი და სისტემის ნორმალური განვითარებიდან ან არსებობიდან გადახრა. კრიზისის მენეჯმენტი არ ნიშნავს კონფლიქტის გადაწყვეტას, როგორც ასეთს. მისი მიზანია კრიზისის შედეგად წარმოქმნილ საჭიროებებზე დაუყოვნებელი პასუხი. მას აქვს სამი ძირითადი მახასიათებელი: უსაფრთხოებაზე ორიენტირებულობა, მრავალგანზომილებიანია და კომპლექსურია. (Tardy, 2015, 10)

მენეჯმენტი, ამ კონტექსტში, აღნიშნავს კრიზისის შესაკავებლად ან მომავალში მის გადასაწყვეტად საჭირო პოლიტიკის, ქმედებების, პროცედურებისა და ინსტრუმენტების შემუშავებასა და გამოყენებას. (Blockmans and Wessel, 2009, 5). ევროკავშირის კონტექსტში, კრიზისის მენეჯმენტის ცნება უფრო გაფართოებულია და მოიცავს არამხოლოდ სასწრაფო პასუხს კრიზისულ სიტუაციაზე, არამედ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ძალიან მრავალფეროვან ქმედებებს: სამოქალაქო/სამხედრო მისიებისა და ოპერაციის ამოქმედება, ჰუმანიტარული დახმარება, უსაფრთხოება-განვითარება კავშირის უზრუნველყოფა, მშვიდობის მშენებლობა (EEAS, 2016). იგი რამდენიმე ფაზად იყოფა:

- 1) პრე-კრიზისის ფაზა-უკავშირდება კონფლიქტის პრევენციას და ადრეული გაფრთხილების მექანიზმს. მიუხედავად იმისა, რომ რთულია განისაზღვროს კრიზისის დაწყების კონკრეტული ვადა, მოვლენების დინამიკა დაკვირვების საშუალებას იძლევა;
- 2) კრიზისის ფაზა- განიხილება კრიზისზე საპასუხო და მისი მენეჯმენტისთვის სწრაფი რეაგირების სხვადასხვა მექანიზმი, საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის მისიების/ოპერაციების შესაძლო ამოქმედება;
- 3) პოსტ კრიზისის ფაზა- ხდება კრიზისის სტაბილიზაცია და მშვიდობის მშენებლობის მექანიზმების ჩართვა, სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმება,

უსაფრთხოებისა და სტაბილურობისთვის შესაბამისი პოლიტიკის გატარება;
(UNPACK, 2016,8)

ნაშრომში ვფოკუსირდები ევროკავშირის კრიზისის მენეჯმენტის კრიზისის ფაზაზე/კრიზისის საპასუხო რეაქციაზე, რადგან ვერტიკალურ დონეზე არსებული გამოწვევები და წვერი სახელმწიფოების კოორდინაციის პრობლემები თუ შესაძლებლობები სასწრაფო და „გაურკვეველ“ სიტუაციაში უკეთ წარმოჩინდება. თუმცა, უფრო მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ სწორედ ამ ფაზაში წამყვანი როლი ენიჭება ევროკავშირის ინტერგავერნემენტალურ გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებს: ევროპულ საბჭოსა და საბჭოს.

ამასთან, ხდება კრიზისის მენეჯმენტის დიფერენციაცია პოლიტიკურ, სტრატეგიულ და ოპერაციულ დონეზე. (Council, 2008). პოლიტიკური დონე აღნიშნავს პოლიტიკის ფორმულირებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს მთავრობათაშორის არენაზე, რომელიც ევროპულ საბჭოში ან საბჭოში ხდება. სტრატეგიული დონე გულისხმობს საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში სამოქალაქო ან სამხედრო მისიების დაგეგმვას, ოპერაციული კი მათ იმპლემენტაციასა და განსახორციელებელი ქმედებების ან ინსტრუმენტების აღსრულებას.(იქვე) ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, ვფოკუსირდები გადაწყვეტილების მიღებისა და თანამშრომლობის- ანუ *პოლიტიკურ და სტრატეგიულ დონეზე*, რადგან ისინი თანმიმდევრული თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკისთვის აუცილებელ პრე რეკვიზიტს წარმოადგენენ, გავითვალისწინებთ რა ამ პოლიტიკის ინტერგავერნემენტალურ ხასიათსა და გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურას.

1.4 თეორიული ჩარჩო: ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმი

ევროკავშირის ინტეგრაციის დინამიკის თეორიულ ახსნებს შორის ინტერგავერნმენტალიზმი საპატიო ადგილს იკავებს. ჩემი ნაშრომის შემთხვევაში ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმი, რომელიც კლასიკური ინტერგავერნმენტალიზმის თეორიულ დაშვებებზეა აგებული, დამეხმარება ავხსნა ევროკავშირის, როგორც ინსტიტუტისა და მასში შემავალი სახელმწიფოების ქცევები და მოტივაციები წარმატებული კრიზისის მენეჯმენტის დროს. ასევე, გამოყენებული იქნება ჰიპოთეზისა და დამოუკიდებელი ცვლადების გენერირებაში.

ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმი ენდრიუ მორავჩიკის სახელთანაა დაკავშირებული, რომელმაც, როგორც უკვე აღვნიშნე თეორია სტენლი ჰოფმანის კლასიკური ინტერგავერნმენტალიზმის თეორიის დაშვებებზე ააგო. (Hoffmann, 1966) მიდგომის მთავარი დაშვებებია, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ევროპული ინტეგრაციის მთავარი აქტორები არიან, კოლექტიური ქმედება კი ხორციელდება წევრი ქვეყნების ეროვნული მთავრობების თანხმობით. შესაბამისად, ინტერგავერნმენტალიზმის მიხედვით, ინტეგრაცია და კოლექტიური ქმედების განხორციელება ხდება მაშინ, როდესაც „სარგებელი მაღალია, დანახარჯები დაბალი და მოლოდინები დიდი.“ (Hoffmann, 1966, 144). ენდრიუ მორავჩიკი ეთანხმება დაშვებას, რომ ერი-სახელმწიფოები მთავარი აქტორები არიან, თუმცა გადაწყვეტილებს მიღების პროცესს ევროკავშირის ინსტიტუტებში ორ საფეხურიანი მოდელით ხსნის, რომელთა შორის, პირველი- ეროვნული ინტერესის ფორმირება, უფრო მნიშვნელოვანია. მორავჩიკი უშვებს, რომ სახელმწიფოები არიან რაციონალურები და იქცევიან რაციონალურად. აქტორები, მაშასადამე სახელმწიფოები, ახდენენ ალტერნატიული საშუალებების გამოყენების შედეგების კალკულაციას და ირჩევენ ისეთ გზას, რომელიც მათ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ყველაზე მეტ მოგებას მოუტანს. (Moravcsik and Schimmelfennig, 2009, 68) თუმცა, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული პრიორიტეტები არ არის ფიქსირებული, მორავჩიკი ხსნის ე.წ შავ ყუთს ზემოაღნიშნული 2-საფეხურიანი მოდელის საშუალებით: მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოები საერთაშორისო დონეზე მოლაპარაკებებს აწარმოებენ, ისინი

შეზღუდული არიან ეროვნულ დონეზე საზოგადოებრივი ჯგუფებით, რომლებიც კონკრეტული გადაწყვეტილების მიღმა ეკონომიკური მოგებისა და დანაკარგების კალკულაციას ახდენენ. შესაბამისად, გადაწყვეტილება ქმედების შესახებ მიიღება ამ გათვლაზე დაყრდნობით. (იქვე, 481). მეორე საფეხურზე, სახელმწიფოთაშორის მოლაპარაკების პროცესი წარმართება საშინაო დონეზე ფორმირებული ინტერესების რეალიზებისთვის. ამ პროცესის შედეგი კი დამოკიდებულია კონკრეტული სახელმწიფოს „შედარებით მომლაპარაკებელ სიძლიერეზე“ (relative bargaining power) რაც ნიშნავს, რომ რაც უფრო სენსიტიურია და აუცილებელია საკითხი ეროვნული ინტერესისთვის, მით უფრო მეტი შანსია, რომ კონკრეტული სახელმწიფო კომპრომისებზე წავა საკუთარი მიზნის მისაღწევად. აღნიშნული დაშვებები, განსხვავებით რეალიზმისგან, აღნიშნავს, რომ „მომლაპარაკებელი ძალა“ დამოკიდებულია სამ ძირითად ფაქტორზე: ეროვნული პრეფერენციების ინტენსიურობაზე, ევროკავშირის დონეზე თანამშრომლობის გარდა სხვა უნილატერალურ ან მულტილატერალურ ალტერნატივებზე და კომპრომისის პოტენციალზე-რამდენად არის კონკრეტული საკითხი საერთო ინტერესი სახელმწიფოებისთვის. (Moravcsik, 1993).

კიდევ ერთი ელემენტი ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმის არის სახელმწიფოთა ინსტიტუციური არჩევანი, როდესაც ისინი მზად არიან საკუთარი სუვერენულობის დელეგირება მოახდინონ. ეს ფაქტი, მორავსიკის აზრით, არის სახელმწიფოს მხრიდან რაციონალური გათვლის შედეგი. სუვერენულობის დელეგირება ხდება უფრო მეტად მაშინ, როდესაც მთავრობების აზრით, თანამშრომლობიდან საერთო მოგება უფრო მაღალია, პოლიტიკური რისკი კი დაბალი (Moravcsik, 1993). სახელმწიფოები ევროკავშირის დონეზე თანამშრომლობას არჩევენ მაშინ, როდესაც ამ თანამშრომლობას მოყვება “politics of scale”, რომელიც გულისხმობს, რომ ეროვნული დიპლომატიური, ეკონომიკური და სამხედრო რესურსების ერთობლივი გამოყენება ზრდის არსებულ კონფლიქტზე გავლენას და ამცირებს სახელმწიფოსთვის ინდივიდუალური დანახარჯებსა და რისკებს - აღნიშნული კიდევ უფრო რელევანტურია, როდესაც საჭიროა საფრთხის დაბალანსება. (Moravcsik, 1998, 30) ზემოთხსენებული მოგება/სარგებელი კი შედარებულია ევროკავშირის დონეზე კრიზისის მენეჯმენტის ეკონომიკურ და

პოლიტიკურ რისკებთან. დანახარჯები და პოლიტიკური რისკი დამოკიდებულია კრიზისის მენეჯმენტის აქტივობის სახესა და საკითხის სპეციფიკურობაზე. პოლიტიკური რისკი გულისხმობს ეროვნული სუვერენულობის დაკარგვისა და არსებულ კრიზისზე, რეგიონზე გავლენის შემცირებას. (Gordon, 1997). ეს გათვლები, სახელმწიფოთაშორის მოლაპარაკების პროცესში, ევროკავშირის დონეზე გამორიცხავს კოლექტიურ გადაწყვეტილებას ან ქმედებას, თუკი სახელმწიფოთა პრიორიტეტები/ინტერესები შეუთავსებელია. საპირისპირო შემთხვევაში კი მიიღწევა „lowest common denominator“ შედეგი, რომელიც წარმოადგენს გავლენიანი სახელმწიფოების გაზიარებულ/მსგავსი ინტერესების კორელაციის პოზიტიურ შედეგს (Thomas 2011, 21-22).

1.5 ჰიპოთეზა და დამოკიდებული ცვლადის ოპერაციონალიზაცია

ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმის პერსპექტივიდან, ევროკავშირის კრიზისის მენეჯმენტის მთავარი აქტორები არიან მისი დიდი და შედარებით ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოები (Moravcsik, 1993). ევა გროსის მიხედვით, ამ სახელმწიფოებს საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და გერმანია წარმოადგენენ. (Gross 2009, 6).

ჰიპოთეზა: ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის თანმიმდევრულობის ხარისხი მაღალია ვერტიკალურ დონეზე, როდესაც ა) კრიზისი რისკის ქვეშ აყენებს ამ ქვეყნების სექტორულ ეკონომიკურ ინტერესებს ბ) არსებული კრიზისიდან მომდინარე აღქმული საფრთხე საერთოა

დამოკიდებული ცვლადი: ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის თანმიმდევრულობა;

დამოუკიდებელი ცვლადი: კრიზისიდან მომდინარე საერთო აღქმული საფრთხე, რისკის ქვეშ დაყენებული სექტორული ეკონომიკური ინტერესები;

დამოკიდებული ცვლადი-თანმიმდევრულობის კონცეფცია და მისი ხარისხები

ევროკავშირის თანმიმდევრულობაზე საკმაო რაოდენობის ნაშრომია შექმნილი, თუმცა, მათი უმეტესობა თანმიმდევრულობას განიხილავს, როგორც დამოუკიდებელ ცვლადს, რომელიც პასუხისმგებელია ევროკავშირის საგარეოპოლიტიკური ქმედების შედეგებზე. (Portela/Raube, 2007), თუმცა, ჩემს ნაშრომში თანმიმდევრულობა დამოკიდებული ცვლადია.

ქრისტოფერ ჰილიონის განსაზღვრების მიხედვით, „თანმიმდევრულობა ნიშნავს პროცესს, როდესაც სხვადასხვა პოლიტიკური ქმედებები თვალსაზრისით, ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც სინერგია ევროკავშირის პოლიტიკის სხვადასხვა კომპონენტებს შორის“ (Hillion,2008,17). ფრენკ ჰოფმაისტერის განმარტებით, ევროკავშირის კონტექსტში, თანმიმდევრულობა აღნიშნავს მისი ინსტიტუტების პროცედურულ ვალდებულებას, რომ მოახდინონ მათი ქმედების კოორდინაცია, რომელსაც უნდა მოჰყვეს ევროკავშირის მხრიდან ერთიანი პოლიტიკური ქმედება. (Hoffmeister, 2008, 161). ჰოფმაისტერი ევროკავშირს განიხილავს, როგორც „ქოლგას“, რომლის ქვეშაც სხვადასხვა ინსტიტუტები ვალდებულები არიან საერთო პოლიტიკის გატარებაზე. (იქვე)

ევროკავშირისთვის, თანმიმდევრულობა პირდაპირპროპორციულ კავშირშია მისი საგარეო პოლიტიკის ეფექტიანობასთან (European Commission, 2006) ანტონიო მისორილის მოსაზრებით, თუკი თანმიმდევრულობა ვერ მიიღწევა ერთიანი ქმედებით, ამგვარი სისტემის ადეკვატურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ერთიანი მიზნითა და უნილატერალური ქმედებით, ევროკავშირი ხდება უფრო ეფექტიანი საგარეო პოლიტიკის გატარებისას. (Missiroli, 2001,4),

პორტელა და რაუბეს მიხედვით, არსებული ლიტერატურის უმეტესი ნაწილის მიხედვით, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის (არა)თანმიმდევრულობის ანალიზისას ინსტიტუციურ დამკვიდრებზე ფოკუსირდება, რაც, საბოლოო ჯამში, ევროკავშირის ინსტიტუციური ფაქტორებზე ზედმეტად ფოკუსირებას იწვევს (Portela and Raube, 2009).

ვან ელსუვეგეს მოსაზრებით, თანმიმდევრულობა ევროკავშირის სამართლებრივი ჩარჩოს ორგანული ნაწილია, თუმცა იგი უმეტესწილად მაინც პოლიტიკური იმპერატივია, რომელიც დამოკიდებულია წევრი სახელმწიფოების პოლიტიკურ სურვილზე. „პოლიტიკური სურვილის“ ცნება კი კვლავ გვაბრუნებს წევრი სახელმწიფოების განსხვავებული ინტერესების, მოტივებისა და ძალაუფლების ცნებებთან გადაწყვეტილების მიღების პროცესში. (Van Elsuwege, 2010).

ნაშრომში თანმიმდევრულობა აღიქმება, როგორც კრიზისის მენეჯმენტის სხვადასხვა პოლიტიკასა და ინსტრუმენტებს შორის დაპირსპირების არარსებობა. როგორც შესავალ ნაწილში განვმარტე, თანმიმდევრულობის კონცეფციის კატეგორიზება სხვადასხვა მიმართულებით ხდება: ჰორიზონტალური, ინსტიტუციური, და ვერტიკალური. ნაშრომში ვფოკუსირდები ვერტიკალურ განზომილებაზე, რომელიც აღწერს თუ რამდენად შეესაბამება ან ხელს უწყობს წევრი ქვეყნების აქტივობები და პოლიტიკა ევროკავშირის გაცხადებულ პოლიტიკას და აქტივობებს კრიზისზე საპასუხოდ. (Nuttall, 2005)

ნიკოლ კოეინგი კრიზისის მენეჯმენტში ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის თანმიმდევრულობის ხარისხის განსაზღვრისთვის გამოყოფს 4 ოპერაციულ ელემენტს, რომელთა ვარიაცია, საბოლოო ჯამში, თანმიმდევრულობის ხარისხებს განსაზღვრავს. ესენია: შეთანხმებულობა, მიზნები, ინტერაქცია და თანხმობა (Koeing, 2016) *(იხ. ცხრილი N2)*

ცხრილი N2 თანმიმდევრულობის ხარისხების საზომი ინდიკატორები

თანმიმდევრულობის ხარისხი	ინდიკატორები
არათანმიმდევრული	<p>შეთანხმებულობა: არა</p> <p>ინდიკატორი: აქტივობების ან პოლიტიკის აუთფუტებს შორის შეუთანხმებლობა (მაგალითად: ევროკავშირის სხვადასხვა მოთამაშეებმა ურთიერთსაწინააღმდეგო დიპლომატიური ქმედებები ან განცხადებები გააკეთეს)</p> <p>მიზნები: წინააღმდეგობრივი</p> <p>ინდიკატორი: ერთიანი სტრატეგიის არ არსებობა, განსხვავებული მიზნების დასახვა</p> <p>ინტერაქცია: დისფუნქციური</p> <p>ინდიკატორი: ინფორმაციის გაზიარების ნაკლებობა, მტრული ინტერაქცია</p> <p>თანხმობა: არა</p> <p>ინდიკატორი: წინასწარშეთანხმებული ნორმისგან ან კანონისგან გადახრა</p>
დაბალი	<p>შეთანხმებულობა: კი</p> <p>ინდიკატორი: აქტივობების ან პოლიტიკის აუთფუტებს შორის შეთანხმებულობა</p> <p>მიზნები: არახელისშემშლელი</p> <p>ინდიკატორი: არ არის საერთო სტრატეგია. პარალელური მიზნები, მაგრამ არა საერთო პრიორიტეტები</p> <p>ინტერაქცია: არახელისშემშლელი</p> <p>ინდიკატორები: ინფორმაციის გაზიარება, თუმცა არა კონსულტაციები და კოლაბორაცია</p> <p>თანხმობა: მინიმალური</p> <p>ინდიკატორი: წინასწარშეთანხმებული კანონებისა და გადაწყვეტილებებისგან არ არის გადახრა, თუმცა საშუალებებისა და რესურსების გაუზიარებლობაა</p>
საშუალო	<p>შეთანხმებულობა: კი</p> <p>ინდიკატორი: აქტივობების ან პოლიტიკის აუთფუტებს შორის შეთანხმებულობა</p> <p>მიზნები: კომპლემენტარული</p> <p>ინდიკატორები: საერთო მიზნები, თუმცა განსხვავებული პრიორიტეტები</p> <p>ინტერაქცია: თანამშრომლური</p> <p>ინდიკატორები: გაზიარებული ინფორმაცია და კოორდინაცია</p> <p>თანხმობა: ნაწილობრივი</p> <p>ინდიკატორი: წინასწარშეთანხმებული კანონებისა და გადაწყვეტილებებისგან არ არის გადახრა, საშუალებებისა და რესურსების ნაწილობრივი გაღება</p>
მაღალი	<p>შეთანხმებულობა: კი</p> <p>ინდიკატორი: აქტივობების ან პოლიტიკის აუთფუტებს შორის შეთანხმებულობა</p> <p>მიზნები: კოლექტიური</p> <p>ინდიკატორები: ერთიანი სტრატეგია, მსგავსი მიზნები და პრიორიტეტები</p> <p>ინტერაქცია: კოლაბორაციული</p> <p>ინდიკატორები: სრული კოორდინაცია და შრომის განაწილება</p> <p>თანხმობა: სრული</p> <p>ინდიკატორები: წინასწარშეთანხმებული კანონებისა და გადაწყვეტილებებისგან არ არის გადახრა, საშუალებებისა და რესურსების სრული გაღება</p>

1.6 კვლევის მეთოდოლოგია

საკითხის ანალიზის, გამოკვლევისა და საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად გამოვიყენებ თვისებრივი კვლევის მეთოდის სტრატეგიას, რომელიც რაციონალური საშუალებაა რომ დაინახო, შეაფასო და აღწერო მოვლენები კვლევის ობიექტის თვალთ (ზურაბაშვილი, 2006, 7). ეს მეთოდი რელევანტურია ჩემი ნაშრომისათვის, იმედნად, რამდენადაც შესაძლებლობას მაძლევს ორიენტირება მოვახდინო ერთი შემთვევის შესწავლის მეთოდზე, რომელსაც შეუძლია სიღრმისეულად შეისწავლოს არსებული ფენომენი და კითხვის ნიშნის ქვეშ მდგარი მოცემულობის არსებობის დამკიცებაში დაეხმაროს მკვლევარს. (Eisenhardt and Graebner, 2007)

როგორც უკვე ნათელია, ნაშრომში ვფოკუსირდები ევროკავშირის პირველ საზღვაო-სამხედრო ოპერაციაზე- EU NAVFOR Atalanta-ზე, რომელიც 2008 წელს ამოქმედდა და როგორც შესავალში აღვნიშნე, ევროკავშირის წარმატებული კრიზისის მენეჯმენტის ყველაზე ციტირებად მაგალითად განიხილება. მიუხედავად იმისა, რომ ანალიზი ძირითადად ფოკუსირებული იქნება მენეჯმენტის კრიზისის ფაზეზე და მის პოლიტიკურ და სტრატეგიულ დონეზე, ოპერაციის თანმიმდევრულობის ხარისხის შესაფასებლად, დაფარული იქნება 2008-2016 წლებიც, რადგან ოპერაცია კლავ მინდინარეობს, მანდატის უკანაკსნელი განახლება კი სწორედ 2016 წელს მოხდა. ამასთან, აღნიშნული ოპერაცია წარმოადგენდა ევროკავშირის პირველ საზღვაო-სამხედრო ოპერაციას, რომელის შესწავლაც კონტრიბუციას შეიტანს ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის საზღვაო განზომილების თეორიულ შესწავლასა და განვითარებაში. გარდა ამისა, სომალის სანაპირო წყლებში და ადენის ყურეში მეკობრეობის გაზრდილი მაჩვენებლებით შექმნილი სიტუაცია ევროკავშირმა აღწერა, როგორც „გაუკონტროლებელი, პოლიტიკურად არამყარი და ეკონომიკურად მარგინალიზებული, რომელსაც აქვს პოტენციალი რეგიონის და ევროკავშირის სტაბილურობასა და განვითარების პოლიტიკას ძირი გამოუთხაროს, სერიოზული საფრთხე შეუქმნას ევროკავშირის უსაფრთხოებას“ (European Commission, 2006, 5), რაც ადასტურებს შემთვევის მნიშვნელობას თავად ევროკავშირის საგარეო პოლიტიკისთვისაც. ზემოაღნიშნულიდან და ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე,

აღნიშნული შემთხვევის შერჩევისას დავეყრდენი მიზანმიმართული შერჩევის (Purposeful sampling) ე.წ. outlier sampling-ის სტრატეგიას, რომელიც ფოკუსირდება შემთხვევაზე, რომელიც რაღაც კუთხით განსხვავებულია სხვა შემთხვევებისგან და მნიშვნელოვანია საკვლევი საკითვის სიღმისეული ანალიზისთვის. (Fletcher, 31)

იმის გათვალისწინებით, რომ თანმიმდევრულობის ხარისხი ვერტიკალურ დონეზე ევროკავშირის კრიზისის მენეჯმენტის პროცესში დამოკიდებულია გავლენიანი სახელმწიფოების სტრატეგიული ინტერაქციაზე, ნაშრომში ვფოკუსირდები საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის ქმედებებსა და მოტივების ანალიზზე საერთო თავდაცვისა და უსფართოების პოლიტიკის ინსტრუმენტის- სამხედრო-საზღვაო ოპერაციის ამოქმედებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და მის შემდგომ იმპლემენტაციაში. ამ არჩევანს, გარდა თეორიული ასპექტისა, (ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმის მიხედვით, მთავარი აქტორები ევროკავშირის გავლენიანი და ძლიერი წევრი სახელმწიფოები არიან) აქვს ემპირიული საფუძველიც: კრის პატენის აზრით, არ არსებობს ევროკავშირის საერთო პოლიტიკა, მანამ, სანამ საფრანგეთის, გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის თანხმობა არ არის. (Chris Patten 2005, 160) ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა წევრი სახელმწიფო თანაბარი უფლებით სარგებლობს, უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგიერთ მათგანს უფრო მეტი ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური შესაძლებლობა აქვს, რომ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ცენტრში იყვნენ, რადგან მხოლოდ მათ შეუძლიათ მსგავსი ძალისხმევის გაწევა. (Crowe, 2003, 546) ამავე დროს, სამივე ქვეყანამ უმნიშვნელოვანესი როლი შეიტანა ოპერაციის ინიცირებასა და იმპლემენტაციაში: საფრანგეთი გახლდათ ოპერაციის მთავარი ლოგისტი და ინიციატორი, დიდი ბრიტანეთი ოპერაციის ხელმძღვანელი, ხოლო გერმანია უმთავრესი კონტრიბუტორი.

ნაშრომის საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად გამოვიყენებ პროცესის მიდევნების მეთოდს, რომლის მიზანია თეორიისა და სამყაროში მიმდინარე მოვლენების ერთმანეთთან დაკავშირება- იგი მკვლევარს დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის შედეგობრივი ჯაჭვისა და მექანიზმის აგების საშუალებას აძლევს, რათა მან დაინახოს თუ რა ხარისხით ემთხვევა ამ პროცესს წინასწარ თეორიულად შემუშავებული მოლოდინები და ჰიპოთეზები (George & Bennett, 2005, 204) აღნიშნული

მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად ნაშრომის ძირითად ნაწილში, თავდაპირველად, მიმოვიხილავ ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების ჩამოყალიბების, შემდეგ კი საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის, როგორც საგარეო პოლიტიკის მთავარი ნაწილის შექმნის მთავარ მოტივებსა და მიზეზებს, ამ პოლიტიკის საფუძვლებსა და მიზნებს. სომალიში შექმნილი კრიზისული სიტუაციისა და მეკობრეობის ფეონმენის, დინამიკის მიმოხილვის შემდეგ, გავაანალიზებ ევროკავშირის გაცხადებულ პოლიტიკას/მიზნებს კრიზისის საპასუხოდ, ოპერაციის იმპლემენტაციასა და შედეგებს 2016 წლისთვის. დამოუკიდებელი ცვლადების ოპერაციონალიზაციაში შემუშავებული საზომების მიხედვით კი, შემდეგ ნაწილში მოვახდენ დამოუკიდებელი ცვლადების იდენტიფიცირებას. შემდეგ, გავაანალიზებ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის მონაწილეობას ოპერაციის ამოქმედების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომლის შედეგადაც, პარალელურად გამოიკვეთება მათი მთავარი მოტივები და მიზნები, რომელსაც, ლოგიკურად მოჰყვება ვერტიკალურ დონეზე თანმიმდევრულობის ხარისხის შეფასება, დამოკიდებული ცვლადის ოპერაციონალიზაციაში გამოკვეთილი საზომების მიხედვით. ჰიპოთეზიდან გამომდინარე, ვერტიკალურ დონეზე, თანმიმდევრულობის მაღალი ხარისხზე, ოპერაცია EU NAVFOR ATALANTA ამოქმედებისა და განხორციელების პროცესში, გავლენა მოახდინა სექტორულმა ეკონომიკურმა ინტერესებმა და კოლექტიური საფრთხის აღქმამ. აღნიშნულის დასატესტად გამოყენებული იქნება პირველადი და მეორეული წყაროები. პირველი, ნაშრომის კონტექსტში, მოიცავს ევროკავშირის ოფიციალური დოკუმენტების, ანგარიშების გამოყენებას, რომელიც, მათ შორის, მოიცავს სტატისტიკურ ინფორმაციასაც. მეორეული კი სხვა ავტორთა ნაშრომების- აკადემიური წიგნების, სტატიების, პოლიტიკური დოკუმენტების, სამთავრობო გამოსვლების, საპარლამენტო დებატებისა და გამოსვლების, მედიის ანალიზს.

1.7 დამოუკიდებელი ცვლადების ოპერაციონალიზაცია

1) სექტორული ეკონომიკური ინტერესები

სექტორული ეკონომიკური ინტერესი ჩემს ნაშრომში დამოუკიდებელი ცვლადია და მოსალოდნელია, რომ ის გავლენას ახდენს საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის თანმიმდევრულობაზე ვერტიკალურ დონეზე.

ევროკავშირის სამხედრო-საზღვაო ოპერაცია EU NAVFOR Atlanta წარმოადგენდა პასუხს სომალის კრიზისზე- უპრეცედენტოდ გაზრდილ მეკობრეობის მაჩვენებელსა და შეიარაღებულ თავდასხმაზე. იმის გათვალისწინებით, რომ სომალის მეკობრეობა პირდაპირ კავშირშია საზღვაო სატრანსპორტო-სავაჭრო სექტორთან და მათი თავდასხმების ერთ-ერთ ძირითად ობიექტსაც წარმოადგენს სავაჭრო გემები, უნდა ვივარაუდოთ, რომ თუკი კონკრეტულ ქვეყანას აქვს შედარებით დიდი საზღვაო სატრანსპორტო სავაჭრო სექტორი, რომელიც ტრანსპორტირებისათვის იყენებს სომალის სანაპირო ზოლს, ადენის ყურეს, ინდოეთის ოკეანეს (ანუ მეკობრეობით დაზარალებულ ტერიტორიებს) ამ ქვეყნის სექტორული ეკონომიკური ინტერესი უფრო მეტად დგება რისკის ქვეშ სომალის კრიზისის შედეგად. შესაბამისად, ამ ინტერესისა და საფრთხის იდენტიფიცირება შესაძლებელია თითოეულ ქვეყანაში საზღვაო ტრანსპორტის/ვაჭრობის მოცულობის შეფასებით. ინფორმაციის მოპოვება ზემოთ აღნიშნულის შესახებ კი შეიძლება საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის(WTO), საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) და გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის(UNCTAD), ეროვნული მთავრობებისა და ევროკავშირის (Eurostat) მონაცემთა ბაზებიდან. ასევე, მნიშვნელოვანია სავაჭრო გზების განსაზღვრაც- წარმოადგენს თუ არა სომალის მეკობრეობით დაზარალებული ტერიტორიული წყლები ამ ქვეყნებში იმორტირებული საქონლის სავაჭრო მარშრუტს, რომლისთვისაც, ასევე, მსგავსი წყაროები იქნება გამოყენებული.

სექტორული ეკონომიკური ინტერესების ანალიზისას უნდა გავითვალისწინოთ ის საზოგადოებრივი ჯგუფები, რომლებსაც ეს ინტერესი აქვთ(დაყენებულია საფრთხის ქვეშ სომალის მეკობრეობის შედეგად) და მთავრობებზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ

გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ ჯგუფში, ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი ჯგუფების ქვეშ იგულისხმება ის ჯგუფები, რომლებიც დაკავშირებული არიან საზღვაო ტრანსპორტის ინდუსტრიასთან- გადამზიდი კომპანიები, გემ-ფლობელთა ასოციაციები და ა.შ. ამ ჯგუფებსა და მთავრობებს შორის კავშირის დასადგენად, საჭიროა განისაზღვროს მათი აქტიურობის დონე საკვლევ ქვეყნებში და ის, ცდილობდნენ თუ არა ისინი სახელმწიფოს მთავრობებზე ზეწოლას სომალის მეკობრეობის წინააღმდეგ სამხედრო-საზღვაო ოპერაციაში მონაწილეობისთვის ევროკავშირის ფორმატში. აქტიურობისა და გავლენის მოხდენის მცდელობის იდენტიფიცირება კი შესაძლებელია მათ საპარლამენტო დებატებში მონაწილეობით, ხელისუფლებისადმი პირდაპირი მიმართვები მედიის საშუალებით, სადაც შესაძლებელია.

2) კრიზისიდან მომდინარე საერთო აღქმული საფრთხე

„საფრთხის აღქმა“ გულისხმობს ობიექტურად არსებული საფრთხის შეფასებას-საფრთხის რაციონალისტური განმარტება გულისხმობს, რომ სახელმწიფოები თანამშრომლობენ, რათა დააბალანსონ საერთო სფრთხე. დაბალანსების ქმედება კი შეიძლება მოიცავდეს როგორც სამხედრო, (სამხედრო ოპერაცია) ასევე არასამხედრო ქმედებებს. (სამშვიდობო მისია, სამოქალაქო მისია) (Bock and Henneberg, 2013, 9). ამ პერსპექტივიდან, ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა იქნება თანმიმდევრული ვერტიკალურ დონეზე, როდესაც სახელმწიფოები აღიქვამენ საერთო საფრთხის არსებობას და პირიქით. რისი იდენტიფიცირებისთვისაც, გამოყენებული იქნება ეროვნული სადაზვერვო სამსახურების გაფრთხილებების, სამთავრობო/ოფიციალური დოკუმენტები, პირველ პირთა გამოსვლების ანალიზი.

2. საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ისტორიული წინაპირობები და განვითარება

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა ევროკავშირის ყველაზე „ახალგაზრდა“ პოლიტიკის ნაწილია, მას საფუძველი იმაზე ადრე ჩაეყარა, ვიდრე ოფიციალურად გახდებოდა ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების ნაწილი 1992 წელს. მიუხედავად იმისა, რომ მისი საბოლოო სახით ჩამოყალიბების პროცესის დაწყებასა და ფორმალიზაციას დიდწილად შეუწყო ხელი 1990-იან წლებში ევროკავშირის კრახმა ბალკანეთში, უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობისკენ გადადგმული ნაბიჯები სათავეს მე-2 მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში იღებს, რომელიც ხასიათდებოდა სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის ინტენსიფიკაციით ომისა და კონფლიქტის თავიდან აშორების მიზნით.

ჯერ კიდევ 1948 წელს, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ბენილუქსის ქვეყნების მიერ ბრიუსელის ხელშეკრულების გაფორმება გახლდათ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის პირველი ისნტიტუციური მცდელობა. (EEAS, 2016) აღნიშნული ხელშეკრულება შეიცავდა საერთო თავდაცვის შესახებ მუხლსაც, რომელიც დასაღეთ ევროპის კავშირის შექმნის მთავარი საფუძველი გახლდათ. დასავლეთ ევროპის კავშირი 1990-იან წლებამდე, NATO-სთან ერთად ევროპაში უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებზე კონსულტაციებისა და დიალოგის ფორუმს წარმოადგენდა, რომელიც დროთა განმავლობაში ევროკავშირის სამართლებლივ ჩარჩოში სრულიად ინკორპორირდა. (EEAS, 2016) ამ პერიოდიდან მოყოლებული, განიხილებოდა თანამშრომლობის სხვადასხვა ვარიანტები, რომელსაც უნდა მოეხდინა გაერთიანების წევრი ქვეყნების პოლიტიკური დაახლოება და ინტეგრაცია. 1970 წელს ლუქსემბურგის სამიტზე წარდგენილ იქნა „დავინიონის მოხსენება“, რომელიც საფუძველად დაედო ევროპის პოლიტიკურ თანამშრომლობას, რომელიც შემდგომში ფორმალურად იქნა შეყვანილი საერთო ევროპულ აქტში 1987 წელს. დავინიონის მოხსენება წარმოადგენდა წლების მანძილზე ევროგაერთიანების ქვეყნების პოლიტიკური თანამშრომლობის ძირითად დოკუმენტს.

ევროპის პოლიტიკურ თანამშრომლობის მთავარი მახასიათებელი იყო წევრ ქვეყნებს შორის კონსულტაციები საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე რომლებიც განიხილავდნენ საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს. 1974 წელს ევროპული საბჭოს (European Council) შექმნამ მისი საქმიანობა უფრო კოორდინირებული გახადა, ვინაიდან ქვეყნის მეთაურებს მიეცათ უფრო გამოკვეთილი როლი, რომელიც ითვალისწინებდა კავშირისთვის საერთო მიმართულების მიცემას. (იქვე)

საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთის დაპყრობამ და ირანში მომხდარმა ისლამურმა რევოლუციამ კიდევ ერთხელ დაანახა ევროპელებს საერთო პოზიციის არქონით განპირობებული სისუსტე საერთო საგარეო პოლიტიკის წარმოების საქმეში. ამან გამოიწვია ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობის როლის გაძლიერების მოთხოვნა ლონდონის მოხსენებაში, რომელიც მოითხოვდა წინასწარ კონსულტაციას წევრ ქვეყნებს და კომისიას შორის იმ საკითხებზე, რომლებსაც გავლენა შეიძლება ჰქონოდა ყველა წევრ სახელმწიფოზე. (კაპანაძე, 2006, 65)

ცივი ომის დასრულების შემდგომ, ბალკანეთის რეგიონში განვითარებულმა მოვლენებმა (1991-2001) ევროპას დაანახა, რომ მათ სჭირდებოდათ, სულ მცირე, სწრაფი რეაგირების რეგიონული სამხედრო/პოლიციური ძალები, რომელიც საჭირო მომენტში მოახდენდნენ ინტერვენციას კრიზისულ სიტუაციებში და შეძლებდა დასავლეთ ევროპის კავშირის 1992 წლის მინისტრიალზე შეთანხმებული, ე.წ. „პიტერსბერგის ამოცანების“ შესრულებას. აღნიშნულმა, ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირება მოახდინა, რადგან განსაზღვრა იმ სამხედრო ქმედებების/ფუნქციების სპექტრი და ხასიათი, რომლის განხორციელებაც ევროკავშირს შეეძლო კონკრეტული კრიზისის მენეჯმენტის პროცესში, რაც მოიცავდა:

- ჰუმანიტარულ და სამაშველო ამოცანები;
- მშვიდობის შენარჩუნება;
- კრიზისის მენეჯმენტში საბრძოლო ძალების არსებობა, მშვიდობისკეთების ჩათვლით;

2009 წელს, ლისაბონის ხელშეკრულებით, პიტერსბერგის ამოცანები გაფართოვდა და მოიცვა:

- ჰუმანიტარულ და სამაშველო ამოცანები;
- კონფლიქტის პრევენცია და მშვიდობის შენარჩუნების ამოცანები;

- კრიზისის მენეჯმენტში საბრძოლო ძალები, მშვიდობისკეთების ჩათვლით;
- ერთობლივი განიარაღების ოპერაცია;
- სამხედრო დახმარებისა და რჩევის გაცემა;
- კონფლიქტის შემდგომი სტაბილიზაციის ამოცანები. (EEAS, 2016)

პარალელურად მიდიოდა მუშაობა NATO-ს შიგნით ევროკავშირის სვეტის დახვეწაზე, რაც მათ მისცემდა ალიანსის რესურსების ავტონომიურად გამოყენების საშუალებას. 1996 წელს, ბერლინში, ალიანსის მინისტრიალზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რაც NATO-ს შიგნით ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის იდენტურობის (ESDI) ჩამოყალიბებას გულისხმობდა. აღნიშნულ მინისტრიალს 2002 წლის „ბერლინ პლუს“ შეთანხმება მოჰყვა, რის საფუძველზეც, დასავლეთ ევროპის კავშირს მიეცა საშუალება, საჭიროების შემთხვევაში გამოეყენებინა NATO-ს რესურსები – მათ შორის მთავარსარდლობა. „პეტერსბერგის ამოცანები“ 1999 წელს ოფიციალურად შევიდა ამსტერდამის ხელშეკრულებაში, აღნიშნული ხელშეკრულებით შეიქმნა ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის პოსტი, რომელიც კავშირს საშუალებას აძლევდა ესაუბრა და ემოქმედა „ერთი ხმით“, როცა საქმე საგარეო პოლიტიკას ეხებოდა. (EEAS, 2016) ამსტერდამის ხელშეკრულებამ, გარდა იმისა, რომ ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას უფრო მეტად სტრუქტურული სახე მისცა, ასევე, შექმნა შესაძლებლობა ევროკავშირის საერთო თავდაცვის პოლიტიკის განვითარებისა.

1999 წელს კიოლნში, ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა კიდევ ერთხელ გამოხატეს მზადყოფნა და სურვილი ევროკავშირის ფორმატში დამოუკიდებელი და ავტონომიური საგარეოპოლიტიკური ქმედებისათვის შესაძლებლობის განვითარებისათვის, რომელსაც მხარს გაუმაგრებდა სამხედრო ძალაც: “ევროკავშირს უნდა ჰქონდეს ავტონომიური ქმედების შესაძლებლობა, რომელიც დაეყრდნობა სამხედრო ძალას, რომელიც ნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში და გადაწყვეტილებისამებრ, იგი გამოყენებული იქნება საერთაშორისო კრიზისებზე საპასუხოდ“ (EEAS, 2016) აღნიშნულ შეხვედრას წინ უსწრებდა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის პირველი პირების შეხვედრა სენტ მალოში, 1998 წელს, სადაც მხარეებმა ნათელი გახადეს მზაობა ევროკავშირის თავდაცვის კომპონენტის განვითარებაზე. ნათელია, რომ ევროკავშირი საერთო თავდაცვისა და

უსაფრთხოების პოლიტიკას განიხილავდა, როგორც საერთაშორისო არენაზე ანგარიშგასაწევი აქტორის როლისთვის საჭირო პრერეკვიზიტს. ამიტომაც, კიოლნში გადაწყდა, რომ საჭირო იყო სამხედრო ოპერაციებისთვის შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმის არსებობაც, რომელიც მოითხოვდა, მაგალითად: პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის შექმნას, რომელიც დაკომპლექტდებოდა შესაბამისი პოლიტიკური/სამხედრო ექსპერტიზის მქონე ამბასადორებისგან; ევროკავშირის სამხედრო კომიტეტის შექმნას, რომელიც რეკომენდაციას გაუწევდა პოლიტიკურ და უსაფრთხოების კომიტეტს და ა.შ. უმაღლეს წარმომადგენლად დაინიშნა ხავიერ სოლანა. (იქვე)

1999 წელს შეიქმნა Helsinki Headline Goals (HLGs) ამ ხელშეკრულების მთავარ მიზანს წარმოადგენდა, რომ 2003 წლისთვის კავშირს შეძლებოდა სამხედრო მისიის სწავად შემუშავება და შემდეგ შენარჩუნება, რაც ნიშნავდა 50 000-60 000 ჯარისკაცს ან 15 ბრიგადის შექმნას. 2010 წელს, შეცვლილი საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოებისა და უკვე დაგროვებული გამოცდილების საფუძველზე, შემუშავდა ახალი „Headline Goal 2010“, რომლის მიხედვითაც, ა) ევროკავშირს უნდა შეეძლოს მანამდე მოქმედება, სანამ კრიზისი წარმოიშვება-ანუ მონაწილეობა მიიღოს კრიზისის პრევენციაში და ბ) ევროკავშირს უნდა შეეძლოს ერთდროულად რამდენიმე მისიის განხორციელება, სხვადასხვა დონეზე ჩართულობით. აქედან გამომდინარე, შეფასების კრიტერიუმები უფრო მეტად რაოდენობრივიდან, ხარისხობრივისკენ შეიცვალა. (იქვე)

ევროკავშირისთვის საერთაშორისო უსაფრთხოებისა და პოლიტიკის საკითხების სტრატეგიული და უფრო ღრმა ხედვა გამოხატულია 2003 წელს მიღებულ ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიაში, რომელიც ევროკავშირის მხრიდან გახლდათ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ახალი საერთაშორისო უსაფრთხოების კონტექსტის მიმართ პასუხი: გლობალიზაციის პირობებში, ურთიერთდამოკიდებულების ზრდა პირდაპირპროპორციულია სახელმწიფოების მოწყვლადობისა საგარეო საფრთხეების მიმართ. კლასიკური შიდა და გარე საფრთხეების დაყოფას შორის საზღვარი გაფერმკრთალდა, შესაბამისად, გაიზარდა საფრთხეების და უსაფრთხოების რისკების არეალი. გამოიყო 5 „ძირითადი საფრთხე“: ტერორიზმი, მასობრივი განადგურების

იარაღი, რეგიონული კონფლიქტები, სახელმწიფოს ნგრევა და ორგანიზებული დანაშაული. (European Council, 2003)

აღნიშნული საფრთხეების გასანიტრალეზად ან თავიდან ასაცილებლად, დოკუმენტის მიხედვით, საჭიროა უფრო მეტი ჩართულობა და ყველა იმ ინსტრუმენტის გამოყენება, რომელიც ევროკავშირს გააჩნია, მან უნდა გაზარდოს და მოახდინოს რესურსების დიფერენციაცია და რაც მთავარია უზრუნველყოს საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის, მისი ინსტრუმენტებისა და ქმედებების თანმიმდევრულობა და ეფექტიანობა. (European Council, 2003)

ლისაბონის ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2009 წელს, რომლის მთავარი მიზანი გახლდათ ევროკავშირის საგარეო ქმედების თანმიმდევრულობის გაზრდა, რისთვისაც განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ცვლილება: შეიქმნა ევროპული საგარეო ქმედების სერვისი და ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი/ევროპული კომისიის ვიცე პრეზიდენტის პოსტი. აღნიშნულმა ხელშეკრულებამ, ასევე, შეიმუშავა მთავრობათაშორისი კოორდინაციის გაზრდის მექანიზმები. (EEAS, 2016)

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა კავშირის საკმაოდ დინამიურ მიმართულებად ჩამოყალიბდა, რომელიც თავის თავში მოიცავს სხვადასხვა აქტორებსა და ინსტრუმენტებს.

ევროკავშირის წევრი ქვეყნები საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ინსტიტუციური დიზაინის ცენტრალურ აქტორებს წარმოადგენენ. იმის გათვალისწინებით, რომ ისინი სრულ სუვერენულობას ინარჩუნებენ და კონტროლს უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში, მათი მნიშვნელობა საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკისთვის ნათელია: აღნიშნული პოლიტიკის ფარგლებში მიღებული ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე მათ აქვთ ინდივიდუალური ვეტოს უფლება, მათი კოლექტიური კონსენსუსი საბჭოში განსაზღვრავს საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის კონტექსტში ყოველი ქმედების სახეს და მისი განხორციელების ალბათობას, ასევე, სამომავლო პოლიტიკას. წევრი სახელმწიფოები წარადგენენ ინიციატივებს საბჭოში და ასევე, მთავარ ძალას წარმოადგენენ უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში ინტეგრაციისთვის. (EEAS, 2016)

3 სომალის კრიზისი

1990-იანი წლებიდან მოყოლებული ბრიტანეთისა და იტალიის ყოფილი კოლონია-სომალი, ჯიჰადისტ ტერორისტებისა და მეკობრეობის თავშესაფრად იქცა. 1991 წელს, შეიარაღებულმა ოპოზიციურმა ძალებმა მოჰამედ საიდ ბარის 20 წლიანი დიქტატორული მმართველობა დაასრულა. ცენტრალური ხელისუფლების ჩამოშლამ სომალი თითქმის დაუსრულებელ სამოქალაქო ომში ჩაითრია. 2000-იანი წლებიდან მოყოლებული საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ტრანზიციული მთავრობის მრავალი ვარიანტი იქნა განხილული, თუმცა ლიმიტირებული ხელისუფლებითა და ლეგიტიმურობით. 2004 წელს ტრანზიციული ფედერალური ხელისუფლება შეიქმნა, როგორც საერთაშორისოდ აღიარებული მხარე, თუმცა, რეგიონში შექმნილი დაძაბული სიტუაციის შედეგად, ჯიჰადისტური ორგანიზაციების გააქტიურება მოხდა. ერთ-ერთმა ტერორისტულმა დაჯგუფებამ- ალ შაბმა კი სომალის ცენტრალური და სამხრეთ ნაწილზე კონტროლი დაამყარა. 2009 წელს, 4 ისლამისტური დაჯგუფების ერთობა „ჰიზბულ ისლამი“ უერთდება ბრძოლას ტრანზიციული ხელისუფლების წინააღმდეგ. აღნიშნული დაჯგუფებები აქტიურად იბრძოდნენ დასავლეთისა და მათ მიერ ინიცირებული სამშვიდობო პროცესების წინააღმდეგ. 2010 წლისთვის, საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერით შექმნილი ტრანზიციული ფედერალური ხელისუფლება სომალის ტერიტორიის მხოლოდ 20 %-ს აკონტროლებდა (Koeing, 2016, 131)

პოლიტიკური და უსაფრთხოების გამოწვევების გარდა, სომალიში რთული სოციალური და ჰუმანიტარული მდგომარეობა სუფევდა. 2008 წლისთვის, სომალის მოსახლეობაში ჰუმანიტარული დახმარების საჭროების მქონდე ადამიანთა რიცხვი 3,25 მილიონამდე გაიზარდა. უკიდურესი სიღარიბემ და პოლიტიკურმა დაძაბულობამ კი სომალელთა მასობრივი მიგრაცია გამოიწვია. 2011 წლისთვის სომალის მოსახლეობის ¼ იძულებული გახდა ტერიტორია დაეტოვებინა. (UNHCR, 2011). სომალიში ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობის გამო, სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ, სომალი „მსოფლიოს ყველაზე ჩამოშლილ სახელმწიფოდ“ კლასიფიცირდა (Fund for


Peace, 2014) , რომლის ყველაზე ნათელ გამოვლინებად მეკობრეობის დრამატული ზრდა იქცა.

3.1 მეკობრეობა სომალიში: განახლებული ფენომენი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის „კანონი ზღვის შესახებ“ მიხედვით, მეკობრეობა მოიცავს რამდენიმე აქტს: ხომალდის/გემის მგზავრების პერსონალის ტყვედ აყვანა, საზღვაო ხომალდზე/გემზე არალეგალურად კონტროლის მოპოვება. (UNCLOS, 1982, 60 - 61). გაერომ აღნიშნულ საკითხზე მუშაობა 1973-1982 წლებში გააქტიურა, როდესაც საჭირო გახდა მეკობრეობის წინააღმდეგ საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა, რადგან მეკობრეობა საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხი გახდა. სამართლებრივი სტანდარტები კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი ჩამოყალიბდეს, როდესაც საერთაშორისო სისტემის მთავარი აქტორების-სახელმწიფოების უმეტესობა მის აუცილებლობაზე თანხმდება. (Leboeuf, 2) თუმცა, მეკობრეობის შეწყვეტისა თუ პრევენციის აქტები დიდწილად და მოკიდებული სახელმწიფოების პოლიტიკურ სურვილსა და ინტერესზე (იქვე). ევროკავშირი სომალიში მეკობრულ აქტივობებს განსაზღვრავს, როგორც კრიმინალურ აქტივობას, როდესაც ხდება გემის არაკანონიერი გზით ხელში ჩაგდება, ადამიანების, ტვირთისა თუ გემისთვის კი გამოსასყიდის მოთხოვნა (EU NAVFOR, 2016). საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია 1982 წლიდან აქვეყნებს სტატისტიკურ მონაცემებს მეკობრეობის აქტების შესახებ. მონაცემების მიხედვით, მისი ინტენსიფიკაცია 1994 წლიდან ხდება მსოფლიო მასშტაბით (IMO, 2017). 2000 წლიდან მოყოლებული კი სომალის სანაპირო ზოლი ინციდენტების განსაკუთრებულად მომატებული მაჩვენებლით ხასიათდებოდა, რამაც მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნა საზღვაო/სავაჭრო ინსტრუქციას. მეკობრეობის არეალი დროთა განმავლობაში იზრდებოდა, თავდასხმა სანაპირო ზოლიდან საკმაო მანძილის დაშორებითაც ხდებოდა, რამაც სანავიგაციო არეალი საერთაშორისო ვაჭრობისთვის სახიფათო გახადა. მეკობრეობის ინტენსიფიკაციის მეორე ტალღა 2008 წელს მოხდა, როდესაც მათი მოქმედების არეალი სომალის აღმოსავლეთ სანაპიროდან ადენის ყურეზე გავრცელდა და შემთხვევათა რაოდენობა თითქმის 10-ჯერ გაიზარდა (

IMB, 2009) (სურათი 1.) (დანართი NI) რასაც მოჰყვა კიდევაც საერთაშორისო საზოგადოების, მათ შორის, ევროკავშირს აქტიური ჩართულობა.

სურათი 1. მეკობრეობის ინტენსიფიკაცია სომალიში



წყარო: United Nations Office on Drugs and Crime (2010). Chapter 9. Maritime Piracy, 194

სომალი ზიანდებოდა ჰუმანიტარული თვალსაზრისითაც, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გაეროს "World Food" პროგრამის ხომალდებს, რომელთაც ჰუმანიტარული დახმარება გადაქონდათ. (EU NAVFOR, 2016). 2007 წელს განხორციელებული სისხლიანი თავდახმის შემდეგ, როდესაც მეკობრეებმა ჰუმანიტარული ტვირთი გაიტაცეს, ორგანიზაციამ საერთაშორისო საზოგადოებას მიმართა და მეკობრეობის წინააღმდეგ ზომების მიღება მოითხოვა, რადგან თავდახმის გამო ჰუმანიტარული ტვირთი ვერ აღწევდა 1 მილიონ სომალელამდე. (UN News Centre, 2007).

აღნიშნული სიტუაციის მაპროვოცირებელი და გამომწვევი მიზეზები საკმაოდ რთული და ურთიერთდამოკიდებულია. თუმცა, გამოიკვეთა მოსაზრება, რომ მეკობრეობის გააქტიურება უკავშირდება სომალიში გართულებულ პოლიტიკურ სიტუაციასა და სახელმწიფოებრივი აპარატის მოშლას 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, რამაც

ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა არაკანონიერი ქმედებებისთვის, რადგან სახელმწიფო ვეღარ აკონტროლებდა თავის ტერიტორიულ წყლებს. (Pham, 2010, 326).

მეკობრეების თავდასხმების გაზრდილი მაჩვენებელი, მიჩნეულია, რომ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო უსაფრთხოებასაც, რადგან მეკობრეები დაკავშირებულები არიან სომალში არსებულ ტერორისტულ დაჯგუფებებთან, შესაბამისად გაზრდილი მეკობრეობის მაჩვენებელი პირდაპირპროპორციულია ტერორისტულ ქმედებებთან, ტყვეების გამოსასყიდად გადახდილი თანხის დიდი ნაწილი ალ-ქაიდასთან დაკავშირებულ ტერორისტულ დაჯგუფება- ალ-შაბთან ხვდება, რომლებიც საერთაშორისო საზოგადოების მიერ შექმნილ სომალის ტრანზიციულ ფედერალურ ხელისუფლებას ებრძვის, როგორც ზემოთ აღინიშნა.(Gebhard, 2009)

გაზრდილ მეკობრეობის მაჩვენებელთან ერთად, საერთაშორისო საზოგადოება უფრო მეტად აქტიური გახდა შემთხვევასთან მიმართებით. 2008 წლის ჩათვლით, გაეროს უშიშროების საბჭომ სომალის წყლებში და მიმდებარე ტერიტორიებში გაუარესებული სიტუაციის საპასუხოდ ჯამში 10 რეზოლუცია გამოსცა, რომელთა საერთო მიზანს წარმოადგენდა გაეაქტიურებინა სხვადასხვა აქტორების კოლექტიური ძალისხმევა და მიემართათ ის მეკობრეობისა და შეიარაღებული ძარცვის წინააღმდეგ საბრძოლველად ყველა საშუალების გამოყენებით. (UN documents on piracy, 2012)

3.2 ევროკავშირის პასუხი კრიზისზე

2008 წელს სომალის ტრანზიციულმა ფედერალურმა ხელისუფლებამ გაეროს უსაფრთხოების საბჭოს საერთაშორისო დახმარებისთვის მიმართა , 2008 წლის ივნისში გაერომ რეზოლუცია 1826 გამოსცა, რომელიც სახელმწიფოებს მისცა ავტორიზება, რომ „შესულიყვნენ სომალის ტერიტორიულ წყლებში მეკობრეობის აქტებისა და შეიარაღებული ძარცვის წინააღმდეგ საბრძოლველად. მიზნის მიღწევისთვის, კი გამოიყენონ ყველა საჭირო საშუალება” (UNSC, 2008). მოგვიანებით, გაერომ გამოსცა ახალი რეზოლუცია 1826, რომელიც მოუწოდებს „... სახელმწიფოებს, რომლებიც დაინტერესებული არიან სომალის სანაპირო ზოლის წყლებში და ადენის ყურეში კომერციული საზღვაო სავაჭრო მარშრუტებით, მოახდინონ კოორდინაცია და

თანამშრომლობა, რათა შეაჩერონ მეკობრეობა და შეიარაღებული ძარცვა აღნიშნულ ტერიტორიაზე“ (UNSC, 2008)

აღნიშნული რეზოლუციების საპასუხოდ, ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების ფორმატში ამოქმედდა სამხედრო-საზღვაო ოპერაცია EU NAVFOR ATALANTA, 2008 წლის 8 დეკემბერს. მიღებულ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ოპერაციის მიზანია დაიცვას რეგიონში საზღვაო მარშრუტები და უზრუნველყოს თავისუფალი და უსაფრთხო გადაადგილება, მათ შორის, ჰუმანიტარული ტვირთისა და გაეროს ეგიდით გაგზავნილი გემებისა, (Council Decision, 2008/918) უზრუნველყოს მშვიდობა და უსაფრთხოება რეგიონში. (Council Joint Action 2008/851)

ოპერაცია EU NAVFOR Atalanta ევროკავშირის პირველ საზღვაო-სამხედრო ოპერაციას წარმოადგენს, რომლის ოპერაციული შტაბი დიდ ბრიტანეთში, ნორსუდშია. მისი ინიცირება საფრანგეთმა მოახდინა, როდესაც ევროკავშირის საბჭოს 6 თვიანი პრეზიდენტობის სტატუსი მიიღო. ოპერაციის თავდაპირველი ხანგრძლივობა 12 თვე გახლდათ, თუმცა, 2016 წლის 28 ნოემბერს საბჭომ გაახანგრძლივა მანდატის პერიოდი 2018 წლის დეკემბრამდე, (მანდატის განახლება მოხდა ჯამში 4-ჯერ). ოპერაცია შედგება დაახლოებით 1200 პერსონალისგან და იმ პერიოდის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ყველაზე დიდ ოპერაციად ითვლება. (EU NAVFOR, 2016)

ოპერაციის მანდატი და მიზნები

ოპერაცია EU NAVFOR Atlanta-ს ოფიციალური მიზანი გახლდათ:

- გაეროს “World food programmes” ხომალდების დაცვა, რომელსაც ჰუმანიტარული დახმარება გადაჰქონდა, სომალიში აფრიკის კავშირის მისიის ხომალდების დაცვა;
- სომალის სანაპირო ზოლზე მეკობრეობის აქტებისა და შეიარაღებული ძარცვის შემთხვევების შეკავება, შეჩერება და პრევენცია;
- შემთხვევების მიხედვით, სომალის წყლებში სხვა მოწყვლადი ხომალდებისა და გემების დაცვა;
- სომალის სანაპირო ზოლის წყლებში თევზჭერის მონიტორინგი (EU NAVFOR, 2016)

EU NAVFOR Atalanta-ს საქმობედო არეალი ფარავს წითელი ზღვის სამხრეთ ნაწილს, ადენის ყურეს, ინდოეთის ოკეანის დიდ ნაწილს და სომალის სანაპირო წყლებს, რაც საბოლოო ჯამში, 8 700 000 კვ.კმ-ს წარმოადგენს (EU NAVFOR, 2016) ოპერაციის მანდატის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს მეკობროების ქმედებებისა და შეიარაღებული მარცვის შეკავება და შეწყვეტა. (იქვე)

ოპერაციის თავდაპირველი ბიუჯეტი 8,3 მილიონ ევროს შეადგენდა, მას შემდეგ კი ყოველწლიურად საშუალოდ 8 მილიონი ევროა. (EEAS, 2016) პერსონალისა და სამხედრო აქტივობების ხარჯები კონტრიბუტორი ქვეყნების მიერ იფარება. ოპერაციის ადმინისტრაციული ხარჯები კი წლიურად, საშუალოდ 10 მილიონ ევრომდე მერყეობს. (One Earth Foundation, 2013)

რაც შეეხება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მონაწილეობას, ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ დიდ ბრიტანეთზე, საფრანგეთსა და გერმანიაზე. აღსანიშნავია, რომ გერმანიამ ყველაზე დიდი კონტრიბუცია გაიღო, სამხედრო გემების თვალსაზრისით ოპერაციის დაწყებისთანავე. მისი მიმდინარეობის პროცესში, ოპერაციაში ყოველთვის იყო ჩართული სულ ცოტა 1 საბრძოლო გემი შესაბამისი პერსონალითა და სამხედრო არჭურვილობით (Informationszentrum Marine, 2013). საფრანგეთის შემთხვევაშიც, ოპერაციის მიმდინარეობის მანძილზე სულ მცირე 1 საბრძოლო გემი იყო ჩართული, ამასთან საჭიროების შემთხვევაში, საფრანგეთი უზრუნველყოფდა შესაბამისი საზღვაო საპატრულო ავიაციის ფუნქციონირებას/ დაკომპლექტებას. (Ministère de la Défense, 2013) რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს, მისი მატერიალური კონტრიბუცია წინა ორთან შედარებით, მცირეა და შემოიფარგლება მხოლოდ 1 საზღვაო ხომალდით, რომელიც არამუდმივად ემსახურება ოპერაციას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ დიდი ბრიტანეთი ოპერაციის ხელმძღვანელია და უზრუნველყოფს მისი შტაბის შესაბამისი პერსონალით. (EU NAVFOR, 2016)

მეტად სრულყოფილი მიდგომისკენ

2011 წლის ნოემბერში ევროკავშირმა მიიღო „სტრატეგიული ჩარჩო აფრიკის რქისთვის“, რომელიც კრიზისის „მთავარ გამოწვევებზე“ ფოკუსირდება, რათა სომალის კრიზისზე პასუხი უფრო მეტად ეფექტიანი იყოს. დაინიშნა სპეციალური წარმომადგენელი მიზნით, რომ „მოეხდინა ევროკავშირის მეკობრეობისადმი მიდგომის თანმიმდევრული, ეფექტიანი და ბალანსირებული განვითარება“ (Council of the European Union, 2011, 2)

სტრატეგიულმა ჩარჩომ გამოკვეთა ევროკავშირის ქვეყნების საერთო ინტერესების დიდი სპექტრი: „რეგიონის გეოსტრატეგიული მნიშვნელობა, ევროკავშირის ისტორიული ჩართულობა რეგიონის ქვეყნებთან და მისი სურვილი, რომ მოხდეს რეგიონის მოსახლეობის სიღარიბისა და რთული სოციალურ-პოლიტიკური პრობლემებისაგან დახსნა ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობით. ამასთან, თავად ევროკავშირის მოქალაქეების დაცვა ამ რეგიონიდან მომავალი საფრთხეებისაგან მოითხოვს საერთო გამოწვევებზე პასუხს“. (Council ,2011, 13). გარდა ამისა, სომალიში მოქმედი ტერორისტული დაჯგუფებები და მეკობრეობა პრიორიტეტებს შორის მთავარ ადგილს იკავებს. (იქვე:) სომალისთან მიმართებით, საერთო მიზნების აღსრულება გულისხმობს მეკობრეობის გამოწვევ ძირითადი მიზეზების აღმოფხვრას, რისთვისაც დოკუმენტის მიხედვით, გამოიყოფა ევროკავშირის ჩართულობის 5 ძირითადი მიმართულება:

- დემოკრატიული სახელმწიფო სტრუქტურები;
- მშვიდობა, უსაფრთხოება, კონფლიქტის პრევენცია და კონფლიქტის რეზოლუცია;
- მეკობრეობის, ორგანიზაციული დანაშაულის, ტერორიზმისა და მიგრაციის შემცირება;
- სიღარიბის შემცირება, ეკონომიკური ზრდა, რეგიონული თანამშრომლობა;

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, სმიტი ოპერაცია EU NAVFOR Atalanta-ს განმარტავს პირველ საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ოპერაციას, რომელიც უფრო მეტად იცავს ევროკავშირის ინტერესებს, ვიდრე სხვა მხარეებისას. (Smith ,2012, 1)

ოპერაცია EU NAVFOR Atalanta-ს შედეგები (2008-2016)


ევროკავშირის დიპლომატიური სამსახურის მიერ 2008 წლიდან შეგროვებული მონაცემების მიხედვით, ოპერაცია EU NAVFOR Atalanta, ეფექტიანი ინსტრუმენტია მეკობრეობისა და შეიარაღებული თავდასხმის წინააღმდეგ პრევენციული ზომების მისაღებად. სომალის მეკობრეობის ყველაზე ინტენსიურ პერიოდში, 2011 წელს, 736 ტყვე და 32 გემი იყო დატყვევებული. 2016 წლის ოქტომბრისთვის კი ეს მაჩვენებლები ნულს გაუტოლდა. (EEAS, 2016)

ოპერაციის მანდატის ძალაში შესვლიდან მას ჰქონდა:

- 100 %-იანი წარმატება გაეროს „World Food Programme“-ს ხომალდების დაცვაში;
- იგივე მაჩვენებელი აფრიკის კავშირის მისიის AMISOM-ის ხომალდების დაცვაში;
- უზრუნველყო სხვა მოწყვლადი გემების დაცვა მაღალი რისკის არეალში; (იქვე)

2013 წლისთვის, სომალის მეკობრეობის ეკონომიკური ხარჯები თითქმის 50 %-ით შემცირდა (One Earth Foundation, 2013) (იხ: სურათი 2)

სურათი 2. მეკობრეობის აქტივობის დინამიკა (2008-2017 წწ)



შენიშვნა: მოიცავს ადენის ყურეს, ინდოეთის ოკეანეს, არაბულ ზღვა, ომანის ყურეს, სომალის სანაპიროს
წყარო: ICC, International Maritime Bureau

3.3 თეორიული პერსპექტივები EU NAVFOR Atalanta-ზე

ევროკავშირის პირველი სმახედრო-საზღვაო ოპერაცია EU NAVFOR Atalanta სხვადასხვა მკვლევარის მიერ გაანალიზებულია საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა თეორიულ ჭრილში, რომლებიც, ამ თეორიების დაშვებებიდან გამომდინარე, ევროკავშირის ოპერაციის ინიცირებასა და წარმატებული იმპლემენტაციის სხვადასხვა მიზეზებს გთავაზობენ.

ავტორთა ნაწილი ოპერაცია EU NAVFOR Atalanta-ს განიხილავს სტრუქტურული რეალიზმის ჭრილში. ამ გადმოსახედიდან, ევროკავშირისთვის სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერება უკავშირდება მის სურვილს, რომ ანარქიულ საერთაშორისო გარემოში აღქმული იყოს, როგორც ანგარიშგასაწევი და ქმედითუნარიანი საგარეოპოლიტიკური აქტორი. (Posen, 2006). ევროკავშირის მხრიდან სამხედრო შესაძლებლობების განვითარება კი უკავშირდება მის სურვილს, რომ გაზარდოს ავტონომიური ქმედების არეალი, უმეტესად აშშ-სგან და დამოუკიდებლად იმოქმედოს საერთაშორისო არენაზე. (Howorth and Menon, 2009, 731). სამხედრო-საზღვაო ოპერაცია Atalanta კი იქნებოდა ამ სტრატეგიის ნაწილი, მიზნით, რომ დებალანსებინა სხვა დიდი ძალები ევროკავშირის ინტერესის არეალში (ადენის ყურე, ინდოეთის ოკეანე) ან გაეზარდა ევროკავშირის ავტონომია აშშ-სთან შედარებით კრიზისის მენეჯმენტის პროცესში. თუმცა, ევროკავშირის, NATO-სა და აშშ-ს CTF ოპერაციების ხელმძღვანელები 2009 წლიდან თანამშრომლობენ ოპერაციულად მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლაში: მათი სამხედრო რესურსები კოორდინირებულია, ისინი იზიარებენ საკომუნიკაციო სისტემებს. რეგიონში მოქმედ ძალებთან და კონკრეტულად აშშ-სთან თანამშრომლობა წარმოადგენდა ევროკავშირის სამხედრო-საზღვაო ოპერაციის მანდატის ნაწილსაც, რომელშიც ვკითხულობთ: „Atalanta-მ ერთმანეთთან უნდა დააკავშიროს ორგანიზაციები და ერთობები, ასევე სახელმწიფოები, განსაკუთრებით კი CTF 150-ს საზღვაო ძალები და Atalanta”, (Council, 2008). შესაბამისად, გეზარდისა და სმითის შეხედულებით, ოპერაცია EU NAVFOR Atalanta, უფრო მეტად ქმნის შემთხვევას, სადაც ევროკავშირი სტრატეგიულ თანამშრომლობას ამჯობინებს საერთაშორისო დონეზე, ვიდრე ამტკიცებს სტრუქტურული რეალიზმის დაშვებას, რომ

იგი წარმოადგენდა ავტონომიური ქმედებისა და ბალანსირების/კონკურენციის მაგალითს. (Gebhard, Simon J Smith, 2014)

კონსტრუქტივიზმისკენ მიდრეკილი ავტორების შეხედულებით, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავარ მოტივაციას სამხედრო-საზღვაო ოპერაციის იმპლემენტაციისას წარმოადგენდა ჰუმანიტარული მოტივები და საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების ფარგლებში მოქმედება. (მათ შორის, მეკობრეთა სასაჯელაღსრულების სამართლებრივი ჩარჩოს უზრუნველყოფა) მარიანე რიდერვოლდის შეხედულებით, ევროკავშირის ქვეყნებმა ოპერაცია EU NAVFOR Atalanta გამოიყენეს, როგორც შესაძლებლობა, რომ საერთაშორისო საზოგადოებისთვის დაენახებინათ ევროკავშირის, როგორც თითმყოფადი საგარეო პოლიტიკური აქტორის სახე. ოპერაციის სამხედრო განზომილების უკან ის ხედვას ევროკავშირის მიზანს, რომ მხარი დაუჭიროს გაეროს რეზოლუციას ლეგიტიმურად, საერთაშორისო ნორმებზე დაყრდნობით, რათა ევროკავშირს დაენახებინა საერთაშორისო საზოგადოებისთვის, რომ მას შეუძლია იმის კეთება, რასაც მისგან მოელიან. (Riddervold, 2011) ანალიზის იგივე მიმდინარეობა მოქმედებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოტივების ანალიზისას: მათ უპირატესობა მიანიჭეს ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკას, რადგან ევროკავშირს ჰქონდა შესაბამისი ინსტიტუციური და სამართლებრივი მექანიზმი მსგავს პრობლემასთან გასამკლავებლად. (იქვე) შესაბამისად, ავტორის შეხედულებით, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი იყენებს სამხედრო ძალას კრიზისის მენეჯმენტში, იგი მაინც რჩება ნორმატიულ და ჰუმანიტარულ აქტორად საერთაშორისო ურთიერთობებში. თუმცა, ნიკოლას ნოვაკის შეხედულებით, კონსტრუქტივიზმის თეორია ზუსტად ვერ ხსნის ოპერაციის ინიცირებისა და იმპლემენტაციის მთავარ მოტივებს, რადგან მისი ანალიტიკური ერთეულები ძალიან ბუნდოვანია და ამავე დროს, ყურადღება მახვილდება ანალიზის მხოლოდ ერთ დონეზე. (Novaky, 2015) მკლევარის შეხედულებით, მარიანე რიდერვოლდის დასკვნები მოკლებულია ემპირიულ საფუძველს, რადგან კონსტრუქტივიზმის ამ შემთხვევაზე მისადაგებისას მან არ გაითვალისწინა, რომ საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა და ამ კონტექსტში სამხედრო ოპერაციის ინიცირებისა და იმპლემენტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესი ეყრდნობა გადაწყვეტილების მიღების

ერთპიროვნულ მეთოდს, სადაც ევროპულ პარლამენტსა და ევროპულ საბჭოს მინიმალური როლი აქვთ, განსხვავებით წევრი სახელმწიფოებისგან, რომლებიც ამ პოლიტიკის წამყვან ძალებად გვევლინებიან. მიუხედავად იმისა, რომ ოპერაცია EU NAVFOR Atalanta-ს ამოქმედების მიზნებს შორის ჰუმანიტარული დამხარება აშკარად უდერს, კონსტრუქტივიზმი უარყოფს იმ განზომილებას, რომ სომალის მეკობრეობის შედეგად მნიშვნელოვნად ზარალდებოდა წევრი ქვეყნების ინტერესებიც, რასაც შეეძლო მნიშვნელოვნად მოეხდინა გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე(იქვე)

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმი EU NAVFOR Atalanta-სადმი განსხვავებულ მიდგომას გვთავაზობს, რომელიც საშუალებას იძლევა გაანალიზებული იყოს საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ინტერგავერნმენტალურ ბუნების კონტექსტში, უშუალოდ წამყვან სახელმწიფოთა მოტივები, ფოკუსირება ხდება რა ამ სახელმწიფოთა შიდა პოლიტიკურ დონეზე მიმდინარე პროცესებზეც, რაც ზემოთ მოყვანილი თეორიული ახსნების კრიტიკას გარკვეულწილად პასუხობს და ამავე დროს მენისტრიმლი თეორიული ახსნებისგან განსხვავებულ მიდგომას გვთავაზობს საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად.

3.4 სომალის მეკობრეობის ეკონომიკური შედეგები, ევროკავშირი და „დიდი სამიანის“ სექტორული ეკონომიკა

კვლევის ჰიპოთეზიდან გამომდინარე, ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა თანმიმდევრულია ვერტიკალურ დონეზე, როდესაც მისი წევრი ქვეყნების - „დიდი სამიანის“ სექტორული ეკონომიკა კონკრეტული შემთხვევით საფრთხის ქვეშ დგება.

2008 წლისთვის მსოფლიო ვაჭრობის 20 %-მდე და ევროკავშირის ვაჭრობის 95 % ადენის ყურისა და სუეცის არხზე გადიოდა. (Helly 2009: 192). ადენის ყურე ერთმანეთთან აკავშირებს წითელ და არაბეთის ზღვას და საერთაშორისო ვაჭრობისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ წერტილს წარმოადგენს. ევროკავშირის ვაჭრობის 95 % და მსოფლიო ვაჭრობის 20 % ადენის ყურეზე გადის (EU NAVFOR, 2016) ადენის ყურისა

და სომალის სანაპირო წყლების მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა სუეცის არხის გახსნის შემდეგ, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის ეკონომიკისთვისაც. მეკობრეობის გააქტიურების პერიოდისთვის, ევროკავშირში იმპორტირებული პროდუქციის 80 % სუეცის არხის გავლით ხვდებოდა. (U.S. Department of Transport, 2008). ადენის ყურე კი ერთმანეთთან აკავშირებს აზიასა და ევროპას და მნიშვნელოვნად ამცირებს სანაოსნო მარშრუტის სიგრძეს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ტრანსპორტირების ხარჯებსაც. გარდა პროდუქციისა, ადენის ყურე ერთ-ერთია იმ ტერიტორიებიდან, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მსოფლიოში ბუნებრივი აირისა და ნავთობის მიწოდების სქემაში. ტანკერებით გადატანილი ნავთობის 11 % სწორედ ადენის ყურეს გადის და ამარაგებს უპირატესად ევროპულ ბაზარს (აშშ-საც გარკვეულწილად) (U.S. Energy Information Administration, 2011) აქედან გამომდინარე, აფრიკის რქის სტრატეგიული მებარეობა საერთაშორისო კომერციული საქმიანობისა და უსაფრთხოებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.


„Oceans Beyond Piracy”(OBP) წარმოადგენს ამერიკულ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშს მეკობრეობასთან დაკავშირებული დინამიკის შესახებ. 2011 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, სომალის მეკობრეობით გაწეული საერთო ზარალი 7 მილიარდ აშშ \$-დან 12 მილიარდ აშშ \$-მდე მერყეობდა. გაეროს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სომალის მეკობრეობის ყველაზე აქტიურ ფაზაში, ვაჭრობის მოცულობა ადენის ყურის გავლით 2000-2010 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა. თავდასხმების რაოდენობა გაიზარდა 134 %-ით, რამაც საერთაშორისო ვაჭრობა 5,4 %-ით შეამცირა. 2000-2010 წლებში, ადენის ყურის გავლით 1,3 ტრილიონი აშშ \$ ღირებულების პროდუქცია გადაადგილდებოდა, შესაბამისად, დანაკარგმა 25 მილიარდ აშშ \$-ს გადააჭარბა. (Voccia, 2015) მეკობრეობის უარყოფითი გავლენა აფრიკის რქაზე არ არის ერთნაირი ადენის ყურეში ვაჭრობით დაინტერესებული ყველა სუბიექტისთვის. გაეროს ანალიზის მიხედვით, მეკობრეობის გამო უფრო მეტად ეკონომიკურად დაზარალდნენ გეოგრაფიულად შედარებით ახლოს მდებარე სახელმწიფოები- ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონი და ევროპა, იმის გათვალისწინებით, რომ გეოგრაფიულად მოშორებულ სახელმწიფოებს შეუძლიათ აირჩიონ ალტერნატიული მარშრუტი, რომელიც უფრო დაცული იქნება, განსხვავებით

ზემოთხსენებული რეგიონებისაგან (OBP, 2011) ევროკავშირის შემთხვევაში, მეკობრეობითა და შეიარაღებული ძარცვის თვალსაზრისით ეკონომიკური დანაკარგი წლიურად საშუალოდ 11 მილიარდ აშშ \$-ს შეადგენს, რომელიც მსოფლიო ვაჭრობის დანაკარგის 44 %-ია. (Voccia, 2015)

„დიდი სამიანის“ სექტორული ეკონომიკური ინტერესები და სომალის მეკობრეობა

ზემოთთქმულის გათვალისწინებით, სომალის მეკობრეობით, ყველაზე მეტად, ევროპის შიგნით დაზარალდა გერმანია, რომლის დანაკარგას წლიურად 2,5 მილიარდი აშშ \$ წარმოადგენდა. ასევე, დიდი ბრიტანეთი - წლიური 1,7 მილიარდი აშშ \$ დანაკარგით და საფრანგეთი წლიური 1, 3 მილიარდი აშშ \$ დანაკარგით. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, ესპანეთის, იტალიისა და ბელგიის საერთო დანაკარგი ჯამში 700 მილიონიდან 1 მილიარს აშშ \$-მდე მერყეობდა. (Voccia, 2015) ლოგიკურად, ფაქტი, რომ „დიდი სამიანი“ სომალის მეკობრეობით ყველაზე მეტად დაზარალებულ მხარეებად მოგვევლინენ დაკავშირებულია უნდა იყოს იმასთან, რომ მათ აქვთ პირდაპირპროპორციულად დიდი საზღვაო ინდუსტრია და ვაჭრობა. მართლაც, როგორც Eurostat-ის მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, და სურათ 3-დან ჩანს, სამივე ქვეყანას აქვს შედარებით დიდი საზღვაო სატრანსპორტო ინდუსტრია 2006-2011 წლებში. ეს მონაცემები რელევანტურია, იმდენად, რამდენადაც მოიცავს ოპერაციის ინიცირების წინა პერიოდსაც. 2007 და 2008 წლებში, დიდ ბრიტანეთს ჰქონდა ყველაზე დიდი მოცულობის საზღვაო ტრანსპორტის ინდუსტრია, რომელსაც მოჰყვებოდა იტალია და ნიდერლანდების სამელო, შემდეგ კი გერმანია და საფრანგეთი (Eurostat, 2013).

სურათი 3. პროდუქციის საზღვაო ტრანსპორტი




წყარო: Eurostat, 2013

შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამივე ქვეყნის შემთხვევაში საზღვაო ტრანსპორტი მნიშვნელოვანი ეკონომიკური სექტორია. როგორც ცვლადების ოპერაციონალიზაციის თავში აღვნიშნე, დიდი ეკონომიკური სექტორი საზღვაო ინდუსტრიაში მიუთითებს იმაზე, რომ ეს სექტორი ყველაზე მოწყვლადი და საფრთხის ქვეშ დაყენებული იქნება მეკობრეობის დონის ზრდასთან ერთად. თუმცა, სანამ ამ მსჯელობის ვალიდურობას დავამტკიცებდე, საჭიროა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინება. კერძოდ: რამდენად დიდია აღნიშნული სამი ქვეყნის ვაჭრობა აზიის იმ სახელმწიფოებთან, რომლებთანაც სავაჭრო გზა სწორედ სომალის წყლებზე გაივლის. ასევე მნიშვნელოვანია იმის შემოწმება, თუ რამდენად შეესაბამება სიმართლეს, რომ ევროპასა და აზიას შორის სავაჭრო გზების უმეტესი ნაწილი სწორედ სუეცის არხსა და ადენის ყურეზე მოდის. შესაბამისად, რაც უფრო დიდი იქნება ვაჭრობის მოცულობა აზიურ სახელმწიფოებთან, უფრო დიდი იქნება იმ საზღვაო ხომალდების რაოდენობა, რომლებიც რისკის ქვეშ დადგებიან. სურათი 4-ის მიხედვით, რომელზედაც გამოსახულია სავაჭრო მარშრუტები სხვადასხვა რეგიონებს შორის, ნათლად ჩანს, რომ

სუეცის არხი და სომალის წყლები, ადენის ყურის ჩათვლის ერთ-ერთი მთავარი სატრანსპორტო მარშრუტია.

სურათი 4. საზღვაო გადაზიდვების მარშრუტები



წყარო: Dr. Jean-Paul Rodrigue, Department of Global Studies & Geography, Hofstra University.

ევროპასა და აზიას შორის ვაჭრობის დიდი ნაწილი სწორედ ამ საზღვაო მარშრუტების საშუალებით ხორციელდება. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, 2006, 2007 და 2008 წლებში გერმანიისთვის ჩინეთი მეოთე ადგილზე იყო სავაჭრო პარტნიორებს შორის. საფრანგეთისთვის ჩინეთი და იაპონია სავაჭრო პარტნიორებს შორის მეოთხე და მეხუთე ადგილს იკავებდნენ 2006 და 2007 წლებში, რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს, 2008 წლისთვის მისთვის ჩინეთი მე-3 ადგილზე იყო სავაჭრო პარტნიორებს შორის, ინდოეთი კი მე-4. (WTO, 2013). შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამივე ქვეყანას აზიის იმ ქვეყნებთან, რომლებიც ევროპასა და აზიას შორის სავაჭრო მარშრუტად სომალის წყლებს, ადენის ყურესა და სუეცის არხს იყენებდა, მნიშვნელოვანი სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელზედაც ყურადღება უნდა გამახვილდეს, არის იმ ხომალდთა/გემების რაოდენობრივი მოცულობის განსაზღვრა, რომლებიც ეკუთვნიან ფრანგულ, გერმანულ ან ბრიტანულ კომპანიებს და

შესაბამისად, დაზარალებოდნენ მეკობრეობის ზრდით. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ეს გემები ხშირად არ დაცურავენ იმ ქვეყნის დროშით, რომელსაც ეკუთვნის მათი მფლობელი კომპანია ამ სექტორის მნიშვნელობა იმაზე დიდი შეიძლება იყოს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, 2010 წლისთვის, გერმანია მესამე ადგილს იკავებდა მსოფლიო მასშტაბით სავაჭრო ფლოტის სიდიდის მიხედვით, დიდი ბრიტანეთი მე-6. ხოლო საფრანგეთი მე-19 ადგილს. ამ მაჩვენებლებით, გერმანია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი 20-ეულში შედიან. (IMO Maritime Knowledge Centre, 2012, 12).

საბოლოო ჯამში, „დიდი სამიანის“ ქვეყნების ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობები იმ სახელმწიფოებთან, რომელთაგან პროდუქციის იმპორტირებისათვის საჭიროა სომალის მეკობრეობის შედეგად დაზარალებული და საფრთხის ქვეშ დაყენებული ტერიტორიების გავლა და შესაბამისად, საზღვაო ვაჭრობის დიდი მოცულობითი როლი მათ ეკონომიკებში საშუალებას იძლევა დავასკვნა, რომ სომალის მეკობრეობა საფრთხის ქვეშ აყენებდა „დიდი სამიანის“ სექტორულ ეკონომიკურ ინტერესებს.

გავლენა კომერციულ კომპანიებსა და ბიზნეს ინდუსტრიაზე

ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმის მიხედვით, ეროვნულ დონეზე ინტერესის ფორმირებას ახდენს საზოგადოებრივი ჯგუფები, რომლებიც კონკრეტული შემთხვევის დროს ახდენენ მოგებისა და დანაკარგების კალკულაციას. სომალის მეკობრეობის შემთხვევაში, ასეთ ჯგუფებს, როგორც დამოუკიდებელი ცვლადის ოპერაციონალიზაციისას განვმარტე, წარმოადგენენ გადამზიდი კომპანიები და გემების-მფლობელთა ასოციაციები, რომლებიც სომალის მეკობრეობის შედეგად უნდა დაზარალებულიყვნენ.

2008 წელს ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა სადაზღვევო კომპანია Lloyd's Market Association-მა აღენის ყურე გაზრდილი მეკობრეობის გამო „ომის საშიშროების ქვეშ მყოფ არეად“ გამოაცხადა, რამაც 2008-2009 წლებში სადაზღვევო პრემიუმების თითქმის 40-ჯერ ზრდა გამოიწვია (500 აშშ \$-დან 20 000 აშშ \$-მდე) (Weber, 2009) სადაზღვევო პრემიების ზრდამ გადამზიდი კომპანიებზე წლიურად დამატებით 1 მილიარდამდე აშშ \$ დანახარჯი

გამოიწვია (Bowden & Basnet, 2011). ამასთან, მეკობრეობის გაზრდასთან ერთად, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციამ გამოქვეყნა მითითებები ყურეში უსაფრთხოდ გავლის უზრუნველსაყოფად, რომელიც მოიხსენიება, როგორც „საუკეთესო მენეჯმენტის პრაქტიკები“. აღნიშნული, გადამზიდი კომპანიებისთვის დამატებით ხარჯებთან ასოცირდება, რადგან ითვალისწინება სპეციალური შეაიადების უზრუნველყოფას ბორტზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. (Bowden & Basnet, 2011). გარდა ამისა, საჭირო გახდა ჩვეულზე უფრო სწრაფი გადაადგილება, რომელიც იწვევს უფრო მეტი საწვავის მოხმარებასა და სხვა დამატებით ხარჯებს. მნიშვნელოვან საკითს წარმოადგენს გატაცებული გემებისთის ან ტყვეებისთის გამოსასყიდის გადახდა. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ბიზნეს სექტორი ერთ-ერთ ყველაზე მეტად დაზარალებულ მხარედ გვევლინება (სომალის მეკობრეობიდან გამოწვეული ზარალის 80 % ამ კომპანიებზე მოდის (Bowden & Basnet, 2011) (სურათი. 5) მისი წარმომადგენლები აქტიურად ლობირებდნენ სახელმწიფოს მთავრობებთან უფრო ფართო ჩართულობისთვის. მათივე მოთხოვნით და ქვეყნების ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ჯგუფების მოთხოვნები (ძირითადად სავაჭრო გემების შეიარაღებასთან დაკავშირებით) პრაქტიკაში განახორციელა ევროპის ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, გერმანიამ, ნორვეგიამ და საბერძნეთმა. (Weber, 2009)

სურათი 5. გადაზიდვების ინდუსტრიის საშუალო წლიური დანახარჯი

ხარჯის მიზეზი	წლიური დანახარჯი (დოლარი)
გამოსასყიდი	176 მილიონი აშშ \$
დაზღვევის ხარჯები	460 მილიონიდან 3,2 მილიარდამდე აშშ \$
მარშრუტის ცვლილებისა და მომატებული სიჩქარის	2,4-დან 3 მილიარდამდე აშშ \$
უსაფრთხოების აღჭურვილობა გემებზე	316 მილიონიდან 2,5 მილიარდამდე აშშ \$
ჯამში	3,35 მილიარდ აშშ \$-დან 8,5 მილიარდ აშშ \$-მდე

წყარო: *Oceans Beyond Piracy, 2011*

3.5 საზოგადოებრივი ჯგუფების მოთხოვნები და გავლენა „დიდი სამიანის“ მთავრობებზე

ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმის მიხედვით, აღნიშნული საზოგადოებრივი ჯგუფები, შეეცდებიან მთავრობებზე ზეგავლენის მოხდენას მას შემდეგ, რაც პრობლემის იდენტიფიცირება მოხდება.

გერმანია

გერმანიის შემთხვევაში, ყველაზე აქტიურ საზოგადოებრივ ჯგუფს, რომელიც ლობირებდა გერმანიის საზღვაო ძალების აქტიურ ჩართულობას სომალის მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, 2008 წელს, წარმოადგენდა “*Verband Deutscher Reeder*” (ეროვნული გემების მფლობელთა ასოციაცია), რომელიც ღიად მიმართავდა ბუნდესთაგს გერმანიის საზღვაო ძალების ამოქმედებისა და მათთვის მანდატის მინიჭებისთვის. (Preuß & Stiller, 2008; VerkehrsRundschau.de, 2008). 2009 წელსვე აღნიშნულმა ასოციაციამ რამდენჯერმე მიმართა ხელისუფლებას და მოუწოდა ოპერაცია Atalanta-ში მანდატისა და მოქმედების არეალის გაფართოებისათვის დაეწყო მოლაპარაკებები, რაც ასეც მოხდა 2012 წელს. (გასათვალისწინებელია, რომ გერმანიას ოპერაციაში მონაწილეობისთვის, აუცილებელია ბუნდესთაგის თანხმობა) (Flottenkommando der Marine, 2008, 31)

წყარო	კომპანია/ორგანიზაცია	მოთხოვნა
Hamburger Abendblatt (2008)	Verband Deutscher Reeder	მიმართავს პარლამენტს მეკობრეობის წინააღმდეგ საზღვაო ძალების ავტორიზებისთვის
VerkehrsRundschau. De (2008)	Verband Deutscher Reeder	თხოვენ პარლამენტს გერმანული საზღვაო ძალების უფრო აქტიურ ჩართულობას მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლაში
Spiegel online, (2008)	Verband Deutscher Reeder	მიმართავენ პარლამენტს მოთხოვნით, რომ ჩაერთონ მეკობრეობის წინააღმდეგ კამპანიაში, მას შემდეგ, რაც თავდასხმების რაოდენობა იზრდება(მხარს უჭერენ ის პოლიტიკოსები, რომლებიც აღიარებენ პრობლემის სიმწვავეს)
Agence France Presse, (2008)	Verband Deutscher Reeder	კვლავ თხოვენ ხელისუფლებას სწრაფ მოქმედებას სიტუაციის ესკალაციის შესაჩერებლად

DAPD Nachrichtenagentur (2008)	Verband Deutscher Reeder	მიესალმებიან ოპერაციის ამოქმედებას და იმედოვნებენ, რომ იქნება ეფექტიანი
SDA – Basisdienst Deutsch (2008)	Verband Deutscher Reeder	მოითხოვენ ოპერაციის მანდატის გაფართოებას, რათა უფრო ეფექტიანი იყოს ბრძოლა ე.წ “mother ships-ის” წინააღმდეგაც
Hamburger Abendblatt (2009)	Verband Deutscher Reeder	მიესალმებიან კაბინეტის გადაწყვეტილებას მისიის მანდატის გაფართოების შესახებ.

საფრანგეთი

საფრანგეთის შემთხვევაში, ყველაზე გავლენიან ლობისტს წარმოადგენდა ფრანგული გემების ფლობელთა ასოციაცია- “*Armateurs de France*”, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებას და მათ შორის, საფრანგეთის ხელისუფლებას მოუწოდებდა უფრო აქტიური ჩართულობისაკენ მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. (AFP, 2008).

წყარო	კომპანია/ორგანიზაცია	მოთხოვნა
Agence France Presse (2008)	Les Armateurs de France	მოითხოვენ საერთაშორისო მობილიზაციას მეკობრეობის წინააღმდეგ საბრძოლველად- მეკობრეობის აქტებს შემცირებისა და პრევენციისთვის. საფრანგეთის ხელისუფლებას მოუწოდებენ საერთაშორისო საზოგადოებასთან ერთად კოორდინირებული ქმედებისაკენ
Agence France Presse (2008)	Les Armateurs de France	მოითხოვენ მეკობრეობის პრობლემის გადაჭრას, თუმცა, ხაზს უსვამენ, რომ ამ მიზნისთვის მთავარია სომალის შიდაპოლიტიკური სიტუაციის მოწესრიგება ზღვებზე აქტივობების პარალელურად
Agence France Presse (2009)	Les Armateurs de France	მიესამებიან ოპერაცია Atalanta-ს შექმნას , თუმცა, ხაზს უსვამენ რომ იმ დროს არსებული მონაცემებით, ეს ოპერაცია არ არის საკმარისი ადენის ყურეში მეკობრეობის აღსაკვეთად და მხარს უჭერენ კერძო თავდაცვის მექანიზმების დანერგვას

დიდი ბრიტანეთი

რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს, სომალის მეკობრეობამ ასევე დიდი ყურადღება მიიქცია საზღვაო გადამზიდი კომპანიების მხრიდან. განსაკუთრებით აქტიურობდა UK Chamber of Shipping და Nautilus International, რომლებიც მოუწოდებდა ხელისუფლებას უფრო აქტიური, ფართო და მრავალხმრივი ჩართულობისკენ მეკობრეობის საწინააღმდეგო ქმედებებში, მათ შორის, საერთაშორისო დონეზე. (House of Commons, 2012)

წყარო: (Piracy off the coast of Somalia – UK Parliament Tenth Report of Session 2008-12)	კომპანიის/ორგანიზაციის დასახელება	მოთხოვნა
გვ. 62	„Chamber of Shipping“	<p>ოპერაცია ატლანტამდე- დიდი ბრიტანეთი, როგორც იმპორტიორი ქვეყანა დამოკიდებულია „მაღალი რისკის არეალის“-ადენის ყურისა და ინდოეთის ოკეანის წყლების უსაფრთხოებაზე, პალატა ხელისუფლებას მიმართავს აქტიური ქმედებისთვის.</p> <p>ოპერაციის შემდეგ- მიესალმება დიდი ბრიტანეთის ოპერაციაში ჩართულობას, თუმცა მოითხოვს, თანამშრომლობის გაგრძელებას სთუპ-ის ფორმატში, შესაბამისი რესურსების გაღებით და მეზღვაურთა და სხვა გადამზიდი კომპანიების მოთხოვნებზე ადეკვატურ რეაგირებას.</p>
გვ. 102	„Nautilus International“	<p>მეკობრეობას არ ექცევა სათანადო ყურადღება პოლიტიკური ძალების მხრიდან, ამ მხრივ, მისასალმებელი და აუცილებელია ოპერაციაში დიდი ბრიტანეთის აქტიური ჩართულობა; გამოთვქამენ სურვილს, რომ გაგრძელდეს ეს თანამშრომლობა</p>

გვ. 107	„Baltic Exchange“	დიდმა ბრიტანეთმა უნდა გამოიყენოს თავისი ძლიერი პოზიცია საერთაშორისო არენაზე და ევროკავშირში, რომ გავლენა მოახდინოს მეკობრეობაზე და შეამციროს შეტაკებების რაოდენობა, განსაკუთრებით კი იმ კომერციულ გემებზე თავდასხმა, რომლებსაც მეკობრეები შემდეგ იყენებენ, როგორც „mother ships“
გვ. 117	„Security Association for the Maritime Industry“	მიესალმებიან მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლის სამხედრო განზომილებას, თუმცა, საჭიროა პრობლემის მიზეზების გარკვევა და აღმოფხვრა
გვ. 128	„SOS—SaveOurSeafarers“	ხელისუფლებისგან მოითხოვენ უფრო აქტიურ ჩართულობას და იურისდიქციის გამოყენებას მეკობრეების გასამართლებისა და დასჯისთვის.

საბოლოო ჯამში, სამივე ქვეყნის შემთხვევაში, კონკრეტული ჯგუფები, რომლებიც მეკობრეობის შედეგად დაზარალდნენ, ცდილობენ მთავრობებზე ზეწოლის მოხდენას. აღნიშნული კომპანიები თავიანთი მოთხოვნებს საფუძვლად მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ეკონომიკური დანაკარგების მნიშველობას ასახელებენ. ეს ჯგუფები განსაკუთრებით აქტიურები იყვნენ გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის შემთხვევაში, სადაც ინტერეს ჯგუფებმა პირდაპირ მიმართეს პარლამენტს და გააჟღერეს თავიანთი მოთხოვნები და მიზნები.

4 „დიდი სამიანის“ აღქმული საერთო საფრთხე- მეკობრეობის უსაფრთხოების განზომილება

როგორც უკვე აღვნიშნე, გარდა იმისა, რომ სომალის მეკობრეობა საფრთხეს უქმნის საზღვაო გადაადგილებასა და ვაჭრობას, იგი დაკავშირებულია ტერორიზმის საფრთხესთანაც, თუკი გავითვალისწინებთ ზოგადად რეგიონისა და კონკრეტულად სომალის არასტაბილურ შიდაპოლიტიკურ სიტუაციას. არსებული მონაცემებით, სომალის მეკობრეებსა და სომალიში არსებულ ტერორისტულ დაჯგუფება ალ-შააბს შორის საკმაოდ მჭირდრო კავშირები ჩამოყალიბდა, რადგან მეკობრეობა აღქმულია, როგორც ფინანსირების წყარო ტერორისტული დაჯგუფებებისთვის. (Congressional Research Service, 2011, 18). ტერორიზმი კი საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან, (მათ შორის, „დიდი სამიანის“) აღქმულია, როგორც მათი უსაფრთხოებისთვის საფრთხე. აღქმული საფრთხის იდენტიფიცირება კი, როგორც ცვლადის ოპერაციონალიზაციაშია აღწერილი, შესაძლებელია იმის გაანალიზებით, თუ რას უსვამენ ხაზს სახელმწიფოს წარმომადგენლები (მაგალთად თავდაცვისა და საგარეო ურთიერთობების), როდესაც მისიის შექმნისა თუ იმპლემენტაციის აუცილებლობის შესახებ საუბრობენ, ასევე სახელმწიფო დოკუმენტების, მედია საშუალებების ანალიზით.

გერმანიის შემთხვევაში, თავისუფალი ვაჭრობისა და საზღვაო მარშრუტების დაცვის პარალელურად, ხელისუფლების ყურადღება მახვილდება სამოქალაქო პირების დაცვაზე, რომლებიც შეიარაღებული თავდასხმების პროცესში, მეკობრეების სამიზნებს წარმოადგენდნენ (CDU, CSU & FDP, 2009, 113). გარდა უსაფრთხოების ამ ასპექტისა, გერმანიის მთავრობა ხაზს უსვამს სომალის მეკობრეობასთან დაკავშირებული ტერორიზმისა და რეგიონული არასტაბილურობის საფრთხესაც. ხელისუფლების წარმომადგენლები, ბუნდესთაგში განხილვების დროს, გმობენ ტერორიზმის აქტებს, განიხილავენ, როგორც მზარდ საფრთხეს, რომელიც შესაბამის ზომების მიღებას საჭიროებს. (Deutscher Bundestag, 2011).

საფრანგეთის ხელისუფლებისთვის, მეკობრეობის უსაფრთხოების გამოვლინების ყველაზე ნათელ მაგალითს წარმოადგენდა ფრანგულ გემ „Le Ponant“-ზე თავდასხმა, რომელსაც მნიშვნელოვანი გამოხმაურება მოჰყვა არამხოლოდ სამოქალაქო

საზოგადოებისა და მედიის, არამედ თავად ხელისუფლების მხრიდანაც. საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლაი სარკოზის განცხადებით, საფრანგეთი არ დაუშვებს საკუთარ მოქალაქეებზე ძალადობას და მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, რომ ჩაერთოს ამ რეგიონში მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც „მსოფლიოში ყველაზე საშიშია“ (The Telegraph, 2008) ევროკავშირის ოპერაცია EU NAVFOR Atalanta-ს დაწყებიდან რამდენიმე წელში გამოქვეყნდა საფრანგეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, სადაც საზღვაო უსაფრთხოება განსაკუთრებულ ადგილს იკავებს: განსაკუთრებით ხაზგასმულია საზღვაო ტერიტორიიდან მომდინარე ტერორიზმის საფრთხე, რადგან ტერორისტული ქსელები საფრანგეთისთვის მუდმივ და სტრატეგიულ საფრთხეს წარმოადგენენ. (France Diplomatie, 2013) გარდა ამისა, საფრანგეთის ხელისუფლება ხაზს უსვამს, რომ კრიმინალური აქტივობები, მათ შორის, ტერორიზმთან დაკავშირებული, დასჯილი იყოს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. (Menard, 2010). ამასთან, ევროპულ საკითხთა მინისტრმა ლელუმმა 2009 წელს გააფრთხილა საერთაშორისო საზოგადოება, რომ ისეთი გავლენიანი ტერორისტული დაჯგუფება, როგორცაა ალ-ქაიდა ძალებს იკრებდა სომალიში და მჭიდრო კავშირებს ამყარებდა ალ-შაბთან, ამიტომ, საჭირო იყო საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობა (AFP, 2009). მეკობრეობის საწინააღმდეგო ქმედებები კი შექმნიდა დამატებით უსაფრთხოებას რეგიონში და დადებითად იმოქმედებდა ამ საფრთხის განეიტრალებაზე- განმარტა საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა. (Europolitique, 2011).

ანალიზისი შედეგად გამოიკვეთა, რომ ბრიტანეთის ხელისუფლებისთვის სომალის მეკობრეობა დაკავშირებული იყო საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სომალისთან დაკავშირებული ტერორისტული დაჯგუფებებიდან მომდინარე საფრთხესთანაც. დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრ დევიდ კემერონის განცხადებით, ძალადობა და ტერორიზმი ქოტურ მდგომარეობაში მყოფ სომალიში ბატონობს, რომელიც საფრთხეს უქმნის უსაფრთხოებასა და მთელ მსოფლიოს. (Cabinet Office, 2010, 20). ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ ევროკავშირის ოპერაცია Atalanata-ს ინიცირებისა და დაგეგმვს პერიოდში, დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრი ღიად ასახელებდა ტერორიზმის საფრთხეს: „საერთაშორისო საზოგადოება უნდა დაეხმაროს სომალის ხელისუფლებას მშვიდობის აღდგენაში, რათა აღიკვეთოს მისი ტერორისტების „სამოთხედ“ გარდაქმნა“.

(Associated Press International, 2008), ასევე, ის სომალის ტერიტორიას აღწერდა, როგორც კლასიკურ არეალს, სადაც არის არაეფექტური ხელისუფლება, ჩამოშლილი სახელმწიფო აპარატი, კრიმინალი და ტერორიზმის გავრცელების საფრთხე. დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების გადმოსახედიდან, ოპერაციის ფორმატში, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო საზღვაო მარშრუტებისა და სავაჭრო გემების დაცვა, რაც პირდაპირ კავშირშია მეკობრეების მიერ გამოსასყიდი თანხების გამოყენებასთან ტერორისტულ დაჯგუფებების დასაფინანსებლად, რაც უნდა აღიკვეთოს (იქვე). დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, მეკობრეობით გამოწვეული არასტაბილურობა სომალში პირდაპირპროპორცილია ტერორიზმის გავრცელებასთან და რომ დიდი ბრიტანეთის ჩართულობა აუცილებელია ტერორისტული დაჯგუფება ალ-შააბის წინააღმდეგ. (UK Government News, 11) ყოფილი პრემიერ მინისტრ დევიდ კემერონის მოსაზრებით, სომალიდან მომდინარე უსაფრთხოების პრობლემა მნიშვნელოვანია და ემყარება ფაქტს, რომ ალ-შააბი არის ორგანიზაცია, რომელიც დაკავშირებულია ალ-ქაიდასთან, ხელს უწყობს ძალადობრივ ქმედებებს არა მხოლოდ სომალის შიგნით, არამედ მის გარეთაც, ამიტომაც, არსებობს ტერორიზმის გავრცელების საფრთხე, რომელსაც, თუკი საერთაშორისო საზოგადოება არ უპასუხებს, კიდევ უფრო გამწვავდება. (Press Association Mediapoint., 2012) დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების მხრიდან საფრთხის ასე მძაფრად აღქმა დაკავშირებულია იმ ფაქტთანაც, რომ ქვეყანა სომალის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დიასპორის მასპინძელია. სომალის მეკობრეობის გააქტიურებასთან ერთად, დიდი ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახური აქტიურად აფრთხილებდა ხელისუფლებას, რომ ალ-შააბმა შესაძლოა გამოიყენოს სომალის დიდი დიასპორა რეკრუტირებისათვის, რაც დიდ ბრიტანეთს პირდაპირ აყენებს ტერორისტული აქტების საფრთხის ქვეშ. (The Guardian, 2011)

საბოლოო ჯამში, სომალის მეკობრეობისა და ტერორიზმის კავშირიდან მომდინარე საფრთხე გაზიარებულია „დიდი სამიანის“ მიერ, თუმცა, სხვადასხვა დონით. მონაცემთა ანალიზის საფუძველზე, ჩანს, რომ ტერორიზმიდან მომდინარე საფრთხე უფრო მძაფრად აღიქმება დიდ ბრიტანეთისა და საფრანგეთის ხელისუფლების მიერ, შედარებით ნაკლებად კი გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენლები აჟღერებენ მას, თუმცა,

მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვა და უზრუნველყოფა ტერორიზმის განეიტრალებასთან ერთად მაინც საერთო პრიორიტეტად შეიძლება ჩაითვალოს.

5. გადაწყვეტილების მიღების პროცესი „დიდ სამიანში“

წინა თავებში დადასტურდა კავშირი სომალის მეკობრეობას, საფრთხის ქვეშ დაყენებულ „დიდი სამიანის“ სექტორულ ეკონომიკას და ამ ქვეყნების მხრიდან მეკობრეობისა და ტერორიზმს შორის კავშირიდან მომდინარე საფრთხის აღქმას შორის. აღიშნული კორელაცია, ნაშრომის ჰიპოთეზიდან გამომდინარე, გავლენას ახდენს ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის VERTIKALURI თანმიმდევრულობის ხარისხზე, რაც დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის პოლიტიკის შეთანხმებულობას გულისხმობს ევროკავშირის პოლიტიკასთან. ამ კავშირის დასადგენად, შემდეგ თავში გაანალიზებულია ევროკავშირის ოპერაცია EU NAVFOR Atalanta-ს ინიცირებისა და იმპლემენტაციის გადაწყვეტილების მიღების ინტერგავერნმენტალისტური პროცესი, „დიდი სამიანის“ მთავარი მოტივები და მოლაპარაკების/მათ შორის კოორდინირების სპეციფიკა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საფრანგეთი

2007 წლის მაისში საფრანგეთის პრეზიდენტად ნიკოლას სარკოზი დანიშნვიდან ძალიან მალე საფრანგეთი სომალის კრიზისზე და გაზრდილ მეკობრეობის მაჩვენებელზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებას იწყებს. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად სარკოზის ახალი ხელისუფლება სომალის მეკობრეობას უკავშირებდა ჰუმანიტარული ტვირთის გადაზიდვის პრობლემას, 2007 წლის სექტემბერში პრეზიდენტმა სარკოზმა განაცხადა, რომ სომალის სანაპირო წყლების მონიტორინგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა საფრანგეთის ინტერესია, რადგან „ყველაზე ვიწრო წერტილი აფრიკასა და ევროპას შორის, გიბლარტარის ყურე მხოლოდ 12 კმ-ია, აფრიკის პრობლემები შესაძლოა გახდეს ჩვენი პრობლემა“ (NYT,2007) სხვადასხვა ალტერნატივების განხილვის შემდეგ, საფრანგეთმა შეიმუშავა უნილატერალური

ოპერაცია Alcyon, რომლის უმთავრეს მისიას გაეროს “World Food” პროგრამის ხომალდების ესკორტირება წარმოადგენდა, რაც წარმატებით განხორციელდა. აღნიშნული ინიციატივა მოგვიანებით EU NAVFOR Atalanta-ს ნაწილი გახდა.

2008 წლის პირველ ნახევარში საფრანგეთის ხელისუფლება შედარებით პასიურ როლს თამაშობდა. თუმცა, სიტუაცია დრამატულად შეიცვალა, როდესაც მეკობრეებმა იერიში მიიტანეს ფრანგულ ხომალდ “Le Ponant”-ზე, რომელიც ადენის ყურის გავლით სუეცის არხისკენ მიემართებოდა, ტყვედ აიყვანეს 22 საფრანგეთის მოქალაქე. აღნიშნულმა შემთხვევამ, რომელმაც მედიისა და საზოგადოების ძალიან დიდი ყურადღება მიიქცია, საფრანგეთის ხელისუფლების დამოკიდებულება სომალის კრიზისისადმი რადიკალურად შეცვალა- იგი ადვოკატირებას უწევდა გაეროს მხარდაჭერით შექმნილ ოპერაციას აფრიკის ყურეში, რომელიც უზრუნველყოფდა რეგიონში საზღვაო გადაადგილების უსაფრთხოებას. აშშ-სთან ერთად, საფრანგეთმა გაეროს უშიშროების საბჭოში წარადგინა რეზოლუციის სამუშაო ვერსია, რომელიც სახელმწიფოებს უფლებას მისცემდა „ყველა შესაძლო საშუალების გამოყენებას მეკობრეებისა და შეიარაღებული მმარცველების იდენტიფიცირების, შეტაკებების პრევენციისა და შეჩერების საქმეში“ სწორედ ამ დოკუმენტზე დაყრდნობით შეიმუშავა მოგვიანებით გაერომ რეზოლუცია 1826. (Associated Press, 2008) გარდა ამისა, საფრანგეთმა აქტიურად დაიწყო მუშაობა ევროკავშირის შიგნით. სხვადასხვა ალტერნატივები განიხილებოდა, თუ რისი მიღწევა შეეძლო მას საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ინსტრუმენტის გამოყენებით, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოდიოდა საფრანგეთის 6 თვიანი პრეზიდენტობის ვადა საბჭოში. (US Embassy Paris, 2008)

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი სომალის კრიზისისადმი განსაკუთრებული ყურადღებას არ იჩენდა სანამ უშუალოდ მისი წევრი ქვეყნების მოქალაქეები და ხომალდები არ დადგნენ საფრთხის ქვეშ 2008 წლის დასაწყისში. მაგალითად, 2007 წლისთვის სომალის საკითხი ევროკავშირის პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტში მხოლოდ ზედაპირულად განიხილებოდა, რომელის შედეგიც არ ყოფილა კონკრეტული პოლიტიკური ქმედება (Council, 2007, 15)

სომალის მეკობრეობის გააქტიურებასთან ერთად, რომელიც უკვე პირდაპირ შეეხო ევროკავშირის წევრი ქვეყნების საზღვაო გადაზიდვის ინდუსტრიასა და უსაფრთხოებას,

ევროკავშირის წევრმა ქვეყნების გადაწყვეტილებით ევროკავშირის საბჭოს და საბჭოს გენერალურ სამდივნოს დაევალა კრიზისის მენეჯმენტის სხვადასხვა ალტერნატივების განხილვა. საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესმა წარმომადგენელმა ხავერდოვანი სოლანამ ევროკავშირის წევრებს სხვადასხვა ალტერნატივები შესთავაზა, რომელიც მერყეობდა საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ინსტრუმენტების ამოქმედებიდან- ინდივიდუალური სახელმწიფოების კოალიციის შექმნამდე, თუმცა, ძალიან მალე, ნათელი გახდა, რომ კონკრეტული ძალები ლობირებას უწევდნენ ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ვარიანტს, ამ ძალებს შორის კი ესპანეთთან ერთად, საფრანგეთი ყველაზე აქტიურ მხარეს წარმოადგენდა. საფრანგეთის განსაკუთრებული ყურადღება მახვილდებოდა საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების საზღვაო-სამხედრო განზომილებაზე, რომელიც მეკობრეობის წინააღმდეგ ოპერაციას განახორციელებდა კონკრეტულად ადენის ყურესა და ინდოეთის ოკეანეში. (US Embassy Paris, 2008)

მოთხოვნების პარალელურად, ევროკავშირმა საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების სამხედრო ოპერაციისთვის საჭირო სტრატეგიული დაგეგმარების მექანიზმი აამოქმედა, რომლის პირველ ნაბიჯს წარმოადგენს კრიზისის მენეჯმენტის კონცეფციის შემუშავება- აღნიშნული გვევლინება კონკრეტული კრიზისისადმი ევროკავშირის მიდგომებისა და პოლიტიკური მიზნების გამომხატველი დოკუმენტად, შემუშავებული ევროკავშირის სამხედრო შტაბის მიერ. აღნიშნულ დოკუმენტს სამხედრო შტაბი გადასცემს ევროკავშირის სამხედრო კომიტეტს, რომელიც შესაბამისი რჩევებისა და შეფასების შემდეგ თანხმდება პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტის მიერ და ავტორიზდება საბჭოს მიერ. აღნიშნული პროცედურების გავლის შემდეგ, საბჭომ მიიღო სომალის კრიზისის მენეჯმენტის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირის სამხედრო ოპერაციის მიზანს სომალის მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში წარმოადგენს რეგიონის საზღვაო უსაფრთხოების გაუმჯობესება და დაცვა, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ადენის ყურისა და აფრიკის რქის არეალის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე საერთაშორისო და ევროკავშირის ვაჭრობისთვის და სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან ნავთობის ტრანსპორტირებაზე. (Ehrhart, 2012, 27)

15 სექტემბერს ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრები General Affairs Council-ში შეთანხმდნენ 2 მნიშვნელოვან საკითხზე.

- 1) შეიქმნა ევროკავშირის საზღვაო კოორდინაციის ქმედების სქემა- EU NAVCO. ეს გახლავთ მექანიზმი, რომლის მიზანს წარმოადგენდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების უნილატერალური ინიციატივებისა და კონტრიბუციების კოორდინირება რეგიონში მიზნით, რომ მოხდეს „სომალის სანაპიროზე ევროკავშირის წევრი ქვეყნების აქტივობების ზედამხედველობა და დაცვა“
- 2) „შეიქმნა სამხედრო სტრატეგიული შესაძლებლობა“ ევროკავშირის სამხედრო-საზღვაო სტრატეგიისთვის, რომელმაც განსაზღვრა ოპერაციის არსი და მიზნები: გაეროს ჰუმანიტარული ტვირთის გადამზიდი ხომალდების დაცვა, ადენის ყურეში მნიშვნელოვანი სანაოსნო მარშრუტების დაცვის უზრუნველყოფა და ინდოეთის ოკეანეში გემების დაცვა. (US Embassy Paris, 2008) მიუხედავად იმისა, რომ მიზნებს შორის დასახელდა ჰუმანიტარული ტვირთის დაცვა.

ოპერაციის მიზნების ასეთი სახით კონცეპტუალიზება ჰუმანიტარული ტვირთის დაცვის პარალელურად, გულისხმობდა ევროკავშირის იმ სახელმწიფოების ინტერესების დაცვასაც, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდნენ მეკობრეობით, მათ შორის კი საფრანგეთის. გარდა იმისა, რომ ევროკავშირის ინსტიტუციური მექანიზმი ამოქმედდა უშუალოდ მას შემდეგ, რაც საფრთხე შეექმნა მისი წევრი ქვეყნების მოქალაქეებსა და ეკონომიკურ ინდუსტრიებს, 2008 წელსვე ადენის ყურესა და ინდოეთის ოკეანეში რეკორდულად გაზრდილი მეკობრეობის მაჩვენებლის პორალელურად, ნათელი გახდა, რომ გაეროს ჰუმანიტარული ტვირთის დაცვა საფრანგეთისთვის არ წარმოადგენდა უპირველეს პრიორიტეტს, საფრანგეთის ხელისუფლებამ, მოლაპარაკების პროცესში, ხაზი გაუსვა რომ ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია სანაოსნო მარშრუტებისა და გადამზიდი ხომალდების დაცვა ადენის ყურეში იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეს გამოიწვევდა გაეროს ჰუმანიტარული დახმარების ხომალდების ესკორტირებისათვის შემცირებულ შესაძლებლობებს (US Embassy Paris, 2008)

გარდა ზემოაღნიშნულისა, ამ პერიოდშივე დადგა საფრანგეთის მიერ ინიცირებული ოპერაცია „Alcyon-ის“ ბედი კითხვის ნიშნის ქვეშ, რომლის მიზანს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჰუმანიტარული ტვირთის ესკორტირება ევალეობდა. პარიზის მთავრობამ

პირდაპირ განაცხადა, რომ მას არ ჰქონდა ამ მისიისთვის გათვალისწინებული შესაბამისი რესურსები ამჯერად, რადგან მის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ადენის ყურეში საზღვაო მარშრუტებისა და სხვა კომერციული ხომალდების დაცვა ინდოეთის ოკეანეში.(US Embassy Paris, 2008) საერთაშორისო მოლაპარაკებების შედეგად და იმის გათვალისწინებით, რომ არც ერთმა ქვეყანამ არ ისურვა ამ მოვალეობის საკუთარ თავზე აღება, გაეროს ჩართულობით ევროკავშირის სამხედრო-საზღვაო მისიის ამოქმედებამდე ეს მოვალეობა NATO-მ გადაიბარა ოპერაცია Allied Provider-ის ფარგლებში. (Novaky, 31) გარდა ამისა, 2008 წლის სექტემბრის ბოლოს სომალელმა მკობრებმა თავდასხმა განახორციელეს და გაიტაცეს უკრაინული ხომალდი „MV Faina“, რომელსაც გადაჰქონდა სამხედრო ტვირთი, აღნიშნული ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის, მათ შორის კი, საფრანგეთისთვისაც, კატალიზატორს წარმოადგენდა კრიზისის საპასუხო რეაქციის დაჩქარებისთვის, რადგან ნათლად გამოჩნდა, რომ მეკობრეობა არის საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხი, რომელიც პირდაპირპროპორციულ კავშირშია ტერორიზმსა და იარაღით ვაჭრობასთან. (იქვე). 1-2 ოქტომბერს გაიმართა არაფორმალური შეხვედრა დიუვილში, სადაც დაისვა ოპერაციის რაც შეიძლება სწრაფად ამოქმედების საკითხი. გარდა ამისა, გარკვეული პრობლემები არსებობდა იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ უხელმძღვანელებდა ოპერაციას და სად იქნებოდა შტაბი განთავსებული. საფრანგეთი, მიუხედავად იმისა, რომ მთავარი ლობისტი იყო, ამ სტატუსზე უარს აცხადებდა, პოტენციურ კანდიდატად კი დიდ ბრიტანეთს განიხილავდა, რომელიც გარკვეული ყოყმანის შემდეგ დათანხმდა ამ როლს- ნოემბერში, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ოპერაცია EU NAVFOR Atalanta- ს ამოქმედების შესახებ. ოპერაციის მანდატის მიზნების მისაღწევად საჭირო იქნებოდა სულ მცირე სამი ხომალდი ერთდროულად: ერთი გაეროს ჰუმანიტარული ტვირთის გადამზიდი ხომალდებისთვის, 1 ადენის ყურეში მცურავი კომერციული ხომალდებისთვის და ერთიც ოპერაციის ზედამხედველობის არეალის კონტროლისათვის. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ფაქტი, რომ ევროკავშირმა მხოლოდ 1 ხომალდი გამოყო ჰუმანიტარული მიზნისთვის მიუთითებს იმაზე, რომ უპირველესი პრიორიტეტი არ ყოფილა ჰუმანიტარული ტვირთის დაცვა, არამედ, მანდატი ფოკუსირდებოდა საზღვაო მარშრუტებისა და კერძო ხომალდების, ინდუსტრიული კომერციული გემების დაცვაზე. (Novaky, 40) ამას ადასტურებს ისიც, რომ ოპერაცია

Atalanta-ს ავტორიზებას და ოფიციალურ ამოქმედებას დიდი მხარდაჭერა მოჰყვა საზღვაო გადაზიდვის ინდუსტრიისა და სხვა კომერციული ბიზნესების წარმომადგენლების მხრიდან, რადგან მანამდე, როდესაც საფრანგეთმა ოპერაცია Alcyon-ის ინიცირება და იმპლემენტაცია მოხდინა, ამ ინდუსტრიის წარმომადგენლები ხაზს უსვამდნენ, რომ საფრანგეთი არაფერს აკეთებდა აფრიკის რქის ირგვლივ შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებისათვის, რომელიც დიდად აზიანებდა ეკონომიკას. (Novaky, 30)

გერმანია

საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან მეკობრეობის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯების გააქტიურებისთანავე, გერმანია აქტიურად იყო ჩართული სომალის ირგვლივ მიმდინარე პროცესებში. იგი მონაწილეობას იღებდა NATO-ს ოპერაცია „Enduring Freedom-ში“ და ასევე აშშ-ს საზღვაო უსაფრთხოების ოპერაციაში, როგორც CTF-150-ის ნაწილი. გერმანიის ხელისუფლებისთვის, ამ ოპერაციებში აქტიური ჩართულობა დაკავშირებული იყო მაშინ მსოფლიოში მიმდინარე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მასობრივ ტალღასთან, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ხელი შეეშალათ ტერორისტებისთვის წვდომა ჰქონოდათ აფრიკის რქის სტრატეგიულად მნიშვნელოვან საზღვაო მარშრუტებზე და მოეპოვებინათ დამატებითი ფინანსური და მატერიალური რესურსები. როდესაც გერმანიის ხელისუფლების წინაშე დაისვა საკითხი, აეხსნათ რა იყო უმთავრესი მოტივაცია CTF-150-ში ჩართვისა თავდაცვის მინისტრ ფრანც ჯოზეფ იუნგის პასუხი ბუნდესთაგის წინაშე უკავშირდებოდა აფრიკის რქის ირგვლივ საზღვაო წყლების დაცვას, ტერორისტების მხრიდან რესურსებზე წვდომის აღკვეთასა და სანაოსნო მარშრუტების დაცვას. მისივე განცხადებით, ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გერმანიისთვის, რადგან გერმანიაში ექსპორტირებული საქონლის 80 % სწორედ საზღვაო გზებით იყო ტრანსპორტირებული. (Bundesministerium der Verteidigung, 2007) შესაბამისად, გარდა ტერორიზმის საფრთხისა, გერმანიის ეკონომიკური ინტერესები დაზარალდებოდა, თუკი სომალელი მეკობრეები გააგრძელებდნენ თავიანთი მოქმედების არეალის გაფართოებას, რაც ასეც მოხდა. გერმანიის შემთხვევაში, მთავარი პრობლემა გახლდათ ბუნდესთაგის წუხილი იმასთან

დაკავშირებით, ჰქონდა თუ არა გერმანიას ლეგალური საფუძველი მონაწილეობა მიეღო საზღვაო-სამხედრო ოპერაციაში მეკობრეობის წინააღმდეგ. მანამდე არსებული პრაქტიკით, გერმანიის საზღვაო ძალებს ჰქონდათ უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში გაეწიათ დახმარება ხომალდისთვის, თუკი ეს იყო აუცილებლობა- არ არსებობდა სხვა საშუალება თავდასხმის საფრთხის გასაწეიტრალებლად. აღნიშნული ლეგალური პრობლემის გადაჭრას აქტიურად მოითხოვდა გერმანიის საზღვაო ძალების მაღალი ემალონის პოლიტიკოსები, რომელთა ოფიცრებს სურდათ ამ ლეგალური შეზღუდვების გაუქმება, რათა სახელმწიფოს შეძლებოდა უფრო ეფექტიანად განხორციელებინა ბრძოლა მეკობრეების წინააღმდეგ. (Focus Online, 2007). გაეროს რეზოლუციის მიღებისთანავე გერმანიაში აქტიური დებატები დაიწყო იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეეძლო მთავრობას გაეადვილებინა გერმანიის საზღვაო ძალების მონაწილეობა ოპერაციაში, რომელიც დაემთხვა ევროკავშირის დონეზე სამხედრო ოპერაციის შემუშავების პროცესს, რასაც თან ერთვის ბუნდესთაგში გადამზიდი ინდუსტრიებისა და გემების მფლობელთა ასოციაციების წარმომადგენლთა აქტიურობა. საბოლოოდ, მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ თუკი ევროკავშირის დონეზე მოხერხდებოდა შეთანხმება საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის კონტექსტში, რომელიც დაეყრდნობოდა გაეროს 1926 რეზოლუციას და ექნებოდა განსაზღვრული მანდატი, არ იარსებებდა კონსტიტუციური შეზღუდვა და შესაბამისად, ჩაერთვებოდა მის განხორციელებაში, რადგან გერმანიის ძირითადი კანონის 24-1 მუხლი კოლექტიური თავდაცვის შესახებ ითვალისწინებდა მსგავს შესაძლებლობას. (Novaky, 20) როდესაც ევროკავშირის საბჭომ შექმნა ოპერაცია EU NAVFOR Atalanta ყველა ინსტიტუტციური მექანიზმის დაცვით, გერმანიის ხელისუფლებამ დაიწყო შესაფერისი მანდატის შემუშავება ბუნდესთაგის წინაშე წარსადგენად, რომელიც მის საზღვაო ძალებს შესაძლებლობას მისცემდა საკმარისი ძალა ჰქონოდა გერმანიის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საზღვაო მარშრუტები დაეცვა ადენის ყურესა და ინდოეთის ოკეანეში. გერმანიას, როგორც ევროკავშირის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ეკონომიკასა და ექსპორტიორს ძლიერი ეკონომიკური ინტერესი ჰქონდა რეგიონში, რაც ნათელი გახდა ბუნდესთაგში ანგელა მერკელის გამოსვლისას ზემოაღნიშნული კონსტიტუციური ცვლილებების შესახებ, რომელმაც განაცხადა: „როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ თავისუფალ

ბაზარზე, ჩვენ ვგულისხმობთ დაცულ და უსაფრთხო სატრანსპორტო მარშრუტებს. სომალის მეკობრეობასთან დაკავშირებით, ჩვენი ხელისუფლება, რა თქმა უნდა, იზიარებს საკუთარ ვალდებულებებს, როგორ მივიღებთ სარგებელს თავისუფალი ვაჭრობისგან თუკი გემი ჩვენამდე ვერ მოაღწევს? „(Deutscher Bundestag, 2008) აღნიშნულით, გერმანიის ხელისუფლებამ ნათელი მოჰფინა ფაქტს, რომ მეკობრეობა პირდაპირ უქმნიდა საფრთხეს ეკონომიკურ ინტერესს და მზად იყო გამოეყენებინა ძალა ამ ინტერესის დასაცავად, თუკი საჭირო გახდებოდა. 19 დეკემბერს ბუნდესთაგის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა გერმანიის მონაწილეობას ევროკავშირის სამხედრო-საზღვაო ოპერაციაში. ეს მხარდაჭერა განპირობებული იყო იმით, რომ ბუნდესთაგის უმრავლესობა აცნობიერებდა, რომ საქმე ეხებოდა არამხოლოდ რეგიონალურ ჰუმანიტარულ სიტუაციას, არამედ სომალის მეკობრეობა საფრთხეს უქმნიდა სავაჭრო და გადამზიდ ინდუსტრიას. (Lodewick, 2014) აღნიშნული მტკიცდება გერმანიის თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრების გამოსვლით ბუნდესთაგში კენჭისყრის დაწყებამდე. საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაიერმა აღნიშნა, რომ „გერმანიას აქვს გამოხატული ინტერესი საზღვაო მარშრუტების დაცვისა აფრიკის რქის რეგიონში, რადგან ბევრი ხომალდი, რომელიც ამ წყლებს გაივლის ან გერმანიის შიფინგ ინდუსტრიის წარმომადგენლებს ეკუთვნით, ან გერმანიაში ახდენენ პროდუქტის ტრანსპორტირებას“ (Deutscher Bundestag, 2008) თავდაცვის მინისტრმა კი დაამატა, რომ „ჩვენი ინტერესია სომალის სანაპირო წყლებში მეკობრეობის გავრცელებასთან ბრძოლა რათა ვუზრუნველყოთ საზღვაო ვაჭრობის უსაფრთხოება და თავისუფალი ვაჭრობა“ (იქვე)

დიდი ბრიტანეთი

დიდი ბრიტანეთს სომალისთან ხანგრძლივი ურთიერთობის გამოცდილება აქვს. პირველ ეტაპზე, მისთვის განსაკუთრებულ წუხილის საგანს წარმოადგენდა სომალის შიდაპოლიტიკური და ჰუმანიტარული სიტუაცია და მისი გავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე, რადგან იგი სომალიდან დევნილი მიგრანტების დიდი დიასპორის მასპინძელი ქვეყანა გახლდათ. (Novaky, 19) შესაბამისად, დიდი ბრიტანეთი სომალის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჰუმანიტარული დახმარების გამწვევი აღმოჩნდა, მხოლოდ

2007 წელს, მან 9 მილიონამდე ფუნტი სტერლინგი გაიღო სხვადასხვა ჰუმანიტარული მისიებისა და სომალის ტრანზიციული ფედერალური ხელისუფლების დასახმარებლად. (House of Lords, 2007) თუმცა, ამ დახმარების უკან დიდი ბრიტანეთის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების ლოგიკა იკითხება.

ქვეყნის სადაზვერვო სამსახურების ინფორმაციით, ალ ქაიდას ტერორისტული დაჯგუფება აქტიურად იყენებდა სომალიში ცენტრალური ხელისუფლების სისუსტესა და პოლიტიკურ არასტაბილურობას ტერორისტების წვრთნებისთვის. საგარეო ურთიერთობების მინისტრის, მილიბანდის განცხადებით, სომალიში ალ-ქაიდას არსებობა საფრთხეს უქმნიდა დიდი ბრიტანეთის უსაფრთხოებას, რადგან თვითონ დიდი ბრიტანეთში ცხოვრობდნენ აღმოსავლეთ აფრიკელი ექსტრემისტები. შესაბამისად, დიდი ბრიტანეთის გაწეული დახმარება სომალებისა და ტრანზიციული ფედერალური ხელისუფლებისადმი, რომ კონტროლი მოეპოვებინა სომალის ტერიტორიებზე წარმოადგენს „ტერორის წინააღმდეგ ომის“ სტრატეგის ნაწილს. (House of Commons, 2007) დიდი ბრიტანეთის საზღვაო ძალები მონაწილეობას იღებდნენ ოპერაცია CFT-150-შიც, თუმცა არც ამ ოპერაციის მანდატი და შესაბამისად არც დიდი ბრიტანეთის ფოკუსი 2008 წლამდე არ იყო მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლა. მიუხედავად იმისა, რომ იგი მხარს უჭერდა გაეროს ჰუმანიტარული ტვირთის გადამზიდი ხომალდების ესკორტირების აქტივობებს, მას მნიშვნელოვანი მატერიალური კონტრიბუცია არ გაუღია. (Novaky, 65) ვითარება შეიცვალა 2008 წლის დასაწყისში, როდესაც ადენის ყურეში სომალის მეკობრეებმა გაიტაცეს გემი, რომლის კაპიტანი ბრიტანელი იყო. შესაბამისად, სომალის მეკობრეობა პირდაპირ დაუკავშირდა დიდი ბრიტანეთის უსაფრთხოების საკითხს, რომელიც ამავე დროს, აზიანებდა მის ეკონომიკურ ინტერესებს. ამ მიზეზების გამო, 2008 წლის მარტში გამოქვეყნდა დიდი ბრიტანეთის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, სადაც პირველად იყო ასე ხაზგასმით აღნიშნული საზღვაო მეკორეობის პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი არ იძლეოდა კონკრეტულ მიმართულებას თუ როგორ უნდა ებრძოლა დიდ ბრიტანეთს ამ საფრთხის წინააღმდეგ, მან აშკარა გახადა, რომ სომალის მეკობრეობას დიდი ბრიტანეთისთვის 2 განზომილება ჰქონდა- უსაფრთხოებისა და ეკონომიკური. (Cabinet Office, 2008, 54) მიუხედავად ამისა, გაეროს რეზოლუციის მიღების შემდეგ, დიდი

ბრიტანეთს არ უაქტიურია მისი იმპლემენტაციისთვის. შესაბამისად, გერმანიისა და საფრანგეთისაგან განსხვავებით არ გამოუჩენია შესაძლო საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ინსტრუმენტის- სამხედრო მისიის მიმართ მხარდაჭერა, რადგან უკვე არსებობდა ნატოსა და აშშ-ს სამხედრო ოპერაციები სომალის მეკობრეების წინააღმდეგ და ლონდონის გათვლებით, დამატებით ევროპულ დონეზე ახალი ინიციატივები უნდა ამოქმედებულიყო უკვე არსებული ოპერაციების ფარგლებში. (House of Commons, 2008) აღნიშნულმა დაპირისპირებამ გამოვლინება ჰპოვა სექტემბერში, როდესაც დიდმა ბრიტანეთმა მიზანმიმართულად შეაჩერა საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ოპერაციის დაგეგმვის პროცესი. თუმცა, სომალის მეკობრეობის საწინააღმდეგოდ სამხედრო-საზღვაო პერაციის შექმნის პოლიტიკური მოტივაცია საფრანგეთისა და გერმანიის მხრიდან იმდენად მაღალი იყო, რომ დიდი ბრიტანეთი იძულებული გახდა გადაეხედა თავისი პოლიტიკისთვის ორი ნათელი მიზეზის გამო: გერმანია განაგრძობდა ხაზგასმას, რომ მას სჭირდებოდა საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის მექანიზმი და მეორე, ბრიტანეთის ხელისუფლება იაზრდებდა, რომ საფრანგეთისთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო ოპერაციის ამოქმედება, რომ იგი საბჭოში მაინც დაბლოკავდა ნებისმიერ ინიციატივას გარდა საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ინსტრუმენტისა. (US Embassy London, 2010) ბრიტანეთის პოლიტიკის ცვლილება გამოიხატა თავდაცვის მინისტრ დე ბროუნის განცხადებაში, რომელმაც ოპერაციის მნიშვნელობა განმარტა, როგორც სავაჭრო მარშრუტების დაცვისთვის აუცილებელი. (The Irish Times, 2008) ამ განცხადებიდან ძალიან მალე, დიდი ბრიტანეთი ოპერაციის ხელმძღვანელობის შეთავაზებას აკეთებს, რასაც ეთანხმებიან ევროკავშირის პოლიტიკისა და უსაფრთხოების საბჭოში. თუმცა, დიდმა ბრიტანეთმა ნათლად განაცხადა, რომ აღნიშნული პირობითობის პრინციპზე იქნებოდა დაყრდნობილი. პირველი, ევროკავშირს უნდა ეუზრუნველყო ოპერაციისთვის შესაბამისი რესურსების არსებობდა და მეორე, სხვა საერთაშორისო აქტორებთან, უპირველესად კი Nato-სთან კოორდინირება უნდა მომხდარიყო. მართლაც, ევროკავშირსა და ამ უკანასკნელს შორის არაფორმალური მოლაპარაკებები დაიწყო კომუნიკაციისა და სტრატეგიული დაგეგმარების გაუმჯობესებისთვის. როგორც კი ევროკავშირის პირველი სამხედრო-

საზღვაო ოპერაცია მზად იყო პრაქტიკული ქმედებებისთვის, დიდი ბრიტანეთის თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრებმა ერთხმად გაუსვეს ხაზი, რომ ოპერაცია მნიშვნელოვან როლს ითამაშებდა საერთაშორისო ვაჭრობის დაცვაში და რომ გაზრდილი მეკობრეობისა და შეიარაღებული თავდასხმის მაჩვენებელი საფრთხეს უქმნის საზღვაო ინდუსტრიას და ვაჭრობას და გავლენა აქვს ყველა ჩვენგანზე, ამიტომაც საჭიროა კოორდინირებული ქმედება“ (House of Commons, 2008)

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სამივე ქვეყანამ დიდი როლი ითამაშეს ოპერაცია EU NAVFOR Atalanta-ს იმპლემენტაციაში. საფრანგეთი გახლდათ მთავარი ინიციატორი და „ლობისტი“ სხვა ქვეყნებთან მიმართებით, გერმანია კი საფრანგეთის მთავარი თანამოაზრე, დიდი ბრიტანეთი, მიუხედავად თავდაპირველი თავშეკავებისა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ოპერაციის იმპლემენტაციაში, როგორც მისი ოპერაციული ხელმძღვანელი. გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სამივე ქვეყნის პირველი პირების მოტივების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ ჰუმანიტარული დახმარების მიღმა, მოტივატორს წარმოადგენდა უსაფრთხოების და ეკონომიკური დანაკარგების გათვლები. სახელმწიფოთა წარმომადგენელთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება სომალის მეკობრეობით გამოწვეულ ეკონომიკურ საფრთხეზე და მისი აღმოფხვრის აუცილებლობაზე სწორედ ამ ოპერაციის საშუალებით კი მიუთითებს იმაზე, რომ საშინაო დონეზე, საზოგადოებრივი ჯგუფების გავლენით ფორმირებული ეროვნული ინტერესი მთავრობებმა სახელმწიფოთაშორის არენაზე გაიტანეს.

6 EU NAVFOR Atalanta-თანმიმდევრული კრიზისის მენეჯმენტი ვერტიკალურ დონეზე

ნაშრომი ფოკუსირდება ევროკავშირის თანმიმდევრულობის ვერტიკალურ განზომილებაზე, რომელიც აღწერს თუ რამდენად შეესაბამება ან ხელს უწყობს წევრი ქვეყნების აქტივობები და პოლიტიკა ევროკავშირის გაცხადებულ პოლიტიკას და აქტივობებს კრიზისზე საპასუხოდ. დამოკიდებული ცვლადის ოპერაციონალიზაციაში გამოყენებული თანმიმდევრულობის ხარისხის საზომი ინდიკატორების მიხედვით, ევროკავშირის კრიზისის მენეჯმენტის თანმიმდევრულობა ვერტიკალურ დონეზე ფასდება, როგორც შედარებით მაღალი.

პირველი კომპონენტი- შეთანხმებულობა კრიზისის მენეჯმენტში მონაწილე აქტორებს, ჩვენს შემთხვევაში, ევროკავშირის წევრი ქვეყნების- საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის და მეორე მხრივ ევროკავშირის გაცხადებულ მიზნებთან მიმართებით დადებითია. ინდიკატორი- შეთანხმებულობა თითოეული მათგანის აქტივობებსა და ევროკავშირის, როგორც ერთობის წარმოებულ პოლიტიკასთან სომალის კრიზისთან მიმართებით დადასტურდა, რადგან სამივე ქვეყანამ მოახდინა კოორდინირება გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რისი შედეგიც იყო EU NAVFOR Atalanta-ს ამოქმედება.

მეორე კომპონენტი- მიზნები, ასევე გახლდათ კოლექტიური, „დიდი სამიანის„ შემთხვევაში, როგორც ანალიზიდან გაირკვა, ამ მიზნებს წარმოადგენდა საზღვაო მარშრუტებისა და სავაჭრო/კომერციული გემების დაცვა, მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და აღქმული ტერორიზმის საფრთხის განეიტრალება, ჰუმანიტარული დახმარება. ევროკავშირის შემთხვევაშიც, ეს მიზნები საერთოა, რაც უფრო ნათლად წარმოჩინდა ევროკავშირის სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებისას, სადაც, როგორც უკვე აღინიშნა, მეკობრეობის დონის შემცირება, შეტაკებების პრევენცია, ტერორიზმის საფრთხე და გემებისა და ხომალდების (როგორც ჰუმანიტარული, ასევე კომერციული) დაცვა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა მთავარ პრიორიტეტებად დასახელდა. შესაბამისად, ევროკავშირის, როგორც საერთაშორისო აქტორისა და „დიდი სამიანის“ მიზნები სომალის მეკობრეობასთან მიმართებით თანხვედრაშია.

მესამე კომპონენტი- ინტერაქცია, რომლის ინდიკატორს წარმოადგენს კოორდინაცია და შრომის განაწილება უმეტესწილად დადასტურდა, რაზეც მიუთითებს ის, რომ სამივე ქვეყანამ მნიშვნელოვანი კონტრიბუცია შეიტანა ოპერაციის ინიცირებასა და იმპლემენტაციაში. კოორდინაციის კუთხით, მიუხედავად თავდაპირველი აზრთა სხვაობისა დიდი ბრიტანეთის ოპერაციის ხელმძღვანელად დანიშვნაზე, იგი გადაილახა სხვა მხარეთა მხრიდან კომპრომისების ხარჯზე. ისევე, როგორც გერმანიის შემთვევაში, შიდა კონსტიტუციური პრობლემები აღმოიფხვრა.

მეოთხე კომპონენტი- თანხმობა, ასევე დადასტურდა, სამივე სახელმწიფო დარჩა მისიის მამოძრავებელი ძალა მისი მიმდინარეობის მანძილზე, ინსტიტუციურ დონეზე შეთანხმებული პოლიტიკიდან გადახრა არ ყოფილა. ევროკავშირის ოპერაცია EU NAVFOR Atalanta ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივ და მოცულობით საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების ინსტრუმენტად ჩამოყალიბდა. „დიდი სამიანისა“ და ევროკავშირის ინტერესთა შორის დაპირისპირება არ მოხდარა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის თანმიმდევრულობის ხარისხი ვერტიკალურ დონეზე იყო შედარებით მაღალი, რამაც განაპირობა კიდევაც ოპერაციის წარმატება.

7 საკვლევი თემის თეორიულ ჭრილში განხილვა

ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმისთვის, ევროკავშირის კრიზისის მენეჯმენტი საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების კონტექტში, წარმოდგენილია, როგორც „სწრაფი კოორდინირების თამაში“ (Wagner, 2003). მისი თანმიმდევრულობის ხარისხი კი წარმოადგენს რაციონალური აქტორების სტრატეგიული ინტერაქციის შედეგს, რომლებიც ეყრდონიან საკუთარ ინტერესებს. მთავარი მოთამაშეები კი არიან ევროკავშირის ეკონომიკურად ძლიერი და დიდი წევრი სახელმწიფოები, რომლებსაც ყველაზე დიდი „მომლაპარაკებელი ძალა“ აქვთ. აღნიშნული თეორიიდან გენერირებული ჰიპოთეზის მიხედვით კი, ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკას ვერტიკალური თანმიმდევრულობის მაღალი ხარისხი ექნებოდა, თუკი „დიდი სამიანის“ სექტორული ეკონომიკური ინტერესები დადგებოდა საფრთხის ქვეშ და საერთო იქნებოდა საფრთხის აღქმა. ქეისის ანალიზმა აჩვენა, რომ მეკობრეობის გაზრდილმა მაჩვენებლებმა-სომალის კრიზისმა, აშკარად დააყენა საფრთხის ქვეშ მათი სექტორული ეკონომიკური ინტერესები (საზღვაო ვაჭრობა), ამ ინტერესის მიღმა კი იდგნენ გავლენიანი ინტერეს ჯგუფები- გადამზიდი კომპანიები და გემმფლობელთა ასოციაციები, რომლებმაც სახელმწიფოს შიდა დონეზე, საპარლამენტო ტრიბუნა გამოიყენეს, რათა საკუთარი ხმა ხელისუფლების წარმომადგენელბამდე მიეტანათ და გათვალისწინებლი ყოფილიყო ოპერაციის ინიცირებისა და იმპლემენტაციის პროცესში (Germond and Smith, 2009; Pohl, 2012). ამ ინტერეს ჯგუფების აქტიური ჩართულობისა და გავლენის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ სომალის მეკობრეობის წინააღმდეგ კოლექტიური ქმედება სახელმწიფოების მხრიდან ნაკლებდანახარჯიანი იქნებოდა, ვიდრე კერძო ინიციატივები (დადასტურდა ემპირიულად სომალის მეკობრეობის ეკონომიკური ხარჯების შედარებისას. გადამზიდი კომპანიების ეკონომიკური დანახარჯები სომალის მეკობრეობის შედეგად ბევრად აღემატებოდა EU NAVFOR Atalanta-ს ხარჯებს), შესაბამისად, პოტენციური მოგება ამ ქმედების მიღმა იყო დათვლადი. ამ გავლენამ, მოახდინა საშინაო დონეზე ინტერესის ფორმირება.

მეორე, ანუ სახელმწიფოთაშორის დონეზე, თანამშრომლობის მექანიზმი ეფუძნება, სახელმწიფოთა მხრიდან სტრატეგიულ კალკულაციას: თუ თანამშრომლობიდან, რაც გულისხმობს ეროვნული დიპლომატიური, ეკონომიკური და სამხედრო რესურსების გაღებას, საერთო მოგება უფრო მაღალია, პოლიტიკური რისკი კი დაბალი, მიიღწევა „Politics of scale“ და თანამშრომლობა შედეგადად იქნება თანმიმდევრული, რადგან იზრდება გავლენა არსებულ კრიზისზე, მაშინ, როცა მცირდება ინდივიდუალური დანახარჯები და რისკები. (Moravcsik 1998, 30). ჩვენს შემთხვევაში, აღნიშნულით აიხსნება ის ფაქტი, რომ გერმანიამ, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა, სამივემ ერთად, მნიშვნელოვანი მატერიალური და დიპლომატიური კონტრიბუცია შეიტანეს ოპერაცია EU NAVFOR Atalanta-ს დაგეგმვასა და იმპლემენტაციაში, რადგან მათ ჰქონდათ საერთო ინტერესები- საფრთხის ქვეშ დაყენებული სექტორული ეკონომიკა და ტერორიზმიდან მომდინარე საფრთხე/სამოქალაქო სექტორის დაცვა შეტაკებებისგან. აღნიშნულის აღმოსაფხვრელად, ევროკავშირის ფორმატში ამოქმედებული ცალკე ოპერაცია მნიშვნელოვნად გაზრდიდა გავლენას კრიზისზე, რადგან იქნებოდა ოპერაციულად და ფუნქციურად უფრო მეტად დახვეწილი და მოიცავდა უფრო ფართე ტერიტორიას. ამავე დროს, თავად ოპერაცია იყო ნაკლებად რისკის შემცველი, რადგან ის არ ითვალისწინებდა სამხედრო ნაწილების ხმელეთზე გადასმას და საბრძოლო მოქმედებებში ჩართვას. ზემოთ აღნიშნული ერთის მხრივ მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოთა „ფსონები“ იყო მაღალი, პოლიტიკური რისკი კი დაბალი, კოლექტიური ქმედების ეკონომიკური დანახარჯები და ამ ქმედების შედეგები კი გათვლადი, რამაც ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის დონეზე ინტეგრაციისა და კოორდინაციის მაჩვენებელი გაზარდა.

ასევე, სომალის შემთხვევაში, დიდი ბრიტანეთის თავდაპირველი „ჭირვეულობა“ ოპერაციის ხელმძღვანელის პოზიციაზე და მოთხოვნა, NATO-სთან კოორდინაციის აუცილებლობაზე, რომელსაც სხვა 2 მხარე დაეთანხმა, წარმოადგენს ე.წ. „Lowest common denominator“ შედეგის მაგალითს, რადგან ფაქტი წარმოადგენდა დიდ ბრიტანეთსა და დანარჩენ ორ სახელმწიფოს შორის პოლიტიკური კომპრომისის შედეგს, სადაც ეს უკანაგული დათმობაზე წავიდა- დიდმა ბრიტანეთმა სხვა წევრი სახელმწიფოების

კომპრომისების ხარჯზე, შემთხვევა საკუთარ ინტერესთან დაახლოვა, რაც ტრანსატლანტიკური კავშირების შენარჩუნებასთან იყო კავშირში. (Koeing, 2016)

საბოლოო ჯამში, ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმის თეორიას ევროკავშირის კრიზისის მენეჯმენტის-საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ვერტიკალური თანმიმდევრულობისთვის მნიშვნელოვანი ამხსნელობითი პოტენციალი აქვს, რადგან ის საშუალებას იძლევა კვლევაში საშინაო დონეზე მოთამაშე სუბიექტების და ინტერესების ჩართოს, რომლებიც გავლენას ახდენენ მთავრობებზე (Pohl, 2012). გადაწყვეტილების მიღების პროცესის ორ დონეზე გაანალიზება, ასევე, ქმნის შესაძლებლობას, რომ ემპირიულად გამოვიკვლიოთ კავშირი საშინაო, მთავრობათშორის და სუპრანაციონალურ დონეზე, რაც ნაშრომის მთავარი საკვლევი ობიექტის- თანმიმდევრულობის ვერტიკალური ხარისხის მიზეზებისთვის, სადაც სახელმწიფოთა ქმედებები და ამ ქმედების მიღმა მათი მოტივები, გადამწყვეტ როლს თამაშობს, მნიშვნელოვანია.

8 დასკვნა

ნაშრომში ვერტიკალური თანმიმდევრულობა განვსაზღვრე, როგორც დაპირისპირებისა და შეუთანხმებლობის არ არსებობა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნულ პოლიტიკებსა და ევროკავშირის პოლიტიკას შორის, რომლისგანაც გამომდინარეობს, რომ ვერტიკალური თანმიმდევრულობისთვის ერთი მხრივ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკები და მეორე მხრივ, ევროკავშირისა, უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს. მსგავსი შეთანხმებული საგარეო პოლიტიკური კურსის გატრეხა კი შესაძლებელია მაშინ, როცა მხარეთა ინტერესები ერთმანეთთან კორელაციაშია. ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმის თეორიის მიხედვით კი, რომელიც ჰიპოთეზის გენერირებაში დამეხმარა, ამგვარი კორელაციას ქმნის ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ საერთო საფრთხის აღქმა და სახელმწიფოების სექტორულ ეკონომიკურ ინტერესებზე არსებული საფრთხე. ემპირიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ აღნიშნული ცვლადები, საერთო იყო სომალის კრიზისის შემთხვევაში ყველა მხარისთვის: 1) დიდ ბრიტანეთის, გერმანიისა და საფრანგეთის შემთხვევაში, ყველა მათგანის სექტორული ეკონომიკები (საზღვაო ვაჭრობა) სომალის მეკობრეობის შედეგად დგებოდა რისკის ქვეშ, რაც, როგორც ამ ქვეყნების ეკონომიკებს, ასევე აღნიშნულ სექტორული ეკონომიკის ინტერეს-ჯგუფებში მნიშვნელოვან ეკონომიკურ დანაკარგებს იწვევდა, რამაც განაპირობა ამ საფრთხის აღმოფხვრის ინტერესის ფორმირება საშინაო დონეზე და 2) სომალის მეკობრეობასა და ტერორიზმის კავშირიდან გამომდინარე საფრთხე, ასევე, საფრთხე სამოქალაქო საზოგადოებაზე, სამივე ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან აღქმული იყო, როგორც პოტენციურად მზარდი, რასაც მომავალში, შესაძლოა ნეგატიური გამოვლინება ჰქონოდა მათი ქვეყნების შიგნით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ცვლადი განსხვავებული სიხშირით კორელირებს საკვლევ ქვეყნებში (ემპირიული ანალიზით უფრო მეტად გამოჩნდა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის შემთხვევაში, შედარებით ნაკლებად კი გერმანიისა), ის მაინც გაზიარებული იყო. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, კვლევის შედეგად დამტკიცდა, რომ მხარეებს შორის ინტერესთა პოლარიზაციის ნაკლები დონე იყო, რამაც სახელმწიფოთა შორის კოორდინირებული ქმედება გაამარტივა, რადგან მათი ინტერესები ფუნდამენტშივე ემთხვეოდა ერთმანეთს. ევროკავშირის სტრატეგიული

დოკუმენტების ანალიზმა და მისმა პასუხსმა კრიზისზე კი აჩვენა, რომ სუპრანაციონალურ დონეზე, ჰუმანიტარული დახმარების გარდა, მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირის ქვეყნების სავაჭრო მარშრუტების დაცვა, მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მათ შორის, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლით. ემპირიულმა ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ „დიდი სამიანის“ ქვეყნებმა ამჯობინეს კოლექტიური ქმედება ევროკავშირის კრიზისის მენეჯმენტის ინსტრუმენტის- სამხედრო-საზღვაო ოპერაციის ამოქმედებით, რადგან ის იყო ნაკლები დანახარჯებისა და პოლიტიკური რისკის შემცველი, ამარტივებს რა ამ საერთო საფრთხეების განეიტრალებისა და აღმოფხვრის შესაძლებლობასა და არეალს, შესაბამისად, სამივე ქვეყანა ოპერაციის მიმდინარეობაში მთავარ როლს თამაშობდა შესაბამისი მატერიალური და სხვა სახის რესურსების გაღებით.

ევროკავშირის პირველი სამხედრო-საზღვაო ოპერაცია EU NAVFOR Atalanta-ს შემთხვევა ნათლად აჩვენებს, რომ ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა შეიძლება იყოს კრიზისის მენეჯმენტის ინსტრუმენტი, რომელიც ერთდროულად ემსახურება როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნების, ასევე, თავად ევროკავშირის, როგორც საერთაშორისო აქტორის ინტერესებს- კრიზისის შედეგად სექტორულ ეკონომიკაზე შექმნილ და ტერორისტული დაჯგუფებებისა და მეკობრეობას შორის კორელაციიდან მომდინარე საფრთხის განეიტრალებას. როდესაც ეს ინტერესები თანხვედრაშია ორივე დონეზე, იზრდება ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის თანმიმდევრულობა ვერტიკალურ დონეზე, შესაბამისად, ევროკავშირის პასუხი/ქმედება კრიზისზე ხდება უფრო ეფექტიანი საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ინტერგავერნმენტალური ბუნების პრობლემატური ხასიათი კი გადალახვადი.

9 კვლევის შეზღუდვები

კვლევის პროცესში განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენდა საზოგადოებრივი ჯგუფების- გადამზიდი/კომერციული კომპანიებისა და გემ-ფლობელთა ასოციაციების მთავრობებზე გავლენის სრულყოფილი შესწავლა მეორეული წყაროებზე წვდომის სირთულის გამო. მიუხედავად იმისა, რომ „დიდი სამიანის“ ყველა შემთხვევაში მსგავსი გავლენა ემპირიულმა ანალიზმა დაამტკიცა ამ საზოგადოებრივი ჯგუფების საპარლამენტო დებატებში მონაწილეობისა და მედიის წყაროებზე დაყრდნობით.

ამასთან, კვლევა ფოკუსირდებოდა ევროკავშირის საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს მხოლოდ ერთ, განსაკუთრებულ შემთხვევაზე, რაც, რასაკვირველია ზღუდავს კვლევის შედეგების განზოგადების არეალს, შესაბამისად, კვლევა შესაძლოა გაფართოვდეს და მოიცვას ევროკავშირის კრიზისის მენეჯმენტის სხვა ოპერაციებიც, გაფართოვდეს გეოგრაფიული არეალი და აფრიკის გარდა კვლევა ჩატარდეს ევროკავშირის „ახლო სამეზობლოში“, რამაც განსხვავებული ცვლადების შეიძლება გამოკვეთოს. ამასთანაა დაკავშირებული კიდევ ერთი შეზღუდვა, რომელიც კრიზისის მენეჯმენტის საზღვაო განზომილებას სპეციფიკას უკავშირდება. საკითხის უფრო ღრმად შესასწავლად, სამომავლო კვლევამ შესაძლოა მოიცვას ისეთი კრიზისები, რომელიც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მხრიდან დაკავშირებულ უფრო მეტი რისკის გაღებასთან (მაგალითად, საომარი/საბრძოლო მოქმედებები ხმელეთზე, სადაც ოპერაციის იმპლემენტაცია უფრო მეტ რისკთან იქნება დაკავშირებული), რასაც გავლენა ექნებოდა წევრი ქვეყნების კოორდინაციასა და შესაბამისად, საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ვერტიკალურ განზომილებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

კაპანაძე ს. (2007) *ევროკავშირის პოლიტიკა*, სოციალურ მეცნიერებათა სერია,

ზურაბიშვილი თ. (2006) *თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში*, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

Associated Press. (2008, აპრილი 28.), *US, France circulate UN resolution to battle pirates*. New York, US-NY.

Auswärtiges Amt. (2008, December 17). Rede Außenminister Frank-Walter Steinmeier 1. Lesung ESVP-Mission "Atalanta", Deutscher Bundestag, 17.12.2008. Berlin, Germany.

Bickerton. C., Irondelle. B., & Menon. A. (2011). Security Co-Operation Beyond the Nation-State: The EU's The EU's Common Security and Defence Policy, 49(1), 1-21. ინტერნეტში: <https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/j.1468-5965.2010.02126.x>

Blockmans, S. & Wessel, R.A. (2009). The European Union and Crisis Management: Will the Lisbon Treaty Make the EU More Effective? *Journal of Conflict and Security Law*, 14(2), 265–308. ინტერნეტში: <https://www.utwente.nl/en/bms/pa/research/wessel/wessel63.pdf>

Bowden, A., & Basnet, S. (2011). *The Economic Cost of Somali Piracy 2011*. Broomfield: One Earth Future. ინტერნეტში: http://oceansbeyondpiracy.org/sites/default/files/economic_cost_of_piracy_2011.pdf

Bundesministerium der Verteidigung. (2007. ნოემბერი 08) 'Rede des Verteidigungsminister Jung im Bundestag zur Verlängerung der Operation Enduring Freedom', Berlin, Germany.

Cabinet Office (2010). *The Coalition: our programme for government. Freedom, Fairness, Responsibility*. ინტერნეტში: https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/78977/coalition_programme_for_government.pdf

Cabinet Office. (2008). The National Security Strategy of the United Kingdom: Security in an Interdependent World. Norwich, UK. The Stationery Office. ინტერნეტში:

<https://www.gov.uk/government/publications/the-national-security-strategy-of-the-united-kingdom-security-in-an-interdependent-world>

CDU, CSU & FDP (2009, ოქტომბერი 26). Wachstum. Bildung. Zusammenhalt. Koalitionsvertrag zwischen CDU, CSU und FDP. 17. Legislaturperiode.

Congressional Research Service (2011). Piracy off the Horn of Africa. ინტერნეტში:

<https://fas.org/sgp/crs/row/R40528.pdf>

Council (2003). A secure Europe in a better world: European Security Strategy, Brussels.

Council of the European Union. (2007, დეკემბერი 10). *General Affairs and External Relations*. Brussels, Belgium. 15.

Council. (2000. October 9). *Conclusions of the General Affairs Council*. Luxembourg.

ინტერნეტში: http://europa.eu/rapid/press-release_PRES-00-364_en.htm?locale=en

Crowe, B (2003). 'A common European foreign policy after Iraq?'. *International Affairs*, 79(3), 533-546. ინტერნეტში: <https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/1468-2346.00321>

Dari, E. et al. (2012). *CSDP Missions and Operations: Lessons Learned Processes, Study for the European Parliament*. Committee on Subcommittee on Security and Defence,

Brussels. ინტერნეტში:

[http://www.tepsa.eu/download/CSDP%20Missions%20and%20Operations-%20Lessons%20Learned%20Processes%20\(DG-%20External%20Policies\).pdf](http://www.tepsa.eu/download/CSDP%20Missions%20and%20Operations-%20Lessons%20Learned%20Processes%20(DG-%20External%20Policies).pdf)

Deutscher Bundestag (2011, ნოემბერი 23). Plenarsitzungen. TOP III EU-Operation Atalanta., ინტერნეტში:

<https://www.bundestag.de/mediathek/?contentArea=common&isLinkCallPlenar=1&categorie=Plenarsitzung&action=search&instance=m187&mask=search&ids=1430622> =1430622

Deutscher Bundestag. (2008, ნოემბერი 26). Plenarprotokoll 16/189. Berlin, Germany. 20341.

Drent, M. (2011). *The EU 's Comprehensive Approach to Security : A Culture of Coordination*. *Studia Diplomatica*, LXIV(2).3–18. ინტერნეტში:

https://www.clingendael.org/sites/default/files/pdfs/20111000_sd_drent_approach.pdf

EEAS (2014). Crisis Response. *European Union External Action Service*. ინტერნეტში:

https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/412/crisis-management-and-response_en

EEAS (2016). EU NAVFOR Atalanta, EEAS. ინტერნეტში: <http://eunavfor.eu/mission/>

Ehrhart, H, G, . & Petretto, K. (2012). *The EU and Somalia: Counter-Piracy and the Question of a Comprehensive Approach*. Study for The Greens/European Free Alliance. Hamburg, Germany.

ინტერნეტში: <https://reinhardbuetikofer.eu/wp-content/uploads/2012/02/The-EU-and-Somalia-Counter-Piracy-and-the-Question-of-a-Comprehensive-Approach.pdf>

European Commission and HR, (2013). The EU's comprehensive approach to external conflicts and crises, Brussels.

European Commission and HR. (2013). The EU's comprehensive approach to external conflicts and crises, Brussels. ინტერნეტში: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A52013JC0030>

ბოლო ნახვა: 17.03.2018

European Commission, (2006), Joint Strategy Paper. ინტერნეტში:

https://ec.europa.eu/europeaid/sites/devco/files/csp-somalia-2008-2013_en.pdf

European Council, (2008). *EU Concept for Military Planning at the Political and Strategic level Delegations*, Brussels. ინტერნეტში:

<http://register.consilium.europa.eu/doc/srv?l=EN&f=ST%2010687%202008%20INIT>

European Security Strategy (2003, December) A Secure Europe in a Better World.

ინტერნეტში: file:///C:/Users/maradi/Downloads/a_secure_europe_in_a_better_world.pdf

ბოლო ნახვა: 17.03.2018

- Eurostat (2013). Sea transport of goods. ინტერნეტში: <http://epp.eurostat.ec.europa.eu/tgm/graph.do?pcode=ttr00009&language=en>
- Focus Online. (2008, აპრილი 26). 'Marineinspekteur Nolting: Die Bundeswehr muss Piraten jagen dürfen. ინტერნეტში: https://www.focus.de/politik/deutschland/marineinspekteur-nolting-die-bundeswehr-muss-piraten-jagen-duerfen_aid_297649.html
- Fund for Peace, (2014). Failed States Index. *FFP*. ინტერნეტში: <http://fundforpeace.org/fsi/>
- George, A.L. & Bennett, A., (2005). *Case studies and theory development in the social sciences*, Cambridge, Mass. ; London: MIT Press.
- Germond, B. & Smith, M.E., (2009). *Re-Thinking European Security Interests and the ESDP: Explaining the EU's Anti-Piracy Operation*. *Contemporary Security Policy*, 30(3), 573–593.
- Gerring, J. (2004) What Is a Case Study and What Is It Good for? *The American Political Science Review*, American Political Science Association 98.(2) 341-354, ინტერნეტში: https://www.jstor.org/stable/4145316?seq=1#page_scan_tab_contents
- Gordon, P.H., (1997). Europe's Uncommon Foreign Policy. *International Security*, 22(3), 74–100. ინტერნეტში: http://www.ucg.ac.me/skladiste/blog_7206/objava_20168/fajlovi/Gordon.pdf
- Giegerich, B (April, 2009) European Military Crisis Management: Connecting Ambition and Reality . *The Foreign Affairs*. ინტერნეტში: <https://www.foreignaffairs.com/reviews/capsule-review/2009-03-01/european-military-crisis-management-connecting-ambition-and>
- Grevi, G., Helly, D., & Keohane, D. (2009). *European Security and Defence Policy: the first ten years (1999-2009)*. Institute for Security Studies.
- Gross, E. (2009). *The Europeanization of national foreign policy : continuity and change in European crisis management*, Macmillan, P. Basingstoke. 48 (1), 175-190. ინტერნეტში: <https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/j.1468-5965.2009.02047.12.x>

Helly, D. (2009). The EU Military Operation Atalanta. In G. Grevi, D. Helly, & D. Keohane, eds. *European Security and Defence Policy: The First 10 Years (1999-2009)*. გვ 391-403

ინტერნეტში: https://www.iss.europa.eu/sites/default/files/EUISSFiles/ESDP_10-web_0.pdf

Helly, D.,(2009). The EU Military Operation Atalanta. In G. Grevi, D. Helly, & D. Keohane, eds. *European Security and Defence Policy: The First 10 Years (1999-2009)*. Paris.

ინტერნეტში: https://www.iss.europa.eu/sites/default/files/EUISSFiles/ESDP_10-web_0.pdf

Helly, D.,(2011). *Seminar Report: Lessons from Atalanta and EU counter-piracy policies*, European Union Institute for Security Studies (EUISS), Paris. ინტერნეტში:

https://www.iss.europa.eu/sites/default/files/EUISSFiles/Atalanta_report.pdf

Hillion, Christophe (2008): Tous pour un, un pour tous! Coherence in the External Relations of the European Union, in: Cremona, Marise: *Developments in EU External Relations Law*, Oxford: Oxford University Press, 10- 36.

ინტერნეტში:https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/224387/evidence-christophe-hillion-coherence.pdf

Hoffmann, S.,(1966) Obstinate or Obsolete? The Fate of the Nation-State and the Case of Western Europe. *Daedalus*, 95(3), .862–915. ინტერნეტში:

<http://ieie.itam.mx/docs06/Stephan%20Sberro/Sistema%20Union%20Europea%202a%20parte.pdf>

Hoffmeister, Frank (2008): Inter- Pillar coherence in the European Union’s civilian crisis management, in:Blockmans, Steven: *The European Union and Crisis Management – Policy and Legal Aspects*. The Hague:T.M.C. Asser Press, 157- 180.

House of Commons. (2007, დეკემბერი 18). *Written Answers*. London, United Kingdom.

ინტერნეტში:

<https://publications.parliament.uk/pa/cm200708/cmhansrd/cm071203/debindx/71203-x.htm>

House of Commons. (2007, ნოემბერი 26). Written Answers. London, United Kingdom.

ინტერნეტში:

<https://publications.parliament.uk/pa/cm200708/cmhansrd/cm071126/debindex/71126-x.htm>

House of Commons. (2008, ივნისი 24). Written Answers. London, UK. ინტერნეტში:

<https://publications.parliament.uk/pa/cm200809/cmhansrd/cm081203/debindex/81203-x.htm>

House of Commons. (2010) Piracy off the coast of Somalia – UK Parliament Tenth Report of

Session 2008-12. ინტერნეტში:

<https://publications.parliament.uk/pa/cm201012/cmselect/cmfaff/1318/1318.pdf>

House of Commons. Hansard Debate. Deauville, France.

House of Lords. (2007, ნოემბერი 14). Daily Hansard. London, United Kingdom. ინტერნეტში:

<https://publications.parliament.uk/pa/cm200708/cmhansrd/cm071114/debindex/71114-x.htm>

Howorth, J. (2012, March 17). Decision-Making in Security and Defence Policy Towards

Supranational Intergovernmentalism? No. 25. ინტერნეტში:

<http://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/0010836712462770?journalCode=caca>

International Maritime Organization, Maritime Knowledge Centre (2012). International

Shipping Facts and Figures – Information Resources on Trade, Safety, Security, Environment.

ინტერნეტში:

<http://www.imo.org/en/KnowledgeCentre/ShipsAndShippingFactsAndFigures/TheRoleandImportanceofInternationalShipping/Documents/International%20Shipping%20-%20Facts%20and%20Figures.pdf>

Jørgensen, K. (1997). European approaches to crisis management. martinus nijhoff publishers.

Koenig, N. (2011). The EU and the Libyan Crisis : In Quest of Coherence. *The International*

Spectator. 46(4),11–30. ინტერნეტში: <http://www.iai.it/sites/default/files/iaiwpl119.pdf>

Leboeuf, C. (2015). *France's action against maritime piracy and the Contact Group on Piracy off the Coast of Somalia (CGPCS) : interests, interactions and priorities*. Neptunus, Centre de Droit

Maritime et Océanique, Université de Nantes, ინტერნეტში:

<http://www.lessonsfrompiracy.net/files/2015/07/Leboeuf-France.pdf>

Lekic, S. (2008, დეკემბერი 8). EU ships to arrive early for Somali piracy mission. Associated Press Online.

Malet, de, C. (2008 , აპრილი 22). Piraterie : pourquoi la France aide la Somalie. *Le Figaro*.

ინტერნეტში: <http://www.lefigaro.fr/debats/2009/04/22/01005-20090422ARTFIG00415->

[piraterie-pourquoi-la-france-aide-la-somalie-.php](http://www.lefigaro.fr/debats/2009/04/22/01005-20090422ARTFIG00415-piraterie-pourquoi-la-france-aide-la-somalie-.php)

Mattelaer, A. (2008). *The Strategic Planning of EU Military Operations - The Case of EUFOR TCHAD / RCA*. Institute for European Studies. Vrije Universiteit. Brussels. ინტერნეტში:

https://www.ies.be/files/IES%20working%20paper%205_Alexander%20Mattelaer.pdf

McCormick, j. (2005). *Understanding the European Union: A Concise Introduction* . Palgrave.

Menard, C. (2010, ნოემბერი 09). Rapport fait au nom de la commission de la défense national et des forces armées sur le projet de loi ((n° 2502) modifié par le sénat, relatif à la lutte contre la piraterie et à l'exercice des pouvoirs de police de l'État en mer. La commission de la défense nationale et des forces armées., Published, 2010. ინტერნეტში: [http://www.assemblee-](http://www.assemblee-nationale.fr/13/rapports/r2937.asp)

[nationale.fr/13/rapports/r2937.asp](http://www.assemblee-nationale.fr/13/rapports/r2937.asp)

Mirguet, O. (2011, ოქტომბერი 26). Défense : Longuet expose la vision Française de la défense au parlement. *Europolitique*. Published.

Missiroli, Antonio (ed) (2001), *Coherence for Security Policy*, Occasional Paper Nr. 27, Institute for Security Studies: Paris ინტერნეტში:

<https://www.iss.europa.eu/sites/default/files/EUISSFiles/occ027.pdf>

Moravcsik, A. & Schimmelfennig, F., (2009). Liberal Intergovernmentalism. In Wiener & T. Diez, eds. *European Integration Theory*. Oxford: Oxford University Press, 67–87.

Moravcsik, A., (1993). Introduction: integrating international and domestic theories of international bargaining. In P. B. Evans, H. K. Jacobson, & R. D. Putnam, eds. *Double-edged*

diplomacy: International bargaining and domestic politics. Berkeley, CA: University of California Press, 3–42

Moravcsik, A., (1998). *The choice for Europe: social purpose and state power from Messina to Maastricht*, London and New York: Routledge. 155-179 ონტერნეტში:

<https://www.princeton.edu/~amoravcs/library/ejpp.pdf>

Moravcsik, A.,(1993). Preferences and power in the European Community: A liberal intergovernmentalist approach. *JCMS: Journal of Common Market Studies*,31(4), 417-579

Nováky, N. (2012). *Deploying Military Force Under CSDP: The Case of EU NAVFOR Atalanta*.

Presented at the 2012 UACES Annual Conference in Passau. University of Aberdeen.

ონტერნეტში: https://www.uaces.org/documents/papers/1201/novaky_2.pdf

Nuttall, S.(2005). Coherence and Consistency. In C. Hill & M. Smith, eds. *International Relations and the European Union*. Oxford: (გვ. pp. 90–112.) Oxford University Press,

Olsen, G.R. (2008). Coherence, Consistency and Political Will in Foreign Policy: The European Union’s Policy towards Africa. *Perspectives on European Politics and Society*.

9(2),157–171. ონტერნეტში:

<https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/15705850801999644>

Pace, M. (2009). Paradoxes and contradictions in EU democracy promotion in the Mediterranean : the limits of EU normative power. *Democratization*, 16(1), 39–58.

ონტერნეტში: <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/13510340802575809>

Patten, C. (2005). *Not Quite the Diplomat: Home Truths About World Affairs*, London: Allen Lane

Peterson, J. Byrne, A. & Helwig, N. (2012) *International Interests: the Common Foreign and Security Policy*, in Peterson, J. and Shackleton, M. (ed.) *The Institutions of the European Union, Third Edition*. New York: Oxford University Press.

Peterson, J., Byrne, A. & Helwig, N. (2012). International Interests: the Common Foreign and Security Policy', in Peterson, J. and Shackleton, M. (ed.), *The Institutions of the European Union*, Third Edition, New York: Oxford University Press.

Pham, J.P. (2010). Putting Somali piracy in context. *Journal of Contemporary African Studies*, Vol. 28(3). 325-341 ონტერნეტში:

<https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/02589001.2010.499233>

Pham, J.P. (2010). Putting Somali piracy in context. *Journal of Contemporary African Studies*. Vol. 28(3), 325-341. ონტერნეტში:

<https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/02589001.2010.499233>

Pinelli, C. (2007) In Search of Coherence in EU Foreign Policy. *The International Spectator-Italian Journal of International Affairs* , 42(2) , 277-284. ონტერნეტში:

<https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/03932720701406621?journalCode=rspe20>

Pohl, B., (2012). The logic underpinning EU crisis management operations. *European Security*,

Portela, C., & Raube, K. (2009). Coherence in EU Foreign Policy : Exploring Sources and Remedies. In *European Studies Association Bi-Annual Convention*. Los Angeles.

Posen, B.R. (2006). European Union Security and Defense Policy: Response to Unipolarity. *Security Studies*. 15(2), 149–186. ონტერნეტში:

<https://www.tandfonline.com/doi/pdf/10.1080/09636410600829356>

Preuß, O. & Stiller, G. (2008, აგვისტო 27). Offensive gegen Piraten geplant; Gekapertes deutsches Schiff: Reeder fordert Unterstützung der Bundesmarine. *Hamburger Abendblatt/*

Quinn, B (2011, აპრილი 6) Terrorists planning Somali attacks, government warns. *The Guardian*. ონტერნეტში: <https://www.theguardian.com/world/2013/apr/06/terrorist-attacks-somali-mogadishu-government>

Rumsfeld, (2003, 24 იანვარი). *Radio free Europe*

ონტერნეტში: <https://www.rferl.org/a/1102012.html>

Smith, E. Michael (2011). *Implementation: Making the EU's International Relations in Hill, C., & Smith, M. (ed.) International Relations and the European Union, Second Edition, New York: Oxford University Press.*

Smith, M. (2004). Toward a theory of EU foreign policy-making: multi-level governance, domestic politics, and national adaptation to Europe's common foreign and security policy. *Journal of European Public Policy*, 11(4), 740–758. ინტერნეტში <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/1350176042000248124>

Stringer, D. (2008, დეკემბერი 14). British minister: Somalia is a 'basket case'. Associated Press International. ინტერნეტში: <https://www.apnews.com/tag/Somalia>

Tapsfield, J. (2012, თებერვალი 22). Cameron warns of threat in Somalia. Press Association.

Techau, J. (2013, October 01). What Makes a Successful Defence Summit? Carnegie Europe, Brussels. ინტერნეტში: <http://carnegieeurope.eu/strategieurope/?fa=53157>

Thomas, D.C.,(2011). *Making EU Foreign Policy: National Preferences, European Norms and Common Policies* Daniel C. Thomas, ed., Palgrave Macmillan.

The Irish Times. (2008, დეკემბერი 09). EU agrees on mission to combat piracy. ინტერნეტში: <https://www.irishtimes.com/news/eu-bolsters-powers-against-somali-pirates-imposes-sanctions-on-assads-1.487879>

The New York Times. (2007, სექტემბერი 23). *Excerpts From Interview With Nicolas Sarkozy*, New York, US-NY. ინტერნეტში: <http://www.nytimes.com/2007/09/23/world/europe/24excerpts.html>

UK Government News (2011, მარტი 22). *“Britain stands ready to work with African countries every step of the way”*. *UK Government News*.

UN documents on piracy, (2012), United Nations. ინტერნეტში: http://www.un.org/depts/los/piracy/piracy_documents.htm

UN News Centre, (2007, მაისი 20). Somalia: Pirates attack UN aid ship, prompting call for action. ინტერნეტში: [https://news.un.org/en/story/2007/05/219372-somalia-pirates-attack-un-aid-ship-prompting-call-action#.U%20vZjInmInbQ%20\[Accessed%20February%208,%202014](https://news.un.org/en/story/2007/05/219372-somalia-pirates-attack-un-aid-ship-prompting-call-action#.U%20vZjInmInbQ%20[Accessed%20February%208,%202014)

US Embassy (2008, September 19). *French Updates on Counter-Piracy: EU Coordination Cell Operational Today*. Paris, France.

US Embassy (2008, სექტემბერი 19) 'French Updates on Counter-Piracy'. Paris, France.

US Embassy (2008, ივლისი 15). *French Support for UNSCR 1816 (Somali Piracy)*. Paris, France.

US Embassy (2008, მაისი 02). *Paris USD/P Edelman's April 28 Meetings with Elysee and Defence Ministry*. Paris, France.

US Embassy Paris. (2008 , სექტემბერი 12). *French Expect a Productive September GAERC*. Paris, France. ინტერნეტში: https://wikileaks.org/plusd/cables/08PARIS1718_a.html

US Embassy. (2008, ოქტომბერი 10). UK confused by USG Policy on Peacekeeping in Somalia. London, UK. ინტერნეტში: <https://www.telegraph.co.uk/news/wikileaks-files/london-wikileaks/8304756/SOMALIA-UK-CONFUSED-BY-USG-POLICY-ON-PEACEKEEPING-IN-SOMALIA.html>

Van Elsuwege, P., (2010). EU external action after the collapse of the pillar structure: in search of a new balance between delimitation and consistency. *Common Market Law Review*, 47(4), 987–1019. ინტერნეტში: <https://www.kluwerlawonline.com/abstract.php?area=Journals&id=COLA2010044>

VerkehrsRundschau.de (2008, სექტემბერი 25). Piraten bedrohen Seefahrt; Deutsche Reeder fordern deutsche Marine zur Piratenjagt am Horn von Afrika.

Voccia,(2015, 2 თებერვალი), Mediterraneanaffairs, ინტერნეტში: <http://mediterraneanaffairs.com/the-economic-consequences-of-somali-piracy-in-the-mediterranean-region/>

Wagner, W. (2003). Why the EU's common foreign and security policy will remain intergovernmental: a rationalist institutional choice analysis of European crisis management policy. *Journal of European Public Policy*, 10(4), 576-595. ონტერნეტში:

<https://www.ies.be/files/documents/JMCdepository/Wagner,%20Wolfgang,%20Why%20the%20EU's%20CSFP%20will%20remain%20intergovernmental.pdf>

Weber, A. (2009). *Politischer Umbruch in Somalia: die Bedingungen für einen Waffenstillstand sind günstig*, Stiftung Wissenschaft und Politik, SWP-Aktuell, Berlin.

White, B. (1999). *The European Challenge to Foreign Policy Analysis*. *European Journal of International Relations*, 5(1), 37–66. ონტერნეტში:

<http://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/1354066199005001002>

White, B. (2004). Foreign Policy Analysis and European Foreign Policy. In B. Tonra., & Christiansen, T (eds.), *Rethinking European Union Foreign Policy*. Manchester: Manchester University Press, pp. 45–61.

World Trade Organization (2013). International Trade and Market Access Data. ონტერნეტში:
https://www.wto.org/english/res_e/statis_e/statis_bis_e.htm?solution=WTO&path=/Dashboards/MAPS&file=Map.wcdf&bookmarkState={%22impl%22:%22client%22,%22params%22:{%22langParam%22:%22en%22}}


Zielonka, J. (2000). Transatlantic Relations Beyond the CFSP. *The International Spectator*, 25(4), 281-301 ონტერნეტში:

<https://www.ies.be/files/documents/JMCdepository/Zielonka,%20Jan,%20The%20EU%20as%20an%20International%20Actor,%20Unique%20or%20Ordinary.pdf>

დანართები

დანართი N1

სომალის მეკობრეობის გავრცელების არეალი



წყარო: The Independent (2016). ინტერნეტში: <https://www.independent.co.uk/somali-pirates-free-26-hostages-held-nearly-five-years/>

დისერტო N2

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tsira Shvangiradze

Crisis Management in the context of the EU Common Security and
Defence Policy: EU NAVFOR ATALANTA (2008-2016)

Diplomacy and International Politics

Submitted to obtain a Master degree in Diplomacy and International Politics

Supervisor: Sophia Petriashvili- Associate Professor

Tbilisi

2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

რუსუდან გოგისვანიძე

სახელმწიფოთა ურთიერთობის გავლენა ეკონომიკური სანქციების
შედეგზე

(საქართველოსა და თურქეთის შემთხვევების შედარებითი ანალიზი)

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო
პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი: ნიკოლოზ სამხარაძე

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი

თბილისი, 2018

სახელმწიფოთა ურთიერთობის გავლენა ეკონომიკური სანქციების შედეგზე

(საქართველოსა და თურქეთის შემთხვევების შედარებითი ანალიზი)

ანოტაცია

წარმოდგენილი ნაშრომი „სახელმწიფოთა ურთიერთობის გავლენა ეკონომიკური სანქციების შედეგზე“, იკვლევს საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალურ საკითხს ეკონომიკური იძულების სახით.

ნაშრომში განხილულია ორი შემთხვევა. რუსეთის მიერ საქართველოსთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციები 2005-2006 წლებში. რუსეთის მიერ თურქეთისთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციები 2015-2016 წლებში.

კვლევის მიზანია შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთოს, სანქციების დაწესებამდე, დამწესებელი ქვეყნის მიმართ, სამიზნე ქვეყნის დამოკიდებულების გავლენა ეკონომიკური სანქციების შედეგზე. შესაბამისად, ნაშრომის მიზანია საკვლევ კითხვას გასცეს პასუხი - ეკონომიკური სანქციების დაწესების შედეგად, რატომ შეიცვალა თურქეთის საგარეო პოლიტიკური ქცევა რუსეთის მოთხოვნის შესაბამისად, მაშინ, როდესაც საქართველოს პოლიტიკური ქცევა დარჩა უცვლელი?

ნაშრომის ჰიპოთეზის მიხედვით, საქართველოს რუსეთის მიმართ გააჩნდა ანტაგონისტური დამოკიდებულება, რის გამოც, სანქციების დაწესების შემდგომ მან არ შეცვალა თავისი პოლიტიკური ქცევა რუსეთის სურვილისამებრ. ხოლო თურქეთს დამოკიდებულება რუსეთის მიმართ იყო კეთილგანწყობილი, რის გამოც, სანქციების დაწესების შემდგომ, მან შეცვალა თავისი პოლიტიკური ქცევა რუსეთის სურვილისამებრ.

ჰიპოთეზის მართებულობის დასადასტურებლად, თვისებრივ კვლევის მეშვეობით, შესწავლილია სხვადასხვა ავტორთა ნაშრომები, პირველადი წყაროები, სტატისტიკური ინფორმაცია და საკვლევ საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ბოლო ეტაპზე, ნაშრომში წარმოდგენილი ჰიპოთეზა შემოწმებულია დენიელ დრეზნერის კონფლიქტის მოლოდინის მოდელის მიხედვით.

Influence of Interstate Relations on the Results of Economic Sanctions (Cases of Georgia and Turkey: Comparative Analysis)

Abstract

This paper “Influence of Interstate Relations on the Results of Economic Sanctions” studies the topical question of international relations about the economic coercion.

Paper studies two cases: Russia’s sanctions against Georgia during 2005-2006 and Russia’s sanctions against Turkey during 2015-2016.

Aim of this research is to outline the impact of the intention of sanction’s sender country towards target country on the results of economic sanctions. Hence, the aim of the paper is to answer the following research question – why did Turkey’s foreign political actions change according to Russia’s demands after the imposition of economic sanctions and why did Georgia’s political actions remain unchanged?

According to the hypothesis of the paper Russia had antagonistic attitudes toward Georgia and this is why Georgia did not change its political actions according to Russia’s will, while Turkey had positive relations with Russia and it changed its political actions according to its demands.

For the confirmation of the validity of the hypothesis, with the help of qualitative study methodology, works of various authors, first hand sources, statistical data and relevant documents have been studied. At the last stage of the study, hypothesis is confirmed according to the Daniel Drezner’s conflict expectation model.

შინაარსი

შესავალი	6
თავი 1. ლიტერატურული მიმოხილვა.....	14
თავი 2. სანქციებამდე არსებული სამიზნე ქვეყნების დამოკიდებულება დამწესებელი ქვეყნის მიმართ.....	21
2.1. საქართველოსა და თურქეთის შესაძლებლობების აღწერა.....	21
შედარებითი ანალიზი.....	23
2.2. სამიზნე ქვეყნების დამოკიდებულება დამწესებელი ქვეყნის მიმართ	25
2.2.1. რუსეთ-საქართველო - საქართველოს ანტაგონისტური დამოკიდებულება რუსეთის მიმართ.....	27
2.2.2. რუსეთ-თურქეთი - თურქეთის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ	35
შედარებითი ანალიზი.....	43
თავი 3. ეკონომიკური სანქციები და მიღებული შედეგი	45
3.1. რუსეთის მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციები საქართველოსთვის.....	45
3.1.2. რუსეთის მხრიდან ეკონომიკური სანქციების დაწესება თურქეთისთვის	51
3.2. საქართველო/თურქეთი სანქციებით მიღებული ზარალი	55
3.2.1. სანქციებით მიღებული ზარალი - საქართველო.....	55
3.2.2. სანქციებით მიღებული ზარალი - თურქეთი	57
მიღებული ზარალის შედარებითი ანალიზი	58
3.3. საქართველოს/თურქეთის პოლიტიკური ქცევის ცვლილება.....	61
3.3.1. სანქციების დაწესებით მიღებული შედეგი საქართველო.....	65
ანალიზი	80
3.3.2. სანქციების დაწესებით მიღებული შედეგი თურქეთი	82
ანალიზი	91
ორი ქვეყნის შედარებითი ანალიზი.....	94
თავი 4. თეორიული ჩარჩო და ფაქტორები/გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა განაპირობონ სანქციით მიღებული შედეგი.....	95
4.1. ფაქტორები/გარემოებები რომლებმაც შესაძლოა განაპირობონ სანქციით მიღებული შედეგი	95
4.2. თეორიული ჩარჩო და ანალიზი	101
დასკვნა	108
გამოყენებული ლიტერატურა.....	110

აბრევიატურები:

BBC - ბრიტანეთის სამაწყუებლო კორპორაცია

FIFA- ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაცია

NATO - ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია

PYD - დემოკრატიული გაერთიანების პარტია სირიაში

YPG - სახალხო თვითშეიარაღების დანაყოფები

გაერო - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

დსთ - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა

მშპ- მთლიანი შიდა პროდუქტი

შესავალი

სასურველი საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად სახელმწიფოები ძირითადად დიპლომატიას, სამხედრო ან ეკონომიკურ ძალას იყენებენ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალის პრინციპი სამხედრო ძალის გამოყენებას და სხვა ქვეყნის შიდა პოლიტიკურ საკითხებში იძულებით ჩარევას კრძალავს (ალექსიძე, 2010, გვ. 13-14) მაშინ, როდესაც ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედება ცივილურ აქტად მიიჩნევა. შესაბამისად, ეკონომიკური იძულების გამოყენების ეფექტიანობა მზარდ ინტერესს იწვევს საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართა შორის და განაპირობებს ამ საკითხის აქტუალობას.

თემის აქტუალობას განაპირობებს ისიც, რომ თანამედროვე მსოფლიო ხასიათდება ქვეყნებს შორის მზარდი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ის, თუ რა გარემოებებში იწვევს პოლიტიკური ქცევის ცვლილებას ეკონომიკური იძულების, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტის გამოყენება.

ძირითადი პრობლემა, რასაც ვხვდებით ეკონომიკური სანქციების შესწავლისას, არის რადიკალური მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ეფექტიანია, ანუ შედეგის მომტანი ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენება.

ავტორთა ერთი ნაწილის მტკიცებით, მაგალითად, როგორცაა რობერტ ფეიფი (Pape, 1997, გვ. 90-136), ეკონომიკური სანქციები სამხედრო ძალისგან დამოუკიდებლად სასურველ შედეგს ვერ აღწევს. მაშინ, როდესაც, დევიდ ბოლდვინი მიიჩნევს, რომ ეკონომიკური იძულების ფორმების გამოყენება მნიშვნელოვანად არის და ეფექტიანიც (Baldwin, 1985, გვ. 1-28).

ნაშრომში განვითარებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ეკონომიკური სანქციების ერთმნიშვნელოვნად, როგორც ეფექტიანი ან არაეფექტიანი ინსტრუმენტის შეფასება, ზედაპირული მიდგომაა. შესაბამისად, აუცილებელია გამოიკვეთოს ის გარემოებები/ფაქტორები, რომლებშიც ეკონომიკური სანქციები შესაძლოა

განხილვობდეს, როგორც რელევანტური ინსტრუმენტი ქვეყნების საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

ნაშრომში არ არის განხილული ის, თუ რამდენად წარმატებული ან წარუმატებელი შედეგის მომტანი შეიძლება იყოს ზოგადად ეკონომიკური სანქციები, არამედ შესწავლილია ის, თუ რა გარემოებებში იზრდება ალბათობა იმისა, რომ ეკონომიკური სანქციების დაწესებას ექნება სასურველი შედეგი, ანუ მოხდება სამიზნე ქვეყნის პოლიტიკური ქცევის ცვლილება.

წარმოდგენილი ნაშრომი საინტერესოა საერთაშორისო ურთიერთობებით დაინტერესებული მკითხველისთვის. ასევე, იმ მკვლევრებისთვისა და სტუდენტებისთვის, ვისაც აინტერესებს საერთაშორისო ურთიერთობებში ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების მნიშვნელობა. ამავდროულად, მათთვის, ვინც იკვლევს ეკონომიკურ სანქციებსა და ეკონომიკური სანქციების შედეგებს.

ძირითადად, მკვლევრები სანქციების შედეგზე მოქმედ დადებით/უარყოფით ფაქტორებად გამოყოფენ: სანქციების საფასურს სამიზნისთვის (Bapat, 2012, გვ. 73-98), სავაჭრო დამოკიდებულებას (Major, 2012, გვ. 79-110), სანქციების ხანგრძლივობას (Hufbauer and others, 2007, გვ. 125-147), სანქციების დამწესებელთა რაოდენობას (Miers, 2002, გვ. 117-136), საერთაშორისო ინსტიტუტების ჩართულობას (Kaempfer, 2007, გვ. 868-911), მესამე ქვეყნების როლს (Nooruddin, 2002, გვ. 59-75), მმართველობის სტილს (Major, 2012), სამიზნე ქვეყნების შესაძლებლობებს (Burlone, 2002, გვ. 27-46), კონფლიქტის მნიშვნელობას (Bapat, 2012, გვ. 73-98) და საფასურს სანქციის დამწესებელი ქვეყნისთვის. (Hufbauer and others, 2007) თუმცა, არც ერთ ამ ფაქტორში საუბარი არ არის იმაზე, თუ რა გავლენის მომხდენია სანქციების დაწესებამდე სამიზნე ქვეყნის დამოკიდებულება დამწესებელი ქვეყნის მიმართ.

ნაშრომში განვითარებულია მოსაზრება, რომ სანქციების დაწესებამდე სამიზნე ქვეყნის დამოკიდებულება, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სანქციებით მიღებულ შედეგზე. შესაძლოა ყველა ზევით ჩამოთვლილმა ფაქტორმა დაკარგოს მნიშვნელობა, იმ

შემთხვევაში, თუ სამიზნე ქვეყნის დამოკიდებულება სანქციების დაწესებამდე ანტაგონისტური, ან კეთილგანწყობილი იყო. სწორედ ამ საკითხს იკვლევს მოცემული ნაშრომი.

შესაბამისად, კვლევის მიზანია, შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთოს, თუ რა გავლენას ახდენს ეკონომიკური სანქციების შედეგზე, სანქციების დაწესებამდე სამიზნე ქვეყნის დამოკიდებულება დამწესებელი ქვეყნის მიმართ, ანუ რა შემთხვევაში ხდება პოლიტიკური ქცევის ცვლილება.

იმის საჩვენებლად, რა გავლენას ახდენს სანქციებამდე არსებული დამოკიდებულებები სანქციების შედეგზე, წარმოდგენილია ორი შემთხვევა და მათი შედარებითი ანალიზი. პირველი მათგანი, მოიცავს რუსეთის მიერ დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს საქართველოსთვის 2005-2008 წლებში. მეორე შემთხვევას წარმოადგენს რუსეთის მიერ თურქეთისთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციები 2015-2016 წლებში.

საქართველოს შემთხვევა განხილულია, როგორც ნიმუში, თუ რა გავლენას ახდენს ეკონომიკური სანქციების შედეგზე სამიზნე ქვეყნის ანტაგონისტური დამოკიდებულება სანქციის დამწესებელი ქვეყნის მიმართ.

თურქეთის შემთხვევა კი განხილულია, როგორც ნიმუში, თუ რა გავლენას ახდენს ეკონომიკური სანქციების შედეგზე, სამიზნე ქვეყნის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება სანქციის დამწესებელი ქვეყნის მიმართ.

ნაშრომში წარმოდგენილი კონკრეტული შემთხვევების განხილვა საინტერესოა, რადგან საქართველო თურქეთთან შედარებით წარმოადგენდა პატარა, სუსტ ქვეყანას. საქართველოსთვის ეკონომიკური სანქციებით მიღებული ზარალი შედარებით მეტი იყო. მიუხედავად ამისა, საქართველოს პოლიტიკური ქცევა დარჩა უცვლელი, მაშინ, როდესაც თურქეთის საგარეო პოლიტიკური ქცევა რუსეთის სურვილისამებრ შეიცვალა. შესაბამისად, ამ ორი შემთხვევის შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს იმ მნიშვნელოვან გარემოებებს/ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს სანქციის შედეგზე.

საკვლევი კითხვა: ეკონომიკური სანქციების დაწესების შედეგად, რატომ შეიცვალა თურქეთის საგარეო პოლიტიკური ქცევა რუსეთის მოთხოვნის შესაბამისად, მაშინ, როდესაც საქართველოს პოლიტიკური ქცევა დარჩა უცვლელი?

ჰიპოთეზა I: საქართველოს რუსეთის მიმართ გააჩნდა ანტაგონისტური დამოკიდებულება, რის გამოც, სანქციების დაწესების შემდგომ მან არ შეცვალა თავისი პოლიტიკური ქცევა რუსეთის სურვილისამებრ.

ჰიპოთეზა II: თურქეთს დამოკიდებულება რუსეთის მიმართ იყო კეთილგანწყობილი, რის გამოც, სანქციების დაწესების შემდგომ მან შეცვალა თავისი პოლიტიკური ქცევა რუსეთის სურვილისამებრ.

დამოუკიდებელი ცვლადი I: საქართველოს ანტაგონისტური დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციის მიმართ.

დამოუკიდებელი ცვლადი II: თურქეთის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციის მიმართ.

შუალედური ცვლადი: სანქციების დაწესების პერიოდში წარმოქმნილი დაპირისპირების საფრთხე.

დამოკიდებული ცვლადი: ეკონომიკური სანქციებით განპირობებული პოლიტიკური ქცევის ცვლილება.

თეორია

საინტერესო მოსაზრებას ავითარებს მეცნიერი დენიელ დრეზნერი, რომელიც გამოყოფს კონფლიქტის მოლოდინის მოდელს. სადაც აღნიშნულია, რომ თუ სანქციების დაწესებამდე ქვეყნებს შორის არსებობდა მტრული დამოკიდებულება, ეს წარმოქმნიდა სამომავლო კონფლიქტის მოლოდინს, რაც უკავშირდება შედარებით მოგებას და რეპუტაციულ ფაქტორებს. სამიზნე ქვეყანა სანქციების დაწესებისას არ შეიცვლის პოლიტიკურ ქცევას, რადგან რასაც დათმობს ის, დამწესებელი მიიღებს ზუსტად იმავე მოგებას (Drezner, 1999).

შესაბამისად, ნაშრომში მიღებული შედეგი ახსნილი იქნება დენიელ დრეზნერის თეორიაზე დაყრდნობით.

მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევითი ნაშრომი არის აკადემიური პრობლემის წერილობითი ფორმით გადაჭრა საბიბლიოთეკო გამოკვლევის მეშვეობით, ანუ არსებული ჰიპოთეზის განსავითარებლად შეჯამებული და შეფასებულია არსებული წყაროები. ეს ემსახურება ნაშრომში წამოჭრილი აქტუალური პრობლემის კვლევას (წულაძე, 2006).

ნაშრომში საკვლევად გამოყენებულია თვისებრივი მეთოდი, კერძოდ, შედარებითი მონოგრაფიული გამოკვლევა. (Comparative case study) მისი გამოყენება საკვლევი საკითხის სიღრმისეული და მრავალმხრივი შესწავლის შესაძლებლობას იძლევა.

ჰიპოთეზის დასადასტურებლად მონოგრაფიული კვლევის დროს გამოყენებულია ურთიერთშემავსებელი მეთოდოლოგია და შესაბამისად, ნაშრომში გამოყენებულია სამიზნე ქვეყნების პრეზიდენტების გამოსვლათა ანალიზი, საკვლევ თემასთან დაკავშირებული დოკუმენტების ანალიზი, ამავდროულად, სხვადასხვა მკვლევართა ნაშრომები, რომლებიც, ძირითადად, გამოიყენება ისტორიული ფაქტების გამოსაკვეთად. ნაშრომში წარმოდგენილი მონოგრაფიული გამოკვლევა, თვისებრივი მონაცემების გარდა, რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკურ ანალიზსაც გულისხმობს (ზურაბიშვილი, 2006, გვ. 61-71).

პირველ რიგში, კვლევის ფარგლებში უნდა დამტკიცდეს, რომ საქართველო წარმოადგენს შედარებით სუსტ ქვეყანას, ვიდრე - თურქეთი. ასევე, ისიც, რომ სანქციებით მიღებული ეკონომიკური ზარალი საქართველოს შემთხვევაში აღემატებოდა იმ ზარალს, რაც მიიღო თურქეთმა. უნდა გამოიკვეთოს, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა, ერთის მხრივ, საქართველოს რუსეთისადმი, ხოლო მეორე მხრივ, თურქეთს რუსეთისადმი - ანტაგონისტური თუ კეთილგანწყობილი. ამისთვის საჭიროა, განვსაზღვროთ, რას გულისხმობს ეს ტერმინები და როგორ ხდება მათი კვლევა. ამასთან ერთად, საჭიროა დავადგინოთ, თუ რა იყო ის პოლიტიკური ქვეყნის ცვლილება, რასაც მოითხოვდა რუსეთი

საქართველოსგან და თურქეთისგან. შემდგომ ეტაპზე უნდა დავადგინოთ მოხდა თუ არა პოლიტიკური ქცევის ცვლილება და რამ განაპირობა დამდგარი შედეგი. ეს ყველაფერი კი უნდა გაანალიზდეს უკვე არსებული თეორიული ჩარჩოს მიხედვით.

ნაშრომში პირველი თავი ემსახურება იმ ძირითადი ლიტერატურის წარმოჩენას, რაც არსებობს საკვლევი საკითხის გარშემო, რის საფუძველზეც გამოიკვეთება სანქციის შედეგზე მოქმედი ძირითად ფაქტორები/გარემოებები, რომლებსაც იკვლევს სხვადასხვა ავტორი. მეორე თავში, შედარებითი ანალიზის საფუძველზე, წარმოდგენილი იქნება სამიზნე ქვეყნების შესაძლებლობებს შორის არსებული სხვაობა. ასევე, ამ თავში მოცემულია სამიზნე ქვეყნების დამოკიდებულებები სანქციების დამწესებელი ქვეყნის მიმართ და გამოკვეთილია ის პოლიტიკური ქცევები, რომელის შეცვლაც სურდა დამწესებელ ქვეყანას ეკონომიკური იძულების მეშვეობით. მესამე თავი ემსახურება დაწესებული ეკონომიკური სანქციების აღწერას, ასევე, იმ ზარალის შედარებით ანალიზს, რომელიც მიიღეს სამიზნე ქვეყნებმა. ამავდროულად, საქართველოს და თურქეთის პირველი პირების გამოსვლების ანალიზის შედეგად, წარმოჩენილია სამიზნე ქვეყნების პოლიტიკური ქცევის ცვლილება (განხორციელდა თუ არა). ამავთვე თავში ახსნილია, რა გავლენა მოახდინა სამიზნე ქვეყნების სანქციებამდე არსებულმა დამოკიდებულებამ სამიზნე ქვეყნის მიმართ, მათ პოლიტიკურ ქცევაზე სანქციების დაწესების ეპიზოდში. მეოთხე თავში განხილულია სხვადასხვა ავტორების ხედვები, თუ რა ფაქტორებმა/გარემოებებმა შეიძლება განაპირობონ ეკონომიკური სანქციების გამოყენების შედეგად ქვეყნების პოლიტიკური ქცევის ცვლილება. ეს მისადაგებულია წარმოდგენილ შემთხვევებთან, რისი მეშვეობითაც გამოიკვეთება, ხსნის თუ არა სხვადასხვა ავტორის მიერ შემოთავაზებული ფაქტორები დამდგარ შედეგს. ასევე, ნაშრომის ამ ნაწილში შემოთავაზებულია დანიელ დრეზნერის კონფლიქტის მოლოდინის მოდელი, რომელიც გამოყენებულია თეორიულ ჩარჩოდ და მისადაგებულია მასთან ის შედეგი, რომელიც გამოიკვეთა კვლევის შედეგად.

ტერმინთა განმარტება

ანტაგონისტური დამოკიდებულება/განწყობა - ნაშრომში ეს ტერმინი ასახავს დამწესებელი ქვეყნის მიმართ დამოკიდებულებას, რომელიც აქვს სანქციის სამიზნე ქვეყანას, რადგან სანქციის დამწესებელი ქვეყანა, სანქციების დაწესებამდე ლახავდა მის სასიცოცხლო ეროვნულ ინტერესებს.

გადაღვრის ეფექტი - როდესაც ერთ სფეროში თანამშრომლობა იწვევს მეორე სფეროში თანამშრომლობას.

დაპირისპირების საფრთხე - ნაშრომში აღნიშნული ტერმინი ასახავს მდგომარეობას, როდესაც ორ ქვეყანას შორის უახლოეს მომავალში არსებობს სამხედრო დაპირისპირების ალბათობა.

დასავლური სტრუქტურები/დასავლეთი - ევროკავშირი და ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია.

ეკონომიკური იძულება - ნაშრომში გაიგივებულია ეკონომიკურ სანქციებთან, ანუ ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედება ერთი ქვეყნის მხრიდან მეორე ქვეყნის წინააღმდეგ, რომ მიაღწიოს სასურველი პოლიტიკური ქცევის ცვლილებას.

ეკონომიკური სანქციები - ნაშრომში აღნიშნავს ეკონომიკური თანამშრომლობის შეწყვეტას, არასრულ შეწყვეტას ან შეწყვეტის მუქარას. გამოიხატება ბლოკადის, ბოიკოტის, ემბარგოს ან ფინანსური სანქციების სახით.

ეკონომიკური სანქციის შედეგი - როდესაც ეკონომიკური იძულების შედეგად, ქვეყანა იცვლის პოლიტიკურ ქცევას ან პოლიტიკური ქცევა რჩება უცვლელი.

კეთილგანწყობილი/მეგობრული ურთიერთობები - ნაშრომში ეს ტერმინი ასახავს დამწესებელი ქვეყნის მიმართ დამოკიდებულებას, რომელიც აქვს სამიზნე ქვეყანას, რადგან სამიზნე ქვეყნის სასიცოცხლო ეროვნული ინტერესები თანხვედრაში იყო მასთან სანქციების დაწესებამდე. თუმცა, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს დამწესებელი ქვეყნის მხრიდან მეორე ხარისხოვანი ინტერესების შელახვას.

მორალური ზიანი - ნაშრომში ეს ტერმინი აღნიშნავს მდგომარეობას, როდესაც ხდება სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის უფლების, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებათა დარღვევა.

ნულოვანჯამოვანი თამაში - ორი ქვეყნის დაპირისპირებისას, დათმობაზე წასვლით, ერთი ქვეყნის დანაკარგს იგებს მეორე ქვეყანა.

რეგიონული იდენტობის განცდა - ტერმინი გამოყენებულია მდგომარეობის აღსანიშნავად, როდესაც ქვეყანა, ისტორიულად თავს აიგივებს კონკრეტული ქვეყნებისგან შემდგარ რეგიონთან, როგორც მისი განუყოფელი წევრი.

სამომავლო კონფლიქტის მოლოდინი - ქვეყნებს შორის სანქციების დაწესების დროს კონფლიქტის მოლოდინი, რომელსაც განაპირობებს ამ დრომდე არსებული ანტაგონისტური დამოკიდებულება.

წარმატებული ეკონომიკური სანქციები - ნაშრომში ასახავს მდგომარეობას, როდესაც სანქციების სამიზნე ქვეყანა პოლიტიკურ ქცევას ცვლის დამწესებელი ქვეყნის სასარგებლოდ.

თავი 1. ლიტერატურული მიმოხილვა

წინამდებარე ნაშრომში ლიტერატურული მიმოხილვის მიზანია, მკითხველს შეუქმნას ზოგადი წარმოდგენა ეკონომიკურ სანქციებზე. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია იმ ფაქტორებზე, რომლებიც, სხვადასხვა ავტორის აზრით, გავლენას ახდენს ეკონომიკური სანქციების შედეგზე. შემდგომში ლიტერატურულ მიმოხილვაში წარმოდგენილი ავტორების ძირითადი დაშვებები დაგვეხმარება, გავაანალიზოთ ნაშრომში გამოყენებული შემთხვევების შედეგი.

ეკონომიკური სანქციების წარმატების შესახებ, ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი კვლევა ეკუთვნით გარი ჰაფბავერს, ჯეფრი სკოტს, კიმბერლ ელიოტს და ბარბარა ოეგს - „ეკონომიკური სანქციების ხელახალი განხილვა“. ავტორები შეისწავლიან 1914 წლიდან 1999 წლამდე დაწესებული ეკონომიკური სანქციების 204 შემთხვევას. წარმატების გასაზომად იყენებენ დაკვირვების მეთოდს, აკვირდებიან ქვეყნების პოლიტიკური ქცევის ცვლილებას და სანქციების სამიზნე ქვეყნის მთავრობებს. ავტორები წარმატებდ მიიჩნევენ მდგომარეობას, როდესაც სანქციების დამწესებელმა ქვეყანამ ნაწილობრივ ან სრულად მიაღწია საგარეო პოლიტიკურ მიზნებს. ნაშრომში წარმოდგენილ შემთხვევათა 1/3, მათი შეხედულებით, იყო წარმატებული. ამავდროულად, უფრო ფართოდ გავრცელებული შემთხვევა იყო სანქციის დამწესებელი ქვეყნის მიერ პოლიტიკური მიზნების ნაწილობრივი მიღწევა. ავტორთა დაკვირვებით, წარმატებულ ეკონომიკურ სანქციათა უდიდესი ნაწილი განაპირობა „შერეულმა“ ეკონომიკურმა სანქციებმა. იგულისხმება ისეთი ეკონომიკური სანქციები, რომლის დროსაც სანქციის დამწესებელი ქვეყანა იყენებს, როგორც სავაჭრო, ასევე, ფინანსურ სანქციებს. მნიშვნელოვანია ავტორების დასკვნა, რომ როგორც წესი ეკონომიკური სანქციის დაწესების მიზანი მიმდინარე პოლიტიკური ქცევის, არსებული რეჟიმის ცვლილება ან სამიზნე ქვეყნის სამხედრო წინსვლის შეფერხებაა. საბოლოო ჯამში, ავტორები სანქციების შედეგზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორებს განიხილავენ, მიდიან დასკვნამდე, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის შემთხვევაში უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ ეკონომიკური სანქციების შედეგი იქნება

წარმატებული, ვიდრე ერთი ქვეყნის მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციები (Hufbauer and others, 2007, გვ. 125-147).

ნაშრომში „პოლიტიკური ინსტიტუტები, იძულებითი დიპლომატია და ეკონომიკური სანქციების ხანგრძლივობა“, ავტორები ფიონა ემსიგილივრე და ალან სტემი იკვლევენ, თუ რა კავშირშია ერთმანეთთან შიდა პოლიტიკური ინსტიტუტები და საერთაშორისო სანქციების ხანგრძლივობა. ისინი ეკონომიკური სანქციების წარმატებაში გულისხმობენ სამიზნე ქვეყნის პოლიტიკური ქცევის ცვლილებას. სანქციების დასრულება შეიძლება მოხდეს მაშინაც, როდესაც სამიზნე ან დამწესებელი ქვეყნის მმართველი ელიტის ცვლილება ხდება. ავტორთა განმარტებით, ეკონომიკური სანქციები მმართველი ელიტის ცვლილებით შესაძლოა დამთავრდეს იმ შემთხვევაში, თუ ეს ცვლილება განაპირობებს პოლიტიკური ქცევის ცვლილებასაც. ავტორების აზრით, ზოგადად, იძულებითი დიპლომატიის ხანგრძლივობა და სანქციების ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული მთავრობის ცვლილებასთან (როგორც სანქციების დამწესებელი, ასევე, სამიზნე ქვეყნების შემთხვევაში). ემსიგილივრე და სტემი გვთავაზობენ შემდეგი სახის ლოგიკურ ჯაჭვს: უნდა შეიცვალოს მთავრობა (სამიზნე ან დამწესებელი ქვეყნის), უნდა განისაზღვროს იმ ჯგუფის ზომა, რომელიც მხარს უჭერს ახალ ლიდერს სათავეში მოსასვლელად (ან იმ ჯგუფის ზოგადი მახასათებლები, რომელიც ესაჭიროება ახალ მმართველს სათავეში მოსასვლელად). დემოკრატიულ ქვეყნებში მხარდამჭერი ჯგუფების ზომა უფრო დიდი და მრავალფეროვანია, განსხვავებით ავტორიტარულისგან. ამის შემდგომ, უნდა გამოიკვეთოს მოლოდინი - რას ელიან მხარდამჭერი ჯგუფები ახალი ლიდერისგან - შეცვალოს თუ არ შეცვალოს ქცევა ეკონომიკურ სანქციებთან დაკავშირებით. საბოლოოდ, ავტორები მიდიან დასკვნამდე, რომ ლიდერთა ცვლილება გვაძლევს საშუალებას განვჭვრიტოთ, თუ რა ხანგრძლივობის იქნება ეკონომიკური სანქციები. ეს ხდება მაშინ, თუ ქვეყანა არადემოკრატიულია. ასეთ შემთხვევაში, ავტორები მთავრობის ცვლილებიდან მოკლე პერიოდში ელოდებიან სანქციების შეწყვეტას (FIONA MCGILLIVRAY ALLAN C. STAM, 2004, გვ. 154-172).

ნავინ ბაკატი, თავის ნაშრომში „სანქციების ეფექტიანობის გადამწვეტი ფაქტორები“ განიხილავს სანქციების დაწესებისა და სანქციებით მუქარის მრავალ შემთხვევას. საერთაშორისო ურთიერთობებში ეკონომიკურ სანქციებზე არსებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, ავტორი გამოყოფს ძირითად ფაქტორებს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სანქციების წარმატებაზე. ავტორის კვლევა მოიცავს 842 შემთხვევას (დაწესებული ეკონომიკური სანქციები, ეკონომიკური სანქციებით მუქარა). ეკონომიკური სანქციების წარმატებაში ბაკატი გულისხმობს მდგომარეობას, როდესაც სამიზნე ქვეყანა ნაწილობრივ ან სრულად მიდის დათმობაზე, ან თუ შემთხვევა მთავრდება მოლაპარაკებით. ავტორის აზრით, სანქციების წარმატებას განსაზღვრავს ორი ფაქტორი: 1. საერთაშორისო ინსტიტუტების ჩართულობა. 2. სანქციების საფასური სამიზნე ქვეყნისთვის. ამავდროულად, აღნიშნავს, რომ ეკონომიკური სანქციების წარმატებით განხორციელებაში დიდ როლს თამაშობს ისეთი ფაქტორები, როგორცაა: დამწესებელი ქვეყნის მხრიდან შეთავაზებული ჯილდო სამიზნე ქვეყნისთვის, დამწესებელი ქვეყნის დემოკრატიულობა, სამიზნე ქვეყნის არადემოკრატიულობა, სამიზნე ქვეყნისთვის ექსპორტის შეზღუდვა, საკითხის ნაკლები ღირებულება სამიზნე ქვეყნისთვის, სამიზნე ქვეყნის ძლიერი სავაჭრო დამოკიდებულება დამწესებელ ქვეყანაზე (Bapat, 2012, გვ. 73-98).

სოლომონ მეიჟორის ნაშრომში „სათანადო დრო: ეკონომიკური სანქციები, რეჟიმის ტიპი და შიდა არასტაბილურობა“, ავტორი განიხილავს ფართოდ გავრცელებულ აზრს, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები არიან უფრო მოწყვლადები ეკონომიკური იძულების მიმართ, ვიდრე ავტორიტარული ქვეყნები. ავტორი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და მნიშვნელოვან ცვლადად გამოყოფს შიდა არასტაბილურობას. ნაშრომი ავითარებს მოსაზრებას, რომ დროებითი ფაქტორი, როგორცაა შიდა პოლიტიკური კრიზისი, შესაძლოა ურთიერთქმედებდეს სტრუქტურულ ფაქტორთან, როგორცაა რეჟიმის ტიპი. ამით განისაზღვროს ეკონომიკური სანქციების წარმატება. მეიჟორის მოსაზრებით, ეს ცვლადი დიქტატორს განსაკუთრებით მოწყვლადს ხდის სანქციებით იძულების პერიოდში, გამომდინარე იქიდან, რომ მასობრივი სახალხო გამოსვლები ავტორიტარული მთავრობების წინააღმდეგ შესაძლოა იყოს როგორც მიზეზი, ასევე, ინდიკატორი ღრმა

სტრუქტურული პრობლემებისა, რაც წარმოადგენს იმ კრიზისს, რომელიც შეიძლება გამოიყენოს სანქციების დამწესებელმა ქვეყანამ თავის სასარგებლოდ. ავტორს მაგალითად მოჰყავს არაბული გაზაფხული (Major, 2012, გვ. 79–110).

ვილიან კაემფერი ნაშრომში „ეკონომიკური სანქციების პოლიტიკური ეკონომიკა“ აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ეკონომიკური სანქციები წარმოადგენს სამხედრო კონფლიქტების ალტერნატივას. გამოყოფს, რომ ეკონომიკური სანქციების დაწესების მიზანი არა მხოლოდ მაქსიმალური ზიანის მიყენებაა სამიზნე ქვეყნისთვის, არამედ შესაძლოა წარმოადგენდეს გამაფრთხილებელ სიგნალს. ავტორის აზრით, საერთაშორისო ეკონომიკური სანქციები მისაღებია ქვეყნებისთვის (საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის), რადგან ის წარმოადგენს საშუალებას, კონფლიქტის გარეშე შესუსტდეს სამიზნე ქვეყნის გავლენა. კაემფერის აზრით, ყველა შემთხვევაში ეკონომიკური სანქციების დაწესების მიზანია, სამიზნე ქვეყანას რაიმე ტიპის „ტკივილი“ მიაყენოს. უფრო კონკრეტულად კი - მის მმართველ რეჟიმს, რომელიც განსაზღვრავს ძირითად პოლიტიკას. ავტორისვე აზრით, ეკონომიკური სანქციები, ასევე, წარმოადგენს „სიგნალს“ სამიზნე ქვეყნისთვის კონკრეტულ პოლიტიკურ ქცევაზე, რითიც დამწესებელი ქვეყანა იღებს ერთგვარ კმაყოფილებას, რომ მან ამ ქმედებაზე საპასუხოდ გარკვეული ნაბიჯი გადადგა. იმისათვის, რომ ეს ფაქტორი განხორციელდეს, ავტორს მნიშვნელოვნად მიაჩნია საერთაშორისო ინსტიტუტების ჩართულობა, რის შემდეგაც ეკონომიკური სანქციები უფრო დიდი ალბათობით იქნება წარმატებული. ასევე, ავტორი გამოყოფს „ჭკვიან სანქციებს“, რომელიც ახდენს გავლენას კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებზე, სამიზნე ქვეყნის შიგნით (Kaempfer, 2007, გვ. 868-905).

ანა მაიერსი, ნაშრომში „მრავალმხრივი სანქციები და საგარეო პოლიტიკის წარმატება“, განიხილავს რომელი ტიპის სანქციებს აქვს მეტი წარმატების ალბათობა - მრავალმხრივს თუ უნილატერალურს. ავტორი არ ეთანხმება გავრცელებულ მოსაზრებას, რომ წარმატების მეტი შანსი აქვს ისეთ ეკონომიკურ სანქციას, რომელსაც რამოდენიმე დამწესებელი ქვეყანა ჰყავს. მაიერსი ამბობს, რომ ეს მოსაზრება გამომდინარეობს ლოგიკიდან, რომლის მიხედვითაც, რაც უფრო დიდია ზეწოლა სამიზნე ქვეყანაზე, მით მეტია წარმატების შანსი.

შესაბამისად, ასეთ დროს უფრო ძლიერი იქნება ზეწოლა და ნაკლები ალბათობა იმისა, რომ გამოჩნდება მესამე ქვეყანა, რომელიც შეითავსებს ალტერნატიული ბაზრის ფუნქციას. ამის საპირწონედ, მაიერსს მიაჩნია, რომ უნილატერალურ სანქციებს წარმატების მეტი შესაძლებლობა აქვთ, რადგან მრავალმხრივი კვალიცა რთულად მიდის საერთო აზრამდე. ამან სამიზნე ქვეყანა შესაძლოა ჩააყენოს მომგებიან პოზიციაში მოლაპარაკების დროს. საბოლოო ჯამში, ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ მრავალმხრივი სანქციები იქნება უფრო ეფექტიანი იმ შემთხვევაში, თუ სანქციის დაწესება ერთი კონკრეტული და არა რამდენიმე საკითხის გარშემო მოხდა. მაიერსის აზრით, მრავალმხრივმა კოალიციამ შესაძლოა გამოიწვიოს დიდი ხარჯი სამიზნე ქვეყნისათვის, მაგრამ მხოლოდ იქამდე, სანამ ამ კოალიციას შეუძლია სტაბილურობის შენარჩუნება. ამავდროულად, ასეთ კოალიციაში მაღალია აზრთა სხვადასხვაობისა და დაყოფის რისკი. ეს, საბოლოო ჯამში, აძლიერებს სამიზნე ქვეყანას. შესაბამისად, ავტორი არ იზიარებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც მრავალმხრივი ეკონომიკური სანქციების დაწესება იქნება უფრო ეფექტიანი და სასურველი შედეგის მომტანი სანქციების დამწესებელი ქვეყნისთვის, ვიდრე - უნილატერალური (Miers, 2002, გვ. 117-136).

ირფან ნორუდინი, ნაშრომში „შერჩევითი მიკერძოებულობის მოდელი სანქციების ეფექტიანობის კვლევაში“, ავითარებს მოსაზრებას, რომ ეკონომიკური სანქციების შესახებ წინარე კვლევებს, სტრატეგიული ცენზურის პრობლემმა ჰქონდათ. ავტორი გვთავაზობს დაწესებული და წარმატებული სანქციების საერთო მოდელს. ნორუდინი აღნიშნავს, რომ ავტორები, როდესაც ამოწმებენ ემპირიული დაშვებებს სანქციების წარმატებასთან დაკავშირებით, უშვებენ საერთო შეცდომას - შერჩევის მიკერძოებულობას. შესაბამისად, მათ მიერ მიღებული შედეგი შეიძლება მიესადაგებოდეს ზოგიერთ შემთხვევას, თუმცა, ამის მიღმა დარჩეს სხვა შემთხვევები. ავტორმა შესაძლო წარმატების განმაპირობებელ ფაქტორებად გამოყო სამიზნე ქვეყნის მმართველობის რეჟიმი, მთლიანი საფასური სანქციების დამწესებელი ქვეყნისთვის, ასევე, ის, არის თუ არა სანქციების სამიზნე ქვეყანა ამერიკის ძლიერ ქვეყანასთან ალიანსში (Nooruddin, 2002, გვ. 59-75).

ჟან-ლუკა ბერლონი ნაშრომში „ეკონომიკური სანქციები: ინსტიტუციური ფაქტორი“ შეისწავლის სანქციების დაწესებას განვითარებად ქვეყნებში. მთავარი საკითხია ამ ქვეყნებში არსებული ინსტიტუტები. ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ინსტიტუტები თამაშობენ წამყვან როლს სამიზნე ქვეყნის შესაძლებლობებში, რომ გაუმკლავდნენ დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს. ბერლონი ამტკიცებს, რომ ინსტიტუტების ეფექტიანობა (ან ეფექტიანობის ნაკლებობა) არის ძირითადი ფაქტორი, რომ შეარბილოს (ან გამწვავოს) სირთულეები, რომელთა წინაშეც დგას სანქციის სამიზნე ქვეყნის მოსახლეობა. ავტორი აღნიშნავს, რომ ინსტიტუციურ გარემოს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ეკონომიკის ზრდაზე, რომელიც წარმოადგენს ძირითად ფაქტორს გარე რყევებთან გასამკლავებლად (Burlone, 2002, გვ. 27-46).

ამრიგად, გარი ჰაფბავერის ნაშრომი, დაწესებული ეკონომიკური სანქციის შედეგზე, მოქმედ ფაქტორად გამოყოფს საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას, მაშინ, როდესაც ფიონა ემსიგილივრესა და ალან სტემისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია მმართველობის სტილი, როგორც სამიზნე, ასევე დამწესებელი ქვეყნის შემთხვევაში. ბაპატისთვის საერთაშორისო ინსტიტუტების ჩართულობა და მმართველობის სტილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორებია. ამავდროულად, გამოყოფს შეთავაზებულ ჯილდოს, ექსპორტის შეზღუდვას, სამიზნე ქვეყნის არადემოკრატიულობას, დამწესებელი ქვეყნის დემოკრატიულობასა და სავაჭრო დამოკიდებულების ფაქტორებს. მეიჟორისთვის სანქციების შედეგზე მოქმედი მთავარი ფაქტორი რეჟიმის ტიპია, კაეფერისთვის - საერთაშორისო ინსტიტუტების ჩართულობა. მაიერსი მთავარ გარემოდ მესამე ქვეყნების ჩართულობას და უნილატერალურ ეკონომიკურ სანქციებს გვთავაზობს. ნორუდინი, ბაპატის მსგავსად, მრავალ ფაქტორზე საუბრობს - მმართველობის რეჟიმი, მთლიანი სანქციების საფასური დამწესებელი ქვეყნისთვის, მესამე ქვეყნის ჩართულობის როლი. ბერლონი კი ხაზს უსვავს სამიზნე ქვეყნის შესაძლებლობებს, როგორც უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელიც მოქმედებს ეკონომიკური სანქციების შედეგზე. ამ ავტორთა ლიტერატურული მიმოხილვა და შესაბამისად, ძირითადი ფაქტორების გამოკვეთა მნიშვნელოვანია, რადგან შესაძლებელია, სწორედ ამ ფაქტორებიდან ერთ-ერთია იმ

შედეგის განმაპირობებელი, რასაც ნაშრომში შემთხვევათა შედარებითი ანალიზი წარმოაჩენს.

თავი 2. სანქციებამდე არსებული სამიზნე ქვეყნების დამოკიდებულება დამწესებელი ქვეყნის მიმართ

მოცემული თავის მიზანია, სანქციების დაწესების პერიოდში, თურქეთსა და საქართველოს შესაძლებლობებს შორის განსხვავების წარმოჩენა. ეკონომიკური სანქციების მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ სანქციების დაწესების შედეგად, დიდი ალბათობით, პოლიტიკური ქცევა შეიცვლება იქ, სადაც სამიზნე ქვეყანა პატარა და სუსტია (Burlone, 2002, გვ. 27-46). ამავდროულად, თუ არსებობს მნიშვნელოვანი სავაჭრო დამოკიდებულება სანქციის დამწესებელ ქვეყანაზე (Major, 2012, გვ. 79-110).

ამის საპირწონედ, ნაშრომში წარმოდგენილია დაშვება, რომ საქართველო წარმოადგენდა თურქეთთან შედარებით პატარა, სუსტ ქვეყანას. ასევე, საქართველოს სავაჭრო დამოკიდებულება აღემატებოდა თურქეთისას. დაშვების დასადასტურებლად მოყვანილია მაიკლ ჰანდელის კლასიფიკაცია (Handel, 1990, გვ. 9-65), ასევე, სტატისტიკური ანალიზი საგარეო ვაჭრობის გასაანალიზებლად.

ასევე, მოცემული თავის მიზანია, ისტორიული ფაქტების ანალიზის შედეგად აჩვენოს, თუ რა დამოკიდებულებები ჰქონდათ სანქციის სამიზნე ქვეყნებს დამწესებელი ქვეყნის მიმართ, იქამდე, სანამ მოხდებოდა სანქციების დაწესება, ამავდროულად, გამოკვეთოს, ის პოლიტიკური ქცევები, რომლის შეცვლაც სურდა ეკონომიკური სანქციების დაწესებით რუსეთის ფედერაციას.

2.1. საქართველოსა და თურქეთის შესაძლებლობების აღწერა

ქვეყნების კლასიფიკაციისთვის მაიკლ ჰანდელი გვთავაზობს ძირითად კრიტერიუმებს: ქვეყნის ტერიტორიის სიდიდე, მოსახლეობის რაოდენობა, ერთობლივი ეროვნული პროდუქტი, მძიმე მრეწველობა და წარმოების სპეციალიზაცია, შიდა ბაზრის სიდიდე, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა, სამხედრო სიძლიერე, ფართომასშტაბიანი ომის დამოუკიდებლად წარმოების შესაძლებლობა, ქვეყნის გავლენა ძალთა წონასწორობის მექანიზმზე (Handel, 1990, გვ. 9-65).

საქართველო, სანქციების დაწესების დროს, წარმოადგენდა პატარა, სუსტ სახელმწიფოს, მცირე ტერიტორიით - 69 700 კმ² და 4 მილიონამდე მოსახლეობით (ჰაკერტი, 2014). ქვეყანას ჰქონდა მცირე ერთობლივი ეროვნული პროდუქტი, რომელიც 2005-2006 წლებში 11 მილიარდი დოლარიდან 14 მილიარდამდე მერყეობდა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017). ამავდროულად, განიცდიდა მძიმე მრეწველობის სიმწირეს და ჰქონდა წარმოების ვიწრო სპეციალიზაცია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017), გვხვდებოდა მცირე შიდა ბაზარი (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016). საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშზე დაყრდნობით, ქვეყანას ახასიათებდა უმნიშვნელო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, რომ 2004 წლიდან გარკვეული მცდელობისა, ზრდის ტემპი იყო დაბალი, შესაბამისად, გაუარესდა პოზიციები საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგში, ფაქტობრივად, მეცნიერება ქვეყნის განვითარების პროცესში მნიშვნელოვან მონაწილეობას ვერ იღებდა (სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2014). სამხედრო თვალსაზრისით იყო სუსტი და არ ჰქონდა ფართომასშტაბიანი, ხანგრძლივი ომის წარმოების შესაძლებლობა (global firepower index, 2016), ამავდროულად, არ გააჩნდა გავლენა ძალთა წონასწორობის მექანიზმზე და ის არ წარმოადგენდა ევროკავშირის ან NATO-ს წევრ ქვეყანას (რონდელი, პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში, 2009, გვ. 19-25).

თურქეთი სანქციების დაწესების პერიოდში იყო ანგარიშგასაწევი ძალა პოლიტიკურ ასპარეზზე. მრავალრიცხოვანი, დიდი ტერიტორიით - 783 356 კმ² და 80 მილიონიანი მოსახლეობით (Dewdney, 2018), მისი მთლიანი ეროვნული პროდუქტი შეადგენდა 850 მილიარდ დოლარს (CEIC, 1967-2016). ჰქონდა მძიმე მრეწველობა და ამ მრეწველობის ფართო სპეციალიზაცია (Numanoğlu, 2016), რაც შეეხება სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას თურქეთში, ის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ყოველდღიურ ცხოვრებასა და განვითარებაში (ERICHSSEN, 2018). სამხედრო თვალსაზრისით, თურქეთი წარმოადგენდა ძლიერი ქვეყანას და მსოფლიო მასშტაბით, ქვეყნების ჩამონათვალში იკავებდა მე-10-ე ადგილს, შესაბამისად, ჰქონდა დამოუკიდებლად ფართომასშტაბიანი ომის წარმოების შესაძლებლობა (global firepower index, 2016). ამავდროულად, ის იყო ჩრდილო-

ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი, სწორედ ამიტომ, მას ძალთა წონასწორობის მექანიზმზე გავლენის მოხდენის გარკვეული საშუალება გააჩნდა (NATO MEMBER COUNTRIES, 2018).

რაც შეეხება ეკონომიკურ დამოკიდებულებას, სანქციების დაწესების პერიოდისთვის, 2005 წელს, საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული რუსეთზე. ის წარმოადგენდა ნომერ პირველ სავაჭრო პარტნიორს, როგორც ექსპორტში, ასევე იმპორტში. 2005 წლის მონაცემებით, რუსეთის წილი შეადგენდა 17,8%-ს მთლიან ექსპორტში. ანალოგიური მონაცემები გვხვდება იმპორტის მაჩვენებლებში, სადაც საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის ლიდერობდა რუსეთი 15,4%-ით (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, 2006). თუ გავითვალისწინებთ, რომ თურქეთი წარმოადგენდა ნომერ მეორე სავაჭრო პარტნიორს საქართველოში, ექსპორტში 14,1%-იანი, ხოლო იმპორტში 11,4%-იანი წილით, თვალსაჩინოა, რომ ამ პერიოდში საქართველოს საერთაშორისო საგარეო ვაჭრობა არ იყო დივერსიფიცირებული და მნიშვნელოვან დამოკიდებულებას განიცდიდა რუსეთზე.

თურქეთის შემთხვევაში, 2015 წელს, სანქციების დაწესებამდე, რუსეთის წილი მთლიან ექსპორტში შეადგენდა 2,5 %-ს და ამ პერიოდისთვის იკავებდა რიგით მე-9 პოზიციას (Turkish Statistical Institute, 2018). რაც შეეხება იმპორტს, 2015 წელს რუსეთის ფედერაციის წილი შეადგენდა 9,8 %-ს (მესამე ადგილი გერმანიისა და ჩინეთის შემდეგ) (Turkish statistical Institute, 2018). მოცემულ მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სანქციების დაკისრების პერიოდში თურქეთის საგარეო ვაჭრობა იყო დივერსიფიცირებული და მნიშვნელოვნად არ იყო დამოკიდებული რუსეთზე.

შედარებითი ანალიზი

წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ საქართველოს ტერიტორია იყო ბევრად უფრო მცირე, ვიდრე - თურქეთის. მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საქართველოს მოსახლეობის რიცხვი თურქეთისას. ერთობლივი ეროვნული პროდუქტი საქართველოს შემთხვევაში იყო გაცილებით ნაკლები, ვიდრე - თურქეთის.

საქართველოს მძიმე მრეწველობა და წარმოების სპეციალიზაცია იყო მნიშვნელოვნად შეზღუდული, განსხვავებით თურქეთისგან, სადაც ეს სექტორი კარგად იყო განვითარებული. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა, ფაქტობრივად, საქართველოს განვითარებაში ვერ მონაწილეობდა, მაშინ, როდესაც ეს დარგი კარგად იყო განვითარებული თურქეთში. სერიოზული სხვაობა იყო სამხედრო სიძლიერის მხრივაც, სანქციების დაწესებამდე, საქართველო იყო სუსტი, მაშინ, როდესაც თურქეთი მოწინავე პოზიციებს იკავებდა და იყო ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი.

რაც შეეხება სავაჭრო დამოკიდებულებას, სანქციების დაწესებამდე, საქართველოს საგარეო ვაჭრობა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული რუსეთზე, განსაკუთრებით თურქეთთან შედარებით. რაზეც მიუთითებს ის ფაქტი, რომ ექსპორტის კუთხით რუსეთი საქართველოს ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორი იყო, მაშინ, როდესაც თურქეთის პარტნიორთა რიგებში მე-9 ადგილს იკავებდა. ამავდროულად, თურქეთის დივერსიფიკაციის დონე საგარეო ვაჭრობის მიმართულებით ბევრად აღემატებოდა საქართველოს, რაც მას ნაკლებად მოწყვლად პოზიციაში აყენებდა.

შესაბამისად, რუსეთის მიერ დაწესებული სანქციები, ერთ შემთხვევაში მიემართებოდა პატარა სუსტ ქვეყანას, საქართველოს, მეორე შემთხვევაში კი -საერთაშორისო ასპარეზზე მნიშვნელოვან ძალას, თურქეთის სახით. სანქციების შესახებ არსებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, არსებობდა მოლოდინი, რომ სანქციების დამწესებელი ქვეყანა მეტ გავლენას მოახდენდა სუსტ, მასზე დამოკიდებულ საქართველოზე, შესაბამისად, შეცვლიდა პოლიტიკურ ქცევას დამწესებელი ქვეყნის სურვილისამებრ, განსხვავებით თურქეთის შემთხვევისგან, სადაც ქვეყანა იყო ეკონომიკურად ბევრად ძლიერი, დივერსიფიცირებული საგარეო ვაჭრობით.

იმისთვის, რომ დავადგინოთ, ეს ფაქტორები აღმოჩნდა გადამწყვეტი ეკონომიკური სანქციების შედეგის დადგომისას, თუ გამოიკვეთა სხვა გარემოებებიც, აუცილებელია

განალიზდეს, სანქციებამდე სამიზნე ქვეყნების დამოკიდებულება სანქციების დამწესებელი ქვეყნისადმი, დაწესებული ეკონომიკური სანქციები და მიღებული შედეგი.

2.2. სამიზნე ქვეყნების დამოკიდებულება დამწესებელი ქვეყნის მიმართ

ნაშრომის ამ ნაწილის მიზანია განმარტება და ანალიზი, თუ რას გულისხმობს ანტაგონისტური და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება. რა შემთხვევაში იჩენს თავს ისინი. ასევე, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა სანქციების დაწესებამდე საქართველოს/თურქეთს რუსეთისადმი.

პირველ რიგში, აუცილებელია ნაშრომში არსებული ორი ტერმინის განმარტება.

ანტაგონისტური დამოკიდებულება/განწყობა- ნაშრომში ეს ტერმინი ასახავს დამწესებელი ქვეყნის მიმართ დამოკიდებულებას, რომელიც აქვს სანქციის სამიზნე ქვეყანას, რადგან სანქციის დამწესებელი ქვეყანა, სანქციების დაწესებამდე ლახავდა მის სასიცოცხლო ეროვნულ ინტერესებს.

მეგობრული/კეთილგანწყობილი დამოკიდებულება - ნაშრომში ეს ტერმინი ასახავს დამწესებელი ქვეყნის მიმართ დამოკიდებულებას, რომელიც აქვს სამიზნე ქვეყანას, რადგან სამიზნე ქვეყნის სასიცოცხლო ეროვნული ინტერესები თანხვედრაში იყო მასთან სანქციების დაწესებამდე. შესაძლოა ადგილი ჰქონდეს დამწესებელი ქვეყნის მხრიდან მეორე ხარისხოვანი ინტერესების შელახვას.

საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს, მათ ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულებას, განსაზღვრავს ეროვნული ინტერესები, რომლებიც არის ორი სახის. პირველ მათგანს წარმოადგენს „სასიცოცხლო“ (პირველი დონის) ინტერესები, რაც უკავშირდება სახელმწიფოს არსებობას - „სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, დამოუკიდებლობა, უსაფრთხოება, კულტურული თვითმყოფადობა, პოლიტიკური ინსტიტუტები, სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა“ (რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები, 2006, გვ. 69-77). მეორე მათგანს წარმოადგენს მეორეხარისხოვანი (მეორე დონის) ეროვნული ინტერესები, რომლებიც - „მოკლევადიანია,

არსებული პირობებისა და შესაძლებლობების ადექვატურია“ (რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები, 2006, გვ. 69-77).

ამავდროულად, ალექსანდრე რონდელი, სასიცოცხლო ეროვნულ ინტერესებზე საუბრისას გამოყოფს „ეკონომიკურ კომპონენტებს“ და აღნიშნავს, რომ ექსპერტთა გარკვეული ნაწილი, დღესდღეობით, ეროვნული ინტერესების განმსაზღვრელად ეკონომიკურ კეთილდღეობასაც მიიჩნევს, ეს კი ხდება, როგორც კონფლიქტის მიზეზი, ასევე, მათი გადაჭრის საშუალება (რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები, 2006, გვ. 69-77).

აქედან გამომდინარე, ნაშრომში წარმოდგენილია მოცემულობა, რომლის მიხედვითაც ერთი ქვეყნის დამოკიდებულება მეორე ქვეყნის მიმართ, განისაზღვრება იმით, თუ რამდენად თანხვედრაშია ქვეყნებს შორის სასიცოცხლო ეროვნულ ინტერესი.

მაგალითად, თუ ერთი ქვეყნის ეროვნული სასიცოცხლო ინტერესი შესაბამისობაშია მეორე ქვეყნის ინტერესებთან, მაგრამ შესაძლებელია გარკვეული წინააღმდეგობა გვხვდებოდეს მეორე ხარისხიდან ეროვნულ ინტერესებში, პირველ ქვეყანას უჩნდება დამოკიდებულება, რომელსაც ნაშრომში ეწოდება კეთილგანწყობილი. თუ ქვეყნების ეროვნულ ინტერესთა გადაკვეთის წერტილი არ არსებობს, ასეთ ურთიერთობას შეგვიძლია ვუწოდოთ ნეიტრალური. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ხდება ეროვნული ინტერესების გადაკვეთა ისე, რომ ერთი ქვეყნის სასიცოცხლო ეროვნულ ინტერესს ლახავს მეორე ქვეყანა, პირველ ქვეყანას უჩნდება დამოკიდებულება, რომელსაც ნაშრომში ეწოდება ანტაგონისტური.

ეროვნულ ინტერესთა შეუთავსებლობა ნაშრომში ასახავს, მდგომარეობას, როდესაც ერთი ქვეყნის ეროვნული ინტერესი მნიშვნელოვნად იზღუდება, ზარალდება ან საფრთხე ადგება მეორე ქვეყნის მხრიდან. აქედან გამომდინარე, ქვეყნისთვის სასიცოცხლო ეროვნულ ინტერესს ზიანის მიყენება წარმოქმნის ანტაგონისტური განწყობას.

ნაშრომში ძირითად დაშვებას, წარმოადგენს მოსაზრება, რომ საქართველოს შემთხვევაში რუსეთი სანქციების დაწესებამდე არსებულ პერიოდში ლახავდა საქართველოსთვის სასიცოცხლო ინტერესებს, რის გამოც საქართველოს დამოკიდებულება რუსეთისადმი იყო ანტაგონისტური. განსხვავებით თურქეთისგან, სადაც სანქციების დაწესებამდე, რუსეთის

მიერ განხორციელებული ქმედებები ან აზიანებდა, არ ლახავდა და არ აზარალებდა თურქეთის სასიცოცხლო ეროვნულ ინტერესებს, თუმცა, ზოგიერთი აქტი ლახავდა მეორეხარისხოვან ინტერესებს. შესაბამისად, თურქეთის დამოკიდებულება რუსეთისადმი იყო კეთილგანწყობილი.

ნაშრომის ეს ნაწილი ემსახურება დამოუკიდებელი ცვლადების ოპერაციონალიზაციას, იმ არგუმენტების წარმოჩენას, რომლებიც გაამყარებს და განამტკიცებს არსებულ დაშვებებს და ამავდროულად, შეასრულებს დამხმარე ფუნქციას შედარებით ანალიზში. არგუმენტები მოყვანილია ძირითადი ისტორიული ფაქტების მიმოხილვით, რაც ნათლად წარმოაჩენს, იმ პროცესებს, რომლებიც წარმოქმნიდა სამიზნე ქვეყნის დამოკიდებულებას დამწესებელი ქვეყნის მიმართ.

2.2.1. რუსეთ-საქართველო - საქართველოს ანტაგონისტური დამოკიდებულება რუსეთის მიმართ

ნაშრომში წარმოდგენილი საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ანალიზი მოიცავს საბჭოთა კავშირის დაშლის დღიდან 2005 წლის ეკონომიკურ სანქციებამდე პერიოდს. საწყისი პერიოდი აღებულია იქიდან გამომდინარე, რომ სწორედ ამ დროს მოიპოვა რუსეთმა და საქართველომ დამოუკიდებლობა მრავალი წლის შემდგომ. შესაბამისად, ამ პერიოდიდან დაიწყო რუსეთის თანამედროვე პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებით. პერიოდის დასასრულად 2005 წლის აღება განაპირობა რუსეთის მხრიდან საქართველოსთვის ეკონომიკური სანქციების დაწესებამ.

საქართველოს ანტაგონისტურ დამოკიდებულებას რუსეთისადმი განაპირობებდა ამ ქვეყნის მხრიდან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეროვნული ინტერესის შელახვა, ტერიტორიული მთლიანობა, რაც მჭიდროდ უკავშირდებოდა სუვერენიტეტის საკითხსაც და გამოიხატებოდა რუსეთის ქმედებებით საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით. ასევე, დამოუკიდებლობის შეზღუდვის მცდელობა, რაც გამოიხატებოდა რუსეთის სურვილით, საქართველოს დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკა აღარ ყოფილიყო მიმართული დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ.

ტერიტორიული მთლიანობა

საქართველოს ტერიტორიაზე ეთნო-პოლიტიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტები, ჯერ ოსებთან და შემდგომ აფხაზებთან საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მთავარ საკითხად იქცა.

რუსეთის ორსახოვანი პოლიტიკა: ამ პროცესებში რუსეთის გავლენის გავრცელების მცდელობა წარმოჩნდა, ერთის მხრივ, იარაღის მიწოდებით ორივე მხარისთვის, მეორეს მხრივ კი კონფლიქტის მხარეებს შორის შუამავლის როლის მორგებით. 1992 და 1994 წლებიდან რუსეთის ფედერაციის ჯარი სამშვიდობო ძალების სტატუსით იმყოფებოდა ორივე კონფლიქტის ზონაში (ანჩაბაძე, 2005, გვ. 29-35). 1994 წელს გაფორმდა მოსკოვის ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებით. ეს წარმოადგენდა ლეგალურ საფუძველს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისთვის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, გაეროს სადამკვირვებლო მისიასთან ერთად, 1700 რუსი მშვიდობისმყოფელი განეთავსებინა (German, 2006, გვ. 6-17).

დისკრიმინაციული სავიზო რეჟიმი: საქართველოს მეორე პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში რუსეთი კვლავ აქტიურად განაგრძობდა გავლენის სფეროს განმტკიცებას. მან დააწესა სავიზო რეჟიმი საქართველოსთან, დისკრიმინაციული იყო ის ფაქტი, რომ ის არ ვრცელდებოდა ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთზე (Commission on Security and Cooperation in Europe, 2004).

რუსეთის ბაზები საქართველოს ტერიტორიაზე: ქვეყანაში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა, სოციალურმა და პოლიტიკურმა ფონმა განაპირობა ცვლილებები. 2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ქვეყნის სათავეში ახალი მთავრობა მოვიდა მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით (Commission on Security and Cooperation in Europe, 2004). მიხეილ სააკაშვილი აქტიურად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობას საქართველოში. პარალელურად, უფრო ცხადად იკვეთებოდა ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობების პრო-რუსული დამოკიდებულება. აფხაზეთში მმართველი ელიტის ერთი ნაწილი დამოუკიდებლობას ითხოვდა, მეორე

ნაწილი კი რუსეთთან შეერთებას. მაშინ, როდესაც ცხინვალის რეგიონში პოზიცია სრულიად ნათელი იყო, ისინი მოითხოვდნენ ჩრდილო ოსეთთან მიერთებას რუსეთის მმართველობის ფარგლებში (Indans, 2007, გვ. 131-149).

საქართველოს მოქალაქეებზე, კონფლიქტურ რეგიონებში რუსული პასპორტების მასობრივი დარიგება: 2004 წელს რუსეთმა განაცხადა, რომ ის არ იქნებოდა გულგრილი იმ შემთხვევაში, თუ მათ მოქალაქეებს დაემუქრებოდათ საფრთხე. რის შემდგომაც დაიწყო ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისთვის მასობრივად მოქალაქეობის მინიჭება, გარდა ამისა, 2005 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დაადასტურა, რომ აფხაზების 80 პროცენტს ჰქონდა რუსული პასპორტები. რუსეთის მხრიდან ასეთი ქმედებები, სერიოზულად ამწვავებდა ურთიერთობებს საქართველოსთან (Wolczuk, 2015, გვ. 459-478).

რუსეთის მთავრობის შეხვედრები თვითაღიარებულ ლიდერებთან: 2005 წელს რუსეთის ოფიციალურ პირებს ჰქონდათ პერიოდული შეხვედრები თვითაღიარებული რესპუბლიკების ლიდერებთან (Wolczuk, 2015, გვ. 459-478). აქედან გამოიკვეთა, რომ რუსეთი აქტიურად ცდილობდა კონფლიქტური რეგიონების გამოყენებას, რათა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ საქართველოზე გავლენა შეენარჩუნებინა.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები და დასავლეთი

რუსეთის მხრიდან, სასიცოცხლო ეროვნული ინტერესებისთვის გაცხადებულ საფრთხეს წარმოადგენდა NATO-ს გაფართოება მის საზღვრებთან. შესაბამისად, საქართველოს მცდელობა, გამხდარიყო ამ ორგანიზაციის წევრი, რუსეთისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა.

რუსეთის ფედერაციამ, სამხრეთ კავკასიის მიმართ განახლებული ინტერესი ღიად მას შემდგომ გაამჟღავნა, რაც ქვეყნის სათავეში ვლადიმერ პუტინი მოვიდა. რუსეთი ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოების შელახვად აღიქვამდა ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ემსახურებდა პოსტსაბჭოთა ქვეყნების დასავლურ სტრუქტურებში გაწევრიანებას (kelkitli, 2008, გვ. 73-91). რუსეთის პოლიტიკის ამ მიმართულებას ყველაზე

უკეთ ახასიათებდა თავად პრეზიდენტის განცხადება, რომ საბჭოთა კავშირის ნგრევა იყო დიდი შეცდომა და ის არ მიესალმებოდა NATO-ს გაფართოებას მის საზღვრებთან (Indans, 2007, გვ. 131-149).

საქართველოს სწრაფვა დასავლური სტრუქტურებისკენ: მაშინ, როდესაც რუსეთი ცდილობდა, გავლენა შეენარჩუნებინა პოსტსაბჭოთა სივრცეზე, 1994 წლიდან საქართველომ დასავლურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. ეს პროცესი კიდევ უფრო გააქტიურდა 2003 წლიდან, როდესაც საქართველომ ღიად განაცხადა ეროვნული ინტერესის და მიზნების შესახებ, რაც ევროკავშირსა და NATO-ში გაწევრიანებას გულისხმობდა (Kakachia, 2013, გვ. 41-45). შესაბამისად, რუსეთის მიერ წარმოებული პოლიტიკიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის საქართველოს ამ მისწრაფებას მნიშვნელოვან საფრთხედ აღიქვამდა,

ევროკავშირთან დაახლოების მცდელობა: საწყის ეტაპზე, როდესაც საქართველო ცდილობდა ევროკავშირთან დაახლოებას, ურთიერთობები გარკვეული სირთულით ხასიათდებოდა. ერთის მხრივ, საქართველოს არ ჰყავდა აქტიური ლობისტი ქვეყანა, რომელიც მხარს დაუჭერდა მას კავშირის შიგნით. პრობლემას წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები. თუმცა, 1996 წელიდან ეს პროცესი საქართველოს სასარგებლოდ განვითარდა. გაფორმდა ორმხრივი ხელშეკრულება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, რაც გულისხმობდა პოლიტიკური დიალოგის ჩარჩოს უზრუნველყოფას და საქართველოს განვითარებისთვის ხელშეწყობას სხვადასხვა მიმართულებით (Chkhikvadze, 2013, გვ. 53-64).

საქართველოს NATO-სთან დაახლოების მცდელობა: გარდა ევროკავშირისა, საქართველოსთვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანება. ეს პროცესი ჯერ კიდევ 1994 წლიდან გააქტიურდა, როდესაც საქართველო შეუერთდა NATO-ს პარტნიორობა მშვიდობისთვის პროგრამას. 1997 წელს კი ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს. 1998 წელს

ოფიციალური ურთიერთობა დამყარდა NATO-სა და საქართველოს შორის (Cecire, 2013, გვ. 65-73).

ევროკავშირის და საქართველოს სამომავლო თანამშრომლობის ორმხრივი ინტერესი: ევროკავშირის ქვეყნებისთვის შავი ზღვის რეგიონმა და მათ შორის საქართველომ, განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა 2000-იანი წლების შემდგომ. მკვლევარის ტრიანტაფილოუს მოსაზრებით, ეს ინტერესი განაპირობა რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობამ. ფერადმა რევოლუციებმა საქართველოსა და უკრაინაში, გაამყარა მოსაზრება, რომ დემოკრატიული ინტეგრაცია და კოლექტიური უსაფრთხოების შენება ამ რეგიონში უზრუნველყოფდა ისეთივე სტაბილურობას და მშვიდობას, როგორც ეს თავის დროზე მოხდა დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში. საქართველოს ლიბერალურ დემოკრატიად ჩამოყალიბება, სამხრეთ კავკასიის რეგიონში გადაღვრის ეფექტის პოზიტიურ პერსპექტივას წარმოადგენდა. ამავდროულად, ევროპის უსაფრთხოების სტრატეგია მოიცავდა ტერორისტული საფრთხეებისგან თავის არიდებასაც. ამ შემთხვევაში, შავი ზღვის რეგიონი წარმოადგენდა ცენტრს ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს შორის. ამასთან, ენერგო უსაფრთხოება და დივერსიფიკაცია, სადაც შავი ზღვის რეგიონი ალტერნატიული მილსადენების კორიდორი იყო. თუმცა, ევროპის ამ ინტერესს მნიშვნელოვანი შეზღუდვებიც ახასიათებდა: საკუთრივ რეგიონში იდენტობის განცდის არ არსებობა, ასევე, არსებული გაყინული კონფლიქტები და ყველაზე მნიშვნელოვანი - რუსული ავტორიტარიზმი. მოსკოვის მხრიდან გავლენის გავრცელების მცდელობა და მის ხელში არსებული ენერგო ბერკეტები, მასთან მოლაპარაკებას ართულებდა (Triantaphyllou, 2009, გვ 225-241).

2005 წელს მოსკოვსა და თბილისს შორის გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების დახურვასთან დაკავშირებით (Wolczuk, 2015, გვ. 459-478).

ამრიგად, მას შემდგომ, რაც საბჭოთა ქვეყნებმა მოიპოვეს დამოუკიდებლობა, რუსეთი აქტიურად ცდილობდა გავლენის სფეროს შენარჩუნებას, როგორც დსთ-ს ფორმატში, ასევე,

ორმხრივი ურთიერთობების მეშვეობით და ხშირ შემთხვევაში, საბჭოთა კავშირის პერიოდში მოპოვებული ბერკეტების ამოქმედებით. ამ პრობლემის წინაშე აღმოჩნდა საქართველო, როდესაც მან ღიად განაცხადა, რომ სურდა ყოფილიყო დემოკრატიული ქვეყანა. ეს არ შედიოდა რუსეთის ინტერესებში, რომელიც საქართველოს დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბებას აიგივებდა დასავლეთთან ინტეგრაციად, საბოლოოდ შეიძლებოდა გადაზრდილიყო მის საზღვრებთან NATO-ს გაფართოებაში, ამით კი ილახებოდა საქართველოს ისეთი სასიცოცხლო ინტერესები, როგორც იყო ტერიტორიული მთლიანობა, სუვერენიტეტი და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის განხორციელება.

რუსეთის ეკონომიკური გავლენა საქართველოზე

კიდევ ერთი სასიცოცხლო მნიშვნელობის ეროვნული ინტერესი საქართველოსთვის იყო ეკონომიკური უსაფრთხოება, რომელსაც საფრთხეს აყენებდა რუსეთის მიერ გატარებული პოლიტიკა, რაც გულისხმობდა საქართველოს სტრატეგიული ობიექტების მასობრივ შესყიდვას. განსაკუთრებით პრობლემური აღმოჩნდა ბუნებრივი აირის მილსადენები, რომლის რუსეთის განკარგვაში გადასვლას ეწინააღმდეგებოდა საქართველოს მთავრობა.

ვლადიმერ პაპავას მოსაზრებით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, რუსეთმა თავისი მისწრაფებების განხორციელება „ლიბერალური იმპერიის“ ქვეშ განაგრძო, რაც გულისხმობდა, პოსტ საბჭოთა ქვეყნებში მნიშვნელოვანი ეკონომიკური ობიექტების შექმნას და შემდგომ საჭიროებისამებრ გამოყენებას (პაპავა, 2011, გვ. 64-79).

სტრატეგიული ობიექტების მასობრივი შესყიდვა: ამ მიმართულებით, პირველი აქტიური ნაბიჯები 2003 წლიდან გადაიდგა. რუსეთის მფლობელობაში არსებულმა „გაერთიანებულმა ენერჯეტიკულმა სისტემამ“ შეისყიდა საქართველოს ელექტროენერჯის დისტრიბუტორი კომპანია და "მე-9 ბლოკი", ასევე, მიიღო უფლება, გაძლოლოდა ჰიდროელექტროსადგურ "ხრამ-1" და "ხრამ-2"-ს. ამავე პერიოდში რუსეთის სახელმწიფოს ბუნებრივი გაზის მონოპოლისტმა „გაზპრომმა“ ჩაანაცვლა რუსულ-ამერიკული გაზის გამყიდველი "იტერა" (Indans, 2007, გვ. 131-149).

ჯერ კიდევ 2003 წელს რუსულმა კომპანია „ინტერ რაო ეს“-მა შეისყიდა „ამერიკული ელექტროქიმიური საზოგადოება“, რის შემდეგაც მისი კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა საქართველოს ელექტროქსელის 75%. 2003 წლიდან მოყოლებული, რუსულმა კომპანია „პრომიშლენიე ინვესტორ“-მა შეისყიდა ოქროს საბადო, შემდგომ კი ოქროს ზოდების დამამზადებელი ქარხნის ნახევარი (პაპავა, 2011).

2005 წელს საქართველოს მთავრობასა და გაზპრომს შორის გაფორმდა 25 წლიანი სტრატეგიული თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც გულისხმობდა ბუნებრივი გაზის მიწოდებას ქართველი მომხმარებლებისთვის და მილების რეაბილიტაციას. თუმცა, ეს ვალდებულება „გაზპრომს“ არ შეუსრულებია. 2005 წელს „გაზპრომმა“ განაცხადა, რომ ჰქონდა საქართველოს გაზის მილების სისტემის პრივატიზაციის ინტერესი, რომლებიც გამოიყენებოდა საქართველოს რეგიონებში გაზის დისტრიბუციისთვის და ასევე, იმ მილებზე, რომლითაც ხდებოდა გაზის ტრანსპორტირება რუსეთიდან საქართველოსა და სომხეთში. 2005 წელს რუსეთის მთავრობის მფლობელობაში არსებულმა „ენეშტორგბანკმა“ შეიძინა 51 %-იანი წილი გაერთიანებული საქართველოს ბანკის. ამავე წელს, საქართველოს მთავრობამ გააფორმა მემორანდუმი რუსეთის „ივრაზჰოლდინგთან“, რომელმაც შეისყიდა „ჭიართურმარგანეთსი“ და ვარციხის ჰიდროელექტროსადგურების კასკადი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოსთვის მარგანეცი წარმოადგენდა ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან საექსპორტო პროდუქციას (Indans, 2007, გვ. 131-149).

ამავე პერიოდში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების საკითხი განსაკუთრებით აქტუალური იყო. საქართველო, როგორც ამ ორგანიზაციის წევრი, თანხმობას აცხადებდა მის გაწევრიანებაზე, თუ მას საშუალება მიეცემოდა, გაეხსნა საკონტროლო-გამშვები პუნქტი საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მონაკვეთებზე, რათა ორ ქვეყანას შორის ტვირთის მიმოსვლა განხორციელებულიყო ეროვნული საბაჟო კანონმდებლობით, რასაც ხელს უშლიდა მოსკოვის მხრიდან ღიად მხარდაჭერილი სეპარატისტული გადაწყვეტილებები (პაპავა, 2011).

შეჯამება

ამრიგად, ეკონომიკური სანქციების დაწესებამდე, რუსეთი საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში ახორციელებდა ორსახოვან პოლიტიკას. შემოიღო დისკრიმინაციული სავიზო რეჟიმი, საქართველოს მთავრობის წინააღმდეგობის მიუხედავად, გააჭიანურა საკუთარი ბაზების გაყვანა ტერიტორიიდან, აწარმოებდა პირდაპირ შეხვედრებს კონფლიქტური რეგიონის თვითაღიარებულ ლიდერებთან, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ინტეგრაციას დასავლურ სტრუქტურებში, რითიც ლახავდა საქართველოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ეროვნულ ინტერესებს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებლად წარმოების და ეკონომიკური უსაფრთხოების სახით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რუსეთი ფლობდა ეკონომიკურ ბერკეტებს საქართველოს წინააღმდეგ, ამ ქვეყანაში სტრატეგიული ობიექტების ფლობის სახით. ამავდროულად, რუსეთის ფედერაცია მიიჩნევდა, რომ საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის მცდელობა საფრთხეს უქმნიდა მის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ეროვნულ ინტერესს უსაფრთხოების სახით. შესაბამისად, საქართველოსთვის რუსეთის ქმედებები წარმოადგენდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეროვნული ინტერესების შელახვას, რაზე დაყრდნობითაც გაჩნდა ანტაგონისტური განწყობა რუსეთისადმი, კვლევის განმავლობაში გამოიკვეთა ისიც, რომ საქართველოს ეს დამოკიდებულება არ იყო ცალმხრივი.

რაც შეეხება სანქციების დაწესების მიზეზს, როგორც გამოიკვეთა, რუსეთისთვის პოსტსაბჭოთა სივრცის საზღვრები კვლავ პრიორიტეტად რჩებოდა და მაქსიმალურად ცდილობდა მასზე გავლენის შენარჩუნებას. მის საზღვრებთან NATO-ს გაფართოების ნებისმიერი მცდელობა მისთვის პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენდა. შესაბამისად, საქართველოს ქმედებები ამ მიმართულებით, არასასურველი და მიუღებელი იყო მოსკოვისთვის. სწორედ ამ ქვეყნის ცვლილებას ემსახურებოდა დაწესებული ეკონომიკური სანქციები. იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური იძულება გამოიღებდა შედეგს, საქართველოს უნდა შეეცვალა არსებული პოლიტიკური ქცევა და ნაკლები აქცენტი გაკეთებინა NATO-სა და ევროკავშირში ინტეგრაციაზე. ამ მოსაზრებას ადასტურებს

საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განცხადებები, რომელსაც ის აკეთებდა სანქციების დაწესების დროს. ეს განცხადებები გაანალიზებულია ნაშრომის მესამე თავში.

2.2.2. რუსეთ-თურქეთი - თურქეთის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ

ნაშრომში წარმოდგენილი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების ანალიზი მოიცავს, საბჭოთა კავშირის დაშლიდან 2016 წლამდე(სანქციების დაწესებამდე) მონაკვეთს. საწყისი პერიოდი აღებულია იქიდან გამომდინარე, რომ ამ პერიოდში რუსეთის ფედერაცია გახდა დამოუკიდებელი და თურქეთის რესპუბლიკასთან დაიწყო ეტაპობრივი ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები.

თურქეთისთვის რუსეთთან თანამშრომლობა უზრუნველყოფდა მნიშვნელოვან სასიცოცხლო ინტერესს, ეკონომიკური კეთილდღეობის სახით. სანქციების დაწესებამდე პერიოდში რუსეთი არ ლახავდა თურქეთის ისეთ ეროვნულ ინტერესებს, როგორც იყო ტერიტორიული მთლიანობა, სუვერენიტეტი ან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის განხორციელება. მიუხედავად ამისა, სირიაში მიმდინარე პროცესებში რუსეთის სამხედრო ჩარევამ განაპირობა თურქეთის მეორეხარისხოვანი ეროვნული ინტერესის შელახვა, რადგან თურქეთი ეწინააღმდეგებოდა მის საზღვრებთან რუსეთის სამხედრო ჩარევას. საბოლოო ჯამში, ეს პროცესი იყო მოკლევადიანი და ვერ მოახდინა გავლენა თურქეთის კეთილგანწყობილ დამოკიდებულებაზე რუსეთის მიმართ. ამ მოვლენებს უკავშირდება თურქეთის მხრიდან რუსეთის სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდების ინციდენტი. თუმცა, იმაზე, რომ ამით არ შელახულა თურქეთის სასიცოცხლო ეროვნული ინტერესები, მეტყველებს თურქეთის პრეზიდენტის ერდოღანის სანქციების დაწესების შემდგომ გაკეთებული განცხადებები, სადაც ის ამ ფაქტს პილოტის შეცდომას უწოდებს. ეს განცხადებები დეტალურად არის გაანალიზებული ნაშრომის მესამე თავში.

საბჭოთა კავშირის დაშლიდან რამდენიმე წელიწადში რუსეთი თურქეთისთვის იქცა უმნიშვნელოვანეს სავაჭრო პარტნიორად. ქვეყნის ლიდერებს შორის ხშირად იმართებოდა მაღალი რანგის შეხვედრები და მიმდინარეობდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხის

განხილვა. საქართველოს მსგავსად, დასავლური სტრუქტურები ორი ქვეყნის ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, თუმცა, განსხვავებით საქართველოს შემთხვევისგან, ეს არ წარმოადგენდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ეროვნულ ინტერესთა შელახვის საფუძველს რუსეთის მხრიდან.

აზრთა სხვადასხვაობა რეგიონში

საკვლევი პერიოდის განმავლობაში, ქვეყნებს შორის ურთიერთობა უმეტესწილად შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც ორმხრივ სარგებელზე ორიენტირებული ურთიერთობები, როგორც ეკონომიკური, ასევე, პოლიტიკური მიმართულებით. მიუხედავად ამისა, ქვეყნები განსხვავებულ პოზიციებზე იყვნენ რეგიონში მიმდინარე, ზოგიერთ მოვლენასთან დაკავშირებით. თუმცა, ეს არ გადაზრდილა სასიცოცხლო ეროვნული ინტერესების შელახვაში, რომელიმე მხარის მხრიდან და როგორც წესი, არ სცდებოდა მეორე დონის ეროვნულ ინტერესებს, შესაბამისად, ეს ეპიზოდები ძირითად შემთხვევაში ხანგრძლივი არ ყოფილა.

კონფლიქტების გავლენა: 1990-იან წლებში ორი ქვეყნის ურთიერთობებმა განიცადა მნიშვნელოვანი შეფერხება, ჩეჩნეთის და ქურთისტან მუშათა პარტიის საკითხთან დაკავშირებით, თუმცა, მალევე ორმხრივმა მაღალი რანგის შეხვედრებმა სასიკეთო შედეგი გამოიღო და მხარეების შეთანხმება იყო ურთიერთსარგებლიანი (Olson, 1996). ორ ქვეყანას შორის აზრთა სხვადასხვაობა, ასევე, გამოიკვეთა მთიანი ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებით, როდესაც რუსეთი სომხეთის, ხოლო თურქეთი აზერბაიჯანის პოზიციას იზიარებდა. გარდა ამისა, ორ ქვეყანას გააჩნდა მკვეთრად განსხვავებული პოზიციები იუგოსლავიის ომთან დაკავშირებით, სადაც რუსეთი სერბეთს, ხოლო თურქეთი ბოსნიას და კოსოვოს უჭერდა მხარს (ÜSTÜN, 2016).

ქვეყნებს შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო "არაბულ გაზაფხულთან" დაკავშირებით. ავტორების, ბაევის და კირიშის აზრით, თურქეთი პროცესების აქტიური მომხრე იყო, მაშინ, როდესაც რუსეთი ამას მიიჩნევდა დასავლური ქვეყნების მხრიდან მის წინააღმდეგ მოწყობილ პროვოკაციად და საფრთხედ მისი რეჟიმის სტაბილურობისთვის. თუმცა, ამ

საკითხებს არ მოუხდენია ორი ქვეყნის ურთიერთობაზე ნეგატიური გავლენა, კვლავ იზრდებოდა ეკონომიკური კავშირები და იმართებოდა ორმხრივი უმაღლესი რანგის შეხვედრები (Pavel K. Baev, Kemal Kirişci, 2017, გვ. 1-16).

დანიელ მარტინი, რუსეთის მხრიდან თურქეთისთვის სანქციების დაწესების ძირითადი მიზეზების გაანალიზებისას, აღნიშნავს, რომ სირიის საკითხი და აქ განვითარებული მოვლენები ყველაზე მტკივნეულად აისახა ორი ქვეყნის თანამშრომლობაზე. თავდაპირველ ეტაპზე თურქეთი ლობირებდა ზაშარ ალ-ასადის მთავრობის გადაყენებას და შესაბამისად, მხარს უჭერდა სუნიტ ოპოზიციონერთა ჯგუფებს. მაშინ, როდესაც რუსეთი მიიჩნევდა, რომ ეს ცვლილება არ იყო გამართლებული და მხარს უჭერდა არსებულ მთავრობას. მას შემდგომ, რაც სირიის შიგნით სამხედრო ბალანსი ჩიხში აღმოჩნდა, რუსეთ-თურქეთმა ეს საკითხი წარმატებით აქციეს ორმხრივი მოლაპარაკების საგნად. თუმცა, სიტუაცია საგრძნობლად შეიცვალა მას შემდეგ, რაც რუსეთმა განახორციელა პირდაპირი სამხედრო ჩარევა სირიის ომში 2015 წლის ოქტომბერში, მიზანი კი ასადის რეჟიმის შენარჩუნება იყო (Marcus, 2016).

ასლი აიდინტასბასის მოსაზრებით, თურქეთის პრიორიტეტები დროთა განმავლობაში შეიცვალა და ამოსავალი გახდა, არა ასადის რეჟიმის დამხობა, არამედ მისი 900 კილომეტრიანი სამხრეთ საზღვარის ქურთული სახალხო თვითშეიარაღების დანაყოფებისგან (YPG) დაცვა, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში წარმოადგენდა თურქეთისთვის პირდაპირ საფრთხეს. დანაყოფებმა გაუწიეს მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა ტერორისტულ ორგანიზაციას - ისლამურ სახელმწიფოს ქალაქ ქობანში. შედეგად, გარდა რუსეთის მხარდაჭერისა, სახალხო თვითშეიარაღების დანაყოფებმა მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მხარდაჭერაც. ავტორის აზრით, ამან თურქეთის სერიოზული „განაწყენება“ გამოიწვია. განსაკუთრებით მწვავე რეაგირება მოჰყვა ამ ჯგუფის მიერ სირიის საზღვართან გაერთიანებული ქურთული ზონის შექმნას. თურქეთმა დახურა მისი საზღვარი სირიელი ქურთების მხარეს და გაამაგრა პოზიციები დემოკრატიული გაერთიანების პარტიის მიმართ (PYD), რომელიც წარმოადგენდა სირიელი ქურთების პოლიტიკურ მხარეს (Aydintasbas, 2016, გვ. 2-13).

ბაევის და კირიშის აზრით, თურქეთის გადმოსახედიდან ხანგრძლივი ომი მის სამხრეთ საზღვართან წარმოქმნიდა უდიდეს ჰუმანიტარულ პრობლემას და ეწინააღმდეგებოდა რუსეთის მხრიდან პირდაპირ სამხედრო ჩართულობას (Pavel K. Baev, Kemal Kirişci, 2017, გვ. 1-16).

2015 წლის 4 ოქტომბერს, თურქეთის პრეზიდენტმა, გამართულ პრესკონფერენციაზე, განაცხადა, რომ რუსეთის მხრიდან განხორციელებული დაბომბვები სირიაში ყოვლად მიუღებელი იყო თურქეთისთვის. ეს წარმოადგენდა რუსეთის სერიოზულ შეცდომას, რაც შეიძლება შემდგომში მოსკოვის იზოლაციის ხელშემწყობი ფაქტორი გამხდარიყო (Erdogan, Those, who cooperate with the Syrian regime, will be held accountable for their actions before history, 2015).

თურქეთის პრეზიდენტისა და ბელგიის პრემიერ მინისტრის, შარლ მიშელის ერთობლივ პრესკონფერენციაზე, 2015 წლის 6 ოქტომბერს, ერდოღანმა აღნიშნა, რომ რუსეთი ცდილობდა ბაზების მომზადებას სირიაში (Recep Erdogan, 2015).

2015 წლის 15 ნოემბერს, პრეზიდენტები, ვლადიმერ პუტინი და რეჯეფ თაიფ ერდოღანი შეხვდნენ ერთმანეთს "G20"-ის ფარგლებში, შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა ისაუბრეს რეგიონში არსებულ ვითარებაზე და შეთანხმდნენ, რომ უმაღლესი დონის საბჭოს შეხვედრა გაიმართებოდა დეკემბერში, სადაც მხარეები ისაუბრებდნენ ორმხრივ ურთიერთობებზე (tccb.gov.tr, 2015) .

თურქეთის ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრობა: ისტორიულად რუსეთის და თურქეთის ურთიერთობები არ იყო კეთილგანწყობილი. 1952 წელს თურქეთი გახდა NATO-ს წევრი, ამ ორგანიზაციას რუსეთი აღიქვამდა პირდაპირ საფრთხედ. ამ ფაქტმა გააღრმავა უფსკრული ორ მეზობელ ქვეყანას შორის (ÜSTÜN, 2016). თურქეთი წარმოადგენდა NATO-ს წევრ ქვეყანას, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მხარს უჭერდა ფერად რევოლუციებს ყოფილ საბჭოთა სივრცეში, ამავდროულად, ის ლობირებდა NATO-ს ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემას, რაც იყო მიზეზი რუსეთი სერიოზული გაღიზიანებისა. ცივი ომის დასრულების შემდგომ, ქვეყნები

საპირისპირო ბანაკებში აღმოჩნდნენ. თურქეთის სურვილს წარმოადგენდა, გავლენა გავერცელებინა ცენტრალური აზიის იმ ქვეყნებზე, რომლებსაც ახლად ჰქონდათ დამოუკიდებლობა მოპოვებული. აილინტასბას შეფასებით, ეს უკანასკნელი კი ყოველთვის წარმოადგენდნენ რუსეთის გავლენის სფეროს (Aydintasbas, 2016, გვ. 2-13). თუმცა, მიხეილ გორბაჩოვის გარდაქმნის პოლიტიკამ ურთიერთობები შემოატრიალა თანამშრომლობისკენ, ეს მოიცავდა განსაკუთრებულ ბარტერულ შეთანხმებას, სადაც თურქეთი სამომხმარებლო საქონლით იხდიდა ბუნებრივი აირისთვის. ამის შემდგომ, ეკონომიკურმა კავშირებმა დაიწყო სწრაფად ზრდა და თურქულმა ფირმებმა ნახეს მნიშვნელოვანი მოგება რუსულ ბაზარზე შესვლით (Pavel K. Baev, Kemal Kirişci, 2017, გვ. 1-16). სწორედ აქედან დაიწყო ორ ქვეყანას შორის პირდაპირი კავშირების გაძლიერება.

თურქეთ რუსეთის ურთიერთობები და დასავლური სტრუქტურები

დასავლურ სტრუქტურებთან თურქეთის ურთიერთობები მნიშვნელოვნად უკავშირდება რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებს და განსხვავებით საქართველოსგან, 2000-იანი წლებიდან მოყოლებული, რუსეთ-თურქეთის მეგობრული ურთიერთობის ხელშემწყობი გახდა.

ევროკავშირის უარი თურქეთის გაწევრიანებაზე: თურქეთმა ჯერ კიდევ 1963 წელს გამოთქვა სურვილი, გამხდარიყო ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი. თუმცა, 1989 წელს ევროპულმა კომისიამ უარყო ეს მოთხოვნა, მიზეზს კი ქვეყნის შიგნით არსებული სერიოზული დემოკრატიული ხარვეზები წარმოადგენდა. თუმცა, კომისიამ განაცხადა, რომ თურქეთი წარმოადგენდა პოტენციურ კანდიდატს გაწევრიანებისთვის. 1996 წელს, პროცესები თურქეთის სასიკეთოდ წარიმართა და ის ევროკავშირის საბაჟო კავშირში შევიდა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ეკონომიკური კავშირები. 1997 წელს ევროკავშირის მხრიდან კვლავ გაკეთდა განცხადება, რომ თურქეთი ვერ აკმაყოფილებდა წევრი ქვეყნის სტანდარტებს. ხოლო სამომავლო პროგრესისთვის აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენდა კვიპროსის პრობლემის და საბერძნეთთან ორმხრივი კონფლიქტის მოგვარება. ამავდროულად, გაიცა რეკომენდაციები შიდა რეფორმებთან დაკავშირებით.

2005 წელს კომისიამ განაცხადა, რომ თურქეთმა დააკმაყოფილა პოლიტიკური მოთხოვნები და გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები დაიწყო 2005 წლიდან. თუმცა, ამ მოლაპარაკების დაწყების შემდგომ, თურქეთის რეფორმების პროგრესი მნიშვნელოვნად შენედა. ფაქტობრივად გაწევრიანების პროცესი გაიყინა (Tocci, 2014, გვ. 1-16) .

ევროკავშირ-თურქეთის ურთიერთობებში, რუსეთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. მრავალი წლის განმავლობაში თურქეთი ცდილობდა, გამხდარიყო ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი თუმცა, უშედეგოდ. მაშინ, როდესაც ამ პერიოდში გაიზარდა ეკონომიკური კავშირები რუსეთსა და თურქეთს შორის, რაც წარმოადგენდა მნიშვნელოვან ბიძგს პოლიტიკური კავშირებისთვისაც.

ქვეყნების ლიდერების საერთო ევროსკეპტიციზმი: 2000-იან წლებში, ვლადიმერ პუტინის და რეჟეფ თაიფ ერდოღანის მართველობის დასაწყისში ორმხრივმა ურთიერთობებმა მეტი მნიშვნელობა შეიძინა. საწყის ეტაპზე ორივე ლიდერს ჰქონდა დასავლეთთან დაახლოების მცდელობა (SECRIERU, 2006), თუმცა, შემდგომ დაიწყო სკეპტიციზმის ზრდა ევროკავშირთან ურთიერთობების შესახებ. დასავლეთისადმი თურქეთის პრეზიდენტის ერთგვარი იმედგაცრუება კარგად გამოიკვეთა მაშინ, როდესაც ის შეუერთდა რუსეთსა და ჩინეთს შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში (Pavel K. Baev, Kemal Kirişçi, 2017, გვ. 1-16).

თურქეთი, როგორც რუსეთის მთავარი მეგობარი ევროკავშირის სანქციების დროს: თურქეთის ურთიერთობების შეფერხებამ ევროკავშირთან ხელი შეუწყო რუსეთ-თურქეთის პოლიტიკური ურთიერთობების წახალისებას. ამის შედეგი ყველაზე კარგად წარმოჩნდა მას შემდეგ, რაც 2014 წელს რუსეთმა მოახდინა ყირიმის ანექსია. ამაზე საპასუხოდ, ევროკავშირის ქვეყნებმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუწესა მას ეკონომიკური სანქციები. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი იზიარებდა ზოგად ევროპულ პოზიციას, რომ დაუშვებელი იყო ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაცია, ის მაინც არ შეუერთდა დასავლურ სანქციებს (Bechev, 2015).

2014 წელს, ყირიმის ანექსიის შემდეგ, გაფართოვდა რუსეთ-თურქეთის თანამშრომლობის არეალი, რადგან რუსეთი თურქეთისგან იღებდა იმ პროდუქციის დიდი ნაწილს, რომლის მიწოდებაც შეეზღუდა ევროკავშირის სანქციების შედეგად (Pavel K. Baev, Kemal Kirişci, 2017, გვ. 1-16).

რუსეთის ეკონომიკური გავლენა თურქეთზე

თურქეთის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება რუსეთისადმი პირველ რიგში, ღრმა და ურთიერთსარგებელზე დამყარებულ ეკონომიკურ თანამშრომლობაში გამოისახება. ეს შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც არა დამოკიდებულება ერთი ქვეყნის მეორისადმი, არამედ, როგორც ურთიერთდამოკიდებულება. შესაბამისად, ეს არის ის სასიცოცხლო ეროვნული ინტერესი, რომლის ურთიერთთანხვედრაც ხდება და განაპირობებს ეკონომიკურ კეთილდღეობას.

ლიდერებს შორის გახშირებული შეხვედრები: 2004 წელს, ვლადიმერ პუტინი იყო რუსეთის პირველი პრეზიდენტი რომელიც ეწვია თურქეთს, რასაც მოჰყვა მოსკოვში 2005 წელს ერდოღანის ვიზიტი. გახშირებული ურთიერთობების ფონზე დაიწყო მნიშვნელოვანი სავაჭრო კავშირების ჩამოყალიბება (Aydintasbas, 2016, გვ. 2-13). ორი ქვეყანა თანამშრომლობდა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულებით, ეს იყო ვაჭრობა, ენერგეტიკული სფერო და ტურიზმი.

საერთო მაღალი რანგის საბჭოს ჩამოყალიბება: 2010 წელს მაღალი რანგის თანამშრომლობის საბჭო ჩამოყალიბდა, რომელიც მიზნად ისახავდა ვაჭრობისა და ინვესტიციების ზრდას (Pavel K. Baev, Kemal Kirişci, 2017, გვ. 1-16). 2015 წლისათვის თურქეთის შიდა მოხმარების 55% იყო რუსეთიდან იმპორტირებული გაზი. ეს იყო ორმხრივ სარგებელზე ორიენტირებული ურთიერთობა, რადგან თურქეთი წარმოადგენდა რუსეთის სიდიდით მეორე გაზის ექსპორტიორ ქვეყანას გერმანიის შემდეგ. 2005 წელს გაიხსნა „ლურჯი ნაკადის“ გაზსადენი, რომელის მეშვეობითაც რუსეთის გაზი მიეწოდებოდა თურქეთს შავი ზღვის გავლით (Aydintasbas, 2016, გვ. 2-13). ამ პროცესებმა გამოიწვია მნიშვნელოვანი ურთიერთდამოკიდებულება ორ ქვეყანას შორის.

ქვეყნებს შორის უვიზო რეჟიმი: გარდა სავაჭრო ურთიერთობების და ენერგეტიკის სფეროს, 2011 წელს უვიზო რეჟიმის შემოღების შემდგომ, დაიწყო მასობრივი ტურისტების ნაკადის შედინება რუსეთიდან თურქეთის მიმართულებით. მაგალითად, 2014 წელს თურქეთს ეწვია 4 მილიონამდე რუსი ტურისტი, რამაც დაახლოებით 3,5 მილიარდი მოუტანა თურქეთის ეკონომიკას (Pavel K. Baev, Kemal Kirişci, 2017, გვ. 1-16).

ბირთვული ელექტროსადგური და თურქეთის ნაკადი: ერდოღანს და პუტინს შორის, ასევე, მნიშვნელოვანი იყო პირადი კონტაქტები, რაც ორი ქვეყნის დაახლოებას კიდევ უფრო უწყობდა ხელს. 2010 წელს ორ ქვეყანას შორის გაფორმდა მრავალმილიარდიან დოლარიანი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც უნდა აშენებულიყო თურქეთის პირველი ბირთვული ელექტროსადგური. ამ პროექტში უმნიშვნელოვანესი იყო რუსეთის მხრიდან უზრუნველყოფილი, სახელმწიფო ატომური ენერგო კომპანიის "როსატომის" ფინანსური წილი. 2014 წელს, პუტინის ვიზიტისას ანკარაში, ასევე, გაჟღერდა ორმხრივი შეთანხმება თურქული ნაკადის ბუნებრივი გაზსადენის აშენების შესახებ, რაც თურქეთისთვის მნიშვნელოვან შედეგს გულისხმობდა ბუნებრივი აირის ფასზე (Aydintasbas, 2016, გვ. 2-13).

აიდინტაბასის აზრით, რუსეთსა და თურქეთს შორის არსებობს მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები, რომელიც დადებით გავლენას ახდენს ქვეყნების პოლიტიკურ კავშირებზე საბოლოო ჯამში, რუსეთმა თურქეთის ბაზარზე აქტიური ოპერირების მეშვეობით შექმნა ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება (Aydintasbas, 2016, გვ. 2-13).

ორი ქვეყნის შესაძლო თანამშრომლობის ხელშემწყობი მახასიათებლები: საბოლოო ჯამში, ორ ქვეყანას გააჩნია საერთო მახასიათებლები, როგორცაა: ძლიერი ავტორიტარული ლიდერები, მზარდი ნაციონალიზმით და ღრმა ექვებით დასავლეთისადმი, რაც შესაძლოა წარმოადგენდეს ერთგვარ საფუძველს იმ ხანგრძლივი ალიანსისთვის, რომელიც იქნებოდა ანგარიშგასაწევი დამაბალანსებელი ძალა დასავლური ღერძის აღმოსავლეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში (Aydintasbas, 2016, გვ. 2-13).

შეჯამება

ამრიგად, ეკონომიკური სანქციების დაწესებამდე, რუსეთსა და თურქეთს შორის არსებობდა მეორეხარისხოვან ეროვნულ ინტერესებში მოკლევადიანი დაპირისპირებები, რაც გამომდინარეობდა პოზიციათა სხვადასხვაობით ჩეჩნების და ქურთების საკითხებზე, ამავდროულად, მთიანი ყარაბაღის, იუგოსლავიის ომსა და არაბული გაზაფხულზე. მიუხედავად თურქეთის NATO-ს წევრობისა, ეს არ ასახულა ორი ქვეყნის მზარდ ურთიერთობებზე, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, გორბაჩოვის პოლიტიკამ განაპირობა. მომავალში ამ პროცესს ხელი შეუწყო პუტინსა და ერდოღანს შორის გახშირებულმა შეხვედრებმა, რამაც კიდევ უფრო მჭიდრო გახადა ეკონომიკური კავშირები. ქვეყნებს შორის 2010 წლიდან უმაღლესი შეხვედრების საბჭოს ჩამოყალიბება, უვიზო მიმოსვლა, სხვადასხვა რეგიონულ საკითხებზე ერთობლივი მსჯელობა შეგვიძლია მივიჩნიოთ კეთილგანწყობილ დამოკიდებულებად, სადაც არ არსებობდა სასიცოცხლო ეროვნულ ინტერესთა დაპირისპირება, ტერიტორიული დისპუტი და დაპირისპირების საფრთხე. ამას ამყარებდა დასავლეთისადმი საზიარო იმედგაცრუება და ალტერნატივად ჩამოყალიბებული შანხაის პლათფორმა და ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორც იყო თურქეთის პირველი ბირთვული ელექტროსადგური და მილსადენები. ეს ყველაფერი ერთობლივად განაპირობებდა თურქეთის კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას რუსეთისადმი.

რუსეთის მხრიდან ეკონომიკური იძულების მთავარ მიზანს წარმოადგენდა მისი სურვილი, მისცემოდა თავისუფალი მოქმედების საშუალება სირიაში, თურქეთის აქტიური წინააღმდეგობის გარეშე.

შედარებითი ანალიზი

ამრიგად, საქართველოს დამოკიდებულებას რუსეთის ფედერაციისადმი განაპირობებდა საბჭოთა კავშირის დაშლის დღიდან მოყოლებული, დამოუკიდებელი რუსეთის მცდელობა, შეენარჩუნებინა საკუთარი გავლენა ქვეყანაზე. ამისთვის უმნიშვნელოვანეს ბერკეტს რუსეთის ხელში წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული

კონფლიქტური რეგიონების საკითხი. ამავდროულად, რუსეთი წინააღმდეგი იყო, საქართველოს ეწარმოებინა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობდა დასავლურ სტრუქტურებში გაწევრიანებას. რუსეთის ამგვარი ჩარევა, როგორც ქვეყნის შიდა, ასევე, საგარეო პოლიტიკაში, მნიშვნელოვნად ლახავდა საქართველოს სასიცოცხლო ეროვნულ ინტერესებს, როგორცაა სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება, რაც განაპირობებდა საქართველოს ანტაგონისტურ დამოკიდებულებას რუსეთის მიმართ სანქციების დაწესებამდე. განსხვავებით თურქეთისგან, სადაც რუსეთი წარმოადგენდა ძლიერ ეკონომიკურ პარტნიორს, ეს თანამშრომლობა ეფუძნებოდა მნიშვნელოვან ორმხრივ სარგებელს და განაპირობებდა თურქეთის სასიცოცხლო ეროვნული ინტერესის-ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფის საშუალებას. ამან წარმოქმნა თურქეთის ზოგადი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, მიუხედავად დროთა განმავლობაში მეორეხარისხოვანი ინტერესების დაპირისპირებისა.

თავი 3. ეკონომიკური სანქციები და მიღებული შედეგი

წინა თავებში არსებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა ის პოლიტიკური ქცევები, რომლის ცვლილებაც სურდა რუსეთს და რის გამოც მიმართა ეკონომიკურ იძულებას.

მესამე თავში აღწერილია ეკონომიკური სანქციების დაწესების პროცესი. ზარალი, რომელიც მიიღეს სანქციების სამიზნე ქვეყნებმა. ასევე ის შედეგი, რაც მოჰყვა სანქციების დაწესებას. შესაბამისად, ეს თავი წარმოადგენს პასუხს კითხვაზე: მოხდა თუ არა პოლიტიკური ქცევის ცვლილება ეკონომიკური ზეწოლის მეშვეობით. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მოხდება, სამიზნე ქვეყნების პირველი პირების გამოსვლების ანალიზით.

3.1. რუსეთის მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციები საქართველოსთვის იმისათვის, რომ დადგინდეს რუსეთის მიერ, საქართველოსთვის 2005-2006 წლებში დაწესებული ეკონომიკური სანქციების გავლენა საქართველოზე, ანალიზის პერიოდი იწყება 2005 წლიდან, როდესაც საქართველოს პირველად დაუწესდა ეკონომიკური სანქცია და გრძელდება 2008 წლამდე. პერიოდის დასრულება განპირობებულია არა სანქციების შეწყვეტით, არამედ 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპირებით, რის შემდგომაც რთულია ზღვარის გავლება სანქციით და ომით გამოწვეულ შედეგებს შორის. ამას თან ერთვის გლობალური ფინანსური კრიზისი. მნიშვნელოვანია, ასევე, ის ფაქტი, რომ ქვეყნებს შორის იყო ომი. მკვლევართა დიდი ნაწილი და მათ შორის, რობერტ ფეიფი მიიჩნევს, რომ იქ, სადაც ეკონომიკურ სანქციებს არ მოაქვს შედეგი, დამწესებელი ქვეყნები იყენებენ სამხედრო ძალას (Pape, 1997, გვ. 90-136).

რუსეთის მიერ საქართველოზე განხორციელებული ეკონომიკური ზეწოლა		
წელი	თვე	ქმედება
2005	დეკემბერი	საქართველოსთვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტზე აკრძალვის დაწესება.
2006	იანვარი	რუსეთიდან იმპორტირებულ გაზზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდა.

2006	მარტი	ღვინის, ღვინის პროდუქციის, კონიაკის, შამპანიურის აკრძალვა.
2006	მაისი	მინერალური წყლის აკრძალვა.
2006	ივლისი	ქართულ-რუსული გამშვები პუნქტის ლარსის დაკეტვა.
2006	ოქტომბერი	საჰაერო, სარკინიგზო, სახმელეთო, საზღვაო და საფოსტო კავშირები და ვიზების გაცემის შეჩერება.
2006	იანვარი	განმეორებითი ფასების ზრდა რუსეთიდან იმპორტირებულ გაზზე.

* (Livny, 2010)

2005 წელს რუსეთმა დაიწყო საქართველოდან იმპორტირებული ხილისა და ბოსტნეულის შეზღუდვა, ხოლო 2005 წლის 19 დეკემბრის როსსელხოზნადზორის გადაწყვეტილების საფუძველზე, მოხდა აღნიშნული პროდუქციის იმპორტის აკრძალვა. 2006 წლის იანვარში შემდგომ ნაბიჯს წარმოადგენდა რუსეთიდან იმპორტირებულ ბუნებრივ აირზე ტარიფის გაზრდა 65 დოლარიდან 110 დოლარამდე. 2006 წლის გაზაფხულზე რუსეთმა დაიწყო ემბარგოს დაწესება საქართველოდან იმპორტირებულ ღვინოსა და მინერალურ წყლებზე, რომლის საფუძველს წარმოადგენდა რუსეთის ფედერაციის მთავარი სანიტარული ინსპექტორის, გენადი ონიშჩენკოს ბრძანება ნომერი 6, რომლის მიხედვითაც აკრძალა იმპორტი ქართული ღვინის, ღვინის პროდუქციის, კონიაკის და შამპანიურის. მიზეზად დასახელდა მძიმე მეტალებისა და პესტიციდების რაოდენობა სასმელში და ასევე, ალკოჰოლის ფალსიფიცირება. ამავე წლის აპრილში რუსეთის პარლამენტის მიერ გამოიცა დადგენილება ქართული მინერალური წყლის აკრძალვის შესახებაც. მიზეზად კვლავ რუსეთის მოსახლეობის ჯამრთელობის ფაქტორი დასახელდა. გენადი ონიშჩენკოს განცხადებით, მინერალური წყალი ვერ აკმაყოფილებდა სტანდარტებს. 2006 წლის ივლისში, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, დაიხურა ქართულ-რუსული სასაზღვრო გამშვები პუნქტი ლარსი, რუსეთის მთავრობა მიზეზად ასახელებდა რეკონსტრუქციის სამუშაოებს. ეს ქმედება არღვევდა 1993 წლის 8 ოქტომბრის შეთანხმებას სასაზღვრო გამშვები პუნქტის შესახებ (Livny, 2010).

2006 წლის იანვარში, რუსეთის მხარეს, საზღვართან აფეთქდა გაზის მილსადენები, ამან გამოიწვია ბუნებრივი აირის მიწოდების შეწყვეტა. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ

საკაშვილი, როგორც მისი გამოსვლებიდან ჩანს, ამას მიიჩნევდა მოსკოვის მხრიდან განხორციელებულ საბოტაჟად (საკაშვილი, ენერგომომარაგების საკითხებზე გამართული თათბირი, 2006).

საქართველომ დაიწყო გაზის მიღება ირანიდან ახლად გარემონტებული გაზის მილებით, რომლებიც გადიოდა აზერბაიჯანზე. 2006 მარტსა და მაისში, თბილისმა გააპროტესტა მოსკოვის გადაწყვეტილება შეეჩერებინა ქართული ღვინის და მინერალური წყლის იმპორტი. 2006 წლის ივნისში საქართველო ითხოვდა, რუსი მშვიდობისმყოფლების როტაცია ცხინვალის რეგიონში ვიზით განხორციელებულიყო. 2006 წლის ივლისში ოფიციალურად გაიხსნა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი კასპიის ნავთობით. 2006 სექტემბერში საქართველომ მიაღწია შეთანხმებას NATO-სთან, რაც მოიცავდა კიდევ უფრო მჭიდრო პარტნიორობას (BBC, 2012).

2005 წლის მაისში მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც რუსეთი დათანხმდა სამხედრო ჯარის გამოყვანას საქართველოდან 2008 წლის ბოლოსთვის. 2006 წლის 31 მარტს ხელი მოეწერა ორ შეთანხმებას, სადაც ჩამოყალიბდა დეტალური გეგმა ჯარის გაყვანის თაობაზე. რუსეთის საინფორმაციო სააგენტოებმა ამ პერიოდში განაცხადეს, რომ ორი რუსული ბაზა ახალქალაქსა და ბათუმში უკვე ემზადებოდნენ ჯარების გაყვანისთვის (Peuch, 2006).

საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობები განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ 2006 წლის სექტემბერში დააკავა რუსი სამხედრო პირები და მათთან ერთად 11 საქართველოს მოქალაქე, ჯაშუშობის ბრალდებით. ამას მოჰყვა რუსეთის მხრიდან დიპლომატიური კავშირის გაწყვეტა, ამავდროულად, გაფრთხილება, რომ 2008 წელს დაგეგმილი ჯარისკაცების უკან გაწვევის საკითხი შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარიყო (Indans, 2007, გვ. 131-149).

28 სექტემბერს რუსეთმა გაიწვია ელჩი საქართველოდან და დაიწყო ნაწილობრივი ევაკუაცია დიპლომატიური პერსონალის და მათი ოჯახების. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ევაკუაცია გაზრდილი საფრთხიდან გამომდინარეობდა.

ამავდროულად, მოუწოდა რუსეთის მოქალაქეებს, არ გამგზავრებულიყვნენ საქართველოში. ამავ დღეს, კრემლმა მაქსიმალურად გამოიყენა მისი დიპლომატიურ შესაძლებლობები და შეუწყვიტა ვიზის გაცემა საქართველოს მოქალაქეებს, მაშინ, როდესაც რუსეთი წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს დასაქმების წყაროს უამრავი ქართველი მუშახელისთვის (Petriashvili, Russia recalls ambassador to Georgia, plans evacuation , 2006).

ვიქტორ იასმანის აზრით, რუსეთის ხელში საქართველოზე პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტი იქნებოდა აშშ, გაერო ან ევროკავშირი, მაგრამ ამის საპირისპიროდ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ბრიტანეთმა დაბლოკეს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის კრიტიკული დრაფტი საქართველოსთან დაკავშირებით, რომელიც წარადგინა რუსეთის დელეგაციამ 30 სექტემბერს. ამავდროულად, რუსეთის იმედგაცრუება გამოიწვია წარდგენილმა ანგარიშმა, სადაც ამერიკის სენატი მხარს უჭერდა საქართველოს მიღებას NATO-ში (Yasmann, 2006).

რუსეთში პოლიციამ დახურა ორი კაზინო და ორი ქართული რესტორანი. ამავდროულად, პოლიციამ სკოლებს მოსთხოვა ქართველი მოსწავლეების სია, რომ მომხდარიყო არალეგალური მიგრანტების იდენტიფიკაცია. ამ პერიოდში, რუსეთის სატელევიზიო სივრცეში აქტიურად განიხილებოდა ქართული მაფია და კრიმინალები (Myers, 2006).

30 სექტემბერს რუსეთის პრეზიდენტმა სოჭში, მის აპარტამენტებში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის თვითაღიარებული ლიდერები მიიპატიჟა. "Human Rights Watch"-ის ანგარიშში, მითითებულია, რომ ამან კიდევ უფრო გაამწვავა საქართველოს დამოკიდებულება რუსეთისადმი, რადგან ეს მიიჩნეოდა, როგორც რუსეთის ღია მხარდაჭერა საქართველოს სეპარატისტული რეგიონების მიმართ (Human Rights Watch, 2007).

2 ოქტომბერს რუსი ოფიცრები გაათავისუფლეს ეუთოს ჩართულობით, თუმცა, ამას საერთაშორისო ძალისხმევა დასჭირდა (kelkitli, 2008, გვ. 73-91).

2 ოქტომბერს რუსეთის ტრანსპორტის მინისტრმა განაცხადა, რომ ჩერდებოდა ყველანაირი საჰაერო, სარკინიგზო და საავტომობილო, საზღვაო მიმოსვლა საქართველოსთან. საფოსტო

კომუნიკაციები ქვეყნებს შორის, ასევე შეჩერდა. რუსეთის მხრიდან შემდგომ მწვავე ნაბიჯს წარმოადგენდა ქართველების დეპორტაცია, პირველ ეტაპზე 130 კაცის. დეპორტაციის პრობლემა უმნიშვნელოვანესი იყო, როგორც დეპორტირებული მოქალაქეებისთვის, ასევე, მათი ოჯახებისთვის. ათასობით ქართველი მოქალაქე დამოკიდებული იყო იმ ფულზე, რომელსაც მათი ოჯახის წევრები გამოიმუშავებენ დროებითი სამსახურების მეშვეობით რუსეთში (Petriashvili, 2006).

"Human Rights Watch"-ის 2007 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში, აღნიშნულია, რომ 2006 წლის ნოემბერში, რუსეთის ხელისუფლებამ დააკავა ათასობით ქართველი და გააძევა 2300 ადამიანზე მეტი საქართველოში, ეს რიცხვი მოიცავდა, ასევე, იმ ქართველებს, რომლებიც ლეგალურად ცხოვრობდნენ რუსეთში. ამ პროცესში დაირღვა ბევრი მათგანის უფლებები. (მაგ: ადვოკატთან წვდომის შესაძლებლობა). ამავდროულად, ბევრის ჯამრთელობა დადგა საფრთხის ქვეშ, 2 ქართველი გარდაიცვალა დეპორტაციის მოლოდინში პატიმრობისას. რუსი პოლიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ეს იყო ბრძოლა არა საქართველოს, არამედ არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ. დაიწყო ფართომასშტაბიანი შევიწროვება ეთნიკური ქართველებისა და მათ მფლობელობაში არსებული ბიზნესების და ორგანიზაციების მოსკოვში და რუსეთის ზოგიერთ ნაწილში (Human Rights Watch, 2007).

ამ პროცესების პარალელურად, 2006 წლის ნოემბერში, ცხინვალის რეგიონში, არ აღიარებულ რეფერენდუმში მხარი დაუჭირეს დამოუკიდებლობას (BBC, 2012).

დაახლოებით მილიონ ნახევარზე მეტი ეთნიკურად ქართველი, როგორც რუსეთის, ასევე, საქართველოს მოქალაქე ცხოვრობდა და მუშაობდა რუსეთში (Yasmann, 2006).

2007 წლის იანვარში "გაზპრომმა", რუსული გაზის მონოპოლისტმა, გააორმაგა ფასები საქართველოსთვის და 1000 კუბურ მეტრზე 110 დოლარიდან გაზარდა 230 დოლარამდე, რაც პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე დიდ ფასს წარმოადგენდა. "გაზპრომმა" განაცხადა, რომ ფასის ზრდას კომერციული ხასიათი ჰქონდა. სააკაშვილი ამ პერიოდში აცხადებდა, რომ რუსეთი სანქციების დაწესებით ვერ მიაღწევდა სასურველ შედეგს და

გაგრძელდებოდა ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა. რაც შეეხება გაორმაგებულ ფასს გაზზე, ალტერნატივად ხედავდა აზერბაიჯანიდან მომარაგებას (Indans, 2007, გვ. 131-149).

დეკემბრის ბოლოსკენ საქართველო დათანხმდა გაორმაგებულ ფასს, მას შემდეგ, რაც "გაზპრომი" დაემუქრა მიწოდების შეწყვეტით. 2007 წლის იანვარში, რუსეთის ელჩი საქართველოში დაბრუნდა, 29 მაისს რუსეთმა განაახლა ვიზების გაცემა კონკრეტული კატეგორიის საქართველოს მოქალაქეებისთვის (გულისხმობდა მათ, ვისი ოჯახის წევრებიც ცხოვრობდნენ რუსეთში და იყვნენ რუსეთის მოქალაქეები, ასევე, იმ საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებსაც ჰქონდათ რუსეთში დროებით ცხოვრების ნებართვა.) ვლადიმერ პუტინი და მიხეილ სააკაშვილი 10 ივნისს შეხვდნენ ერთმანეთს დსთ-ს სამიტზე, სადაც პუტინი დაპირდა თანდათანობით გაუქმებას სავაჭრო და ვიზის შეზღუდვებზე. რუსეთის მთავრობის წარმომადგენლები გაემგზავრნენ საქართველოში 14 ივნისს, რათა დაწყებულიყო მოლაპარაკება რუსეთის ბაზრის ეტაპობრივ გახსნაზე ქართული ღვინისთვის. 19 ივნისს რუსეთმა დაიწო სტუდენტებისთვის, ბიზნესისთვის სამუშაო და ტრანზიტული ვიზების გაცემა ქართველებისთვის. ორმა მთავრობამ ვერ შეძლო, მიეღწია შეთანხმებისთვის რომ გაგრძელებულიყო ფრენები ქვეყნებს შორის. ამავდროულად, პოლიტიკური დაპირისპირება რუსეთის და საქართველოს მთავრობებს შორის გრძელდებოდა სეპარატისტულ რეგიონებთან, აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით (Human Rights Watch, 2007).

2008 წლის მარტში აღდგა ორ ქვეყანას შორის საჰაერო მიმოსვლა და საპორტო სერვისები განახლდა ამ წლის აპრილში. მიუხედავად იმისა, რომ ზამთრის სეზონზე რუსეთმა საქართველოს გარკვეული პერიოდი შეუწყვიტა გაზმომარაგება და მნიშვნელოვნად გაზარდა ფასი, ის მაინც დარჩა მთავარ ენერგო მიმწოდებლად (kelkitli, 2008, გვ. 73-91).

2007 წელს, მას შემდეგ, რაც რუსი მშვიდობისმყოფელები, თავს დაესხნენ ქართველ სამართალდამცავებს, საქართველომ განაცხადა, რომ მათ უნდა დაეტოვებინათ ტერიტორია. საქართველომ, ასევე, დაადანაშაულა რუსეთი საჰაერო სივრცის დარღვევასთან დაკავშირებით. აგრეთვე, გამოხმაურება მოჰყვა 2007 წელს რუსეთის

მხრიდან საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოგდებულ რაკეტას, რომელიც არ გააქტიურდა. ეს უარყო რუსეთმა (Tsygankov, 2009, გვ. 307-326).

3.1.1. რუსეთის მხრიდან ეკონომიკური სანქციების დაწესება თურქეთისთვის

რუსეთის მიერ თურქეთზე განხორციელებული ეკონომიკური ზეწოლა		
წელი	თვე	ქმედება
2015	ნოემბერი	აკრძალა საქონლის და მომსახურების იმპორტი.
2015	დეკემბერი	აკრძალვა მომსახურეობასა და სერვისებზე, ორგანიზაციებზე
2015	დეკემბერი	აკრძალა პირდაპირი ფრენები,
2016	იანვარი	თურქეთის მიმართულებით ტურების შეზღუდვა
2016	იანვარი	თურქეთის მოქალაქეების დასაქმების აკრძალვა
2016	იანვარი	საავტომობილო გადაადგილების შეზღუდვა.

* (Dmitrieva, 2016)

2015 წელს რუსეთმა განახორციელა სამხედრო ჩარევა სირიაში. სოლი ოზელის აზრით, ამის შემდგომ ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა ასადის რეჟიმის დამხობა. შესაბამისად, თურქეთის მიერ მხარდაჭერილი ოპოზიციური ძალები რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. პროცესების ამგვარმა განვითარებამ მნიშვნელოვნად დააზარალა, როგორც თურქეთის ინტერესები, ასევე, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები (Özel, 2016).

2015 წლის 24 ნოემბერს თურქეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მათმა საჰაერო ძალებმა ჩამოაგდეს რუსეთის სამხედრო თვითმფრინავი, "სუ-24", რომელმაც დაარღვია თურქეთის საჰაერო სივრცე (Aydintasbas, 2016, გვ. 2-13).

24 ნოემბერს მიუხედავად თურქეთის საჰაერო პატრულის მრავალჯერადი გაფრთხილებისა, რუსულმა "სუ-24"-მა დაარღვია თურქეთის საჰაერო სივრცე 17 წამის განმავლობაში. რუსეთმა უარყო თურქეთის საჰაერო სივრცის დარღვევა, მაშინ, როდესაც NATO ემხრობოდა თურქეთის ვერსიას. მიუხედავად რუსეთის მხრიდან უარყოფისა,

თურქულ წყაროებზე დაყრდნობით, 5 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა გაფრთხილება. ორი პილოტიდან ერთი გადაარჩინა რუსეთის სპეციალური დანიშნულების ჯგუფმა, ხოლო მეორე პილოტი თურქეთის მიერ მხარდაჭერილმა თურქმენმა აჯანყებულებმა მოკლეს სირიის საზღვართან, მიწაზე პარაშუტით დაშვების დროს. თურქეთმა დახმარებისთვის მიმართა NATO-ს და ამავდროულად, გამოთქვა მწუხარება მომხდარი ფაქტის გამო (Özel, 2016).

აიდინტასბას შეფასებით, თურქეთის პროსამთავრობო მედიის თავდაპირველი პასუხი იყო ნაციონალისტური, თუმცა, მას შემდეგ, რაც გავრცელდა ვიდეო, სადაც სირიის ოპოზიციური ძალები კლავდნენ ერთ-ერთ პილოტს, ოფიციალური განცხადებების გაკეთება დაიწყო თავდაცვითი პოზიციიდან (Aydintasbas, 2016, გვ. 2-13).

2015 წლის ნოემბერში, თურქეთის მხრიდან, რუსული სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდებას მოჰყვა მთელი რიგი ეკონომიკური სანქციები, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის 1 იანვრიდან. გარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების აკრძალვისა, რუსეთმა 2015 წლის 1 დეკემბრიდან ორ ქვეყანას შორის აკრძალა ჩარტერული რეისები. თუმცა, აკრძალვა არ შეხებია რეგულარულ ფრენებს. შეჩერდა უვიზო მიმოსვლაც. 2016 წლიდან, რუსეთმა სატრანსპორტო გადაზიდვის ნებართვის რაოდენობა თურქი გადაზიდვებისთვის 2000-მდე შეზღუდა. რუს ტურ ოპერატორებს მოსთხოვეს, შეეჩერებინათ თურქეთის მიმართულებით ტურების გაყიდვა. 2016 წლის 1 იანვარს რუსულ კომპანიებს აკრძალათ სამსახურში თურქი ეროვნების ადამიანების დაქირავება. რუსეთმა, ასევე, გამოაქვეყნა სია იმ აქტივობებისა, რომელთა განხორციელებაც ეკრძალებოდათ თურქულ კომპანიებს (Martin, 2015).

სანქციების დაწესებისას, თურქეთში არსებობდა რამდენიმე სექტორი, რომელსაც შეიძლებოდა მნიშვნელოვანი ზარალი მიეღო. რუსეთის წილი თურქეთის ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტში, 2014 წელს დაახლოებით 33,2 %-ს წარმოადგენდა. შესაბამისად, აკრძალვით მიღებული დანაკარგი მართლაც მნიშვნელოვანი იყო. თურქეთში, ტურიზმის სექტორი, ასევე, დააზარალა მიმდინარე პროცესებმა. 2014 წელს რუსეთის მხრიდან

საშუალოდ 4 მილიონამდე ტურისტი შევიდა თურქეთში. აქედან გამომდინარე, აკრძალვამ დააზარალა თურქეთის მთლიანი შიდა პროდუქტი. რუსეთი თურქეთისთვის ბუნებრივი აირის მთავარი მიმწოდებელი იყო, თუმცა, ამ სფეროს არ შეხებია შეზღუდვები. გარდა ამისა, ხორციელდებოდა მნიშვნელოვანი პროექტები ორ ქვეყანას შორის - თურქული ნაკადის ბუნებრივი გაზსადენი და თურქეთის ბირთვული ელექტროსადგური, რომლის მთავარი დამფინანსებელი რუსეთის ხელისუფლება იყო. რუსეთის ენერგეტიკის მინისტრმა 2015 წლის 3 დეკემბერს განაცხადა, რომ კრიზისის წარმოქმნის გამო, პროექტთან დაკავშირებით შეწყვიტა მოლაპარაკება, მაშინ, როდესაც ერდოლანმა განაცხადა, რომ რეალურად თურქეთმა შეაჩერა პროექტი, თვითმფრინავის ინციდენტამდე დიდი ხნით ადრე. ასევე, რუსეთის ბაზარზე თურქული სამშენებლო კომპანიების დიდი რაოდენობა იყო წარმოდგენილი. მათ ძირითადად დასაქმებული ჰყავდათ თურქი ეროვნების ხალხი. შესაბამისად, აკრძალვები შეეხო ამ სექტორსაც, თუმცა, სანქციებმა არ დააზარალა დიდი მშენებლობის პროექტები, რომელიც "FIFA 2018"-თან იყო დაკავშირებული (Carrion, 2016, 3-34).

აიდინტასბასის შეფასებით, რუსული პროპაგანდისტული კამპანია მიმართული იყო პირდაპირ ერდოლანისა და მისი ოჯახისკენ. ამ პერიოდისთვის პუტინისეული რიტორიკა ერთმანეთისგან განასხვავებდა ერდოლანსა და თურქეთს (Aydintasbas, 2016, გვ. 2-13).

თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ პუტინი აცხადებდა, რომ პრობლემა იყო უფრო ღრმა, ვიდრე ერთი ინციდენტი და თურქეთის მთავრობა ცდილობდა, საშინაო პოლიტიკა გაცნობიერებულად მიემართა ისლამიზაციისკენ. კეთდებოდა მწვავე განცხადებები, მიუხედავად იმისა, რომ ინციდენტამდე ორი ქვეყნის პრეზიდენტს შორის მეგობრული ურთიერთობები იყო, რაზეც მეტყველებს პრეზიდენტ პუტინის მხრიდან პრეზიდენტ ერდოლანის მიწვევა 2015 წლის სექტემბრის ინაუგურაციაზე მოსკოვში (Pavel K. Baev, Kemal Kirişci, 2017, გვ. 1-16).

სამხედრო თვალსაზრისით, რუსეთმა განაცხადა, რომ ის განათავსებდა მის მოწინავე S-400 ზედაპირულ საჰაერო რაკეტებს სირიაში და განაგრძობდა პოზიციების განმტკიცებას

თურქმენულ დაჯგუფებებთან მიმართებით, მაშინ, როდესაც ეს დაჯგუფებები გადაამზადა და აღჭურვა თურქეთმა (Özel, 2016).

დეკემბერში პუტინმა გამოააშკარავა ერდოღანის მიერ გაგზავნილი პირადი შეტყობინება, სადაც ნათქვამი იყო, რომ თვითმფრინავის ჩამოგდების ბრძანება არა მან, არამედ პრემიერ მინისტრმა გასცა. აპრილში პრეზიდენტთან დაახლოებული პირი, ჰაკან ფიდანი გაემგზავრა მოსკოვში. რუსეთი აცხადებდა, რომ თურქეთს უნდა შეესრულებინა სამი პირობა დიალოგის დასაწყებად: საჯარო ბოდიში, მკვლელების დასჯა და კომპენსაციის გადახდა (Aydintasbas, 2016, გვ. 2-13). ეს ყოველივე კი ემსახურებოდა რუსეთის სურვილს, დაეძლია თურქეთის წინააღმდეგობა სირიის საკითხთან დაკავშირებით და გაეგრძელებინა სასურველი პოლიტიკის გატარება.

2015 წლის ნოემბრიდან ანკარა დაუბრუნდა ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების მშენებლობას, მაშინ, როდესაც მოსკოვმა გააძლიერა მისი კავშირები ქურთებთან. ევროკავშირისთვის მნიშვნელოვან საკითხებს წარმოადგენდა ლტოლვილთა კრიზისი, სირიის ომი, ქურთების საკითხი. ახლად კომბინირებული სირიული/ქურთული/რუსული ფრონტი - ანკარასთვის წარმოადგენდა სტიმულს, რომ აეღორძინებინა მისი ურთიერთობები აშშ-სთან. 2015 წლის ივლისის მოლაპარაკებების შემდეგ, ანკარამ მისცა ამერიკას ტერორისტული ორგანიზაციის-„ისლამური სახელმწიფოს“ დასაბომბად თავისი სამხედრო ბაზის გამოყენების უფლება. 2016 წლის დასაწყისში თურქეთი კვლავ აწარმოებდა ამერიკასთან მოლაპარაკებას, რომ შეერთებოდა კამპანიას ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ. ტერორისტულ ორგანიზაციასთან ბრძოლაში თურქეთის მეტი ჩართულობის მიუხედავად, ამერიკაც და რუსეთიც განაგრძობდა ქურთული ძალების მხარდაჭერას სირიაში. ქურთები კვლავ წარმოადგენენ ყველაზე სიცოცხლისუნარიანი ანტი-ისლამურ სახელმწიფოებრივი საბრძოლო ძალა სირიაში (Aydintasbas, 2016 გვ. 2-13).

მიუხედავად იმისა, რომ ლტოლვილების კრიზისი გახდა მნიშვნელოვანი და პირდაპირი ინტერესის სფერო ევროპულ-თურქულ ურთიერთობებში, სადაც ერდოღანის მთავრობა წარმატებით გაუმკლავდა ლტოლვილთა ნაკადს სირიიდან თურქეთის გავლით ევროპაში,

შეთანხმების შესაბამისად, ამ ფაქტმა არ გააქტიურა ევროკავშირში თურქების გაწევრიანების საკითხი (Parakilas, 2016).

3.2. საქართველო/თურქეთი სანქციებით მიღებული ზარალი

კვლევის დასაწყისში გამოიკვეთა დაშვება, რომ დაწესებული ეკონომიკური სანქციებით განცდილი ზარალი, საქართველოს შემთხვევაში აღემატებოდა იმ ზარალს, რომელიც განიცადა თურქეთმა. ამ მოცემულობის გაანალიზებას ემსახურება ნაშრომის ეს ნაწილი.

3.2.1. სანქციებით მიღებული ზარალი - საქართველო

საქართველომ ეკონომიკური სანქციების დაწესებით მიიღო, როგორც ეკონომიკური, ასევე, მორალური ზარალი. პირველ რიგში, ეს აისახა ქვეყნის ექსპორტზე, სიტუაციას განსაკუთრებით ამწვავებდა ის გარემოება, რომ სანქციების დაწესების პერიოდში, საქართველოს საგარეო ვაჭრობა არ იყო დივერსიფიცირებული და მნიშვნელოვან დამოკიდებულებად განიცდიდა რუსეთზე.

იმისთვის, რომ გამოვითვალოთ, თუ რა ზარალი მიიღო საქართველომ რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგოს შედეგად, ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი ინსტრუმენტი: აღებულია 2005 წლის ექსპორტის მონაცემები რუსეთში - ვალუტა დოლარი, შემდგომ ის გადაყვანილია ექვივალენტით ლარში, 2005 წელს არსებული კურსის მიხედვით. ამავდროულად, აღებულია 2006 წლის მთლიანი შიდა პროდუქტი ლარში, 2006 წლის ექსპორტის მონაცემები რუსეთში - ვალუტა დოლარი, შემდგომ ის გადაყვანილია ექვივალენტით ლარში, ანალოგიურად, 2007 წლის მონაცემების. ამის საფუძველზე ხდება იმ ზარალის გამოთვლა, რაც მიიღო საქართველომ. ზარალის გამოთვლისას გამოყენებულია დაშვება, რომ არ მომხდარიყო რუსეთის მხრიდან ემბარგოს დაწესება, 2006-2007 წლებში უცვლელად გამეორდებოდა 2005 წლის ექსპორტის მონაცემები რუსეთში.

გაცვლითი კურსი: 2005 წელი - ლარის დოლართან მიმართებით ყველაზე მაღალი გაცვლითი კურსი დაფიქსირდა 1.78, საშუალო - 1.77, დაბალი - 1.59. 2006 წელი - ყველაზე მაღალი გაცვლითი კურსი დაფიქსირდა 1.81, საშუალო - 1.71, დაბალი - 1.67. 2007 წელი -

ყველაზე მაღალი გაცვლითი კურსი დაფიქსირდა 1.84, საშუალო - 1.83, დაბალი - 1.71 (Lari.ge, 2018). შედეგის მისაღებად გამოყენებულია ყველაზე დაბალი გაცვლითი კურსი.

2005 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში შეადგენდა - 11 620 942 000 ლარს.

2006 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში შეადგენდა - 13 789 913 000 ლარს,

2007 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში შეადგენდა - 16 993 778 000 ლარს

(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017).

2005 წელს ექსპორტი რუსეთში - 153 724 000 ამერიკული დოლარი (244 421 160 ლარი)

(საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, 2006).

2006 წელს ექსპორტი რუსეთში - 75 393 000 ამერიკული დოლარი (125 906 310 ლარი)

(საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, 2007).

2007 წელს ექსპორტი რუსეთში - 45 338 000 ამერიკული დოლარი (77 527 980 ლარი)

(საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, 2008).

მიღებული ზარალი : 2005 წლის ექსპორტს გამოკლებული 2006 წლის ექსპორტის მონაცემები, ზარალი: $244\,421\,160 - 125\,906\,310 = 118\,514\,850$ ლარი.

2006 წელს მიღებული ზარალის პროცენტული მაჩვენებელი - 2006 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის რამდენ პროცენტს წარმოადგენდა ექსპორტით მიღებული ზარალი

2006 წლის მშპ - 13 789 913 000 ლარია, არსებული ზარალი 118514850 ლარი, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 0,85 %-ია.

2007 წელს მიღებული ზარალის პროცენტული მაჩვენებელი:

მიღებული ზარალი : 2005 წლის ექსპორტის გამოკლებული 2007 წლის ექსპორტის მონაცემები,

ზარალი 2007 წელს: $244\,421\,160 - 77\,527\,980 = 166\,893\,180$ ლარი

2007 წლის საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 16 993 778 000 ლარია, არსებული ზარალი 166 893 180 ლარი, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 0,98 %-ია.

გარდა ამისა, ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე აისახა რუსეთის მხრიდან ჯერ 2005, შემდგომ კი 2007 წლის იანვარში გაზრდილი ტარიფები ბუნებრივ აირზე. სერიოზულ მორალურ წნეხს წარმოადგენდა 2006 წლის იანვრის ბოლოს, რუსეთიდან შემომავალ გაზსადენებზე (რუსეთის ტერიტორიაზე) მომხდარი აფეთქებების შედეგად, საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი აირის მიწოდების გარეშე დატოვება 10 დღის განმავლობაში (ლიანა ჯერვანიძე, 2008, გვ. 1-13).

ამავდროულად, საქართველოს მოსახლეობისთვის, სერიოზული მორალური ზიანი იყო რუსეთის მხრიდან შეჩერებული საჰაერო, სარკინიგზო, სახმელეთო, საზღვაო და საფოსტო კავშირები, ვიზების გაცემის შეჩერება. დიდი რაოდენობით ადამიანების დეპორტაცია, რამაც ორი ადამიანის სიკვდილი გამოიწვია.

3.2.2. სანქციებით მიღებული ზარალი - თურქეთი

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსთან შედარებით თურქეთის საგარეო ვაჭრობა მეტად დივერსიფიცირებული იყო და რუსეთი არ წარმოადგენდა ნომერ პირველ სავაჭრო პარტნიორს, 2015-2016 წლებში დაწესებული ეკონომიკური სანქციები, ასევე, ნეგატიურად აისახა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტზე.

ამ შემთხვევაში არსებობს ორი ხელშესახები სექტორი, სადაც შეგვიძლია ჩავატაროთ სტატისტიკის თვისებრივი კვლევა იმისთვის, რომ ვნახოთ, თუ რა ზარალი განიცადა თურქეთმა მიღებული ეკონომიკური სანქციებით.

ექსპორტი:

2015 წელს თურქეთის მთლიანი შიდა პროდუქტი შეადგენდა 859 380 000 000 ამერიკული დოლარი, ხოლო 2016 წელს 857 750 000 000 ამერიკული დოლარი (tradingeconomics, 1960-2018).

2015 წელს ექსპორტი რუსეთში შეადგენდა 3588330986 ამერიკულ დოლარს, 2016 წელს 1732953579 ამერიკულ დოლარს (Turkish Statistical Institute, 2018).

ზარალი = 3588330986 - 1732953579 = 1855377407 ამერიკული დოლარი, რაც 2016 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0,21 პროცენტს შეადგენს.

მეორე სექტორი, რომელმაც განიცადა მნიშვნელოვანი ზარალი, იყო ტურიზმი.

თურქეთში 2015 წელს უცხო ქვეყნიდან შემოსული ტურისტების რაოდენობა შეადგენდა 36244632000 მილიონ ადამიანს (Turkish statistical institute, 2013-2015), რომელთა საშუალო დანახარჯი ერთ ადამიანზე იყო 715 ამერიკული დოლარი (Turkish statistical institute, 2001-2018). აქედან რუსი ტურისტების რაოდენობა იყო 3 649 003 ადამიანი (Turkish statistical institute, 2013-2015), რაც ნიშნავს იმას, რომ რუსი ტურისტებისგან მიღებული შემოსავალი საშუალოდ შეადგენდა 2609037145 მილიარდ ამერიკულ დოლარს, (რუსი ტურისტების რაოდენობა გამრავლებული ერთი ადამიანის საშუალო დანახარჯზე) რაც წარმოადგენდა 2016 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0,3 პროცენტს. (შედეგი ეფუძნება დაშვებას, რომ არ დაწესებულყო ეკონომიკური სანქციები, 2016 წელს განმეორდებოდა მინიმუმ წინა წლის მაჩვენებელი. თუმცა 2016 წელს არც ერთი რუსი ტურისტი არ შევიდა თურქეთის ტერიტორიაზე.)

შესაბამისად, საერთო დანაკარგი შეადგენდა (ექსპორტის დანაკარგს დამატებული დანაკარგები ტურიზმიდან) 4464414552 მილიარდ ამერიკულ დოლარს, რაც 2016 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0,52 პროცენტია.

გარდა ამისა, ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ზარალს წარმოადგენდა მიმოსვლის ნაწილობრივი შეწყვეტა და თურქეთის მოქალაქეების დასაქმების აკრძალვა რუსეთის ტერიტორიაზე.

მიღებული ზარალის შედარებითი ანალიზი

იმისთვის, რომ მოვახდინოთ იმ ძირითადი ზარალის გაანალიზება, რაც მიიღეს ქვეყნებმა, ნაშრომის ამ ნაწილში შემოთავაზებულია შედარებითი ზარალი.

- ექსპორტი: რუსეთის მხრიდან ექსპორტის აკრძალვა ორივე ქვეყნისთვის ხელშესახებ პრობლემას წარმოადგენდა. თუმცა, არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია

ვთქვით, რომ ამ პროცესებმა შედარებით უფრო მეტად დააზარალა საქართველო, ვიდრე - თურქეთი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები ცხადყოფს, რომ სანქციების დაწესების პერიოდში, საქართველოს საგარეო ვაჭრობა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული რუსეთზე(იხ. დანართი 1). ამგვარმა მდგომარეობამ განაპირობა გარკვეული დანაკარგი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტისა და შეადგინა 0,85% 2006 წელს, ხოლო 2007 წელს 0,98%. ეს პროცენტული მონაცემები აღემატება იმ მაჩვენებელს, რაც იყო თურქეთის შემთხვევაში, სადაც ერთის მხრივ, კარგად დივერსიფიცირებული იყო ქვეყნის საგარეო ვაჭრობა (იხ. დანართი 2), ხოლო მეორე მხრივ, ექსპორტის მიმართულებით დანაკარგმა 2016 წელს მხოლოდ 0,21% შეადგინა. შესაბამისად, ამ სექტორში საქართველოს მიერ მიღებული ზარალი აღემატებოდა იმას, რაც ჰქონდა თურქეთს.

- ტურიზმი: ამ სფეროში მიღებული ზარალი ფაქტობრივად არ იკვეთება საქართველოს შემთხვევაში, ერთის მხრივ, იქიდან გამომდინარე, რომ ეს სექტორი ნაკლებად იყო განვითარებული სანქციების დაწესების პერიოდში, მეორეს მხრივ, იმიტომ, რომ არ არსებობს ჯეროვანი სტატისტიკური ინფორმაცია, რომ მოხდეს 2005 წლის შედარება 2006 წლის მონაცემებთან. ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ 2006 წლის და 2007 წლის სტატისტიკური მონაცემების შედარებით ჩანს, რომ რუს ტურისტთა რიცხვი არა თუ შემცირდა არამედ გაიზარდა (STRUCTURE & INDUSTRY DATA, 2013). მაშინ, როდესაც თურქეთისთვის ამ სექტორში მიღებული ზარალი მცირე არ იყო და მთლიანი შიდა პროდუქტის 0,3 %-ს შეადგენდა, რაც აღემატებოდა ქვეყნის იმპორტით მიღებულ ზარალს.

- დასაქმების აკრძალვა და დეპორტაცია: ორივე ქვეყნისთვის, ასევე, მნიშვნელოვანი იყო მუშახელის პირდაპირი შევიწროვება რუსეთის ბაზარზე. თურქეთის შემთხვევაში ეს წარმოადგენდა აკრძალვას დასაქმების შესახებ, თუმცა, ეს აკრძალვა არ შეხებია უკვე დასაქმებულ მოქალაქეებს. მაშინ, როდესაც 2006 წელს 2300-ზე მეტი ქართველი რუსეთმა გამოამევა სატვირთო თვითმფრინავების მეშვეობით. ამ პროცესს ორი მოქალაქის სიცოცხლეც ემსხვერპლა. 2014 წელს სტრასბურგის ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ განაცხადა, რომ ეს პროცესები წარმოადგენდა ევროპის ადამიანის

უფლებათა კონვენციის დარღვევას (სივილ ჯორჯია , 2014). ამავდროულად, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი იყო ის გადარიცხვები, რომელსაც იღებდა რუსეთში დასაქმებული მოსახლეობისგან. რუსულ წყაროებზე დაყრდნობით, ფულადი გზავნილები 2 მილიარდს ცდებოდა, რაც საქართველოს მშპ-ს 20% -ია. საქართველოს განცხადებით, ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალი იყო და 219 მილიონს შეადგენდა (Yasmann, 2006). შესაბამისად, ეს ქმედება პირდაპირ, მწვავე მორალურ ზარალს წარმოადგენდა ქვეყნის მოსახლეობისთვის. თუმცა, ეს არ ასახულა ფულად გზავნილებზე რუსეთიდან, სანქციების დაწესების შემდგომ გზავნილების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო სხვადასხვა ფაქტორებით განპირობებული, განსაკუთრებით კი შიშით, რომ შემდგომში ამ გზავნილების გადარიცხვის შესაძლებლობა შეიზღუდებოდა (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2001-2017).

- ენერგეტიკული სფერო: თურქეთი სანქციების დაწესების პერიოდში, ნავთობისა და ბუნებრივი აირის იმპორტს ახდენდა რუსეთიდან, ეს მთლიანი მოხმარების 3/4 -ს შეადგენდა (Ole Austvik, Gulmira Rzayeva, 2016). რაც შეეხება საქართველოს, 2005 წელისთვის ბუნებრივი აირის ფაქტობრივად 100 პროცენტთან მომწოდებელს წარმოადგენდა რუსეთი (Gelb, 2007). კვლევისას გამოიკვეთა ფაქტები, რომ განსხვავებით თურქეთისგან, საქართველოში ეს ბერკეტი მნიშვნელოვნად ამოქმედდა ორი მიმართულებით, 2005 და 2007 წლებში ფასის მნიშვნელოვანი ზრდით, რის შედეგადაც პოსტ საბჭოთა სივრცეში საქართველო წარმოადგენდა ქვეყანას, რომელიც ყველაზე ძვირად ყიდულობდა გაზს, მეორე წახნაგს კი წარმოადგენდა 2006 წლის ზამთარში მომარაგების შეწყვეტა (Livny, 2010), რამაც ქვეყნის მოსახლეობა რთულ პირობებში ჩააყენა. მაშინ, როდესაც თურქეთს მსგავსი პრობლემები არ შექმნია, არც ტარიფის გაძვირების და არც მომარაგების შეწყვეტის მხრივ.

- გადაადგილების შეზღუდვა: 2006 წლის 3 ოქტომბერს რუსეთმა შეაჩერა საჰაერო, სარკინიგზო, სახმელეთო, საზღვაო და საფოსტო კავშირები საქართველოსთან, ამავდროულად, შეაჩერა ვიზების გაცემა საქართველოს მოქალაქეებზე. 2016 წელს, თურქეთშიც ამოქმედდა მსგავსი ბერკეტები, თუმცა, არა ამ სიმწვავეით. აქ ეტაპობრივად მოხდა საჰაერო მიმოსვლის შეჩერება, ხოლო სახმელეთო და საზღვაო გადაადგილება არ

აიკრძალა და მხოლოდ გარკვეულ შეზღუდვებს დაექვემდებარა. თუმცა, ეს, საბოლოო ჯამში, ორივე ქვეყნისთვის მნიშვნელოვან წნეხს წარმოადგენდა.

შედარებითი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველომ მიიღო მეტი მატერიალური და მორალური ზარალი, ვიდრე - თურქეთმა. საქართველომ მხოლოდ ექსპორტის აკრძალვით სანქციების პირველ წელს იზარალა მთლიანი შიდა პროდუქტის 0,85 %, მეორე წელს კი 0,98, მაშინ, როდესაც თურქეთის მთლიანი შიდა პროდუქტი ექსპორტის აკრძალვითა და ტურისტული ნაკადის შემცირების შედეგად დაზარალდა 0,52%-ით. ეს, ერთის მხრივ, განპირობებული იყო იმით, რომ საქართველო წარმოადგენდა რუსეთზე დამოკიდებულ ქვეყანას, მაშინ, როდესაც თურქულ-რუსულ ურთიერთობებს უფრო მეტად ურთიერთდამოკიდებული შეგვიძლია ვუწოდოთ. ეს ყველაზე ნათლად წარმოჩნდა ენერგეტიკულ სფეროში, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი შეუწყვეტდა გაზის და ნავთობის მიწოდებას თურქეთს, (რაც გააკეთა საქართველოს შემთხვევაში) დაკარგავდა ამ ექსპორტიდან მიღებულ შემოსავალს, რაც ასევე მწვავედ აისახებოდა მის ეკონომიკაზე. განსხვავებით საქართველოსგან, სადაც მან ეს მონოპოლისტური ბერკეტი წარმატებით აამუშავა.

3.3. საქართველოს/თურქეთის პოლიტიკური ქცევის ცვლილება

ნაშრომის ეს ნაწილი ემსახურება იმის დადგენას, თუ რა გავლენას ახდენს სანქციების დაწესებამდე სამიზნე ქვეყნების დამოკიდებულება პოლიტიკური ქცევის ცვლილებაზე. ამის დასადგენად გაანალიზებულია თურქეთის და საქართველოს პრეზიდენტების გამოსვლები სანქციების დაწესებიდან საკვლევი პერიოდის დასრულებამდე.

მას შემდგომ მოხდა დამოუკიდებელი ცვლადების ოპერაციონალიზაცია და დადასტურდა, რომ საქართველოს რუსეთის მიმართ გააჩნდა ანტაგონისტური განწყობა, მაშინ, როდესაც თურქეთის დამოკიდებულება იყო კეთილგანწყობილი, დამოკიდებულ ცვლადთან მიზეზშედეგობრიობის დასადასტურებლად, აუცილებელია, ასევე, მოხდეს შუალედური ცვლადის ოპერაციონალიზაცია.

ნაშრომში არსებულ დაშვებას წარმოადგენს მოსაზრება, რომ საქართველოს გააჩნდა ანტაგონისტური დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციის მიმართ, რამაც სანქციების დაწესების ეპიზოდში წარმოქმნა დაპირისპირების საფრთხე. მაშინ როდესაც, სანქციების დაწესებისას არ წარმოიქმნა დაპირისპირების საფრთხე, რადგან თურქეთს ჰქონდა რუსეთის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება.

საერთაშორისო სისტემა ხასიათდება პოტენციური ან მიმდინარე დაპირისპირებებით. ამას განაპირობებს სახელმწიფოთა სურვილი, დაიცვან, საკუთარი ეროვნული ინტერესები. ეს, პირველ რიგში, გულისხმობს ქვეყნის უსაფრთხოების, თავისუფლების, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას. ამის მისაღწევად კი სახელმწიფოები შესაძლებელია დიდ მსხვერპლზე წავიდნენ. ქვეყნების მთავარი საზრუნავია, დაიცვან საკუთარი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესები, როდესაც არსებობს მათი ხელყოფის საფრთხე სხვა სახელმწიფოსგან (რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები, 2006, გვ. 69-77).

დაპირისპირების საფრთხე, საქართველო: სანქციებამდე არსებული რუსეთის ქმედებები კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით საფრთხეს უქმნიდა საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტს სანქციების დაწესებამდე წარმოადგენდა NATO-ში გაწევრიანება, მაშინ, როდესაც რუსეთი ღიად გამოხატავდა წინააღმდეგობას, მის საზღვრებთან ამ ორგანიზაციის გაფართოებისა და მიიჩნევდა მისი უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად, ამით კი ცდილობდა შეეზღუდა საქართველოს თავისუფალი საგარეო პოლიტიკის წარმოების უფლება. სანქციების დაწესება, როგორც წესი, სულ მცირე თავდაპირველ ეტაპზე გამოხატავს ქვეყნებს შორის ურთიერთობების გამწვავებას. ეს პროცესი კიდევ უფრო რთულდება იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ქვეყნის დამოკიდებულება არის ანტაგონისტური. შესაბამისად, საკუთრივ სანქციების დაწესებისას დაპირისპირების საფრთხის ალბათობა იზრდება. როგორც ეს მოხდა საქართველოს შემთხვევაში.

დაპირისპირების საფრთხე თურქეთი: სანქციების დაწესებამდე რუსეთი თურქეთის სასიცოცხლო ეროვნულ ინტერესებს, როგორცაა ტერიტორიული მთლიანობა, სუვერენიტეტი, თავისუფლება, არ უქმნიდა საფრთხეს. პირიქით, რუსეთთან თანამშრომლობა აძლიერებდა ისეთ მნიშვნელოვან სასიცოცხლო ეროვნულ ინტერესს, როგორც არის თურქეთის ეკონომიკური კეთილდღეობა. რაც შეეხება მეორეხარისხოვან ინტერესს, რაც გულისხმობს თურქეთის პოზიციას სირიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, ეს იყო მნიშვნელოვანი თურქეთისთვის, თუმცა, არა იმდენად, რომ მის გამო უარი ეთქვა იმ ეკონომიკურ სარგებელზე, რომელსაც ის იღებდა რუსეთთან თანამშრომლობით. ამაზე მეტყველებს, პრეზიდენტ ერდოღანის განცხადებები, რომ რუსეთი წარმოადგენდა პარტნიორ, მეგობარ ქვეყანას (Erdogan, “The UN Climate Change Summit could be an opportunity to restore our relations”, 2015). შესაბამისად, სანქციების დაწესების ეპიზოდში არ არსებობდა დაპირისპირების საფრთხე.

შემდგომ ეტაპზე, იმისთვის, რომ სრულად წარმოჩნდეს, თუ რა მიზეზ-შედეგობრიობაა დამოუკიდებელ და მასზე დამოკიდებულ ცვლადს შორის, აუცილებელია შუალედური ცვლადის განვრცობა, კონკრეტულად რა მდგომარეობას ქმნის ქვეყნებს შორის სანქციების დაწესების დროს წარმოქმნილი დაპირისპირების საფრთხე.

სანქციების დაწესებისას კონკრეტულ შემთხვევებში არსებობს ორი აქტორი: სამიზნე ქვეყანა და დამწესებელი ქვეყანა. დამწესებელი ქვეყნის მიზანია, მიიღოს კონკრეტული მოგება დაწესებული სანქციების შედეგად. ამ პერიოდში სამიზნე ქვეყანას აქვს ორი არჩევანი, დათანხმდეს სამიზნე ქვეყანას და განახორციელოს მისთვის სასურველი ქმედება, რაც გულისხმობს თანამშრომლობას. ან არ დათანხმდეს მას, გაუწიოს წინააღმდეგობა და შესაბამისად, არ შეცვალოს პოლიტიკური ქცევა.

როდესაც სახელმწიფოები ფიქრობენ თანამშრომლობაზე, მათ უნდა გაითვალისწინონ ის, თუ როგორ განაწილდება მოგება მხარეებს შორის. იქნება ეს აბსოლუტური, თუ ფარდობითი. აბსოლუტური მოგება, გულისხმობს, რომ თითოეული მხარე დაინტერესებულია მოგების მაქსიმიზაციით, ისე, რომ არ ითვალისწინებს, იმას, თუ რა

მოგებას ნახულობს მეორე მხარე ამით. ხოლო ფარდობითი მოგება ნიშნავს, რომ სახელმწიფოებს აინტერესებთ არა მხოლოდ საკუთარი მოგება, არამედ ის, თუ რას იგებს მეორე მხარეც (აკობია, 2006, გვ. 74-89).

ნაშრომში, სანქციების ეპიზოდში, ფარდობითი და აბსოლუტური მოგების კონცეფციების შემოტანით, ვიღებთ შემდეგ მოცემულობას: როდესაც სამიზნე ქვეყანა თანხმდება აბსოლუტურ მოგებას, მისი ინტერესია, შეწყდეს დაწესებული ეკონომიკური სანქციები, ამის მეშვეობით ის კვლავ გააგრძელებს იმ ეკონომიკური სარგებლის მიღებას, რასაც ის იღებდა სანქციების დაწესებამდე და ამ პროცესში ის არ ანიჭებს მნიშვნელობას, იმ მოგებას, რასაც იღებს დამწესებელი ქვეყანა მისი მხრიდან განხორციელებული დათმობის შედეგად. ფარდობით მოგებაზე ორიენტირების დროს, სამიზნე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო ის, თუ რა მოგებას ნახულობდა სანქციების დაწესებამდე სამიზნე ქვეყანასთან თანამშრომლობით, არამედ ის, თუ რა დათმობაზე მოუწევს მას წასვლა იმისთვის, რომ ეს თანამშრომლობა გაგრძელდეს.

შესაბამისად, სამიზნე ქვეყნის ანტაგონისტური დამოკიდებულება წარმოქმნის დაპირისპირების საფრთხეს სანქციების დაწესების ეპიზოდში, სადაც სამიზნე ქვეყნისგან ნებისმიერი თანამშრომლობაზე წასვლა გულისხმობს, სასიცოცხლო ეროვნულ ინტერესთან დაკავშირებით დათმობაზე წასვლას, ამის დაცვა კი ნებისმიერი ქვეყნის უპირველესი მოვალეობაა. სწორედ ამაზე დაყრდნობით, შეგიძლია ვთქვათ, რომ სანქციების დაწესებამდე ანტაგონისტურად განწყობილი ქვეყანა, არ წავა დათმობაზე სანქციების დაწესების შემდგომ და არ შეიცვლის მის პოლიტიკურ ქცევას.

განსხვავებით მდგომარეობისგან, სადაც ქვეყნის სასიცოცხლო ეროვნულ ინტერესებს არ ემუქრება საფრთხე, თანამშრომლობა იწვევს გარკვეულ სასიცოცხლო ეროვნულ ინტერესთა უზრუნველყოფას, რის გამოც არსებობს კეთილგანწყობილი დამოკიდებულება. შესაბამისად, სანქციების დაწესების ეპიზოდში არ წარმოიქმნება დაპირისპირების საფრთხე. ასეთ შემთხვევაში, სამიზნე მხრიდან აბსოლუტურ მოგებაზე

ორიენტირება და სანქციების დროს დათმობაზე წასვლა არ ეწინააღმდეგება მის უპირველეს მოვალეობას, დაიცვას სასიცოცხლო ეროვნული ინტერესები.

შემდგომ ეტაპზე, დამოკიდებული ცვლადის ოპერნაციონალიზაციის დროს წარმოჩნდება, ის, თუ რამდენად მიესადაგება ეს დაშვება ნაშრომში არსებულ შემთხვევებს. ვარაუდის დადასტურება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ საქართველო არ დათანხმდება რუსეთის მოთხოვნას და არ შეიცვლის მის პოლიტიკურ ქცევას, ხოლო მოხდება თურქეთის პოლიტიკური ქცევის ცვლილება.

3.3.1. სანქციების დაწესებით მიღებული შედეგი საქართველო

რუსეთი ეტაპობრივად დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს საქართველოსადმი სხვადასხვა ფაქტორით ხსნიდა ქართული პროდუქციის სტანდარტებთან და ნორმებთან შეუსაბამობა, კომერციული მოტივებით ბუნებრივ აირზე ფასის გაზრდა. ქართველების დეპორტაცია, როგორც არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ მიმართული კამპანია. გადაადგილების აკრძალვა, როგორც პასუხი რუსი სამხედროების არალეგალურ დაკავებაზე. საქართველოს მთავრობას მიაჩნდა, რომ ეს წარმოადგენდა მიზანმიმართულ ზეწოლას, რათა მათ უარი ეთქვათ დასავლურ სტრუქტურებში გაწევრიანებაზე და დარჩენილიყვნენ რუსეთის გავლენის სფეროში. შესაბამისად, როდესაც საქართველოს მთავრობა აღმოჩნდა რუსეთის ეკონომიკური წნეხის ქვეშ, მას ჰქონდა ორი ძირითადი არჩევანი, შეგუებოდა სანქციებს, დროებით მაინც შეეწყვიტა აქტიური სწრაფვა ევროკავშირისკენ და NATO-სკენ, დაეწყო მოლაპარაკებები რუსეთის მთავრობასთან ექსპორტის შეზღუდვების მოხსნაზე და ბუნებრივი აირის ტარიფების შემცირების თაობაზე. მეორე გზა გულისხმობდა, რომ ის არ უნდა შეგუებოდა სანქციებს, გაეგრძელებინა მცდელობა, რომ გამხდარიყო წევრი NATO-სა და ევროკავშირის, მოემიებინა ახალი პარტნიორები, გაეღრმავებინა არსებულ პარტნიორებთან სავაჭრო ურთიერთობები, ეპოვნა ალტერნატიული გზები ენერგოდამოკიდებულების შესამცირებლად, საგარეო ვაჭრობის დივერსიფიკაცია მოეხდინა.

ნაშრომის ამ ნაწილში წარმოდგენილია, სანქციების დაწესების შემდგომ განვითარებული მნიშვნელოვანი პროცესების მოკლე აღწერა. ამის პარალელურად, მიხეილ სააკაშვილის განცხადებების ანალიზი, რადგან ამ პერიოდში სწორედ მისი განწყობები და განცხადებები აღწერდა ყველაზე კარგად მმართველი ელიტის განწყობას სანქციებისადმი. შესაბამისად, მისი პოზიციის ცვლილება/უცვლელობა გამოსვლებში, ყველაზე კარგად ასახავს მთლიანი ქვეყნის პოლიტიკური ქცევის ცვლილებას/შეუცვლელობას.

2006	22 იანვარი	რუსეთის ტერიტორიაზე ორი გაზსადენის აფეთქება და გაზის შეწყვეტა, საქართველოს მთავრობამ საბოტაჟის აქტად მიიჩნია.
2006	22 იანვარი	საქართველოს დასავლეთით მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზის დაზიანებამ გამოიწვია თბილისის მომარაგების გარეშე დარჩენა, რუსეთიდან გაზის მიწოდების შეწყვეტის პარალელურად.
2006	30 იანვარი	ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ კოსოვოს სტატუსი უნდა მისადაგებოდა პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული კონფლიქტების მოგვარებას.
2006	14 თებერვალი	საქართველოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ 2008 წელს საქართველოს ქონდა შანსი გაწევრიანებულიყო NATO-ში.
2006	27 მარტი	გენადი ონიშჩენკომ რეკომენდაცია მისცა ქვეყნის საბაჟო სამსახურს საქართველოდან და მოლდოვადან ღვინის იმპორტის აკრძალვის თაობაზე.
2006	30 აპრილი	სენაკში NATO-ს სტანდარტების შესაბამისი სამხედრო ბაზა გაიხსნა.
2006	13 ივნისი	რუსეთ-საქართველოს პრეზიდენტები შეხვედრა სანქტ-პეტერბურგში.
2006	27 სექტემბერი	საქართველოს მთავრობამ დააკავა 4 რუსი ოფიცერი და მათი მოკავშირე 11 საქართველოს მოქალაქე.
2006	27 სექტემბერი	რუსი ოფიცრების დაკავებას რუსეთის პრეზიდენტმა უწოდა ტერორიზმი, მძევლების აყვანით.
2006	3 ოქტომბერი	რუსეთმა საქართველოსთან შეწყვიტა საავიაციო, საავტომობილო,

		საზღვაო და სარკინიგზო მიმოსვლა.
2006	ოქტომბერი	რუსეთიდან მოხდა ქართველების მასობრივი დეპორტაცია.
2006	ოქტომბერი	დეპორტაციის პროცესს შეეწირა ორი საქართველოს მოქალაქის სიცოცხლე
2006	6 დეკემბერი	პრეზიდენტისგან, რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ მიიღო მოწოდება ცხინვალის და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რეგიონების აღიარებისკენ.
2007	11 თებერვალი	აფხაზეთში ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები, რომელსაც საქართველოს ცენტრალურმა მთავრობამ არალეგიტიმური უწოდა.
2007	14 თებერვალი	რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ აფხაზეთის ადგილობრივი არჩევნები შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. ამ განცხადებას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამორალური უწოდა.
2007	23 თებერვალი	სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის პოზიტიური ძვრები შეინიშნებოდა.
2007	11 მარტი	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, დაიბომბა ზემო აფხაზეთის(კოდორის) ტერიტორია. პრეზიდენტ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ეს იყო მიზანმიმართული პროვოკაცია.
2007	27 ივნისი	ახალქალაქის სამხედრო ბაზა ოფიციალურად გახდა საქართველოს საკუთრება, შესაბამისად რუსმა ოფიცრებმა დაცალეს ბაზა.
2007	7 აგვისტო	რუსულმა მოიერიშე თვითმფრინავმა შიდა ქართლის რეგიონში, წითელუბანთან მართვადი „ჰაერი-მიწის“ ტიპის რაკეტა ჩამოაგდო, რომელიც არ გააქტიურდა. რუსეთმა უარყო მომხდარი, უცხოელმა ექსპერტებმა დაადასტურეს რუსული თვითმფრინავი შემოჭრა საქართველოს ტერიტორიაზე.
2007	30 ოქტომბერი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, აფხაზეთთან, სოფელ განმუხურში, რუსმა სამხედროებმა დაარბიეს პატრიოტთა ბანაკი, ცემეს და დაატყვევეს ქართველი პოლიციელები.
2008	9 იანვარი	საქართველომ რუსეთს ურთიერთობის აღდგენისკენ მოუწოდა.

2008	16 იანვარი	მიხეილ სააკაშვილმა ინაუგურაციის ცერემონიაზე მოიწვია ვლადიმერ პუტინი, ცერემონიალს დაესწრო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.
2008	31 იანვარი	საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ხუთწლიანი პროგრამა, სადაც მთავარი საკითხი იყო რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება.
2008	3 აპრილი	ბუქარესტის სამიტზე NATO-მ უარი უთხრა საქართველოს წევრობის სამოქმედო გეგმის მიღებაზე, თუმცა გასცა გარანტია, რომ ის გახდებოდა NATO-ს წევრი.
2008	16 აპრილი	რუსეთის პრეზიდენტმა დაავალა მთავრობას, რომ ოფიციალური ურთიერთობები დაემყარებინათ თვითგამოცხადებული ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის შესაბამის ორგანოებთან. საერთაშორისო ორგანიზაციებმა დაგმეს გადაწყვეტილება და მოუწოდეს შეცვლისკენ.
2008	6 ივნისი	საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და რუსეთის ახალი პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი სანქტ-პეტერბურგში შეხვდნენ ერთმანეთს.
2008	8 ივლისი	საქართველოს საჰაერო სივრცე ოთხმა რუსულმა თვითმფრინავმა დაარღვია. რაც აღიარა რუსეთმა. რის შემდგომაც საქართველომ მოსკოვიდან ელჩი გამოიწვია და საერთაშორისო დახმარება ითხოვა.
2008	29 ივლისი	ქართული მხარის ცნობით, ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის ზონაში მდებარე ქართულ საგუშაგოებს შეიარაღებულმა ნაწილებმა ცეცხლი გაუხსნეს.
2008	1 აგვისტო	კონფლიქტის ზონაში 5 ქართველი პოლიციელი დაიჭრა.
2008	2 აგვისტო	ოსურმა და ქართულმა მხარეებმა ცეცხლის გახსნაში ერთმანეთი დაადანაშაულეს. რაზეც რუსეთის საჰაერო-სადესანტო ძალების მეთაურმა განაცხადა, რომ ის არ დაუშვებდა მისი მოქალაქეების შევიწროვებას ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე.
2008	3 აგვისტო	რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ცხინვალის რეგიონში ფართომასშტაბიანი კონფლიქტის საფრთხე რეალური

		არსებობდა.
2008	4 აგვისტო	ცხინვალის რეგიონის თვითგამოცხადებულმა ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ დაიწყო „ევაკუაცია“, ჩრდილოეთ ოსეთში კი ამბობენ, რომ გაცვლითი პროგრამით დასასვენებლად ჩაიყვანეს.
2008	7 აგვისტო	ცხინვალის რეგიონის დე-ფაქტო ხელისუფლებამ განაცხადა, რომ კონფლიქტის ზონაში შუალამისას და გამთენიისას მომხდარი ინტენსიური სროლების შედეგად თვრამეტი ადამიანი დაშავდა ოსური მხრიდან. საპასუხოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ 6 აგვისტოს საღამოდან ოსმა სეპარატისტებმა განახორციელეს სოფელ ერედვის, ფრისის, ავნევის, დვანის და ნულის დაბომბვა, დაიჭრა ორი ქართველი.
2008	8 აგვისტო	სააკაშვილმა განაცხადა, რომ ქართული ძალები აკონტროლებენ

* (liberali.ge, 2009)

2006 წლის 19 იანვარს, საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი, გამოვიდა სიტყვით ენერგეტიკის საბჭოს სხდომაზე, სადაც გამოკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი ენერგო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. პირველ რიგში, მან განაცხადა, რომ რუსეთმა გაზზე ტარიფების ორჯერ გაზრდით ამუშავა ენერგეტიკული ბერკეტები, რაც პოლიტიკური მიზნების მიღწევას ემსახურებოდა. ამავდროულად, დასძინა, რომ დამოკიდებულება რუსეთზე წარმოადგენდა საფრთხეს, იმდენად, რამდენადაც ის დამოკიდებული იყო პოლიტიკურ რყევებზე. წარმოქმნილი პრობლემის მოსაგვარებლად, მან სამომავლო დივერსიფიკაცია მთავარ მიზნად გამოაცხადა. ამ მიმართულებით კი მუშაობა დაიწყო მეზობელ აზერბაიჯანთან და თურქეთთან. სამომავლოდ ელექტროენერჯის მიმართულებით დამოუკიდებლობის მთავარ წყაროდ დაასახელა ჰესები. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტი აუცილებლად მიიჩნევდა რუსეთთან მუშაობას ცივილიზებული ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად (სააკაშვილი, გამოსვლა ენერგეტიკის საბჭოს სხდომაზე, 2006).

2006 წლის 22 იანვარს, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა საგანგებო განცხადება, რომ რუსეთის მხრიდან ბოლო თვეების განმავლობაში მუდმივი ზეწოლის შემდგომ, მან ქვეყნის ენერგოსისტემაზე საბოტაჟი განახორციელა და ცივ ზამთარში ქვეყნის მოსახლეობა გაზის გარეშე დატოვა. ეს ქმედება კი ემსახურებოდა შანტაჟს და მცდელობას, რუსეთის ხელში აღმოჩენილიყო საქართველოს გაზის ტრანსპორტირების სისტემა. რაზეც საქართველო არ იყო თანახმა. პრეზიდენტის განცხადებით, რუსეთი მუქარით და დაშინებით ვერ მიაღწევდა თავის მიზანს. საქართველოს მთავრობა კი გააკეთებდა ყველაფერს, რომ მსგავსი შანტაჟი აღარ განმეორებულიყო (სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საგანგებო განცხადება, 2006).

ამავე დღეს, პრეზიდენტი სიტყვით გამოვიდა უშიშროების საბჭოს სხდომაზე, სადაც განაცხადა, რომ რუსეთის მხრიდან ერთდროულად გაზის და დენის გათიშვა იყო “ყველაზე კატასტროფული სცენარი”, რომლის განხორციელებაც მათ შეეძლოთ, თუმცა, მთავრობა ამისთვის ემზადებოდა. გამოსავალი პრეზიდენტმა დაინახა ირანიდან ალტერნატიული გაზის მიღებით აზერბაიჯანის გავლით, ხოლო დენის მიწოდების თურქეთიდან. ამავე სხდომაზე პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, აზერბაიჯანის დიდი წვლილი პრობლემასთან ბრძოლაში. ასევე, გამოყო არსებული საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობის დიდი როლი. ასევე, "შაჰდენიზის პროექტის" ამუშავების დაჩქარება მიიჩნია მთავარ პრიორიტეტად (სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა უშიშროების საბჭოს სხდომაზე, 2006).

22 იანვარს პრეზიდენტმა სააკაშვილმა გაზსადენების აფეთქებასთან დაკავშირებით კომენტარი ტელეკომპანია „BBC“-სთან გააკეთა, სადაც რუსეთი არასაიმედო პარტნიორად მოიხსენია. სააკაშვილის განცხადებით, ეს აქტი ემსახურებოდა საქართველოს დასჯას მის მიერ არჩეული, პროდასავლური დემოკრატიული კურსის გამო (სააკაშვილი, გაზსადენის აფეთქებასთან დაკავშირებით ტელეკომპანია ”ბი-ბი-სი“-სთვის გაკეთებული კომენტარი, 2006).

26 იანვარს სააკაშვილმა გააკრიტიკა რუსეთი და მის მეთოდებს “უხეში” უწოდა. ასევე, დასძინა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა სამი კომპონენტისგან შედგებოდა, ეს იყო ენერგეტიკული და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, რასაც აუცილებლად მიაღწევდა საქართველო. მეორე კომპონენტად გამოყო ტერიტორიული დამოუკიდებლობა, სადაც მთავარ მოკავშირეებად ამერიკა და ევროკავშირი გამოყო. მესამე კომპონენტად კი NATO-ს წევრობა გამოარჩია (სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საგანგებო განცხადება, 2006).

30 იანვარს, საგანგებო განცხადებისას, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ “აფეთქებების მიზანს წარმოადგენდა საქართველოს დემორალიზაცია და მსოფლიოს თვალში მისი სუსტად წარმოჩენა. მიუხედავად ამისა, საბოტაჟმა საპირისპირო შედეგი გამოიღო,” სააკაშვილის თქმით, ადმინისტრაციამ, ენერგობლოკადის ფონზე, ალტერნატიული გზების მოძიება თურქეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან დაიწყო. სამომავლო გეგმად პრეზიდენტმა გამოაცხადა რუსული გაზის ხვედრითი წილის შემცირება, რის შედეგადაც საბოტაჟის ცდუნება შემცირდებოდა რუსეთის მხრიდან (სააკაშვილი, საგანგებო განცხადება, 2006).

2006 წლის 14 თებერვალს, სააკაშვილმა განაცხადა, რომ მალე საქართველოს საზღვარი, იქნებოდა NATO-ს საზღვარი, ხოლო ქვეყნის შიგნით არ იყო ეთნიკური კონფლიქტები, არამედ ტერიტორიული კონფლიქტები, იმაზე, თუ სად დამთავრდებოდა ყოფილი იმპერიის საზღვრები (სააკაშვილი, ყოველწლიური შემაჯამებელი მოხსენება პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე, 2006).

საქართველოს უსაფრთხოების ფორუმზე, 18 თებერვალს, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საქართველო ემსგავსებოდა დემოკრატიულ თანამეგობრობას, ხოლო მათ, ვისაც არ უნდოდა NATO-ს გაფართოება პროტესტი ორჯერ ღიად გამოხატა. პრეზიდენტის თქმით, რუსეთის მხრიდან პროვოკაციები სამომავლოდაც მოსალოდნელი იყო, რასაც საქართველო არ შეუშინდებოდა, რადგან მას სურდა საერთაშორისო უსაფრთხოებისა და დემოკრატიულ სახელმწიფოთა პოლიტიკური მოკავშირე ყოფილიყო (სააკაშვილი, გამოსვლა საქართველოს უსაფრთხოების ფორუმზე, 2006).

21 თებერვალს, უშიშროების საბჭოს სხდომაზე სააკაშვილმა განაცხადა, რომ “რუსეთის ქცევა იყო არაადეკვატური, როდესაც მას დაურეკა პრეზიდენტმა პუტინმა, საქართველოს პრემიერი მიიწვია მოსკოვში, შემდგომ გადადო ეს შეხვედრა.” ამასთან ერთად, აღნიშნა, რომ რუსეთმა გაამკაცრა სავიზო რეჟიმი, მათმა ვერტმფრენებმა დაარღვიეს საჰაერო სივრცე, რისი დამამტკიცებელი მასალებიც გააჩნდა საქართველოს. რუსეთის ქცევას „არასერიოზული“ უწოდა და ხაზი გაუსვა ევროკავშირის და ამერიკის მხარდამჭერის უდიდეს მნიშვნელობას (საკაშვილი, განცხადება უშიშროების საბჭოს სხდომაზე, 2006).

14 მარტს, საქართველოს პრეზიდენტმა, თურქეთის პრეზიდენტისადმი წარმოთქმულ მისასალმებელ სიტყვაში გამოთქვა მაღლიერება NATO-ში გაწევრიანების მხარდაჭერისთვის. აღნიშნა, რომ NATO-სთან დაახლოება და ინტეგრაცია, საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი იყო (საკაშვილი, მისასალმებელი სიტყვა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის აჰმეთ ნეჯდეთ სეზერის მიმართ, 2006).

3 აპრილს მიხეილ სააკაშვილი სიტყვით გამოვიდა საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც საქართველოსა და რუსეთს შორის ბაზების გაყვანის თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას ისტორიული მნიშვნელობის უწოდა. ამავდროულად, დასძინა, რომ კონსტრუქციული და კეთილმეზობლური ურთიერთობებისთვის, რუსეთთან საქართველოს მხრიდან ბევრი ნაბიჯი გადაიდგა. აღნიშნული პროცესების წარმატების პირველ წყაროდ თანმიმდევრული დიპლომატიური მუშაობა დაასახელა. გამოსვლის ბოლოს კი განაცხადა, რომ საქართველო გათავისუფლდებოდა ყველა იმ განვითარების შემაფერხებელი ჯაჭვისგან, რომელიც მას ევროპაში ინტეგრაციისგან აშორებდა (საკაშვილი, გამოსვლა საგარეო საქმეთა სამინისტროში, 2006).

25 წლის აპრილში პრეზიდენტი კვლავ გამოყოფდა იმ პრობლემას, რომელიც შეექმნა საქართველოს რუსულ გაზზე ტარიფის გაორმაგების შედეგად. ამის მიზანს კი, პრეზიდენტის განცხადებით, წარმოადგენდა რუსეთის სურვილი, რომ ყველა ქართული ოჯახი დასჯილიყო ქვეყნის დამოუკიდებელი კურსის გამო. პრობლემის მოგვარების გზად ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა დაასახელა, რათა ქვეყანა აღარ ყოფილიყო

დამოკიდებული პოლიტიკურ შანტაჟზე (სააკაშვილი, ენერგეტიკული კომისიის სხდომა, 2006).

2006 წლის 14 ივნისს გაიმართა საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების ერთობლივი ბრიფინგი, სადაც საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ის მიესალმებოდა კონსტრუქციულ და ღია დიალოგს რუსეთთან, ხოლო კონფლიქტის საკითხი წარმოადგენდა, ყველაზე მწვავე, პრობლემურ და ძირითადად განსახილველ თემას, სადაც საქართველოს გააჩნდა პრინციპული პოზიციები და ნორმები, რომლებიც ყველას უნდა გაეთვალისწინებინა. სააკაშვილმა გამოთქვა მწუხარება საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე ანექსიის გამო, რაც წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების უგულვებელყოფას. ასევე, შეეხო რუსეთის მხრიდან ღვინის ექსპორტის აკრძალვის თემას და დასძინა, რომ ალტერნატივად საქართველომ ევროპული ბაზარი აირჩია. ამავე ბრიფინგზე რუსეთის პრეზიდენტმა გამოთქვა სიხარული, რომ საქართველომ მიიღო მოწვევა და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გამოსწორებაზე ორიენტირებული დიალოგი მნიშვნელოვნად მიიჩნია. წინა პლანზე დააყენა ეკონომიკური საკითხები, ხაზი გაუსვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო რუსეთიდან შემოსული პირადი გადარიცხვები და ასევე, პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში. პუტინმა განაცხადა, რომ მიუხედავად არსებული მდგომარეობისა, აუცილებელი იყო ამ ურთიერთობების ნორმალიზება. რუსეთის პრეზიდენტი, ასევე, შეეხო გაყინულ კონფლიქტებს, განაცხადა, რომ ეს პრობლემა ვერ მოგვარდებოდა მოკლევადიანი დიალოგისას, საჭიროებდა მუშაობას და საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების გათვალისწინებას გაეროს წესდების მიხედვით. თუმცა აღნიშნა, რომ გასათვალისწინებელი იყო პოლიტიკური მიზანშეწონილობა და ისტორიული ფაქტორები მრავალ პარტნიორთან დისკუსიის დროს. ღვინის საკითხთან მისი პოზიცია კვლავ უცვლელი იყო, რომ აქ მთავარ პრობლემას წარმოადგენდნენ ფალსიფიკატორები. ხოლო საქართველოს ელექტროენერჯით მომარაგება რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებში შედიოდა (მიხეილ სააკაშვილი, ვლადიმერ პუტინი, 2006).

ამავე წლის, 7 ივლის საქართველოს პრეზიდენტი სიტყვით გამოვიდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პრეზენტაციაზე და განაცხადა, რომ ეს პროექტი წარმოადგენდა ამ ქვეყნების სამომავლო თავისუფლების, დამოუკიდებლობის და წარმატების მყარ საფუძველს და ეს წარმოადგენდა იმ ზღვარს, სადაც მთავრდებოდა ამ ქვეყნებზე პოლიტიკური ზეწოლის განხორციელების საშუალება კონფრონტაციული და დიქტატის მეთოდებით (სააკაშვილი, გამოსვლა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პრეზენტაციაზე, 2006).

23 სექტემბერს, საქართველოს პრეზიდენტი სიტყვით გამოვიდა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის ყოველწლიურ 61-ე სესიაზე და განაცხადა, რომ საქართველო წარმოადგენდა ისტორიულად ევროპულ ქვეყანას, შესაბამისად მის მიზანს წარმოადგენდა გამხდარიყო ღირსეული წევრი ევროპული ოჯახის (სააკაშვილი, გამოსვლა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის ყოველწლიურ 61-ე სესიაზე, 2006).

2006 წლის 14 ოქტომბერს პრეზიდენტმა სიტყვით მიმართა რუსეთის ფედერაციაში მცხოვრებ ქართველებს, ისაუბრა რუსეთში გამძაფრებულ ტენდენციაზე, რომ ეთნიკური ნიშნის მიხედვით შელახულიყო ქართველების უფლებები, ასევე ისაუბრა მიმდინარე დეპორტაციის სიმწვავეზე. ამის ფონზე მოუწოდა მათ დაბრუნებულიყვნენ საკუთარ სამშობლოში (სააკაშვილი, საგანგებო მიმართვა რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები თანამემამულეებისადმი, 2006).

19 ოქტომბერის ბრიფინგზე, პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ მიუხედავად ზეწოლისა, ევროკავშირმა საქართველო ჩააყენა პრიორიტეტულ თემებს შორის, გამხედავად მოახდინა რეაგირება რუსულ-ქარულ დაძაბულ სიტუაციაზე და ყურადღება გაამახვილა უკანონო სანქციებზე რუსეთის მხრიდან. პრეზიდენტმა ასევე გამოთქვა მოლოდინი, რომ ევროპას ექნებოდა კატეგორიული პოზიცია ადამიანის უფლებების შელახვის ფაქტებზე. ამავდროულად ის გამოთქვამდა სურვილს რუსეთთან კონსტრუქციული დიალოგის შესახებ (სააკაშვილი, ბრიფინგი, 2006).

28 ოქტომბერს ღვინის ქარხნის პრეზენტაციაზე სააკაშვილმა ისაუბრა ემბარგოს წარუმატებლობაზე საქართველოსთან მიმართებით, რომ ამ ფაქტმა ვერ შეაჩერა საქართველო და მან მოიპოვა ახალი ბაზრები. ასევე აღშფოთება გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რაც გაუკეთა და რის გაკეთებასაც აგრძელებდა რუსეთი საქართველოსთვის (სააკაშვილი, ახმეტის რაიონში ღვინის ქარხნის პრეზენტაცია, 2006).

2006 წლის 14 ნოემბერს, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ტრიბუნიდან მიმართა ევროპარლამენტს, განაცხადა, რომ საქართველოს ევროკავშირის წევრობა წარმოადგენდა ქვეყნის გრძელვადიან მიზანსა და წინსვლის ერთადერთ გზას, რაც წარმოადგენდა ქართველი ხალხის არჩევანს. ეს ყოველივე, კი სააკაშვილის განცხადებით ნიშნავდა, კვლავ მოქმედი, ძველი გავლენის სფეროდან თავის დაღწევას. პრეზიდენტის თქმით, საქართველო არ აპირებდა ყოფილიყო შემინებული და სუსტი სატელიტი, მიუხედავად იმისა, რომ ის ისჯებოდა, იმის გამო, რომ მან აირჩია ევრო-ატლანტიკურ ინსტიტუტებში გაწევრიანება. სააკაშვილმა რუსეთის ქმედებებს უწოდა ბლოკადა და ისაუბრა ისეთი ბერკეტების ამოქმედებაზე, რომელიც მოიცავდა ცალმხრივი ექსპორტის, სატრანსპორტო და საფოსტო კავშირების აკრძალვას, საქართველოს მოქალაქეების მასობრივ შევიწროვებას, დეპორტაციას და ბუნებრივ აირზე საფასურის მნიშვნელოვან გაძვირებას. ასევე, პრეზიდენტმა განმარტა, რომ საქართველო, როგორც ევროპული, დემოკრატიული ქვეყანა, გამოსავლად მიიჩნევდა ურთიერთობების ნორმალიზაციას დიალოგის მეშვეობით. ხოლო საკუთრივ ემბარგოსთან გამკლავება, მისი აზრით მოხდებოდა თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის მეშვეობით (სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტის ბატონი მიხეილ სააკაშვილის მიმართვა ევროპარლამენტისადმი, 2006).

2007 წლის 31 იანვარს პრეზიდენტმა სააკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ რუსულ გაზს ჰქონდა პოლიტიკური ფასი (სააკაშვილი, მთავრობის სხდომა, 2007).

12 მარტს, უშიშროების საბჭოს სხდომაზე, გააკეთა განცხადება კოდორში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, რომ მიუხედავად მიზანმიმართული პროვოკაციებისა, საქართველოს კურსი კვლავ იქნებოდა სტაბილური და საქართველო გააგრძელებდა ევრო-

ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირებას (სააკაშვილი, ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა, 2007).

ამავე წლის 20 აპრილს პრეზიდენტმა გახსნა NATO-ს საპარლამენტო ასამბლეის 65-ე სემინარი და გამოთქვა იმედი, რომ საქართველო გახდებოდა NATO-ს წევრობის ოფიციალური კანდიდატი და ქვეყნის მოსახლეობისთვის, გაზის ფასი ვერ იქნებოდა ის ფაქტორი, რომელიც შეცვლიდა დასახულ მიზანს (სააკაშვილი, NATO-ს საპარლამენტო ასამბლეის 65-ე „როუზ-როსის“ სემინარი, 2007).

2008 წლის იანვარში პრეზიდენტმა სააკაშვილმა ფიცის დადების ცერემონიალზე (სააკაშვილი, ფიცის დადების საზეიმო ცერემონიალი, 2008) და შემდგომ, ევროპის საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას, დაადასტურა ქართველი ხალხის ურყევი ნება NATO-ში გაწევრიანების თაობაზე და რომ ის ამავდროულად, სთავაზობდა ჩრდილოელ მეზობელს თანამშრომლობას. ასევე დასძინა, რომ საქართველოს მიზნების განხორციელება არ მოხდებოდა, მეზობელი ქვეყნების ინტერესების აბსოლუტური უგულველყოფის ხარჯზე (სააკაშვილი, გამოსვლა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე, 2008).

8 მარტს გამართულ ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე, სააკაშვილმა მოსკოვის მხრიდან აფხაზეთისთვის ეკონომიკური სანქციების მოხსნას ამორალური, უკანონო, უკიდურესი პროვოკაცია უწოდა და ეს ფაქტი დაუკავშირა კოსოვოს აღიარებას. რაც, პრეზიდენტის აზრით სამწუხარო იყო იმ ფონზე, როდესაც საქართველო დგამდა ნაბიჯებს ორმხრივი ურთიერთობის გაუმჯობესებისკენ. სააკაშვილმა, რუსეთის ფედერაციას დააკისრა ყოველგვარი პასუხისმგებლობა შედეგებზე, იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა აფხაზეთის მილიტარიზაცია. პრეზიდენტის განცხადებით ეს წარმოადგენდა საქართველოს და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების უგულველყოფას, რასთან გასამკლავებლადაც, მისი აზრით აუცილებელი იყო პროცესებში საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გასაწევრიანებელი კურსის გაგრძელება (სააკაშვილი, ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა, 2008).

NATO-ს სამიტზე გამგზავრების წინ პრეზიდენტმა სააკაშვილმა 1 აპრილს გაკეთებულ განცხადებაში გამოყო საქართველოს ძირითადი პრიორიტეტები. მათ შორის საქართველოს თავისუფლება და საზღვრების ურღვეობა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, საქართველოს ეტაპობრივი, მიზანმიმართული დაახლოება NATO-სთან და ევროპასთან. ამავდროულად რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება, კეთილმეზობლური და თანასწორი ურთიერთობების ფარგლებში (საკაშვილი, განცხადება, 2008).

2008 წლის 21 აპრილს, საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის საგანგებო განცხადებაში, ნათქვამი იყო, რომ რუსეთის ფედერაციამ განახორციელა აგრესიული ნაბიჯები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ, რაც გამოიხატებოდა საჰაერო სივრცის დარღვევაში, რის დროსაც მათ იერიში მიიტანეს კონფლიქტის ზონაზე, განახორციელეს საჰაერო შეტევა საქართველოს კუთვნილ უპილოტო შეუიარაღებელ თვითმფრინავზე, განახორციელეს სარაკეტო დარტყმები განმუხურის მიმდებარე ტერიტორიაზე, რაც წარმოადგენდა საერთაშორისო აგრესიის აქტს და გაეროს წესდების უხეშ დარღვევას. გარდა ამისა, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ბევრად უფრო საგანგაშო ფაქტს წარმოადგენდა რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის დეფაქტო ანექსიის დაკანონება. რის მიხედვითაც ფედერაცია აღარ აღიარებდა ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის მიმართულებით საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციას. სააკაშვილმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო საზოგადოებისგან ამ აქტს მწვავე რეაგირება მოჰყვა. ამასთან ერთად, საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ პროვოკაცია მხოლოდ გამაძლიერებელ ფაქტორს წარმოადგენდა საქართველოსთვის, რომ გაეგრძელებინა საკუთარი კურსი (საკაშვილი, საგანგებო განცხადება, 2008).

6 ივნისს, პრეზიდენტ სააკაშვილისა და ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის საგერო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში, ხავიერ სოლანას ერთობლივი პრესკონფერენციის დროს, ხავიერ სოლანამ განაცხადა, რომ მათ ამოცანას წარმოადგენდა, რუსეთის ბოლო დროინდელი ქმედებებით გამოწვეული ჩიხის დაძლევა. იმავე დღეს, გაახმოვანა ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია, სადაც საუბარი იყო

არსებული სამშვიდობო ფორმატის და სამშვიდობოების ჩანაცვლების შესახებ. პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განცხადებით პირობები ნათელი იყო და მოიცავდა უკანონოდ შემოყვანილი ფორმირებების უკან გაწვევას. სოლანას განცხადებით, მათთვის უმნიშვნელოვანესი იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების დადგენა (მიხეილ სააკაშვილი, ხავიერ სოლანა, 2008).

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გამართულ უშიშროების სხდომაზე, 2008 წლის 8 ივლისს, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ცხინვალის რეგიონში შექმნილი ვითარება იყო საგანგაშო და პროვოკაციული. ჯარისკაცების დაკავება უკანონო ქმედება. ხოლო ეს ძალადობრივი აქტები, მისი აზრით ემსახურებოდა მთავარი თემიდან ყურადღების გადატანის მცდელობას. ეს თემა კი იყო, რუსეთის ფედერაციის მხრიდან სამართლებრივი ნორმების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უგულვებელყოფა, მისი უმნიშვნელოვანესი ნაწილის ანექსია და მიტაცების მცდელობა (სააკაშვილი, უშიშროების საბჭოს სხდომა, 2008).

2008 წლის 10 ივლისს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა, კონდოლიზა რაისმა გამართეს ერთობლივი ბრიფინგი. სადაც პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამ ორ ქვეყანას შორის არსებობდა მტკიცე პარტნიორობა და აქტიური მხარდაჭერა, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების კუთხით. რაისის განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატები რჩებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა, დემოკრატიული განვითარების და კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების აქტიური მხარდამჭერი. ხოლო რუსეთის ზოგიერთი ქმედება არ უწყობდა ხელს ამ პროცესების ნორმალიზაციას (მიხეილ სააკაშვილი, კონდოლიზა რაისი, 2008).

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის და საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილი ერთობლივ პრესკონფერენციაზე, 2008 წლის 18 ივლისს, შტაინმაიერმა განაცხადა, რომ გერმანია აქტიურად ჩაერთო რეგიონში მიმდინარე პროცესებში და მის მოგვარებაში. ეს პროცესები, კი საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით გამწვავდა მას შემდგომ, რაც რუსეთმა უარი თქვა ელიარებიან

საქართველო ტერიტორიული მთლიანობა და დაიწყო რეგიონის ინტენსიური მილიტარიზაცია, ეს პროცესები კი საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიურ ჩართულობას საჭიროებდა. პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ გერმანიის ქმედება იყო ოპერატიული და დროული (მიხეილ სააკაშვილი, ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი, 2008).

გარდა მიმდინარე პროცესების და პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადებებისა, მნიშვნელოვანია ამ პერიოდში მიმდინარე სტატისტიკური ინფორმაციის გაანალიზება.

2005 წელს საქართველოს ექსპორტი რუსეთში წარმოადგენდა მთლიანი ექსპორტის 17.8 % (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, 2006), ეს მაჩვენებელი განახევრდა 2006 წელს და შეადგინა 7.6 % (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, 2007), ხოლო 2007 წელს კიდევ უფრო დაბალი 3.7%-იანი ნიშნული აჩვენა (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, 2008). რაც შეეხება იმპორტს 2005 წელს 13,5 % (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, 2006), ამ მონაცემებმა მცირე კლება განიცადა 2006 წელს - 12,5 % (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, 2007), ხოლო 2007 წელს ეს ტენდენცია გაგრძელდა და შეადგინა 11,1% (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, 2008).

რუსეთის, როგორც უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის ჩანაცვლება, ექსპორტით 2006 წელს მოხდა თურქეთით და აზერბაიჯანით, ასევე პირველ ათეულში არსებულ ქვეყნებს დაემატა ამერიკა (5,9%) და გერმანია(4,6%) მაღალი პროცენტული მაჩვენებლებით. (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, 2007), ხოლო 2007 წელს ამერიკის შეერთებული შტატები გახდა რიგით მეორე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი საქართველოსთვის და ექსპორტის მაჩვენებელი შეადგენდა 12.1 %-ს. ამავე წელს რუსეთთან ამ მიმართულებით კიდევ უფრო შეიზღუდა თანამშრომლობა და მან მე-9 ადგილი დაიკავა 3,7 %-ით. პირველ ათეულს დაემატა ყაზახეთი 2,8 %-ით (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, 2008).

რაც შეეხება პროცენტს მთლიან იმპორტში, საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის 2005 წელს ლიდერობდა რუსეთი 15,4%. თურქეთი 11,4, აზერბაიჯანი 9,4 %

(საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, 2006), 2006 წელს საქართველოს იმპორტის მიმართულებით, სავაჭრო პარტნიორებს შორის კვლავ ლიდერობდა რუსეთი 15,2 %, ამ პერიოდში გაიზარდა თანამშრომლობა თურქეთთან და შეადგინა 14,2 % და მესამე ადგილი დაიკავა გერმანიამ 9,5 %-ით (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, 2007). 2007 წელს საქართველოს მთავარი პარტნიორი გახდა თურქეთი 14 %-ით, რუსეთმა გადაინაცვლა მეორე პოზიციაზე 11,1 % და მნიშვნელოვნად გაიზარდა პარტნიორობა უკრაინასთან 11 %, რომელიც ფაქტიურად გაუთანაბრდა რუსეთის მაჩვენებელს (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, 2008).

ანალიზი

პირველადი წყაროების განხილვის მიზანს ნაშრომში, წარმოადგენდა იმის ჩვენება, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით საქართველოს პირველ პირს. ასევე ის, თუ რამდენად მწვავედ აისახა ეკონომიკური სანქციები ქვეყანაზე და რამდენად გამოიწვია მან პოლიტიკური ქცევის ცვლილება. რუსეთისთვის, საქართველოს მხრიდან სასურველი პოლიტიკური ქცევის ცვლილება განხორციელდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ის უარს იტყოდა დასავლურ სტრუქტურებში გაწევრიანებაზე და მეტ აქცენტს გააკეთებდა რუსეთთან თანამშრომლობაზე.

მას შემდეგ, რაც დაიწყო ეკონომიკური სანქციების დაწესება, პრეზიდენტი სააკაშვილი აცხადებდა, რომ რუსეთთან თანამშრომლობა იყო საფრთხის შემცველი. რუსეთის მხრიდან ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებას შანტაჟად და საბოტაჟად აფასებდა. რადგან რუსეთი იყენებდა ენერგეტიკულ ბერკეტებს. პრეზიდენტის რუსეთთან დაკავშირებულ ძირითად გამოსვლებში, იკვეთება, რომ მოსკოვი არ წარმოადგენდა საქართველოსთვის სანდო და შესაბამისად სასურველ პარტნიორს. აუცილებელი იყო ალტერნატიული გზების მოძებნა, დამოკიდებულების შემცირება. მთავარი მიზეზი, რასაც უკავშირებდა ეკონომიკური სანქციების დაკისრებას უკავშირებდა, საქართველოს მიერ არჩეული უცვლელი პროდასავლური კურსი იყო.

ამავდროულად მნიშვნელოვანია 2006 წლის 26 იანვრის გამოსვლა, სადაც პრეზიდენტი საქართველოს დამოუკიდებლობის სამ კომპონენტს გამოყოფს, ენერგეტიკული და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ტერიტორიული დამოუკიდებლობა და NATO-სა და ევროკავშირში ინტეგრაცია.

ის, რომ NATO-ში ინტეგრაცია წარმოადგენდა რუსეთისთვის სასურველ პოლიტიკური ქცევის ცვლილებას, სააკაშვილის გამოსვლებშიც არის ნაჩვენები. აქცენტი ამ საკითხზე განსაკუთრებით გააკეთა, 2006 წლის საგაზაფხულო შემაჯამებელ სესიაზე პარლამენტში. სადაც განაცხადა, რომ რუსეთისთვის მნიშვნელოვანი იყო მისი გავლენის სფეროს გავრცელება, მიუხედავად ამისა საქართველო გაუმკლავდებოდა ბლოკადას და საქართველოს საზღვარი იქნებოდა NATO-ს საზღვარი. ეს ეპიზოდები ნათლად აჩვენებს საქართველოს ანტაგონისტურ დამოკიდებულებას.

დაპირისპირების საფრთხის არსებობაზე მიანიშნებს პრეზიდენტის გამოსვლა 2006 წლის 18 თებერვალს უსაფრთხოების ფორუმზე, სადაც აღნიშნავდა, რომ სამომავლოდ პროვოკაციები რუსეთიდან კვლავ მოსალოდნელი იყო.

გამოსვლებიდან გამოიკვეთა, რომ პრეზიდენტს კონფლიქტური რეგიონები მიაჩნდა ერთერთ მნიშვნელოვან ბერკეტად რუსეთის ხელში. რომელსაც მოსკოვი იყენებდა საქართველოს წინააღმდეგ, რათა შეენარჩუნებინა გავლენის სფეროში.

გამოსვლებში სააკაშვილი ხშირად აკეთებდა აქცენტს, რუსეთთან კონსტრუქციული დიალოგის აუცილებლობის შესახებ. თუმცა საქართველოს ძირითადი პრიორიტეტების გათვალისწინებით. რაც გულისხმობდა ევროპული ოჯახის სრულფასოვან წევრობას და ტერიტორიული დავების მშვიდობიან მოგვარებას.

საკაშვილის გამოსვლები, აჩვენებს, რომ მისი პოზიცია ხდებოდა ყველაზე ხისტი, მაშინ, როდესაც იზრდებოდა ზეწოლა რუსეთიდან. მაგალითად, როდესაც რუსეთმა ხელმეორედ გაზარდა ტარიფი ბუნებრივ აირზე, სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო გახდებოდა ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი და ეკონომიკური იძულებით ამ მიზნის ცვლილება არ მოხდებოდა.

პრეზიდენტი ყოველთვის აღნიშნავდა, რომ რუსეთის მიერ სხვადასხვა ტიპის ზეწოლა მხოლოდ აძლიერებდა საქართველოს და მის სურვილს, გამხდარიყო დასავლური სტრუქტურების წევრი. სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით ნათლად იკვეთება, რომ შეზღუდვების დაწესებიდან მოკლე პერიოდში, საქართველომ მაქსიმალური დივერსიფიკაციის მცდელობა დაიწყო. გაზარდა პარტნიორ სახელმწიფოთა წრე და მაქსიმალურად შეეცადა რუსეთზე დამოკიდებულების შემცირებას. ენერგოუსაფრთხოების კუთხით, მთავარ პარტნიორად აირჩია თურქეთი, აზერბაიჯანი და ირანი, ხოლო საგარეო ვაჭრობის დივერსიფიცირებისთვის ევროკავშირის ქვეყნები.

ამრიგად, სამიზნე ქვეყნის საქართველოს, დამოკიდებულება რუსეთის მიმართ იყო ანტაგონისტური. სანქციების დაწესების შემდგომ წარმოიქმნა დაპირისპირების საფრთხე. ძირითადი პოლიტიკური ქცევა, რისი ცვლილებაც სურდა რუსეთს უკავშირდებოდა საქართველოს სასიცოცხლო ეროვნულ ინტერესებს. არსებული დაპირისპირების საფრთხის გამო საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იყო არა აბსოლუტური მოგება - რასაც მოუტანდა მას ეკონომიკური თანამშრომლობის გაგრძელება რუსეთთან, არამედ ფარდობითი მოგება. რადგან მისთვის პრიორიტეტული იყო ის დანაკარგი, რასაც მიიღებდა ქვეყანა, იმ შემთხვევაში თუ დათანხმდებოდა სანქციებს და შეიცვლიდა პოლიტიკურ ქცევას. სწორედ ეს არის იმის ახსნა, თუ რატომ არ მოხდა საქართველოს პოლიტიკური ქცევის ცვლილება. რაც ნათლად არის ნაჩვენები საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლებში.

3.3.2. სანქციების დაწესებით მიღებული შედეგი თურქეთი

წელი	თვე	ქმედება
2015	სექტემბერი	რუსულმა სამხედრო თვითმფრინავებმა დაბომბეს სირია.
2015	ოქტომბერი	თურქეთმა დაადანაშაულა რუსეთი, რომ მათ სამიზნეს წარმოადგენდა ზომიერი ოპოზიციური ძალები სირიაში.
2015	ოქტომბერი	რუსეთმა ორჯერ დაარღვია თურქეთის საჰაერო სივრცე და მიიღო

		გაფრთხილება.
2015	ოქტომბერი	NATO-მ გამართა საგანგებო შეხვედრა თურქეთის საჰაერო სივრცის დარღვევასთან დაკავშირებით და გააფრთხილა რუსეთი.
2015	ოქტომბერი	რუსეთმა არ გაითვალისწინა გაფრთხილება და თურქეთის საჰაერო სივრცეს მესამედ დაარღვია.
2015	ოქტომბერი	თურქეთმა განაცხადა, რომ მათ ჩამოაგდეს რუსეთის სადაზვერვო დრონი.
2015	ნოემბერი	თურქეთმა უარი უთხრა რუსეთს მისი საჰაერო სივრცის გამოყენებაზე, რომ მიეწოდებინათ იარაღი ირანისთვის.
2015	ნოემბერი	თურქეთმა ჩამოაგდო რუსეთის სამხედრო თვითმფრინავი, რომელმაც კიდევ ერთხელ დაარღვია მისი საჰაერო სივრცე.
2015	ნოემბერი	რუსეთი უწესებს ეკონომიკურ სანქციებს თურქეთს და უკრძალავს ტურ ოპერატორებს თურქეთის მიმართულების ტურების გაყიდვას.
2015	ნოემბერი	თურქეთმა უარი თქვა რუსეთისთვის ბოდიშის მოხდაზე.
2016	ივნისი	თურქეთმა გამოთქვა მწუხარება სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდების გამო. პრეზიდენტმა ერდოღანმა მოიხადა ბოდიში.
2016	აგვისტო	თურქეთის და რუსეთის პრეზიდენტები მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ.

* (Gulf News, 2016).

ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციის ეკონომიკური და კომერციული მუდმივმოქმედი კომიტეტის 31-ე სესიაზე, 25 ნოემბერს, პრეზიდენტმა ერდოღანმა აღნიშნა, რომ დადასტურებული ინფორმაციით, გაფრთხილების მიუხედავად რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა დაარღვია თურქეთის საჰაერო სივრცე, რის შემდეგაც თურქულმა მხარემ ცეცხლი გაუხსნა და ჩამოაგდო თვითმფრინავი. რომლის ზოგიერთი ნაწილი მოხვდა თურქეთის ტერიტორიაზე და დაშავდა ორი თურქეთის მოქალაქე. პრეზიდენტმა დასძინა, რომ ინციდენტის შესახებ მათ მოახდინეს გაეროს უშიშროების საბჭოსა და NATO-ს ინფორმირება (Erdogan, “No one can associate terrorism with Islam”, 2015).

26 ნოემბერს, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ის აგრძელებდა თურქმენებისა და ზომიერი ოპოზიციური ძალების მხარდაჭერას ასადის რეჟიმის წინააღმდეგ (Erdogan, “There is no Daesh in the region, where the Bayırbucak Turkmens live”, 2015).

2015 წლის 27 ნოემბერს პრეზიდენტმა ერდოღანმა ინტერვიუში თქვა, რომ არა თურქეთს, არამედ რუსეთს ჰქონდა ბოდიში მოსახდელი. ხოლო პროცესები რომლებიც განვითარდა შეიარაღებული ძალებისგან წარმოადგენდა მათ მოვალეობას. პრეზიდენტმა, ასევე განაცხადა, რომ ისინი თვითმფრინავის პილოტს 5 წუთის განმავლობაში უშედეგოდ უგზავნიდნენ გაფრთხილებას. თვითმფრინავებმა 17 წამის განმავლობაში გადაკვეთეს თურქეთის საჰაერო სივრცე. ამავდროულად ერდოღანმა განაცხადა, რომ სექტემბრის თვიდან მოყოლებული, მას შემდგომ, რაც რუსეთმა დაიწყო საჰაერო რეიდების განხორციელება სირიაში, მათ ორჯერ დაარღვიეს თურქეთის საჰაერო სივრცე, რის შესახებაც გააფრთხილა რუსეთის პრეზიდენტი G20-ის სამიტზე შეხვედრისას. პრეზიდენტმა, ასევე განაცხადა, რომ ეს იყო სამწუხარო ფაქტი, რადგან ორ ქვეყანას ჰქონდა სტრატეგიული ურთიერთობები. მაშინ როდესაც ევროკავშირის ქვეყნებმა რუსეთს ეკონომიკური სანქციები დაუწესეს, თურქეთმა უზრუნველჰყო მოსკოვი. შესაბამისად, პრეზიდენტი აცხადებდა, რომ ეს ქმედებები წინასწარ არ იყო განზრახული და რუსეთის განცხადებებს განაპირობებდა ემოციური ფონი (Erdogan, “Those who violated our airspace are the ones who need to apologize”, 2015).

27 ნოემბერს პრეზიდენტმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ ეს ქმედება არ უნდა შეფასებულიყო, როგორც ომის აქტი და ეს განხორციელდა სამხედრო ძალების მიერ ავტომატურად, შესაბამისი მოვალეობის გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც მათ უნდა დაეცვათ თურქეთის საჰაერო სივრცე და ეს არ საჭიროებდა დამატებითი ბრძანების მიღებას. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ მათ ექნებოდათ ინფორმაცია, რომ ეს იყო რუსული თვითმფრინავი, შესაძლოა, მათ განსხვავებული გაფრთხილება მიეცათ. აქვე პრეზიდენტმა დასძინა, რომ მათ არ სურდათ დამაბულობა პარტნიორ რუსეთთან, რომელთანაც ჰქონდათ მაღალი რანგის შეხვედრების საბჭო და ძლიერი ეკონომიკური კავშირები. ეს მდგომარეობა საჭიროებდა ორმხრივ საუბარს იმის შესახებ თუ რა, რატომ და როგორ მოხდა.

პრეზიდენტი გამოთქვამდა სურვილს პარტნიორული ურთიერთობის გაგრძელების შესახებ (Erdogan, “No country could ever violate another country’s sovereign rights”, 2015).

ამავე დღეს, პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ მას ესმოდა რუსეთის რეაქცია მომხდართან დაკავშირებით, თუმცა, ყოვლად მიუღებელი იყო პუტინის განცხადება, რომ ეს ქმედება იყო განზრახ განხორციელებული (Erdogan, “This nation has never stabbed anyone in the back”, 2015).

28 ნოემბერს თურქეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ არსებობდნენ ქვეყნები, რომლებიც იქნებოდნენ მოხარული იმ შემთხვევაში, თუ ეს ინციდენტი აისახებოდა ორმხრივ ურთიერთობაზე, თუმცა მიუხედავად ამ სიხარულისა, ეს იქნებოდა მტკივნეული ორივე ქვეყნისთვის, ამავდროულად ერდოღანს მიაჩნდა, რომ გაეროს კლიმატის ცვლილების სამიტი პარიზში იქნებოდა შესაძლებლობა, რომ აღდგენილიყო ურთიერთობები (Erdogan, “The UN Climate Change Summit could be an opportunity to restore our relations”, 2015).

პირველ დეკემბერს გაეროს კლიმატის ცვლილების კონფერენციაზე, პრეზიდენტმა ერდოღანმა, ამერიკის პრეზიდენტთან საუბრის შემდგომ აღნიშნა, რომ დაძაბულობა რუსეთსა და თურქეთს შორის ვნებდა. ორივე ქვეყანას, ხოლო ამ ურთიერთობის გამოსწორება იქნებოდა მშვიდობის მომტანი რეგიონისთვის. ამავდროულად, პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ ის მხარს უჭერდა თურქეთის თავდაცვის უფლებას (Recep Erdogan, Barack Obama, 2015).

2 დეკემბერს პრეზიდენტმა ერდოღანმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მათ არ სურდათ ინციდენტს ზიანი მიეყენებინა სამომავლო ურთიერთობებზე და ამავდროულად აღნიშნა, რომ სამწუხარო იყო რუსეთის არაპროპორციული რეაქცია იმ ინციდენტთან დაკავშირებით, რომელზეც მთელი მსოფლიო თანხმდებოდა, რომ თურქეთი იყო მართალი და ის გამოიყენებდა შესაბამის ზომებს თუ ამგვარი რეაქცია გაგრძელდებოდა. ასევე, გააკრიტიკა, რუსეთი, რომელმაც დააძანაშაულა თურქეთი ტერორისტული ორგანიზაციისგან ნავთობის შესყიდვაში (Erdogan, "Adding fuel to the fire benefits no one", 2015).

თურქეთის სავაჭრო გაერთიანების 22-ე გენერალურ ასამბლეაზე, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ის არ დახუჭავდა თვალებს რეგიონში მიმდინარე პროცესებზე, ხოლო, როდესაც მან კითხა რუსეთის პრეზიდენტს, თუ რას აკეთებდა რუსეთი სირიაში, მიიღო პასუხი, რომ მათ ქონდათ გაეროს ავტორიზაცია, ქვეყნის მმართველი ადმინისტრაციის მხრიდან მიწვევის შემთხვევაში. თუმცა ერდოღანმა განაცხადა, რომ რუსეთი არ უნდა დათანხმებულიყო იმ რეჟიმის მიწვევას, რომელმაც დახოცა ასი ათასობით ადამიანი. ასევე, გააკრიტიკა რუსეთიდან წამოსული ტენდენცია, რომ თურქეთი ყიდულობდა ნავთობს ტერორისტული ორგანიზაციისგან, მაშინ, როდესაც რუსეთს არ ჰქონდა მამტიცივებელი დოკუმენტები და რეალურად ამ ყველაფრის უკან იდგა სირიელი, რუსეთის მოქალაქე (Erdoğan, “Let us walk towards the future not with a post-coup constitution but a national constitution”, 2015).

2015 წლის 5 დეკემბერს თურქეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ რუსეთის მხრიდან, თურქულ პროდუქციაზე უარის თქმა იყო ემოციური რეაქცია. თუმცა, მიუხედავად ამისა, თურქეთისთვის ეს არ წარმოადგენდა პრობლემას და ის საკუთარი პროდუქციისთვის ახალ ბაზარს მონახავდა (Erdoğan, President Erdoğan at Turkey Innovation Week, 2015).

9 დეკემბერს, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხრიდან გაკეთა განცხადება მიმდინარე პროცესებზე. მათ შორის შეეხო რუსეთიდან დაწესებული სანქციების საკითხს. რომელიც თურქეთის გადმოსახედიდან, წარმოადგენდა წინააღმდეგობრივ და არამართებულ საეციელს (Kalın, The Statement of Presidential Spokesperson Ambassador , 2015).

2015 წლის 18 დეკემბერს, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს შეკრებაზე, გაკეთდა განცხადება, რომ რეგიონში არსებული ჰუმანიტარული პრობლემები, მათ შორის, ლტოლვილების საკითხი, განპირობებული იყო იმ ქმედებებით, რასაც ახორციელებდა რუსეთის ფედერაცია რეგიონში. რაც, თავის მხრივ, წარმოადგენდა მიუღებელ ქმედებას თურქეთისთვის და მათი მხრიდან საჭიროებდა ზომების მიღებას (Turkey National Security Council, 2015).

2016 წლის 8 იანვარს მიცემულ ინტერვიუში თურქეთის პრეზიდენტმა ისაუბრა რუსეთის ქმედებებზე სირიაში, გააკრიტიკა რუსეთის განცხადება, რომ სირიაში ლეგიტიმური მთავრობის მიწვევით იყო, რასაც ცნობდა გაეროც, რადგან რუსეთი არ უნდა წასულიყო ყველგან, სადაც მიიწვევდნენ, ასევე, გაიხსენა საქართველოში და უკრაინაში რუსეთის ინტერვენცია, მაშინ როდესაც ამ ორ შემთხვევაში რუსეთი არ იყო მიწვეული და დასძინა, რომ რუსეთი სირიაში ებრძოდა არა ტერორისტებს, არამედ ზომიერ ოპოზიციას და თურქეთის თურქმენ მოკავშირეებს. ასევე გამოთქვა მწუხარება, რომ რუსეთი ცდილობდა მსოფლიოს დეზინფორმაციას, რომელიც საბედნიეროდ არავის სჯეროდა (Erdogan, “Our troops in Bashiqa are prepared for anything”, 2016).

პრეზიდენტმა 4 თებერვალს ხაზგასმით აღნიშნა, რომ სირიელი ლტოლვილების პრობლემა გადაიქცა გლობალურ პრობლემად, იმ ფონზე, რომ რუსეთი ირანთან ერთად განაგრძობდა სირიელი ხალხის დახოცვას (Erdogan, “Humanitarian diplomacy should be the key to international relations”, 2016).

11 თებერვალს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ გაეროს ქმედებები იყო სამარცხვინო, როდესაც ის სთხოვდა თურქეთს გაეხსნა საზღვრები და მიეღო ლტოლვილები, ნაცვლად იმისა, რომ შეეჩერებინა რუსეთი და მისი საჰაერო დაბომბვები (Erdogan, “The UN must stop the ethnic cleansing in Syria instead of making calls to Turkey”, 2016).

2016 წლის 17 თებერვალს ერდოღანმა გააკეთა განცხადება, რომლის მიხედვითაც სირიის კრიზისი შევიდა ჩიხში რუსეთის ინტერვენციის შედეგად და მან აჩვენა საკუთარი იდენტობა, როდესაც მხარი დაუჭირა მკვლელ რეჟიმს. ამავდროულად, დასძინა, რომ მას არ ესმის ამერიკის შეერთებული შტატების, როდესაც ის მხარს უჭერს PYD-ს ტერორისტულ ორგანიზაციას (Erdogan, President Erdogan Addresses District Governors at the Presidential Complex, 2016).

31 მაისს პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ თურქეთი მაქსიმალურად ცდილობდა, შეენარჩუნებინა ინციდენტამდე არსებული მჭიდრო კავშირები რუსეთთან. ამავდროულად არ მიიჩნევდა ლოგიკურად ურთიერთობის მსგავს გამწვავებას პილოტის შეცდომის ან

დანაშაულის გამო. გამოთქვამდა იმედს, რომ სამომავლოდ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები გაუმჯობესდებოდა (Erdogan, “Approval of the bill harms relations”, 2016).

27 ივნისს თურქეთის პრეზიდენტმა გაუგზავნა საჯარო წერილი რუსეთის პრეზიდენტს. ერდოღანი უსამძიმრებდა გარდაცვლილი რუსი მფრინავის ოჯახს და გამოთქვამდა იმედს, რომ ისინი მიუტევებდნენ მათ (Erdogan, President Recep Tayyip Erdogan’s letter to President Vladimir Putin of Russia, 2016).

ამავე დღეს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მას სჯეროდა სამომავლო ურთიერთობების გაუმჯობესების ორ ქვეყანას შორის, რაც გამოიწვევდა ფართო რეგიონულ თანამშრომლობას, რაც აუცილებელი იყო მშვიდობისთვის (Erdogan, President Erdogan Hosts Fast-Breaking Dinner for Merchants and Craftsmen, 2016).

რუსეთის პრეზიდენტთან სატელეფონო საუბრის შემდგომ, ერდოღანმა გააკეთა განცხადება, რომ ორივე ქვეყანა ორმხრივი ურთიერთობის ნორმალიზებისთვის მზად იყო. რაც გულისხმობდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ კრიზისთან დაკავშირებით თანამშრომლობას (Erdogan, Statement on the Phone Conversation with President Vladimir Putin of the Russian Federation, 2016).

4 ივლისს პრეზიდენტი აცხადებდა, რომ გრძელდებოდა ურთიერთობების გაუმჯობესება ისრაელთან და რუსეთთან. რაც იქნებოდა კრიზისის მომგვარებელი სირიაში (Erdogan, President Erdogan’s Message on Eid al-Fitr, 2016).

შემდგომში პრესკონფერენციაზე პრეზიდენტ ერდოღანის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ქვეყნებს შორის მიმდინარე პროცესი ემყარებოდა პრეზიდენტების საერთო შეხედულებებს. ხოლო მას შემდეგ, რაც ორმხრივმა ურთიერთობებმა გაუმჯობესება დაიწყო, რუსმა ტურისტებმა დაუყოვნებლივ განაახლეს ვიზიტები თურქეთში. ამავდროულად განაცხადა, რომ რუსეთი თურქეთისთვის წარმოადგენდა მნიშვნელოვან მეგობარსა და პარტნიორს. რომელთან ერთადაც შესაძლებელი იყო სირიაში არსებული პრობლემების მოგვარება (Kalin, Presidential Spokesperson Ambassador Ibrahim Kalin’s Interview with Russian News Agency TASS, 2016).

2016 წლის 9 აგვისტოს, ორი ქვეყნის პრეზიდენტი შეხვდა ერთმანეთს. სადაც პრეზიდენტებმა ერდოღანმა და პუტინმა გამოთქვეს იმედი, რომ ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდებოდა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უამრავი საკითხი საჭიროებდა ორმხრივ განხილვას (Recep Tayyip Erdoğan, Vladimir Putin, 2016).

ორმხრივ კონფერენციაზე, პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ უმაღლესი შეხვედრები უნდა განახლებულიყო. ამასთან ერთად, პირდაპირი ფრენები. ორმხრივ ვაჭრობაზე შეზღუდვების მოხსნა, უვიზო მიმოსვლის განახლება, თურქული ბიზნესის ხელშეწყობა რუსეთში პრიორიტეტად დაასახელა. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მხარეები შეთანხმდნენ თურქულ-რუსული საერთო საინვესტიციო ფონდის შექმნაზე. ერდოღანმა გამოკვეთა თურქული ბუნებრივი გაზის მილსადენის პროექტის განხორციელების მნიშვნელობა. საბოლოო ჯამში კი მხარეებმა განაცხადეს, რომ ეს ურთიერთობები მნიშვნელოვანი იყო არა მარტო მათთვის, არამედ რეგიონული და გლობალური მშვიდობისა და სტაბილურობისთვის (Recep Tayyip Erdoğan, Vladimir Putin, 2016).

3 სექტემბერს, პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ უმაღლესი რანგის შეხვედვაზე ორ ქვეყანას ჰქონდა პოლიტიკური, ეკონომიკური და რეგიონული ურთიერთობების გადახედვის შესაძლებლობა (Erdoğan, President Erdoğan Meets with President Putin of Russia, 2016).

მსოფლიოს რიგით 23-ე ენერგეტიკის კონგრესზე ხელი მოეწერა ქვეყნებს შორის თურქეთის ბუნებრივი აირის ნაკადის მილსადენების პროექტს. ამავე შეხვედრაზე თურქეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ დღის წესრიგში იყო ენერგეტიკის, ეკონომიკის, ვაჭრობის, თავდაცვის, ტურიზმისა და კულტურის საკითხებზე მოლაპარაკებები. ერდოღანმა განსაკუთრებულად გამოყო სირიის საკითხი და ჰუმანიტარული დახმარება ალექსოში. რუსეთის პრეზიდენტმა, პუტინმა ასევე აღნიშნა, რომ ორმხრივ ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და თურქული პროდუქციის დაბრუნება რუსულ ბაზარზე მათთვისაც მომგებიანი იქნებოდა (Recep Tayyip Erdoğan, Vladimir Putin, 2016).

8 დეკემბერს თურქეთის პრეზიდენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აგრძელებდნენ მოლაპარაკებას რუსეთის ფედერაციასთან ცეცხლის შეწყვეტისა და ალეპოში ჰუმანიტარული დახმარების ჩატანის შესახებ (Kalin, press conference, 2016).

19 დეკემბერს, თურქეთში, რუსეთის ელჩის მკვლელობის გამო პრეზიდენტმა ერდოღანმა გამოთქვა მწუარება. იმედოვნებდა, რომ ეს ფაქტი ნეგატიურად არ აისახებოდა ორი ქვეყნის ურთიერთობებზე. მან გაახმოვანა სატელეფონო საუბარი პრეზიდენტ პუტინთან, რომლის განმავლობაშიც ისინი შეთანხმდნენ, რომ ეს იყო ორი ქვეყნის წინააღმდეგ მიზანმიმართული პროვოკაცია და მხარეები აგრძელებდნენ პოლიტიკური გადაწყვეტილების მოძებნას სირიის საკითხთან დაკავშირებით (Erdoğan, Statement, 2016).

29 დეკემბერს თურქეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სირიის კონფლიქტის გადაწყვეტა აუცილებელი იყო და ეს სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო რუსეთთან ერთად, ამავდროულად ემხრობოდა ასტანას პროცესის გაგრძელებას (Erdoğan, President Erdoğan Addresses Syria Ceasefire with President Putin of Russia, 2016).

2017 წლის 10 მარტს გაიმართა რუსეთ-თურქეთის უმაღლესი დონის თანამშრომლობის საბჭოს შეხვედრა. სადაც ქვეყნების პრეზიდენტები შეხვდნენ ერთმანეთს და განიხილეს ორმხრივი ურთიერთობები, რეგიონალური და საერთაშორისო საკითხები, განსაკუთრებით კი სირია. ასევე, ხელი მოაწერეს რამდენიმე ხელშეკრულებას, რომელიც ემსახურებოდა სამომავლო ურთიერთობების გაუმჯობესებას (Presidency Of The Republic Of Turkey , 2017).

2017 წლის მაისში, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, გამოსცა ბრძანება ნომრით 244. რომლის ფარგლებშიც თურქეთისთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციების უმეტესობა უქმდებოდა. ამავე წლის 2 ივნისს გამოქვეყნდა რუსეთის მთავრობის რეზოლუცია 672. შესაბამისად გაუქმდა სანქციები და შეზღუდვების უდიდესი ნაწილი (Irina Dmitrieva, 2017).

რაც შეეხება სტატისტიკურ მონაცემებს, 2015 წელს რუსეთში ექსპორტის წილი თურქეთის მთლიან ექსპორტში შეადგენდა 2,5%-ს, პოზიციის მიხედვით, რუსეთი იკავებდა ამ

რეიტინგში მე-9 ადგილს, 2016 წელს, სანქციების დაწესების შემდგომ, წილი შემცირდა 1,2%-მდე და დაიკავა მე-19 ადგილი ალჟირთან ერთად. ამ წელს, თურქეთმა გააუმჯობესა საქონლის ექსპორტის მონაცემები გერმანიაში, ბრიტანეთში, არაბთა გაერთიანებულ ემირატებში, ამერიკასა და იტალიაში. მნიშვნელოვანი ზრდა იყო ირანთან სავაჭრო ურთიერთობების. თუმცა, თუ არ გავითვალისწინებთ რუსეთს, რეიტინგში ძირეული ცვლილებები არ მომხდარა. 2017 წელს, მაშინ როდესაც რუსეთის მხრიდან მოიხსნა სანქციები, მაჩვენებლები მცირედით გაუმჯობესდა და შეადგინა 1,7 %, ხოლო პოზიციით რუსეთმა დაიკავა მე-17 ადგილი (Turkish Statistical Institute, 2018).

იმპორტის მხრივ, 2015 წელს ეს მონაცემები შეადგენდა 9,8 %-ს, 2016 წელს 7,6 %-ს, ხოლო 2017 წელს 8,3 %-ს, თუმცა პოზიციის მხრივ ცვლილება არ განხორციელდა და სამივე წლის მაჩვენებლით, რეიტინგში რუსეთი იკავებდა მესამე პოზიციას (Turkish statistical Institute, 2018).

ანალიზი

თურქეთის დამოკიდებულება რუსეთისადმი იყო კეთილგანწყობილი იქამდე, სანამ მოსკოვმა დაიწყო სამხედრო მანევრების განხორციელება სირიაში. ამ პერიოდში, რუსეთმა ორჯერ დაარღვია თურქეთის საჰაერო სივრცე. ამაზე პასუხად, თურქეთის პრეზიდენტი მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილებით შემოიფარგლა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ თურქეთის დამოკიდებულება რუსეთის მიმართ კეთილგანწყობილი იყო და მას არ სურდა ამ ურთიერთობის გამწვავება.

უშუალოდ თვითმფრინავის ჩამოგდების შემდგომ, ერდოლანი მიმდინარე პროცესებს სამწუხაროს უწოდებდა. ამის მიზეზად კი ორ ქვეყანას შორის სტრატეგიულ თანამშრომლობას ასახელებდა. თურქეთის კეთილგანწყობას რუსეთისადმი ადასტურებს თავად პრეზიდენტი ერდოლანის 2015 წლის 27 ნოემბრის გამოსვლა. სადაც პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ის მხარს უჭერდა რუსეთს, მაშინ, როდესაც ეს მას ნამდვილად სჭირდებოდა(ევროკავშირის მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციები 2014 წელს). ერდოლანი აცხადებდა, რომ თურქეთის ქმედებები არ იყო წინასწარ განძრახული, ხოლო

რუსეთის განცხადებებს ემოციური ფონით ამართლებდა. ეს მეტყველებს, იმაზე რომ თვითმფრინავის მიერ საჰაერო სივრცის დარღვევას თურქეთი არ აღიქვამდა სასიცოცხლო ეროვნული ინტერესების შელახვად. ამას ადასტურებს 2015 წლის 27 ნოემბრის ინტერვიუ, სადაც პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ თურქეთის მხრიდან ეს ქმედება ავტომატურად განხორციელდა. ხოლო რომ ცოდნოდათ, რომ ეს იყო რუსეთის თვითმფრინავი შესაძლოა განსხვავებული გაფრთხილება მიეცათ.

თვითმფრინავის ჩამოგდების ინციდენტამდე, 2015 წლის 4 ოქტომბრის განცხადებაში, პრეზიდენტი ერდოღანი რუსეთის ქმედებებს მიიჩნევდა მიუღებლად და შეცდომად. ამ ქცევას განიხილავდა, როგორც რუსეთის იზოლაციის ხელშემწყობ ფაქტორს. ასევე ეწინააღმდეგებოდა რუსეთის მცდელობას ბაზები მოემზადებინა სირიაში.

თვითმფრინავის ჩამოგდების შემდგომ, პრეზიდენტი ერდოღანი აცხადებდა, რომ რუსეთთან აუცილებელი იყო პარტნიორული ურთიერთობის გაგრძელება, მას ესმოდა პრეზიდენტ პუტინის და იმედოვნებდა შეხვედრასა და ურთიერთობის აღდგენას.

ამგვარად პირველ ეტაპზე პრეზიდენტი ერდოღანი ყველანაირად ცდილობდა, რომ მომხდარს არ ემოქმედა ორი ქვეყნის ურთიერთობაზე. თუმცა შემდგომში, რუსეთიდან წამოსული ხისტი განცხადებები აისახა ერდოღანის გამოსვლებშიც. ამის შემდგომ ის აკრიტიკებდა რუსეთს „სისხლიანი“ ასადის რეჟიმის მხარდაჭერის გამო. სანქციების დაწესების მერე, პრეზიდენტ ერდოღანის მხრიდან რუსეთის ქმედებების კრიტიკა სირიაში მხოლოდ 5 თვეს გაგრძელდა. ამასთან ერთად პრეზიდენტი აკრიტიკებდა გაეროს და სხვა ქვეყნებს უმოქმედობისთვის.

1 დეკემბრის განცხადებაში ერდოღანმა ერთგვარი შეტყობინება გაუგზავნა პრეზიდენტ პუტინს, რომ ურთიერთობების ნორმალიზების შემთხვევაში, რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე პოზიციათა შეჯერება მოხდებოდა. ეს ნაბიჯები უნდა აღვიქვათ, როგორც თურქეთის პოლიტიკური ქცევის ცვლილება და პასუხი რუსეთის მხრიდან დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებზე.

მისში თურქეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მისი მხრიდან საჰაერო სივრცის დარღვევა იყო პილოტის შეცდომა. ამის ფონზე კი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გამწვავება არ უნდა მომხდარიყო. 27 ივნისს, პრეზიდენტის მხრიდან საჯაროდ მოხდილი ბოდიში მეტყველებდა პოლიტიკური ქცევის ცვლილებაზე თურქეთის მხრიდან, იმ მოთხოვნის შესაბამისად, რაც გააჩნდა რუსეთს.

ამ მოსაზრებას ამყარებს ერდოღანის შემდგომი გამოსვლებიც. ის რუსეთს მოიხსენიებდა, როგორც პარტნიორს, რომელთანაც თანამშრომლობა აუცილებელი იყო რეგიონში მიმდინარე მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაწყვეტად. განსაკუთრებით, სირიის საკითხში.

შესაბამისად, თუ გავითვალისწინებთ, რომ არ შეცვლილა რუსეთის ქმედებები სირიაში. ხოლო თავდაპირველად პრეზიდენტი ერდოღანი ყველანაირად ეწინააღმდეგებოდა და აკრიტიკებდა რუსეთის ქმედებებს, სანქციების დაწესების შემდგომ კი რუსეთი სასურველ პარტნიორად იქცა თურქეთისთვის სირიის საკითხზე სათანამშრომლოდ, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ შეიცვალა თურქეთის პოლიტიკური ქცევა. მან ფაქტობრივად შეწყვიტა რუსეთის ქმედებების ოპონირება სირიაში. თუ თავდაპირველად, 2015 წლის 4 ოქტომბრის განცხადებაში, ერდოღანი რუსეთს ადანაშაულებდა სირიაში ჰუმანიტარული კრიზისის წარმოქმნაში, 2016 წლის 27 ივნისს მან განაცხადა, რომ ორი ქვეყანა მზად იყო ემუშავათ ჰუმანიტარულ კრიზისთან დაკავშირებით. ასევე პრეზიდენტის განცხადება, რომ რუსეთი ხოცავდა ხალხს სირიაში, შეცვალა განცხადებამ, რომ რუსეთთან ერთობლივი თანამშრომლობა მოაგვარებდა კრიზისს. შესაბამისად თურქეთის პოლიტიკური ქცევის ცვლილებას მოჰყვა ეკონომიკური სანქციების ეტაპობრივი მოხსნა რუსეთისგან.

ამრიგად, სამიზნე ქვეყნის(თურქეთის), დამოკიდებულება სანქციის დამწესებელი ქვეყნის (რუსეთის) მიმართ, სანქციების დაწესების ეპიზოდამდე კეთილგანწყობილი იყო. შესაბამისად, მას შემდგომ, რაც მოხდა სანქციების დაწესება, არ წარმოიქმნა დაპირისპირების საფრთხე. ამაზე მეტყველებს 2015 წლის 27 ნოემბერს პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ თურქეთის ქმედება არ უნდა შეფასებულიყო ომის აქტად,

მას არ სურდა დამაბული ურთიერთობა პარტნიორ რუსეთთან. შესაბამისად თურქეთისთვის საინტერესო იყო აბსოლუტური მოგება. მისთვის ძირითადი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რა სარგებელს მიიღებდა რუსეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის აღდგენით, რადგან სწორედ ეკონომიკური კეთილდღეობა წარმოადგენდა თურქეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სასიცოცხლო ინტერესს.

სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სანქციების პერიოდში, თურქეთმა გამოიყენა ამ დრომდე არსებული დივერსიფიკაცია, რაც უკვე არსებულ პარტნიორებთან ექსპორტის შედარებით გაზრდას გულისხმობდა.

შედარებითი ანალიზი

რომ შევადაროთ ორი ქვეყნის შემთხვევა, საქართველოს გააჩნდა ანტაგონისტური დამოკიდებულება რუსეთისადმი სანქციების დაწესებამდე. განსხვავებით თურქეთისგან, რომლის დამოკიდებულებაც კეთილგანწყობილი იყო. ანტაგონისტური დამოკიდებულებიდან გამომდინარე, სანქციების ეპიზოდში, საქართველოს შემთხვევაში გაჩნდა დაპირისპირების საფრთხე. შესაბამისად, მისთვის მნიშვნელოვანი იყო არა მარტო ის სარგებელი რასაც მიიღებდა რუსეთთან ეკონომიკური კავშირების აღდგენით, არამედ ის თუ რა სარგებელს მიიღებდა რუსეთი საქართველოს პოლიტიკური ქცევის ცვლილების შედეგად. განსხვავებით თურქეთისგან, სადაც პრიორიტეტული აბსოლუტური მოგება იყო.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ჰქონდა სწორხაზოვანი, უცვლელი პოზიცია და აქტიური წინააღმდეგობის გაწევის სურვილი რუსეთისადმი. საქართველომ მიიღო უფრო დიდი ზარალი ეკონომიკური სანქციების შედეგად, ვიდრე თურქეთმა. საქართველოსგან განსხვავებით, თურქეთის საგარეო პოლიტიკური ვაჭრობა იყო დივერსიფიცირებული და ნაკლებად იყო დამოკიდებული რუსეთზე. მიუხედავად ამისა ეკონომიკური სანქციების დაწესების შედეგად შეიცვალა თურქეთის საგარეო პოლიტიკური ქცევა, მაშინ, როდესაც საქართველოს ქცევა დარჩა უცვლელი.

თავი 4. თეორიული ჩარჩო და ფაქტორები/გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა განაპირობონ სანქციით მიღებული შედეგი

4.1. ფაქტორები/გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა განაპირობონ სანქციით მიღებული შედეგი

ამ თავში განხილულია სხვადასხვა ავტორის ხედვები იმის შესახებ, თუ რა ფაქტორებმა/გარემოებებმა შეიძლება განაპირობონ ეკონომიკური სანქციების გამოყენების შედეგად ქვეყნების პოლიტიკური ქცევის ცვლილება. ასევე, ნაშრომის ამ ნაწილში შემოთავაზებულია დანიელ დრეზნერის კონფლიქტის მოლოდინის მოდელი, რომელიც გვთავაზობს მოსაზრებას, იმის შესახებ თუ რა გავლენას ახდენს ქვეყნებს შორის არსებული კონფლიქტის მოლოდინი დაწესებული ეკონომიკური სანქციების შედეგზე, რომელიც გამოყენებულია თეორიულ ჩარჩოდ.

რუსეთის მხრიდან ეკონომიკური სანქციების დაწესება ემსახურებოდა კონკრეტულ მიზნებს, როგორც საქართველოს, ასევე თურქეთის შემთხვევაში. სანქციის დამწესებელი ქვეყანას ჰქონდა კონკრეტული მოლოდინი, რომ ეკონომიკური ზეწოლის შემთხვევაში, სამიზნე ქვეყნების პოლიტიკური ქცევის ცვლილება მოხდებოდა. საქართველოს შემთხვევაში რუსეთის სურვილი იყო საქართველოს დასავლურ სტრუქტურებთან დაახლოების მცდელობა შეეწყვიტა, იმისთვის, რომ დარჩენილიყო რუსეთის გავლენის სფეროში. ხოლო თურქეთის შემთხვევაში, ქვეყნებს შორის არსებობდა სერიოზული პოლიტიკური წინააღმდეგობა სირიაში მიმდინარე მოვლენებზე, რასაც მოჰყვა ინციდენტი თვითმფრინავის ჩამოგდებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, დამწესებელი ქვეყანა მიაღწევდა წარმატებას იმ შემთხვევაში, თუ საქართველო შეაჩერებდა დასავლურ სტრუქტურებში გაწევრიანების მცდელობას, ხოლო თურქეთის შემთხვევაში, თუ რუსეთის ქმედებები აღარ იქნებოდა კრიტიკის საგანი თურქეთის პრეზიდენტის მხრიდან და მას რეგიონში თავისუფალი მანევრირების საშუალება მიეცემოდა.

კვლევის დასაწყისში აღინიშნა, რომ არსებობს მოლოდინი, რომ ეკონომიკური სანქციები უფრო მეტად იმუშავებდა ეკონომიკურად სუსტ ქვეყანაზე, რომელსაც ჰქონდა შედარებით დიდი ზარალი სანქციების შედეგად, იყო უფრო მეტად დამოკიდებული სხვადასხვა კუთხით დამწესებელ ქვეყანაზე და არ ჰქონდა დივერსიფიცირებული ბაზარი. თუმცა ორი ქვეყნის შემთხვევის დეტალურმა განხილვამ აჩვენა, რომ მოლოდინი არ გამართლდა. რეალურად სანქციებმა იმუშავა იმ შემთხვევაში, სადაც ეკონომიკური ზარალი შედარებით მცირე იყო, ნაკლები დამოკიდებულება არსებობდა დამწესებელი ქვეყნის მიმართ და საგარეო ვაჭრობა იყო მეტად დივერსიფიცირებული.

სწორედ მიღებული შედეგიდან გამომდინარე, საინტერესოა აღმოვაჩინოთ, ის ძირითადი გარემოებები, რამაც ხელი შეუწყო მიღებული შედეგის დადგომას. ამ მიზნით შემდგომ ეტაპზე წარმოდგენილია სუზან ოქსენშტირნას ნაშრომის მიმოხილვა, სადაც ბაპატის, მაჟორის, დრეზნერის, ჰაფბავერის, ჯამფერის, მიერის, ნორუდინის და ბურლონის შრომების გაანალიზების შედეგად გამოყოფილია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ეკონომიკური სანქციების წარმატებაზე.

ავტორის ნაშრომის მიხედვით, სანქციებს აქვს წარმატების მეტი შესაძლებლობა, თუ ის ხასიათდება სამიზნე ქვეყნისთვის მაღალი საფასურით. ასევე თუ არსებობს დიდი სავაჭრო დამოკიდებულება დამწესებელი ქვეყნის მიმართ. სანქციების ხანგრძლივობას მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ საწყის ეტაპზე, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში ხანგრძლივი სანქციები იძენს უდიდეს მნიშვნელობას. ასევე, ეს წარმატება განისაზღვრება იმითაც, თუ რამდენად აზარალებს ის საკუთრივ დამწესებელ ქვეყანას, იმ შემთხვევაში, თუ ეს ზარალი დიდია მეტი ალბათობა არსებობს, რომ დამწესებელმა შეაჩეროს ან შეასუსტოს ზეწოლა, რაც წარმატების ნაკლებ შანსს ტოვებს. სანქციების წარუმატებლობაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს მესამე ქვეყნის ჩართულობამ, რომელიც სამიზნე ქვეყნისთვის შეიძლება წარმოადგენდეს ალტერნატიული ფინანსების მოძიების საშუალებას და ექსპორტის ან იმპორტის წყაროს. ასევე სანქციებს აქვს წარმატების მეტი შესაძლებლობა დემოკრატიული რეჟიმის შემთხვევაში, რადგან ავტორიტარული ტიპის მმართველობისას, წარმოდგენილია ნაკლებად ორგანიზებული ოპოზიცია და ხელისუფლებას აქვს მეტი

საშუალება ჩაახშონ შიდა უკმაყოფილება. სამიზნე ქვეყნის შესაძლებლობები განსაზღვრავს სანქციების ეფექტს, სადაც პოლიტიკური ინფრასტრუქტურა და ეკონომიკური სისტემა მნიშვნელოვანია სანქციებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. ავტორი აღნიშნავს, რომ სანქციით მიღებული ზარალი უნდა გაიზომოს იმასთან მიმართებით, თუ რა იყო ის ძირითადი წინააღმდეგობა რის გამოც მოხდა სანქციის დაწესება. კონფლიქტის დიდი მნიშვნელობა სამიზნე ქვეყნისთვის ამცირებს სანქციის წარმატების შანსს (Susanne Oxenstierna, Per Olsson, 2015, გვ. 23-33).

სუზან ოქსენშტირნამ ცხრილის სახით შეაჯამა ეკონომიკურ სანქციების ლიტერატურაში არსებული მიგნებები იმ ძირითადი ფაქტორებისა, რაც გავლენას ახდენს სამიზნე ქვეყნის პოლიტიკური ქცევის ცვლილებაზე, ანუ რაც იწვევს სანქციების წარმატებას. ცხრილი წარმოადგენს თვალსაჩინოებას, რომელიც დაგვეხმარება, დეტალურად დავინახოთ, ეს ფაქტორები და შემდგომში გავაანალიზოთ ნაშრომში წარმოდგენილი შემთხვევები.

ავტორები	ბაკატ, (2012)	მეჟორ, (2012)	დრუზდენი, (2011)	ჰაფზავერი, (2007)	ჰაემფერი, (2007)	მაიერსი, (2002)	ნორუდინი, (2002)	ბურლონე, (2002)
სანქციის ღირებულება სამიზნე ქვეყნისთვის	+			+			+	
სავაჭრო დამოკიდებულება	+	+	I		I			
სანქციების ხანგრძლივობა				-				
რამდენიმე სანქციის დამწესებელი	-	-		-		i ^a		
საერთაშორისო ინსტიტუტები	+				+	+		
მესამე ქვეყნები				-			i	
ავტორიტარული რეჟიმი		- _b					-	
ქვეყნის შესაძლებლობები								-
კონფლიქტის მნიშვნელობა	- _c							
ღირებულება დამწესებლისთვის	I			I				

*შენიშვნები:

* + ნიშნით აღნიშნულია მოსალოდნელი პოზიტიური გავლენა

* - ნიშნით აღნიშნულია მოსალოდნელი ნეგატიური გავლენა

i - ნიშნით აღნიშნულია დაუზუსტებელი მოსალოდნელი გავლენა

a - აღნიშნულია მოვლენა როდესაც, მრავალი აქტორის მიერ დაწესებული სანქციები არის ნაკლებად წარმატებული ვიდრე ერთი დამწესებლის მიერ, მაშინ როდესაც საჭიროა ბევრი მიზნის მიღწევა, მაგრამ არის უფრო ეფექტიანი სადაც საჭიროა ერთი მიზნის მიღწევა.

b - როგორც წესი ნაკლებად ეფექტიანია ავტორიტარული რეჟიმების წინააღმდეგ, მოწყვლადია კრიზისის მიმართ.

c - კონფლიქტის მნიშვნელობა სანქციებს ხდის ნაკლებად წარმატებულს. ამ ცვლადს ნაკლებად აქვს სტატისტიკური მნიშვნელობა.

*(Susanne Oxenstierna, Per Olsson, 2015, გვ. 86)

სანქციის საფასური სამიზნე ქვეყნისთვის - საქართველოსთვის სანქციების საფასური მხოლოდ ექსპორტის კუთხით მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით წარმოადგენდა პირველ წელს 0,85 %-ს, მეორე წელს 0,98 %-ს, თურქეთისთვის ექსპორტისა და ტურიზმით მიღებული ღირებულება მთლიანი შიდა პროდუქტის 0,52 %-ს ერთი წლის განმავლობაში. ამავდროულად საქართველოსთვის მნიშვნელოვან შეზღუდვას წარმოადგენდა გაზზე ფასის ზრდა, ზამთრის პერიოდში ბუნებრივი აირის და ელექტროენერჯის მოკლე ვადიანი შეწყვეტა, მასობრივი დეპორტაცია და ამით გამოწვეული ორი მოქალაქის გარდაცვალება. ეს ბერკეტები არ ამოქმედებულა თურქეთის შემთხვევაში. შესაბამისად სანქციის ღირებულება ორი ქვეყნის შედარებით კონტექსტში საქართველოსთვის უფრო მაღალი იყო. აქედან გამომდინარე, თუ ეს ფაქტორი იმუშავებდა მეტად სავარაუდოა, რომ საქართველოს პოლიტიკური ქცევა უნდა შეცვლილიყო რუსეთის მოთხოვნის შესაბამისად, არა თურქეთის.

სავაჭრო დამოკიდებულება - საქართველოს ნომერ პირველ სავაჭრო პარტნიორს ექსპორტსა და იმპორტში წარმოადგენდა რუსეთი, დამოკიდებულება საკმაოდ მაღალი იყო მთლიან ექსპორტში რუსეთის 17,8 % -იანი წილით, ხოლო იმპორტში 15,4%-იანი წილით, განსხვავებით თურქეთისგან, სადაც რუსეთი ექსპორტში სანქციების დაწესების პერიოდში ნომერ მე-9 სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენდა 2,5 %-იანი მაჩვენებლით, ხოლო იმპორტში ნომერ მესამე პარტნიორს, 9,8%-იანი წილით. აქედან გამომდინარე, ამ ფაქტორის არსებობა მეტად აისახებოდა საქართველოზე, ვიდრე თურქეთზე.

სანქციების ხანგრძლივობა - სანქციების დაწესების დღიდან საქართველომ დაიწყო ექსპორტის და იმპორტის კუთხით ალტერნატიული ბაზრების მოძიება, მაქსიმალურად

შეეცადა დივერსიფიკაციასა და რუსეთზე დამოკიდებულების შემცირებას, რაც წარმატებით განახორციელა და ეს აისახა სტატისტიკურ მონაცემებზე. მაშინ როდესაც თურქეთი სანქციების დაწესების დღიდან ცდილობდა კავშირის აღდგენას რუსეთთან, მისთვის ალტერნატივის მოძებნა არ წარმოადგენდა პრიორიტეტს, მიუხედავად იმისა, რომ ამის განხორციელება არსებული დივერსიფიკაციის ფონზე უფრო მარტივად შეეძლო ვიდრე საქართველოს. შესაბამისად, სანქციების ხანგრძლივობა არ ყოფილა მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც გავლენა იქონია სანქციების წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე.

რამდენიმე სანქციის დამწესებელი ქვეყნის და საერთაშორისო ინსტიტუტების ჩართულობა - ეს ფაქტორი გამოირიცხა შემთხვევების ანალიზისას, რადგან სანქციების დამწესებელი ერთი აქტორი იყო.

მესამე ქვეყნის ჩართულობა - მესამე ქვეყნის ჩართულობა მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო საქართველოს შემთხვევაში, რადგან მან მალევე მოახერხა ალტერნატიული ბაზრების მოძიება, აზერბაიჯანი და თურქეთი მიიჩნია ენერგეტიკულ სფეროში სანდო პარტნიორებად, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებთან დაიწყო სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება. თურქეთის შემთხვევაში მესამე ქვეყნები მრავლად არსებობდნენ. თურქეთს შეეძლო გამოეყენებინა არსებული დივერსიფიკაცია. ეს კარგად აისახა ირანის მაგალითზე (Turkish Statistical Institute, 2018).

ავტორიტარული რეჟიმი - საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლებში აღნიშნავდა, რომ საქართველო იბრძოდა ლიბერალური დემოკრატიის ჩამოყალიბებისთვის. რის გამოც რუსეთი ახორციელებდა ეკონომიკურ ზეწოლას. ევროკავშირის მხრიდან მხარდაჭერა კი სწორედ ამ მცდელობიდან გამომდინარეობდა, ამასვე ადასტურებს წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი, საქართველოში ვიზიტისას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გამოსვლა. მაშინ როდესაც თურქეთის ავტორიტარული რეჟიმი წარმოადგენდა იმ ძირითად მახასიათებელს, რის გამოც ის ხანგრძლივი მცდელობის მიუხედავად ვერ გახდა ევროკავშირის წევრი ქვეყანა. შესაბამისად, ამ ფაქტორის

არსებობის შემთხვევაში, საქართველო უფრო მოწყვლადი უნდა ყოფილიყო სანქციების მიმართ ვიდრე თურქეთი.

ქვეყნის შესაძლებლობები - ნაშრომის დასაწყისში, მაიკლ ჰენდელის მიერ შემოთავაზებული ქვეყნების კლასიფიკაციის ინდიკატორების გაანალიზების მეშვეობით დავინახეთ, რომ საქართველო წარმოადგენს საერთაშორისო ასპარეზზე არსებულ პატარა, სუსტ ქვეყანას, მოწყვლადი ეკონომიკით და მცირე რესურსებით. განსხვავებით თურქეთისგან, რომელიც ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს, ძლიერი ეკონომიკით და რესურსებით. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ სანქციების წარმატებას განსაზღვრავდა ეს ფაქტორი, საქართველო იქნებოდა ის ქვეყანა, რომელიც შეცვლიდა თავის პოლიტიკურ ქცევას, რუსეთის სასარგებლოდ.

ღირებულება დამწესებელი ქვეყნისთვის - არც საქართველო და არც თურქეთი არ წარმოადგენდა მსხვილ პარტნიორ ქვეყანას, საიდანაც ხდებოდა რუსეთში პროდუქციის იმპორტი, თუმცა, შედარებითი თვალსაზრისით, თურქეთთან ვაჭრობა მეტად შემოსავლიანი იყო რუსეთისთვის (www.statista.com). თუმცა, რუსეთის მხრიდან არ მომხდარა სანქციების შერბილება იქამდე სანამ მან არ მიაღწია სასურველ, პოლიტიკური ქცევის ცვლილებას თურქეთთან. შესაბამისად ეს ფაქტორი არ წარმოადგენს რელევანტურ გარემოებას, რომლის გათვალისწინებაც უნდა მოხდეს დამდგარი შედეგის ანალიზისას.

კონფლიქტის მნიშვნელობა - საქართველოს შემთხვევაში კონფლიქტის მნიშვნელობა მართლაც დიდი იყო და ქვეყნის ლიდერის გაცხადებული პოზიციით. ემსახურებოდა მისი საგარეო პოლიტიკის კურსის თავისუფლებას. თურქეთის შემთხვევაშიც ეს ეხებოდა არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკური ქცევის თავისუფლებას, რაც გამოიხატებოდა სირიაში სასურველი ქმედებების განხორციელებაში, არამედ ეხებოდა მის უსაფრთხოებას და როგორც თურქეთის პრეზიდენტი აცხადებდა, რუსეთი მხარს უჭერდა იმ ტერორისტულ ორგანიზაციას, რომელიც მისთვის ბევრად დიდ საფრთხეს წარმოადგენდა, ვიდრე ისლამური სახელმწიფო. შესაბამისად ორივე შემთხვევაში არსებობდა კონფლიქტის

მნიშვნელობის ფაქტორი და ვერ გამოვეყოფთ როგორც ცალსახა ფაქტორს, თუ რატომ მოხდა, ან არ მოხდა პოლიტიკური ქცევის ცვლილება.

ნაშრომში ამ ნაწილის მიზანი იყო, წარმოჩენილიყო ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც, სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებით, გავლენას ახდენენ ეკონომიკური სანქციის დაწესებით მიღებულ შედეგზე. თუმცა, ამ ფაქტორებიდან ვერც ერთი ცალსაყად ვერ ხსნის იმ შედეგს, რაც ნაშრომში შემთხვევათა შედარებითი ანალიზით მივიღეთ.

4.2. თეორიული ჩარჩო და ანალიზი

თეორიული ჩარჩოს ანალიზის მიზანია, განვიხილოთ ის ძირითადი გარემოებები, რამაც გამოიწვია არსებული შედეგები. ეკონომიკურ სანქციებზე შექმნილ ლიტერატურაში, ისეთი ფართოდ გავრცელებული ფაქტორები, როგორცაა, სანქციების საფასური სამიზნე ქვეყნისთვის, სავაჭრო დამოკიდებულება სანქციის დამწესებელ ქვეყანაზე, დაწესებული სანქციების ხანგრძლივობა, რამდენიმე სანქციის დამწესებელი აქტორი, საერთაშორისო ინსტიტუტების ჩართულობა სანქციების დაწესებისას, მესამე ქვეყნების ჩართულობა, ქვეყნის მმართველობის სტილი, სანქციების საფასური დამწესებელი ქვეყნისთვის და კონფლიქტის მნიშვნელობა სამიზნე ქვეყნისთვის, კვლევის შედეგად არ აღმოჩნდა საკმარისი ფაქტორები მიღებული შედეგის ასახსნელად. ზემოთ აღნიშნული ყველა ეს გარემოება მოქმედებდა საქართველოს წინააღმდეგ და როგორც ზემოთ მოყვანილი არგუმენტებიდან ჩანს, შედარებით ნაკლებად მწვავედ შეეხო თურქეთს. მიუხედავად ამისა რუსეთის მხრიდან სანქციების დაწესების მიზანმა, შეცვლილიყო ქვეყნების კონკრეტული პოლიტიკური ქცევა, იმუშავა არა საქართველოს, არამედ თურქეთის შემთხვევაში.

ნაშრომის ჰოპოთეზის შეამოწმებლად შემოთავაზებულია დენიელ დრეზნერის კონფლიქტის მოლოდინის მოდელი. რომელიც გვთავაზობს მოსაზრებას იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს ქვეყნებს შორის არსებული კონფლიქტის მოლოდინი დაწესებული ეკონომიკური სანქციების შედეგზე.

კონფლიქტის მოლოდინის მოდელი, საერთაშორისო ურთიერთობებში გავრცელებული „თამაშის თეორიის“ ერთგვარ მოდიფიცირებას წარმოადგენს. შესაბამისად იმისთვის, რომ

გავიგოთ, თუ როგორ ხსნის ეს მოდელი ნაშრომში წარმოდგენილ შემთხვევებს, აუცილებელია შემთხვევების დეტალური შედარებითი განხილვა წარმოდგენილი მოდელის მიხედვით.

ავტორი ეკონომიკური სანქციების დაწესებას წარმოადგენს ერთგვარ თამაშად, რომლის დროსაც:

- თამაშს ჰყავს ორი მონაწილე, სანქციის დამწესებელი და სამიზნე ქვეყანა.

-სანქციის დამწესებელი ქვეყნის მიზანია, გავლენა მოახდინოს სამიზნე ქვეყნის პოლიტიკურ ქცევაზე.

-ორივე წარმოადგენს უნიტარულ და რაციონალურ აქტორს, რაც განსაზღვრავს მათ ქცევას.

-როდესაც თამაშში თავს იჩენს კონფლიქტის მოლოდინი და ეს მოლოდინი არის მაღალი, იზრდება რეპუტაციის და შედარებითი მოგების ფაქტორის ღირებულება(მნიშვნელობა).

- რეპუტაციის და შედარებითი მოგების ფაქტორი მნიშვნელოვანია სამიზნე ქვეყნის მომავალ პოზიციაზე პოტენციურ კონფლიქტში.

-სახელმწიფოები, როგორც რაციონალური აქტორები, მიდრეკილნი არიან დააბალანსონ მათ მიერ აღქმული საფრთხე, შესაბამისად, მათ მეტი კონფლიქტის მოლოდინი აქვთ მტრებთან, ვიდრე მოკავშირეებთან.

-რაც უფრო ახლო მოკავშირეებს წარმოადგენენ სახელმწიფოები, მით უფრო მცირდება შანსი, რომ ურთიერთობის შედეგი ნულოვანჯამოვანი იქნება.

-თუ ქვეყნები არიან მოწინააღმდეგეები და არსებობს სამომავლო კონფლიქტის ალბათობა, იზრდება ალბათობა იმისა, რომ ურთიერთობის შედეგი იქნება ნულოვანჯამოვანი.

-შესაბამისად, როგორც კი თამაშში შემოდის კონფლიქტის მოლოდინი, სამიზნე ქვეყნები იჩენენ მეტ რეზისტენტობას დათმობების მიმართ, რადგან დათმობით მიღებული დანაკარგი წარმოადგენს დამწესებელი ქვეყნის პირდაპირპროპორციულ მოგებას.

- თუ სანქციის დაწესების მიზანი ხასიათდება მოთხოვნით „ყველაფერი ან არაფერი“, მოსალოდნელია, რომ ჩიხი ჩამოყალიბდება უფრო მეტად მოწინააღმდეგეებს, ვიდრე მოკავშირეებს შორის.

-სანქციების შედეგი შესაძლოა იყოს დათმობა, (როდესაც სამიზნე ქვეყანა იღებს სანქციებს და მზად არის შეცვალოს პოლიტიკური ქცევა) სტატუს ქვო, (როდესაც ქვეყნები უბრუნდებიან სანქციებამდე დაწესებულ მდგომარეობას) ჩიხი (როდესაც სანქციის სამიზნე ქვეყანა არ თმობს პოზიციებს და ამავედროულად დამწესებელი ქვეყანა არ ცვლის მოთხოვნას) (Drezner, 1999, გვ. 27-59).

-ავტორის აზრით, სამიზნე ქვეყანა დათანხმდება დიდ მოთხოვნას მაშინ როდესაც ის არ არის კონცენტრირებული სამომავლო კონფლიქტზე. იმ შემთხვევაში თუ სახეზეა კონფლიქტის მოლოდინი და რეპუტაციის საკითხი, სამიზნე შესაძლოა დათანხმდეს მხოლოდ მცირე მოთხოვნას, იმისთვის რომ აიცილოს ჩიხის სიტუაცია (Drezner, 1999, გვ. 27-59).

ამრიგად, დრენზნერის მიერ შემოთავაზებული მოდელის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ საქართველო/თურქეთი და რუსეთი იქნებოდნენ ახლო მოკავშირეები, ხოლო სანქციის დაწესების დროს არ იარსებებდა კონფლიქტის მოლოდინი, პოლიტიკური ქცევის ცვლილების ალბათობა იქნებოდა მაღალი. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საქართველო/თურქეთი და რუსეთი იქნებოდნენ მოწინააღმდეგეები, ექნებოდათ კონფლიქტის მოლოდინი და ამავედროულად, მიმართავდნენ დაბალანსებას, წარმოიქმნებოდა რეპუტაციის და შედარებითი მოგების ფაქტორი, რის გამოც სამიზნე ქვეყანა არ დათმობდა თავის პოზიციას, რომ მომავალ პოტენციურ კონფლიქტში მისი პოზიციები ყოფილიყო მყარი.

კონფლიქტის მოლოდინის მოდელი რუსეთი - საქართველო, რუსეთი - თურქეთი

კვლევის ამ ნაწილში განხილულია რუსეთის მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციები დრენზნერის მოდელის მიხედვით.

რუსეთი წარმოადგენს სანქციის დამწესებელ ქვეყანას, საქართველო/თურქეთი - სანქციის სამიზნეს. ღრეზნერის მიხედვით, პირველ სვლას აკეთებს დამწესებელი ქვეყანა. რომელსაც აქვს სურვილი, შეიცვალოს სამიზნის პოლიტიკური ქცევა, ამის მისაღწევად მას აქვს ორი არჩევანი: არ გააკეთოს არაფერი, ან გადადგას პირველი ნაბიჯი და გააკეთოს მოთხოვნა(პოლიტიკური ქცევის ცვლილების). ამ შემთხვევაში დაწესებული სანქციები აზარალებს დამწესებელს და სარგებლიანია დამწესებლისთვის (Drezner, 1999, გვ. 35-55).

რუსეთმა გააკეთა პირველი სვლა, როდესაც გაუორმაგა საქართველოს გაზის ფასი და აკრძალა ექსპორტი. ანალოგიურად, თურქეთის შემთხვევაშიც აკრძალა ექსპორტი და ტურისტული ვიზიტები.

მას შემდგომ, რაც დამწესებელი აკეთებს პირველ სვლას, სანქციების დაწესების მეშვეობით, სამიზნეს აქვს ორი არჩევანი, დაიხიოს უკან, ან მყარად დარჩეს პირვანდელ პოზიციაზე. თუ სამიზნე ქვეყანა უკან დაიხევს შედეგი იქნება დათმობა, ხოლო თუ ის იდგება მყარად, შემდგომი სვლა ისევ დამწესებელი ქვეყნის არის (Drezner, 1999, გვ. 35-55).

საქართველოს შემთხვევაში, პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლებიდან ჩანს, რომ საქართველომ გააკეთა არჩევანი, მყარად მდგარიყო თავის პოზიციაზე, აქედან გამომდინარე, შემდეგი სვლა კვლავ რუსეთის ფედერაციის იყო. თურქეთის შემთხვევაში, ქვეყნის პრეზიდენტი აქტიურად ცდილობდა თავდაპირველ ეტაპზე ურთიერთობების მოწესრიგებას, შემდგომ ეტაპზე მისმა რიტორიკამ შეიძინა სიხისტე, მიუხედავად ამისა, თურქეთის პრეზიდენტმა მალევე მოიხადა ბოდიში, გამოთქვა სურვილი პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრის, ის რეგიონში არსებულ პრობლემებთან საბრძოლველად სასურველ პარტნიორად დაასახელა.


დამწესებელი, შემდეგი სვლიდან არჩევანს აკეთებს ორ ქმედებას შორის, მას შეუძლია დაიხიოს უკან, ამის შედეგი იქნება სტატუს ქვო, ან გააგრძელოს ზეწოლა ორმხრივ ეკონომიკურ კავშირებზე, შედეგი იქნება ჩიხი, რაც გულისხმობს ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვან დაზარალებას (Drezner, 1999, გვ. 35-55).

რუსეთმა შემდგომ ეტაპზე მოახდინა მოსახლეობის დეპორტაცია ქვეყნიდან, ასევე არ შეურბილებია ეკონომიკური სანქციები საქართველოზე, რაც აისახა მნიშვნელოვნად სტატისტიკურ მონაცემებზე და მისი წილი საქართველოს როგორც ექსპორტში, ასევე იმპორტში გამუდმებით მცირდებოდა. შესაბამისად, შედეგი იყო ჩიხი, ანუ ქმედებებმა მოახდინა ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების სერიოზული დაზიანება. განსხვავებით თურქეთისგან, სადაც პრეზიდენტს ჰქონდა დამატებითი ბერკეტი ენერგეტიკული რესურსების სახით, რომ დამატებითი ზეწოლა განეხორციელებინა თურქეთზე, თუმცა, მან მიიღო ერდორანის ბოდიში, გაიმართა ორმხრივი შეხვედრა, დაიწყო ეკონომიკური სანქციების ეტაპობრივი შემცირება. შესაბამისად, მივიღეთ დათმობა.

დრეზნერის თქმით, თუ დამწესებელს და სამიზნეს აინტერესებთ მხოლოდ მათი მოკლევადიანი აბსოლუტური სარგებელი, ამ შემთხვევაში, თამაში მოკლევადიანია და მეორე ეტაპზე, დამწესებელი ქვეყანა ირჩევს უკან დახევას, რადგან ის ამჯობინებს იმ სარგებელს, რომელსაც იძლევა ორ ქვეყანას შორის არსებული ეკონომიკური კავშირები. შესაბამისად, როდესაც საწყის ეტაპზე, სამიზნე ქვეყანა ირჩევს უკან დახევას, მან იცის რომ იგივე არჩევანს გააკეთებს დამწესებელი ქვეყანაც (Drezner, 1999, გვ. 35-55).

ეს მოცემულობა, ფაქტობრივად, ზუსტად ახასიათებს რუსეთ-თურქეთს შორის მომხდარ მოვლენებს. რაც შეეხება საქართველოს, აქ არ იყო მოკლევადიანი აბსოლუტური სარგებლის ინტერესი, რუსეთი ცდილობდა ამ პერიოდში შეენარჩუნებინა საკუთარი გავლენა საქართველოზე და არ მომხდარიყო NATO-ს გაფართოება მის საზღვრებთან, ხოლო საქართველოს გრძელვადიან ინტერესს წარმოადგენდა ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია, შესაბამისად ის ეკონომიკური სარგებელი, რაც ამ ორი ქვეყნის კავშირს ახლდა, წარმოადგენდა მეორეხარისხოვანს, იმ პოლიტიკური ქცევის ცვლილებასთან შედარებით, რაც უნდა განეხორციელებინა საქართველოს და ეს გამოჩნდა მაშინ, როდესაც საქართველომ მყისიერად დაიწყო ალტერნატიული გზების მოძიება სხვა ქვეყნებთან, რომ ანალოგიური ეკონომიკური მოგება ენახა სხვაგან, რასაც იღებდა რუსეთიდან. ამავდროულად, არც რუსეთისთვის იყო ეკონომიკური კავშირები იმდენად

მნიშვნელოვანი, რომ მომხდარიყო უკან დახევა, რადგან საქართველო სრულებით არ წარმოადგენდა მსხვილ სავაჭრო პარტნიორს მის დივერსიფიცირებულ საგარეო ვაჭრობაში, რამაც გამოიწვია ჩიხის შედეგი.



* (Drezner, 1999, გვ. 37)

ავტორს მეტი თვალსაჩინოებისთვის შემოაქვს მდგომარეობის აღმნიშვნელი β , რომელიც განმარტების მიხედვით, იმყოფება 0 დან 1 მდე. ფართო გაგებით, $(1 - \beta)$ არის საერთო მოლოდინი შესაძლო სამომავლო კონფლიქტის. იდეალური მოკავშირეებისთვის $\beta=1$, ხოლო იდეალური მოწინააღმდეგეებისთვის $\beta=0$. თუ ქვეყნებს აქვთ მცირე მოლოდინი გარკვეული პოლიტიკური კონფლიქტის მაშინ $\beta \rightarrow 1$, დამწესებელი და სამიზნე ქვეყანა ზრუნავენ აბსოლუტურ მოგებაზე, კვლავ არის მარტივი მოცემულობა, სადაც ქვეყნები ორიენტირებულები არიან სარგებელზე (Drezner, 1999, გვ. 35-55). რაც წარმოადგენს რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების დამახასიათებელ აღწერას.

თუ ქვეყნებს აქვთ მნიშვნელოვანი მოლოდინი პოლიტიკური კონფლიქტის, ამ შემთხვევაში $\beta \rightarrow 0$, დამწესებელს და სამიზნეს აღელვებთ მხოლოდ შედარებით მოგება, და

თამაში არის მკაცრი ნულოვანჯამოვანი ურთიერთობა (Drezner, 1999, გვ. 35-55). როგორც კი იზრდება კონფლიქტის მოლოდინი, ასევე, იზრდება მატერიალური და რეპუტაციული გავლენები ორივე აქტორის დათმობასთან მიმართებით. ეს მდგომარეობა აღწერს საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს. რომელიც ხასიათდებოდა მეტოქეობით, შესაბამისად არსებობდა კონფლიქტის მოლოდინი, ეს მოლოდინი კი არ აძლევდა სამიზნე ქვეყანას საშუალებას, დაეხია უკან, რადგანაც ურთიერთობა იყო ნულოვანჯამოვანი. რასაც აგებდა დამწესებელი ქვეყანა, პირდაპირ პროპორციულ მოგებას იღებდა სანქციების დამწესებელი. ავტორის მოსაზრების შესაბამისად, როგორც კი სანქციების დაწესების პერიოდში გამოიკვეთა კონფლიქტის მოლოდინი, იძულების მდგომარეობა რუსეთის მხრიდან გახდა რთულად მისაღწევი, რადგან ეს მნიშვნელოვნად უკავშირდებოდა შედარებით მოგებასა და რეპუტაციის ეფექტს.

შეჯამებისთვის, დრეზნერის კონფლიქტის მოლოდინის მიხედვით, მივიღეთ ის დასკვნა, რაც ნაშრომის შედარებითი ანალიზისას. ანტაგონისტურმა დამოკიდებულებამ განაპირობას, ის რომ საქართველო არ დათანხმდა ეკონომიკურ სანქციებს, რასაც დრეზნერი უწოდებს მეტოქეობას. განსხვავებით თურქეთისგან სადაც არსებობდა კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, რის გამოც თურქეთისთვის მარტივი გახდა დათმობაზე წასვლა.

დასკვნა

ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა, დამატებით გამოეკვეთა ის გარემოებები/ფაქტორები, სადაც იზრდება ალბათობა, რომ ეკონომიკური სანქციების დაწესება გამოიწვევს სამიზნე ქვეყნის პოლიტიკური ქცევის ცვლილებას. ნაშრომში წარმოდგენილი იყო საქართველოსა და თურქეთის შემთხვევების შედარებითი ანალიზი. სადაც სანქციების დამწესებელ ქვეყანას წარმოადგენდა რუსეთი.

ნაშრომში განვითარებული იყო მოსაზრება, რომ სანქციების შედეგზე გავლენას ახდენს, სანქციების დაწესებამდე, სამიზნე ქვეყნის დამოკიდებულება დამწესებელი ქვეყნის მიმართ. უფრო კონკრეტულად კი, როგორია ეს დამოკიდებულება, ანტაგონისტური თუ კეთილგანწყობილი.

ნაშრომში წარმოდგენილი იყო ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც საქართველოს დამოკიდებულება რუსეთისადმი სანქციების დაწესებამდე ანტაგონისტური იყო, განსხვავებით თურქეთისგან, რომლის დამოკიდებულებაც სანქციების დამწესებელისადმი იყო კეთილგანწყობილი. დამოკიდებულების შესაბამისად, თურქეთის პოლიტიკური ქცევის ცვლილება უნდა მომხდარიყო, ხოლო საქართველოს პოლიტიკური ქცევა უცვლელი უნდა დარჩენილიყო.

აღნიშნული მოსაზრების დასადასტურებლად, ნაშრომში წარმოდგენილი იყო თვისობრივი კვლევის შედეგად გაანალიზებული სხვადასხვა ავტორთა ნაშრომები, სტატისტიკური ინფორმაცია, პირველადი წყაროები და შესაბამისი დოკუმენტები.

კვლევის პროცესში ეტაპობრივად წარმოჩნდა განსხვავებები სამიზნე ქვეყნების შესაძლებლობებს შორის, სადაც თურქეთის შესაძლებლობები მკვეთრად აღემატებოდა საქართველოსას.

გამოიკვეთა, რომ სანქციების დაწესებამდე, საქართველოს დამოკიდებულება დამწესებელი ქვეყნის მიმართ იყო ანტაგონისტური, ხოლო თურქეთის კეთილგანწყობილი.

რუსეთს მიზანს წარმოადგენდა, ეკონომიკური სანქციების დაწესების შედეგად, საქართველოს უარი ეთქვა მის თავისუფალ საგარეო პოლიტიკურ კურსზე - გამხდარიყო დასავლური სტრუქტურების წევრი. ხოლო თურქეთის შემთხვევაში რუსეთის სურვილი იყო, თურქეთს აღარ გაეწია წინააღმდეგობა, სირიაში განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით.

კვლევამ აჩვენა, რომ ეკონომიკური სანქციების შედეგად, საქართველოს ზარალი აღემატებოდა იმ ზარალს რაც მიიღო თურქეთმა, თუმცა, მიუხედავად ამისა, შეიცვალა თურქეთის პოლიტიკური ქცევა, მაშინ როდესაც საქართველოს პოლიტიკური ქცევა დარჩა უცვლელი. რაც განაპირობა სანქციების დაწესებამდე არსებულმა სამიზნე ქვეყნების დამოკიდებულებამ დამწესებელი ქვეყნის მიმართ.

ამ არგუმენტის განმტკიცებას შემდგომში ხელი შეუწყო სხვადასხვა ავტორების მიერ გამოყოფილი სანქციის შედეგზე მოქმედი ფაქტორების გაანალიზებამ, ნაშრომში წარმოდგენილი შემთხვევების კუთხით. ამავდროულად, დენიელ დრეზნერის კონფლიქტის მოლოდინის მოდელი აღმოჩნდა კარგი დამხმარე, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნებულიყავით ნაშრომის ჰიპოთეზის მართებულობაში.

გამოყენებული ლიტერატურა

- Gulf News. (2016, 09 09). *Timeline: Turkey, Russia go from foes to friends*. Retrieved 2018.06.14 from [https://gulfnews.com: https://gulfnews.com/news/mena/turkey/timeline-turkey-russia-go-from-foes-to-friends-1.1876057](https://gulfnews.com/news/mena/turkey/timeline-turkey-russia-go-from-foes-to-friends-1.1876057)
- Aydintasbas, A. (2016). *WITH FRIENDS LIKE THESE: TURKEY, RUSSIA, AND THE END OF AN UNLIKELY ALLIANCE*. EUROPEAN COUNCIL ON FOREIGN RELATIONS. Retrieved 2018.03.24 from https://www.ecfr.eu/page/-/WITH_FRIENDS_LIKE_THESE_-_ECFR178.pdf
- Baldwin, D. A. (1985). *Economic Statecraft*. Princeton University Press.
- Bapat, N. A. (2012). *Determinants of Sanctions Effectiveness: Sensitivity Analysis Using New Data*. Empirical and Theoretical Research in International Relations .
- BBC. (2012, January 31). *Timeline: Georgia*. Retrieved 2018.04.21 from BBC.COM: http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/country_profiles/1102575.stm
- Bechev, D. (2015). *Russia and Turkey What does their partnership mean for the EU?* Brussels: European Policy Centre. Retrieved 2018.05.23 from www.files.ethz.ch https://www.files.ethz.ch/isn/188528/pub_5304_russia_and_turkey.pdf
- Burlone, J.-L. B. (2002). *Economic Sanctions: The Institutional Factor*. Canadian Journal of Development Studies.
- Carrion, J. (2016, January). The response of Turkey and Russia after Jet Crisis and the implications for the South Caucasus. Baku, Azerbaijan. Retrived 2018.05.22 from http://cesd.az/new/wp-content/uploads/2016/01/CESD_Paper_-Turkey_Russia_Relations.pdf
- Cecire, M. H. (2013). Security and Symbolism: Georgia's NATO Aspirations in Perspective. In e. b. cecire, *GeorGian ForeiGn Policy The QuesT For susTainable securiT y* . Tbilisi: Konrad-Adenauer-Stiftung.

- Chkhikvadze, I. (2013). EU-Georgia Relations: Where it Starts and Where it Goes. In e. b. cecire, *Georgian Foreign Policy The Quest For sustainable security* . Tbilisi: Konrad-Adenauer-Stiftung e.V 2013.
- Commission on Security and Cooperation in Europe. (2004). *GEORGIA'S "ROSE REVOLUTION"*. WASHINGTON: Commission on Security and Cooperation in Europe. Retrieved 2018.03.22 from <https://adst.org/2015/11/georgia-and-the-rose-revolution/>
- Dmitrieva, I. (2016, December 02). *Russia Sets Economic Sanctions Against Turkey*. Retrieved 2018.03.11 from <https://www.whitecase.com>:
<https://www.whitecase.com/publications/alert/russia-sets-economic-sanctions-against-turkey>
- Drezner, D. W. (1999). *The sanctions paradox Economic statecraft and international relations*. Cambridge: press syndicate of the university of cambridge.
- Erdoğan, R. T. (2015, December 2). *"Adding fuel to the fire benefits no one"*. Retrieved 2018.03.11 from <https://www.tccb.gov.tr>: <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/36174/atese-korukle-gitmek-kimsenin-yararina-degildir>
- Erdoğan, R. T. (2015, December 3). *"Let us walk towards the future not with a post-coup constitution but a national constitution"*. Retrieved 2018.03.18 from <https://www.tccb.gov.tr>: <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/37194/gelecege-darbe-anayasasiyla-degil-milletin-anayasasiyla-yuruyelim>
- Erdoğan, R. T. (2015, November 27). *"No country could ever violate another country's sovereign rights"*. Retrieved 2018.03.20 from <https://www.tccb.gov.tr>:
<https://www.tccb.gov.tr/en/news/542/36112/hicbir-ulkenin-egemenlik-haklari-ihlal-edilemez>
- Erdoğan, R. T. (2015, November 25). "No one can associate terrorism with Islam". (<https://www.tccb.gov.tr/en/news/542/36091/kimse-islam-ile-teroru-bir-arada-ifade>

- edemez, Interviewer) Ankara: Retrieved 2018.03.27 from <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/36091/kimse-islam-ile-teroru-bir-arada-ifade-edemez>.
- Erdoğan, R. T. (2015, November 28). *“The UN Climate Change Summit could be an opportunity to restore our relations”*. Retrieved 2018.03.18 from <https://www.tccb.gov.tr>: <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/36121/bm-iklim-degisikligi-zirvesi-iliskilerimizin-tamiri-icin-firsat-olabilir>
- Erdoğan, R. T. (2015, November 26). *“There is no Daesh in the region, where the Bayırbucak Turkmens live”*. Retrieved 2018.25.03 from <https://www.tccb.gov.tr>: <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/36100/kimsenin-ulkemizin-daes-ile-mucadelesini-tartisma-konusu-yapma-hakki-yoktur>
- Erdoğan, R. T. (2015, November 27). *“This nation has never stabbed anyone in the back”*. Retrieved 2018.03.27 from <https://www.tccb.gov.tr>: <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/36116/bu-millet-bugune-kadar-hic-kimseyi-sirtindan-bicaklamamistir>
- Erdoğan, R. T. (2015, November 27). *“Those who violated our airspace are the ones who need to apologize”*. Retrieved 2018.03.11 from <https://www.tccb.gov.tr>: <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/36109/ozur-dilemesi-gerekenler-bizim-hava-sahamizi-ihlal-edenlerdir>
- Erdoğan, R. T. (2015, December 5). *President Erdoğan at Turkey Innovation Week*. Retrieved 2018.03.29 from <https://www.tccb.gov.tr>: <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/37201/president-erdogan-at-turkey-innovation-week>
- Erdoğan, R. T. (2015, October 4). Those, who cooperate with the Syrian regime, will be held accountable for their actions before history. (p. conference, Interviewer)
- Erdoğan, R. T. (2016, 04 22). *“Antalya is the apple of Turkey’s eye besides being a global city”*. Retrieved 2018.03.15 from <https://www.tccb.gov.tr>:

<https://www.tccb.gov.tr/en/news/542/43692/antalya-turkiyenin-gozbebegi-olmasi-yaninda-bir-dunya-sehridir>

Erdoğan, R. T. (2016, 05 31). *“Approval of the bill harms relations”*. Retrieved 2018.03.18 from <https://www.tccb.gov.tr>: <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/44202/approval-of-the-bill-harms-relations>

Erdoğan, R. T. (2016, 02 4). *“Humanitarian diplomacy should be the key to international relations”*. Retrieved 2018.03.11 from <https://www.tccb.gov.tr>: <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/38708/insani-diplomasi-uluslararası-iliskilerin-anahtari-olmalıdır>

Erdoğan, R. T. (2016, January 30). *“If Russia continues airspace violations, it will face the consequences”*. Retrieved 2018.03.20 from <https://www.tccb.gov.tr>: <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/38669/rusya-hava-sahasi-ihlallerine-devam-ederse-sonuclarina-katlanir>

Erdoğan, R. T. (2016, 05 13). *“No one takes action against incidents in Aleppo”*. Retrieved 2018.03.27 from <https://www.tccb.gov.tr>: <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/43939/no-one-takes-action-against-incidents-in-aleppo>

Erdoğan, R. T. (2016, January 8). *“Our troops in Bashiqa are prepared for anything”*. Retrieved 2018.03.20 from <https://www.tccb.gov.tr>: <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/37521/our-troops-in-bashiqa-are-prepared-for-anything>

Erdoğan, R. T. (2016, 02 11). *“The UN must stop the ethnic cleansing in Syria instead of making calls to Turkey”*. Retrieved 2018.03.11 from <https://www.tccb.gov.tr>: <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/38798/the-un-must-stop-the-ethnic-cleansing-in-syria-instead-of-making-calls-to-turkey>

Erdođan, R. T. (2016, 08 08). *“The West is not consistent with the values it advocates”*. Retrieved 2018.03.25 from <https://www.tccb.gov.tr>: <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/49942/bati-kendi-degerleri-ile-celiski-icinde>

Erdođan, R. T. (2016, 02 17). *President Erdođan Addresses District Governors at the Presidential Complex*. Retrieved 2018.03.24 from <https://www.tccb.gov.tr>:
<https://www.tccb.gov.tr/en/news/542/39845/president-erdogan-addresses-district-governors-at-the-presidential-complex>

Erdođan, R. T. (2016, 12 29). *President Erdođan Addresses Syria Ceasefire with President Putin of Russia*. Retrieved 2018.03.20 from <https://www.tccb.gov.tr>:
<https://www.tccb.gov.tr/en/news/542/69606/cumhurbaskani-erdogan-ile-rusya-devlet-baskani-putin-suriyedeki-ateskesi-gorustu>

Erdođan, R. T. (2016, 06 27). *President Erdođan Hosts Fast-Breaking Dinner for Merchants and Craftsmen*. Retrieved 2018.03.15 from <https://www.tccb.gov.tr>:
<https://www.tccb.gov.tr/en/news/542/45535/gazzedeki-filistinlilere-nefes-aldiracak-adimlari-suratle-atacagiz>

Erdođan, R. T. (2016, 06 30). *President Erdođan Inaugurates Osmangazi Bridge*. Retrieved 2018.03.27 from <https://www.tccb.gov.tr>:
<https://www.tccb.gov.tr/en/news/542/45570/president-erdogan-inaugurates-osmangazi-bridge>

Erdođan, R. T. (2016, 09 03). *President Erdođan Meets with President Putin of Russia*. Retrieved 2018.03.15 from <https://www.tccb.gov.tr>:
<https://www.tccb.gov.tr/en/news/542/51218/president-erdogan-meets-with-president-putin-of-russia>

- Erdoğan, R. T. (2016, 07 04). *President Erdoğan's Message on Eid al-Fitr*. Retrieved 2018.03.20 from <https://www.tccb.gov.tr>: <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/45583/president-erdogans-message-on-eid-al-fitr>
- Erdoğan, R. T. (2016, 06 27). *President Recep Tayyip Erdoğan's letter to President Vladimir Putin of Russia*. Retrieved 2018.03.21 from <https://www.tccb.gov.tr>: <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/45528/presidential-spokesperson-kalin-russia-and-turkey-have-agreed-to-take-necessary-steps-to-improve-relations>
- Erdoğan, R. T. (2016, 12 19). *Statement*. Retrieved 2018.03.15 from <https://www.tccb.gov.tr>: <https://www.tccb.gov.tr/en/speeches-statements/558/66428/rusyanin-ankara-buyukelcisine-duzenlenen-saldiri>
- Erdoğan, R. T. (2016, 06 29). *Statement on the Phone Conversation with President Vladimir Putin of the Russian Federation*. Retrieved 2018.03.11 from <https://www.tccb.gov.tr>: <https://www.tccb.gov.tr/en/speeches-statements/558/45547/statement-on-the-phone-conversation-with-president-vladimir-putin-of-the-russian-federation>
- ERICHSEN, R. (2018). *Scientific Research and Science Policy in Turkey*. Retrieved 2018.04.10 from <http://journals.openedition.org>: <http://journals.openedition.org/cemoti/61>
- Gelb, B. (2007). *Russian Natural Gas: Regional Dependence*. Congressional Research Service. Retrieved 2018.04.10 from <http://www.dtic.mil/dtic/tr/fulltext/u2/a460847.pdf>
- German, T. (2006). *Abkhazia and South Ossetia: Collision of Georgian and Russian Interests*. France: Research Programme Russia/NIS.
- global firepower index. (2016). *military ranks 2016*. Retrieved 2018.05.06 from <https://www.rexsresources.com>: https://www.rexsresources.com/uploads/6/5/2/1/6521405/global_firepower_military_ranks_-_2016.pdf
- Handel, M. (1990). *Weak States in the International System*. London: Frank Cass, Second Edition.

<https://www.tccb.gov.tr>. (2015, November 15). President Erdoğan Meets Russian President Putin. Ankara, Turkey.

Hufbauer, G. C. (2007). *Economic Sanctions RECONSIDERED*. Washington, DC: PETERSON INSTITUTE FOR INTERNATIONAL ECONOMICS 3rd Edition.

Human Rights Watch. (2007). *Russia's Detention and Expulsion of Georgians*. Human Rights Watch. Retrieved 2018.06.2018 from <https://www.hrw.org/report/2007/09/30/singled-out/russias-detention-and-expulsion-georgians>

Indans, I. (2007). Relations of Russia and Georgia: Developments and Future Prospects. *Baltic Security and Defence Review*,

Irina Dmitrieva, E. M. (2017, June). *Russia Lifts the Majority of Economic Sanctions Against Turkey*. Retrieved 2018.05.21 from <https://www.whitecase.com>:
<https://www.whitecase.com/sites/whitecase/files/files/download/publications/russia-lifts-majority-sanctions-turkey-june-2017.pdf>

Kaempfer, W. (2007). *The Political Economy of Economic Sanctions*. Sandler, Todd and Hartley, Keith (eds) Handbook of Defense Economics: Defense in a Globalized World.

Kakachia, K. (2013). European, Asian, or Eurasian?: Georgian Identity and the Struggle for Euro-Atlantic Integration. In e. b. cecire, *Georgian Foreign Policy The Quest For sustainable security*. Tbilisi: Konrad-Adenauer-Stiftung e.V 2013.

Kalın, İ. (2015, December 9). *The Statement of Presidential Spokesperson Ambassador*. Retrieved 2018.04.16 from <https://www.tccb.gov.tr>:
<https://www.tccb.gov.tr/en/spokesperson/1696/37228/the-statement-of-presidential-spokesperson-ambassador-ibrahim-kalin>

Kalın, İ. (2016, 08 04). Presidential Spokesperson Ambassador İbrahim Kalın's Interview with Russian News Agency TASS. (TASS, Interviewer)

- Kalin, İ. (2016, 12 08). *press conference*. Retrieved 2018.04.16 from <https://www.tccb.gov.tr>:
<https://www.tccb.gov.tr/en/news/542/65295/presidential-spokesperson-kalin-consistency-and-determination-are-of-the-essence-in-the-fight-against-terror>
- kelkitli, f. a. (2008, winter). RUSSIAN FOREIGN POLICY IN SOUTH CAUCASUS UNDER PUTIN. *Center for Strategic Research of the Ministry of Foreign Affairs of the Republic of Turkey (SAM)*.
- Lari.ge. (2018, June 08). *გაცვლითი კურსი წლების მიხედვით. თბილისი, საქართველო*.
- liberali.ge. (2009, ივნისი 11). *ახალი საქართველო 2004-2008*. Retrieved 2018.03.01 from <http://liberali.ge>: <http://liberali.ge/articles/view/12/akhali-saqartvelo-20042008>
- Livny, E. (2010). *Impact of Russian Sanctions on the Georgian Economy*. Tbilisi, Georgia. Retrieved 2018.03.05 from <http://georgica.tsu.edu.ge/files/02-Economy/Economy/Livny-d.u.pdf>
- Major, S. (2012). *Timing Is Everything: Economic Sanctions, Regime Type, and Domestic Instability*. *International Interactions: Empirical and Theoretical Research in International Relations*.
- Martin, D. (2015). *SANCTIONS: RUSSIA IMPOSES SANCTIONS AGAINST TURKEY*. Retrieved 2018.04.22 from <http://www.hfw.com>: <http://www.hfw.com/downloads/HFW-Russia-imposes-sanctions-on-Turkey-December-2015.pdf>
- Miers, A. (2002). *Multilateral Sanctions and Foreign Policy Success: Can Too Many Cooks Spoil the Broth?* *International Interactions: Empirical and Theoretical Research in International Relations*.
- MYERS, S. L. (2006, October 27). *Russia Departs Georgians and Increases Pressures on Businesses and Students*. Retrieved 2018.05.14 from The New York Times:
<https://www.nytimes.com/2006/10/07/world/europe/07moscow.html>

- NATO MEMBER COUNTRIES. (2018, January 04). *NATO MEMBER COUNTRIES*. Retrieved 2018.05.11 from https://www.nato.int/cps/en/natolive/nato_countries.htm:
https://www.nato.int/cps/en/natolive/nato_countries.htm
- Nooruddin, I. (2002). *Modeling Selection Bias in Studies of Sanctions Efficacy*. International Interactions.
- Numanoğlu, N. (2016). *INDUSTRY 4.0 IN TURKEY AS AN IMPERATIVE FOR GLOBAL COMPETITIVENESS AN EMERGING MARKET PERSPECTIVE*. İSTANBUL: TÜSİAD.
- Ole Austvik, Gulmira Rzayeva. (2016). *Turkey in the Geopolitics of Natural Gas*. Mossavar-Rahmani Center for Business & Government or of Harvard University.
- Olson, R. (1996). *The Kurdish Question and Chechnya: Turkish and Russian Foreign Policies Since the Gulf War*. Retrieved 2018.04.21 from <https://www.mepc.org>:
<https://www.mepc.org/node/4813>
- Özel, y. S. (2016, MAY 10). *The Crisis in Turkish-Russian Relations*. Retrieved 2018.05.13 from <https://cdn.americanprogress.org>: <https://cdn.americanprogress.org/wp-content/uploads/2016/05/10020035/TurkishEssay-Ozel-05.11.16.pdf>
- Pape, R. A. (1997). Why Economic Sanctions Do Not Work. *International Security*.
- Parakilas, X. W. (2016, AUGUST). *Transatlantic Rifts Averting a Turkey/Russia Conflict*. Retrieved 2018.04.12 from <https://www.chathamhouse.org>:
<https://www.chathamhouse.org/sites/files/chathamhouse/publications/research/2016-08-05-transatlantic-rifts-turkey-russia-wickett-parakilas.pdf>
- Pavel K. Baev, Kemal Kirişçi. (2017). *An ambiguous partnership The serpentine trajectory of Turkish-Russian relations in the era of Erdoğan and Putin*. Center on the United states and Europe at Brookings.

- Petriashvili, D. (2006). *Georgians express outrage at Russian sanctions, deportations*. Tbilisi: EurasiaNet. Retrieved 2018.05.17 from <https://eurasianet.org/s/georgians-express-outrage-at-russian-sanctions-deportations>
- Petriashvili, D. (2006). *Russia recalls ambassador to Georgia, plans evacuation* . Tbilisi: Eurasianet . Retrieved 2018.05.17 from <https://www.theguardian.com/world/2006/sep/28/georgia.russia>
- Peuch, J.-C. (2006, March 31). *Georgia: Russia Pledges To Complete Military Pullout On Schedule*. Retrieved 2018.04.11 from Radio Free Europe: <https://www.rferl.org/a/1067294.html>
- Presidency Of The Republic Of Turkey . (2017, 03 10). *President Erdoğan Goes to Russia*. Retrieved 2018.06.04 from <https://www.tccb.gov.tr>:
<https://www.tccb.gov.tr/en/news/542/72262/cumhurbaskani-erdogan-rusyaya-gitti>
- Recep Erdoğan, Barack Obama. (2015, December 1). *“Our concern is to contribute to the peace in the region”*. Retrieved 2018.06.29 from <https://www.tccb.gov.tr>:
<https://www.tccb.gov.tr/en/news/542/36154/derdimiz-bolge-barisina-katkida-bulunmak>
- Recep Erdoğan, C. M. (2015, October 06). *“If Russia loses a friend like Turkey, it will lose a lot”*. (p. conference, Interviewer)
- Recep Tayyip Erdoğan, Vladimir Putin. (2016, 08 09). *“Turkey-Russia relations have entered a positive phase of great targets”*. Retrieved 2018.03.17 from <https://www.tccb.gov.tr>:
<https://www.tccb.gov.tr/en/news/542/49944/turkey-russia-relations-have-entered-a-positive-phase-of-great-targets>
- Recep Tayyip Erdoğan, Vladimir Putin. (2016, 08 09). *“We will make the Ankara-Moscow line a line of trust and friendship again”*. Retrieved 2018.03.17 from <https://www.tccb.gov.tr>:
<https://www.tccb.gov.tr/en/news/542/49947/ankara-moskova-hattini-yeniden-bir-guven-ve-dostluk-hatti-hline-getirecegiz>
- Recep Tayyip Erdoğan, Vladimir Putin. (2016, 10 10). *Turkish Stream Natural Gas Pipeline Project Signed*. Retrieved 2018.03.18 from <https://www.tccb.gov.tr>:

<https://www.tccb.gov.tr/en/news/542/53556/cumhurbaskani-erdogan-rusya-devlet-baskani-putin-ile-gorustu>

STRUCTURE & INDUSTRY DATA. (2013). *GEORGIAN TOURISM IN FIGURES*. Retrieved 2018.05.19 from <https://gnta.ge>: <https://gnta.ge/wp-content/uploads/2014/08/eng.pdf>

Susanne Oxenstierna, Per Olsson. (2015). *The economic sanctions against Russia Impact and prospects of success*. Detta verk är skyddat enligt lagen.

Tocci, N. (2014). *Turkey and the European Union A Journey in the Unknown*. The Center on the United States and Europe at Brookings .

tradingeconomics. (1960-2018). *Turkey GDP 1960-2018*. Retrieved from <https://tradingeconomics.com>: <https://tradingeconomics.com/turkey/gdp>

Triantaphyllou, D. (2009). The 'security paradoxes' of the Black Sea region. *Southeast European and Black Sea Studies*.

Tsygankov, A. P. (2009). Duelling Honors: Power, Identity and the Russia-Georgia Divide By. *Foreign Policy Analysis*.

Turkey National Security Council. (2015, December 18). *National Security Council Convenes at the Presidential Complex*. Retrieved 2018.05.07 from <https://www.tccb.gov.tr>: <https://www.tccb.gov.tr/en/news/542/37349/national-security-council-convenes-at-the-presidential-complex>

Turkish statistical institute. (2001-2018). *Tourism Income, Expenditure and Average Number of Nights, 2001-2018*. Retrieved 2018.04.11 from <http://www.turkstat.gov.tr>: http://www.turkstat.gov.tr/PreTablo.do?alt_id=1088

Turkish statistical institute. (2013-2015). *Distribution of Foreign Visitors Arriving in Turkey by Country of Nationality in 2013-2015*. Retrieved 2018.04.16 from <http://www.turkstat.gov.tr>: <http://www.turkstat.gov.tr/UstMenu.do?metod=temelist>

- Turkish Statistical Institute. (2018). *Exports by country and year*. Retrieved 2018.03.03 from <http://www.turkstat.gov.tr>: <http://www.turkstat.gov.tr/UstMenu.do?metod=temelist>
- Turkish statistical Institute. (2018). *Imports by country and year*. Retrieved 2018.03.03 from <http://www.turkstat.gov.tr>: <http://www.turkstat.gov.tr/UstMenu.do?metod=temelist>
- ÜSTÜN, Ç. (2016, April). *RUSSIA-TURKEY: FROM HONEYMOON TO RIVALRY A RETURN TO THE GHOSTS OF THE PAST?*. Izmir: CICERO FOUNDATION GREAT DEBATE PAPER .
- Wolczuk, L. D. (2015). Spoiler or facilitator of democratization?: Russia's role in Georgia and Ukraine, Democratization. *Taylor & Francis*.
- www.statista.com. (n.d.). *Main import partners in*. Retrieved 2018.03.13 from <https://www.statista.com>: <https://www.statista.com/statistics/271355/main-import-partners-for-russia/>
- Yasmann, V. (2006, October 2). *Georgia: Moscow's Next Step In Spy Row*. Retrieved 2018.06.18 from Radio free Europe: <https://www.rferl.org/a/1071744.html>
- აკობია, ე. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობების თეორია*. თბილისი: სიცილაურ მეცნიერებათა ცენტრი.
- ალექსიძე, ლ. (2010). *თანამედროვე საერთაშორისო სამართალი*. თბილისი: ინოვაცია.
- ანჩაბაძე, გ. (2005). *საქართველოს ისტორია მოკლე ნარკვევი*. თბილისი, საქართველო.
- დავითაშვილი, ზ. (2015). საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა: დაპირისპირების მიზეზები. *ჩემი სამყარო*, 28. Retrieved 2018.04.28 from http://parliament.ge/files/983_15250_151164_34-74_saqarTvelo-ruseTi.pdf
- ზურაბიშვილი, თ. (2006). *თვისობრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში*. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი .
- ლიანა ჯერვანიძე. (2008). *საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკა ბუნებრივი აირის სფეროში*. თბილისი: საერთაშორისო გამჭვირვალობა

საქართველო. Retrieved 2018.05.03 from

<https://www.transparency.ge/sites/default/files/Georgia%27s%20Policy%20in%20Natural%20Gas-Geo.pdf>

პაპავა, ვ. (2011). *საქართველო-რუსეთის ეკონომიკურ ურთიერთობა ევოლუცია პოსტსაბჭოთა პერიოდში: განვლილი გზა და პერსპექტივები*. თბილისი:

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.

რონდელი, ა. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობები*. თბილისი: ნეკერი.

რონდელი, ა. (2009). *პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში*. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი.

სააკაშვილი, მ. (2006). *ახალი აირტურბინული ელექტროსადგური გახსნაზე გაკეთებული განცხადება*. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. Retrieved 2018.04.07 from <http://www.saakashviliarchive.info/en/>:

<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2691&i=1>

სააკაშვილი, მ. (2006). *ბრიფინგი*. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

Retrieved 2018.04.21 from <http://www.saakashviliarchive.info/en/>:

<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2420&i=1>

სააკაშვილი, მ. (2006). *გამოსვლა ენერგეტიკის საბჭოს სხდომაზე*. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. Retrieved 2018.04.11 from

<http://www.saakashviliarchive.info/en/>:

<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2697&i=1>

სააკაშვილი, მ. (2006). *განცხადება უშიშროების საბჭოს სხდომაზე*. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. Retrieved 2018.04.15 from

[http://www.saakashviliarchive.info/en/:](http://www.saakashviliarchive.info/en/)

<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2693&i=1>

სააკაშვილი, მ. (2006). *ენერგომომარაგების საკითხებზე გამართული თათბირი*. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. Retrieved 2018.04.12 from

[http://www.saakashviliarchive.info/en/:](http://www.saakashviliarchive.info/en/)

<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2689&i=1>

სააკაშვილი, მ. (2006). *კვების მრეწველობის წარმომადგენლებს შეხვედრა*. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. Retrieved 2018.04.02 from

[http://www.saakashviliarchive.info/en/:](http://www.saakashviliarchive.info/en/)

<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2657&i=1>

სააკაშვილი, მ. (2006). *მისასალმებელი სიტყვა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის აჰმეთ ნეჯდეთ სეზერის მიმართ*. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

Retrieved 2018.04.07 from [http://www.saakashviliarchive.info/en/:](http://www.saakashviliarchive.info/en/)

<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2677&i=1>

სააკაშვილი, მ. (2006). *საგანგებო განცხადება*. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. Retrieved 2018.04.22 from <http://www.saakashviliarchive.info/en/>:
<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2688&i=1>

სააკაშვილი, მ. (2006). *ახმეტის რაიონში ღვინის ქარხნის პრეზენტაცია*. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. Retrieved 2018.04.24 from <http://www.saakashviliarchive.info/en/>:
<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2630&i=1>

სააკაშვილი, მ. (2006). *გაზსადენის აფეთქებასთან დაკავშირებით ტელეკომპანია "ბი-ბი-სი"-სთვის გაკეთებული კომენტარი*. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. Retrieved 2018.04.04 from <http://www.saakashviliarchive.info/en/>:
<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2692&i=1>

სააკაშვილი, მ. (2006). *გამოსვლა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პრეზენტაციაზე*. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. Retrieved 2018.04.024 from <http://www.saakashviliarchive.info/en/>:
<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2656&i=1>

სააკაშვილი, მ. (2006). *გამოსვლა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის ყოველწლიურ 61-ე სესიაზე*. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

Retrieved 2018.04.17 from <http://www.saakashviliarchive.info/en/>:

<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2641&i=1>

სააკაშვილი, მ. (2006). *გამოსვლა საგარეო საქმეთა სამინისტროში*. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. Retrieved 2018.04.17 from

<http://www.saakashviliarchive.info/en/>:

<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2674&i=1>

სააკაშვილი, მ. (2006). *გამოსვლა საქართველოს უსაფრთხოების ფორუმზე*. თბილისი:

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. Retrieved 2018.04.19 from

<http://www.saakashviliarchive.info/en/>:

<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2685&i=1>

სააკაშვილი, მ. (2006). *ენერგეტიკული კომისიის სხდომა*. თბილისი: საქართველოს

პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. Retrieved 2018.04.21 from

<http://www.saakashviliarchive.info/en/>:

<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2667&i=1>

სააკაშვილი, მ. (2006). *საგანგებო მიმართვა რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები*

თანამემამულეებისადმი. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. Retrieved 2018.04.10 from <http://www.saakashviliarchive.info/en/>:

<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2633&i=1>

სააკაშვილი, მ. (2006, November 14). *საქართველოს პრეზიდენტის ბატონი მიხეილ სააკაშვილის მიმართვა ევროპარლამენტისადმი*. Retrieved 2018.04.15 from <http://www.saakashviliarchive.info/en/>:

<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2627&i=1>

სააკაშვილი, მ. (2006). *საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა უშიშროების საბჭოს სხდომაზე*. Retrieved 2018.04.04 from <http://www.saakashviliarchive.info/en/>:

<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2693&i=1>

სააკაშვილი, მ. (2006). *საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საგანგებო განცხადება*. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. Retrieved 2018.04.10 from <http://www.saakashviliarchive.info/en/>:

<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2688&i=1>

სააკაშვილი, მ. (2006). *ყოველწლიური შემაჯამებელი მოხსენება პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე*. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. Retrieved 2018.04.01 from <http://www.saakashviliarchive.info/en/>:

<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2686&i=1>

სააკაშვილი, მ. (2007). *NATO-ს საპარლამენტო ასამბლეის 65-ე „როუზ-როსის“ სემინარი*. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. Retrieved 2018.04.21 from

<http://www.saakashviliarchive.info/en/>:

<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2392&i=1>

სააკაშვილი, მ. (2007). *ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა*. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. Retrieved 2018.04.24 from

<http://www.saakashviliarchive.info/en/>:

<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2402&i=1>

სააკაშვილი, მ. (2007). *მთავრობის სხდომა*. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

Retrieved 2018.04.22 from <http://www.saakashviliarchive.info/en/>:

<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2404&i=1>

სააკაშვილი, მ. (2008). *ფიცის დადების საზეიმო ცერემონიალი*. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახური. Retrieved 2018.04.30 from

<http://www.saakashviliarchive.info/en/>:

<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2353&i=1>

სააკაშვილი, მ. (2008). *გამოსვლა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე*.

თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახური. Retrieved 2018.04.22 from <http://www.saakashviliarchive.info/en/>:

<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2352&i=1>

სააკაშვილი, მ. (2008). *განცხადება*. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახური. Retrieved 2018.04.18 from <http://www.saakashviliarchive.info/en/>:
<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2345&i=1>

სააკაშვილი, მ. (2008). *ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა*. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახური. Retrieved 2018.04.02 from <http://www.saakashviliarchive.info/en/>:
<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2327&i=1>

სააკაშვილი, მ. (2008). *საგანგებო განცხადება*. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახური. Retrieved 2018.04.11 from <http://www.saakashviliarchive.info/en/>:
<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2343&i=1>

სააკაშვილი, მ. (2008). *უშიშროების საბჭოს სხდომა*. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახური. Retrieved 2018.04.01 from <http://www.saakashviliarchive.info/en/>:
<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2347&i=1>

მიხეილ სააკაშვილი, ვლადიმერ პუტინი. (2006). *საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების ერთობლივი ბრიფინგი*. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. Retrieved 2018.04.10 from <http://www.saakashviliarchive.info/en/>:
<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2424&i=1>

მიხეილ სააკაშვილი, კონდოლიზა რაისი. (2008). *ბრიფინგი*. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახური. Retrieved 2018.04.08 from <http://www.saakashviliarchive.info/en/>:
<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2277&i=1>

მიხეილ სააკაშვილი, ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი. (2008). *პრესკონფერენცია*. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახური. Retrieved 2018.04.13 from <http://www.saakashviliarchive.info/en/>:
<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2274&i=1>

მიხეილ სააკაშვილი, ხავერდ სოლანა. (2008). *პრესკონფერენცია*. თბილისი: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახური. Retrieved 2018.04.01 from <http://www.saakashviliarchive.info/en/>:
<http://www.saakashviliarchive.info/ge/PressOffice/News/SpeechesAndStatements?p=2284&i=1>

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2011). *პირდაპირი უცხოური ინვესტიციები*. Retrieved 2018.05.09 from <http://www.economy.ge>:
http://www.economy.ge/uploads/ek_seqtorebi/FDI_geo-1.pdf

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. (2006). *საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2005*. Retrieved 2018.05.09 from <http://www.geostat.ge>:
http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/archive/ex.trade/External%20Trade%20of%20Georgia_2005.pdf

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. (2007). *საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2006*. Retrieved 2018.05.09 from <http://www.geostat.ge>:
http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/archive/ex.trade/External%20Trade%20of%20Georgia_2006.pdf

- საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. (2008). *საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2007*. Retrieved 2018.05.09 from <http://www.geostat.ge>:
http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/archive/ex.trade/External%20Trade%20of%20Georgia_2007.pdf
- საქართველოს ეროვნული ბანკი. (2001-2017). *ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით*. Retrieved 2018.05.23 from <https://www.nbg.gov.ge>:
<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2016). *მთლიანი შიდა პროდუქტი*. Retrieved 2018.04.12 from <http://geostat.ge>:
http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2017). *მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ)*. Retrieved 2018.04.12 from <http://geostat.ge>:
http://geostat.ge/?action=page&p_id=121&lang=geo
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2017). *მთლიანი შიდა პროდუქტი*. Retrieved 2018.04.16 from <http://geostat.ge>:
http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2017). *მრეწველობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის NACE rev.2 მიხედვით*. Retrieved 2018.05.02 from <http://geostat.ge>: http://geostat.ge/?action=page&p_id=2413&lang=geo
- სახელმწიფო აუდიტის სამსახური. (2014). *მეცნიერების მართვის ღონისძიებები*. თბილისი: ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში.
- სივილ ჯორჯია . (2014, ივლისი 03). *ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს განაჩენი საქართველო vs რუსეთის დეპორტაციის საქმეზე*. Retrieved 2018.05.05 from <https://old.civil.ge>: <https://old.civil.ge/geo/article.php?id=28429>

ჰაკერტი, რ. (2014). *მოსახლეობის დინამიკა საქართველოში*. Retrieved 2018.06.09 from
[http://census.ge:](http://census.ge)
http://census.ge/files/results/publication/ge/3.%20Population%20Dynamics%20_GEO-Print_F.pdf

დანართი #1

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2005-2006 წლის ექსპორტის მიხედვით

ქვეყნები	2005 წელი % მთლიან ექსპორტში	2006 წელი % მთლიან ექსპორტში
თურქეთი	14,1	12,6
აზერბაიჯანი	9,6	9,3
რუსეთი	17,8	7,6
სომხეთი	4,6	7,4
თურქმენეთი	8,8	7,2
ბულგარეთი	4,9	6,3
აშშ	3,1	5,9
უკრაინა	4,3	5,7
კანადა	4,1	4,9
გერმანია	3,3	4,6

* (საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, 2007)

დანართი #2

თურქეთის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2005-2006 წლის ექსპორტის მიხედვით

ქვეყნები	2015 წელი % მთლიან ექსპორტში	2016 წელი % მთლიან ექსპორტში
გერმანია	9,3	9,8
დიდი ბრიტანეთი	7,3	8,2
არაბთა გაერთიანებული სამხრეთი	3,3	3,8
ერაყი	5,9	5,4
ამერიკა	4,4	4,6
იტალია	4,8	5,3
საფრანგეთი	4,1	4,2
ესპანეთი	3,3	3,5
ნიდერლანდები	2,2	2,5
ისრაელი	1,9	2,1
ირანი	2,5	3,5
ბელგია	1,8	1,8

რუმინეთი	2,0	1,9
პოლონეთი	1,6	1,9
ჩინეთი	1,7	1,6
ბულგარეთი	1,2	1,7
რუსეთი	2,5	1,2
საუდის არაბეთი	2,4	2,2
ეგვიპტე	2,2	1,9
ალჟირი	1,3	1,2

* (Turkish Statistical Institute, 2018)

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Rusudan Gogisvanidze

Influence of Interstate Relations on the Results of Economic Sanctions
(Cases of Georgia and Turkey: Comparative Analysis)

Diplomacy and International Politics

Thesis Submitted in Fulfillment of the Requirements for the Degree of Master of
Diplomacy and International Politics

Supervisor: Nikoloz Samkharadze

Doctor of International Relations

Tbilisi, 2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ნელი შვანგირაძე

აშშ-ჩინეთის ურთიერთობები: კომპლექსური
ურთიერთდამოკიდებულების შემთხვევა, მმართველი
პოლიტიკური პარტიის მაგალითზე

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო
პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი:

საერთაშორისო ურთიერთობათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი-თორნიკე თურმანიძე

თბილისი

2018

ანოტაცია

21-ე საუკუნეში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებში წარმოადგენს ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობები. პოლუსის ერთ მხარეს არის შეერთებული შტატები თავისი გამოკვეთილი საგარეო პოლიტიკითა და ძლიერი ეკონომიკით და მეორე მხარეს წარმოადგენს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომლის სწრაფად მზარდი ეკონომიკა კონკურენციას უწევს არსებულ ჰეგემონს, გამომდინარე აქედან დღესდღეობით ჩინეთის საკითხი აქტიურად დგას საერთაშორისო დღის წესრიგში. ჩინეთის ყოველწლიურად მზარდი ეკონომიკა, მისი როლისა და მნიშვნელობის ზრდა ეკონომიკურ, საგარეო პოლიტიკურ თუ სავაჭრო ურთიერთობებში მთელი მსოფლიოს ინტერესს იწვევს.

მოცემული კვლევის მთავარი მიზანია შეისწავლოს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის ურთიერთობა, უფრო კონკრეტულად კი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს განიხილოს თუ რატომ ვერ მოახდინა გავლენა აშშ-ს საგარეო პოლიტიკური კურსისა და მისი მმართველი პარტიების ცვალებადმა დამოკიდებულებამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ, მათ შორის ვაჭრობასა და მზარდ ეკონომიკურ ურთიერთობებზე. ამ მიზნით ნაშრომში განხილულია ამერიკის ორი მთავარი პოლიტიკური პარტია: დემოკრატები და რესპუბლიკელები, მათი დამოკიდებულება საგარეო პოლიტიკის, ვაჭრობისა და კონკრეტულად ჩინეთის მიმართ. კვლევაში მოსაზრების გასამყარებლად მოყვანილია ორი პრეზიდენტის ერთის მხრივ რესპუბლიკელი ჯორჯ ბუშისა და მეორეს მხრივ დემოკრატი ბარაკ ობამას მაგალითები. წინამდებარე ნაშრომში სიახლეს წარმოადგენს აშშ-ჩინეთის ურთიერთობების სხვა კურობით დანახვა და წარმოჩენა. გაანალიზება იმ ფაქტისა, რომ ეკონომიკური კავშირები ორ ქვეყანას შორის იმდენად მყარია, რომ საგარეო პოლიტიკის ცვალებადობა და პოლიტიკური პარტიების როტაცია ვერ ახდენს მათზე გავლენას, გამომდინარე იქედან, რომ მათ შორის მჭიდრო და მზარდი ეკონომიკური კავშირებია ჩამოყალიბებული. თემაში განხილული ცვლადებისა და ქეისების მაგალითზე ვხედავთ, რომ აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ცვალებადობამ ეკონომიკურ კავშირებზე გავლენა ვერ მოახდინა.

გამომდინარე აქედან ძირითად შედეგად ვაყალიბებთ იმ დასკვნას, რომ ჩინეთსა და ამერიკას შორის სავაჭრო ურთიერთობები ორივე ქვეყნისათვის მნიშვნელოვან პრიორიტეს წარმოადგენს, ამიტომაც სხვადასხვა პრეზიდენტების განცხადებები, პოლიტიკური დამაბულობა თუ ქვეყნის განსხვავებული პარტიები ვერ ახდენენ გავლენას ამერიკასა და ჩინეთს შორის სავაჭრო ურთიერთობებზე. მოცემული ფაქტებისა და კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიიდან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამერიკასა და ჩინეთს შორის ურთიერთდამოკიდებულების შედეგად ჩამოყალიბდა ისეთი მჭიდრო კავშირები, რომელთა გაწყვეტაც ნეგატიურ შედეგს გამოიწვევს ორივე სახელმწიფოს სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროზე.

Annotation

One of the most important issues in the 21st century is USA-China Relations in foreign policy making. On the one side is the United State with its distinct foreign policy and strong economy and on the other side there is the People's Republic of China, whose rapidly growing economy compete with the existing hegemony, that is why Chinese issue is now so important on the international agenda. China's growing annual economy, its role and significance in economic, foreign policy and trade relations, has led to the interest of whole world.

The main goal of this Thesis is to study the relationship between the United States and China, more specifically, the purpose of the work is to examine why the US foreign policy's changing attitude doesn't effect on economical growth. To understanding this the paper deals with two major political parties: Democrats and Republicans and their attitude towards foreign policy, trade and more particularly its about relationship with China. In the survey, there are two examples of two Presidents: one is Barack Obama with his Democratic party views and on the other hand there is Republican's party presentator - George Bush. The novelty in the present work is to see and represent the US-China relations with other currents. Analyzing the fact that the economic ties between the two countries are so strong that the change in foreign policy and the rotation of political parties cannot affect them, since they have formed close and growing economic ties. In the example of variables and cases discussed in the topic, we see that the change in US foreign policy has not affected economic ties. As a result of this, we are making the conclusion that trade relations between China and America are important for both countries, so the statements of various presidents, political tensions or different parties in the country can not influence the trade relations between the US and China. Depending on the facts and the complex interdependence theory, we can assume that the relationship between the US and China has established close ties and that is exactly why both countries cannot make negative consequences on trade and economical relationship.

სარჩევი

შესავალი	6
თავი 1. ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობების ისტორიული მიმოხილვა.....	15
თავი 2. აშშ-ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობები 1978-2017 წლებში.....	20
თავი 3. აშშ-ს პოლიტიკური პარტიები: რესპუბლიკელები და დემოკრატები.....	28
3.1 რესპუბლიკელები და მათი ხედვა საგარეო ვაჭრობასა და ჩინეთთან მიმართებაში	28
3.2 დემოკრატები და მათი ხედვა საგარეო ვაჭრობასა და ჩინეთთან მიმართებაში.....	30
3.3 რესპუბლიკელებისა და დემოკრატების საგარეო პოლიტიკის ანალიზი აშშ-ჩინეთის ურთიერთობებში	31
თავი 4. აშშ-ს პრეზიდენტების ჯორჯ ბუშისა და ბარაკ ობამას დამოკიდებულება ჩინეთის მიმართ.....	33
4.1 ჯორჯ ბუშის საგარეო პოლიტიკური კურსი და ჩინეთისადმი მისი პოლიტიკა.....	33
4.2 ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკური კურსი და ჩინეთისადმი მისი პოლიტიკა	34
თავი 5. კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია.....	36
დასკვნა	42
ბიბლიოგრაფია:	47
დანართი N1	51
დანართი N2	52
დანართი N3	53
დანართი N4	54

შესავალი

მოცემული კვლევის მთავარი მიზანია შეისწავლოს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის ურთიერთობა, უფრო კონკრეტულად კი ნაშრომის მიზანია განიხილოს თუ რატომ ვერ მოახდინა გავლენა აშშ-ს საგარეო პოლიტიკურმა კურსმა და მისი მმართველი პარტიების ცვალებადმა დამოკიდებულებამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ, მათ შორის ვაჭრობასა და ეკონომიკურ ურთიერთობებზე. ამ მიზნით ნაშრომში განხილულია ამერიკის ორი მთავარი პოლიტიკური პარტია: დემოკრატები და რესპუბლიკელები, მათი დამოკიდებულება საგარეო პოლიტიკის, ვაჭრობისა და კონკრეტულად ჩინეთის მიმართ. კვლევაში მოსაზრების გასამყარებლად მოყვანილია ორი პრეზიდენტის ერთის მხრივ რესპუბლიკელი ჯორჯ ბუშისა და მეორეს მხრივ დემოკრატი ბარაკ ობამას მაგალითები.

21-ე საუკუნეში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობები, ერთის მხრივ ამერიკა, რომელიც სუპერსახელწიფოა და მეორეს მხრივ განვითარებადი და სწრაფად მზარდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ისტორიული ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის საკმაოდ კომპლექსური და ფართომასშტაბიანია, გამომდინარე აქედან დღესდღეობით ჩინეთის საკითხი აქტიურად დგას საერთაშორისო დღის წესრიგში. ჩინეთის ყოველწლიურად მზარდი ეკონომიკა, მისი როლისა და მნიშვნელობის ზრდა ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სავაჭრო ურთიერთობებში მთელი მსოფლიოს ინტერესს იწვევს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 1978 წლიდან მოყოლებული ამერიკა და ჩინეთი ეკონომიკურ ურთიერთობებში ერთმანეთთან ახლო კავშირში იმყოფებიან, რაც ნაშრომში დეტალურად არის განხილული. (Lardy, 2001)

კვლევა შემოსაზღვრული იქნება დროის მონაკვეთში კონკრეტულად კი 1978 წლიდან 2017 წლამდე. მართალია ისტორიული ურთიერთობების თავში განხილულია დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების რთული გზა, რომელიც წინანდელი პერიოდია, მანამ სანამ ეკონომიკური ურთიერთობები ჩამოყალიბდებოდა. 1978 წლიდან ჩვენ უკვე გვაქვს ქვეყნებს შორის ხელმოწერილი სამი კომუნიკე და მონაცემები

აშშ-ჩინეთს შორის არსებული ვაჭრობისა და მიღებული მოგების შესახებ, ამიტომაც ეკონომიკური ურთიერთობების განხილვა დაწყებული იქნება 1978 წლიდან და დროის ჩარჩო ჩაიკეტება 2017 წელს, ბარაკ ობამას პრეზიდენტობის ადმინისტრაციის დასასრულს. გამომდინარე აქედან, ნაშრომში არ არის განხილული მიმდინარე მოვლენები და სავაჭრო ურთიერთობები.

2012 წელს ჩინეთსა და ამერიკას შორის ორმხრივმა ბრუნვამ 536 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, იგივე მონაცემებით, თვალსაჩინოებისთვის, 1979 წელს ანალოგიურ მაჩვენებელი მხოლოდ 2 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა. 10 წლის შემდეგ კი - 1989 წელს ვაჭრობა 18 მილიარდ აშშ დოლარს გაუტოლდა და ეს მაჩვენებელი ყოველ წლიურად მატულობს. მაგალითისთვის: 2014 წელს ორმხრივი სავაჭრო ეკონომიკური ბრუნვის მოცულობამ შეადგინა 592 მილიარდ აშშ დოლარს, ხოლო 2016 წლის მაჩვენებელით 649 მილიარდს გაუტოლდა. (Total value of U.S. trade in goods (export and import) with China from 2006 to 2017 (in billion U.S. dollars), 2017)

ჩინეთი კანადის შემდეგ, ამერიკისთვის ყველაზე მსხვილ სავაჭრო პარტნიორებს შორის მეორე, ხოლო მსხვილ საექსპორტო ბაზრებს შორის მესამე პოზიციას იკავებს. 2014 წელს ამერიკის პირდაპირმა ინვესტიციებმა ჩინეთის ეკონომიკაში შეადგინა 61.5 მილიარდი. აგრეთვე, 2016 წლის დეკემბრისთვის მონაცემებით, ჩინეთი შეერთებული შტატების ფედერალური ხაზინის ფასიანი ქაღალდების, ყველაზე მსხვილი უცხოელი მფლობელია. ამ მიმართულებით, ჩინეთის ქონება შეადგენს 1.4 ტრილიონ აშშ დოლარს და უსწრებს იაპონიას როგორც მსხვილ უცხოელ პარტნიორს. (Trade in goods with China, 2017)

დამატებით, საერთაშორისო საფინანსო სისტემაში, აშშ-ს მიერ გაყიდული სახაზინო ობლიგაციების ძირითადი შემსყიდველი ჩინეთი იყო. ეს სწორედ ის ობლიგაციებია, რომელსაც აშშ თავისი უზარმაზარი სავაჭრო და საბიუჯეტო დეფიციტის დასაფინანსებლად ყიდდა. ამ ტრანზაქციებმა ხელი შეუწყო ზოგიერთი ერთობლივი ინტერესის განვითარებასა და ამავდროულად გააძლიერების საშუალება მისცა ჩინეთს, როგორც გლობალური საფინანსო ბაზრის ძლიერი მოთამაშეს. ჩინეთის უცხოური ვალუტის რეზერვი 3,4 ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენს, რაც იაპონიის რეზერვს,

რომელიც ჩინეთის შემდეგ უცხოური ვალუტის ფლობით მეორე ადგილზე დგას, სამჯერ აღემატება. მოკლედ, რომ ვთქვათ აშშ-ს სავაჭრო ურთიერთობებში იაპონია ჩინეთმა ჩაანაცვლა, რაც დღემდე სავაჭრო პოლიტიკის ყველაზე სადაო საკითხად რჩება. (Jentleson, American Foreign Policy: The dynamics of Choices in 21st Century (fifth edition), 2014)

ნაშრომში განვითარებული და ქვემოთ არსებული სტატისტიკური მონაცემებით დასაბუთებულია მოსაზრება, რომ ამერიკასა და ჩინეთს შორის 1978 წლიდან მოყოლებული 2017 წლამდე არსებობდა ძლიერი, ყოველწლიური მზარდი სავაჭრო ურთიერთობები, რომელმაც ჩამოაყალიბა ამ ორ ქვეყანას შორის რთული ეკონომიკური კავშირები, სწორედ ზემოთხსენებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა საკვლევი კითხვა და შემდგომში ჰიპოთეზაც.

ნაშრომის საინტერესო კვანძი ანუ ე.წ „ფაზლი“ არის გარემოება, რომელის მიხედვითაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსს აყალიბებს ორი მთავარი პოლიტიკური პარტია - დემოკრატებისა და რესპუბლიკელების სახით. გამომდინარე იქედან, რომ ორივე პარტიას განსხვავებული ხედვები აქვს საგარეო პოლიტიკის, ეკონომიკური ურთიერთობების, საერთაშორისო ვაჭრობისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ, გასაკვირია ის ფაქტი, რომ ჩინეთსა და ამერიკას შორის ვაჭრობა ყოველწლიურად უფრო იზრდება და სხვადასხვა პოლიტიკური დაპირისპირებები თუ პრეზიდენტების ხისტი გამოსვლები ზიანს ვერ აყენებენ სავაჭრო კავშირებს. საინტერესოა სწორედ ის, თუ რატომ ვერ მოახდინა გავლენა საგარეო პოლიტიკურმა ინტერესებმა და დამაბუღლმა პოლიტიკურმა ურთიერთობებმა ქვეყნებს შორის საგარეო ვაჭრობაზე.

თემის საკვლევი კითხვა წარმოდგენილია შემდეგნაირად: რატომ ვერ ახდენს აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ცვლილება, ჩინეთთან მიმართებაში, გავლენას ამ ორი ქვეყნის ეკონომიკურ კავშირებზე?

ნაშრომის ჰიპოთეზა: აშშ-ს მმართველი პარტიის მიერ საგარეო პოლიტიკის ცვლილება, ვერ ახდენს გავლენას ორი ქვეყნის ეკონომიკურ ურთიერთობებზე, იმიტომ რომ აშშ-სა

და ჩინეთს შორის, 1978 წლიდან დაწყებული 2017 წლის ეკონომიკური მონაცემების ჩათვლით, აღინიშნება მზარდი ეკონომიკური კავშირი.

დამოუკიდებელი ცვლადი: მზარდი ეკონომიკური კავშირი

დამოკიდებული ცვლადი: აშშ-ს მმართველი პარტიის მიერ საგარეო პოლიტიკის ცვლილებაზე გავლენის ვერ მოხდენა

რაც შეეხება ლიტერატურულ მიმოხილვას, ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა წიგნები, სტატიები, ინტერვიუები და ელექტრონული წყაროები. ლიტერატურულ მიმოხილვაში ყურადღება გამახვილებული იქნება რამოდენიმე წიგნსა და სტატიაზე, რომელსაც განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა ნაშრომის შესრულებაში.

პირველ რიგში გამოვყოფდი სუჯიან გუოსა და ბაოგანგ გუოს მიერ დაწერილ წიგნს - „30 წელი ჩინეთსა და ამერიკის ურთიერთობის: ანალიტიკური მიდგომები და თანამედროვე პრობლემები“. წიგნი გამოშვებული იქნა 2010 წელს და მიემდგნა 2009 წელს ამერიკასა და ჩინეთს შორის დიპლომატიური კავშირების დამყარებისა და ნორმალიზაციის 30 წლის იუბილეს. წიგნში განხილულია 1971 წლიდან მოყოლებული ისტორიული და პოლიტიკური მიმოხილვა ჩინეთსა და ამერიკას შორის ურთიერთობების სტაბილურ თუ დაძაბულ ეტაპებზე. ძირითადი აქცენტი გუოს გაკეთებული აქვს იმაზე, რომ მიუხედავად დაძაბულობისა და ამერიკელების შიშისა (ჩინეთის ზრდასთან დაკავშირებით) მათ შორის ურთიერთდამოკიდებული კავშირია ჩამოყალიბებული, გამომდინარე იქედან, რომ ორივე მხარეს სურს ერთმანეთთან მუშაობა, დიალოგებისა და დიპლომატიის მეშვეობით. ამერიკისა და ჩინეთის მჭიდრო ეკონომიკურ კავშირებზე ასევე მოწმობს ის გარემოებაც, რომ 2008-2009 წლების მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე ჩინეთმა დიდი წვლილი შეტანა აშშ-ს ფინანსური ბაზრის დაფინანსებასა და მსოფლიო ეკონომიკის სტაბილიზაციის ხელშეწყობაში. სწორედ გლობალური გეოსტრატეგიული ლანდშაფტისა და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ფაქტორებიდან გამომდინარე, წიგნის ავტორები ვარაუდობენ, რომ ახალი იდეები, დამოკიდებულება, პირობები და ელემენტები ქმნიან აშშ-ჩინეთის თანამედროვე ურთიერთობებს. (Guo, 2010)

ასევე, მინდა განვილიხო ბრუს ჯენტლენსონის წიგნი „ამერიკის საგარეო პოლიტიკა“, სადაც ავტორი აღწერს ამერიკის 21-ე საკუნის პოლიტიკას და განიხილავს დემოკრატიებისა და რესპუბლიკელების დამოკიდებულებას საგარეო პოლიტიკასა და სავაჭრო ურთიერთობებში. დამატებით ავტორი განიხილავს ჯორჯ ბუშისა და ბარაკ ობამას, როგორც საგარეო ასევე საშინაო პოლიტიკას, რაც პირდაპირ ესადაგება მოცემულ კვლევას. წიგნში ასევე, წამოჭრილია ჩინეთის საკითხიც. სადაც ავტორი სვამს ისეთ კითხვებს როგორცაა: „რას ნიშნავს ჩინეთის აღზევება ამერიკის სიძლიერისათვის გლობალურ და რეგიონალურ კონტექსტში“? და „შესაძლებელია თუ არა ჩინეთის ინტეგრირება გლობალურ და რეგიონალურ ორგანიზაციებში“? ჯენტლენსონი წიგნში ეხება გეოპოლიტიკური რეგიონების ძირითად კონცეფციებს, რომლებიც დღესდღობით ყველაზე აქტიურია და როგორც უკვე აღვნიშნე, მათ შორის არის ამერიკის საგარეო პოლიტიკის დამოკიდებულება და ჩინეთის გაძლიერების საკითხიც. (Jentleson, 2014)

მესამე მნიშვნელოვან ლიტერატურას ნაშრომში წარმოადგენს კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიის შემქმელების რობერტ კიოჰენისა და ჯოზეფ ნაის წიგნი „ძალაუფლება და ურთიერთდამოკიდებულება“, რადგანაც მოცემული ნაშრომი ეყრდნობა კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიას. მოცემული თეორიის მიხედვით დღევანდელი მსოფლიო ხასიათდება მრავალგანზომილებიანი ეკონომიკური სოციალური და ეკოლოგიური ურთიერთდამოკიდებულებით და ძალის გამოყენება უკვე აღარ განიხილება, როგორც ყველაფრის წამალი. აქედან გამომდინარე, ამ თეორიის ძირითადი ავტორების აზრით ქვეყნებს შორის ურთიერთობაში არ არსებობს საკითხთა იერარქია, განსხვება მაღალ და დაბალ პოლიტიკას შორის კი მოძველებულია. ეკონომიკის მიკუთვნება „დაბალი პოლიტიკისთვის“, ხოლო ეროვნული უსაფრთხოების საკითხების „მაღალი პოლიტიკისთვის“ დღევანდელ დღეს, როდესაც მსოფლიოში ვაჭრობა და ეკონომიკური საკითხები ესე წინ არის წამოწეული, შეუსაბამოა. წიგნში გამოკვეთილია მოსაზრება, რომ სახელმწიფო ურთიერთობები მრავალმხრივია და ისინი სხვადასხვა პრობლემებთან არის დაკავშირებული. ხშირად წინ წამოწეულია ეკონომიკური, კეთილდღობის, ეკოლოგიური პრობლემები, რომლის გადალახვის უნარიც სამხედრო დაპირისპირებას არ შესწევს. (Nya, 1989)

ნაშრომში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ლიტერატურულ წყაროს წარმოადგენს 2017 წელს გამოქვეყნებული ოქსფორდის ეკონომიკური სკოლის ბიზნეს საბჭოს სტატისტიკური კვლევა, სახელწოდებით: „აშშ-ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობების გაგება“. მოცემულ რეპორტში განხილულია აშშ-ჩინეთის მჭიდრო ეკონომიკური კავშირები და ის სარგებელი რაც ამ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობას მოაქვს ერთმანეთისთვის. დამატებით, მოცემულია სტატისტიკური მონაცემები აშშსა და ჩინეთის ურთიერთობების უფრო თვალნათლივ და გასაგებად ჩვენებისთვის. (Understanding the US-China Trade Relationship, 2017)

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის მეთოდად გამოყენებული იქნება მონოგრაფიული შედარებითი გამოკვლევა (comparative case study). „იგი ცალკეული შემთხვევის , თემის ან სოციალური ჯგუფის სიღრმისეული და ყოველმხრივი შესწავლაა მკვლევართა ხელთ არსებული ყველა საშუალების მეშვეობით.“(ზურაბიშვილი, 2006) მონოგრაფიული კვლევა მოიცავს ბევრ თვისებრივ მეთოდს, მაგრამ ამავედროულად რაოდენობრივსაც, „მონოგრაფიულ გამოკვლევაში გამოყენებული მეთოდები არ შემოიფარგლებოდა თვისებრივი მეთოდებით - პირიქით, ისინი ხშირად მდიდრდებოდა სტატისტიკური და რაოდენობრივი მონაცემებით“. (ზურაბიშვილი, 2006) ნაშრომში გამოყენებულია მრავალმეთოდური მიდგომა, რომელიც აერთიანებს თვისებრივსა და რაოდენობრივ მეთოდებს. ასევე, წარმოდგენილია სხვადასხვა სტატისტიკური და რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი, „რომლის მეშვეობითაც შეისწავლება სხვადასხვა ტიპის დოკუმენტები მათში ამა თუ იმ მაჩვენებლის გამოვლენის სიხშირის დაფიქსირების მიზნით.“ (ზურაბიშვილი, 2006)

ნაშრომის პირველ თავში განხილულია შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ისტორიული კავშირები. ისტორიული მიმოხილვა იწყება ცივი ომის პერიოდიდან, რადგან ამ დროს ყალიბდება ჩინეთში კომუნისტური პარტია და მის წინაარმდეგ გამოდის ნაციონალისტური მთავრობა, რის შემდეგაც მოცემულ თავში სხვადასხვა დროის მონაკვეთებში აღწერილია ორ ქვეყანას შორის დამაბულობისა თუ საგარეო პოლიტიკის შერბილების ისტორიული ფაქტები.

კვლევის მეორე თავში განხილულია 1978 წლიდან მოყოლებული 2017 წლის მონაცემების ჩათვლით ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირები. ამ თავში მოცემული და გაანალიზებულია ის დადებითი სარგებელი რაც ჩინეთსა და აშშ-სთვის მოაქვს ეკონომიკურ კავშირებს. ასევე, ნაჩვენებია მზარდი ეკონომიკური კავშირი და მოსაზრების დასამტკიცებლად მოყვანილია სტატისტიკური მონაცემები დანართების სახით.

მესამე თავში განხილულია ამერიკის მმართველი პარტიების დემოკრატიებისა და რესპუბლიკელების მთავარი განმასხვავებელი ფაქტორები საგარეო პოლიტიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ. ასევე, გაანალიზებულია რესპუბლიკელებისა და დემოკრატიების საგარეო პოლიტიკის მახასიათებლები.

მეოთხე თავში მაგალითის სახით მოყვანილია რესპუბლიკელი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მაგალითი და მისი დამოკიდებულება ჩინეთისადმი, ის საგარეო პოლიტიკა, რომელსაც მისი ადმინისტრაციის პერიოდში იყენებდა და დემოკრატიული პარტიის პრეზიდენტის ბარაკ ობამას მაგალითი და მისი პოლიტიკა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისადმი.

მეხუთე თავში წარმოდგენილია კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია და ახსნილია ის მნიშვნელოვანი ეკონომიკური კავშირი აშშ-ჩინეთის ურთიერთობებში, რომელიც გამოც საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების დაძაბვისა თუ განმუხტვის პერიოდში, მზარდი ეკონომიკური კავშირი არ იცვლება.

ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი უცხო ტერმინები:

ექსპორტი - საქონლის ან მომსახურების საზღვარგარეთ ქვეყნის საბაჟოდან გატანა მისი ქვეყანაში კვლავ შემოტანის ვალდებულების გარეშე.

„ერთი ჩინეთის“ პოლიტიკა - ნიქსონისა და კისინჯერის მიერ შემოღებული ტერმინი. იგი აღნიშნავდა ცვლილებას აშშ-ს პოლიტიკაში, რაც გულისხმობდა ტაივანის ტრადიციული მხარდაჭერისგან გადასვლას ჩინეთის მშვიდობიანი გაერთიანების მხარდაჭერის პოლიტიკისკენ.

თავისუფალი ვაჭრობა - სახელმწიფოთაშორისი ვაჭრობის სისტემა, რომელიც ტარიფებით ან პროტექციონიზმის სხვა ფორმით არ არის შეზღუდული.

იმპროტი - სხვადასხვა სახის საქონლის ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა მისი გატანის ვალდებულების გარეშე.

მაკარტიზმი- პროკომუნისტურ საქმიანობაში საჯარო ბრალდებების სერა 1950-იან წლებში, რომელიც სენატორმა მაკარტიმ წამოიწყო წითელი საფრთხის წინააღმდეგ, თუმცა უმეტეს შემთხვევებში იგი სამოქალაქო უფლებებს არღვევდა და ბრალდებებს საფუძველი არ ჰქონია, ამიტომაც 1954 წელს მან ძალაუფლება დაკარგა.

ოფშორული კომპანია - ქვეყნის ან ტერიტორიის გარეთ მოქმედი წყაროებიდან მოგების მიმღები კომპანია. ოფშორული ბიზნესი არის ის, რომელიც ხორციელდება მოცემული იურისდიქციის საზღვრებს გარეთ, გადასახადებიდან თავის აცილების ან შემცირების ან მოგების მიზნით, რომელსაც აქვს შემოსავლების უცხოური წყარო და შეღავათიანი დაბეგვრა.

სავაჭრო დეფიციტი - ქვეყნის ექსპორტის ღირებულების ნაკლებობა ქვეყნის იმპორტთან მიმართებაში.

სახაზინო ობლიგაციები - ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული საშუალოვადიანი კუპონური სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები.

ტაივანი - ჩინეთის ერთ-ერთი კუნძული. 1949 წლის ჩინეთის რევოლუციის შემდეგ სწორედ ამ კუნძულზე გადავიდა ჩან კაიში და მისი მთავრობა. ტაივანი ცივი ომის პერიოდში შეერთებული შტატების მოკავშირე იყო და იგი ახლაც სარგებლობს ამერიკის მხარდაჭერით, თუმცა აშშ-ჩინეთის ურთიერთობების კონტექსტში.

ფისკალური პოლიტიკა - საგადასახადო სისტემასა და სახელმწიფო ხარჯების სტრუქტურის მექანიზმი, რომლის მართვითაც ხდება ეკონომიკურ აქტივობაზე ზემოქმედება

ჩინეთის ლობი - ცივი ომის პერიოდის ანტიკომუნისტური ლობი, რომელიც მხარს უჭერდა ტაივანს და ეწინააღმდეგებოდა „წითელ ჩინეთს“. ეს ტერმინი დღესაც

გამოიყენება, მაგრამ ახლა აშშ-ჩინეთის ურთიერთობების სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში.

თავი 1. ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობების ისტორიული მიმოხილვა

21-ე საუკუნეში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ჩინეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები, ერთის მხრივ აშშ, რომელიც სუპერსახელმწიფოა და მეორეს მხრივ განვითარებადი და სწრაფად მზარდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ისტორიული ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის საკმაოდ კომპლექსური და ფართომასშტაბიანია. მას შემდეგ რაც ჩინეთის სათავეში კომუნისტური პარტია მოვიდა ამერიკა ცდილობდა (1949-1969 წწ) დესტაბილიზაცია მოეხდინა ჩინური კომუნისტური პარტიის. ვაშინგტონი მიიჩნევდა, რომ ჩინეთი იყო აგრესიული, ექსპანსიონისტური ძალა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა თავის არაკომუნისტ მეზობლებს. (Nathan, 2009)

ცივი ომის დროს კი სიტუაცია უფრო მეტად დაძაბული იყო. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას აშშ-ს პოლიტიკურ დებატებში მოიხსენიებდნენ ისე, როგორც „წითელ ჩინეთს“. (Suokas, 2009) ხშირად ჩინეთს სსრკ-ზე უფრო მეტად საშიშ სახელმწიფოდაც კი წარმოადგენდნენ, რომლისგანაც კიდევ ერთი დიდი კომუნისტური საფრთხე მოდიოდა. 1949 წელს ჩინეთის სამოქალაქო ომში ჩინელი კომუნისტური პარტიის წარმომადგენელმა მათ მდუნმა გაიმარჯვა, რის შედეგადაც აშშ-ს მოკავშირე ჩან კაიში გაიქცა ჩინეთიდან და თავი ტაივანის კუნძულს შეაფარა. ტრუმანის ადმინისტრაცია და კონგრესი მზად არ იყო აღიარებინათ ჩინეთის „წაგება“ კომუნიზმთან ბრძოლაში, ამიტომაც მათ უარი განაცხადეს მათთან ურთიერთობაზე და ტაივანის მოკავშირეებად დარჩნენ. ამის მიუხედავად 1949 წლიდან მოყოლებული, აშშ-ს მთავრობას გლობალური და შიდა პოლიტიკის დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად ახალი ურთიერთობებისა და სივრცის პოვნა უნდა დაეწყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. გამომდინარე აქედან, 1949 წლის აგვისტოში ტრუმანის ადმინისტრაციამ გამოაქვეყნა „ჩინეთის თეთრი ქაღალდი“, რომელიც განმარტავდა წარსულში აშშ-ს პოლიტიკას ჩინეთთან მიმართებაში, იმ პრინციპით, რომ მხოლოდ ჩინურ ძალებს შეეძლოთ განესაზღვრათ სამოქალაქო ომის შედეგები. სამწუხაროდ,

ტრუმანისთვის ამ ნაბიჯმა ვერ შეძლო მისი ადმინისტრაციის დაცვა ჩინეთის „დაკარგვის“ ბრალდებისგან. უფრო მეტიც, კორეის ომის (1950-1953) დროს ჩინეთთან ურთიერთობების ესკალაციამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ კინაღამ აშშ-ჩინეთს შორის სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზარდა. (The Chinese Revolution of 1949)

1950 წლიდან მოყოლებული შეერთებულმა შტატებმა ჩინეთის აღმოსავლეთ და სამხრეთ საზღვრებთან სამხედრო საზღვაო ალიანსების ჩამოყალიბება დაიწყო. ალიანსები შეიქმნა იაპონიასთან, სამხრეთ კორეასთან და ტაივანის ნაციონალისტურ მთავრობასთან. ამ ალიანსებით ამერიკამ ჩამოაყალიბა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულების ორგანიზაცია (SEATO), რომელშიც შედიოდა ტაილანდი, ფილიპინები და სამხრეთ ვიეტნამი. ასევე, გააფორმა ANZUS ხელშეკრულება, რომელიც ავსტრალიას, ახალ ზელანდიასა და თავად აშშ-ს აერთიანებდა. ამერიკამ სამხედრო ჯარები განათავსა იაპონიასა და სამხრეთ კორეაშიც. დამატებით, ვაშინგტონმა აკრძალა ამერიკელების ჩინეთში ჩასვლა და თავის მოკავშირეებს მოუწოდა თავი შეეკავებინათ ბეიჯინგთან დიპლომატიური ურთიერთობებისგან. (Nathan, 2009)

აშშ-ჩინეთის ურთიერთობებში სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა მაკკარტიზმის მგზნებარე ანტიკომუნისმის დროს, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა აშშ-ს საგარეო პოლიტიკაზე. მაკკარტიზმი პირდაპირ მიმართული იყო იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც კომუნისმის, ან უფრო მეტიც, წითელი ჩინეთის მიმართ სიმპატიით იყვნენ განწყობილნი. სენატორმა მაკკარტიმ იერიში მიიტანა პრეზიდენტ ტრუმანზეც და ის დაადანაშაულა კორეის ომის დროს ჩინეთთან სამხედრო დაპირისპირების თავიდან აცილებაში, რაც მისი აზრით ხელს უწყობდა კომუნისმის გაძლიერებას. (Telegram from Senator Joseph Mccarthy to President Harry S. Truman)

აშშ-ჩინეთის ისტორიული ურთიერთობების განხილვისას აუცილებელია განხილულ იქნას „ჩინეთის ლობის“ საკითხი, რომელიც 1949 წლიდან მოყოლებული 1979 წლამდე, სამკაოდ მძლავრი გავლელის მქონდე იყო და შეძლო კიდევაც აშშ-ჩინეთის სრულმასშტაბიანი ურთიერთობების განვითარების შეფერხებაც. ლობის გავლენა მაშინაც კი არ იქნა შესუსტებული, როდესაც 1954 წელს მაკკარტიმ დაკარგა თავისი ძალაუფლება. როგორც წესი „ლობი“ ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოადგენს

კერძო ჯგუფს (რომელიმე ერთი ქვეყნის), რომელსაც პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის მცდელობა აქვს. „ჩინური ლობის“ შემთხვევაში კი, ეს იყო გაერთიანება იმ ხალხის ინტერესთა ჯგუფებისა ვისაც სურდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის მთავრობისგან გამევეება. ამ ჯგუფში შედიოდნენ ჩან კაიშის მომხრეები, ბიზნესმენები, რელიგიური მისიონერები, რომლებიც მე-19 საუკუნიდან მოყოლებული ჩინეთში საქმიანობდნენ, და სხვადასხვა ანტიკომუნისტური ჯგუფები. (Blackwell) „ჩინეთის ლობი“ მოითხოვდა ტაივანთან ურთიერთობის შენარჩუნებასა და ასევე, გამოდიოდა გაეროში ჩინეთის სახელხო რესპუბლიკის გაწევრიანების წინააღმდეგ. ორგანიზაცია ცდილობდა ჩაეხშო ამერიკა-ჩინეთს შორის ურთიერთობების შესაძლო გაუმჯობესების პოლიტიკა. ორ ქვეყანას შორის 20 წლის განმავლობაში (1949-1979 წლებში) დიპლომატიური კავშირების არ ქონის ერთ-ერთ მიზეზად შეგვიძლია სწორედ „ჩინეთის ლობი“ დავასახელოთ. (Koen, 1974)

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის ურთიერთობების დათბობა დაიწყო 70-იანი წლების დასაწყისში, (1969-1972 წლებში) როდესაც ამერიკის სათავეში რიჩარდ ნიქსონი და მისი ადმინისტრაცია იყო. 1971 წლიდან მოყოლებული, როდესაც ბეიჯინგსა და საბჭოთა კავშირს ურთიერთობები დაემაბათ ჩინეთმა გამოთქვა მზაობა დაეწყო დიპლომატიური ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან, სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დათბობის პოლიტიკა, რასაც დიპლომატიური „პინგ-პონგი“ ეწოდა. (Devoss, 2002) იმავე წელს ამერიკის მაშინდელი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი ჩინეთს ეწვია ოფიციალური ვიზიტით, რომლის დროსაც აწარმოებდა დიპლომატიურ მოლაპარაკებებს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუმჯობესებაზე. 1971 წელს პირველი ვიზიტისას ის შეხვდა ჩინეთის პრემიერ-მინისტრს ზოუ ენლაის, (Zhou Enlai) რომელთანაც განიხილა ამერიკის ახალი პოლიტიკური ნაბიჯები ჩინეთთან მიმართებაში, კერძოდ კი ტაივანთან დაკავშირებით პოლიტიკის ცვლილება, ამის სანაცვლოდ კი ჩინეთი ამერიკას უნდა დახმარებოდა ვიეტნამში ომის დასასრულებლად, სწორედ ამიტომ მოლაპარაკებები მიდიოდა ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის იმედით, რომელიც ორივე ქვეყნისთვის მომგებიანი იქნებოდა. 1979 წელს კისინჯერმა გამოაქვეყნა თავისი მოგონებები სახელწოდებით „თეთრი სახლის წლები“, სადაც მან განიხილა, რომ შეხვედრის მიზანი

საბოლოო ჯამში, არც ტაივანის საკითხი და არც ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის განმუხტვა, არამედ ორ ქვეყანას შორის „ფუნდამენტების განხილვა“ იყო. (Sciolino, 2002)

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ კისინჯერი ითვლება ვაშინგტონსა და ბეიჯინგს შორის ურთიერთობების აღდგენის მთავარ პერსონაჟად, რომლის ვიზიტებმაც და დიპლომატიურმა მოლაპარაკებებმა საფუძველი ჩაუყარა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ცივი წერტილიდან დაძვრას და მომავალში მათ განვითარებას. სწორედ ამ ვიზიტების შედეგად 1972 წელს შედგა პრეზიდენტ რიჩრდ ნიქსონის ისტორიული ვიზიტი ჩინეთში. ეს მოვლენა კი უპრეცედენტო იყო, რადგან კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ ამერიკის პრეზიდენტის მიერ პირველი ვიზიტი გახლდათ ჩინეთში, მითუმეტეს რომ, მიზანი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციისკენ იყო მიმართული. ამ ვიზიტის პერიოდში ხელი მოეწერა შანხაის კომუნიკეს, რომელშიც ნიქსონი და ჩინეთის პრემიერ-მინისტრი შეთანხმდნენ ორ ქვეყანას შორის ომის რისკის ფაქტორების შემცირებასა და მათ შორის კულტურული კავშირების გაფართოებაზე. დამატებით, შანხაის კომუნიკეს თანახმად, დაამყარებულ იქნა მუდმივი აშშ-ს სავაჭრო მისია ჩინეთში. გარდა ამისა, შეერთებულმა შტატებმა აღიარა „ერთი ჩინეთის“ პოლიტიკა და დათამხდა ტაივანიდან ამერიკელი ჯარისკაცების გამოყვანას. (Joint Statement Following Discussions with Leaders of the People's Republic of China, 1972)

1978 წელს ჯიმი კარტერის პრეზიდენტობისას ხელი მოეწერა უკვე მეორე კომუნიკეს, რომლის შედეგადაც 1979 წლის 1 იანვარს ბეიჯინგსა და ვაშინგტონს შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები. ამავე წელს, პრეზიდენტმა კარტერმა, გამოაცხადა ჩინეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციისა და დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შესახებ. მართალია მიღებული გადაწყვეტილებით „ჩინეთის ლობი“ უკმაყოფილო იყო, თუმცა ორგანიზაციას უკვე არ შესწევდა ძალა ურთიერთობის ნორმალიზაციისთვის ხელი შეეშალა. (Shikun, 2015)

1982 წელს მხარეებს შორის ხელი მოეწერა მესამე კომუნიკეს, რაც ითვალისწინებდა აშშ-ს მხრიდან ტაივანისთვის იარაღის არ მიყიდვის საკითხის ეტაპობრივ გადაწყვეტას

(დღესაც პეკინსა და ვაშინგტონს შორის აღნიშნული საკითხი რჩება ერთ-ერთ მთავარ გადაუჭრელ პრობლემად). ჩინეთ-ამერიკის ერთობლივი სამი კომუნიკე წარმოადგენს პოლიტიკურ ფუნდამენტს ორმხრივი თანამშრომლობის გასაღრმავებლად.

ტაივანის საკითხის გარდა, ცივი ომის დასასრულმა დიდი გავლენა იქონია აშშ-ს შიდა პოლიტიკაზე, რომელიც ჩინეთთან ურთიერთობების შეეხებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბიპოლარული სამყაროს იდეა და ალიანსების ჩმოყალიბების იდეაც ნაკლებად მიმზიდველი გახდა, ამიტომაც ჩინეთთან მიმართებაში დიდი ყურადღება დაეთმო ისეთ საკითხებს, როგორცაა ადამიანის უფლებები, განსაკუთრებით კი 1989 წელს ტიანანმენის მოედანზე მოხმადარი ხოცვა-ჟლეტვის შემდეგ. ასევე ყურადღება გამახვილდა ჩინეთში „ერთი ბავშვის პოლიტიკასა“ და ციხეებში იძულებითი შრომის გამოყენებაზე. ამ საკითხებთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა კოალიცია, რომლის წევრებსაც რა თქმა უნდა „ჩინეთის ლობიც“ წარმოადგენდა და ისინი ცდილობდნენ ადამიანთა უფლებების თემების ვაჭრობის საკითხებთან დაკავშირებას, თუმცა მეორე მხარეს იყო ბიზნესის ინტერესები, რომელიც სწრაფად იზრდებოდა და ჩინეთის ბაზარი, რომელიც საკმაოდ მიმზიდველი იყო ექსპორტისა და ინვესტიციებისთვის, ამიტომაც ადამიანთა უფლებების დარღვევის საკითხებმა აშშ-ჩინეთის ურთიერთობაში მეორე პლანზე გადაიწია. (Jentleson, American Foreign Policy: The dynamics of Choices in the 21st Century (fifth edition), 2014)

აშშ-ჩინეთის ურთიერთობები მოიცავს ძალზე ბევრ გაურკვეველობასა და საკითხთა დიდ სიმრავლეს. დებატები ამ საკითხის მიმართ მოიცავს, როგორც საერთო ასევე, ურთიერთგამომრიცხავ ინტერესთა ნაზავს. გარკვეულწილად ეს დამოკიდებულია ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების მნიშვნელობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სწრაფად განვითარებაზე. ბევრ ამერიკელ ექსპერტსა თუ უბრალო მოქალაქეს არ მოსწონს ჩინეთის მზარდი ეკონომიკა და მას საფრთხედ აღიქვამენ, ამიტომაც ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის საკმაოდ კომპლექსურია.

თავი 2. აშშ-ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობები 1978-2017

წლებში

დღესდღეობით ჩინეთის საკითხი აქტიურად დგას საერთაშორისო დღის წესრიგში. ჩინეთის ყოველწლიურად მზარდი ეკონომიკა, მისი როლისა და მნიშვნელობის ზრდა ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სავაჭრო ურთიერთობებში მთელი მსოფლიოს ინტერესს იწვევს. 1972 წლიდან მოყოლებული ამერიკა და ჩინეთი ეკონომიკურ ურთიერთობებში ერთმანეთთან ახლო კავშირში იმყოფებიან. (Lardy, 2001)

ჩინეთი კანადის შემდეგ, ამერიკისთვის ყველაზე მსხვილ სავაჭრო პარტნიორებს შორის მეორე, ხოლო მსხვილ საექსპორტო ბაზრებს შორის მესამე პოზიციას იკავებს. 2014 წელს ამერიკის პირდაპირმა ინვესტიციებმა ჩინეთის ეკონომიკაში 61.5 მილიარდი დოლარი შეადგინა. აგრეთვე, 2016 წლის დეკემბრისთვის მონაცემებით, ჩინეთი, შეერთებული შტატების ფედერალური ხაზინის ფასიანი ქაღალდების, ყველაზე მსხვილი უცხოელი მფლობელია. ამ მიმართულებით, ჩინეთის ქონება შეადგენს 1.4 ტრილიონ აშშ დოლარს, და უსწრებს იაპონიას, როგორც მსხვილ უცხოელ პარტნიორს. (Trade in goods with China, 2017)

ჩინეთსა და ამერიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოყალიბების შემდეგ 2000 წლამდე სამი მნიშვნელოვანი კომუნიკე იქნა დადებული, რომელიც მათ პოლიტიკურ ურთიერთობასა და სავაჭრო ურთიერთობებს განაპირობებდა. 2000 წელს კი პრეზიდენტ ბილ კლინტონის ადმინისტრაციის დროს ხელი მოეწერა „ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობების აქტ 2000-ს“, რომლის მიხედვითაც აშშ-ჩინეთს შორის ვაჭრობის ნორმალიზება მოხდა. დამატებით, ამერიკამ ჩინეთს ხელი შეუწყო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებულებიყო. (U.S relations with China, 2018)

2010 წელს ჩინეთი მსოფლიოს აკვირვებს თავისი საერთო მოცულობის მშპ-თი, რომელიც 5,88 ტრილიონ დოლარს მოიცავს და სწორედ აღნიშნული მონაცემებით

მიხედვით, ჩინეთის ეკონომიკურმა მაჩვენებელმა, მსოფლიო ეკონომიკაში, მეორე ადგილზე გადმოინაცვლა. (U.S relations with China, 2018)

ჩინეთი და ამერიკა მსოფლიოში ორი უდიდესი ეკონომიკური ძალაა, რომელთა ურთიერთობაზე არა მხოლოდ მათი კეთილდღეობაა დამოკიდებული, არამედ ეს საკითხი, გლობალური ვაჭრობისთვისაც ფრიად მნიშვნელოვანია. ორივე ქვეყანა აცნობიერებს მნიშვნელობას მათი სავაჭრო ურთიერთობების. ამის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ ჩინეთის საინვესტიციო მონიტორინგის „როდიუმ გრუპის“ 2017 წლის მონაცემები:

„ჩვენი ეკონომიკური ურთიერთობები ჩინეთთან არასდროს ყოფილა იმაზე მნიშვნელოვანი და ასევე, იმაზე მეტად გადაჭვდომილი ერთმანეთზე, ვიდრე ეს დღესდღეობით არის. დაახლოებით 16 წლის წინ ბეიჯინგმა და ვაშინგტონმა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური სამუშაო გაწიეს, ამერიკული ბიზნეს კორპორაციების დახმარებით, რათა 2001 წელს ჩინეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრი გამხდარიყო, რამაც შემდგომში ეკონომიკური ურთიერთობების ტრანექტორიის ზრდა განაპირობა. უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ჩინეთის გაწევრიანების შემდეგ დაიწყო ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების კიდევ უფრო დიდი ზრდა და საინვესტიციო კავშირების გაფართოება და დივერსიფიკაცია. მაგალითისთვის: 2000 წლისთვის ვაჭრობა 100 მილიარდ დოლარს შეადგენდა, ხოლო სულ რაღაც 2017 წლისთვის 659,5 მილიარდი დოლარი გახდა, რაც აშშ - ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.“ (China investment Monitor: Capturing Chinese Foreign Investment Data in Real time, 2017)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩინეთის ეკონომიკური რეფორმები 1978 წლის ბოლოს დაიწყო და მასსა და ამერიკას შორის დაახლოებით 40 წელია რაც ვითარდება. მართალია, ურთიერთობები დამაბულობისა და ერთმანეთის მიმართ საჩივრების გარეშე არ წარმართულა, თუმცა საერთო ჯამში სტაბილურად განვითარდა. 1979 წლისთვის ჩინეთის საერთაშორისო ვაჭრობა მინიმალური იყო, თუმცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გატარებული რეფორმების წყალობით ყველაფერი შეიცვალა

და დღესდღეობით იგი მსოფლიო ეკონომიკაში წამყვან პოზიციებზეა, გამომდინარე აქედან აშშ-ს მოსახლეობის დიდ ნაწილს უარყოფითი შეხედულება გააჩნიათ ჩინეთის სწრაფ ზრდასა და განვითარებასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ჩინეთი მსოფლიოში მეორე მწარმოებელია იმ პროდუქტების, რომელსაც ადამიანების უმეტესობა ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებს. ესენია: მანქანები, ტელეფონები, ტელევიზორები, ქიმიკატები, ტანსაცმელი და სხვადასხვა ელექტრონული მოწყობილობები. დამატებით, ჩინეთი მესამე უმსხვილესი შემსყიდველია აშშ-ს პროდუქციის (მექსიკისა და კანადის შემდეგ, რომელთანაც შეერთებულ შტატებს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება აქვს დადებული) და მხოლოდ 2015 წლის მონაცემებით მან აშშ-საგან შეისყიდა 165 მილიარდი დოლარის საქონელი. ოქსფორდის უნივერსიტეტის აშშ-ჩინეთის ბიზნესს საბჭოს მონაცემებით ჩინეთის ეკონომიკა კიდევ განაგრძობს ზრდას და 2026 წლისთვის აშშ-ს ექსპორტი 369 მილიარდი დოლარი გახდება, ხოლო 2030 წლის მონაცემებით კი - 525 მილიარდ დოლარს მიაღწევს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ აშშ-ს ექსპორტის 10% ჩინეთის ბაზარზე იქნება წარმოდგენილი. (Understanding the US-China Trade Relationship, 2017)

გამომდინარე იქედან, რომ 2017 წლისთვის ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის ისტორიაში ყველაზე მაღალი კოეფიციენტი დაფიქსირდა, ნაშრომში უნდა განვიხილოთ ის დიდი სარგებელი, რაც ჩინურ ბაზარს მოაქვს შტატებისთვის. პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობები, სხვადასხვა სამრეწველო ჩინური კომპანიების წყალობით, პრაქტიკულად შეერთებულ შტატებში განსაზღვრავს 2.6 მილიონ სამუშაო ადგილს. აშშ-ს ეკონომიკისთვის ჩინეთის ვაჭრობის სარგებლიანობის მაგალითები მოიცავს შემდეგ მონაცემებს: (Understanding the US-China Trade Relationship, 2017)

1. მხოლოდ 2015 წელს ჩინეთმა შეიძინა 165 მილიარდი დოლარის ღირებულების პროდუქცია შტატებისგან, რაც წარმოადგენს 7,3%-ს აშშ-ს მთლიანი ექსპორტისა და მისი მთლიანი ეკონომიკის დაახლოებით 1%-ს. (Monthly U.S International Trade in Goods and Services, 2018)

2. აშშ-ს კომპანიები ჩინეთში ჰყიდიან მაღალ ფასიან პროდუქტებს, მანქანებს, სატვირთო მანქანებს, სამშენებლო მასალებსა და ნახევრადგამტარებს, რომელიც ასევე, ხელს უწყობს დასაქმებას. დამატებით, შტატების ფირმებს ჩინეთთან ექსპორტზე გააქვთ ბიზნესი და ფინანსური სერვისები, რაც 2014 წლის მონაცემებით 6.7 მილიარდ დოლარს შეადგენდა, ხოლო 2015 წლისთვის - 7.1 მილიარდს. ექსპორტების თქმით 2030 წლისთვის ეს მაჩვენებელი 520 მილიარდი იქნება. (Trade in goods with China, 2017)
3. ჩინეთი შტატებისთვის 2000 წლის მონაცემებით საექსპორტო ბაზარზე მე-11 ადგილზე იყო, ხოლო 2017 წლის მონაცემებით კი მან მესამე ადგილზე გადაინაცვლა. აშშ-ს ექსპორტი ჩინეთში პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას ახდენს სამუშაო ადგილების შექმნაზე ქვეყანაში და მშპ ზრდაზე, ამ უკანასკნელმა კი 2015 წლის მონაცემებით 165 მილიარდი დოლარი შეადგინა. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ექსპორტსა და იმპორტს გავაერთიანებთ, მაშინ მივიღებთ 2,6 მილიონ სამუშაო ადგილსა და 216 მილიარდ დოლარ მშპ-ს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.
4. ასევე, ჩინეთი აშშ-ს სოფლის მეურნეობის პროდუქტის წამყვანი მყიდველია. 2015 წლისთვის ჩინეთმა შეიძინა 15 მილიარდი დოლარის ოდენობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი.
5. ამ ყველაფერს ემატება ის ფაქტორიც, რომ ჩინეთი დღემდე წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ ეკონომიკის მქონე განვითარებად ქვეყანას. (იხ. დანართი 1) გამომდინარე აქედან ყოველწლიურად იზრდება შესაძლებლობები ამერიკული კომპანიებისთვის დაამყარონ ახალი კავშირები და ინვესტირება მოახდინონ ჩინეთის ბაზარზე

როგორც უკვე აღვნიშნე, მას შემდეგ რაც აშშ-სა და ჩინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა და ურთიერთობის ნორმალიზაცია დაიწყო ვაჭრობა მნიშვნელოვნად განაგრძობდა ზრდას, თუმცა ამ სავაჭრო ურთიერთობებში საკმაოდ დიდი დისბალანსი აღინიშნებოდა, რაც შტატების უკმაყოფილებას იწვევდა. 2017 წლის მონაცემებით აშშ-ს მთლიანი ვაჭრობის დეფიციტი ჩინეთთან, 375 მილიარდ დოლარს

წარმოადგენდა. ამ მოვლენის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს პირველ რიგში წარმოადგენს ჩინეთის ფულადი ერთეულის (იუანის) გაცვლითი კურსის ხელოვნურად დაბლა დაწევა. როგორც ვიცით ფულადი ერთეულის სიაფის ერთ-ერთი ეკონომიკური მეთოდი ექსპორტის სიაფეა, გამომდინარე აქედან ქვეყნის კონკურენტუნარიანობა გლობალურ ბაზარზე იზრდება. მეორე მიზეზი კი ცხოვრების დაბალი სტანდარტია, რომელიც საშუალებას აძლევს ამერიკულ კომპანიებს ჩინეთში მუშების დასაქმება გაცილებით უფრო იაფად აანაზღაუროს. გამომდინარე იქედან, რომ 2018 წლის თებერვლის მდგომარეობით ამერიკას ჩინეთის საკრედიტო ვალის 1.18 ტრილიონი დოლარი მართებს, (რაც ქვეყანაში არსებული უცხოური ქვეყნების საკუთრების 19%-ია) ბევრი შეშფოთებულია, რომ ეს აძლევს ჩინეთს პოლიტიკურ ბერკეტს აშშ-ს ფისკალური პოლიტიკის გამო. (Amadeo, 2018)

თავის მხრივ, ვაჭრობაში უსამართლო ხერხების გამოყენებაში აშშ-ს ჩინეთიც ადანაშაულებდა. მაგალითად, აშშ-ს მთავრობამ, ეროვნული უსაფრთხოების მიზნით არ დაუშვა ამერიკული ნავთობმომპოვებელი კომპანიის უნიკალის (Unical) ჩინეთის ეროვნულ ოფშორულ ნავთობის კომპანიაზე (CNOOC). ამას დამატებული 2007-2009 წლების გლობალურ საფინანსო კრიზისს ჩინეთი სხვაგვარად ხედავდა დამნაშვის ეპიცენტრად აშშ იქნა დასახელებული, რადგან ჩინეთი ყველაზე დიდი რისკის ქვეშ დადგა, როგორც ამერიკული სახელმწიფო ვალისა და სავალუტო რეზერვების ყველაზე დიდი მფლობელი. (Jentleson, American Foreign Policy: The dynamics of Choices in the 21st Century (fifth edition), 2014)

2017 წლის მონაცემებით შეერთებულ შტატებს მსოფლიოში უდიდესი ეკონომიკა აქვს, ჩინეთს კი სიდიდით მეორე, თუმცა გლობალური ექსპორტით, ჩინეთი პირველ ადგილზეა, ხოლო შემდეგ მოდის უკვე აშშ. შტატებისა და ჩინეთის ვაჭრობამ ორივე ქვეყანას დიდი სარგებელი მოუტანა, (იხ. დანართი 2) მიუხედავად ამისა გასული წლების განმავლობაში ჩინეთმა აშშ-სგან იმპორტი გაზარდა, ხოლო აშშ-მ ექსპორტის მთლიანობა პირიქით შეამცირა. შესაძლოა ეს გამოწვეული იყოს იმით რომ, სავაჭრო დეფიციტი შტატების ჩინეთთან მიმართებაში მსოფლიოში უმსხვილესია. (2016 წლის მონაცემებით 347 მილიარდი დოლარი). სავაჭრო დეფიციტი არსებობს იმის გამო, რომ

მხოლოდ 2016 წლისთვის აშშ-ს ექსპორტი ჩინეთში 115 მილიარდი დოლარი იყო, ხოლო ჩინეთის იმპორტი იმავე წელს, 481 მილიარდი. ეს ნიშნავს, იმას რომ აშშ-ჩინეთის ორმხრივი ვაჭრობა 596 მილიარდ დოლარს შეადგენდა. იმპორტის დიდი ნაწილი აშშ-ს მწარმოებლებისგან არის, რომლებიც ნედლეულს ჩინეთში დაბალი ღირებულებისა და მუშა ხელის სიაფის გამო აგზავნიან, ხოლო უკვე იმ შემთხვევაში თუ პროდუქტის ამერიკაში დაბრუნება ხდება იგი იმპორტად ითვლება, რაც სავაჭრო დეფიციტს ყოველწლიურად უფრო ზრდის. (USA China Relations - Usa China Bilateral Trade Statistics, 2017)

2016 წლის მონაცემებით აშშ-ში იმპორტირებული საქონლის 21% ჩინეთიდან იყო. ელექტრონიკა, დანადგარები, ავეჯი, სათამაშოები და პოლიეთილენი არის ძირითადი საქონელი, რომლის იმპორტიც ხდება. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ჩინეთის ელექტრონულ ინდუსტრიას მსოფლიოს ბაზარზე დიდი კვალი აქვს. დამატებით, აშშ-ში 2012-2016 წლის მონაცემებით ჩინურ ელექტრონიკაზე მოთხოვნა 4% გაიზარდა. (USA China Relations - Usa China Bilateral Trade Statistics, 2017) ეს კიდევ ერთი დამადასტურებელი მაგალითია იმის, რომ აშშ-ჩინეთის ვაჭრობის მოცულობა 1985 წლიდან 2017 წლის ჩათვლით ყოველწლიურად უფრო იზრდება. (Volume of U.S. imports of trade goods from China from 1985 to 2017 (in billion U.S. dollars), 2017)

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უახლესი აშშ-ჩინეთის სავაჭრო შეთანხმება გაფორმდა 2017 წელს, რაც მნიშვნელოვან გარიგებასთან ერთად, ეკონომიკურ და დიპლომატიურ წარმატებას წარმოადგენს ჩინეთისთვის. შეთანხმების თანახმად, ჩინეთი გააუქმებს მის აკრძალვას აშშ-სგან იმპორტირებულ ძროხის ხორცზე და ასევე, მიიღებს ბუნებრივი გაზის ამერიკულ გადაზიდვებს. სანაცვლოდ, კი ჩინური მზა ქათამი იქნება დაშვებული ამერიკულ ბაზარზე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ჩინურ ბანკებს შეეძლებათ აშშ-ს ბაზარზე შემოსვლა და მოღვაწეობა. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩინური ბანკები მსოფლიოში უმსხვილესია და მათ პირველად მიეცემათ შანსი აშშ-ს საბანკო ბაზარზე თავის დამკვიდრების. (US and China sign Trade agreement, 2017)

ამერიკასა და ჩინეთს შორის მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებაა. ეს სავაჭრო კავშირი იმდენად ძლიერია, რომ ორივე ქვეყანას სჭრიდება ერთმანეთი

ეკონომიკური მოგების თვალსაზრისით. მოცემული მოსაზრების გასამყარებლად განვიხილოთ რამოდენიმე არგუმენტი:

1. პირველ რიგში ექსპორტს ჩინეთში ამერიკისთვის ბევრი სამუშაო ადგილი (სამუშაო ადგილების რაოდენობა ზემოთ არის აღნიშნული) და შესაძლებლობები მოაქვს. აშშ-ჩინეთის ბიზნეს საბჭოსთვის მომზადებული ანგარიშის თანახმად, აშშ-ს საქონელი და მომსახურება, 2017 წლის მონაცემებით, 165 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს, რაც შტატების ექსპორტის 7,3% და მშპ-ს 1%-ია. იმის გამო, რომ ჩინეთი გლობალურ მიწოდების ჯაჭვში ღრმად არის ინტეგრირებული, მოცემული მაჩვენებლები აშშ-ს ეკონომიკას უპირატესობასა და სარგებელს ანიჭირებს, რადგან არ ითვალისწინებს ჩინეთში რეექსპორტირებულ პროდუქციას სხვა ქვეყნებიდან ან იმ პროდუქტებს, რომლებიც ჩინეთის მეზობელი ქვეყნების მიერ არის შესყიდული მისი გავლენის ქვეშ.
2. მეორეც, აშშ-ს ინვესტორებიც იღებენ სარგებელს ჩინეთის მზარდი ეკონომიკით, ყოველწლიურად მათი მოგება 7%-ით იზრდება. ანგარიშში ნათქვამია, რომ 80% პროდუქტებისა, რომლებიც ამერიკული კომპანიების მიერ იქნა დამზადებული, ისევ ჩინეთში გაიყიდა. თუ ისინი იქნებიან ხელახლა გადანაწილებულნი აქციონერების მიერ და დახარჯული იქნება ისევე ქვეყნის შიგნით, ეს ხელს შეუწყობს 103.000 სამუშაო ადგილს და აშშ-ს მშპ-ს დამატებით მოუტანს 11.9 მილიარდ დოლარს. იმავდროულად, ჩინური ფირმები იწყებენ ინვესტირებას აშშ-ში. ხოლო კომბინირებული ეფექტი ჩინეთის პირდაპირი ინვესტიციებისა აშშ-ში და აშშ-ს შვილობილი ფირმებისგან არის 104.000 სამუშაო ადგილისა და შტატების 10.8 მილიარდის შემომტანი მშპ-ს მონაცემებში.
3. მესამეც, ჩინეთის ინოვაციები ბიზნესში იზრდება, მაგრამ ამერიკულმა ბიზნესმა არ ისარგებლა სრულიად ამ შესაძლებლობებით. ზოგადად, ინოვაციური კომპანიები მიდრეკილნი არიან კოპირება გაუკეთონ და თავისი ბიზნეს მოდელები ჩასვან უკვე არსებულ ბაზარზე, თან ისე, რომ იდეის მთავარ წყაროს არ ატყობინებენ, მიუხედავად იმისა, რომ ამ დაკავშირებამ შესაძლოა მათი ფინანსური ზრდა განაპირობოს. (Tse, 2018)

როგორც ზემოთ მოცემული ანალიტიკური და სტატისტიკური ინფორმაცია გვიჩვენებს ამერიკასა და ჩინეთს შორის 1985 წლიდან მოყოლებული და 2017 წლამდე არსებობდა ყოველწლიური მზარდი სავაჭრო ურთიერთობები, (იხ. დანართი 3 და 4) რომელმაც განაპირობა ამ ორ ქვეყანას შორის რთული ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება.

თავი 3. აშშ-ს პოლიტიკური პარტიები: რესპუბლიკელები და დემოკრატები

მოცემულ თავში განხილული იქნება აშშ-ს პოლიტიკური პარტიების, კერძოდ კი დემოკრატებისა და რესპუბლიკელების დამოკიდებულება შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის, საგარეო ვაჭრობისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ ხედვები. განხილული იქნება ის ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები, საგარეო პოლიტიკისა, რომლითაც ხდება ურთიერთობების დამყარება საერთაშორისო თვალსაზრისით. მოცემულ კვლევაში მნიშვნელოვანი იყო განგვიხილა ის განსხვავებები, რომლებიც ორი პარტიის მსოფლმხედველობას წარმოადგენს, შედეგი რომელზედაც აქცენტი არის გაკეთებული ნაშრომში. მიუხედავად იმისა, თუ როგორი განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ მათ საგარეო ვაჭრობასა და ჩინეთთან მიმართებაში, ეკონომიკური ვაჭრობა და მოგება ორ ქვეყანას შორის მზრდადია და პოლიტიკური განცხადებები თუ მმართველი პარტიის დამოკიდებულება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ ვერ ახდენს გავლენას მათ შორის ეკონომიკურ ურთიერთობებზე.

3.1 რესპუბლიკელები და მათი ხედვა საგარეო ვაჭრობასა და ჩინეთთან მიმართებაში

საგარეო პოლიტიკის როლზე და მნიშვნელობაზე თავად რესპუბლიკურ პარტიაში აზრთა სხვადასხვაობაა, თუმცაღა ძირითადად რესპუბლიკელების საგარეო პოლიტიკის ხედვა გლობალურ მასშტაბებში მოიაზრებს: ამერიკის ეკონომიკის, უსაფრთხოების საკითხებისა და კულტურული ინტერესების დაწინაურებას. რესპუბლიკელები ხაზს უსვამენ ძლიერ ჯარს, რომელიც ემსახურება როგორც კონკრეტულ საგარეო საფრთხეებთან ბრძოლას, ასევე მნიშვნელოვანი გავლენის მომხდენია ერის მშენებლობასა, მის განვითარებასა და მშვიდობის შენარჩუნებაზე. რესპუბლიკელები წინ წამოწევენ სასაზღვრო უსაფრთხოებასა და მომხრე არიან არალეგალური

იმიგრანტების დეპორტაციისა. მოცემულ საკითხს ისინი აღიქვამენ როგორც ეკონომიკური ასევე, უსაფრთხოების კუთხით ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად საგარეო პოლიტიკაში. (REPUBLICANVIEWS.ORG, 2017)

რესპუბლიკელების დამოკიდებულება საგარეო ვაჭრობისადმი მკაფიოდ ნათელია. მათი მიხედვით, როგორც კომუნიკაცია და ტრანსპორტი უფრო და უფრო ხელმისაწვდომი ხდება ყოველდღიურად, ასევე გლობალური ეკონომიკა და ვაჭრობა აგრძელებს გავლენის ზრდას ამერიკის შიდა ეკონომიკაში. რესპუბლიკელების შეხედულება საგარეო ეკონომიკაზე განმსჭვალულია იდეით, რომლის მიხედვითაც ამერიკა უნდა იყოს სავაჭრო ეკონომიკაში წამყვან პოზიციებზე. ისინი მხარს უჭერენ თავისუფალი ვაჭრობის შენარჩუნებას. (REPUBLICANVIEWS.ORG, 2017)

რაც შეეხება ჩინეთთან დამოკიდებულებას რესპუბლიკელები ხედავენ საერთაშორისო ვაჭრობის დაღმასვლას, მათ მიაჩნიათ, რომ ჩინეთმა არაკეთილსინდისიერად შეზღუდა და ლიმიტირებული გახადა ხელმისაწვდომობა დასავლური ბრენდების, დიზაინების, პატერნებისა და ტექნოლოგიების ჩინურ ბაზარზე. რესპუბლიკელები დარწმუნებულები არიან იმაში, რომ ჩინეთი მანიპულირებს თავისი ვალუტით და ამერიკელ ექსპორტიორებს არახელსაყრელ პირობებში აყენებს. ის ქვეყანაში უცხოურ კონკურენციას ჩრდილავს საკუთარი ქვეყნის მწარმოებლების წახალისებით და სხვადასხვა ბენეფიტებით მათ მიმართ. რესპუბლიკელები კრიტიკულად ახასიათებენ დემოკრატების არ რეაგირებასა და მომხრე არიან ჩინეთთან სავაჭრო შეთანხმების განახლების. (REPUBLICANVIEWS.ORG, 2017)

3.2 დემოკრატები და მათი ხედვა საგარეო ვაჭრობასა და ჩინეთთან

მიმართებაში

ტრადიციულად დემოკრატების პარტიის საგარეო პოლიტიკა მოიცავს განზოგადებულ შემფოთებას ადამიანის უფლებებზე, ამასთან ის სკეპტიკურად უყურებს სამხედრო და შეიარაღებული ძალის გამოყენებასა და უპირატესობას ანიჭებს დიპლომატიურ გადაწყვეტილებებსა და საერთაშორისო ჩართულობას. ითვლება, რომ დემოკრატების საგარეო პოლიტიკა უშუალოდ მოლაპარაკებებს აყენებს სამხედრო ჩართულობაზე წინ. (Nadeau, 2012) დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს აზიასთან კერძოდ კი სამხრეთ კორეასთან, ინდოეთთან, პაკისტანთან, იაპონიასთან ურთიერთობების გაღრმავება. დემოკრატიული პარტია ასევე, ხელს უწყობს ეკონომიკურად და ჰუმანიტარული დახმარებით აშშ-ს ჩართულობას აფრიკაში და ლათინურ ამერიკაში ამერიკის თანამეგობრობას. (Democratic Party, n.d.)

დემოკრატები ძირითადად მიიჩნევენ, რომ ნებისმიერმა სავაჭრო შეთანხმებამ უნდა დაიცვას დაქირავებული მუშახელი და გარემოს ზიანი არ უნდა მიაყენოს. ასევე, საინტერესო იყო 2004 წელს დემოკრატიული პარტიის საგარეო პოლიტიკა ჩინეთთან მიმართებაში, როდესაც მათივე მოთხოვნით უნდა განხილულიყო ყველა სავაჭრო შეთანხმება და გამოძიება უნდა ჩატარებულიყო ჩინეთის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით. (ამ პერიოდში ჩინეთი იწმუნებოდა, რომ დარღვეულ იქნა მისი უფლებები სავაჭრო ურთიერთობაში). დემოკრატების პოზიციიდან გამომდინარეობს ის რომ სავაჭრო ურთიერთობები ჩინეთთან უნდა გაგრძელდეს, თუმცა აღიარებენ იმასაც რომ უნდა გამოიძიებოს გარკვეული გზები რითაც თანამშრომლობას ადამიანის უფლებების, რელიგიური თავისუფლებისა და პიროვნული თავისუფლების კუთხით გააღრმავებენ. დემოკრატები მხარს უჭერენ „ერთი ჩინეთის“ პოლიტიკას, (ეს ჩინეთის პოზიციის დიპლომატიური აღიარებაა, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ჩინური მთავრობა, ეს დამოკიდებულება ამ ორ ქვეყანას შორის ფუნდამენტური ქვაკუთხედი) თუმცა ამავდროულად ტაივანსაც არ ივიწყებენ და უფლებას იტოვებენ მიყიდონ თავდაცვითი საშუალების იარაღები, თუმცა პრობლემა ამ დამოკიდებულებისა არის ის, რომ ზღვარი თავდაცვითსა და ჩვეულებრივ იარაღს შორის საკმაოდ თხელია და მისი

გარჩევა ხშირად ვერ ხერხდება. (Democratic Party, n.d.) რაც არაერთხელ გამხდარა ამერიკელი და ჩინელი პოლიტიკოსების განხილვისა და დაპირისპირების საგანი.

3.3 რესპუბლიკელებისა და დემოკრატების საგარეო პოლიტიკის ანალიზი აშშ-ჩინეთის ურთიერთობებში

რესპუბლიკელები მიიჩნევენ, რომ საუკეთესო საშუალება კეთილდღობის უზრუნველსაყოფად ამერიკელების უდიდესი ნაწილისთვის არის საუკეთესო პირობების შექმნა ბიზნესისთვის, თვლიან, რომ ყველა ამერიკელი მოგებაშია მაშინ, როდესაც ბიზნესი ვითარდება. დემოკრატები ამ საკითხს განსხვავებულად უყურებენ, ამტკიცებენ რომ ბიზნესის განვითარება მოხდება, მაშინ როდესაც ყველა ადამიანს ექნება მეტი რესურსი პროდუქტის შესაძენად. დემოკრატები მხარს უჭერენ საარსებო მინიმუმის გაზრდას, რასაც რესპუბლიკელები ეწინააღმდეგებიან. დემოკრატები უფრო მეტად მხარს უჭერენ ვაჭრობის შეზღუდვებს ამერიკელებისთვის სამუშაო ადგილების დასაცავად, მაშინ როდესაც რესპუბლიკელები უფრო მეტად ემხრობიან თავისუფალ ვაჭრობასა და მიისწრაფიან შეამცირონ დანახარჯი მომხმარებლებისთვის და აამაღლონ ბიზნესის მოგება. (Markey, 2018)

ზემოთ ხსენებული ფაქტებისგან გამომდინარე კარგად ჩანს განხვავება თავად ამერიკული პოლიტიკური პარტიების (დემოკრატებისა და რესპუბლიკელების) დამოკიდებულების საგარეო პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით და ასევე კონკრეტული ხედვები ჩინეთთან სავაჭრო ურთიერთობების კუთხით. სწორედ აქ მდგომარეობს თემის მთავარი კვანძი. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატები და რესპუბლიკელები განსხვავებულად უყურებენ საგარეო და სავაჭრო ურთიერთობებს, ასევე, ჩინეთისადმი ამერიკის პოლიტიკას, ეს დამოკიდებულება არ აისახება ეკონომიკურ ურთიერთობაზე და ვაჭრობა ორ ქვეყანას შორის ყოველწლიურად იმატებს. ჩემი ჰიპოთეზის მიხედვით პოლიტიკური პარტიების განსხვავებული საგარეო კურსი, ხისტი დამოკიდებულება ჩინეთის პოლიტიკის მიმართ და საგარეო ვაჭრობასთან მიმართებაში განსხვავებული შეხედულებები არ ახდენენ გავლენას

ეკონომიკურ ურთიერთობებზე, რადგან ისინი ერთმანეთს სავაჭრო კავშირებით მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი, რაც უკვე ზემოთ მოცემულ თავში „აშშ-სა და ჩინეთის ეკონომიკურ ურთიერთობების“ განვიხილეთ.

თავი 4. აშშ-ს პრეზიდენტების ჯორჯ ბუშისა და ბარაკ ობამას დამოკიდებულება ჩინეთის მიმართ

4.1 ჯორჯ ბუშის საგარეო პოლიტიკური კურსი და ჩინეთისადმი მისი პოლიტიკა
ჯორჯ ბუშისათვის დამახასიათებელი იყო ლიმიტირებული საგარეო პოლიტიკური დღის წერივი. ბუშის პრეზიდენტობის პირველი თვეების განმავლობაში საგარეო პოლიტიკაში მის კომპეტენტურობას ეჭვის თვალთ უყურებდნენ და მის გამოუცდელობას კომპესირებას უწევდა ძლიერი საგარეო პოლიტიკური გუნდი, რომელიც მამამისის ყოფილი ჩინოსნებისგან შედგებოდა. დამოკიდებულება შეიცვალა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმის შემდეგ. ამ მოვლენებმა ჯორჯ ბუში ახალი კუთხით წარმოაჩინა, ცვლილებები კი განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკაში გამოჩნდა. მან დიდი აღიარება დაიმსახურა კრიზისის დროს ერის გაერთიანებისთვის და გარკვეულწილად მისი გამოუცდელობა საგარეო პოლიტიკაში პოზიტიურად იყო მიჩნეული. (Gregg, 2014)

ბუშის მმართველობის დროს, აშშ-ს ხედვამ ჩინეთთან დაკავშირებით ცვლილება განიცადა და მისი აღქმა მოხდა, როგორც „პასუხისმგებლიან მოთამაშედ“. ეს იდეა აღიარებდა ჩინეთის ძლიერებას მისი როგორც დაინტერესებული აქტორის პოზიციას გლობალურ საკითხებში. უნდა აღინიშნოს, რომ ბუშმა 9/11-ის შემდეგ შეცვალა კურსი ჩინეთთან დაკავშირებით. მანამდე თუ ის უფრო ჩაკეტილი და ხისტი იყო, დიდი ტრაგედიის შემდეგ, როდესაც ჩინეთმა ტერორიზმთან ბრძოლაში ჩაბმის სურვილი გამოთქვა მისი პოზიცია შერბილდა, თუმცა ბუში არ ყოფილა პირველი პრეზიდენტი ვისი ადმინისტრაციის დროსაც ხდებოდა ჩინეთისადმი პოზიციის შეცვლა გარკვეული საკითხებიდან გამომდინარე. (Jentleson, American Foreign Policy: The dynamics of Choices in the 21st Century (fifth edition), 2014)

4.2 ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკური კურსი და ჩინეთისადმი მისი პოლიტიკა

საერთაშორისო სისტემის ობამისეული კონცეფცია აღიარებდა აშშ-ს ცენტრალურ როლს, რომელიც ამავდროულად გამოკვეთილად მულტილატერალურ კონტექსტშია გააზრებული. ობამას განცხადებებით ამერიკა იღწვოდა კაცობრიობის საერთო უსაფრთხოებისთვის.

ბარაკ ობამა: „ მსოფლიო ისეთია, რომ ამერიკა ამ საუკუნის გამოწვევებს მარტო ვერ გაუმკლავდება, თავის მხირვ, მსოფლიოც ვერ გაუმკლავდება ამერიკის გარეშე. ჩვენ განმარტოვებულად ვერ დავდგებით და მსოფლიოსაც ვერ ვაიძულებთ, რომ დაგვმორჩილდეს. ჩვენ უნდა გავუძღვეთ მსოფლიოს ჩვენივე საქციელით და მისთვის მაგალითი გავხდეთ“. ობამას ყოვლისმომცველი სტრატეგია საკმაოდ ფართო იყო და ითვალისწინებდა გლობალურ დათბობების შეჩერებას, ენერგეტიკული უსაფრთხოების გაზრდას, გლობალური სიღარიბის შემცირებასა და დაშლის პირას მყოფ და არშემდგარ სახელმწიფოებთან გამკვლავებას. (Obama, 2016)

ობამას პირველი ვადის პერიოდში პოლიტიკა ჩინეთთან მიმართებაში ორ ფაზად განვითარდა. დასაწყისში მისი სტრატეგიული მიზნები იყო ჩართულობის მნიშვნელობის აქცენტირება და მისი გაზრდა. მაგალითად: კონფლიქტისთვის თავის ასაცილებლად პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ტიბეტის ლიდერ დალაი-ლამასთან შეხვედრაზე უარი განცხადა. თუმცა ამის მიუხედავად დროთა განმავლობაში, ყურადღება შეკავების პოლიტიკის ზოგ ელემენტზე მაინც გამახვილდა. ამ მხრივ ცენტრალურ მომენტად შეიძლება მივიჩნიოთ აზიაში ამერიკული სამხედრო კონტინგენტის გაზრდა და 2012 წლის საარჩევნო საპრეზიდენტო კამპანიაში ჩინეთის კრიტიკა, თუმცა პრეზიდენტობის მეორე ვადაში ადმინისტრაციამ საარჩევნო კამპანიის დროს არსებულ ტონს დაუწია, თუმცა მიუხედავად ამისა პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით სიმტკიცეს ინარჩუნებდა. (მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სამხრეთ ჩინეთის ზღვის ქეისი) (Jentleson, American Foreign Policy: The dynamics of Choices in 21st Century (fifth edition), 2014)

როგორც ვხედავთ ბუმისა და ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკის კურსი ერთმანეთისგან განხვავებული იყო. ეს ალბათ საკვირველიც არ უნდა იყოს, რადგან ბუმი

რესპუბლიკელი კანდიდატი გახლდათ, ხოლო ობამა - დემოკრატი. საერთო რაც ორივე კანდიდატს პრეზიდენტობის პერიოდში ახასიათბდა იყო ჩინეთისადმი დამოკიდებულების ცვლილება, ბუმის ადმინისტრაციის დროს მსგავსი გარდატეხვა მოხდა 9/11 ტრაგედიის შემდეგ, მანამდე იგი ჩინეთს აღიქვამდა ისე როგორც ურთიერთობას, რომელშიც „სტრატეგიულ კონკურენციას“ ხედავდა, ხოლო მისი მეორე მანდატის დროს აშშ-ს ხედვამ ჩინეთთან დაკავშირებით ცვლილება განიცადა. ჩინეთის აღქმა დაიწყო როგორც „პასუხისმგებლიან მოთამაშის“, რომელიც მის ძლიერებას გამოხატავდა.

თავი 5. კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია

ნაშრომში გამოყენებული იქნება კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია. ამ თეორიის ძირითადი ავტორების რობერტ კიოჰენისა და ჯოზეფ ნაის აზრით ქვეყნებს შორის ურთიერთობაში არ არსებობს საკითხთა იერარქია, განსხვავება მაღალ და დაბალ პოლიტიკას შორის კი მოძველებულია. ეკონომიკის მიკუთვნება „დაბალი პოლიტიკისთვის“, ხოლო ეროვნული უსაფრთხოების საკითხების „მაღალი პოლიტიკისთვის“ დღევანდელ დღეს, როდესაც მსოფლიოში ვაჭრობა და ეკონომიკური საკითხები ესე წინ არის წამოწეული, შეუსაბამოა. გამომდინარე იქედან, რომ ყველა ქვეყანა მსოფლიოში დამოკიდებულია საგარეო ვაჭრობაზე, ეკონომიკურ შეხედულებებს შეუძლიათ ღრმა გავლენა იქონიონ ეროვნულ უსაფრთხოებაზე. ამ მოსაზრებას იზიარებს ნორინ რიჰსმანიც და ამბობს: „როდესაც ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფოთა შორის მაღალია, ალბათობა ძალის გამოყენებისა უთანხმოების მოსაგვარებლად იკლებს“. (Ripsman, 2006)

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია რობერტ კიოჰენმა და ჯოზეფ ნაიმ ჩამოაყალიბეს თავის გახმაურებულ ნაშრომში „ძალაუფლება და ურთიერთდამოკიდებულება“, 1989 წელს. ამ თეორიის ავტორები რეალიზმს უპირისპირდებიან და მას თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების ანალიზისთვის მოძველებულ და დღესდღეობით გამოუსადეგარ კონცეფციად მიიჩნევენ. თეორიის მიხედვით თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური თუ ეკონომიკური ურთიერთობები გაცილებით უფრო მრავალშრიანი და მრავალფეროვანი პროცესებია, ვიდრე რეალისტური ხედვები. მათ მიერ დაწერილი წიგნიც იწყება სიტყვებით: „ჩვენ ურთიერთდამოკიდებულების ეპოქაში ვცხოვრობთ. ეს ბუნდოვანი წინადადება გამოხატავს არასაკმარისად გაცნობიერებულ, მაგრამ ფართოდ გავრცელებულ შეგრძნებას, რომ მსოფლიო პოლიტიკის არსი იცვლება“. (Nya, 1989) მათივე მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არის იმაზე მეტად რთული, ვიდრე ომამდე იყო. ძველ დროში ურთიერთობები წარმოებდა მხოლოდ სახელმწიფოს

ლიდერებს შორის და ძალის გამოყენება მოიაზრებოდა, როგორც ერთ-ერთი საშუალება ქვეყნის ლიდერებს შორის წამოჭრილი პრობლემის გადასაწყვეტად. (აკობია, 2006)

ისეთმა ცნობილმა თეორეტიკოსმა და პრაქტიკოსმა რეალისტმა კი, როგორც აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰ. კისიჯერია, 1975 წელს განაცხადა: “მსოფლიო ურთიერთდამოკიდებული გახდა ეკონომიკურად, კავშირურთიერთობებითა და ადამიანების მისწრაფებებით“. დღესდღეობით ეკონომიკურმა, ტექნოლოგიურმა, სავაჭრო, ეკოლოგიურმა და სხვა პროცესებმა მსოფლიოს ქვეყნები აიძულა ურთიერთდამოკიდებულები გამხდარიყვნენ ერთმანეთზე, ურთიერთდამოკიდებულება კი ზღუდავს ავტონომიას, სუვერენულობას. ამის დასადასტურებლად მოვიყვან მაგალითს ჩინეთ-აშშ-ს ურთიერთობისგან, როდესაც ჰუ ძინტაო, ჩინეთის ყოფილი პრეზიდენტი იმყოფებოდა შტატებში და ბარაკ ობამასთან შეხვედრისას ისაუბრა ჩინეთ-აშშ-ს ურთიერთობებზე. სიტყვის წარმოთქმისას მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ჩინეთსა და აშშ-ს ხალხს შორის ურთიერთობა ფუნდამენტურ ინტერესს ემსახურება და აზია წყნარი ოკეანის მშვიდობის, კეთილდღეობისა და სტაბილურობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი და სასარგებლოა. ძინტაოს მიხედვით, როგორც მსოფლიოში ორი დიდი ძალაუფლების მქონე ქვეყნების წარმომადგენლებმა, მათ უნდა იზრუნონ და გააგრძელონ აშშ-ჩინეთს შორის პოზიტიური, კოოპერაციული და ყოვლისმომცველი ურთიერთობების პროგრესი. (Hu Jintao Holds Talks with Obama and Raises Five Proposals to Develop China-US Relations, 2011)

როგორც ვიცით, დღევანდელი მსოფლიო ხასიათდება მრავალგანზომილებიანი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ურთიერთდამოკიდებულებით და ძალის გამოყენება აღარ განიხილება, როგორც ყველაფრის წამალი. აღნიშნული თეორიის თანახმად საერთაშორისო ურთიერთობებში სუვერენული სახელმწიფო უნიტარულ მონაწილეს არ წარმოაგდენს, მათი ურთიერთობები ერთმანეთთან კი მრავალმხრივია და გამომდინარე აქედან, სამხედრო უსაფრთხოება არ არის სულ მუდამ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა. პირველ რიგში ხშირად წამოწეულია ეკონომიკური, კეთილდღეობის, ეკოლოგიური პრობლემები, რომელთა გადალახვა სამხედრო დაპირისპირებით შეუძლებელია. (რონდელი, 2006)

მოცემული თეორიის თანახმად, სახელმწიფოთა ურთიერთობები მრავალმხრივია და ისინი სხვადასხვა პრობლემებთან არის დაკავშირებული და მუდმივი იერარქიულობა რომელიმე კონკრეტული საკითხისადმი არ შეიმჩნევა. რობერტ კოჰენისა და ნიას აზრით სამხედრო უსაფრთხოება არ არის სულ მუდამ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა. ამიტომაც დღევანდელ სამყაროში ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უსაფრთხოების ცნებები თავიანთ ტრადიციულ მნიშვნელობას ჰკარგავენ ან ახალ შინაარსს იძენენ. გამომდინარე აქედან, პირველ ადგილზე ხშირად განიხილება ქვეყნის ეკონომიკური, ეკოლოგიური თუ კეთილდღეობის პრობლემები, რომელთა გადალახვა სამხედრო ძალის გამოყენებით უბრალოდ შეუძლებელია. (Nya, 1989) ნაშრომში განხილული აშშ-ჩინეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობებისგან გამომდინარე, დავინახეთ, რომ სავაჭრო კავშირები უფრო მაღლა დგას ვიდრე სოლარული პანელების დაპირისპირება, რომელიც 2011-2012 წლებში მოხდა და ორ ქვეყანას შორის სერიოზული დაპირისპირების მიზეზი გახდა, აშშ-ს და ჩინეთს ერთმანეთს არაკეთილსინდისიერი სავაჭრო მიდგომების გამოყენებაში ადანაშაულებდნენ, რამაც ორად გაყო საზოგადოების აზრი ან თუნდაც გლობალურ საფინანსო კრიზისში ჩინელების მხრიდან შეერთებული შტატების დადანაშაულება, რადგან მზარდი ვაჭრობა და სარგებელი ორმხრივი უფრთიერთობისგან ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე სამხედრო დაპირისპირება ან სავაჭრო ურთიერთობის გაფუჭება. როგორც რობერტ გილპინმა აღნიშნა, ორმხრივი ურთიერთობები და საერთო ინტერესები არბილებენ ქვეყნების ეგოცენტრულ ქცევებს, გამომდინარე აქედან რაც უფრო ძლიერი და ფართომამტაბიანია ეკონომიკური კავშირები მით უფრო ძნელია პოლიტიკური უთანხმოების გამო მათი გაწყვეტა. (Gipin, 2001)

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიას სამი ნიშნის ფაქტორით ახარისხებენ:

1. საკითხთა შორის იერარქიის არ არსებობა
2. სამხედრო ძალის უპირატესობის დაღმასვლა
3. ურთიერთობის მრავალი არხი ქვეყნებს შორის (Nya, 1989)

განვიხილოთ თითოეული მათგანი აშშ-ჩინეთის ურთიერთობის კუთხით: 1979 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ რაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალიზაცია დაიწყო და დიპლომატიური კავშირები აღდგა, როგორც კვლევაში განვიხილეთ პერიოდების განმავლობაში ხდებოდა ურთიერთობების დამაბზვა და გაციება, ხოლო იყო პერიოდები, როდესაც პირიქით პოლიტიკური კუთხით ქვეყნებს შორის მიმდინარეობდა დაახლოება. მიუხედავად ამისა, დამაბზულ პოლიტიკურ მომენტებს, ეკონომიკურ სფეროში სიტუაციის გაუარესებაზე გავლენა არ მოუხდენია. ეს კი თავისთავად მიუთითებს, იმაზე რომ არ არსებობს საკითხთა იერარქია აშშ-ჩინეთის ურთიერთობას შორის.

მეორე პუნქტად ნაის და კიოჰენს გამოყოფილი აქვთ სამხედრო ძალის უპირატესობის დაღმასვლა, რაც ნამდვილად ერგება ჩინურ-ამერიკულ მოდელს, მათ შორის სამხედრო დაპირისპირება მაშინაც კი არ შემდგარა, როდესაც 1950-53 წლებში კორეის ომი მიმდინარეობდა და სიტუაცია სამხედრო ესკალაციის პიკზე იყო. აქვე, შეგვიძლია განვიხილოთ მაგალითი დღევანდელიდან: როგორც ვიცით, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში აშშ-სა და ჩინეთს დღემდე დაპირისპირება აქვთ, რადგან შეერთებულ შტატებისა და ევროპის ქვეყნების მტკიცებით ჩინეთი უკანონოდ ითვისებს ნეიტრალური ზღვების ტერიტორიებს და სამხედროებით აღჭურვილი კუნძულების გაშენებას აგრძელებს. ჩინეთი კი ამტკიცებს, რომ წყლები, სადაც ის კუნძულებს აშენებს ისტორიულად მას ეკუთვნოდა. რეალურად, სამხრეთ ჩინეთის ზღვის მდებარეობას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და მისი მითვისების შემთხვევაში ჩინეთი გააკონტროლებს ოკეანეებში საზღვაო ვაჭრობას. (Joshi, 2016) მიუხედავად ზემოთ ხსენებულისა, ჩინეთსა და შტატებს შორის არ არის სამხედრო დაპირისპირება და არც პოლიტიკური დაპირისპირება ახდენს გავლენას ეკონომიკურ ურთიერთობებზე, რადგან როგორც ვნახეთ 2017 წლის მონაცემებით სავაჭრო ურთიერთობებმა ისტორიულად მაღალი მაჩვენებელი დააფიქსირა. რაც შეეხება ქვეყნებს შორის ურთიერთობის მრავალ არხს, იგი ნამდვილად არსებობს და ამას ყველაზე კარგად ამტკიცებს ორმხრივი ბიზნეს, გაცვლითი საგანმანათლებლო თუ კულტურული კავშირები.

აშშ - ჩინეთის კომპლექსური ურთიერთობის ჭრილით, მოცემულობის ცალსახა დამადასტურებელია, ის განცხადებები, რომელსაც პრეზიდენტ ბარაკ ობამა, ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენი და სახელმწიფო მდივანი კლინტონი აკეთებდნენ. მათივე მიხედვით, შეერთებული შტატები მიესალმება ძლიერ აყვავებულ და სტაბილურ ჩინეთს და რომ ერთი ქვეყნის დანაკარგი მეორე ქვეყნის მოგებას არ ნიშნავს. ორ ქვეყანას შორის ისეთი თანამშრომლობა უნდა დამყარდეს, რომლის დროსაც ერთმანეთის მიმართ სტრატეგიული და გრძელვადიანი ნდობის გაღვივება მოხდება და ამით ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინეთი ურთიერთობის ახალ მოდელს ჩამოაყალიბენ, მზარდი ძალაუფლებისა და უკვე არსებული ძალაუფლების პირობებში. (Hanzhao, 2012)

მოცემულ კვლევაში გამოყენებული თეორიის მნიშვნელობაზე მიუთითებს აშშ - ჩინეთს შორის არსებული მყარი და მზარდი ეკონომიკური კავშირები. მას შემდეგ რაც 1979 წელს ორ ქვეყანას შორის დაიწყო დიპლომატიური ურთიერთობები და მოეწერა ხელი სავაჭრო ხელშეკრულებებს, ვაჭრობა ძირითადად მზარდია და არ განიცდის კლებას. (თუ არ ჩავთვლით 2008-2009 წლის მოვლენებს, როდესაც ვაჭრობის კლება განაპირობა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და არა ამერიკა-ჩინეთის პოლიტიკურმა დამაბულობამ) ჩინეთსა და ამერიკას შორის სავაჭრო ურთიერთობები ორივე ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, ამიტომაც სხადასხვა ქვეყნის პრეზიდენტების განცხადებები, პოლიტიკური დამაბულობა თუ ქვეყნის განსხვავებული პარტიები ვერ ახდენენ გავლენას სავაჭრო ურთიერთობებზე. ამ შემთხვევაში ორივე მხარე ცდილობს, რომ ეკონომიკური კავშირები პოლიტიკური პრობლემებისგან განაცალკევოს. გამოთქმულ მოსაზრებას, ასევე ადასტურებს ორივე ქვეყნის წარმომადგენლების განცხადებები მაგალითისთვის:

„შეერთებული შტატები მხოლოდ მიესალმება ჩინეთის მზარდ როლს საერთაშორისო ასპარეზზე. ჩინეთის მშვიდობიანი განვითარება მომგებიანია, როგორც ამერიკისთვის, ასევე, დანარჩენი მსოფლიოსთვის. როგორც მსოფლიოს ორ უმსხვილესი ეკონომიკის მქონდე ქვეყნებს ჩვენ გვაქვს განსაკუთრებული ვალდებულება, გამოვწახოთ

კოოპერატიული ზომები, რომელთაც შეეძლებათ გაზარდნოთ გლობალური ზრდა.”–
ბარაკ ობამა, შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი. (Obama, 2016)

ჩინეთსა და ამერიკის პოლიტიკურ ურთიერთობაში წლების განმავლობაში ბევრი გაუგებრობა და დაპირისპირება ყოფილა, (ტაივანის საკითხი, სამხრეთ ჩინეთის ზღვის შემთხვევა, ამას დამატებული პერიოდულად ორივე ქვეყნის პრეზიდენტების მხრიდან ხისტი განცხადებები ერთმანეთის მიმართ) თუმცა არსებული ვითარებიდან გამომდინარე ჩნდება კითხვა თუ რამ განაპირობა ეკონომიკური ურთიერთობების არ გაწყვეტის მიზეზი? მოცემული თეორიიდან და აშშ-ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობების განხილვსგან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამერიკასა და ჩინეთს შორის ურთიერთდამოკიდებულების შედეგად ჩამოყალიბდა ისეთი კავშირები, რომელთა გაწყვეტაც ნეგატიურად იმქომელებდა ორივე სახელმწიფოს ფინანსურ-ეკონომიკურ სფეროზე, ამიტომაც დაპირისპირება ორ ქვეყანას შორის დემოკრატებისა თუ რესპუბლიკელების მმართველობის პერიოდში და მათ მიერ ჩინეთისადმი განხვავებული დამოკიდებულება არ ახდენს გავლენას ეკონომიკურ ურთიერთობებზე.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განხილული იყო შეერთებული შტატებისა და ჩინეთის ურთიერთობები. კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეესწავლა ორ ქვეყანას შორის ისტორიული, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები. წინამდებარე საკითხები განხილულ იქნა რათა დაედგინა თუ რატომ ვერ მოახდინა გავლენა აშშ-ს საგარეო პოლიტიკურმა კურსმა და მისი მმართველი პარტიების ცვალებადმა დამოკიდებულებამ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ, მათ შორის ვაჭრობასა და ეკონომიკურ ურთიერთობებზე გავლენა. ამ მიზნით ნაშრომში განხილულ იქნა ამერიკის ორი მთავარი პოლიტიკური პარტია: დემოკრატები და რესპუბლიკელები, მათი დამოკიდებულება საგარეო პოლიტიკის, ვაჭრობისა და კონკრეტულად ჩინეთის მიმართ. კვლევაში მოსაზრების გასამყარებლად მოყვანილ იქნა ორი პრეზიდენტის ერთი მხრივ რესპუბლიკელი ჯორჯ ბუშისა და მეორეს მხრივ დემოკრატი ბარაკ ობამას მაგალითები.

როგორც უკვე კვლევის დასაწყისში აღვნიშნე, 21-ე საუკუნეში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობები, ერთის მხრივ ამერიკა, რომელიც ჰეგემონი სახელმწიფოა და მეორეს მხრივ განვითარებადი და სწრაფად მზარდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ისტორიული ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის შესწავლილ იქნა პირველ თავში და დადასტურდა მათი საკმაოდ კომპლექსური და ფართომასშტაბიანი დამოკიდებულება. ჩინეთის ყოველწლიურად მზარდი ეკონომიკა, მისი როლისა და მნიშვნელობის ზრდა ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სავაჭრო ურთიერთობებში მთელი მსოფლიოს ინტერესს იწვევს. გამომდინარე აქედან დღესდღეობით ჩინეთის საკითხი აქტიურად დგას საერთაშორისო დღის წესრიგში და კვლევაც მიეძღვნა მათი კომპლექსური ურთიერთობების შესწავლას.

მოცემული თემა შემოსაზღვრული იქნა დროის მონაკვეთში, კონკრეტულად კი 1978 წლიდან 2017 წლამდე. მართალია ისტორიული ურთიერთობების თავში განხილულია დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების რთული გზა, სანამ ეკონომიკური ურთიერთობები ჩამოყალიბდებოდა, თუმცა ეკონომიკური ურთიერთობების

განხილვისას იმ პერიდოთ შემოვისაზღვრეთ როდესაც უკვე დადებული იყო სამი მნიშვნელოვანი კომუნიკე დროის მონაკვეთი კი ჩაიკეტა 2017 წელს, ბარაკ ობამას პრეზიდენტობის ადმინისტრაციის დასასრულს. გამომდინარე აქედან, ნაშრომში არ იყო განხილული მიმდინარე მოვლენები და სავაჭრო ურთიერთობები.

აშშ-ჩინეთის ურთიერთობები მოიცავს ძალზე ბევრ გაურკვეველობასა და საკითხთა დიდ სიმრავლეს. დებატები ამ საკითხის მიმართ მოიცავს, როგორც საერთო ასევე, ურთიერთგამომრიცხავ ინტერესთა ნაზავს. გარკვეულწილად ეს დამოკიდებულია ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობების მნიშვნელობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სწრაფად განვითარებაზე. ჩინეთი კანადის შემდეგ, ამერიკისთვის ყველაზე მსხვილ სავაჭრო პარტნიორებს შორის მეორე, ხოლო მსხვილ საექსპორტო ბაზრებს შორის მესამე პოზიციას იკავებს. 2014 წელს ამერიკის პირდაპირმა ინვესტიციებმა ჩინეთის ეკონომიკაში 61.5 მილიარდი დოლარი შეადგინა. აგრეთვე, 2016 წლის დეკემბრისთვის მონაცემებით, ჩინეთი, შეერთებული შტატების ფედერალური ხაზინის ფასიანი ქაღალდების, ყველაზე მსხვილი უცხოელი მფლობელია. ამ მიმართულებით, ჩინეთის ქონება შეადგენს 1.4 ტრილიონ აშშ დოლარს, და უსწრებს იაპონიას, როგორც მსხვილ უცხოელ პარტნიორს. (Trade in goods with China, 2017)

ჩინეთი და ამერიკა მსოფლიოში ორი უდიდესი ეკონომიკური ძალაა, რომელთა ურთიერთობაზე არა მხოლოდ მათი კეთილდღეობაა დამოკიდებული, არამედ ეს საკითხი, გლობალური ვაჭრობისთვისაც ფრიად მნიშვნელოვანია. ორივე ქვეყანა აცნობიერებს მნიშვნელობას მათი სავაჭრო ურთიერთობების. ამის დასადასტურებლად ნაშრომის მეორე თავში განხილულია ჩინეთის საინვესტიციო მონიტორინგის „როდიუმ გრუპის“ მონაცემები, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს მჭიდრო ეკონომიკურ კავშირებს აშშსა და ჩინეთს შორის.

ურთიერთდამოკიდებულებას ორ ქვეყანას შორის ადასტურებს ის ფაქტიც, რომ უახლესი აშშ-ჩინეთის სავაჭრო შეთანხმება გაფორმდა 2017 წელს, რაც მნიშვნელოვან გარიგებასთან ერთად, ეკონომიკურ და დიპლომატიურ წარმატებას წარმოადგენს ჩინეთისთვის. შეთანხმების თანახმად, ჩინეთი გააუქმებს მის აკრძალვას აშშ-სგან

იმპორტირებულ ძროხის ხორცზე და ასევე, მიიღებს ბუნებრივი გაზის ამერიკულ გადაზიდვებს. სანაცვლოდ, კი ჩინური მზა ქათამი იქნება დაშვებული ამერიკულ ბაზარზე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ჩინურ ბანკებს შეეძლებათ აშშ-ს ბაზარზე შემოსვლა და მოღვაწეობა. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩინური ბანკები მსოფლიოში უმსხვილესია და მათ პირველად მიეცემათ შანსი აშშ-ს საბანკო ბაზარზე თავის დამკვიდრების. (US and China sign Trade agreement, 2017) გამომდინარე აქედან ნათელი ხდება, რომ ამერიკასა და ჩინეთს შორის მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებაა. ეს სავაჭრო კავშირი იმდენად ძლიერია, რომ ორივე ქვეყანას სჭრიდება ერთმანეთი ეკონომიკური მოგების თვალსაზრისით.

კვლევის „ფაზლს“ წარმოადგენდა ის გარემოება, რომ განხვავებული პოლიტიკური პარტიებისა და საგარეო პოლიტიკის ცვალებადობის მიუხედავად აშშ და ჩინეთს შორის მზარდი ეკონომიკური კავშირი იყო. წინა თავში ხსენებული ფაქტებისგან გამომდინარე კარგად ჩანს განხვავება თავად ამერიკული პოლიტიკური პარტიების (დემოკრატებისა და რესპუბლიკელების) დამოკიდებულების საგარეო პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით და ასევე კონკრეტული ხედვები ჩინეთთან სავაჭრო ურთიერთობების კუთხით. როგორც უკვე აღვნიშნე სწორედ აქ მდგომარეობს თემის მთავარი კვანძი. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატები და რესპუბლიკელები განსხვავებულად უყურებენ საგარეო და სავაჭრო ურთიერთობებს, ასევე, ჩინეთისადმი ამერიკის პოლიტიკას, ეს დამოკიდებულება არ აისახება ეკონომიკურ ურთიერთობაზე და ვაჭრობა ორ ქვეყანას შორის ყოველწლიურად იმატებს.

ნაშრომში დადასტურებული იქნება კვლევის ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური პარტიების განსხვავებული საგარეო კურსი, ხისტი დამოკიდებულება ჩინეთის პოლიტიკის მიმართ და საგარეო ვაჭრობასთან მიმართებაში განსხვავებული შეხედულებები არ ახდენენ გავლენას ეკონომიკურ ურთიერთობებზე, რადგან ისინი ერთამენთან სავაჭრო კავშირებით მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. მოცემული მოვლენა კი შემდგომში ახსნილი იქნა კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიიდან.

მოცემული თეორიის თანახმად, სახელმწიფოთა ურთიერთობები მრავალმხრივია და ისინი სხვადასხვა პრობლემებთან არის დაკავშირებული და მუდმივი იერარქიულობა რომელიმე კონკრეტული საკითხისადმი არ შეიმჩნევა. რობერტ კიოჰენისა და ნიას აზრით სამხედრო უსაფრთხოება არ არის სულ მუდამ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა. ამიტომაც დღევანდელ სამყაროში ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უსაფრთხოების ცნებები თავიანთ ტრადიციულ მნიშვნელობას ჰკარგავენ ან ახალ შინაარსს იძენენ. გამომდინარე აქედან, პირველ ადგილზე ხშირად განიხილება ქვეყნის ეკონომიკური, ეკოლოგიური თუ კეთილდღეობის პრობლემები, რომელთა გადალახვა სამხედრო ძალის გამოყენებით უბრალოდ შეუძლებელია. (Nya, 1989)

ნაშრომში განხილული აშშ-ჩინეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობებისგან გამომდინარე, დავინახეთ, რომ სავაჭრო კავშირები უფრო მაღლა დგას ვიდრე სოლარული პანელების დაპირისპირება, ან თუნდაც გლობალურ საფინანსო კრიზისი, რადგან მზარდი ვაჭრობა და სარგებელი ორმხრივი უფრთიერთობისგან ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე სამხედრო დაპირისპირება ან სავაჭრო ურთიერთობის გაფუჭება. როგორც რობერტ გილპინმა აღნიშნა, ორმხრივი ურთიერთობები და საერთო ინტერესები არბილებენ ქვეყნების ეგოცენტრულ ქცევებს, გამომდინარე აქედან რაც უფრო ძლიერი და ფართომასშტაბიანია ეკონომიკური კავშირები მით უფრო ძნელია პოლიტიკური უთანხმოების გამო მათი გაწყვეტა. (Giplin, 2001)

მოცემულ კვლევაში გამოყენებული თეორიის მნიშვნელობაზე მიუთითებს აშშ - ჩინეთს შორის არსებული მყარი და მზარდი ეკონომიკური კავშირები. მას შემდეგ რაც 1979 წელს ორ ქვეყანას შორის დაიწყო დიპლომატიური ურთიერთობები და მოეწერა ხელი სავაჭრო ხელშეკრულებებს, ვაჭრობა ძირითადად მზარდია და არ განიცდის კლებას. (თუ არ ჩავთვლით 2008-2009 წლის მოვლენებს, როდესაც ვაჭრობის კლება განაპირობა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და არა ამერიკა-ჩინეთის პოლიტიკურმა დაძაბულობამ) ჩინეთსა და ამერიკას შორის სავაჭრო ურთიერთობები ორივე ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, ამიტომაც სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტების განცხადებები, პოლიტიკური დაძაბულობა თუ ქვეყნის განსხვავებული პარტიები ვერ ახდენენ გავლენას სავაჭრო ურთიერთობებზე. ამ

შემთხვევაში ორივე მხარე ცდილობს, რომ ეკონომიკური კავშირები პოლიტიკური პრობლემებისგან განაცალკევოს.

დასკვნის სახით კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ წინამდებარე ნაშრომში განხილული აშშ-ჩინეთის ურთიერთობები და წარმოდგენილი ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც აშშ-ს საგარეო პოლიტიკური პარტიების როტაცია ვერ ახდენს გავლენას ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებზე გამართლდა, გამომდინარე იქედან, რომ მათ შორის წლების განმავლობაში მაშტაბური და მზარდი ეკონომიკური კავშირები ჩამოყალიბდა. განხილული ცვლადებისა და ქეისების მაგალითზე დავინახეთ, რომ პოლიტიკურ პარტიებსა თუ ამერიკის სხვადასხვა პრეზიდენტებს განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ ჩინეთის მიმართ, თუმცა მათ მიერ გაკეთებული მკვეთრი განცხადებებისა თუ საგარეო პოლიტიკისა და ვაჭრობის მიმართ სხვადასხვა დამოკიდებულების მიუხედავად ეკონომიკა ორივე ქვეყანაში მზარდია. გამომდინარე აქედან ვასკვნით, რომ ჩინეთსა და ამერიკას შორის სავაჭრო ურთიერთობები ორივე ქვეყნისათვის მნიშვნელოვან პრიორიტეს წარმოადგენს, ამიტომაც სხვადასხვა პრეზიდენტების განცხადებები, პოლიტიკური დაძაბულობა თუ ქვეყნის განსხვავებული პარტიები ვერ ახდენენ გავლენას ამერიკასა და ჩინეთს შორის სავაჭრო ურთიერთობებზე. მოცემული ფაქტებიდან და თეორიიდან გამომდინარე კი შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამერიკასა და ჩინეთს შორის ურთიერთდამოკიდებულების შედეგად ჩამოყალიბდა ისეთი კავშირები, რომელთა გაწყვეტაც ნეგატიურ შედეგს გამოიწვევს ორივე სახელმწიფოს სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროზე და სწორედ ამიტომ პოლიტიკური ურთიერთობების დაძაბვამ თუ განხვავებულმა პარტიებმა, ვერ შეაფერხეს ორ ქვეყანას შორის მზარდი ეკონომიკური ურთიერთობები.

ბიბლიოგრაფია:

(n.d.).

REPUBLICANVIEWS.ORG. (2017, July 3). *Republican Views On Foreign Policy*. Retrieved from
Republicanviews.org: <https://www.republicanviews.org/republican-views-on-foreign-policy/>

REPUBLICANVIEWS.ORG. (2017, July 3). *Republican Views On Trade*. Retrieved from Republicansviews.org:
<https://www.republicanviews.org/republican-views-on-trade/>

Amadeo, K. (2018, July 10). *U.S Trade Deficit with China and Why it's so High*. Retrieved from
www.thebalance.com: <https://www.thebalance.com/u-s-china-trade-deficit-causes-effects-and-solutions-3306277>

Blackwell, J. (n.d.). *"The China Lobby": Influences on U.S-China Foreign Policy in the Post war Period, 1949-1954*. Retrieved from www.digitalcomons.calpoly.edu:
<http://digitalcommons.calpoly.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1026&context=forum>

China investment Monitor: Capturing Chinese Foreign Investment Data in Real time. (2017). Retrieved from
www.rhg.com: <https://rhg.com/impact/china-investment-monitor/>

Democratic Party. (n.d.). Retrieved from Ontheissues.org:
http://www.ontheissues.org/Democratic_Party.htm

Devoss, D. (2002, April). *Ping-Pong Diplomacy*. Retrieved from www.smithsonian.com:
<https://www.smithsonianmag.com/history/ping-pong-diplomacy-60307544/>

Foreign Trade Balance. (2018). Retrieved from www.census.gov: <https://www.census.gov/foreign-trade/balance/c5700.html#2016>

Giplin, R. (2001). *Global Political Economy: Understanding the International Economic Order*. Princenton:
Princenton University Press.

Gregg, G. L. (2014). *GEORGE W. BUSH: FOREIGN AFFAIRS*. Retrieved from Miller Center web site:
<https://millercenter.org/president/gwbush/foreign-affairs>

Guo, S. G. (2010). *Thirty years of Chin- U.S. relations: Analytical Approaches and Contemporary Issues*.
Lanham, Maryland: Lexigton Books.

- Hanzhao, C. T. (2012, August 20). *China-US Relations in China's Overall Diplomacy in the New Era*. Retrieved from Ministry of Foreign Affairs of The People's Republic of China:
http://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/wjb_663304/zzjg_663340/bmdyys_664814/xwlb_664816/t953682.shtml
- Hu Jintao Holds Talks with Obama and Raises Five Proposals to Develop China-US Relations*. (2011, January 20). Retrieved from Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China:
http://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/topics_665678/hjtzxdmgfw_665768/t788648.shtml
- Jentleson, B. W. (2014). *American Foreign Policy: The dynamics of Choices in 21st Century (fifth edition)*. New York: W.W Norton & Company, Inc.
- Jentleson, B. W. (2014). *American Foreign Policy: The dynamics of Choices in the 21st Century (fifth edition)*. New York: W.W Norton & Company, Inc.
- Joint Statement Following Discussions with Leaders of the People's Republic of China*. (1972, February 27). Retrieved from www.history.state.gov: <https://history.state.gov/historicaldocuments/frus1969-76v17/d203>
- Joshi, M. (2016, August 8). *The South China Sea Disputes: Territorial Claims, Geopolitics, and International Law*. Retrieved from Observer Research Foundation web site :
<https://www.orfonline.org/research/the-south-china-sea-disputes-territorial-claims-geopolitics-and-international-law/>
- Koen, R. Y. (1974). *The China Lobby in American Politics*. New York: Harper and Row Publishers.
- Lardy, N. R. (2001, April 15). *U.S.-China Economic Relations: Implications for U.S. Policy*. Retrieved from [brookings.com](http://www.brookings.com): <https://www.brookings.edu/testimonies/u-s-china-economic-relations-implications-for-u-s-policy/>
- Markey, D. (2018, May 10). *Major Difference of Opinions Between Democrats & Republicans*. Retrieved from classroom.synonym.com: <https://classroom.synonym.com/major-difference-opinions-between-democrats-republicans-7724.html>
- Monthly U.S International Trade in Goods and Services*. (2018). Retrieved from www.census.gov:
https://www.census.gov/foreign-trade/Press-Release/current_press_release/ft900.pdf
- Nadeau, P. (2012, September 16). *What is the Democrats' Foreign Policy?* Retrieved from diplomaticourier.com: <https://www.diplomaticourier.com/what-is-the-democrats-foreign-policy/>

- Nathan, A. J. (2009). *U.S-China Relations since 1949*. Retrieved from afe.easia.columbia.edu:
http://afe.easia.columbia.edu/special/china_1950_us_china.htm
- Nya, R. O. (1989). *Power and Interdependence, Second Edition*. Glenview: Scott Foresman and Company.
- Obama, B. (2016, March 31). Remarks by President Obama and President Xi of the People's Republic of China Before Bilateral Meeting. Washington, D.C, USA. Retrieved from
<https://obamawhitehouse.archives.gov/the-press-office/2016/03/31/remarks-president-obama-and-president-xi-peoples-republic-china>
- Ripsman, N. M. (2006). *False Dichotomies: Why Economics is High Politics*. Montreal, Canada. Retrieved from <https://www.files.ethz.ch/isn/22143/Ripsman.pdf>
- Sciolino, E. (2002, February 28). Records Dispute Kissinger on His '71 visit to China. New York. Retrieved from <https://www.nytimes.com/2002/02/28/world/records-dispute-kissinger-on-his-71-visit-to-china.html>
- Shikun, M. (2015, November 15). *why President Carter is popular in China*. Retrieved from www.chinausfocus.com: <https://www.chinausfocus.com/culture-history/why-president-carter-is-popular-in-china>
- Suokas, J. (2009, November 6). *The Birth of Red China*. Retrieved from www.gbtimes.com: <https://gbtimes.com/birth-red-china>
- Telegram from Senator Joseph Mccarthy to President Harry S. Truman*. (n.d.). Retrieved from www.archives.gov: <https://www.archives.gov/education/lessons/mccarthy-telegram>
- The Chinese Revolution of 1949*. (n.d.). Retrieved from www.history.state.gov:
<https://history.state.gov/milestones/1945-1952/chinese-rev>
- Total value of U.S. trade in goods (export and import) with China from 2006 to 2017 (in billion U.S. dollars)*. (2017). Retrieved from [statista.com](http://www.statista.com): <https://www.statista.com/statistics/277679/total-value-of-us-trade-in-goods-with-china-since-2006/>
- Trade in goods with China*. (2017). Retrieved from [census.gov](http://www.census.gov): <https://www.census.gov/foreign-trade/balance/c5700.html>
- Tse, E. (2018, June 11). *Ignore the rhetoric, Usa-China Trade Benefits both Countries, and Buisnesses have more to lose than gain from conflict*. Retrieved from www.scmp.com:
<https://www.scmp.com/comment/insight-opinion/united-states/article/2149941/ignore-rhetoric-us-china-trade-benefits-both>

U.S relations with China. (2018). Retrieved from cfr.org: <https://www.cfr.org/timeline/us-relations-china>

Understanding the US-China Trade Relationship. (2017, January). Retrieved from www.uschina.org:
<https://www.uschina.org/sites/default/files/Oxford%20Economics%20US%20Jobs%20and%20China%20Trade%20Report.pdf>

US and China sign Trade agreement. (2017, May 12). Retrieved from www.BBC.com:
<https://www.bbc.com/news/business-39894119>

USA China Relations - Usa China Bilateral Trade Statistics. (2017, September 28). Retrieved from www.exportgenius.in: <https://www.exportgenius.in/blog/usa-china-trade-relations-usa-china-bilateral-trade-statistics-111.php>

Volume of U.S. imports of trade goods from China from 1985 to 2017 (in billion U.S. dollars). (2017). Retrieved from www.statista.com: <https://www.statista.com/statistics/187675/volume-of-us-imports-of-trade-goods-from-china-since-1985/>


აკობია, ე. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობების თეორია*. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

ზურაბიშვილი, თ. (2006). *თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში*. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

რონდელი, ა. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობები*. თბილისი: გამომცემლობა "ნეკერი".


დანართი N1

განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის მშპ-ს მზარდი მაჩვენებელი.




დანართი N2

აშშ-სა და ჩინეთს შორის იმპორტისა და ექსპორტის მზარდი ეკონომიკური მაჩვენებელი 1985-2015 წლები.




დანართი N3

აშშ-ჩინეთის ექსპორტისა და იმპორტის სტატისტიკური მონაცემები 1985-2009 წლებში



დანართი N4



Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Neli Shvangiradze

USA-China Relations: Case of Complex interdependence, Based on The
Example of The Ruling Party

Diplomacy and International Politics

Submitted to obtain a Master Degree in Diplomacy and International Politics

The head of Thesis:

Doctor of International Relations,

Associate Professor – Tornike Turmanidze

Tbilisi

2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

ეკატერინე მახათაძე

ეკონომიკური რეგიონალიზმისა და ეკონომიკური
გლობალიზაციის ურთიერთმიმართება ASEAN-ის მაგალითზე

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო
პოლიტიკის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სოფიო პეტრიაშვილი
ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2018

ანოტაცია

ნაშრომში „ეკონომიკური რეგიონალიზმისა და ეკონომიკური გლობალიზაციის ურთიერთმიმართება ASEAN-ის მაგალითზე“ განხილულია ორ საერთაშორისო ტენდენციას - ეკონომიკურ რეგიონალიზმსა და ეკონომიკურ გლობალიზაციას შორის კავშირი.

კვლევა ეყრდნობა ენდრიუ ვიატ-ვოლტერის ნაშრომს „რეგიონალიზმი, გლობალიზაცია და მსოფლიოს ეკონომიკური წესრიგი“ (1995), რომელშიც მკვლევარი მიუთითებს ASEAN-ის სრულ მარცხზე ეკონომიკური რეგიონალიზმისა და რეგიონის ეკონომიკურ გლობალიზაციასთან დაკავშირების თვალსაზრისით. შესაბამისად, კვლევა მიზნად ისახავს “პრობლემური რეგიონის“ – ASEAN-ის რეგიონსიმიგნით ეკონომიკური ინტეგრაციის და რეგიონის გლობალურ ეკონომიკასთან დამაკავშირებელი ფაქტორების განხივლას და მათ შორის ურთიერთმიმართების დადგენას.

ნაშრომის მიზნად, ასევე, დასახულია, საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის პირობითად დაყოფილი მკვლევრების ორი ჯგუფისგან ერთ-ერთი ჯგუფის მოსაზრებისკენ არგუმენტირებული მიმხრობა. კვლევის საწყის ეტაპზე, ნაშრომის ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში მკვლევრები პირობითად ორ ჯგუფად არიან დაყოფილნი - 1) მკვლევრები, რომლებიც რეგიონალიზმსა და გლობალიზაციას ურთიერთდაკავშირებულ ტენდენციებად მოიაზრებენ, 2) მკვლევრები, რომლებიც რეგიონალიზმს გლობალიზაციის საწინააღმდეგო ფენომენად აღიქვამენ.

ნაშრომში ჰიპოთეზის გასამყარებლად წარმოდგენილია ASEAN-ის ეკონომიკური რეგიონის რეგიონსიმიგნით ეკონომიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული და რეგიონის ეკონომიკურ გლობალიზაციასთან დამაკავშირებელი დოკუმენტები, ფორმატები და სტატისტიკური მონაცემები. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია რეგიონალიზმისა და გლობალიზაციისთვის დამახასიათებელ საერთო ფაქტორებზე - შრომით მიგრაციასა და ერთიან წარმოებაზე. გარდა ამისა, ვაჭრობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ASEAN-ის

რეგიონული და გლობალური მაჩვენებლები შედარებულია ერთმანეთს, რათა დადგინდეს რეგიონის ეკონომიკური ინტეგრაციის ზრდის რეგიონის გლობალურ ეკონომიკასთან დაკავშირების პარალელურობა/თანხვედრა.

თეორიული თვალსაზრისით, ნაშრომი უკავშირდება საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის ორ მნიშვნელოვან თეორიულ შეხედულებას - რეგიონალიზმსა და გლობალიზაციას. ნაშრომში წარმოდგენილი მსჯელობა ხაზს უსვამს ორივე ტენდენციის მრავალფეროვნებას და აქცენტს აკეთებს მხოლოდ რეგიონალიზმისა და გლობალიზაციის ეკონომიკურ ხაზზე.

კვლევის საფუძველზე, ნაშრომის დასკვნის სახით წარმოდგენილია მოსაზრება, რომ ASEAN-ის მაგალითმა აჩვენა კავშირი რეგიონის ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებასა და იმავე ეკონომიკური რეგიონის ეკონომიკურ გლობალიზაციასთან დაკავშირებას შორის. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ASEAN-ის მაგალითი გამორიცხვას ორ ტენდენციას შორის დაპირისპირებას, რადგან სწორედ ამ ეკონომიკური რეგიონის საფუძველზე იკვეთება რეგიონალიზმისა და გლობალიზაციის შორის დადებითი ურთიერთკავშირი.

Anotation

The paper “Interconnection between Economic Regionalis and Economic Globalization based on ASEAN practice” aims to expline the conections between two international tendencies – economic regionalism and economic globalization.

The paper leans on Andrew Wyatt-Walter and his research “Regionalism, Globalisation and Global Ecobomic Order” (1995), in which the auther points at ASEAN’s failier in terms of deepening the economic region's integraion and this region's linking to global economy. Accordingly, the paper aims to analyze the factors that drive economic regionalism and economic globalizations within the region, and find out the connections between two international tendencies based on “Problematic Region” – ASEAN.

This paper also aims to support one of the conventionally devided researchers’ teams in an argued manner. At the beginning of the research, within the literature review dedicated part, the researches of globalization and regionalism are devided into two parts. 1) Researchers who consider regionalism and globlisation as interconnected tendencies; 2) Researchers who percept regionalism and globalization as interconflicting phenomenons.

In order to prove the hypothesis, there are major ASEAN resolutions, formats and statistic related to inter-regional integration and region's globalisation analyzed within the paper. In accordance with the paper purposes, the research pays attention to the common factors of regionalism and globalization; those are Labor Migration and Shared Manufacturring. Besides, there is comperision done between the regional and global indicators of ASEAN’s trade and foreign direct investments. This practice aims to determine the compabitility among the deepening regional integration and advancing the region’s connections with globalization tendencies.

In the theoretical view, the thesis is relate to two important theories amout Regionalism and Globalisation in the international relations discipline. Discussion presented in the paper

emphasizes the diversity of those international tendencies and concentrates only on economic dimension of regionalism and globalisation.

Based on the ongoing research, the paper concludes that the ASEAN example has shown a link between the deepening of economic integration within the region and the economic globalisation of the same region. Thus, we can say that the ASEAN example excludes the confrontation between the given two tendencies – regionalism and globalization, as the abovementioned economic region emphasizes the positive interaction between regionalism and globalization.

შინაარსი

1.	შესავალი	7
2.	ლიტერატურის მიმოხილვა	8
3.	საკვლევი კითხვა	11
4.	ნაშრომის მიზანი	12
5.	მეთოდოლოგია.....	13
6.	ტერმინთა განმარტება.....	15
7.	ASEAN-ი აზიის ეკონომიკურ კრიზისამდე.....	17
8.	აზიის ფინანსური კრიზისი - ASEAN-ის ეკონომიკური ინტეგრაციის და რეგიონის გლობალურ ტენდენციებთან დამაკავშირებელი მოვლენა.....	20
9.	ASEAN-ის ეკონომიკური ინტეგრაციისა და რეგიონის ეკონომიკის გლობალიზაციასთან დამაკავშირებელი ფორმატები და რეზოლუციები	23
9.1.	ASEAN+3 ფორმატი (APT)	23
9.2.	ASEAN-ის საზოგადოება	26
9.3.	ASEAN-ის ქარტია.....	27
10.	ASEAN-ის რეგიონული ინტეგრაციის გაღრმავებისა და რეგიონის ეკონომიკურ გლობალიზაციასთან დაკავშირების ხელშემწყობი ფაქტორები.....	29
10.1.	თავისუფალი ვაჭრობა (FTA).....	29
10.2.	ASEAN-ის რეგიონული წარმოება და წარმოების გლობალიზაცია (ავტო-ინდუსტრია, მყარი დისკის წარმოება)	32
10.3.	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ASEAN-ში და ASEAN-იდან.....	34
11.	შრომითი მიგრაცია, როგორც ეკონომიკური რეგიონალიზმისა და ეკონომიკურ გლობალიზაციას შორის ურთიერთმიმართების დადგენის ერთ-ერთი ინდიკატორი.....	36
12.	KOF გლობალიზაციის კოეფიციენტი.....	40
13.	ASEAN-ის მაგალითზე გამოკვეთილი ეკონომიკური რეგიონალიზმისა და ეკონომიკური გლობალიზაციის საერთო ნიშნები.....	42
14.	დასკვნა.....	45
	გამოყენებული ლიტერატურა	47

1. შესავალი

თანამედროვე კვლევით წრეებსა და საერთაშორისო საზოგადოებაში საერთაშორისო ტენდენციების - რეგიონალიზმისა და გლობალიზაციის შესახებ განსხვავებული მოსაზრება არსებობს. საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის მკვლევრები გლობალიზაციას, რეგიონალიზმს და ამ ორ ტენდენციას შორის კავშირს სხვადასხვაგვარად ხსნიან. მართლაც, ერთი შეხედვით, გლობალიზაცია - ჰომოგენური სამყარო გამოიყურება ფრაგმენტაციისგან, რომელსაც რეგიონალიზმი წარმოქმნის. თუმცა, მეორე მხრივ, შესაძლოა რეგიონალიზმი გლობალიზაციის პროდუქტადც მივიჩნიოთ.

საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის მკვლევართა შორის რეგიონალიზმისა და გლობალიზაციის გარშემო არსებულმა დისკუსიამ გამოიწვია ინტერესი, კვლევის შედეგად განსაზღვრულიყო ურთიერთმიმართება გლობალიზაციასა და რეგიონალიზმს შორის. გლობალიზაცია და რეგიონალიზმი ორივე ფართო და ვრცელი ტენდენციაა, რომლებიც საერთაშორისო სისტემაში სხვადასხვა ასპექტით გვხვდება. გლობალიზაცია, რომელიც მსოფლიო საზოგადოებას მრავალ სფეროში აერთიანებს და საერთო ღირებულებებსა და ნორმებს აწესებს, თავის მხრივ, რამდენიმე ფორმად, მათ შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ, ეკოლოგიურ გლობალიზაციად იყოფა. (ზ. დავითაშვილი, 2003). რეგიონალიზმი კი, რომელიც ძირითადად ტერიტორიულ და ინსტიტუციონალიზებული რეგიონალიზმის სახით გვევლინება, ასევე დაკავშირებულია სოციალურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სფეროში სახელმწიფოების ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბებასთან და მათ შორის ინტეგრაციის გაღრმავების ზრდასთან. რეგიონალიზმი ჯოჯოხ ნაის მიხედვით, წარმოადგენს რეგიონის საფუძველზე საერთო ინტერესების მქონე სახელმწიფოებს შორის დაჯგუფებასა და ასოციაციების ფორმირებას.

კვლევა სწორედ ორ ტენდენციას შორის საერთაშორისო კვლევით წრეებში არსებული ლიტერატურის მიმოხილვით დაიწყო. გლობალიზაციისა და რეგიონალიზმის

ურთიერთმიმართების დადგენის პროცესში, კვლევის დროს დიდი როლი ჰქონდა ენდრიუ ვიატ-ვოლტერის ნაშრომს, რომელიც აზია-წყნარი ოკეანის გეოგრაფიულ არეალის სრულ მარცხზე საუბრობს ეკონომიკური რეგიონალიზმისა და რეგიონის გლობალიზაციასთან დაკავშირების თვალსაზრისით. ე. ვიატ-ვოლტერის ნაშრომი 1995 წლით თარიღდება, კვლევის მიზნად კი დაისახა 1995 წლის შემდეგ აზია-წყნარი ოკეანის გეოგრაფიული არეალის ეკონომიკური რეგიონის - სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის (ASEAN) რეგიონილი ინტეგრაციის გაღრმავების შედეგებსა და ეკონომიკური რეგიონის გლობალურ ეკონომიკასთან დაკავშირებას შორის კავშირის დადგენა.

ნაშრომში, ერთი მხრივ, წარმოდგენილი და შედარებულია ეკონომიკური რეგიონალიზმისა და ეკონომიკური გლობალიზაციის ასპექტები, მეორე მხრივ, ორ მსოფლიო ტენდენციას შორის შესაძლო კავშირის დასადგენად გამოყენებულია ASEAN-ში განვითარებული რეზოლუციები, ფორმატები და სტატისტიკური მონაცემები.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

რეგიონალიზმისა და გლობალიზაციის ურთიერთმიმართების შესახებ მრავალი, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება არსებობს საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის ფარგლებში არსებულ აკადემიურ ლიტერატურაში.

მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ რეგიონალიზმი გლობალიზაციასთან არ არის თავსებადი, რადგან ის შესაძლოა ფრაგმენტაციის გამოხატულებად მივიჩნიოთ. სხვები კი ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზე, რომ „ახალი რეგიონალიზმი“ ცივი ომის შემდგომი პერიოდის პროდუქტი და გლობალიზაციის ეპოქის შემოქმედებაა, შესაბამისად ამ ორ მოვლენას ერთი მონეტის ორ მხარედ აღიქვამენ.

საკმაოდ აქტუალური საკითხია, თუ როგორ აისახება რეგიონალიზმის ტენდენცია გლობალიზაციაზე და რა პერსპექტივებია მოსალოდნელი ამ კუთხით, რასთან

დაკავშირებითაც ხშირად სრულიად ურთიერთდაპირისპირებული მოსაზრებები არსებობს.

მკვლევართა შორის, რომლებიც ფიქრობენ რომ გლობალიზაცია და რეგიონალიზმი ურთიერთდაპირისპირებული ტენდენციები არიან, მოიაზრება - Nierop, W. Wohlforth, B. Buzan, B. Hettne.

Nierop--ის მოსაზრებით, რეგიონალიზმი შესაძლო საფრთხეს წარმოადგენს გლობალიზაციისათვის, რადგან რეგიონულმა ტენდენციებმა შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო სისტემის დანაწევრება და არა მისი უნიფიცირება, რეგიონალიზმის განვითარებამ შესაძლოა მიგვიყვანოს ორიდან ერთ-ერთ მიმართულებამდე: სემენტიაციამდე ან დიფერენციაციამდე (Nierop, 1994).

Wohlforth-ის აზრით, გლობალური უნიპოლარულობის ჩანაცვლება მრავალპოლარულობით მას შემდეგ მოხდა, რაც წარმოიშვა „რეგიონული უნიფიკაცია და ძლიერი რეგიონული ერთპოლუსიანი სისტემები“(Wohlforth, 1999,p.30). ბუზანის თანახმად, მსოფლიო სისტემის ტრანზიციის შედეგად წარმოიშვა რამდენიმე ძლიერი სახელმწიფო, რაც გულისხმობს უფრო მეტად რეგიონალიზებულ საერთაშორისო წესრიგს, რადგან ზესახელმწიფოების გაქრობამ ავტომატურად გამოიწვია რეგიონული ძლიერი სახელმწიფოების გავლენის ზრდა საკუთარ რეგიონებზე და მსოფლიო დაიყო ე.წ. „გავლენის სფეროებად“(Buzan, 2011, 16-17).

Hettne მიიჩნევს, რომ ორივე მათგანი - რეგიონალიზმი და გლობალიზაცია არის უფრო ფართო მოვლენის - გლობალური სტრუქტურის ცვლილების შედეგი. თანამედროვე მსოფლიო- უსაზღვრობო მსოფლიოა, სადაც თანდათანობით მნიშვნელობას კარგავს სახელმწიფოების საზღვრები, იცვლება შრომის დანაწილება, ფინანსური ტრანზაქციებისა და ვაჭრობის ხასიათი. რეგიონალიზმის, ისევე როგორც გლობალიზაციის შემთხვევაში, სწორედ აღნიშნული ტენდენციები არის ორივე მათგანის მთავარი მამოძრავებელი ძალა, თუმცა, რეგიონალიზმი და განსაკუთრებით ახალი

თაობის რეგიონალიზმი შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო პოლიტიკის სცენაზე აბრუნებს ტერიტორიის ცნებას, რამდენადაც რეგიონის განსაზღვრაში უპირველეს ფაქტორს სწორედ კონკრეტული გეოგრაფიული სივრცე წარმოადგენს (Hettne, 1996).

ზემოთ ჩამოთვლილ მკვლევართა მოსაზრების საპირისპიროდ, Baylis, Smith and Owens (2005) მიიჩნევენ, რომ გლობალიზაცია და რეგიონალიზმი საერთო დენტენციებია, რამდენადაც ორივეს ახასიათებს სახელმწიფოს როლისა და მისი სუვერენიტეტის შესუსტება, ეკონომიკური ინტეგრაციის თვალსაზრისით კი საერთო ბაზრის, საბაჟო და მონეტარული კავშირების ჩამოყალიბება.

Gunter Brauch et al (2003) აღნიშნავს, რომ „გლობალიზაცია და რეგიონალიზმი ზრდის ინტეგრაციის ხარისხს პოლიტიკურ, უსაფრთხოების, კულტურისა და ეკონომიკის სფეროში. Telo-ს (2007) განმარტებით რეგიონალიზმი და გლობალიზაცია ერთი და იმავე ისტორიული პროცესის ორი სხვადასხვა კომპონენტია, სადაც ორივე ემსახურება ურთიერთდამოკიდებულების და თავისუფალი ვაჭრობის ზრდას.

ენდი ჰარელი აღნიშნავს, რომ „გლობალიზაცია მრავალი უნივერსალური პროცესის ერთობლივი მოქმედებაა, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნებსა და საზოგადოებებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდას“, „გარდა ამისა, ჰარელი განმარტავს, რომ „რეგიონალიზმი გლობალიზაციის ურღვევი ნაწილია და არა საზიანო ფენომენი“ (Hurrell, 1995)

კველვის პროცესისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა Andrew Wyatt-Walter-ის სტატია (1995) „რეგიონალიზმი, გლობალიზაცია და მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი“. ავტორი აღნიშავს, რომ „რეგიონალიზმისა და გლობალიზაციის ტენდენცია უფრო სიმბიოზურია, ვიდრე საწინააღმდეგო“, ავტორის განმარტებით, „რეგიონალიზმი და გლობალიზაცია ხელს უწყობს სახელმწიფოცენტრული ეკონომიკის ჩანაცვლებას“.

3. საკვლევი კითხვა

ნაშრომის საკვლევი კითხვაა - რა ურთიერთკავშირია ASEAN-ის ეკონომიკური რეგიონალიზმის გაღრმავებასა და ეკონომიკურ გლობალიზაციასთან რეგიონის დაკავშირებას შორის.

ნაშრომის ძირითადი საკვლევი კითხვა მოითხოვს მიმოიხილოს თუ რა ფაქტორებმა განაპირობა, ერთი მხრივ, ASEAN-ის წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება, მეორე მხრივ - რა ფაქტორებმა განაპირობა ASEAN-ის დაკავშირება მსოფლიო ეკონომიკასთან. აღნიშნულის საფუძველზე, ნაშრომის მიზანია საბოლოოდ შეაფასოს მსგავსია თუ არა ASEAN-ის რეგიონსშიგნით ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებისა და ASEAN-ის მსოფლიო ეკონომიკასთან დაკავშირების ფაქტორები.

ნაშრომის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს შეამოწმოს მოსაზრება, რომ რეგიონალიზმი არა გლობალიზაციის საწინააღმდეგო, არამედ მისი თანმხლები პროცესია. აღნიშნულის მოკვლევით, შემოწმებითა და დადასტურებით, დასკვნის საფუძველზე შესაძლებელია გაბათილდეს რეგიონალიზმისა და გლობალიზაციის ურთიერთსაპირისპირო ფენომენებად აღქმის მხარადაჭერი მკვლევრების მოსაზრება.

ნაშრომის ჰიპოთეზაა - ASEAN-ის რეგიონული ინტეგრაციის გაღრმავება ზრდის რეგიონის ეკონომიკურ გლობალიზაციასთან დაკავშირების ხარისხს.

დამოუკიდებელი ცვლადია - ASEAN-ის რეგიონული ეკონომიკის ინტეგრაციის ზრდა.

დამოკიდებული ცვლადი - ASEAN-ის ეკონომიკური რეგიონის დაკავშირება ეკონომიკურ გლობალიზაციასთან.

საკვლევ პერიოდად ნაშრომში მოცემულია 2000-2015 წლებს შორის პერიოდი, საკვლევი პერიოდის ათვლის წერტილად ნაშრომში წარმოდგენილია აზიის ფინანსური კრიზისი (1997-1999).

4. ნაშრომის მიზანი

კვლევა საწყის ეტაპზე მიზნად ისახავს მიმოიხილოს გლობალიზაციისა და რეგიონალიზმის ურთიერთმიმართების შესახებ საერთაშორისო კვლევით წრეებში არსებული სამეცნიერო ნაშრომები და საერთაშორისო ურთიერთობის დისციპლინაში არსებული დისკუსიის საფუძველზე, კონკრეტული შემთხვევით/ქეისით (ASEAN-ის მაგალითზე) განსაზღვროს ვარაუდი მკვლევართა მოსაზრებების მართებულობის შესახებ.

კვლევის ძირითადი მიზანია, ASEAN-ის ეკონომიკური რეგიონის მაგალითზე განსაზღვროს თუ რა ურთიერთკავშირია ეკონომიკურ რეგიონალიზმსა და ეკონომიკურ გლობალიზაციას შორის. (ეკონომიკური რეგიონი შერჩეულია ენდრიუ ვიატ-ვოლტერის შეხედულების - ASEAN-ის როგორც კრიზისული, სუსტი რეგიონის წარმოჩენის - საფუძველზე, რათა ორ ტენდენციას, ეკონომიკურ რეგიონალიზმსა და ეკონომიკურ გლობალიზაციას შორის ურთიერთმიმართება განსაზღვრულიყო „პრობლემური“ რეგიონის მაგალითზე.) კვლევა მიზნად ისახავს, რომ კვლევის დასკვნის საფუძველზე გაზომოს მკვლევართა პირობითად დაყოფილი ორი ჯგუფის საკითხის მიმართ მართებულობა - ნაშრომის ლიტერატურის მიმოიხილვის ნაწილში მკვლევრები პირობითად დაყოფილია ორ ჯგუფად - 1) მკვლევრები, რომლებიც მხარს უჭერენ ურთიერთკავშირს გლობალიზაციასა და რეგიონალიზმს შორის, 2) მკვლევრები რომლებიც რეგიონალიზმს გლობალიზაციის საწინააღმდეგო ტენდენციად აღიქვამენ.

კვლევის მიზანია განიხილოს ASEAN-ის რეგიონშიგნით ეკონომიკური ინტეგრაციისა და რეგიონის ეკონომიკურ გლობალიზაციასთან დამაკავშირებელი ფაქტორები, რის საფუძველზეც მოახდინოს ორ ტენდენციას შორის ურთიერთმიმართების დადგენა. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ეკონომიკური რეგიონალიზმისა და ეკონომიკური გლობალიზაციის ურთიერთმიმართების დადგენა ნაშრომის ფარგლებში ხდება ASEAN-ის დადგენილებების, სტატისტიკური მონაცემებისა, ისევე, როგორც, ASEAN-ის რეგიონული და გლობალური შრომითი მიგრაციისა და წარმოების მაჩვენებლების

საფუძველზე.

ნაშრომის სამომავლო მიზანია, საკითხის გარშემო გაგრძელდეს კვლევა და შემდეგ ეტაპზე მოხდეს მიმდინარე კვლევის შედეგების სხვა ეკონომიკურ რეგიონის მოცემულობასთან შედარება, რის საფუძველზეც, შემდეგი კვლევის საფუძველზე მოხდება ჰიპოთეზის გამყარება ან შესუსტება.

5. მეთოდოლოგია

ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი. ნაშრომი, ერთი მხრივ, წარმოადგენს ამხსნელი ქეისის შესწავლას (explanatory case study), რომელიც ცდილობს პასუხი გასცეს კითხვაზე: რა ფაქტორები განაპირობებს ASEAN-ის ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებას და რეგიონის ეკონომიკურ გლობალიზაციასთან დაკავშირებას. თუმცა, მეორე მხრივ, ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმ ურთიერთკავშირისა, მიზეზ-შედეგობრივი მიმართების დადგენა, რომელიც ეკონომიკურ რეგიონალიზმსა და ეკონომიკურ გლობალიზაციას ახასიათებს.

კვლევა ეფუძნება მონაცემთა ანალიზს. მონაცემთა ანალიზი გამოყენებულია ASEAN-ის რეგიონული ინტეგრაციის და ეკონომიკური რეგიონის გლობალურ ეკონომიკასთან დაკავშირების ხარისხის დასადგენად.

კვლევაში განხილულია კვლევითი ორგანიზაციების მიერ მოპოვებული სტატისტიკური მონაცემები. ჰიპოთეზის მართებულობის დასადგენად, ნაშრომში შედარებულია რეგიონალიზმისა და გლობალიზაციის რამდენიმე კრიტერიუმის კოეფიციენტი. ნაშრომში წარმოდგენილია ASEAN-ის დადგენილებებით მიღებული გადაწყვეტილებები რეგიონული ინტეგრაციისა და გლობალურ მსოფლიოსთან დაკავშირების შესახებ, რითაც კვლევის გარკვეული ეტაპი ეფუძნება კონტენტ-ანალიზს.

ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდოლოგიის გარდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კვლევის

მეთოდი სფეციფიკურია კვლევის მიზნებიდან გამომდინარე. საწყის ეტაპზე, მოხდა კვლევის ათვლის წერტილის განსაზღვრა, რა პროცესშიც შეირჩა აზიის ფინანსური კრიზისი. კვლევისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ენდრიუ ვიატ-ვოლტერის მიერ ეკონომიკური რეგიონალიზმისა და ეკონომიკური გლობალიზაციის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით მსოფლიოს სამ ნაწილად დაყოფა. (ავტორი აღნიშნავს, რომ დასავლეთ ნახევარსფეროს და ევროპის გეოგრაფიულმა არეალმა წარმატებით გაართვეს თავი ეკონომიკური რეგიონალიზაციის პროცესს. დასავლეთ ნახევარსფეროში აღნიშნულს ხელი შეუწყო აშშ-ის დამოკიდებულების ცვლილებამ რეგიონალიზმის მიმართ (დიდი წვლილი აქვს GATT-ის გავლენას). აშშ-ის დამოკიდებულების ცვლილება ეკონომიკური კოოპერაციისკენ გამოიკვეთა მექსიკის კრიზისის (სესხების კრიზისის) დროსაც. რაც შეეხება ევროპას, ავტორის აზრით, ეს გეოგრაფიული არეალი წარმოადგენს ეკონომიკური რეგიონალიზმის საუკეთესო მაგალითს 1950-1960 წლებში.) ავტორის აზრით, აზია-წყნარი ოკეანის გეოგრაფიული არეალი ეკონომიკური რეგიონალიზმის თვალსაზრისით, ისევე, როგორც გეოგრაფიული რეგიონის გლობალურ ეკონომიკასთან დაკავშირების თვალსაზრისით, სრულ მარცხს განიცდის.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საინტერესო აღმოჩნდა ორი ტენდენციის, ეკონომიკური გლობალიზაციისა და ეკონომიკური რეგიონალიზმის ურთიერთმიმართების „კრიზისულ ეკონომიკურ რეგიონზე“ გამოცდა და განსაზღვრა. „ეკონომიკურმა რეგიონმა ვერ გაამართლა“ (ვიატ-ვოლტერი) – თუმცა, კვლევისთვის საინტერესო აღმოჩნდა, როგორ განვითარდა მოვლენები „კრიზისულ რეგიონში“ და განვითარებული მოვლენების პარალელურად, რეგიონში ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებას თუ ჰქონდა რაიმე კავშირი ASEAN-ის გლობალური ეკონომიკის ტენდენციებთან დაკავშირებასთან. ავტორის ნაშრომი 1995 წლით თარიღდება. სწორედ ამიტომ, კვლევის მიზნად დასახულია ASEAN-ის ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავების პროცესისა და ეკონომიკური რეგიონის გლობალურ ეკონომიკასთან დაკავშირების შეფასება 1995 წლის შემდეგ.

ჰიპოთეზის გასამყარებლად ნაშრომში, ასევე, განხილულია რეგიონალიზმისა და გლობალიზაციისთვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები - შრომის მიგრაცია და

ერთიანი წარმოება. აღნიშნულის საფუძველზე, ერთი მხრივ, განისაზღვრება რეგიონსშიგნით შრომითი მიგრაციის მაჩვენებელი, რომელიც შედარებულია ASEAN-ის რეგიონიდან მსოფლიოში შრომითი მიგრაციის მაჩვენებელთან (ხალხის თავისუფალი მიმოსვლა, შრომითი მიგრაცია დამახასიათებელია როგორც ეკონომიკური რეგიონისთვის, ასევე გლობალიზაციისთვის) თუ რეგიონსშიგნით და მსოფიოს მასშტაბით შრომითი მიგრაციის ინდექსი პარალელურად იზრდება, შესაძლებლობა გვაქვს, ვთქვათ, რომ ურთიერთმიმართება ორ ტენდენციას შორის აღნიშნული ასპექტით დადებითია. მეორე მხრივ, ნაშრომში განხილულია ASEAN-ის რეგიონული და გლობალური წარმოება, (წარმოების დანაწილება დამახასიათებელია როგორც რეგიონალიზმისთვის, ასევე გლობალიზაციისთვის, წარმოების რეგიონალიზაციასა და გლობალიზაციას ხელს უწყობს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, ერთიანი ბაზარი და სხვ.) რის საფუძველზეც, ასევე, განისაზღვრება ASEAN-ის რეგიონალიზმის გაღრმავებისა და გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის ურთიერთკავშირი.

6. ტერმინთა განმარტება

რეგიონი - რეგიონის განმარტება საერთაშორისო ურთიერთობის ბევრი მკვლევრისათვის, შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილ გამოწვევად იქცა. ერთი მხრივ ეს გეოგრაფიული ტერმინია, რომელიც სახელმწიფოთა ჯგუფის სივრცით ურთიერთმიმართებას გამოხატავს. მეორე მხრივ კი, მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ რეგიონი გულისხმობს გარკვეული დონის სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ ჰომოგენურობას. რეგიონის კონცეფციაზე საუბრისას მიზანშეწონილია ბარი ბუზანისა და ოლე ვეივერის მოსაზრების მოხსენიება. მათ მიაჩნიათ, რომ რეგიონის ჩამოყალიბებაში იდეებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და რეგიონი „სოციალურად არის კონსტრუირებული“ (Buzan & Waever, 2003, p.48). ასევე, გასათვალისწინებელია კაზენსტეინის მოსაზრება, რომელიც ბევრი მკვლევარის მსგავსად, ხაზს უსვამს რეგიონის განსაზღვრებაში პოლიტიკური სფეროს მნიშვნელობას. მისი აზრით რეგიონს პოლიტიკური პრაქტიკის განსაკუთრებული ინსტიტუციონალიზებული ფორმა ახასიათებს (Katzenstein 2005, 12). თითქმის ყველა

ავტორი ყურადღებას ამახვილებს რეგიონის ერთიანობის აღქმის მნიშვნელობაზე როგორც მის შიგნით ასევე გარე აქტორების მიერ. მეორე აუცილებელი მახასიათებელი კი რეგიონის სახელმწიფოებს შორის ურთიერთდამოკიდებულების და ინტენსიური კავშირების არსებობაა. (Nye, 1968, 14) ნაშრომში რეგიონად წარმოდგენილია ეკონომიკურ მიზნებზე დაფუძნებული სახელმწიფოთა ერთობლიობა.

რეგიონალიზმი - ნაშრომში რეგიონალიზმის განსაზღვრების კრიტერიუმად აღებულია თანამედროვე რეგიონალიზმი („ახალი რეგიონალიზმი“), რაც ინსტიტუციონალიზებული რეგიონალიზმთან გაიგივებული ტენდენციაა. ახალი რეგიონალიზმი ვითარდება რეგიონს შიგნით, თავად რეგიონის სუბიექტებს შორის არსებული ინიციატივების საფუძველზე. Bjorn Hettne (1999) თავის წიგნში „გლობალიზაცია და ახალი რეგიონალიზმი: მეორე დიდი ტრანსფორმაცია“, რეგიონალიზმს მრავალმხრივი ინტიტუციური ფორმით ჩართულ პროცესად განსაზღვრავს, სადაც მოქმედებენ, როგორც სახელმწიფოები, ასევე საბაზრო ეკონომიკა და სამოქალაქო საზოგადოება. ახალი რეგიონალიზმისთვის დამახასიათებელია მრავალმხრივი მიზნები, როგორცაა ეკონომიკის, პოლიტიკის, უსაფრთხოებისა და კულტურის დარგში სხვადასხვა ამოცანის დასახვა და მიზნის ერთობლივი ძალებით მიღწევა.

ეკონომიკური რეგიონალიზმი - ინსტიტუციონალიზებული მოწყობა, რომელიც ხელს უწყობს რეგიონს შიგნით საქონლისა და მომსახურების თავისუფალ მიმოსვლას და კოორდინაციას უწყევს იმავე გეოგრაფიულ არეალში ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას. ეკონომიკური რეგიონალიზმი მოიცავს თავისუფალ სავაჭრო სივრცეს, ერთან ბაზარს, საერთო წარმოებას, საბაჟო კავშირებს, საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ხალხის თავისუფალ მიმოსვლას.

გლობალიზაცია - პროცესი, როდესაც ქვეყნები არიან ერთმანეთზე მჭიდროდ ურთიერთდამოკიდებულნი, რომელიც ხდება საქონლის (ვაჭრობა), პირადპირი უცხოური ინვესტიციების, ფულის (ფინანსები) და ხალხის (მიგრაცია) მზარდი მიმოსვლით. გლობალიზაცია არ არის ახალი ტენდენცია, თუმცა ბოლო ათწლეულების

განმავლობაში შეიცვალა გლობალიზაციის სიჩქარე, სიღრმე და მასშტაბი. დღეს გლობალური ეკონომიკის ტენდენციებზე დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო ინსტიტუტები, როგორცაა, მაგალითად საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი (IFI) და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO). გლობალიზაციით გამოიხატება პროცესი, რომლითაც სხვადასხვა ეკონომიკები და საზოგადოებები ხდებიან მჭიდროდ ერთმანეთთან ინტეგრირებულნი (Nilson, 2010).

ეკონომიკური გლობალიზაცია - ტერმინით მოიაზრება მსოფლიო აქტორების (სახელმწიფოების, საზოგადოების) ინტეგრაციის მზარდი პროცესი. ნაშრომში გლობალიზაცი წარმოდგენილია ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესად, რომელიც ხელს უწყობს გლობალური ეკონომიკის ჩამოყალიბებას და საერთო ეკონომიკური პოლიტიკის ფორმულირებას. Todaro და Smith (2006) განმარტავენ, რომ გლობალიზაციის ეკონომიკური დეფინიციას, როგორც სახელმწიფოების მზარდი ღიაობა საერთაშორისო ვაჭრობის, ფულადი რესურსების საერთაშორისო გადინებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ. Dreher (2006) გლობალიზაციის ეკონომიკურ ასპექტად განიხილავს საქონლისა და მომსახურების ბაზრის, ფინანსური სისტემებისა და მრეწველობის მზარდ ინტერნაციონალიზაციას.

7. ASEAN-ი აზიის ეკონომიკურ კრიზისამდე

კვლევის დაწყებამდე მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ ASEAN-ის ეკონომიკური რეგონის ისტორიული წარსული და ის შესაძლო გარემოება, რომელიც ენდრიუ ვიატ-ვოლტერს შესაძლებლობას აძლევს ASEAN-ის მარცხზე ისაუბროს.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია (ASEAN) აზია-წყნარი ოკეანის გეოგრაფიული არეალის პირველი ინსტიტუციონალიზებული რეგიონია, რომელიც 1967 წლის 8 აგვისტოს ბანკოგში შეიქმნა. ASEAN-ის შექმნის იდეა ჩისახა, როდესაც თავდაპირველად ხუთმა სახელმწიფომ - ინდონეზიამ, მალაიზიამ, ფილიპინებმა, სინგაპურმა და ტაილანდმა თანხმობა განაცხადეს ერთიანი რეგიონის შექმნაზე.

მოგვიანებით ასოციაციას შეუერთდნენ ბრუნეი (1994), ვიეტნამი (1995), ლაოსი (1997), მიანმარი (1997) და კამბოჯა (1993).

ASEAN-ის წევრი სახელმწიფოების დეკლარაციით გაცხადებულ მიზანს წარმოადგენდა 1) ეკონომიკური ზრდა, სოციალური პროგრესი და კულტურული განვითარება რეგიონში და 2) ეკონომიკურ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობა. ასევე, ASEAN-ის შექმნის ერთ-ერთ არაოფიციალურ, მაგრამ ძირითად მიზნად სახელდება წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის საფუძველზე გეოპოლიტიკური დამაბულობის შემსუბუქება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. (ბანკოგის დეკლარაცია, 1967)

აღსანიშნავია, რომ ASEAN-ი წინ უსწრებდა ეკონომიკური ინტეგრაციის შესახებ ბევრ მსოფლიო ინიციატივას, მათ შორის, 1992 წელს შეიქმნა ASEAN-ის თავისუფალი ვაჭრობის ზონა, რომელიც მიზნად ისახავდა ვაჭრობისა და ინვესტიციებისთვის ბარიერების მოხსნას, საბოლოოდ კი - შიდა რეგიონული ბაზრის ინტეგრაციას, მეტი უცხოური ინვესტიციის მოზიდვას და მეტი ექსპორტის გენერირებას.

ASEAN-ის თავისუფალი სავაჭრო სივრცის (ASEAN FREE TRADE AREA (AFTA)) შესახებ შეთანხმება მიზნად ისახავდა ASEAN-ის წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას მრეწველობის, მინერალებისა და ენერგორესურსების დარგში, ისევე, როგორც საერთო პოლიტიკის დანერგვას ფინანსებსა და საბანკო, ტრანსპორტირებისა და კომუნიკაციების სფეროში. თუმცა, მნიშვნელოვანი სიახლე, რაც თან ახლდა AFTA-ს იყო ASEAN-ის წევრ სახელმწიფოებს შორის ტარიფების შემცირება, რომლის რეგულირება უნდა მომხდარიყო CEPT-ის - საერთო ეფექტური შეღავათიანი ტარიფის ჩარჩოში. CEPT-ი ძირითადად მიზნად ისახავდა კვოტების შემცირებას და სამომავლოდ მათ სრულ გაუქმებას.

შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ეს იყო პირველი ნაბიჯი ASEAN-ის მიერ, როდესაც მან ფეხი აუწყო გლობალურ ტენდენციას. სწორედ 1991 წელს ტარიფებისა და ვაჭრობის

გენერალური შეთანხმების ეგიდით ჩატარებულ ურუგვაის რაუნდზე მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკები შეთანხმდნენ ვაჭრობის ახალ სფეროებში, როგორცაა სოფლის მეურნეობა, ტექსტილის მრეწველობა ლიბერალიზაციზე და ვაჭრობის გაღრმავებაზე ახალ დარგებში - მომსახურება, ინტელექტუალური საკუთრება და საინვესტიციო პოლიტიკა. სწორედ ამ პერიოდში მოხდა ევროპული საერთო ბაზრის გამოჩენა, აშშ-კანადს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება და NAFTA (1994)¹, რომლის პარალელურად აზია-წყნარი ოკეანის გეოგრაფიულ არეალში ნამდვილად ხდებოდა ინსტიტუციონალიზებული რეგიონის - ASEAN-ის მიერ გლობალური ტენდენციების გათავისება.

ASEAN-ში მიღებული ინიციატივების მიუხედავად, ეკონომიკურ რეგიონში რეგიონული ინტეგრაცია და თანამშრომლობა არ იყო მაღალ დონეზე განვითარებული, რაც ერთი მხრივ აიხსნება ქვეყნებს შორის ეკონომიკურ განვითარებას შორის დიდი სხვაობით, პოლიტიკური ნების ნაკლებობით და ეკონომიკური თანამშრომლობის და პოლიტიკური ინტეგრაციის სფეროში ისტორიული წარსულის არქონით. გასათვალისწინებელი ფაქტია, რომ ASEAN-ის შექმნის შემდეგ რეგიონი მოცული იყო პოლიტიკური ქაოსითა და ქვეყნებს შორის არასტაბილური ურთიერთობებით, რაც თავისთავად გავლენას ახდენდა ეკონომიკური რეგიონის ინტეგრაციის დონის განსაზღვრაზე.

ენდრიუ ვიატ ვოლტერის მითითება ASEAN-ის ეკონომიკური რეგიონის სრული მარცხის შესახებ კი შეგვიძლია, რამდენიმე ფაქტორით ავხსნათ. სწორედ იმ დროს, როდესაც ASEAN-ი ჩამოყალიბებისა და მიზნების დასახვის პროცესში იყო, საერთაშორისო სისტემაში ცივი ომი მიმდინარეობდა და ინტერესებიც ბიპოლარული მსოფლიოს შესაბამისად იყო გადანაწილებული. მნიშვნელოვანია აშშ-ის ჰეგემონური მიზნები აზია-წყნარი ოკეანის გეოგრაფიულ არეალში, მათ შორის ASEAN-ის ეკონომიკურ რეგიონში. ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებისთვის

¹ ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, რომელმაც ხელი შეუწყო სავაჭრო ტარიფების უმეტესობის (სოფლის მეურნეობის, ტექსტილის, ავტომობილების დარგში) გაუქმებას მექსიკის, კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატებს შორის. ძალაში შევიდა 1994 წლის 1-ლ იანვარს.

მიუღებელი იყო აზიაში ძლიერი ეკონომიკური სუბიექტის არსებობა.

საერთაშორისო სისტემის, გარეგანი მიზეზების გარდა, შეგვიძლია ვისაუბროთ ASEAN-ში არსებულ სისუსტეებზეც, მათ შორის, შეიძლება ითქვას, რომ ASEAN-ის ეკონომიკა მოკლებული იყო ლიბერალიზაციის ნიშნებს, რეგიონი ხასიათდებოდა ჩაკეტილი ეკონომიკით. ASEAN-ის მარცხის კიდევ ერთი მიზეზი ეკონომიკური რეგიონის სავაჭრო პოლიტიკის გაუმართაობაა. მაღალი სატარიფო ბარიერები და შეზღუდული ვაჭრობა ხელს უშლიდა როგორც რეგიონის წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის ზრდას და ერთიანი ბაზრის შექმნას, ასევე რეგიონული ინტეგრაციის ზრდას.

ცივი ომის პერიოდის დასრულების შემდეგ, ASEAN-ის ეკონომიკური რეგიონი, ისევე როგორც დანარჩენი მსოფლიო ტრანზიციის პერიოდში აღმოჩნდა. ახალი გამოწვევები, რომელიც პირველ რიგში ASEAN-ისთვის აზიის ფინანსური კრიზისით გამოიხატა, აღნიშნული ეკონომიკური რეგიონისთვისაც არ იყო უცხო. გამოწვევების პარალელურად, ASEAN-ის რიგი დეკლარაციები და დადგენილებები მოწმობს რომ რეგიონი ფორმალურად თუ რეალურად, ნადვილად ცდილობდა გლობალური ტენდენციების გათავისებას. აღნიშნულისთვის კი მას პირველ რიგში საერთაშორისო სისტემაში შემდგარ ეკონომიკურ რეგიონად დამკვიდრება სჭირდებოდა.

8. აზიის ფინანსური კრიზისი - ASEAN-ის ეკონომიკური ინტეგრაციის და რეგიონის გლობალურ ტენდენციებთან დამაკავშირებელი მოვლენა

აზიის ფინანსურ კრიზისამდე (1997-1998) ASEAN-ში რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობა არ იყო მაღალ დონეზე განვითარებული, რაზეც ენდრიუ ვიატ-ვოლტერი 1995 წელს დაწერილ ნაშრომშიც უსვამს ხაზს. წევრ სახელმწიფოებს შორის ინტეგრაციის დაბალი მაჩვენებელი ერთი მხრივ, შესაძლოა ავსხნათ პოლიტიკური ნების ნაკლებობით, მეორე მხრივ, ეკონომიკური თანამშრომლობის და პოლიტიკური ინტეგრაციის სფეროში ისტორიული წარსულის არქონით. შეიძლება ითქვას, რომ აზიის

ფინანსური კრიზისი იყო გარდამტეხი წერტილი, რომელმაც ბიძგი მისცა რეგიონში ეკონომიკის ლიბერალიზაციას და წევრს სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, რათა მომხდარიყო კრიზისის გადაჭრა და ეკონომიკის სტაბილიზაცია. (Wyatt-Waletz, 1995)

აზიის ფინანსურმა კრიზისმა, ერთი მხრივ, შეაჩერა რეგიონის ეკონომიკური ინტეგრაცია. რამდენადაც კრიზისის ძირითადი გამომწვევი მიზეზი რეგიონის ქვეყნების ვალუტებისა და ფასიანი ქაღალდების გაუფასურება იყო, ASEAN-ის წევრი სახელმწიფოები კრიზისის საწყის ეტაპზე კიდევ უფრო დაშორდნენ ერთმანეთს. ASEAN-ის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ინდექსი 1997 წელს 9.2 მილიარდი დოლარით, ხოლო 1998 წელს - 218.2 მილიარდი დოლარით დაეცა. სავალუტო ბაზრები მნიშვნელოვნად შემცირდა და რეგიონის მოსახელობის უმეტესობა სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა. შიძლება ითქვას, რომ დაღი დაესვა ASEAN-ის ეკონომიკური გლობალიზაციის ტენდენციებთან დაკავშირებასაც. (Chowdhry, 2000)

მეორე მხრივ, აზიის ფინანსურ კრიზისის დროს მონეტარული ფონდის ფინანსურმა დახმარებამ და ინვესტიციამ ხელი შეუწყო ქვეყნებს შორის მჭიდრო ეკონომიკურ დაკავშირებას. საერთაშორისო მონეტარული ფონდის რეგულაციებმა ASEAN-ის მიმართ - სახელმწიფო ხარჯების ოპტიმიზაცია, კერძო სექტორის პრივატიზაცია, მცოცავ სავალუტო კურსზე გადასვლა - რეგიონში ეკონომიკის ლიბერალიზაციის ნიშნები შეიტანა და ეკონომიკური რეგიონი გლობალური ეკონომიკის ტენდენციებთან დააკავშირა. (IMF, 1999)

კრიზისის დადებით მხარეებ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნოვაცია იყო საქმიანი ურთიერთობების წერილობით კონტრაქტებზე დაფუძნება. თუ, აზიის გეოგრაფიულ არეალში, მათ შორის ASEAN-ის წევრ სახელმწიფოების კერძო სექტორში მიღებული იყო ნათესაურ კავშირებზე დაფუძნებული შეთანხმებები, კრიზისის ფონზე შეიქმნა კონკურენტული გარემო-პირობები.

აზიის ფინანსური კრიზისის დროს მიღებული რეგულაცია კერძო სექტორების შესახებ, ასევე, წარმოადგენს დადებით ფაქტორს ASEAN-ის მომავალი ეკონომიკური ინტეგრაციისა და გლობალიზაციისთვის. პრივატიზაცია და კერძო საკუთრებაზე სახელმწიფოს კონტროლის მოშლა დიდი ნაბიჯია გლობალიზაციის ტენდენციებისკენ, რამადაც კერძო საკუთრების ხელშეწყობა პირდაპირპროპორციულად უკავშირდება სამრეწველო, სავაჭრო და სხვა ეკონომიკური აქტივობების თავისუფალ გადინებას საზღვრებს გარეთ.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ აზიის ფინანსური კრიზისი, მათ შორის ფართოდ გავრცელებული კრიზისი ASEAN-ის წევრ სახელმწიფოებში, დაძლეული იქნა საერთაშორისო მონეტარული ფონდის ინვესტიციის შედეგად. სწორედ საერთაშორისო მონეტარულმა ფონდმა უზრუნველყო სესხის იმ საჭირო რაოდენობით გაცემა, რაც ხელს შეუწყობდა აზიის ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციას. მნიშვნელოვანია, რომ სესხის სანაცვლოდ, საერთაშორისო მონეტარულმა ფონდმა, აზიის გეოგრაფიულ არეალში ASEAN-ის წევრი სახელმწიფოების ჩათვლით, მოითხოვა მკაცრად დაეცვა ეკონომიკური პოლიტიკის პირობები. ეს პირობები მოიცავდა მაღალ გადასახადებს, სახელმწიფო ხარჯების შემცირებას, სახელმწიფოს საკუთრებაი არსებული ბიზნესის პრივატიზებას და მაღალ საპროცენტო განაკვეთების დაწესებას შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობის დასაძლევად.

1999 წლისთვის, ASEAN-მა აჩვენა მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის ზრდა. თავდაპირველი ეკონომიური ქაოსი, რომელშიც რეგიონის წევრ სახელმწიფოებისთვის შეუძლებელი იყო საფონდო ბირჟების ნორმირება, ეკონომიკის სტაბილიზაციით შეიცვალა. აზიის გეოგრაფიულ არეალში მიმდინარე ფინანსური კრიზისის დარეგულირება კი საერთაშორისო აქტორების, ძირითადად საერთაშორისო მონეტარული ფონდის მიერ იყო მოწოდებული და ინიცირებული. საერთაშორისო მონეტარული ფონდის ფინანსურმა დახმარებამ, ეკონომიკური კრიზისის დაძლევა ASEAN-ს კვლავ მისცა შესაძლებლობა გამხდარიყო ინვესტიციებისთვის სასურველი დანიშნულების ადგილი.

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე, ASEAN-ის ტრანზიციის პერიოდში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა სწორედ აზიის ფინანსური კრიზისია. თუმცა, კრიზისულმა ვითარებამ ASEAN-ისთვის დადებითი შედეგები მოიტანა, როგორც რეგიონული ინტეგრაციის გაღრმავების, ასევე ეკონომიკური რეგიონის გლობალურ ეკონომიკასთან დაკავშირების თვალსაზრისით. აზიის ფინანსური კრიზისის შემდეგ გაღრმავდა წევრ სახელმწიფოებს შორის თავისუფალი ვაჭრობა, გაიზარდა შეთანხმებები საქონლისა და მომსახურების თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, საბოლოოდ კი, კრიზისის დამლევით, რეგიონული ინტეგრაციის გაღრმავებით და მონეტარული ფონდის ჩართულობით რეგიონი გლობალურ ეკონომიკას დაუკავშირდა.

9. ASEAN-ის ეკონომიკური ინტეგრაციისა და რეგიონის ეკონომიკის გლობალიზაციასთან დამაკავშირებელი ფორმატები და რეზოლუციები

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სამხრეთ-აზიის სახელმწიფოების ასოციაციის მიერ ეკონომიკურ ინტეგრაციასთან და რეგიონის ეკონომიკურ გლობალიზაციასთან დაკავშირებული ფორმატებისა და მიღებული დადგენილებების განხილვა. ASEAN-ის დეკლარაციების თავები/მუხლები ძირითადად ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ნაწილებად იყოფა, თუმცა, კვლევის შესაბამისად, ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმ დოკუმენტებზე, რომლებიც აქცენტს აკეთებენ რეგიონის ეკონომიკურ ინტეგრაციასა და გლობალურ ეკონომიკაზე.

9.1. ASEAN+3 ფორმატი (APT)

ASEAN-ის წევრებს (ბრუნეი, კამბოჯა, ინდონეზია, ლაოსი, მიანმარი, ფილიპინები, სინგაპური, ტაილანდი, ვიეტნამი, მალაიზია) და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, კორეის რესპუბლიკასა და იაპონიას შორის თანამშრომლობა 1997 წელს დაიწყო, თუმცა, ურთიერთობისა და კავშირების ინსტიტუციონალიზაცია ASEAN+3 ფორმატით 1999

წელს მოხდა. ASEAN+3 ფორმატის წევრი სახელმწიფოების ლიდერებმა აღმოსავლეთ აზიის თანამშრომლობის ერთობლივი დადგენილება გამოსცეს. დადგენილებაში მოცემულია ჩანაწერი, რომ თანამშრომლობის მიზანია გლობალიზაციის ერაში გაზარდოს რეგიონული ურთიერთდამოკიდებულება. ASEAN+3 ფორმატის წევრი ქვეყნები დადგენილებით თანხმდებიან, რომ ისინი ხელს უწყობენ კოლექტიური ძალისხმევის გაღრმავებას, რათა წინ წამოწიოს საერთო ხედვები, მეგობრული ურთიერთობები, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მშვიდობა და სტაბილურობა. ქვეყნები დადგენილების საფუძველზე შეთანხმდნენ, გააძლიერონ თანამშრომლობა ვაჭრობის, ინვესტიციის, ტექნოლოგიის ტრანსფერის, ინდუსტრიული მრეწველობის სფეროში. (ASEAN-ის კუალა ლამპურის დეკლარაცია, 2000)

მნიშვნელოვანია ASEAN+3 ფორმატით მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც კერძო სექტორის უფლებებს ადგენს. ASEAN+3-ის დადგენილებით შესაძლებელი ხდება კერძო სექტორს რეგიონის წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური თანამშრომლების აქტივობებში ინტეგრაცია. აღნიშნულის სასარგებლოდ შეხვედრის დროს ფორმატის წევრმა სახელმწიფოებმა მიიღეს რეზოლუცია შეექმნათ აღმოსავლეთ აზიის ბიზნეს საბჭო, რომლის საშუალებითაც ხელს შეუწყობდნენ კერძო სექტორის რეგიონულ ინდუსტრიულ სფეროში ჩართვას. (Stubbs, 2002)

ASEAN-ის წევრი სახელმწიფოები ჩინეთთან, იაპონიასთან და კორეის რესპუბლიკასთან ერთად შეთანხმდნენ ეწარმოებინათ რეგიონის კაპიტალის გადინების მონიტორინგი, გაეძლიერებინათ საბანკო და საფინანსო სისტემა და შეემუშავებინათ საერთაშორისო ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული საერთო ხედვა.

ASEAN+3 ფორმატით ASEAN-მა ფინანსურ და მონეტარულ სფეროში თანამშრომლობით დიდ შედეგებს მიაღწია. 2000 წლის Chiang Mai შეხვედრაზე წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ შეექმნათ კონვერტირებადი ვალუტის საერთო ფონდი, როგორც რეგიონული თანამშრომლობის ძირითადი მექანიზმი. ინიციატივის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა აზიის ფინანსური კრიზისის შემდეგი პრობლემების მართვა და

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინვესტიციის ხელშეწყობა. (Chiang Mai დეკლარაცია, 2003)

მნიშვნელოვანია ASEAN+3-ის 2003 წლის აზიის შემაკავშირებელი ბაზრის ინიციატივა (ASEAN Bond Markets Initiative). ინიციატივა მიზნად ისახავდა ეფექტიანი ლიკვიდური ბაზრის განვითარებას, სადაც ყიდვა-გაყიდვა ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე მოხდებოდა. ინიციატივის განხორციელების საფუძველზე ასევე უნდა მომხდარიყო რეგიონის ფინანსური პრობლემებით გამოწვეული ზარალის შემცირება. აზიის შემაკავშირებელი ბაზრების ინიციატივას ხელი უნდა შეეწყოს ფართო სპექტრის მიმწოდებლებისთვის ჰქონოდათ ბაზარზე წვდომას, რათა მათ გაემდიერებინათ საბაზრო ინფრასტრუქტურა და მომხდარიყო საერთო ბაზრის წახალისება. (Asian Development Bank, 2017)

ASEAN+3 ფორმატით ASEAN-ის ეკონომიკური რეგიონის გლობალურ ეკონომიკასთან დაკავშირების ერთ-ერთი ნიშანია ევროკავშირთან გაღრმავებული დიალოგი და ASEM ფორმატის შექმნა. ASEM-ის ფორმატით კავშირი დამყარდა ევროკავშირისა და ASEAN+3 25 ქვეყანას შორის. ASEM-ის ფარგლებში ეკონომიკურ რეგიონებს შორის თანამშრომლობის ძირითადი სფერო ეკონომიკურ-ფინანსური ხასითის იყო, თუმცა, ამავე დროს მოიცავდა პოლიტიკურ საკითხებზე დიალოგსა და სხვა დარგებში კოოპერაციას. (თანამშრომლობის სფეროები დაყოფილია სამ მიმართლებად - პოლიტიკური, ეკონომიკური, თანამშრომლობის სხვა დარგები). თანამშრომლობის დაწყებიდან 8 წლის განმავლობაში ევროკავშირსა და ASEAN+3-ს შორის 250 აქტივობა განხორციელდა. (Eurostat, 2017)

ვაჭრობის გლობალიზაციის ტენდენციების კვალდაკვალ, აქტუალური გახდა სავაჭრო ურთიერთობების გაფორმება არა მხოლოდ ეკონომიკური რეგიონების წევრებს, არამედ თავად ეკონომიკურ რეგიონებს შორის. ევროკავშირთან პარტნიორობის შესახებ ინიციატივა, მეორე მხრივ, ხაზს უსვამდა ASEAN-ის წევრ სახელმწიფოებს შორის მზარდი რეგიონული ინტეგრაციის მნიშვნელობასაც. გარდა ამისა, სწორედ ASEAN-ის

წვერი სახელმწიფოები გახდნენ მსოფლიოს მეორედისთვის მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტით მიმწოდებელნი. ASEAN-ის ქვეყნებზე 2000 წლიდან ასევე მოდის ტექსტილისა და ქსოვილის მსოფლიო ექსპორტის ორი-მეხუთედი. (Hansenova, 2006) ASEAN-ს 2001 წლისთვის ევროკავშირში 70.8 მილიარდი ევროს ექსპორტი გაჰქონდა, ხოლო, 43.8 მილიარდი ევროს ექსპორტო შემოჰქონდა. (EUROSTAT, 2004)

აღსანიშნავია ASEAN+3 ფორმატით ჩინეთის როლი ASEAN-ის გლობალურ ეკონომიკასთან დაკავშირებისა და რეგიონში გლობალური ტენდენციების შეტანის თვალსაზრისით. აღმოსავლეთ აზიის სწრაფად მზარდმა ეკონომიკამ - ჩინეთმა დადებითი ნიშნები შეიტანა, როგორც აზიის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში, ასევე რეგიონის სტაბილურობის თვალსაზრისით. (Jing-dong Yaun, 2006)

9.2. ASEAN-ის საზოგადოება

ASEAN-ის ეკონომიკური რეგიონალიზაციის გლობალურ ეკონომიკასთან დაკავშირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო 2003 წლის ASEAN-ის საზოგადოების (ASEAN Community) ფორმირების შესახებ გადაწყვეტილება. სწორედ 2003 წელს, რეგიონის წევრმა სახელმწიფოებმა მხარი დაუჭირეს რეგიონსშიგნით ინტეგრაციის თავისუფალი ვაჭრობის გზით გაღრმავებას და მეორე მხრივ, მსოფლიოში ინვესტიციების თავისუფალ მიმოსვლას - „სტაბილური, ეკონომიკურად აყვავებული და მაღალკონკურენტული რეგიონის ჩამოყალიბება ეკონომიკური განვითარების თანაბარ პირობებში, სიღარიბის შემცირება; საქონლის, მომსახურების და ინვესტიციების თავისუფალი მიმოსვლის მხარდაჭერა“ იკითხება მიღებულ დადგენილებაში. (ASEAN Economic Community, 2003)

2003 წლის ASEAN-ის დეკლარაციაში იკითხება რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტი როგორც რეგიონული ინტეგრაციის გაღრმავების, ასევე რეგიონის მსოფლიო ეკონომიკასთან დაკავშირების თვალსაზრისით. ASEAN-ი დეკლარაციაში განსაზღვრავს ეკონომიკური რეგიონის წვერი სახელმწიფოების ძალისხმევის მნიშვნელობას მჭიდრო და საერთო სარგებელზე დაფუძნებული ინტეგრაციის გაღრმავებისთვის, რათა მოხდეს

როგორც ეკონომიკური კეთილდღეობის ხელშეწყობა ღია, მოქნილი, და დინამიური ASEAN-ის საზოგადოების მიერ.

განსაკუთრებით საყურადღებოა დეკლარაციაში გაწერილი მიზნების მე-7 პუნქტი, რომელშიც იკითხება ASEAN-ის მზადყოფნა გააღრმავოს და გააფართოვოს რეგიონსშიდა ეკონომიკური ინტეგრაცია, რათა მოხდეს მსოფლიო ეკონომიკასთან ASEAN-ის ეკონომიკური საზოგადოების ერთიანი სტრატეგიის რეალიზება. (ASEAN-ის დეკლარაცია, ბალის მე-2 შეთანხმება, 2003)

ASEAN-ის 2003 წლის დეკლარაციით გაიწერა ASEAN-ის სამოქმედო გეგმა და ხედვა 2020 წლისთვის (ASEAN Vision 2020). ეკონომიკური რეგიონის წევრი სახელმწიფოები თანხმდებოდნენ, რომ 2020 წლისთვის ASEAN-ი უნდა იყოს მაღალკონკურენტული რეგიონი, რომელიც გამოირჩევა საქონლის, მომსახურებისა და ინვესტიციების თავისუფალი და კაპიტალის ნაკლები შეზღუდვებით მიმოსვლით. დეკლარაციის მიხედვით, ASEAN-ი უნდა გამხდარიყო ბიზნესის ხელშეწყობი გარემო.

დეკლარაციის ეკონომიკურ ნაწილში პუნქტი მიემდვინა ეკონომიკის ლიბერალიზაციისთვის ზომების მიღების აუცილებლობას. სწორედ ეკონომიკის ლიბერალიზაცია დასახელდა ASEAN-ის წევრ სახელმწიფოებს შორის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის სხვა სფეროებში გაძლიერების წინაპირობად. დეკლარაციაში ნახსენებია, რომ ლიბერალიზაცია მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის გამყარების თვალსაზრისითაც, ასევე აქცენტი კეთდება ინფრასტრუქტურისა და საკომუნიკაციო საშუალებების გაუმჯობესებაზე. ყოველივე ზემოთაღნიშნული კი ხაზს უსვამს ASEAN-ის მისაწრაფებას დაუახლოვდეს გლობალურ ეკონომიკას და გახდეს გლობალური ტენდენციის მიმდევარი. (ASEAN-ის კუალა ლამპურის დეკლარაცია, 2015)

9.3.ASEAN-ის ქარტია

2007 წელს სინგაპურის სამიტზე ASEAN- ის წევრმა ქვეყნებმა შეიმუშავეს სამოქმედო

გეგმა, რომელიც საერთო ხედვებსა და მიზნებზე დაყრდნობით ქმნის 4 ძირითად კატეგორიას. ეს კატეგორიებია 1. საერთო ბაზარი და წარმოების ინტეგრაცია, 2. კონკურენტუნარიანი ეკონომიკური რეგიონი 3. სამართლიანი (თანაბარი) ეკონომიკური განვითარება და 4. გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაცია. სამოქმედო გეგმა - ინტეგრაცია გლობალურ ეკონომიკაში - თავის მხრივ დაყოფილი იყო ორ ნაწილად:

1. ASEAN-მა უნდა შექმნას ჯანსაღი ეკონომიკური გარემო რეგიონს გარეთ ეკონომიკებთან
2. ASEAN-მა უნდა გააძლიეროს მისი კონტრიბუცია გლობალურ ბაზარზე მიმწოდებელ სუბიექტთა ქსელში.

ASEAN-ის 2007 წლის სამიტიზე მიიღო გადაწყვეტილება ღია, სამართლებრივ ნორმებზე დაფუძნებული, ბაზარზე ორიენტირებული რეგიონული ეკონომიკის შექმნის შესახებ. წევრმა სახელმწიფოებმა მხარი დაუჭირეს ურთიერთდაკავშირების გაზრდას და ინტეგრაციულ, შემაკავშირებელ ეკონომიკას. სწორედ 2007 წელს გაჟღერდა ტერმინი „გლობალური ASEAN“. (The ASEAN Charter, 2007)

ASEAN-ის ქარტიაც მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ეკონომიკური რეგიონის ინტეგრაციის გაღრმავებისა და რეგიონის გლობალურ ტენდენციებთან დაკავშირების თვალსაზრისით. ქარტიის თავი I, მე-5 მუხლი ASEAN-ის მიზნად ასახელებს საერთო ბაზრისა და წარმოების შექმნას, რომელიც იქნება სტაბილური, მაღალკონკურენტული და ვაჭრობისა და ინვესტიციისთვის ეფექტური გარემო. ქარტიით ერთ-ერთ ძირითად მიზნად სახელდება ბიზნესით დაინტერესებული ადამიანებისთვის, მუშახელისა და ხელოვანი ხალხისთვის რეგიონში თავისუფალი მიმოსვლის ხელშეწყობა. გარდა ამისა, ქარტიაში ყურადღება ეთქმობა მრავალმხრივი ვაჭრობის განვითარებას, რათა ASEAN-მა ადგილი დაიმკვიდროს ძირითად ეკონომიკებს შორის.

ეკონომიკური საკითხების გარდა, ქარტიაში ყურადღება გამახვილებულია გლობალურ ტენდენციებზე, რომელთა შორის აღსანიშნავია ASEAN-ის მისწრაფება დაიცვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიისა და საერთაშორისო სამართლის ნორმები.

ASEAN-მა ქართით კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ASEAN-ისთვის რეგიონული ინტეგრაციის გაღრმავების, ასევე, გლობალიზაციასთან დაკავშირებისა და საერთაშორისო ნორმების დაცვის მნიშვნელობას.

10. ASEAN-ის რეგიონული ინტეგრაციის გაღრმავებისა და რეგიონის ეკონომიკურ გლობალიზაციასთან დაკავშირების ხელშემწყობი ფაქტორები

ინდუსტრიალიზაციის სტრატეგიაზე ორიენტირებული ASEAN-ი მულტინაციონალური კორპორაციებისთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეგიონი უნდა გახდეს. ეკონომიკური გლობალიზაციის ზოგადმა ტენდენციამ, რომელიც 2000-იან წლებში ძირითადად აშშ-ს და ევროპის, დასავლეთის მიერ იყო მართული, მეორე მხრივ დიდი როლი ითამაშა ASEAN-ის წევრი სახელმწიფოებისთვის ეკონომიკური რეგიონის ქრილში აღექვით ვაჭრობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა.

შიდა რეფორმება ვაჭრობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ლიბერალიზაციის შესახებ, რომელიც ASEAN-ისთვისაც ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმებით (GATT) და აზია-წყნარი ოკიანის ეკონომიკური თანამშრომლობით (APEC) რეგულირდებოდა, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ASEAN-ის რეგიონული და გლობალური ინტეგრაციისთვის. მაღალკვალიფიციური და დაბალდირებულეებიანი მუშახელი, ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემო და ვაჭრობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურა მიმზიდველი აღმოჩნდა საერთაშორისო მულტინაციონალური კორპორაციებისთვის.

10.1. თავისუფალი ვაჭრობა (FTA)


ეკონომიკური რეგიონის ინტეგრაცია ვაჭრობის სფეროში გულისხმობს წევრ სახელმწიფოებს შორის სატარიფო და არასატარიფო სავაჭრო ბარიერების შემცირებას ან

გაუქმებას, რაც ხელს უწყობს საქონლის, სერვისების, ინვესტიციის, მუშახელის და სხვა წარმოების ფაქტორების თავისუფალ მოძრაობას. ამავე დროს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და ეგრეთწოდებული „ღია რეგიონალიზმი“ მხარს უჭერდა აღმოსავლეთ აზიის მიდგომას საერთაშორის სავაჭრო პოლიტიკის მიმართ.

2000 წლიდან, ინსტიტუციონალიზებული რეგიონული თანამშრომლობის შედეგად, აღმოსავლეთ აზიამ შიდა-რეგიონული ვაჭრობის მზარდი მაჩვენებელი დააფიქსირა, რაც გამოიხატა ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გავრცელებით. 2012 წლის მიწურულისთვის აღმოსავლეთ აზიის გეოგრაფიული არეალი ASEAN-ის ინსტიტუციონალიზებული რეგიონის ფარგლებში მოწინავე ადგილს იკავებს თავისუფალი ვაჭრობის სფეროში როგორც რეგიონული, ისე გლობალური აქტივობებით. ASEAN-ს ამ დროისთვის ჰქონდა 109 ხელმოწერილი და ძალაში მყოფი შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. (Chandra, Hattari, 2014)

ASEAN-ის წევრები ჯგუფის სახელით და ინდივიდუალური გზით აქტიურად მონაწილეობენ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებებში სხვა ქვეყნებთან.

ვიზუალიზაცია I - ASEAN-ში ხელმოწერილი და ძალაში შესული შეთანხმებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.²



2000 წლის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა ASEAN-ში ხელმოწერილი და ძალაში შესული შეთანხმებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. მნიშვნელოვანია ASEAN-ის ექსპორტისა

²ვიზუალიზაცია ეყრდნობა AFTA საბჭოს სტატისტიკურ მონაცემებს

და იმპორტის ნიშნულის ზრდაც.

ცხრილი I – ASEAN-ისა და ASEAN+3-ის ექსპორტი და იმპორტი მსოფლიოში და აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში.³

წელი	ექსპორტი				იმპორტი			
	ASEAN		ASEAN+3		ASEAN		ASEAN+3	
	მსოფლიო	აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანის ქვეყნები	მსოფლიო	აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანის ქვეყნები	მსოფლიო	აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანის ქვეყნები	მსოფლიო	აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანის ქვეყნები
1980	3.7	25.5	12.8	88.4	3.4	26.2	12.9	90.7
1990	4.3	25.3	13.3	78.7	4.2	29.7	14.2	80.8
2000	5.7	27.4	16.7	80.9	5.2	32.1	16.1	80.7
2005	6.1	24.8	20.4	83.1	5.6	30.2	18.4	81.6
2010	6.5	22.2	25.0	85.3	6.0	28.1	21.2	82.3
2013	6.7	21.3	26.9	85.8	6.2	26.3	23.6	82.9

ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი და იაპონია წარმოადგენენ ASEAN-ის მსხვილ სავაჭრო პარტნიორებს. ვაჭრობის ლიბერალიზაციას კვალდაკვალ ASEAN-მა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები გააფორმა 2005 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, 2007 წელს კორეის რესპუბლიკასთან, 2008 წელს იაპონიასთან, 2010 წელს ავსტრალიასთან, ახალ ზელანდიასთან და ინდოეთთან. გარდა ამისა, 2007 წელს ASEAN-მა დაიწყო მოლაპარაკებები ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

მნიშვნელოვანი ASEAN-ის რეგიონული ინიციატივა თავისუფალი ვაჭრობის უფრო დიდ რეგიონის შექმნის შესახებ. თავდაპირველად, ინიციატივა ფარავდა ASEAN+3 ქვეყნებს (ASEAN, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, იაპონია, კორეის რესპუბლიკა),

³ მონაცემები ეყრდნობა ASEAN-ის ეკონომიკური საზოგადოების სტატისტიკურ ანალიზს, 2016)

რომელიც ცხოვრობდა ადმოსავლეთ აზიის თავისუფალი ვაჭრობის ზონის (EFTA) სახელით. ინიციატივას მოგვიანებით შეუერთდნენ ავსტრალია, ინდოეთი, ახალი ზელანდია და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას ადმოსავლეთ აზიის ღრმა ეკონომიკური პარტნიორობის სახელი დაერქვა. 2012 წლის ნოემბერში ASEAN-ის ეკონომიკური რეგიონმა ზემოთ აღნიშნულ სახელმწიფოებთან დაიწყო მოლაპარაკებები რეგიონული ღრმა ეკონომიკური პარტნიორობის (RCEP) შექმნის შესახებ. ინიციატივის აღსრულება 2015 წლისთვის იგეგმებოდა, როდესაც ASEAN-ს როგორც ეკონომიკური რეგიონი ჩინეთთან, იაპონიასთან, კორეის რესპუბლიკასთან, ავსტრალიასთან, ინდოეთსა და ახალ ზელანდიასთან თავისი ლიდერობით ჩამოაყალიბებდა თავისუფალი ვაჭრობის ზონას აზია-წყნარი ოკეანის გეოგრაფიულ არეალში (საბოლოოდ, შეთანხმებას ხელი მოეწერება ASEAN-ის 2018 წლის ნოემბრის სამიტზე). (Pangestu, 2015)

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების ზრდა დიდწილად დამოკიდებული იყო ASEAN-ში სატარიფო და არასატარიფო ბარიერების შემცირებით. ASEAN-ში აქტიურად მიმდინარეობდა საერთო ტარიფებისგან გათავისუფლებული ბაზრის შექმნაზე მუშაობა, თუმცა, ეკონომიკური რეგიონის წევრი სახელმწიფოების შეთანხმებითა და ინტერესების გათვალისწინებით მაღალი სენსიტივობის პროდუქციაზე და საკვებზე წევრი სახელმწიფოები უფლებას იტოვებენ თავად დააწესონ კვოტები იმპორტზე. მიუხედავად ამისა, ASEAN-მა ერთიანი ბაზრის ფარგლებში მკაფიოდ შეამცირა სატარიფო ბარიერები, განსაკუთრებით არასასოფლო-სამეურნეო საქონელზე.

10.2. ASEAN-ის რეგიონული წარმოება და წარმოების გლობალიზაცია (ავტო-ინდუსტრია, მყარი დისკის წარმოება)

ერთიანი ბაზრის შექმნის პარალელურად, რეგიონული ინტეგრაციისა ეკონომიკური რეგიონალიზაციის გაღრმავების ერთ-ერთ მახასიათებლად, ASEAN-ი ღიად მიუთითებს საერთო წარმოების პლატფორმის შექმნაზე.

ASEAN-ის ერთიანი წარმოების პლატფორმა ხელსაყრელ გარემოს ქმნის ბიზნესისთვის და შესაძლებლობას აძლევს ბიზნესით დაინტერესებულ პირებს ჩაერთონ

რეგიონსშიგნით პროდუქციის მიწოდებაში, შექმნან ინდუსტრიული კავშირები ASEAN-ში და მონაწილეობა მიიღონ პროდუქციის გლობალური მიწოდების პროცესში. ASEAN-ში დაფუძნებულ კომპანიებს შეუძლიათ მიიღონ ნედლეული, წარმოების საშუალებები, მომსახურება, მუშახელი და კაპიტალი ASEAN-ის წევრ ნებისმიერ სახელმწიფოში, სადაც ისინი აწარმოებენ თავიანთ საქმიანობას. კომპანიებს შესაძლებლობა აქვთ დაზოგონ წარმოების ხარჯები, კონცენტრირდნენ სპეციალიზაციაზე და გაზარდონ ეკონომიკის მასშტაბები რეგიონში არსებული საერთო ბაზრის დატოვების გარეშე.

აღსანიშნავია, გლობალიზაციის პროცესში სახელმწიფოებს, რეგიონებს ორის ე.წ. საერთო წარმოება. ASEAN-ის წარმოების გლობალიზაციის შესაფასებლად, საინტერესოა ავტომობილების წარმოების განხილვა.

ავტომობილების წარმოების მიმართ მიდგომა 1970-იან წლებში შეიცვალა, როდესაც ავტომობილების ბიზნესი საერთაშორისო წარმოებას დაეფუძნა, რაც, საწყის ეტაპზე, გამოიხატა ამერიკული ავტომობილის საწარმოების მექსიკასა და კანადაში რელოკაციით. მოგვიანებით, კი მსოფლიოში არსებულმა საავტომობილო კომპანიებმა თავიანთი ავტომობილების წარმოება აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებსაც, მათ შორის ASEAN-ის ეკონომიკურ რეგიონს მიანდეს. აზიის ფინანსური კრიზისმა ხელი შეუწყო იაპონური და ამერიკული კომპანიების ASEAN-ში დაარსებას, კომპანიები ხშირად წარმოდგენილნი არიან ერთობივი საწარმოების და პირდაპირი ინვესტიციების სახით. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ რომ აღმოსავლეთ აზიის გეოგრაფიული არეალი, მათ შორის ASEAN-ის ეკონომიკური რეგიონი ჩართულია საერთაშორისო წარმოების ქსელში. მაგალითად, „ტოიოტას“ ფირმის ავტომობილების ნაწილების წარმოება სწორედ ASEAN-ში (ძირითადად ტაილანდის, მალაიზიის, ინდონეზიის, ფილიპინების ტერიტორიაზე) ხდება (ავტომობილები მოგვიანებით იწყობა იაპონიაში). ტაილანდი ძირითადად კონცენტრირებულია პროდუქციის აწყობაზე, ხოლო, ინდონეზია, მალაიზია და ფილიპინები ავტომობილის ნაწილების წარმოებაზე.

ASEAN-ი წარმოადგენს მყარი დისკის ინდუსტრიის ძირითად საერთაშორისო

მწარმოებელს. მყარი დისკის წარმოების ინდუსტრია და მოთხოვნა პროდუქტის მიმართ ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ციფრული პროდუქციისთვის იზრდება მსოფლისო მასშტაბით. მყარი დისკის წარმოებაც წარმოადგენს ერთ-ერთ მაგალითს წარმოების საერთაშორისო მასშტაბით ფრაგმენტაციის თვალსაზრისით. ASEAN-ის ეკონომიკური რეგიონი უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური მუშახელის მომსახურებას მყარი დისკის აწყობისთვის. ჰიტაჩი, სამსუნგი, ტომიბა მყარი დისკის მსოფლიოში მოწინავე მწარმოებლები არიან. თითოეული ჩამოთვლილი კომპანია გლობალური წარმოების ქსელში არიან ჩართულნი, სადაც ASEAN-ის რეგიონს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს.

აზიის განვითარების ბანკის მონაცემების მიხედვით მყარი დისკის საერთაშორისო წარმოების ქსელში ჩართულია - აშშ, იაპონია, კორეის რესპუბლიკა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და ASEAN-ი წარმოდგენილი ტაილანდის, სინგაპურის, ფილიპინებისა და მალაიზიის სახით. მათ შორის, ძირითადი სამუშაოები ნაწილი, სწორედ ASEAN-ის ეკონომიკურ რეგიონში მიმდინარეობს.

10.3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ASEAN-ში და ASEAN-იდან

ASEAN-ის ეკონომიკურ რეგიონში წევრ სახელმწიფოებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა სინგაპური და ინდონეზია რეგიონის სხვა წევრ სახელმწიფოებში ინვესტიციებით. თუმცა, რეგიონსშიგნით ხშირია სხვა წევრი სახელმწიფოების ინვესტიციებიც მეზობელ სახელმწიფოებში. მას შემდეგ, რაც ASEAN-მა საერთო ბაზრისა და წარმოების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი, წევრმა სახელმწიფოებმა აქტიურად დაწიეს რეგიონის წევრ სახელმწიფოებში ინვესტირება.

ASEAN-მა, თავის მიერ ეკონომიკის ლიბერალიზაციის, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან გეგმად დასახვის პარალელურად, შეცვალა პოლიტიკა, რომელიც ამარტივებდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას რეგიონში. ASEAN-მა

სტრატეგიის ნაწილად დაისახა ინდუსტრიალიზაცია, რომლის აღსრულების პროცესში მნიშვნელოვანი იყო განვითარებული ქვეყნიდან ეკონომიკურ რეგიონში ინვესტიციების შედინება.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი, იაპონია, ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა წარმოადგენენ ASEAN-ის ეკონომიკურ რეგიონში დიდ ინვესტორებს.

ცხრილში მოცემული მონაცემების საფუძველზე იკვეთება, რომ 2000-იან წლებში გაიზარდა რეგიონსშიგნით ექსპორტისა და იმპორტის ნიშნული, რაც პირდაპირპროპორციულად აისახა ეკონომიკური რეგიონის მსოფლიო ეკონომიკასთან დაკავშირების პროცესზე. მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გადინებისა და რეგიონში შედინების ნიშნულის ზრდაც. ASEAN-ის ეკონომიკურმა რეგიონმა სწორედ 2000 წლის შემდეგ დაიწყო რეგიონს გარეთ პირდაპირი ინვესტიციების გადინება, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს რეგიონის მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციას. (ASEAN Investment report, 2017)

ცხრილი II – ASEAN-ის და ASEAN+3-ის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმოსვლა მსოფლიოში და აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში⁴

წელი	FDI მოდინება რეგიონში				FDI გადინება რეგიონიდან			
	ASEAN		ASEAN+3		ASEAN		ASEAN+3	
	მსოფლიო	აღმოსავლეთ აზია და	მსოფლიო	აღმოსავლეთ აზია და	მსოფლიო	აღმოსავლეთ აზია და	მსოფლიო	აღმოსავლეთ აზია და

⁴ მონაცემები ეყრდნობა ASEAN-ის ეკონომიკური საზოგადოების სტატისტიკურ ანალიზს, 2016)

	წყნარი ოკეანის ქვეყნები	წყნარი ოკეანის ქვეყნები	წყნარი ოკეანის ქვეყნები	წყნარი ოკეანის ქვეყნები	წყნარი ოკეანის ქვეყნები	წყნარი ოკეანის ქვეყნები	წყნარი ოკეანის ქვეყნები
1980	4.4	47.9	9.2	54.0	-	-	-
1990	6.3	43.3	14.6	64.5	-	-	-
2000	1.8	14.6	12.1	49.8	-	-	-
2005	3.2	22.2	14.2	89.6	1.4	19.0	7.4
2010	5.8	19.7	29.3	75.5	3.5	23.9	14.5
2013	7.4	20.5	36.1	78.3	3.6	15.9	22.4

11. შრომითი მიგრაცია, როგორც ეკონომიკური რეგიონალიზმისა და ეკონომიკურ გლობალიზაციას შორის ურთიერთმიმართების დადგენის ერთ-ერთი ინდიკატორი

ბოლო ათწლეულის განმავლობაში შრომითი მიგრაცია წარმოადგენს ASEAN-ის ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს. 2013 წლის მონაცემებით 20.2 მილიონი მიგრანტია ASEAN-ის რეგიონიდან წამოსლი, მათ შორის 6.9 მილიონი ადამიანი მიგრირებს თავად რეგიონს შიგნით. ASEAN-ის ეკონომიკურ საზოგადოებაში რეგიონილი ინტეგრაცია კონცენტრირდა პროფესიუნალი მუშახელის მობილობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ASEAN-ის მიგრანტთა უმეტესობა დასაქმებული არიან დაბალკვალიფიციურ სამუშაოებში. გარდა ამისა, ASEAN-ში 2015 წლის მონაცემებით მიგრაციის შესახებ პოლიტიკით არ რეგულირდებოდა შრომითი უფლებები და მუშახელის სამართლებრივი სტატუსი.

2007 წელს სამხერთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციამ ფილიპინებში, სეზუს სამიტზე მიიღეს დადგენილება შრომითი მიგრანტების ხელშეწყობისა და უფლებების

დაცვის შესახებ. დადგენილება ხაზს უსვამს მიგრანტი მუშაკების კონტრობუციის მნიშვნელობას მიმღებ და მასპინძელ ქვეყნებში, რის საფუძველზეც აუცილებლად გარემოებად მიიჩნევა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას, კეთილდღეობის ხელშეწყობას და მიგრანტი მუშაკების ღირსების დაცვას. ASEAN-ის წევრმა სახელმწიფოებმა ასევე განიხილეს შრომითი მიგრანტების საპენსიო შემოსავლის უსაფრთხოების საკითხი.

ASEAN-ში 2007 წელს მიღებული შრომითი მიგრაციის შესახებ დადგენილების მიუხედავად, მიგრაციის შედეგების ინდექსის (MOI) მიხედვით, შრომითი მიგრაციის პოტენციური სარგებელი არ არის მაქსიმალურად უზრუნველყოფილი რეგიონში, რამდენადაც შრომითი მიგრაციის შესახებ მიღებული დადგენილებები ვერ აკმაყოფილებს მუშაკთა სოციალურ უსაფრთხოების სტანდარტს. თუმცა, დადებითი შედეგები შეიძლება იქნას მიღწეული თუ მიგრანტი მუშაკები უზრუნველყოფილნი იქნებიან სამუშაო უნარების ზრდის, დიდი ვალების თავიდან არიდების, საარსებო მინიმუმის მიღებისა და სამსახურეობრივი დაწინაურების შესაძლებლობით. (ILO, 2015)

საერთაშორისო შრომითი მიგრაცია რეგიონში გამოწვეულია ორი ძირითადი ფაქტორით: 1) ეკონომიკურ რეგიონში წევრ სახელმწიფოებს შორის სხვაობა ეკონომიკური და სოციალური განვითარების თვალსაზრისით. დიდი სხვაობაა რეგიონის წევრ სახელმწიფოებში შრომითი ანაზღაურების თვალსაზრისით, მაგალითად, მუშაკები მიანმარში თვეში გამოიმუშავენ საშუალო 91 აშშ დოლარს, როდესაც მათ შესაძლებლობა აქვთ სინგაპურში თვეში გამოიმუშაონ საშუალოდ 2,859 ამერიკული დოლარი. 2) ASEAN-ის მოქალაქეებს შორის დემოგრაფიული სხვაობა. საერთაშორისო შრომითი ორგანიზაციის (ILO) მიხედვით (2014), ASEAN-ში მოსალოდნელი არაა შრომითი მიგრაციის შემცირება საშუალოვადიან პერიოდში, არამედ შესაძლებელია მონაცემების ზრდა და შრომითი მიგრაციის გაფართოება (Harkins, Lindger, 2015)

შრომითი მიგრაცია ASEAN-ში ძირითადად ეკონომიკური ფაქტორებით არის გამოწვეული, თუმცა, რიგ შემთხვევაში საყურადღებოა პოლიტიკური მიზეზებიც.

მიგრანტ მუშაკთა შორის არიან იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთა მიგრაცია გამოწვეულია მიანმარსა და ვიეტნამში არსებული კონფლიქტებით.


ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიგრანტ მუშაკთა რიცხვის გაზრდით ASEAN-ში იზრდება ინტეგრაციის ხარისხი, რამდენადაც საერთო ბაზარისა და წარმოების პარალელურად, მიგრანტ მუშაკთა თავისუფალი გადაადგილება ხელს უწყობს რეგიონის ინტეგრაციის ხარისხის ზრდას. გარდა ამისა, მსოფლიო ბანკის 2015 წლის განცხადებით, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციაში შრომითი მიგრაცია გაზრდის და განავითარებს რეგიონის ეკონომიკას.

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში მიგრაცია გაიზარდა არამხოლოდ ASEAN-ში თავად წევრი სახელმწიფოების მოქალაქეების რეგიონსშიგნით გადაადგილების თვალსაზრისით, არამედ, მნიშვნელოვანდ გაიზარდა ASEAN-ის ეკონომიკური რეგიონიდან მუშაკთა მსოფლიოში მიგრაციის მაჩვენებელიც.

ჰიპოთეზის დასადასტურებელ ერთ-ერთ ინდიკატორად ნაშრომში წარმოდგენილია შრომითი მიგრაცია. შრომითი მიგრაციის მაჩვენებელი განხილულია რეგიონსშიგნით, რის შემდეგაც რეგიონსშიგნით მაჩვენებლის ზრდა შედარებულია ASEAN-ის რეგიონის გლობალურ მსოფლიოში შრომითი მიგრაციის ზრდასთან. შრომითი მიგრაცია წარმოადგენს როგორც რეგიონის ინტეგრაციის, ასევე რეგიონის მსოფლიოსთან დაკავშირების ხარისხის ერთ-ერთ მაჩვენებელს.

ვიზუალიზაცია II - *შრომითი მიგრაცია ASEAN-ის რეგიონსა და რეგიონიდან მსოფლიოში*⁵

⁵ მონაცემები მოპოვებულია International Labour Organization ანგარიშის მიხედვით მონაცემები ეყრდნობა მსოფლიო ბანკის 2011 და 2015 წლის ანგარიშს.



ცხრილი III – ASEAN-ის შიდა რეგიონული და გლობალური შრომითი მიგრაცია⁶

	1990	2000	2010	2013
შრომითი მიგრაცია ASEAN-ის რეგიონში	1336600	2729900	3954500	6788100
შრომითი მიგრაცია ASEAN-იდან მსოფლიოში	6084100	9798300	12852000	21279000

საერთაშორისო შრომის ორგანიზაციიდან მოპოვებული მონაცემები ხაზს უსვამს მდგომარეობას - რომ რეგიონს შიგნით შრომითი მიგრაციის ზრდის პარალელურად იზრდება რეგიონიდან მსოფლიოში შრომითი მიგრაციის მაჩვენებლებიც. აღნიშნული კი კიდევ უფრო ამყარებს მოსაზრებას, რომ რეგიონს შიგნით ინტეგრაციის გაღრმავება ზრდის რეგიონის გლობალურ მსოფლიოსთან დაკავშირების ხარისხს.

⁶ მონაცემები მოპოვებულია International Labour Organization ანგარიშის მიხედვით მონაცემები ეყრდნობა მსოფლიო ბანკის 2011 და 2015 წლის ანგარიშს.

12.KOF გლობალიზაციის კოეფიციენტი

გლობალიზაციის გავლენა ჩვენს ცხოვრებაზე სხვადასხვა ასპექტითა და მოცემულობით ყოველდღურად იგრძნობა. თუმცა, მნიშვნელოვანია გლობალიზაციის გაზომვა, რათა მოხდეს პროცესის ანალიტიკური შეფასება. ეკონომიკური გლობალიზაცია და რეგიონის, საწელმწიფოების კავშირი გლობალიზაციის ტენდენციებთან ხშირად ფასდება თავისუფალი ვაჭრობითა და კაპიტალის თავისუფალი მიმოსვლით. გარდა ამისა, გლობალიზაცია შესაძლოა გამოიხატებოდეს სხვადასხვა რეგიონისა და სახელმწიფოებს შორის მზარდი კომუნიკაციითა და პრობლემების მიმართ ერთიანი მიდგომით. KOF გლობალიზაციის ინდექსი წარმოადგენს სხვადასხვა ცვლადების ერთიანობას, რომელიც ზომავს გლობალიზაციის სხვადასხვა ასპექტს ერთი ინდექსის ქვეშ. 1970 წლის შემდეგ, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, Dreher (2006) მიერ წარმოდგენილი KOF გლობალიზაციის ინდექსი ზომავს გლობალიზაციის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ მიმართულებებს. KOF (Konjunkturforschungsstelle) გლობალიზაციის ინდექსი წარმოადგენს კვლევით წრეებში ყველაზე ფართოდ გავრცელებულ მაჩვენებელს.

KOF გლობალიზაციის კოეფიციენტის გაზომვა გლობალიზაციის ტერმინის კლარკისა და ნორისის განმარტებებს ეფუძნება, რომლის მიხედვით, გლობალიზაცია აღწერს მულტიკონტინენტურ ან შიდაკონტინენტური მასშტაბით აქტორებს შორის კავშირების შექმნის პროცესს. პროცესი მიმდინარეობს ხალხის, ინფორმაციის, იდეებიდ, კაპიტალისა და საქონლის თავისუფალი მიმოსვლით. გლობალიზაცია არის პროცესი, რომელიც ამცირებს ნაციონალური საზღვრების მნიშვნელობას, აერთიანებს ნაციონალურ ეკონომიკებს, კულტურას ტექნოლოგიებს და სახელმწიფო სტრუქტურებს/მმართველობას და წარმოქმნის მრავალმხრივი ურთიერთდამოკიდებულებით კომპლექსურ ურთიერთობებს. KOF გლობალიზაციის ინდექსი ასევე ეფუძნება ჯოზეფ ნაისა და კიოჰენის ხედვას გლობალიზაციის სამ განსხვავებულ მიმართულებად დაყოფის შესახებ. მათ შორის, ერთ-ერთი - ეკონომიკურ გლობალიზაცია ხასათდება საქონლის, კაპიტალისა და მომსახურების თავისუფალი მიმოსვლის მახასიათებლით. სოციალური გლობალიზაცია ეფუძნება იდეების,

ინფორმაციის, ცხოვრების წესის გავრცელებას. პოლიტიკური გლობალიზაციის მახასიათებლად კი KOF გლობალიზაციის ინდექსით განისაზღვრება მმართველობის დანაწევრება.


KOF გლობალიზაციის ინდექსით ფასდება მსოფლიოს 200 სახელმწიფო. მონაცემები ყოველწლიურად იცვლება და ექვემდებარება გადახედვას. KOF ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსი ეფუძნება ვაჭრობისა და ფინანსური გლობალიზაციის მაჩვენებლებს. თავის მხრივ, KOF ვაჭრობის გლობალიზაცია მოიცავს ცვლადებს, რომელიც ზომავს საქონლისა და მომსახურების გაცვლას დიდ მანძილზე. ინდექსი ეყრდნობა ექსპორტსა და იმპორტს, მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელს და ცვლადს, რომელიც ზომავს ვაჭრობის პარტნიორების დივერსიფიკაციას. KOF ფინანსების გლობალიზაცია იზომება კაპიტალის გადინებითა და უცხოური აქტივების აქციებით

ASEAN-ის ეკონომიკური რეგიონის მსოფლიოსთან დაკავშირების ხარისხის განსასაზღვრად, ნაშრომში მოყვანილია რეგიონის წევრი სახელმწიფოების გლობალიზაციის KOF ინდექსი. გლობალიზაციის KOF ინდექსი ზომავს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გლობალიზაციის პარამეტრებს.

ASEAN-ის წევრმა სახელმწიფოებმა KOF გლობალიზაციის ინდექსის ზრდის მაჩვენებელი დააფიქსირეს ბოლო ათწლეულების განმავლობაში. KOF გლობალიზაციის ინდექსი ზრდა მიუთითებს რომ გლობალიზაციის ტენდენციები ASEAN-ის ეკონომიკურ რეგიონში იზრდება.

KOF გლობალიზაციის ინდექსი ASEAN-ის წევრ სახელმწიფოებს შორის ყველაზე მაღალია მალაიზიაში, რომელსაც მოჰყვება ტაილანდი, ინდონეზია, ფილიპინები, ვიეტნამი და კამბოჯა. Zuang და Koo-ს (2007) მიხედვით ქვეყნის მაღალი KOF ინდექსი ასევე მიუთითებს საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოს მაღალ კონკურენტუნარიანობაზე.

ვიზუალიზაცია III – ASEAN-ის წევრი სახელმწიფოების KOF გლობალიზაციის ინდექსი⁷



ეკონომიკური გლობალიზაციის თვალსაზრისით, 95.69 KOF ინდექსის მიხედვით, სინგაპური ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა არამარტო ASEAN-ის ეკონომიკურ რეგიონში, არამედ მთელს მსოფლიოში. მალაიზიას კი KOF ეკონომიკური ინდექსის ჩამონათვალში 24-ე ადგილი უჭირავს.

13. ASEAN-ის მაგალითზე გამოკვეთილი ეკონომიკური რეგიონალიზმისა და ეკონომიკური გლობალიზაციის საერთო ნიშნები

ASEAN-ის მაგალითზე შეგვიძლია გამოვკვეთოთ ის ძირითადი საერთო ნიშნები, რომლებიც სახასიათოა როგორც რეგიონალიზმისთვის, ასევე გლობალიზაციისთვის.

ორივე პროცესის - რეგიონალიზმისა და გლობალიზაციის საერთო მახასიათებელია სახელმწიფოებს შორის საზღვრებისა და ბარიერების მოშლა. ერთიანი ბაზარი, საერთო წარმოება აუცილებლად მოითხოვს სახელმწიფოთა საზღვრების მნიშვნელობის შემცირებას, რათა შემცირდეს საზღვართან დაკავშირებული ბარიერები და ეფექტურად მოხდეს კავშირების დამყარება. რეგიონს შიგნით საზღვრების შემცირება საერთო ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველზე ხდება, გლობალიზაციის ფარგლებში,

⁷ მონაცემები მოპოვებულია [KOF Swiss Economic Institute](http://www.kof.ethz.ch/)-ის ანგარიში საფუძველზე

სუბიექტები ხშირად თანხმდებიან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ და სახელმწიფო ბარიერების შემცირება სხვადასხვა დადგენილებითა და რეგულაციით მოჰყავთ დღის წესრიგში.

ორივე პროცესის, რეგიონალიზმისა და გლობალიზაციის დროს სახელმწიფოებს შორის ღრმავდება ვაჭრობა და უცხოური ინვესტიციები, რაც თავის მხრივ ზრდის ურთიერთდამოკიდებულებას. ASEAN-ის მაგალითმა აჩვენა, რომ რეგიონში ეკონომიკური ინტეგრაციის ერთ-ერთი ძირითადი ბერკეტი სწორედ ვაჭრობის სფეროების გაღრმავებაა რეგიონის წევრ სახელმწიფოებს შორის. ასევე, გლობალური ეკონომიკის შემთხვევაშიც. საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტებს შორის ვაჭრობის გაღრმავება იწვევს ამ სუბიექტებს შორის ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების ზრდას, რაც გლობალიზაციისთვის აუცილებელი მახასიათებელია.

რეგიონალიზმი და გლობალიზაცია ხელს უწყობს საქონლის, მომსახურების, ხალხის და კაპიტალის თავისუფალ მიმოსვლას. რეგიონული ინტეგრაციის გაღრმავების, ისევე როგორც, გლობალიზაციის განმსაზღვრელი ინდიკატორი სუბიექტებს შორის აღნიშნული „რესურსების“ თავისუფალი გადაადგილებაა. საქონლის, მომსახურების, ხალხისა და კაპიტალის გადინება, ისევე, როგორც სახელმწიფოში/რეგიონში შედინება ხელს უწყობს ინტეგრაციის ხარისხის ზრდას და რეგიონისა და გლობალური მსოფლიოს ტენდენციების განვითარებას.

ზემოთ ჩამოთვლილი საერთო მახასიათებლების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორივე ტენდენციისთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკის ლიბერალიზაცია. ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოებს კოორდინირებულად იმოქმედონ საერთო მიზნის მიღწევისთვის ან/და მხარეთა სასარგებლოდ. თანამედროვე ინსტიტუციონალიზებული რეგიონი, ისევე როგორც გლობალიზაცია, თითქმის წარმოუდგენელია „შემსუბუქებული“ ეკონომიკური ხედვისა და მიდგომის გარეშე. ლიბერალური ეკონომიკის საწინააღმდეგო „ჩაკეტილი

ეკონომიკისთვის“ კი ძალიან რთულია დაუკავშირდეს თანამედროვე გლობალიზაციის ტენდენციებს.

14. დასკვნა

ეკონომიკურ რეგიონში მიღებული გადაწყვეტილებებისა და სტატისტიკის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების ზრდამ, ერთიანი ბაზრისა და პლათფორმის შექმნამ, საქონლის, მომსახურების, კაპიტალის თავისუფალი მიმოსვლის ხელშეწყობამ და სატარიფო და არასატარიფო ბარიერების შემცირებამ გააღრმავა ASEAN-ის რეგიონში ინტეგრაციის პროცესი.

ზემოთ ჩამოთვლილმა თითოეულმა პროცესმა, რომელმაც გააღრმავა რეგიონშიგნით ეკონომიკური ინტეგრაცია, ხელი შეუწყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რეგიონს გარეთ ინვესტიციების გადინებას, გლობალურ ეკონომიკებთან სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას, ASEAN-ში იმპორტის ნიშნულის ზრდასა და ASEAN-ის ექსპორტის მხარდამჭერი პოლიტიკის გატარებას.

ზემოთ განხილული სტატისტიკური მონაცემებისა და ASEAN-ში მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ASEAN-ის ეკონომიკური რეგიონის ინტეგრაციის ზრდა პირდაპირპროპორციულად აისახა რეგიონის გლობალურ ეკონომიკასთან დაკავშირების ხარისხზე. გარდა ამისა, ეკონომიკის ლიბერალიზაციამ და ფაქტორები, რომლებმაც ხელი შეუწევს რეგიონში ინტეგრაციის გაღრმავებას, დადებითად იმოქმედა რეგიონის გლობალიზაციაზე.

ნაშრომის საერთო დასკვნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, რომ ეკონომიკური გლობალიზაცია და ეკონომიკური რეგიონალიზმი გამორიცხავს ორ კონცეფციას შორის დაპირისპირებას, რადგან ASEAN-ის მაგალითზე იკვეთება ორი ტენდენციის - რეგიონალიზმისა და გლობალიზაციის სიმბიოზური ურთიერთობა. გარდა ამისა, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ნაშრომში წარმოდგენილმა მსჯელობამ (სტატისტიკირ მონაცემებზე დაყრდნობით) კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მკვლევართა მოსაზრება, რომლებიც რეგიონალიზმს გლობალიზაციის საწინააღმდეგო ტენდენციად აღიქვამენ

და მათ შორის საერთო კავშირს არ განიხილავენ.

კვლევის ბოლო ნაწილში განხილული ეკონომიკური რეგიონალიზმისა და ეკონომიკური გლობალიზაციის საერთო მახასიათებლების საფუძველზე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ორივე მოცემულობა - ინსტიტუციონალიზებული რეგიონი და გლობალური მსოფლიო შეიძლება, ხასიათდებოდეს საერთო მისწრაფებებითა და ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ საერთო მიდგომით. შესაბამისად, ASEAN-ის მაგალითმა შესაძლებლობა მოგვცა, წარმოვიდგინოთ მსოფლიო ტენდენციის შრეები, სადაც თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში ეკონომიკური რეგიონალიზმი მცირე დონესა და მასშტაბზე ეკონომიკური გლობალიზაციის შემადგენელი ნაწილია. ASEAN-ის მაგალითმა ასევე აჩვენა, რომ ძლიერი, ეკონომიკურად ინტეგრირებული რეგიონი განაპირობებს ეკონომიკური რეგიონის გლობალურ ეკონომიკასთან დაკავშირებას..

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Harrell A. 1995, Regionalism in Theoretical Perspective, Book - Regionalism in World Politics, P. 37-73
2. Wyatt-Walter, A. 1995 Regionalism, Globalization and World Economic order, Regionalism in World Politics, P. 74-121
3. Baylis, J., Smith, S., and Owens, P. 2008. The Globalization of World Politics: An introduction to international relations, 4th ed. New York: Oxford University Press Inc.
4. Bellamy A, Williams P, 2016 “Understanding Peacekeeping”
5. Buzan, B. (2011). The Inaugural Kenneth N. Waltz Annual Lecture. A World order without superpowers: Decentred globalism. *International Relations*, 25(3), 3–25.
6. Buzan, B., & Waever, O. (2003). *Regions and powers: The structure of international security*. Cambridge: Cambridge University Press.
7. Gudynas E. “*Open Regionalism or Alternative Regional Integration?*” (Americas Program of the International Relations Center, 2005)
8. Hurrell. A. 1995. Explaining the Resurgence of Regionalism in World Politics. *Review of Institutional Studies*, 21: 345
9. Hettne B, 1996. “[Globalization, the New Regionalism and East Asia](#)” in *Globalism and Regionalism* Edited by Toshiro Tanaka and Takashi Inoguchi *Selected Papers Delivered at the United Nations University Global Seminar '96 Shonan Session, 2-6 September 1996*. წყარო: <http://archive.unu.edu/unupress/globalism.html#Globalization>
10. Nierop T. 1994. *Systems and Regions in Global Politics: An Empirical Study of Diplomacy, International Organizations, and Trade, 1950-1991*. New York: John Wiley and Sons.
11. Muthiah Alagappa. 1995. Regionalism and Conflict Management: A Framework for Analysis. *Review of International Studies* 21: 362.
12. Dr. Lanteigne, 2010. “*Regionalism and the Shanghai Cooperation Organisation,*”
13. Telo M, “*Introduction: Globalization, New Regionalism and the Role of the European Union*”. წყარო: [http://ri.fgv.br/sites/default/files/eventos/arquivos-relacionados/Tel%C3%B2,%20m.%20European Union and New Regionalism 2nd Int](http://ri.fgv.br/sites/default/files/eventos/arquivos-relacionados/Tel%C3%B2,%20m.%20European%20Union%20and%20New%20Regionalism%202nd%20Int)

- [ro.pdf](#))
14. Dreher, A., 2006, Does Globalization Affect Growth? Evidence from a New Index of Globalization, *Economics*, 38/10:1991-1110
 15. Wohlforth, W.C. (1999). The stability of a unipolar world. *International Security*, 24(1), 5–41.
 16. Declaration of ASEAN Concord II, ASEAN, 2003, http://asean.org/?static_post=declaration-of-asean-concord-ii-bali-concord-ii
 17. Koh, T, 2017, ASEAN and the EU:Differences and challaenges, *The Straits Times*, 22/08/2017 <https://cil.nus.edu.sg/wp-content/uploads/2017/12/2017.08.22-Asean-and-the-EU-Differences-and-challenges.pdf>
 18. Harkins, B., Lindgren, D., 2017, Labor Migration in the ASEAN Region: Assessing the Social and Economic Outcomes for Migrant Workers <http://migratingoutofpoverty.dfid.gov.uk/files/file.php?name=harkins-labour-migration-in-asean-update.pdf&site=354>
 19. Chowdhry, B., Goyal, A., 2000, Understanding the financial crisis in Asia, *Pacific-Basin Finance Journal* 8 (2000) 135-152 <http://www.anderson.ucla.edu/faculty/bhagwan.chowdhry/chowdhry-goyal.pdf>
 20. Berg, A., 1999, The Asia Crisis: Causes, Policy responses, and outcomes, *International Monetary Fond*, WP/99/138 <https://www.imf.org/external/pubs/ft/wp/1999/wp99138.pdf>
 21. Kuala Lumpur Declaration on the ASEAN Plus Three Summit, 12 December 2005 <https://www.mofa.go.jp/region/asia-paci/asean/conference/asean3/joint0512.html>
 22. Stubbs, R. 2002, ASEAN Plus Three, Emerging East Asian Regionalism?, *The regents of the University of California, Journals Devison*, <http://www.olemiss.edu/courses/pol337/stubbs02.pdf>
 23. Eurostat, 40 Years of EU-ASEAN Cooperation, 2017 [https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/eurostat - 40 years of eu-asean cooperation - key statistics 2017.pdf](https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/eurostat_-_40_years_of_eu-asean_cooperation_-_key_statistics_2017.pdf)
 24. Yuan, J.,2006, China-Asean Relations: Perspectives, Prospects and Implimentations for U.S. Interests, <https://ssi.armywarcollege.edu/pdffiles/PUB735.pdf>

25. McClanahan, P., Chandra, A., 2014, Taking Advantage of ASEAN's Free Trade Agreements, ASEAN BAC, iisd http://www.iisd.org/pdf/2014/ASEAN_guidebook.pdf
26. Pangestu, M. 2015, ASEAN:Regional Integration and Reforms, Economic Research Institute for ASEAN and East Asia (ERIA) http://www.waseda.jp/gsaps/eai/educational_program/PDF_WS2016/WU_URATA_Reading%20ERIA-DP-2015-69.pdf
27. ASEAN Economic Community, 2016, Chartbook <https://www.aseanstats.org/wp-content/uploads/2016/11/AEC-Chartbook-2016-1.pdf>

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Ekaterine Makhatadze

Inter-connection between Economic Regionalism and Economic
Globalization based on ASEAN Practice

Diplomacy and International Politics

The master thesis is prepared for gaining the Master's Degree in Diplomacy and
International Politics

Associate Professor
Sophio Petriashvili

Tbilisi, 2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი

ისრაელის უნდობლობა ევროკავშირის მიმართ ისრაელ- პალესტინის კონფლიქტის მოგვარებაში

სამაგისტრო პროგრამა: დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

ირინა გახელაძე

7/18/2018



სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო
პოლიტიკის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

*ნაშრომის ხელმძღვანელი:
ფიქრია ასანიშვილი
ასოცირებული პროფესორი*

ანოტაცია

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი შეიძლება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და გრძელვადიან გამოწვევად ჩაითვალოს. იგი უკვე რამოდენიმე ათწლეულია აგრძელებს საზრდოობას და უფრო და უფრო მეტ სახელმწიფოს რთავს მისი მოგვარების პროცესში. მიზეზი იმისა, თუ რატომ ავირჩიე ეს კონფლიქტი, არის ინტერესი იმისა, თუ რატომ აქვს უნდობლობა ისრაელს ევროკავშირის პოლიტიკის მიმართ კონფლიქტის და კრიზისების მოგვარების პროცესში და არის თუ არა ეფექტური არბიტრი ზოგადად ევროკავშირი ამ ერთ-ერთ ყველაზე გრძელვადიანი კონფლიქტის მოგვარებაში. ასევე საინტერესოა, თუ რატომ არის ასეთი აქტუალური ეს კონფლიქტი დასავლური ქვეყნებისთვის და რა ინტერესები ამომრავებთ მათ ამ კონფლიქტის მოგვარებაში? მიუხედავად იმისა, რომ თავად კონფლიქტის მოგვარების გზებზე ძალიან ბევრი საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტი მუშაობს და ბევრი ნაშრომიც გამოქვეყნებული, ეს ნაშრომი ცოტა სხვა კუთხით დაგვანახებს არბიტრების ჩართულობას პროცესებში. ამ ნაშრომის მიზანია გაარკვიოს თუ რა მიზეზების გამო დაკარგა ისრაელმა ევროკავშირის ნდობა და რა შედეგი გამოიღო კონკრეტულად ევროკავშირის ჩართულობამ კონფლიქტის მოგვარებაში და ხომ არ მოიტანა საპირისპირო შედეგი პალესტინისთვის გაწეულმა დახმარებამ ამ პროცესებში. ეს ნაშრომი ასევე შეეხება თუ რა ინსტრუმენტებს იყენებს ევროკავშირი კონფლიქტის მოგვარებისთვის და როგორია მისი დამოკიდებულება საზღვრებთან, იერუსალიმთან, ზოგად უსაფრთხოებასთან, პალესტინელ ლტოლვილებთან და ებრაულ დასახლებებთან დაკავშირებით. ასევე ვნახავთ თუ რა გავლენა იქონია ევროკავშირის სამმა ყველაზე მნიშვნელოვანმა, ვენეციის (1980), ბერლინის (1999) და სევილიის (2002) დეკლარაციამ კონფლიქტზე და რამდენად თანმიმდევრული იყო ევროკავშირის ჩართულობა ამ პროცესებში, როგორც მედიაციის ერთ-ერთი მხარის.

Annotation

The Israeli-Palestinian conflict can be considered as one of the most important and long-term challenges of modern system of international relations. It continues to be “alive” and involves more and more states in its conflict resolution process. The reason why I chose this conflict is the interest of why Israel has mistrust for EU policies in the process of resolving conflict and crisis and generally whether EU is an efficient mediator in solving this one of the most long-term conflict. It is also interesting why this conflict is up-to-date for the Western countries and what interests do they have in the solution of this conflict? Despite the fact that many international relations specialists have worked on the ways of conflict resolution and many research papers have been published, this work will be a little different in terms of involvement of mediators in this process. The aim of this paper is to find out why Israel lost trust for the EU and what effect does the EU's involvement in the settlement of the conflict have and also, did EU's aid to Palestine have the contradictory outcome for the peace process. This paper also deals with what instruments the European Union uses for conflict resolution and with its attitude towards borders, Jerusalem, general security, Palestinian refugees and Jewish settlements. We will also examine how the EU's three most important, Declarations of Venice (1980), Berlin (1999) and Seville (2002) were in conflict and how consistent was EU involvement in these processes as one of the mediators.

სარჩევი

შესავალი.....	4
საკვლევითი კითხვა.....	5
ჰიპოთეზა.....	5
ნაშრომში გამოყოფილი ცვლადები.....	5
მეთოდოლოგია.....	6
ლიტერატურის მიმოხილვა.....	10
ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მიმოხილვა.....	11
1.1. კემპ დევიდის შეთანხმება.....	14
1.2. მადრიდის კონფერენცია.....	16
1.3. ოსლოს შეთანხმება.....	18
2. ევროკავშირის ჩართვა კონფლიქტში.....	20
2.1. ვენეციის დეკლარაცია.....	22
2.2. პირველი ინტიფადა.....	25
2.3. მეორე ინტიფადა.....	25
2.4. სევილიის 2002 წლის დეკლარაცია.....	27
2.5. ევროკავშირის ხმელთაშუა ზღვის პარტნიორობა (EMP).....	30
3. ევროკავშირის ჩართვის გზები.....	33
3.1. იძულებითი.....	33
3.2. მასტიმულირებელი.....	34
3.3. დამაკავშირებელი.....	35
3.4. კონსტრუქციული.....	35
4. მიდგომების ეფექტურობა.....	37
5. მედიაცია.....	39
6. ევროკავშირის ხედვა.....	41
6.1. ევროკავშირის პოლიციის მისია პალესტინის ტერიტორიაზე.....	43
6.2. ევროკავშირის საზღვრის დაცვაში დახმარების მისია რაფაში.....	45
7. დასკვნა.....	49
8. ბიბლიოგრაფია.....	51

შესავალი

1948 წელს შეიქმნა ისრაელის სახელმწიფო, რამაც ბუნებრივად გააჩინა კონფლიქტიც პალესტინასა და მას შორის. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის პოზიცია, რომ კონფლიქტი უნდა დასრულებულიყო იყო ერთიანი, წლების განმავლობაში სხვადასხვა ევროპული სახელმწიფო სხვადასხვა რიტორიკით იყო განწყობილი ამ კონფლიქტის აღმოფხვრელად. ბოლო რამდენიმე წელიწადია, ევროკავშირის ქვეყნებმა გააცნობიერეს, რომ ერთიანი პოზიციისა და პოლიტიკის გარეშე შეუძლებელი იქნება ასეთი მასშტაბის კონფლიქტის აღმოფხვრა. როდესაც ვლადიმერ ვლადიმეროვი ისრაელ-პალესტინის კონფლიქტზე აუცილებელია განვსაზღვროთ კონკრეტულად რას ედავება ეს ორი აქტორი ერთმანეთს და რამდენად შეიძლება კონსესუსამდე მისვლა. აიელ ლევინის აზრით კონფლიქტი 6 ძირითად ერთეულზეა დამყარებული¹: (1) პალესტინის სახელმწიფოს ჩამოყალიბება, (2) პალესტინის სახელმწიფოს ადგილმდებარეობა, (3) ებრაული დასახლებების ევაკუაცია, (4) იერუსალიმის გაყოფა, (5) პალესტინის მეურვეობა ტაძრის მთაზე და (6) ლტოლვილების პრობლემა. სწორედ ამ ერთეულების გადაწყვეტა ვერ მოხერხდა უკვე 50 წელია ისე, რომ ორივე მხარე დაკმაყოფილებული იყოს. მაგრამ რა შუაშია ევროკავშირი და რამდენად რეალურია მისი პოლიტიკის წვლილი ამ კონფლიქტის მოგვარებაში? ² ევროკავშირის ინსტიტუტების ანგარიშებს თუ გადავხედავთ ძალიან რთული, კომპლექსური და ხშირ შემთხვევაში გაურკვეველიც კი დარჩება თუ რა პირდაპირი გავლენა იქონია მისმა ჩართულობამ ამ კონფლიქტზე, მაგრამ ამას თავისი მიზეზი აქვს. ევროკავშირის ინსტიტუტებს ურჩევნიათ გაიაზრონ ის კონკრეტული ქმედებები თუ ოპერაციები და ის პატარა ცვლილებაც კი აღწერონ რაც მოხდა 50 წლის განმავლობაში. ამიტომ მთლიანი სურათის დანახვა გაცილებით რთული ხდება. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ თავად კონფლიქტის მოგვარებაში და

¹ “The inevitable dead end of the Arab-Israeli conflict” - Eyal Lewin, Cogent Social Sciences, 2016 (p.1)

² “European Involvement in The Arab-Israeli Conflict” Edited by Esra Bulut Aymat Chaillot Papers | December 2010, p.17

მოლაპარაკებებში ევროკავშირის წვლილი მნიშვნელოვნად ჩარმოჩება ამერიკის შეერთებული შტატების წვლილს, რაც ისრაელის უნდობლობითაც აიხსნება. ევროკავშირი მეტ ყურადღებას უთმობს თავად იმ პრობლემებს, რაც პალესტინას და ისრაელს აქვთ, როგორც ქვეყანას.

საკვლევი კითხვა:

რა ფაქტორები განაპირობებს ევროკავშირის, როგორც ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის არბიტრის, უნდობლობას ისრაელის მხრიდან?

ჰიპოთეზა:

ვენეციის დეკლარაციაზე პალესტინის აღიარებამ, ევროკავშირის სანდოობა ეჭვქვეშ დააყენა ისრაელისთვის. ისრაელი ნებისმიერ ჩართულობას კონფლიქტის მოგვარებაში აღიქვამს როგორც პრო-პალესტინურ ქმედებას, ამიტომ თითქმის არ მიდის არანაირ დათმობაზე ევროკავშირთან. ევროკავშირის ეკონომიკური ბერკეტები კი ისრაელისთვის საკმაოდ სუსტია.

ნაშრომში გამოყოფილი ცვლადები:

დამოუკიდებელი ცვლადი - ისრაელ-ევროკავშირის ურთიერთობის გამოცდილება, პოლიტიკა და ვენეციის დეკლარაციაში ჩადებული გადაწყვეტილება.

დამოკიდებული ცვლადი - ისრაელის უნდობლობა ევროკავშირის მიმართ.

მეთოდოლოგია

ნაშრომში კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულია თვისებრივი კვლევა, კერძოდ, თვისებრივი კონტენტ-ანალიზი და პროცესის მიყოლის (Process Tracing) მეთოდი, რაც გულისხმობს კონფლიქტის მიმოხილვისა და ევროკავშირის დროის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა ჩართულობების ანალიზს. იმისათვის, რომ უკეთესად გავიგოთ თუ რატომ არის ევროკავშირის ჩართულობა კონფლიქტის მოგვარებაში არაეფექტური, გადავწყვიტე ჩემი კვლევა კონსტრუქტივისტულ თეორიულ ჩარჩოში მომექცია. ამიტომ გადავწყვიტე case study-ის პრინციპის გამოყენება, რაც გულისხმობდა იმ ოპერაციებისა თუ შეთანხმებების და დეკლარაციების შესწავლას, რასაც წლების განმავლობაში აწარმოებდა ევროკავშირი პალესტინასთან და ისრაელთან. ეს კონკრეტული შემთხვევა გვაჩვენებს, როგორ შეიძლება მიუხედავად დიდი ჩართულობისა, ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებით და ქმედებებით კონფლიქტის მოგვარების ეფექტურობის შემცირება. ასევე შევეცდები process tracing-ის მეთოდით გამოვკვეთო, რამ განაპირობა ისრაელის უნდობლობა ევროკავშირის, როგორც არბიტრის მიმართ ამ კონფლიქტში.

რაც შეეხება თავად თეორიას, კონსტრუქტივიზმი არის საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, რომელიც ამბობს, რომ საერთაშორისო რეალობა კონსტრუირებულია ისტორიულ და სოციალურ ასპექტებზე და არა ცალკეული ადამიანის ბუნებაზე, როგორც ამას სხვა საერთაშორისო ურთიერთობის თეორიები ამბობენ. ალექსანდერ უენდტი, რომელიც კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთ დამფუძნებელ მკვლევარად ითვლება ძალიან ნათელ მაგალითს გვაძლევს თუ რა არის კონსტრუქტივიზმი. ის ამბობს, რომ მაგალითად აშშ სრულიად სხვაგვარად აღიქვამს დიდი ბრიტანეთის 500 ბირთვულ იარაღს, ვიდრე ჩრდილოეთ კორეის მხოლოდ 5 ცალს.³ რა თქმა უნდა ჩრდილოეთ კორეისას

³ Introducing Constructivism in International Relations Theory, Sarina Theys, FEB 23 2018, webpage: <http://www.e-ir.info/2018/02/23/introducing-constructivism-in-international-relations-theory/>

საფრთხედ აღიქვამს, ხოლო დიდი ბრიტანეთის იარაღი მისთვის პარტნიორის ძლიერებაა. ეს ყველაფერი კი ისტორიის, გამოცდილებისა და სოციალური აგენტების ბრალია, რომელიც აკავშირებს აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეას.

კონსტრუქტივიზმის ძალიან კარგ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ბარი ლევინსტონის სატირული ფილმი “ძაღლის კუდის ქიციანი”, სადაც ნათლად ჩანს როგორ შეუძლია მედიას და თუნდაც სახელმწიფოს შექმნას სრულიად ახალი რეალობა. ფილმში აშშ-ის პრეზიდენტი სექსუალურ სკანდალში ეხვევა. ამის გასანეიტრალებლად იმახებენ ე.წ. სპინ დოქტორს, კონრად ბრინს, რომლის მოვალეობაცაა საზოგადოებას გადაატანინოს ყურადღება სკანდალიდან ნებისმიერ სხვა რამეზე. კონრადი ჰოლივუდის ცნობილ პროდუსერთან ერთად მოიფიქრებს არარეალურ ამბავს, რომელსაც მთელი ქვეყანა დაუჯერებს. არარეალური ამბავი კი ალბანეთთან ომის წამოწყებაა, რომელსაც მარკეტინგულად ისე ფუთავენ, რომ ეჭვი უკვე აღარავის ეპარება, რომ ეს სიმართლეა.

კონსტრუქტივიზმი ასევე ეხება ჩვენი საკითხისთვის მნიშვნელოვან თემებსაც, როგორცაა იდენტობა და ინტერესები. სახელმწიფოებს შეიძლება ქონდეთ მრავალი იდენტობა და ინტერესი, და ეს დამოკიდებული იმაზე თუ ვინაა ე.წ. მეორე აქტორი. დიდი სახელმწიფოების ინტერესები განსხვავდება პატარა სახელმწიფოს ინტერესებისგან. დიდი ქვეყნები ცდილობენ თავიანთი ინტერესები გლობალურად გაატარონ და რაც შეიძლება მეტი ბერკეტი ჰქონდეთ სხვა ქვეყნებზე ზეგავლენის მოსახდენად. პატარა ქვეყნების ძირითადი საფიქრალი კი თვითგადარჩენაა, რომელიც შეიძლება მიტმასნებით ან ალიანსების შექმნით მოახერხოს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია რაიმე კონკრეტულმა შემთხვევამ ან ისტორიულმა გამოცდილებამ შეცვალოს ქვეყნის იდენტობა. მაგალითად, როგორც სარინა თეი (2018) სტატიაში გერმანიას ახსენებს, რომელმაც ნაცისტური წარსულის გამო დადგა არა მილიტარისტული სახელმწიფო, არამედ პაციფისტური.

სხვადასხვა ქმედებები, კავშირები და აღქმები ქმნიან რეალობას. ეს არის კონსტრუქტივიზმის ძალიან ლაკონური განმარტება. ნებისმიერმა ქმედებამ, იგივე დამოუკიდებელმა ცვლადმა, შეიძლება გამოიწვიოს ჯაჭვური რეაქციები და შექმნას სრულიად ახალი რეალობა.

ვენეციის დეკლარაციამ, რომლის შესახებაც მოგვიანებით უფრო დეტალურად ვისაუბრებ, შეცვალა ისრაელის დამოკიდებულება ევროკავშირის სანდოობის მიმართ. ვგულისხმობ, რომ ისრაელმა ევროკავშირის გადაწყვეტილება, ელიარებინა პალესტინა, როგორც კონფლიქტის მხარე და პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაცია, როგორც პალესტინის ოფიციალური წარმომადგენელი მოლაპარაკებებში, აღიქვა როგორც პრო-პალესტინური ნაბიჯი. ამან კი ევროკავშირის ლეგიტიმურობა კონფლიქტის მოგვარების პროცესში ეჭვქვეშ დააყენა. სწორედ ეს ეჭვი ხდის ევროკავშირის პოლიტიკას რეგიონში არაეფექტურს. სამაგიეროდ პალესტინისთვის ევროკავშირი გულითადი პარტნიორია, რომელიც ფინანსურად და ინსტიტუციურად ცდილობს პალესტინის განვითარებას. ისრაელს არც ორი სახელმწიფოს იდეა მოწონს და არც ის, რომ ევროკავშირი ოკუპირებული ტერიტორიების დატოვებას თხოვს. ისრაელში ბევრი ფიქრობს, რომ ევროკავშირი მიკერძოებულია. სწორედ ამ სოციალურმა ქმედებებმა და დამოუკიდებელმა ცვლადებმა (ევროკავშირის გადაწყვეტილება ვენეციის დეკლარაციაში და პალესტინისთვის დახმარებების გაწევა) იმოქმედეს დამოკიდებულ ცვლადზე (ისრაელის განწყობები, რაც თავის მხრივ კონფლიქტის მოგვარებას უშლის ხელს).

კონსტრუქტივიზმი თავად ევროკავშირის ქმედებების ახსნაშიც გვეხმარება. ევროკავშირი ცდილობს, რომ მისთვის მიღებული ნორმები, წესები და სახელმწიფოს მშენებლობის პრინციპები დანერგოს ორივე სახელმწიფოში, განსაკუთრებით კი პალესტინაში. ევროკავშირი ასევე ცდილობს ეკონომიკური სარგებლით „შეიტყუოს“ სახელმწიფოები და გააკეთებინოს ის, რაც მისთვის იქნება მომგებიანი. თუმცა ამისათვის ბერკეტი ძლიერი უნდა იყოს. პალესტინისთვის ეს ბერკეტი ის უდიდესი ფინანსური დახმარებაა, რასაც

ევროკავშირისგან იღებს ყოველწლიურად. რაც შეეხება ისრაელს, ეს ბერკეტები მასზე დიდად არ მოქმედებს ორი მიზეზის გამო. პირველი, ისაა, რომ მისი ექსპორტი ევროკავშირში არც ისეთი მაღალია, როგორც იმპორტი, ამიტომ ევროკავშირი აქეთაა დამოკიდებული ისრაელზე და არა პირიქით. მეორე არის ძალიან ძლიერი ზურგი, რომელიც ისრაელს აშშ-ის სახით ჰყავს. ისრაელისთვის აშშ მთავარი სტრატეგიული პარტნიორია და ამიტომაც კონფლიქტის მოგვარების პროცესში ყოველთვის ურჩევნია, რომ ისიც იყოს ჩართული.

ლიტერატურის მიმოხილვა

ეს ნაშრომი მოიცავს რამოდენიმე აკადემიურ გამოცემას და სტატიას, თუმცა მნიშვნელობის მიხედვით განსაკუთრებით ორი მათგანი იქცევა მკითხველის ყურადღებას.

პირველი არის ბენ გურიონის უნივერსიტეტის პოლიტიკის მიმართულების კვლევა⁴, რომლის მიზანია ევროპული ინტეგრაციისა და ევროკავშირის როლის დადგენა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში. ავტორები ჰაიმ იაკობი და დევიდ ნიუმანი მკითხველს თავაზობს ევროკავშირის 4 ტიპის მიდგომას კონფლიქტის მოგვარების პროცესში. ესენია: მასტიმულირებელი, იძულებითი, დამაკავშირებელი და კონსტრუქციული. ეს მიდგომები გვაჩვენებს რამდენად მრავალმხრივია ევროკავშირის ჩართულობა მშვიდობის პროცესებში, თუმცა ამ მიდგომების განხილვითვე ვხვდებით, რომ ევროკავშირის ეფექტურობა არც თუ ისე მაღალია ამ რეგიონში მშვიდობის დამყარებაში.

მეორე მნიშვნელოვანი კვლევა არის ეზრა ბულუტ აიმათის რედაქტირებით გაერთიანებული ევროკავშირის უსაფრთხოების კვლევების ინსტიტუტის სხვადასხვა ავტორის სტატიების კრებული ევროკავშირის ამ კონფლიქტში ჩართულობასთან დაკავშირებით.⁵ სტატიები მრავალფეროვანია და განსხვავებული კუთხით ხედავს ევროკავშირის ურთიერთობებს პალესტინასთან და ისრაელთან.

და ბოლოს რა თქმა უნდა ყველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურა, რაც დამეხმარა კვლევის ჩატარებაში ის ანგარიშებია, რაც გამოიცემოდა თვითოეული მოლაპარაკებების შემდეგ. ეს დოკუმენტები მოიცავს კემპ-დევიდის შეთანხმებას, ვენეციის დეკლარაციას, ოსლოს ხელშეკრულებებს და ა.შ. სწორედ ეს ანგარიშები გვაძლევს წარმოდგენას თუ რამდენად ჩართული იყო ევროპა ამ კონფლიქტის მოგვარებაში და რამდენადაა ახლა ჩართული.

⁴ EU Border Conflicts Studies, The Role of the EU in the Israel\Palestine Conflict - David Newman and Haim Yacobi, Department of Politics and Government, Ben Gurion University, Beer Sheva, Israel, 2004

⁵ European Involvement in the Arab-Israeli Conflict - edited by Esra Bulut Aymat Chaillot Papers, December 2010

1. ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მიმოხილვა

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის ნიშნები ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს უნდა ვეძებოთ. სიონიზმის წარმოშობასთან და გაძლიერებასთან ერთად დაიწყო ებრაელების იმიგრაცია, რომლებიც რუსულ, გერმანულ და აღმოსავლეთ ევროპის ანტისემიტიზმს გაურბოდნენ და პალესტინის ტერიტორიაზე დასახლდნენ.

1917 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს, დიდი ბრიტანეთის იმპერიამ დაიპყრო ოსმალთა იმპერიის ტერიტორია, პალესტინა. იმავე წლის 2 ნოემბერს კი გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომლითაც ებრაელებს პირდებოდა ამ ტერიტორიაზე მათი “ეროვნული კერის” ჩამოყალიბებას. პირველად ამის საპირისპიოდ, 1919 წელს პალესტინელები გამოდიან იერუსალიმის კონგრესზე. 1922 წელს ერთა ლიგა ახორციელებს ამ მანდატს პალესტინაში და მომავალ ისრაელს აყალიბებს, რომელიც ებრაელების “საერთო სახლის” ჩამოყალიბებას გულისხმობს.

1936-1939 წლებში კი დიდი არაბული რევოლუცია დაიწყო, რომელიც პალესტინელმა არაბებმა წამოიწყეს ბრიტანული ადმინისტრაციის და მისი მანდატის წინააღმდეგ, ითხოვდნენ არაბთა დამოუკიდებლობას და ებრაული მოსახლეობის მიგრაციის შეწყვეტას.

1947 წლის ნოემბერში, გაეროს 181-ე რეზოლუციის მიხედვით⁶, პალესტინა გაიყო ორ, არაბულ და ებრაულ, სახელმწიფოებად. ამ დოკუმენტის მიხედვით, იერუსალიმი უნდა ყოფილიყო *Corpus Separatum* გაეროს ადმინისტრირებისა და განსაკუთრებული საერთაშორისო რეჟიმის ქვეშ.

1948 წლის 14 მაისს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ისრაელის სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო მეტი ებრაელის მიგრაცია გამოიწვია, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთ

⁶ Security Council Report – Middle East, A/RES/181 (II), Overview of General Assembly Document. The General Assembly Partition Plan for the British Mandate of Palestine.

სახელმწიფოში დასახლებულიყვნენ. არაბულმა საზოგადოებამ ეს გადაწყვეტილება არც თუ ისე კარგად მიიღო. ამის ერთ-ერთ მიზეზად ლევან ღირსიაშვილი თავის სტატიაში “ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი: ორი ერი, ერთი მიწა”⁷ “ისრაელის დამოუკიდებლობის დეკლარაციის” მიღებას ასახელებს და ამბობს, რომ ამ დეკლარაციის სიონისტურმა განწყობამ არაბული საზოგადოება ერთგავარად შეაშინა, რადგან ეს დოკუმენტი მოუწოდებდა ყველა ებრაელს დაბრუნებულიყო “აღთქმულ მიწაზე”, რაც ებრაული მოსახლეობის ზრდას და პალესტინელი ებრაელების შევიწროვებას გამოიწვევდა.

ამას დაემატა ის ფაქტიც, რომ ებრაელებმა აღმოსავლეთ იერუსალიმიც დაიკავეს, რითაც მუსლიმანებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, ალ-აქსას მეჩეთი, ებრაულ მხარის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. ამ ფაქტმა 15 თვიანი ომი გამოიწვია არაბულ სახელმწიფოებთან (ეგვიპტის, ლიბანის, სირიის და ერაყის სამხედრო დანაყოფები). და მიუხედავად უკვე ისრაელის მცდელობებისა მოლაპარაკებები ეწარმოებინა არაბულ სახელმწიფოებთან, ერაყის უარი ცეცხლის შესახებ შეწყვეტის შეთანხმებაზე სიტუაციას კიდევ უფრო ძაბავდა.

1964 წელს, პალესტინის ეროვნული საბჭოს პირველ სხდომაზე ყალიბდება პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაცია (PLO – Palestine Liberation Organization), რომლის მიზანიც პალესტინის გაათავისუფლება და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება იყო.

1967 წელს უკვე ეგვიპტემ წამოიწყო ომი ისრაელთან. სინაის კუნძულიდან გაეროს ქვედანაყოფები ეგვიპტის არმიამ გააძევა და თვითონ გაიმყარა პოზიციები ამ ადგილას. ისრაელი კონტრიერიმზე წავიდა და როგორც სინაის

⁷ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი: ორი ერი, ერთი მიწა. ლევან ღირსიაშვილი. პოლიტიკური კვლევების ცენტრი. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკა. ვებსაიტი: <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0periodika--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-OutfZz-8-00&cl=CL2.6&d=HASH98259c57e5bfd4193446f4.5>=1>

ნახევარკუნძული, ღაზას სექტორი და ასევე მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროც დაიქვემდებარა. მაგრამ ისრაელი ისევ წავიდა მოლაპარაკებებზე და მაინც 1968 წელს ომი განახლდა. 1970-იანი წლების დასაწყისში ვითარება კიდევ უფრო იძაბებოდა მიუხედავად აშშ-ის მოლაპარაკებებში ჩართულობისა. 1973 წელს კი როგორც იქნა ხელი მოეწერა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. არაბულ-ებრაულ კონფლიქტის როგორც დაწყებაში, ისე დასრულებაში დიდი როლი შეიტანა ეგვიპტემ, რომელმაც 1978 წელს კემპ დევიდში ხელი მოაწერა შეთანხმებას მშვიდობის შესახებ.

რამდენადაც კემპ დევიდის შეთანხმებამ გაითვალისწინა ეგვიპტე-ისრაელის ინტერესები, ამ შეთანხმების მიღმა მაინც დარჩა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც ისრაელის მიერ მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს, ღაზას სექტორისა და გოლანის მაღლობების ოკუპაცია იყო. გაეროს 181-ე რეზოლუციის საპირისპიროდ, რაც 2 სახელმწიფოს თანაარსებობას გულისხმობდა და კემპ დევიდის შეთანხმებით, პალესტინა უბრალოდ ისრაელის ავტონომიური ერთეული ხდებოდა. მაგრამ კემპ დევიდის შეთანხმება ამითი არ დასრულებულა და 1978 წლის 17 სექტემბერს მას კიდევ ოთხი პუნქტი დაემატა, რაც გულისხმობდა:

1. სამარიაში, ღაზას სექტორსა და იუდეაში თავისუფალი არჩევნების ჩატარებას;
2. ისრაელსა და არაბულ სახელმწიფოებს შორის მშვიდობის დადგომა;
3. ეგვიპტესთან ურთიერთობის დალაგება და შემდეგ ამ ურთიერთობის გამყარება;
4. პალესტინელი ლტოლვილების დაბრუნების მიზნით ყველანაირი ძალისხმევის გამონახვა.⁸

⁸ Camp David Accords; September 17, 1978 – Yale Law School, Lilian Goldman Law Library; The Avalon Project - Documents in Law, History and Diplomacy. Webpage: http://avalon.law.yale.edu/20th_century/campdav.asp

1.1. კემპ დევიდის შეთანხმება

1978 წელს 12 დღიანი საიდუმლო მოლაპარაკებების შემდეგ ეგვიპტის პრეზიდენტმა ანვარ სადათმა და ისრაელის პრემიერ მინისტრმა მენახემ ბეგინმა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯიმი კარტერის თვალწინ ხელი მოაწერეს მშვიდობის შესახებ შეთანხმებას კემპ დევიდში. თუმცა მხოლოდ 1979 წელს ხელმოწერილი შეთანხმება აღიარა გაერომ, რადგან პირველი შეთანხმება, რომელიც პალესტინის ტერიტორიებს ეხებოდა, პალესტინის წარმომადგენლების გარეშე ჩატარდა. ეს იყო პირველი ეგვიპტე-ისრაელის სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელმაც წერტილი დაუსვა ომს ორ ქვეყანას შორის და დასაბამი დაუდო მათ დიპლომატიურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს.

დოკუმენტის თანახმად, ისრაელს 1982 წლამდე უნდა გაეთავისუფლებინა სინაის ნახევარკუნძული და მომხდარიყო სამხედრო ძალების გაყვანა ამ ტერიტორიიდან, შედეგ კი იქ გაეროს ჯარები უნდა განლაგებულიყო. ისრაელს ასევე უნდა ელიარებინა პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უფლება. სანამ ეს პრობლემა გადაიჭრებოდა კი ისრაელი მათ ავტონომიას მიცემდა. პალესტინის შესახებ დოკუმენტი რამდენიმე პუნქტს ითვალისწინებდა:

- გაეროს უშიშროების საბჭოს 242 რეზოლუციის გამოყენება ღაზას სექტორსა და დასავლეთ სანაპიროზე მოლაპარაკებების წარმოებაში.
- პალესტინელების უფლების აღიარება აერჩიათ საკუთარი თავისთვის შემდგომი მმართველობის ფორმა, რასაც პალესტინელები იგებენ ხოლმე, როგორც მათ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ოფიციალურად აღიარებას.
- მხარეების მხრიდან აღიარება იმისა, რომ საჭირო იყო ძლიერი პალესტინური პოლიციის შექმნა, რომელიც პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაციისთვის და ჰამასისთვის საკუთარი შეიარაღებული ძალების სამართლებრივ საფუძვლად იქცა. ორივე ორგანიზაცია ცდილობდა ამ გზით ლეგიტიმაციის მოპოვებას.
- შეთანხმებას ხელი მოაწერა ეგვიპტის პრეზიდენტმა, ისრაელის პრემიერ მინისტრმა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა. ეს

უკანასკნელი გახდა შეთანხმების შესრულების მოწმე და გარანტი, ხოლო ხელშეკრულებამ სამართლებრივად გაამყარა აშშ-ის როლი არაბულ-ებრაული კონფლიქტის მოგვარების პროცესში.

ისრაელ-ეგვიპტის საზღვრები ისევ 1948 წლის საზღვრები გახდა. მხოლოდ ღაზას სექტორი დარჩა კვლავ ისრაელის კონტროლის ქვეშ. ამ შეთანხმების შემდეგ, პირველმა ეგვიპტემ ცნო არაბული ქვეყნებიდან ისრაელი როგორც სუვერენული სახელმწიფო და დიპლომატიური ურთიერთობები გაჩნდა. თუმცა არაბულმა ქვეყნებმა ეს შეთანხმება არ მიიღეს და ანვარ სადათი მოკლეს, ხოლო ეგვიპტე გარიცხეს არაბული ქვეყნების ლიგიდან. კემპ დევიდის შეთანხმება იყო მშვიდობის დამყარების პირველი მცდელობა ახლო აღმოსავლეთში.

1.2. მადრიდის კონფერენცია

1989 წელს აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ჰერბერტ ბუში გახდა, რომელმაც გადაწყვიტა ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის გავლენის გაზრდა და ამ რეგიონზე კონტროლის მოპოვება. გრეგორი ჰარმსი და ტოდ ფერი თვლიან, რომ ამ დროისთვის აშშ-ის წინაშე უნიკალური გარემოებები იყო, კერძოდ კი:

- “აშშ იყო ერთადერთი მოთამაშე რეგიონში;
- მან შეკრიბა ისეთი არაბული ქვეყნები, რომლებიც მზად იყვნენ ეთანამშრომლათ და ამერიკული კოალიციის მხარესაც იყვნენ სპარსეთის ყურის ომში;
- ყოფილ საბჭოთა კავშირის მომხრეები, როგორც იყო სირია, ერაყი, და ლიბია, მთავარი მოკავშირის გარეშე დარჩნენ;
- ისრაელის იდეა, როგორც აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი, ახლა განიხილებოდა⁹

1991 წელს ესპანეთმა უმასპინძლა აშშ-ის მიერ დაფინანსებულ კონფერენციას, რომელიც მიზნად ისახავდა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოლაპარაკებებით მოგვარების მცდელობას. კონფერენციას უძღვებოდა თავად ბუში და ბეიკერი გორბაჩოვთან ერთად. ამ კონფერენციაში ჩართულები იყვნენ იორდანია, სირია და ლიბანიც. გაიმართა ორმხრივი მოლაპარაკებები ებრაულ და იორდანიულ-პალესტინურ დელეგაციებს და ლიბანსა და სირიას შორის. ამას მოყვა შეხვედრები ვაშინგტონში. 1992 წელს კი მრავალმხრივი მოლაპარაკებები გაგრძელდა მოსკოვში რეგიონალურ თანამშრომლობასთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეობდა ისრაელი, იორდანიულ-პალესტინური დელეგაცია და საერთაშორისო საზოგადოება. თუმცა ამ შეხვედრებს აღარ ესწრებოდა ლიბანი და სირია.

რაც შეეხება თავად მიღწევებს რაც ამ კონფერენციას ქონდა. ფერი და ჰარმსი თვლიან, რომ ამ კონფერენციას გაცილებით დიდი სიმბოლური მნიშვნელობა

⁹ The Palestine–Israel Conflict A Basic Introduction, Fourth Edition, Gregory Harms with Todd M. Ferry. Page 150

ჰქონდა, ვიდრე რაიმე მიღწევა კონფლიქტის აღმოფხვრაში. მათი აზრით, ეს იყო პრეცედენტი, რომელიც შექმნეს მონაწილე სახელმწიფოებმა მხოლოდ იმით, რომ პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ისრაელი და პალესტინა ღია დიალოგის სახით შეხვდნენ ერთმანეთს.

ევროკომისიის 1998 წლის პრეს რელიზის მიხედვით,¹⁰ ახლო აღმოსავლეთის ამ სამშვიდობო პროცესმა, რომელიც ამ კონფერენციაზე დაიწყო ასევე დიდი იმედები დასახა, რომ ისრაელსა და მის არაბულ მეზობლებს შორის შესაძლებელი იყო სამართლიანი და გრძელვადიანი მშვიდობის დამყარება. მიუხედავად იმისა, რომ ამ კონფერენცია ამ გამოიღო სწრაფი შედეგი, ორმხრივი აღიარება და პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყება ისრაელსა და პალესტინის გამათავისუფლებელ ორგანიზაციას შორის ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ამან გამოიწვია სამშვიდობო პროცესის დაწყება რეგიონულ დონეზე. ისრაელმა და იორდანამ ხელი მოაწერეს სამშვიდობო შეთანხმებას და ჩამოყალიბდა პალესტინის ხელისუფლება

რაც შეეხება ევროკავშირის ჩართულობას, მან უზრუნველყო ეკონომიურად ეს სამშვიდობო პროცესი დიდი საერთაშორისო პროგრამის დახმარებით: 1,680 მილიონი ევროს დონაციით მხოლოდ 1993-97 წლებისთვის. პარალელურად, ევროკავშირმა შეინარჩუნა მისი დამატებითი პოლიტიკური როლი.

¹⁰ The Role of the European Union in the Middle East Peace Process and Its Future Assistance, Brussels, 16 January 1998, European Commission Press Release

1.3. ოსლოს შეთანხმება

ოსლოს შეთანხმებები ორი ნაწილისგან შედგება და გულისხმობს ისრაელის სახელმწიფოსა და პალესტინის გამათავისუფლებელ ორგანიზაციას შორის დადებულ შეთანხმებებს¹¹. პირველი შეთანხმება დაიდო ვაშინგტონში 1993 წლის სექტემბერში, ხოლო მეორე შეთანხმება ეგვიპტეში, კერძოდ კი ქალაქ ტაბაში დაიდო. ოსლოს შეთანხმებებმა საფუძველი ჩაუყარა მშვიდობის პროცესს, რომლის მიზანიც იყო გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული 242-ე და 338-ე რეზოლუციებზე დაყრდნობით მშვიდობის შესახებ შეთანხმების მიღწევა და პალესტინელებისთვის თვითგამორკვევის უფლების გამოყენების საშუალების მიცემა.

ამ შეთანხმების სახელი უკავშირდება იმ გასაიდუმლოებულ მოლაპარაკებებს, რომელიც ოსლოში ჩატარდა. მთავარი მონაპოვარი ამ მოლაპარაკებებისა იყო ის, რომ ისრაელმა აღიარა პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაცია როგორც პალესტინელი ხალხის ოფიციალური წარმომადგენელი და მომლაპარაკებელი და პალესტინის გამათავისუფლებელმა ორგანიზაციამ აღიარა ისრაელი, როგორც სახელმწიფო. შეთანხმება გულისხმობდა ისრაელის სამხედრო ძალის გამოსვლას ღაზას სექტორიდან და დასავლეთ სანაპიროდან და პალესტინის თვითმმართველობის უფლების აღიარებას ამ ტერიტორიებზე.

ოსლოს შეთანხმება 2 ნაწილისგან შედგება. პირველი როგორც უკვე ვთქვი ურთიერთაღიარების წერილებია, ხოლო მეორე მოიცავს პრინციპების დეკლარაციას, რაც ერთგვარი მომავალი საკითხების განხილვის გეგმა იყო. შეთანხმებაში შესული იყო იერიქონისა და ღაზას სექტორის ავტონომიად გადაქცევა, ასევე პალესტინის ადმინისტრაციისა და პოლიციის ჩამოყალიბება, პალესტინური საბჭოსა და თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირის არჩევისთვის არჩევნების დანიშვნა; პალესტინელებს ასევე დამოუკიდებლობა სურდათ ტურიზმის, განათლების, კულტურის, შემოსავლებისა, ჯანდაცვის საკითხებში. მაგრამ იცხაკ რაბინის მკვლელობას ეს სამშვიდობო პროცესი

¹¹ The Oslo Accords and the Arab-Israeli Peace Process, MILESTONES: 1993–2000, 2016, Webpage: <https://history.state.gov/milestones>

ფაქტიურად ჩაშალა. ამას დაერთო ისიც, რომ ისრაელს აღარ ემუქრებოდა საფრთხე იორდანიიდან და სირიიდან და პალესტინა ფაქტიურად მარტო დარჩა, რის გამოც პროცესმა სახელი იცვალა და გახდა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი და არა არაბულ-ებრაული კონფლიქტი.

1995 წელს ისევ მოხდა მოლაპარაკებების წამოწყება ამ ფორმატში, რომელსაც ტაბას მოლაპარაკებებსაც ეძახიან. ამ მოლაპარაკებებზე საუბარი იყო დასავლეთ სანაპიროს კონტროლის გადანაწილება ებრაელებსა და პალესტინელებს შორის. დასავლეთ სანაპირო 3 ნაწილად დაიყო, რომელიც შემდეგნაირად უნდა გადაცემოდა პალესტინას:

- ზონა A: დასავლეთ სანაპიროს 3 პროცენტი პალესტინის კონტროლის ქვეშ, რომელიც მოიცავდა ძირითად ქალაქებს: ბეთლემი, ჯენინი, ნაბლუსი, რამალა, ქალქილია, თულკარმი, იერიქონი და ჰებრონი.
- ზონა B: დასავლეთ სანაპიროს 24 პროცენტი ებრაულ-პალესტინური კონტროლის ქვეშ, რომელშიც 450 სოფელი და ქალაქი შედიოდა;
- ზონა C: დასავლეთ სანაპიროს 73 პროცენტი ისრაელის კონტროლის ქვეშ (მათ შორის იერუსალიმი, სამხედრო ბაზები, სახელმწიფო მიწები, ებრაული დასახლებები და ა.შ.

ამ გადანაწილებამ არაერთგვაროვანი შეფასება იქონია ორივე მხარეს. განსაკუთრებით მწვავე აღმოჩნდა ებრაელების რეაქციაც, რომლებიც იმდენად უკმაყოფილონი იყვნენ მოლაპარაკებების შედეგებით, რომ 1995 წელს იცხაკ რაბინი ახალგაზრდა ებრაელმა სამართლის სტუდენტმა მოკლა, რათა „დაეცვა ისრაელი რაბინის მავნებლური პოლიტიკისგან, რომელიც ცდილობდა მიწების გადაცემას პალესტინელებისთვის.“¹²

¹² The Palestine–Israel Conflict - A Basic Introduction, Fourth Edition by Gregory Harms with Todd M. Ferry, page 157

2. ევროკავშირის ჩართვა კონფლიქტში

იმისათვის, რომ გავიგოთ რა გავლენა იქონია ევროკავშირმა კონფლიქტის მოგვარებაზე და როგორია მისი პოლიტიკა რეგიონში, აუცილებელია იმის გარკვევა რა დამოკიდებულება ქონდა ისრაელს და პალესტინას ევროპულ საზოგადოებასთან.

ჰაიმ იაკობი და დევიდ ნიუმანი, თავის სტატიაში “ევროკავშირი და ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი”, განიხილავენ თუ როგორ აღიქვამდნენ ებრაელები და პალესტინელები ევროპას. ებრაელებისთვის ევროპა იყო ადგილი სადაც მოხდა ჰოლოკოსტი. ისრაელის ჩამოყალიბებისას, ებრაელები სახელმწიფოს აყალიბებდნენ ევროპული სახელმწიფოს პრინციპებზე, რადგან მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სწორედ ევროპელი ებრაელების შთამომავლები იყვნენ. მეორე მხრივ, პალესტინელებისთვის ევროპა იყო იმედის მომცემი ძალა, რომელიც შეიძლება აშშ-ის საპირწონე ძალა გამხდარიყო მათი უფლებების დაცვაში.¹³

ევროპის სხვადასხვა ქვეყანა რა თქმა უნდა სხვადასხვა დოზით იყო ჩართული ამ კონფლიქტში. მაგალითად დიდი ბრიტანეთის ინტერესები ამ რეგიონში გაცილებით დიდი იყო, რადგან ოსმალთა იმპერიის დაშლისტანავე ეს ტერიტორია ბრიტანული კოლონიის ნაწილი გახდა 1948 წლამდე. და ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგაც ევროპა ცდილობდა ჩართულიყო და ზეგავლენა მოეხდინა იქ განვითარებულ მოვლენებზე. ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პირველ წლებში ისრაელი განსაკუთრებული სიფრთხილით ურთიერთობდა გერმანიასთან და დიდ ბრიტანეთთან რადგან დიდი ბრიტანეთი ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბების წინააღმდეგი იყო, ხოლო გერმანია ჰოლოკოსტის მთავარი მიზეზი გახლდათ. ევროპაში 1960-იან წლებამდე ისრაელის მთავარი საყრდენი მაინც საფრანგეთი იყო, რაც საფრანგეთის მიერ დიმიონას ატომური რეაქტორის მშენებლობაში დახმარებაშიც გამოიხატა.¹⁴

¹³ “The EU and The Israel-Palestine Conflict” – Haim Yacobi and David Newman, page180.

¹⁴ “The EU and The Israel-Palestine Conflict” – Haim Yacobi and David Newman, page181.

1960-იანი წლებიდან შეიცვალა დამოკიდებულება დასავლეთ გერმანიის მიმართ. 1965 წელს ჩამოყალიბდა დიპლომატიური ურთიერთობები ისრაელსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის. ამისი მთავარი მიზეზი 1950-იანი წლებიდან დაწყებული რეპარაციების შეთანხმება იყო. კონრად ადენაუერმა და დავიდ ბენ გურიონმა მიიღეს გადაწყვეტილება შერიგებულიყვნენ და საფუძველი ჩაეყარათ მომავალი პარტნიორობისთვის. დღეს კი გერმანია ისრაელისთვის აშშ-ის შემდეგ პირველი სავაჭრო პარტნიორია.

ევროკავშირის ქვეყნების ნაწილის და ისრაელის ურთიერთობები 1967 წლის 6 დღიანი ომის შემდეგ გაუარესდა. მაგრამ მკვეთრად გამოვლინდა ეს ყველაფერი ომ-ქიფურის ომის შემდეგ უფრო მკვეთრად გამოიხატა. ომ-ქიფურის ომის შემდეგ ნავთობის ექსპორტიორ სახელმწიფოთა ორგანიზაციამ დააწესა ემბარგო ნავთობზე იმ ქვეყნებისთვის, რომელიც მხარს უჭერდა ისრაელს ომის დროს. ემბარგო მიმართული იყო კანადისკენ, იაპონიისკენ, ნიდერლანდებისკენ, დიდი ბრიტანეთისკენ და აშშ-სკენ. სწორედ ეს ემბარგო გახდა ბერკეტი ევროპის წინააღმდეგ და ამით “ოპეკი” (ნავთობის ექსპორტიორი სახელმწიფოების ორგანიზაცია) უბიძგებდა ევროპულ სახელმწიფოებს მეტი ყურადღება მიექციათ კონფლიქტისთვის და ჩართულიყვნენ მასში. ამ მოვლენებმა კიდევ უფრო გააძლიერა პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაციის პოზიცია და საერთაშორისო პოლიტიკურ სცენაზეც უკვე არიქმებოდა როგორც პალესტინელი ხალხის სრულიად ლეგიტიმური წარმომადგენელი. ევროპული საზოგადოების ვექტორიც ნელ-ნელა ისრაელიდან პალესტინისკენ გადაიწია და სწორედ ევროპა გახდა ის აქტორი, რომელიც მხარს უჭერდა პალესტინის თვითგამორკვევის იდეას.

2.1. ვენეციის დეკლარაცია

1980 წელს ევროპული თანამეგობრობის 9 წევრმა (ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, დანიის სამეფო, ირლანდიის რესპუბლიკა და გაერთიანებული სამეფო) მიიღო ვენეციის დეკლარაცია, რომელიც 11 პუნქტისგან შედგებოდა. დეკლარაციის მთავარი დასკვნები შემდეგი იყო:¹⁵

- შექმნილი სიტუაცია დიდ საფრთხეს უქმნის რეგიონში მშვიდობის შენარცუნებას, ამიტომ აუცილებელია კიდევ უფრო მეტად ჩაერთონ კომპლექსური გადაწყვეტილების მონახვის პროცესში;
- ევროპული თანამეგობრობა თვლიდა, რომ დადგა დრო მომხდარიყო ყველა სახელმწიფოს არიარების დრო. რომელსაც ჰქონდა არსებობის უფლება, როგორც იყო მაგალითად ისრაელი, და იყო დრო დამდგარიყო სამართალი ყველა ხალხისთვის, მათ შორის პალესტინელი ხალხისთვისაც.
- ყველა სახელმწიფოს ამ რეგიონში უნდა ცხოვრობდეს მშვიდად დაცული, აღიარებული და გარანტირებული საზღვრებით. ხოლო მშვიდობის დამყარებისთვის და საჭირო გარანტიები უნდა უზრუნველჰყოს გაერომ უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების და სხვა ყოველმხრივ შეთანხმებული რეგულაციების საფუძველზე. ამის განსახორციელებლად კი 9 სახელმწიფო მზად იყო ჩართულიყო მშვიდობის დამყარებისთვის ბრძოლაში.
- დეკლარაციაში ნათქვამია, რომ აუცილებელია პალესტინის პრობლემის მოგვარება, რაც არ გულისხმობს უბრალოდ ლტოლვილები პრობლემას. მშვიდობის დამყარების პროცესმა სრულად უნდა უზრუნველყოს პალესტინის თვითგამორკვევის უფლება.
- ამ მიზნების მისაღწევად კი ევროპული თანამეგობრობა თვლიდა, რომ აუცილებელი იყო ყველა მხარის ჩართულობა იმ პრინციპების

¹⁵ Venice European Council Declaration - EEAS, June 13, 1980

გათვალისწინებით რაზეც ზემოთ იყო ლაპარაკი. ეს პრინციპები დეკლარაციით ეხება პალესტინელ ხალხსა და პალესტინისა გამათავისუფლებელ ორგანიზაციას, რომელიც პალესტინელების წარმომადგენელია მოლაპარაკებების პროცესში.

- ცხრავე ქვეყანა აღიარებდა და ხვდებოდა იერუსალიმის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ყველა მხარისთვის. ამიტომ თანამეგობრობა აცხადებდა, რომ არ მიემხრობოდა არცერთ ცალმხრივ გადაწყვეტას თუ ყველა მხარეს არ ექნებოდა სამუალება წმინდა ადგილების მონახულებისა.
- თანამეგობრობა ხაზს უსვამდა ისრაელის მიერ 1967 წლის შემდეგ ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლების მნიშვნელობას და თვლიდნენ რომ ებრაული დასახლებების ზრდა ამ ტერიტორიებზე სერიოზულ პრობლემას უქმნიდა მშვიდობის დამყარების პროცესს რეგიონში. თანამეგობრობის წევრები ასევე თვლიდნენ, რომ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე ამ დასახლებების გაჩენა და ნებისმიერი დემოგრაფიული ცვლილება არღვევს საერთაშორისო სამართალს.
- იმისათვის რომ დამთავრებულიყო ძალადობა ამ რეგიონში, თანამეგობრობა 2 გამოსავალს ხედავდა: ძალის სრული გამოყენებლობა ან ძალის გამოყენების მუქარა ორივე მხრიდან შეაჩერებს კონფლიქტს და მის ჩაწყნარებას შეუწყობს ხელს.
- ამ ყველაფრის მისაღწევად თანამეგობრობამ დაამყარა საჭირო კონტაქტები ყველა ჩართულ მხარესთან, რაც ემსახურებოდა მიზანს, გაეგო თანამეგობრობას რამდენად ეთანხმებიან მხარეები ზემოთქმულ პრინციპებს და რა სახით შეიძლება ამ პრინციპების განხორციელება.

ამ დეკლარაციამ დიდი გამოხმაურება მოიპოვა როგორც ისრაელში, ისევე პალესტინაში. ისრაელი უკმაყოფილო იყო ევროპული პოლიტიკით და თვლიდა, რომ ევროპულმა თანამეგობრობამ ცალმხრივი გადაწყვეტილება მიიღო და არ გაითვალისწინა ისრაელის უფლებები. პალესტინელები კი

თვლიდნენ, რომ დეკლარაციაში არ იყო ნახსენები ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორც იყო იორდანია და დასავლეთ ნაპირი. ისრაელი თვლიდა, რომ ვენეციის დეკლარაცია ზედმეტად იყო პოლიტიზირებული და ამიტომ აღარ სურდა ევროპული თანამეგობრობის ჩართვა კონფლიქტის მოგვარების პროცესში. სიტუაცია მხოლოდ მადრიდის კონფერენციაზე შეიცვალა, სადაც ევროპული თანამეგობრობა უმცროსი პარტნიორი იყო. ევროკავშირს დაევალა რეგიონალური ეკონომიკური განვითარების სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბება, იგივე REDWG.

მიუხედავად იმისა, რომ თავად მშვიდობის დამყარების პროცესში ამ ჯგუფებმა დიდი წარმატება ვერ ნახა, სწორედ ამ ჯგუფებმა გააერთიანა იორდანელები, პალესტინელები, ებრაელები და ეგვიპტელები რათა შეემუშავებინათ რეგიონის გასავითარებელი საერთო პროექტები. რა თქმა უნდა ევროკავშირი პირველ რიგს იკონომიკური გაერთიანებაა, ამიტომ მისი ჩართულობაც კონფლიქტის მეტწილად ეკონომიკური სახის უფრო იყო, ვიდრე პოლიტიკური, მაგრამ ვენეციის დეკლარაციის შემდეგ მადრიდის კონფერენციის ამ სამუშაო ჯგუფების შექმნით ევროკავშირი ჩაერთო კონფლიქტის მოგვარების პროცესში.

1990-იან წლებში ევროკავშირმა აქტიურად დაიწყო ვაჭრობა როგორც ისრაელთან, ისე პალესტინასთან. პალესტინისთვის ევროკავშირი ძლიერი ფინანსური საყრდენი აღმოჩნდა.

2.2. პირველი ინტიფადა

1987 წელს ისრაელის თავდაცვის ძალების მანქანა შეეჯახა ავტომობილს ღაზაში, რომელსაც პალესტინელი მუშები მიყავდა სამსახურიდან სახლში. გარდაიცვალა 4 ადამიანი, ხოლო 7 მძიმედ დაიჭრა. ამ ავარიის მიზეზად სახელდებოდა ებრაელი მოქალაქის წამების ფაქტი ერთი კვირით ადრე. პალესტინელი გარდაცვლილების დაკრძალვაზე ათასობით ადამიანი მივიდა და გლოვა ნელ-ნელა საპროტესტო აქციაში გადაიზარდა. ისრაელმა დაშალა ეს აქცია ცრემლსადენი გაზით, რასაც ემსხვერპლა ახალგაზრდა პალესტინელი ჰატემ ალ სისი. იგი გახდა წამებულის სიმბოლო, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა საპროტესტო მუხტი და დაიყო პირველი ინტიფადა, რაც გამოფხიზლებას ნიშნავს. 1967 წლის შემდეგ პირველ ინტიფადამდე ისრაელში წელიწადში დაახლოებით 3000-მდე საპროტესტო გამოსვლები ტარდებოდა ხოლმე. ამ ინციდენტის შემდეგ კი მაცვენებელმა 42000-ს მიაღწია. დაიწყო გამოსვლები, პალესტინელები უარს აცხადებდნენ გადაეხადათ გადასახადები, ემუშავათ ისრაელისთვის და ა.შ. ხდებოდა სისხლიანი დაპირისპირებები, რის შედეგადაც უამრავი სამოქალაქო პირი გადაიცვალა. მსხვერპლის რაოდენობა ათასებამდე ავიდა.

და მიუხედავად ამ დანაკარგისა, პალესტინელმა ხალხმა ამით გაამყარა იდეა, რომ ერთი სახელმწიფოს პირობებში შეუძლებელი იქნება ებრაელებისა და პალესტინელების თანაარსებობა. სწორედ პირველმა ინტიფადამ გაამყარა ორი სახელმწიფოს ჩამოყალიბების იდეა.

2.3. მეორე ინტიფადა

მეორე ინტიფადა 2000 წელს დაიწყო და კემპ დევიდის არშემდგარი მოლაპარაკებების წინააღმდეგ იყო მიმართული. მაშინდელი ისრაელის პრემიერ მინისტრი ეჰუდ ბარაკი და პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაციის ლიდერი იასირ არაფატი ვერ მივიდნენ საერთო

გადაწყვეტილებამდე. ისრაელი უარყოფდა პალესტინას როგორც სახელმწიფოს და არც პალესტინელი ლტოლვილების დაბრუნებაზე იყო თანახმა. ამიტომ პალესტინის, როგორც სახელმწიფოს აღიარება გადაიდო.

28 სექტემბერს კი არიელ შარონი ალ-აქსას მეჩეთსი შევიდა ებრაულ პოლიციასთან ერთად, რათა ეჩვენებინა პალესტინელებისთვის, რომ ალ-აქსას მეჩეთი ისრაელის კონტროლის ქვეშ რჩებოდა. მუსლიმური წმინდა ადგილის შეურაცხყოფამ პალესტინელები გაამწარა და მეორე დღესვე დაიწყო გამოსვლები. ეს იყო გამოსვლები, სადაც ჩანდა, რომ პალესტინელებმა ვერ იპოვეს სამართალი მოლაპარაკებებით და ისინი მზად იყვნენ ახლა თავად ემოქმედათ. ეს გამოსვლები იერუსალიმის ძველ ქალაქში დაიწყო. 7 პალესტინელი ემსხვერპლა ამ გამოსვლებს, ხოლო 300-ზე მეტი დაშავდა. 2003 წელს მაჰმუდ აბასის პალესტინის პრემიერად არჩევის შემდეგ მოლაპარაკებები განახლდა, მაგრამ უშედეგოდ. მხოლოდ იასირ არაფატის გარდაცვალების შემდეგ, 2004 წელს დაიწყო ინტიფადას ჩაწყნარება რაც 2005 წელს, შარმ-ელ-შეიხში შარონსა და აბასს შორის ცეცლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით დასრულდა.

2.4. სევილიის 2002 წლის დეკლარაცია

მეორე ინტიფადას ევროკავშირი ევროსაბჭოს 2002 წლის სამიტზე გამოეხმაურა. 2002 წლის ივნისში სევილიაში ჩატარდა ევროკავშირის საბჭოს სამიტი, სადაც ევროკავშირის მინისტრთა საბჭომ დაგმო ის საშინელი ძალადობა რაც ხდებოდა იერუსალიმში, ღაზას სექტორსა და დასავლეთ სანაპიროზე. სამიტის პრეს რელიზში, ევროკავშირი მოუწოდებდა კონფლიქტის ორივე მხარეს, რომ დამორჩილებოდნენ გაეროს უშიშროების საბჭოს 1996 წელს მიღებულ 1073-ე რეზოლუციას¹⁶. ევროკავშირი მოუწოდებდა როგორც ისრაელის მთავრობას, ისე პალესტინას არ დაეშვათ ძალადობის ფაქტები და თავი შეეკავებინათ ნებისმიერი გამონათქვამისგან თუ ქმედებისგან, რომელიც კიდევ უფრო გაამწვავებდა სიტუაციას. ევროკავშირი ასევე მოუწოდებდა მხარეებს თავი შეეკავებინათ არაპროპორციული ძალის გამოყენებისგან, რაც გულისხმობდა ცეცხლსასროლი იარაღის, ტანკებისა და სამხედრო ვერტმფრენების გამოყენებას. ევროკავშირი აცხადებდა, რომ პალესტინის ადმინისტრაციას უნდა გაეკონტროლებინა ავტონომიური ერთეულები და აღესრულებინა კანონი ამ ტერიტორიებზე (კონკრეტულად A ზონაში). ევროკავშირი ასევე ამბობდა, რომ ხდებოდა ამ ძალადობის მიზეზებს და რომ მთავარი მიზეზი იყო გაყინული მდგომარეობა კონფლიქტის მოგვარების პროცესში. ამ სამიტზე ისიც იყო ნახსენები, რომ პალესტინელების მდგომარეობა იერუსალიმში საფრთხის წინაშე იყო და აუცილებელი იყო მშვიდობის პროცესის გაგრძელება ისე, რომ არ დაერღვიათ ოსლოს სელშეკრულება, რასაც ორივე მხარემ მოაწერა ხელი და ამასთანავე, არ მომხდარიყო რაიმე ცვლილება იერუსალიმის წმინდა ადგილების სტატუსთან დაკავშირებით.

ევროკავშირმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ იერუსალიმის სტატუსი განისაზღვრებოდა გაეროს უშიშროების საბჭოს 242-ე რეზოლუციით და ის არ ეკუთვნოდა ისრაელს, ამიტომ დაუშვებელი იყო ნებისმიერი ძალის გამოყენება

¹⁶ Resolution 1073 (1996), Adopted by the Security Council at its 3698th meeting, on 28 September 1996, Webpage: <https://unispal.un.org/DPA/DPR/unispal.nsf/0/EE9FD45E870EF244852563B5004AC1C6>

ამ ტერიტორიაზე.ევროკავშირი ამტკიცებდა, რომ არმოსავლეთ იერუსალიმი, ისევე როგორც სხვა ოკუპირებული ტერიტორიები ჟენევის მეოთხე კონვენცია იყო დასაცავი, რაც საომარი მოქმედებების დროს სამოქალაქო პირების დაცვას გულისხმობს.

საბჭო ითხოვდა ხმელთაშუა ზღვის პატნიორობის შეთანხმება გაეთვალისწინებინა ისრაელს და აელო პასუხისმგებლობა და იმ შეთანხმებების იმპლემენტაცია მოეხდინა, რომელიც უკვე ჰქონდა მიღწეული პალესტინის გამათავისუფლებელ ორგანიზაციასთან.

ევროსაბჭომ ასევე გამოყო ის სფეროები რასიც აუცილებელი იყო პროგრესი, იმისათვის რომ მშვიდობის პროცესი დამდგარიყო:

- „პალესტინელი ტყვეების გატავისუფლება; ყველა არსებული შეთანხმების იმპლემენტაცია და ისრაელის ჯარების ჰებრონიდან გამოყვანა;
- ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება პალესტინელებისთვის; დაზას სექტორსა და დასავლეთ სანაპიროზე მშვიდობიანად გადაადგილების გარანტიის მიცემა;
- საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების ჩამოსვლისთვის ყველანაირი დაბრკოლების მოხსნა
- თანამშრომლობის განახლება რათა ისრაელმა და პალესტინამ უზრუნველყონ შიდა უსაფრთხოება თავის ტერიტორიებზე
- ისეთი ზომების მიღებისგან თავის შეკავება, რომელიც გავლენას იქონიებს მოალაპრაკებების საბოლოო შედეგზე, მათ შორის მიწის ანექსია, სახლების დემონტაჟი, ახალი დასახლებების მშენებლობა და ამ დასახლებების ზრდა.
- ოსლოს შეთანხმების მოალაპარაკებების შემდეგ ეტაპში ჩართვა.“¹⁷

¹⁷ European Commission, Press Release Database. Webpage: http://europa.eu/rapid/press-release_PESC-96-83_en.htm

ევროკავშირი მიესალმებოდა ინიციატივას მხარეების ვაშინგტონში შეხვედრასთან დაკავშირებით და იმედოვნებდა, რომ ეს შეხვედრა მიიყვანდა მხარეებს კონსტრუქციული მოლაპარაკებების ხელახლა დაწყებამდე მადრიდის დეკლარაციის პრინციპებზე დაყრდნობით. ევროკავშირი თვლიდა, რომ პარტნიორობა უსაფრთხოების განხრით, რომელიც შეიქმნა პალესტინასა და ისრაელს შორის მშვიდობის პროცესის ერთ-ერთი მთავარი მიღწევა იყო. ამიტომ მოუწოდებდნენ ორივე მხარეს აღედგინათ სამშვიდობო პროცესი თანამშრომლობითა და ნდობით. ევროკავშირი მზად იყო მოლაპარაკებების ნებისმიერ დონეზე დახმარებოდა ისრაელის მთავრობასა და პალესტინის ხელისუფლებას. ევროკავშირი მოუწოდებდა ისრაელს გამოეცინა კეთილგონიერება და ეფიქრა კარგ მეზობლურ ურთიერთობებზე თავის პალესტინელ მეზობელთან, რადგანაც გრძელვადიან პერსპექტივაში ისევ ისრაელისთვის იქნებოდა ეს კარგი.

პრეს რელიზში ასევე ნახსენებია, რომ 1996 წლის ფლორენციის სამიტის საფუძველზე, ახლო აღმოსავლეთში მშვიდობა ევროკავშირის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს. შესაბამისად, ევროკავშირი მზადაა აქტიურად ჩაერთოს მოლაპარაკებების განახლებაში, რათა ეს ინტერესები გატარდეს და სამშვიდობო პროცესიც განახლდეს.

2.5. ევროკავშირის ხმელთაშუა ზღვის პარტნიორობა (EMP)

ევროკავშირმა შეძლო ისრაელისა და პალესტინის ჩართვა თავის ხმელთაშუაზღვის პარტნიორობაში. ამ სავაჭრო პარტნიორობის მთავარი მიზანი იყო თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნა ევროკავშირსა და ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნებს შორის. მთავარი ამოსავალი წერტილი იყო სამხრეთ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან სავაჭრო ბარიერების მოხსნა და რაც შეიძლება მეტი ინვესტიციების განხორციელება როგორც ევროკავშირის ქვეყნებთან, ისე თავად ამ ქვეყნებს შორისაც. ევროკავშირ-ხმელთაშუა ზღვის ასოცირების შეთანხმებების ირიისა და ლიბიის გარდა ყველა სახელმწიფოსთან გაფორმდა, მათ შორის პალესტინასთანაც.

ამ შეთანხმებების მთავარი ჩარჩო ვაჭრობა და მოლაპარაკებებია ასოცირების ხელშეკრულებების გასაღრმავებლად. მოლაპარაკებები მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის, სერვისებით ვაჭრობის და რეგულაციების ლიბერალიზაციაზე.

კავშირის მიზანია შეიქმნას ისეთი საერთო გარემო, რომელიც იქნება მშვიდობიანი, სტაბილური და ყველასათვის მომგებიანი. ამ ურთიერთობების დარეგულირება კი ძირითადად ასოცირების ხელშეკრულებებით რეგულირდება. სამხრეთ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების უმეტესობა ჩართულია ამ ხელშეკრულებაში. მხოლოდ ლიბიასთან და სირიასთანაა მოლაპარაკებები შეწყვეტილი ამ დრომდე. ისრაელი ამ ხელშეკრულებას 1995 წელს შეუერთდა და უკვე იორდანისასთან ერთად ხელი მოაწერა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას. პალესტინა 1997 წელს შეუერთდა ასოცირების ხელშეკრულებას.

დღეს ეს პარტნიორობა უკვე ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ქვეშ გაერთიანდა. მაგრამ როგორც ნიუმანი იაკობი თვლიან, ამ ქმედებების გამო ევროკავშირი არა „მოთამაშე“, არამედ „გადამხდელია“.¹⁸ მაგრამ აქვს კი გავლენა ამ შეთანხმებებს თავად კონფლიქტის მოგვარების პროცესში? ეკონომიკური

¹⁸ “The EU and The Israel-Palestine Conflict” – Haim Yacobi and David Newman, page183

განვითარება რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი შედეგების დანახვა რთულია და დროში გაწელილი. ევროკავშირს კი არც თუ ისე ბევრი ბერკეტი აქვს ამ ქვეყნების საკონტროლებლად. მაგრამ ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია ამ კონფლიქტის მოგვარება, რადგან უკვე დიდი ხანია ჩართულია მოლაპარაკებების პროცესში და პალესტინის განვითარებაშიც დიდი თანხები აქვს დახარჯული. ევროკავშირის ფინანსური დახმარებით სტატუს კვოს შენარჩუნება რეგიონში უფრო მარტივია, რადგან მისი არარსებობის შემთხვევაში დიდი შანსია სტაბილურობა დაირღვეს და ჰუმანიტარული კრიზისის წინაღუ აღმოჩნდეს რეგიონი. და მიუხედავად სტატუს კვო-ს შენარჩუნებისა, ისრაელი კვლავ აგძელებს დასავლეთ სანაპიროსა და აღმოსავლეთ იუერუსალიმში დასახლებების გაშენებას. უსაფრთხოების კვლევების ინსტიტუტის სტატიაში „ევროპის ჩართულობა არაბულ-ებრაულ კონფლიქტში“ ავტორები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ შეიძლება ევროკავშირის გადასახადის გადამხდელებმა შეიძლება უარი თქვან ამ ხარჯებზე, რადგანაც მიუხედავად ამხელა ხარჯებისა, კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივა არ ჩანს.¹⁹

ამას ემატება ის ფაქტიც, რომ ევროპული პოლიტიკა და ნებისმიერი პოლიტიკური ნაბიჯი რასაც ევროკავშირი დგამს კონფლიქტის მოგვარებისთვის, ისრაელი განიხილავს როგორც პრო-პალესტინურ ნაბიჯს. ისრაელს არ აქვს ნდობა ევროკავშირის მიმართ, რაც რამდენიმე ფაქტორს შეიძლება დავაბრალოთ. პირველი, რომ ებრაელებს აქვთ ჰოლოკოსტის გამოცდილება ევროპაში და მეორე ვენეციის დეკლარაცია, რითაც ევროპულმა თანამეგობრობამ აღიარა, რომ პალესტინელ ხალხს თვითგამორკვევის უფლება

¹⁹ European Involvement In The Arab-Israeli Conflict - Muriel Asseburg, Michael Bauer, Agnès Bertrand-Sanz, Esra Bulut Aymat, Jeroen Gunning, Christian-Peter Hanelt, Rosemary Hollis, Daniel Möckli, Michelle Pace, Nathalie Tocci, Edited by Esra Bulut Aymat – European Union Institute of Security Studies (ISS), CHAILLOT PAPERS December 2010

აქვთ და რომ მათი ტერიტორიები ისრაელის მიერ არის ოკუპირებული, რაც საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგაა.

3. ევროკავშირის ჩართვის გზები

იაკობის და ნიუმანს ევროკავშირის ჩართულობის 4 პრინციპი მოყავთ, რითაც ევროკავშირი ცდილობს ამ კონფლიქტის მოგვარებას. ისინი თვლიან, რომ თვითოეულ მათგანს სხვადასხვა ეფექტი აქვს კონფლიქტის სხვადასხვა მხარეზე და ესენია: იძულებითი, მასტიმულირებელი, დამაკავშირებელი, კონსტრუქციული.

3.1. იძულებითი

ისრაელსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები ძირითადად ეკონომიკური ხასიათისაა. ისრაელი არ ცდილობს გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი, რადგანაც არ სურს დაუშვას თავისუფალი მიმოსვლა თავის ტერიტორიაზე. ამას ემატება ისიც, რომ ევროკავშირში შესვლასთან ერთად მას მოუწევს უამრავი რეგულაციის მიღება, რაც სულ არ აწყობს მას. ისრაელს ურჩევნია, რომ ევროკავშირისგან სარგებელი ისე მიიღოს რომ თავად რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯი გაწიოს. ევროკავშირის ხმელთაშუა ზღვის პარტნიორობის ფარგლებში ევროპული საინვესტიციო ბანკი აფინანსებს ებრაულ პროექტებს სხვადასხვა სფეროში. თუმცა მთავარი პრობლემა რაც დაუწესა ევროკავშირმა ისრაელს არის ის, რომ ევროკავშირი პარიზის შეთანხმების საფუძველზე თხოვს განასხვავოს ისრაელის ტერიტორიიდან და ოკუპირებული ტერიტორიებიდან წარმოებული პროდუქტის განსხვავებას. რადგანაც ევროკავშირს არ სურს პალესტინის ოკუპირებული ტერიტორიიდან წარმოებული პროდუქტის მიღება. გარკვეული დროის შემდეგ ისრაელი იძულებული გახდა დათანხმებულიყო ამ პოლიტიკას და მიეთითებინა არა მარტო ქვეყანა, არამედ ქალაქიც, სადაც იყო წარმოებული პროდუქტი. მაგრამ მაინც განაცხადა, რომ ეს ტერიტორიები ნებისმიერი შეთანხმების შემთხვევაში ისრაელს ეკუთვნოდა.

სხვა ქვეყნების შემთხვევაში თუ ევროკავშირი წევრობას სამართავ ბერკეტად იყენებს, ისრაელისთვის ეს არარელევანტურია. ისრაელი თვლის, რომ ევროკავშირის ეკონომიკური სანქციები კი რა თქმა უნდა დააზიანებს მის ეკონომიკას, მაგრამ არა ისე, როგორც თავად ევროპას, რადგან ევროკავშირს

უფრო მეტი ექსპორტი აქვს ისრაელში, ვიდრე იმპორტი. ისრაელი გაცილებით მეტადაა აშშ-ზე დამოკიდებული ეკონომიკურად, ვიდრე ევროკავშირზე. ამიტომ იძულებითი დამოკიდებულება არარელევანტურია ამ შემთხვევაში.

3.2. მასტიმულირებელი

რა თქმა უნდა ევროკავშირის გავლენა პალესტინაზე გაცილებით დიდია ვიდრე ისრაელზე. ევროკავშირს არ ჭირდება იძულებითი მიდგომის გამოყენება პალესტინაზე, რადგან პალესტინა ზედმეტადაა დამოკიდებული მასზე როგორც ეკონომიკურად, ისევე პოლიტიკურად და ინსტიტუციურად. პალესტინა იღებს ევროკავშირის ყველაზე დიდ ფინანსურ დახმარებას, რასაც ის იყენებს სახელმწიფო ინსტიტუტების გასავითარებლად და სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ევროკავშირი სტიმულირებას უკეთებს ჰუმანიტარული დახმარების გაწევას პალესტინაში. ეხმარება მუნიციპალიტეტებს, ჯანდაცვისა და განათლების სფეროებს და ა.შ.

ევროკავშირის მთავარი მიზანია პალესტინამ შეძლოს ძლიერი ინსტიტუტების ჩამოყალიბება და სახელისუფლებო წრეებში რეფორმების გატარება. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, 2003 წელს დაიწყო სასამართლო სისტემის რეფორმა, რაც ითვალისწინებდა პროკურორების და მოსამართლეების გადამზადებასა და სასამართლოების განახლებას. ამას დაემატა ისიც, რომ ბიუჯეტი გახდა გამჭვირვალე. პალესტინის მკვლევარების ნაწილისთვის ევროკავშირის დახმარება პალესტინისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას ატარებს, ხოლო ზოგი მკვლევარი ფიქრობს რომ ევროკავშირი ზედმეტად ერევა პალესტინის შიდა საქმეებში. ყოველ შემთხვევაში ყველა თანხმდება, რომ ევროკავშირის მცდელობას, რომ პალესტინის ეკონომიკის განვითარების სტიმულირება მოახდინოს, მოყვება ის, რომ ისრაელი დაინახავს რომ პალესტინა შეიძლება მისი ძალიან კარგი პარტნიორი გახდეს მომავალში როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურადაც. ამიტომაც იაკობი და ნიუმანი თვლიან, რომ მასტიმულირებელი მიდგომა, რომელიც დემოკრატიული და

ადმინისტრაციული რეფორმების ერთობლიობაა, გაცილებით მეტს აკეთებს კონფლიქტის მოგვარებისთვის ვიდრე პირდაპირი პოლიტიკური ინტერვენცია შეძლებდა.

3.3. დამაკავშირებელი

დამაკავშირებელი მიდგომა გულისხმობს იმ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას ორივე ტერიტორიაზე, რომელიც ცდილობს მოლაპარაკებები აწარმოოს თავად ებრაულ და პალესტინურ მოსახლეობებს შორის, რათა არ მოხდეს სრული გაუცხოვება და კონფლიქტის მოგვარება მეტად რეალური გახდეს. მეორე ინტიფადას (2000-2005 წწ. როდესაც კვლავ განახლდა ამბოხება ისრაელის წინააღმდეგ) დროს სწორედ ასეთი მიდგომით ცდილობდა ევროკავშირი რაც შეიძლება მეტი მოლაპარაკებები ყოფილიყო კონფლიქტის მოსაგვარებლად. მიუხედავად ამისა, ებრაულმა მხარემ არც თუ ისე კარგად მიიღო ეს ქმედებები და ევროკავშირს პრო-პალესტინური პოლიტიკის გატარებაში ადანაშაულებდნენ. ჩამოყალიბდა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“, რომელიც მიზნად ისახავდა ებრაული და პალესტინური მხარეების ჩართულობას მშვიდობის დამყარებაში. მაგრამ ამ მიდგომამ სამწუხაროდ კონფლიქტის მოგვარების ნაცვლად ანტი-ევროპული სენტიმენტები გააღვიძა ებრაულ მოსახლეობაში. აკადემიურ და დიპლომატიურ დონეზე ამ მიდგომამ ხელი შეუწყო კონტაქტების გაჩენას ებრაულ და პალესტინურ მხარეებს შორის, მაგრამ ეს უფრო ელიტებს ეხება ვიდრე მთლიან მოსახლეობას, რომელსაც მაინც არ აქვს წვდომა ასეთ ორგანიზაციებთან.

3.4. კონსტრუქციული

კონსტრუქციული მიდგომის განხორციელება ყველაზე რთულია, რადგან ის იდენტობის ცვლილებას გულისხმობს. გრძელვადიანი ცვლილება თავის მხრივ მოითხოვს არა მუდმივ ძალადობასა და არეულობას, არამედ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ ევროკავშირი ცდილობს მოხსნას ეთნიკური და ნაციონალური ბარიერები ამ ობიექტებს

შორის, ისინი კი პირიქით იმიტომ, რომ კონფლიქტი ნაციონალური ხასიათისაა რთულია საერთო იდენტობასა და ინტეგრაციაზე საუბარი. ეს განაპირობებს კონსტრუქციული მიდგომის სირთულეს ამ შემთხვევისთვის.

4. მიდგომების ეფექტურობა

რაც შეეხება თავად მიდგომების შედარებას, როგორც უკვე ვთქვით იძულებითი მიდგომა არც თუ ისე გამოსადეგი გამოდგა ისრაელთან მიმართებაში. რადგან ისრაელი არ აპირებს ევროკავშირის წევრობას, მაშასადამე ბერკეტიც ძალიან სუსტი აქვს ევროპას ისრაელის წინააღმდეგ. სამაგიეროდ პალესტინის განვითარებაშია ჩართული ევროკავშირი და იმხელა დაფინანსებას აძლევს პალესტინას, რომ მას სხვა გზა არ რჩება, უნდა გაატაროს რეფორმები, რომ გახდეს დამოუკიდებელი ქვეყანა. ძალიან კარგად მუშაობს დამაკავშირებელი მიდგომა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით ცდილობს ორ ხალხს შორის დაიწყოს დიალოგი. ამ მიდგომის პრობლემა ისაა, რომ იგი ორიენტირებულია არა დიდ მასებზე, არამედ კონკრეტულ პატარა ჯგუფებსა და ელიტებზე. მიუხედავად ამისა, ეს მიდგომა ხშირ შემთხვევაში ურთიერთობის ერთადერთი წყაროა ორ ხალხს შორის. აუცილებელია უბრალოდ მასშტაბების გაზრდა, რათა მოლაპარაკებებში რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩაერთოს. კონსტრუქციული მიდგომა თითქმის ირელევანტურია ამ კონფლიქტის შემთხვევაში, რადგან ებრაელებისა და პალესტინელების იდენტობები ძალზედ ეთნოცენტრულია და ნაკლებად ცდილობენ ევროპული ნორმების გატარებას.

იაკობისა და ნიუმანის აზრით, იძულებითი და მასტიმულირებელი მიდგომები ძირითადად მაინც ხელისუფლებისა და ადმინისტრაციისკენაა მიმართული. ამიტომ ევროკავშირის ჩართულობას აღიქვამენ მათ შიდა საქმეებში ჩარევად, რაც ართულებს ევროკავშირისთვის ლეგიტიმურობის მოპოვებას. დამაკავშირებელი მიდგომა ძალიან ეფექტურია, რადგან ეფექტურად ახდენს კონფლიქტის მოგავრებაზე დახარჯული რესურსების გამოყენებას. კონკრეტულად იმ ჯგუფებს შორის აწარმოებს მოლაპარაკებებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან კონფლიქტის მოგვარებით, იქნებიან ესენი დიპლომატები, მეცნიერები თუ პოლიტიკური ელიტის წევრები. ეს ჯგუფები განსაზღვრავენ და აყალიბებენ უკვე შემდგომში საზოგადოებრივ

აზრს და შეუძლიათ დიდი როლი შეასრულონ კონფლიქტის აღმოფხვრაში. რაც შეეხება კონსტრუქციულ მიდგომას, იაკობი და ნიუმანი თვლიან, რომ კონფლიქტის მოგვარების დასრულებამდე ამ მიდგომას არავითარი გამოყენება არ აქვს.

Pathway	Main EU institution	Main addressee	Nature of influence	Conditions
Compulsory	European Parliament; elected and appointed officials	Governments, particularly Israel political leadership	Economic pressure (EMP)	Conflict antagonism
Enabling	Aid agencies; European Commission	Governments; particular Palestine officials; local authorities	Political culture; democratisation	Conflict; fiscal dependency
Connective	European Commission	NGOs; grassroots	Local communities; grass-roots/civil society	Conflict resolution; peace industry; social and economic elites
Constructive	All	Political leadership and conflict societies	Identity-scripts	Post-conflict; peace/ cooperation; integration

Overview of EU influence on Israel–Palestine – “The EU and The Israel-Palestine Conflict” – Haim Yacobi and David Newman

ევროკავშირისთვის რთულია მოიპოვოს ისრაელის ნდობა, რადგანაც მისი დახმარება პალესტინის გასავითარებლად ძალიან დიდი და მნიშვნელოვანია. ეს უნდობლობა არც თუ ისე უსაფუძვლოა. ევროკავშირს ბრალად დებდნენ იმაში, რომ მათ მიერ გადაცემული დახმარება, პალესტინამ იარაღის შესაძენად გამოიყენა. მიუხედავად უარყოფისა, ევროკავშირმა აღიარა რომ ბოლომდე არ ფლობდა ინფორმაციას რაში იყო დახარჯული მათ მიერ გადაცემული თანხები.

5. მედიაცია

რა თქმა უნდა როცა ვსაუბრობთ ევროკავშირის ჩართულობასა და მედიაციაზე ამ კონფლიქტში, თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროკავშირის გავლენა ამ მოლაპარაკებებზე გაცილებით მცირეა ვიდრე აშშ-ის, რადგან სწორედ აშშ არის ის მედიატორი, რომელიც კონფლიქტის ორივე მხარისთვის არის მისაღები. თავად ევროკავშირი ცალკე არ აწარმოებს მედიაციის პროცესს. ისრაელისთვის ვენეციის დეკლარაციის შემდეგ, რაც ევროკავშირმა პალესტინა აღიარა როგორც კონფლიქტის მხარე და მოთხოვა ისრაელს პალესტინის ოკუპირებული ტერიტორიების დატოვება. მხოლოდ მადრიდის კონფერენციაზე შემლო ევროკავშირმა კვარტეტში გაერთიანებით, გარკვეული ლეგიტიმაციის მოპოვებას. პასი პატოკალიო (2004) თვლის, რომ ისრაელისთვის ნებისმიერი არა ევროკავშირის წევრი ქვეყანა ბევრად მისაღები და სანდოა მოლაპარაკებებში. ამას ერთვის ისიც, რომ ევროკავშირი არაა სახელმწიფო და მის წევრ ქვეყნებს არ აქვთ უფლება ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღების. ნებისმიერი ნაბიჯი უნდა შეთანხმდეს კავშირის ყველა წევრ ქვეყანასთან, რაც ამ ინსტიტუტის, როგორც მედიატორის როლს, აკნინებს. ისრაელისთვის კი ევროკავშირი პრო-პალესტინურ პოლიტიკას ეწევა, რითაც არიზიანებს ისრაელს. ამას ერთვის ის ფინანსური თანხებიც, რასაც ევროკავშირი დებს პალესტინის, როგორც სახელმწიფოს, განვითარებაში. პასი პატოკალიო ასევე თვლის, რომ ისრაელი იმდენად ენდობა აშშ-ის პოლიტიკას, რომ ევროკავშირს შეუძლია თავისი ინტერესები აშშ-ის მხრიდან გაატაროს, რადგან სწორედ აშშ-ს ენდობა ისრაელი ყველაზე მეტად.

ევროკავშირის ძალიან დიდი პრობლემა ამ მედიაციაში არის ის, რომ ისრაელი განსხვავდება სხვა ქვეყნებისგანა, სადაც ევროკავშირი ჩართულია მშვიდობის დამყარების პროცესებში. ძალიან ხშირად ევროკავშირი იყენებს ამ ინსტიტუტში გაწევრიანების პერსპექტივას, როგორც ბერკეტს. რაც შეეხება ისრაელს, როგორც უკვე აღვნიშნეთ იძულებითი მიდგომა არ ჭრის, რადგან ევროკავშირის ექსპორტის დიდი წილი ისრაელზე მოდის, იმპორტი კი ძალიან მცირე დოზით.

პირიქით შეიძლება ითქვას, რომ ისრაელი ერთადერთი ევროკავშირის არაწევრი ქვეყანაა, რომელიც კვლევისა და განვითარების პროგრამით სრულად სარგებლობს.

ევროკავშირი ცდილობს მართოს კრიზისული მდგომარეობები პალესტინაში, რადგან იგი პალესტინის ყველაზე დიდი ფინანსური დონორია, ამიტომ მისი ჩართულობა პალესტინის ადმინისტრაციულ საკითხებში გაცილებით დიდია, ვიდრე ისრაელისაში. პრობლემაც სწორედ ისაა, რომ მხარეები სხვადასხვანაირად აღიქვამენ ევროკავშირის მედიატორობას.

6. ევროკავშირის ხედვა

ევროკავშირი ხვდება, რომ ერთი სახელმწიფოს პირობებში ვერ მიიღწევა ის შედეგი, რასაც კონფლიქტის მოგვარება ქვია. ამიტომ აუცილებელია ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც უნდა დაეყრდნოს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციებს, მადრიდის პრინციპებს და არაბული მშვიდობის ინიციატივებს.²⁰ ევროკავშირის საგარეო მოქმედების სამსახურის 2016 წლის ოფიციალური დოკუმენტის თანახმად, “ევროკავშირი პარტნიორებთან ერთად მზად არის კვლავ ჩაერთოს მოლაპარაკებებში რამდენიმე პარამეტრის გათვალისწინებით (MEPP – EEAS):

- ორი სახელმწიფოს საზღვრების შესახებ შეთანხმება, 1967 წლის 4 ივნისს მიღებულ საზღვრებზე დაყრდნობით, რომელიც ორ მხარეს შორის მოლაპარაკებით მიიღწევა. ევროკავშირი დათანხმდება საზღვრებს, თუნდაც 1967 წლამდე მიღებულს და თუნდაც იერუსალიმზე, თუ ორივე მხარე მიაღწევს შეთანხმებას.
- უსაფრთხოების ზომები, რომლის მიხედვითაც პალესტინელების სუვერენიტეტს პატივს სცემენ და აჩვენებენ, რომ ოკუპაცია დასრულდა; ხოლო ისრაელი შეძლებს დაიცვას მისი უსაფრთხოება, ხელი შეუშალოს ტერორიზმის აღორძინებას და ეფექტურად გაუმკლავდეს საფრთხეს, მათ შორის რეგიონში გაჩენილ ახალ საფრთხეებს.
- ლტოლვილის საკითხის მარტივი, სამართლიანი, შეთანხმებული და რეალური გადაწყვეტის გზის მოძებნა.
- იერუსალიმის ორივე მხარის ინტერესების შესრულება. მოლაპარაკებების გზით გზა იერუსალიმის სტატუსის განსაზღვრა ისე, რომ ის გახდეს ორივე სახელმწიფოს დედაქალაქი მომავალში.”

²⁰ Middle East Peace Process - European External Action Service, 15 June 2016, web page: https://eeas.europa.eu/topics/middle-east-peace-process/337/middle-east-peace-process_en

ევროკავშირი ცდილობს დაეხმაროს პალესტინას ჩამოყალიბდეს სახელმწიფოდ და აღმოფხვრას ყველანაირი ადამიანის უფლებების დარღვევები, რაც ხდება ამ ტერიტორიაზე. ევროკავშირი მხარს უჭერს პალესტინის დემოკრატიზაციას.

2014 წელს ევროკავშირმა მხარი დაუჭირა პალესტინისა და ისრაელის პირდაპირი მოლაპარაკებების განახლებას და საგარეო საქმეთა მინისტრებთან ერთად სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერა გამოუცხადა ორივე მხარეს. ეს მხარდაჭერა სიტყვებად არ დარჩენილა და ძალიან მალე ევროკავშირმა წამოაყენა სპეციალური პრივილეგირებული პარტნიორობა, რომელიც გულისხმობს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას სამხრეთი ურთიერთობის გაძლიერებით. ევროკავშირი მხარს უჭერს ისეთ პროექტებს, რომლებიც ეხმარება ამ ორ რეგიონს მოლაპარაკებების გამართვაში, იქნება ეს “კვარტეტი” (გაერო, ევროკავშირი, რუსეთის ფედერაცია და აშშ), არაბული მშვიდობის ინიციატივა, თუ სხვა. ევროკავშირი ცდილობს გახდეს ცეცხლის შეჩერების გარანტი ისეთი მისიების შესაძლო გაფართოებითა და მანდატის გაზრდით, როგორცაა EUBAM Rafah (European Union Border Assistance Mission in Rafah) და EUPOL COPPS (EU Co-Ordinating Office for Palestinian Police Support) (MEPP-EEAS,2016).

6.1. ევროკავშირის პოლიციის მისია პალესტინის ტერიტორიაზე

ევროკავშირის პოლიციის ქმედებებისა და კანონის უზენაესობის მისია, რომელსაც ოფიციალურად ევროკავშირის კოორდინირებული ბიურო პალესტინური პოლიციის დახმარების ქვია წარმოადგენს ევროკავშირის ზოგადი უსაფრთხოებისა და დაცვის პოლიტიკის მისიას პალესტინის ტერიტორიაზე, რომელიც განთავსებულია და ოპერირებს დასავლეთ სანაპიროზე. ეს არის ევროკავშირის ორი სახელმწიფოს ჩამოყალიბებით კონფლიქტის მოგვარების კონტექსტში არსებული მისია, რომლის მიზანია პალესტინური სახელმწიფოს შენება. ეს მისია არის ერთ-ერთი სამოქალაქო მისიათაგანი, რომელიც პალესტინის ტერიტორიაზე ხორციელდება. მეორე როგორც უკვე ვახსენეთ ევროკავშირის საზღვრის დაცვაში დახმარების მისიაა რაფაში.

2004 წელს, ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა გამოთქვეს მზაობა დახმარებოდნენ პალესტინას სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებაში. ამისათვის კი პირველ რიგში გადაწყვიტეს პოლიციის სისტემის და კანონის უზენაესობის განმტკიცების რეფორმების გატარება. მისია 2005 წელს ევროპული საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ჩამოყალიბდა. მისიის მოქმედება დაიწყო ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ახლო აღმოსავლეთის მშვიდობის პროცესში, მარკ ოტტეს ოფისში.

მისია შედგება 114 შეუიარაღებულ თანამშრომლისგან, რომელთაგანაც 69 უცხო ქვეყნის მოქალაქეა, ხოლო დანარჩენი 45 თანამშრომელი ადგილობრივი მცხოვრებია. EUPOL COPPS-ს აქვს მოქმედების სამი ნაწილი. ესენია: პოლიციის სათათბირო, კანონის უზენაესობის ოფისი და პროგრამის შეფასების დეპარტამენტი. ყველა დეპარტამენტში მუშაობს გამოცდილი პოლიციის ოფიცრები, საჯარო მოხელეები და ექსპერტები, რომლებიც ევროკავშირის წევრი ქვეყნების, კანადის და ნორვეგიის მოქალაქეები არიან. თითქმის ყველა დონეზე ხდება ამ დეპარტამენტებს შორის თანამშრომლობა.

EUPOL COPPS-ის შტაბბინა მდებარეობს რამალაში და მისი მთავარ მიზანს წარმოადგენს პალესტინის მომავალ სახელმწიფოს დაეხმაროს კრიმინალისტიკისა და პოლიციური ინსტიტუტების განვითარებაში და გამყარებაში, მაგრამ ეს მოხდეს პალესტინური მხარის მიერ და ყველა საერთაშორისო სტანდარტის გათვალისწინებით. ევროკავშირის მიზანია უზრუნველყოს უსაფრთხოება პალესტინელი ხალხისათვის და განამტკიცოს კანონის უზენაესობა ამ ტერიტორიაზე. ევროკავშირი თვლის რომ ასეთი ტიპის მისიები გააძლიერებს პალესტინას, როგორც სახელმწიფოს და ხელს შეუწყობს მას კონფლიქტის მოგვარებაში ისრაელთან, ამიტომ ამ მისიებს საერთაშორისო დონის დატვირთვაც გააჩნია.

2017 წელს მისიის უფროსად ფინელი კაუკო აალთომაა დაინიშნა.

6.2. ევროკავშირის საზღვრის დაცვაში დახმარების მისია რაფაში

ევროკავშირის საზღვრის დაცვაში დახმარების მისია რაფაში არის კიდევ ერთი სამოქალაქო მისია, რომლის მიზანია ოკუპირებულ პალესტინის ტერიტორიაზე კრიზისების მართვა მოახერხოს.

ისრაელისთვის რაფადან სამხედრო ძალის გამოყვანა დაკავშირებული იყო უსაფრთხოების დაკარგვასთან, რადგან სწორედ ამ პუნქტით პალესტინას შეიძლება შეიარაღება მიეღო და გადაეყვანა ტერორისტები და ექსტრემისტი ლიდერების თავის ტერიტორიაზე. ამიტომ საჭირო გახდა მესამე ძალის ჩართვა, იმისათვის რომ ისრაელის სახელმწიფოს და პალესტინის ადმინისტრაციას ნდობა გაჩენოდათ ერთმანეთის მიმართ.

2005 წელს პალესტინის ადმინისტრაციამ და ისრაელმა ხელი მოაწერა გადაადგილების შესახებ. საჭირო გახდა რაფაში ღაზას სექტორისა და ეგვიპტის საზღვრის გადაკვეთის მონიტორინგი, ამიტომაც იმავე წლის ნოემბერში შეიქმნა ეს მისია. როდესაც მისია ჩავიდა რაფას საზღვარზე, ის შედგებოდა მხოლოდ 70 ადამიანისგან. ეს მისია შედგება სამოქალაქო პირებისგან და პოლიციის ოფიცრებისგან, სასაზღვრო პოლიციისგან და მეზაჟე-ოფიცრებისგან. თავიდან მისია მიზნად ისახავდა შტაბბინის ღაზაში გახსნას, თუმცა უსაფრთხოების მიზნით ის თელავივში გაიხსნა.

2007 წელს, როდესაც ჰამასმა ღაზას სექტორში შეაღწია, მისია დროებით შეჩერდა. იმ წლების განმავლობაში კი რაც ეს მისია მოქმედებდა, მათ დაახლოებით 450,000 ადამიანმა გამოიყენა ეს საზღვარი. და მაინც რატომას ასეთი მნიშვნელოვანი ეს საზღვარი? საქმე იმაშია, რომ ეს არის ერთადერთი პუნქტი საიდანაც შეიძლება ღაზას სექტორში მოხვედრა, ისე რომ ისრაელის ტერიტორია არ გადაკვეთო. მისიის დაკეთვასთან და ისრაელის სამხედრო ძალების ღაზას გამოყვანიდან, ეგვიპტესთან შეწყდა სავაჭრო ურთიერთობები. დღეს მიუხედავად იმისა, რომ 2011 წლის შემდეგ ისევ არის განთავსებული მისია რაფას საზღვარზე, თანამშრომლების რაოდენობა შემცირდა, თუმცა მაინც

განაგრძობს საზღვრის დაცვისა და საბაჟო კონტროლის მართვის გამოცდილების გაზიარებას, რაც ამ ადამიანებს აქვთ.

საზღვრის დაცვის მისიას ორივე მხარისთვის სარგებელი აქვს. პალესტინა კვლავ აწარმოებს ღაზას სექტორში ხალხისა და პროდუქტის მიმოცვლას, ხოლო მესამე ძალის ჩართულობით ისრაელი თავს დაცულად გრძნობს.

მისიის ამოცანებში შედის რაფას ტერმინალის კონტროლი და მონიტორინგი თუ რამდენადაა დაცული საბაჟო შეთანხმებები დაცული. მისია ითვალისწინებს ეგვიპტის, პალესტინისა და ისრაელის ერთმანეთში კავშირის დამყარებაში დახმარებასაც.

2016 წლის დოკუმენტში, ევროკავშირს ასევე ძალიან მკაფიოდ აქვს განსაზღვრული, რომ ის მხარს უჭერს ორივე სახელმწიფოს თანაარსებობას და სურს, რომ ამ ორმა ქვეყანამ იცხოვროს მშვიდად როგორც ერთმანეთთან, ასევე სხვა მეზობლებთან ერთად. ეს დოკუმენტი ასევე გარკვევით საუბრობს თუ რა პოზიციები აქვს ევროკავშირს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის:

- **“საზღვრები:** ევროკავშირი თვლის რომ მომავალი პალესტინის სახელმწიფოს საზღვრები უნდა იქნას აღიარებული და დაცული. უნდა იყოს 1967 წლის ოკუპაციამდელი საზღვრები პატარა ცვლილებებით, რომელიც ორმხრივად იქნება შეთანხმებული და შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს გაეროს უშიშროების საბჭოს 242-ე, 338-ე, 1397-ე, 1402-ე და 1515-ე რეზოლუციებთან და მადრიდის პრინციპებთან.
- **ებრაული დასახლებები ოკუპირებულ პალესტინის ტერიტორიებზე:** ევროკავშირი აღმფოთებულია იმ ფაქტით, რომ დასავლეთ სანაპიროზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმშიც, ებრაული დასახლება იზრდება. მათი აზრით ეს გაფართოება ხელს უშლის საბოლოო მოლაპარაკებების წარმოებასა და ორი სახელმწიფოს თანაარსებობის იდეას. ევროკავშირი თვლის, რომ პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე (აღმოსავლეთ იერუსალიმი) დასახლებების წარმოქმნა საერთაშორისო სამართალითაა

აკრძალული და ისევ და ისევ ხელს უშლის ორი სახელმწიფოს ჩამოყალიბებით პრობლემის გადაწყვეტას.

- **იერუსალიმი:** რაც შეეხება იერუსალიმს, ევროკავშირი თვლის რომ მოლაპარაკებებმა უნდა გადაჭრან ყველა პრობლემა რაც მის გარშემოა, მათ შორის მისი სტატუსის პრობლემაც, როგორც ორი სახელმწიფოს მომავალი დედაქალაქი. ევროკავშირი არ აღიარებს არანაირ ცვლილებას 1967 წლამდე მდგომარეობაში, თუ ორივე მხარე არ შეთანხმდება ამაზე. მაგრამ ევროკავშირი მხარს უჭერს ისეთი საგანმანათლებლო, სამედიცინო და სასამართლო ინსტიტუციების ჩამოყალიბებას.
- **პალესტინელი ლტოლვილები:** ევროკავშირი მხარს დაუჭერს ისეთ შეთანხმებას რომელიც იქნება სამართლიანი და განხორციელებადი. 1971 წლის შემდეგ, ევროკავშირი ჩართულია პალესტინელი ლტოლვილებისთვის დახმარების და სასიცოცხლო მნიშვნელობის მომსახურების გაწევის საქმეში (UNRWA - გაეროს ახლო აღმოსავლეთის სააგენტო, რომელიც ზრუნავს პალესტინელ ლტოლვილებზე) და სურს ამ კონფლიქტის გადაწყვეტა მშვიდობიანად.
- **უსაფრთხოება:** ევროკავშირი გმობს ნებისმიერ ძალადობის აქტს, რომელიც ხელს უშლის მშვიდობის დადგომას. იგი თვლის, რომ ისრაელს აქვს უფლება დაიცვას საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოება, მაგრამ ამ უფლების დაცვა ისრაელის ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს საერთაშორისო სამართლის დაცვით. როგორც უკვე ვახსენეთ, ევროკავშირი ეხმარება პალესტინის პოლიციასა და სასამართლო ინსტიტუტებს განვითარებასა და რეფორმირებაში. ევროკავშირი-ისრაელის თანამშრომლობა ტერორიზმისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ და უსაფრთხოების კვლევები დიდ როლს თამაშობს ისრაელის უსაფრთხოების დაცვაში. რეგიონის უსაფრთხოებამ უნდა უზრუნველყოს პალესტინის სუვერენიტეტის დაცვა და ოკუპაციის დამთავრება, ხოლო ისრაელისთვის უსაფრთხოების შენარჩუნება,

ტერორიზმის უგულებელყოფა და ახალ წარმოქმნილ საფრთხეებთან გამკლავება.”²¹

²¹ Middle East Peace Process - European External Action Service, 15 June 2016, web page: https://eeas.europa.eu/topics/middle-east-peace-process/337/middle-east-peace-process_en

დასკვნა

როგორც შესავალშივე ავლიწმნე ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი მე-20 და 21-ე საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს გეოპოლიტიკურ გამოცდად იქცა. ამ რეგიონშია ძალიან ბევრი დაბრკოლება, რაც ხელს უშლის მშვიდობის დამყარებას პალესტინისთვის და ისრაელისთვის. მსოფლიოს ყველაზე ძლიერი ძალები ცდილობენ ჩაერთონ კონფლიქტის მოგვარებაში, მაგრამ დღემდე არ დაწყებულა მშვიდობის მშენებლობა. ევროპისთვის ეს რეგიონი ჯერ კიდევ 1917 წლიდან იყო ინტერესის სფერო, როდესაც დიდმა ბრიტანეთმა დაიპყრო ოსმალთა იმპერიის ეს ნაწილი. სწორედ ამ წარსული ჩართულობის გამო, ახლო აღმოსავლეთი ისევ აქტუალურია ევროპისთვის.

რაც შეეხება ისრაელსა და ევროკავშირს, მათ შორის ურთიერთობა შეიძლება დახასიათდეს როგორც ეკონომიკური თანამშრომლობის კარგი მაგალითი, თუმცა პოლიტიკურ და სოციალურ დონეზე ამ აქტორების ურთიერთობა საკმაოდ არასტაბილურია. ამ არასტაბილურობის მთავარი მიზეზი სწორედ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტია. 1973 წლის ოქტომბრის ომის შემდეგ ევროპული თანამეგობრობის ჩართვამ კონფლიქტის მოგვარების პროცესში ეს ურთიერთობა დაძაბა. ევროპა პალესტინას ეხმარებოდა ისე, როგორც ისრაელს აშშ, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია ისრაელის მხრიდან.

დღეს ევროპა ცდილობს ფინანსური და პოლიტიკური დახმარების გაწევას ორივე მხარისთვის. მას ასევე მკაფიო ხედვა აქვს, რომ საჭიროა ორი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, სადაც დაცული იქნება ამ ხალხების ყველა მოთხოვნა. მაგრამ ისრაელს არ მოწონს, რომ მის საგარეო პოლიტიკაში ევროკავშირი ცდილობს ცხვირის ჩაყოფას და მიაჩნია, რომ თავადაც გაართმევს თავს ამ პრობლემას. მაგრამ უარს არ ამბობს იმ ბენეფიტებზე, რასაც მას ევროკავშირი სთავაზობს. ისრაელს მოწონს ეკონომიკური კავშირები ევროპასთან, მაგრამ არ მოწონს, როცა ის ერევა პალესტინა-ისრაელის კონფლიქტში. ამას თავისი მიზეზი გააჩნია, რაზეც უკვე ვისაუბრე კიდევ. ვენეციის დეკლარაცია აღმოჩნდა ის გარდამტეხი მომენტი, რამაც ისრაელი დააფიქრა რამდენად მიუკერძოებელი იყო ევროპა ამ კონფლიქტის

მოგვარებაში. ისრაელს არ მოწონს ის ფაქტი, რომ ევროკავშირი პალესტინის უდიდესი დონორია, რადგან თვლის, რომ ფინანსების გაუმჭვირვალობის გამო, პალესტინამ შეიძლება ეს თანხები იარაღის შესაძენად და ტერორისტული დაჯგუფებების დასაფინანსებლად გამოიყენოს. ამას თან ერთვის ის თანხები რაც იხარჯება პალესტინის საჯარო ინსტიტუტების განვითარებაში, მათ შორის პოლიციისა და სასამართლოს სისტემებში. ისრაელი გრძნობს, რომ ევროკავშირი ზედმეტადაა ჩართული ამ კონფლიქტის პალესტინი მხარეს. ამის დამამტკიცებელი ისიცაა, რომ ევროკავშირი კონფლიქტის მოგვარების გამოსავლად ხედავს ორი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

ჰაიმ იაკობისა და დევიდ ნიუმანის სტატიაში მოყვანილია შტაინმეტცის მშვიდობის კვლევების ცენტრის გამოკითხვა²². სადაც ებრაელ მოსახლეობას ეკითხებოდნენ, რამდენად ისურვებდნენ მესამე ძალის ჩართვას კონფლიქტის მოგვარებაში და თუ ისურვებდნენ, რომელ სახელმწიფოს. აღმოჩნდა, რომ ისრაელის ებრაელი მოსახლეობის 30 პროცენტი ისურვებდა მესამე ძალის ჩართვას კონფლიქტში, უბრალოდ პირველ ადგილზე ეს მესამე ძალა აშშ იყო. მას მოყვებოდა დიდი ბრიტანეთი, ხოლო საფრანგეთი სიის ბოლოში აღმოჩნდა.

ევროპული არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობითაც უკმაყოფილოა ებრაული მოსახლეობა და თვლიან, რომ ის მხოლოდ კონკრეტულ ელიტებზეა ორიენტირებული და არა მთლიან მოსახლეობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი ცდილობს ინსტიტუციურად მოაძლიეროს პალესტინა, ეს პოლიტიკა უფრო გრძელვადიანია და არც იმის გარანტია რომ მომავალში გაძლიერებული პალესტინა ისრაელისთვის უკვე მიმზიდველი მეზობელი გახდება.

²² Peace Index - December 2001, Ephraim Ya'ar and Tamar Hermann, The Tami Steinmetz Center for Peace Research Webpage:
http://www.peaceindex.org/files/peaceindex2001_12_3.pdf

ბიბლიოგრაფია:

- The inevitable dead end of the Arab-Israeli conflict - Eyal Lewin; Lewin, Cogent Social Sciences (2016), 2: 1227294
- European Union Policy on the Israeli-Palestinian Conflict: From Payer to Player? - Pasi Patokallio Fellow, Weatherhead Center for International Affairs Harvard University 8 April 2004
- Middle East Peace Process - European External Action Service, 15 June 2016
Webpage: https://eeas.europa.eu/topics/middle-east-peace-process/337/middle-east-peace-process_en
- Security Council Report – Middle East, A/RES/181 (II), Overview of General Assembly Document. The General Assembly Partition Plan for the British Mandate of Palestine.
- Camp David Accords; September 17, 1978 – Yale Law School, Lilian Goldman Law Library; The Avalon Project - Documents in Law, History and Diplomacy.
Webpage: http://avalon.law.yale.edu/20th_century/campdav.asp
- The Palestine–Israel Conflict A Basic Introduction, Fourth Edition, Gregory Harms with Todd M. Ferry.
Webpage: https://the-eye.eu/public/concen.org/01052018_updates/The%20Palestine-Israel%20Conflict%20A%20Basic%20Introduction.4thEd.2017.pdf
- Venice European Council Declaration - EEAS, June 13, 1980.
Webpage: http://eeas.europa.eu/archives/docs/mepp/docs/venice_declaration_1980_en.pdf
- European Involvement In The Arab-Israeli Conflict - Muriel Asseburg, Michael Bauer, Agnès Bertrand-Sanz, Esra Bulut Aymat, Jeroen Gunning, Christian-Peter Hanelt, Rosemary Hollis, Daniel Möckli, Michelle Pace,

Nathalie Tocci, Edited by Esra Bulut Aymat – European Union Institute of Security Studies (ISS), CHAILLOT PAPERS December 2010

- European Commission, Press Release Database. Webpage: http://europa.eu/rapid/press-release_PESC-96-83_en.htm

- Common Security and Defence Policy of the European Union: Missions and Operations Annual Report 2016.

Webpage:

http://eupolcopps.eu/sites/default/files/newsletters/e_CSDP_Annual%20Report.pdf

- The EU and the Israel–Palestine conflict Haim Yacobi and David Newman. Webpage:

file:///Users/Irinka/Downloads/The_EU_and_the_Israel_Palestine_Conflict.pdf

- Declaration of Principles On Interim Self-Government Arrangements, The Oslo Accords Between Israel and Palestine, Sept. 13, 1993. Webpage: <https://www.thoughtco.com/declaration-of-principles-self-government-2352888>

- Oslo Accords 1993. Webpage: <https://www.globalpolicy.org/images/pdfs/oslo091393.pdf>

- *What the Oslo Accords Accomplished*, By Jodi Rudoren, Sept. 30, 2015, The New York Times, Webpage: <https://www.nytimes.com/2015/10/01/world/middleeast/palestinians-mahmoud-abbas-oslo-peace-accords.html>

- Resolution 1073 (1996), Adopted by the Security Council at its 3698th meeting, on 28 September 1996,

Webpage:

<https://unispal.un.org/DPA/DPR/unispal.nsf/0/EE9FD45E870EF244852563B5004AC1C6>

- Peace Index - December 2001, Ephraim Ya'ar and Tamar Hermann, The Tami Steinmetz Center for Peace Research
Webpage: http://www.peaceindex.org/files/peaceindex2001_12_3.pdf
- The troubled relationship between Israel and the European Union: an empirical explanation. Lavoie, Patrick V. Monterey, California: Naval Postgraduate School, 2015-03
Webpage: <http://hdl.handle.net/10945/45215>
- The Concept of Normative Power in World Politics. Diies Brief. Ian Manners, May, 2009
Webpage:
http://pure.diis.dk/ws/files/68745/B09_maj_Concept_Normative_Power_World_Politics.pdf
- 'EU differentiation' as a case of 'Normative Power Europe' (NPE) in the Israeli-Palestinian conflict, Anders Persson, published 08 Jan 2018,
Webpage:
<https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/07036337.2017.1418867>
- Shaping Discourse and Setting Examples: Normative Power Europe can Work in the Israeli–Palestinian Conflict Persson, Anders Published in: Journal of Common Market Studies Published: 2017-08-07. Lund University
Webpage:
http://portal.research.lu.se/portal/files/29685173/Persson_2017_JCMS_Journal_of_Common_Market_Studies.pdf
- Socio-Psychological Barriers to Resolving the Israeli-Palestinian Conflict: An Analysis of Jewish Israeli Society Eran Halperin, Neta Oren, and Daniel Bar-Tal, Chapter 1.
Webpage:
http://www.kas.de/upload/dokumente/2011/03/barriers_to_peace/chapter1.pdf

- Public Opinion in the Israeli-Palestinian Conflict From Geneva to Disengagement to Kadima and Hamas Jacob Shamir. Library of Congress First published June 2007.

Webpage: <https://www.usip.org/sites/default/files/PWjune2007.pdf>

- Reframing and Resolving Conflict. Israeli-Palestinian Negotiations 1988-1998 Aggestam, Karin Published: 1999-01-01, Lund University

Webpage: <http://portal.research.lu.se/portal/files/4494879/4770171.pdf>

- The Two-State Solution: What It Is and Why It Hasn't Happened, By Max Fisher. Dec. 29, 2016.

Webpage: <https://www.nytimes.com/2016/12/29/world/middleeast/israel-palestinians-two-state-solution.html>

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Irina Gakheladze

Discredited EU Involvement in Israel-Palestine Conflict

Diplomacy and International Politics

Submitted to obtain a Master degree in Diplomacy and International
Politics

Supervisor – Pikria Asanishvili, Associate Professor

Tbilisi

2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარიამ ხუროშვილი

პოლონურ-შვედური ინიციატივა - რუსეთის მიღმა შექმნილი
აღმოსავლეთ პარტნიორობა

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და
საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ეკა ეკობია
ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2018

ანოტაცია

ნაშრომი „პოლონურ-შვედური ინიციატივა - რუსეთის მიღმა შექმნილი აღმოსავლეთ პარტნიორობა“ მიზნად ისახავს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტის პრაგმატულ ანალიზს. ნაშრომის ძირითად საკვლევ კითხვებს წარმოადგენს, რატომ ჰქონდა პოლონეთს აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიცირების ინტერესი? რა ძირითადი მიზეზების გამო აღიქვამს რუსეთი აღმოსავლეთ პარტნიორობას მის წინააღმდეგ მიმართულ ინიციატივად? საკვლევ კითხვების შესაბამისად, ჰიპოტეზაში ნაჩვენებია რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატი, რომელიც პოლონეთს რეგიონში ლიდერად ჩამოყალიბების შესაძლებლობას აძლევს, ასუსტებს ოფიციალური მოსკოვის გავლენებს აღმოსავლეთ ევროპის და სამხრეთ კავკასიის პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში. აქედან გამომდინარე, “აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატი, რომელიც პოლონეთს რეგიონში ლიდერად ჩამოყალიბების შესაძლებლობას აძლევს” - წარმოადგენს დამოუკიდებელ ცვლადს. ხოლო, “ოფიციალური მოსკოვის გავლენების შემცირება აღმოსავლეთ ევროპის და სამხრეთ კავკასიის პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში” არის დამოკიდებული ცვლადი.

პარტნიორობის ინიციატორი სახელმწიფოს მოტივების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატის ფარგლებში, პოლონეთს შესაძლებლობა მიეცემოდა, რომ რეგიონში ახალ ლიდერად ჩამოყალიბებულიყო, გაეძლიერებინა საკუთარი გავლენა ევროკავშირის შიგნით და გამხდარიყო ბრიუსელისთვის მთავარი კოორდინატორი სახელმწიფო აღმოსავლეთ სამეზობლოსთან ურთიერთობის საკითხებში. ლოგიკურია, რომ ეს ყოველივე ოფიციალურ მოსკოვში რეგიონზე გავლენის დაკარგვის შიშს იწვევს.

ჰიპოტეზის ასახსნელად გამოყენებულია თავდაცვითი რეალიზმის თეორიული ჩარჩო, რომელიც ხსნის რომ რუსეთის ფედერაციის აქტივობები დაფუძნებულია რეგიონში სტატუს-კვოს და გავლენების შენარჩუნებაზე.

Polish-Swedish initiative – elaboration of the Eastern Partnership beyond the Russian Federation

Mariam Khuroshvili

Abstract

The study “Polish-Swedish Initiative – Elaboration of the Eastern Partnership beyond the Russian Federation” aims to make a pragmatic analysis of the Eastern Partnership (EaP) Project. The main research questions are: Which factors triggered Poland to have an interest in initiating Eastern Partnership? Why does Russia perceive Eastern Partnership against its Policy? In accordance to the research question, a hypothesis is illustrated as follows: Eastern Partnership format, which enables Poland to become a regional leader, weakens influences of Official Moscow in Post-Soviet states of East Europe and South Caucasus. Therefore, “Eastern Partnership format, which enables Poland to become a regional leader” represents an independent variable; “Weakening influences of Official Moscow in Post-Soviet states of East Europe and South Caucasus” is a dependent variable.

Through the analysis of the initiator county’s motives, it is argued that the EaP format enabled Poland to become a new regional leader, to implement its “Niche policy” within the EU and become the main coordinator state in terms of EU Neighborhood East and Eastern Enlargement Policy. Logically, the latest cause a fear of losing its influence on the region.

The research hypothesis has been studied through the theoretical framework of defensive realism, which perfectly explains that responses from the Russian Federation towards Eastern Partnership are based on maintaining the status-quo and political spheres of influence in the region.

Contents

ანოტაცია	2
Abstract	3
შესავალი	5
მეთოდოლოგია.....	8
თეორიული მიმოხილვა.....	9
ლიტერატურის მიმოხილვა	14
აღმოსავლეთ პარტნიორობა - ეტაპები	19
19/20 ივნისის საპრეზიდენტო დასკვნები	19
ევროპული საბჭოს საგანგებო სხდომა, 1 სექტემბერი, 2008.....	20
11-12 დეკემბრის საპრეზიდენტო დასკვნები.....	21
19-20 მარტის საპრეზიდენტო დასკვნები	22
დეკლარაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის შეთანხმების შესახებ	23
პოლონეთის ინტერესები	27
პოლიტიკური ნიშის დამკვიდრება ევროკავშირში და ახალი ლიდერი აღმოსავლეთ რეგიონში	30
უსაფრთხოების საკითხი.....	32
„მეტი სივრცე აღმოსავლეთით“	32
რატომ შვედეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები?	33
ევროკავშირის ინტერესები.....	34
რუსეთის პოზიცია	36
რუსეთი, როგორც დეზინფორმაციის წყარო	42
აღმოსავლეთ პარტნიორობის წვერი ქვეყნების გამოწვევები.....	43
კონსტრუქციული გაურკვევლობა (Constructive ambiguity)	45
თეორიულ ჭრილში განხილვა	46
დასკვნა.....	50
გამოყენებული ლიტერატურა.....	52
დანართი #1.....	58
დანართი #2.....	59

შესავალი

დღეს-დღეობით აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა (EaP) უფრო და უფრო მნიშვნელოვან ფაზებს გადის. განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობს სამი ქვეყანა - საქართველო, უკრაინა და მოლდოვა, რომლებმაც უკვე ხელი მოაწერეს ასოცირების ხელშეკრულებას, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას და მიიღეს უვიზო მიმოსვლის სამოქმედო გეგმა (European Commission, n.d). ლოგიკურია, რომ ორმხრივ სარგებელზე დაფუძნებული შეთანხმება მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის არ იქნება მომგებიანი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სიღრმისეულად შეფასდეს პარტნიორობის ძირითადი მიზნები და გამოიკვეთოს ის მოტივები თუ სავარაუდო სარგებელი, რის გამოც პოლონეთმა წამოაყენა, ხოლო ევროკავშირმა დაამტკიცა არსებული ინიციატივა. უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს რუსეთი, რადგან, ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, ამ უკანასკნელს საკმაოდ დიდი გავლენა გააჩნია აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყანაზე. წინამდებარე ნაშრომში ინიციატივა შეფასდება როგორც ევროკავშირის, ასევე რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ინტერესების გადმოსახედიდან.

ნაშრომში დასმულია შემდეგი ძირითადი კვლევითი კითხვები:

- რატომ ჰქონდა პოლონეთს აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიცირების ინტერესი?
- რა ძირითადი მიზეზების გამო აღიქვამს რუსეთი აღმოსავლეთ პარტნიორობას მის წინააღმდეგ მიმართულ ინიციატივად?

ამასთანავე, კვლევაში ნაჩვენები იქნება თუ რა ეტაპები გაიარა აღმოსავლეთ პარტნიორობამ ინიცირებიდან - დამტკიცებამდე და დეკლარაციის ხელმოწერამდე და რატომ გადაწყვიტა ოფიციალურმა ბრიუსელმა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში რუსეთთან თანამშრომლობა.

საკვლევის კითხვების შესაბამისად, წარმოდგენილია ის არგუმენტები, რომ პოლონეთს სურდა ევროკავშირის შიგნით საკუთარი „ნიშის“ დამკვიდრება აღმოსავლეთ ევროპასთან ურთიერთობის საკითხებში და რეგიონულ ლიდერად ჩამოყალიბება. ამ მიზნის მისაღწევად კი აუცილებლად სჭირდებოდა შვედეთის მხარდაჭერა, რადგან ის წარმოადგენს წამყვან დასავლეთ ევროპულ ქვეყანას, მკვეთრად გამოხატული დემოკრატიული ორიენტაციით. იმის გამო, რომ განეიტრალებულიყო რუსეთის ეჭვები ინიციატივასთან დაკავშირებით და ამავდროულად, არ მომხდარიყო ურთიერთობების დაძაბვა, ბრიუსელმა დაუშვა რუსეთთან თანამშრომლობა ორმხრივ საკითხებზე (მაგ, კალინინგრადი). ნაშრომში სიღრმისეულად არის განხილული რუსეთის ფედერაციის ლოგიკური შიში აღმოსავლეთ პარტნიორობასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც შეუსუსტდებოდა გავლენა ექვს პოსტ-საბჭოთა ქვეყანაზე და მიიღებდა პოლონეთს, როგორც ლიდერს აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში.

წინამდებარე კვლევის **ჰიპოტეზა** შემდეგნაირად ჩამოყალიბდება:

- აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატი, რომელიც პოლონეთს რეგიონში ლიდერად ჩამოყალიბების შესაძლებლობას აძლევს, ასუსტებს ოფიციალური მოსკოვის გავლენებს აღმოსავლეთ ევროპის და სამხრეთ კავკასიის პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში.

დამოუკიდებელი ცვლადი:

- აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატი, რომელიც პოლონეთს რეგიონში ლიდერად ჩამოყალიბების შესაძლებლობას აძლევს.

დამოკიდებული ცვლადი:

- ოფიციალური მოსკოვის გავლენების შემცირება აღმოსავლეთ ევროპის და სამხრეთ კავკასიის პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში.

ცვლადების ოპერაციონალიზაციას მოვახდენ შემდეგნაირად:

სხვადასხვა პირველად თუ მეორად წყაროებზე დაყრნობით, ნაშრომში გავაანალიზებ პოლონეთის აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში პოლონეთის ოპერირების ძირითად მიზნებს. ვაჩვენებ, რომ პოლონეთის პოლიტიკური ნაბიჯები რეგიონში ლიდერობასთან დაკავშირებით, ემყარება მის ისტორიულ წინაპირობებს. შესაბამისად, კვლევაში ახსნილი იქნება პოლონეთის როგორც ნორმატიული, ასევე პრაგმატული ინტერესები.

იმისთვის რომ ვაჩვენო ევროკავშირის შიგნით გადაწყვეტილების მიღების პროცესი აღმოსავლეთ პარტნიორობასთან მიმართებით, ნაშრომში განვიხილავ ყველა მნიშვნელოვან შეხვედრას პარტნიორობის ინიცირებიდან - მის დამტკიცებამდე. ამის შესწავლა აუცილებელია, რათა კარგად გვქონდეს გაანალიზებული არა მხოლოდ მოქმედი ლიდერების ინტერესები, არამედ ვიცნობდეთ დოკუმენტის შინაარსს და ძირითადი მიმართულებებს.

ტერმინში „ოფიციალური მოსკოვს გავლენების შემცირება“, იგულისხმება რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტების შესუსტება. კვლევაში ნაჩვენებია, რომ ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება და ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, ამცირებს რუსეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ გავლენებს ხელმომწერ ქვეყნებში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულებები ჯერ-ჯერობით მხოლოდ სამ ქვეყანასთან - საქართველოსთან, უკრაინასა და მოლდოვასთან არის გაფორმებული. შესაბამისად, რუსეთის ამჟამინდელი გავლენა ბელარუსსა და სომხეთზე მაინც შესამჩნევია. თუმცა, მთლიანად რეგიონში ამკარაა რუსეთის გავლენების შეცირების ტენდენციები. ტერმინში „აღმოსავლეთ ევროპის და სამხრეთ კავკასიის პოსტ-საბჭოთა ქვეყნები“ იგულისხმება აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყანა: უკრაინა, მოლდოვა, ბელარუსი, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი.

მეთოდოლოგია

წინამდებარე ნაშრომში ჩამოყალიბებული ცვლადების და არსებული ჰიპოთეზის ფუნდამენტური შესწავლისთვის, მნიშვნელოვანია კვლევის წარმართვა სწორად შერჩეული მეთოდოლოგიური ჩარჩოს მიხედვით. ჩემს სამაგისტრო ნაშრომს სოციალურ მეცნიერებებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საკვლევი ფორმის - თვისებრივი კვლევის მეთოდის მიხედვით განვიხილავ. ამ მოდელის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მკვლევარს შეუძლია ახსნას არა მხოლოდ მოვლენა, არამედ სიღრმისეულად შეისწავლოს პრობლემის განმაპირობებელი ფაქტორები, ჩამოაყალიბოს მიზეზები და იკვლიოს გადაჭრის გზები. „თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენება რაციონალური გზაა იმისთვის, რომ დაინახო, აღწერო და შეაფასო სამყარო კვლევის ობიექტების თვალთ“ (ზურაბაშვილი 2006, გვ. 7). ზემოხსენებულის შესაბამისად, ჩემ მიერ შერჩეული საკითხის კომპლექსური ანალიზისთვის საჭიროა თემა ეფუძნებოდეს თვისებრივი კვლევის მეთოდებს.

ნაშრომი ეყრდნობა როგორც პირველადი წყაროების (ოფიციალური დოკუმენტები, მაღალი რანგის პირთა გამოსვლები), ასევე მეორადი წყაროების (მეცნიერების და ექსპერტების მოსაზრებები) და პერსონალური ინტერვიუების ანალიზს. ოფიციალური დოკუმენტების განხილვისას გამოყენებულია კონტენტ-ანალიზი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს კვლევის მეთოდს, რომელიც მიზნად ისახავს ვალიდური დასკვნების გამოტანას ტექსტებიდან, თუ სხვა სახის საინფორმაციო წყაროებიდან, მათი კონტექსტის გათვალისწინებით (Krippendorf 2004, p. 18).

კვლევაში გამოყენებული მეთოდოლოგიის სახეებიდან, ერთ-ერთია მონოგრაფიული გამოკვლევა - ქეისის შესწავლა (Case Study), რათა სიღრმისეულად იყოს განხილული ერთი, კონკრეტული საკითხი (ზურაბაშვილი 2006, გვ 63). ამ მეთოდის ეფექტიანობა იმაშიც მდგომარეობს, რომ მკვლევარს ფართო არეალი გააჩნია და შესაძლებლობა ეძლევა როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივ მეთოდებზე

მორგებული ტექნიკები გამოიყენოს ინფორმაციის მოძიების და ანალიზის პროცესში (Gerring 2007, p. 2).

ნაშრომში ასევე გამოვიყენებ პროცესზე მიდევნების (Process-tracing) მეთოდს, რომელიც გამოიყენება ქეისების შესწავლისას (Beach 2017, p. 2). თვისებრივი კვლევის ეს მეთოდი მკვლევარს შესაძლებლობას აძლევს სიღრმისეულად შეისწავლოს საკვლევის ობიექტის ცვლილებები და დინამიკა (Collier 2010, p. 824) ამასთანავე, აუცილებელია ყურადღებით შეფასდეს და გაანალიზდეს პროცესის შემადგენელი ყველა ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია საკვლევ საგანთან. პროცესზე მიდევნების მეთოდის უპირატესობას წარმოადგენს ისიც, რომ დროის განვითარების თვალსაზრისით, შესაძლებელია მოვლენის შესწავლა დინამიკაში და ქეისის შედეგის ახსნა.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომში თავდაცვითი რეალიზმის პრიზმიდან ახსნილია პოლონეთის ინიციატივა აღმოსავლეთ პარტნიორობასთან დაკავშირებით და შეფასებულია რუსეთის ფედერაციის აღქმები და ქმედებები დინამიკაში.

თეორიული მიმოხილვა

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებში ერთ-ერთი დომინანტი პოზიცია რეალიზმს უჭირავს. რეალიზმი ადამიანის ბუნებას ეგოისტურს, ხოლო სისტემას, - კონკურენტულად აღიქვამს. პასუხი, თუ რატომ არის სისტემაში მკაცრი კონკურენცია, მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყნებს ერთმანეთის მიმართ უნდობლობა გააჩნიათ, ხოლო ერთის წარმატება, შეიძლება მეორესთვის დანაკარგი აღმოჩნდეს (აკობია 2006, გვ.20). წინამდებარე ნაშრომში რუსეთის დამოკიდებულებას პოლონეთის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის მიმართ განვიხილავ სტრუქტურული რეალიზმის, კონკრეტულად კი თავდაცვითი რეალიზმის ჭრილში. ეს უკანასკნელი, კარგად ასახავს ოფიციალური მოსკოვის შიშებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში პოსტ-

საბჭოთა ქვეყნებზე გავლენის დაკარგვასთან მიმართებით. ამასთანავე, აჩვენებს რომ რუსეთის ნაბიჯები მიმართულია რეგიონში საკუთარი სტატუს-კვოს შენარჩუნებაზე.

იმ მოცემულობის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოები ერთმანეთის მიმართ მუდმივი მეტოქეობის პირობებში იმყოფებიან, საერთაშორისო სისტემაში სტაბილურობის შესანარჩუნებლად აუცილებელია ძალთა ბალანსის დაცვა. მაშინ როდესაც რეგიონში ახალი მოთამაშეები შემოდიან საკუთარი თამაშის წესების დასამყარებლად, ისინი არა მხოლოდ ასუსტებენ ძველი ჰეგემონების თუ რეგიონული აქტორების გავლენებს, არამედ სისტემაში ბალანსის დამრღვევებად აღიქმებიან. სახელმწიფოების ინტერესში შედის საკუთარი გრძელვადიანი მიზნების მიღწევა, თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი მათთვის უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფაა. კითხვაზე, თუ რატომ იღვწიან ქვეყნები ძალაუფლებისკენ, პასუხი მარტივია - აქტორებისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია საკუთარი სტატუს-კვოს შენარჩუნება. (Viotti & Kauppi 2012, p. 63)

როგორც ზემოთ აღინიშნა, თავდაცვითი რეალიზმი, რეალიზმის გრანდ-თეორიის სკოლის ქვეშ ჩამოყალიბდა და გვთავაზობს გარკვეულ ვარაუდებს და შეხედულებებს მსოფლიო პროცესებთან მიმართებით. ამასთანავე, საერთაშორისო სისტემის ანარქიულობის გათვალისწინებით, თეორია ხსნის სახელმწიფოების ქცევებს და აქტივობებს (Woltz 1979, p. 103). ვინაიდან და რადგანაც, თავდაცვითი რეალიზმი - რეალისტური პრიზმიდან აფასებს მოვლენებს, დაცულია რეალიზმის შემდეგი ფუნდამენტური პოსტულატები:

- საერთაშორისო სისტემის ძირითად აქტორებს სახელმწიფოები წარმოადგენენ;
- საერთაშორისო სისტემა ანარქიულია, აქედან გამომდინარე, ქვეყნების უპირატესი მიზანია ეროვნული ინტერესები - ძალაუფლების შენარჩუნება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- სახელმწიფოები რაციონალურ აქტორებს წარმოადგენენ და მათი უპირატესი მიზანი - თვითგადარჩენაა.

თავდაცვითი რეალიზმის ერთ-ერთ მთავარი აპოლოგეტის - კენეტ უოლცის „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“ დღემდე გავლენიან წიგნს წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრებისთვის. ავტორის მიხედვით, სახელმწიფოებისთვის თვითგადარჩენა უმთავრესი პრიორიტეტია, შესაბამისად, გადაწყვეტილებების ძირითადი ფუნდამენტი უსაფრთხოებას და გავლენის შენარჩუნებას ეფუძნება (Woltz 1979, p. 91)

უოლცი აგრეთვე მიიჩნევს, რომ საერთაშორისო სისტემაში ერთი ქვეყნის მიერ საკუთარი სტატუს-კვოს გაფართოების სტიმულები (incentives) მხოლოდ გარკვეული გარემოებებშია გამოხატული. უფრო ხშირად კი აქტორების მთავარი მიზანი გავლენის სფეროების შენარჩუნებაა. საერთაშორისო სისტემა ანარქიულია, ხოლო წესრიგის და წონასწორობის დაცვის მიზნით, სახელმწიფოები ერთმანეთს სხვადასხვა ფორმების მიხედვით აბალანსებენ. ძლიერი სამხედრო შესაძლებლობები უფრო მეტ თავდაჯერებას მატებს ქვეყანას, რადგან შანსი ეძლევა, უკეთესად დაიცვას საკუთარი ტერიტორია აგრესორებისგან (Woltz 1979, p.105-106)

აღსანიშნავია, რომ უოლცის მიხედვით, სახელმწიფოები საკუთარი სტატუს-კვოს და გავლენების განხილვისას ყურადღებას არა მხოლოდ ხისტი პოლიტიკის ელემენტებს, არამედ სხვა მახასიათებლებსაც ანიჭებენ მნიშვნელობას. საერთაშორისო თვითდამოკიდებულ სისტემაში (self-help system), სახელმწიფოებმა უნდა იზრუნონ ერთიან კომბინირებულ შესაძლებლობებზე, რათა საკუთარი ინტერესები დაიცვან. ამისთვის კი საჭიროა სხვადასხვა ფაქტორების ერთობლიობა: პოლიტიკური კომპეტენცია, ეკონომიკური შესაძლებლობები, რესურსები, სამხედრო შესაძლებლობები, ასევე გეოგრაფიული დეტერმინანტები - ტერიტორიის ზომა და მოსახლეობის რაოდენობა (Woltz 1979, p. 131). ავტორი ასევე მსჯელობს სისტემაში ნდობისა და უნდობლობის შესახებ. ზოგადი რეალისტურ გადმოსახედიდან, სახელმწიფოები არასდროს არიან აბსოლუტურად დარწმუნებული სხვა აქტორების ზრახვებსა და მიზნებზე. უოლცი აცხადებს, რომ სახელმწიფოთაშორისი უნდობლობა

შედარებითა და შესაძლებელია მოდიფიცირდეს საერთაშორისო თანამშრომლობის, მათ შორის საერთო უსაფრთხოების შეთანხმებების საფუძველზე. სისტემაში დომინანტობა ყოველთვის არ არის ქვეყნების უმთავრესი მიზანი. ნაცვლად ამისა, სახელმწიფოებისთვის უფრო მეტად პრიორიტეტული სტაბილურობა, უსაფრთხოება და ძალთა ბალანსის შენარჩუნებაა (Woltz 1979, p. 126).

თავდაცვითი რეალიზმის თეორიის განვითარებაში უოლცთან ერთად, დიდი წვლილი მიუძღვის რობერტ ჯერვისს. სამეცნიერო ჟურნალ *World Politics*-ში 1978 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში: „თანამშრომლობა უსაფრთხოების დილემის ქვეშ“, ავტორი ამბობს, რომ საერთაშორისო სუვერენის არარსებობა არა მხოლოდ უშვებს ომების/ პოლიტიკური დაპირისპირებების ალბათობას, არამედ აძლიერებს კიდევ სახელმწიფოების უკმაყოფილებას მათ სტატუს-კვოსთან მიმართებით. სისტემის ანარქიულობა, ქვეყნებს საკუთარი გავლენის სტატუსის მუდმივი კონტროლისკენ უბიძგებს. აქტორებისთვის აღსანიშნავ მიღწევას წარმოადგენს წვდომა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ლოკაციებსა და რესურსებზე. ზემოხსენებულის შესაბამისად, ქვეყნები განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან სტრატეგიული ობიექტების ფლობას (Jervis 1978, p. 167-168).

ჯერვისი საუბრობს სახელმწიფოების საზღვრების და მეზობელი ქვეყნების კონტროლის მნიშვნელობაზე, მათგან მომავალი საფრთხეების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. საკუთარი უსაფრთხოების დონის გასაზრდელად, ქვეყნები ცდილობენ მათი საზღვრისპირა ტერიტორიების გაკონტროლებას, ყველაზე ცუდ შემთხვევაში კი მათ ნეიტრალიზებას ჯერდებიან (Jervis 1978, p. 169). შესაბამისად, რაც უფრო დიდი იქნება საზღვარსა და პოტენციურ საფრთხეს შორის პერიმეტრი, მით უფრო დაცულად იგრძნობს თავს სახელმწიფო. ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიმღებები პირები ხშირად მოწყვლადობის და საფრთხის სუბიექტური აღქმის მიხედვით მოქმედებენ. ამ ფენომენს ჯერვისი სუბიექტურ უსაფრთხოებას (subjective security) უწოდებს (Jervis 1978, p. 175). ამ უკანასკნელის გათვალისწინებით, დიდი

მნიშვნელობა ენიჭება ლიდერის მიერ ინდივიდუალური ანალიზის დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებებს.

მამოტივირებელ საბაბთან (incentives) მიმართებით ჯერვისი ამატებს, რომ გარკვეულ პირობებში შესაძლებელია, სახელმწიფოებმა ხისტის ძალის გამოყენებით შეინარჩუნონ საკუთარი სტატუს-კვო და გავლენები (Jervis 1978, p.189). თუმცა, თავდაცვითი რეალიზმის გადმოსახედიდან, თვითგადარჩენა და სუვერენიტეტი სახელმწიფოების ფუნდამენტური ღირებულებაა. შესაბამისად, ქვეყნები ყოველთვის არ არიან სხვების დომინანციაზე მიმართული, მათ შეიძლება მხოლოდ გარკვეული სახის ძალაუფლებაზე ჰქონდეთ პრეტენზია (Schmidt 2005, p. 537).

იმ შემთხვევაში, როდესაც უსაფრთხოების კომპონენტები ასე თუ ისე თავსებადი და დამაკმაყოფილებელია, მაშინ უპირატესობა თავდაცვით რეალიზმს ენიჭება (Jervis 1978, p. 121). საჭიროა აღინიშნოს, რომ თავდაცვითი რეალიზმის წარმომადგენლები უპირისპირდებიან კლასიკურ რეალისტებს და აცხადებენ, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში ძალაუფლებისთვის ბრძოლა არ გამომდინარეობს ადამიანის ეგოისტური ბუნებიდან. სახელმწიფოთა შორის მეტოქეობა თავად სისტემის შემადგენელი ნაწილია (Schmidt 2005, p. 536).

ძალთა ბალანსის განხილვისას, შმიდტი მიიჩნევს რომ მექანიზმის საფუძველია საერთაშორისო ძალაუფლების ნაპრალების მინიმალიზება და არა ამ ნაპრალების გაფართოება საკუთარი უპირატესობის გასაზრდელად. კითხვა, თუ რისთვის იღვწიან სახელმწიფოები - უსაფრთხოების გაზრდისთვის თუ ძალაუფლების მაქსიმიზაციისთვის ერთ-ერთ ფუნდამენტურ კითხვად რჩება რეალიზმის სხვადასხვა მიმდინარეობებს შორის (Schmidt 2005, p. 540).

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ანარქიულ სისტემაში არსებობს წესრიგი, რომელიც ძლიერი მოთამაშეების მიერ არის დამყარებული. იმის გათვალისწინებით, რომ აქტორების ზრახვების გაგება რთულია, ქვეყნები მუდმივი შიშის და ერთმანეთის კონტოლის მდგომარეობაში იმყოფებიან. რომელიმე ქვეყნის გაძლიერება და

გააქტიურება სისტემაში, მოქმედი რეგიონული თუ საერთაშორისო ლიდერისთვის ძალაუფლების დაკარგვის, გადაცემის ან გაყოფის საშიშროებას ქმნის.

ამ მხრივ, საინტერესოა რუსეთის პოზიციის შესწავლა თავდაცვითი რეალიზმის ჭრილიდან, რომლისთვისაც აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა ანალიზის სხვადასხვა დონეზე იწვევდა შიშებს როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე გავლენების შემცირებასთან დაკავშირებით.

ლიტერატურის მიმოხილვა

ლიტერატურის მიმოხილვა დაყოფილია ორ თემატურ ნაწილად. თავდაპირველად, მიმოვიხილავ დამოკიდებული ცვლადის შესახებ არსებულ ნაშრომებს და განვიხილავ სხვადასხვა ავტორის შეხედულებას, თუ რატომ აღიქვამს რუსეთი აღმოსავლეთ პარტნიორობას პოსტ-საბჭოთა რეგიონში საკუთარი გავლენების შემზღვეველ პროექტად. შემდეგ, შემოგთავაზებთ დამოუკიდებელი ცვლადის ლიტერატურულ მიმოხილვას და ვაჩვენებ თუ რატომ მიიჩნევა აღმოსავლეთ პარტნიორობა პოლონეთისთვის რეგიონში ლიდერად ჩამოყალიბების შესაძლებლობად, წამყვანი მკვლევრების მიერ.

სტატიაში „აღმოსავლეთ პარტნიორობა რუსეთის პერსპექტივიდან“, ანდრეი ზაგორსკი საუბრობს რუსეთიდან დანახული პროექტის შესახებ. ავტორი ამბობს, რომ არც პოლიტიკოსების და არც ექსპერტების დონეზე, აღმოსავლეთ პარტნიორობა არ შეფასებულა მომგებიან პოლიტიკურ მოვლენად. მეტიც, ამ ინიციატივის გაცნობამ ძალიან ბევრი კრიტიკული კითხვა გამოიწვია რუსეთში. პროექტი, დანახულ იქნა, როგორც რუსეთსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ურთიერთობების შემაფერხებელი ინიციატივა. რუსეთისთვის განსაკუთრებით პრობლემატურია ასოცირების ხელშეკრულება და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჩართვა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რუსეთს თავად აქვს თავისუფალი სავაჭრო ზონა ბელარუსსა და უკრაინასთან. რუსეთს

აშფოთებს ენერგეტიკულ საკითხებში თანამშრომლობაც, რადგან ეს უკანასკნელი ხელს შეუშლის გაზპრომის მონოპოლიას რეგიონში. რუსეთი ეჭვის თვალთ უყურებს სომხეთის ევროკავშირთან დაახლოებას, რომელთანაც გააჩნია მჭიდრო თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების საკითხებში. ოფიციალური მოსკოვი, სკეპტიკურად არის განწყობილი მულტილატერალიზმის მიმართაც (Zagorski 2011, p. 41-45).

ევროპის კოლეჯის მკვლევარი - ჰანეს ადომეიტი ნაშრომში „რუსეთი და მისი ახლო სამეზობლო: კონკურენცია და კონფლიქტი ევროკავშირში“ ხსნის, თუ რა აშფოთებს ოფიციალურ მოსკოვს ევროკავშირის აღმოსავლეთ გაფართოების საკითხში. ავტორი აცხადებს, რომ რუსეთის გავლენის სფეროები და ევროპული საერთო სივრცე აღმოსავლეთ ევროპაში ერთმანეთის გადაფარვას ახდენს. მიუხედავად იმისა, რომ ელცინის შემდეგ, რუსეთმა მრავალი საკითხის მიმართ დამოკიდებულება შეცვალა, პოსტ-საბჭოთა სივრცის მიმართ აღქმები არ შეუცვლია და დღემდე მიიჩნევს საკუთარი გავლენის სფეროს ქვეშ მოქცეულ ტერიტორიად. პუტინის აღქმების მიხედვით, ევროკავშირი და ნატო დასავლური ღირებულებების გავრცელებას ცდილობენ პოსტ-საბჭოთა სივრცეზე და შესაბამისად, ამცირებენ რუსეთის კონტროლის ინსტრუმენტებს რეგიონში. მსგავსი სტერეოტიპები შეიცავს ნულოვანჯამოვანი თამაშის (zero-sum game) ელემენტებს (Adomeit 2011, p. 9 -14).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თავდაპირველად ევროკავშირს რუსეთთანაც ჰქონდა აღმოსავლეთ სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში თანამშრომლობის მცდელობები. ავტორები გრეტსკი, ტრემკენკოვი და გოლუბევი, სამეცნიერო ჟურნალში „კომუნისტური და პოსტ-კომუნისტური კვლევები“ ხსნიან რუსეთის დამოკიდებულებას ზემოხსენებული შეთავაზების მიმართ. სამეცნიერო სტატიაში კარგად არის ნაჩვენები, რომ რუსეთმა თავიდანვე მოახდინა საკუთარი თავის გამორიცხვა (self-exclusion) სამეზობლო პოლიტიკიდან. ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენდა ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის აუცილებლობა

ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რაც რუსეთმა საკუთარი ლეგიტიმაციის და სუვერენიტეტის შეზღუდვად მიჩნია (Gretskiy, Trechchenkov & Golubev 2014, p. 376).

აღმოსავლეთ პარტნიორობასთან მიმართებით, ოფიციალური მოსკოვის ტენდენციები და აქედან გამომდინარე საპასურო აქტივობები კარგად აქვს შესწავლილი ანდრეი მაკარიჩევს და ანდრეი დევიატკოვს, ევროპული პოლიტიკის კვლევების ცენტრის სამეცნიერო პლატფორმაზე (CEPS). ავტორების მიერ განხილულია, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობა უპირველეს ყოვლისა, თავად ევროკავშირისთვის წარმოადგენს სარგებლიან პროექტს, რომელიც მისი საგარეო პოლიტიკის ნაწილია. შესაბამისად, ოფიციალურ ბრიუსელს და ოფიციალურ მოსკოვს საკუთარი პრაგმატული თუ ნორმატიული ინტერესები გააჩნიათ რეგიონზე. თავდაპირველად, რუსეთმა უარი თქვა აღმოსავლეთ სამეზობლოს პოლიტიკაზე, რადგან მას უნდოდა „მეტი, ვიდრე ევროკავშირის ჩვეულებრივი მეზობელი“ ყოფილიყო. პოსტ-საბჭოთა სივრცეზე გავლენების შენარჩუნების მიზნით, პუტინი აღმოსავლეთ პარტნიორობას საკუთარი ინიციატივებით პასუხობს. მისი იდეა გულიხმობს საბაჟო კავშირის შექმნას პოსტ-საბჭოთა რეინტეგრაციისთვის. ასევე, ის გამოდის ევრაზიის კავშირის ინიციატორად. საბაჟო კავშირიც და ევრაზიის კავშირიც რეგიონში რუსეთის ლიდერობის სტატუსის გაზრდისკენ მიმართულ პრიექტს უფრო გულისხმობს, ვიდრე კარგად ნაფიქრ და გაწერილ ეკონომიკურ სტრატეგიას (Makarychev & Deviatkov 2012, p. 3-4).

რუსეთისთვის პოლიტიკურ ზეგავლენასთან ერთად, მნიშვნელოვანია ეკონომიკა, უფრო კონკრეტულად კი რესურსები. უნდა აღინიშნოს, რომ ენერგეტიკა ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს რუსეთის ფედერაციისთვის (Peters, Rood and Gromadzki 2009, p. 17). მისთვის განსაკუთრებით შემშფოთებელ ელემენტს წარმოადგენს აღმოსავლეთ პარტნიორობა, როგორც სამომავლო თანამშრომლობა ენერგო-უსაფრთხოების საკითხებში. 2016 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ევროკავშირის მიერ იმპორტირებული ნავთობის 32%, ბუნებრივი გაზის

40% და მყარი საწვავის (უმეტესად ნახშირი) 30%, სწორედ რუსეთზე მოდის (European Union, 2018). რუსეთისთვის ალტერნატიული წყაროები საფრთხედ აღქმება, რადგან შეამცირებს ევროკავშირის რუსეთზე დამოკიდებულებას.

პოლონეთის საკითხის განხილვისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს ქვეყნის გართულებული მეზობლობა რუსეთთან. ავტორი ჯონ ბესემერესი, წიგნში „რთული სამეზობლო“, აღნიშნავს, რომ რუსეთს დღემდე გააჩნია საბჭოთა სენტრიმენტები და მის სამეზობლო რეგიონში პატარა სახელმწიფოების სუვერენიტეტს პატივს არ სცემს (Besemeres 2016, p.107). შესაბამისად, საკუთარი ისტორიული გამოცდილების და უსაფრთხოების საკითხების სიმწვავის გამო, ნატოსთან ინტეგრაცია პოლონეთის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენდა 1990-იანი წლების დასაწყისში. ხოლო იმის შემდეგ, რაც პოლონეთი ნატოს წევრი გახდა, ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო განზომილებები უფრო გაძლიერდა (Celewicz & Celewicz 2006, p. 3). აქედან გამომდინარე, ქვეყანას გაუჩნდა დაცულობის შეგრძნება და საკუთარი სტაბილურობის გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ - რეგიონულ ლიდერად ჩამოყალიბების ინტერესები.

პოლონეთის მიერ განსაკუთრებული პასუხისმგებლობის აღება აღმოსავლეთ პარტნიორობის მიმართ, ისტორიულ-პრაგმატულ კონტექსტში აქვს განხილული მკვლევარ მელიორ სზჩეპანიკს (Melchior Szczepanik) სამეცნიერო ჟურნალში „*პერსპექტივები (Perspectives)*“. ავტორი გვთავაზობს პოლონეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზს ქვეყნის ისტორიული ნარატივების გათვალისწინებით. მკვლევარი მიიჩნევს, რომ პოლონეთმა სწორედ იმ ქვეყნებს შესთავაზა ევროკავშირთან უფრო ამბიციური თანამშრომლობა, რომელზე გავლენაც პოლონეთის პირველი რესპუბლიკის - თანამეგობრობის ფარგლებში ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ბელარუსი-უკრაინის ტერიტორია შედიოდა პოლონეთის თანამეგობრობაში, მანამდე, სანამ ქვეყანა სტალინისტურ-ნაციისტური რეჟიმის რეპრესიების ქვეშ მოექცეოდა. შესაბამისად, აღმოსავლეთ ევროპაში ახალი პოლიტიკური მისიის ჩამოყალიბება, პოლონეთის

ისტორიული მეხსიერების მანიფესტაციას წარმოადგენს (Szczepanik 2011, p.45-48). აქედან გამომდინარე ლოგიკურია ვიმსჯელოთ, რომ პოლონეთი აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიცირებით ცდილობს საკუთარი გავლენების გაძლიერებას რეგიონში, რისი ისტორიული წინაპირობებიც უკვე გააჩნია.

ის პოლიტიკა, რომ ევროკავშირის წამყვანმა სახელმწიფომ სამეზობლო ტერიტორიაზე პასუხისმგებლობა აიღოს, ორგანიზაციის შიგნით აპრობირებული ფორმაა. ამით, ქვეყანა ხდება „მისიის მატარებელი“ წევრი და ამასთანავე, დიდი წვლილი შეაქვს ევროკავშირის საგარეო უსაფრთხოების საკითხებში. მაგალითად, საფრანგეთის ინტერესთა სფეროს წარმოადგენს ხმელთაშუა ზღვის რეგიონი, რომელიც ეფუძნება საფრანგეთის ყოფილი პრეზდენტი - ჟაკ შირაკის მიერ ინიცირებულ ბარსელონას პროცესს. ქვეყნების ურთიერთობები ამჟამად ოფიციალურად მოქცეულია „ევროკავშირი - ხმელთაშუაზღვისპირეთის პარტნიორობის“ პროექტის ქვეშ. (Tasche 2010, 53).

საინტერესოა მიმოვიხილოთ სხვა მხარდამჭერი ქვეყნებიც. ბალტიისპირეთის ქვეყნების ინტერესი საქართველოს მიმართ, კარგად აქვს განხილული მარიამ აფრიაშვილს, *საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის* ერთ-ერთ კვლევით ნაშრომში. ავტორის მიხედვით, ესტონეთი, ლიტვა და ლატვია იმ ქვეყნებს წარმოადგენენ, რომლებსაც კარგად ესმით საქართველოს ამჟამინდელი მისწრაფებები ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ. მკვლევრის მერ დასახელებულია სამი ძირითადი მიზეზი, რომელიც ბალტიისპირეთის ქვეყნებს სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნების, განსაკუთრებით კი უკრაინა-საქართველოს დახმარებისკენ უბიძგებს. ესენია, სოლიდარობის პოლიტიკა (რომელიც გულისხმობს საერთო ისტორიულ წარსულს), საკუთარი საგარეო პოლიტიკური ნიშის ჩამოყალიბება - „*niche policy*“, რის შედეგადაც ბალტიისპირეთის ქვეყნები ევროკავშირის შიგნით საკუთარ ხილვადობას გაზრდიან და უსაფრთხოების საკითხები, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნების რეგიონული სტაბილურობისთვის (Apriashvili 2017, 2).

აღმოსავლეთ პარტნიორობა - ეტაპები

იმისთვის, რომ სიღრმისეულად შევისწავლოთ აღმოსავლეთ პარტნიორობის როგორც შინაარსობლივი, ასევე ფორმალური დეტალები, მნიშვნელოვანია პროექტის შესწავლა და ანალიზი მისი ინიცირებიდან - დამტკიცებამდე. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიცირება მოხდა პოლონეთის მხრიდან 2008 წლის 26 მაისს, ზოგად საქმეთა და საგარეო ურთიერთობების საბჭოს სხდომაზე, ხოლო ინაუგურაცია - 2009 წლის 7 მაისს, პრადის სამიტზე (European Council, 2018). ამ მხრივ, მნიშვნელოვანია თვალი მივადევნოთ, თუ როგორ ხდებოდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ეტაპების განვითარება ევროკომისიაში.

19/20 ივნისის საპრეზიდენტო დასკვნები

ევროპული საბჭოს 19-20 ივნისის საპრეზიდენტო დასკვნებში, საგარეო ურთიერთობების განხილვისას, დოკუმენტის 68, 69, 70-ე პუნქტებში მოცემულია საბჭოს აზრი აღმოსავლეთ პარტნიორობასთან მიმართებით. შესაბამისად, აღნიშნულია, რომ ევროკავშირის საბჭო მიესალმება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ განზომილების განვითარების წინადადებას, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის პოლიტიკის გაძლიერებას პარტნიორობის ბილატერალურ და მულტილატერალურ ფორმატში (68, საპრეზიდენტო დასკვნები, 2008).

ამასთანავე, ევროპული საბჭო (European Council) თანხმდება რომ აუცილებელია რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობა როგორც აღმოსავლეთ მეზობლებს, ასევე თავად ევროკავშირსა და რეგიონს შორის. აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნების განსხვავებული მონაცემების და მიდგომების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია როგორც მრავალმხრივი, ასევე ორმხრივი თანამშრომლობა ევროკავშირსა და რეგიონის ქვეყნებთან. აგრეთვე, მსგავსი სახის თანამშრომლობა დამატებით სტიმულს და ღირებულებას შემატებს აქამდე არსებულ და მულტილატერულ ხელშეკრულებებს, კონკრეტულად კი შავი ზღვის თანამშრომლობას (Black Sea Synergy) და ჩრდილოეთ

განზომილებას (Northern Dimension) (69, საპრეზიდენტო დასკვნები, 2008). საბოლოო, მესამე პარაგრაფში ევროკავშირის საბჭო სთხოვს ევროკომისიას, რომ 2009 წლის გაზაფხულზე მოამზადოს შესაბამისი წინადადება აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივების საფუძველზე (70, საპრეზიდენტო დასკვნები 2008).

ევროპული საბჭოს საგანგებო სხდომა, 1 სექტემბერი, 2008

2008 წლის 1-ლი სექტემბერს გამართული ევროპული საბჭოს საგანგებო სხდომის ოფიციალური დოკუმენტი გამოხატავს ევროკავშირის პოზიციას 2008 წლის აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით. დოკუმენტი იწყება ევროკავშირის მიერ მწუხარების გამოხატვით რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრის გამო და გმობს რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას. ასევე ნახსენებია 12 აგვისტოს დადებული ექვს-პუნქტიანი შეთანხმება და ნაჩვენებია ევროკავშირის როლი კონფლიქტის გადაჭრის პროცესებში (ეუთოს მისიის გაძლიერების მნიშვნელობა სამხრეთ ოსეთში, სასწრაფო დახმარების გამოგზავნა, ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნა და ა.შ.), (1-4, საპრეზიდენტო დასკვნები 2008).

დოკუმენტში გამოყოფილ პუნქტად არის აღნიშნული თანამშრომლობის პოლიტიკის დაჩქარების მნიშვნელობის შესახებ. საპრეზიდენტო დასკვნების მე-7 პუნქტში წერია შემდეგი:

„ევროკავშირი მიიჩნევს, რომ ახლა, ისე როგორც არასდროს, აუცილებელია რეგიონული თანამშრომლობის მხარდაჭერა აღმოსავლეთ სამეზობლოში, განსაკუთრებით შავი ზღვის თანამშრომლობის ინიციატივა და აღმოსავლეთ პარტნიორობა; ამ უკანასკნელს ევროკავშირის საბჭო 2009 წლის მარტის თვეში დაამტკიცებს“ (7, საპრეზიდენტო დასკვნები 2008)

არსებული კრიზისის გათვალისწინებით, ევროპული საბჭო შეთანხმდა, დაენიშნა ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში. მნიშვნელოვან დეტალს წარმოადგენს დოკუმენტის მე-7 პუნქტი, სადაც საუბარია,

ევროპის განსაკუთრებულ საჭიროებაზე ინტენსიურად დაიწყო მუშაობა ენერგომომარაგების უსაფრთხეების საკითხებზე. ამასთანავე, ევროპული საბჭომ მოუწოდა ევროკავშირის საბჭოს და კომისიას თანამშრომლობისკენ და ენერგომომარაგების წყაროების და მოწოდების გზების დივერსიფიკაციის საკითხებზე. დოკუმენტის მე-7 პუნქტი საკმაოდ კარგად გამოხატავს ევროკავშირის პრაგმატულ ინტერესებს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტთან დაკავშირებით, რადგან პოლონური ინიციატივა ევროკავშირს სთავაზობდა არა მხოლოდ უსაფრთხო აღმოსავლეთ სამეზობლოს, არამედ ალტერნატიულ სატრანზიტო კორიდორს ენერგეტიკის საკითხებში. ამის გათვალისწინებით, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მოგვარებაში ჩართვით, ევროპა, საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებასთან ერთად, უზრუნველდა საკუთარი უსაფრთხოების ალტერნატივებზე.

მეორე მნიშვნელოვანი დეტალი, რაც დოკუმენტშია გაცხადებული, არის ევროკავშირის და რუსეთის ფედერაციის ურთიერთდამოკიდებულება რეგიონულ და გლობალურ საკითხებთან მიმართებით. შესაბამისად, ოფიციალური ბრიუსელი მოუწოდებს მოსკოვს თანამშრომლობისკენ (10, საპრეზიდენტო დასკვნები 2008)

11-12 დეკემბრის საპრეზიდენტო დასკვნები

ევროპული საბჭოს 11-12 დეკემბრის საპრეზიდენტო საბჭოს დასკვნებში, აღმოსავლეთ პარტნიორობა განხილულია „საგარეო ურთიერთობები, ევროპის უსაფრთხოება და თავდაცვის პოლიტიკის“ ქოლგის ქვეშ, აღმოსავლეთ სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ფარგლებში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობა მნიშვნელოვნად გააძლიერებდა ევროკავშირის პოლიტიკას აღმოსავლეთ სამეზობლოს პარტნიორ ქვეყნებში, ხელს შეუწობდა ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ჩარჩოს, გააძლიერებდა აქამდე უკვე არსებულ თანამშრომლობას (შავი ზღვის თანამშრომლობა). პროექტი დაეხმარებოდა პარტნიორ ქვეყნებს რეფორმების პროცესში, სტაბილურობის მიღწევასა და ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებაში. საბოლოო ჯამში, ევროპული საბჭო დაეთანხმა

კომისიის წინადადებას და ინიციატივის დამტკიცების თარიღად შეათანხმეს 2009 წლის მარტი, ჩეხეთის პრეზიდენტობის დასაწყისი - პრალის სამიტი (29, საპრეზიდენტო დასკვნები 2009).

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში მშრალადაა აღნიშნული აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ, თუმცა, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ევროკავშირის ენერგო-ეფექტიანობას და ენერგო-უსაფრთხოების საკითხებს.

19-20 მარტის საპრეზიდენტო დასკვნები

ევროპული საბჭოს 19-20 მარტის საპრეზიდენტო დასკვნებში ნაჩვენებია, რომ ევროპული საბჭო შეთანხმდა აღმოსავლეთ პარტნიორობის დეკლარაციის შექმნაზე. დოკუმენტში საუბარია იმ ძირითად ბენეფიტებზე, რასაც პარტნიორობის ფარგლებში აღმოსავლეთ ევროპის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები მიიღებდნენ. პროექტის მიზნებზე საუბრისას ხაზგასმულია, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობა ხელს შეუწყობდა სტაბილურობას და კეთილდღეობას ევროკავშირის და მის აღმოსავლეთ მეზობელ ქვეყნებს შორის, რაც შედეგად მოიტანდა ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებას ევროკავშირსა და იმ აღმოსავლეთ ქვეყნებს შორის, როგორცაა საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, მოლდოვა, ბელარუსი. აგრეთვე, პარტნიორობას უნდა დაეჩქარებინა რეფორმები, საკანონმდებლო სფეროს ჰარმონიზაცია და შემდგომ ეკონომიკური ინტეგრაცია.

დასკვნების მიხედვით, ევროკავშირისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს სტაბილურობის, უკეთესი მმართველობის და ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერას აღმოსავლეთ სამეზობლოში. ევროკომისიასთან 2008 წლის 3 დეკემბრის შეთანხმების შესაბამისად, საბჭო მიესალმა ამბიციური აღმოსავლეთ პარტნიორობის დაარსებას და მიიღო შესაბამისი დეკლარაცია. ლიდერები შეთანხმდნენ, რომ ყველა საჭირო მოსამზადებელი ეტაპი, აღმოსავლეთ პარტნიორობასთან დაკავშირებით, გავლილი უნდა ყოფილიყო 2009 წლის 7 მაისის სამიტამდე.

დეკლარაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის შეთანხმების შესახებ

საერთო დეკლარაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ დამტკიცდა პრადის სამიტზე, 2009 წლის 7 მაისს. დოკუმენტის ხელმოწერას ესწრებოდნენ ისეთი აქტორები, როგორებიცაა - ევროპული საბჭოს პრეზიდენტი, ევროკომისიის პრეზიდენტი, ევროკავშირის საბჭოს გენერალური მდივანი და უმაღლესი წარმომადგენელი საერთო საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში, ევროპარლამენტის პრეზიდენტი, ევროკავშირის რეგიონული კომიტეტის წარმომადგენელი, ევროკავშირის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის წარმომადგენელი, ევროკავშირის 27 წევრი ქვეყანა, აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყანა, აგრეთვე, ევროპის საინვესტიციო ბანკი და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი უმაღლესი წარმომადგენლობით.

აღმოსავლეთ პარტნიორობის დეკლარაცია ჩაშლილია სხვადასხვა ქვე-თემის მიხედვით. პირველი თემატიკა მოიცავს „უფრო ამბიციურ პარტნიორობას ევროკავშირისა და პარტნიორ ქვეყნებს შორის“. ამ სექციაში საუბარია ძირითად მიზნებსა და პარტნიორი ქვეყნების სავარაუდო ბენეფიტებზე. აღნიშნულია, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობა ეფუძნება როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საერთო მიზნებს, შეთანხმება დაფუძნებული იქნება საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებსა და ფუნდამენტურ ღირებულებებზე, როგორიცაა დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა, ფუნდამენტური თავისუფლებები, საბაზრო ეკონომიკა, მდგრადი განვითარება და უკეთესი მმართველობა (ფინანსური, რეგიონული განვითარების, სოციალური სექტორის ჩათვლით). ევროკავშირის და პარტნიორი ქვეყნების ურთიერთობა დაეყრდნობა პირობითობის (conditionality) პრინციპს. გაცხადებულია, რომ პარტნიორობის მიზანს წარმოადგენს პოლიტიკური ასოცირება და შემდგომი ეკონომიკური ინტეგრაცია ევროკავშირისა და პარტნიორ ქვეყნებს შორის, რომლის ფარგლებშიც მოხდება პოლიტიკური და სოციო-ეკონომიკური რეფორმების,

სტაბილურობის, უსაფრთხოების, მულტილატერალური თანამშრომლობის ხელშეწყობა. ხელმომწერები იმედოვნებდნენ, რომ პროექტი დამატებით სტიმულს იქონიებდა პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკურ-სოციალურ და რეგიონულ განვითარებაზე. (1- 3)

„უფრო ღრმა ჩართულობა“ წარმოადგენს დოკუმენტი მეორე მნიშვნელოვან თემატიკას, სადაც საუბარია ორმხრივ და მრავალმხრივ თანამშრომლობაზე, პარტნიორი ქვეყნებისთვის ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცის შექმნაზე, ღია ბაზარსა და ეკონომიკურ ინტეგრაციაზე; აგრეთვე, ადმინისტრაციული სტანდარტების გაუმჯობესებაზე, ვიზა ლიბერალიზაციის და მოქალაქეების თავისუფალი გადაადგილების მხარდაჭერაზე (4 -7). თემატიკის მე-8 პუნქტი დათმობილია ენერგო-უსაფრთხოების საკითხებზე. აღნიშნულია, რომ თანამშრომლობის ფარგლებში შესაძლებელი იქნებოდა რესურსების გრძელვადიანი, სტაბილური და უსაფრთხო მიწოდება-ტრანზიტი, რომელიც დაეყრდნობოდა უკეთეს რეგულაციებს, ენერგო-ეფექტიანობას და განახლებას ენერჯის წყაროებს. ენერგეტიკული ურთიერთდამოკიდებულება შესაძლებელია თანდართული ყოფილიყო ასოცირების შეთანხმებებს და ორმხრივ ღონისძიებებს. ენერგეტიკული თანამშრომლობა გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ევროკავშირის სტრატეგიული ენერგეტიკის მიმოხილვასა და თითოეული პარტნიორი ქვეყნის ენერგეტიკის პოლიტიკაში.

„ფოკუსი მულტილატერალურ თანამშრომლობაზე“ - მესამე მნიშვნელოვანი თემატიკა აჩვენებს, თუ როგორ უნდა გააძლიეროს შეთანხმებამ ღია და თავისუფალი დიალოგი როგორც ევროკავშირსა და პარტნიორ წევრებს შორის, ასევე თავად აღმოსავლეთ ევროპის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორისაც. დოკუმენტში ასევე განხილულია ექვსივე ქვეყნის სამართლებრივი და ადმინისტრაციული მიახლოების მნიშვნელობა ევროპულ სტანდარტებთან. შეთანხმების მე-10 პუნქტის შესაბამისად

განისაზღვრა პარტნიორი ქვეყნების სახელმწიფოს ლიდერების შეხვედრის პრინციპი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ.

პარტნიორობის ფარგლებში გამოიხატა ოთხი ძირითადი თემატიკური პლატფორმა:

1. დემოკრატია, კარგი მმართველობა და სტაბილურობა;
2. ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის დარგობლივ პოლიტიკასთან დაახლოება;
3. ენერგეტიკული უსაფრთხოება;
4. ხალხთაშორისი კონტაქტები.

თითოეულ პლატფორმას გააჩნია შესაბამისი რეალისტური მიზნები და მიმართულებები.

დაფინანსება: დეკლარაციაში განხილულია ერთი-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი - ბიუჯეტის საკითხი. დოკუმენტის შესაბამისად, დაფინანსება განისაზღვრება პარტნიორ ქვეყნებში ინდივიდუალურად. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ მონაწილეებმა ევროპის საინვესტიციო ბანკის და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის პრეზიდენტებთან ერთად იმსჯელეს პარტნიორ ქვეყნებში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიებზე. პრადის სამიტის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ევროკავშირის გრანტებისა და ეროვნული თანადაფინანსების გარდა, პარტნიორობის ქვეყნები საჭიროებენ დამატებით ფინანსურ რესურსებს, დონორების და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან. შესაბამისად, ევროპის საინვესტიციო ფონდი და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი დათანხმდნენ საინვესტიციო პროექტებში მონაწილეობაზე (16-19).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში, იხილეთ აღმოსავლეთ პარტნიორობის, შავი ზღვის თანამშრომლობის და ჩრდილოეთ განზომილების შესახებ დეტალური ინფორმაცია:

პროექტები:	აღმოსავლეთ პარტნიორობა	შავი ზღვის თანამშრომლობა	ჩრდილოთ განზომილება
ინიცირების პერიოდი:	2008- 2009	2007 – 2008	1999-დან. განახლდა 2006 წელს.
ინიციატორი ქვეყანა	პოლონეთი მხარდამჭერი -შვედეთი	ბულგარეთი რუმინეთი	ევროკავშირი
წვერი ქვეყნები	<ol style="list-style-type: none"> 1. ევროკავშირი 2. უკრაინა 3. მოლდოვა 4. ბელარუსი 5. საქართველო 6. სომხეთი 7. აზერბაიჯანი 	<ol style="list-style-type: none"> 1. ევროკავშირი 2. უკრაინა 3. მოლდოვა 4. საქართველო 5. სომხეთი 6. აზერბაიჯანი 7. თურქეთი 8. რუსეთი 	<ol style="list-style-type: none"> 1. ევროკავშირი 2. რუსეთი 3. ნორვეგია 4. ისლანდია
თანამშრომლობის სფეროები:	<ul style="list-style-type: none"> ➤ ეკონომიკა ➤ პოლიტიკა ➤ სამოქალაქო სექტორი ➤ უსაფრთხოება ➤ ხალხთაშორისი კონტაქტები 	<ul style="list-style-type: none"> ➤ ინტეგრირებული საზღვაო პოლიტიკა ➤ გარემოს დაცვა ➤ ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობა ➤ დემოკრატია ➤ სამოქალაქო საზოგადოება 	<ul style="list-style-type: none"> ➤ გარემო (NDEP) ➤ სოციალური ჯანდაცვა (NDPSH) ➤ ტრანსპორტი და ლოჯისტიკა (NDPTL) ➤ კულტურა (NDPC)
მიზანი	<ol style="list-style-type: none"> 1. პარტნიორი ქვეყნების ტრანსფორმაცია; 2. ეკონომიკური განვითარება; 3. უკეთესი მმართველობის ხელშეწყობა. 	<ol style="list-style-type: none"> 1. თანამშრომლობის გაძლიერება რეგიონში 2. გარემოს, ტრანსპორტის და ენერჯეტიკის სფეროში პარტნიორობა 	<ol style="list-style-type: none"> 1. დიალოგი და პარტნიორობა 2. სტაბილურობის და ეკონომიკური თანამშრომლობის გაძლიერება

პოლონეთის ინტერესები

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პოლონეთის საგარეო მინისტრი - რადოსლავ სიკორსკი აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ერთ-ერთ ავტორს წარმოადგენს, საინტერესოა იმისი კვლევა და ანალიზი, თუ როგორ იქნა გამოქვეყნებული „პოლონურ-შვედური წინადადება“ ინიცირების პერიოდში პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდის მიერ. ოფიციალური ტექსტი იწყება იმ მოწოდებით, რომ აუცილებელია ევროპული შეთავაზების უფრო მეტად განმტკიცება ევროკავშირიდან აღმოსავლეთით, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში. აღმოსავლეთ პარტნიორობა განხილულია ორ ძირითად მიმართულების მიხედვით: ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება და მულტილათერალური რეგიონული განვითარება.

ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება ჩაშლილია შემდეგნაირად:

- ერთობლივი მუშაობა მიგრაციულ დღის-წესრიგთან დაკავშირებით, მოკლევადიანი და გრძელვადიანი თავისუფალი მიმოსვლის პერსპექტივების შექმნა;
- თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნა, რომელიც შედეგად მოიტანს ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ინდივიდუალურად;
- ევროკავშირის მხარდაჭერა ევროპული სტანდარტების შესაბამისი დარგობრივი რეფორმების გასატარებლად;
- ხალხთაშორისი ურთიერთობების ინტენსიფიკაცია, სტუდენტებისთვის და მკვლევარებისთვის გაცვლითი პროგრამების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზებული პლატფორმების და სემინარების შეთავაზების ხარჯზე;

- ევროკავშირის კანონმდებლობის, სტანდარტების და ნორმების შესაბამისი შიდა რეფორმების გატარება;
- ევროკავშირის დახმარების ფონდების სათანადოდ განაწილების უზრუნველყოფა (Ministry of Foreign Affairs of Republic of Poland, 2008).

მულტილატერალური რეგიონული თანამშრომლობა განხილულია შემდეგნაირად:

გეოგრაფიული არეალი მოიცავს ევროკავშირის 27 ქვეყანას, აღმოსავლეთ პარნიოტობის 6 ქვეყანას - უკრაინა, მოლდოვა, აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო და ბელარუსია (თანამშრომლობა მოიცავს ტექნიკურ და ექსპერტულ დონეს, განვითარება შედგება შესაბამისი პირობების შემთხვევაში). დოკუმენტში ნახსენებია, რომ ENPI-ს (ევროპის სამეზობლოს და პარტნიორობის ინსტრუმენტი) ფარგლებში არსებული პროექტები შესაძლებელია რუსეთზეც იქნეს გავრცელებული.

თანამშრომლობა დაფუძნებულია მოქნილი თანამონაწილეობის პრინციპზე (ქვეყნების მიერ პროექტებში მონაწილეობა მოხალისეობრივია და დამოკიდებულია თავად ქვეყნების ინტერესებსა და მიზნებზე), არსებული რეგიონული პროექტებისადმი (შავი ზღვის თანამშრომლობა, ჩრდილოეთის განზომილება) დამატებითი მოტივაციის შესაქმნელად.

პროექტი ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარებას, არამედ რეგიონული კავშირების გაუმჯობესებას. რაც შეეხება ფინანსებს, რესურსები ხელმისაწვდომი იქნება ისეთი წყაროებიდან როგორებიცაა ENPI, ევროკავშირის წევრი ქვეყნები, ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) და EBRD (ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი).

შეთანხმების მიხედვით, ინსტიტუციური სტრუქტურა უნდა იყოს რაც შეიძლება მიზანზე ორიენტირებული და გამჭვირვალე. დაინიშნება სპეციალური

წარმომადგენელი შესაბამის ქვეყნებში, მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებით ჩატარდება კონფერენციები და მრგვალი მაგიდები.

თანამშრომლობის სფეროები დაიყოფოდა შემდეგნაირად:

- პოლიტიკა და უსაფრთხოება

დემოკრატია, საერთო ღირებულებები, კანონის უზენაესობა, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, სამოქალაქო სერვისი და ადგილობრივი ადმინისტრაცია

- საზღვრები და ტრანს-სასაზღვრო მოძრაობები

მიგრაცია, სავიზო რეჟიმის მოქნილობა, სასაზღვრო ინფრასტრუქტურა

- ეკონომიკა და ფინანსები

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული რეფორმების განხორციელება, აღმოსავლეთ მეზობლების ეკონომიკური ინტეგრაცია, სავაჭრო ბარიერების გაუქმება ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის, სატრანსპორტო და ტელეკომუნიკაციის ქსელები, ენერგეტიკა, ტურიზმი.

- გარემოს დაცვა

გარემოსთვის არამავნე თანამედროვე ტექნოლოგიები, საზოგადოებაში ეკოლოგიური თვითშეგნების ამაღლება.

- სოციალური საკითხები

საგანმანათლებლო პროგრამები, არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ურთიერთობების განვითარება, ხალხთაშორისი კონტაქტების ინტენსიფიკაცია (Ministry of Foreign Affairs of Republic of Poland, 2008).

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად, დიქტატორულ ბელარუსს პოლონეთი არც თუ ისე პოზიტიურად აფასებდა და ადრეული წყაროების მიხედვით, მის ექსპერტულ-ტექნიკურ დონეზე მიწვევას გეგმავდა. პოლონეთის პრემიერ მინისტრ -

რადოსლავ სიკორსის მიერ რადიო თავისუფლებასთან მიცემულ ინტერვიუში კარგად ჩანს პოლიტიკოსის ეჭვები ბელარუსთან მიმართებით:

“აღმოსავლეთ პარტნიორობის მიზანია პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა ევროკავშირთან მიახლოების მიზნით, იმ შემთხვევაში თუ ბელარუსს არ უნდა მსგავსი დაახლოება ევროკავშირთან, მაშინ, ბუნებრივია, რომ პროგრამა მისთვის არ იმუშავებს“.

სიკორსკიმ ასევე განაცხადა, რომ პოლონეთის პრეზიდენტობის პროცესში მთავარ პრიორიტეტს არა მხოლოდ ევროკავშირის შიდა საკითხების გაუმჯობესება: ევროპის ერთიანობის შენარჩუნება, საბაზრო ეკონომიკის გაძლიერება და ევროპული მშპ-ს გაზრდა, არამედ მეზობელი ქვეყნების მიმართ უფრო გულუხვი და ამბიციური წინადადებების შეთავაზება წარმოადგენს (Survincity.com, 2011). პრემიერ მინისტრის მიერ ბელარუსთან მიმართებაში იდენტიფიცირებულ პრობლემებს შორის აღსანიშნავია: სამოქალაქო საზოგადოების უფლებების შელახვა, ტრანს-სასაზღვრო პრობლემები და ყველაზე მთავარი - პრეზიდენტ ლუკაშენკოს ავტორიტარული რეჟიმი სახელმწიფოში (Politco.eu, 2008).

საინტერესოა, რატომ არ გამოკვეთა პოლონურმა მხარემ ევროკავშირისთვის შეთანხმების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება - ენერგო-უსაფრთხოება.

პოლიტიკური ნიშის დამკვიდრება ევროკავშირში და ახალი ლიდერი აღმოსავლეთ რეგიონში

როგორც ლიტერატურულ მიმოხილვაშია ნახსენები, ევროკავშირი წევრი ქვეყნებისთვის დამახასიათებელია ევროკავშირის სამეზობლო რეგიონებზე პასუხისმგებლობის აღება და ამით საკუთარი მნიშვნელობის გამოკვეთა. მაგალითად, საფრანგეთის ინტერესთა სფეროა ხმელთაშუა ზღვის რეგიონი, რომელიც „ევროკავშირი - ხმელთაშუა ზღვისპირეთის პარტნიორობით“ რეგულირდება.

რუმინეთ-ბულგარეთის მცდელობას აღმოსავლეთ რეგიონზე პასუხისმგებლობის აღებასთან დაკავშირებით წარმოადგენდა - „შავი ზღვის თანამშრომლობის“ ინიციატივა. რაც შეეხება აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტს, ეს უკანასკნელი პოლონეთისთვის წარმოადგენდა ევროკავშირის შიგნით გარკვეული „ნიშის“ დამკვიდრების შესაძლებლობას.

პოლონეთი არის ტერიტორიულად მოწინავე სახელმწიფო ევროკავშირში, შესაბამისად, ლოგიკურია, რომ მას სურდეს ღირსეული ადგილის მოპოვება ევროპულ დონეზე (ვ. გოგოლაშვილი, პერსონალური კომუნიკაცია, ივნისი 28, 2018). საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი, კორნელი კაკაჩია აღნიშნავს, რომ პოლონეთი თავად არის ევროკავშირში სტატუსის მძებნელი სახელმწიფო. ქვეყანა ცდილობს ჩამოყალიბდეს, როგორც სპიკერი აღმოსავლეთ ევროპასთან ურთიერთობის საქმეებში. მას უნდა ჰქონდეს საკუთარი რეგიონი, რომლის ინტერესებსაც წარმოადგენს და რის შესახებაც გერმანია და საფრანგეთი დაეკითხებიან. პოლონეთს უნდა ისეთი იმიჯის შექმნა, რომ იყოს ევროკავშირის დონეზე აღმოსავლეთთან ძირითადი შუამავალი ქვეყანა და წარმოადგენს ლიდერს რეგიონში. მკვლევარი მიიჩნევს, რომ პოლონეთის სტრატეგიულმა ურთიერთობამ აშშ-სთან, გარკვეული გავლენა იქონია მის საქართველოს, უკრაინის და მოლდოვის დამცველად ჩამოყალიბებაში. საბოლოო ჯამში, აღმოსავლეთ ევროპის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მხარდაჭერით, პოლონეთს და მასთან ერთად ბალტიისპირეთის ქვეყნებსაც, აქვთ მცდელობები, რომ საკუთარი იდენტობა გამოკვეთონ ევროკავშირის შიგნით (ვ. კაკაჩია, პერსონალური კომუნიკაცია, ივნისი 18, 2018).

ბალტიისპირეთის სახელმწიფოების გარდა, პოლონეთმა მოახერხა ისეთი ძლიერი დასავლეთ ევროპული ქვეყნის მხარდაჭერის მოპოვება - როგორც შედეგია, შესაბამისად, უფრო მეტად სარწმუნო გახადა მისი ინიციატივის ვალიდურობა.

უსაფრთხოების საკითხი

პოლონეთის ინტერესებზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს უსაფრთხოების პოლიტიკა. მკვლევარი კახა გოგოლაშვილის მიხედვით:

„რუსეთთან მეზობლობა ოფიციალური ვარშავისთვის არის ე.წ. „დამოკლეს მახვილი“. ჩვენ ამაში დავრწმუნდის სულ რაღაც რამდენიმე ხნის წინ, უკრაინაში გაჩაღებული კონფლიქტის შემდეგ, როდესაც პოლონეთმა მოითხოვა ნატოს ქვეყნების დახმარება, მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის და სამხედრო კონტინგენტი განთავსდა არა მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნებში არამედ პოლონეთშიც“ (კ. გოგოლაშვილი, პერსონალური ინტერვიუ, ივნისი 28, 2018).

აღსანიშნავია, რომ ნატოსთან ინტეგრირების შემდეგ, პოლონეთი უფრო დაცულად გრძნობს თავს რუსეთისგან. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, აღმოსავლეთ ევროპა პოლონეთისთვის გარკვეულწილად, ბუფერს წარმოადგენს რუსეთთან მიმართებით. რაც უფრო სწრაფად მოხდება ამ ტერიტორიის ტრანსფორმაცია და ექვსივე ქვეყნის დემოკრატიზაცია, უფრო დაცულად იგრძნობს პოლონეთი თავს. ქვეყანა მოიქცევა არა დემოკრატიული სივრცის პერიფერიაზე, არამედ დემოკრატიული სივრცის ცენტრში. ეს უკანასკნელი კი მის უსაფრთხოებას უფრო მეტად უზრუნველყოფს.

„მეტი სივრცე აღმოსავლეთით“

ევროკავშირში ადგილის დამკვიდრებასთან ერთად, აღმოსავლეთ პარტნიორობა პოლონეთს სივრცეს უხსნის აღმოსავლეთ მიმართულებით. რაც უფრო დემოკრატიული, მოწესრიგებული, სტაბილური და გახსნილი იქნება აღმოსავლეთი, მით უფრო მეტი შესაძლებლობა ექნება პოლონურ ბიზნესს, პოლიტიკას და ა.შ. წარმატებული აქტივობებისთვის. შესაბამისად, ევროპულ სივრცეში შემოსული და დემოკრატიული რეგიონში უფრო მარტივი იქნება პოლონეთის პოლიტიკის გატარება. ბუნებრივია, პრო-რუსული ორიენტაციის მქონე ქვეყნებთან, პოლონეთი ვერ

იგრძნობდა თავს კომფორტულად (კ. გოგოლაშვილი, პერსონალური ინტერვიუ, ივნისი 28, 2018)

საერთაშორისო კონკურენციის გათვალისწინებით, პოლონეთს ვერ ექნება ამბიციები ლათინურ ამერიკასა და ხმელთაშუაზღვისპირეთში. ამის სანაცვლოდ, პოლონეთი, როგორც დიდი ქვეყანა, თავის ინტერესებს აღმოსავლეთ ევროპაში ატარებს. მსგავსი ამბიციები გააჩნიათ ბალტიისპირეთის ქვეყნებსაც, თუმცა ისინი ძალიან პატარები არიან იმისთვის, რომ საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარი გავლენის სფეროები მოიზომონ.

ლოგიკურია, რომ აღმოსავლეთ რეგიონში პოლიტიკური გამდიერებით და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებით, პოლონეთი შეამცრებს რუსეთის გავლენებს. აქედან გამომდინარე, პოლონეთი გამოდის არა მხოლოდ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატორი, არამედ ბენეფიციარიც, რადგან საკუთარი ინტერესებისთვის ევროკავშირის ფინანსურ და ადმინისტრაციულ რესურსს იყენებს.

რატომ შვედეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები?

პოლონეთთან ერთად, უსაფრთხოების და დემოკრატიზაციის საკითხები უბიძგებს შვედეთს აღმოსავლეთით ჩართულობისკენ. აღსანიშნავია, რომ შვედეთს საკუთარი ინტერესები აქვს ბალტიისპირეთის ქვეყნებში, რომლებიც პირდაპირ ემიჯნებიან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ კალინინგრადის ანკლავი მოქცეულია პოლონეთსა და ლიტვას შორის. შვედეთის მიზანს მისი სამეზობლოს რეგიონული სტაბილურობა წარმოადგენს (კ. გოგოლაშვილი, პერსონალური ინტერვიუ, ივნისი 28, 2018). ამასთანავე, შვედეთი არის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებული ქვეყანას ადამიანის უფლებების, ცხოვრების დონის და ჰუმანური განვითარების მხრივ. შესაბამისად, რაც უფრო ფართო რადიუსში იქნება სტაბილური, დემოკრატიული და მოწესრიგებული სამეზობლო რეგიონი, მით უფრო გარანტირებული ექნება არსებული სტატუს-კვო. შვედეთის განვითარების და

თანამშრომლობის სააგენტო (Sida, n.d.) მილიონობით დოლარს ხარჯავს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, ბელარუსი) დემოკრატიული ინსტიტუტების და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად. კონკრეტულად საქართველოში, შვედეთის მთავრობას აქვს სამი ძირითადი მიმართულება:

1. ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარება და საბაზრო ეკონომიკის მხარდაჭერა
2. დემოკრატიის გაძლიერება და ადამიანის უფლებები
3. კლიმატი და გარემოს დაცვა

2017 წელს შვედეთის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტომ საქართველოს 12,2 მილიონი დოლარი გამოუყო (sida, n.d).

ევროკავშირის ინტერესები

როგორც სამიტების პრეს-რელიზებსა და ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პრალის სამიტის დეკლარაციაში ვკითხულობთ, ევროკავშირის ერთ-ერთ ძირითად ინტერესს აღმოსავლეთ პარტნიორობის მიმართ წარმოადგენს: როგორც პარტნიორი ქვეყნების ტრანსფორმაცია, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, ეკონომიკური და სამოქალაქო სექტორის გაუმჯობესება, უკეთესი მმართველობის ჩამოყალიბება, ასევე ენერგო-უსაფრთხოება და ხალხთაშორისი ურთიერთობები (European Council, 2018)

აღსანიშნავია, რომ ენერგეტიკა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას როგორც შიდა, ასევე საგარეო პოლიტიკურ საკითხებში არა მხოლოდ ევროკავშირში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. განსაკუთრებით კი რუსეთში (Peters, Rood and Gromadzki 2009, p. 17). შემთხვევით არაა, რომ ენერგეტიკის საკითხები აღნიშნულია არა მხოლოდ დეკლარაციაში, არამედ საკმაოდ დიდი ნაწილი ეთმობა ასოცირების ხელშეკრულებაშიც და მოიცავს ორმხრივ ენერგო-ურთიერთდამოკიდებულებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონი საკმაოდ ჰეტეროგენული წევრებისგან შედგება. ენერგეტიკული თვალსაზრისით გამოიკვეთება ორი სუბ-რეგიონი:

1. უკრაინა, ბელარუსი და მცირედ დონეზე მოლდოვა - რუსული გაზის სატრანზიტო ქვეყნები;
2. აზერბაიჯანი - საქართველო - კასპიის ზღვის გაზის და ნავთობის რესურსების მომპოვებელი - სატრანზიტო ქვეყნები, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ევროკავშირისთვის

უნდა ვაღიაროთ, რომ ენერგეტიკული თვალსაზრისით, სომხეთი იზოლირებულია და შედარებით ნაკლებად არის გამოხატული მის მიმართ ინტერესი (Peters, Rood and Gromadzki 2009, p. 17-18).

ენერგეტიკის გარდა, მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს უსაფრთხოების საკითხი. აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტის გეგმის მიხედვით, რუსეთი შეიძლება დაპატიჟებული ყოფილიყო ადგილობრივ ინიციატივებზე ორმხრივი თანამშრომლობისთვის; მაგ, კალინინგრადის ანკლავი (euobserver, 2008).

მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ-პარტნიორობის ინიციატივის პროექტზე მუშაობისას გამოიკვეთა სურვილი რუსეთის ფედერაციის ჩართვასთან დაკავშირებით, რეალურად არ მოიძებნება ემპირიული მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ ევროკავშირს სერიოზული განზრახვები ჰქონდა რუსეთთან მიმართებით (ა. მაკარიჩევი, პერსონალური კომუნიკაცია, ივნისი). თუმცა, ევროკავშირმა მაინც გამოხადა ინტერესი კალინინგრადთან დაკავშირებით და სურდა ეჩვენებინა პოლონეთი-ლიტვის მეზობლად მცხოვრები რუსებისთვის, რომ დასავლეთი მტერი არ არის. აღსანიშნავია, რომ კალინინგრადი არის დიდი საფრთხის მატარებელი, მაღალი შეიარაღების მქონე ანკლავი, რომელსაც რუსეთი სამხედრო პლაცდარმად იყენებს (independent, 2016). კალინინგრადის მაცხოვრებლებზე ცნობიერების ამაღლებას, ხალხთაშორისი კონტაქტების გაუმჯობესებას,

შესაძლებელია, რომ რუსეთის მოსახლეობის უფრო ფართო წრეებზე მოეხდინა შეხედულებების კორექტირება დასავლეთთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, შესაძლებელი იქნებოდა მომავალში ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობაზე საუბარი (კ. გოგოლაშვილი, პერსონალური კომუნიკაცია. ივნისი 28, 2018).

მნიშველოვანია აღინიშნოს, რომ თავდაპირველად, ევროკავშირმა რუსეთის ჩართვა აღმოსავლეთ სამეზობლოს პოლიტიკის ფარგლებში სცადა, რაზეც, საბოლოოდ უარი მიიღო. ამის მიზეზი კი მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთს უნდოდა აღქმულიყო არა ჩვეულებრივ აღმოსავლელ მეზობლად, არამედ სტრატეგიულ პარტნიორად (ა. მაკარიჩევი, პერსონალური კომუნიკაცია, ივნისი 16, 2018). შესაბამისად, ხელი მოეწერა შედარებით მცირე, თუმცა მაინც სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე „ოთხი საერთო სივრცის შესახებ შეთანხმებას (Four Common Spaces - საერთო თანამშრომლობის სივრცე ოთხ სფეროში: ეკონომიკა; თავისუფლება, უსაფრთხოება და სამართალი; საგარეო უსაფრთხოება; კვლევა, განათლება და კულტურა (European Commission Press Release Database, 2005). მაკარიჩევის აზრით, რუსეთის ფედერაციას დღემდე აქვს გავლენის შენარჩუნების პრეტენზიები აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების მიმართ და დაადასტურა, რომ რუსეთის ფედერაციას უფრო თავდაცვითი პოზიცია უჭირავს საკუთარი გავლენის სფეროებთან მიმართებით, ვიდრე თავდასხმითი (ა. მაკარიჩევი, პერსონალური კომუნიკაცია, ივნისი 16, 2018).

რუსეთის პოზიცია

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, აღმოსავლეთ პარტნიორობა წარმოადგენდა ბრიუსელის პოლიტიკურ პასუხს რუსეთის ფედერაციისთვის. ევროპელმა პოლიტიკოსებმა პროექტში პოლონეთის წამყვან როლს მხარი დაუჭირეს, რადგან იმდროინდელი პოლონეთის ხისტი პოზიცია რუსეთთან მიმართებით, საკმაოდ რელევანტური და შესამჩნევი იყო. აღმოსავლეთ პარტნიორობის მიმართ

ევროპული ინტერესის გაზრდის ფაქტორებს ასევე წარმოადგენს უკრაინის 2009 წლის გაზის კრიზისი და ბელარუსის ტერიტორიაზე აღნიშნული ენერგორესურსების ტრანსპორტირების საფრთხე.

აღსანიშნავია, რომ რუსეთს სპეციალური სტატუსი აქვს ENPI-ში (ევროპული სამეზობლოს და პარტნიორობის ინსტრუმენტი), რადგან ევროკავშირის რუსეთთან ურთიერთობა არა აღმოსავლეთ სამეზობლო პოლიტიკის, არამედ ოთხი „საერთო სივრცის“ შესახებ შეთანხმების საფუძველზე ხდება. ამასთანავე, რუსეთი ENI-ს (ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტი) მხოლოდ იმ რეგიონული თუ ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის პროგრამებში მონაწილეობს, რომლის თანადაფინანსებასაც თავად ახდენს. ორმხრივი თანამშრომლობა რუსეთთან ხდება ახალი პარტნიორობის ინსტრუმენტის მიერ (EU neighbours, 2017).

რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობების განხილვისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პუტინს თავიდანვე არ ჰქონია ხისტი პოლიტიკა ევროკავშირთან მიმართებით. ოფიციალურ მოსკოვში იყო იმის მოლოდინი, რომ მოხდებოდა რუსეთის ჰეგემონური პოლიტიკის ლეგიტიმაცია პოსტ-საბჭოთა სივრცეში. შესაბამისად, ევროკავშირი რუსეთს განსაკუთრებული პარტნიორის სტატუსს შესთავაზებდა (მაგ, შეეძლებოდა დაებლოკა ისეთი ქვეყნების საკითხი, როგორცაა უკრაინა და საქართველო) და იქნებოდა მთელი პოსტ-საბჭოთა სივრცის წარმომადგენელი. ზემოხსენებული მოლოდინების მიხედვით, რუსეთი ელოდებოდა სტრატეგიულ საკითხებზე ფორმალური ვეტოს უფლების მინიჭებას, რის გათვალისწინებითაც რუსეთს ექნებოდა აღმოსავლეთ ევროპაზე ბერკეტი და შეინარჩუნებდა ძველ გავლენებს. რადგან მსგავსი ნაბიჯები ევროკავშირიდან არ წამოვიდა, რეგიონში სხვა ქვეყნების ლიდერობის პერსპექტივამ რუსეთის პრეზიდენტის გაღიზიანება გამოიწვია (ვ. კაკაჩია, პერსონალური კომუნიკაცია, ივნისი 18, 2018).

საინტერესოა, თავად პუტინის მოსაზრება და შეხედულებები აღმოსავლეთ პარტნიორობასთან დაკავშირებით. ერთ-ერთ ინტერვიუში რუსეთის პრეზიდენტი აცხადებს:

„თავდაპირველად, რუსეთს ჰქონდა საკმაოდ პოზიტიური რეაქცია აღმოსავლეთ პარტნიორობასთან დაკავშირებით, რადგან ჩვენი ქვეყანას გააჩნია საუკუნოვანი კავშირები აღმოსავლეთ-ევროპის ქვეყნებთან, მათ შორის ეკონომიკის დარგში. თუმცა, შემდგომში, ევროკავშირმა უკრაინას ასოცირების ხელშეკრულება შესთავაზა და არ გაითვალისწინა რუსეთის არგუმენტები იმასთან დაკავშირებით, რომ ეს შეუთავსებელი იქნებოდა უკრაინისთვის დსთ-ს ფარგლებში მინიჭებულ თავისუფალ სავაჭრო ზონასთან. ჩვენ ევროკავშირთან 17-წლიანი მოლაპარაკებები გვაქვს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების პირობებთან დაკავშირებით, ისინი კი ასე მარტივად შეეცადნენ რუსეთის ფედერაციის სავაჭრო ტერიტორიაზე შემოსვლას. განა ასე უნდა ხდებოდეს მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა? ჩვენ მხოლოდ საკუთარ ინტერესებს ვიცავთ“ (news.tut.by, 2015).

პუტინის კომენტარიდან მარტივად იზიფრება, რომ (1) მისი პოლიტიკა ეროვნულ ინტერესებს ეფუძნება და (2) მას ყველანაირად ექნება მცდელობები აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში საკუთარი გავლენები შეინარჩუნოს. აღსანიშნავია, რომ უკრაინამ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა ოფიციალურად სულ რამდენიმე თვის წინ, 2018 წლის 19 მაისს დატოვა.

რუსული მედიის მიხედვით, პარტნიორობის ფორმატში ყურადღება გამახილებულია მეორეხარისხოვან საკითხებზე. თუმცა, თანამშრომლობის თემებთან ერთად, მაინც იკვეთება მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხები: სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის და ეკონომიკური მაჩვენებლების მონიტორინგი, აგრეთვე, შუამავლობა დნესტრისპირეთის, ყარაბაღის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებში (foreignpolicy.ru, 2014). განსაკუთრებული ყურადღება ქვეყნებში არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობას და სამოქალაქო საზოგადოების

სხვა ინსტიტუტების განვითარებას ეთმობა. რუსული პერსპექტივიდან, აღმოსავლეთ პარტნიორობა, წარმოადგენს ევროპის პოლიტიკური გავლენის სფეროს გაფართოებას აღმოსავლეთით, რუსეთის პოზიციების შემცირების ხარჯზე (foreignpolicy.ru, 2014).

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ოფიციალურ გვერდზე, რამდენიმე თვის წინ დაიდო სტატია „მითები აღმოსავლეთ პარტნიორობასთან დაკავშირებით“ სადაც განეიტრალებულია ის ეჭვები, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობა არის რუსეთის წინააღმდეგ შექმნილი პროვოკაცია, ან დესტაბილიზაციისკენ თუ რეჟიმის ცვლილებისკენ მიმართული ინიციატივა, რისი შიშებიც რუსეთის ფედერაციას დღემდე გააჩნია (European External Action Service, n.d).

ჩნდება ლოგიკური კითხვა, რატომ შეიქმნა იმისი საჭიროება რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-5 ოფიციალურ სამიტის შემდეგაც კი ყურადღება გამახვილდეს რუსეთის შიშებზე? ხომ არ აძლიერებს ეს უკანასკნელი იმ მოსაზრებას რომ რუსეთს არა მხოლოდ 2008-2009 წლებში, არამედ დღემდე გააჩნია საფუძვლიანი შიში, რომ აღმოსავლეთ ევროპის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე საკუთარ ზეგავლენას დაკარგავს, რაც რუსეთისთვის არსებული რეჟიმის ცვლილების პირველი ნაბიჯები იქნება. თუ ოფიციალური ბრიუსელისთვის პარტნიორობის ფორმატი რეგიონის ექვს ქვეყანასა და ევროკავშირს შორის ორმხრივად სარგებლიან და კონსტრუქციულ პლატფორმას წარმოადგენს, ეს ყოველივე საკმაოდ შემაშფოთებელია ოფიციალური მოსკოვში. შესაბამისად, მოსკოვის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობა აღიქმება რეგიონზე საკუთარი გავლენების დაკარგვის საფრთხედ. სწორედ ამიტომაც, რუსეთი ხშირად საუბრობს საკუთარ გავლენებზე ბელარუსზე, უკრაინასა და სომხეთზე. ევროკავშირისგან განსხვავებით, რუსეთისთვის რთულია იმისი დაშვებაც კი, რომ მისი გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყანა ალტერნატიულ პარტნიორობაში შევიდეს სხვა ძლიერ ინსტიტუციასთან. ცხადია ეს უკანასკნელი რუსეთს და საკუთარი გავლენის შემცირებად მიაჩნია.

რუსულ მედიაში აქტიურად იმეორებენ ჟურნალისტები იმას, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობა წარმოადგენს აშშ-ს და ევროკავშირის საპასუხო რეაქციას 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან მიმართებით (warandpeace.ru, 2009). წინმსწრებ ფაქტორებად ასევე განხილულია 2008 წლის 12-14 მაისს ლიტვის მიერ რუსეთსა და ევროკავშირს შორის მოლაპარაკებებზე ვეტოს მოხსნა, 3 დეკემბერს პოლონეთის და შვედეთის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის გეგმის გამოქვეყნება, 12 დეკემბერს - ბრიუსელის სამიტზე ევროკავშირის მიერ დამტკიცება. რუსული მედიისთვის, არსებული პროგრამის გამოქვეყნებიდან ცხადი გახდა, რომ ინიციატივა რუსეთის შესაკავებლად შიყო ექმნილი, რათა შეეზღუდა მისი გავლენის სფეროები პოსტ-საბჭოთა რეგიონში. არა მხოლოდ ინიცირების დამტკიცების დროს, არამედ დღემდე აქვს რუსეთს ეჭვები, აღმოსავლეთ პარტნიორობასთან დაკავშირებით. ამის ცხადი მაგალითია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის განცხადება, სადაც ამბობს, რომ „ევროკავშირს აღმოსავლეთ პარტნიორობის ანტი-რუსული მიზნებისთვის გამოყენება უნდა“ (mir24.tv, 2017)

რუსეთის პოლიტიკის შესაფასებლად, მნიშვნელოვანია განვიხილოთ, აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის დეკლარაციის დამტკიცების პერიოდში - 2009 წელს შემუშავებული „რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია 2020 წლამდე“. როგორც არ უნდა გასაკვირი იყოს, სტრატეგიის მე-16 პუნქტში ევროკავშირი პოზიტიურ კონტექსტშია მოხსენიებული და ნაჩვენებია რუსეთის ფედერაციის მზადყოფნა საერთო ეკონომიკური, შიდა თუ საგარეო უსაფრთხოების, განათლების, მეცნიერების თუ კულტურის სფეროს საკითხებში თანამშრომლობასთან დაკავშირებით (16).

თუმცა, 2015 წელს რუსეთის ფედერაციის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია განახლდა, სადაც სრულიად განსხვავებულად წარმოჩინდა ქვეყნის დამოკიდებულება დასავლეთის მიმართ. დასავლეთის ჩართულობა ევრაზიის რეგიონში შეფასებულია, როგორც ინტეგრაციული პროცესების საწინააღმდეგო

პოზიცია, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს რუსეთის ეროვნულ ინტერესებზე. კრიტიკულად არის შეფასებული აშშ-ს და ევროკავშირის მხარდაჭერა უკრაინაში ანტიკონსტიტუციური სახელმწიფო გადატრიალების მიმართ, რამაც გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა უკრაინის მოსახლეობაში და წარმოქმნა შეიარაღებული კონფლიქტი. ამასთანავე, ნათქვამია, რომ უკრაინაში რადიკალურად მემარჯვენე ნაციონალისტური იდეოლოგიის მხარდაჭერა, რომელიც მიზანსაც წარმოადგენს უკრაინულ მოსახლეობაში რუსეთის მტრის ხატად წარმოჩენა, ღრმა სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს გამოიწვევს უკრაინაში. ეს ყოველივე არასტაბილურობას შეიტანს არა მხოლოდ ევროპაში, არამედ რუსეთის საზღვრებზეც (17).

სრულიად ლოგიკურია, განვიხილოთ აღმოსავლეთ პარტნიორობა, როგორც სტრატეგიული მეტოქეობა პოლონეთ-რუსეთს შორის. უფრო მეტად ამბიციური შეთანხმების და მიმზიდველი პირობების საფუძველზე, პოლონეთი იჭრება რუსეთის გავლენის სფეროებში, რადგან სურს პასუხისმგებლობის აღება აღმოსავლეთ ევროპის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე და აქვს პრეტენზია გახდეს მთავარი სპიკერი აღმოსავლეთთან ურთიერთობის საკითხებში ევროკავშირის ფარგლებში (კ. კაკაჩია, პერსონალური კომუნიკაცია, ივნისი 18, 2018)

რუსეთმა აღმოსავლეთ პარტნიორობა მიიღო, როგორც გეოპოლიტიკური გამოწვევა, რადგან ის ზუსტად ამ ქვეყნებს მოიაზრებს საკუთარი გავლენის სფეროდ. ევროკავშირი კი წარმოადგენს რუსეთის ალტერნატივას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის, რომელიც უფრო მიმზიდველია საკუთარი რბილი ძალით და ბენეფიტებით

ფაქტებზე დაყრდნობით იკვეთება, რომ რუსეთს არ სურს არც ერთი ალტერნატიული გაერთიანება, რომელი მიიზიდავს პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს, რომელიც რუსეთს საკუთარ გავლენის სფეროდ მიაჩნია. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ეჭვის თვალთ უყურებს და ცდილობს სახელმწიფოები არ იყვნენ დაკავშირებული სხვა ალტერნატიულ გეოპოლიტიკურ მოდელებთან.

რუსეთი, როგორც დეზინფორმაციის წყარო

როგორც ზემოთ აღინიშნა, აღმოსავლეთ პარტნიორობა სამიზნე ქვეყნებისთვის საკმაოდ მიმზიდველ პროექტს წარმოადგენს. არსებული მიმზიდველობის გასანეიტრალებლად, რუსეთის მაქსიმალურად იყენებს კარგად ნაცად დეზინფორმაციის გავრცელების მეთოდს. ევროკავშირის იმიჯის შელახვის და რუსეთის მნიშვნელობის გამოკვეთით, გარკვეულწილად მოქმედებს კიდევ საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ევროკავშირის ადმინისტრაციაში შექმნილია სპეციალური ჯგუფი (Stratcom East), რომელიც რუსული დეზინფორმაციას იკვლევს. კვლევის ფარგლებში შევხვდი სტრატკოლის ერთ-ერთ მკვლევარ - ანელი აპონენს, რომელმაც ისაუბრა რუსული პროპაგანდის მეთოდებზე. აღსანიშნავია, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან, რუსეთის ფოკუსი ყველაზე მეტად უკრაინაზე არის გაკეთებული.

მკვლევრის მიხედვით, გამოიკვეთება რუსული პროპაგანდის შემდეგი მიმართულებები:

- რუსეთი, როგორც უკრაინის მხსნელი

რუსული პერსპექტივიდან, დასავლეთმა უკრაინა გახადა ხელოვნული სახელმწიფო, ხოლო ქვეყანას ფაშისტები მართავენ. უკრაინელები და რუსები მონათესავე ერები არიან. ყირიმის მოსახლეობამ, რეფერენდუმის სახით, თავად აირჩია რუსეთი, ხოლო რუსეთმა გადაარჩინა ყირიმი გენოციდისგან (euvsdisinfo.eu, 2018).

- ევროკავშირი, როგორც ტრადიციების მტერი

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია - დეზინფორმაცია ევროკავშირის ღირებულებებთან დაკავშირებით. რუსეთის ლობირებს, რომ ევროკავშირი მორალურად მიუღებელია, მათთან დაახლოება გამოიწვევს სექსუალური უმცირესობების გაძლიერებას და გეი-ქორწინებების დაკანონებას პარტნიორ

სახელმწიფოებში. ამასთანავე, ევროკავშირი შელახავს ქვეყნების წეს-ჩვეულებებს და ტრადიციებს (euvsdisinfo.eu, 2018).

- რუსეთი, როგორც მართლმადიდებელი მოკავშირე და ტერორიზმთან მებრძოლი ქვეყანა

უკრაინასა და საქართველოში რუსეთი ცდილობს მართლმადიდებლობის გამოყენებას ქვეყნების პოლიტიკური ორიენტაციის შემობრუნების მიზნით. ამასთანავე, რუსეთი ცდილობს წარმოჩინდეს, როგორც ტერორიზმთან მებრძოლი და რეგიონის დამცველი აქტორი. რუსეთი უკრაინა- ბელარუსის შემთხვევაში აღნიშნავს, რომ ევროკავშირთან დაახლოება და რუსულ ბაზარზე თავისუფალი მიმოსვლა, ეკონომიკურად ძალიან დააზარალებს სახელმწიფოებს (ა. ჰაჰონელი, პერსონალური კომუნიკაცია, ივლისი 2, 2018)

აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების გამოწვევები

აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ევროკავშირთან რეგიონული თანამშრომლობის საკითხების შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენს სამი ძირითადი მიმართულება:

1. ლოკალური კონფლიქტები მაგ, ყარაბაღის კონფლიქტი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის.
2. რეგიონის „მესამე პირების“ ჩართულობა ინიციატივაში, მაგ, რუსეთის და თურქეთის, როგორც რეგიონული ლიდერების ინტერესები
3. მრავალმხრივთან შედარებით, ორმხრივ შეთანხმებებზე კონცენტრირება და არასწორი მოლოდინები ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებით (Peters, Rood & Gromadzki 2009, p. 11-12).

საქართველო, რეალურად დგას სამივე გამოწვევის წინაშე.

უპირველეს ყოვლისა - ქვეყანას აქვს ორი მიმდინარე ლოკალური კონფლიქტი და სადაო ტერიტორიები რუსეთთან - აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სახით. მეორეც, დასავლური ფონდების და არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი შრომის მიუხედავად, საქართველოში მაინდ შესამჩნევია რუსეთის რბილი ძალა (პრო-რუსულად განწყობილი აქტივისტები და პოლიტიკოვები). პოტენციურ ბერკეტებს კი წარმოადგენს შემდეგი:

- აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სადაო ტერიტორიები;
- საქართველოში ეკლესიის დიდი როლი (რასაც Freedom House-ს და IRI-ს კვლევები აზუსტებენ) და ქართულ-რუსული ავტოკეფალური ეკლესიების ერთმანეთთან სიახლოვე;
- პრო-რუსულად განწყობილი ორგანიზაციები, აქტივისტები, სოციალური ჯგუფები და პოლიტიკოსებიც კი.
- პრო-ევრაზიული განწყობების მქონე ჯგუფები (Makarychev, PONARS Eurasia 2016);

ევროკავშირთან დაახლოებასთან დაკავშირებით არსებული წარმატების შესაბამისად (ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა, ვიზა-ლიბერალიზაცია), ქართულ მედია სივრცეში ხშირად ისმის ისეთი პოზიტიური შინაარსის გამონათქვამები, როგორცაა „საქართველო აუცილებლად გახდება ევროკავშირის წევრი,“ და ა.შ. სამწუხაროდ, ქართველი პოლიტიკოსები ან არასათანადოდ იცნობენ ევროკავშირის ბიუროკრატias, ან მეტისმეტი ოპტიმიზმი გააჩნიათ პოლიტიკური განცხადებების გაკეთებისას. ნებისმიერ შემთხვევაში, სიფრთხილეა საჭირო, რადგან არასწორმა მოლოდინებმა შეიძლება საპირისპირო შედეგი მოიტანოს.

კონსტრუქციული გაურკვევლობა (Constructive ambiguity)

აღმოსავლეთ პარტნიორობასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია კონსტრუქციული გაურკვევლობის პოლიტიკა თავად ევროკავშირის მხრიდან. ოფიციალურ ბრიუსელში არ აქვთ საბოლოო პასუხი იმაზე, თუ როგორ უნდა განვითარდეს აღმოსავლეთ პარტნიორობა. როგორ მოხდება ექვსივე ქვეყნის მხარდაჭერის პროცესი თანაბრად, მაშინ, როდესაც საქართველოს, უკრაინას და მოლდოვას უკვე სტრატეგიულად მნიშვნელოვან ხელშეკრულებებზე ხელი მოწერილი აქვს, ხოლო დანარჩენ წევრებს - არა. ევროკავშირის სამეზობლო და გაფართოების მოლაპარაკებებში აღმოსავლეთ სამეზობლოს დირექტორის, ლოურენს მერედიტის მიხედვით, ოფიციალური ბრიუსელისთვის პარტნიორობის ექვსივე წევრი მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ პარტნიორობა შეიძლება ორად გაიყოს - სიმართლეს არ შეესაბამება (ლ. მერედიტი, პერსონალური კომუნიკაცია, ივლისი 2, 2018). პარტნიორობის არსებული ფორმით გაგრძელების მნიშვნელობაზე ისაუბრა მონიკა ბუკუნეჩიუმ, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის დეკლარაციის ხელმოწერიდან დღემდე მუშაობს პროექტზე და წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების სამუშაო ჯგუფის ლიდერს. მისი აზრით, ევროკავშირის თავდაპირველი მიზანი იყო ექვსივე ქვეყანასთან ასოცირების ხელშეკრულებით დაახლოება. „ჯერ-ჯერობით მივალწიეთ სამ ქვეყანასთან ასოცირების ხელშეკრულებას, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ ევროკავშირი დანარჩენ ქვეყნებთან მიმართებაში დანებებას აპირებს“ (მ. ბუკუნეჩიუ, პერსონალური კომუნიკაცია, ივლისი 3, 2018).

მიუხედავად ზემოხსენებულისა, ამკარაა რომ ევროკავშირს აღმოსავლეთ პარტნიორობაზე ბევრად პრიორიტეტული საკითხები აქვს დღის წესრიგში. სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების ფორუმზე, საერთაშორისო დონის ექსპერტებმა, სხვადასხვა თემატურ მიმართულებებთან ერთად განიხილეს „ევროკავშირის უსაფრთხოების ქოლგა და აღმოსავლეთ პარტნიორობის მომავალი“. სესიის ერთ-ერთი მომხსენებლის,

ამანდა პაულის (ევროპული პოლიტიკის ცენტრის მთავარი ანალიტიკოსი, ბრიუსელი) მიხედვით, ევროკავშირისთვის აღმოსავლეთ სამეზობლოს ცხადია დიდი მნიშვნელობა გააჩნია, თუმცა, უფრო მეტად პრიორიტეტული საკუთარი შიდა პოლიტიკური პრობლემების (მიგრაცია, უსაფრთხოება, ბრექსითი, საბერძნეთის კრიზისი და ა.შ.) და საგარეო უსაფრთხოების საკითხების მოგვარება წარმოადგენს (სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების ფორუმი, 16 მაისი, 2018)

მეორე მხრივ, პრობლემა თავად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდანაც მოდის. რეგიონში ქვეყნების რანჟირება ხდება მაღალი ავტორიტარულიდან (ბელარუსი, აზერბაიჯანი), შედარებით პლურალისტურისკენ (საქართველო, სომხეთი, შესაძლებელი ითქვას მოლდოვა და უკრაინაც). სხვაობა შესამჩნევია ეკონომიკური თვალსაზრისითაც, მაგალითად, რესურსებით მდიდარი აზერბაიჯანი და დაბალი შემოსავლის მქონე საქართველო, სომხეთი და მოლდოვა (Zagorski 2011, p. 44). აღსანიშნავია, რომ ბელარუსი და სომხეთი ჯერ კიდევ არიან ევრაზიის კავშირის წევრი ქვეყნები. ამ მხრივ, ევროკავშირი - სომხეთს შორის არსებული ბილატერალური შეთანხმების ხელმოწერით, ერევანი ორმაგ თამაშს თამაშობს. ორმხრივი ეკონომიკური ინტერესები აზერბაიჯანთან გასაგებია, თუმცა, მეორე მხრივ, აშკარაა ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების და სამოქალაქო საზოგადოების მიმართულებით პრობლემები.

თეორიულ ჭრილში განხილვა

ქეისის თეორიულ ჭრილში განხილვამდე მნიშვნელოვანია გავიაზროთ რუსეთსა და დასავლეთს შორის ისტორიული გეოპოლიტიკური მეტოქეობა. რუსეთის ინტერესთა სფეროს ჯერ კიდევ წარმოადგენს პოსტ-საბჭოთა ქვეყნები, რომელზეც საკუთარი გავლენის სფეროების მაქსიმიზაციას ცდილობს (პოლიტიკურ დონეზე საგრძნობლად შესამჩნევი ბელარუსსა და სომხეთში). ენერგო-რესურსები წყალობით რუსეთს ჯერ კიდევ აქვს გავლენები ევროკავშირის ქვეყნებზე, რადგან წარმოადგენს

ნავთობის, გაზის და მყარი საწვავის მთავარ მიმწოდებელ ქვეყანას. როგორც ზემოთ აღნიშნა, 2016 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ევროკავშირის მიერ იმპორტირებული ნავთობის 32%, ბუნებრივი გაზის 40% და მყარი საწვავის (უმეტესად ნახშირი) 30%, სწორედ რუსეთზე მოდის (European Union, 2018). აღმოსავლეთ პარტნიორობა ევროპას სთავაზობს ენერგო-რესურსების ალტერნატივას, ხოლო აღმოსავლეთ ევროპას - გაძლიერებულ ინსტიტუტებს. შესაბამისად, რუსეთი ნეგატიურად არის განწყობილი აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტის მიმართ, რომლის ფარგლებშიც საფრთხე ემუქრება მისი სტატუს-კვოს. აქედან გამომდინარე, რუსეთისთვის მიუღებელია საკუთარი გავლენების დათმობა დასავლეთ ევროპის, ასევე ევროპის აღმოსავლეთ პოსტ-საბჭოთა რეგიონში.

აღსანიშნავია ისიც, რომ პოლონეთის გააქტიურებული და გაზრდილი როლი აღმოსავლეთ ევროპაზე, ქვეყნის ისტორიული მეხსიერების სტიმულირებას ახდენს. ცხადია, პოლონეთი შეეცადა დაებრუნებინა გავლენის სფეროები აღმოსავლეთით და ევროკავშირის შიგნით აღმოსავლეთ ევროპასთან და სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობების საკითხებში საკუთარი „ნიშა“ დაემკვიდრებინა.

ევროკავშირმა გამოიწვია რუსეთი, აქედან გამომდინარე ბრიუსელმა დაუშვა რუსეთთან თანამშრომლობა ორმხრივ საკითხებზე (მაგ, კალინინგრადი); თუმცა, საბოლოო ჯამში რუსეთი ვერ მოერია ლოგიკურ შიშებს გავლენის შემცირებასთან დაკავშირებით და მიღმა დარჩენა ამჯობინა.

რუსეთისთვის არასახარბიელოა აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტი, რადგან ინიციატივა მოიცავს სხვადასხვა სტრატეგიულ საკითხში ორმხრივ და მრავალმხრივ შეთანხმებას. რუსეთის ნეგატიული დამოკიდებულება აღმოსავლეთ პარტნიორობის მიმართ და ევროკავშირზე დეზინფორმაციის გავრცელების მიზეზი პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე რუსეთის გავლენების შენარჩუნება. ცხადია, რუსეთი იაზრებს იმას, რომ ევროკავშირი, თავისი რბილი პოლიტიკური ძალით, ეკონომიკური ბენეფიტებით, ხალხთაშორისი ურთიერთობების გაუმჯობესების პერსპექტივით და

თავისუფალი მიმოსვლის ღირებულებით საკმაოდ მიმზიდველია აღმოსავლეთ ევროპის და სამხრეთ კავკასიის პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის. შესაბამისად, მაქსიმალურად ცდილობს ამ ქვეყნების დასავლეთთან დაახლოების პროცესის შეფერხებას როგორც ხისტი (სამხედრო ანექსია), ასევე რბილი (დეზინფორმაციის გავრცელება) მეთოდებით.

უოლცის შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ სამხედრო შესაძლებლობები ქვეყნებს თავდაჯერებულებას მატებს, რუსეთის შემთხვევაში სრულიად გამართლებულია. ეს უკანასკნელი ხისტი ძალის გამოყენებით (აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ოკუპირება საქართველოში, დონეცკის და ლუგანსკის დაკავება, ყირიმის ანექსია უკრაინაში, რუსი მშვიდობისმყოფელების განთავსება დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე) ახერხებს საკუთარი გავლენების შენარჩუნებას. ფაქტია, რომ რუსეთს კომბინირებული შესაძლებლობები გააჩნია. აქვს არა მხოლოდ სამხედრო შესაძლებლობები, არამედ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე რესურსები, მსოფლიოში ყველაზე დიდი ტერიტორია, რაც კიდევ უფრო ზრდის მის თავდაჯერებულებას და პრეტენზიებს სისტემის გარკვეულ ნაწილზე დომინირებასთან დაკავშირებით.

ახალი პოლიტიკური ტრენდების გათვალისწინებით, რუსეთისთვის ცხადია, რომ ის ვერ იქნება სისტემაში დომინანტი. თუმცა, ძველი იმპერიალისტური მისწრაფებების ფონზე, რუსეთის ფედერაციას სურს პოსტ-საბჭოთა ქვეყნებზე საკუთარი სტატუს-კვოს შენარჩუნება. დასავლეთს, აღმოსავლეთ პარტნიორობის პროექტით, რუსეთის წესრიგში ცვლილებები შეაქვს. შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის გავლენის შემცირების ხარჯზე, ოფიციალური მოსკოვი ევროკავშირს აღიქვამს, როგორც რეგიონში ძალთა ბალანსის დამრღვეველს.

როგორც ჯერვისს აქვს განხილული, სახელმწიფოები საკუთარი უსაფრთხოების დონის გასაზრდელად მაქსიმალურად ცდილობენ საზღვრისპირა ტერიტორიების გაკონტროლებას. ცხადია, რუსეთისთვის არასასიამოვნოა მის

პირდაპირ მოსაზღვრე ქვეყნებში დასავლური გავლენიანი აქტორის გაძლიერება. ეს უკანასკნელი არა მხოლოდ სტატუს-კვოს, არამედ ქვეყნის უსაფრთხოების მხრივაც ქმნის პრობლემებს.

აღმოსავლეთ პარტნიორობის შეთანხმების ერთ-ერთი მოტივატორს რუსეთ-უკრაინის გაზის კრიზისი წარმოადგენს. შესაბამისად, ევროპას გაუჩნდა შიშები და დადგა ენერგეტიკული რესურსების დივერსიფიცირების აუცილებლობის წინაშე. ამ მხრივ კარგ ალტერნატივას წარმოადგენს კასპიის ზღვის ენერგო-რესურსები, აზერბაიჯანი როგორც მომპოვებელი, ხოლო საქართველო - როგორც სატრანზიტო ქვეყანა. ცხადია, მოცემული ფორმატი რუსეთისთვის წამგებიანია, რადგან შედეგად შეუმცირდება დასავლეთ ევროპაზე ენერგო-ბერკეტები.

უნდა გავითვალისწინოთ ის დეტალიც, რომ ორმხრივსარგებლიანი შეთანხმების ფარგლებში, პარტნიორობის ექვსივე ქვეყანას ეძლევა შანსი პოლიტიკურ-ეკონომიკური გაძლიერების, უფრო უკეთესი მმართველობის ჩამოყალიბების და სახელმწიფო ინსტიტუტიტების ევროსტანდარტებთან მიახლოების. ეს ყველაფერი კი შემაშფოთებელია რუსეთის ფედერაციისთვის, რომელსაც რეგიონის განვითარებასთან ერთად საკუთარი გავლენების შესუსტების ლოგიკური მოლოდინები გააჩნია.

ენერგო-ბერკეტების შემცირება დასავლეთ ევროპაზე, გავლენის დაკარგვა ექვს პოსტ-საბჭოთა ქვეყანაზე და პოლონეთის, როგორც რეგიონული აქტორის ჩამოყალიბება აღმოსავლეთ ევროპაში, ნამდვილად უბიძგებს რუსეთს საკუთარი სტატუს-კვოს გადახედვისკენ.

დასკვნა

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომში სიღრმისეულად არის განხილული აღმოსავლეთ პარტნიორობა მრავალმხრივი განზომილებიდან; წარმოადგენილია როგორც პოლონეთის და ევროკავშირის, ასევე რუსეთის ფედერაციის დამოკიდებულება და ინტერესები.

პირველი საკვლევი კითხვის საპასუხოდ, თუ რატომ ჰქონდა პოლონეთს აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიცირების ინტერესი, გამოიკვეთა შემდეგი არგუმენტები: პოლონეთს რეგიონში ლიდერობის ისტორიული წინაპირობები გააჩნდა. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიცირებით, პოლონეთი შეიქმნიდა უფრო უსაფრთხო და დემოკრატიულ აღმოსავლეთ სამეზობლოს. ის გახდებოდა „მისიის მატარებელი“ წვერი ევროკავშირის შიგნით, რადგან ჩამოყალიბდებოდა აღმოსავლეთ საკითხებში მთავარ კოორდინატორ სახელმწიფოდ. ევროკავშირში ნიშის დამკვიდრებასთან ერთად, პოლონეთს შესაძლებლობა მიეცემოდა აღედგინა გავლენები აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში და გაეფართოებინა მისი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ჰორიზონტი აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყანაში.

ნაშრომში დეტალურად არის განხილული აღმოსავლეთ პარტნიორობის დეკლარაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესი. კვლევამ აჩვენა, რომ პროექტი ევროკავშირისთვისაც სარგებლიანი იყო, რადგან მის ინტერესებში შედიოდა უსაფრთხო აღმოსავლეთ სამეზობლო რეგიონის ფორმირება, პარტნიორი ქვეყნების ტრანსფორმაცია, პოლიტიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობის და ენერგორესურსების დივერსიფიკაციის ალტერნატივების გაჩენა. კვლევაში ასევე განხილულია პარტნიორობის წვერი ქვეყნების სარგებელი და გამოწვევები.

მეორე კვლევითი კითხვის საპასუხოდ, თუ რა ძირითადი მიზეზების გამო აღიქვამს რუსეთი აღმოსავლეთ პარტნიორობას მის წინააღმდეგ მიმართულ ინიციატივად, კვლევისას დადგინდა, რომ პროექტის მიზნები და შედეგები საზიანოდ

აღიქმება რუსეთის ფედერაციაზე. სხვადასხვა მულტილატერალური თუ ბილატერალური სტრატეგიული ხელშეკრულებები, მათ შორის ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება და ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, ამცირებს რუსეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ გავლენებს ხელმომწერ ქვეყნებში. აქედან გამომდინარე, სტატუს-კვოს შესანარჩუნებლად რუსეთი ტრადიციულად მიმართავს როგორც ხისტ ძალას, ასევე დეზინფორმაციის გავრცელების მეთოდებს.

კვლევაში გაკეთებულია ცვლადების ოპერაციონალიზაცია. ნაშრომი აჩვენებს როგორც პოლონეთის აღმოსავლეთ პარტნიორობაში ოპერირების მიზნებს, ასევე ოფიციალური მოსკოვის საპასუხო რეაქციებს და აღქმებს. შესაბამისად, ნაჩვენებია ჰიპოტეზის ვალიდურობა იმასთან დაკავშირებით, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატი, რომელიც პოლონეთს რეგიონში ლიდერად ჩამოყალიბების შესაძლებლობას აძლევს, ასუსტებს ოფიციალური მოსკოვის გავლენებს აღმოსავლეთ ევროპის და სამხრეთ კავკასიის პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში.

თემა განხილულია თავდაცვითი რელიზმის ჭრილში. თემის ნაწილში „თეორიული მიმოხილვა“ მოცემულია თავდაცვითი რელიზმის მთავარი აპოლოგეტების - კენეტ უოლცის და რობერტ ჯერვისის ნაშრომების ანალიზი. თავდაცვითი რელიზმის მიხედვით, სახელმწიფოებისთვის თვითგადარჩენა უმთავრესი პრიორიტეტია, შესაბამისად, გადაწყვეტილებების ძირითადი ფუნდამენტი უსაფრთხოებას და გავლენის შენარჩუნებას ეფუძნება. შესაბამისად, ახსნილია, რომ პარტნიორობის ქვეყნების მიმართ რუსეთის მიერ გატარებული პოლიტიკის ძირითად მიზანს რეგიონზე გავლენის შენარჩუნება წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

- აკობია, ე. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობების თეორია*. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი
- ზურაბიშვილი, თ. (2006). *თვისებრივი მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში*. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი
- Alfarsi, H. (2017, October 23). Comparison: Defensive realism vs. offensive realism. Retrieved July 15, 2018, from <https://www.profolus.com/topics/differences-between-defensive-realism-and-offensive-realism/>
- Apriashvili, M., (2017). Baltic Support for Georgia – Solidarity, Niche, and Security Policies. *Georgian Institute of Politics*. Jun (4). Retrieved at 12. July 2018 from <http://gip.ge/wp-content/uploads/2017/06/Research-Paper-4.pdf>
- Adomeit, H. (2011, April). *Russia and its near Neighbourhood: Competition and Conflict with the EU*. Bruges: College of Europe
- Beach, D. (2017). *Process-Tracing Methods in Social Science*. Oxford Research Encyclopedia of Politics, retrieved June 16, 2018 from <http://politics.oxfordre.com/view/10.1093/acrefore/9780190228637.001.0001/acrefore-9780190228637-e-176>
- Besemeres, J.F. (2016). *A Difficult Neighbourhood: Essays on Russia and East-Central Europe Since World War II*. Australia: ANU Press. Retrieved July 1, 2018 from DOI: <http://dx.doi.org/10.22459/DN.10.2016>
- Collier, D. (2011). Understanding Process Tracing. *PS: Political Science and Politics*, 44 (4), 823-830. Retrieved June 16, 2018, from <https://doi.org/10.1017/S1049096511001429>
- Council of the European Union. (2008, September 1). *Extraordinary European Council, Brussels 1 September 2008* [Presidency Conclusions] retrieved June 19, 2018 from http://news.bbc.co.uk/2/shared/bsp/hi/pdfs/01_09_08_eurussia_statement.pdf

- Council of the European Union. (2009, May 7). *Joint Declaration of the Prague Eastern Partnership Summit Prague, 7 May 2009* [Press release]. Retrieved June 17, 2018, from http://www.consilium.europa.eu/media/31797/2009_eap_declaration.pdf
- Celewicz. M, & Celewicz M.N. (2006). Relations between Poland and its Eastern Neighbours After the 1999 NATO Enlargement. *UNISCI Discussion Papers 10*. 221-245. Retrieved July 15, 2018, from <https://www.ucm.es/data/cont/media/www/pag-72531/MACIEJ-MONIKA-%20RELATIONS%20BETWEEN%20POLAND.pdf>
- Council of the European Union. (2008, July 17). *Brussels European Council 19/20 June 2008* [Presidency Conclusions]. Retrieved June 20, 2018 from http://www.consilium.europa.eu/ueDocs/cms_Data/docs/pressData/en/ec/101346.pdf
- Council of the European Union. (2009, February 13). *Brussels European Council 11 and 12 December 2008* [Presidency Conclusions]. Retrieved June 20, 2018 from http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_data/docs/pressdata/en/ec/104692.pdf
- Council of the European Union. (2009, April 29). *Brussels European Council 19/20 March 2009* [Presidency Conclusions]. Retrieved June 20, 2018 from https://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_data/docs/pressdata/en/ec/106809.pdf
- Dehumanizing disinformation as a weapon of the information war (2018, June 28). Retrieved July 15, 2018, from <https://euvsdisinfo.eu/dehumanizing-disinformation-as-a-weapon-of-the-information-war/>
- Eastern Partnership (2018, May 4). Retrieved July 6, 2018 from <http://www.consilium.europa.eu/en/policies/eastern-partnership/>
- European Commission. (2015, January 20. *Black Sea Synergy: Review of a Regional Cooperation Initiative* [Working Document]. Retrieved June 20, 2018 from https://blacksea-horizon.eu/object/document/318/attach/swd_2015_6_en.pdf

- European Commission, Press Release Database. (2005, March 18). *EU/Russia: The four “Common Spaces”* [Press release]. Retrieved June 19, 2018, from [http://europa.eu/rapid/press-release MEMO-05-103_en.htm](http://europa.eu/rapid/press-release_MEMO-05-103_en.htm)
- Foster, K. (2016, October 28). How a tiny pocket of Russian land next to Poland could soon become the most dangerous place in Europe. Retrieved July 10, 2018, from <https://www.independent.co.uk/news/russia-military-base-europe-putin-build-up-tensions-west-uk-kaliningrad-a7384571.html>
- From where do we import energy and how dependent we are? (n.d). Retrieved July 10, 2018 from <http://ec.europa.eu/eurostat/cache/infographs/energy/bloc-2c.html>
- Gerring, J. (2007). *Case Study Research, Principles and Practices*. Cambridge: Cambridge University Press
- Gretskiy, I., Treshchenkov, E., & Golubev, K. (2014). Russia’s perceptions and misperceptions on the EU Eastern Partnership. *Communist and Post-Communist Studies* 47(3-4). 375-383. Retrieved July 1, 2018 from [DOI: 10.1016/j.postcomstud.2014.10.006](https://doi.org/10.1016/j.postcomstud.2014.10.006)
- Jervis, R. (1978). Cooperation Under the Security Dilemma. *World Politics*, 30(2), Jan, 167-214. Retrieved July 16, 2018, from <https://www.jstor.org/stable/2009958>
- Krippendorff, K. (2004). *Content analysis: An introduction to its methodology*. Thousand Oaks: Sage Publications.
- Makarychev, A. (2016). The Limits to Russian Soft Power in Georgia. Policy Memo 412. *PONARS Eurasia - New Approaches to Research and Security in Eurasia*. Retrieved June 21, 2018, from <http://www.ponarseurasia.org/memo/limits-russian-soft-power-georgia>
- Makarychev, A. & Deviatkov, A. (2012). East Partnership: Still a missing link in EU strategy? *CEPS Commentary 13 January*. [Policy Paper]. Retrieved July 1, 2018 from <http://aei.pitt.edu/33335/>

- Northern Dimension (2016, May 2). Retrieved July 10, 2018, from https://eeas.europa.eu/diplomatic-network/northern-dimension/347/northern-dimension_en
- Our work in Georgia (2015, February 6). Retrieved July 15, 2018, from <https://www.sida.se/English/where-we-work/Europe/Georgia-/Our-work-in-Georgia/>
- Paul, A. (Senior Policy Analyst). (2018, May 16-17). EU's Security Umbrella and the Future of the Eastern Partnership, *South Caucasus Security Forum*, Tbilisi, Georgia.
- Polish-Swedish Proposal - Eastern Partnership. (2008, June). Ministry of Foreign Affairs of the Republic of Poland. Retrieved June 19, 2018, from library.euneighbours.eu
- Peters, K., Rood J., Gromadzki G., (2009). The Eastern Partnership: Towards a New Era of Cooperation between the EU and its Eastern Neighbours? *Clingendael European Studies Programme (CESP), EU Policies Seminar Series*. Revised Overview Paper. Retrieved June 20, 2018 from https://www.clingendael.org/sites/default/files/pdfs/20091200_cesp_paper_rood.pdf
- Radoslaw Sikorski: Eastern Partnership in the case of Belarus does not work. (2011, August 1). Retrieved July 12, 2018, from <http://survincity.com/2011/08/radoslaw-sikorski-eastern-partnership-in-the-case/>
- Runner, Ph, (2008, May 22). Poland and Sweden to pitch “Eastern Partnership” idea. Retrieved June 21, 2018 from <https://euobserver.com/foreign/26194>
- Schmidt, B. C. (2005). Competing Realist Conceptions of Power. *Millennium*, 33 (3), 523-549. Retrieved June 21, 2018 from <https://doi.org/10.1177/03058298050330031401>
- SZCZEPANIK, M. (2011). Between a Romantic 'Mission in the East' and Minimalism: Polish Policy Towards the Eastern Neighbourhood. *Perspectives*, 19(2), 45-66. Retrieved from <http://www.jstor.org/stable/23616144>

- Tasche, T.C., (2010), The Project of a Union for a Mediterranean – Pursuing French Objectives through the Instrumentalisation of the Mare Nostrum, *International Center for European Studies*, 2. retrieved June 22, 2018 from <https://www.cairn.info/revue-l-europe-en-formation-2010-2-page-53.htm>
- The European Neighbourhood Instrument (ENI), EU and Neighbours: Evolving Relations, retrieved June 22, 2018 from <https://www.euneighbours.eu/en/policy/european-neighbourhood-instrument-eni#eni>
- Viotti, P. R. & Kauppi, M. V., (2012), *International Relations Theory*, 5th ed. Boston: Longman
- Visa Liberalisation with Moldova, Ukraine and Georgia. (n.d). Retrieved July 10, 2018 from https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/policies/international-affairs/eastern-partnership/visa-liberalisation-moldova-ukraine-and-georgia_en
- Vogel. T. (2008, May 8). Plans for ‘eastern partnership’ unveiled. Retrieved July 10, 2018, from <https://www.politico.eu/article/plans-for-eastern-partnership-unveiled/>
- Waltz, K. N. (1979). *Theory of International Politics*. New York: McGraw Hill
- Zagorski. A. (2011). Eastern Partnership from the Russian Perspective, *Friedrich-Ebert Foundation* 3. 41- 61. Retrieved July 1, 2018 from https://library.fes.de/pdf-files/ipg/2011-3/05_zagorski.pdf
- 5-й Саммит Восточного партнерства (ЕаР) в Брюсселе Мифы о Восточном партнерстве. (2017, November 20). Retrieved June 20, 2018, from https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/ru_myth_busting_factsheet_eap_0.pdf
- Как Медведев назначил саммит "Восточного партнерства" в Праге, и какие из этого следуют выводы. (2009, April 30). retrieved June 22 2018 from <http://www.warandpeace.ru/ru/news/view/35128/>

- Лавров: ЕС хочет использовать «Восточное партнерство» против России. (2017 December 2). Retrieved June 22, 2018, from <https://mir24.tv/news/16280456/lavrov-es-hochet-ispolzovat-vostochnoe-partnerstvo-protiv-rossii>
- Мендкович, Н. (2014, March 15). Стратегия и идеология в проекте ЕС “Восточное партнерство”. Retrieved July 10, 2018, from <http://www.foreignpolicy.ru/analyses/eu-eastern-partnership/>
- Путин: Мы сначала положительно реагировали на Восточное партнерство. (2015, June 19). Retrieved July 15, 2018, from <https://news.tut.by/politics/452872.html?crnd=6066>
- Указ Президента Российской Федерации от 12 мая 2009 г. N 537 "О Стратегии национальной безопасности Российской Федерации до 2020 года". (2009, May 19). Российская газета - Федеральный выпуск №4912 (88). Retrieved June 21, 2018, from <https://rg.ru/2009/05/19/strategia-dok.html>
- Указ Президента Российской Федерации от 31 декабря 2015 года N 683 "О Стратегии национальной безопасности Российской Федерации". (2015, December 31). Российская газета - Федеральный выпуск №4912 (88). Retrieved June 21, 2018, from <https://rg.ru/2015/12/31/nac-bezopasnost-site-dok.html>

დანართი #1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Mariam Khuroshvili

**Polish-Swedish initiative – Elaboration of the Eastern Partnership
beyond the Russian Federation**

Diplomacy and International Politics

Submitted to Obtain a Master Degree in Diplomacy and International Politics

Supervisor: Eka Akobia

Associate Professor

Tbilisi

2018

დანართი #2

ინტერვიუები

1. ანდრეი მაკარიჩევი - მკვლევარი და პროფესორი ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტსა და ტარტუს უნივერსიტეტში, 16 ივნისი;
2. კორნელი კაკაჩია, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) დირექტორი, 18 ივნისი;
3. კახა გოგოლაშვილი - ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 28 ივნისი;
4. Mr. Lawrence MEREDITH, Director for Neighbourhood East, Neighborhood and Enlargement Negotiations (DG Near), European Commission, 2 ივლისი;
5. Ms. Anneli AHONEN, EU Stratcom team, 2 ივლისი;
6. Ms. Monica BUCURENCIU – Team Leader of the Eastern Partnership Civil Society Facility Project, 3 ივლისი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამაზ თორდია

უხმო ერები საერთაშორისო სისტემაში: ქურთები და
ასირიელები პერმანენტული და პოტენციური
კონფლიქტების ქრილში

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და
საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: დავით მაცაბერიძე _ თსუ სოციალურ და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი _ ასისტენტ პროფესორი

თბილისი 2018

ანოტაცია

უხმო ერები საერთაშორისო სისტემაში: ქურთები და ასირიელები პერმანენტული და პოტენციური კონფლიქტების ქრილში

მოცემული ნაშრომის თემა შეეხება ეთნიკური კონფლიქტების ბუნებას, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, კონკრეტულად ქურთთა და ასირიელთა საკითხებს. ამ რეგიონში ბოლო წლებში განვითარებული მოვლენები საერთაშორისო მედიისა და აკადემიური ინსტიტუტებისათვის მაღალი ინტერესის საგანს წარმოადგენს. რეგიონში 2010-იან წლებში ე.წ ისლამური სახელმწიფოს გამოჩენამ ბიძგი მისცა ეთნიკური დაძაბულობების ახალი კერების გაჩენას და ძველის განახლებას. ნაშრომის მიზანია ეთნიკური კონფლიქტების მაინსპირირებელი ფაქტორების იდენტიფიცირება და მათი თავისებურებების ახსნა. კვლევის ძირითად ფოკუსში მოქცეულია შუამდინარეთიდან ქურთული და ასირიული საკითხები ვინაიდან ეს უკანასკნელი ისტორიულად გადაჯაჭვულია ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ მოვლენებთან. კვლევის საგანია ეთნიკური კონფლიქტებისა და საერთაშორისო სისტემაში ერთა შიდა თვითგამორკვევის პრინციპის ურთიერთმიმართება. როგორც კვლევის შედეგებმა გვიჩვენა ეთნიკური კონფლიქტების ინსპირატორი ფაქტორია ეთნიკური უფლებების დაუკმაყოფილებლობა, ეს უკანასკნელი კი წინაპირობაა შიდა-თვითგამორკვევის პრინციპით სარგებლობის უფლების აღძვრის გზაზე. კვლევა ასევე გვჩვენებს გავიგოთ თუ რა არის ის კრიტერიუმები, რომელთა არსებობა განაპირობებს ეთნიკური ჯგუფის ხალხად კლასიფიცირებას და რა არის ის მოთხოვნები, რომლებიც უნდა დააკმაყოფილონ ხალხმა იმისათვის, რომ შეძლონ სარგებლობა შიდა-თვითგამორკვევის უფლებით. წინამდებარე ნაშრომში ქურთთა და ასირიელთა საკითხის გაცნობასთან ერთად შესაძლებლობა გვეძლევა გავიგოთ თუ რა ფაქტორებმა განაპირობა ხსენებულ ეთნოსებში ცენტრალური ხელისუფლებების მიმართ ანტაგონიზმის გაჩენა, შესაბამისად, ვიგებთ რა უნდა გაითვალისწინონ ცენტრალუმა ხელისუფლებებმა, როცა ეთნიკურ

უმცირესობებთან ურთიერთობების პოლიტიკის შემოშავებას ცდილობენ. თეორიულ ჭრილში კვლევა გვიჩვენებს, საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი თეორიები, კერძოდ, რეალიზმი, მარქსიზმი და კრიტიკული თეორია ყოვლისმომცველად ვერ ხსნის ეთნიკური კონფლიქტების ბუნებას. ასევე ვნახეთ, რომ ეთნიკური ჯგუფის წევრთათვის კონფლიქტების თეორიაში ცნობილი ბერტონის ადამიანური საჭიროებების, კერძოდ, დაცულობის, უსაფრთხოების, საკუთრების, სიყვარულის, თავდაჯერების, პირადი მიღწევების, იდენტობის, კულტურული უსაფრთხოების, თავისუფლების, დოვლათის სამართლიანად განაწილების და სხვა და სხვა აქტივობებში ჩართულობის, მონაწილეობის მოთხოვნები და კმაყოფილება აუცილებელი კრიტერიუმებია კონფლიქტის პრევენციის და მოგვარებისათვის.

თ.თორდია

Annotation

Voiceless nations in the international system: kurds and Assyrians in the sense of potential and permanent ethnic conflicts

The theme of this work concerns ethnic conflicts in the Middle East, particularly Kurdish and Assyrian questions. Events which developed in the region in recent years are of high interest subject in international media and academic institutions. The Islamic State has appeared in the region in 2010 and that event encourage the emergence of new tensions between nations and renewed the old ones. The goal of the work is to identify and address the peculiarities of ethnic conflicts. The main focus of the research is the Kurdish and Assyrian issues from the Middle East, as the latter was historically handed over to the major geo-political events of the Middle East. The subject of research is the relationship between the ethnic conflicts and the principle of internal self-determination in the international law. The results of the survey show that the ethnic conflict is based on the inequality and discrimination in society, and the latter is a prerequisite on the road to the right to self-determination. The study also helps us to understand what are the criteria in which the ethnic group may consider as a people and what are the demands that the people should be reclaim in order to use the principal of internal self-determination. The research gives us an opportunity to understand what factors led to the emergence of antagonism between ethnic minorities and the central authorities, and thus, we can see what the central government should take into consideration when it comes to the policy of relations with ethnic minorities. In the theoretical point of view, research shows that the main theories of international relations, namely realism, Marxism and critical theory, can not explain an all aspects of ethnic conflicts. We also saw that Burton's "human needs theory", in particular, security, property, love, trust, personal

achievement, identity and cultural security, freedom, wealth, fair distribution of goods are the essential factors in order to ensure conflict prevention and resolution.

T.Tordia

შინაარსი

შესავალი.....	7
კვლევა თეორიულ და მეთოდოლოგიურ ჭრილში	14
ლიტერატურის მიმოხილვა	16
თავი 1. ქურთთა და ასირიელთა საკითხი	27
1.1 ქურთთა საკითხი თურქეთში.....	27
1.2 ქურთთა საკითხი ერაყში.....	30
1.3 ქურთთა საკითხი სირიაში და ირანში	32
1.4 ასირიელთა საკითხი	35
თავი 2. ეთნიკური შიდა თვითგამორკვევა და ეთნიკური უფლებები	38
2.1 ეთნიკური თვითგამორკვევის პრინციპი.....	38
2.2 ქურთთა და ასირიელთა ბრძოლის თავსებადობა შიდა თვითგამორკვევის პრინციპთან.....	40
2.3 ბერტონის ადამიანური მოთხოვნილებების თეორიის მიმართება ქურთთა და ასირიელთა საკითხთან.....	41
დასკვნა.....	49
ბიბლიოგრაფია.....	50

შესავალი

ეთნიკური კონფლიქტები, აქტიურიც, გაყინულიც და პოტენციურიც თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი პირველხარისხიანი გამოწვევაა საერთაშორისო სისტემისთვის. წინამდებარე ნაშრომში შევეხებით როგორც კონფლიქტების ზოგად ბუნებას, ასევე შემთხვევების შესწავლის საწყისებზე ზოგ, სხვებზე მეტად გამორჩეულ კონფლიქტებს დეტალურად განვიხილავთ. ვინაიდან დღეისათვის ახლო აღმოსავლეთი, უფრო ზუსტი ლოკალიზებისთვის კი შუამდინარეთი კონფლიქტების თვალსაზრისით მსოფლიოს ერთერთი ყველაზე ცხელი წერტილია, ჩვენც მის ფარგლებში აღმოცენებულ ეთნიკურ კონფლიქტებს შევეხებით დეტალურად, კონკრეტულად ქურთთა და ასირიელთა საკითხს მათი განსახლების ქვეყნებში, თურქეთში, ერაყში, სირიასა და ირანში. ხსენებული ეთნიკური ჯგუფები რამდენიმე მიზეზით არიან ჩვენი ნაშრომის ინტერესის საგანი. კერძოდ, ქურთები მსოფლიოში ერთერთ ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ მათ შორის, ვისაც საკუთარი სახელმწიფო არ აქვთ და ამავე დროს არა მხოლოდ სახელმწიფოებრიობას არიან მოკლებულნი, არამედ მეტწილად ავტონომიური თვითმმართველობებიც ხელმიუწვდომელია მათთვის, ერაყის ჩრდილოეთში მცხოვრები ქურთების გამოკლებით, რომელთაც ბოლო წლებში მოიპოვეს ავტონომიურობა ბრძოლით და მათი პოლიტიკური მომავალიც დღეისთვის კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ცენტრალურ ხელისუფლებასთან ტერიტორიული და უფლებამოსილების სფეროებში დისპუტის გათვალისწინებით. ქურთების მეზობელი ასირიელები კი მიუხედავად იმისა, რომ ბოლო საუკუნეში რამდენჯერმე გახდნენ გენოციდალური პროცესების მსხვერპლნი და თვითმმართველობის კრიტიკული საჭიროების წინაშე დგანან – რათა ფიზიკურ, ეგზისტენციალურ საფრთხეებს გაუმკლავდნენ – საერთაშორისო საზოგადოებისგან თვითმმართველობის ამა თუ იმ ფორმის უზრუნველყოფის გზაზე ვერ დებულობენ ისეთ მხარდაჭერას, როგორც სხვა, მსგავსად ან ნაკლებად მასშტაბურად რეპრესირებულ ეთნოსებს ხვდათ წილად, მაგალითად,

კოსოვოელებს, ხორვატებს, ყოფილ კოლონიზირებულ ერებს და სხვა მსგავსი ფონის მატარებელ ეთნოსებს.

ნაშრომის მიზანია, რომ არა მხოლოდ პრაქტიკისთვის და კონფლიქტების ველზე მუშაობისთვის საჭირო ემპირიული მონაცემები იკვლიოს, არამედ ეცადოს ახსნას კვანძი („ფაზლი“), ის უცნაური გარემოება, რომლის მიხედვითაც ზოგ ერს ბოლო საუკუნეში მიეცა საშუალება თვითგამორკვევისთვის, ზოგს კი არა. მაგალითად, უფრო კონკრეტულობისთვის საინტერესოა რამ განაპირობა, რომ ბოლო საუკუნეში ევროპული ქვეყნების მიერ კოლონიზებულ ხალხებს მიეცათ საშუალება უპირობოდ თვითგამორკვევისთვის, ასევე რამ განაპირობა, რომ არსებობს კოსოვოს აღიარების შემთხვევა, მონტენეგროსა თუ სამხრეთ სუდანის ცენტრისგან გამოყოფის შემთხვევა, პაკისტანისა და ბანგლადეშის სახელმწიფოების წარმოქმნის შემთხვევა, ჩეხო-სლოვაკიის გაყოფის და სხვა მსგავსი შემთხვევები და არ არსებობს ასირიელთა სახელმწიფო ან თვითმმართველობა, რომელსაც ნამდვილად ვიცით, რომ აქვს სახელმწიფოებრიობის უნიკალური ისტორია და მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში დასავლეთშიც ქონდა მისი სახელმწიფოებრიობის რაიმე ფორმით არსებობის უფლებას მხარდაჭერა დომინანტი სახელმწიფოების მხრიდან, ხოლო მისი, ასირიის პოლიტიკური ფორმის განსაზღვრისთვის მოქმედი, ამ იდეის აპოლოგეტი პატრიოტები ბრძოლობდნენ და ჯერაც უშედეგოდ დღემდე ბრძოლობენ რომელიმე პოლიტიკური ფორმით მათი სამშობლოს ადმინისტრაციული შინაარსით დატვირთვისთვის. ასევე როგორ მოხდა, რომ არ არსებობს ქურთთა პოლიტიკური რეალური თვითმმართველობა ბოლო წლებში პიროსის ძალისხმევით მიღწეული ერაყის ქურთისტანის მიღმა, მიუხედავად ამ უკანასკნელთა ათწლეულების განმავლობაში სხვა და სხვა ფორმით ბრძოლისა და ზოგჯერ მიღწეული წარმატებებისა, მაგ. მაჰაბადის რესპუბლიკა, არარატის რესპუბლიკა. გამოვიკვლევთ ეს მოცემულობები ხომ არ არის იმ ჰიპოთეტური გარემოებით განპირობებული, რომ ასირიელები და ქურთები სამართლებრივად არ აკმაყოფილებენ შიდა თვითგამორკვევის უფლების აღძვრისათვის საჭირო

კრიტერიუმებს საერთაშორისო სამართლის მიხედვით, თუ რეგიონის და გლობალური დიდი ძალების პოლიტიკური გადაწყვეტილებები განაპირობებს ქურთთა და ასირიელთა თვითმმართველობის ფორმებზე ხელმიუწვდომლობას?

ნაშრომში პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ მთავარ საკვლევ კითხვას:

არის თუ არა ქურთთა და ასირიელთა თვითგამორკვევისათვის ბრძოლა შესაბამისობაში ხალხთა შიდა თვითგამორკვევის პრინციპთან?

აღნიშნულ საკვლევ კითხვაზე პასუხი ჩამოყალიბებულია ჰიპოთეზის სახით:

ვინაიდან ქურთთა და ასირიელთა ხალხად კლასიფიცირება შესაძლებელია და ამავე დროს ორივე ეთნიკური ჯგუფი ისტორიულად და მიმდინარედ ეთნიკური ნიშნით რეპრესირებულ და დისკრიმინირებულ ჯგუფებს წარმოადგენენ, მათი მოძრაობა შიდა თვითგამორკვევის პრინციპთან შესაბამისობაშია.

ნაშრომის შემდეგ ნაწილებში ვაჩვენებთ რას გულისხმობს თვითგამორკვევა, რას ნიშნავს გარე თვითგამორკვევა და შიდა თვითგამორკვევა. რა არის ის მოთხოვნები საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რომლის არსებობის შემთხვევაში ადამიანთა ჯგუფის კლასიფიცირება შესაძლებელია ხალხად და რა არის ის მოთხოვნები, რომლის არსებობის შემთხვევაში ხალხს შეუძლია ისარგებლოს შიდა თვითგამორკვევის უფლების პრინციპით. შემდგომ ამისა, გამოვიკვლევთ ქურთები და ასირიელები ერაყში, სირიაში, თურქეთსა და ირანში მეოცე საუკუნის მათი ისტორიის გათვალისწინებით აკმაყოფილებდნენ და აკმაყოფილებენ თუ არა დღეს იმ მოთხოვნებს, რომლებიც საჭიროა შიდა თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობისათვის. ვინაიდან ხალხთა თვითგამორკვევის უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და მეტწილად პოლიტიკური დავების საგნად გვევლინება, ჩვენც მას პოლიტიკურ

ჭრილში განვიხილავთ, თუმცა ხსენებული საკითხის პოლიტიკურ ინტერპრეტაციებსაც და ავტორიტეტულ მკვლევართა ნარკვევებსაც საერთაშორისო სამართალზე აპელირება ახასიათებს, ამიტომაც ამ უკანასკნელს გვერდს ვერც ჩენ ავუვლით. კონფლიქტების თეორიის ჭრილში კი ბერტონის „ადამიანური საჭიროებების(მოთხოვნილებების) თეორიის“ ფარგლებში ვაჩვენებთ რამდენად ჰქონდათ და აქვთ ქურთებსა და ასირიელებს ამ თეორიით განსაზღვრული აუცილებელი ადამიანური მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული და მათმა, კერძოდ, უსაფრთხოების, იდენტობის დაცვის, დოვლათის სამართლიანად განაწილების და სხვა ადამიანური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობამ ხომ არ წარმოშვა შემდეგი ცვლადების არსებობა და მათი ჩვენს მიერ შერჩევის ვალიდურობა, კერძოდ, ვაჩვენებთ, რომ ქურთებსა და ასირიელებს ხელი არ მიუწვდებოდათ მათი მშობლიური ენის პრაქტიკაში გამოყენებაზე, მათი პოლიტიკური წარმომადგენლობითობა შეზღუდულია და არაპროპორციული მათი განსახლების ქვეყნების პოპულაციაში მათ პროცენტულ წილთან შეფარდებით, ქვეყნის ეკონომიკური დოვლათი არასამართლიანად ნაწილდებოდა და ნაწილდება მათი განსახლების რეგიონებში და მთავარი, მათი ფიზიკური უსაფრთხოება არ იყო და არ არის დაცული ცენტრალური ხელისუფლებების მხრიდან და შემდგომ ამისა, ვნახავთ, რომ ყოველივე ხსენებულმა ასირიელებსა და მეტწილად ქურთებს შორის წარმოშვა რეზისტენტული მოძრაობები, რომელთა საქმიანობა ძირითადად მიმართული იყო და არის შიდა თვითგამორკვევის პრინციპის პრაქტიკაში უზრუნველყოფისკენ.

მოცემულ ნაშრომში გვაქვს შემდეგი ცვლადები:

- დამოკიდებული: ქურთთა და ასირიელთა შიდა თვითგამორკვევისთვის საქმიანობა
- დამოუკიდებელი: ქურთთა და ასირიელთა ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია

ცვლედებს შორის კორელაციას გავზომავთ ისტორიული მეთოდისა და შემთხვევის შესწავლის საშუალებით. კერძოდ, გამოვიკვლევთ ჰქონდა თუ არა ადგილი ქურთთა და ასირიელთა ეთნიკური ნიშნებით (ენა, რელიგია, კულტურა) დისკრიმინაციას და ამ დისკრიმინაციას საპასუხოდ მოჰყვა თუ არა ხსენებული ჯგუფების მიერ შიდა-თვითგამორკვევისკენ მიმართული აქტივობები, ხოლო ყოველივე ხსენებულმა ხომ არ წარმოქმნა საერთაშორისო სამართლის შიდა-თვითგამორკვევის უფლების პრინციპით სარგებლობისათვის საჭირო ლეგიტიმური გარემოებები ქურთთა და ასირიელთა ხელში.

კონფლიქტების ბუნების კვლევა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მათი პრევენციისა და მოგვარების ხელსაწყოების აღმოჩენისა თუ შემუშავებისათვის თეორიულ დონეზე. ცხადია თითოეული კონფლიქტი უნიკალური ხასიათისაა და მისი კვლევა, ახსნა თუ მოგვარებისთვის ველზე მუშაობა შემთხვევაზე ორიენტირებულ მიდგომას მოითხოვს, თუმცა ყოველ კონფლიქტს აქვს საერთო მახასიათებლებიც და სწორედ მათ იდენტიფიცირებასა და ჩვენებას შევეცდებით ჩვენს ნაშრომში ზოგი, მასშტაბებითა და გეო-პოლიტიკური მნიშვნელობით სხვებზე მეტად აღმატებული კონფლიქტების გამოწვლილვით კვლევასთან ერთად.

ერთერთი ასეთი, გეო-პოლიტიკურად საკვანძო მნიშვნელობის გეოგრაფიული არეალია ახლო-აღმოსავლეთის შუამდინარული ნაწილი, კერძოდ მისი უკიდურესი ჩრდილოეთ ნაწილი, სადაც ასირიელი და ქურთი ეთნოსები არიან ისტორიულად განსახლებულნი. ისტორიის მრავალი მკვლევარი ორივე ხსენებულ ხალხს ანტიკური სახელმწიფოების, მიდიისა(ქურთების შემთხვევაში) და ასირიის(ასირიელების შემთხვევაში) გადარჩენილ მემკვიდრეებად განიხილავს, თუმცა დღეისათვის ასირიელებიც და ქურთებიც საკუთარ სახელმწიფოებრიობას მოკლებულნი არიან და ეთნიკური უმცირესობების სახით ცხოვრობენ მათ

ისტორიულ მიწებზე, რომელიც დღეს თურქეთის, ირანის, ერაყისა და სირიის საზღვრებში არის მოქცეული. მეოცე საუკუნეში ქურთებსა და ასირიელებს არაერთხელ ჰქონიათ მცდელობა სახელმწიფოებრიობის რაიმე პოლიტიკური ავტონომიური ნიშნით აღჭურვილი თვითმმართველობისთვის მიაღწიათ და თუმცა კი ზოგჯერ გარკვეული წარმატებებისთვის მიუღწევიათ ამ გზაზე, საბოლოოდ მათი მცდელობები კრახით სრულდებოდა. მიუხედავად განცდილი მეტწილად წარუმატებლობებისა, ორივე ხსენებული ხალხი დღესაც მოქმედებს, როგორც ლოკალურად ასევე საერთაშორისოდ იმისათვის, რომ თვითმმართველობის ესა თუ ის ფორმა მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს. მათი ეს მცდელობები ხშირად აწყდება წინააღმდეგობას ცენტრალური ხელისუფლებებისგან და ზოგჯერ ამავე ტერიტორიებზე ფანატიკურ მოტივებზე წარმოქმნილი კვაზი-სახელმწიფოებისგან, მაგალითად ისეთისგან, როგორიც არის საერთაშორისო აქტორების მხრიდან ტერორისტულად აღიარებული ისლამური სახელმწიფო, რომლის ერთ-ერთი პირველი ბრუტალური თავდასხმების ობიექტნი სწორედ ასირიელები და ქურთები იყვნენ სხვა ქრისტიანულ და იეზიდურ ეთნო-რელიგიურ ჯგუფებთან ერთად შუამდინარეთის ჩრდილოეთით. ამ თავდასხმების დროს, როდესაც ათეულ ათასი ქურთის და ასირიელის სიცოცხლე ბრუტალურად დასრულდა, ცენტრალურმა ხელისუფლებებმა კერძოდ, ერაყში და სირიაში ქურთები და ასირიელები ვერ დაიცვეს. ამიტომ საჭირო გახდა ორივე ხსენებულ ჯგუფს საკუთარი ძალებით და საერთაშორისო მხარდაჭერით _ პირველ რიგში აშშ-ს მხრიდან _ უზრუნველყოთ საკუთარი ფიზიკური უსაფრთხოება. მათ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს და საკუთარი განსახლების არეალს დღემდე საკუთარი ძალებით იცავენ. შექმნილმა ვითარებამ ეჭვქვეშ დააყენა ცენტრალური ხელისუფლებების უსაფრთხოების უზრუნველმყოფელი ფუნქცია ქურთებითა და ასირიელებით დასახლებულ რეგიონებში ვინაიდან ხსენებულ ეთნიკურ ჯგუფებს სახელმწიფოს გარეშე მოუწიათ გამკლავებოდნენ ეგზისტენციალურ საფრთხეებს. ამგვარმა ვითარებამ კი თავის მხრივ ქურთებსა და ასირიელებში კიდევ ერთხელ წარმოშვა განწყობა, რომ მათ შეუძლიათ და სჭირდებათ იყვნენ ცენტრალური

ხელისუფლებებისაგან პოლიტიკურად მეტად დამოუკიდებელნი ვიდრე აქამდე. კერძოდ, ქურთებმა ერაყის ჩრდილოეთში უკვე ქონდათ რა ავტონომია, ამჯერად თვითმმართველობითი უფლებების გაზრდაზე დაიწყეს მოლაპარაკებები ცენტრალურ ხელისუფლებასთან და ვერ მიაღწიეს რა წარმატებას, ცალმხრივად სრული გამოყოფითაც დაემუქრნენ ერაყის ხელისუფლებას, თუ ეს უკანასკნელი კონსტიტუციაში ლეგალურ ბერკეტებს არ გააჩენდა იმისათვის, რომ ქურთებს რეფერენდუმის ჩატარება შესძლებოდათ მათ ავტონომიურ ერთეულში – შეთანხმება ბაღდადში(ერაყის დედაქალაქი) ვერ შედგა, თუმცა ქურთებს დღემდე არ გამოუცხადებიათ ცალმხრივად დამოუკიდებლობა. ასირიელებმა ერაყში და ქურთებმა სირიაში კი ავტონომიური ერთეულების შექმნისთვის წამოიწყეს კამპანიები. ქურთებს ასევე ქონდათ და აქვთ ცენტრალურ ხელისუფლებებთან ეთნიკურ და პოლიტიკურ ნიადაგზე დისპუტი ირანსა და თურქეთშიც და ვინაიდან რეგიონში ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა საერთაშორისო მასშტაბის ყურადღება დაიმსახურა და გააჩინა კითხვები ქურთებისა და ასირიელების მომავალთან დაკავშირებით, ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ აქვს თუ არა ქურთებისა და ასირიელების იმ მოქმედებებს, რომელიც მიმართულია შიდა-თვითგამორკვევის მიღწევისთვის ლეგიტიმური საფუძველი და შესაბამისობა თვითგამორკვევის, კერძოდ, შიდა თვითგამორკვევის პრინციპთან.

ჩვენ ვიცით, რომ საერთაშორისო სამართალში თვით-გამორკვევის პრინციპი და უფლება ხშირად უპირისპირდება ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენულობის პრინციპებს. როგორ წესი, ცენტრალური ხელისუფლებები ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენულობის ხელშეუხებლობის პრინციპით აპელირებენ პოლიტიკურად მათგან სხვა და სხვა მასშტაბით განდგომის მსურველ რეგიონებთან, ხოლო თვითმმართველობის დონის გაზრდით დაინტერესებული ეთნიკური რეგიონები ხალხთა თვით-გამორკვევის უფლებით. ხსენებული მხარეები საკუთარი ინტერესების მიხედვით ხშირათ არასწორად აპელირებენ საერთაშორისო სამართლის ხსენებული პრინციპებითა და უფლებით. ამიტომ

ჩვენ შევეცდებით გავარკვიოთ აკმაყოფილებენ თუ არა ასირიელები და ქურთები შიდა-თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობისთვის საერთაშორისო სამართალში განსაზღვრულ კრიტერიუმებსა და მოთხოვნებს.

კვლევა თეორიულ და მეთოდოლოგიურ ჭრილში

კონფლიქტების თეორიების ჭრილში ყველაზე მეტად მიზანშეწონილია ქურთებთან და ასირიელებთან დაკავშირებული კონფლიქტების ასახსნელად ბერტონის ადამიანური საჭიროებების თეორია განვიხილოთ, რადგან ამ თეორიის პოსტულატები მეტწილად ესადაგება ხსენებულ რეგიონში ქურთთა და ასირიელთა ეთნიკურ უმცირესობებსა და ეთნიკურად დომინანტ ჯგუფებს შორის კონფლიქტების მაინსპირირებელ ფაქტორებს. კერძოდ ადამიანური საჭიროებების თეორიის მიხედვით ეთნიკურ ჯგუფებს და მათ წევრებს რამდენიმე ბუნებითი მოთხოვნილება გააჩნიათ და ესენია(სია არ არის იერარქიული თეორიის პრინციპებიდან გამომდინარე, რომელსაც ნაშრომის ძირითად ნაწილში უფრო გამოწვლილვით შევხებით):

1. დაცულობა/უსაფრთხოება
2. საკუთრება
3. სიყვარული
4. თავდაჯერება თვითშეფასებაში
5. პირადი მიღწევები
6. იდენტობა
7. კულტურული უსაფრთხოება
8. თავისუფლება
9. პირობები, სადაც დოვლათი სამართლიანად, პროპორციულადაა გადანაწილებული
10. ჩართულობა, სხვა და სხვა აქტივობებში მონაწილეობა

ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების უმეტესობა, როგორც ქვემოთ კვლევა გვანახებს, ქურთთა და ასირიელთათვის მათი განსახლების ისტორიულ, შუამდინარულ არეალში ხელმისაწვდომი არ ყოფილა ბოლო საუკუნეში და მეტწილად არც დღეს არის.

კვლევა ძირითადად აღწერილობითი ხასიათისაა და გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდები ისტორიული მეთოდისა და შემთხვევის შესწავლაზე დაფუძნებით. ისტორიული მეთოდის საშუალებით გამოვარკვევთ იმ ფაქტებს ქურთთა და ასირიელთა საკითხიდან, რომელიც უკავშირდება ამ უკანასკნელთა შიდა თვითგამორკვევისთვის ბრძოლას და მათ ისე დავალაგებთ, რომ მკითხველმა შეძლოს აღიქვას ჩვენი ნარატივის სისწორე ქურთთა და ასირიელთა შიდა თვითგამორკვევის საკითხთან დაკავშირებით. ასევე გამოვიყენებთ მეორად მასალებს. გავეცნობით საკითხისთვის რელევანტურ პრესას, პერიოდულ გამოცემებს. კვლევა გარდა იმისა, რომ არკვევს ქურთთა და ასირიელთა ეთნიკური ჯგუფების მიერ შიდა თვითგამორკვევისათვის მიმართული ღონისძიებების პოლიტიკურ და საერთაშორისო სამართლის შიდა თვითგამორკვევის პრინციპით სარგებლობისათვის დასაკმაყოფილებელ მოთხოვნებთან შესაბამისობას, ასევე საშუალებას იძლევა აიხსნას ეთნიკურ კონფლიქტებისთვის ბიძგის მიმცემი ფაქტორები.

ლიტერატურის მიმოხილვა

ვითარდება რა მსოფლიოს ყველა დასახლებულ და ნაწილობრივ, დაუსახლებელ ანტარქტიდის კონტინენტზეც კი, ასევე თითქმის ყველა გეო-პოლიტიკურად საკვანძო რეგიონსა და ლოკაციაში დაწყებული ჩინეთის ზღვიდან იბერიის ნ.კ-მდე და დამთავრებული სამხრეთ ამერიკის წყნარ ოკეანურ სანაპიროებამდე. გეოგრაფიული დასახელებები: ტაივანი, თამილ ელამი, ქაშმირი, ბალუჩისტანი, იემენი, სამხ.სუდანი, ერაყის ქურთისტანი, ნინევიის პლატო, ყარაბადი, სამხ,ოსეთი, აფხაზეთი, ჩეჩნეთი, დაღესტანი, თათარსტანი, კოსოვო, ბალკანეთი, ვენეცია, კატალონია, ბასკთა ქვეყანა, საჰარის რესპუბლიკა, ჩრდ.ირლანდია და ორგანიზაციები: თამილელი ვეფხვები, ქურთთა მუშათა პარტია, “ირა“, “ეტა“ და მრავალი სხვა ის ცნობილი ტერმინებია, რომლებიც ბოლო ათწლეულებში და დღესაც საინფორმაციო გამოშვებებსა და ჟურნალისტურ სტატიებში, ასევე აკადემიურ კვლევებში არაერთხელ გამხდარან და ხდებიან ყურადღების ღირსი, როგორც მსოფლიოს ცხელ წერტილებთან ასოცირებული სახელები. მომავალში მოსალოდნელია, რომ გადაუჭრელი ეთნიკური კონფლიქტები ისევ გახდებიან აქტუალური მათი მოუგვარებელი მდგომარეობის გათვალისწინებით. ჩვენთვისაც ამიტომა მნიშვნელოვანი ვიკვლიოთ კონფლიქტების ბუნება, მათი კონსტრუქცია და ზოგი განსაკუთრებით ცხელი, აქტუალური და კლასიკური ეთნიკური კონფლიქტი გამოწვლილვით და აკურატულად გამოვიკვლიოთ, რათა შევქმნათ ცოდნა, რომელიც მომავალში გაგვიოლებს ზოგადად კონფლიქტებთან და კონკრეტულად, შესწავლილ კონფლიქტებთან ველზე მუშაობას რეზოლუციისათვის.

დღეისათვის მსოფლიო დაყოფილია ორასამდე სუვერენული პოლიტიკური სუბიექტის, რამდენიმე დე-ფაქტო და ნაწილობრივ აღიარებული სუბიექტის და ათეულობით ავტონომიურ და ფედერაციულ საფუძვლებზე წარმოქმნილი პოლიტიკური ერთეულის მიერ. ამ მხრივ, თუ გადავხედავთ საუკუნის წინანდელ ვითარებას მსოფლიოში, სუვერენულობის ამა თუ იმ ფორმის მქონე პოლიტიკურ სუბიექტთა რიცხვი დღეისათვის ნამდვილად შთამბეჭდავად

გამოიყურება,გაიზარდა რა მათი რაოდენობა დაახლოებით თოთხმეტჯერ ბოლო ერთ საუკუნეში,მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ეთნიკური და ეთნორელიგიური დაჯგუფებების რაოდენობას,რომლებიც ამა თუ იმ ფორმით ბრძოლობენ სეცესიურ და შიდა ან გარე თვითგამორკვევის უფლებრივ საწყისებზე,ასევე რეპრესირებული ეთნიკური ჯგუფების რაოდენობას, ვნახავთ,რომ მსოფლიოს და სახელმწიფოების პოლიტიკურ რუკებზე გაცილებით შტამბეჭდავი იქნებოდა ფერთა გამა იმ შემთხვევაში თუ შიდა ან გარე თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობა საერთაშორისო სამართლის უპირობო პრინციპი და უფლება იქნებოდა. როგორც წინა წინადადებიდან ვიგებთ, თვითგამორკვევის უფლება უპირობო არ არის, შესაბამისად მისით სარგებლობისთვის გარკვეული კრიტერიუმებია დასაკმაყოფილებელი და მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი,როგორც ქვემოთ ვნახავთ,საბოლოოდ საერთაშორისო სისტემაში პოლიტიკური გადაწყვეტილებები უფრო დიდ როლს თამაშობს თვითგამორკვევის ამა თუ იმ ფორმისთვის მებრძოლი ხალხის ცხოვრებაში, ვიდრე სამართლებრივი.

გაეროს გენერალური ანსაბლეს მიერ 1966 წელს მიღებული „საერთაშორისო შეთანხმება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ პირველი მუხლის პირველივე პუნქტს იწყებს შემდეგი სიტყვებით: " ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების საფუძველზე ისინი თავისუფლად განსაზღვრავენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და ისწრაფვიან ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისაკენ".¹ ზემოთ მოყვანილი საერთაშორისო სამართლის დოკუმენტის გარდა თვითგამორკვევის უფლების აღიარების შესახებ ვკითხულობთ გაეროს წესდებაშიც და სხვა რამდენიმე სამართლებრივ აქტშიც, რომელზეც დაწვრილებით ნაშრომის ძირითად ნაწილში ვისაუბრებთ, მაგრამ ეს არ ცვლის იმ გარემოებას, რომ ხსენებული უფლებით სარგებლობა არ არის უპირობო და შეუზღუდავად ხელმისაწვდომი. ქვემოთ

¹ (1966). *International Covenant on Civil and Political Rights*.

ვისაუბრებთ რა შემთხვევებში შესაძლებელია თვითგამორკვევის უფლებით ისარგებლოს ხალხად კლასიფიცირებულმა ჯგუფმა, რომელსაც გააჩნია სხვა ეთნიკურ ნიშნებთან ერთად მკაფიოდ განსაზღვრული ტერიტორიული განსახლების არეალი, სადაც ჯგუფი უმრავლესობას წარმოადგენს და მკვიდრ მოსახლეობად ითვლება.

ცნება თვითგამორკვევა გულისხმობს, რომ ხალხს, რომელიც დაკავშირებულია ენობრივი, კულტურული, ისტორიული, ეკონომიკური ან ტერიტორიული ნიშნით აქვს უფლება თავად განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკური სტატუსი საერთაშორისო სისტემაში. ავტორები განასხვავებენ გარე-თვითგამორკვევისა და შიდა-თვითგამორკვევის პრინციპებს. გარე-თვითგამორკვევა გულისხმობს, რომ ჯგუფი, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც ხალხი მუშაობს იმისთვის, რომ მოიპოვოს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ხოლო შიდა-თვითგამორკვევა გულისხმობს, რომ ხალხად კვალიფიცირებული ჯგუფი ესწრაფვის სახელმწიფოს შიგნით მიიღოს მეტი თვითმმართველობითი უფლებები, ვიდრე გააჩნია. ამგვარი თვითგამორკვევა შეგვიძლია გავაიგივოთ მმართველობაში თანამონაწილეობისთვის ბრძოლასთან, რომლის მიზანია დაიცვას, შეინახოს, გააძლიეროს ჯგუფი კულტურული, ისტორიული, ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების გზაზე. პრაქტიკაში ამგვარი თვითგამორკვევისთვის შესაბამისი პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენს ავტონომიური ან ფედერალური ოლქი.²

პირველ რიგში უნდა განვმარტოთ, რომ თვით-გამორკვევის უპირობო უფლებით მოსარგებლე ერთადერთ ჯგუფს წარმოადგენს კოლონიზებული ტერიტორიები და მისი მოსახლეობა. მხოლოდ ამ შემთხვევაშია ყოველგვარი საერთაშორისო სამართლებრივი დისპუტის გარეშე შესაძლებელი ხალხმა ისარგებლოს ხსენებული უფლებით და ამ მოცემულობით უკვე ისარგებლეს მეოცე

² Raic, D. (2002). *Statehood and the Law of Self-Determination*. The Hague: Kluwer Law International. pp.237-239

საუკუნის მეორე ნახევარში ევროპული სუპერ სახელმწიფოების მიერ კოლონიზებულმა აზიელმა და აფრიკელმა ხალხებმა, აქ იგულისხმებოდა გარე თვითგამორკვევა, რაც ცენტრისგან სრულ გამოყოფას და ახალი სახელმწიფოს წარმოქმნას გულისხმობს.³ ყველა სხვა შემთხვევაში დისპუტი წარმოიშობა ცენტრალურ ხელისუფლებასა და რეგიონის თვითგამორკვევისთვის მებრძოლ ხალხს შორის, თუმცა მაინც არსებობს საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული კრიტერიუმები, რომელიც აუცილებელია, რომ დაკმაყოფილდეს, რათა შიდა თვითგამორკვევის უფლების საკითხი დადგეს ბენეფიციარი ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

შიდა თვითგამორკვევის უფლების შესახებ საუბრისას საერთაშორისო სამართლის კონტექსტში მნიშვნელოვანია განვმარტოთ, რომ ამ უფლების შესახებ სამართლებრივი ლიტერატურა გაბნეულია სხვა და სხვა საერთაშორისო სასამართლოების დადგენილებებში (პირველ რიგში ICJ _მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო), საერთაშორისო სამართლის ავტორიტეტულ მკვლევართა (რომელთა მოსაზრებები მხედველობაში მიიღება სასამართლოების მიერ) ნაშრომებში და გაეროს ფარგლებში მომზადებულ სამართლებრივ პროექტებში და ქვეყნების შიდა კანონებში. ერთმნიშვნელოვანი და შესასრულებლად დირექტიული საერთაშორისო სამართლის ნორმა კი, რომელიც განსაზღვრავს და აიძულებს ქვეყნებს აღიარონ მათ ტერიტორიაზე რომელიმე ჯგუფის შიდა-თვითგამორკვევის უფლებით უპირობოდ სარგებლობის უფლება, არ არსებობს და შესაბამისად, ეს უფლება შიდა და საერთაშორისო სასამართლოებში დისპუტის საგნად რჩება, თუმცა არსებობს ყურადსაღები გადაწყვეტილებები, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ და რომელსაც მხედველობაში იღებენ ქვეყნები. ამავე დროს მნიშვნელოვანია დავაზუსტოთ, რომ ჩვენი ნაშრომის მიზანი არ არის დავადგინოთ (როგორც ამას ICJ გააკეთებდა) აქვთ თუ არა უპირობო უფლება ქურთებსა და ასირიელებს ისარგებლონ შიდა

³ Raic, D. (2002). *Statehood and the Law of Self-Determination*. The Hague: Kluwer Law International. pp.219-220

თვითგამორკვევის უფლების პრინციპით, არამედ ჩვენ უნდა გავარკვიოთ ქურთთა და ასირიელთა შიდა-თვითგამორკვევისთვის მიმართულ მოქმედებებს ჰქონდათ ან აქვთ თუ არა შესაბამისობა იმ ცნებასთან, რასაც შიდა-თვითგამორკვევის უფლების აღძვრისათვის საერთაშორისო სამართლის სხვა და სხვა სამართლებრივ აქტებსა და ავტორიტეტულ მკვლევართა ნაშრომებში გაზნეული მოთხოვნების კრიტერიუმების ერთობლიობა გულისხმობს. როგორც აღვნიშნეთ ვრცლად ხსენებულ უფლებას ნაშრომის ძირითად ნაწილში განვიხილავთ, ხოლო შიდა-თვითგამორკვევის უფლების ბენეფიციართა ძირითად კრიტერიუმებს აქ მიმოვიხილავთ. როგორც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო და საერთაშორისო სამართლის მკვლევრები აღნიშნავენ შიდა-თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობა შეიძლება აღედრათ ხალხად კლასიფიცირებულ ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც წარმოადგენენ მკვიდრ მოსახლეობას და უმრავლესობას კონკრეტულ ტერიტორიაზე, არიან დიფერენცირებული სახელმწიფოს სხვა ეთნიკური ჯგუფებისგან ენით, კულტურით, რელიგიით, თავს მოიაზრებენ ხალხად, მათი ლოიალობა ერთმანეთისადმი უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ჯგუფებისადმი, იზიარებენ მსგავს ეკონომიკურ კონდიციებს. ⁴

საერთაშორისო სამართალში თვითგამორკვევის უფლება დეკლარირებულად კი არის აღიარებული, ასევე პრაქტიკული კრიტერიუმებიც უფლებით სარგებლობისთვის ქალაქდზე გაწერილი, მაგრამ როცა საქმე რეალობაში ინაცვლებს და ერთმანეთს ეჯახება ერთის მხრივ ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი და ეროვნული კონსტიტუცია ხოლო მეორე მხრივ ეთნიკური ჯგუფის თვითგამორკვევისთვის სწრაფვით ინსპირირებული აქტივობები (მაგ. კატალონიის შემთხვევა), საერთაშორისო სისტემა უძლურია ერთმნიშვნელოვნად, სამართლებრივი კრიტერიუმების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ თუ რომელი მხარის ინტერესებს დააკმაყოფილებს

⁴ Simma, B., Khan, D. E., Nolte, G., Paulus, A., & Wessendorf, N. (2012). The Charter of the United Nations: A Commentary, Volume I. S. Oeter-ში, *Self-Determination* (გვ. 28-31). Oxford Scholarly Authorities on International Law.

ისე, რომ მეორე მხარეს ლეგალური პრეტენზიები აღარ დარჩეს საკითხთან დაკავშირებით. საერთაშორისო სისტემის აქტორები, სუვერენული სახელმწიფოები ასეთ დროს როგორც წესი მშრალი, სტანდარტული განცხადებებით დემოკრატიული ნორმების დაცვისკენ მოუწოდებენ ცენტრალურ ხელისუფლებებსა და მათთან დისპუტში მყოფ რეგიონების ლიდერებს ან მათი ინტერესების შესაბამისად პოლიტიკურ საფუძვლებზე რომელიმე მხარეს ღიად ან ფარულად მხარს უჭერენ.

სწორედ ეს გარემოება, რომ თვითგამორკვევის და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებისა და უფლების დილემა სამართლებრივად საშუალებას არ იძლევა მკაფიო კრიტერიუმებით იხელმძღვანელონ საერთაშორისო სისტემის აქტორებმა, სუვერულმა ქვეყნებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა (პირველ რიგში გაერომ) ხშირად წარმოქმნის კონფლიქტებს ცენტრალურ ხელისუფლებებსა და თვითგამორკვევისთვის მებრძოლ მხარეებს შორის, ასეთ ვითარებაში კი მეზობელ და მსოფლიოს დომინანტ სახელმწიფოებს სამართლებრივი მიდგომის ნაცვლად ხშირად უწევთ ან აქვთ ცდუნება საკუთარი პოლიტიკური ინტერესების გატარების მოტივზე დაყრდნობით მიიღონ გადაწყვეტილებები იმის შესახებ თუ რა პოზიცია დაიკავონ მათი ინტერესის არეალში განვითარებულ კონფლიქტურ სიტუაციაში და თუ რა ფორმით მოახდინონ ინტერვენცია თუ ეს საჭირო გახდა. ზოგჯერ კი თავად ხსენებული დომინანტი სახელმწიფოები შეიძლება იყვნენ ეთნიკური კონფლიქტების ინსპირატორი მეზობელ თუ შორეულ, მათი ინტერესის სფეროში მოქცეულ რეგიონსა და ქვეყანაში, სარგებლობენ რა ვითარებით, რომელშიც სამართლებრივად საერთაშორისო დონეზე მოქმედების მექანიზმი, რომელიც რეალურად მუშაობს კონფლიქტის პრევენციისა თუ მოგვარებისთვის არ არსებობს ან არასრულყოფილია. ბოლო წინადადების საილუსტრაციოდ შეგვიძლია გავიხსენოთ რუსეთის ფედერაციის როლი სამხ.ოსეთის კონფლიქტში 2008 წელს, როდესაც თბილისთან გეო-პოლიტიკურ დისპუტში მყოფმა მოსკოვმა პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო, ისარგებლა მის მეზობლად არსებული კონფლიქტით და მისი გავლენის მიღმა დარჩენილი

ურჩი ქვეყანა დასაჯა ეჭვის ქვეშ დააყენა რა ამ უკანასკნელის ტერიტორიული მთლიანობა პოლიტიკურ მოტივებზე დაფუძნებით. საერთაშორისო სისტემამ კი ვერც სამხ.ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიანი რეზოლუცია უზრუნველყო და ვერც ომის შემდგომ რუსეთის ქმედებებს აღუდგა წინ აქტიურად.⁵

ახლო აღმოსავლეთის,კერძოდ შუამდინარეთის კონფლიქტები,კერძოდ ჩვენს ფოკუსში მოქცეული ქურთთა და ასირიელთა კონფლიქტი ცენტრალურ ხელისუფლებებთან და დომინანტ ერებთან პერმანენტული და კომპლექსური ხასიათისაა, როგორც მათში ჩართული მხარეების, დიდი და რეგიონულად დომინანტი ქვეყნების ინტერესების თვალსაზრისით, ასევე საკუთრივ კონფლიქტის პირველი რიგის სუბიექტთა, ქურთთა და ასირიელთა მოქმედებების გათვალისწინებით. ამიტომაც მიზანშეწონილია არა მხოლოდ თანამედროვე კონფლიქტების და მათი კერების შესახებ დაწერილ უახლეს ლიტერატურას გავეცნოთ,არამედ ისტორიული ანალებიც ვიკვლიოთ, რათა შესაძლებელი გავხადოთ კონფლიქტების ევოლუცია და განვითარების დინამიკა წარმოვაჩინოთ. როცა ვსაუბრობთ ისტორიულ ანალებზე კონფლიქტის ამჟამინდელი ხასიათის გათვალისწინებით ძირითადად ვკონცენტრირდებით XX ს-ს პირველი მეოთხედში განვითარებულ მოვლენებზე, მაშასადამე კონფლიქტის დღევანდელი სახის საფუძვლების განმსაზღვრელ პერიოდზე და შემდგომ თანამედროვე ვითარებას წარმოვაჩინოთ უახლესი ნარკვევების გაცნობის საშუალებით. ასევე ქვემოთ ვიხილავთ საერთაშორისო ორგანიზაციების მოხსენებებიდან და რეზოლუციებიდან იმ საჭირო პასაჟების ანალიზს და განმარტებებს, რომელსაც მოითხოვს ჩვენი ნაშრომი კვლევის სხვა და სხვა ეტაპზე კონფლიქტის ბუნების გამოსააშკარავებლად. ასევე ემპირიული ცოდნის გაღრმავებისთვის მოვიძიე იმ პერიოდების საერთაშორისო პრესა, როდესაც მწვავედებოდა კონფლიქტის სხვა და სხვა ფაზა . ყოველივე ეს კი დამჭირდა იმისათვის,რომ შემთხვევების შესწავლის საშუალებით ვაჩვენოთ ეთნიკური კონფლიქტების ბუნება იმ სახით, რა სახითაც

⁵ Ellison, B. (2011). Russian grand strategy in the South Ossetia War. *Demokratizatsiya: The journal of post-Soviet democratization*, pp. 343-366.

არსებობენ მათი ხელშემწყობი და ინსპირატორი ფაქტორები. ლიტერატურა, რომლის საშუალებით პირველადი და ძირითადი ცოდნა გავიდრმავე საკითხთან დაკავშირებით არის რამდენიმე ავტორიტეტული მკვლევარის შემოქმედება, მათ შორის განსაკუთრებით წარმომადგენლობითი ინფორმაციის შემცველი არიან ნინა კასპერსენისა(იორკის უნივერსიტეტი) და სხვათა „არაღიარებული ქვეყნები საერთაშორისო სისტემაში“, ⁶ ტონი ალარანტას(საერთაშორისო საქმეთა ფინეთის ინსტიტუტი) „ნაციონალური და სახელმწიფო იდენტობა თურქეთში: რესპუბლიკის სტატუსის ტრანსფორმაცია საერთაშორისო სისტემაში“, ⁷ მირიამ ლანკსოს,ზბიგნევ ბრჟეზინსკისა და სხვათა „ჩეჩნეთის ბრძოლა: დამოუკიდებლობის მოპოვება და დაკარგვა“, ⁸ ჯდევიდ გაუნტის და სხვათა „ნუ დააბრუნებთ მათ: სეიფო – გენოციდი ასირიელ,სირიაკ და ქალდეველ ქრისტიანთა წინააღმდეგ ოტომანთა იმპერიაში“ და ჯონ ბერტონის თეორიული მნიშვნელობით ჩვენი ნაშრომისთვის განსაკუთრებული წიგნი, „კონფლიქტი: ადამიანური საჭიროებების თეორია“. ¹⁰ასევე,ნაშრომის კვლევისას გამოვიყენე თემატური სტატიები,სამეცნიერო პუბლიკაციები და ინფორმაციული სიახლეები.

რაც შეეხება საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას, ჩვენი კვლევის კონტექსტში ყველაზე მეტად მიზანშეწონილი იქნება ლიბერალიზმის პოსტულატებს დავეყრდნოთ,რადგან ქურთებსა და ასირიელებთან დაკავშირებულ კონფლიქტებს ყველაზე მეტად რელავანტურ თეორიულ ჩარჩოებში ის აქცევს. კერძოდ, ლიბერალიზმის თეორია აქცენტს იმაზე აკეთებს,რომ რეგიონში საერთაშორისო ორგანიზაციებს არც თუ ისე დიდი

⁶ Caspersen, N., & Stansfield, G. (2011). *Unrecognized States in the International System*. New York: Routledge.

⁷ Alaranta, T. (2015). *National and State Identity in Turkey*. London: ROWMAN & LITTLEFIELD.

⁸ Akhmadov, I., Lanskoj, M., & Brzezinski, Z. (2010). *THE CHECHEN STRUGGLE INDEPENDENCE WON AND LOST*. New York: Palgrave Macmillan.

⁹ Gaunt, D., Atto, N., & Barthoma, S. O. (2017). *Let Them Not Return – Sayfo – The Genocide against the Assyrian, Syriac and Chaldean Christians in the Ottoman Empire*. New York: Berghahn Books.

¹⁰ Burton, J. (1990). *Conflict: Human Needs Theory*. London: THE MACMILLAN PRESS LTD.

გავლენა აქვთ, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმები უგულვებელყოფილია რეგიონის აქტორთა ნაწილის მიერ, რომ სუსტია და ფაქტობრივად არ არის განვითარებული დემოკრატიები რეგიონში, რომ რეგიონის ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთდამოკიდებულება სუსტია, ეფექტური მმართველობის განხორციელება ხშირად შეუძლებელია, ადამიანის უფლებები და მათ შორის ეთნოსების ხმა საჯარო სივრცეში უგულვებელყოფილია. ყოველივე ეს კი არასტაბილურობისა და კონფლიქტების ხელშემწყობ ფაქტორებად გარდაიქმნება.¹¹

საინტერესო იქნება ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის კერებთან დაკავშირებით საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი თეორიების, რეალიზმის, მარქსიზმის, ასევე ზოგი კრიტიკული თეორიის დამოკიდებულების განხილვა და მათი კრიტიკული ანალიზი. ბუნებრივია, საერთაშორისო ურთიერთობების ყველაზე გავლენიან თეორიას, რეალიზმს ხსენებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით ტრადიციული აზრი ექვს, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო სისტემის სუბიექტთა, მათსადაც სუვერენულ სახელმწიფოთა და მათ შორის, ყველაზე ძლიერთა ინტერესებმა განსაზღვრა არა მხოლოდ ხსენებული რეგიონების კონფლიქტთა ბედი, არამედ თავად ამ რეგიონის სუვერენულ სახელმწიფოთა ბედიც, რადგან ისევე, როგორც მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში შუამდინარეთის და სრულიად ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკის განსაზღვრაში ლომის წვლილს ღებულობდნენ იმ დროინდელი სუპერ-სახელმწიფოები, ბრიტანეთის იმპერიისა და საფრანგეთის სახით, ასევე დღეს რეგიონში ინტერესების ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი დღევანდელი სუპერ და საშუალო, რეგიონული ძალები, კერძოდ, აშშ, რუსეთი, ნაწილობრივ გაერთიანებული სამეფო, ირანი და თურქეთი. ამიტომაც ლევანტის და შუამდინარეთის რეგიონში სუსტი ქვეყნებისთვის, კერძოდ პირველ რიგში სირიისა და ერაყისთვის და მათ გარდა გალფის აუზის არაბულენოვანი

¹¹ Bell, M. (2014 წლის June). Liberal Attitudes and Middle East Realities. *Transatlantic Academy Paper Series*, გვ. 6-9.

ქვეყნებისთვისაც ტონის მიმცემი ზემოხსენებული გლობალური და რეგიონული ძალები არიან. ასევე რეალიზმის აპოლოგეტები მეტწილად თვლიან, რომ ეთნიკურ უმცირესობებს დიდი სახელმწიფოები იყენებენ ახლა აღმოსავლეთში მათი ინტერესების შესაბამისად.¹² ძნელია არ დაეთანხმო ზოგ ასპექტში რეალიზმის თეორიის აპოლოგეტებს, ვინაიდან ვიცით, რომ ერაყის ბედი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა აშშ-ს სამხედრო ინტერვენციამ ამ ქვეყანაში 2003 წელს, ამავე დროს ვხედავთ, რომ დღეს სირიის ხელისუფლების მხარეს აჯანყებულთა წინააღმდეგ სამხედრო გზით ჩართული რუსეთის ფედერაცია განაპირობებს ამ ქვეყნის ამჟამინდელ პოლიტიკურ ხასიათსა და სტატუსს რეგიონში. ასევე გვახსოვს, რომ ახლო აღმოსავლეთში ანტი-ოსმალურ როგორც არაბულ, ასევე იმპერიის სხვა ეთნიკურ უმცირესობათა აჯანყებებში საუკუნის წინ წამყვანი როლი ჰქონდა ბრიტანეთს, მაგრამ ეს მაინც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ დავასკვნათ, თითქოს გარე ძალებმა დაგვეგმეს რეგიონში ყველაფერი. იქნებ მათ მხოლოდ უკვე არსებულ დაძაბულობებზე მანიპულირება სცადეს? განა სუპერ სახელმწიფოებმა აგრძნობინეს თავი ეთნიკურ უმცირესობებს რეგიონის საერთაშორისო სუბიექტთა, მამასადამე სუვერენულ სახელმწიფოთა მხრიდან შევიწროებულად? განა სუპერ-სახელმწიფოებმა განაცდევინეს ამ რეგიონებში ეთნიკურ უმცირესობებს ტიტულარული ერებისგან ეთნიკური იდენტობის ნიშნებით დისკრიმინირებულობა? განა ინგლისური ენის და ტრადიციული კულტურის დაცვას ითხოვდნენ ქურთი აჯანყებულები მეოცე საუკუნის განმავლობაში თურქეთში, ერაყსა და ირანში? ცხადია, ამ რიტორიკულ კითხვებზე პასუხი ბანალურია, ქურთებიც და ასირიელებიც საკუთარმა ფუნდამენტური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობამ აიძულეს კონფლიქტში შესულიყვნენ ცენტრალურ ხელისუფლებებთან მაშინ, როცა ამის საშუალება მიეცათ. მართალია, ისინი საერთაშორისო სისტემის სუბიექტნი არ არიან და რეალიზმისა და ნეო-რეალიზმის თეორიის ფარგლებში აქტორებად არც ან მინიმალურად განიხილებიან, მაგრამ როგორც კვლევა ქვემოთ გვიჩვენებს რატომღაც სწორედ

¹² Hinnebusch, R. (2003). *The international politics of the Middle East*. Manchester: Manchester University Press. pp.4-6

ისინი, არასუვერენული აქტორები აღმოჩნდნენ რეგიონში არასტაბილურობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მეოცე საუკუნის დასაწყისიდან დღემდე.

მარქსიზმი რა თქმა უნდა განვითარებული სამყაროსგან განვითარებადის ექსპლუატაციის კვალს პულობს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებში.¹³ მიუხედავად იმისა, რომ ნავთობი ამ რეგიონში მართლაც მნიშვნელოვანი ფაქტორია დიდი სახელმწიფოების ინტერესების მოსაზიდად, ეს მაინც ვერ ახსნის როგორც წინა ორ შემთხვევაში, ეთნიკური კონფლიქტების ეთნიკური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობით გამოწვეულ შეხლა-შემოხლას ცენტრსა და პერიპერიებს შორის.

ფემინიზმი, ცხადია, ტრადიციულად მასკულინური კულტურის კვალს ხედავს ახლო აღმოსავლეთის რეგიონის კონფლიქტებში და ხაზს უსვამს, რომ ქალის როლი სათანადოდ წარმოჩენილი არ არის რეგიონის პოლიტიკურ პროცესებში.¹⁴ ეს თვალდახედვაც ასევე ტრადიციულად ძნელად გადასამოწმებელია იმ მარტივი მიზეზით, რომ მხოლოდ ქალთა მიერ დასახლებული გეოგრაფიული არეალი დედამიწაზე არ არსებობს და არც მხოლოდ ფემინისტურად მსოფლმხედველი საზოგადოება.

¹³ Chediac, J. (2011, October 30). *WORKERS WORLD*. Retrieved from WORKERS WORLD: https://www.workers.org/2011/world/jchediac_1103/

¹⁴ Sanches, S. (2014). Disempowering Feminism in the Middle East: how the polarization of Islam and Feminism. *Annual Human Rights Conference* (გვ. 2-6). Nottingham: Mind the Gender Gap.

თავი 1. ქურთთა და ასირიელთა საკითხი

1.1 ქურთთა საკითხი თურქეთში

ქურთები ისევე, როგორც სხვა ეთნიკური ჯგუფები თურქეთში მოკლებულნი არიან ეთნიკური იდენტობის სრულფასოვან გამოხატვას. თურქეთის პოლიტიკა უკვე ერთი საუკუნეა ცდილობს ეთნიკური ჰომოგენიზაციის უზრუნველყოფას ქვეყანაში და ეს პოლიტიკა სათავეს მუსტაფა ქემალ ათათურქის იდეებიდან იღებს, რომლის მიხედვით თურქეთი ხელოვნურად უნდა გამხდარიყო ერთ-სახელმწიფო და სეკულარული იდეალების გამზიარებელი ქვეყანა. ბოლო დრომდე ხსენებულმა ჰომოგენიზაციის პოლიტიკამ უმნიშვნელო ცვლილებები განიცადა, მაგალითად, მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში კანონით იყო აკრძალული საჯარო სივრცეებში ქურთული და სხვა ეთნიკური უმცირესობების ენების გამოყენება და მხოლოდ და მხოლოდ 2013 წელს გახდა თურქულ სახელმწიფოში შესაძლებელი და ისიც გარედან, ევრო-კავშირის ზეწოლით, რომ ქურთული ენის გაკვეთილები სკოლებში არჩევით საგნად შესულიყო. ეთნიკური რეპრესიის ამგვარი მასშტაბი ძნელად მოსაძიებელია მსოფლიო პრაქტიკიდან – ენობრივი უფლებები ბევრ ქვეყანაში არ არის გარანტირებული ეთნოსებისთვის, მაგრამ ენის კანონით აკრძალვა იშვიათობას წარმოადგენს – და შესაბამისად, მხოლოდ ამ ფაქტიდან შესაძლებელია წარმოადგენა შეექმნას მკითხველს თუ რამდენად იყო და არის დაცული თურქეთში სხვა ეთნიკური უფლებები, მაგრამ ჩვენ ყველა ძირითად უფლებრივ ასპექტს ცალ-ცალკე შევხებით იმისათვის, რომ ნათლად წარმოვაჩინოთ ქურთების პრობლემები თურქეთში და თურქეთის პრობლემები ქურთებთან მიმართებაში.¹⁵

მეოცე საუკუნის დასასწყისში ქურთები განსხვავებით მათი მეზობელი სომხებისა და ასირიელებისაგან რელიგიური მოტივებით თურქეთის მიმართ

¹⁵ Stansfield, G., & Shareef, M. (2017). *The Kurdish Question Revisited*. Oxford: Oxford University Press.

უფრო მაღალ ლოილობას ავლენდნენ, ვიდრე ეთნიკური უფლებების თვალსაზრისით მათივე „სტრატის“ წევრი სომხებისა და ასირიელების მიმართ, მეტიც, რიგ შემთხვევებში ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ და თურქთა მხარესაც კი იბრძოდნენ. ვითარება მას შემდეგ შეიცვალა, რაც ქურთებმა თურქული ჰომოგენიზაციისა და ეთნოსთა ასიმილირების პოლიტიკა საკუთარ ტყავზე გამოსცადეს და როდესაც მათ ეთნიკურ მოთხოვნილებებს თურქებთან რელიგიური კავშირმა ვერაფრით არგო. ქურთები 1930-31 წელს აჯანყდნენ კიდევ თურქეთში, მაგრამ უკვე მოძლიერებულმა თურქულმა სახელმწიფომ ადვილად ჩაახშო პროტესტი. მთელი მეოცე საუკუნის მანძილზე თურქულ-ქურთულ მილიტარულ შეტაკებებს ადგილი ქონდა ეთნიკური ქურთისტანის მთიან რეგიონებში სამხ.თურქეთში, არაერთხელ აღმოჩნდა ქურთული დასახლებები გადაწვის ობიექტი, ქურთი ეთნოსის სხვა და სხვა ნაწილი კი გადასახლებული ცენტრალურ ანატოლიაში ისტორიული მიდამოდან.¹⁶

ქურთების კიდევ პრობლემას თურქეთში განაპირობებს ის ფაქტი, რომ თურქეთის სახელმწიფოში ქურთულ საკითხებზე ორიენტირებული პარტიები ხელისუფლების მხრიდან იდევენობდნენ და ნაწილობრივ ახლაც იდევენებიან განურჩევლად იმისა ეს პარტიები სამოქალაქო, მშვიდობიან საწყისებზე ოპერირებენ მათ ამომრჩეველთან თუ ძალადობრივი წინააღმდეგობის გაწევისკენ მოუწოდებენ ხალხს. ქურთული ორგანიზაციები საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებით და ადამიანის უფლებებისთვის თანამედროვე ყაიდის ბრძოლის მეთოდებით ასპარეზზე განსაკუთრებით 1980-90-იან წლებიდან გამოდიან. თუმცა მათ დიდი წინააღმდეგობა ხვდებათ და უმეტესი მათგანი დევნის ობიექტიც ხდება. ასეთი იყო მაგალითად 1990 წელს ჩამოყალიბებული კომუნისტური პარტია, რომელიც 1991 წელს უკვე აიკრძალა. ასევე აიკრძალა 1988 წელს შექმნილი სოციალისტური პარტია კონსტიტუციური სასამართლოს მიერ 1992 წელს. ასეთივე ბედი ეწიათ მრავალ სხვა ქურთულ საკითხებზე ორიენტირებულ პარტიებს თუ საზოგადოებრივ მოძრაობებს. ყველაზე მეტად

¹⁶ Unwer, A. (2015). *Turkey's Kurdish Question* . New York: Routledge.

ხელშესახებ შედეგს პრო-ქურთულ პარტიებს შორის მიაღწია ხალხის დემოკრატიულმა პარტიამ (HDP – Halkların Demokratik Partisi), როცა მან მოულოდნელად ხმების 13% მოიპოვა არჩევნებში 2015 წელს და გადალახა მსოფლიოში ყველაზე მაღალი საარჩევნო ბარიერი, რომელიც თურქეთში განსაზღვრულია 10%-ით. ხალხის დემოკრატიული პარტია მართალია ითვლება, რომ პრო-ქურთულია, თუმცა მისი გზავნილები ამომრჩევლისადმე მხოლოდ ქურთული საკითხების გარშემო არ კონცენტრირდება. ასევე ხსენებული პარტია გამოირჩევა პოლიტიკური ბრძოლის ცივილური მეთოდებით, თუმცა მიუხედავად ამისა, როცა ყოველივე ამას ვწერ მიმდინარეობს მათი დევნა თურქეთში, დაკავებულნი არიან პარტიის პოლიტიკური ლიდერები და სავარაუდოდ, საკონსტიტუციო სასამართლო მათაც აკრძალვას ახლო მომავალში, როგორც ეს სხვა პრო-ქურთული პარტიების შემთხვევაში მოხდა.

ბრძოლის სხვა გზას მიმართავს ამჟამად გასამხედროებული პარტია PKK, ცნობილი როგორც ქურთთა მუშათა პარტია. ეს ორგანიზაცია სახელმწიფოს მიერ ტერორისტულ ორგანიზაციადაა მიჩნეული, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი თავდასხმის ობიექტი მხოლოდ სახელმწიფოს მილიტარიზებული ორგანიზაციები არიან, რომლებსაც ძირითადად მაშინ ესხმიან თავს, როცა მათ ქმედებებზე ქურთულ რეგიონებში პასუხის გაცემა უწევთ, მაგალითად ისეთ ქმედებებზე, როგორცაა ქურთული სოფლების გადაწვა, რაც არაერთხელ დაუგეგმავთ და სისრულეში მოუყვანიათ სახელმწიფოს მილიტარიზებულ ერთეულებს. 1984-94 წლებში PKK და თურქული სახელმწიფო ღია ომში იყვნენ ჩართული, რასაც შედეგად მოყვა ქვეყნის სამხრეთ ნაწილიდან ქურთული მოსახლეობის ნაწილის იძულებით გადასახლება დიდ ქალაქებში, ცენტრალურ ანატოლიაში და სხვა ურბანულ დასახლებებში. დიდი ნაწილი იძულებული გახდა საერთოდ დაეტოვებინა ქვეყანა და ევროპაში გადასახლებულიყო. დღემდე ხშირი მოვლენაა ქურთი ჟურნალისტების მკვლელობები, ე.წ საიდუმლო მკვლელობები და ქურთული წარმოშობის ადამიანების გაუჩინარებები.¹⁷

¹⁷ Unwer, A. (2015). *Turkey's Kurdish Question*. New York: Routledge. pp.42-62

მიუხედავად ზემოთ მოხსენებული დამოკიდებულებებისა, თურქეთის სახელმწიფოს მხრიდან ბოლო წლებში და უფრო ზუსტად თვეებში შეინიშნება, რომ ცენტრმა გააცნობიერა, მილიტარულ საწყისებზე ქვეყნის შიგნით ქურთებთან ბრძოლა ქვეყანას უფრო მეტ პრობლემებს შეუქმნის და ამიტომაც დღეს უფრო მეტად სამშვიდობო ინიციატივებია აქტუალური თურქულ ქურთულ ურთიერთობებში, თავის მხრივ ქურთებიც ნაკლებად რადიკალური გახდნენ და მათი დღის წესრიგი დაკავშირებულია ქვეყნის შიგნით ავტონომიური უფლებების უზრუნველყოფასთან, მათთან დაკავშირებულია თვითგამორკვევის პრაქტიკაში განხორციელებასთან.¹⁸

1.2 ქურთთა საკითხი ერაყში

გარდა თურქეთისა, ქურთები დისკრიმინირებულნი იყვნენ და ნაწილობრივ ახლაც არიან ერაყში, სადაც ასევე განიცდიდნენ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან დევნას, განსაკუთრებით სადამ ჰუსეინის ერაყში. თუმცა ამერიკული ინტერვენციის შემდეგ ამ უკანასკნელის მოკავშირე ქურთებს ერაყში საშუალება მიეცათ ავტონომიური მმართველობა ჩამოეყალიბებინათ ე.წ. ერაყის ქურთისტანში. ახალმა პრობლემებმა თავი იჩინა 2010-იან წლებში, როცა ასპარეზზე გამოჩნდა ე.წ. ისლამური ხალიფატის ტერორისტული ორგანიზაცია ლევანტისა და შუამდინარეთის რეგიონში. ამ ორგანიზაციის სამიზნეთა შორის ქურთებიც მოხვდნენ და პირველ ეტაპზე დიდი ფიზიკური და მატერიალური ზიანიც მიაყენეს, თუმცა მოგვანებით აშშ-ს მხრიდან მხარდაჭერილმა ქურთებმა ორგანიზება შეძლეს და „ისის-ს“ წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლაც იმდენად, რომ

¹⁸ Stansfield, G., & Shareef, M. (2017). *The Kurdish Question Revisited*. Oxford: Oxford University Press. p.209

დღეისათვის ხსენებული ტერორისტული ორგანიზაციის დამარცხებაში ხალიფატის ჩრდილოეთ საზღვრებთან ლომის წვლილი ქურთებმა შეიტანეს. ქურთებს დღეისათვის ერაყში ავტონომიური მმართველობა აქვთ და გასულ თვეებში სრული დამოუკიდებლობისთვისაც ემზადებოდნენ, თუმცა ცენტრალური ხელისუფლების და მათი მხარდამჭერი ირანული დანაყოფების მეზობლებთან შეტაკებებში ნავთობით მდიდარი კირქუქის რეგიონის დათმობა მოუწიათ, დარჩენილი სადავო ტერიტორიების ნაწილზე კი დე-ფაქტო დღესაც ახორციელებელ სუვერენულ მმართველობას, ნაწილზე კი დე-იურედ ერაყის კონსტიტუციის ფარგლებში და ამჟამად ცენტრალურ ხელისუფლებასთან სწორედ კონსტიტუციურ ფარგლებში აწარმოებენ მოლაპარაკებას ქვეყნის შიგნით უფლებამოსილების განაწილების საკითხებთან დაკავშირებით.¹⁹

ქურთების ისტორიული განსახლების ქვეყნებს შორის ერაყი ყველაზე ნაკლებად ხისტი პოზიციით გამოირჩეოდა და გამოირჩევა ქურთების მიმართ, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქურთების ეთნიკური უფლებები ამ ქვეყანაში დაცული იყო, ჯერ კიდევ საუკუნის წინ, კონკრეტულად მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში ქურთები არაერთხელ გახდნენ ასირიელებთან ერთად ფიზიკური განადგურების მსხვერპლნი სახელმწიფოს მხრიდან, მეოცე საუკუნის მიწურულს კი იმდენად მოწყვეტილნი იყვნენ სახელმწიფო სერვისებზე წვდომას, რომ ნახევრად ტრაიბალურ პირობებში ცხოვრობდნენ და ასევე სადამ ჰუსეინის რეჟიმის მხრიდან ფიზიკურად იდევენებოდნენ, თუმცა უნდა ითქვას, რომ ერაყი აღმოჩნდა ქვეყანა, სადაც ქურთებს ჯერ კიდევ 1970-იანი წლებიდან ჰქონდათ საშუალება მათ პოლიტიკურ სტატუსზე ცენტრალურ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები ეწარმოებინათ, თუმცა ამ მხრივ რეალურ წარმატებას მხოლოდ ერაყის ამერიკული ინტერვენციის და სადამის რეჟიმის დამხობის შემდეგ მიაღწიეს.

¹⁹ Jawad, S. N. (2010, September 30). The Kurdish question in Iraq: historical background and future. pp.37-41

დღეისათვის ქურთებს ერაყის ქურთისთანის რესპუბლიკის სახით რეალური ავტონომიურ თვითმმართველობაზე მიუწვდებათ ხელი და როგორც აღვნიშნეთ, უფლებამოსილების გადანაწილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცენტრალურ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების წარმოების საშუალება აქვთ. ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ შიდა-თვითგამორკვევის პრაქტიკული განხორციელებისთვის ქურთულ პოლიტიკურ მოძრაობებს ერაყში მიღწეული აქვთ, თუმცა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები მათ გამოწვევად რჩება, ვინაიდან მილიტარულ ყაიდაზე უწევთ დღის წესრიგის განსაზღვრა ერაყში შექმნილი არასტაბილური ვითარების გამო, რომელიც უკავშირდება ქვეყნის შიდა სექტარიანულ დაპირისპირებებს სუნიტ და შიიტ მოსახლეობას შორის.²⁰

1.3 ქურთთა საკითხი სირიაში და ირანში

ქურთები სირიაში რიცხობრივად ყველაზე ნაკლებად არიან წარმოდგენილი მათი ისტორიული განსახლების დანარჩენ სამ ქვეყანასთან, თურქეთთან, ერაყთან და ირანთან შედარებით. მათი ბედი არც სირიაში ყოფილა და არის სანატრელი რომელიმე ეთნოსისათვის. განსაკუთრებით რთული დრო სირიაში ქურთებმა ბაასისტური რეჟიმის დროს განვლეს. სირიის სახელმწიფო, ისევე, როგორც მისი მეზობელი ერაყი მუდმივად ცდილობდა ქურთები ემართა, როგორც დაქვემდებარებული და უუფლებო ხალხი. ქურთებს არც სირიაში მიუწვდებოდათ ხელი სახელმწიფო სერვისებზე ისე, როგორც ქვეყნის სხვა მოქალაქეებს, მათი ენა აქაც რეპრესირებული იყო და თვითმმართველობა აქაც ხელმიუწვდომელი. ქურთებიც ყველაზე ნაკლები რეზისტენტულობით სწორედ

²⁰ Stansfield, G., & Shareef, M. (2017). *The Kurdish Question Revisited*. Oxford: Oxford University Press. pp.355-463

სირიაში გამოირჩეოდნენ, შეიძლება ითქვას ისინი შეგუებულნი იყვნენ ბედს, მაგრამ ეს მხოლოდ რეგიონში ისლამური სახელმწიფოს გამოჩენამდე. როგორც უკვე ვიცით ისლამური სახელმწიფოს ერთერთი პირველი თავდასხმის ობიექტნი ქურთები აღმოჩნდნენ, ამ მხრივ გამონაკლისი არ ყოფილა არც სირიის ტერიტორია, ქურთებმა აქაც დიდი მატერიალური და ფიზიკური ზარალი განიცადეს ხსენებული კვაზი-სახელმწიფოს თავდასხმებისგან და როგორც ერაყში, სახელმწიფომ აქაც ვერ დაიცვა და ვერ უზრუნველყო ქურთები უსაფრთხოებით. თუმცა ქურთებმა თავად შეძლეს საჯარისო ფორმირებების ჩამოყალიბება და განსაკუთრებით გმირული ბრძოლები ქობანთან გამართეს ისლამურ სახელმწიფოსთან. საჯარისო ფორმირებების ჩამოყალიბებას და ბრძოლებში მიღწეულ წარმატებას შედეგად მოჰყვა ის, რომ ქურთებმა სირიაში დე-ფაქტო პოლიტიკური კონტროლი დაამყარეს მათი განსახლების არეალზე ჩრდ. სირიაში და არა მხოლოდ მათი განსახლების არეალზე, არამედ ევფრატის ნაპირებამდე ტერიტორიას ისინი აკონტროლებენ დღესაც – ეს კი ქურთების ხელში აქცევს მათ მიერ ომამდე დასახლებული ტერიტორიის ფართობით სამჯერ მეტ ნაწილს სირიაში. ქურთებმა სირიაში დე-ფაქტო ავტონომიური ერთეული „როჟავა“ შექმნეს და დღეს ასადის მთავრობასთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს მათ მიერ ბრძოლით მოპოვებული ავტონომიის დე-იურედ გარანტირებისათვის. ქურთები სირიაში ახლო აღმოსავლეთის ყველაზე მეტად პროგრესულ და დემოკრატიულ იდეალებზე დაფუძნებულ პოლიტიკურ კულტურას იზიარებენ ისრაელის შემდეგ და საერთაშორისო მხარდაჭერითაც სარგებლობენ, განსაკუთრებით აშშ-ს და ჩრდილო ევროპული ქვეყნების მხრიდან. ასე, რომ მათი ბრძოლა თვითგამორკვევისთვის ბუნებრივად, მთავრობასთან სერიოზულ კონფრონტაციაში შესვლის გარეშე განვითარდა სირიაში და გამოდიან რა ბუნებრივ მოკავშირედ ცენტრალურ ხელისუფლებასთან – რომელიც ქურთების მსგავსად ებრძოდა და ებრძვის ისლამური სახელმწიფოს და აჯანყებული ოპოზიციის შეიარაღებულ ფორმირებებს – საფიქრებელია, რომ ქურთები

შეძლებენ ცენტრთან ეფექტური შეთანხმების მიღწევას თვითმმართველობის საკითხებთან დაკავშირებით.²¹

რაც შეეხება ქურთებს ირანში, მათ აქ ყველაზე ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ავტონომიურ უფლებებზე. პარადოქსია, მაგრამ მიუხედევად მათი ამ ქვეყნის დომინანტ ეთნოსთან, სპარსელებთან ეთნიკურად ნათესაობისა და ისტორიული დაკავშირებულობისა, ქურთები, როგორც ეთნოსი სულაც არ განიცდიან რეგიონის სხვა ქვეყნებთან შეთარებით შემწყნარებლურ დამოკიდებულებას ირანში. პირიქით, ირანის გაცხადებული მიზანია ქურთების ასიმილირება. ირანელების დამოკიდებულება ქურთების მიმართ მტრული არ არის, პირიქით ირანულ კულტურულ ეთოსში მიიჩნევა, რომ სპარსელების მსგავსად არიელი ქურთები ირანის სახელმწიფოს ერთერთი ბოძს ქმნიან, ასევე ირანელი პოლიტიკოსები და საჯარო ფიგურები ქურთებით დასახლებულ რეგიონებში ვიზიტისას მუდმივად ხაზს უსვამენ, რომ არავის აქვს უფლება ირანში ჩაითვალოს უფრო მეტად ირანელად, ვიდრე ქურთებს. თუმცა ამ დამოკიდებულებებში ცხადია, სახელმწიფოს შიში იკითხება ქურთული ნაციონალიზმის მიმართ. ირანში ქურთული ენა დღემდე არ არის ლეგალურად აღიარებული და მისი გამოყენება სხვა და სხვა საქოლაქო სერვისებში ხელმიუწვდომელია. ავტონომიურ უფლებებზე საუბარი კი ქურთებისთვის ირანში ფუჭი ოცნების სფეროდ სჩანს. თუმცა კი ერთ დროს სწორედ აქ მიაღწიეს ქურთებმა თვითგამორკვევის ყველაზე მაღალ ხარისხს და მაჰაბადის რესპუბლიკა შექმნეს – ამ აქტივობის საბოლოო შედეგი ის იყო, რომ ხსენებული რესპუბლიკის შემქნელები დაიხვრიტნენ ან ქვეყნიდან ემიგრირდნენ გასული საუკუნის პირველ ნახევარში. დღეს ქურთები ირანში ერთერთ ყველაზე მეტად რეპრესირებულ ჯგუფს წარმოადგენენ ბალოჩების შემდეგ და არც პერსპექტივა ჩანს მათი პოლიტიკური წარმომადგენლობითობის უზრუნველყოფის გზაზე.²²

²¹ Sabio, O. (2014). *Rojava: An Alternative to Imperialism, Nationalism, and Islamism in the Middle East*. Creative Commons Attribution 2.0.

²² Bayat, K. (2014, may June). Iran and the "Kurdish Question". *Middle East Report*, pp. 28-35.

1.4 ასირიელთა საკითხი

ტერმინი ასირიელები ხშირად გამაერთიანებელ სახელწოდებად განიხილება იმ ეთნო-რელიგიური ერთმანეთთან დაკავშირებული ჯგუფებისთვის, რომელთაც სხვაგან შეიძლება შევხვდეთ სირიაკების, ასირო-ქალდეელების ან ქალდო-ასირიელების, ათურაის და თუროიოს, ნესტორიანელების, არამეელების და ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანების სახელებით. ჩვენც ყველა ამ ეთნო-რელიგიური სუბ-ჯგუფის გამაერთიანებელ სახელს, ასირიელს გამოვიყენებთ ნაშრომში. ასირიელები მსოფლიოს ერთერთი პირველი თუ პირველი არა, ცივილიზებული ხალხის, ქართულ ისტორიულ წყაროებში ასურელების სახელით ცნობილი, ანტიკური წარმოშობის ეთნოსს წარმოადგენენ ჩრდილო შუამდინარეთიდან. მათი სალაპარაკო მშობლიური ენა დღეს არის თანამედროვე ნეო-არამეული, ხოლო განსახლების არეალი უკიდურესი ჩრდილოეთ ერაყი და ჩრდილო-აღმოსავლეთ სირია, ასევე წარმოდგენილნი არიან მოზრდილი დიასპორით აშშ-ში, დასავლეთ ევროპაში და ავსტრალიაში. მთლიანობაში მათი რაოდენობა სამ მილიონამდეა, ხოლო წარმოშობის რეგიონში სამასი ათასამდე რაოდენობით დარჩნენ, ვინაიდან რეგიონის კონფლიქტებმა და გენოციდმა როგორც საუკუნის წინ, ასევე ბოლო ათწლეულში აიძულათ დაეტოვებინათ სამშობლო.

პირველმა მსოფლიო ომმა დრამატულად შეცვალა ასირიული საზოგადოება. ასირიელი ერის ნახევარი შეიწირა ომთან დაკავშირებულმა მოვლენებმა. ეს ტრაგიკული პროცესები ასირიელთა მხრიდან შეფასებულია, როგორც გენოციდი და მას სწორედ ასე განიხილავს ბევრი მკვლევარი, ასევე ზოგი დასავლური სახელმწიფო. მაგ.გერმანია. გენოციდის თემას ასირიელები მთავარ არგუმენტად ასახელებენ იმის დასასაბუთებლად თუ რატომ ეკუთვნით მათ ავტონომიური ან დამოუკიდებელი ასირიული სახელმწიფო. 1915 წელს ასირიელებმა პირველი ნაციონალური პროექტი წარმოადგინეს, რომელიც ითვალისწინებდა ახალი ასირიის შექმნას, რომელიც იქნებოდა მულტი-ეთნიკური და ეს ალბათ უტოპიური პროექტი ტერიტორიულად მოიცავდა თითქმის მთელ

შუამდინარეთს, ასევე ურმიის, ვანის და ალეპოს რეგიონებს. 1917 წელს ასირიელებმა შედარებით რეალისტური ნაციონალური სახელმწიფოს პროექტი წარმოადგინეს, რომელიც უნდა ყოფილიყო მეტ-ნაკლებად ეთნიკურად ჰომოგენური და მოიცავდა ურმიის, მოსულის და ჩრდილოეთ მესოპოტამიის რეგიონებს, შესაბამისად იმჟამინდელი ირანისა და ოტომანთა იმპერიის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიას. ასირიელებმა ამ პერიოდში იმდენი შეძლეს, რომ ალა პეტროსის, ასირიელი სამხედრო ლიდერის მეშვეობით ლოზანის კონფერენციაზეც კი 1922-1923 წლებში წარმოადგინეს სხვა და სხვა ტერიტორიული ვარიანტები ასირიული ავტონომიური ერთეულის შექმნასთან დაკავშირებით. საბოლოოდ ასირიელთა ძალისხმევა უშედეგო გამოდგა და საერთაშორისო სისტემამ ამ უძველეს, თვითმყოფად და მაღალი კულტურის ერს საშუალება არ მისცა თვითგამორკვევისთვის მაშინ, როცა ამავე პერიოდში ასირიელთა მიწებზე და მის მეზობლად გაივლო რამდენიმე, მომავალში დამოუკიდებლობისთვის მოსამზადებელი არაბულენოვანი სახელმწიფოს სახელმწიფოს საზღვარი, ბრიტანეთისა და საფრანგეთის მიერ. მეტიც, თავიდან ბრიტანელების მიერ მხარდაჭერილი ასირიული ჯგუფები თურქეთის პირისპირ საბოლოოდ დაუცველნი აღმოჩნდნენ და ამ უკანასკნელის მიერ რისხვის ობიექტნი გახდნენ, რამაც საბოლოოდ ასირიელთა გენოციდის სახე მიიღო.²³

მას შემდეგ, რაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ასირიელებმა კიდევ არაერთხელ გამოსცადეს ეთნიკური დევნა და ეთნოციდის სხვა და სხვა ფორმა, 2010-იან წლებში ერაყის ხელისუფლება თითქმის მზად იყო შეექმნა ნინევიის პლატოს ფარგლებში ასირიელთა ავტონომიური ერთეული, თუმცა რეგიონში ახალი ბრუტალური ძალის ე.წ ისლამური სახელმწიფოს გამოჩენამ კიდევ ერთხელ დააყენა ასირიელთა ბედი კითხვის ნიშნის ქვეშ ვინაიდან ერთის მხრივ აღმოჩნდა ტერორისტული კვაზი-სახელმწიფოს თავდასხმის ობიექტი და ამავე

²³ YACOUB, J. (2016). *Year of the Sword _ The Assyrian Christian Genocide, A History*. New York: Oxford University Press.

დროს ერაცის ხელისუფლებამ – რომელიც ასირიელების მეზობლად და ამავე დროს ნაწილობრივ ასირიელთა მიწებზე ერაცის ქურთისტანის სეცესიონისტურმა პოლიტიკამ დააფრთხო – გადაიფიქრა ასირიელთათვის ავტონომიური უფლებების მინიჭება. დღეისათვის კი რეგიონში განვითარებული პროცესების გათვალისწინებით ასირიელები კიდევ ერთხელ დგანან ეთნიკური გაქრობის საფრთხის წინაშე. საერთაშორისო სისტემა კი ამჯერადაც უძლურია დაეხმაროს ასირიელებს თვითგამორკვევის გაეროს მიერ აღიარებული უფლების უზრუნველყოფაში თუნდაც შიდა თვითგამორკვევის ფორმით, ამიტომაც ასირიელებს მხოლოდ და მხოლოდ შეზღუდული საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების ამარას უწევს კონფლიქტში ყოფნა რეგიონის ყველა ძალასთან, მათ შორის ზოგჯერ თავად დისკრიმინირებულ ქურთულ მხარესთან.²⁴

²⁴ Gaunt, D., Atto, N., & Barthoma, S. O. (2017). *Let Them Not Return – Sayfo – The Genocide against the Assyrian, Syriac and Chaldean Christians in the Ottoman Empire*. New York: Berghahn Books.

თავი 2. ეთნიკური შიდა თვითგამორკვევა და ეთნიკური უფლებები

2.1 ეთნიკური თვითგამორკვევის პრინციპი

გაეროს წესდების თანახმად ყველა ხალხს აქვს უფლება თვითგამორკვევის და ისარგებლებენ რა ამ უფლებით, ასევე აქვთ უფლება თავისუფლად განსაზღვრონ და უზრუნველყონ თავიანთი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება. თუმცა იმისთვის, რომ ამ უფლებით ისარგებლონ აუცილებელი პირობაა უფლებით სარგებლობის სურვილის მქონეთ შეეძლოთ კვალიფიცირდნენ, როგორც ხალხი. ამისთვის კი ისინი რამდენიმე პირობას უნდა აკმაყოფილებდნენ.

ხალხის, როგორც ტერმინის ერთერთი, ყველაზე მეტად ცნობილი დეფინიცია ეკუთვნის გერმანელ იურისტს დიტრიხ მურსვიკს, რომლის მიხედვით ადამიანთა ჯგუფი, რომელმაც შეიძლება ისარგებლოს თვითგამორკვევის უფლებით უნდა ცხოვრობდეს მკაფიოდ განსაზღვრულ ტერიტორიაზე, სადაც ის უნდა წარმოადგენდეს უმრავლესობას, საუბრობდეს საკუთარ ენაზე, შეეძლოს საკუთარი კულტურის განვითარება და ტრადიციის კულტივირება ან რელიგიის პრაქტიკაში განხორციელება.

იუნესკოს 1989 წლის საერთაშორისო შეხვედრის შემდეგ კი საკითხის ექსპერტებისგან ხალხი განისაზღვრა, როგორც ადამიანთა ჯგუფი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მახასიათებლებს ერთობლივად ან რომელიმე მათგანს მაინც:

- ა) საერთო ისტორიული ტრადიცია
- ბ) რასობრივი ან ეთნიკური იდენტობა

გ)კულტურული ჰომოგენურობა

დ)ლინგვისტური ერთიანობა

ე)რელიგიური ან იდეოლოგიური მიკუთვნებულობა

ვ)ტერიტორიული კავშირი ერთმანეთთან

ზ)საერთო

ეკონომიკური

კავშირები

გარდა იმისა,რომ თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობისთვის აუცილებელია ხალხად კვალიფიცირება, ასევე მნიშვნელოვანია დაკმაყოფილდეს შიდა ან გარე თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობის კრიტერიუმები. გარე თვითგამორკვევა გულისხმობს, რომ ხალხი სრულიად სუვერენული ხდება და ქმნის ან აღადგენს სრულად დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ამგვარი უფლებით სარგებლობა უპირობოდ, მხოლოდ კოლონიზირებული ქვეყნებისთვის იყო განსაზღვრული და ძირითადადაც სწორედ მათ ისარგებლეს.

შიდა თვითგამორკვევის შემთხვევაში ხალხი ცდილობს არსებული სახელმწიფოს შიგნით განსაზღვროს და დაიცვას საკუთარი თვითმყოფადობა, განსაზღვროს მშობლიური ენის სტატუსი, ავტონომიური უფლებები და სხვა მსგავსი. ასეთი თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობის უფლება აქვთ ხალხს, რომელნიც არსებულ მოცემულობებში დისკრიმინირებული არიან, არ ეძლევათ საკუთარი ენით სარგებლობის შესაძლებლობა, იდევნებიან რელიგიურ საფუძველზე ან რაიმე სხვა ეთნიკური ნიშნით. ხოლო გარე თვითგამორკვევის უფლებით სარგებლობის უფლება აქვთ ხალხს, რომელნიც ოკუპირებულნი არიან ან სახელმწიფოს შექმნის მომენტში იძულებით მოხდა მათი ინკორპორირება არასასურველ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნში.²⁵

²⁵ Cristescu, A. (1981). *THE RIGHT TO SELF-DETERMINATION _ HISTORICAL AND CURRENT DEVELOPMENT ON THE BASIS OF UNITED NATIONS INSTRUMENTS*. New York: UNITED NATIONS.pp.46-50

2.2 ქურთთა და ასირიელთა ბრძოლის თავსებადობა შიდა თვითგამორკვევის პრინციპთან

როგორც წინა თავებიდან შევითყვეთ ქურთები და ასირიელები წარმოადგენენ მკვიდრ მოსახლეობას შუამდინარეთში, მეტყველებენ მეზობლებისგან დიფერენცირებულ ენაზე, მეტწილად აქვთ განსახლების საერთო ტერიტორია(ირანის ხორასანის პროვინციის ქურთების გარდა, რომლებიც გვიან შუა საუკუნეებში ტყვეთა სყიდვის პრაქტიკის კვალდაკვალ აღმოჩნდნენ ხორასანში და ისინი იქ მკვიდრ მოსახლეობას არ წარმოადგენენ), ასირიელების შემთხვევაში რამდენიმე ანკლავი, მაგრამ ასირიელების განსახლების ძირითად ტერიტორიას ნინევიის პლატო წარმოადგენს, ასევე შევითყვეთ, რომ წარსულშიც და მიმდინარე პროცესებშიც ორივე ეთნიკური ჯგუფი განიცდიდა ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას და გენოციდალური პროცესების მსვერპლიც კი იყო, ორივე ჯგუფის პოლიტიკური წარმომადგენლობითობა არაადეკვატურია პოლიტიკურ პროცესებში მათი ქვეყნების მთლიან მოსახლეობაში მათი პროცენტული წილის გათვალისწინებითა და მათ მიერ პოლიტიკურ პროცესებში ავტონომიურ საწყისებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდულობის გამო, მათი ენები, ეთნიკური იდენტობა და კულტურული მახასიათებლები იმყოფებიან ეგზისტენციალური საფრთხის წინაშე. ყოველივე ზემოხსენებული კი შიდა თვითგამორკვევის პრინციპის დასაკმაყოფილებლად ეჭვშეუტანელ წინაპირობებს ქმნის, როგორც ამას ვიგებთ საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილებებიდან²⁶ და იმ ქვეყნების ეროვნული სასამართლოების დადგენილებებიდან, რომლებსაც აქვთ გათვალისწინებული თვითგამორკვევის უფლების კრიტერიუმები თავიანთ კანონმდებლობაში.²⁷

²⁶ LEGAL CONSEQUENCES FOR STATES OF THE CONTINUED PRESENCE OF SOUTH AFRICA IN NAMIBIA (SOUTH WEST AFRICA) NOTWITHSTANDING SECURITY COUNCIL, RESOLUTION 276 (INTERNATIONAL COURT OF JUSTICE 1971 წლის 21 JUNE).

²⁷ Reference re Secession of Quebec, R.S.C., 1985, c. S 26, s. 53. (Supreme Court of Canada September 30, 1996).

2.3 ბერტონის ადამიანური მოთხოვნილებების თეორიის მიმართება ქურთთა და ასირიელთა საკითხთან

კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები ყოველთვის კომპლექსურია. ყოველ კონფლიქტს საკუთარი განვითარების ისტორიული საფუძვლები გააჩნია და წინარე მოცემულობებიდან იღებს სათავეს მისი თანამედროვე ბუნება, რომელიც ხშირად, მეტწილად უნიკალურია. არ არსებობს სრულიად იდენტური კონფლიქტები ზუსტად ისე, როგორც არ არსებობს ზუსტად, იდენტურად განტოტვილი ორი ხე. ამიტომაც არ არსებობს ერთი კონკრეტული, უნივერსალური თეორია, რომელიც ყველა კონფლიქტის საფუძვლებს და მიზეზებს ხსნის, თუმცა ყველა თეორიას მეტ-ნაკლებად პრეტენზია აქვს, რომ კონფლიქტის საფუძვლების ან მისი მოგვარების გზების ყველაზე კრიტიკულ ელემენტებს წარმოაჩინოს. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი კონფლიქტის ახსნის თუ მოგვარების უნივერსალური მექანიზმი არ გაგვაჩნია, შეგვიძლია ზოგი საერთო მახასიათებლის იდენტიფიცირება, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველა კონფლიქტს გააჩნია და რომელიც შეიძლება განმსაზღვრელი ფაქტორებიც აღმოჩნდეს. ერთ-ერთ ასეთ, კონფლიქტების საერთო მახასიათებლებზე კონცენტრირებულ თეორიას ვიცნობთ ბერტონის ადამიანური საჭიროებების თეორიის სახელით.

ადამიანური საჭიროებების თეორია დაფუძნებულია იდეაზე, რომ არსებობს გარკვეული ფუნდამენტური საჭიროებები გადარჩენისთვის. ეს საჭიროებები არ არის მხოლოდ საკვები, წყალი და თავშესაფარი. ამგვარი ფუნდამენტური საჭიროებები, აუცილობლობები მოიცავს როგორც ფიზიკურ ასევე არაფიზიკურ ელემენტებს. რაც მთავარია, ეს საჭიროებები ასევე მოიცავს იმას, რის მოსაპოვებლადაც, რასთან მისაღწევადაც ადამიანებს ინსტიტუტები ამოძრავებთ. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ამგვარი საჭიროებების საყოველთაოდ შეთანხმებული სია, შეგვიძლია გამოვყოთ ზოგი მათგანი, ის, რაც მიიჩნევა, რომ აუცილებლად სჭირდება ადამიანს. ესენია:

- დაცულობა/უსაფრთხოება

- საკუთრება
- სიყვარული
- თავდაჯერება თვითშეფასებაში
- პირადი მიღწევები
- იდენტობა
- კულტურული უსაფრთხოება
- თავისუფლება
- პირობები სადაც დოვლათი სამართლიანად, პროპორციულადაა
გადანაწილებული
- სხვა და სხვა აქტივობებში მონაწილეობა, ჩართულობა

სხვა და სხვა მკვლევარი ამ სიის განსხვავებულ ელემენტებზე ფოკუსირდება, ზოგი მათგანი, მაგალითად, მასლოუ ამტკიცებდა, რომ ეს სია შეიძლება ორგანიზდეს იერარქიული ხასიათით, ზოგი მათგანი კი, მაგალითად, ბერტონი, რომელიც იყო წამყვანი ამ თეორიის გამოყენებაში სხვა და სხვა სოციალური და პოლიტიკური კონფლიქტის ახსნისას, ამტკიცებდა, რომ შეუძლებელია ადამიანური საჭიროებების დირექტიული განსაზღვრებით ორგანიზება იერარქიულ საწყისებზე. თუმცა ისეთი ურთიერთდაკავშირებული საჭიროებები, როგორცაა იდენტობის აღიარება და უსაფრთხოება განსაკუთრებული ყურადღების ფოკუსს იპყრობს. კელმანი ამტკიცებდა, რომ იდენტობა, უსაფრთხოება და მათთან, ამ ცნებებთან დაკავშირებული კოლექტიური საჭიროებები, ასევე შიშები და შფოთები, რომელიც უკავშირდება ხსენებული ცნებების კონტექსტში გადარჩენას, არიან მნიშვნელოვანი, განმსაზღვრელი გამომწვევი ფაქტორები ჯგუფებს შორის და კომუნებს შორის წარმოქმნილ კონფლიქტებში. მკვლევრებიც და პრაქტიკოსებიც თანხმდებიან, რომ იდენტობის და უსაფრთხოების საკითხები არის ყველაზე მეტად კრიტიკული, თუ საერთოდ

აბსოლუტი არა, შეუქცევად, მოურჯულებელ, მოუხელთებელ მიმდინარე კონფლიქტებში.²⁸

ბერტონი აღნიშვნავდა, რომ იმედგამაცრუებელია ის გარემოება, რომ ამგვარი ბაზისური საჭიროებები წარმოშობს კონფლიქტებს. იმედგამაცრუებელი იმიტომ, რომ შესაძლებელი ხდება საზოგადოებებში, რომ მთავრობა და მისი ხალხი ან მათი ნაწილი ისე შეიძლება დაშორდნენ ერთმანეთს, რომ მთავრობას სრულიად აცდენილი იყოს მისი ხალხის საჭიროებების აღქმაში. გადაწყვეტილების მიმღებთა და მათი გადაწყვეტილებებით ზემოქმედებულებს შორის ამგვარი გაუცხოება ბუნებრივია, რომ პოტენციური დაპირისპირების მიზეზი ხდება ამ უკანასკნელთ შორის ძალადობა და სასჯელი კი, რასაც ხშირად მიმართავენ მთავრობები თუ გადაწყვეტილების მიმღებნი აჯანყებულთა წინააღმდეგ ვერ ააღებინებს ხელს ინდივიდებსა თუ ჯგუფებს ზემო-ხსენებული ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილების ინსტიტუტურ სწრაფვაზე გრძელვადიან პერსპექტივაში, ზოგჯერ ვერც მოკლევადიანში. ამის მიზეზი კი ისაა, რომ აღნიშნული მოთხოვნილებები, საჭიროებები თავისი ბუნებით ლამის ონტოლოგიური ხასითის არიან, შესაბამისად ხშირად მოლაპარაკების საგანიც კი შეუძლებელია გახდნენ, რადგან საჭიროებენ უცილობელ, ეჭვგარეშე დაკმაყოფილებას, ცხადია ნორმატიული თვალსაზრისით. აუცილებელი საჭიროებების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში კონფლიქტის გარდაუვალობას განაპირობებს ისიც, რომ თანამედროვე კომუნიკაციების პირობებში გაიოლებულია კავშირები სხვა და სხვა ქვეყანაში გაფანტულ იდეით გაერთიანებულ ჯგუფის წევრებს შორის, რაც აფერმკთალებს რეპრესიების ეფექტს აჯანყებულთა მიმართ და აიოლებს დისედენტური საქმიანობის გაშლას, ასევე იარაღის ინფილტრაცია კონფლიქტურ ეპიცენტრში არ წამოადგენს გადაულახავ დაბრკოლებას დღეისათვის.

²⁸ Walsh, D. (2015). *How a Human Needs Theory Understanding of Conflict Enhances the Use of Consociationalism as a Conflict Resolution Mechanism: The Good Friday Agreement in Northern Ireland*. Birmingham: University of Birmingham. pp.2-10

ბარტონისავე თვალსაზრისით აუცილებელი საჭიროებების რომელიმე ჯგუფისთვის დაკმაყოფილებამ წესით არ უნდა წარმოშვას რაციონალურ საწყისებზე უთანხმოება ამ საჭიროებებზე წვდომის შესაძლებლობის გამცემი უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან. ყველაზე მოსახერხებელი კი არის ინსტიტუციების შექმნა, რაც პოტენციური და მიმდინარე კონფლიქტის სუბიექტთ მისი გავლით მიეწოდოთ უკვე ჩამოთვლილი ადამიანური საჭიროებები და ასევე რაც აუცილებელია, კონფლიქტის მოგვარებისთვის, ესაა ძალაუფლების გაყოფა კონფლიქტის მხარეებს შორის, რაც ასევე ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ.

მაშინ, როცა მასლოუ და ბარტონი ხაზს უსვამენ ადამიანის ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ საჭიროებებს, მარშალ როსენბერგს შემოაქვს ახალი წყება საჭიროებებისა, რომელიც ყველაზე უკეთ შეიძლება გამოიხატოს სიტყვით, ფსიქო-სპირიტუალური თავისი ბუნების გათვალისწინებით. მათ შორისაა, სიყვარულის მთლიანობა, დღესასწაული და გლოვა და ასევე სპირიტუალური, სულიერი გაერთიანება. ავტორებს შემოთავაზებული აქვთ სხვა და სხვა დროს წყება განსხვავებული საჭიროებებისა, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ დომინანტურია იდენტობის აღიარების მოთხოვნილება და უსაფრთხოების შეგრძნების მიღწევა, თუმცა კი თითოეულმა ნაკლებად გამოკვეთილმა თუ მკაფიო საჭიროებამაც კი, მისმა დაუკმაყოფილებლობამ შესაძლებელია კონფლიქტის განვითარების ინსპირატორის ფუნქცია შეასრულოს.

ადამიანური საჭიროებების თეორისტები განასხვავებენ ადამიანურ საჭიროებებს და ინტერესებს და ამტკიცებენ, რომ ადამიანური კონფლიქტები სათავეს იღებენ მაშინ, როცა ადამიანების ძალისხმევა დაიკმაყოფილონ ბაზისური ან ფუნდემენტური საჭიროებები უშედეგო გამოდგება. მეტიც ასევე ამტკიცებენ, რომ ასეთ გარემოებებში არათუ მაღალია საფრთხე კონფლიქტის განვითარებისა და არამედ ეს უკანასკნელი გარდაუვალიცაა, ვინაიდან ბაზისური საჭიროებები არ არის მოლაპარაკების საგანი, ისინი შეუფერხებელ დაკმაყოფილებას საჭიროებენ. ხოლო ადამიანების თუ ადამიანების ჯგუფების ინტერესები ის

სფეროა, რაზეც უნდა წარმოებდეს მოლაპარაკებები კონფლიქტის პრევენციისა, დეესკალაციისა თუ მოგვარებისათვის. თუმცა კი მკაფიო სადემარკაციო ხაზის გავლება ადამიანურ საჭიროებებსა და ინტერესებს შორის ყოველთვის რთულია და თავისთავად დისპუტის საგანია.²⁹

ადამიანური საჭიროებების თეორიას მიუხედავად იმისა, რომ ბევრი გამზიარებელი ჰყავს უშუალოდ კონფლიქტის ველზე მოქმედ მედიატორთა შორის, არც კრიტიკა აკლია. მაგალითად, გალტუნგი თვლის, რომ მთავარი პრობლემა ადამიანური საჭიროებების თეორიისა არის ის, რომ აქცენტს არ აკეთებს სიღარიბის გამომწვევ მიზეზებზე მაშინ, როცა ხშირად კონფლიქტის არსებული ველები სავსეა შემთხვევებით, სადაც არათანაბარმა დოვლათის განაწილებამ (ასევე არათანაბარმა მოპყრობამ სახელმწიფოს მხრიდან კანონის თვალსაზრისით) ან დოვლათის დეფიციტმა წარმოშვა კონფლიქტის საწყისები. ასევე გალტუნგი აყენებს წინადადებას, რომ მიზანშეწონილი იქნება თუ ადამიანურ საჭიროებებს უფრო ღრმად, ემპირიკულ საწყისებზე გამოკვლევთ. გალტუნგთან ერთად რამაშრაი როიც ხაზს უსვამს კიდევ ერთ გარემოებას, რომელიც ადამიანის საჭიროებების თეორიისთვისაა დამახასიათებელი, რაც გამოიხატება იმაში, რომ ეს თეორია ფოკუსის ცენტრში ინდივიდის საჭიროებებს აყენებს და არა საზოგადოების, რომელიც ხშირად კონფლიქტურ გარემოებებში და არა მხოლოდ, შესაძლებელია ინდივიდის საჭიროებებისაგან განსხვავებული იყოს.³⁰

მიუხედავად იმისა, ადამიანური საჭიროებების კრიტიკის ზოგი ასპექტი შეიძლება სამართლიანად მოგვეჩვენოს მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ხსენებული თეორია რაიმე პანაცეად, რომელიც ყოველ კონფლიქტს მოერგება და მოაგვარებს არავის დაუსახავს. ცხადია, კონკრეტული საჭიროებები

²⁹ Danesh, H. B. (2011). *EDUCATION FOR PEACE READER*. Victoria: EFP Press. p.63

³⁰ CARLSSON, K. U. (1999). *VIOLENCE PREVENTION AND CONFLICT RESOLUTION*. Malmö: Malmö School of Education. pp.52-53

უმუალოდ კონფლიქტის ველზე უნდა გამოვლინდეს და ასევე პიროვნებისა და საზოგადოების საჭიროებებიც ამავე ველზე კლასიფიცირდეს. ასევე თეორიამ სრულყოფა მომავალშიც უნდა განიცადოს ახალ, გლობალურ მსოფლიოში მიმდინარე კონფლიქტებთან გაშინაურებული მკვლევრების სამეცნიერო კონტრიბუციის საფუძველზე. ამასთანავე ვერავინ უარყოფს, რომ ადამიანური საჭიროებების თეორიამ უკვე მოახდინა უმნიშვნელოვანესი კონტრიბუციის შეტანა კონფლიქტების შესწავლის აკადემიურ ველში. ვერავინ უარყოფს, რომ იდენტობის აღიარების საკითხი თუ ყველა არა, ყველა ეთნიკურ კონფლიქტში მაინც დგას და ჩვენც ახლა უფრო გამოწვლილვით, ვიდრე ზემოთ ამ ცნებაზე ვკონცენტრირდებით.

ადამიანური საჭიროება – იდენტობის აღიარება – უმნიშვნელოვანესია ყოველი ადამიანური ქმნილების ცხოვრებაში. ხსენებული საჭიროება უკავშირდება ადამიანის სურვილს, თუ არა გარდაუვალ ბუნებით მოთხოვნილებას, რომ თავი განასხვავოს სხვისგან, იყოს თვითმყოფადი ან იყოს იდენტიფიცირებული ვინმესთან, რომელიმე თემთან თუ ჯგუფთან, ჰქონდეს უნიკალური, მხოლოდ მისთვის განსაზღვრული პიროვნული ნიშნები, რომლებზე შეხებაც არ შეეძლება სხვებს. ყოველივე ეს გამოხატულებაა იდენტობის საჭიროების.³¹

ბარტონის ადამიანური საჭიროებების თეორიას გამოვლენა არაერთი კონფლიქტის მოგვარების პირობებში უპოვია, ერთ-ერთი ასეთია ჩრდ. ირლანდიის შემთხვევა კარგი პარასკევის შეთანხმებაში გამოხატული. ხსენებული შეთანხმების დოკუმენტი გაფორმდა ირლანდიისა და დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოებს და რვა ჩრდ. ირლანდიურ პოლიტიკურ პარტიასად და ჯგუფს შორის, კონფლიქტის საგანი კი იყო ჩრდ. ირლანდიის სტატუსი და ამ რეგიონში მაცხოვრებელთა უფლებები. საკითხი წამოჭრა კუნძულის ჩრდილოეთში მცხოვრებთა კონფესიურმა განსხვავებამ, კერძოდ, კათოლიკებს ირლანდიასთან შეერთება

³¹ *An Analysis Of The Human Need Theory Politics Essay*. (2015, March 23). Retrieved from Ukessays: <https://www.ukessays.com/essays/politics/an-analysis-of-the-human-need-theory-politics-essay.php?vref=1>

სურდათ მათი მისწრაფების აბსოლუტურ გამოხატულებაში, ხოლო პროტესტანტებს და შესაბამისად, ე.წ. „იუნიონისტებს“ დიდი ბრიტანეთის შემაღენლობაში დარჩენა, ამავე პერიოდში ჯერ კიდევ სრულად არ ქონდა უარი ნათქვამი ტერორისტული აქტების განხორციელებაზე ირლანდიურ ნაციონალისტურ ორგანიზაცია „ირას“. ჩვენთვის საინტერესო კი არის ის, რომ კონფლიქტის რეზოლუცია, გამოხატული კარგი პარასკევის 1998 წლის აპრილის შეთანხმებით მეტწილად მისი კომპონენტებით ეხმიანებოდა ადამიანური საჭიროებების თეორიას, რადგან მასში გათვალისწინებული იყო ზოგი ფუნდამენტური საჭიროება. კერძოდ, შეთანხმება ხაზს უსვამდა, რომ ურთიერთ პატივისცემა, სამოქალაქო უფლებები და რელიგიური თავისუფლებები უნდა გარანტირებულ იქნეს ჩრდ.ირლანდიის კომუნის ყველა წევრს შორის. ასევე მრავალ-პარტიული შეთანხმება აღიარებდა ლინგვისტური განსხვავებულობის პატივისცემის აუცილებლობას რეგიონში, განსაკუთრებით ირლანდიური ენის. ულსტერელი შოტლანდიელების და სხვა მცირე უმცირესობათა არსებული ენების კონტექსტში, რომელთა შესახებ აღნიშნული იყო: „ყოველი მათგანი წარმოადგენს კუნძულ ირლანდიის კულტურული ღირებულებას“. შესაბამისად ზემოთქმულისა, ვხედავთ, რომ ჩრდ.ირლანდიის შემთხვევაში იდენტობის აღიარების საკითხი დაკმაყოფილებულ იქნა დოკუმენტების დონეზე, ხოლო როგორც შემდეგ გაირკვა რეალურ გამოხატულებაშიც. ასევე ამავე შეთანხმების ჩარჩოებში ბრიტანეთის ვალდებულება აიღო (და შეასრულა ასევე), რომ ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებების შესახებ ინკორპორირდებოდა ჩრდ.ირლანდიის კანონში, ასევე ჩამოყალიბდა ჩრდ.ირლანდიის ადამიანის უფლებების კომისია, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებები ამავე გეოგრაფიულ რეგიონში და განისაზღვრა მათში პროპორციული წარმომადგენლობითობის სქემა თემის სხვა და სხვა ჯგუფებს შორის. შესაბამისად ამისა, სახეზეა ადამიანური საჭიროებების თეორიისა და მეორე უმთავრესი საჭიროების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ასევე შეგვიძლია დავამატოთ, რომ დღეისათვის ურთიერთობები ირლანდიასა და დიდ ბრიტანეთს შორის იმგვარია, რომ ირლანდიის რესპუბლიკის მოქალაქე დიდი ბრიტანეთის

რეზიდენტებიც კი უფლებამოსილნი არიან ხმის უფლებით ისარგებლონ მთელი გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე საკუთარი ოლქის შესაბამისად.

ბერტონის ადამიანური საჭიროებების თეორიის პრაქტიკაში გამოყენებას მოყოლილი პოზიტიური შედეგი უკვე ვნახეთ, ირლანდია-დიდი ბრიტანეთის მაგალითზე, ამ თეორიის პოსტულატების დაუკმაყოფილებლობას მოყოლილი ნეგატიური შედეგების მაგალითები კი გაცილებით ბევრი გვაქვს და ჩვენი ქურთთა და ასირიელთა საკითხიც მათ რიგებშია, რადგან როგორც წინა თავებში ვნახეთ, ამ უკანასკნელთა მოთხოვნილებები, პირველ რიგში კი უსაფრთხოებისა და იდენტობის დაცვის მოთხოვნილებები მათი განსახლების ქვეყნებში დაოუკმაყოფილებელი იყო და მეტწილად ახლაც რჩება – ამასთან კონფლიქტები სახეზე გვაქვს.

დასკვნა

ამგვარად, როგორც ვნახეთ, ადამიანური საჭიროებების თეორიას პრაქტიკული გამოვლინების თვალსაზრისითაც მოემბნება მაგალითი კონფლიქტების ისტორიაში. კერძოდ ჩრდ. ირლანდიაში, სადაც ფუნდამენტური უფლებების გარანტირებამ შეთანხმების დოკუმენტში განაპირობა დაპირისპირებულ მხარეთა ურთიერთობების თანამშრომლობის რეჟიმში გადასვლა მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებული მხარის აბსოლუტური მიზანი, ირლანდიასთან გაერთიანება დაკმაყოფილებული არ იქნა – თუმცა კი ფაქტობრივად არც არაფერი დარჩა გეოგრაფიულ ფაქტორთან ერთად, რაც ირლანდიის რესპუბლიკელს თუ ჩრდ.ირლანდიის მკვიდრს კონტაქტს თუ სხვა და სხვა სოციალურ კავშირს შეუზღუდავს.

ცხადია, სპეკულირება იქნებოდა, რომ ბერტონის ადამიანური საჭიროებების მიხედვით ხელმძღვანელობის შემთხვევაში ახლო აღმოსავლეთში ქურთთა და ასირიელთა საკითხების მშვიდობიანი გადაწყვეტა გვევარაუდა, მაგრამ ეს ხელს ვერ შეგვიშლის რეტროსპექტიული გადმოსახედიდან ვთქვათ, რომ სწორედ ადამიანური საჭიროებების ფუნდამენტური მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობამ აღძრა ეთნიკური დამაბულობები ამ რეგიონში, როგორც საუკუნის წინ, ასევე ბოლო ათწლეულებსა და მიმდინარე კონფლიქტებში.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ქურთთა ასირიელთა ეთნიკური უფლებები ტოტალურად ირღვეოდა და დღემდე მეტწილად დაუკმაყოფილებელია. ეთნიკური უფლებების დაუკმაყოფილებლობამ კი ხსენებულ ეთნოსებში, განსაკუთრებით ქურთებში გამოიწვია ცენტრალური ხელისუფლებებთან დაპირისპირება და მათი შიდა-თვითგამორკვევისთვის ბრძოლა. ხოლო შიდა-თვითგამორკვევის პრინციპით სარგებლობის ბენეფიციარნი ქურთები და ასირიელები გახადა ცენტრალური ხელისუფლებების მათ მიმართ გატარებულმა პოლიტიკებმა და დამოკიდებულებებმა.

ბიბლიოგრაფია

1. Akhmadov, I., Lanskoj, M., & Brzezinski, Z. (2010). *THE CHECHEN STRUGGLE INDEPENDENCE WON AND LOST*. New York: Palgrave Macmillan.
2. Alaranta, T. (2015). *National and State Identity in Turkey*. London: ROWMAN & LITTLEFIELD.
3. *An Analysis Of The Human Need Theory Politics Essay*. (2015, March 23). Retrieved from Ukessays: <https://www.ukessays.com/essays/politics/an-analysis-of-the-human-need-theory-politics-essay.php?vref=1>
4. Bayat, K. (2014, may June). Iran and the "Kurdish Question". *Middle East Report*, pp. 28-35.
5. Bell, M. (2014, June). Liberal Attitudes and Middle East Realities. *Transatlantic Academy Paper Series*, pp. 6-9.
6. BERBEROGLU, B. (1995). *Nationalism, Ethnic Conflict, and Self-Determination in the 20th Century*. Philadelphia: Temple University Press,.
7. Burton, J. (1990). *Conflict: Human Needs Theory* . London: THE MACMILLAN PRESS LTD.
8. CARLSSON, K. U. (1999). *VIOLENCE PREVENTION AND CONFLICT RESOLUTION*. Malmö: Malmö School of Education.
9. Caspersen, N., & Stansfield, G. (2011). *Unrecognized States in the International System*. New York: Routledge.
10. Chediak, J. (2011, October 30). *WORKERS WORLD*. Retrieved from WORKERS WORLD: https://www.workers.org/2011/world/jchediac_1103/
11. Chomsky, N. (2006). *Failed States*. New York: Henry Holt And Company.
12. Cristescu, A. (1981). *THE RIGHT TO SELF-DETERMINATION _ HISTORICAL AND CURRENT DEVELOPMENT ON THE BASIS OF UNITED NATIONS INSTRUMENTS*. New York: UNITED NATIONS.
13. Danesh, H. B. (2011). *EDUCATION FOR PEACE READER*. Victoria: EFP Press.
14. Douglas, R. A. (1998). *Framing the Social Security Debate : Values, Politics, and Economics*. Washington, D. C.: Brookings Institution Press.

15. Ellison, B. (2011). Russian grand strategy in the South Ossetia War. *Demokratizatsiya: The journal of post-Soviet democratization*, pp. 343-366.
16. Gaunt, D., Atto, N., & Barthoma, S. O. (2017). *Let Them Not Return – Sayfo – The Genocide against the Assyrian, Syriac and Chaldean Christians in the Ottoman Empire*. New York: Berghahn Books.
17. Hinnebusch, R. (2003). *The international politics of the Middle East*. Manchester: Manchester University Press.
18. (1966). *International Covenant on Civil and Political Rights*.
19. Jawad, S. N. (2010, September 30). The Kurdish question in Iraq: historical background and future settlement. *Contemporary Arab Affairs*, pp. 37-41.
20. LEGAL CONSEQUENCES FOR STATES OF THE CONTINUED PRESENCE OF SOUTH AFRICA IN NAMIBIA (SOUTH WEST AFRICA) NOTWITHSTANDING SECURITY COUNCIL, RESOLUTION 276 (INTERNATIONAL COURT OF JUSTICE JUNE 21, 1971).
21. Mycock, A. (2012, April 13). SNP, identity and citizenship: Reimagining state and nation. *National Identities*, pp. 64-65.
22. Raic, D. (2002). *Statehood and the Law of Self-Determination*. The Hague: Kluwer Law International.
23. Reference re Secession of Quebec, R.S.C., 1985, c. S 26, s. 53. (Supreme Court of Canada September 30, 1996).
24. Sabio, O. (2014). *Rojava: An Alternative to Imperialism, Nationalism, and Islamism in the Middle East*. Creative Commons Attribution 2.0.
25. Sanches, S. (2014). Disempowering Feminism in the Middle East: how the polarization of Islam and Feminism. *Annual Human Rights Conference* (pp. 2-6). Nottingham: Mind the Gender Gap.
26. Simma, B., Khan, D. E., Nolte, G., Paulus, A., & Wessendorf, N. (2012). The Charter of the United Nations: A Commentary, Volume I. In S. Oeter, *Self-Determination* (pp. 28-31). Oxford Scholarly Authorities on International Law.
27. Stansfield, G., & Shareef, M. (2017). *The Kurdish Question Revisited*. Oxford: Oxford University Press.
28. Unver, A. (2015). *Turkey's Kurdish Question*. New York: Routledge.
29. Unwer, A. (2015). *Turkey's Kurdish Question*. New York: Routledge.
30. Unwer, A. (2015). *Turkey's Kurdish Question*. New York,: Routledge.

31. Walsh, D. (2015). *How a Human Needs Theory Understanding of Conflict Enhances the Use of Consociationalism as a Conflict Resolution Mechanism: The Good Friday Agreement in Northern Ireland*. Birmingham: University of Birmingham.
32. YACOUB, J. (2016). *Year of the Sword _ The Assyrian Christian Genocide, A History*. New York: Oxford University Press.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tamaz Tordia

Voiceless nations in the international system: Kurds and Assyrians
in the context of permanent and potential conflicts

Diplomacy and international politics

Submitted to obtain a Master degree in Diplomacy and International
Politics

Head: Davit Matsaberidze - TSU Faculty of Social and Political Sciences - Assistant
Professor

Tbilisi 2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

მონიკა გაბელაია

დემოგრაფიული პოლიტიკა ევროპის ქვეყნებსა და
საქართველოში: შედარებითი ანალიზი

დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დემოგრაფიისა და
მოსახლეობის გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ვაჟა ლორთქიფანიძე, პროფესორი, სამაგისტრო პროგრამის
დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფიის ხელმძღვანელი

თბილისი 2018

ანოტაცია

წარმოდგენილ ნაშრომში განხილული იქნება დემოგრაფიული პოლიტიკის გამოცდილება ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოში. თემა არჩეულია საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე. საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლები მეტყველებენ დემოგრაფიულ კრიზისზე, რაც გამოიხატება შობადობის შემცირებით, მოკვავობის გაზრდით, მიგრაციის სალდოს უარყოფითი მაჩვენებლით. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზას წარმოადგენს გააზრებული და თანმიმდევრული დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ფრაგმენტული ღონისძიებები, რომლებიც ხორციელდება სახელმწიფოს მხრიდან წლების მანძილზე დემოგრაფიული პროცესების სამართავად, მნიშვნელოვანი ცვლილებების მომტანი არ არის. აღნიშნულზე მეტყველებს არსებული დემოგრაფიული მაჩვენებლები.

საქართველოში არსებული კრიტიკული დემოგრაფიული ვითარება კომპლექსურ ხასიათს ატარებს. ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ქვეყანა მიეკუთვნება განვითარებად ქვეყანათა რიცხვს, დემოგრაფიული თვალსაზრისით კი - განვითარებულს. უფრო კონკრეტულად, ქართველების დემოგრაფიული ქცევა მსგავსია დასავლეთ ევროპის. გამომდინარე აქიდან, დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებისას აუცილებელია ევროპის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება.

ნაშრომის მიზანია დემოგრაფიული პოლიტიკის ევროპის ქვეყნებისა და ქართული გამოცდილების შესწავლა. ევროპული სახელმწიფოები დემოგრაფიული კრიზისი წინაშე უკვე ათობით წელია დგანან. ევროპაში, საფრანგეთი იყო პირველი ქვეყანა, სადაც ყურადღება გაამახვილეს შექმნილ დემოგრაფიულ მდგომარეობაზე და დაიწყეს მსჯელობა მისი მოგვარების გზებზე. საფრანგეთის შემდეგ იგივე დემოგრაფიული პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოები. პრობლემაში იგულისხმება შობადობის მკვეთრი შემცირება. დღეს კი, მათ საზრუნავს წარმოადგენს, როგორც ძალიან დაბალი შობადობა, ასევე მოსახლეობის დაბერება და მიგრაციული პროცესები. დასავლეთ

ევროპის ქვეყნების მიმართულებით მაღალია იმიგრაციული ნაკადები დანარჩენი მსოფლიოდა. ქართული რეალობა განსხვავებულია. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან ათობით ათასმა საქართველოს მოქალაქემ დატოვა სამშობლო. აღნიშნულ საკითხში დასავლეთ ევროპული და ქართული გამოცდილება განსხვავდება, თუმცა მსგავსია შობადობის მნიშვნელოვანი შემცირება და მოსახლეობის დაბერება, შესაბამისად მათ მეტი გამოცდილება აქვთ წარმოდგენილ დემოგრაფიულ პრობლემებზე მუშაობის, დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ოპტიმალური გზების მოძიების. აქიდან გამომდინარე, მათ მიერ განვლილი გზისა და ქართული გამოცდილების ანალიზი დაგვეხმარება ოპტიმალური დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებაში.

ნაშრომში წარმოდგენილი იქნება ასევე თვისებრივი კვლევა „არსებული დეკრეტული შვებულების პირობების გავლენა ქალთა რეპროდუქციულ განწყობაზე“ (2018). გამომდინარე იქიდან, რომ დეკრეტული შვებულების პირობები დემოგრაფიული პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, მნიშვნელოვანია არსებული პირობების გავლენის შესწავლაც ქალთა რეპროდუქციულ განწყობაზე. აღნიშნული კვლევა სიახლეს წარმოადგენს, რადგან ქართულ რეალობაში არ გვაქვს სამეცნიერო სტატიათა კომპლექსური საკითხზე. ქალების განწყობების შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგან ისინი რეპროდუქციულ ასაკში მყოფ ქალთა მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ და რაღა თქმა უნდა თაობათა აღწარმოების მთავარი სუბიექტებს.

საკვანძო სიტყვები: დემოგრაფიული პოლიტიკა, ევროპის ქვეყნები, საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკა, დეკრეტული შვებულება, რეპროდუქციული განწყობა.

Abstract

Demographic Policy in European Countries and Georgia: Comparative Analysis

The present work will focus on the experience of demographic policy in EU countries and Georgia. The topic is chosen based on the actuality of the issue. The demographic indicators of the population of Georgia indicate the demographic crisis that is expressed by decreasing birth rate, increasing mortality, negative indicator of migration balance. The solution to this problem is to develop and implement a well-defined and consistent demographic policy. Fragmentary measures that are undertaken by the state for decades of demographic processes are not significant changes. Demographic indicators indicate this.

The critical demographic situation in Georgia has a complex character. From the point of view of economic development, the country belongs to the number of developing countries, and demographics - developed. More specifically, demographic behavior of Georgians is similar to Western Europeans. Due to the demographic policy, it is necessary to take into account the experience of the European countries.

The purpose of the work is to study European countries and Georgian experiences of demographic policy. European countries have been demographic crisis for decades now. In Europe, France was the first country to pay attention to the demographic situation created and started to discuss the ways of its solution. After France, the same demographic problem faced other Western European states. The problem is a sharp decrease in birth rate. Today, their concern is a very low birth rate, as well as population aging and migration processes. The western European countries are high in immigration flows from the rest of the world. Georgian reality is different. Since the 90s of the 20th century, tens of thousands of Georgians left homeland. Western European and Georgian experiences will be discussed in this regard, but it is similar to a significant reduction in birth and population aging, and therefore they have more experience in working on demographic problems, demographic policies and finding optimal ways to implement. Based on this, analysis of the road and Georgian experiences will help us to develop optimal demographic policies

The work also includes a qualitative study of "The Effect of Existing Maternity Leave on Women's Reproductive Mood" (2018). Due to the fact that maternity leave is one of the most important issues of demographic policy, it is important to study the influence of existing conditions on women's reproductive mood. This research is a novelty because we do not have a scientific article in the Georgian reality on this issue. Studying women's attitudes is important because they are an important part of women at reproductive age, and of course the main subjects of generating generations.

Keywords: demographic policy, European countries, demographic policy of Georgia, maternity leave, reproductive mood.

Gabelaia M.

სარჩევი

ანოტაცია.....	2
1. შესავალი.....	8
1.1 საკითხის აქტუალობა.....	8
1.2 ნაშრომის მიზანი	9
2. ლიტერატურის მიმოხილვა	9
3. მეთოდოლოგია და კვლევის განხორციელების ეტაპები	11
4. დოკუმენტების ანალიზი.....	12
5. დემოგრაფიული პოლიტიკის განვითარების მოკლე ისტორია, მისი არსი და განხორციელების მეთოდები.....	15
5.1 დემოგრაფიული პოლიტიკის განვითარების მოკლე ისტორია.....	15
5.2 დემოგრაფიული პოლიტიკის არსი და მისი განხორციელების მეთოდები.....	17
6. დემოგრაფიული პოლიტიკა საქართველოში	20
7. „დეკრეტული შვებულების პირობების გავლენა ქალთა რეპროდუქციულ განწყობაზე“ (2018) - ანალიზი.	33
7.1 დეკრეტული შვებულების პირობები, როგორც შობადობის შემაფერხებელი ფაქტორები	34
7.2 ბავშვების ყოლის სხვა ხელისშემშლელი ფაქტორები.....	38
7.3 სახელმწიფოს როლი არსებული დეკრეტული შვებულების პირობების შედეგად გამოწვეული ვითარების შექმნაში და მისი ვალდებულებები ვითარების გასაუმჯობესებლად.	39
8. დემოგრაფიული პოლიტიკა ევროპის ქვეყნებში.....	42
8.1 საფრანგეთი	43
8.2 შვედეთი.....	47
8.3 გერმანია	52
8.4 ბელგია.....	55
8.5 პოლონეთი.....	57

დასკვნა.....62

გამოყენებული ლიტერატურა64

დანართი68

1. შესავალი

1.1 საკითხის აქტუალობა

თანამედროვე მდგომარეობით დედამიწის მოსახლეობის რაოდენობა სწრაფი ტემპით იზრდება. იგივე ტენდენცი ფიქსირდება საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, ეს იმ დროს, როდესაც თავად საქართველოს მოსახლეობა იკლებს. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად 2007 წლიდან 2017 წლის ჩათვლით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა 676 500-ით (www.geostat.ge). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) დემოგრაფიული განყოფილების პროგნოზით კლების ტენდენცია გაგრძელდება და 2050 წლისათვის ქვეყნის მოსახლეობა შეადგენს 3 292 996, 425 204-ით ნაკლები 2017 წელთან შედარებით (www.esa.un.org).

საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული სტატისტიკა ბუნებრივი მატებისა და მექანიკური მოძრაობის შესახებ მოწმობს, რომ მოსახლეობა განიცდის მწვავე დემოგრაფიულ კრიზისს. შექმნილი მდგომარეობა საჭიროებს ეფექტიან და მიზანმიმართულ დემოგრაფიულ პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც შემუშავებული იქნება სამეცნიერო კვლევების საფუძველზე და გაითვალისწინებს ბუნებრივი თუ მექანიკური მოძრაობის შემაფერხებენ თითოეულ მიზეზს. აღნიშნული წარმოუდგენელი იქნება მსგავსი დემოგრაფიული პრობლემის წინაშე მდგარი ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებული გარეშე. ასევე მნიშვნელოვანია არსებული დეკრეტული შვებულების პირობების გავლენის შესწავლა ქალთა რეპროდუქციულ განწყობაზე, რომლის კაბალური პირობები მძიმე მდგომარეობაში აყენებს დასაქმებულ ქალს.

გააზრებული და შედეგზე ორიენტირებული დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებისათვის მნიშვნელოვანია წარსულში გატარებული ღონისძიებების ანალიზი და სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება. შესაბამისად, საჭიროდ ჩავთვალე, რომ ჩამეტარებინა კვლევა დემოგრაფიული პოლიტიკის გამოცდილებაზე საქართველოსა და ევროპის ქვეყნებში. გამომდინარე იქიდან, რომ დეკრეტული შვებულების პირობები

დემოგრაფიული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია და დღეს არსებული პირობები კი კაბალური, ჩავატარე სიღრმისეული კვლევა „არსებული დეკრეტული შვებულების პირობების გავლენა ქალთა რეპროდუქციულ განწყობაზე“.

ჩემი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 20 ქალი, რომლებსაც ჰყავთ მინიმუმ ერთი შვილი, დღეს სარგებლობენ დეკრეტული შვებულებით და ქალები, რომლებსაც არ უსარგებლიათ. რესპოდენტთაგან 10 არის დასაქმებული ქალი, მეორე 10 უმუშევარი. დასაქმებული 10 ქალიდან 5 დასაქმებულია კერძო სექტორში (არასამთავრობო ორგანიზაცია), 5 საჯაროში (სამინისტრო და სახელმწიფო უნივერსიტეტი). გამოიკითხულ ქალთა ასაკები: 20; 23; 24; 25; 27; 28; 29; 30; 32; 33.

1.2 ნაშრომის მიზანი

ნაშრომი მოიცავს ორ მიზანს. ერთი: ევროპის ქვეყნებსა და საქართველოში დემოგრაფიული პოლიტიკის გამოცდილების შესწავლას და ანალიზი. მეორე: „არსებული დეკრეტული შვებულების პირობების გავლენა ქალთა რეპროდუქციულ განწყობაზე“ (2018) კვლევის საფუძველზე დავადგინოთ არსებული დეკრეტული შვებულების პირობების შედეგად გამოწვეული მიზეზები, რომლებიც ქალების მხრიდან შვილის გაჩენის შემაფერხებელ ფაქტორებად აღიქმება.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოში დემოგრაფიული ვითარების მკვეთრი გაუარესება დაიწყო გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველი ნახევრიდან, რაც შობადობის მაჩვენებელზე აისახა და იგი მნიშვნელოვნად შემცირდა. ქვეყანაში განვითარებული მძიმე პოლიტიკური მოვლენებისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებამ დიდი გავლენა მოახდინა ქართული საზოგადოების დემოგრაფიულ ქცევაზე. 90-იანებში ჩამოყალიბებული ტენდენცია, შობადობის დაბალი დონე, დღესაც გრძელდება, თუმცა 21-ე საუკუნეში ქვეყანა განსხვავებული გამოწვევების წინაშე დადგა.

ყველა ქვეყანა და ხალხი თავისი დემოგრაფიული ისტორიის გზაზე ერთი და იგივე ეტაპებს გადის, რომელთაგანაც თითოეულს მოსახლეობის აღწარმოების არკვეული ტიპი შეესაბამება. ეს აზრი განვითარებული არის „დემოგრაფიული გადასვლის“ კონცეფციაში. თეორია ეკუთვნის ფრანგ მეცნიერს ა. ლანდრის, რომელიც შემდგომში ამერიკელმა დემოგრაფმა ფრანკ ნოუტსტაუნმა განავითარა. აღნიშნული თეორიის თანახმად გამოიყოფა 4 ფაზა და თითოეულ მათგანში ყოფნა დამოკიდებულია სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. საქართველო ისევე, როგორც ბევრი სხვა ევოპული სახელმწიფო, დემოგრაფიული გადასვლის მეოთხე ფაზაში იმყოფება, რომლისთვისაც დამახასიათებელია შობადობისა და მოკვდაობის დაბალი დონე, კოეფიციენტებიც თითქმის თანაბარია (გოგსაძე გ. 2008 გვ:24-26). როგორც ავლნიშნეთ, დასავლეთ ევროპის ქვეყნები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიხედვით განვითარებულ ქვეყანათა ჯგუფს მიეკუთვნება, საქართველო კი განვითარებადს, თუმცა დემოგრაფიული მახასიათებლები მსგავსია. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში კრიზისული დემოგრაფიული მდგომარეობა მხოლოდ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით არ არის განპირობებული და მის გამოკვლევას სიღრმისეული კვლევა სჭირდება.

„დემოგრაფიული პოლიტიკა წარმოადგენს ღონისძიებათა კომპლექსს, მიმართულს დემოგრაფიული პროცესების ისეთი რეგულირებისაკენ, რომელიც საზოგადოების მოთხოვნიდან გამომდინარეობს.“ მისი ობიექტია მოსახლეობის გამრავლება და იგი მიმართულია მოსახლეობის გამრავლების სასურველი რეჟიმის მიღწევისაკენ (წულაძე გ. სულაბერიძე ა. 2015. გვ: 304). რაც შეეხება რეპროდუქციულ განწყობას, იგი წარმოადგენს ადამიანის მზადყოფნას ფსიქოფიზიკური აქტივობისთვის, რომელიც მიმართულია „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ დაკმაყოფილებისაკენ (წულაძე გ. სულაბერიძე ა. 2015. გვ:181).

3. მეთოდოლოგია და კვლევის განხორციელების ეტაპები

დემოგრაფიული პოლიტიკის ევროპის ქვეყნებისა და საქართველოს გამოცდილების გამოსაკვლევად პირველ ეტაპზე გამოყენებული იქნა მონაცემთა ანალიზის მეთოდი. წარმოდგენილი საკითხის შესახებ ქართულ და ევროპულ რეალობაში არსებული თეორიული ლიტერატურის მოსაძიებლად. შემდეგ ეტაპზე მივმართე მეორად მონაცემთა ანალიზის მეთოდს, რომლის დახმარებითაც გამოვიკვლიე საქართველოში და ევროპის ქვეყნებში დემოგრაფიული ვითარება. საკითხის უფრო სიღრმისეული კვლევისათვის ყურადღება გავამახვილე არსებული დეკრეტული შვებულების პირობებზე და ქალთა რეპროდუქციულ განწყობაზე დეკრეტული შვებულების გავლენის გამოსაკვლევად გამოვიყენე თვისებრივი კვლევის მეთოდი, ჩავატარე სიღრმისეული ინტერვიუ. კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ.

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 20 ქალი, რომლებსაც ჰყავთ მინიმუმ ერთი შვილი, დღეს სარგებლობენ დეკრეტული შვებულებით და ქალები, რომლებსაც არ უსარგებლიათ. რესპოდენტთაგან 10 არის დასაქმებული ქალი, მეორე 10 უმუშევარი. დასაქმებული 10 ქალიდან 5 დასაქმებულია კერძო სექტორში (არასამთავრობო ორგანიზაცია), 5 საჯაროში (სამინისტრო და სახელმწიფო უნივერსიტეტი). გამოკითხულ ქალთა ასაკები: 20; 23; 24; 25; 27; 28; 29; 30; 32; 33.

გამოკითხვა მიმდინარეობდა ორი კვირის მანძილზე - 2018 წლის 10 იანვრიდან 2018 წლის 24 იანვრის ჩათვლით პერიოდში. მონაცემთა ანალიზი მოხდა თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდით.

რესპოდენტთა კვლევაში ჩართვა მოხდა ნებაყოფლობით, კითხვარის პრემბულაში მითითებული კვლევის ძირითადი მიზნებისა და ამოცანების გაცნობით. კვლევა სრულად იცავდა რესპოდენტთა ანონიმურობასა და კონფიდენციალობას.

4. დოკუმენტების ანალიზი

საქართველოს კანონმდებლობაში კანონი დეკრეტული შვებულების შესახებ გვხვდება „საქართველოს შრომის კოდექსსა“ (www.matsne.gov.ge) და აგრეთვე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N231/52006 წლის 25 აგვისტოს ბრძანებაში, რომელიც გამოქვეყნდა „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების წესის“ დამტკიცების თაობაზე (www.ssa.gov.ge).

„საქართველოს შრომის კოდექსში“ დეკრეტული შვებულების შესახებ კანონი გვხვდება კარი II-ში - „ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობა“, თავი VI – „შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლისგამო“. აღნიშნულ თავში წარმოდგენილია 4 მუხლი, რომლებიც შეეხება შემდეგ საკითხებს: მუხლი 27 - შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო; მუხლი 28 - შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო; მუხლი 29 - ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებისა და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურება; მუხლი 30 - დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო. 27, 28 და 29 მუხლებში ბოლო შესწორება მოხდა 2013 წლის 27 სექტემბერს (www.matsne.gov.ge).

27-ე მუხლის თანახმად დასაქმებულს შვებულება ეძლევა 730 კალენდარული დღის ოდენობით, რომელთაგანაც მხოლოდ 183 კალენდარული დღე ანაზღაურდება, მშობიარობის გართულების ან ტყუპების გაჩენის შემთხვევაში კი 200 დღე. მოცემული დროის გადანაწილებაში მშობიარობისა და შემდგომ პერიოდზე, დასაქმებული თავისუფალია და საკუთარი სურვილისამებრ შეუძლია აიღოს შვებულება. რაც შეეხება 28-ე მუხლს, შვილად აყვანის თაობაზე, შვებულება მოიცავს 550 დღეს და მათგან მხოლოდ 90 დღე ანაზღაურდება. მუხლი 29. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებისა და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურება -

„ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება ანაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობაა არაუმეტეს 1000 ლარისა. დამსაქმებელი და დასაქმებული შეიძლება შეთანხმდნენ დამატებით ანაზღაურებაზე“. და ბოლოს, 30-ე მუხლი განსაზღვრავს დამატებით შვებულებას ბავშვის მოვლის გამო. აღნიშნული ტიპის შვებულებით სარგებლობა შესაძლებელია მანამ, სანამ ბავშვს შეუსრულდება 5 წელი და ხანგრძლივობა შეადგენს 12 კვირას, წელიწადში არანაკლებ 2 კვირისა. კანონში არ არის გამოყოფილი ქალისა და მამაკაცის უფლებები ინდივიდუალურად. კანონი დასაქმებულში მოიაზრებს ორივე სქესს (www.matsne.gov.ge).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N231/ნ 2006 წლის 25 აგვისტოს ბრძანებაში, მუხლ 3-ში განსაზღვრულია „დახმარებისა“ და „კომპენსაციის“ დეფინიცია. მოცემული ბრძანების მიხედვით დახმარება განისაზღვრა, როგორც „საქართველოს შრომის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის ან ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარება; (27.01.N2011 N 18/ნ). კომპენსაცია - „საჯარო მოსამსახურისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 411 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ფულადი დახმარება, რომელიც ფინანსდება შესაბამისი დაწესებულებისათვის გამოყოფილი შესაბამისი ბიუჯეტის ასიგნებიდან“. (12.06.2012 N01-33/ნ) (www.ssa.gov.ge).

მინისტრის ბრძანება ასევე მოიცავს დახმარებისა და კომპენსაციის დაფინანსების წყაროს განსაზღვრას - მუხლი 5 (11.12.2013 N 01-44/ნ ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან).

„დახმარება გაიცემა სააგენტოს მიერ, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარისა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო კომპენსაცია – შესაბამისი დაწესებულების მიერ, მისთვის შესაბამისი ბიუჯეტიდან კანონით გამოყოფილი ასიგნებიდან“. მუხლი 7 და 8 მოიცავს დახმარებისა და კომპენსაციის დანიშვნის პირობებისა და ოდენობის გაანგარიშებას, რომელთა თანახმადაც დასაქმებულს დახმარება ენიშნება „ა) ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო; ბ) ახალშობილის შვილად აყვანის გამო. მოსამსახურეს კომპენსაცია ენიშნება ორსულობის და მშობიარობის გამო“. განმეორებითი შვილის გაჩენისას შვილად აყვანის შემთხვევაში დეკრეტული შვებულების პირობები იგივე რჩება, როგორც ხანგრძლივობა, ასევე ანაზრაურების პირობებიც (www.ssa.gov.ge).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებაში მუხლი 8 ეთმობა დახმარებისა და კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშებას. წარმოდგენილი ბრძანების თანახმად დეკრეტული შვებულების დროს, დახმარების რაოდენობა განისაზღვრება შრომით ხელშეკრულებაში არსებული შრომის ანაზღაურებით. თუ შრომის ანაზრაურება ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული, ასეთ შემთხვევაში დეკრეტულ შვებულებაში გასვლამდე ბოლო 3 თვის ანაზრაურების საფუძველზე გამოიანგარიშება საშუალო თვიური ხელფასი და მიღებული რაოდენობით განისაზღვრება დახმარების ოდენობაც. გამომუშავებაზე დამოკიდებული შრომის ანაზღაურების შემთხვევაშიც იგივე პრინციპით ხდება დახმარების განსაზღვრა. დახმარების საერთო თანხა განისაზღვრება საშუალო დღიური ხელფასის დასაქმებულის მიერ აღებული შვებულების ხანგრძლივობაზე გამრავლებით (შვებულების ხანგრძლივობა იანგარიშება კალენდარული დღეებით). „ერთდროულად რამდენიმე დამსაქმებელთან მუშაობის შემთხვევაში კუთვნილი დახმარება სააგენტოს მიერ გაიცემა თითოეული დამსაქმებლის დაფინანსების განაცხადში მითითებული თანხების შეჯამებით, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში“ (27.96.2007 N191/5). რაც შეეხება კომპენსაციას, ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების შემთხვევაში გაიცემა მხოლოდ და იგი

უზრუნველყოფს „ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნის პერიოდში მისაღები შრომითი გასამრჯელოს სრულ ოდენობამდე შესავსებად“ (www.ssa.gov.ge).

5. დემოგრაფიული პოლიტიკის განვითარების მოკლე ისტორია, მისი არსი და განხორციელების მეთოდები

5.1 დემოგრაფიული პოლიტიკის განვითარების მოკლე ისტორია

დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებას და მისი განხორციელების ღონისძიებათა ჩამოყალიბებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ის აზრი რომ, სახელმწიფო აქტიურად უნდა ჩართულიყო დემოგრაფიული პროცესების მართვაში, ჯერ კიდევ ანტიკური ხანის მოაზროვნეთა ნაშრომებში გვხვდება (სახვაძე ა. 2005. გვ: 15). უფრო კონკრეტულად, ძველ საბერძნეთში პლატონმა და არისტოტელემ განავითარეს იდეები ქალაქ-სახელმწიფოში მოსახლეობის რაოდენობისა და სტრუქტურის კონტროლის შესახებ. პლატონმა (ძვ.წ-ის 428-348 წწ.) თავის „რესპუბლიკაში“ და „კანონებში“ წარმოგვიდგინა იდეალური ქალაქის მოდელი, სადაც სახელმწიფო არეგულირებს არა მარტო ქორწინების ინსტიტუტს, არამედ სქესობრივ ურთიერთობებსაც. აღნიშნულის საფუძველზე ხელისუფალი გააკონტროლებდა მოქალაქეთა რაოდენობას, რომელიც არც დიდი არ უნდა ყოფილიყო და არც პატარა. პლატონის სახელმწიფო ტოტალიტარულია, სადაც მმართველი ელიტა აკონტროლებს ყველა დემოგრაფიულ პროცესს. რაც შეეხება არისტოტელეს (ძვ.წ-ის 384-322 წწ.), ის თავის „პოლიტიკაში“ პლატონის თეორიებს მხარდაჭერას უცხადებს. მისი იდეები დემოგრაფიულ პროცესებზე მოქმედების მექანიზმებთან დაკავშირებით განსხვავდება, თუმცა მთავარი პრინციპი, ხელისუფლების მხრიდან დემოგრაფიული პროცესების ყველა დეტალის კონტროლი, უცვლელი რჩება (ზლოტნიკოვი ა. გ. 2014 გვ: 27;38).

დემოგრაფიული აზროვნებისა და დემოგრაფიული პოლიტიკის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის საფრანგეთის პარლამენტის პრეზიდენტს, განმანათლებელს

შარლ ლუი დე მონტესკიეს (1689-1755). ფრანგი განმანათლებელის სოციოლოგიური შეხედულებები საზოგადოებისა და მისი კანონების შესახებ, მოძღვრება სახელმწიფოსა და სამართალზე, მორალის პრობლემები აღწერა ნაშრომში „კანონთა გონი“. მონტესკიემ საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ფაქტორების, ვაჭრობისა და ფულადი მიმოქცევის გვერდით დააყენა დემოგრაფიული პრობლემები და რელიგია. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი მის მოსაზრებებს შორის არის ის, რომ მისი ხედვით, წარმოდგენილი ფაქტორები ურთიერთდაკავშირებულია და მათი განხილვა რომელიმის გამორიცხვით შეუძლებელია. დემოგრაფიული თვალსაზრისით მისთვის მნიშვნელოვანია მოსახლეობის რიცხოვნობის პრობლემა, რომელიც სახელმწიფოს მართვის პოლიტიკურ ფორმას განსაზღვრავს. მონტესკიე საუბრობს რა დემოგრაფიული პრობლემებზე ისტორიული თვალსაზრისით, თვლის, რომ მოსახლეობა განუწყვეტლივ კლებულობს. ამიტომ ის ხაზს უსვამს, მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებასთან ბრძოლის აუცილებლობაზე. მისი თქმით, ის ტერიტორიები, რომლებიც მან მიმოიხლია მოსახლეობის კლების პირობებში რამდენიმე ათეული წლის შემდეგ შეიძლება გაუკაცრიელდეს და მისი თავიდან ასაცილებლად საჭიროა შესაბამისი ღონისძიებების გატარება (ზლოტნიკოვი ა. გ. 2014 გვ: 95-101).

კანონმდებლობაში დემოგრაფიულ ასპექტებს ვხვდებით რომის იმპერიის შექმნის პირველ ეტაპზე. „ავგუსტუსის კანონების“ სახელით ცნობილი იმპერატორ ავგუსტუსის მიერ მიღებული (ძვ.წ-ის 63- ახ.წ-ის 14 წწ.) კანონმდებლობა ითვალისწინებდა ქორწინებებისა და მოსახლეობის რაოდენობის ზრდის წახალისებას, დასჯადი იყო ღალატი ქორწინებაში მყოფებთან, გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ დაქორწინებულები დაუქორწინებულებთან შედარებით და სხვა. ძველ ჩინეთშიც დემოგრაფიული პოლიტიკას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა, რამაც ჩინელების მრავალი თაობის დემოგრაფიული ქცევა განაპირობა. ძველი ჩინეთის მთავარი იდეოლოგი კონფუცი, მორალურ პასუხისმგებლობას აკისრებდა მამაკაცს გამრავლებასთან დაკავშირებით და მის ერთ-ერთ უმთავრეს დანიშნულებად უსახავდა გვარში ერთი ვაჟის

არსებობას. ადრეულ ასაკში მაღალი მოკვდაობიდან გამომდინარე კონფუცის იდეა მაქსიმალურად მაღალ შობადობასთან დაკავშირებით იმპერატორის მთავარ ბრძანებას წარმოადგენდა (წულაძე გ. სულაბერიძე ა. 2015. გვ: 313-316).

დემოგრაფიული პოლიტიკის ელემენტებს არამხოლოდ ძველი სამყაროს იმპერიათა კანონმდებლობაში ვხვდებით. მისი ელემენტები თითქმის ყველა ეპოქაში გვხვდება, თუმცა თანმიმდევრული და მასშტაბური ხასიათი სოციალური პოლიტიკის ღონისძიებებმა, რომლის ერთ-ერთ მიზანს დემოგრაფიულ პროცესებზე ზეგავლენის მოხდენა წარმოადგენდა, მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოდან შეიძინეს. თანამედროვე სისტემა კი 1940 იანი წლების დასაწყისიდან ჩამოყალიბდა (სახვაძე ა. 2005. გვ: 11).

5.2 დემოგრაფიული პოლიტიკის არსი და მისი განხორციელების

მეთოდები

დემოგრაფიული პოლიტიკა არ არის ქვეყნის მიერ განხორციელებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა და არც მხოლოდ მისი ნაწილი. მისი მიზანია დემოგრაფიულ პროცესებზე ზემოქმედება და მოიაზრებს იმ ღონისძიებებს, რომელიც მიმართულია უშუალოდ მოსახლეობის აღწარმოების პროცესზე გავლენის მოსახდენად, რაც შეიძლება იყოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილიც. დასახელებულ ორ პილიტიკას შორის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი სწორედაც რომ მიზანია. სოციალურ-ეკონომიკური მიზნად არ ისახავს დემოგრაფიული პროცესების ცვლილებას, თუმცა მის ფარგლებში განხორციელებულმა ღონისძიებებმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს, რის გამოც დემოგრაფიული პოლიტიკა იქცევა ხოლმე მის ნაწილად, მაგრამ ამ უკანასკნელის მიზანი, სწორედ რომ მოსახლეობის აღწარმოებაზე ზემოქმედებაა (წულაძე გ. სულაბერიძე ა. 2015. გვ: 304).

დემოგრაფიული პოლიტიკა გაიაზრება ორი მნიშვნელობით: ფართო და ვიწრო. დემოგრაფიული პოლიტიკის ფართო გაგებაში იგულისხმება სოციალურ-ეკონომიკური პირობების რეგულირებისკენ მიმართული ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელსაც მოჰყვება გარკვეული სახის დემოგრაფიული შედეგები (ეს ის შემთხვევაა, როდესაც დემოგრაფიული პოლიტიკა სოციალურის შემადგენელი ნაწილია). ვიწრო გაგებაში მოიაზრება ის ქმედებები, რომელთა პირდაპირი მიზანია გავლენა მოახდინოს დემოგრაფიულ მოვლენებზე (სახვაძე ა. 2005. გვ: 12-13).

„დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება მოითხოვს პარამეტრებისა და მოსახლეობის აღწარმოების იმ ტიპის განსაზღვრას, რომელიც მიჩნეულია ყველაზე სასურველად, ე.ი ოპტიმალურად, პერსპექტივაში“ (კვაშა ა.ი. 1985. გვ:173). მოსახლეობის რაოდენობისა და სტრუქტურის ოპტიმუმის მისაღწევად დემოგრაფიული პოლიტიკა იყენებს შემდეგ მეთოდებს: სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და აღმზრდელობით-ფსიქოლოგიური. სოციალურ-ეკონომიკურ მეთოდში მოიაზრება ოჯახის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, მატერიალური დახმარება ერთჯერადად ან პერიოდულად, ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება, სესხები, კრედიტები, საგადასახადო და საბინაო შეღავათები და სხვა. სამართლებრივი- კანონით ნების მიცემა ან აკრძალვა ისეთი აქტების, რომელიც ეხება აბორტებს, კონტრაცეპტივებს, ქორწინების ასაკს, განქორწინების ნორმებს, მომუშავე დედების დასაქნებასა და შრომის რეჟიმს. და ბოლოს, აღმზრდელობით-ფსიქოლოგიური მეთოდი გულისხმობს მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით რეპროდუქციული ქცევის გარკვეული სტანდარტების პროპაგანდას და სხვა (წულაძე გ. სულაბერიძე ა. 2015. გვ: 304-305). დემოგრაფიული პოლიტიკის ამოცანიდან გამომდინარე, რომელშიც მოიაზრება ქვეყნის მოსახლეობის ოპტიმალური დემოგრაფიული განვითარება, გამოიყოფა მისი ძირითადი მიმართულებები: შობადობის ოპტიმიზაცია, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა, ქორწინება და მტკიცე ოჯახი და მოსახლეობის მიგრაციის რაციონალიზაცია. თითოეულ მიმართულებას თავისი სტრატეგიული პროგრამა გააჩნია და იგი ყალიბდება იმის მიხედვით, თუ რას

დემოგრაფიული პრობლემის წინაზე დგას ქვეყანა (წულაძე გ. სულაბერიძე ა. 2015. გვ: 350).

დემოგრაფიული პოლიტიკის ჩამოყალიბება და მისი განხორციელების კონკრეტული მეთოდების შერჩევა დამოკიდებულია კონკრეტულ ქვეყანაში შექმნილი დემოგრაფიული ვითარების სახელმწიფოებრივ შეფასებაზე, საზოგადოებრივი ჯგუფებისა თუ ცალკეული პიროვნებების მხრიდან პრობლემის გაცნობიერების ხარისხზე. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ქვეყანამ გაატაროს აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკა ან საერთოდ მიმდინარე პროცესებზე ზემოქმედების მოხდენაზე უარი თქვას. აქედან გამომდინარე გამოყოფენ ორ მიმართულებას, პირველი: მემარჯვენე, ლიბერალურ-დემოკრატიული, რომელიც ძირითადი არსი დემოგრაფიულ პროცესებში ჩაურევლობაა; მეორე: მემარცხენე, ცენტრისტული- გულისხმობს დემოგრაფიულ პროცესებზე ზემოქმედებას. სახელმწიფოს „მემარცხენეობის“ თუ „მემარჯვენეობის“ მიუხედავად იგი გარკვეულ წილად მაინც ახდენს გავლენას დემოგრაფიულ პროცესებზე (წულაძე გ. სულაბერიძე ა. 2015. გვ: 305-306). „მემარცხენეობის“ შემთხვევაში, „დემოგრაფიული პოლიტიკა შეიძლება ეფექტური იყოს თუ მისი მიზნები ემთხვევა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთო მიმართულებას“ და შეინარჩუნებს მრავალწლიან მდგრადობას (კვაშა ა.ი. 1985. გვ:175).

დემოგრაფიული პოლიტიკის ობიექტია ასევე მიგრაციაც. გამომდინარე იქიდან, რომ ემიგრაცია და იმიგრაცია გავლენას ახდენს ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობასა და სტრუქტურაზე, მიგრაციული ნაკადების კონტროლი დემოგრაფიული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. „ანალიტიკური თვალსაზრისით მიგრაციული პოლიტიკა ოთხ კონპონენტად შეიძლება დაიყოს: 1. მიმღები ქვეყნის მიგრაციული პოლიტიკა 2. გამშვები ქვეყნის მიგრაციული პოლიტიკა 3. პოლიტიკური შეთანხმებები მიგრაციაზე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან 4. ახალი ელემენტები მიგრაციულ პოლიტიკაში“ (წულაძე გ. სულაბერიძე ა. 2015. გვ: 341-342). მიმღები ქვეყნის მხრიდან


გატარებული პოლიტიკა მიზნად ისახავს გაზრდას, შემცირებას ან არსებულ დონეზე შენარჩუნებას ქვეყანაში შემოსული მიგრანტთა რაოდენობისა. იგივე შეიძლება ვთქვათ ემიგრაციის ქვეყნებზეც, რადგან მიგრაციული ნაკადები გავლენას ახდენენ როგორც იმიგრაციის, ასევე ემიგრაციის ქვეყნების მოსახლეობის რიცხოვნობასა და სტრუქტურაზე. რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან პოლიტიკურ შეთანხმებას მიგრაციის საკითხებზე, ისინი დიდი როლს თამაშობენ ცალკეული ქვეყნების მხრიდან სამიგრაციო პოლიტიკის შემუშავებაში, რომლის კარგი მაგალიათია შენგენის ხელშეკრულება. იგი მიმართულია არალეგალური მიგრაციის კონტროლისათვის. წარმოდგენილი და კიდევ სხვა ხელშეკრულებებმა მიგრაციაზე მაინც ვერ უზრუნველყო მიგრაციული ნაკადების კონტროლი, შესაბამისად ქვეყანათა შორის მიგრაციულ ურთიერთობებში გაჩნდა ახალი ელემენტები. განვითარებული ქვეყნის სახელმწიფოები მივიდნენ დასკვნამდე, რომ იმიგრანტთა რიცხოვნობის კონტროლი ვერ მოხდება, თუ არ იქნება გათვალისწინებული გამშვები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და დადგნენ ახალი გამოწვევის წინაშე. აღნიშნულმა ფაქტმა ახალ ეტაპზე გადაიყვანა ემიგრაციისა და იმიგრაციის ქვეყნებს შორის ურთიერთობები (წულაძე გ. სულაბერიძე ა. 2015. გვ: 342-348).

6. დემოგრაფიული პოლიტიკა საქართველოში

დემოგრაფიული პრობლემები აღიარებულია თანამედროვე მსოფლიოს წინაშე მდგარ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად. განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობა სწრაფად იზრდება, განვითარებული სახელმწიფოები კი არასახარბიელო დემოგრაფიული მაჩვენებლებით ხასიათდებიან. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას დასავლეთ ევროპაში. მსოფლიო მოსახლეობის საოცარი სისწრაფიდ ზრდის ფონზე, მათი მოსახლეობის შობადობის მაჩვენებლები მცირდება. მსგავსი მდგომარეობაა საქართველოშიც.

საქართველო მოსახლეობის შემცირების შედეგად დემოგრაფიულად პოზიციებს კარგავს კავკასიის რეგიონში. გრაფიკი 1-ის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 1950 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა სომხეთისას და ასევე აზერბაიჯანის მოსახლეობას. 10 წელი დასჭირდა აზერბაიჯანს საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის გასათანაბრებლად და მას შემდეგ აქვს ზრდის დინამიკა. რაც შეეხება სომხეთს და საქართველოს, 1990 წლამდე მათი მოსახლეობის რაოდენობაც იზრდებოდა, თუმცა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ფიქსირდება კლების ტენდენცია. აქვე უნდა ავლნიშნოთ, რომ საქართველოსა და სომხეთის მოსახლეობას შორის დიდი რაოდენობრივი სხვაობა მცირდება. გაეროს პროგნოზით, 2050 წლისათვის საქართველოს და სომხეთის მოსახლეობა კიდევ უფრო შემცირდება, რაც შეეხება აზერბაიჯანს, მისი მოსახლეობის რაოდენობა 11 მილიონამდე გაიზრდება. ეს უკანასკნელნი ერთ საუკუნეში მოახერხებენ 8 111 277-ით გაზრდას. საქართველოს მოსახლეობა 1950 წელთან შედარებით დაახლოებით 130 ათასით შემცირდება. სომხეთის მოსახლეობა 1 346 674-ით გაიზრდება გასული საუკუნის 50 წელთან შედარებით, თუმცა მოსახლეობის რაოდენობა კლების ტენდენციით ხასიათდება.

გაეროს მიერ წარმოდგენილი საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვევა. გრაფიკს 1-ზე ვხედავთ, რომ ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობამ 2010 წელს შეადგინა 4 231 661, საქსტატის მიხედვით იგივე წელს იყო 3 799 800. 2014 წლის საყოველთაო აღწერების მიხედვით რაოდენობა შემცირდა 3 713 804 კაცამდე (www.geostat.ge). წარმოდგენილი ინფორმაციიდან გამომდინარე საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა უფრო მცირეა გაეროს მიერ წარმოდგენილ რიცხვებთან შედარებით და დიდი ალბათობით პროგნოზებიც მეტად პესიმისტური იქნება. აქიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ მეცნიერულ საფუძველზე შექმნილი კონსტრუქციული დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება აუცილებელია.



გრაფიკი 1: საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის მოსახლეობის რიცხოვნობა (www.esa.un.org).

დემოგრაფიული პოლიტიკის ელემენტები საქართველოში ადრეულ საუკუნეებშიც გვხვდებოდა, თუმცა სისტემური ხასიათის პოლიტიკის გატარების დაწყება საბჭოთა კავშირს უკავშირდება. სტალინის მმართველობის ეპოქაში მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1944 წლის 8 ივლისს მიღებული აქტი - „ორსული ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გადიდების, დედისა და ბავშვის დაცვის გაძლიერების, „გმირი დედის“ საპატიო წოდების, „სახელოვანი დედის“ ორდენისა და „დედობის მედლის“ დაწესების შესახებ“. აღნიშნული აქტი გახდა შემდეგ სტალინის დემოგრაფიული პოლიტიკის განმსაზღვრელი. იგი მოიცავდა მატერიალურ დახმარების გაზრდას მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის (გაზრდაში იგულისხმება 1936 წლის 27 ივნისს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა მიერ მიღებული დადგენილება, რომლითაც განისაზღვრა მრავალშვილიან დედებისათვის სახელმწიფო დახმარება და ორსული ქალებისათვის დეკრეტული შვებულება), გაიზარდა დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობა 63-დან 77 კალენდარულ დღემდე, საწარმოებს და დაწესებულებებს დაევალოთ დამატებითი

სურსათის მიცემა ორსული და ჩვილ ბავშვიანი დედებისათვის, აეკრძალათ მათი დასაქმება ღამის ცვლის საათებში, სამ და ოთხ შვილიან მშობლების, რომლებსაც ჰქონდათ 400 მანეთზე ნაკლები შემოსავალი, ისინი განთავისუფლდნენ საბავშვო ბაღისა და ბაგა ბაღის 50%-ის გადასახადისგან, ხუთი და მეტი შვილის შემთხვევაში თავისუფლდებოდნენ ხელფასი ოდენობის მიუხედავად. დაწესდა გადასახადი დაუქორწინებლობისა და მარტოხელობისათვის. სავალდებულო გახდა ქორწინების რეგისტრაცია და განქორწინების შესახებ განცხადების გამოქვეყნებას ადგილობრივ გაზეთში (განქორწინების განცხადების გაზეთში გამოქვეყნების რეგულაცია გაუქმდა 1965 წელს) (სახვაძე ა. 2004 გვ:101-113).

1944 წელს მიღებული აქტი პირველ რიგში მიმართული იყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დემოგრაფიული ვითარების გასაუმჯობესებლად. სტალინის გარდაცვალების შემდეგაც დემოგრაფია, როგორც მეცნიერების დარგი და დემოგრაფიული პრობლემები, ხელისუფლებისათვის პრიორიტეტი იყო. საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან გატარებულმა ღონისძიებებმა გარკვეულწილად გაამართლა, რისი თქმის საფუძველსაც სტატისტიკური მასალები გვაძლევს. 1950 წლიდან, რა დროიდანაც გაერო გვაწვდის სტატისტიკურ ინფორმაციას, 1990 წლამდე, საბჭოთა კავშირის დაშლამდე შ.ზ.კ (შობადობის ზოგადი კოეფიციენტი) და ბმ.ზ.კ (ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი) შემდეგნაირად გამოიყურება: ცხრილ 1-ზე, როგორც ვხედავთ, შ.ზ.კ და ბმ.ზ.კ 1960-65 წლამდე იზრდება და თავის მაქსიმუმს აღწევს. შემდეგ წლებში შედარებით იკლებს, თუმცა წარმოდგენილი რაოდენობა მაინც მაღალია. 1960-65 წლამდე მაჩვენებლების ინტენსიური მატება მხოლოდ სტალინის დემოგრაფიულ პოლიტიკას ვერ დავაბრალებთ, რადგან ეს არის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი და ამ წლებში არამხოლოდ საბჭოთა საქართველოში, არამედ მთელს მშოფლიოში ძალიან მაღალი იყო შობადობა. 1965 წლის შემდეგ მიღებული მაჩვენებლები შესაძლოა იყოს იმ დემოგრაფიული პოლიტიკის შედეგი, რასაც საბჭოთა ხელისუფლება ატარებდა.

წლები								
მაჩვენებლები(%)	1950- 1955	1955- 1960	1960- 1965	1965- 1970	1970- 1975	1975- 1980	1980- 1985	1985- 1990
შ.ზ.კ	22.7	25	24.3	21.2	18.9	18.4	18.7	18.3
ბმ.ზ.კ	7.8	11.7	12.8	11.3	9.8	9.7	9.4	9.1

ცხრილი 1: საქართველოს შ.ზ.კ (შობადობის ზოგადი კოეფიციენტი), ბმ.ზ.კ (ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი) (%) (www.esa.un.org).

საბჭოთა კავშირის დაშლის და საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შემდეგ, დემოგრაფიული მაჩვენებლები მნიშვნელოვნად შეიცვალა. ქვეყანაში შექმნილმა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ და ქვეყნის შიგნით არსებულმა საომარმა მოქმედებებმა დიდი გავლენა მოახდინეს საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიულ ქცევაზე. პირველ რიგში უნდა ვისაუბროთ მიგრაციაზე. საბჭოთა კავშირი ჩაკეტილი სახელმწიფო იყო და მიგრაციული პროცესები მიმდინარეობდა მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის. სსრკ-ს დაშლის შემდეგ საზღვრები გაიხსნა და საქართველო დატოვა არამხოლოდ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებმა და დაუბრუნდნენ სამშობლოს, არამედ საქართველოს მოქალაქეებმაც. მნიშვნელოვნად შემცირდა შობადობა, გაიზარდა სიკვდილიანობა. უარყოფითი მიგრაციის სალდოსა და დაბალი ბუნებრივი მატების შედეგად მოსახლეობის რაოდენობა 1990 წლიდან დღემდე იკლებს.

გასული საუკუნის 90-იან წლების სტატისტიკური ინფორმაცია არ არის ყოველთვის ზუსტი და იგი მოიცავს შეფასებით რიცხვებსაც. ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე ვერ ხდებოდა ზუსტი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება. საქსტატიც 2014 წლამდე შეფასებით ინფორმაციას აქვეყნებს. 2014 წლიდან ეყრდნობა რეგისტრირებულ მონაცემებს (www.geostat.ge).

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოში პოლიტიკური სისტემის ცვლილების შემდეგ შეიცვალა დემოგრაფიული პოლიტიკა და დემოგრაფიული პოლიტიკისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულება. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანაში იმდენად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება შეიქმნა, ერთიანი დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებისა განხორციელებისათვის საჭირო რესურსები ვერ მოიპოვებნა. 2000-იანი წლების შემდეგ ქვეყანაში დაიწყო საუბარი დემოგრაფიულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზების მოძიების აუცილებლობაზე, მაგრამ არც ამ შემთხვევაში გახდა ქართული სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული აღნიშნული საკითხი. დემოგრაფიაზე ზრუნვა მხოლოდ ცალკეული კანონების მიღებით იქნა გამოხატული და ერთიან შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკა არ არსებობდა.

ქართული დემოგრაფიული პოლიტიკისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა დაიწყო 2013 წლიდან. 2013 წლის 16 მაისის მთავრობის მიერ იქნა მიღებული N111 დადგენილება - „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელი ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა მშობიარობისა და საკეისრო კვეთის დაფინანსება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში (ლიმიტი 500 ლარი). 2013 წლის 27 სექტემბერს, შრომის კოდექსში დეკრეტული შვებულების შესახებ კანონში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილება: 1) გაიზარდა შვებულების ხანგრძლივობა 4-დან 6 თვემდე; 2) ანაზღაურებადი შვებულების პერიოდში სახელმწიფოს მხრიდან გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობა განისაზღვრა არაუმეტეს 1000 ლარით. 2014 წლის 1 ივლისს საქართველოს მთავრობის დადგენილებით 6 რეგიონში: რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი, სამეგრელო ზემო სვანეთი, გურია, კახეთი, იმერეთი, მცხეთა-მთიანეთი, ყოველ მესამე და შემდეგი ბავშვის დაბადების შემთხვევაში განისაზღვრა ფულადი დახმარება ბარში 150 ლარის ოდენობით, მთაში 200 ლარის ოდენობით, მანამ სანამ ბავშვი არ მიაღწევს 2 წელს. იმავე წელს, კანონით აბორტამდე მოსაფიქრებელი ვადა 3-დან 5 დღემდე გაიზარდა (www.matsne.gov.ge).

2016 წელი ქართული დემოგრაფიული პოლიტიკის ისტორიაში უმნიშვნელოვანესია. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ წელს, დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის მანძილზე, პირველად მოხდა არსებული დემოგრაფიული პრობლემის გააზრება, მის გადასაჭრელად მრავალწელზე გათვლილი და ყოვლისმომცველი კონცეფციის შექმნა, რომელიც დამტკიცებული იქნა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს, პარლამენტის მიერ. 2016 წლის 24 ივნისს პარლამენტის მიერ იქნა მიღებული დადგენილება: „საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია“. უსაფრთხოების კონცეფციის მიღებას წინ უსწრებდა 27 მაისს, ასევე პარლამენტის დადგენილება: „საქართველოს მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია“. ორივე კონცეფცია არის სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელიც მიხედვითაც განისაზღვრება ქვეყნის დემოგრაფიული კურსი შემდეგი წლების მანძილზე (www.matsne.gov.ge).

საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციის ძირითადი მიზნებია: ა) ქვეყანაში მოსალოდნელი მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების (დეპოპულაციის) შეჩერება; ბ) საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის რაციონალიზაციით ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის სტაბილიზაცია; გ) ქვეყნის მოსახლეობის ბოლოდროინდელ და მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებული გამოწვევების დასაძლევად და შესაძლებლობების გამოსაყენებლად ერთიანი კონცეპტუალური მიდგომის ჩამოყალიბება და ამით ეროვნული უსაფრთხოების სფეროში არსებული და შესაძლო რისკების თავიდან აცილება. საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციის პრიორიტეტული სფეროებია: 1. შობადობა, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა 1.1. მოსახლეობის აღწარმოებისა და შობადობის ზრდა 1.2. პასუხისმგებლობიანი მშობლის ინსტიტუტისა და ბავშვის ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა 1.3. რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების, ინფორმაციისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა 1.4. ოჯახის შექმნის, შობადობის განვითარებისა და ბავშვთა კეთილდღეობის სფეროებზე საქართველოს

მთავრობის სხვადასხვა ღონისძიების გავლენის მუდმივი მონიტორინგი 1.5. შობადობისა და სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებები 2. ავადობა და სიკვდილიანობა 2.1. სარეგისტრაციო ჩანაწერის საფუძველზე ზუსტი, სრული და დროული დემოგრაფიული სტატისტიკური მონაცემების (მათ შორის, გარდაცვალების მიზეზების შესახებ მონაცემების) მომზადება 2.2. ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიანი სერვისების საყოველთაო ხელმისაწვდომობა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მიერ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანების საჭიროებებზე ქმედითი და სამართლიანი რეაგირება 2.3. ადამიანური რესურსების გაძლიერება კარგად მართული, ეფექტიანი და მოტივირებული ჯანმრთელობის დაცვის პერსონალით 2.4. ავადობისა და სიკვდილიანობის კვლევის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებები 3. მიგრაცია 3.1. რეგიონებში განვითარების ცენტრების შექმნა 3.2. რეგიონებში მდგრადი დასაქმების შესაძლებლობების შექმნა მათი ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად 3.3. იძულებით გადაადგილებული პირებისა და ეკომიგრანტებისათვის წარმატებული სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის პირობების შექმნა 3.4. დიასპორისა და საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების ადამიანური კაპიტალის ქვეყნის განვითარების პროცესში გამოყენების ხელშეწყობა 3.5. მიგრაციის სფეროში ჩასატარებელი კვლევები 4. მოსახლეობის სტრუქტურა და მოსახლეობის დაბერება 4.1. შრომის ბაზრების ადეკვატური რეაგირება მოსახლეობის სტრუქტურასა და მოსახლეობის დაბერებაში მიმდინარე ცვლილებებზე 4.2. ყველა ასაკის ადამიანის ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მათი მონაწილეობა საზოგადოების განვითარებაში 4.3. გაუმჯობესებული ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა მთელი სიცოცხლის განმავლობაში 4.4. ასაკზე მორგებული ფიზიკური და ფსიქოსოციალური გარემოს უზრუნველყოფა 4.5. შემოსავლების დაცულობისა და სოციალური დაცვის ადეკვატური ზომების უზრუნველყოფა 4.6. მოსახლეობის სტრუქტურისა და მოსახლეობის დაბერების სფეროში ჩასატარებელი კვლევები (www.matsne.gov.ge).

კონცეფციის მიზნების მისაღწევად საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა 2017-2030 წლების დემოგრაფიული უსაფრთხოების სტრატეგია და სტრატეგიის განხორციელების 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმა. საქართველოს მთავრობამ შექმნა მოსახლეობის განვითარების ეროვნული საბჭო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კონცეფციაში გაწერილი მიზნების მიღწევა. საბჭოს თავჯდომარე არის საქართველოს პრემიერ მინისტრი. წევრები არიან საქართველოს მინისტრთა კაბინეტი სრული შემადგენლობით; საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე; საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე; საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე; საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე; საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარე; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე; სახელმწიფო რწმუნებულები – გუბერნატორები; შესაბამისი სფეროს ექსპერტები (www.matsne.gov.ge).

საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციის მიღებისა და მისი განმახორციელებელი ინსტიტუციური მექანიზმის შექმნის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დემოგრაფიული პრობლემები და დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელება ქართული სახელმწიფოსათვის პრიორიტეტი გახდა. აღნიშნულზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 2016 წლიდან დღემდე მიიღებულ იქნა სამთავრობო დადგენილებები, მუშავდება პროექტები, რომლებიც ემსახურებიან შექმნილი დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებას.

2017 წლის 4 მაის ცვლილება შევიდა „შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის“ შესახებ კანონში. ცვლილების მიხედვით გამარტივდა შვილად აყვანა. 2015 წლის 16 ივლისს მიღებულ იქნა კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“,

კონსოლიდირებული (საბოლოო) ვერსია დამტკიცდა 2017 წლის 26 ივლისს. მაღალმთიან რეგიონად განისაზღვრა ჰიფსომეტრიული სიმაღლის მიხედვით ზღვის დონიდან 1500 მეტრზე ან მის ზევით მდებარე დასახლებული ტერიტორია. თუმცა საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია სხვადასხვა კრიტერიუმებით არანაკლებ 800 მეტრ სიმაღლეზე მდებარე დასახლებულ პუნქტსაც მიანიჭოს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი. წარმოდგენილი კანონის თანახმად გათვალისწინებულია სოციალური დახმარებები მაღალმთიან დასახლებაში, საგადასახადო შეღავათები, იქმნება მთის განვითარების ეროვნული საბჭო და მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდი (www.matsne.gov.ge). კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ხელს უწყობს მთის მოსახლეობის ბარში მიგრაციის შეჩერების პროცესს და ამით მაღალმთიან რეგიონებში მოსახლეობის შენარჩუნებას. თანამედროვე საქართველოს პრობლემა არამხოლოდ გარე მიგრაცია, შემცირებული შობადობა და მოსახლეობის დაბერებაა, არამედ შიდა მიგრაციული პროცესებიც. „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ კანონში“ ასევე ვხვდებით უშუალოდ შობადობის წამახალისებელ მუხლებს. მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად ამ კანონის ამოქმედების შემდეგ დაბადებული პირველი ბავშვისა და მეორე ბავშვისათვის, რომელთა ერთ-ერთი მშობელი არის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით 1 წლის განმავლობაში ყოველთვიური ფულადი დახმარების – არანაკლებ 100 ლარის – მიცემას, ხოლო მესამე ბავშვისა და ყოველი შემდგომი ბავშვისათვის – 2 წლის განმავლობაში ყოველთვიური ფულადი დახმარების – არანაკლებ 200 ლარის – მიცემას (www.matsne.gov.ge).


გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ 2015 წელს ჩატარებული კვლევის „გენდერულ ნიშნით სქესის შერჩევა საქართველოში“ მიხედვით, საქართველოში 1985 წლიდან დაბადებისას სქესთა შორის თანაფარდობა მნიშვნელოვნად დარღვეულია. ნორმად მიჩნეულია 100 დაბადებულ გოგონაზე 105-106 ბიჭი. კვლევის თანახმად 1985 წლიდან საქართველოში დაფიქსირდა დაახლოებით 111, 1997 წელს გაიზარდა 118-მდე, შემდეგ

წლებში იკლბეს, თუმცა კვლავ მაღალი რჩება (<https://georgia.unfpa.org>). დაბადებისას მსგავსი თანაფარდობა არის საფუძველი მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურის დარღვევისა. ამის საფუძველზე 2017 წელს გამოიცა მთავრობის დადგენილება, რომლის თანახმადაც აიკრძალა სელექციური აბორტები (www.matsne.gov.ge).

ჩამოთვლილი საკანონმდებლო ცვლილებების გარდა კიდევ არსებობს ორი პროექტი. პირველი გულისხმობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანას. ცვლილებაში იგულისხმება მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის განსაზღვრა და მრავალშვილიანი მშობლის სოციალური დაცვის უზრუნველყოფის წესის და პირობების განსაზღვრა. ცვლილების თანახმად მრავალშვილიანი მშობელი არის პირი, რომელსაც ჰყავს ოთხი ან მეტი შვილი ან/და ნაშვილები. მეორე პროექტი ეს არის საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილება, რომელიც გულისხმობს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ ერთ- ან ორშვილიან პირს (რომლის კმაყოფაზეა 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი) მაღალმთიან დასახლებაში საბიუჯეტო ორგანიზაციიდან კალენდარული წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიღებულ 3000 ლარამდე დასაბეგრ შემოსავალზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის 50%-ით შემცირებას (<http://parliament.ge>).

გასული საუკუნის 90-იან წლებთან შედარებით დადებითად შეიცვალა საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლები. გრაფიკ 2-ზე როგორც ვხედავთ, მცირედით გაზრდილია შობადობა და დაბადებისას სქესთა შორის სხვაობა შემცირებულია. 2015 წელს, 2000 წელთა შედარებით ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა გაზრდილია, თუმცა 2017 წელს 2015 წელთან შედარებით 5 956-ით შემცირდა. ზრდის დინამიკა განაპირობა სახელმწიფოს მხრიდან გატარებულმა ღონისძიებებმა, რომლებიც მიმართული იყო შობადობის გაზრდისთვის. 2017 წელს კლება, კი სავარაუდოდ გამოწვეულია 1990-იანი წლების „მცირე თაობით“. 90-იან წლებში დაიბადა გაცილებით ნაკლები ბავშვი წინა წლებთან შედარებით. ეს არის ზუსტად ის თაობა, რომელიც ახლა შედის რეპროდუქციულ


ასაკში. შობადობის წამახალისებელი ღონისძიებების მიუხედავად, შემდეგ წლებშიც უნდა ველოდოთ შობადობის შემცირებას, რადგან მცირე თაობის პირობებში, მისი შემდგომი თაობა კიდევ უფრო ნაკლები იქნება.



გრაფიკი 2: საქართველოში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა სქესის მიხედვით (www.geostat.ge)

გასულ საუკუნის ბოლო პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად არ შეცვლილა შ.ზ.კ (შობადობის ზოგადი კოეფიციენტი); მ.ზ.კ (მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი) და ბმ.ზ.კ (ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი). გრაფიკ 3-დან ირკვევა, რომ 1995 წლიდან 2015 წლამდე შ.ზ.კ გაიზარდა. 1995 თუ ის იყო 10,6‰, 2015 წელს დაფიქსირდა 15,9‰, თუმცა 2017 წელს შემცირდა 3.1 ‰-ით. მ.ზ.კ 1995 წელთან შედარებით 2017 წელს გაზრდილია 2.2‰, შესაბამისად არც ბმ.ზ.კ არ არის ოპტიმალური რაოდენობის. მნიშვნელოვნად დადებითი ტენდენცია აქვს გ.მ.კ-ს (გარე მიგრაციული კოეფიციენტი), - 37,9‰-დან -0,6‰-მდე შემცირდა. 90-იან წლებში მაღალა ემიგრაცია განპირობებული იყო არამხოლოდ ქართული მოსახლეობის გასვლით ქვეყნიდა, არამდე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის ისტორიულ სამშობლოში


დაბრუნებით. რაც შეეხება თანამედროვე ვითარებას, გ.მ.კ-ს შემცირება განაპირობა ძირითადად აზიური სახელმწიფოებიდან იმიგრანტების რაოდენობის ზრდამ.



გრაფიკი 3: საქართველოს შ.ზ.კ (შობადობის ზოგადი კოეფიციენტი); გ.მ.კ (გარე მიგრაციული კოეფიციენტი); ბმ.ზ.კ (ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი) მ.ზ.კ (მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი) (%) (www.geostat.ge).

ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის გამრავლებისთვის მნიშვნელოვან რიგით მესამე და შემდეგი შვილების რაოდენობის გაზრდა. ამ მხრივ, ბოლო წლებში დადებითი ტენდენცია შეინიშნება. გრაფიკი 4 გვიჩვენებს საქართველოში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობას დაბდადების რიგითობის მიხედვით 2000 წლიდან 2017 წლის ჩათვლით. გრაფიკზე ჩანს, რომ 2000 წელთან შედარებით 2017 წელს რიგით მეორე ბავშვის რაოდენობა გაზრდილია. მნიშვნელოვნად არის გაზრდილი რიგით მესამე ბავშვის რაოდენობა. მცირედი, მაგრამ მატების ტენდენცია აქვს 4 და 5+-ს. აქვე უნდა ავღნიშნოთ, მიუხედავად იმისა, რომ მე-3, მე-4 და 5+ ბავშვების რაოდენობა 2015 წელთან შედარებით 2017 წელს გაზრდილია, შემცირდა პირველი და მეორე ბავშვების რიცხოვნობა. როგორც, ზემოთ ავღნიშნეთ, შობადობის შემცირებას შემდეგ წლებში განაპირობებს 90-იანი წლების მცირე

თაობა, ამიტომ საჭიროა უფრო ეფექტური ღონისძიებების გატარება არსებული ვითარების გასაუმჯობესებლად.



გრაფიკი 4: საქართველოში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა დაბადების რეგიტრის მიხედვით (www.geostat.ge)

7. „დეკრეტული შვებულების პირობების გავლენა ქალთა რეპროდუქციულ განწყობაზე“ (2018) - ანალიზი.

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა „დეკრეტული შვებულების პირობების გავლენა ქალთა რეპროდუქციულ განწყობაზე“ (2018) მიზნად ისახავდა სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდით იმ კონკრეტული ფაქტორების გამოკვლევას, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ზემოქმედებენ ქალთა გადაწყვეტილებაზე გააჩინონ შემდეგი შვილი. დასაქმებული და უმუშევარი ქალების გამოკვლევით დადგენა, რამდენად ზემოქმედებს არსებული პირობები ქალების გადაწყვეტილება და სხვა ასპექტების გამოყოფა, რომლებიც შვილის გაჩენისათვის დამაბრკოლებლად აღიქმება.

7.1 დეკრეტული შვებულების პირობები, როგორც შობადობის შემაფერხებელი ფაქტორები

სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზმა მომცა შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალება: არსებული დეკრეტული შვებულების პირობები მეტად მტკივნეული საკითხია იმ ქალებისათვის, ვისაც არ უნარჩუნდებათ ხელფასი დეკრეტული შვებულების პირობებში და ამავდროულად ოჯახს არ აქვს მისთვის სასურველი ეკონომიკური მდგომარეობა. თუ ოჯახის შემოსავლებში დიდი წილი არ მოდის ქალის ხელფასზე, დეკრეტული შვებულების არსებული პირობები ნაკლებად მტკივნეულია. არსებული პირობები იწვევს შემდეგი შვილის გაჩენის გადავადებას დასაქმებულ ქალებში და სასურველი რაოდენობის შვილის ყოლის შესაძლებლობის შეზღუდვას. არსებული დეკრეტული შვებულების პირობები არ მოქმედებს იმ უმუშევარი ქალების რეპროდუქციულ განწყობაზე, რომლებიც დაქორწინების შემდეგ არ მუშაობდნენ ან მათი ანაზღაურება ოჯახის საერთო შემოსავალში უმნიშვნელოა.

არსებული დეკრეტული შვებულების პირობები, 30 წლის დასაქმებული რესპოდენტისათვის ქალისა და ბავშვის უფლებების შემზღუდავად აღიქმება - „მე ვთვლი, რომ ბავშვი უნდა იზრდებოდეს დედასთან ერთად და დედას სრული უფლებაა მუშაობდეს“. აღნიშნული უფლების შემზღუდავად ის ასახლებს ხელისუფლებას, რადგან სწორედ ხელისუფლება არეგულირებს კანონმდებლობას და მოქმედი შრომის კოდექსით დედასაც და შვილსაც ეზღუდება დასახელებული უფლებები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ქალი ერთხმად ხაზს უსვამს ბავშვის აღზრდის პროცესში დედის უმნიშვნელოვანეს როლს და შვილთან დიდი დროის გატარების მნიშვნელობას. თუმცა ფინანსები მნიშვნელოვანია ბავშვის ფიზიკური არსებობისათვის. არსებული დეკრეტული შვებულების პირობებში კი, როდესაც ქალს სხვა ალტერნატივა არ რჩება, მშობიარობიდან რამდენიმე კვირაში ან თვეში უბრუნდება სამსახურს, რაც უარყოფითად მოქმედებს, როგორც დედაზე, ასევე ახალშობილზე.

ერთ-ერთი დასაქმებული ქალი, რომელსაც აქვს პერსპექტიული კარიერა და ინტენსიურად მუშაობს პროფესიულ განვითარებაზე, სამსახურიდან დიდი დროით მოწყვეტას აღიქვამს პროფესიული უნარების დაქვეითების მიზეზად. მცირეწლოვანი შვილის ყოლისას იგი მთელ დროსა და ენერჯიას ბავშვს ახმარს და დეკრეტული შვებულების განვამლობაში სრულიად მოწყვეტილია პროფესიულ საქმიანობას. თუმცა ქალი მაინც იხანგრძლივებს დეკრეტულ შვებულებას არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. არასახარბიელო ეკონომიკურ მდგომარეობაში იგულისხმება ძიძის მოვლისათვის საჭირო ფინანსების არ ქონა. ქალი აღნიშნული პრობლემას აწყდება მაშინ, როდესაც ძიძის აყვანის აუცილებლობის წინაშე დგება, რადგან მისი სამსახურში ყოფნის დროს არ ჰყავს ბავშვის აღმზრდელი. თუ დედის ანაზრაურება მცირედით აღემატება ძიძისას, ის არჩევს დეკრეტული შვებულების გახანგრძლივებას 6 თვიდან 1 წლამდე, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დრო მისი მხრიდან აღიქმება პროფესიული უნარ-ჩვევების რეგრესის პერიოდად.

დეკრეტული შვებულება შეიძლება გახდეს შობადობის შემცირების ერთ-ერთი მიზეზი, რადგან არსებული პირობები იწვევს ეკონომიკურ პრობლემებს. ქალები ფაქტიურად შემოსავლის გარეშე რჩებიან მინიმუმ 6 თვის მანძილზე (1 წელი შეიძლება გახანგრძლივდეს უხელფასობის დრო თუ ქალი დეკრეტული შვებულებით ერთ წლამდე ისარგებლებს) ეს იმ დროს, როდესაც შემდეგი შვილის გაჩენის მთავარ ფაქტორად ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა დასახელდა. 27 წლის დასაქმებული რესპოდენტი: „ვისაც უნდა, რომ ბავშვი ნორმალურ და ღირსეულ პირობებში გაზარდოს იმისთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური მდგომარეობა“.

გამოკითხული ქალების მხრიდან სასურველი რაოდენობის შვილის ყოლის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად დასახელდა ოჯახის არსებული ფინანსური მდგომარეობა. ოჯახის ეკონომიკური პირობები შვილის აღსაზრდელად მნიშვნელოვანია როგორც დასაქმებული, ასევე უმუშევარი ქალებისათვის. სამსახურიდან მიღებული ანაზრაურება იმ

შემთხვევაში არის ნაკლებად მნიშვნელოვანი შვილის გაჩენისათვის, როდესაც ქალს აქვს შემოსავლის სხვა წყაროები. მაგალითად, წლების მანძილზე დანაზოგის სახით, რომელსაც საჭიროებისამებრ ხარჯავს. დეკრეტული შვებულების არსებული პირობები ნაკლები ფინანსური ზარალის მომტანია მეორე სამსახურის ქონის შემთხვევაში, სადაც დედა სარგებლობს უფრო მოქნილი გრაფიკით, მშობიარობის შემდეგაც აქვს შესაძლებლობა შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა სახლიდან გაუსვლელად და შესაბამისად უნარჩუნდება ხელფასი.

მშობლებისგან გაწეული ფინანსური დახმარების „ლეგიტიმურ“ შემოსავლის წყაროდ აღქმა დამოკიდებულია ქალის დამოუკიდებლობის ხარისხზე. დამოუკიდებელი ქალი, რომლის ცხოვრებაში ქმრის გარდა სხვა ადამიანები ნაკლებ როლს თამაშობენ, დედამთილის მიერ გაწეულ დახმარებას არ მიიჩნევს ლეგიტიმურად. იმ პირობებში, როდესაც ბავშვის მშობლები დასაქმებულები არიან და მაინც საჭიროებენ ოჯახის სხვა წევრების მხრიდან მატერიალურ და არამატერიალურ დახმარებას, აღნიშნულის მიზეზად არასამართლიანი შრომის კოდექსის არსებობას ასახელებს. ის მოთხოვნებს სახელმწიფოს უყენებს და მისგან ითხოვს უფრო სამართლიანი შრომის კოდექსის შექმნას, რომელიც მისცემს მას შესაძლებლობას ჰქონდეს ღირსეული სამუშაო პირობები, შესაბამისი ანაზღაურება, დეკრეტული შვებულების უფრო მოქნილი პირობები, რაც მისი ოჯახის ფინანსურ დამოუკიდებლობას განსაზღვრავს.

დეკრეტული შვებულების შედეგად წამოჭრილი შემდეგი პრობლემა არის დედის სამსახურში ყოფნის დროს ადგილი, სად უნდა აღიზარდოს ბავშვი ან ვის მიერ. ეკონომიკური მდგომარეობა ქალს აიძულებს 6 თვის შემდეგ სამსახურში დაბრუნებას, მაგრამ დგება ახალი პრობლემის წინაშე, სად შეიძლება იყოს მისი შვილი ან ვინ უნდა აღზარდოს. თუ მას ჰყავს დამხმარეები, აღნიშნული პრობლემა იხსნება, მაგრამ მსგავსი პიროვნების არ ყოლისას ბავშვის გამზრდელი შეიძლება იყოს მხოლოდ ძიძა. საქართველოში არც კერძო და არც საჯარო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება

(საბავშვო ბაღი) არ იღებს ექვსი თვის ბავშვს. კერძო საბავშვო ბაღებში მიღება ხდება 1 წლიდან, არის რამდენიმე გამონაკლისი, სადაც 10 თვის ბავშვის გაზრდაზე იღებენ პასუხისმგებლობას, თუმცა გადასახადი სხვებთან შედარებით მაღალია. რაც შეეხება საჯარო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს, რეგისტრაცია შესაძლებელია ერთი წლის და ექვსი თვიდან. ძიძა ყველა დედისთვის არ არის ხელმისაწვდომი. ერთ-ერთი რესპოდენტის თქმით მისი და ძიძის ანაზღაურება თანაბარია, ასეთ ვითარებაში ის დეკრეტული შვებულების 1 წლამდე გახანგრძლივებას არჩევს, რაც კიდევ უფრო მეტად კრიტიკულს ხდის ოჯახის ფინანსურ მდგომარეობას. აღნიშნულის გარდა შეიძლება იყოს სხვა პრობლემა, რაც გამოისახება ძიძის აღზრდის მეთოდისადმი უნდობლობაში.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისდმი დამოკიდებულება არის ორგვარი. ერთი, როდესაც ქალს გააზრებული აქვს მისი, როგორც ინსტიტუციონალური აღზრდის მექანიზმის მნიშვნელობა და მეორე - მას აღიქვამს მხოლოდ ბავშვის თავშესაფრად. თუმცა ორივე შემთხვევაში იკვეთება საჯარო ბაღებისადმი უნდობლობა. რესპოდენტების აბსოლუტური უმრავლესობის უნდობლობას საჯარო ბაღებისადმი განაპირობებს ჯგუფში ბავშვების ჭარბი რაოდენობა (30-40 ბავში). გამოკითხული დედების აზრით, აღმზრდელები ვერ უმკლავდებიან დიდ ჯგუფებს, საკუთარ მოვალეობებს ვერ ასრულებენ სათანადოდ, რასაც ხშირად მოჰყვება ბავშვების ფიზიკური დაზიანება. თუმცა, ის ქალები, რომლებისათვისაც საბავშვო ბაღი ინსტიტუციონალური აღზრდის მნიშვნელოვანი მექანიზმია, მაინც გამართლებულად მიიჩნევენ შვილების ბაღში მიყვანას. მეორეს მხრივ გამოიკვეთა დედების ისეთი კატეგორია, რომლებიც სკოლამდე შვილების სახლში აღზრდას მიიჩნევენ გამართლებულად. საბავშვო ბაღებს მიმართავენ მხოლოდ მაშინ, როდესაც არ ჰყავთ დამხმარეები ოჯახის წევრების სახით.

7.2 ბავშვების ყოლის სხვა ხელისშემშლელი ფაქტორები

უმუშევარი ქალი აქცენტებს ყოფით პრობლემებზე აკეთებს და ნაკლებად საუბრობს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ უფლებებზე და დეკრეტული შვებულების პირობებზე. ის საუბრობს იმის გათვალისწინებით, თუ რა პრობლემები აწუხებს მას და რა სმენია ახლობლებისგან. 29 წლის უმუშევარი ქალი: „ბევრისგან მსმენია, რომ ორსულობის პროცესი იმდენად რთულია, არ აქვთ სურვილი მისი თავიდან გავლის, განსაკუთრებით თუ ქმრის გარდა სხვა ნათესავებთან ერთად ცხოვრობენ და საცხოვრებელი ფართი არ არის საკმარისი.“ საცხოვრებელი ფართი მნიშვნელობას იძენს რამდენიმე შვილის ყოლის შემთვევაში. ოთახების ის რაოდენობა, რაც საჭიროა ერთი ბავშვისათვის, ვერ იქნება მისადები სამისთვის, თუ ვსაუბრობთ მათთვის ნორმალური გარემოს შექმანაზე. ერთ-ერთი რესპოდენტი აღნიშნავს, რომ მას აქვს მესამე და მეოთხე შვილის ყოლის სურვილი, მაგრამ საცხოვრებელი ფართის სიმცირის გამო არ გეგმავს სასურველი რაოდენობის შვილის ყოლას.

ბავშვის ყოლის ხელისშემშლელ ფაქტორად ასევე სახელდება საზოგადოებრივი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პირობებში შეუძლებელია ქალმა დანიშნულების ერთი პუნქტიდან მეორეში გადაიყვანოს შვილი საბავშო ეტლით, რადგან საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ არის ადაპტირებული საბავშო ეტლისათვის. ახალი ადაპტირებული ავტობუსების შემთხვევაში კი საზოგადოებრივი დამოკიდებულება არის არაადეკვატური და ეტლის ავტობუსში აყვანის მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას ავლენენ. შესაბამისად მშობელი იძულებულია ისარგებლოს დაქირავებული ავტომობილით ან შეიძინოს იგი, რაც კიდევ უფრო ზრდის შვილის ყოლის ხარჯებს.

7.3 სახელმწიფოს როლი არსებული დეკრეტული შვებულების პირობების შედეგად გამოწვეული ვითარების შექმნაში და მისი ვალდებულებები ვითარების გასაუმჯობესებლად.

არსებული დეკრეტული შვებულების პირობების შედეგად გამოწვეულ ვითარების შექმნაში რესპოდენტი ქალების უმრავლესობა, დასაქმების სტატუსის მიუხედავად, აბსოლუტურ პასუხისმგებლობას სახელმწიფოს ანიჭებს. გამოწვეულ ვითარებაში იგულისხმება ოჯახების სკეპტიკური დამოკიდებულება სასურველი რაოდენობის ბავშვების ყოლაზე. რთულ ეკონომიკურ პირობებს ემატება აუნაზღაურებელი დეკრეტული შვებულება. დაბალი საშუალო ხელფასის პირობებში რთულდება მშობლების სამუშაო საათების განმავლობაში ბავშვის გაზრდისთვის საჭირო ადგილის შერჩევა. მათი ხედვით, აღნიშნულს განაპირობებს კაბალური შრომის კოდექსი, რომელსაც სწორედ, რომ სახელმწიფო აყალიბებს. ასევე საუბრობენ დეკრეტული შვებულების მოქმედ პირობებზე და მას გაუმართლებლად მიიჩნევენ საქართველოში შექმნილი დემოგრაფიული კრიზისის ფონზე. მათი აზრით, ქვეყანაში არ ხორციელდება თანმიმდევრული მუშაობა კომპლექსური დემოგრაფიული პოლიტიკის გასატარებლად. ის ერთეული ღონისძიებები, რაც ხორციელდება არ აღიქმება საკმარისად, რაც გადაწყვეტი შედეგების მომტანი შეიძლება გახდეს ქართულ დემოგრაფიულ რეალობაში.

რესპოდენტების ის ნაწილი, რომელიც ავლენს მემარცხენე ორიენტაციას, შვილის ყოლას საზოგადოებრივ საქმედ აღიქვამს. აღნიშნულის საფუძველზე ითხოვენ სახელმწიფოს მხრიდან მეტი დახმარების გაწევას ბავშვების აღზრდაში, რაც გამოიხატება შემდეგში: კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს 6 თვიანი ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება როგორც საჯარო ასევე კერძო სექტორისათვის და ის არ იქნას მინდობილი დამსაქმებლის კეთილ ნებაზე; საბავშვო ბაღების რაოდენობის გაზრდა და ჯგუფებში ბავშვების რაოდენობის შემცირება; ისეთი საჯარო ბაგა-ბაღების შექმნა, სადაც შესაძლებელი იქნება 6 თვის ბავშვის მიღება და მასზე სათანადო ზრუნვა. და ბოლოს,

კანონმდებლობით დიდი ორგანიზაციების დავალდებულება საკუთარი თანამშრომლებისათვის შექმნან დღის ცენტრები. დღის ცენტრში იგულისხმება სამსახურებთან არსებული საბავშვო ბაღები, სადაც ბავშვებს იღებენ 6 თვიდან. აღნიშნული იდეა ყველა გამოკითხული ქალის მიერ იქნა მხარდაჭერილი. ასეთ შემთხვევაში ქალი ზოგავს დროს და ხარჯებს, რომელიც საჭიროა ბავშვის საბავშვო ბაღში მიყვანისათვის. ბუნებრივი კვების შემთხვევაში შვილი და დედა ერთ შენობაშია და ტერიტორიული სიახლოვით კვების პროცესი მარტივდება, მშობელი იძულებული არ იქნება შვილს შეუწყვიტოს ბუნებრივი კვება და ამით ხელოვნური საკვების ყიდვით გამოწვეული დიდი დანახარჯებს თავიდან აირიდებს. ბუნებრივი კვება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მიჩნეულია, როგორც ბავშვის განვითარების საუკეთესო საშუალება. მსგავს გარემოს მშობელი უფრო უსაფრთხო ადგილად თვლის ბავშვისთვის. ბავშვი დღის ცენტრში რჩება მშობლის სამუშაო საათების დასრულებამდე და არა 5 საათამდე, როგორც ეს ხდება საჯარო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში. დღის ცენტრებზე საუბრისას, ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტია გადასახადის ოდენობა. ევროპული გამოცდილებით ის გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე კერძო საბავშვო ბაღებში.

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთება აქტიური დედის სახე, რომელიც მოითხოვს სხვა მშობლების გააქტიურებასაც შვილებისათვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად და ხარისხიანი განათლების მისაღებად, რაც მათი აზრით, სახელმწიფოს მოვალეობაა და რასაც იგი ვერ ასრულებს. მშობლების გაერთიანება და ერთობლივი ძალებით სახელმწიფოსათვის ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნა აღიქმება დადებით მოვლენად და არსებული ვითარებიდან გამოსვლის ერთ-ერთ გზად.

საინტერესოა არსებული შრომის ბაზრისადმი დამოკიდებულების გამოვლენა. მის განსაზღვრაზე გავლენას ახდენს დასაქმების სტატუსი. უმუშევარ ქალი არ ინტერესდება შრომის კოდექსით. ქალი, რომელსაც დიდი სამუშაო გამოცდილება არ აქვს და არ იცნობს შრომის კოდექსს, არსებულ შრომის ბაზარს და დასაქმების პირობებს არ მიიჩნევს შვილის

ყოლისათვის შემაფერხებელ ფაქტორად. მთელი ყურადღება კვალიფიკაციაზე, ქალის მონდომებასა და სურვილზე გადააქვს. 24 წლის უმუშევარი ქალი: „თუ არის ისეთი სამსახური, რომელიც შეესაბამება შენს განათლების დონეს და პროფესიულ გამოცდილებას, არ უნდა იყოს არანაირი პრობლემა სასურველი რაოდენობის შვილის ყოლისა“.

ჩატარებული თვისებრივი კვლევის საფუძველზე შეგვიძლია გამოვიტანოთ ის დასკვნები, რომლებიც ვფიქრობ, გასათვალისწინებელია დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებისას. კვლევიდან გამოიკვეთა, რომ დასაქმებული ქალის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს არსებული დეკრეტული შვებულების პირობები, რაშიც მოიაზრება აუნაზღაურებელი დეკრეტული შვებულება, მისი ანაზღაურების დამსაქმებლის კეთილ ნებაზე დამოკიდებულება; ისეთი ბაგა ბაღების არ არსებობა, სადაც შესაძლებელია 6 თვის ჩვილი ბავშვის მიყვანა და დასახელებული ფაქტებით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემები, ეს იმ დროს, როდესაც სასურველი რაოდენობის შვილის ყოლის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად ოჯახის ფინანსური მდგომარეობა სახელდება.

დაუსაქმებელი ქალების შემთხვევაში დეკრეტული შვებულების პირობები ნაკლებად მნიშვნელოვანია. სასურველი რაოდენობის შვილის ყოლის შემაფერხებელ ფაქტორებად მათი მხრიდან დასახელდა არასაკმარისი საცხოვრებელი ფართის ქონა, ბავშვის ეტლისათვის არაადაპტირებული ქალაქის ინფრასტრუქტურა, დაბალი საშულო ხელფასი, რის გამოც ვერ უმკლავდებიან ბავშვის ყოლით გამოწვეულ ხარჯებს. მათთვის პრობლემა არის ასევე საჯარო საბავშვო ბაღებში არსებული მრავლრიცხოვანი ჯგუფები, რაც საფრთხის შემცველ გარემოს ქმნის მათი შვილებისათვის.

კვლევაში მონაწილე რესპოდენტების მიერ დასახელებული ფაქტები ვფიქრობ, გასათვალისწინებელია დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებისას. ეს არის რეალური შემაფერხებელი ფაქტორები სასურველი რაოდენობის შვილის ყოლისა, რომლებიც დასახელდა დასაქმებული და უმუშევარი ქალების მიერ. წარმოდგენილი

ინფორმაცია მიღებულია თვისებრივი კვლევის მეთოდით და შესაბამისად ვერ ვისაუბრებთ მის რეპრეზენტატულობაზე.

8. დემოგრაფიული პოლიტიკა ევროპის ქვეყნებში

ევროპის ქვეყნებს დემოგრაფიული პოლიტიკის ჩამოყალიბების და გატარების ყველაზე ხანგრძლივი ისტორია აქვთ, რადგან სწორედ ისინი დადგნენ პირველები დემოგრაფიული პრობლემების წინაშე. უმთავრესად, ეს პრობლემა ეხებოდა შობადობის შემცირებას (წულაძე გ. სულაბერიძე ა. 2015. გვ: 316). წარმოდგენილი ნაშრომის შემთხვევაში, დასახელებული ევროპის სახელმწიფოები შერჩეული იქნა იმ ლოგიკით, რომ პირველები ისინი დადგნენ დემოგრაფიული პრობლემების წინაშე და ასევე პირველები იყვნენ დემოგრაფიული პოლიტიკის შექმნასა და განხორციელებაში. შერჩეული ქვეყნები მოიცავს, როგორც ჩრდილოეთ, ასევე დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპას. აღნიშნულს ემატება ის ფაქტიც, რომ წარმოდგენილ ქვეყნების დემოგრაფიულ პოლიტიკაზე ინფორმაცია ვრცელი და ხელმისაწვდომია, რასაც ვერ ვიტყვით ევროპის სხვა სახელმწიფოებზე.

„ნებისმიერი ქვეყნის უსაფრთხოება პირველ რიგში მისი მოსახლეობის არსებობასა და განვითარებასთან დაკავშირებული რისკების შემცირებასა და თავიდან აცილებას გულისხმობს. სწორედ ამიტომ დემოგრაფიული პოლიტიკა განიხილება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს კომპონენტად“ (ანთაზე ც. სამეცნიერო ჟურნალი „დემოგრაფია“ N2 2005. გვ:22). აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე ევროპული სახელმწიფოებისათვის დემოგრაფიულმა პოლიტიკამ პრიორიტეტული მნიშვნელობა შეიძინა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თვითონ ცნებას „დემოგრაფიულ პოლიტიკა“ დიდი სიფრთხილით ეკიდებიან დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის კონცეფციიდან გამომდინარე (წულაძე გ. სულაბერიძე ა.

2015. გვ: 316) და ამის მიხედვით გამოიკვეთა დემოგრაფიული პოლიტიკის „ვიწრო“ და „ფართო“ განმარტება, რაზეც უკვე ვისაუბრეთ.

8.1 საფრანგეთი

ისტორიული თვალსაზრისით ევროპის ქვეყნებიდან პირველმა დემოგრაფიული პრობლემა გაიაზრა საფრანგეთმა. შობადობის შემცირების აღმოჩენის შემდეგ დაიწყო საჯარო დებატები მის მოგვარებასთან დაკავშირებით და ეს არის მე-18 საუკუნის მეორე ნახევარი. ევროპის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით 100 წლით ადრე საფრანგეთმა დაიწყო პრონატალისტური პოლიტიკის (შობადობის გაზრდისთვის მიმართული ღონისძიებები (www.globalmillennial.org)) გატარება. ყველაზე აქტიური ჯგუფი, რომელიც დემოგრაფიულ პრობლემატიკაზე საუბრობდა და მისი გადაჭრის გზებს ეძებდა, ეს იყო „ეროვნული კავშირი“, რომელიც 1896 წელს ჩამოაყალიბა ჟაკ ბერტილიონმა. კავშირის წევრები საუბრობდნენ დემოგრაფიის იმ საკითხებზე, რაც შემდეგ „დემოგრაფიული გადასვლის“ თეორიით იქნა ჩამოყალიბებული (Reggiani H. A. 1966 გვ: 730).


მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან მეორე მსოფლიო ომამდე საფრანგეთში არ წყდებოდა დისკუსიები დეპოპულაციასთან (მოსახლეობის შემცირება, კლება (<http://www.nplg.gov.ge>)) დაკავშირებით. საზოგადოება, მეცნიერები, ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, ორ ჯგუფად გაიყვნენ. ერთი მხარე აპროტესტებდა სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას მოსახლეობის გამრავლების პროცესში, მეორენი შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე მოითხოვდნენ აქტიური ღონისძიებების გატარებას. აღნიშნული პერიოდიდან პირველი მსოფლიო ომი იყო, როგორც მილიტარისტული, ასევე დემოგრაფიულ პრობლემატიკაზე დისკუსიებით, ცხელი პერიოდი. „ეროვნულმა კავშირმა“ საზოგადოებას წარუდგინა სტატისტიკური ინფორმაცია ომის დემოგრაფიულ შედეგებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც 2 მილიონი ჯარისკაცი და სამოქალაქო პირი გარდაიცვალა, 3 მილიონზე მეტი დასახიჩრდა და ასობით ათასი ქალი დაქვრივდა. მათი

განცხადებით ომის შემდგომი საფრანგეთის დემოგრაფიული მომავალი ბუნდოვანი იყო (Schneider H. W. 1990 გვ: 117).

„ეროვნული კავშირის“ მიერ გამოქვეყნებულმა სტატისტიკამ გამოიწვია საზოგადოებრივი და დეპუტატების აზრის ცვლილება. შედეგად 1920 წლის 31 ივლისს საფრანგეთის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც იკრძალებოდა კონტრაცეპტივების პროპაგანდა და აბორტი გახდა არალეგალური. მეორე კანონი მიიღეს 1923 წლის 27 მარტს, რის მიხედვითაც აბორტი გამოცხადდა სისხლის სამართლის დანაშაულად, მაგრამ კანონს ფუნქციონირება დიდი დროით არ გაუგრძელებია (Reggiani H. A. 1966 გვ: 731).

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საფრანგეთის მთავრობა მხოლოდ აბორტების აკრძალვით არ შემოიფარგლა. 1928-30 წლებში მიღებული კანონი ატარებდა სოციალურ სახეს და ყველა დაზღვეულ ოჯახს უფარავდა ბავშვის დაბადებით გამოწვეულ ხარჯებს, სპეციალური შეთავაზება იყო დიდი ოჯახებისთვის, იმ დაბალი შემოსავლის მქონეთათვის, რომლებსაც 3 შვილზე მეტი ჰყავდათ. 1939 წლის ოჯახის კოდექსი კი ითვალისწინებდა ქორწინების პირველ ორ წელში გაჩენილ პირველ შვილზე სოლიდურ ფინანსურ დახმარებას (Reggiani H. A. 1966 გვ: 734). წარმოდგენილმა ღონისძიებებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. აღნიშნულს თან ახლდა ახალშობილებში ქალთა რაოდენობის შემცირება. 1921-25 წლებში თუ ყოველ 1000 დაბადებულ ბიჭზე მოდიოდა 950 გოგო, 1935-37 წლისთვის ეს რაოდენობა 870-მდე შემცირდა. 1936 წლის აღწერი თანახმად ფრანგული ოჯახი არ იყო დიდი, ყოველ ას ოჯახს ჰყავდა ყველა ასაკის 180 ბავშვი და ეს ორ ბავშვიანი ოჯახები, საზოგადოების მხოლოდ მეოთხედს წარმოადგენდნენ (Dyer C. 1978). 1936 წლის აღწერის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ საფრანგეთში გააქტიურდა დემოგრაფიული პოლიტიკის ახალი ფორმა - აღმზრდელობით-ფსიქოლოგიური. აღნიშნულში მოიაზრება პრესისი გააქტიურება. გაზეთებში იბეჭდებოდა

აბორტის საწინააღმდეგო პროპაგანდისტული სურათები (სურათი 1) (Reggiani H. A. 1966 გვ: 738).



სურათი 1: აბორტის საწინააღმდეგო სურათი ერთ-ერთ ფრანგულ გაზეთში 1939. (Reggiani H. A. 1966 გვ: 738)

1940 წლის შემდეგ საფრანგეთის დემოგრაფიული პოლიტიკა ნაკლებად აქტიური გახდა, მაგრამ პრონატალისტური ორიენტაცია ქვეყნისთვის კვალვ აქტუალური რჩება. უნდა ავლნიშნით ის ღონისძიებები, რომლებიც მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ტარდება საფრანგეთში, იგი მოიცავს ფულად წახალისებას იმ ქალებისთვის, რომლებიც შვილის აღსაზრდელად სახლში დარჩენა გადაწყვიტეს, დასაქმებული ქალებისათვის

შვებულების სუფსიდირებას, კონტრაქტების გაყიდვის აკრძალვას (კანონი მოქმედებს 1967 წლიდან), 1064 ფრანკზე მეტს უხდის სახელმწიფო წყვილს მესამე შვილზე (საქართველოს ეროვნული ბანკის მიხედვით ფრანგული ფრანკი ქართულ ლარზე გადაცვლის კურსი არ არის დადგენილი (www.nbg.gov.ge). ევროსთან მიმართებაში 1064 ფრანგული ფრანკი შეადგენს 162.206 ევროს (www.the-converter.net), 162.206 ევრო კი 465.70 ლარია 2018 წლის 23 მაისის მდგომარეობით (www.nbg.gov.ge). არსებობს სამშობიარო გრანტები, ასევე მოქმედებს ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება, პირველ შვილზე იგი მოიცავს 20 კვირას, მეორეზე 40 კვირას, ხოლო მესამე შვილზე უფრო მეტს. საფრანგეთში მშობლებისთვის სარგებლობენ სრული საგადასახადო შეღავათებით მანამ სანამ უმცროსი შვილი არ მიაღწევს 18 წელს, 30% ფასდაკლება აქვთ საზოგადოებრივ ტრანსპორტზე სამშვილიან ოჯახებს, ექთან დედებს უფლება აქვთ ნახევარგანაკვეთზე იმუშაონ ან ყოველმეორე კვირას დაისვენონ და დრო შვილის აღზრდას დაუთმონ სრული განაკვეთის ანაზღაურების პირობებში (www.geographyas.info).

საფრანგეთის პრონატალისტური დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელიც მე-20 საუკუნის პირველი ნახევრიდან ხორციელდება, წარმატებული აღმოჩნდა, რასაც სტატისტიკური ინფორმაცია ადასტურებს. გაეროს (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) ინფორმაციით, საფრანგეთის ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით 1960-1965 წლიდან 2010-2015 წლებამდე სტაბილურად მაღალი იყო (ცხრილი 2). ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც მასზე მაღალი ჰქონდა ეს არის ნიდერლანდები, თუმცა ასევე უნდა ავღნიშნოთ 2010-20115 წლის მდგომარეობა, როდესაც საფრანგეთს 1.1‰-ით უფრო მაღალი ბუნებრივი მატება დაუფიქსირდა (‰-მაჩვენებლის გაანგარიშება მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე (ბორისოვი ვ. ა. 1999. გვ:210)). იგივე გაეროს პროგნოზით ცხრილში მოცემულ ყველა ქვეყანას 2040-2045 წლამდე წარმოდგენილი მაჩვენებელი შეუმცირდება. უარყოფითი მატება ექნება ავსტრიას, ბელგიას, გერმანიას და ნიდერლანდებსაც, ყველაზე მაღალი - შვედეთს 1.4‰, შემდეგ ბრიტანეთს 0.9‰ და საფრანგეთს 0.5‰ (www.esa.un.org). მოცემული რიცხვების

მიხედვით ფრანგული დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელიც მოსახლობის მატების გაზრდისკენ არის მიმართული წარმატებულია, თუმცა პროგნოზს თუ გავითვალისწინებთ, ქვეყანა 21-ე საუკუნეში დადგა ახალი დემოგრაფიული გამოწვევების წინაშე და მოქმედი პოლიტიკაც გადასახედა.

ქვეყნები	წლები								
	1960-1965	1970-1975	1980-1985	1990-1995	2000-2005	2010-2015	2020-2025	2030-2035	2040-2045
შვედეთი	4.8	3	0.3	2.6	0.3	2.5	3.2	1.5	1.4
დიდი ბრიტანეთი	6.5	1.7	1.1	2	1.2	3.4	2.6	1.3	0.9
ავსტრია	6.1	1	-0.3	1	0.2	0	-0.1	-1.7	-2.9
ბელგია	5.1	1.4	0.6	1.4	0.9	1.6	1.4	0.6	-0.2
გერმანია	5.8	-1.1	-1.5	-1.3	-1.5	-2.4	-2.6	-3.6	-4.5
ნიდერლანდები	13.3	7.4	4.1	4.2	3.7	2.3	1.5	0	-1.9
საფრანგეთი	6.8	5.2	3.9	3.4	3.7	3.4	2.2	1.7	0.5

ცხრილი 2: ევროპის ქვეყნებში ბმ.ზ.კ (ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი)(%) (www.esa.un.org)

8.2 შვედეთი

შემდეგი ქვეყანა, რომლის დემოგრაფიულ პოლიტიკასაც განვიხილავ იქნება შვედეთი. შვედეთში პრონატალისტური განწყობები დაფიქსირდა მე-19 საუკუნის ბოლოს, მაგრამ გამოკვეთილი სახელმწიფო დემოგრაფიული კურსი ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან. შვედეთის ისტორია საინტერესოა, რადგან სწორედ შვედებს აქვთ ყველაზე მრავალფეროვანი გამოცდილება დემოგრაფიული მაჩვენებლების გაზრდაზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკისა და სხვა იმ ღონისძიებების გატარებით, რომლებიც ემსახურებიან ქვეყნის პრონატალისტურ დემოგრაფიულ პოლიტიკას. გასული

საუკუნის 90-იან წლებში და 2000-იანების დასაწყისში ბევრი მეცნიერი საუბრობდა შვედური გამოცდილების პოზიტიურობაზე და მსგავსი მიდგომის საჭიროებაზე სხვა ევროპულ სახელმწიფოებში (Gunnar A. 2008 . გვ: 90).

შვედური დემოგრაფიული პოლიტიკის მთავარ ღერძს წარმოადგენს საოჯახო პოლიტიკა. ის ეფუძნება არა მხოლოდ ქალის ორსულობის პერიოდზე ზრუნვას, არამედ გენდერულ თანასწორობას ოჯახში, შრომის ბაზარზე, მშობიარობის შემდეგ ქალთა რეადაპტაციას სამსახურში, კაცების როლის ზრდას ბავშვის აღზრდაში. მათი პროგრამები არის ინდივიდუალური და არა ჯგუფური და ეხმარება წყვილებს გაზარდონ შვილების რაოდენობა სასურველ რიცხვამდე. შვედეთის დემოგრაფიულ პოლიტიკაში დიდი ყურადღება ექცევა დეკრეტულ შვებულებებს. ამ მხრივ არამხოლოდ შვედეთი, არამედ სკანდინავიის სხვა ქვეყნებიც პიონერები იყვნენ დანარჩენ ევროპასთან შედარებით. ორივე მშობლისათვის დეკრეტული შვებულებების სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო 1970-იანი წლებიდან, რათა ადამიანებს ეპოვათ ბალანსი სამსახურსა და ოჯახს შორის, თან ისე, რომ არ დარღვეულიყო გენდერული თანასწორობა. 1974 წელს შვედეთში ამოქმედდა 6 თვიანი ანაზღაურებადი შვებულება ორივე მშობლისთვის, ხოლო 1978 წელს ნორვეგიაში 18 კვირიანი (Meil G. 2013).

სკანდინავიის ქვეყნებშიც დეკრეტული შვებულების განსხვავებული პირობები იყო, რაც ასევე აისახა ქალთა დასაქმებაზე და მათ სამსახურში დაბრუნების ვადებზე. რონსენი და სანსტრომი სწავლობდნენ რა გავლენა ჰქონდა დეკრეტულ შვებულებას სამსახურში დაბრუნებაზე ნორვეგიასა და შვედეთში. ორივე ქვეყანაში ხანგრძლივი იყო შვებულება, მაგრამ ამ მხრივ შვედები უფრო გულუხვები აღმოჩნდნენ. მოცემული ორი ქვეყნიდან, კვლევებმა აჩვენეს, რომ ნორვეგიელი ქალები, მშობიარობის შემდეგ უფრო სწრაფად უბრუნდებოდნენ სამსახურს, ვიდრე შვედები. შვედეთში შვებულების შემდეგ დასაქმების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალია ვიდრე ნორვეგიაში. კვლევამ ასევე დაადასტურა,


რომ შვედეთში 20%-ით მეტი ქალი იყო დასაქმებული, რომელთაც 3 წლამდე შვილი ჰყავდათ, ვიდრე ნორვეგიაში (Marit R.; Sundstrom M. 1996).

დეკრეტული შვებულების დასრულების შემდეგ, შვედებისათვის, ბავშვის და მშობლის ურთიერთობაც პრიორიტეტულია. დღის ცენტრის იდეა სწორედ მათგან წამოვიდა. დღის ცენტრი ეს არის სამსახურებთან არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც ზრუნავენ ყველა ასაკის ბავშვზე. წარმოდგენილი იდეის განხორციელება დაეხმარა ქალებს დაბრუნებოდნენ კარიერულ განვითარებას და პარალელურად ეზრუნათ შვილებზე. 1978 წლის მონაცემებით 0-6 წლის ბავშვთა დედების 69% დასაქმებული იყო, ხოლო იმ ქალთა რაოდენობა, რომლებსაც ჰყავდათ 0-16 ასაკობრივ ჯგუფში შემავალი შვილები, მათგან 1972 წლისათვის 60% მუშაობდა, 1999 წელს კი 82% (Marit R.; Sundstrom M. 2002 გვ:128-129).

დეკრეტული შვებულების ხელმისაწვდომობა ორივე მშობლისთვის, მოქნილი სამუშაო გრაფიკი და მშობიარობის შემდეგ ქალის სამუშაოდ დაბრუნებაზე ზრუნვა შვედებმა გასულის საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყეს. 1974 წელს შვედეთის პარლამენტის მიერ მიღებული კანონის თანახმად 6 თვიანი ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით სარგებლობის უფლება მიეცათ კაცებსაც, რითაც გახდა შვედეთი პირველი ქვეყანა, სადაც მსგავსი კანონი მოქმედებდა. 1980 წლიდან კი ქალს შეეძლო დეკრეტული შვებულების იგივე პირობებით სარგებლობა სამსახურში დაბრუნების გარეშე, თუ ის 24 თვის მანძილზე მეორე შვილს გააჩენდა (Marit R.; Sundstrom M. 2002 გვ:124).

შვედეთში აქტიური საოჯახო პოლიტიკის გატარებას 1970-იანი წლებიდან მნიშვნელოვანი შედეგებიც მოჰყვა. ეს პირველ რიგში შეეხო მეორე, მესამე და მეოთხე შვილის რაოდენობას. გრაფიკი 5-ის მიხედვით მეორე შვილის რაოდენობას მზარდი ტენდენცია ჰქონდა 1990 წლამდე, შემდეგ დაიკლო 2000 წელს, მაგრამ 2000-დან 2002-მდე მცირედი ზრდა შეინიშნება. მესამე და მეოთხე შვილზე მოთხოვნა შვედეთში, მეორესთან შედარებით მნიშვნელოვნად ნაკლები იყო. რიგით მესამე და მეოთხე გაჩენილ ბავშვთა

რაოდენობა თითქმის თანაბარია, თუმცა მესამეთა რაოდენობა მცირედით აჭარბებს და ეს ტენდენცია ნარჩუნდება 2002 წლამდე. ისევე როგორც მეორე შვილის შემთხვევაშიც დარჩენილი ორის მაჩვენებელიც თავის პიკს 1990 წელს აღწევს, შემდეგ კლების ტენდენცია და 2002 წელს უმნიშვნელო მატებაა (Andersson G. 2004). წარმოდგენილი გრაფიკის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შვედეთის საოჯახო პოლიტიკამ გაამართლა. ორიენტაციის აღებამ ანაზღაურებად და მოქნილ გრაფიკიან დეკრეტული შვებულებაზე, შრომის ბაზარზე ქალთა უფლებების გაზრდამ, კაცების მეტად ჩართულობამ შვილების გაზრდაში მეორე, მესამე და მეოთხე ბავშვზე მოთხოვნა გაიზარდა.



გრაფიკი 5: შვედეთში მე-2, მე-3 და მე-4 შვილის გაჩენის დინამიკა (%) (Andersson G. 2004).

შვედეთში პირველ შვილთა მიმართებაში საინტერესო ტენდენცია ჩამოყალიბდა 1965-დან 1995 წლამდე. პირველ შვილზე საუბრისას მნიშვნელოვანია დედის ასაკის გათვალისწინება. 1965 წლის მდგომარეობით 16-28 წლის ქალებში უფრო მაღალი იყო მოთხოვნა პირველი შვილის გაჩენისა ვიდრე 31-45 ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებში. მათი რაოდენობა გათანაბრდა 1980 წლისთვის, მას შემდეგ კი მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა 31-45 ასაკობრივი ჯგუფისა, ხოლო მკვეთრი კლება 16-28 ასაკობრივ

ჯგუფში. მათ შორის სხვაობის მაქსიმუმი იყო 1995 წელს (Andersson G. 1999. გვ:7). 16-28 წლის ასაკში შვილის გაჩენის მოთხოვნის შემცირება განპირობებულია ქალებისათვის უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომლობით, მათი გააქტიურებით შრომით ბაზარზე, შედეგად, შვილის გაჩენის დროც გადავადდა. 31-45 წლის ასაკის ქალებში პირველი შვილის გაჩენის მოთხოვნის გაზრდა შესაძლოა არის მიზეზი რიგით მესამე და მეოთხე ბავშვების რაოდენობის მნიშვნელოვანი სიმცირისა, რაც საბოლოო ჯამში იწვევს ბუნებრივი მატების დაბალ დონეს.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში, შვედეთში, პირველი შვილის გამჩენ ქალთა ასაკის ზრდას მოჰყვა შობადობის შემცირება, რაც გაეროს მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციითაც დასტურდება. გრაფიკი 6-დან ვარკვევთ, რომ 1960-1965 წელთან შედარებით 2000-2005 წლებში შვედეთში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 14.8‰-დან 10.8‰-მდე შემცირებული. აღნიშნული დრო ზუსტად ემთხვევა პირველის შვილის გამჩენ ქალთა ასაკობრივი ჯგუფის ცვლილებას. 2000 წლიდან 10 წლის შემდეგ შობადობის ზოგადი კოეფიციენტი გაიზარდა 1.2‰-ით.

წარმოდგენილი მაჩვენებლით შვედეთს დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან თუ შევადარებთ, მისი მდგომარეობა შედარებით უფრო ოპტიმალურია. 2000-2005-დან 2010-2015 წლამდე შვედეთში ფიქსირდება შობადობის ზოგადი კოეფიციენტის ყველაზე მაღალი ზრდა. მის გარდა მხოლოდ ბელგიაა 0.3‰-იანი მატებით, სხვას ყველას შემცირება აქვთ.



გრაფიკი 6: ევროპის ქვეყნებში შ.ზ.კ (შობადობის ზოგადი კოეფიციენტი) (%) (www.esa.un.org)

8.3 გერმანია

მე-19 საუკუნის ბოლოს, შობადობის შემცირებამ, გერმანულ საზოგადოებას ყურადღება გაამახვილებინა დემოგრაფიასა და პრონატალისტური დემოგრაფიული პოლიტიკის საჭიროებაზე. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ პრონატალისტური განწყობები გაძლიერდა. ქვეყანაში ფაშიზმის გამარჯვების შემდეგ ჩნდება დემოგრაფიული კონცეფცია. მთავრობის მიერ წარმოდგენილი დემოგრაფიული პოლიტიკა იყო პრონატალისტური, თუმცა მისი ნაციონალურ-რასისტული ხასიათიდან გამომდინარე, მიზნად ისახავდა მხოლოდ გერმანელების გამრავლებას. „არასრულფასოვან“ გერმანელებს კი ეკრძალებოდათ შვილების გაჩენა. ამის სანაცვლოდ, გერმანულ მამაკაცს შეეძლო

ჰყოლოდა შვილები სხვადასხვა ქალისგან და ცოლისადმი ერთგულება არ იყო სავალდებულო. რეგულაციას ექვემდებარებოდა სხვა ერების გამრავლება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დემოკრატიულ გერმანიაში უარი თქვეს ყოველგვარ დემოგრაფიულ პოლიტიკაზე მძიმე წარსული პრაქტიკიდან გამომდინარე (წულაძე გ. სულაბერიძე ა. 2015. გვ: 319).

საიმიგრაციო რეგულაციებიც დემოგრაფიული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ უარი თქვა რაიმე კონკრეტულ დემოგრაფიულ კონცეფციაზე, საინტერესოა ომის შემდგომ მისი საიმიგრაციო პოლიტიკა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაყოფილი გერმანია სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი დეფიციტის წინაშე დადგა. შექმნილი მდგომარეობის გამო ქვეყანამ შეცვალა საიმიგრაციო პოლიტიკა და დაიწყო შრომითი რესურსის მოზიდვა სხვა ქვეყნებიდან (Steinert J. D. 2014 გვ: 10). 1961 წლიდან გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ (აღმოსავლეთ გერმანია) ჩაკეტა საზღვრები დასავლეთში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) მოსახლეობის გადასვლის შესაზღვრად. შრომითი რესურსის შესავსებად კი კარები გაუღო ემიგრანტებს პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, კუბიდან და ვიეტნამიდან (იაშვილი ი. 2017 გვ: 206).

მიგრანტების დიდი ტალღის მიღების შემდეგ 1973 წელს დასავლეთ გერმანიას აღარ ჰქონდა შრომითი რესურსის დეფიციტის პრობლემა. შეიცვალა საიმიგრაციო პოლიტიკა, ემიგრანტების უკან, სამშობლოში გაწვევა, თუმცა ხელისუფლებამ ეს ვერ მოახერხა. 1973-1990 წლებში დაიწყო შეუქცევადი პროცესი, მიგრანტა ოჯახების გაერთიანება. მათი რაოდენობა, შემცირების ნაცვლად, პირიქით-გაიზარდა. გერმანიის გაერთიანების შემდეგ კი ეთნიკური გერმანელები დაუბრუნდნენ სამშობლოს ყოფილი სოციალისტური რესპუბლიკებიდან. 2000 წლიდან ქვეყანა ახალი გამოწვევის წინაშე დადგა. დაფიქსირდა ერის დაბერების მაღალი დონე, რამაც განაპირობა ახალგაზრდა შრომითი რესურსის დეფიციტი. აღნიშნულიდან გამომდინარე გერმანიამ ფართოდ გაუღო კარები ახალგაზრდა

კომპიუტერულ მეცნიერებათა სპესიალისტებს, ინჟინრებს, მათემატიკოსებს და ა.შ. რაც შეეხება უკანასკნელი წლების მოვლენებს, ევროკავშირის ქვეყნებს შორის გერმანიამ მიიღო ყველაზე დიდი რაოდენობით სირიელი ლტოლვილი (იაშვილი ი. 2017 გვ: 206-207).

თანამედროვე მდგომარეობით, გერმანიაში დემოგრაფიული პოლიტიკის მთავარი სამოქმედო გეგმაა საოჯახო პოლიტიკა, რომელიც ფედერალური-ცენტრალური ხელისუფლების მიერ არის მიღებული და მისი პირობები ვრცელდება მთელს ქვეყანაზე და ამასთან, თითოეულ მიწა (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა შედგება 16 მიწისაგა (www.cia.gov)) თავად ადგეს სამოქმედო გეგმას მისი დემოგრაფიული პრობლემატიკიდან გამომდინარე. ფინანსური დახმარებები და საგადასახადო შეღავათები, ისეთი როგორც არის საგადასახადო სარგებელი ბავშვებისათვის, სტუდენტებისთვის იაფი სესხი და დეკრეტული შვებულების პირობები ორგანიზებულია, როგორც ფედერალურ ასევე მიწების დონეზე (Bujard M. 2011 გვ:59).

2000-იანი წლების დასაწყისში გერმანიაში ყურადღება გაამახვილეს მკვეთრად შემცირებულ შობადობის ზოგად კოეფიციენტზე. 2004 წელს მდგომარეობით გერმანიის შობადობის ზოგადი კოეფიციენტი იყო 1.34, ამის საპირისპიროდ, შედარებით მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა საფრანგეთსა და შვედეთში, 1.76 და 1.92 (Hoem, J. M. 2005). აღნიშნულს დაემატა ის ფაქტიც, რომ ჩვილბავშვიანი ქალების დასაქმების დონე გერმანიაში ძალიან დაბალია აღმოჩნდა, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით. ქალები, რომლებსაც სამ წლამდე შვილები ყავთ გერმანიაში, მხოლოდ 48% არის დასაქმებული, მაშინ როდესაც, იგივე მაჩვენებელი შვედეთში 77% შეადგენს (OECD 2007).

წარმოდგენილმა სტატისტიკურმა მონაცემებმა დისკუსიები გამოიწვია გერმანულ საზოგადოებაში. ამ საჯარო დისკუსიებში ექსპერტები და პოლიტიკოსები მისაბამ მაგალითად სკანდინავიის ქვეყნებს ასახელებენ, სადაც ჩვილბავშვიან ქალთა დასაქმების მაღალი დონე და ევროპაში ყველაზე მაღალი შობადობის დონე იყო. ამ ემპირიული

ფაქტის გათვალისწინებით, გერმანიაში დებატები დომინირებდა იმ რწმენით, რომ სკანდინავიური ოჯახის პოლიტიკა უზრუნველყოფდა საჯარო სამსახურებში ბავშვთა მოვლის ცენტრების ლიბერალური დეკრეტული შვებულების არსებობას და სწორედ ეს წარმოადგენდა უმთავრეს ფაქტორს, რომელიც უზრუნველყოფდა ჩვილბავშვიან დედათა დასაქმების და შობადობის მაღალ დონეს. ხანგრძლივი დებატების შემდეგ, გერმანიის პარლამენტმა 2006 წლის სექტემბერში მხარი დაუჭირა სკანდინავიურ მოდელს, რომელიც უნდა ამოქმედებულიყო 2007 წლის იანვრიდან (Spiess C. K.; Wrohlich K. 2008 გვ:576).

2006 წელს დამტკიცებული დეკრეტული შვებულების პირობები სკანდინავიის ქვეყნების მსგავსად, ორიენტირებული იყო გენდერულ თანასწორობაზე. შვებულებით სარგებლობა შეეძლიათ, როგორც ქალებს, ასევე მამაკაცებს. ბავშვის დაბადების შემდეგ მშობლები სახელმწიფოსგან იღებდნენ დახმარებას თავიანთი ხელფასის 67%-ის ოდენობით. ყოველთვიური ანაზღაურება არ აღემატება 1800 ევროს (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსისი თანახმად 1800 ევრო ეროვნულ ვალუტაში შეადგენს 5 136 ლარს 30.05.2018 წლის მდგომარეობით (www.nbg.gov.ge)). მარტოხელა დედები და მამები ასევე ღებულობენ მატერიალურ დახმარებას 14 თვის განმავლობაში (Bujard M. 2011 გვ:61).

რაც შეეხება გერმანული საოჯახო პოლიტიკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილს, დღის ცენტრებს, ორად გაყოფილი გერმანიის პირობებში დღის ცენტრები ფუნქციონირებდა დასავლეთ გერმანიაში, თუმცა მათი რაოდენობა არ იყო საკმარისი. 2006 წელს მიღებული კანონის მიხედვით გაიწერა გეგმა, რომლის თანახმადაც დღის ცენტრების რაოდენობა მთელი ქვეყნის მასშტაბით ყოველწლიურად უნდა გაზრდილიყო (Bujard M. 2011 გვ:63).


8.4 ბელგია

პრონატალისტური ღონისძიებები ტარდებოდა ბელგიაშიც. მისი დემოგრაფიული პოლიტიკა გერმანიის პოლიტიკის პარალელურად ვითარდებოდა და თითქმის მისი

მსგავსი იყო. მე-20 საუკუნის 20, 30-იან წლებში ორივე ქვეყანამ ერთდოულად შემოიღო მშობლებისათვის საგადასახადო შეღავათები და მატერიალური დახმარება. დეკრეტული შვებულების შესახებ კანონიც თითქმის ერთ წელს (ბელგია-1985; გერმანია-1986) მიიღეს. განსხვავება დაფიქსირდა 2001 წელს, როდესაც ბელგიამ ძირეული ცვლილებები მოახდინა დეკრეტული შვებულების პირობებში, რაც გერმანელებმა 6 წლის დაგვიანებით გააკეთეს (Kluisener S. Neels K. And Kreyenfeld M. 2013. გვ:592-593).

გერმანელებისგან გასხვავებით, ბელგიელები ბავშვებზე ზრუნვას უფრო დიდ ყურადღებას აქცევდნენ და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ჩამოყალიბება და განვითარება მე-20 საუკუნის ადრეული წლებიდან დაიწყო. 1956 წლისათვის 3-4 წლის ბელგიელი ბავშვების 74% სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში სწავლობდა (Coulon M. 1967). 1970-71 წლისათვის მათი რიცხვი 95% მდე გაიზარდა, ხოლო გერმანიაში მხოლოდ 35% შეადგინა (გერმანიაში იგულისხმება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) (Austin R. G. 1973). აღნიშნული ქვეყნების დემოგრაფიულ პოლიტიკებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება იყო სახელმწიფოს მხრიდან 5 წლამდე ბავშვებზე ზრუნვა. ამით ხელი შეეწყო მშობლებს, აქტიურები დარჩენილიყვნენ შრომით ბაზარზე. ვფიქრობ, მიდგომამ გაამართლა, რადგან გერმანიისა და ბელგიის შობადობის ზოგად კოეფიციენტს თუ დინამიკაში შევადარებთ ვნახავთ, რომ ეს უკანასკნელი, ბელგიაში უფრო მაღალია. გრაფიკის 7-ის მიხედვით 1950-1955 წლიდან გერმანიაში შობადობის ზოგადი კოეფიციენტის მაქსიმუმი დაფიქსირდა 1960-1965 წელს და შეადგინა 17.7‰, თუმცა მას შემდეგ მაჩვენებელი იკლებს და 2010-2015 წელს შემცირდა 8.5‰-მდე. რაც შეეხება ბელგიას, 1960-1965 წლის შემგედ მისი მაჩვენებელიც იკლებს. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს პერიოდი არის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი და ცნობილია „ბები ბუმის“ სახელით, რადგან ყველა ომის მონაწილე ქვეყანაში დაფიქსირდა შობადობის ძალიან მაღალი დონე. ზოგადი კოეფიციენტი ბელგიაში 60-იანი წლების შემდეგაც განაგრძობს კლებას 2000-2005 წლამდე, 2015-მდე კი 0.3‰ იმატებს. კლებადი ტენდენციის მიუხედავად, იგი მაინც მაღალია გერმანიის მაჩვენებელზე. მათ შორის

სხვაობის მკვეთრი ზრდა 1990-იანი წლებიდან იწყება და მაქსიმუმი- 2.9‰ 2010-2015 წლებში ფიქსირდება (www.esa.un.org).



გრაფიკი 7: ბელგიასა და გერმანიაში (1990-1995 წლამდე იგულისხმება დასავლეთ გერმანია) შ.ზ.კ (შობადობის ზოგადი კოეფიციენტი) (%) (www.esa.un.org)

8.5 პოლონეთი

პოლონეთის რესპუბლიკა დემოგრაფიული პოლიტიკის თვალსაზრისით საინტერესოა, რადგან ის იყო ყოფილი სოციალისტური ბანაკის წევრი და სოციალიზმის როლი დემოგრაფიულ პოლიტიკაში არ არის უცხო მისთვის. 1989 წელს, პოლონეთი, რევოლუციის შემდეგ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფოდ (www.britannica.com). შესაბამისად, პოლონეთის დემოგრაფიულ პოლიტიკაში გამოცდილება მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას მოგვცემს.

პრონატალისტური დემოგრაფიული პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და მათ შორის პოლონეთში ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნის 60-იან წლებში. მანამდე, ხდებოდა

ცალკეული ღონისძიებების გატარება, რომლებიც ძირითადად სოციალური ხასიათის იყო და მოსახლეობის დემოგრაფიულ ქცევაზე გავლენას არ ახდენდა.

1989 წლამდე პოლონეთის დემოგრაფიული პრაქტიკა გულისხმობდა მასტიმულირებელ ღონისძიებებს, მაგრამ ეს ღონისძიებები ურთიერთსაწინააღმდეგო იყო. სოციალიზმის პირობებში პოლონელი ქალები აქტიურად იყვნენ დაკავებულები შრომითი საქმიანობით და არ თმობდნენ დაკავებულ პოზიციებს შვილის გასაჩენად, ასეთ პირობებში დეკრეტული შვებულება იყო ხანმოკლე და არ ნაზღაურდებოდა. ამასთანავე მამაკაცები არ იყვნენ ჩართულნი შვილების აღზრდაში, არ ინაწილებდნენ საოჯახო საქმეებს ქალებთან ერთად (Saxonberg S. Szelewa D. 2007).

1989 წლის პოლიტიკურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის შემდეგ მიღებული საოჯახო პოლიტიკის რეგულაციების უმრავლესობა სოციალისტური რეჟიმის გადმონაშთი იყო, მაგრამ, ამავდროულად ვითარდებოდა ახალი იდეოლოგიები, რაც ნაკლებად იყო რეალური დემოგრაფიული შედეგების მომტანი. ეკონომიკური ცვლილების შედეგად სოციალური და საოჯახო პოლიტიკებზე პასუხისმგებლობა დაეკისრა ადგილობრივ მთავრობებს, რომლებსაც არ გააჩნდათ რესურსები არსებული ღონისძიებების დასაფინანსებლად და განსაკუთრებით ახლის შესაქმნელად. მოქმედი სისტემა ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნებს. საოჯახო პოლიტიკაში პირველი ცვლილება 1994 წელს მოხდა. ხელისუფლების მიერ განხორციელებული ცვლილებები არ აღმოჩნდა საკმარისი და მათ მიერ შეთავაზებულმა ახალმა პირობებმა ვერ გაუძლო საზოგადოების კრიტიკას. აღნიშნული მდგომარეობა გაგრძელდა 2001 წლამდე. 2001-2002 წლებში ჩატარდა პოლონეთის პირველი დემოგრაფიული კონგრესი, რომლის მიზანიც იყო პოლონეთში დემოგრაფიული ცვლილებების განხილვა. კონგრესში მონაწილეობას იღებდნენ პოლიტიკური ძალები, სამოქალაქო საზოგადოება, კათოლიკური ეკლესია და სხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლები. მათი საერთო მოთხოვნა იყო ქმედითი ღონისძიებების გატარება ქვეყანაში შექმნილი კრიტიკული დემოგრაფიული


მდგომარეობის გამოსასწორებლად. კონგრესმა შედეგი გამოიღო და 2003 წელს ხელისუფლებამ გამოაცხადა ახალი საჯახო პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა მშობლების დახმარებას შვილების აღზრდაში. გახანგრძლივდა დეკრეტული შვებულება. იგი ხელმისაწვდომი გახდა მამაკაცებისათვისაც. 2003 წლის შემდეგ დიდი ცვილება მოხდა 2013 წელს. ახალი ცვლილების თანახმად, წყვილს შეუძლია ისარგებლოს ერთობლივად 54 კვირიანი დეკრეტული შვებულებით (www.perfar.eu).

პოლონეთში მოქმედი საოჯახო პოლიტიკა მოიცავს სამ მნიშვნელოვან კომპონენტს. პირველი ეს არის ბავშვზე ზრუნვის უზრუნველყოფა, მეორე - სამშობიარო დაცვა და მესამე - საოჯახო შეღავათები. მოქმედი სისტემა მოიცავს, როგორც საჯარო ასევე კერძო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსებას ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი მთავრობის მიერ. 2009 წლის მდგომარეობით ფინანსდებოდა საბავშვო ბაღების 95% და სკოლამდელი მოსამზადებელი დაწესებულებების 85%. (Płomień, A. 2009). სამშობიარო დაცვა გულისხმობს დეკრეტული შვებულების რეგულაციებს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მიმდინარე დეკრეტული შვებულება მოიცავს 20 კვირას, რომელიც შეიძლება გახანგრძლივდეს 6 დამატებითი კვირით და 100%-იანი ანაზღაურებით და კიდევ 26 კვირამდე 60%-იანი ანაზღაურებით. საერთო ჯამში, მშობლებს უნაზღაურებენ 28 კვირას სრული ანაზღაურებით და კიდევ 26 კვირას ხელფასის 60%-ით. რაც შეეხება ბოლო ნაწილს, იგი მოიცავს საგადასახადო შეღავათებს ოჯახებისათვის (www.perfar.eu).


პოლონეთის რესპუბლიკაში მოქმედი დემოგრაფიული პოლიტიკა, როგორც აღმოჩნდა, არ არის ეფექტური. გრაფიკ 8-ზე, როგორც ჩანს, 2000 წლის შემდეგ პოლონეთის მოსახლეობა იკლებს. 1950 წლამდე მოსახლეობის რაოდენობა ხასიათდებოდა ზრდის ტენდენციით. ეს პროცესი გაგრძელდა 2000-მდე, რაც ძალიან საინტერესოა. მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა 10 წლის შემდეგ მოსახლეობის რაოდენობა 595 942-ით მეტი იყო. 1950-55 წლის შემდეგ შ.ზ.კ; ბმ.ზ.კ; მი.ზ.კ-

ები იკლებს 1970-75 წლებამდე, 1980-85-მდე მცირედი მატება და კვლავ კლების ტენდენცია 2010-15-მდე, როგორც ეს გრაფიკ 9-ზე ჩანს. რაც შეეხება მ.ზ.კ-ს, ის უფრო არასტაბილურობით ხასიათდება. 1990-95-დან 0.8%-ით შემცირდა. სწორედ ამ შემცირებით შეიძლება აიხსნას 90-იანებში პოლონეთის მოსახლეობის ზრდა. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 80-იან წლებში პოლონეთი დატოვა 1 მილიონამდე ადამიანი, თუმცა მხოლოდ მათი ნაწილის გასვლა აღირიცხა სტატისტიკის მიერ (Okolski M. 1994). უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ 90-იანებში სიკვდილიანობა შემცირდა სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის შედეგად (Okolski M. 2004/2005) და 2010-2015 წლებში მ.ზ.კ-ის 0,5%-ით მომატება მოსახლეობაში ხანდაზმული ადამიანების დიდი წილით არის განპირობებული.

პოლონეთისა და საქართველოს მოსახლეობების დემოგრაფიული განვითარების ისტორია 1990-იანი წლებიდან თითქმის მსგავსია. პოლონელები შედარებით მეტ ყურადღებას უთმობენ დემოგრაფიულ პრობლემატიკას და დიდი ალბათობით, აღნიშნულის დამსახურებაა გაეროსა და ევროსტატის (ევროპული სტატისტიკური სისტემა) პოზიტიური პროგნოზები, რომლის თანახმადაც პოლონეთის მ.ზ.კ-ს ზრდის ტენდენცია ექნება 2040 წლამდე. ასევე გაიზრდება სიცოცხლის ხანგრძლივობა. გაეროს თანახმად მიგრაციის სალდო 2050 წლამდე ისევ უარყოფით დარჩება, თუმცა სტაბილურად -1 დან 0-მდე, ხოლო ევროსტატის მიხედვით უარყოფითი მაჩვენებელი შენარჩუნდება მხოლოდ 2020 წლამდე, შემდეგ მკვეთრად გაიზრდება 2050-მდე. თუმცა საერთო ჯამში, მოსახლეობის რაოდენობა მცირედით, მაგრამ იკლებს (Matysiak A. Nowok B. 2007).



გრაფიკი 8: პოლონეთის მოსახლეობის რაოდენობა დინამიკაში (www.esa.un.org)



გრაფიკი 9: პოლონეთის შ.ზ.კ (შობადობის ზოგადი კოეფიციენტი); მ.ზ.კ (მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი); ბმ.ზ.კ (ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი); მი.ზ.კ (მიგრაციის ზოგადო კოეფიციენტი) (%) (www.esa.un.org)

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში, XXI საუკუნის დასაწყისში, დემოგრაფიული პროცესების მიმე მდგომარეობით ხასიათდება, რაც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. არსებული მდგომარეობა აუცილებელს ხდის გააზრებული დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას, რომლის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანა და ყურადღების გამახვილება დეკრეტული შვებულების პირობების ჰუმანიზაციაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია არსებული შობადობის დონის კლების ტენდენციის შენარჩუნება და დაწყებული დეპოპულაციის (ქვეყნის ან რომელიმე ტერიტორიის მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობის შემცირება ან მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოება, რომლის დროსაც მომდევნო თაობების რიცხოვნება ნაკლებია წინაზე (წულაძე გ. სულაბერიძე ა. 2015) მეტად გამწვავება.

თანამედროვე ეტაპზე, საქართველოში, შობადობის შემცირება სხვადასხვა მიზეზებით არის განპირობებული, მათ შორის მნიშვნელოვანია „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ ვერ დაკმაყოფილება, რომელსაც დასაქმებულ ქალებში იწვევს არსებული დეკრეტული შვებულების პირობები. დეკრეტული შვებულება შემაფერხებელია, რადგან ქალებს ექმნებათ პირველ რიგში, ფინანსური პრობლემები და შემდეგ დგება ბავშვის აღზრდისათვის საჭირო არასახარბიელო გარემო. აღნიშნული დასაქმებულთათვის არის პრობლემა, რადგან უმუშევარი ქალები არც კი იცნობენ შრომის კოდექს, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ მასზე და ბავშვის გაჩენის ხელისშემშლელ ფაქტორებად განსხავებული მიზეზები სახელდება.

ქართველების და როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ხალხების დემოგრაფიული ქცევა მსგავსია. როგორც საქართველო, ასევე ევროპული სახელმწიფოები დემოგრაფიულ კრიზისში იმყოფებიან მკვეთრად შემცირებული შობადობის შედეგად. უფრო მნიშვნელოვანი მსგავსება იკვეთება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან.

საქართველოს მსგავსად, ისინიც 1990-იან წლებში პოლიტიკური სისტემის ცვლილების შედეგად შექმნისი მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით აღმოჩნდნენ მძიმე დემოგრაფიული პრობლემების წინაშე. აღნიშნული პრობლემის მოგვარება ევროპელებმა დაიწყეს საოჯახო პოლიტიკის გატარებით და პირველ რიგში დეკრეტული შვებულების პირობების ჰუმანიზაციით. მიდგომამ გაამართლა, რისი ნათელი მაგალითია სკანდინავიის ქვეყნები, სადაც შობადობის დონე ყველაზე მაღალია ევროპაში (www.esa.un.org) და სადაც დეკრეტული შვებულების ყველაზე ლიბერალური პირობები არსებობს ორივე მშობლისათვის. სკანდინავიური დეკრეტული შვებულების პირობები ევროპული ქვეყნების მიერ პირდაპირ იქნა აღიარებული საუკეთესო მოდელად და შობადობის დონის გაზრდის ერთ-ერთ საშუალებად. სკანდინავიური მოდელი გულისხმობს შობადობის რაოდენობის გაზრდას და ამავდროულად ქალთა დასაქმების მაღალ დონეს. სკანდინავიური მოდელისგან განსხვავებული და დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების უფრო დიდი გამოცდილება აქვს საფრანგეთს, რომლის დამსახურებითაც ის ახერხებს, რომ დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით მაღალი შობადობა აქვს. რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპას, რისი მაგალითადაც ნაშრომში მოყვანილია პოლონეთი, დასავლეთთან შედარებით, ნაკლებად არის ორიენტირებული დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებით და პრობლემის მოგვარებას სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით აპირებს.

ყოველივე ზემოთ განხილულს მივყავართ დასკვნამდე, რომ დემოგრაფიულ პრობლემებთან ბრძოლის ერთი, უნივერსალური გზა არ არსებობს. საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, საჭიროა მისი სიღრმისეულად შესწავლა და შემდეგ პოლიტიკის შემუშავება. ევროპული მაგალითის გათვალისწინება კი, მოგვცემს შესაძლებლობას, გავანალიზოთ რა შეიძლება იყოს ოპტიმალური საქართველოსთვის და რა ფუჭი მცდელობა. დემოგრაფიული ქცევის შეცვლა მყისიერად არ ხდება. შესაბამისად, ამ საკითხის გადადებამ და უგულვებელყოფამ შესაძლოა გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს.

გამოყენებული ლიტერატურა

ანთაზე ც. (2005). „დემოგრაფიული პოლიტიკა, როგორც ქვეყნის ეროვნული უსაფთხოების კომპონენტი“. სამეცნიერო ჟურნალი „დემოგრაფია“, N 2. თბილისი. გვ:22

გოგსაძე გ. (2008). „მოსახლეობის გეოგრაფია“. თბილისი. გვ: 24-26.

იაშვილი ი. (2017). „მიგრაციის სახელმძღვანელო“. პირველი გამოცემა. თბილისი. გვ:130-254

სახვაძე ა. (2004). „სტალინი და დემოგრაფიული პოლიტიკა საბჭოთა კავშირში“. კომუნისტური ორიენტაციის მეცნიერთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“, N 2. თბილისი. გვ: 101-113.

სახვაძე ა. (2005). „დემოგრაფიული პოლიტიკა როგორც სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის სპეციფიკური მიმართულება“. სამეცნიერო ჟურნალი „დემოგრაფია“, N 2. თბილისი. გვ: 11; 12-13; 15.

წულაძე გ. სულაბერიძე ა.(2015). „დემოგრაფიის საფუძვლები“. თბილისი. გვ: 181; 304; 305; 306; 313-316; 316; 319; 341; 342; 342-348; 350.

ბორისოვი ვ. ა. (1999). „დემოგრაფია“. მოსკოვი. გვ: 210

ზლოტნიკოვი ა. გ. (2014). „დემოგრაფიული იდეები და კონცეფციები“. მინსკი. გვ: 27; 38; 95-101.

კვაშა ა.ი. (1985). „რა არის დემოგრაფია?“. მოსკოვი გვ: 173; 175.

Andres Horacio Reggiani (1966). „საფრანგეთის შთამომავლობა: დემოგრაფიის პოლიტიკა, 1919-1945“ / „Procreating France: The Politics of Demography, 1919-1945“. French Historical Studies, Vol. 19, No. 3. Paris. pp: 725-754

Colin Dyer (1978). „მოსახლეობა და საზოგადოება მეოცე საუკუნის საფრანგეთში“ / „Population and Society in Twentieth-Century France“. New York. pp: 64-83

C. Katharina Spiess, Katharina Wrohlich (2008). „დეკრეტული შვებულების რეფორმის უპირატესობები გერმანიაში: სკანდინავიურ მოდელზე გადასვლის ღირებულებები და შრომითი ბაზრის შედეგები“ / „The Parental Leave Benefit Reform in Germany: Costs and Labour Market Outcomes of Moving towards the Nordic Model“. Springer Science Business Media B.V.

Gerardo Meil (2013). „ევროპელი მამაკაცების მიერ დეკრეტული შვებულების გამოყენება და მათი ჩართულობა ბავშვზე ზრუნვასა და საოჯახო საქმეებში“ / „European Men's Use of Parental Leave and Their Involvement in Child Care and Housework“. Journal of Comparative Family Studies, Vol. 44, No. 5, 2013, pp. 557-570

Gilbert R. Austin (1973). „რვა ქვეყანაში ადრეული განათლების მიმოხილვა“ / "A review of early education in eight countries". *International Journal of Early Childhood* 5(2): 167-172

Gunnar Andersson (1999). „შობადობის ტენდენცია შვედეთში 1961-1997“ / „Childbearing Trends in Sweden 1961-1997“. *European Journal of Population / Revue Européenne de Démographie*, Vol. 15, No. 1. pp. 1-24

Gunnar Andersson (2004). „დემოგრაფიული ტენდენციები შვედეთში: მშობიარობების და ქორწინებების შესახებ 2002 წელს“ / "Demographic trends in Sweden: An update of childbearing and nuptiality up to 2002." *Demographic Research* 11(4): 95-110. «www.demographicresearch.org/Volumes/Voll

Gunnar Andersson (2008). „შვედეთის მაღალი შობადობის მის მოპილიკასთან კავშირის მიმოხილვა“ / "A review of policies and practices related to the 'highest-low' fertility of Sweden". *Vienna Yearbook of Population Research*, Vol. 6. pp: 89-102

Hoem, J. M. (2005). „რატომ აქვს შვედეთს მაღალი შობადობა?“ / „Why does Sweden have such a high fertility?“ MPIDR Working Paper WP-2005-009, Rostock.

Johannes-Dieter Steinert (2014). „მიგრაცია და საემიგრაციო პოლიტიკა: დასავლეთ გერმანია და უცხოელი სამუშაო ძალის შეკრება, 1945-61“ / „Migration and Migration Policy: West Germany and the Recruitment of Foreign Labour, 1945-61“. *Journal of Contemporary History*, Vol. 49, No. 1, Special Issue: Migration in Germany's Age of Globalization. pp. 9-27

Marion Coulon (1967). „უახლესი ტენდენციები და განვითარება პირველადი და საშუალო განათლების სფეროში ბელგიაში“ / "Tendances et développements récents dans l'éducation primaire et secondaire en Belgique". *International Review of Education* 13(3): 285-298

Martin Bujard (2011). „საოჯახო პოლიტიკა და დემოგრაფიული ეფექტები: გერმანიის მაგალითი“ / "Family policy and demographic effects: The case of Germany". *Demográfia*, 2011. Vol. 54. No. 5. English Edition, 56–78.

Matysiak A. and Nowok B. (2007). „პოლონეთის მოსახლეობის შემთხვევითი პროგნოზი 2005-2050“ / „Stochastic forecast of the population of Poland 2005 – 2050“. *Demographic Research*, Vol. 17 (Julu - December 2007), pp. 301-338

OECD. (2007). *Factbook 2007: Economic, Environmental and Social Statistics*. Paris: OECD. (Organisation for Economic Co-operation and Development [OECD] 2007).

Okolski M. (1994). „საერთაშორის მიგრაცია პოლონეთსი 1980 1989 წლებში“ / „International Migration in Poland in 1980 1989. Outline of Problems“. *Studia Demograficzne*, 117, no. 3: 3-59.

Okolski M. (2004/2005). “დემოგრაფიული პროცესები პოლონეთში მიმდინარე და გარდამავალ პერიოდში” / “Demographic Processes before and during the Ongoing Transition in Poland”. International Journal of Sociology, Vol. 34, No. 4, Social Change in Poland (Part II)

Plomień, A. (2009). „კეთილდღეობის სახელმწიფო, გენდერი, სამუშაოს და ოჯახის შეთავსება პოლონეთში: პოლიტიკის განვითარება და პრაქტიკა ევროკავშირის ახალ წევრ ქვეყნებში” / „Welfare State, Gender, and Reconciliation of Work and Family in Poland: Policy Developments and Practice in a New EU Member“. Social Policy and Administration 43 (2): 136-151.

Ronsen Marit, and Marianne Sundstrom (1996). „დედათა დასაქმება სკანდინავიაში: მშობიარობის შემდეგ ქალთა დასაქმების შედარება ნორვეგიასა და შვედეთში” / "Maternal Employment in Scandinavia: A Comparison of After-Birth Employment Activity of Norwegian and Swedish Women". Journal of Population Economics, IX (1996), 267-285.

Ronsen Marit, and Marianne Sundstrom (2002). „საოჯახო პოლიტიკა და მშობიარობის შემდეგ დასაქმება ახალი დედებისათვის: ფინეთის, ნორვეგიისა და შვედეთის შედარება” / "Family Policy and After-Birth Employment among New Mothers: A Comparison of Finland, Norway and Sweden". European Journal of Population / Revue Européenne de Démographie, Vol. 18, No. 2. pp. 121-152

Saxonberg S. and Szelewa D. (2007). „კომუნისტური მემკვიდრეობა გრძელვადიანი მემკვიდრეობა? საოჯახო პოლიტიკის განვითარება პოლონეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკაში” / „The Continuing Legacy of the Communist Legacy? The development of family policies in Poland and the Czech Republic“. Social Politics 14 (3): 351-379

Sebastian Klüsener, Karel Neels and Michaela Kreyenfeld (2013). „საოჯახო პოლიტიკა და დასავლეთ ევროპის დაყოფა შობადობის მიხედვით: შთაბეჭდილებები ბელგიის ბუნებრივი ექსპერიმენტიდან” / „Family Policies and the Western European Fertility Divide: Insights from a Natural Experiment in Belgium“. Population and Development Review, Vol. 39, No. 4. pp. 587-610

William H. Schneider (1990). “ხარისხი და რაოდენობა: ბიოლოგიური რეგენერაციის კვლევა მეოცე საუკუნის საფრანგეთში” / “Quality and Quantity: The Quest for Biological Regeneration in Twentieth Century France”. Cambridge. pp: 117-45

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია: www.esa.un.org (2018)

გაეროს მოსახლეობის ფონდი საქართველოში: <https://georgia.unfpa.org> (2018)

ვალუტის კონვერტორი: www.the-converter.net (2018)

საქართველოს ეროვნული ბანკი: www.nbg.gov.ge (2018)

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: www.mastne.gov.ge (2018)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: www.geostat.ge (2018)

საქართველოს პარლამენტი: <http://parliament.ge> (2018)

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა - უცხო სიტყვათა ლექსიკონი: <http://www.nplg.gov.ge> (2018)

სოციალური მომსახურების სააგენტო: <http://www.ssa.gov.ge> (2018)

CIA World Factbook: www.cia.gov (2018)

Encyclopaedia Britannica: www.britannica.com (2018)

Geography AS Notes - Alex Jackson „*France, a Pro Natalist Country*“: www.geographyas.info (2018)

Population Europe Resource Finder and Archive - Anna Rybinska (2014) “*Family Policies: Poland*”: www.perfar.eu www.geographyas.info (2018)

The Global Millennial: www.globalmillennial.org (2018)

დაწარმო

დაწარმო #1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Monika Gabelaia

Demographic Policy in European Countries and Georgia: Comparative
Analysis

Demography and geography of the population

Master's thesis is done for the degrees of demography and geography of the
population

Vazha Lortkipanidze, Professor, Head of Graduate Program Degree demography
and geography of the population

Tbilisi 2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

თამარ ბაღიაშვილი

საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა XX
საუკუნესა და XXI საუკუნის დასაწყისში

დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დემოგრაფია და მოსახლეობის
გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ანზორ სახვაძე
ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2018

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ეხება საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას XX საუკუნესა და XXI საუკუნის დასაწყისში საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერების პროგრამების მიხედვით. განვიხილავ 1926 წლიდან 2014 წლის ჩათვლით ჩატარებულ აღწერათა პროგრამების შედეგად მიღებულ მონაცემებს.

დროთა განმავლობაში მუდმივად ხდებოდა აღწერის პროგრამის ცვლილება, ის თანდათან ვითარდებოდა და უფრო სრულყოფილი ხდებოდა. იმდროინდელი ვითარებიდან გამომდინარე იცვლებოდა ძირითად საკითხთა ჩამონათვალი, იცვლებოდა პრიორიტეტები. პირველი აღწერებისას უფრო დიდი ყურადღება ეთმობოდა დემოგრაფიულ სიტუაციას, ქორწინებით მდგომარეობას, შემდგომში ერთ-ერთი პრიორიტეტი მოსახლეობის განათლების დონის მიხედვით შესწავლა გახდა, ამას მოჰყვა ეკონომიკური აქტივობა: მოსახლეობის ჩართულობა საზოგადოებრივ საქმიანობაში, დასაქმება; გაჩნდა კონკრეტული პროფესიები და ხდებოდა მოსახლეობის ამ პროფესიების მიხედვით განაწილების შესწავლა. საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში მიმდინარე მიგრაციულმა პროცესებმა წამოჭრა საკითხი მისი შესწავლის აუცილებლობის შესახებ, მიგრაციულმა პროცესებმა კი გავლენა მოახდინა მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე. მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესახებ კითხვა, სააღწერო დოკუმენტაციაში ჩნდება XX საუკუნიდან, კერძოდ 1926 წლის აღწერაში.

ჩემს მიერ შესრულებული ნაშრომი ისტორიულ-სამეცნიერო კვლევის ანალიზია. განხილულია მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროგრამები 1926 წლიდან 2014 წლის აღწერის ჩათვლით, დაანგარიშებულია აღწერების შედეგად მიღებული ინფორმაცია, განხორციელებულია მათი შედარებითი ანალიზი, რამაც საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ის ძირითადი განსხვავებები და განმაპირობებელი ფაქტორები, რომელთა მეშვეობითაც იცვლებოდა საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და შესაბამისად ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა.

Annotation

Foregoing Master's work is about Ethnic Composition of Georgian Population between XX and XXI centuries according to population censuses of Georgia. I'm going to discuss about the results of survey programs carried out from 1926 to 2014.

General population census changes have permanently occurred time to time and has been developing and improving eventually .Because of the situation of that time the list of basic issues and priorities have been changed. At first more attention was paid to demography situation, marriage condition, later one of the priority has become the study of the education level of population which was followed after the economic activity :involvement of citizens in social activities, employment, concrete professions were created and citizens were divided after those professions.

In accordance with the current processes in the Soviet Union countries considered it relevant to study the necessity of the condition of citizens' migration. The migration processes have influenced the ethnic composition of the population. The question about the national composition of the population appears in the coding documentation from the XX century, namely in the 1926 description.

The work done by me is the analysis of historic-scientific research.

I'm going to discuss about the Georgian population census's program carried out in Soviet union and in the history of Independent Georgia (from 1926 to 2014), Comparative analysis are calculated from Data bases which are based on population census's programs, which helped us to demonstrate those major differences and Determining factors, Through which The ethnic composition and The total number of the Georgian population was changing.

სარჩევი

ანოტაცია	2
Annotation	3
შესავალი	5
თავი1. საქართველოს ეროვნული შემადგენლობის ისტორიული მიმოხილვა	7
თავი2. ეთნო - კულტურული პროცესები საქართველოში.....	18
თავი 3. საქართველოს მოსახლეობის აღწერების ზოგადი მიმოხილვა	25
თავი 4. საქართველოს მოსახლეობის აღწერების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი .	35
თავი 5. საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ტერიტორიულ ჭრილში.	50
დასკვნა	61
გამოყენებული ლიტერატურა:	62

შესავალი

ჩემ მიერ არჩეული თემის სათაური „საქართველოს ეთნიკური შემადგენლობის ევოლუცია“ ამავდროულად გახლავთ კვლევის ობიექტიც. აღნიშნული თემა ჩემთვის, როგორც მომავალი დემოგრაფისთვის ძალზე საინტერესოა. როგორ იკვლევდნენ საქართველოს ეთნიკურ შემადგენლობას ადრეულ წარსულში და დღეს, ძირითადად რომელი ეთნოსები სახლობდნენ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, რა მიზეზით იცვლებოდა ეთნოსების რიცხოვნობა და როგორ მოქმედებდა ეს ცვლილება ქართველი მოსახლეობის რიცხოვნობაზე.

როდესაც ვსაუბრობთ თემის აქტუალობაზე პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ მისი მნიშვნელობა. ცნობილია, რომ საქართველო მრავალეროვნული ქვეყანაა. საუკუნეების განმავლობაში ორგანიზებულად თუ არაორგანიზებულად ხდებოდა სხვადასხვა ეთნოსის ჩამოსახლება, შედეგად ქართველები სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ერთად ცხოვრობდნენ და ერთობლივი ძალებით აშენებდნენ ქართულ სახელმწიფოს, აქედან გამომდინარე, ვფიქრობ მნიშვნელოვანია ქართველებთან ერთად შევისწავლოთ ქვეყანაში მცხოვრები ეთნოსების რიცხოვნობის დინამიკა. ასევე თვალი მივადევნოთ სხვადასხვა ეთნოსის გამრავლების რეჟიმს. ქვეყანაში არსებული ეთნიკური ჯგუფების უმეტესობა ხასიათდება ეროვნული წეს-ჩვეულებებითა და ტრადიციებით, ასევე განსხვავდებიან სარწმუნოებითაც, რაც საბოლოოდ შესაძლებელია გავლენას ახდენდეს მოსახლეობის გამრავლების ტემპებზე.

ასევე ყურადღებას ითხოვს მრავალშვილიანობასთან დაკავშირებული გეოგრაფიული ფაქტორი - ქალაქის ტიპის დასახლებებისთვის არის უფრო მეტად დამახასიათებელი იგი თუ სოფლის მოსახლეობისათვის. მიმაჩნია, რომ ჩვენი კვლევისათვის საჭირო ინფორმაციის მოძიების თითქმის ერთადერთი წყარო მოსახლეობის აღწერებია, ვინაიდან აღწერები საშუალებას გვაძლევს დადგინდეს ქვეყნის მოსახლეობის ზუსტი რაოდენობა, მისი ეთნიკური შემადგენლობა და გეოგრაფიული განაწილება.

კვლევის მიზანია გამოვავლინოთ ის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებსაც წლების განმავლობაში, - აღწერიდან აღწერამდე განიცდიდა საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობა და რიცხოვნობა.

თემა აქტუალურია ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაში ქართველების რიცხვის არასახარბიელო მდგომარეობიდან გამომდინარე. შევისწავლით, როგორი იყო საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ისტორიულად და როგორია დღეს, რა ფაქტორები განაპირობებს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებას, რომელი ეროვნებები ხასიათდებიან მზარდი და კლებადი პროგრესით. განვიხილავთ მოსახლეობის აღწერებს 1926 წლიდან დღემდე, რომელი მოიცავდა კითხვას ეთნიკური შემადგენლობის შესახებ და რა შედეგები გვიჩვენა.

თავი1. საქართველოს ეროვნული შემადგენლობის ისტორიული მიმოხილვა

საქართველო პოლიეთნიკური ქვეყანაა. ასევე იყო ისტორიულად. მაგრამ ეთნიკური აჭრელება ქვეყნისა ძირითადად მეფის რუსეთის მიერ საქართველოს კოლონიად გადაქცევის შემდეგ მოხდა. 1800 წელს თუ ქართველები საქართველოს მოსახლეობის 90%-ზე მეტს წარმოადგენდნენ, 1897 წელს ეს მაჩვენებელი 69%-მდე დავიდა (ვ. ჯაოშვილი, 1984). მოზაიკური იყო საქართველო კონფესიური თვალსაზრისითაც. ქართველი ხალხის ეროვნულ რელიგიას მართლმადიდებლობა წარმოადგენს. საქართველოს მთელი ისტორია ფაქტობრივად არის სხვა ეთნოსთა და შესაბამისად სხვა რელიგიათა, ქართველობისა და მისი რელიგიისადმი დაპირისპირება. რელიგიათა ამ დაპირისპირებამ უკვალოდ მანც არ ჩაიარა. ქართველ ხალხში გაჩნდნენ სხვა კონფესიათა - მაჰმადიანობის, კათოლიკობის, გრიგორიანელობის აღმსარებელნიც, XX საუკუნის დასაწყისში - ბაპტიტები, XX საუკუნის დასასრულს - იელოველები. ამის გამო, ქართველი ხალხის გარკვეული ნაწილი სხვა ეთნოსის შემადგენლობაში შევიდა. ქართველთა კონფესიური ჯგუფების დიდმა ნაწილმა კი ეროვნული ცნობიერება შეინარჩუნა. ასე რომ, საქართველოში კონფესიური მოზაიკურობაა თვით ქართველი ხალხის შიგნით.

XX საუკუნის პირველ ნახევარში, ისე როგორც მთელ XIX საუკუნეში, კავკასიაში მოსახლეობის მრავალრიცხოვნობით საქართველო გამოირჩეოდა. 1926 წელს კავკასიის მთელ მოსახლეობაში საქართველოს მოსახლეობის წილი 35.1 პროცენტს უდრიდა, ე.ი. ყოველი მესამე ადამიანი საქართველოში ცხოვრობდა. საქართველოს შემდეგ კავკასიაში ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო აზერბაიჯანი, რომლის მოსახლეობა კავკასიის მთელი მოსახლეობის 30.4 პროცენტს შეადგენდა, მაშინ, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიის (ადიღეს, ყარაჩაი - ჩერქეზეთის, ყაბარდო - ბალყარეთის, ჩრდილო-ოსეთის - ალანიას, ინგუშეთის, ჩეჩნეთის, დაღესტნის რესპუბლიკები) მოსახლეობის წილი 22.9 პროცენტს არ

აღმეტეობლა. (ა. თოთაძე, 2011).

2005 წლისათვის ვითარება კარდინალურად შეიცვალა. ძირითადად ზემოთ აღნიშნული ფაქტორების ზეგავლენით კავკასიის მთელ მოსახლეობაში საქართველოს მოსახლეობის წილმა 19.8 პროცენტი შეადგინა ნაცვლად 35,1 პროცენტისა 1926 წელს. სამაგიეროდ ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა აზერბაიჯანის მოსახლეობის წილი - 30.4 პროცენტიდან 36.6 პროცენტამდე. (ა. თოთაძე, 2011).

ქართველ მოსახლეობაში შობადობის სისტემური შემცირების შედეგად ქართველების წილი მნიშვნელოვნად შემცირდა აგრეთვე სამხრეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაშიც. თუ ისტორიულად სამხრეთ კავკასიაში ქართველები რაოდენობრივად ყველაზე მრავალრიცხოვანი ერი იყო სხვა მკვიდრ ერებთან შედარებით, შემდეგში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. კერძოდ, 1926 წელს სამხრეთ კავკასიაში ქართველები მეტი იყვნენ სომხებზე 465 ათასი კაცით, ხოლო აზერბაიჯანელებზე - 145 ათასი კაცით. მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით ქართველებს სომხები აღემატებოდნენ 107 ათასი, ხოლო აზერბაიჯანელები - 2394 ათასით. მოსახლეობის ბოლო აღწერების მონაცემებით სამხრეთ კავკასიაში აზერბაიჯანელები ქართველებს უკვე 3751 კაცით ჭარბობენ. (ა. თოთაძე, 2011).

1926 წელს საქართველოს მოსახლეობა სამხრეთ კავკასიის მთელი მოსახლეობის 45,5 პროცენტს შეადგენდა, აზერბაიჯანისა - 39.5-ს, ხოლო სომხეთისა - 15.0 პროცენტს. 2005 წლისათვის ვითარება კარდინალურად შეიცვალა - სამხრეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაში საქართველოს მოსახლეობის წილი მნიშვნელოვნად შემცირდა და იგი 28.1 პროცენტი გახდა. აზერბაიჯანის მოსახლეობამ შეადგინა სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის ნახევარზე მეტი- 51.9 პროცენტი. ამალდა სომხეთის მოსახლეობის წილიც - 20.0 პროცენტამდე. (ა. თოთაძე, 2011).

ყველა ეთნოსს აქვს თავისი ბინადრობის ადგილი. ჯერ ქართველურ ტომთა და შემდეგ ქართველი ერის ფორმირება დღევანდელი და ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მოხდა. ასე რომ, საქართველოს მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ისტორიულად და დღესაც ქართველი ერია, რომელიც საუკუნეების სიღრმეში წარმოიშვა ძირითადად ქართველურ ტომთა და სხვა ეთნოსთა შერევის შედეგად. ისტორიულად საქართველო (და სხვა ქვეყნების უმეტესობაც) მონოეთნიკური თითქმის

არასოდეს არ ყოფილა. ამას პირველ რიგში მისი გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებდა. (რ. თოფჩიშვილი, 2005).

სხვადასხვა მხრიდან მოსული მტრების ხშირი თავდასხმები საქართველოს მოსახლეობის სიჭრელეს თავისთავად ხელს უწყობდა. ერთნი თუ თავს აფარებდნენ ქართულ მიწა-წყალს, მეორენი ძალით სახლდებოდნენ ქართველი ერის ასიმილაციის მიზნით. შენიშნულია საქართველოში უცხოეთნიკურ ერთეულთა გაჩენის მესამე გზაც: ქართველი მეფე-ხელისუფალნი თავად იწვევდნენ და ასახლებდნენ მათ გაპარტახებულ ქართულ სოფელ-ქალაქებში. შესაბამისად ჭრელი იყო საქართველოს მოსახლეობაც. ადგილობრივ ქართველ მართლმადიდებელ ქრისტიანებთან ერთად საქართველოში მკვიდრობდნენ ქართველი კათოლიკენი და ქართველი გრიგორიანელები, მაჰმადიანები, უფრო ადრე მაზდეანები და იუდეველებიც. (რ. თოფჩიშვილი, 2005).

საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე უფრო საგრძნობი გახდა ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ და საქართველოს რუსეთის მიერ დაპყრობის შედეგად, ეს სიჭრელე საქართველოს მოსახლეობას დღემდე მოყვა. ალბათ ქართველი კაცის ეთნოფსიქოლოგიური თავისებურებებით უნდა აიხსნას, რომ ქართველ ხალხს მის მიწა-წყალზე მოსახლე სრულიად განსხვავებულ ეროვნებებთან მნიშვნელოვანი დაპირისპირება და კონფლიქტი არ ჰქონია. დღევანდელი თვალსაზრისით თუ შევხედავთ, საქართველოში უცხო ეთნიკური ერთობებიდან ყველაზე მეტნი აზერბაიჯანელები არიან. შემდეგ მოდიან: სომხები, რუსები, თურქები, ოსები, ბერძნები, აისორები, ებრაელები, ქურთები... იყვნენ: სპარსელები, გერმანელები... (რ. თოფჩიშვილი, 2005).

ლეონტი მროველის მიხედვით, ძველ ქართლში, ქართულთან ერთად, რამდენიმე სხვა ენაც ისმოდა. მემათიანე კონკრეტულად წერს: "და იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ყოველნი ნათესავნი, და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა" (ქც. 1955, გვ. 16).

მემათიანე უცხო ეთნიკური ერთეულებისაგან ქართლის განმუნდას ალექსანდრე მაკედონელს მიაწერს: "და იხილნა რა ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართნი, რომელთა

იგი ჩვენ ბუნებრივად და ყოველგვარ უწოდებთ, მსხდომარენი მდინარესა მას მტკურისასა

მიხვევით, დაუკვირდა ესე ალექსანდრეს, რამეთუ არა რომელნი ნათესავნი იქმოდეს მას. და ენება რათამცა აღმოფხურნა იგინი ქალაქებისა მისგან" (ქც. 1955, გვ. 17). "დაიპყრა ალექსანდრე ყოველი ქართლი, და მოსრნა ყოველნი იგინი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი, და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა და დაატყუევნა, და დედანი და ყრმანი უცებნი, თხუთმეტისა წლისა უმცროსნი; და დაუტევნა ნათესავნი ქართლოსიანნი" (ქც. 1955, გვ. 18).

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღიარებულია, რომ ალექსანდრე მაკედონელი საქართველოში არ ყოფილა. თუმცა, როგორც ჩანს, საქართველოს ტერიტორიაზე ოდითგანვე სხვადასხვა ეთნოსების შემოსვლა-დასახლება, ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, რეალურ ვითარებას უნდა ასახავდეს. ლეონტი მროველი უცხო ეთნიკური ერთეულის საქართველოში შემოსახლებას მეფე საურმაგს მიაწერს. იმის გამო, რომ ჩრდილოეთ კავკასიის მოსაზღვრე ქვეყანა - დურძუკეთი ველარ იტევდა გამრავლებულ მოსახლეობას და დურძუკების საშუალებით "დაიპყრა ქართლი, და მოსრნა განდგომილნი მისნი", "მაშინ ამან საურმაგ წარმოიყვანნა იგინი ყოველთა კავკასის ნათესავთა ნახევარნი, და რომელნიმე მათგანნი წარჩინებულ ყვნა, და სხუანი დასხნა მითულეთს, დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი" (ქც. 1955, გვ. 27). ჩვენი აზრით, ვაინახთა სწორედ ამ შემოსახლების შედეგი უნდა იყოს საქართველოს მთიანეთში დამონმებული ვაინახური ტოპონიმები. დროთა განმავლობაში ქართულ ეროვნულ-კულტურულ სამყაროში დასახლებული ჩრდილოეთ კავკასიელი მთიელები ქართველთა მიერ ასიმილირებული იქნენ.

უცხო ეთნიკური ერთეულის საქართველოში შემოყვანა მიეწერება მეფე ფარანჯომსაც, რომელმაც "შეიყუარნა სჯული სპარსთა, ცეცხლის მსახურება, მოიყვანნა სპარსეთით ცეცხლისმსახურნი და მოგუნი, და დასხნა იგინი მცხეთას" (ქც. 1955, გვ. 20). საქართველოს არაქართული მოსახლეობიდან ებრაელები ყველაზე ადრე არიან მოსული. როგორც ამ საკითხისადმი მიძღვნილი სამეცნიერო გამოკვლევებიდან ჩანს, საქართველოში ებრაელ მიგრანტთა რამდენიმე ტალღა მოსულა ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში (ქ. აბულაძე, 1993). ლეონტი მროველი ებრაელების პირველ დასახლებას საქართველოში ბაბილონის მეფეს ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებას

უკავშირებს (ძვ. წ. VI ს-ში): "მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა

იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქვან ზანავი" (ქც. 1955, გვ. 15-16). ებრაელთა შემდეგი მიგრაციული ნაკადი ძვ.წ. 169 წელს მოსულა (სინ-1, 1970, გვ. 452-453). კიდევ ერთი ნაკადი ებრაელებისა ახ.წ. I საუკუნეში მოსულა: "და მეფობდეს შემდგომად მისსა ძენი მისნი (ადერკის შვილები: ბარტამი და ქართამი – რ.თ.). ხოლო ამათსა მეფობასა უესპანიანოს ჰრომთა კეისარმან წარმოტყუენა იერუსალემი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს ძუელთავე ურიათა თანა..." (ქც, 1955, გვ. 44). მცხეთაში აღმოჩენილი ებრაული ეპიტაფიები ებრაელთა დიდი კოლონიის არსებობას ადასტურებს (ა. აფაქიძე, 1963, გვ. 240-244). ქართლის დედაქალაქში "უბანი ჰურიათა" არსებობდა. აქ მათ "ბაგინი ჰურიათა" (სინაგოგა) ჰქონდათ.

შუა საუკუნეებში ებრაელები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ცხოვრობდნენ. მათი განსახლების ადგილებს ჩამოგვიტოვლის ვახუშტი ბაგრატიონი. XIX საუკუნეში ჩვენს ქვეყანაში ქალღვევლი ებრაელებიც სახლდებიან. როგორც აღნიშნავენ, წინამორბედების მსგავსად მათაც შეითვისეს ქართული ენა, ქართული ყოფა-ცხოვრება (ქ. აბულაძე, 1993, გვ. 69). XIX საუკუნეში საქართველოში ცხოვრობდნენ სპარსეთისა და ევროპულ ებრაელთა მცირერიცხოვანი თემები.

სპარსელი ებრაელებისაგან განსხვავებით, ევროპელი ებრაელები ნელ-ნელა მრავლდებოდნენ. ისინი ძირითადად თბილისში ცხოვრობდნენ და ფლობდნენ ქართულ ენას. 1886 წლის საოჯახო სიებით საქართველოში (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში) 14.714 სული ებრაელი მკვიდრობდა. საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნოსებისაგან განსხვავებით ებრაელთა დედაენა ქართული იყო.

დღევანდელ საქართველოში უცხო ეთნიკურ ერთეულებს შორის ყველაზე მეტნი აზერბაიჯანელები არიან. მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი გარემოებების შედეგად გაჩნდა საქართველოში სომხური მოსახლეობის პირველი ფენაც. ჩვ. წ. აღ-მდე II საუკუნის დამდეგს, სელევკიდური სირიის მეფე ანტიოქ III-ის სარდლებმა არტაქსემ და ზარიადრმა სომხური სახელმწიფოები შექმნეს და მეზობლად მდებარე ქართული მიწების ხარჯზე განავრცეს, სომეხთა პირველი შემოსვლაც მაშინ უნდა მომხდარიყო. (გ.

მაისურაძე, 1982),

ისინი კომპაქტურად ძირითადად სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში-თრიალეთში ცხოვრობენ. საქართველოში სომეხთა მიგრაცია თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე ხორციელდებოდა. სომეხების საქართველოში ხშირი გადმოსახლება განპირობებული იყო იმით, რომ ისინი საქართველოს მოსაზღვრენი იყვნენ. მტერთაგან ლტოლვილნი სომეხები უშუალოდ საქართველოს მოაპურებდნენ ხოლმე. ორ მოსაზღვრე ქვეყანას საქართველოსა და სომხეთს შორის ხშირი იყო საზღვრების შეცვლა. სასაზღვრო ზოლში თითქმის ყოველთვის იყო ქართულ-სომხური შერეული მოსახლეობა. ცნობილია, რომ V საუკუნის ქვემო ქართლში ღვთისმსახურება ქართულთან ერთად სომხურ ენაზეც მიმდინარეობდა, რაც თავისთავად აქ სომხური მოსახლეობის არსებობაზე მიუთითებს. X საუკუნის II ნახევარში ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ლორე-ტაშირის სომეხ კვირიკიანთა სამეფო წარმოიქმნა, რამაც აქ სომეხთა მომრავლება გამოიწვია (გ. მაისურაძე, 1982; ლ. ზურაბაშვილი, 1989). სომეხების საქართველოში მიგრაცია განხორციელდა რამდენიმეგზის. მაგალითად: XI საუკუნის შუა ხანებში, როდესაც მათ სახელმწიფოებრიობა დაკარგეს, დავით აღმაშენებელს მიგრანტი სომეხების ჯგუფი ქალაქ გორში დაუსახლებია. ამავე პერიოდიდან სომხეთის ჩრდილოეთი ნაწილი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. სომეხთა მნიშვნელოვანი რაოდენობა შემოსახლებულა საქართველოში XV საუკუნეში. თომა მენოფეცის ცნობით XV საუკუნის 30-იან წლებში სივნიეთიდან 6000 ოჯახი გადმოსახლებულა. 1774 წელს ერევანზე ლაშქრობისას ერეკლე II-ს რვა სომხური სოფლის მოსახლეობა აუყრია და საქართველოში დაუსახლებია (გ. მაისურაძე, 1982).

საქართველოში დასახლებულ სომეხთა უმეტესობისათვის დედაენა ქართული იყო. ისინი ისევე ებრძოდნენ შემოსულ მტერს, როგორც ქართველები. არაერთი სომეხი დროთა განმავლობაში ეთნიკურად ქართველად იქცა. სომეხთა მნიშვნელოვანი შემოსახლება მოხდა საქართველოში 1829-1830 წლებში, კერძოდ, ჯავახეთში. სომეხები აქ ცარიზმმა დღევანდელი თურქეთის ტერიტორიიდან: არზრუმიდან, ყარსიდან, ბაიაზეთიდან გადმოსახლდა. ისინი ძირითადად ქართველ მაჰმადიანთა და ქართველ მართლმადიდებელთა ნასოფლარებში დასახლდნენ; პირველნი თურქეთში იყვნენ გადასახლებულნი, მეორენი კი - აღმოსავლეთ საქართველოში. 1829-1830 წლებში

თურქეთიდან სამცხე-ჯავახეთში მიგრირებულა 14.044 კომლი (90.000 სული) სომეხი (შ.

ლომსაძე, 1975). ასე შექმნა რუსეთის ხელოსუფლებამ სამხრეთ საქართველოში ქართველთა დაუკუთხავად დიდი სომხური კომპაქტური დასახლება. საქართველოში წინა საუკუნეებში მოსული სომხებისაგან განსხვავებით, ჯავახეთში მოსულ სომხებს არასდროს გამოუჩენიათ ქართული ენის შესწავლის სურვილი. ეს გასაგებიცაა, ისინი ხომ რუსეთის იმპერიამ გადმოასახლა საქართველოს ტერიტორიაზე იმ დროს, როდესაც საქართველო რუსეთის კოლონია იყო.

1886 წლის საოჯახო სიების მონაცემებით საქართველოში 172.000 სომეხი მოსახლეობდა, რაც მთელი მოსახლეობის 10%-ს შეადგენდა. "ქართლის ცხოვრების" მიხედვით ქართლში მცხოვრებ უცხო ეთნიკურ ერთეულთაგან შეიძლება დავასახელოთ ბერძნები. ძველი დროიდან ბერძნები დასავლეთ საქართველოშიც მკვიდრობდნენ. საქართველოს შავიზღვისპირეთში ბერძნულ კოლონიზაციას თან სდევდა ბერძნული მოსახლეობის დამკვიდრება ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში (მ. ინაძე, 1982).

არქეოლოგიური გათხრებით მცხეთაში ბერძენთა მცირე ჯგუფების არსებობას ვარაუდობენ (ა. აფაქიძე, 1963). ისინი ძირითადად ხელოსნურ საქმიანობას ეწეოდნენ. შუა საუკუნეებში საქართველოში მსხვილი ბერძნული დასახლებები არ გვქონია. კომპაქტური ბერძნული დასახლებები საქართველოში XVIII საუკუნის II ნახევარში ჩნდება. ცნობილია, რომ მეფე ერეკლე II-მ ანატოლიელი ბერძნები ახტალისა და ალავერდის სპილენძის მადნების დასამუშავებლად მოიწვია. წალკის ველზე ლტოლვილი ბერძნების დიდი ჯგუფი დასახლდა 1830-იან წლებში გუმიშხანედან. ამავე დროს ბერძენთა 50 ოჯახი ჯავახეთის ახალქალაქში დასახლებულა, რომლებიც იქაურ სომეხთა ეთნიკურ-ენობრივ გარემოში გასომხებულან (შ. ლომსაძე, 1975). აღნიშნულ დროს ბერძენთა 100-მდე ოჯახი სამცხის შავწყალის ხეობის ნასოფლარებში დასახლებულა, რომლებსაც შემდეგ თავი სოფელ ციხისჯვარში მოუყრიათ (შ. ლომსაძე, 1975, გვ. 337). 1886 წ. საქართველოში (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში) 28.774 ბერძენი მკვიდრობდა.

დღევანდელი საქართველოს მოსახლეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეთნიკურ ერთეულს ქურთები შეადგენენ, რომლებიც ძირითადად თბილისში მკვიდრობენ. 1886 წელს თბილისში მხოლოდ ორი ქურთი ცხოვრობდა. თბილისში ქურთები პირველი

მსოფლიო ომის დროს არიან მოსული თურქეთიდან. თუმცა ქურთები საქართველოს

ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ (ლაპარაკია სამხრეთ საქართველოზე). 1886 წელს ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში ერთად 1388 სული ქურთი მკვიდრობდა (СВОД... 1893). გურჯისტანის ვილაიეთის დავთრის მიხედვით ქურთები XVI საუკუნის სამცხე-ჯავახეთში მომთაბარეობდნენ. როგორც გარკვეულია, ისინი ყარს-ერევნის ტერიტორიიდან იყვნენ შემოსული (შ. ლომსაძე, 1975). XIX ს-ის 80-იან წლებში სამცხე-ჯავახეთში ქურთები შვიდ სოფელში ცხოვრობდნენ.

მნიშვნელოვან უცხოეთნიკურ ერთეულს საქართველოში თურქები (თათრები, აზერბაიჯანელები) წარმოადგენენ. საქართველოს ტერიტორიაზე თურქ-სელჩუკები XI-XII საუკუნეებში იჭრებიან, მონგოლ-თურქები - XIII-XIV საუკუნეებში, თურქმანები - XIV-XV საუკუნეებში, ყიზილბაშები - XV-XVI საუკუნეებში, რის შემდეგაც ივრის, მტკვრის, ხრამის, დებედას ხეობებში ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა თურქმანული ტომებით შეიცვალა. XVI-XVII საუკუნეებში ქვემო ქართლსა და გარე კახეთში ყიზილბაშური ტომები დასახლდნენ. მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობდნენ თარაქამები სამცხე-ჯავახეთში.

1886 წელს საოჯახო სიებით თბილისის გუბერნიაში

68.364 სული თათარი ცხოვრობდა. (რ. თოფჩიშვილი, 1997). თუმცა ამ მონაცემებით ძალიან ძნელია განვსაზღვროთ რამდენი იყო ეთნიკურად თათარი (თურქი, აზერბაიჯანელი) და რამდენი მაჰმადიანი ქართველი.

განსხვავებული მოსაზრებები არსებობს საისტორიო საზოგადოებაში ოსთა საქართველოში ჩამოსახლების ეტაპების შესახებ. მეცნიერთა ერთი ნაწილი მათ მიგრაციის «უძველეს დროდ» III-IV ან VI-VII საუკუნეებს მიიჩნევს. საქართველოში ოსთა ინფილტრაციის პირველ პერიოდად მეცნიერთა უმეტესობა ჩრდილო კავკასიაში მონღოლთა გაბატონებას უკავშირებს. იყო ცდა, ოსური გვარების გენეალოგიებზე დაყრდნობით, მათი მიგრაციის ხანა XV-XVI საუკუნეებით განესაზღვრათ. რუსი და ქართველი მეცნიერების კვლევის შედეგები მიუთითებენ, რომ ქართლის მთიანეთში ოსების დასახლება, ძირითადად, XVII საუკუნეში მოხდა, ხოლო დას. საქართველოში ოსთა მიგრაცია XVIII საუკუნეში მიმდინარეობდა. (რ. თოფჩიშვილი, 1997). ოსების კომპაქტური დასახლებები თანდათანობით გაჩნდა შიდა ქართლის ჩრდ. ნაწილში, მდ. ლიახვისა და მდ. ქსნის ხეობებში, თუმცა ცნობილია, რომ მათი დიდი ნაწილი დისპერსულად განსახლდა

მთელ საქართველოში.

XIX საუკუნემდე წერილობით წყაროებში ოსეთთან დაკავშირებით განსაზღვრება «სამხრეთი» ან «ჩრდილოეთი» არ ფიქსირდება. ეს ტერმინი მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გაჩნდა. იმპერატორისადმი გაგზავნილ რაპორტებში რუსი სამხედროები მდ. ლიახვის მთიანი რეგიონების ოსებით დასახლებულ ტერიტორიას უწოდებდნენ «ოსეთს», «Грузинская Осетия»-ას, «Южная Осетия»-ს (1812-1837წწ.). შემდეგ გაჩნდა ოპოზიციური წყვილი — «Южная Осетия – Северная Осетия» (1830, 1867, 1885 წწ.). XIX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს ტერიტორიაზე «Осетинский округ»-ი დაწესდა. (რ. თოფჩიშვილი, 1997). სწორედ ეს ვითარება იქცა შიდა ქართლში ბოლშევიკების მიერ შექმნილ ტერიტორიულ- ადმინისტრაციული დანაყოფისათვის სახელის მინიჭების წინაპირობად (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი).

XIX საუკუნის მანძილზე ოსების პროცენტული რაოდენობა საქართველოში 3% და 4%-ს შორის მერყეობდა. 1886 წელს ისინი 72.000-ს ითვლიდნენ. დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე პირველი ოსური დასახლებანი XVII საუკუნის შუა ხანებში განხორციელდა. რაც შეეხება საქართველოს უძველეს და ძირძველ ტერიტორიას - დვალეთს, აქ ოსები XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნეში დასახლდნენ. XVIII და XIX საუკუნეებში კი ოსები საქართველოს მთისწინეთსა და ბარში ფართოდ განსახლდნენ. ისინი ძირითადად ქართველთა ნასოფლარებში სახლდებოდნენ (რ. თოფჩიშვილი, 1997).

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ გერმანელებზე. 1886 წლის საოჯახო სიებით საქართველოში 5.836 სული გერმანელი მკვიდრობდა. გერმანელ კოლონისტთა პირველი ჯგუფი (181 სული) თბილისში 1817 წლის 21 სექტემბერს ჩამოსულა. ისინი სართიჭალასთან დაუსახლებიათ. 1818 წელს თბილისში გერმანელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა მოსულა. სამეცნიერო ნაშრომებით ცნობილია, რომ 1819 წლის ბოლოს საქართველოში ექვსი გერმანული კოლონია იყო. 1884 წელს გერმანელ კოლონისტებს სოხუმის მახლობლად ორი კოლონია შეუქმნიათ (გ. მანჯგალაძე, 1974; ა. სონდულაშვილი, 1995).

რუსების დასახლება საქართველოში XIX საუკუნეში განხორციელდა. პირველად ჩვენში სახლდებოდნენ რუსეთის არმიაში ნამსახური ჯარისკაცები. 1837 წლიდან სამხედრო კოლონიები მოეწყო თბილისთან, წალკაში, მანგლისში, კოჯორში, ახალციხის

მახლობლად... ეს კოლონიები ეწყობოდა იქ განლაგებული ჯარის ბანაკებთან. მეფის რუსეთს იმედი ჰქონდა, რომ ამ დასახლებებით საქართველოს რუსიფიკაციას მოახდენდა, მაგრამ ჯარისკაცებმა ეს ვერ შეძლეს. პირიქით, XIX საუკუნის ბოლოს ალ. ყიფშიძე წერდა: "საუკუნის დასაწყისს დაბანაკებული ჯარისკაცი ადვილად შეეჩვივნენ მეზობელ ქართველებს, ისწავლეს ქართული, ტანსაცმელი ნახევრად ქართული შემოიღეს, ხვნათესვის წესრიგი ხომ სრულიად ქართული აქვთ. ბაკურიანში დაბინავებულმა რუსობამ სრულიად დაივიწყა რუსული, მხოლოდ თითო-ოროლადა ამტკრევს ჩიქორთულად რუსულს, სწორედ ტკბილი და მშვიდობიანი განწყობილება ჩამოვარდა ქართველებსა და პირველ რუს მოსახლეთა შორის" (ალ. ყიფშიძე, 1899).

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ აფხაზებზეც. აზრთა არანაკლებ სხვადასხვაობას იწვევს მათი ეთნოგენეზი და დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე განვითარებული ეთნიკური პროცესები. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ მხარეზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს გვიან შუა საუკუნეებში ჩრდილო კავკასიიდან გადმოსულმა ადიღური მოდგმის ხალხებმა. ეთნიკური აფხაზების ბირთვს სწორედ ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებული ჯგუფები შეადგენენ. ზოგ მეცნიერს კი სრულიად განსხვავებული მოსაზრება აქვს, მათი აზრით, II საუკუნეში წყაროებში მოხსენებული აფსილები და აბაზგები აფხაზურ-ადიღური მოდგმის ტომები იყვნენ და თანამედროვე აფხაზი ხალხის წინაპრები არიან. აფხაზური ეროვნების ჩამოყალიბება, ძირითადად, VIII საუკუნეში დასრულდა. პროცესში მთავარი როლი შეასრულეს აბაზგებმა და აფსილებმა. ამ კონცეფციის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ გვიან შუა საუკუნეებში მიგრაციულ პროცესებს, პირიქით, საქართველოდან ჩრდ. კავკასიისაკენ ჰქონდა მიმართულება. ერთიანი სამეფოს დაშლის პერიოდში აფხაზეთის მოსახლეობის ნაწილი კავკასიონს გადაღმა, ჩრდილო კავკასიაში (მდ. ყუბანისა და მისი მარცხენა შენაკადების სათავეებში), დამკვიდრდა და დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა როგორც თავისთავადი აბაზა ხალხი. (www.nplg.gov.ge).

1886 წლის აღწერით აღრიცხულია 60.432 აფხაზი. მაგრამ, როგორც ამავე აღწერით ირკვევა, სამურზაყანოელი ქართველები აფხაზებზე იყვნენ მინერილი. სამურზაყანოელების რაოდენობა კი ამ დროს 30.640 იყო. (გ. ფირცხალავა, 1997). ე.ი.

რეალურად XIX საუკუნის ბოლოს საქართველოში 29.792 აფხაზი ითვლებოდა.

1886 წლისათვის თბილისის გუბერნიაში მოსახლეობის 61,35% მართლმადიდებელი იყო. დასავლეთ საქართველოში (ქუთაისის გუბერნიაში) ეს მაჩვენებელი 86,61%-ს შეადგენდა. საქართველოში მოსახლე სომხების ძირითადი ნაწილი სარწმუნოებით მონოთეიზტი (გრიგორიანელი) იყო, 1886 წ. ისინი თბილისის გუბერნიაში მკვიდრთა 22,25%-ს შეადგენდნენ. ქუთაისის გუბერნიაში სომეხ- გრიგორიანთა პროცენტული რაოდენობა 0,83% უდრიდა. (რ. თოფჩიშვილი, 2005)

ისტორიულად საქართველოში მცხოვრები არაქართველები სრული თავისუფლებით სარგებლობდნენ. ისინი სრულყოფილად ფლობდნენ ქართულ ენას და საქართველოს მოქალაქეებად მიიჩნეოდნენ თავს. უან შარდენი წერდა: საქართველოში "შეხვედებით სომხებს, ბერძნებს, ებრაელებს, ოსმალებს, სპარსელებს, თათრებს, მოსკვიტებსა და ევროპელებს. მათ მინიჭებული აქვთ თავისუფლება. აქ (საქართველოში) უფლება გაქვს იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმსჯელო მასზე და დაიცვა იგი" (უან შარდენი, 1975, გვ. 297-298). მეორე ევროპელი, გიულდენშტედტი იგივეს წერდა: "მმართველობა და სამღვდლოება ამჟღავნებს სრულ რჯულშემწყნარებლობას სომხების, კათოლიკეების, მაჰმადიანი და ებრაელი მოსახლეობის რელიგიის მიმართ, რომლებიც სრულებით არ ეკუთვნიან ბერძნულ ეკლესიას და არ სდევნიან მათ" (გიულდენშტედტი, 1962, გვ. 209).

თავი2. ეთნო - კულტურული პროცესები საქართველოში

1980-იანი წლების ბოლოს და სსრკ-ს დაშლის შემდეგ, საბჭოთა კავშირში არსებული რეალობა გააქტიურებულმა სოციალურ - პოლიტიკურმა მოვლენებმა დაარღვია. კატაკლიზმებს თან ახლდა მწვავე პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, რასაც ზოგ ადგილას ეთნიკური დაპირისპირება მოჰყვა. (www.nplg.gov.ge). სხვადასხვა ძალები შეეცადნენ პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული ეთნიკური მრავალფეროვნება თავიანთი მიზნებისათვის გამოეყენებინათ, რისთვისაც კონფლიქტების გაჩაღებასაც არ ერიდებოდნენ. წარმოიქმნა ეთნიკური დაპირისპირების რამდენიმე კერა, გახშირდა იძულებითი მიგრაციები, გარკვეულწილად შეიცვალა ზოგიერთი რეგიონის ეთნოდემოგრაფიული სტრუქტურა.

ეთნოკონფლიქტების პროვოცირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ისტორიული ინსინუაციების იდეოლოგიამ, ეთნოცენტრიზმა, რომელთაც საკუთარი მიზნებისთვის იყენებდნენ დაპირისპირებული მხარეები. ეთნოცენტრიზმი ოპოზიციური ჯგუფის ტრადიციული კულტურის ნეგატიურ პრიზმაში განხილვითა და საკუთარი ჯგუფის კულტურის განდიდებით ხასიათდება. ამ ტენდენციებმა არცთუ უმნიშვნელო გავლენა იქონია XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებზე. (www.nplg.gov.ge). ამრიგად, კულტურულ - ისტორიული მოვლენები იქცნენ არა ცალკეული ჯგუფების გაერთიანების, არამედ მათი გათიშვისა და დაპირისპირების საშუალებად.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ეთნო-კულტურული თავისებურებების ობიექტურად წარმოჩენა მეტად მნიშვნელოვანი საქმეა. ქართველი ხალხისა და საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფთა ყოფა-ცხოვრების წესის ურთიერთშედარება, ტრადიციულ კულტურათა ელემენტების განსხვავებებსა და მსგავსებებზე დაკვირვება კიდევ ერთხელ

გვარწმუნებს, რომ ამ სფეროში არსებული

მრავალფეროვნება ჩვენი სიმდიდრეა. საქართველოს ტერიტორია უძველესი დროიდან იყო მოქცეული ინტენსიური მიგრაციების არეალში. განსაკუთრებით აქტიურად მიგრაციული პროცესები საქართველოსა და მის მეზობელ რეგიონებს შორის მიმდინარეობდა. შემოდინდნენ და მკვიდრდებოდნენ როგორც კავკასიის ხალხთა წარმომადგენლები, ასევე ცალკეული ჯგუფები მახლობელი აღმოსავლეთიდან. დროთა განმავლობაში მიგრანტთა ზოგი ჯგუფი ადგილობრივ მოსახლეობაში ან სხვა ეთნიკურ ერთეულებში გაითქვია, სხვებმა კი ბოლომდე შეინარჩუნეს თავიანთი ეროვნული სპეციფიკა.

საქართველოს ეთნიკური იერსახის ფორმირება, ძირითადად, მახლობელ აღმოსავლეთსა და დღევანდელი რუსეთის სამხრეთში განვითარებულ ისტორიულ მოვლენებს უკავშირდება. ამ რეგიონში მიმდინარე ეთნომიგრაციებზე გავლენა მოახდინა როგორც უძველესმა იმპერიებმა, ისე ჰუნების, კიმერიელებისა და სკვითების მოძრაობამ, მონღოლთა შემოსევებმა, თემურ ლენგის ლაშქრობებმა, ირან-ოსმალეთის ომებმა, რუსეთის გაძლიერებამ და აღმოსავლეთის ქვეყნებთან (თურქეთთან, სპარსეთთან) მისი მეტოქეობის შედეგად წარმოქმნილმა ეთნოპოლიტიკურმა და რელიგიურმა იმპულსებმა. (რ. თოფჩიშვილი, 2005). ცალკეულ შემთხვევებში უცხო ეთნიკურ ერთეულს სამეფო ხელისუფლებაც იყენებდა სამხედრო მიზნებისათვის, გაუკაცრიელებული ადგილების დასახლებლად და საქალაქო ცხოვრების გამოსაცოცხლებლად. ამ მიზნით დავით აღმაშენებელმა ჩრდილო კავკასიიდან ყივჩაღები შემოიყვანა, ხოლო გორში სომხები ჩამოასახლა. სომხური წარმოშობის პირები მოგვიანებითაც მრავლად იყვნენ საქართველოს მეფეთა კარზე.

გვიანი შუა საუკუნეებისათვის განსაკუთრებით ძლიერი იყო მიგრაცია სომხეთიდან. ისტორიული სომხეთი განაწილებული აღმოჩნდა ორ მუსლიმურ სახელმწიფოს — ირანსა და ოსმალეთს — შორის. მრავალი ადამიანი ტოვებდა სამშობლოს იქ გამეფებული ეროვნულ-პოლიტიკური თუ რელიგიური შევიწროების გამო და სხვა ქვეყნებში ეძებდა თავშესაფარს.

XV-XVI საუკუნეებიდან მახლობელ აღმოსავლეთში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში ინტენსიური ხასიათი მიიღო

თურქმენული მოდგმის (ქართული წყაროებით – თათრები, დღევანდელი

აზერბაიჯანელების წინაპრები) ტომების ჩამოსახლებამ. XVII საუკუნის დამდეგს შაჰაბას პირველმა ქართლის მეფე გიორგის «საჩუქარი» მოსთხოვა. შაჰმა «ნაჩუქარ» მიწაზე ლორეს სახანო შექმნა და იქ ბორჩალოს მუსლიმი ტომები ჩამოსახლა. XVII-XVIII საუკუნეში აღმ. საქართველოში ჩამოსახლდა ჰასანლუს ტომის ერთი ნაწილი. ისინი, ძირითადად, კახეთსა და ქვემო ქართლში (დღევანდელი მარნეულისა და გარდაბნის რაიონები) დანაწილდნენ. ნასიბუს ტომმა დმანისის ხეობაში შეაღწია, ქციახრამის ხეობების გაყოფებით აღმოსავლეთისაკენ წავიდა და მდინარე მტკვრის გაღმა მხარეზე ლილოებსა და ყარაიის მდიდარ საძოვრებს მოეკიდა. პირველ ხანებში ჩამოსახლებული ყიზილბაშები ირანის შაჰს ემორჩილებოდნენ და ქართლის სამეფოს აღწერებშიც არ გვხვდებიან. მოგვიანებით, თანდათანობით ქართულ ფეოდალურ სისტემას შეერწყნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ ქართული სახელმწიფოს ცხოვრებაში. ამის მკაფიო მაგალითია სახალხო გმირი ხუდია ბორჩალოელი, რომელსაც ღირსეული ადგილი უჭირავს მეფე ერეკლე II-ს ერთგულ თანამებრძოლთა შორის.

შაჰ-აბასის ლაშქრობების შემდეგ კაკენისელის სასულთნოსა და კახეთში ჩამოსახლება დაიწყო დაღესტნელებმა. მართალია, დაღესტნელთა ქართულ მიწა-წყალზე გადმოსვლა-დამკვიდრება მშვიდობიან პერიოდშიც ხდებოდა, მაგრამ ეს პროცესი გააქტიურდა მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ კავკასია ირანის გავლენის ქვეშ მოექცა. შაჰ- აბასის ლაშქრობებმა კი დაღესტნელ მოახალშენებს საქართველოსკენ გაუხსნა გზა. ირან-თურქეთის მეტოქეობის პერიოდში (XVI ს.) აღმოსავლეთ საქართველოში (მესხეთში) გამოჩნდნენ ცალკეული ქართული ტომებიც.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ეთნიკურ მიგრაციას ზოგჯერ ადგილობრივი მესვეურებიც მიმართავდნენ. კავკასიის სხვა რეგიონებიდან შემოყვანილ ეთნიკურ ჯგუფებს ქართული სამეფო კარი და ცალკეული ფეოდალი გაუკაცრიელებული ადგილების დასასახლებლად და საქალაქო ცხოვრების გამოსაცოცხლებლად იყენებდა. XVIII საუკუნის შუა ხანებში ერეკლე მეორემ ქართლში ოსები შემოიყვანა. 70-იან წლებში ყაზარდოელების ჩამოსახლება სცადა, რასაც წინ აღუდგა რუსეთი. (www.nplg.gov.ge).

ერეკლეს ძალისხმევის შედეგია ბერძენთა პირველი მცირერიცხოვანი დასახლებების გაჩენა აღმოსავლეთ საქართველოში. ომან მდივან ბეგ ხერხეულიძის

ცნობით, სპილენძისა და ვერცხლის მოპოვების განვითარების მიზნით, ერეკლე II-მ,

ბერძნები ჩამოასახლა ახტალაში, სომეხი მელიქების მამულებში, სადაც სპილენძისა და ვერცხლის საბადოები იყო. ამრიგად, საქართველოს სამეფოს მმართველობა არათუ უპირისპირდებოდა მიგრანტებს, პირიქით, ქმნიდა პირობებს მათი ინტეგრირებისათვის. (რ. თოფჩიშვილი, 2005). ქართველი მეფეები (ერეკლე II, გიორგი XII) მიგრანტებისათვის შეღავათებს აწესებდნენ. სწორედ ამიტომ უკუმიგრაციას უმნიშვნელო მასშტაბები ჰქონდა.

ეთნიკური ჯგუფების ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილება სამხრეთ კავკასიაში განვითარებულ ეთნოისტორიულ პროცესებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა. ახალი ეთნოკულტურული მახასიათებლების შემოტანა ხშირად მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის მიზეზი ხდებოდა. მაგალითად, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე თურქულენოვანი და ირანული მოდემის ხალხების ინფილტრაციამ რადიკალური გავლენა იქონია აქ მცხოვრები ალბანელების ენაზე, ტრადიციულ ყოფასა და კულტურაზე.

სამხრეთ კავკასიაში ამჟამად არსებული ეთნოდემოგრაფიული სიტუაცია მჭიდროდ უკავშირდება რუსეთის იმპერიის გაძლიერებისა და მისი კავკასიაში წინსვლის ისტორიას. რუსეთი უკვე XVI საუკუნიდან ერეოდა სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებში. მოგვიანებით თავად კავკასიელ მესვეურთა ნაწილი აქეზებდა ცარიზმის სამხრეთულ მისწრაფებას. რომ არათფერი ითქვას კახეთისა და ქართლის მეფეებზე, XVIII საუკუნეში სომხური საზოგადოების წინამძღოლი ერმიაძინის საპატრიარქოც აქტიურ მიმოწერას აწარმოებდა საიმპერატორო კართან. რუსეთში მოღვაწე სომხური ემიგრაცია — ლაზარევი, არლუთინსკი, ემინი — ცდილობდა პოლიტიკური ზედაფენა ირან-თურქეთის ბატონობიდან სომხეთის გამოხსნითა და მისგან მოკავშირე სახელმწიფოს შექმნის იდეით დაეინტერესებინა. (რ. თოფჩიშვილი, 2005). კავკასიაში რუსეთისათვის სასურველი პოლიტიკური სიტუაციის ფორმირება მხოლოდ სათანადო ეთნიკური მოზაიკის შექმნით შეიძლებოდა, რაც აუცილებლად მოითხოვდა მეცნიერულ კვლევას. კავკასიის ეთნოგრაფიული, გეოლოგიური, ბოტანიკური და გეოგრაფიული შესწავლისათვის ექსპედიციებმა XVIII საუკუნეში დაიწყეს ინტენსიური სამეცნიერო კვლევა-ძიება. დიდძალი ეთნოგრაფიული მასალის მოძიებამ, ანალიზმა და სოლიდური სამეცნიერო ბაზის ჩამოყალიბებამ ჯერ მეფის

რუსეთს, შემდეგ კი საბჭოთა კავშირს ეთნიკური ვითარების ტრანსფორმირების საშუალება მისცა. ამ მიზნით ეფექტურად იყენებდნენ როგორც გარე (ეთნოტერიტორიულ ერთეულებს შორის მიმდინარე), ისე შიდა მიგრაციებს. საქართველოში გაბატონების პირველივე წლებში რუსული მმართველობა სასურველი ეთნიკური სიტუაციის შესაქმნელად პრაქტიკული ღონისძიებების გატარებას შეუდგა. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტს თან ერთვოდა რესკრიპტი საქართველოს კოლონიზაციის თაობაზე. მასში იმპერატორი ალექსანდრე I საქართველოს მაშინდელ მთავარმართებელს, კნორინგს, მიუთითებდა, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ საზღვარგარეთიდან საქართველოში ქრისტიანი კოლონისტების მოზიდვისათვის. ამ მიზნით 1819 წლის 22 დეკემბერს მიიღეს საგანგებო დებულება, რომლითაც საქართველოში გადმოსახლებულ კოლონისტებს მთელი რიგი შეღავათები ენიჭებოდათ. სწორედ ამ შეღავათებით სარგებლობდნენ XIX საუკუნეში მეფის რუსეთის რეჟიმის ძალისხმევით გადმოსახლებულ მიგრანტთა ჯგუფები (რუსეთის ეკლესიასთან დაპირისპირებული რელიგიური ჯგუფები, სომხები, ბერძნები, გერმანელები და ა.შ.) საიმპერატორო კარი მიზნად ისახავდა რუსების, განსაკუთრებით, კაზაკების ჩამოსახლებას საქართველოსა და კავკასიაში. სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ რუსი ოფიცრებისა და ჯარისკაცთა ნაწილი მუდმივ საცხოვრებლად დისლოცირების ადგილზე რჩებოდა. რუს კოლონისტებს მთავრობამ დაურიგა საუკეთესო მიწები, ეხმარებოდა მათ ფინანსურად, ათავისუფლებდა გადასახადებისაგან. შემდგომში ეს დასახლებები სოფლებად გადაიქცნენ. სამხედრო კოლონიზაციის გარდა, რუსი მოსახლეობის საქართველოში დაფუძნებას თავადაზნაურული და საეკლესიო-სამონასტრო კოლონიზაციაც უწყობდა ხელს. XIX საუკუნის 20-30-იან წლებში დაიწყო რუსეთის შიდა გუბერნიებიდან ე.წ. ერეტიკოსების გადმოსახლება საქართველოში. მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაპირისპირებული ჯგუფები მოდიოდნენ როგორც საკუთარი ნებით, ისე იძულებითაც. ერთ-ერთი პირველნი იყვნენ დუხობორები, რომლებიც ახალქალაქის უბანში გადმოსახლდნენ. მათ მალაკნები მოჰყვნენ. მთავრობა ცდილობდა გადასახლებისას არ დაერღვია რელიგიური თემის ერთიანობა და, როგორც წესი, მათ ცალკე საცხოვრებელ ადგილს უყოფდა. 1820-იანი წლებიდან დაიწყო

რუსეთის სხვადასხვა რეგიონებიდან რუსი «რასკოლნიკების» საქართველოში ჩამოსახლება.

საქართველოში სხვა ეროვნების ქრისტიანულ ჯგუფებსაც ასახლებდნენ. 1817 წელს ვენის კონგრესიდან მომავალ ალექსანდრე I-ს შტუტგარტში შეხვდნენ ერთ-ერთი გერმანული რელიგიური ჯგუფის (სკეპტიკოსების) წარმომადგენლები და კავკასიაში გადმოსახლება სთხოვეს. რუსეთის იმპერატორმა შემოთავაზებულ წინადადებაზე თანხმობა განაცხადა და გადმოსახლების მსურველებს რწმენის ხელშეუხებლობასა და საცხოვრებელი ადგილებით დაკმაყოფილებას დაჰპირდა. იმავე წლის დამდეგს საქართველოსკენ რამდენიმე პარტიად დაყოფილი გერმანელები დაიძრნენ. მათი უმრავლესობა ვიურტემბერგელი და ბადენელი პროტესტანტები (პიეტისტები) იყვნენ.

გარდა ამისა, საქართველოში მრავლად ასახლებდნენ ცარიზმის წინააღმდეგ ამბოხებულ სხვადასხვა ჯგუფთა წარმომადგენლებს (დეკაბრისტებს, პოლონეთის აჯანყების მონაწილეებსა და ა.შ.). რუსეთის გაბატონებას მოჰყვა ხელისუფლებისათვის არასასურველი ჯგუფების, პირველ რიგში, მემამოხეთა, საქართველოდან გაძევება. კოლონიური რეჟიმის დამყარებას მთელი კავკასია მედგრად ებრძოდა. რუსეთის წინააღმდეგ XIX საუკუნის 70-იან წლებამდე რამდენიმე ფართომასშტაბიანი აჯანყება მოხდა აფხაზეთში. აჯანყებების სისხლში ჩახშობას სდევდა აფხაზთა იძულებითი მიგრაცია („მუჰაჯირობა“) ოსმალეთის იმპერიაში. ვარაუდობენ, რომ იმ პერიოდში ოსმალეთში, დაახლოებით, 135 ათასამდე აფხაზი და აბაზი წავიდა. XIX საუკუნის 30-იანი წლების დამდეგს თურქეთში გადავიდა სამცხე-ჯავახეთის მუსლიმ ქართველთა უმეტესობაც. სამაგიეროდ, ჰყავდათ ქრისტიანები. 1828-29 წლებში რუსეთ-თურქეთს შორის დადებული ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების ძალით, რუსებმა საომარი ოპერაციების დროს დაკავებული თურქეთის ტერიტორიიდან (არზრუმის ვილაიეთიდან) ახლად შემოერთებულ ქართულ მიწაზე, სამცხე-ჯავახეთში, ჩამოსახლეს 30 ათასი სომეხი. ამავე პერიოდში საქართველოში შემოვიდა ბერძენთა დიდი ჯგუფიც, რომელიც, ძირითადად, წალკის რაიონში განსახლდა. (www.nplg.gov.ge). XIX საუკუნის პირველ ნახევარში შემოსული მიგრანტების ხარჯზე რადიკალურად შეიცვალა ქვეყნის ეთნიკური შემადგენლობა.

მიგრაციული პროცესების ერთი ვექტორი უკავშირდება XIX საუკუნეში მიმდინარე რუსეთის ომებს კავკასიაში. ამ დროისათვის საქართველოში შემოვიდა ჩრდილო კავკასიელთა რამდენიმე ჯგუფი. მათგან აღსანიშნავია ვაინახები (ქართ. ქისტები). საქართველოში ქისტების მასობრივი ჩამოსახლება XIX საუკუნეში, სავარაუდოდ, 1826 წლიდან დაიწყო და ამავე საუკუნის 60-იან წლებში დასრულდა. თუმცა მიგრაციის ცალკეული შემთხვევები XX საუკუნის პირველ ნახევარშიც გვხვდება.

რუსეთის ბატონობის პირობებში, XIX საუკუნეში მოვიდნენ საქართველოში მიგრანტთა შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფები – ჩეხები, ასურელები, უკრაინელები. იმავე საუკუნის მეორე ნახევრიდან გამოჩნდნენ სამუშაოდ გამოგზავნილი ბალტიისპირელები, რომელთაც მოგვიანებით გამოქცეულნი და გადმოსახლებულნი შეემატნენ. XIX საუკუნეში უნდა გამოჩენილიყვნენ პირველად ბოშებიც.

ეთნიკური მიგრაციები XX საუკუნეშიც გაგრძელდა. (www.nplg.gov.ge). დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ 1918 წელს მიიღო ქურთი-ეზიდები. ისინი თურქეთის მთავრობისა და მუსლიმი ქურთების ერთი ნაწილის მხრივ დევნას გამოექცნენ. თავიანთ სამშობლოში შევიწროებული ადამიანები საქართველოში მოგვიანებითაც შემოდიოდნენ. XX საუკუნის 20-იან წლებში ყვარლის რაიონის სოფელ ოქტომბერში (ყოფილ ზინობიანში) აზერბაიჯანიდან, ნუხის ოლქის სოფ. ვართაშნიდან, გადმოსახლდნენ აზერბაიჯანელებისა და სომხების თავდასხმებით შეწუხებული უდიები, კავკასიის მცირერიცხოვანი აბორიგენული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი. XX საუკუნის 40-იან წლებში, ნაცისტურ გერმანიასთან ომის დროს, სსრკ-ს ევროპული ნაწილის ევაკუაციის შემდეგ მრავალმა რუსმა, უკრაინელმა, ბელორუსმა თუ სხვა ეროვნების ადამიანმა საქართველოს შეაფარა თავი და აქვე დარჩა.

თავი 3. საქართველოს მოსახლეობის აღწერების ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში ფეოდალური ხანიდან არსებობდა მოსახლეობის პერიოდული აღწერის პრაქტიკა, მაგრამ მათზე დაყრდნობით მხოლოდ ფრაგმენტულ სურათს წარმოვიდგენთ. ცნობილია, რომ ქართლის სამეფოს ოთხი სადროშოს თითოეულ სარდალს თავისი სადროშოს შვიდ წელიწადში ერთხელ აღწერა ევალებოდა. ჩვენამდე მოღწეული ამ ტიპის დოკუმენტებიდან ყველაზე ღირებულია 1770 წლის 5 აპრილის ქართლ-კახეთის სამეფოს დემოგრაფიული ნუსხა. ამ ტიპის დოკუმენტების გარდა, გარკვეულ მონაცემებს შეიცავენ მოგზაურების ჩანაწერები და საქართველოში გარკვეული დავალებით შემოსული უცხოელი რეზიდენტების მოხსენებითი ბარათები. უფრო სისტემური ხასიათი აქვს ამგვარ მონაცემებს XIX საუკუნიდან. თუმცა კამერალური აღწერების მასალები და ხელისუფლების ორგანოების მიერ შეგროვილი ცნობები სრული მაინც არ იყო, თანაც ეთნიკურ კუთვნილებას ხშირად სარწმუნოებასთან აიგივებდნენ, ზოგჯერ კი ეთნოგრაფიულ ჯგუფს (მაგ., მეგრელებს, ხევსურებს, სვანებს და ა.შ.) ცალკე ეთნოსად წარმოადგენდნენ. შედარებით სრული სურათი მოგვცა რუსეთის იმპერიაში ჩატარებულმა პირველმა საყოველთაო აღწერამ (1897 წ.). მაგრამ ეროვნული შემადგენლობის ზუსტად დადგენა ამ აღწერითაც შეუძლებელია, რადგან ეთნიკური იდენტობის განმსაზღვრელ ნიშნად მხოლოდ მშობლიური ენა მიიჩნეის. უნდა ითქვას, რომ ამ პრობლემას არც შემდგომში (საბჭოთა პერიოდში) რამდენჯერმე ჩატარებული საყოველთაო აღწერისას უდგებოდნენ ყოველთვის ობიექტურად, მაგრამ ეს მასალები მაინც ძირითად წყაროს წარმოადგენს ეთნოდემოგრაფიული პროცესების დინამიკის დადგენისას. ხსენებულ წყაროებზე დაყრდნობით, XIX საუკუნის II ნახევარში, როდესაც მიგრაციულმა ნაკადებმა შედარებით მოიკლო, ასეთი ეთნოდემოგრაფიული სურათი წარმოვიდგება: 1865 წლიდან 1897 წლამდე შემცირდა მხოლოდ ქართველებისა და აფხაზების პროცენტული შემადგენლობა: ქართველებისა 73,8%-დან

(1865 წ.) 69,4%-მდე (1897 წ.); აფხაზებისა 4,6%-

დან (1865 წ.) 2,2%-მდე (1897 წ.). ყველა დანარჩენი ეთნიკური ჯგუფის ხვედრითი წილი გაიზარდა: ოსებისა — 3,6%-დან (1865 წ.) 4,2%-მდე (1897 წ.), სომხებისა — 9,6%-დან (1865 წ.) 10,3%-მდე (1897 წ.), რუსებისა — 2,0%-დან (1865 წ.) 5,3%-მდე (1897 წ.), ამერბაიჯანელებისა — 4,0%-დან (1865 წ.) 4,2%-მდე (1897 წ.), ბერძნებისა — 0,9%-დან (1865 წ.) 2,0%-მდე (1897 წ.), ებრაელებისა — 0,6%-დან (1865 წ.) 0,9%-მდე (1897 წ.), გერმანელებისა — 0,3%-დან (1865 წ.) 0,4%-მდე (1897 წ.), დანარჩენისა — 0,7%-დან (1865 წ.) 1,1%-მდე (1897 წ.).

მოსახლეობის აღწერების მიხედვით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ქვეყნებისა და ტერიტორიების მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესწავლასა და გაანალიზებას, სადაც მრავალრიცხოვანია ურთიერთგანსხვავებული დემოგრაფიული ქცევის ეროვნებები, რომლებიც მთლიანად განაპირობებენ მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის ზრდასა და მომავალ დემოგრაფიულ ევოლუციას.

1926, 1939, 1959, 1970, 1979 და 1989 წლის აღწერებში აღგილი ჰქონდა ერთგვარი თვითგამორკვევის პრინციპს - მიეთითებოდა ის ეროვნება, რომელსაც თავად გამოკითხული მიაკუთვნებდა თავის თავს. ასევე აღსანიშნავია, რომ პირად ფურცელში და ინსტრუქციაში წინა აღწერებისაგან განსხვავებით, თავისებურად იყო დაყენებული საკითხი ეროვნებების შესახებ. (გ. ფირცხალავა, 1997). როგორც ზემოთაც აღინიშნა ეროვნული შემადგენლობის ზუსტად დადგენა 1897 წლის აღწერით შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ეთნიკური იდენტობის განმსაზღვრელ ნიშნად მხოლოდ მშობლიური ენა მიიჩნის, ეროვნება კი იმის მიხედვით მიეთითებოდა თუ რომელი ქვეყნიდან იყო რესპოდენტი. უკვე მოგვიანებით 1926 წლიდან აღწერების კითხვებს შორის ჩნდება ეროვნების შესახებ კითხვაც. თუ 1920 წლის აღწერის დროს სააღწერო ფურცლის კარნახში ეროვნების შესახებ ჩანერილი იყო „национальность“ 1926 წლის აღწერის პირად ფურცელში ეროვნების შესახებ ეწერა „народность“. რუსული გამოთქმის მიხედვით პირველი უფრო ფართო ცნებაა ვიდრე მეორე. როგორც ცნობილია, ქართულ ენაზე ვერ მოიძებნა ზუსტი თარგმანი და „народность“ ნათარგმნი იყო ეროვნებად, რაც ამ შემთხვევაში არ ემთხვეოდა რუსული სიტყვის მნიშვნელობას და ასახავდა მცნება

„ - ის შინაარსს. 1926 წლის აღწერის დროს სიტყვა „ -ის

კარნახით ნაგულისხმევი იყო მოსახლეობის შემადგენლობის შესწავლა არა ძირითადი

ეროვნების მიხედვით, რასაც ჩვენ „ეროვნებას“ ვეძახით, არამედ ტომობრივი, ეთნიკური მაჩვენებლების მიხედვით. ასეთივე მითითებებს იძლეოდა აღწერის ინსტრუქციაც. ვფირობ, სწორედ ამით იყო გამოწვეული ის, რომ 1926 წლის აღწერის დროს ეროვნებათა კლასიფიკაციაში პირობით შეტანილი იყო: „მეგრელი“, „სვანი“, „აჭარელი“ და სხვა. აღწერის მასალების პირველადი დამუშავებაც შესაბამისი წესით ჩატარდა. თვითდასახელების პრინციპის გამო აღწერის მასალებში ეროვნების შესახებ ჩანაწერებში ხშირად ვხვდებოდით ჩანაწერებს არამართო მეგრელების, აჭარლებისა და სვანების შესახებ, რომლებიც იგივე ქართველები არიან და სხვა ეროვნებას არ წარმოადგენენ, არამედ რაჭველებს, იმერლებს, კახელებს და ქართველთა დანარჩენ ჯგუფებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ თვითდასახელების პრინციპის დროს მეგრელების, სვანების, ლაზებისა და აჭარლების ნაწილი თავის ეროვნებად ჩვეულებრივ „ქართველს“ დაასახელებდა, მათ შესახებ 1926 წლის აღწერა ვერ მოგვეცემდა სწორ სურათს. (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საბოლოოდ, მასალების დამუშავების შემდეგ, აჭარელიც, სვანიც, მეგრელიც და სხვა დანარჩენი ეთნოსებიც, ერთ მთლიან ჯგუფში- ქართველებში გაერთიანდნენ). (ა.ნ. ხაჩიძე, 1958).

ძალიან მნიშვნელოვანი იყო პირადი ფურცლის სათანადო კითხვაზე პასუხი დედა ენის ცოდნაზე, რომელიც ხშირად არ ემთხვეოდა ძირითადი ეროვნების ენას. ამ კითხვაზე 1926 წლის აღწერის ინსტრუქცია შემდეგ განმარტებას იძლეოდა: „დედაენად ითვლება ის ენა, რომელიც დაკითხულმა პირმა ყველაზე უკეთ იცის, ან რომელზედაც ის ჩვეულებრივ ლაპარაკობს“. (ა.ნ. ხაჩიძე, 1958). 1926 წლის აღწერა საშუალებას გვაძლევს ვნახოთ რომელი ეროვნებები ცხოვრობდნენ საქართველოში და რომელ ენას მიიჩნევდა დედაენად მათი უმეტესობა. (იხ. ცხრილი N1).

მიღებულმა შედეგებმა ცხადყო, რომ ქართულ ენაზე მოლაპარაკეები მეტი იყვნენ, ვიდრე თვით ამ ეროვნების მატარებლები. რაც შეეხებათ სომხებს, აფხაზებს, ოსებს, ებრაელებსა და ბერძნების დიდ ნაწილს აღწერის დროს დედაენად სხვა ეროვნებათა ენები დაუფიქსირებიათ, მათ შორის ქართული.

საქართველოს მოსახლეობის განაწილება 1926 წ-ის აღწერით ეროვნებისა და დედა ენის მიხედვით (%):

დედაენა და ეროვნება	სოფლად %	ქალაქად	სულ
		%	%
ქართველები	72,9	49	67,2
ქართ.დედაენით	74,6	56	70,5
სომხები	7,6	25,6	11,6
სომხური დედაენით	5,5	19,5	8,6
თურქები	6,4	1,1	5,2
თურქული დედაენით	8,2	1,3	6,7
ოსები	5,3	0,9	2,1
ოსური დედაენით	5,1	0,7	1,8
რუსები	1,3	12	4,3
რუსული დედაენით	1,5	15	4,1
ებრაელები	0,3	4,2	3,6
ებრაული დედაენით	0	0,7	4,5
აფხაზები	2,6	0,4	1,2
აფხაზური დედაენით	2,2	0,4	0,2
ბერძნები	2,2	1,5	2,5
ბერძნული დედაენით	1,4	2	1,5

(წყარო: ჯაოშვილი. ვ. 1996)

რაც შეეხება უშუალოდ 1926 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებს: მოსახლეობის საერთო რაოდენობა 1926 აღწერის მიხედვით საქართველოს იმდროინდელ საზღვრებში შეადგენდა 2 667 ათას კაცს; ყოველ 1000 მამაკაცზე 978 ქალბატონი მოდიოდა; სიმჭიდროვე 1კმ²-ზე 39 კაცი იყო, ყველაზე უფრო მჭიდროდ დასახლებულ ადგილებად ამ აღწერის მონაცემებით ქუთაისის, თბილისისა და შორაპნის მაზრები ითვლებოდა.

1897 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით, 1926 წლის აღწერით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 753, 100 ადამიანით იყო გაზრდილი.

1926 წლის შემდეგ, აღწერა 1937 წელს ჩატარდა- 6 იანვრის მდგომარეობით. მაგრამ, იმის გამო, რომ დარღვეული აღმოჩნდა მთავრობის მიერ დამტკიცებული აღწერის საორგანიზაციო გეგმა, რამაც ცნობების დამახინჯება და აღურიცხაობა გამოიწვია, თანაც, აღწერისას მიღებული შედეგები არ იყო მთავრობისთვის მისაღები, აღწერის შედეგები გაუქმებულად გამოცხადდა და მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა ხელმოერედ ჩატარდა 1939 წელს 17 იანვრის მდგომარეობით.

1939 წლის აღწერაში კითხვაზე ეროვნების შესახებ, იყო მითითება „იწერება ის ეროვნება, რომელსაც თავად გამოკითხული ამბობს.“

დასავლური ქვეყნების სტატისტიკას აინტერესებს ძირითადად რასა, კანის ფერი და ა.შ. ამ მხრივ ძირითადად გამოიყოფა კოლონიური ქვეყნები. აღწერის დროს ევროპელთათვის და ძირძველი მოსახლეობისათვის განსხვავებული ფერის ბლანკებიც კი იბეჭდებოდა. (ჯაოშვილი, ვ. 1996). ზოგან ერთი წვეთი ზანგის სისხლის ქონაც ითვლებოდა ზანგად, გერმანიაში უპირატესობას ანიჭებდნენ არიულ სისხლს. საბჭოთა კავშირში, სტალინის ბრძანებით თითოეული ადამიანი ითვლებოდა კანონიერ მოქალაქედ, მიუხედავად იმისა რა ფერის კანი ჰქონდა, სად ცხოვრობდა, რომელ სფეროში მოღვაწეობდა და ა.შ.

რეალურად, 1939 წლის აღწერისას, წინასგან განსხვავებით, ადგილი ჰქონდა თვითგამორკვევის პრინციპს, ადამიანის ეროვნება დგინდებოდა თავად ამ ადამიანის მიერ. 1939 წლის აღწერის მასალები, ისევე, როგორც 1926 წლისა, არ იძლეოდა საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობის შესახებ ცნობებს, რადგან ცნება „საქართველოს მოქალაქე“ არ არსებობდა.

რაც შეეხება უშუალოდ 1926 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებს: მოსახლეობის საერთო რაოდენობა - 3,542,300. ქალაქად ცხოვრობდა -30,1%, სოფლად 69,9%. მოსახლეობის რაოდენობა წინა აღწერის შედეგთან შედარებით 875, 300 ადამიანით გაიზარდა. სიმჭიდროვე 1კმ² დაახლოებით 51 კაცი, ნაცვლად 1926 წლის

მაჩვენებლისა- 1კმ²ზე 39 კაცი.

1939 წლის მოსახლეობის აღწერის შემდეგ, მომდევნო აღწერა 1959 წელს ჩატარდა. როგორც წესი, ომის შემდგომ პერიოდს თან ახლავს ე.წ. „ბები ბუმი“, ანუ შობადობის ზრდა და შესაბამისად მოსახლეობის მატებაც.

ომის შემდგომ ხუთწლეულებში, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებასთან ერთად, მოსახლეობაც იზრდებოდა, როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად. ამის გამო, საჭირო ხდებოდა მოსახლეობის ისეთი დემოგრაფიული მაჩვენებლების დადგენა, როგორიცაა: სქესი, ასაკი, დასაქმება, განათლება, ეროვნება, დედაენა და სხვა. (ა.ნ. ხაჩიძე, 1958). შესაბამისად სსრკ-ს მთავრობა მივიდა დასკვნამდე, რომ მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარება გარდაუვალი იყო.

1959 წლის სრულიად საკავშირო აღწერის პროგრამა შედგენილია 1939 წლის აღწერის პროგრამის მიხედვით. ასევეა აღწერის საორგანიზაციო გეგმაც. სააღწერო ფურცელი გათვალისწინებული იყო ოჯახის ყველა წევრის აღსაწერად. (ა.ნ. ხაჩიძე, 1958). იგი, გარდა სამისამართო ნაწილისა, თითოეული ადამიანის შესახებ, შეიცავდა 15 კითხვას. მათგან მეშვიდე იყო კითხვა ეროვნების შესახებ, რითიც ღვინდებოდა მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, მათი ხვედრითი წილი მთლიან მოსახლეობაში და კულტურული დონის მაჩვენებლები.

1959 წლის აღწერის შედეგად საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 4044,6 მილიონ ადამიანს, (ა.ნ. ხაჩიძე, 1958). წინა აღწერასთან შედარებით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 504 577 ათასი კაცით იყო გაზრდილი.

1970 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროგრამა, წინა აღწერებისაგან განსხვავებით, უფრო მრავალფეროვანი იყო. პირველად შემოვიდა შერჩევითი აღწერა, ე.წ. 25%-იანი შერჩევა, როდესაც ყოველ მე-4 მოსახლეს უსვამდნენ კიდევ დამატებით კითხვებს. (Всесоюзная перепись населения - всенародное дело, Издательство <<Статистика>>Москва, 1969).

1970 წლის აღწერაშიც მე-7 იყო კითხვა ეროვნების შესახებ და ამ კითხვაზე პასუხი საშუალებას იძლეოდა მრავალფეროვანი საბჭოთა კავშირის შესწავლისა. აღმწერი აფიქსირებდა იმ ეროვნებას, რომელსაც თავად გამოსაკითხი პირი მიუთითებდა. ბავშვის ეროვნებას მშობლები უთითებდნენ. უცხო ქვეყნის მოქალაქეების ეროვნების

აღნიშვნის შემდეგ მიეთითებოდა მათი ქვეყნის სახელწოდებაც.

1970 წლის აღწერის შედეგად საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 4.686.4 მილიონ ადამიანს, (გ. ფირცხალავა, 1997). წინა აღწერასთან შედარებით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 641 800 კაცით იყო გაზრდილი.

1979 წლის სრულიად საკავშირო აღწერის პროგრამა მნიშვნელოვნად განსხვავდება 1970 წლის აღწერის პროგრამისგან. მნიშვნელოვანი და ძირითადი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ ამ აღწერისას შემოიღეს სააღწერო ფურცლის პრინციპულად ახალი ფორმა, რომელიც აღწერის მასალების შემდგომი დამუშავებისთვის დადგენილი პროგრამის მიხედვით, ერთდროულად პირველად ინფორმაციის /მოქალაქეთა პასუხების/ ტექნიკური მატარებელიც იქნებოდა ელექტრონულ გამომთვლელ მანქანაში შესაყვანად. (Всесоюзная перепись населения - всенародное дело, Издательство <<Статистика>>Москва, 1969).

კითხვები, რომლებზეც აღწერისას მოსახლეობას აუცილებლად უნდა გაეცა პასუხი, შეტანილი იყო შემდეგ ფორმებში:

ფორმა 1- სადგომში მცხოვრებთა სია

ფორმა 2C- სრული აღწერის სააღწერო ფურცელი

ფორმა 3B- შერჩევითი აღწერის სააღწერო ფურცელი

ფორმა 4 -გამოკითხვის ფურცელი პრომისუნარიანი ასაკის პირად დამხმარე მეურნეობაში დასაქმებულ პირზე.

ფორმა 2C- სრული აღწერის სააღწერო ფურცელი მოიცავდა რიგით მე-7 კითხვას ეროვნების შესახებ, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ექონდა იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა კავშირი მრავალეროვანი სახელმწიფო იყო, სადაც ეროვნებათა სოციალურ-კულტურულ განვითარებაში ისეთი „დიდი მიღწევები“ იყო, რომ ეს სხვადასხვა ეროვნების ხალხი ერთიან მეგობრულ ოჯახს შეადგენდნენ.

მონაცემები ეროვნული შემადგენლობის შესახებ, ბავშვთა დაბადებათა, ქორწინებითი მდგომარეობისა და სხვა მონაცემებთან თანაფარდობაში საშუალებას იძლეოდა განსაზღვრულიყო მოსახლეობის კვლავწარმოებითი ეთნიკური ფაქტორები.

1979 წლის აღწერის შედეგად საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 4,993,2 მილიონ ადამიანს, (გ. ფირცხალავა, 1997). წინა აღწერასთან შედარებით საქართველოს

მოსახლეობის რაოდენობა 306 800 კაცით იყო გაზრდილი.

1979 წლის შემდეგ, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, ბოლო საყოველთაო აღწერა 1989 წელს ჩატარდა. ამ აღწერის მიზნებიც, წინა აღწერების იდენტური იყო და შესაბამისად, პროგრამაც წინა აღწერების მოდელზე იყო აგებული. აღწერაში მე-8 კითხვა განსაზღვრავდა ეროვნებასა და მოქალაქეობას - ამ კითხვაზეც, წინა აღწერების მსგავსად, თავად რესპონდენტი წყვეტს, თუ რომელ ეროვნებას მიაკუთვნოს თავი. უცხოელი მოქალაქეებისთვის, ეროვნებასთან ერთად აღინიშნებოდა ის ქვეყანაც, რომლის მოქალაქეებიც იყვნენ. (Всесоюзная перепись населения - всенародное дело, Издательство <<Статистика>>Москва, 1969).

1989 წლის აღწერის შედეგად საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 5.400.8 მილიონ ადამიანს, (გ. ფირცხალავა, 1997). წინა აღწერასთან შედარებით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 407 600 კაცით იყო გაზრდილი.

საქართველოში 2002 წელს ჩატარდა მოსახლეობის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერა, რომლის მეშვეობით როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ისე ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულებისთვის შეიქმნა დემოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა მრავალმხრივი და ტევადი საინფორმაციო ბაზა, რომელიც შეიცავდა სარწმუნო ინფორმაციას მოსახლეობის რიცხოვნობის, ეროვნული შემადგენლობის, ენობრივი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, სქესისა და ასაკის, მოქალაქეობის, სარწმუნოების, განათლების, საარსებო საშუალებების, პროფესიის, დასაქმების, მიგრაციებსა და სხვათა შესახებ. (საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, ტომი 1, 2003).

2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა მოიცავდა შემდეგ

ფორმებს: ფორმა N1- საცხოვრისში მცხოვრებთა სია და მათი საბინაო

პირობები ფორმა N2-ინდივიდუალური სააღწერო კითხვარი

ფორმა N3-ემიგრანტთა სააღწერო კითხვარი

ფორმა N2- ინდივიდუალური სააღწერო კითხვარი და ფორმა N 3-ემიგრანტთა სააღწერო კითხვარი მოიცავდნენ კითხვას ეროვნების შესახებ.

დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში 2002 წლის აღწერის შედეგად საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 3.991.2 მილიონ ადამიანს, წინა აღწერასთან

შედარებით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1 409 600 ათასი კაცით იყო შემცირებული. (www.geostat.ge).

დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში მეორე საყველთაო აღწერა 2014 წელს ჩატარდა და მოიცავდა შემდეგ ფორმებს:

ფორმა N 1- კითხვარი საცხოვრისის შესახებ

ფორმა N 2- პერსონალური კითხვარი

ფორმა N 3- კითხვარი ემიგრანტთა შესახებ

ფორმა N 4- კითხვარი სოფლის მეურნეობის შესახებ

ფორმა N 2- პერსონალური კითხვარი და ფორმა N 3- კითხვარი ემიგრანტთა შესახებ მოიცავდა კითხვას ეროვნების შესახებ.

აღწერას არ ექვემდებარებოდა უცხო ქვეყნის ის მოქალაქე და მისი ოჯახის წევრები, რომელთაც საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე გააჩნიათ დიპლომატიური იმუნიტეტი და სხვადასხვა სახის პრივილეგიები (დიპლომატიურ წარმომადგენლობებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში მომუშავე უცხო ქვეყნის მოქალაქეები) აგრეთვე უცხო ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეები დისლოცირებულნი საქართველოს ტერიტორიაზე.


2014 წლის აღწერის შედეგად საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 3 713 804 ადამიანს, წინა აღწერასთან შედარებით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 277 396 კაცით იყო შემცირებული. (www.geostat.ge).

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერიდან მიღებულმა მონაცემებმა დღის წესრიგში დააყენა წინა წლების ძირითადი დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშებისა და განახლების აუცილებლობა, რათა უზრუნველყოფილიყო ისტორიული მწკრივის ჰარმონიზაცია აღწერიდან მიღებულ შედეგებთან. აღწერათაშორის პერიოდში მონაცემების გადაანგარიშება რეკომენდებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, რასაც ფართოდ იყენებენ სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკის სამსახურები. (www.geostat.ge).

გადაანგარიშება განხორციელდა გაეროს მოსახლეობის ფონდის ფინანსური და ტექნიკური დახმარების ფარგლებში.

იმის გამო, რომ მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ ყოველწლიური მონაცემების გაანგარიშება ეფუძნება მოსახლეობის საყოველთაო აღწერებს, 2002 წლის აღწერით მიღებული მოსახლეობის რიცხოვნობის გადამეტებით შეფასებამ და დემოგრაფიული მონაცემების არასრულმა აღრიცხვამ გამოიწვია მოსახლეობის დინამიკის დარღვევა.

დიაგრამა 3: მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა სხვადასხვა წყაროს მიხედვით



წყარო: (www.geostat.ge).

სხვადასხვა წყაროდან მიღებული მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ 2002 წლის მოსახლეობის აღწერისას, ფაქტიურზე მეტი მოსახლეობა დაფიქსირდა. ხშირ შემთხვევაში შინამეურნეობის წევრები, რომლებიც ემიგრაციაში იმყოფებოდნენ (ძირითადად არალეგალურად) აღწერის დროს საქართველოში მუდმივად მცხოვრები შინამეურნეობის წევრების მიერ დაფიქსირდნენ, როგორც ქვეყანაში ფაქტიურად მცხოვრები მოსახლეობა, რამაც განაპირობა მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობის გაზრდა. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ 2002 წლის აღწერის შედეგებით, 1990-2001 წლებში ემიგრანტების რაოდენობამ შეადგინა 113.7 ათასი, მაშინ, როდესაც საქსტატის ახალი შეფასებით იმავე პერიოდში მხოლოდ გარე მიგრაციული სალდო -1 280.8 ათასი კაცით განისაზღვრა.

1994-2017 წლების პერიოდში საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა კლების ტენდენციით ხასიათდება. აღნიშნულ პერიოდში, კლება განიცადა როგორც საქალაქო, ისე სასოფლო დასახლებებში მცხოვრებმა მოსახლეობამ. იმავე პერიოდში საქართველოში ურბანიზაციის მაჩვენებელი 53.8 პროცენტიდან 58.3 პროცენტამდე გაიზარდა. მოსახლეობის კლება ძირითადად დაკავშირებულია ემიგრაციასთან.

თავი 4. საქართველოს მოსახლეობის აღწერების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი

გარემოგრაფიულმა პროცესებმა არსებითი ცვლილები გამოიწვიეს საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში. 30-იან წწ. საქართველოს ჩამოსახლებული ასეული ათასობით მიგრანტი არაქართველებისაგან შედგებოდა, რასაც თან მოჰყვა რესპუბლიკაში ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წილის შესამჩნევი შემცირება. (ჯაოშვილი. ვ, 1996).

ცხრილი 2

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 1926 და 1939 წლებში

	1926		1939	
	ათასი კაცი	%	ათასი კაცი	%
მოსახლეობა სულ	2677233	100	3540023	100
ქართველი	1788186	66,8	2173574	61,4
აფხაზი	56847	2,1	56640	1,6
ოსი	113298	4,2	148680	4,2
რუსი	96085	3,6	307988	8,7
აზერბაიჯანელი	143951	5,4	187621	5,3
სომეხი	307018	11,5	414182	11,7
ბერძენი	54054	2	84960	2,4
ებრაელი	30159	1,1	42480	1,2
უკრაინელი	14356	0,5	46020	1,3
ქურთები				
დანარჩენი	73279	2,8	77878	2,2

წყარო: (ჯაოშვილი. ვ, 1996).

აღსანიშნავია რუსებისა და უკრაინელების დაჩქარებული ზრდა, რაც გამოწვეულიყო მათი დიდი რაოდენობით ჩამოსახლებით 30-იან წწ. 12წ. მანძილზე სამჯერ და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა დასახლებულ ეროვნებათა რიცხოვნობა საქართველოში. უმთავრესად ამ მიგრაციულმა ნაკადებმა გამოიწვია ქართველების ხვედრითი წილის შემცირება. რუსები და უკრაინელები ჩამოსახლდნენ უპირატესად ჩრდილოეთ კავკასიიდან. მათი ძირითადი მასა ჩასახლდა ქალაქებში, უმთავრესად თბილისში და ზღვისპირა დასახლებულ პუნქტებში. აღნიშნულ პერიოდში საკმაოდ ინტენსიური ხასიათი ჰქონდა სომხებისა და ოსების ჩამოსახლებასაც. ბერძნების, ებრაელებისა და აზერბაიჯანელების დაჩქარებული ზრდა აიხსნება მათთვის დამახასიათებელი მაღალი ბუნებრივი მატებით. (ჯაოშვილი. ვ, 1996).

საქართველოს მოსახლეობის აღწერებს შორის განვლილ პერიოდში საქართველოს ცალკეულ ეროვნებათა რაოდენობის და მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ცვლილებაზე სხვადასხვაგვარი გავლენა მოახდინა შესაბამის ეროვნებათა მოსახლეობის ბუნებრივმა მოძრაობამ და გარემიგრაციულმა პროცესებმა. (იხ. ცხრილი N3).

XX საუკუნის 20-იანი წწ. მეორე ნახევრიდან ბევრად დაჩქარდა არაქართველების სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსვლა. ამ მოვლენამ თავის აპოგეას მიაღწია 30-იან წწ. როცა საქართველოში ასეული ათასობით რუსი, უკრაინელი და სომეხი ლტოლვილი დამკვიდრდა. ამის შედეგად ბევრად გართულდა მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა.

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა და ეროვნული შემადგენლობა
1926, 1939, 1959, 1970, 1979, 1989, 2002 და 2014 წლების მოსახლეობის აღწერების
მონაცემებით

ეროვნება	1926	Column2	1939	Column3	1959	Column4	1970	Column5	1979	Column6	1989	Column7	2002	Column8	2014	Column9
	ათასი კაცი	%	ათასი კაცი	%	ათასი კაცი	%	ათასი კაცი	%	ათასი კაცი	%	ათასი კაცი	%	ათასი კაცი	%	ათასი კაცი	%
მოსახლეობა სულ	2677233	100	3540023	100	4044,6	100	4.686.4	100	4.993.2	100	5.400.8	100	3.991.2	100	3713804	100
ქართველი	1788186	66,8	2173574	61,4	2600	64,4	3.130.8	66,8	3.433.0	68,8	3.787.4	70,1	3.353.8	84	3.224.5	86,8
აღზახი	56847	2,1	56640	1,6	62,9	1,5	79,4	1,7	85,3	1,7	95,9	1,8	3241	0,1		
ოსი	113298	4,2	148680	4,2	141,2	3,5	150,2	3,2	160,5	3,2	164,1	3	34394	0,9	14385	0,38
რუსი	96085	3,6	307988	8,7	407,9	10,1	396,7	8,5	371,6	7,4	341,2	6,3	65157	1,6	26453	0,8
აზერბაიჯანელი	143951	5,4	187621	5,3	153,6	3,8	217,8	4,6	255,7	5,1	307,6	5,7	243513	6,1	233024	0,61
სომეხი	307018	11,5	414182	11,7	442,9	11	452,3	9,7	448	9	437,2	8,1	227650	5,7	168102	4,5
ბერძენი	54054	2	84960	2,4	72,9	1,8	89,2	1,9	95,1	1,9	100,3	1,8	13914	0,3	5544	0,1
ებრაელი	30159	1,1	42480	1,2	51,6	1,3	55,4	1,2	28,3	0,6	24,8	0,5	3772	0,1		
უკრაინელი	14356	0,5	46020	1,3	52,2	1,3	49,6	1,1	45	0,9	52,4	1	6832	0,2	6034	0,16
გერმანელი											1546	0,0	651	0,0		
ქისტი													7110	0,2	5697	0,15
ქურთი/თუზი					16,2	0,4	20,7	0,5	25,7	0,5	33,3	0,6	2514	0,5		
თათარი											4099	0,1	455	0,0		
თურქი (ოსმანი)											1375	0,0	441	0,0		
ჩეჩენი											609	0,0	1271	0,0		
მოლდაველი											2842	0,1	864	0,0		
პოლონელი											2014	0,0	870	0,0		
ბელორუსი											8595	0,2	542	0,0		
ასირიელი											6206	0,1	3299	0,1	2377	0,06
ბოშა											1744	0,0	472	0,0		
იეზიდი													17976	0,4		
დანარჩენი	73279	2,8	77878	2,2	42	1	259,2	5,5	239,1	4,8	27753	0,1	4651	0,12	14346	0,38

1989წ. აღწერისას "იეზიდი" ეროვნების მოსახლეობა აღირიცხა "ქურთი" ეროვნების შემადგენლობაში

როდესაც XX საუკუნის 30-იან წწ. საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას ვიხილავთ, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ პირველად თავისი ისტორიის მანძილზე ქართველები აღმოჩნდნენ თავიანთ სამშობლოში მთელი მოსახლეობის 2/3-ზე ნაკლები. (ჯაოშვილი. ვ, 1996). ეს განაპირობა მძლავრმა

მიგრაციულმა პროცესებმა, რომელთა დადებითი სალდო თავის მასშტაბებით ბევრად აღემატებოდა მანამდე ან მას შემდეგ ჩვენში ჩამოსახლებულ მიგრანტთა ნაკადს. რესპუბლიკის მოსახლეობაში ქართველების ხვედრითი წონის შემცირების ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ უკვე 30-იან წლებში დაიწყო მათი გადასვლა სხვა რესპუბლიკებში კერძოდ ჩრდილოეთ კავკასიაში, აგრეთვე რუსეთის ფედერაციასა და უკრაინის სამრეწველო ქალაქებში, სადაც მიდიოდნენ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე კვალიფიციური კადრები.

1926 წლის აღწერით სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებში მცხოვრები ქართველების საერთო რაოდენობა არ აღემატებოდა 33 ათას კაცს. 1939 წლისათვის ეს ციფრი სულ მცირე ორჯერ მაინც გადიდა. ხოლო 2014 წლის აღწერის შედეგების მიხედვით ემიგრანტთა რაოდენობამ შეადგინა 88,5 ათასი კაცი (ოფიციალურად დათვქსირებულნი), მათ შორის 45,4 პროცენტი მამაკაცია, ხოლო 54,6 პროცენტი - ქალი. (www.geostat.ge). დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ემიგრანტთა ინტერესის არეალი გასცდა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს და რუსეთის გარდა თავი დაიმკვიდრეს ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში.

1939 წლისათვის, როგორც ცხრილი N2-დან ჩანს ქართველების ხვედრითი წონა შემცირდა 61.4%-მდე, ეს ფაქტი აიხსენება 30-იან წლების დასაწყისიდან სოფლად კოლმეურნეობების მასიურად შექმნითა და ე. წ. „გაკულაკებით“, რომლის დროსაც უამრავი გლეხი ტოვებდა თავის საცხოვრებელ ადგილს. ამ პროცესმა განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო უკრაინასა და ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ მოვლენას თან დაერთო 1933 წ. მოუსავლიანობა. (ჯაოშვილი. ვ, 1996). სწორედ მაშინ მოაწყდა საქართველოს ლტოლვილთა მძლავრი ტალღა, რის შედეგადაც რესპუბლიკის სოფლებსა და ქალაქებში დიდი რაოდენობით დამკვიდრდა არაქართველი მოსახლეობა. ასე რომ გაგრძელებულიყო, მალე ალბათ საკუთარ მიწაზე უმცირესობაში აღმოჩნდებოდა ქართველი ერი. თუმცა მდგომარეობა არსებითად შეიცვალა XX საუკუნის შუა წლებიდან, რაშიც გადამწყვეტი როლი ორმა გარემოებამ შეასრულა. ჯერ ერთი, 50-იან წწ. და 60-იანი წწ. დასაწყისში საკმაოდ მაღალ დონეზე იყო ქართველების ბუნებრივი მატება; მეორეც, იმავე პერიოდში დაიწყო გარე მიგრაციების შებრუნებული მსვლელობა

- რესპუბლიკიდან მეტი მიგრანტი მიდიოდა, ვიდრე მოდიოდა, თანაც წასულთა შორის

ბევრად ჭარბობდნენ არაქართველები. (ჯაოშვილი. ვ, 1996). მოვლენათა ასეთი შემობრუნება ცხადია დაუყოვნებლივ აისახა მცხოვრებთა ეთნიკურ შემადგენლობაზე, - დაიწყო ქართველების ხვედრითი წილის თანდათან ამალღება. საყურადღებოა ასევე ის გარემოება, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ბევრად უფრო შესამჩნევი გახდა სხვაობანი საქართველოში მცხოვრები ცალკეული ხალხების ბუნებრივ მატებაში. რა თქმა უნდა, ამის შედეგად დაირღვა სხვადასხვა ეროვნების ხალხთა რაოდენობაში ადრე არსებული თანაფარდობა.

სამი ათეული წელი 1959-1989წწ. არც თუ ხანგრძლივი დროა მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ცვლილებების ტენდენციის დასადგენად, მაგრამ ამ პერიოდის ეთნიკური პროცესების შედარება უფრო ადრინდელი ისტორიული მონაკვეთის შესაბამის მონაცემებთან საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს XX საუკუნის საქართველოს მოსახლეობის სტრუქტურულ შემადგენლობაში მომხდარ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარდაქმნაზე. რადგან ეროვნული შემადგენლობის დადგენა მოსახლეობის აღწერის დროს ხდება, 1959-89 წწ. მონაცემები შეგვიძლია შევადაროთ 1926-39 წწ. ანალოგიურ მაჩვენებელს. ეს ორი ისტორიული მონაკვეთი განსხვავებული იყო არა მარტო ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური ვითარებით, არამედ შექმნილი დემოგრაფიული ვითარებით და მასთან დაკავშირებული ეთნიკური პროცესებითაც.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ 1921-41 წწ. საქართველოს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა იზრდებოდა დაჩქარებული ტემპით, 1959-89 წწ. კი ზრდა ბევრად ზომიერი იყო. პირველ პერიოდში მალალ ბუნებრივ მატებას დაემთხვა გარე მიგრაციული პროცესების დადებითი სალდო, რასაც თან მოჰყვა არაქართველი მოსახლეობის ხვედრითი წონის მნიშვნელოვანი გადიდება (1926-39 წწ. ეს მაჩვენებელი გაიზარდა 33,3%-დან 38.6%-მდე) (ჯაოშვილი. ვ, 1996) და შესაბამისად, ქართველების ფარდობითი რაოდენობის შემცირება (66,8-61,4-მდე). მეორე პერიოდში მოხდა მალალი ბუნებრივი მატებიდან შედარებით დაბალ ბუნებრივ მატებაზე გადასვლა და ერთდროულად გარემიგრაციების დადებითი სალდო შეიცვალა უარყოფითი სალდოთი, რის შედეგადაც მკვეთრად შემცირდა მთლიანად მოსახლეობის ზრდის ტემპი. დაიწყო არაქართველი

მოსახლეობის ხვედრითი წილის შემცირება (1959-89წ.

35,7%-დან 29,9%-მდე), ქართველების ფარდობითი რაოდენობა კი ამაღლდა (64,3%-დან 70,1%-მდე). როგორც ვხედავთ ორ აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობის როგორც ბუნებრივ ასევე მექანიკურ მოძრაობას (გარე მიგრაციას) სრულიად საწინააღმდეგო სახე ჰქონდა. ეს გარემოება არა მარტო მოსახლეობის საერთო რაოდენობის ზრდის ტემპებში აისახა, არამედ განსხვავებული ეთნიკური პროცესების მიზმიც გახდა. თუ 1926-41 წწ. ქართველები ყველა დანარჩენი ეროვნების მოსახლეობაზე ნელა იზრდებოდნენ 1959-89 წწ. ისინი ერთ-ერთ პირველ ადგილზე იყვნენ ზრდის ტემპებით, ჩამორჩებოდნენ მხოლოდ აზერბაიჯანელებსა და ქურთებს.

გარდა ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობისა, სხვადასხვა ეროვნების მცხოვრებთა რაოდენობის დინამიკაზე გარკვეულ გავლენას ახდენს ბუნებრივი ასიმილაციის პროცესი. ხანგრძლივი დროის მანძილზე ერთ ტერიტორიაზე ცხოვრება და ურთიერთკავშირი არცთუ იშვიათად იწვევს ერთი ეროვნების ადამიანთა გადასვლას მეორე ეროვნებაში. ამ მოვლენას ყველაზე უფრო ხშირად ვხვდებით შერეულ ქორწინებათა შედეგად, როდესაც შეუღლებები განსხვავებული ეროვნებისანი არიან.

1959-89წწ. ეთნიკური ცვლილებებიდან ყურადღებას იქცევს შემდეგი დეტალი: პირველი 20 წლის მანძილზე მიმდინარეობდა საქართველოში მცხოვრები როგორც რუსების, ასევე უკრაინელებისა და ბელორუსების რაოდენობის შემცირება; 1979-89 წწ. კვლავ გრძელდებოდა რუსების წასვლა, ხოლო უკრაინელებისა და ბელორუსების რაოდენობა მნიშვნელოვნად გადიდდა (უკრაინელებისა 45 000-დან 52,4 ათასამდე, ბელორუსებისა კი 5,7 ათასიდან 8,6 ათასამდე). მიიჩნევა, რომ უკრაინელებისა და ბელორუსების ჩამოსახლება დაკავშირებული იყო ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში 1986 წ. აპრილში მომხდარ უდიდეს ავარიასთან. (ჯაოშვილი. ვ, 1996).

გარდა ბელორუსებისა, ცხრილში დასახლებული „დანარჩენების“ ჯგუფში შედიან (ათასობით) ასირიელები - 6,2, ავარელები- 4,2, თათრები-4,1, მოლდაველები - 2,3, ყაზახები- 2,6, ესტონელები -2,3, პოლონელები-2,3, ბოშები 1,7, გერმანელები-1,5, თურქები- 1,4; უზბეკები-1,3; ტაჯიკები-1,3; აგრეთვე 50-მდე სხვა ეროვნება,

რომელთაგან თითოეული დაახლოვებით ითვლის 40-დან 1000 სულამდე 1989 წ. აღწერით სულ ნაჩვენებია 71 ეროვნების რიცხოვნობა).

XIX საუკუნის დასაწყისიდან ქართველების რაოდენობის გაორკეცებას საქართველოს თანამედროვე საზღვრებში დასჭირდა 90 წელი. XX საუკუნეში ბოლო გაორკეცება მოხდა 60 წლის მანძილზე (1930-90წწ.) (ჯაოშვილი. ვ, 1996). რაც ნიშნავს რომ ქართველების რიცხვი მე-20 საუკუნეში ერთნახევარჯერ უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე წინა საუკუნეში; ეს მაშინ, როცა მე-20 საუკუნის მანძილზე ჩვენი ერის რიცხოვნობის ზრდა ბევრად შეაფერხა ორმა მსოფლიო ომმა. საქართველომ მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადა მეორე მსოფლიო ომში და მის შემდგომ პერიოდში საშუალოდ მსოფლიოს მთელი მოსახლეობის მეტად დაჩქარებული მატებით და ქართველების წელი ზრდით. (იხ. ცხრილი N4).

როგორც ცხრილი 4-დან ჩანს ქართველების დაბალი მატება იმ ისტორიულ მონაკვეთებშია, რომელიც მოიცავს ომის პერიოდებს. რაც შეეხება დანარჩენ ისტორიულ პერიოდებს, ქართველების საშუალო წლიური მატების ტემპი ახლოს დგას ბუნებრივ მატებასთან. ამ მხრივ გამონაკლისია 1979-89წწ. პერიოდი, როდესაც ქართველების ბუნებრივ მატებას მნიშვნელოვნად ჭარბობს ფაქტიური მატება. აქ მხედველობაშია მისაღები შემდეგი გარემოებანი: მიმდინარეობს არაქართველების ერთი ნაწილის ბუნებრივი ასიმილაცია ქართველებთან; ბევრმა ქართველმა XVIII-XIX საუკუნეებში მიიღო გრიგორიანული სარწმუნოება და იწერებოდა სომხად, ბოლო წლებში კი მათმა ნაწილმა აღიდგინა თავისი ეროვნება. (გ. ფირცხალავა, 1997).

ქართველების რიცხოვნობის დინამიკა საქართველოში 1926-2014წწ. აღწერების

მონაცემებით

ქართველების რიცხოვნობის დინამიკა საქართველოში 1926-2014 წწ. აღწერების მონაცემებით						
წლები	ქართველი მოსახლეობის რაოდენობა (ათასობით)	ხვედრითი წონა მთელ მოსახლეობაში (%)	ქართული მოსახლეობის მატება თარიღს შორის (ათასობით)	საშ. წლიური მატება		დანარჩენი მოსახლეობის საშ. წლიური მატება %
				ათასობით	%	
1926	1788,2	66,8	-	-	-	-
1939	2173,6	61,4	385,4	32,1	1,64	3,69
1959	2600,6	64,3	427	21,3	0,9	0,27
1970	3130,7	66,8	530,1	48,2	1,7	0,68
1979	3433	68,8	302,3	33,6	1,03	0,03
1989	3787,4	70,1	354,4	35,4	0,99	0,33
2002	3353,8	84	-433,6	-33,3		
2014	3224,5	86,8	-129,3	10,8		

წყარო: www.geostat.ge

რაც შეეხება 2002 წლის პირველ ეროვნულ აღწერას, მისი შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ არსებითი ცლილებები განიცადა ქვეყნის მოსახლეობის ეროვნულმა სტრუქტურამ. როგორც ცხრილიდანაც ჩანს 2002 წელს 1989 წელთან შედარებით საქართველოს მუდმივი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის 15,8%-ით კლების პირობებში, ქართველთა რაოდენობა მხოლოდ 126,2 ათასი კაცით, ანუ 3,3 პროცენტით შემცირდა და მათი წილი ქვეყნის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში 13,7 პროცენტული პუნქტით, ანუ 70,1 პროცენტიდან 84 პროცენტამდე გაიზარდა. ამავე დროს ქვეყნის კონტროლირებად ტერიტორიაზე მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში მკვეთრად შემცირდა აფხაზებისა და ოსების რაოდენობა, რომელთა რიცხვი შესაბამისად 3241 და 34394 კაცს შეადგენს. მნიშვნელოვნად შემცირდა რუსების რიცხოვნობაც 1989 წლის 341172-დან 2002 წელს 65157 კაცამდე, - 6,3 პროცენტიდან 1,5

პროცენტამდე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ექსპერტული შეფასებით, ამჟამად, აფხაზეთში 31,6 ათასი რუსი ცხოვრობს,- კონპლიქტამდე 74,9 ათასი კაცი ცხოვრობდა. 1990- იანი წლების პირველ ნახევარში ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ- ეკონომიკური პრობლემებით გამოწვეული მიგრაციული პროცესების გაძლიერების შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირებულია საქართველოში თითქმის ყველა სხვა ეროვნებისა და ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა რიცხოვნობაც, (საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, ტომი 1, 2003).- აღნიშნული დინამიკა იჩენს თავს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერების მონაცემების შედეგებშიც.

ცხრილი 5

ბუნებრივი მოძრაობის დინამიკა საქართველოში

შობადობა, სიკვდილიანობა და ბუნებრივი მატება ეროვნებების მიხედვით 1970-89 წლებში (1000 კაცზე გაანგარიშებით)									
	შობადობა			სიკვდილიანობა			ბუნებრივი მატება		
	1970	1979	1989	1970	1979	1989	1970	1979	1989
ყველა ეროვნება	19,2	17,8	16,7	6,9	7,3	8,3	16,9	8,3	8,6
ქართველი	19,1	17,5	16,1	7,2	8,2	8,5	11,9	9,3	7,6
აფხაზი	22,6	16,2	17,9	4,2	5,5	6	18,4	10,7	11,9
ოსი	21,9	19,1	17,2	6,6	7,3	8,1	15,3	11,4	9,1
რუსი	14,5	13,8	11,3	8,9	11,3	13,3	5,6	2,5	-2
აზერბაიჯანელი	29,2	27,9	28,7	5,3	5,7	5,7	23,9	22,2	23
სომეხი	17,2	18,1	18,5	8,3	9,1	10,1	9,6	8	8,4
დანარჩენი	24,8	22,8	26,6	5,3	7,2	11,6	19,5	15,6	15

(წყარო: გ. ფირცხალავა, 1997).

ის ფაქტი, რომ სომხებში 1970- 1989 წლებში ბუნებრივმა მატებამ ყოველ 1000 კაცზე 9.6 – 8.4 კაცი შეადგინა, ხოლო მათი რიცხოვნობა და წილი მთელ მოსახლეობაში შემცირდა, გარკვევით გვიჩვენებს, რომ სომხების რიცხოვნობა შემცირდა მექანიკური მოძრაობით, გარე მიგრაციის უარყოფითი სალდოს შედეგად. მართლაც, 1979 -1988 წწ. სომხების ბუნებრივმა მატებამ შეადგინა 55,0 ათასი კაცი, ხოლო მათი რიცხოვნობა შემცირდა 10.8 ათასი კაცით. (გ. ფირცხალავა, 1997). ასე, რომ აღებულ წლებში სომხებში გარე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ, ანუ საქართველოდან გასულებმა 65,8 ათასი კაცით გადააჭარბეს შემოსულებს. იმავე წლებში კი რუსების ბუნებრივი მატება უდრიდა 20.0 ათასკაცს, მოსახლეობის რიცხოვნობა კი შემცირდა 30.4 ათასი კაცით, და

ამგვარად გასულებმა შემოსულებს 50,4 ათასი კაცი გადააჭარბეს.

რუსებისა და სომხებისაგან განსხვავებით, ქართველი, აფხაზი და ნაწილობრივ აზერბაიჯანელი მოსახლეობისათვის გარე მიგრაცია, როგორც ცნობილია, ნაკლებად არის დამახასიათებელი და ამ ეროვნებათა ბუნებრივმა მატებამ თითქმის მთლიანად განაპირობა მათი რიცხოვნობის ზრდა და ხვედრითი წილის ცვლილება მთელ მოსახლეობაში.

ოსი მოსახლეობის გარკვეულმა რაოდენობამ 1979 წლის აღწერისაგან განსხვავებით, 1989 წლის აღწერისას თავი მიაკუთვნა ქართველს, ხოლო მშობლიურ ენად დაასახელა ქართული. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ისიც, რომ ქართველებს შორის მშობლიურ ენად რუსული 1979 წელს დაასახელა 20,1 ათასმა კაცმა, 1989 წ. აღწერისას ასეთი აღმოჩნდა მხოლოდ 10,4 ათასი კაცი. (გ. ფირცხალავა, 1997). უნდა ვიფიქროთ, რომ ამ გარემოებაზე გარკვეული გავლენა მოახდინა საქართველოში 80-იანი წლების მეორე ნახევარში ეროვნული მოძრაობის გაფართოება-გააქტიურებამ და ამის შედეგად ქართველების ეროვნული თვითშეგნების ამაღლებამ. ამ ფაქტმა ეთნოდემოგრაფიული თვალსაზრისით იმ მხრივ იჩინა თავი, რომ 1979 – 1988 წწ. ქართული მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ შეადგინა 310,0 ათასი კაცი, ხოლო მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზარდა 364,0 ათასი კაცით, ანუ რამდენიმე ათეული ათასი კაცით უფრო მეტად, რაც არ შეიძლება მთლიანად მივანეროთ ამ წლების მანძილზე ქართველების საქართველოში იმიგრაციას.

როგორც მოსახლეობის 1989 წლისა და 1970 და 1979 წწ. აღწერის შესაბამისი მონაცემების შედარება გვიჩვენებს, გავლილი პერიოდის მანძილზე აღნიშნული 6 ეროვნებიდან მხოლოდ 4 ეროვნების მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზარდა (ქართველები, აზერბაიჯანელები, აფხაზები და ოსები), ხოლო ორი ეროვნების (რუსების და სომხების) პირიქით, შემცირდა. თავის მხრივ, ოთხივე დასახელებული ეროვნების მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის ტემპი ამაღლდა, ხოლო ოსებისა - შემცირდა. ამავე დროს 1970 – 1979 წლებისაგან განსხვავებით 1979 - 1989 წლებში ქართველებთან შედარებით უფრო სწრაფი ტემპით გაიზარდა აფხაზებისა და აზერბაიჯანელების რიცხვი. ამ უკანასკნელთა ზრდის ტემპი თითქმის ორჯერ მაღალია ქართველებთან შედარებით, 1,5-ჯერ მეტია აფხაზებთან შედარებით და 10-ჯერ

ჭარბობს ოსების რიცხოვნობის ზრდის ტემპს.

აღსანიშნავია, რომ 1970 – 1989 წწ. მოსახლეობის საერთო რიცხოვნობასთან შედარებით, უფრო მაღალი ტემპით გაიზარდა ქართველი, აფხაზი და აზერბაიჯანელი მოსახლეობა, უფრო დაბალით - ოსები. სწორედ ამ პერიოდში რუსი და სომეხი მოსახლეობის შემცირების ტემპმა კიდევ უფრო იმატა.

1989 წლის უკანასკნელ საბჭოთა აღწერას საქართველოს პირობებში ერთგვარი ისტორიულ-დემოგრაფიული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც 1989 წელი თითქმის ქრონოლოგიურად მიჯნავს ერთმანეთისაგან საბჭოთა და დამოუკიდებელ საქართველოს. მოსახლეობა საქართველოს სსრ-ში 1989 წლის 12 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 5.443.359 კაცს, 1979 წლის მონაცემებთან (5.014.765 კაცი) შედარებით იგი გაიზარდა 428.594 ათასი კაცით ანუ 8,55%-ით.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ 1970, 1979 და 1989 წწ. აღწერებს შორის განვლილ პერიოდში საქართველოში მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის ზრდა თითქმის მთლიანად განპირობებული იყო ქართველი, აფხაზი, აზერბაიჯანელი მოსახლეობის ბუნებრივი მატებით, რამაც ასევე განაპირობა ამ ეროვნებათა ხვედრითი წილის ზრდა მთელ მოსახლეობაში. რუსი და სომეხი მოსახლეობის გარე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ განსაზღვრა ამ ეროვნებათა რაოდენობრივი და შეფარდებით შემცირება მთელ მოსახლეობაში, ხოლო ოსი მოსახლეობის რიცხოვნობის შედარებით დაბალი ტემპით ზრდა და ამდენადვე მათი ხვედრითი წილის შემცირება განაპირობა მთელ მოსახლეობაში. ყოველივე ამის შედეგად, 1970-1989 წლებში ეროვნებათა მიხედვით მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობისა და გარე მიგრაციათა თავისებურებების გამო, როგორც ეს მოსახლეობის 1989 წლის აღწერამ ცხადყო, წინა წლებთან შედარებით კიდევ უფრო მეტად შეიცვალა მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, კერძოდ, მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ყველაზე მეტად იმატა არა უბრალოდ ქართველების ან აზერბაიჯანელების ხვედრითმა წილმა, არამედ გაიზარდა ყველაზე მრავალრიცხოვანი და დაბალი შობადობის დონის მქონე ქართველების და ყველაზე მაღალი შობადობის მქონე აზერბაიჯანელების წილი; პირიქით შემცირდა ქართველების შემდგომ ყველაზე მრავალრიცხოვანი რუსებისა და სომხების რაოდენობა და წილი, რომლებისთვისაც გარე მიგრაციის შედეგად დამახასიათებელია შემცირება.

სომხების ხვედრითი წილი გასული საუკუნის შუა ხანებამდე 11%-ს შეადგენდა, შემდეგ კი კლება დაიწყო. 1989 წლის აღწერის მიხედვით, ისინი მოსახლეობის 8,1%-ს შეადგენდნენ, 2002 წლისათვის — 5,7%-ს, 2014 წლისათვის კი 5,2%-ს.

XX საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით გაიზარდა აზერბაიჯანელი მოსახლეობის რაოდენობა, მან მატების ტემპით გაუსწრო საქართველოში მცხოვრებ ყველა დანარჩენ ეთნიკურ ჯგუფს. აზერბაიჯანელების რაოდენობა 30 წლის განმავლობაში თითქმის გაორმაგდა. თუ 1959 წელს მათი რიცხვი 153 600 კაცი იყო (რაც მთლიანი მოსახლეობის 3.8%-ს შეადგენდა), 1979 წელს 255 700-მდე გაიზარდა (5.1%), 1989 წელს კი 307 600 გახდა (5.7%). 2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში 243 513 აზერბაიჯანელი ცხოვრობს, რაც მთელი მოსახლეობის 6.5%-ს შეადგენს, 2014 წლისათვის კი მათმა რაოდენობამ 233 024 შეადგინა.

საქართველოში ბერძენ მიგრანტთა პირველი მასობრივი ჩამოსვლიდან 1990-იან წლებამდე შეინიშნებოდა ბერძენების რაოდენობის განუხრელი ზრდა, რომელიც XIX საუკუნეში, უმთავრესად, ჩამოსახლებების, ხოლო შემდგომ ბუნებრივი მატების ხარჯზე ხორციელდებოდა. ზრდის პროცესი მხოლოდ XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს შემცირდა. 1926 წელს საბჭოთა საქართველოში 54 ათასი ბერძენი ცხოვრობდა (მთელი მოსახლეობის 2.0%), 1937 წელს — 85 ათასი (2.4%), 1959 წელს — 73 ათასი (1.8%), 1970 წელს — 89 ათასი (1.9%), 1979 წელს — 95 ათასი (1.9%). 2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, 1989 წელთან შედარებით, საგრძნობლად შემცირდა ბერძენების რაოდენობა. (გ. ფირცხალავა, 1997). 2002 წლისათვის საქართველოში 15 ათასამდე ბერძენია, რაც მთელი მოსახლეობის 0.3%-ს შეადგენს, აქედან თბილისში ცხოვრობს 3800-მდე ბერძენი, აჭარის ტერიტორიაზე — 2 200, ქვემო ქართლში კი — 7 500-მდე, მათ შორის — 4 600-მდე წალკის რაიონში. 2014 წლის აღწერებით კი მათმა რაოდენობამ 5 544 ათასი შეადგინა.(www.geostat.ge).

XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით გაჩაღდა ბრძოლა ებრაელების ისრაელში დაბრუნებისათვის. საქართველოდან ებრაელთა გადინების კულმინაციურ პერიოდს 1991-1994 წლები წარმოადგენს. როცა

საბჭოთა კავშირში ზღვარდაუდებელი ანტისემიტური კამპანია იყო გაჩაღებული,

საქართველოდან შედარებით უმტკივნეულოდ ხდებოდა ებრაელების რეპატრაცია. (გ. ფირცხალავა, 1997).

საქართველოში დარჩენილია დაახლოებით 4 ათასი ებრაელი. მიგრაციათა ძირითადი ვექტორები, ხასიათი და მასშტაბები გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან თანდათანობით იცვლებოდა. მანამდე არსებობდა სლავური (ძირითადად რუსი) მოსახლეობის სსრკ-ს პერიფერიებში განსახლების ტენდენცია. 60-იან წლებში დაიწყო საპირისპირო პროცესი, ხოლო 70-იან წლებში რუსულენოვანი მოსახლეობის გადინებამ არასლავური რესპუბლიკებიდან მასობრივი ხასიათი მიიღო. 80-იანი წლებისათვის სსრკ-ს შემადგენლობაში შემავალი ყველა რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი გახდა არამკვიდრი მოსახლეობის უარყოფითი სალდო.

1990-იან წლებიდან ყველა არაქართული ეთნიკური ჯგუფის წევრთა რაოდენობის შემცირება აღინიშნება, რაც მათი ემიგრაციით იყო განპირობებული. ემიგრაციის ძირითადი ფაქტორი საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და აქ არსებული პოლიტიკური ვითარება იყო. ემიგრანტები, ძირითადად, თავიანთ ისტორიულ სამშობლოში ან რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ქალაქებსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში წავიდნენ.

1990-იან წლებში დაწყებულ მიგრაციულ პროცესებში ყველაზე ინტენსიური იყო სლავების (ფაქტობრივად, აღმოსავლეთ სლავების, ანუ ეთნიკური რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების) გასვლა. მათ შორის ბევრი იყო საბჭოთა არმიის სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურე და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც 1990-იანი წლების დამდეგიდან, მიმდინარე სამხედრო შენაერთების დისლოკაციის შეცვლასთან დაკავშირებით, მასობრივად ტოვებდნენ საქართველოს. ემიგრანტთა შორის სლავები 60%-ს აჭარბებდნენ. მათი უმეტესობა (88.5%) ქალაქის მკვიდრი იყო და ისინი, თითქმის მთლიანად, რუსეთის ფედერაციის ქალაქებში მიდიოდნენ საცხოვრებლად.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, 1989 წლის ბოლო საბჭოთა აღწერასთან შედარებით (1989 წელს რუსების რაოდენობა 341.2 ათასი იყო, რაც ქვეყნის მთელი მოსახლეობის 6.3%-ს შეადგენდა), რუსების რაოდენობამ

მკვეთრად იკლო და 67.671 ათასი შეადგინა, რაც ქვეყნის მთელი მოსახლეობის 1.5%-ია, 2014 წელს კი თითქმის განახევრდა და 26 453 შეადგინა.

საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს შორის ერთ-ერთი მრავალრიცხოვანია ოსთა ჯგუფი. გასული საუკუნის 80-იანი წლების დამლევსთვის მათი რიცხვი, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 164 ათასს შეადგენდა. ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს ოსთა გარკვეული ნაწილი საცხოვრებლად რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გადავიდა. 2002 წლის აღწერით, საქართველოში მათი რაოდენობა, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მაცხოვრებელთა გამოკლებით, 34 ათასი იყო, 2014 წელს კი 14 385 შეადგინა.

1989 წლის აღწერით, საქართველოში ცხოვრობდა 95,9 ათასი აფხაზი (საკუთრივ აფხაზეთში — 93,3 ათასი), ხოლო მთლიანად სსრ კავშირში — 105 ათასი. 2003 წელს აფხაზეთში ჩატარებული აღწერის მასალების მიხედვით, თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში 94,5 ათასი აფხაზი ცხოვრობდა. (გ. ფირცხალავა, 1997).

უკანასკნელი აღწერები საქართველოს ეთნიკური შემადგენლობის შემდეგ სურათს იძლევა: ცხრილი N4, გარკვეულწილად, ასახავს უკანასკნელ 20 წელიწადში ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას. მართალია, ქართველებისა და აზერბაიჯანელების ხვედრითი წილი გაიზარდა, მაგრამ ეს ამ პერიოდში განვითარებული მიგრაციების შედეგად, მოსახლეობის საერთო ოდენობის შემცირების ხარჯზე მოხდა. 1989 წელს საქართველოში ცხოვრობდა 5,4 მილიონი ადამიანი. 2007 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობამ ოფიციალური მონაცემებით 4,4 მილიონზე რამდენადმე ნაკლები შეადგინა, თუმცა ცალკეული ექსპერტული შეფასებებით, ეს ციფრი 2007 წლის დამდევსთვის მხოლოდ 3,8 მილიონის ფარგლებში იყო, 2014 წლის აღწერის შედეგად კი საქართველოს მოსახლეობა 3 224 564 გახლდათ.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგების საფუძველზე საქართველოს მოსახლეობის 86,8 პროცენტს ქართველები შეადგენენ, 6,3 პროცენტს - აზერბაიჯანელები, ხოლო 4,5 პროცენტს - სომეხი ეროვნების მოსახლეობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში მცხოვრები რაოდენობრივად პირველი ყველაზე მრავალრიცხოვანი 10 ეროვნება წარმოადგენს მთლიანი მოსახლეობის 99,6 პროცენტს.

(www.geostat.ge).

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის განაწილება 10 ყველაზე მრავალრიცხოვანი ეროვნების მიხედვით

ეროვნებები	სულ (ათასიკაცი)	პროცენტულიგანაწილება
სულმოსახლეობა	3 713,8	100,0
ქართველი	3 224,6	86,8
აზერბაიჯანელი	233,0	6,3
სომეხი	168,1	4,5
რუსი	26,5	0,7
ოსი	14,4	0,4
იეზიდი	12,2	0,3
უკრაინელი	6,0	0,2
ქისტი	5,7	0,2
ბერძენი	5,5	0,1
ასირიელი	2,4	0,1
სხვა	14,3	0,4
უარიპასუხზე	0,6	0,0
ეროვნება მითითებული არ არის	0,5	0,0

წყარო: (www.geostat.ge).

თავი 5. საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ტერიტორიულ
 ჭრილში.

აღწერიდან აღწერამდე მოსახლეობის რიცხოვნობამ და ეროვნულმა შემადგენლობამ მრავალმხრივი და ამასთანავე ურთიერთგანსხვავებული ცვილელები განიცადა. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ქალაქებში სოფლის მოსახლეობის მიგრაციის შედეგად, ქალაქის მოსახლეობის სისტემატური ზრდის პარალელურად განუწყვეტლივ მცირდებოდა სოფლის მოსახლეობა. ქალაქის მოსახლეობამ 1979 წლის აღწერით პირველად გადააჭარბა სოფლის მოსახლეობას, 1989 წლის აღწერით მაშინდელი რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტი -55 პროცენტი შეადგინა.

ქალაქის მოსახლეობაში, როგორც რაოდენობრივად, ასევე შეფარდებით გაიზარდა ქართველების, აფხაზების, აზერბაიჯანელების რიცხვი, ხოლო ოსებმა მხოლოდ რაოდენობრივად იმატეს და შემცირდა მათი ხვედრითი წილი 1979 -1989 წლებში. სოფლის მოსახლეობაში თითქმის უცვლელი დარჩა ქართველების და აფხაზების წილი, ოსებისა კი შემცირდა როგორც რაოდენობრივად, ასევე შეფარდებით. მხოლოდ აზერბაიჯანელების რიცხოვნობა და წილი გაიზარდა სოფლის მოსახლეობაში.

ცხრილი 7

ქალაქის და სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა და ეროვნული შემადგენლობა 1970, 1979 და 1989 წლების აღწერებით

	1970				1979				1989			
	ქალაქი		სოფელი		ქალაქი		სოფელი		ქალაქი		სოფელი	
	ათასი კაცი	%	ათასი კაცი	%	ათასი კაცი	%	ათასი კაცი	%	ათასი კაცი	%	ათასი კაცი	%
მოსახლეობა სულ	2 239.7	100	2.446.7	100	2.548.7	100	2444,5	100	2.991.3	100	2.409.5	100
ქართველი	1.338.6	59,7	1.792.2	73,2	1,642	64,4	1.791.0	73,3	2.021.4	67,6	1.766.0	73,3
აფხაზი	25,6	1,1	53,8	2,2	31,9	1,2	53,4	2,2	42,6	1,4	53	2,2
ოსი	67	3	83,2	3,4	81,7	3,2	77,8	3,2	97	3,2	67,1	2,8
რუსი	328,4	14,7	68,3	2,8	315,5	12,4	56,1	2,3	294,5	9,9	46,7	2
აზერბაიჯანელი	39,7	1,8	178,1	7,3	50	2	205,7	8,4	75,6	2,5	232	9,6
სომეხი	255,1	11,4	197,2	8,1	260,7	10,2	187,3	7,7	260,6	8,7	176,7	7,3
დანარჩენი	185,3	8,3	73,9	3	166,9	6,6	72,2	2,9	199,7	6,7	67,7	2,8

(წყარო: გ. ფირსცალავა, 1997).

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ბევრად უფრო ჭრელი იყო ქალაქებში, ვიდრე სოფლებში. არაქართველების ძირითადი ნაწილი სოფლად ჩამოსახლებული იყო გვიან ფეოდაურ ხანში და XIX საუკუნის მანძილზე, ხოლო ქალაქებში მოსულთა შორის სჭარბობდნენ ახლად ჩამოსახლებულნი. 1926 წ. ქალაქის მოსახლეობაში არაქართველები შეადგენდნენ 51,7%-ს, სოფლის მოსახლეობაში კი 27,9%-ს. 1939 წ. შესაბამისი მაჩვენებლები იყო 50,8 და 33,3%. (ვ. ჯაოშვილი, 1996). როგორც ვხედავთ, რამდენამდე შემცირდა არაქართველების ხვედრითი წონა ქალაქის მოსახლეობაში, მაგრამ მათი აბსოლუტური რიცხვი გაიზარდა 307,4 ათასიდან 541,4 ათასამდე. მართალია, ოდნავ უფრო სწრაფად იზრდებოდა ქართველების რაოდენობა ქალაქის მოსახლეობაში, მაგრამ ეს ძირითადად აიხსნებოდა ბევრი სოფლის ქალაქის ტიპის დაბად გარდაქმნით. მათი რიცხვი, ვინც ასეთი გარდაქმნის შედეგად 1926 წლიდან 1939 წლამდე ავტომატურად გახდა ქალაქის მცხოვრები, შეადგენდა 56 ათასს, ესენი კი ძირითადად ქართველები იყვნენ. გარდა ამისა, რა თქმა უნდა, ადგილი ჰქონდა ქართველი მოსახლეობის ბუნებრივ ზრდას ქალაქებში და რესპუბლიკის სოფლებიდან ქალაქად ჩასახლებას, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შიგარესპუბლიკური მიგრაციები ჯერ კიდევ შეზღუდულ ფარგლებში მიმდინარეობდა.

როგორც აღინიშნა, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ერთნაირი არ არის ქალაქად და სოფლად. იმასთან დაკავშირებით, რომ XIX-XX საუკუნეებში გარედან მოსული არაქართველი მოსახლეობა უპირატესად ქალაქებში დამკვიდრდა, აქ მეტია ეთნიკური სიჭრელე, ვიდრე სოფლად. 1989წ. მონაცემებით, ქალაქის მოსახლეობაში ქართველების ხვედრითი წონა შეადგენდა 67,6%-ს, სოფლის მცხოვრებთა შორის კი 73,3%-ს. (ვ. ჯაოშვილი, 1996). ბოლო ათეული წლების განმავლობაში თანდათან მალღდება ქართველების ხვედრითი რაოდენობა ქალაქის მოსახლეობაში. 1959წ. ანალოგიური მაჩვენებელი არ აღემატებოდა 52%-ს. ეს ცვლილება გამოწვეულია არაქართველი ქალაქის მოსახლეობის ნაწილის წასვლით სხვა რესპუბლიკებში და ქართველების სოფლიდან ქალაქში გადასვლის დაჩქარებით. ბოლო ხანებში ნელა მაგრამ მაინც მცირდება ქართველების ხვედრითი წონა სოფლის მოსახლეობაში, რადგან

ბევრად მაღალი ბუნებრივი მატება აქვთ აზერბაიჯანელებს, რომლებიც ძირითადად

სოფლად არიან დასახლებულნი. თუ ამასთან ერთად გავითვალისწინებთ საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის გაძლიერებულ სწრაფვას ქალაქისაკენ, გასაგები გახდება სოფლად და ქალაქად ქართველების ხვედრითი რაოდენობის თანდათან დაახლოების ტენდენცია.

რაც უფრო დიდია ქალაქი, როგორც წესი, მით უფრო მრავალფეროვანია მისი მოსახლეობა. ამ ნიშნით შესამჩნევად გამოირჩევა თბილისი, რუსთავი და ბათუმი. ქართველების ხვედრითი რაოდენობა 1989წ. თბილისში იყო 66,1%, 30 წლით უფრო ადრე კი დედაქალაქში ქართველები ნახევარსაც კი არ შეადგენდნენ. საქართველოს დიდი ქალაქებიდან ეთნიკური ნიშნით ყველაზე ერთგვაროვანია ქუთაისი, სადაც ქართველებზე მოდის მთელი მოსახლეობის 9/10. (ვ. ჯაოშვილი, 1996). საქართველოს მეორე ქალაქის მოსახლეობის ასეთ ეროვნულ შემადგენლობაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს ორი ფაქტორი: პირველი, რომ იგი ბევრად ჩამორჩება თბილისის რესპუბლიკის გარედან მოსახლეობის მიზიდულობის ძალით, მეორეც ქუთაისის მიმდებარე ტერიტორიები, საიდანაც უპირატესად ხდება ქალაქის მოსახლეობის შევსება მთლიანად ქართველებითაა დასახლებული.

როგორც მოსალოდნელი იყო, ქალაქის და სოფლის მოსახლეობაში შემცირდნენ რუსები როგორც რაოდენობრივად, ასევე შეფარდებით. რუსებისაგან განსხვავებით, სომხების რაოდენობა ქალაქის მოსახლეობაში შემცირდა მხოლოდ 1970 წელს. შედარებით უცვლელი დარჩა 1979 – 1989 წლებში, მათი ხვედრითი წილი კი განუწყვეტლივ მცირდება. ამავე დროს სოფლის მოსახლეობაში რუსები და სომხები შემცირდნენ როგორც რაოდენობრივად, ასევე შეფარდებით. (იხ. ცხრილი N8).

საქართველოში მცხოვრები ეროვნებების გადანაწილება ქალაქად და სოფლად

	მოცემული ეროვნებების გათვალისწინება ქალაქად და სოფლად %					
	ქალაქი			სოფელი		
	1970	1979	1989	1970	1979	1989
აღწერები წლების მიხედვით	1970	1979	1989	1970	1979	1989
მოსახლეობა სულ	47,8	51	55,4	52,2	49	44,6
ქართველი	42,8	47,8	53,4	67,2	52,2	46,6
აფხაზი	32,2	37,4	44,4	67,8	62,6	55,6
ოსი	44,6	50,9	59,1	55,4	49,1	40,9
რუსი	82,8	84,9	86,3	17,2	15,1	13,7
აზერბაიჯანელი	18,2	19,6	24,6	81,8	80,4	75,4
სომეხი	56,4	58,2	59,6	43,6	41,8	40,4
დანარჩენი	71,5	69,8	74,7	28,57		

(წყარო: გ. ფირცხალავა, 1997).

მიუხედავად ამ ცვლილებებისა, საქართველოში ყველაზე ურბანიზებული ერია რუსები, რომელთა საერთო რაოდენობიდან 1989წ. აღწერით 80%-ზე მეტი ქალაქად ცხოვრობდა. შემდეგ მოდიან სომხები 59,6 პროცენტი. მესამე ადგილზე კი ამავე აღწერის მიხედვით არიან ოსები - 59,1%, მეოთხე ადგილი უკავიათ ქართველებს, მათ მხოლოდ 1989 წელს გადააჭარბეს სოფლად მცხოვრები ქართველების რაოდენობას, 1997 წლისათვის ქალაქში ცხოვრობდა 53,4%. (გ. ფირცხალავა, 1997).

ქალაქის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობასთან ერთად კიდევ უფრო სწრაფად გაიზარდა მსხვილი და საშუალო ქალაქების მოსახლეობა, განსაკუთრებით თბილისში. 1989 წლის აღწერით, თბილისის მოსახლეობამ 1243 ათასი კაცი შეადგინა, (გ. ფირცხალავა, 1997). რაც მაშინდელი რესპუბლიკის მოსახლეობის 15 პროცენტი და მთელი ქალაქის მოსახლეობის ერთ მეოთხედზე მეტია - 27,2 პროცენტია.

თბილისის მოსახლეობა აღწერებს შორის პერიოდში იზრდებოდა როგორც ბუნებრივი მატებით, აგრეთვე სოფლის მოსახლეობის და ნაწილობრივ საშუალო და წვრილი ქალაქების მოსახლეობის მიგრაციის ხარჯზე. ამის შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა თბილისელების ეროვნული პროფილი - მკვეთრად გაიზარდა ქართველების

ხვედრითი წილი, კერძოდ 1989 წლის აღწერით თბილისელების ორი მესამედი - 66 პროცენტი ქართველებია, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი 1970 წელს 57,5 პროცენტს უდრიდა. 1979 წელს კი 62,1 პროცენტს. იმავე წლებში თბილისელებს შორის რაოდენობრივად და შეფარდებით იმატეს ოსებმა, აზერბაიჯანელებმა, ხოლო შემცირდნენ რუსები, ხოლო სომხების რიცხოვნობა თითქმის უცვლელი დარჩა და შემცირდა მხოლოდ შეფარდებით. (გ. ფირცხალავა, 1997). ამ ცვლილებათა მიუხედავად, თბილისის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის იერარქია არ შეცვლილა და 1989 წლის აღწერითაც მათ შორის ყველაზე მაღალი წილით ქართველებს შორის წარმოდგენილია სომხები, შემდეგ რუსები, ოსები, ბოლოს აზერბაიჯანელები.

ცხრილი 9

თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა და ეროვნული შემადგენლობა 1970, 79 და 89 წწ აღწერებით

	თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა და ეროვნული შემადგენლობა 1970, 1979 და 1989 წლების აღწერებით					
	1970 წ.		1979 წ.		1989 წ.	
	ათასი კაცი	%	ათასი კაცი	%	ათასი კაცი	%
თბილისის მოსახლეობა სულ	899	100	1052,7	100	1.243.1	100
ქართველი	511,4	57,5	653,2	62,1	820,8	66
აფხაზი	311	0	323	0	405	0
ოსი	21,8	2,5	27,9	2,6	33,1	2,7
რუსი	124,3	14	129,1	12,3	124,8	10
აზერბაიჯანელი	10,8	1,2	12,3	1,2	17,8	1,4
სომეხი	150,2	16,9	152,8	14,5	150,1	12,1
დანარჩენი	70,5	7,9	76,8	7,3	96,5	7,8

(წყარო: გ. ფირცხალავა, 1997)

ის გარემოება, რომ ქალაქის მოსახლეობაში საერთოდ და, კერძოდ თბილისში გაიზარდა ქართველების და ოსების წილი და ამასთანავე მათი რაოდენობა უცვლელი

დარჩა ან შემცირდა მოსახლეობაში, ხოლო აზერბაიჯანელების რაოდენობა გაცილებით

მეტად გაიზარდა ქალაქის, ვიდრე სოფლის მოსახლეობაში. ამავე დროს რუსების შემცირება ერთდროულად როგორც ქალაქის, ასევე სოფლის მოსახლეობაში, ხოლო სომხების რაოდენობის უცვლელობა ქალაქში და შემცირება სოფლის მოსახლეობაში, გარკვევით მიგვანიშნებს მაშინდელი რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან გარე რესპუბლიკურ მიგრაციაზე.

ეროვნებათა მიხედვით მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობასთან ერთად, შიდა და გარე რესპუბლიკური მიგრაციის თავისებურებებმა არსებითად განაპირობა, 1970-1989 წწ. აღწერების პერიოდში, იმდროინდელ რესპუბლიკაში ადმინისტრაციული ტერიტორიების მიხედვით ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებში მოსახლეობის რიცხოვნობისა და ეროვნული შემადგენლობის ცვლილებები.

გარკვეულ ინტერესს იწვევს რეგიონალური სხვაობანი საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში. უნდა აღინიშნოს რომ ეროვნული ნიშნით დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან საქართველოს ორი ნაწილი - აღმოსავლეთი და დასავლეთი რეგიონები. (გ. ფირხცალავა, 1997). აღმოსავლეთ საქართველოში ბევრად მეტია არაქართველების რაოდენობა, ვიდრე დასავლეთ საქართველოში, თუმცა ქვეყნის ორივე ნაწილში ქართველები ჭარბობენ. დასავლეთ საქართველოში სრულიად უმნიშვნელოა აზერბაიჯანელებისა და ოსების რაოდენობა, აგრეთვე ბევრად ნაკლებია რუსების, სომხებისა და ბერძნების რაოდენობა, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში.


მოსახლეობის 1989 წლის აღწერამ გამოავლინა ის რაიონები, სადაც წინა წლებთან შედარებით შემცირდა მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა და ამასთანავე ის ეროვნებები, რომელთაც განაპირობეს ამ რეგიონებში მოსახლეობის აბსოლუტური კლება. ასეთია სულ 27 რაიონი, რაც მაშინდელ რესპუბლიკაში არსებული 65 რაიონის ერთ მესამედზე მეტს შეადგენს. (გ. ფირხცალავა, 1997). ამ 27 რაიონიდან 11 აღმოსავლეთ საქართველოში (ახალქალაქი, ახალგორი, ახმეტა, თიანეთი, სიღნაღი, ქარელი, ყაზბეგი, ყორნისი, ცხინვალი - სოფელი, წალკა, ჭავა), დანარჩენი 16 რაიონი დასავლეთ საქართველოშია (აბაშა, ამბროლაური, ბაღდადი, ვანი, თერჯოლა, ლენტეხი, მარტვილი, მესტია, ონი, საჩხერე, ჩოხატაური, ჩხორონწყუ, ცაგერი, წალენჯიხა, ხარაგაული, ხონი).

აღმოსავლეთ საქართველოს მხოლოდ 4 რაიონში (ახმეტა, თიანეთი, სიღნაღი და ყაზბეგი) მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა შემცირდა ძირითადად ქართველების შემცირების შედეგად, ყორნისა და ჯავაში - ოსების, წალკაში - ბერძნების და სომხების შემცირების ხარჯზე, ახალქალაქში უმთავრესად სომხების და რუსების, ნაწილობრივ ქართველების, ახალგორში და ქარელში ოსებისა და ქართველების შემცირების ხარჯზე. დასავლეთ საქართველოში კი 16 რაიონიდან 15-ში მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირდა მთლიანად ქართველების შემცირების ხარჯზე და მხოლოდ ერთ რაიონში (წალენჯიხა) მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირდა არაქართველების, უმთავრესად, რუსების შემცირების შედეგად. (გ. ფირხცალავა, 1997).

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა ძირითადად შემცირდა, ერთის მხრივ, ქართველების, ნაწილობრივ ოსებისა და აზერბაიჯანელების შიგარესპუბლიკური მიგრაციის შედეგად და მეორეს მხრივ, იმ რაიონებში, სადაც უმთავრესად სომხები, რუსები და ბერძნები ცხოვრობენ, ამ ეროვნებათა გარეგნული მიგრაციის გამო. დასავლეთ საქართველოში კი მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება თითქმის მთლიანად განაპირობა ქართველების ინტენსიურმა შიდარესპუბლიკურმა მიგრაციამ. ისინი უმთავრესად დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მსხვილ და საშუალო ქალაქებში გადაადგილდნენ. მიუხედავად ამისა, დასავლეთ საქართველოს არც ერთი აღნიშნული რაიონის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ქართველების ხვედრითი წილი თითქმის არ შეცვლილა და უმეტეს რაიონებში 1989 წლის აღწერით მათ შეადგინეს მოსახლეობის 95 პროცენტზე მეტი, ზოგიერთ რაიონში კი 99 პროცენტიც კი (აბაშა, ხობი და ა.შ.).

2014 წლის აღწერის შედეგების მიხედვით ქალაქის მოსახლეობამ შეადგინა 2 122 623 კაცი, ხოლო სოფლის მოსახლეობამ - 1 591 181 კაცი.


მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა 1897-2014 წლების აღწერების მიხედვით



წყარო: www.gesotat.ge

შემცირება უფრო მეტად სოფლის მოსახლეობამ განიცადა: სასოფლო დასახლებებში მოსახლეობის კლებამ 23,7 პროცენტი, ხოლო ქალაქის მოსახლეობის კლებამ 7,1 პროცენტი შეადგინა. შედეგად, წინა აღწერებთან შედარებით, მნიშვნელოვნად შეიცვალა ქალაქი/სოფლის სტრუქტურაც: ქალაქის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში 4,9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 57,2 პროცენტს გაუტოლდა.


მოსახლეობის რიცხოვნობის განაწილება ქალაქი/სოფლის კრილში 1897-2014 წლების აღწერების მიხედვით (%)



წყარო: www.gesotat.ge

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, თბილისის მოსახლეობამ 1 108 717 კაცი შეადგინა, რაც წინა აღწერასთან შედარებით 2,5 პროცენტით მეტია. მატება ძირითადად განპირობებულია მცხეთისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების სოფლის ტიპის დასახლებების ქ. თბილისთან შემოერთებით.

ქ. თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა 1897-2014 წლების აღწერების მიხედვით



წყარო: www.gesotat.ge

რაც შეეხება მოსახლეობის განაწილებას საქალაქო-სასოფლო დასახლებების და ეროვნების მიხედვით (2002 და 2014 წლების მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით) ასეთია:

მოსახლეობის განაწილება საქალაქო-სასოფლო დასახლებების და ეროვნების მიხედვით (2002 და 2014 წლების მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით)

ეროვნება	2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები	2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები
სულ	3 991 273	3 713 804
ქართული	სულ 3 353 815 საქალაქო დასახლება 1 948 600 სასოფლო დასახლება 1 405 215	სულ 3 224 564 საქალაქო დასახლება 1928099 სასოფლო დასახლება 1296465
აზერბაიჯანელი	სულ 243 513 საქ.დასახ. 43 349 სასოფ. დასახ. 200 164	სულ 233 024 საქ.დასახ. 43 666 სასოფ. დასახ. 189 358
სომეხი	სულ 227 650 საქ.დასახ. 132174 სასოფ. დასახ. 95 476	სულ 168 102 საქ.დასახ. 86 538 სასოფ. დასახ. 81 564
რუსი	სულ 65 157 საქ.დასახ. 56 726 სასოფ. დასახ. 8 431	სულ 26 453 საქ.დასახ. 22 507 სასოფ. დასახ. 3 946
ოსი	სულ 34 394 საქ.დასახ. 17 670 სასოფ. დასახ. 16 724	სულ 14 385 საქ.დასახ. 6 981 სასოფ. დასახ. 7 404
იეზიდი	სულ 17 976 საქ.დასახ. 17 801 სასოფ. დასახ. 175	სულ 12 174 საქ.დასახ. 11 935 სასოფ. დასახ. 239
უკრაინელი	სულ 6 832 საქ.დასახ. 6 231 სასოფ. დასახ. 601	სულ 6 034 საქ.დასახ. 5 285 სასოფ. დასახ. 749
ქისტი	სულ 5 948 საქ.დასახ. 150 სასოფ. დასახ. 5 798	სულ 5 697 საქ.დასახ. 230 სასოფ. დასახ. 5 467
ბერძენი	სულ 13 914 საქ.დასახ. 8 050 სასოფ. დასახ. 5864	სულ 5 544 საქ.დასახ. 3 525 სასოფ. დასახ. 2 019
ასირიელი		სულ 2 377 საქ.დასახ. 1 620 სასოფ. დასახ. 757
აფხაზები	სულ 3241 საქ.დასახ. 1824 სასოფ. დასახ. 1 417	
სხვა	სულ 18 833 საქ.დასახ. 14 511 სასოფ. დასახ. 4 322	სულ 14 346 საქ.დასახ. 11 224 სასოფ. დასახ. 3 122
უარი პასუხზე		სულ 591 საქ.დასახ. 560 სასოფ. დასახ. 31
არარის მითითებული		სულ 513 საქ.დასახ. 453 სასოფ. დასახ. 60

წყარო: www.gesotat.ge

აღსანიშნავია აზერბაიჯანელების სოფლად ცხოვრებისაკენ მიდრეკილება, რაც ვფიქრობ, განპირობებულია მათი დამოკიდებულებით სოფლის მეურნეობისადმი, ისევე როგორც ქისტებისა და სომხებისა, უკრაინელებისა კი ქალაქად. ამასთან

საინტერესოა, რომ ოსები თანაბრად იყოფიან ქალაქისა და სოფლის მაცხოვრებლებად. იეზიდების აბსულუტური უმრავლესობა დაფუძნებულია ქალაქად.

2014 წელს 2002 წელთან განსხვავებით შეინიშნება სომხების თანაბარი გადანაწილება ქალაქის და სოფლის მოსახლეებად. 2002 წელთან შედარებით რუსების შემადგენლობა თითქმის განახევრდა 2014 წელს, რუსების უმრავლესობა ამჟობინებს ქალაქად ცხოვრებას. ასეთივე სიტუაციაა ოსებთან მათი რაოდენობაც განახევრებულია 2014 წელს 2002 წელთან შედარებით.

ამრიგად, საქართველო თავისი ეთნიკური მრავალფეროვნებით ისეთ რთულ რეგიონშიც კი გამოირჩევა, როგორც კავკასია. განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების თანაცხოვრებისა და ერთიან კულტურულ-პოლიტიკურ ორგანიზმში ინტეგრაციის მექანიზმები ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში იქმნებოდა და იხვეწებოდა, სახელმწიფოს განვითარების დღევანდელ ეტაპზე კი მათ პრაქტიკული დანიშნულებაც შეიძინეს.

დასკვნა

განვიხილოთ საბჭოთა კავშირში და ბოლოს დამოუკიდებელ საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერების პროგრამები და შედეგები, გამოვყავით ის განსხვავებები, რომლებიც განაპირობებდა სხვაობებს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის სტრუქტურაში.

როგორ იცვლებოდა საქართველოს ეროვნული შემადგენლობა დროთა განმავლობაში, რომელი ეროვნებები ჭარბობდნენ ჩვენ ქვეყანაში, რა იყო მათი საქართველოთი დაინტერესების მიზეზები, მიგრაცია იყო ნებითი თუ იძულებითი. ნაშრომმა საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ის ძირითადი განსხვავებები და განმაპირობებელი ფაქტორები, რომელთა მეშვეობითაც იცვლებოდა საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და შესაბამისად ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საუკუნეების მანძილზე იჩენდა შემწყნარებელ პოლიტიკას თავის ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნებების მიმართ და თამამად შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაციის ამ პროცესში მოახერხა ეროვნული ფასეულობების, მნე-ჩვეულებების, ტრადიციებისა და სულიერების დაცვა. უფალმა „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“ და დღეს ჩვენც ვაღდებულნი ვართ გლობალიზაციის პროცესში შევინარჩუნოთ ეს ჰარმონია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე, 1993 - ქ. აბულაძე, საქართველოში ებრაელთა ჩამოსახლების ისტორიიდან, მაცნე, ისტორიის... სერია, №3-4, 1993.
2. აფაქიძე, 1963 - ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963.
3. გიულდენშტედტი, 1962 - გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გ. გელაშვილის გამოცემა, თბ., 1962.
4. ზურაბაშვილი, 1989 - ლ. ზურაბაშვილი, ეროვნებათმორისი ურთიერთობის ტრადიციები საქართველოში, თბ., 1989.
5. თოფჩიშვილი, 1997 - რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997.
6. ინაძე, 1982 - მ. ინაძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1982.
7. მაისურაძე, 1982 - გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში, თბ., 1982.
8. მანჯგალაძე, 1974 - გ. მანჯგალაძე, გერმანელი კოლონისტები საქართველოში, თბ., 1974.
9. სონღულაშვილი, 1995 - ა. სონღულაშვილი, გერმანელები საქართველოში, თბ., 1995.
10. ფირცხალავა, 1997 - გ. ფირცხალავა, საქართველოს მოსახლეობა:

ეროვნული შემადგენლობა, ოჯახები, მიგრაცია, თბ., 1997.

11. ყიფშიძე, 1899 - ალ. ყიფშიძე, უცხოელების დაბინავება საქართველოში, "მოამბე", 1899, №6, გან. II.
12. ჯაოშვილი, 1996 - ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, თბ., 1996.
13. ჯაოშვილი, 1984 - ე. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, თბ., 1984.
14. Свод... - Свод статистических данных о населении Закавказского края извлеченных из посемейных списков 1886 г., Тф., 1893.
15. „Всесоюзная перепись населения - всенародное дело” , Издательство <<Статистика>>Москва, 1969.
16. .ა. ნ. ხაჩიძე 1958 წელი „საქართველოს მოსახლეობა 1926, 1939, წლების აღწერების მიხედვით და 1959 წლის სრულიად საკავშირო აღწერის ამოცანები, სტატგამომცემლობა, 1958.
17. თოფჩიშვილი, 2005 - რ. თოფჩიშვილი, ეთნოისტორიული ეტიუდები წიგნი I, 2005
18. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/3448>
19. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
<http://geostat.ge/?action=sitemap&lang=geo>

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tamar Baghiashvili

Ethnic Composition of Georgian Population between XX and XXI
centuries

Demography And Human Geography

Master's Thesis submitted for the degrees of Demography and Human Geography

Supervisor: Anzor Saxvadze

Associated Professor

Tbilisi 2018